ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„კოვიდ 19 პანდემია და ეკონომიკა“

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business

International Scientific Conference Dedicated to the Establishment of the
University and the 100th Anniversary of the Faculty of Economics and Business

"Covid 19 Pandemic and Economics"

8 თებერვალი, 2022 / 8 February, 2022
თბილისი / Tbilisi

შრომების კრებული
Proceedings

ISBN 978-9941-491-70-2 (pdf)

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი გიორგი ღაღანიძე
აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე
პროფესორი იური ანანიაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი რამაზ აბესაძე
პროფესორი თეიმურაზ ბერიძე
პროფესორი სიმონ გელაშვილი
პროფესორი რევაზ გველესიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი რევაზ გოგოხია
პროფესორი ნუგზარ თოდუა
პროფესორი ირაკლი კოვზანაძე
პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
პროფესორი დავით ნარმანია
პროფესორი ლევან საბური
პროფესორი დემურ სიჭინავა
პროფესორი მირიან ტუხაშვილი
პროფესორი თემურ შენგელია
პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
პროფესორი იოსებ ხელაშვილი
ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი
ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

მანანა ლობჟანიძე - თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;

მერაბ ხოხობაია - თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;

ლალი ჩიკვილაძე - თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

აკაკი მიქაბერიძე - თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერი;

ნინო ლობჟანიძე - თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ზვიად სიგუა - თსუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

რუსუდან მაისურაძე - თსუ-ის დოქტორანტი.

Conference Editorial Board:

Professor Giorgi Gaganidze
Academician Vladimer Papava
Academician Avtandil Silagadze
Professor Iuri Ananiashvili
Doctor of Economics Ramaz Abesadze
Professor Teimuraz Beridze
Professor Simon Gelashvili
Professor Revaz Gvelesiani
Doctor of Economics Revaz Gogokhia
Professor Nugzar Todua
Professor Irakli Kovzanadze
Professor Elguja Mekvabishvili
Professor Davit Narmania
Professor Levan Sabauri
Professor Demur Sichinava
Professor Mirian Tukhashvili
Professor Temur Shengelia
Professor Eter Kharaishvili
Professor Ioseb Khelashvili
Associate Professor Manana Lobzhanidze
Associate Professor Marina Chavleishvili
Associate Professor Merab Khokhobaia

Conference Organizing Committee:

Manana Lobzhanidze – Associate Professor, Deputy Dean, faculty of Economics and Business

Merab Khokhobaia - Associate Professor, Head of the department of scientific research and development, faculty of Economics and Business

Lali Chikviladze - Main Specialist, department of scientific research and development, faculty of Economics and Business

Akaki Mikaberidze - Financial Manager, Faculty of Economics and Business

Nino Lobzhanidze - Ph.D in Economics, main specialist, department of scientific research and development, faculty of Economics and Business

Zviad Sigua - Main Specialist, educational service management department, faculty of Economics and Business

Rusudan Maisuradze – Ph.D student, faculty of Economics and Business

სარჩევი
Contents

ნინო აბესაძე, ნინო მებაღიშვილი, COVID-19 პანდემიის გავლენა ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს საექსპორტო ურთიერთობების სტატისტიკურ ტენდენციებზე..... 13

Nino Abesadze, Nino Mebaghishvili, Impact of the COVID-19 Pandemic on Statistical Trends in Georgia's Export Relations with EU Countries

ნანა ასლამაზიშვილი, პანდემია და მიწოდების ჯაჭვების სტრატეგიების ახლებური გააზრების სტატისტიკური ასპექტები 20

Nana Aslamazishvili, Pandemic and Statistical Perspectives of Rethinking Supply Chains Strategies

თეიმურაზ ბაბუნაშვილი, COVID-19, ჩაკეტილი საზღვრები და საქართველოს არჩევანი - წარმოება თუ მომსახურება? 29

Teimuraz Babunashvili, “Covid-19”, Locked Borders and Georgia's Emergency Choice - Production or Service?"

თამარ ბარბაქაძე, საგარეო ვალი და ფინანსური სისტემის სტაბილურობა Covid-19 პანდემიის პირობებში..... 34

Tamar Barbakadze, External Debt and Financial System Stability under the Covid-19 Pandemic

Givi Bedianashvili, The COVID-19 Pandemic, Globalization and the Socio-Economic System of the Country (Macro Aspect) 38

გივი ბედიანაშვილი, COVID-19-ის პანდემია, გლობალიზაცია და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა (მაკრო ასპექტი)

ხათუნა ბერიშვილი, საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება Covid-19 პანდემიის და პოსტპანდემიურ პირობებში 43

Khatuna Berishvili, Increasing Georgia’s Investment Attractiveness under the Covid-19 Pandemic and Post-pandemic Conditions

თეიმურაზ ბერიძე, ქვეყნის ეკონომიკის ინვესტიციატევადობა (საქართველოს მაგალითზე) 50

Teimuraz Beridze, Investment Capacity of the Country Economy (on the Example of Georgia)

ნესტან გაფრინდაშვილი, რეგულირების გავლენის შეფასება პანდემიის დროს 63

Nestan Gaprindashvili, Regulatory Impact Assessment During Pandemic

სიმონ გელაშვილი, მარიამ ოქრუაშვილი, Covid-19 პანდემიის გავლენა უმუშევრობაზე საქართველოში: სტატისტიკური კვლევა 71

Simon Gelashvili, Mariam Oqruashvili, Impact of the Covid-19 Pandemic on Unemployment in Georgia: A Statistical Research

რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი, რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდულობა COVID-19 პანდემიის პირობებში 80

Revaz Gvelesiani, Irina Gogorishvili, Restrictions on Rational Economic Policy in the Context of the COVID-19 Pandemic

Maia Giorgobiani, Lia Dzebisauri, Challenges of Distance Learning during Covid-19 and Statistics from a Socio-demographic Perspective 89

მაია გიორგობიანი, ლია ძებისაური, დისტანციური სწავლების გამოწვევები Covid-19 პანდემიის პირობებში და სტატისტიკა სოციალურ-დემოგრაფიული პერსპექტივიდან

ნინო გრიგოლაია, ცირა მიქატაძე, COVID-19 პანდემია და წარმოების გამოწვევები 95

Nino Grigolaia, Tsira Mikatadze, COVID-19 Pandemic and Production Challenges

ლევან დგებუაძე, კოვიდ 19-ის პერიოდში კრიპტოვალუტის აქტუალობა და ფინანსური გლობალიზაციის ახალი გამოწვევები 100

Levan Dgebuadze, The Urgency of Cryptocurrency in the Period of Covid 19 and New Challenges of Financial Globalization

სალომე დეისაძე, COVID-19-ის პანდემია და სურსათის ფასები საქართველოში: ძირითადი ტრენდები და მოლოდინები 107

Salome Deisadze, COVID-19 Pandemic and Food Prices in Georgia: Main Trends and Expectations

გულნაზ ერქომაიშვილი, მინერალური და მტკნარი წყლების საექსპორტო პოლიტიკა საქართველოში 114

Gulnaz Erkomaishvili, Mineral and Fresh Water Export Policy in Georgia

მარიამ ვარდიაშვილი, მარინა მაისურაძე, COVID 19 პანდემია და მისი გავლენა შემოსავლების აღიარებაზე 121

Mariam Vardiashvili, Marina Maisuradze, COVID 19 Pandemic and its Impact on Revenue Recognition

დავით ვეკუა, ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხი COVID 19 პანდემიის პირობებში 128

Davit Vekua, Some Aspects of Economic Policy and its Peculiarities in Georgia during COVID-19 Pandemic

Shota Veshapidze, **Gia Zoidze**, Value Choices of the Community in the Context of the Covid-19 Pandemic 135

შოთა ვეშაპიძე, **გია ზოიძე**, საზოგადოების ღირებულებითი არჩევანი კოვიდ-19 პანდემიის პირობებში

ირაკლი ზოიძე, კოვიდ-პანდემია, როგორც საინვესტიციო გამოწვევა საქართველოს ეკონომიკისთვის 141

Irakli Zoidze, Covid-pandemic as an Investment Challenge for the Georgian Economy

სალომე თვალოძე, მდგრადი დაფინანსების სოციალური კომპონენტის ზრდა COVID-19 პანდემიის პირობებში 148

Salome Tvalodze, Increasing Importance of the Social Component of Sustainable Finance during the COVID 19 Pandemic

ნია თოდუა, COVID-19–ის პანდემიის გავლენა სოციალურ მედია მარკეტინგზე 155

Nia Todua, Impact of the COVID-19 Pandemic on Social Media Marketing

ნუგზარ თოდუა, **ნინო გოგიტიძე**, COVID-19-ის პანდემიის გავლენა ციფრული ბანკინგის მომხმარებელთა ქცევაზე..... 161

Nugzar Todua, **Nino Gogitidze**, Impact of COVID-19 Pandemic on Digital Banking Consumer Behavior

ნატო კაკაშვილი, **ხათუნა ბარბაქაძე**, სამოგზაურო დაზღვევის მნიშვნელობა ტურისტული ბიზნესისათვის და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში 169

Nato Kakashvili, **Khatuna Barbakadze**, The Importance of Travel Insurance for Tourism Business and its Development Prospects in Georgia

ნაზირა კაკულია, COVID-19 -ით გამოწვეული პანდემია და გარემოსადმი მდგრადობის ცალკეული საკითხები 176

Nazira Kakulia, Pandemic Called COVID-19, and Some Ecological Problems

ნათია კახნიაშვილი, საბანკო სერვისების ციფრულიზაცია გლობალური პანდემიის ფონზე.... 181

Natia Kakhniashvili, Digitalization of Banking Services against the Background of the Global Pandemic

გიგა კიკორია, კორონა ვირუსის გავლენა მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე..... 185

Giga Kikoria,The Impact of the Corona Virus on the World and Georgian Economies

სალომე კობახიძე, ბალტიის ქვეყნების გამოცდილების ანალიზი და მისი გათვალისწინება საქართველოს შრომის ბაზრის პოლიტიკის ფორმირებაში (კოვიდ-19 პანდემიის კონტექსტით) 192

Salome Kobakhidze, Analysis of the Experience of the Baltic States and its Deliberation in the Formation of Georgian Labor Market Policy (in the context of the Covid-19 Pandemic)

თამარ ლაზარიაშვილი, ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები და მხარდამჭერი პროგრამები კოვიდ 19 პანდემიის პირობებში 202

Tamar Lazariashvili, Bio-food Production Opportunities and Support Programs in the Condition of the Covid-19 Pandemic

ეკა ლეკაშვილი, კოვიდ -19 პანდემიის პირობებში საქართველოს განვითარების სტრატეგიის საკითხის განხილვისათვის 211

Eka Lekashvili, For the Discussion of the Development Strategy of Georgia in Period of Pandemic Covid 19

მანანა ლობჟანიძე, COVID-19 პანდემიის გავლენა სასწავლო მიგრაციაზე და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები 218

Manana Lobzhanidze, COVID-19 Pandemic Impact on Study Migration and it's Socio-Economic Consequences

ელგუჯა მექვაბიშვილი, პოსტთანამედროვე ეკონომიკის კონტურები (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტი) 224

Elguja Mekvabishvili, Contours of Postmodern Economy (Theoretical-methodological aspect)

გიორგი მჟავანაძე, COVID-19 პანდემია და თამბაქოს მოხმარება საქართველოში 231

Giorgi Mzhavanadze, The Impact of COVID-19 Pandemic and Tobacco Consumption in Georgia

ბაბულია მღებრიშვილი, გიული ქეშელაშვილი, კონფლიქტები მარკეტინგულ არხებში და მისგან მომდინარე საფრთხეები 238

Babulia Mghebrishvili, Giuli Keshelashvili, Conflicts in Marketing Channels and Consequential Threats

მარინე ნაცვალაძე, გაურკვევლობა და რისკი კოვიდ-19 პანდემიის პირობებში 243

Marine Natsvaladze, Uncertainty And Risk During The COVID-19 Pandemic

ია ნაცვლიშვილი, ძალადობრივი კონფლიქტის მიკროეკონომიკური კვლევის თანამედროვე ტენდენციები 250

Ia Natsvlishvili, Modern Trends in Microeconomic Research on Violent Conflict

Vladimer Papava, ON THE SUPPLY-CHAINFLATION 260

ვლადიმერ პაპავა, მიწოდების ჩეინფლაციის შესახებ

ნინო ჟორჟიკაშვილი, მაკროპრუდენციული პოლიტიკის სისტემური რისკების წარმომქმნელი ფაქტორების იდენტიფიცირება საქართველოსათვის 263

Nino Zhorzhikashvili, Macroprudential Policy Systemic Risks and Identified Factors of Georgia

Vasja Roblek, Maja Meško, Nenad N. Petrović, Challenges of Modern Organisation in the Post-pandemic Period 268

ვასია რობლეკი, მაია მესკო, ნენად ნ. პეტროვიჩი, თანამედროვე ორგანიზაციის გამოწვევები პოსტ-კოვიდ-19 სამყაროში0

ლევან საბაური, ნადეჟდა კვატაშიძე, COVID-19 პანდემიის გავლენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე 276

Levan Sabauri, Nadejda Kvatashidze, Impact of the COVID-19 Pandemic on the Preparation of Financial Statements

უშანგი სამადაშვილი, კორონა-პანდემიის გავლენა მცირე ბინესზე საქართველოში: მდგომარეობა, გამოწვევები და შესაძლებლობები 283

Ushangi Samadashvili, Impact of Corona-Pandemic on Small Business in Georgia: Situation, Challenges and Opportunities

გიორგი სანაძე, საქართველოში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების, ექსპორტისა და იმპორტის ძირითადი ტენდენციები 293

Giorgi Sanadze, The Main Trends of high-tech Production Export and Import in Georgia

რუსუდან სირბილაძე, თეორიული ეკონომიკა და ეკონომიკური ზრდა 300

Rusudan Sirbiladze, Theoretical Economy and Economic Growth

ნინო ტალიკაძე, COVID-19 პანდემია და აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება 307

Nino Talikadze, COVID-19 Pandemic and Agri-food Production

ანა ფოლოდაშვილი, სამეცნიერო კვლევების დაფინანსების გამოწვევები პანდემიის დროს საქართველოში 316

Ana Polodashvili, Challenges of Funding Scientific Researches During a Pandemic in Georgia

რამაზ ფუტკარაძე, COVID 19 პანდემიის გავლენა საქართველოს მთლიან სამამულო პროდუქტზე და საგარეო ვაჭრობაზე..... 322

Ramaz Putkaradze, The Impact of the COVID 19 Pandemic on the Gross Domestic Product (GDP) and Foreign Trade of Georgia

ქეთევან ქველაძე, მედეა მელაშვილი, ნუნუ ქისტაური, ცირა მიქატაძე, ენოტურიზმის განვითარების პერსპექტივები პოსტპანდემიურ საქართველოში 329

Ketevan Kveladze, Medea Melashvili, Nunu Kistauri, Tsira Mikatadze, Prospects for the Development of Enotourism in Post-pandemic Georgia

რუსუდან ქინქლაძე, შორენა მეტრეველი, ქეთევან ჩიტალაძე, COVID-19 გავლენა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებაზე 335

Rusudan Kinkladze, Shorena Metreveli, Ketevan Chitaladze, COVID-19 Impact on the Change of the Gender-age Structure of the Population

თამარ ღამბაშიძე, Covid 19-ით გამოწვეული რეალობა და პერსპექტივები ადამიანური რესურსების მართვაში..... 345

Tamar Ghambashidze, Reality and Perspectives with Covid 19 in Human Resource Management

შოთა ყარალაშვილი, საქართველოსა და ესტონეთზე COVID-19 პანდემიის გავლენის ცალკეული ასპექტები..... 350

Shota Karalashvili, Some Impact Aspects of the Covid-19 Pandemic on Georgia and Estonia

შოთა შაბურიშვილი, „ქეისი“ როგორც ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგია COVID-19 პანდემიის პირობებში..... 355

Shota Shaburishvili, "Case" as a Business Research Methodology in Condition of COVID-19 Pandemic

თეიმურაზ შენგელია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება COVID-19 პანდემიის პირობებში..... 363

Teimuraz Shengelia, Economic Development of the South Caucasus Countries in the Conditions of the COVID-19 Pandemic

ლია ჩარექიშვილი, საქართველოს გამოწვევა პანდემიის COVID-19 პირობებში..... 371

Lia Charekishvili, Challenge of Georgia in the Conditions of COVID-19 Pandemic

მიხეილ ჩიკვილაძე, Covid -19 პანდემია - ეკონომიკის ზრდის რისკები..... 378

Mikheil Chikviladze, Covid-19 Pandemic - Risks of Economic Growth

მალხაზ ჩიქობავა, ოქროს მსოფლიო ბაზრის დინამიკა და გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მოსალოდნელი ტალღა 383

Malkhaz Chikobava, Dynamics of the World Gold Market and the Expected Wave of the Global Financial and Economic Crisis

მურმან ცარციძე, ირმა ტყემალაძე, დასაქმების ფორმების ტრანსფორმაცია გლობალური პანდემიის პირობებში 396

Murman Tsartsidze, Irma Tkemaladze, Transformation of Forms of Employment in the Context of the Global Pandemic

არჩილ ცერცვაძე, COVID 19 პანდემიის გავლენა საქართველოს სადაზღვევო სექტორზე 406

Archil Tsertsvadze, Impact of the COVID 19 Pandemic on the Georgian Insurance Sector

იზოლდა ჭილაძე, თამარ თორია, საქართველოში საწარმოთა ფინანსური შედეგებისა და რისკების ცვლილებები პანდემიის შემდეგ 413

Izolda Chiladze, Tamar Toria, Changes in the Financial Results and Risks of Enterprises after the Pandemic in Georgia

ეთერ ხარაიშვილი, ნინო ლობჟანიძე, აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა: გამოწვევები და შესაძლებლობები COVID -19 პანდემიის პირობებში 423

Eter Kharaishvili, Nino Lobzhanidze, Agri-food Trade: Challenges and Opportunities under the COVID-19 Pandemic

მედეა ხარაიშვილი, უმაღლესი განათლების გამოწვევები COVID -19 პანდემიის პირობებში... 436

Medea Kharaishvili, Challenges of Higher Education in the Context of the COVID-19 Pandemic

ლალი ხიხაძე, COVID-19 პანდემიით გამოწვეული ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვში ინტეგრირებისათვის 442

Lali Khikhadze, COVID-19 Pandemic Trends and Georgia's Opportunities for Integration into the Global Supply Chain

მერაბ ხმალაძე, ნატალია კოპალეიშვილი, საქართველოს მოსახლეობის მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა კოვიდ 19-ის პირობებში 450

Merab Khmaladze, Natalia Kopaleishvili, Mortality and Life Duration of the Population of Georgia under COVID 19 Conditions

ანჟელი ხორავა, Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა საწარმოს ფინანსურ აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე 458

Anzheli Khorava, Effect of Pandemic Caused by Covid-19 on Company's Financial Accounting and Reporting

მარინე ხუბუა, გარე აუდიტის ხარისხის ამაღლების თანამედროვე მიდგომები საბანკო სექტორში..... 464

Marine Khubua, Modern Approaches of Improving the Quality of External Audit in the Banking Sector

ჩარიტა ჯაში, ეკატერინე უროტაძე, სოციალური მარკეტინგის გავლენა ქცევის ცვლილებაზე COVID-19-ის პანდემიის პირობებში..... 469

Charita Jashi, Ekaterine Urotadze, Impact of Social Marketing for Changing Behavior During the COVID–19 Pandemic

მიხეილ ჯიბუტი, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გამოწვევები..... 477

Mikheil Jibuti, Georgia and EU Integration: Challenges

მერაბ ჯიქია, პანდემიის პირობებში, საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე: კონცეფცია - მოგების მაქსიმიზაცია თუ კომპანიის ღირებულების გაზრდა!?..... 483

Merab Jikia, In a Pandemic, at the Modern Stage of Market Economy Development: Concept-Profit Maxsimization or Increasing the Value of the Company!?

ქრისტინა ჯღანჯღავა, დისტანციური მუშაობა კოვიდ-19 პანდემიის პირობებში: ტენდენციები დაპერსპექტივები..... 489

Kristina Jganjgava, Distance Working under Covid-19: Trends and Prospects

COVID-19 პანდემიის გავლენა ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს საექსპორტო ურთიერთობების სტატისტიკურ ტენდენციებზე

ნინო აბესაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ნინო მებაღიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნაშრომში განხილულია ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი ტენდენციები, გაანალიზებულია საგარეო ვაჭრობის ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები, გამოვლენილია საექსპორტო ურთიერთობების თანამედროვე ტენდენციები, დეტალურადაა მიმოხილული სასაქონლო სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებები, აგრეთვე საკვლევ პერიოდში გეოგრაფიულ სტრუქტურაში გამოხატული ტენდენციები. ექსპორტის გეოგრაფიული სტრუქტურის დახასიათებისას აქცენტი გაკეთებულია პერიოდის ტოპ-სამეულის ქვეყნებთან საექსპორტო ურთიერთობების მახასიათებლებზე. გაანალიზებულია თითოეული პერიოდისათვის დამახასიათებელი სასაქონლო სტრუქტურული ცვლილებები, გაანგარიშებულია საგარეო ვაჭრობის დონის მაჩვენებლები, ექსპორტისა და იმპორტის ქვოტების საფუძველზე გაანალიზებულია ეკონომიკის გახსნილობის მახასიათებლები. საბოლოო შედეგების მიხედვით ნაშრომში გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *ევროკავშირი, ექსპორტი, ტენდენცია, საგარეო ვაჭრობა.*

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე საქართველო აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში, რაც ქვეყანას საშუალებას აძლევს აიმაღლოს ეროვნული სტანდარტები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას და პირველ რიგში ეს დაკავშირებულია Covid-19 პანდემიასთან, რომელმაც შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკური პარამეტრების ზრდა და გაამწვავა არსებული ეკონომიკური პრობლემები, ფაქტია, Covid-19 პანდემიამ სერიოზული ზეგავლენა იქონია, როგორც ცალკეული ადამიანების ცხოვრებაზე, ისე მსოფლიო ეკონომიკაზე. (პაპავა ვ., 2020) საქართველო აქტიურად ცდილობს ჩაერთოს მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციით. ეს აუცილებელია, რადგან მდგრადი ეკონომიკური ზრდა უნდა გახდეს ქვეყნის სრულფასოვანი განვითარების გარანტია და ხელი შეუწყოს უმწვავესი სოციალური პრობლემების გადაჭრას. (ღაღანიძე გ., 2018)

ფაქტია, საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, დივერსიფიკაციისკენ მიმართული პოლიტიკა, ორმხრივი და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გამოყენების ხელშეწყობა - ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტებია. (ძებისაური ლ., 2020) ქვეყნის ევროინტეგრაციული კურსიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია **ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) პირობებში** მისი ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება ევროკავშირის ქვეყნებთან. ამიტომ საექსპორტო სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური ანალიზი, თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა პანდემიის პირობებში აქტუალური, მნიშვნელოვანი და აუცილებელია. (Abesadze N. , 2015) დღეს სიტუაცია ისეთია, რომ ევროკავშირთან საექსპორტო ურთიერთობების მახასიათებლების გაუმჯობესების მიუხედავად, საგარეო ვაჭრობის

სალდო უარყოფითია (Gelashvili, Abesadze, & Abesadze, 2015) და ბოლო მონაცემებით -1,153,434 ათასი აშშ დოლარია, რაც წინა წელთან შედარებით -23%-ითაა შემცირებული. აღსანიშნავია, რომ 2009-2020 წლებში ევროკავშირთან ექსპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 110% შეადგინა, მაშასადამე, აღნიშნულ პერიოდში ექსპორტის მოცულობა საშუალოდ 10%-ით იზრდებოდა. ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს საექსპორტო ურთიერთობებში ორი პერიოდი გამოვყავით: 2014 წლამდე და 2014 წლის შემდგომი. 2009-2014 წლებში ევროკავშირთან ექსპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 2015-2020 წლის მაჩვენებელს თითქმის 19%-ით აღემატებოდა და შეადგენდა 121%-ს, შესაბამისად, 2015-2020 წლებში საშუალო წლიური ზრდის ტემპი გაუტოლდა 102%-ს.

ცხრილი 1. ექსპორტის სტატისტიკური მაჩვენებლები 2009-2021 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)

წლები	ექსპორტი	ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებთან	წილი %
2009	1133.6	229.5	20.2%
2010	1677.5	291.4	17.4%
2011	2186.4	410.6	18.8%
2012	2376.6	332.1	14.0%
2013	2910.3	577.5	19.8%
2014	2861.0	599.5	21.0%
2015	2204.1	623.3	28.3%
2016	2117.1	550.5	26.0%
2017	2745.7	642.2	23.4%
2018	3379.7	712.9	21.1%
2019	3798.4	805.7	21.2%
2020	3343.4	696.8	20.8%
2021	4242.3	717.1	16.9%

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე (www.geostat.ge)

როგორც ცხრილიდან ჩანს, არაერთგვაროვანი იყო ექსპორტში ევროკავშირთან ექსპორტის პროცენტული წილის მაჩვენებლების დინამიკა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2015 წელს და ის 28,3%-ს შეადგენდა. შემდეგ ვლინდება წილის მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია და ბოლო მონაცემებით, 2021 წელს 16,9%-ს გაუტოლდა. საკვლევ პერიოდში (2009-2020) ევროკავშირთან ექსპორტის გეოგრაფიული სტრუქტურა არსებითად არ შეიცვლა. თუ 2009 წელს ქვეყნების საექსპორტო ხუთეულს ქმნიდა ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, ბელგია და საბერძნეთი, 2014 წელს მეორე პოზიციაზე დაწინაურდა იტალია, გერმანია კი ათეულს მიღმა დარჩა. ხოლო ხუთეულში აღმოჩნდა ლიეტუვა. 2020 წელს კი საექსპორტო ურთიერთობები გერმანიასთან ისევ გააქტიურდა და საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით, 61,39 მლნ აშშ დოლარით, დაიკავა ადგილი საექსპორტო სამეულში. 2020 წლის მონაცემების მიხედვით ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის საერთო მოცულობაში ყველაზე დიდი იყო ბულგარეთის ხვედრითი წილის მაჩვენებელი (45%). 2014 და 2009 წელს ის შესამამისად 28% და 36%-ს შეადგენდა, ესპანეთთან საქონლის ექსპორტის წილმა ევროკავშირის მთლიან ექსპორტში 2020, 2014 და 2009 წლებში შესაბამისად შეადგინა 12%, 12% და 10%. 2020 წელს ექსპორტის მაჩვენებლით ევროკავშირის ქვეყნების ათეულში დაემატა პოლონეთი და რუმინეთი, რომლებიც 2014 წელს არ შედიოდნენ პირველ ათეულში, თუმცა 2009 წელს რუმინეთი ტოპ ათეულის წევრი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წელს, 2014 და 2009 წლებისგან განსხვავებით, ევროკავშირის ქვეყნების საექსპორტო ათეულში აღარ გვხვდება საბერძნეთი და ჩეხეთი. საინტერესოა შეიცვალა თუ არა მდგომარეობა 2021 წელს?

დიაგრამა 1. ევროკავშირთან საექსპორტო ქვეყნების ტოპ-ათეული 2021 წელი (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (www.geostat.ge)

როგორც დიაგრამიდან ვხედავთ გეოგრაფიული სტრუქტურა არ შეცვლილა 2021 წელსაც და პირველ სამეულში შედის ისევ ბულგარეთი, ესპანეთი, გერმანია. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ პანდემიის პირველ წელს, 2020 წელს ექსპორტი ბულგარეთში გაიზარდა 2019 წელთან შედარებით 4%-ით, ესპანეთში - 82%-ით, გერმანიაში - 13%-ით, მაგრამ 2021 წელს 2020 წელთან შედარებით სამივე ქვეყანასთან კლების ტემპები დაფიქსირდა: ბულგარეთში - 20%, ესპანეთში - 21%, გერმანიაში - 4%.

დიაგრამა 2. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებული საქონლის ტოპ ათეული 2020 წ. (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (http://ex-trade.geostat.ge/ka)

როგორც საკვლევ პერიოდში (2009-2020) სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზმა აჩვენა, საქართველოდან ევროკავშირში ხორციელდებოდა უმეტესად სპილენძის მადნებისა და კონცენტრანტების ექსპორტი, რაც 2020 წელს 2014 წელთან შედარებით 109,8%-ით, ხოლო 2009 წელთან შედარებით 510%-ით გაიზარდა. შემდეგ მოდის თხილი და სხვა კაკალი, რომელიც 2020 წელს 2014 წელთან შედარებით შემცირდა 49%-ით, მაგრამ 2009 წელთან შედარებით გაიზარდა 58%-ით. სამეულში მესამე ადგილზეა მინერალური და ქიმიური სასუქები, რომელიც 2020 წელს 2014 წელთან შედარებით შემცირდა 21.5%-ით, ხოლო 2009 წელთან შედარებით - 50%-ით.

საინტერესოა თუ როგორია სასაქონლო სტრუქტურა ევროკავშირის ქვეყნებთან ექპორტის მიხედვით პირველ სამეულში მყოფ: ბულგარეთში, ესპანეთსა და გერმანიაში. 2009, 2014 და 2020 წლების მონაცემების შედარებითი ანალიზით გამოვლინდა, რომ ბულგარეთში უმეტესად ხორ-ციელდებოდა სპილენძის მადნებისა და კონცენტრანტების ექსპორტი, მისი მოცულობა 2020 წელს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა 110%-ით, 2009 წელთან შედარებით - 384%-ით. მეორე

ადგილზეა სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზატოვანი, რომლის ექსპორტიც ბულგარეთში 2020 წელს 2014 წელთან შედარებით - 63.5%-ით, ხოლო 2009 წელთან შედარებით 76.7%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ თხილისა და სხვა კაკალის ექსპორტი 2020 წელს 2014 წელთან შედარებით შემცირდა 55.5%-ით, ხოლო 2009 წელთან შედარებით გაიზარდა 230%-ით. რაც შეეხება ესპანეთს - 2009 წლიდან ტოპ სამეულში შედიოდა თხილი და სხვა კაკალი, რომლის ექსპორტიც 2020 წელს 2014 წელთან შედარებით შემცირდა 20%-ით, ხოლო 2009 წელთან შედარებით გაიზარდა 233%-ით, შესაბამისად, 2020 წელს გადაინაცვლა მესამე პოზიციაზე, ხოლო პირველ პოზიციაზეა სპილენძის მადნები და კონცენტრანტები, რომლის ექსპორტიც გაიზარდა 2020 წელს 2014 წელთან შედარებით 87,8%-ით, ხოლო 2009 წლის ტოპ ათეულში ეს საქონელი საერთოდ არ შედიოდა, ამასთან, ის 2020 წელს ესპანეთში ექსპორტირებული საქონლის 84%-ს შეადგენს. რაც შეეხება გერმანიას - სამივე წელს პირველ ადგილზეა თხილი და სხვა კაკალი, რომლის ექსპორტიც 2020 წელს 2014 წელთან შედარებით შემცირდა 21,8%-ით, ხოლო 2009 წელთან შედარებით გაიზარდა 124.7%-ით. ასევე ხორციელდებოდა ძირითადად ხილის ნატურალური წვენების, ღვინოების, შერეული საქონლის ექსპორტი, რომელთა წილი გერმანიაში ექსპორტირებულ საქონელში თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის წინასწარი მონაცემებით, ევროკავშირში ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზეა ისევ სპილენძის მადნები და კონცენტრანტები, რომლის ექსპორტიც ძირითადად ხორციელდებოდა ბულგარეთსა და ესპანეთში, მას ბულგარეთში ექსპორტირებული საქონლის 36,2%, ხოლო ესპანეთში ექსპორტირებული საქონლის - 8% უჭირავს. მეორე ადგილზეა თხილი და სხვა კაკალი, რომლის ექსპორტიც ხორციელდებოდა უმეტესად იტალიასა და გერმანიაში, და რომელიც იტალიაში ექსპორტირებული საქონლის 4%-ს და გერმანიაში ექსპორტირებული საქონლის 3.7%-ს შეადგენს. შემდეგ მოდის მინერალური ან ქიმიური სასუქები (რუმინეთში 4.3%), მინერალური და მტკნარი წყლები (ლიეტუვაში 2.8%), მსუბუქი ავტომობილები (ბელგიაში 2.6%) და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საერთოდ მზარდია ადგილობრივი ექსპორტის დინამიკა, მაგრამ ევროკავშირის ქვეყნებთან პანდემიის პერიოდში შეინიშნება კლების ტენდენცია. 2021 წელს მისი მოცულობა 8%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 29%-ით შემცირდა. შესაბამისად, შემცირდა ევროკავშირთან ადგილობრივი ექსპორტის ხვედრითი წილი მთლიანად ადგილობრივ ექსპორტში და 2021 წელს 20,3% შეადგინა, თუმცა ევროკავშირთან ადგილობრივი ექსპორტის ხვედრითი წილი ევროკავშირთან ექსპორტში სტაბილურად 90%-ის დონეზეა.

დიაგრამა 3. ევროკავშირთან ადგილობრივი ექსპორტის ხვედრითი წილი ადგილობრივ ექსპორტში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (http://ex-trade.geostat.ge/ka)

მცირდება რეექსპორტის მოცულობაც. ასე მაგალითად, 2021 წელს წინა წელთან შედარებით - 3%-ით , 2019 წელთან შედარებით - 14%-ით, ხოლო 2018 წელთან შედარებით 28%-თ შემცირდა. 2015 წლიდან დღემდე რეექსპორტის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა 96% შეადგინა. მაშასადამე, ყოველწლიურად 4%-ით მცირდებოდა. ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური შესწავლისას აუცილებელია საგარეო ვაჭრობის დონის დახასიათება. (გელაშვილი, ს., აბესაძე, ნ. მინდორაშვილი, მ., მუჩიაშვილი, მ., და ა.შ., 2017) საქსტატის მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშეთ შესაბამისი მაჩვენებლები და წარმოვადგინეთ ცხრილში:

ცხრილი2. ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მაჩვენებლები

	2009	2014	2020
ექსპორტის დონე	0,076	0,17	0.19
იმპორტის დონე	0.33	0.63	0.5
სალდოს დონე	0.27	0,47	0.30
ბრუნვის დონე	0.39	0,80	0.69
იმპორტ-ექსპორტის თანაფარდობის მაჩვენებელი	5.56	3.82	2.58
საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის მაჩვენებლები	70%	57%	44%

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე (www.geostat.ge)

ცნობილია, რომ ეკონომიკური გახსნილობის მაჩვენებლებს მიეკუთვნება ექსპორტისა და იმპორტის პროცენტული წილი მსპ-ში, ანუ ექსპორტისა და იმპორტის ქვოტები. ეკონომიკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი ჩაითვალოს მისაღებად, თუ ექსპორტის ქვოტა აღემატება 10%-ს. (ძებისაური, 2012) ჩვენ მიერ გაანგარიშებულ იქნა ექსპორტის ქვოტის მაჩვენებლები დინამიკაში.

ცხრილი 3. ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტისა და იმპორტის ქვოტების დინამიკა

წლები	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
იმპორტის ქვოტა	8.5	11.5	13.0	14.0	12.7	12.9	13.3	13.8	13.1	13.9	13.2	11.7
ექსპორტის ქვოტა	1.5	2.5	2.8	2.1	3.5	3.5	4.3	3.7	4.0	4.1	4.8	4.5

წყარო:ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე (www.geostat.ge)

ევროკავშირის ქვეყნებთან ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი ჯერ კიდევ მისაღები არაა. ექსპორტისა და მსპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებლების საფუძველზე გავიანგარიშეთ K გასწრების კოეფიციენტი, როგორც ორი მოვლენის ზრდის ტემპების შეფარდება და შედეგები წარმოვადგინეთ ცხრილის სახით:

ცხრილი 4. ექსპორტისა და მსპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებლების საფუძველზე გააანგარიშებული K გასწრების კოეფიციენტი

	ექსპორტი	ექსპორტი ევროკავშირთან	მსპ-ის რეალური ზრდა, პროცენტული ცვლილება	K გასწრების კოეფიციენტი	K ევროკავშირის ქვეყნებისთვის
2009	0.76	0.71	0.96	0.79	0.74
2014	0.98	1.02	1.05	0.94	0.97
2020	0.88	0.86	0.93	0.95	0.92

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე (www.geostat.ge)

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ექსპორტის ზრდის ტემპი ჩამორჩებოდა მსპ-ს ზრდის ტემპს, როგორც საერთოდ, ისე ევროკავშირის ქვეყნებთანაც. თუ 2009 წელს K გასწრების კოეფიციენტი დაფიქსირდა 0.74-ის დონეზე, 2019 წელს გაიზარდა და შეადგინა 0.97, 2020 წელს ისევ შემცირდა და შეადგინა 0.92. ეს ნიშნავს ინტეგრაციის არამდგრადი ტენდენციის გამოვლინებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების ინტენსივობის, შესაბამისად, საიმპორტო და განსაკუთრებით საექსპორტო ნაკადების მოცულობის ზრდის მიუხედავად, თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სავაჭრო ბალანსი ევროკავშირის ქვეყნებთან არის უარყოფითი; საკვლევ პერიოდში (2009-2020 წლებში) ექსპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 111%, ხოლო იმპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 105%, რაც ადასტურებს ექსპორტის ზრდის ტენდენციას; არაერთგვაროვანი იყო ექსპორტში ევროკავშირთან ექსპორტის პროცენტული წილის მაჩვენებლების დინამიკა. წილის ყველაზე მაღალი მნიშვნელობა დაფიქსირდა 2015 წელს და ის 28,3% -ს შეადგენდა. შემდეგ იწყება წილის მაჩვენებლის შემცირება და ბოლო მონაცემებით 20,8%-ია; ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს ექსპორტის მიხედვით ქვეყნების ტოპ ათეულში 2020 წელს ლიდერობდა ბულგარეთი, ესპანეთი, გერმანია. აღსანიშნავია, რომ საკვლევ პერიოდში ბულგარეთი ყველა წელს ლიდერის პოზიციას იკავებდა; 2009, 2014, 2020 წლებში საქართველოდან ევროკავშირში ხორციელდებოდა უმეტესად სპილენძის მადნებისა და კონცენტრანტების ექსპორტი, თხილი და სხვა კაკალი, მინერალური და ქიმიური სასუქები; 2020 წლების მიხედვით გაანგარიშებული ექსპორტის ქვოტა ევროკავშირის ქვეყნებისათვის არ აღემატებოდა 10%-ს, ეს კი ნიშნავს, რომ ეკონომიკის გახსნილობის მაჩვენებელი მისაღები არ არის.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი, ს., აბესაძე, ნ. მინდორაშვილი, მ., მუჩიაშვილი, მ., და ა.შ. (2017). სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის-2 (ლექციების მოკლე კურსი). თბილისი: თსუ. Retrieved from https://old.tsu.ge/ge/faculties/economics/library/
2. პაპავა ვ. (2020). „საქართველოს ევროპული გზა პანდემიური დეგლობალიზაციის პირობებში“, თბილისი, საქართველო. Retrieved from https://www.gfsis.org/ge/blog/view/1091
3. ღაღანიძე გ., (2018). საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები. თსუ 2018. თბილისი: თსუ. Retrieved from https://cu.edu.ge
4. ძებისაური ლ. (2020). COVID-19 და საქართველოს საგარეო სექტორის მოკლე სტატისტიკური რეტროსპექტივა. . “გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ (pp. 514-519). თბილისი: თსუ. Retrieved from https://www.tsu.ge/ka/faculty
5. ძებისაური, ლ. (2012). საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,. თბილისი. Retrieved from https://www.tsu.ge/data/file_db/library/dzebisauri_sagareo.pdf
6. Abesadze, N. (2015). The Statistic Indexes of Penetrating the Products Manufactured in Georgia into European Market. ICEM-2015 (pp. 569-573). Elsevier.
7. Abesadze, N. (2015). The Statistic Indexes of Penetrating the Products Manufactured in Georgia into European Market., (pp. 569-573).
8. Gelashvili,S. Abesadze, N. Abesadze,O. Expected Trends In Trade Relations Between Georgia And The European Union. Folia Pomeranae Universitatis Technologiae Stetinensis. Oeconomica Issue 81. Pages 37-46
9. http://ex-trade.geostat.ge/ka. (n.d.).
10. http://ex-trade.geostat.ge/ka. (n.d.).
11. www.geostat.ge. (n.d.).

Impact of the COVID-19 Pandemic on Statistical Trends in Georgia's Export Relations with EU Countries

Nino Abesadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor, Academic Doctor of Economics

Nino Mebaghishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Student

SUMMARY

Under the conditions for modern level and scales of deepening the integrating processes, it is important to make the correct evaluation of the economic relations having been developed between Georgia and European Union The paper discusses the main trends in Georgia's foreign trade with EU countries, analyzes the main statistical characteristics of foreign trade, reveals current trends in export relations, details the changes in the commodity structure, as well as trends in the geographical structure during the study period.

In characterizing the geographical structure of exports, the emphasis is on the characteristics of export relations with the top three countries of the period. The commodity structural changes characteristic for each period are analyzed, the indicators of the level of foreign trade are calculated, the characteristics of the opening up of the economy are analyzed on the basis of export and import quotas. According to the final results, the paper draws the appropriate conclusions.

პანდემია და მიწოდების ჯაჭვების სტრატეგიების ახლებური გააზრების სტატისტიკური ასპექტები

ნანა ასლამაზიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

პანდემიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა არა მხოლოდ მთლიანად მსოფლიო ეკონომიკა, არამედ ასევე გლობალური ფენომენი - მიწოდების ჯაჭვები. არაერთგზის ჩაკეტვების შედეგად მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეჩერდა და შესუსტდა ნედლეულისა და მზა პროდუქციის ნაკადები, რამაც სერიოზული დარტყმა მიაყენა საწარმოო პროცესების ნორმალურ მიმდინარეობას. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტატისტიკა კარგად იცნობს აღნიშნული პროცესების სტატისტიკური შესწავლისა და ანალიზის მეთოდებს, საქართველოში სტატისტიკის ეს მიმართულება ჯერჯერობით ჩანასახის სტადიაშია. საუბარია დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკაზე, როგორც სხვადასხვა სექტორებისა და დარგების ურთიერთდამოკიდებულების მოდელზე და მაკროეკონომიკური ანალიზის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტზე. სტატისტიკის აღნიშნული დარგის მნიშვნელობაზე მიუთითებს აგრეთვე მსოფლიოს მასშტაბით დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკის ინტერნაციონალიზაციის ფართო მასშტაბები, კერძოდ, ქვეყნებშორისი და რეგიონთაშორისი დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკის განვითარება და შესაბამისი მონაცემთა ბაზების გამოყენება ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირებისათვის, რაც შეუძლებელია ტრადიციული მაკროეკონომიკური სტატისტიკის ფარგლებში. გარდა ამისა, საქართველოსთვის, როგორც იმპორტდამოკიდებული ქვეყნისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია ექსპორტის იმპორტშემცველობის ხარისხის დადგენა და ანალიზი. ეს კი შესაძლებელია გლობალური მიწოდების ჯაჭვების მოდელების ფარგლებში, რომლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სწორედ მსოფლიო დანახარჯები-გამოშვების ბაზები და მათში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა.

წინამდებარე სტატიის მიზანია მიწოდების ჯაჭვების სტატისტიკური შესწავლის პერსპექტივის თვალსაზრისით დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკის წარმოების პრაქტიკის მნიშვნელობის საკითხზე აქცენტირება და ყურადღების გამახვილება ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების ზოგიერთ საკითხზე.

საკვანძო სიტყვები: *კოვიდ-19, მიწოდების ჯაჭვები, დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკა, დანახარჯები-გამოშვების ცხრილები.*

Jel classifications: *C67, D57, F15, F62.*

როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით კოვიდ-19 ყველაზე აქტუალური თემაა სხვადასხვა ეკონომიკურ ფორუმებზე, კონფერენციებსა და შეხვედრებზე. დიდი ალბათობით ეს თემა აქტუალური იქნება კიდევ მრავალი წლის განმავლობაში, როგორც მესამე ათასწლეულის უდიდესი მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა კაცობრიობის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების წესი და დღის წესრიგი.

თითქოს პარადოქსია, მაგრამ სტატისტიკის, როგორც მეცნიერებისა და საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარების რაოდენობრივი შესწავლის უმთავრესი ინსტრუმენტის განვითარების ისტორიას თუ გადავხედავთ, სწორედ ასეთი საფუძვლიანი „შეჯანჯღარების“ შედეგად ხდებოდა ხოლმე ამ დარგის ნახტომისებური პროგრესი. აღნიშნულის კარგი მაგალითია, თუნდაც, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შექმნა, „დიდი დეპრესიის“ შემდეგ. ყოველი მომდევნო ეკონომიკური კრიზისის გაკვეთილები, სტატისტიკის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, კარგადაა ცნობილი. რა მიმართულებაზე გაამახვილებს ყურადღებას საერთაშორისო სტატისტიკური საზოგადოება კოვიდ-19-ის შემდეგ, ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია, თუმცა, საქართველოს სტატისტიკური საზოგადოების საქმიანობის ფოკუსი მომდევნო წლების განმავლობაში აშკარად ღრმად გასააზრებელია.

პანდემიის ფონზე გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირების შეფასებისას ეკონომისტები სულ უფრო ხშირად საუბრობენ მიწოდების ჯაჭვების მოწყვლადობაზე, რაც გამოვლინდა მათი რღვევისა და, შესაბამისად, მიწოდების შოკების ფორმით (Alvarez et al, 2021).

მეცნიერ-ეკონომისტების მიერ გლობალური მიწოდების ჯაჭვები განიხილება, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ცენტრალური მახასიათებელი (Bonadio et al, 2020). თუ აქამდე მათი რღვევა უკავშირდებოდა დიდი მასშტაბის კატასტროფებს (მიწისძვრას, ცუნამს და ა.შ.), მიმდინარე პანდემიამ დაგვანახა, რომ მისი სახით მსოფლიო ეკონომიკა, და მათ შორის გლობალური მიწოდების ჯაჭვები, აღმოჩნდა გაცილებით დიდი და არაპროგნოზირებადი საფრთხის წინაშე. პანდემიის ფონზე მიწოდების ჯაჭვებმა ასევე გამოავლინეს ქვეყნებს შორის კრიზისის გავრცელების თვისება (Baldwin & Freeman, 2020), რაც მეტად საგულისხმო ფაქტია. მეტიც: მეცნიერები არ გამორიცხავენ ახალ გლობალურ შოკებს კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული ექსტრემალური და ეპიდემიოლოგიური ვითარებების გაუარესების გამო. შესაბამისად, მსგავსი გლობალური შოკები შესაძლოა ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს (Javorcik, 2020) და უფრო გაამწვავოს მიწოდების ჯაჭვების რღვევის პროცესი, თუ მას დღესვე არ დაუპირისპირდება მათი შერბილების გონივრული ღონისძიებები. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ამ პრობლემის დროულ მეცნიერულ ანალიზზე, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამისი ანალიზისათვის საჭირო სტატისტიკური ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას.

რა სტატისტიკური ინსტრუმენტებია საჭირო მიწოდების ჯაჭვების სიღრმისეული ანალიზისათვის და რამდენად ხელმისაწვდომია ისინი საქართველოს შემთხვევაში? რა საერთაშორისო გამოცდილება არსებობს ამ სფეროში? რა გავლენას მოახდენს გლობალური მიწოდების ჯაჭვების ქცევების კორექტირება ისეთ იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებზე, როგორიც საქართველოა? რა ღონისძიებებს უნდა მიმართონ ასეთმა ქვეყნებმა ზემოაღნიშნული მოსალოდნელი შოკების შედეგების შერბილების ან განეიტრალების მიზნით? არსებობს კი მათი განეიტრალების გზები და საშუალებები? მრავალი კითხვა არსებობს და კიდევ გაჩნდება გლობალური მასშტაბით მიმდინარე და მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით. ფაქტი ერთია: პასუხების ძიება ამ და სხვა კითხვებზე დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს.

მიწოდების ჯაჭვების ახალი სტრატეგიების შემუშავების ინფორმაციული მხარდაჭერის გააზრება

ბუნებრივია, რომ მიმდინარე პანდემიით გამოწვეული მიწოდებისა და, იმავდროულად, მოთხოვნის შოკები აიძულებს მწარმოებლებს საფუძვლიანად გადახედონ თავიანთ მიწოდების ჯაჭვებს. როგორც ეკონომისტები ვარაუდობენ, მწარმოებლები აღმოჩნდებიან პოლიტიკური და კონკურენტული წნეხის ქვეშ, რათა გაზარდონ ადგილობრივი წარმოება, სამუშაო ადგილები, მაქსიმალურად შეამცირონ დამოკიდებულება გარე რესურსებზე და, ზოგადად, კონცენტრირება მოახდინონ მიწოდების ჯაჭვების სტრატეგიების ახლებურ გააზრებაზე (Shih, 2020). აშკარაა, რომ ეკონომიკების ნაციონალიზაცია და პროტექციონიზმის გაძლიერება რეალურ სახეს იძენს და უკვე გაჩნდა კიდეც საფუძვლიანი ვარაუდები, რომ უახლოეს მომავალში მოხდება მიწოდების ჯაჭვების რენაციონალიზაცია (Javorcik, 2020), ან ზოგადად რეორიენტაცია (Alvarez et al, 2021).

რა შესაძლებლობები გააჩნია ამ თვალსაზრისით საქართველოს და რა ინსტრუმენტები ამ შესაძლებლობების გამოსავლენად და მოდელირებისთვის, როგორც მიკრო (კონკრეტული წარმოების ან დარგის), ისე მაკრო დონეზე? რა სახით ჩამოყალიბდება ეკონომიკის სტრუქტურა, თუ იმპორტდამოკიდებული დარგები იძულებული იქნებიან გადაერთონ ადგილობრივი რესურსების გამოყენებაზე, რადგანაც ექსპორტიორი ქვეყნები მოახდენენ თავიანთი მიწოდების ჯაჭვე-

ბის დივერსიფიკაციის სტრატეგიების ცვლილებას? როგორი იქნება ქვეყნის ექსპორტის სტრუქტურა, რომელიც ძირითადად ნედლეულზეა ორიენტირებული, თუ იმპორტიორი ქვეყნები თავიანთი მიწოდების ჯაჭვების რენაციონალიზაციის შედეგად დაიწყებენ ადგილობრივი რესურსების გამოყენებას და უარს იტყვიან ქართულ ნედლეულზე? და ზოგადად, რა პერსპექტივები შეიძლება ჰქონდეთ მცირე ზომის ეკონომიკებს მიწოდების ჯაჭვების რენაციონალიზაციისა და პროტექციონიზმის ხელშეწყობის პირობებში?

აღნიშნულ საკითხებზე სპეციალური ლიტერატურის შესწავლა და სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების გაცნობა ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ გლობალური მიწოდების ჯაჭვების ანალიზის სტატისტიკურ ინსტრუმენტებს შორის დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკა უმნიშვნელოვანესია. სპეციალისტები თვლიან, რომ იგი სრულიად ცვლის ჩვენს წარმოდგენებს გლობალური წარმოების და მისი ფრაგმენტაციის შესახებ (Ahmad, 2019). არაერთ ქვეყანას აქვს დანახარჯები-გამოშვების ცხრილების წარმოებისა და ანალიზის მდიდარი და დიდი ხნის გამოცდილება, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე.

ჩანართი: დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკა: საქართველოს გამოცდილება

საქართველოში დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკა, დარგთაშორისი ბალანსების წარმოების პრაქტიკის სახით, 1964 წლიდან არსებობდა. საგეგმო დარგთაშორისი ბალანსი, ნატურალურ გამოსახულებაში, პირველად შეიმუშავეს 1964 წლისთვის მაშინდელ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში. აღნიშნული სამუშაოები სისტემატურად სრულდებოდა საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. ამასთან, საქართველოს სტატისტიკის სამსახურმა (მაშინდელი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო) შეადგინა საანგარიშგებო დარგთაშორისი ბალანსები 1966, 1972 და 1977 წლებისათვის, ხოლო შემდგომში (უკვე სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სახელწოდებით) - რესურსებისა და მათი გამოყენების ცხრილები 1999, 2000 და 2001 წლებისათვის. 2003 წლის შემდეგ დარგთაშორისი ბალანსების წარმოება საქართველოში აღარ ხორციელდება.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში 2019-2021 წლებში განხორციელდა საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი დანიისა და საქართველოს სტატისტიკის სამსახურების მონაწილეობით. პროექტის ზოგად მიზანს წარმოადგენდა საქსტატის მიერ საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის გარკვეული პროდუქტების ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტებთან, სახელმძღვანელო პრინციპებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოთა შორის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენდა რესურსებისა და გამოყენების ცხრილებისა და დანახარჯებისა და გამოშვების ცხრილების ახალი სისტემის შემუშავება.

„საქსტატმა დაასრულა რესურსებისა და გამოყენების ცხრილებისა და დანახარჯებისა და გამოშვების ცხრილების ახალი და უფრო დეტალური და გაუმჯობესებული სისტემის მომზადება, რომელიც გარკვეულწილად მზად არის საქსტატის მიერ ეროვნული ანგარიშების მონაცემების წარმოების პროცესში გამოყენებისთვის. ეს კი ძალიან დიდ და მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს“ - ნათქვამია „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის შესაძლებლობების გაძლიერების“ პროექტის საბოლოო ანგარიშში. აქვე აღნიშნულია, რომ 2022 წლის პირველ კვარტალში, ამ პროექტთან დაკავშირებული პირველადი სტატისტიკა ხელმისაწვდომი იქნება საქსტატის ვებ-გვერდზე.

წყარო: http://georgianencyclopedia.ge/index.php/დარგთაშორისი_ბალანსი
https://www.dst.dk/Site/Dst/SingleFiles/GetArchiveFile.aspx?fi=3513492820&fo=0&ext=georgia
https://www.geostat.ge/ka/single-news/2391/sakstatsa-da-daniis-statistikas-shoris-evrokavshiris-programa-twinning-is-proekti-dasrulda

თუმცა, გლობალიზაციის თავისებურებებიდან გამომდინარე, ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირების მასშტაბები იმდენად მრავალწახნაგოვანია, რომ ეკონომიკური ზრდის, დასაქმების, საგარეო ვაჭრობის და გარემოს ზემოქმედების დეტალური ანალიზი შეუძლებელია მხოლოდ ერთი მოცემული ქვეყნის მონაცემების საფუძველზე. იგი მოითხოვს ინტეგრირებულ სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებს მრავალრიცხოვანი წყაროებიდან. ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ (WTO), 2012 წლის 15 მარტს, დააანონსეს ერთობლივი ინიციატივა *ქვეყნებშორისი დანახარჯები-გამოშვება ცხრილების/მონაცემთა ბაზების (ICIO)* შემუშავების შესახებ, ეროვნული დანახარჯები-გამოშვების ცხრილების, მიწოდება-გამოყენების ცხრილების, დარგებისა და საბოლოო გამოყენების კატეგორიების ჭრილში წლიური ეროვნული ანგარიშების საფუძველზე (OECD, 2021). 2018 წლის მონაცემებით, ამ ინიციატივაში მონაწილე 66 ეკონომიკის წილად მოდიოდა მსოფლიო მშპ-ს 93.0 პროცენტი, ექსპორტის 92.0, იმპორტის 89.8 და მოსახლეობის 71.3 პროცენტი (OECD, 2021). აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ICIO მონაცემთა ბაზებში ჩართულია ხუთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, კერძოდ, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუსეთი და ყაზახეთი.

ანალოგიური ინიციატივა ეკუთვნის ევროსტატსაც, რომელიც ცნობილია სახელწოდებით *„სრული საერთაშორისო და გლობალური ანგარიშები დანახარჯები-გამოშვება ანალიზის კვლევისათვის“* (FIGARO; Full International and Global Accounts for Research in Input-Output Analysis), აგრეთვე მეორე სახელწოდებითაც - „ევროგაერთიანების ქვეყნებშორისი მიწოდების, გამოყენების და დანახარჯები-გამოშვების ცხრილები (EU IC-SUIOTs; EU inter-country Supply, Use and Input-Output tables). როგორც ევროსტატის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული, FIGARO ცხრილები წარმოადგენს ინტეგრირებული გლობალური ანგარიშების ახალ სტატისტიკურ პროდუქტს ეკონომიკური მოდელირებისათვის (Eurostat, 2021). გარდა ამისა, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, მას დიდი წვლილი შეაქვს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ICIO ცხრილების წარმოების სამუშაოებში, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების მიხედვით.

ქვეყნებშორისი დანახარჯები-გამოშვების ცხრილების წარმოების კიდევ ერთი მაგალითია *აზიის საერთაშორისო დანახარჯები-გამოქვეყნების ცხრილები (AIIOT)*, რომელიც აერთიანებს 10 ქვეყანას (ჩინეთი, ინდონეზია, კორეა, მალაიზია, ტაივანი, ფილიპინები, სინგაპური, ტაილანდი, იაპონია და აშშ). ამ ინიციატივის დანიშნულებაა ასახოს ამ ქვეყნების როგორც დანახარჯების სტრუქტურა, ისე გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების განაწილება, როგორც ქვეყნის შიგნით დარგების მიხედვით, ისე სხვა ქვეყნების დარგების ჭრილში. ხელმისაწვდომია 5-წლიანი ინტერვალებით 1985 წლიდან (IDE-JETRO, 2013).

მსოფლიო დანახარჯები-გამოშვების მონაცემთა ბაზა (WIOD) წარმოადგენს მრავალრეგიონულ ბაზას. 2016 წლის მონაცემებით იგი აერთიანებდა 43 ქვეყნის (მათ შორის ევროგაერთიანების წევრი 28 ქვეყნის, არაწევრი 13 ქვეყნის, ნორვეგიისა და შვეიცარიის) დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკას, რომელთა წილად მოდიოდა მსოფლიო მშპ-ს 85 პროცენტი. ევროპის კომისიის მიერ დაფინანსებული ეს პროექტი მხარდაჭერილია ევროპის ისეთი ქვეყნების წამყვანი ინსტიტუტებიდან და უნივერსიტეტებიდან, როგორებიცაა ნიდერლანდები, ესპანეთი, გერმანია, ავსტრია, ბელგია და საბერძნეთი.

ეორა გლობალური მიწოდების ჯაჭვების მონაცემთა ბაზა (Eora Database) მრავალრეგიონული დანახარჯები-გამოშვების მონაცემთა ბაზაა, რომელიც ასევე ფოკუსირებულია გარემოს და სოციალურ საკითხებზე, შესაბამისი ანგარიშების გამოყენებით და მოიცავს 190 ქვეყანას.

სათანადო კვლევებისა და პოლიტიკის ინფორმაციული მხარდაჭერის მიზნით აზიის განვითარების ბანკი (ADB) აწარმოებს ***დანახარჯები-გამოშვების მრავალრეგიონულ მონაცემთა ბაზებს (MRIO),*** რითაც აფართოებს ICIO ბაზებს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ანალოგიური ბაზებით (ADB, 2018). კერძოდ, მის ბაზებში ხელმისაწვდომია, როგორც ICIO ქვეყნების მონაცემები, ისე აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის 19 ქვეყნის დანახარჯები-გამოშვების ცხრილების მონაცემები.

რაზე მეტყველებს ეს ინფორმაცია? იმაზე, რომ მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა, საერთაშორისო ორგანიზაციები და სტატისტიკური საზოგადოება აღიარებს დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკის საჭიროებას და ანალიტიკურ შესაძლებლობებს ეროვნული ეკონომიკების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავების ინფორმაციული მხარდაჭერის თვალსაზრისით. ქვეყნებშორისი დანახარჯები-გამოშვების ცხრილები, აერთიანებს რა ანალოგიურ ეროვნულ ცხრილებს, ქმნის საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ოპერაციების ამომწურავ სურათს. ასეთი ცხრილები ასახავს ინფორმაციას მიწოდება-გამოყენების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ქვეყნებისა და დარგების ჭრილში, რომელსაც არ ასახავს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა. დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკა მოიცავს დარგების მთელ კომპლექსს, რაც ქმნის ეკონომიკურ სისტემას და იძლევა საშუალებას გაიზომოს ღირებულებათა საერთაშორისო ნაკადები ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. ასეთი ანალიზი საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ დამატებული ღირებულების შექმნის პროცესს თითოეული პროდუქტის მიხედვით, მისი წარმოების თითოეულ ეტაპზე.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გლობალური მასშტაბით ეკონომიკური პროცესების შეფერხების საპირისპიროდ, რაც პანდემიამ გამოიწვია, იგივე მიზეზით, სტატისტიკური საქმიანობის გლობალიზაცია არნახულ მასშტაბებს აღწევს. სწორედ ამ პროცესებში სრულფასოვანი ინტეგრაცია უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის სტატისტიკური სისტემის ნომერ პირველი ამოცანა უახლოესი წლების განმავლობაში, რამდენადაც ასეთი სტატისტიკური ინსტრუმენტების გარეშე, მიმდინარე და მოსალოდნელი კრიზისების ფონზე, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის შეფასება და ოპტიმალური დიზაინი, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მიწოდების ჯაჭვებიდან ყველაზე სანდო და სტაბილური ჯაჭვების შერჩევა, ასევე შეცვლილი ფასების/ტარიფებისა და გეოგრაფიული ფაქტორის (შიდა და საერთაშორისო) გათვალისწინება და ა.შ.

მოკლედ დანახარჯები-გამოშვების ცხრილების არქიტექტურისა და უპირატესობების შესახებ

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკის წარმოების პრაქტიკის შეწყვეტის შემდეგ თითქმის მთელი თაობა გამოიცვალა. სტატისტიკის ამ სფეროში არც მემკვიდრეობაა შემორჩენილი, რომლის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ფაქტობრივად მისი მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საქმიანობა იმართებოდა მთლიანად საბჭოთა კავშირის სტატისტიკური სამსახურის მიერ და მისი დაშლის შემდეგ ვერ მოხერხდა სტატისტიკის ამ

დარგის მინიმალურ დონეზე შენარჩუნება და თანდათანობითი აღდგენა. თუმცა, მისი ახლიდან შექმნა და განვითარებაც გაუმართლებლად დიდხანს გაჭიანურდა.

იგივე შეიძლება ითქვას დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკის თეორიული საფუძვლების შექმნასა და განვითარებაზეც, რომელიც დაეხმარებოდა პრაქტიკოს ეკონომისტებს, პოლიტიკის გამტარებლებს, ბიზნეს-წრეებს სტატისტიკის ამ დარგის შესაძლებლობების სიღრმისეულად გააზრებაში. ამდენად, ამ დარგის მნიშვნელობიდან გამომდინარე და მისდამი სულ უფრო მზარდი საერთაშორისო ინტერესის გათვალისწინებით, ვფიქრობთ რომ ქვეყანაში გაერთიანებული ძალებით - მეცნიერებისა და პრაქტიკოსების ერთობლივი ძალისხმევით დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს სტატისტიკის ამ სფეროს განვითარება.

დანახარჯები-გამოშვება ცხრილები წარმოადგენს კომპლექსურ ანალიტიკურ კონსტრუქციას, რომლის დანიშნულებაა ასახოს ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით საქონლისა და მომსახურების ნაკადები მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. მისი არქიტექტურა ეფუძნება იმ იდეას, რომ ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიერ წარმოებული საქონელი და მომსახურება ერთდროულად აისახებოდეს მატრიცაში როგორც წარმოშობის სექტორების, ისე დანიშნულების სექტორების მიხედვით. ანალოგიურად, როგორც ეს ხდება რეალურად: გარკვეული სექტორების მიერ გამოშვებული საქონელი მოიხმარება ასევე გარკვეული სექტორების მიერ, მათ მიერ თავიანთი საბოლოო პროდუქტის საწარმოებლად. დანახარჯები-გამოშვების მოდელი გვაწვდის აუცილებელ ინფორმაციას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის სტრუქტურული კოეფიციენტების შესახებ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან დროის გარკვეული მომენტისათვის, რაც გვეხმარება ეკონომიკის რესურსების ოპტიმალური განაწილების მოდელირების თვალსაზრისით (Chand, 2021), რომლის მიღწევაც შეუძლებელია ტრადიციული მაკროეკონომიკური სტატისტიკის ფარგლებში (WB, 2019).

დანახარჯები-გამოშვების ცხრილები, ანალიტიკური თვალსაზრისით, არაერთი მიმართულებით არის უნიკალური. იგი ერთნაირი წარმატებით მიესადაგება სხვადასხვა სირთულისა და სტრუქტურის ეკონომიკურ სისტემებს: როგორც დეცენტრალიზებულ საბაზრო ეკონომიკას, ისე სახელმწიფოს მიერ მართულ ცენტრალიზებულ გეგმიურ ეკონომიკებს (Sharaf, 2020). იგი შესაძლებლობას იძლევა:

- ამა თუ იმ დარგის მწარმოებლებმა მთლიანობაში დაინახონ საქონლისა და მომსახურების ნაკადების მოცულობები და მიიღონ შესაბამისი მაკორექტირებელი გადაწყვეტილებები თავიანთი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად;
- განხორციელდეს მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ეკონომიკური რეცესიების (მაგ. პანდემიით გამოწვეული) შედეგების იდენტიფიცირება და კომპლექსური შეფასება;
- შეფასდეს ინვესტიციების განხორცილების მიმართულებები;
- განისაზღვროს მოთხოვნები სამუშაო ძალაზე;
- განხორციელდეს იმპორტის სტრუქტურისა და მასზე დარგობრივი მოთხოვნის შეფასება და შედეგები გამოყენებული იქნეს იმპორტის ადგილობრივი პროდუქციით ჩანაცვლების შესაძლებლობების შესწავლისათვის, ადგილობრივი წარმოების გაფართოების ხარჯზე.

დანახარჯები-გამოშვების ცხრილები მოქნილია მოცვის არეალის თვალსაზრისითაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი წარმოება და ანალიზი შესაძლებელი და სასარგებლოა როგორც ცალკეული ქვეყნის, ისე რეგიონისათვის და რეგიონთაშორის დონეზე. ეროვნული მოდელის

მცირემასშტაბიანი ვერსიის სახით შესაძლებელია აგრეთვე კონკრეტული სექტორის და ცალკეული წარმოების მიხედვით დანახარჯები-გამოშვების მატრიცის წარმოება და ა.შ.

დასკვნა

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, სტატიის მიზანია მიწოდების ჯაჭვების (და არა მარტო) სტატისტიკური შესწავლის პერსპექტივის თვალსაზრისით დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება და ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების იმ უმნიშვნელოვანეს ინიციატივებზე ფოკუსირება, რომლებსაც ძალიან ჩამოვრჩით და რაც დაუყოვნებლივ უნდა დაიძლიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საშიშროება იმისა, რომ მიმდინარე გლობალური პროცესების პასიური დამკვირვებლის როლი გვერგოს და მიწოდების ჯაჭვების ახალი არქიტექტურის დანამატი გავხდეთ, ძალიან დიდია.

დანახარჯები-გამოშვების ცხრილების გაანგარიშებისა და მათი ანალიზისადმი მზარდი საერთაშორისო ინტერესი ცალსახად მიუთითებს დაკავშირებული პრობლემატიკის აქტუალობაზე. საქართველოსთან მიმართებაში ამ უკანასკნელს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ჩვენს ქვეყანაში სტატისტიკის ამ მიმართულების წარმოების პრაქტიკა დღეისათვის განვითარების საწყის სტადიაზეა. გამონაკლისს წარმოადგენს მიწოდება-გამოყენების ცხრილები, რომელიც თავისი მიმდინარე მდგომარეობით არ აკმაყოფილებს სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და გამოქვეყნების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს (მეთოდოლოგიის, მეტამონაცემების და ა.შ. ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით).

ვინაიდან საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, დანახარჯები-გამოშვების სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია, კონკრეტული ეროვნული ეკონომიკის შემთხვევაში, დამოუკიდებელ მეცნიერულ კვლევას და გაანგარიშების ხერხებისა და მეთოდების შემუშავებას მოითხოვს, პირველხარისხოვან ამოცანად უნდა ჩამოყალიბდეს სტატისტიკის ამ დარგის, საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკის შესაბამისი, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგიისა და შესაბამის მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტების შემუშავება.

აღსანიშნავია, რომ ვინაიდან საქართველოში დანახარჯები-გამოშვების ცხრილების შემუშავების მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები სუსტადაა შესწავლილი მეცნიერულ დონეზე, შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებლებში პრაქტიკულად არ მიმდინარეობს სტუდენტებისთვის ამ ცოდნის იმ სიღრმით გადაცემა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეროვნულ ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების დეტალური შესწავლისა და მონიტორინგის განხორციელებისათვის, განვითარების პოლიტიკის შეფასებისა და სწორი ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისათვის. ეს დიდი დანაკლისია მომავალი ეკონომისტების პროფესიული განვითარებისთვის და დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს.

აუცილებელია, რომ ამ თემასთან დაკავშირებული ეს და სხვა საკითხები აქტიური მსჯელობისა და განხილვის თემებად ჩამოყალიბდეს, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია უკვე მკაფიოდ დაანონსებული მომავალი კრიზისების სიღრმისეული ანალიზისათვის.

ლიტერატურა:

1. ADB (2018). Economic Indicators for Eastern Asia: Input-Output Tables. Asian Development Bank. December, 2018.
2. Ahmad N. (2019). Improving the Accounting Frameworks for Analysis of Global Value Chains. Global Value Chain Development Report 2019.

3. Ahmad N., Bohn T., Mulder N., Vaillant M., Zaclicever D. (2017). Indicators on Global Value Chains: A Guide for Empirical Work. Working Paper N 84. STD/DOC (2017)8. OECD. 06-Jul-2017. https://doi.org/10.1787/8502992f-en
4. Alvarez J.B., Baris K.V., Crisostomo Ch.R., de Vera J.P., Gao Y., Garay K.V., Gonzales P.B., Jabagat Ch,J., Juani A.S., Lumba A.B., Mariasingham M.J.Meng B., Rahnema L.C., Reyes K.S., San Pedro M.P., Yang Ch. (2021). Recent Trends in Global Value Chains. Global Value Chain Development Report 2021. ADB, the Research Institute for Global Value Chains at the University of International Business and Economics, WTO, the Institute of Developing Economies–Japan External Trade Organization, and the China Development Research Foundation. DOI: http://dx.doi.org/10.22617/TCS210400-2
5. Baldwin, R and R Freeman (2020), "Supply chain contagion waves: Thinking ahead on manufacturing 'contagion and reinfection' from the COVID concussion", VoxEU.org, 1 April.
6. **Bonadio B., Huo Z., Levchenko A., Pandalai-Nayar N. (2020)**. The role of global supply chains in the COVID-19 pandemic and beyond. *VOX, CEPR Policy Portal.* 25 May 2020 https://voxeu.org/article/role-global-supply-chains-covid-19-pandemic-and-beyond
7. Chand S. Input-Output Accounting: Limitation and Importance. Retrieved from https://www.yourarticlelibrary.com/microeconomics/national-income-microeconomics/input-output-accounting-limitation-and-importance/30799
8. Coast W., Symansky S., Maino J., Mcmorram R., Paniagua L. (2020). Post-COVID Economic Policy. USAID. August, 2020. https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00Z2S4.pdf
9. Ernst & Young (EY). (2021). How COVID-19 Impacted Supply Chains and What Comes Next. https://www.ey.com/-en_us/supply-chain/how-covid-19-impacted-supply-chains-and-what-comes-next. Accessed Dec. 29, 2021.
10. Eurostat (2021). ESA Supply, Use and Input-Output Tables. htttps://ec.europa.eu/Eurostat/web/esa-supply-use-input-tables/figaro
11. Ferrantino M.J., Koten E. (2019). Understanding Supply Chain 4.0 and its potential impact on global value chains. Global Value Chain Development Report 2019: Technological Innovation, Supply Chain Trade and Workers in a Globalized World. World Bank, World Trade Organization.
12. Guan, D., Wang, D., Hallegatte, S. *et al.* Global supply-chain effects of COVID-19 control measures. *Nat Hum Behav* 4, 577–587 (2020). https://doi.org/10.1038/s41562-020-0896-8
13. Javorcik, B. (2020), "Global supply chains will not be the same in the post-COVID-19 world", Chapter 8 in R Baldwin and S Evenett (eds.), *COVID-19 and Trade Policy: Why Turning Inward Won't Work* [2], a VoxEU.org eBook, CEPR Press
14. IDE-JETRO (2013). Asian International Input-Output Table 2005. https://www.ide.go.jp/English/Publish/Books/Sds/098.html
15. Inoue, Hiroyasu. (2021). Propagation of International Supply-Chain Disruptions between Firms in a Country. Journal of Risk and Financial Management 14: 461. https://doi.org/10.3390/jrfm14100461
16. Ivandić N. (2021). Accommodation and Food Services Supply Chains: An Input-Output Methodological Framework. Original scientific paper. DOI: 10.17818/DIEM/2021/1.2
17. Lu W., Rencheng T. (2007). Input-Output Analysis for Multi-location Supply Chain Management Control: A Theoretical Model. Retrieved from https://www.iioa.org/conferences/16th/files/Papers/Wang-274.pdf
18. OECD (2021), OECD Inter-Country Input-Output Database, http://oe.cd/icio".
19. Papava V. (2020). New Challenges of Economic Science Under the COVID-19 Pandemic. "*Economisti",* N4, 2020. (In Georgian). DOI: 10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.04.Papava
20. Shih, W. (2020). Global Supply Chains in a Post-Pandemic World. Harvard Business Review. September-October, 2020. https://hbr.org/2020/09/global-supply-chains-in-a-post-pandemic-world
21. Shih, W., Huckman R., and Wyner J. (2021). The Challenge of Rebuilding U.S. Domestic Supply Chains. Harvard Business Review. May 26, 2021. https://hbr.org/2021/05/the-challenge-of-rebuilding-u-s-domestic-supply-chains
22. WB (2019). Technological innovation, supply chain trade, and workers in a globalized world. Global Value Chain Development Report 2019.

Pandemic and Statistical Perspectives of Rethinking Supply Chains Strategies

Nana Aslamazishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Invited Professor, Doctor of Economics

SUMMARY

The pandemic, as expected, posed serious problems not only to the global economy as a whole, but also to such a global phenomenon as supply chains. Repeated lockdowns have halted and weakened the flow of raw materials and finished products around the world, which has dealt a serious blow to the normal development of manufacturing processes. Although international statistics are well acquainted with the methods of statistical study and analysis of these processes, this area of statistics in Georgia is still in its infancy. We are talking about Input-Output Statistics as a model of interdependence of different sectors and industries and an important tool of macroeconomic analysis. The importance of this field of statistics is also indicated by the wide scale of internationalization of Input-Output Statistics worldwide, in particular, the development of inter-country and multiregional Input-Output Tables (IOT) and the use of relevant databases for economic analysis and forecasting, which is impossible in the traditional macroeconomic statistics framework. In addition, for Georgia, as for an import-dependent country, it is extremely important to determine and analyze the degree of import content of production and exports. This is possible within the framework of global supply chain models, the important tool of which is the world input-output databases and our country's participation in them.

It should be noted also, that since the methodological and practical issues of developing IOT in Georgia are poorly studied at the scientific level, there is practically no in-depth transfer of this knowledge to students, which is vital for detailed study and monitoring of structural changes in the national economy, assessment of the development policy, and development of the right economic strategy.

Thus, the lack of Input-Output Statistics in Georgia is problematic in many areas. Its development will be a significant contribution to the strengthening of the capacity of the National Statistical System, and to implementation of IOT production by Geostat. In addition, the results of the study will become an important turning point for Geostat to establish a new level of cooperation with Europe in the field of statistics through integration into the world IOT databases. Theoretical and methodological aspects of the appropriate research will significantly enhance the teaching of disciplines such as macroeconomic statistics, external sector statistics, and the system of national accounts in higher education institutions of economic profile. Academics will receive significant theoretical and informational support for in-depth economic research. Ministries and agencies with an economic profile will have the opportunity to be guided by scientifically substantiated, transparent, and internationally compliant statistical information in the process of designing development policies and researching the structural conformity of the economy.

Thus, the purpose of this paper is to highlight the importance of Input-Output Statistics from a supply chain phenomenon research perspective and to focus on some of the international experience in this area.

Keywords: *COVID-19, Supply Chains, Input-Output Statistics, Input-Output Tables.*
Jel classifications: C67, D57, F15, F62.

COVID-19, ჩაკეტილი საზღვრები და საქართველოს არჩევანი - წარმოება თუ მომსახურება?

თეიმურაზ ბაბუნაშვილი

პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

სტატიაში - „COVID - 19, ჩაკეტილი საზღვრები და საქართველოს არჩევანი - წარმოება თუ მომსახურება?“ - საუბარია მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში კორონავირუსის მიზეზით დამდგარ ორ გამოწვევაზე. პირველი - კორონავირუსის ლოკალიზება და მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, ხოლო მეორე - ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული მეორე გამოწვევაზე და საუბარია იმაზე, რომ საფრთხის თვალსაზრისით, მეორე გამოწვევა პირველის თანაბარზომიერია, რადგან, მოსახლეობის მასიურ ლეტალობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მხოლოდ კორონავირუსით, არამედ კვების რაციონის სიმცირით.

სტატიაში განხილულია არსებული სიტუაციის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურებში განსახორციელებელ ცვლილებებზე და, მოყვანილია სხვა მეცნიერთა შეხედულებებიც რაც გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას რომ დღეს, საქართველოსთვის პრიორიტეტი უნდა იყოს, როგორც ვაქცინაცია, ასევე, წარმოების ამუშავება, კერძოდ, სასურსათო პროდუქტების წარმოება.

საკვანძო სიტყვები: *კორონავირუსი; ჩაკეტილი საზღვრები; იმპორტი; წარმოება; მომსახურება.*

2020 წლის 30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ („ჯანმო“) ჩინეთში ქალაქ უჰანში გაჩენილი და შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელებული კორონავირუსი სახელწოდებით „კოვიდ-19“ გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა. ამ საფრთხემ მსოფლიოს ქვეყნები, მ. შ. საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. ეს ვითარება დღესაც გრძელდება. დაღუპულია ერთ მილიონზე მეტი ადამიანი და სამწუხაროდ მომავალიც გაურკვეველია.

ამ სიტუაციაში მსოფლიო ორი გამოწვევის წინაშე დგას [შენგელია, 2020}:

1. კორონავირუსის ლოკალიზება და მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა;
2. ეკონომიკის რაციონალური მართვა და მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვა.

ორივე ეს გამოწვევა მოსახლეობისთვის თანაბარზომიერია, რადგან, ლეტალობა შეიძლება დადგეს როგორც კორონავირუსით, ისე შიმშილით. ასე რომ, საქართველოს მთავრობას ორ „ფრონტზე“ უხდება ბრძოლა - ჯანდაცვის სფეროში ვირუსის შეკავების, დაავადებულთა გამოჯანმრთელების მიმართულებით და ჩაკეტილი საზღვრების პირობებში - მოსახლეობის სურსათით უზრუნველსაყოფად.

მოცემულ ნაშრომში ჩვენ არ ვართ კომპეტენტური რა და როგორ უნდა გააკეთონ მედიკოსებმა კორონავირუსთან საბრძოლველად, ანუ პირველი გამოწვევის გასამკლავებლად, მეორე გამოწვევაზე კი - მიმოვიხილავთ სხვა მეცნიერთა შეხედულებებსაც და წარმოვადგენთ ჩვენეულ ხედვას.

კორონავირუსის პრობლემაზე საქართველოს და მსოფლიოს რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში მრავალი სტატია გამოქვეყნდა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით სხვადასხვა დარგის ექსპერტებმა გამოთქვეს თავიანთი მოსზრებები: კერძოდ, პროფესორმა ვ. ჭარაიამ ამ პრობლემისადმი თავის გამოხმაურებას ასეთი სათაური წარუმძღვარა - „კორონომიკა - საფრთხე თუ შესაძლებლობა?“ [ვ. ჭარაია, 2020]. მართლაც, კორონავირუსით რომ იხოცებიან ადამიანები, ჩერდება საწარმოები, ეკონომიკა კრიზისშია, იზრდება ფასები, ადამიანები რჩებიან უმუშევრები და ა. შ., მაგრამ ამავე დროს, ჩნდება ერთგვარად პასუხგაუცემელი კითხვა - ხომ არ არის ეს,

ახალი შესაძლებლობის დასაწყისი, ხომ არ უნდა ვიფიქროთ ეკონომიკის სტრუქტურის ახლებურად გააზრება-გადახალისებაზე? ეკონომიკის ექსპერტი ვ. ჭარაია ტურიზმთან მიმართებაში ვარაუდობს რომ, რადგან კორონომიკულმა პროცესებმა ნათლად აჩვენეს, რომ ტურისტული ინდუსტრია მსგავსი კრიზისების მიმართ საკმაოდ არამდგრადია, ტურიზმზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვნად უნდა გადაიხედოს. ეს ცხადია, ეხება, როგორც მთელ მსოფლიოს და მათ შორის საქართველოსაც. ამასთან, ეს ეხება არა მხოლოდ ტურიზმს, არამედ, მთელ რიგ სხვა სფეროებს. რადგან, საქართველოში ვიზიტორთა რიცხვი არსებულ ფონზე საგრძნობლად შემცირდა, ამან შეამცირა, ასევე, ტრანსპორტზე მგზავრთბრუნვა, კვების ორგანიზაციების (რესტორნები, კაფეები და სხვა) დატვირთვა, განთავსების ობიექტების (სასტუმროები) შემოსავლები, სავაჭრო ბრუნვა. ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა მსოფლიოს ყველა ქვეყანა, განსაკუთრებით კი, ის ქვეყნები, რომელთა მთლიანი ეროვნული პროდუქტის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წილი უკავია ტურიზმს, კვების და განთავსების ინდუსტრიას, საერთაშორისო სატრანსპორტო კავშირებს. საქართველოში თუ ტურიზმს მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობაში 7,5-7,6% უკავია, ბრაზილიაში იგი შეადგენს - 8,1%-ს, ინგლისში - 9,2%-ს.

ასე რომ, „კოვიდ-19“-მა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა მრავალ ქვეყანას, განსაკუთრებით იმ ქვეყნებს, რომლებიც მომსახურების სფეროს სიჭარბეს და წარმოების სექტორის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, მშენებლობა), ნაკლებობას განიცდიან. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დღიდან საქართველომ მომსახურების სექტორის ძირითადად, ტურიზმის განვითარებაზე აიღო ორიენტაცია. დღეს როცა „კოვიდ 19“ ვირუსის მიზეზით გამოცხადებული პანდემიის გამო, ამ სექტორის ძირითადი სფეროების წინსვლა შეფერხდა, ეკონომიკა გარკვეულ კრიზისში აღმოჩნდა. ამან ეკონომიკური პოლიტიკის ახლებურად გაზრების საკითხი დააყენა საქართველოშიც და მთელ მსოფლიოშიც.

კორონავირუსმა განსაკუთრებით ძლიერი დარტყმა მომსახურების სექტორს მიაყენა, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში 74%-ია [მ. კაკულია, 2020]. კორონავირუსმა დაგვანახა, რომ ეს დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე შესაბამისი საშუალო მაჩვენებელი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, თანაც, ის არ არის ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების შედეგი, მისი განვითარება საერთაშორისო ორგანიზაციების (სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი) რჩევებით მოხდა. ახლა როცა აღმოჩდა გარეშე შოკების (მოცემულ შემთხვევაში, კორონავირუსი) მიმართ მომსახურების სექტორის მაღალი სენსიტიურობა და, აქედან გამომდინარე, დაბალი მედეგობა, საქართველოში დღის წესრიგში ადგილობრივი წარმოების განვითარების აუცილებლობა დადგა. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ, სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებული მრეწველობის განვითარებას. ეს დარგები აწარმოებენ მოსახლეობისთვის პირველი მოთხოვნილების პროდუქციას. ჩაკეტილი საზღვრების გამო, ამ პროდუქციის იმპორტი საზღვარგარეთიდან გაძნელებულია, რის გამოც, მათი ფასები საქართველოს ბაზარზე საგრძნობლად გაიზარდა (ზოგიერთ პროდუქციაზე, მაგალითად, ზეთზე, 3-4-ჯერაც კი), რაც მძიმე ტვირთად დააწვა ისედაც ღარიბ მოსახლეობას და, ესეც რომ არ იყოს, საქართველოს სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებული მრეწველობის განვითარების რესურსიც აქვს და მათი მართვის ისტორიული გამოცდილებაც, რაც იმას მოწმობს, რომ ეკონომიკის რეალურ სექტორის განვითარებაზე თავიდანვე არ უნდა გვეთქვა უარი და არ უნდა დავრჩენილიყავით მომსახურების სექტორის განვითარების იმედზე. მაშინ, ზოგიერთი მეცნიერი შეფარულად და გაუბედავად, წერდა ამის შესახებ, რადგან

სამთავრობო კურსი იყო სხვანაირი. ეხლა კორონავირუსმა და მისგან გამოწვეულმა პანდემიამ, ჩაკეტილმა საზღვრებმა და იმპორტის შეზღუდვამ აშკარად დაგვანახა, რომ მოსახლეობისთვის პირველი მომხარების საქონლის წარმოება (განურჩევლად იმისა, გვაქვს თუ არა ჩვენ ამის შეფარდებითი უპირატესობა) ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დასაცავად ჩვენ ადგილზე უნდა განვახორციელოთ.

ეს არ არის მხოლოდ ჩვენი აზრი: „სურსათის მოხმარება საქართველოში შინამეურნეობათა მოხმარების 28%-ს შეადგენს, სურსათის იმპორტი კი, მთლიანი იმპორტის (რეექსპორტისთვის განკუთვნილი იმპორტის გარეშე) – 13,5%-ს. პანდემიის ან სხვა ტიპის გლობალური კრიზისების პირობებში საკვები პროდუქტებით ქვეყნის შეუფერხებელი მომარაგების აუცილებლობა (სასურსათო უსაფრთხოება) დღის წესრიგში კვლავ აყენებს ძირითადი სასურსათო პროდუქტების ადგილობრივი წარმოების სტიმულირების ამოცანას. ეს განსაკუთრებით იმ პროდუქციას ეხება, რომელშიც ქვეყნის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შედარებით დაბალია, თუმცა, არსებობს მისი წარმოების გაზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი [მ. კაკულია, 2020]. ასეთი პროდუქციის ნუსხაში სახელდება ხილი, ბოსტნეული, სიმინდი, ხორცი და ხორცპროდუქტები. ჩვენი მხრივ დავამატებთ: რძეს და რძის პროდუქტებს, მზესუმზირის ბაზაზე ზეთის წარმოებას, პარკოსნებს, ნაწილობრივ ხორბალს, ქერს, შვრიას, წიწიბურას, ზეთის ხილსა და ლურჯი მოცვის წარმოების გაზრდას.

იგივე აზრს გამოთქვამს პროფესორი მ. ჯიბუტი: „საქართველოსთვის მოქმედების ინდივიდუალური სახელმძღვანელო ლოგიკურად უნდა იყოს მოსახლეობის გადარჩენა კორონავირუსის ინფექციისგან და მათი სურსათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მინიმუმ შიმშილის თავიდან აცილების დონეზე“ [მ. ჯიბუტი, 2020].

ეს ვითარება არის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში. „კორონავირუსის პანდემიამ, პროდუქციის მიმწოდებელ საწარმოთა პარალიზების გამო, დაარღვია მიწოდების გლობალური ჯაჭვი“ [Oxford Business Group, 2020]. ზოგიერთმა ქვეყანამ კი სასურსათო უსაფრთხოების მოტივით სურსათის ცალკეულ სახეობათა ექსპორტიც შეზღუდა“ [Schmidhuber, Pound, Qao, 2020]. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსეთი, რომელმაც ნაწილობრივ შეზღუდა წიწიბურას და სხვა პროდუქტების ექსპორტი. მთლიანობაში ამან გაზარდა ქვეყნების, მ. შ. სასურსათო უსაფრთხოების რისკი.

იმის წარმოსადგენად თუ იმპორტის დამატებით შეზღუდვის პირობებში როგორ გაუძნელდება საქართველოს მოსახლეობას სურსათზე ხელმისაწვდომობა, გადავხედოთ 2019 წლის იმპორტის მოცულობებს სურსათის ზოგიერთ სახეზე [ი. ხელაშვილი, 2020]:

- მინერალური და გაზიანი წყლები - 19 272 მლნ დოლარის.
- კაკალი და თხილი - 15 228 მლნ დოლარის.
- ტკბილეული და საკონდიტრო ნაწარმი - 73546,5 მლნ დოლარის.
- ზეთი - 72375,4 მლნ დოლარის.
- შაქარი - 52385,8 მლნ დოლარის.
- ჩაი - 10180,2 მლნ დოლარის.
- მაკარონი, ბრინჯი, წიწიბურა, ლობიო - 19019,3 მლნ დოლარის.
- ახალი და ხმელი ხილი - 50871 მლნ დოლარის.

თუ სურსათის ამ ჩამონათვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის შესაძლებლობების რაკურსში განვიხილავთ, ვერ აღმოვაჩენთ ისეთ სახეობას, რომლის წარმოება საქართველოს არ

შეუძლია, ექსპორტის დონეზე თუ არა, შიდა ბაზრის გაჯერების დონეზე მაინც. აქედან გამომდინარე, სწორად აფასებს პროფესორი მ. ჯიბუტი, რომ „უნდა მოხდეს ბიუჯეტის ადაპტაცია შეცვლილ გარემოსთან, უნდა შეიქმნას ანტიკრიზისული ფონდი, რომლითაც დაფინანსდება მის მიერვე ჩამოთვლილი ოთხი ძირითადი მიმართულება, რომელთაგან ერთ-ერთი არის იმპორტის ჩანაცვლება და სასურსათო პროდუქციის საქართველოში წარმოება“ [მ. ჯიბუტი, 2020]. ამ აზრს ჩვენც ვიზიარებთ.

ადგილობრივი წარმოების განვითარებისთვის ჩვენი მხარდაჭერა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მომსახურების სექტორის განვითარების წინააღმდეგი ვართ. ცხადია, ისიც უნდა განვითარდეს, მაგრამ არა საწარმოო სექტორზე მეტად. დღეს, კორონავირუსმა მსოფლიოში უკვე ერთ მილიონ ადამიანზე მეტი იმსხვერპლა. თუ ვირუსი გაძლიერდა და სურსათის იმპორტი მთლიანად შეიზღუდა, მაშინ, მომსახურების (მ. შ. ტურიზმის) სუპერდონემდე განვითარების პირობებშიც კი, შიმშილი იმაზე მეტ ადამიანს შეიწირავს ვიდრე შეიძლება წარმოვიდგინოთ. საბედნიეროდ, დღეს ეს სიტუაცია არ გვაქვს, მაგრამ როგორც ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში პროფესორმა თ. ცერცვაძემ ჟურნალისტის კითხვაზე: „ვირუსთან მიმართებაში რა მოლოდინი გაქვთ, გაუმჯობესედება თუ გაუარესდება მდგომარეობა?“ უპასუხა: „ეგ მხოლოდ უფალმა იცის...“

საქართველოს მთავრობა, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად აკეთებს ყველაფერს პანდემიასთან საბრძოლველად იმ გამოწვევების ფონზე, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას. მაგარამ ჩვენი აზრით, აუცილებელია უფრო მეტი დახმარება გაეწიოთ ადგილობრივ მწარმოებლებს, თუნდაც ისეთი წარმატებული პროგრამის ფარგლებში, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“, რომლის მეშვეობითაც ბევრ სფეროში გამოჩნდნენ წარმატებული ფერმერები, ეს კი იმას ადასტურებს, რომ ჩვენს რეალობაში განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში, საბედნიეროდ არის შიდა რეზერვები, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ ბაზრის გასააქტიურებლად, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის, როგორც მწარმოებლის ეკონომიკურ შემოსავალს, ასევე, იმოქმედებს მომხმარებელზე დადებით კონტექსტში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე.

ჩვენ, როგორც „გლობალიზაციის მამები“ ამბობენ, ვართ განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მქონე ქვეყანა და უნდა ვიყოთ არა მწარმოებლები, არამედ მომხმარებლები, რასაც თვალნათლივ ვხედავთ. მაგრამ ჩვენი ტრადიციებიდან და ადგილობრივი რესურსებიდან გამომდინარე, ქვეყნის ყველა რეგიონში არის ის პოტენციალი, რომ საქართველომ საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნა ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით დააკმაყოფილოს და პარალელურად მომსახურების სფერო ავტომატურად იქნება ჩართული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

ლიტერატურა:

1. შენგელია თ. (2020). ციტირება: გლობალური ეკონომიკის რეცესია და საქართველოს პოსტვირუსული განვითარება. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2. 55-60.
2. ჭარაია ვ. (2020). ციტირება: კორონომიკა - საფრთხე თუ შესაძლებლობა. „ეკონომისტი“. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2. 68-72.
3. კაკულია მ. (2021). ციტირება: კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები საქართველოში. „ეკონომიკად ა ბიზნესი“. 2. 44-55.
4. ჯიბუტი მ. (2020). ციტირება: პოლიტეკონომიის ვირუსული ვარიაციები. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2. 37-44.

5. Oxford Vusiness Group (2020). citation: The Impact of Covid-19 on Global Supply Chains. 24 – April. https://oxfordbusinessgroup.con/news/impact_covid-19-global-supply-chains.
6. Schmidhuber J., Pound J., and Wiao B. (2020). citation: Covid-19: Channels of Transmission to food and Agriculture. Rome FAO, fao.org/3/ca8430en/CA8430En.pdf.
7. ხელაშვილი ი. (2021). ციტირება: საქართველოში ტურიზმის ზეგავლენა ქვეყნის დარგობრივ ეკონომიკაზე (კვების და სასმელების ინდუსტრიის მაგალითზე), „ეკონომიკა და ბიზნესი". 2. 158-176.

"Covid-19", Locked Borders and Georgia's Emergency Choice - Production or Service?"

Teimuraz Babunashvili
Professor, Doctor of Economic Sciences

SUMMARY

In the article - "Coronavirus, Locked Borders and Georgia's Emergency Choice - Production or Service?" – it is discussed two challenges facing the coronavirus worldwide, including Georgia. The first is to localize the coronavirus and ensure the health of the population, and the second is to restructure the economy to ensure the country's food security.

The paper work focuses on the second challenge and argues that in terms of threat, the second challenge is the same as the first, as massive lethality of the population can occur not only through coronavirus but also through starvation.

The author of the article talks about the changes in the sectoral structure of the Georgian economy in accordance with the current situation and, examining the views of other Georgian scientists on this issue, concludes that today, the first priority for Georgia should be only production, for example, food production.

Keywords: *Coronavirus; Locked borders; Import; Production; Services*

საგარეო ვალი და ფინანსური სისტემის სტაბილურობა Covid-19 პანდემიის პირობებში

თამარ ბარბაქაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

სახელმწიფო ვალი წარმოადგენს ფისკალური პოლიტიკის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ფაქტორი. თუმცა, სახელმწიფო ვალის არაეფექტიანმა მართვამ შესაძლოა ქვეყანის ეკონომიკა ზრდის ნაცვლად კრიზისამდე მიიყვანოს. ამიტომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ვალის ეფექტიანად მართვისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება და გამოყენება.

2020 წელს Covid-19- ის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საგარეო ისე საშინაო ვალი. ეკონომიკური ვარდნის ფონზე კი - ვალის მკვეთრმა ზრდამ განვითარებადი ქვეყნები შესაძლოა ფისკალური წნეხის ქვეშ მოაქციოს. აქედან გამომდინარე, პანდემიის პირობებში, ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის გონივრული მართვა.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო ვალი, ფისკალური სისტემა, Covid-19 პანდემია.*

საგარეო ვალი – უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებაა, რომელიც ნასესხებია უცხოური კრედიტორების, კომერციული ბანკების, მთავრობებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან. დიდი მოცულობით სახელმწიფო ვალის დაგროვება ართულებს მისი სტაბილური მომსახურების შესაძლებლობას, რაც შესაძლოა საბანკო კრიზისში გადაიზარდოს. ეს კი უარყოფითად აისახება წარმოების მოცულობაზე.

სავალო კრიზისი შესაძლოა იმ ქვეყნებში წარმოიქმნას, რომელსაც გააჩნია სუსტი ეკონომიკა და მას არ აქვს უნარი უკან დააბრუნოს საგარეო ვალი საქონლისა და მომსახურების წარმოების, შემდგომ, ექსპორტის უუნარობის გამო.

Covid-19 პანდემიამდე სახელმწიფო ვალი ძირითადად გამოიყენებოდა მნიშვნელოვანი სოციალური და საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად, პანდემიის პირობებში კი პრიორიტეტად საზოგადოებრივი ჯანდაცვა იქცა. შედეგად ბევრ ქვეყნებში სახელმწიფო ვალი აღემატება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულ GDP-ის 60%-იან ზღვარს. კერძოდ 2020 წლის ბოლოს ავსტრიის სახელმწიფო ვალმა GDP-ის 71% შეადგინა, საფრანგეთი 97%, საბერძნეთის 180%, იტალიის 135%, ხოლო ესპანეთის 95%. [1]

მსგავსი მასშტაბის სახელმწიფო ვალმა და მისი მომსახურებამ შესაძლოა განვითარებადი ქვეყნები ფისკალური წნეხის ქვეშ მოაქციოს, რადგან თუ ქვეყანას არ შეუძლია გადაიხადოს საგარეო ვალი, მაშინ მას სავალო კრიზისი ემუქრება. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ვალის აღების საჭიროების და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, რათა მიიღწეს ვალდებულებების აღების მიზნები. ორიენტაცია უნდა გაკეთდეს ისეთ მიმართულებებზე, რასაც დადებითი გავლენა ექნება ქვეყნის ეკონომიკაზე. როდესაც ქვეყანა აღებულ ვალს არამიზანმიმართულად იყენებს, იგი სახსრებს უმცირებს სხვადასხვა დაფინანსებული პროგრამას. ეს პროგრამები შეიძლება იყოს: განათლება, ჯანდაცვა, ეკონომიკური ზრდა, საბოლოო ჯამში კი მოსახლეობის კეთილდღეობა. ასეთ სიტუაციაში კი განვითარებადი ქვეყნებისთვის ძალზედ რთულია ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის შემცირება უზრუნველყონ.

[1] მონაცემები აღებულია საერთაშრისო სავალუტო ფონდის ოფიციალური გვერდიდან - www.IMF.org

საგარეო ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობა ქვეყნის კრედიტუნარიანობის შეფასების ერთერთი მთავარი მაჩვენებელია. თუმცა, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილი მთლიან პორტფელში გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. განვითარებული ქვეყნების უმეტესობას ვალის GDP-სთან ფარდობის მაღალი მაჩვენებელი აქვს, თუმცა ვალის პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილის ადგილობრივ ვალუტაში დენომინირების გამო, მათი კრედიტუნარიანობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგება.

საქართველოს საგარეო ვალი ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2020 წლამდე საგარეო ვალი სტაბილურად იზრდებოდა, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე ქვეყანას მოუხდა გაუთვალისწინებელი ხარჯების ვალით დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალის განსაკუთრებულ ფუნქციას წარმოადგენდა ეკონომიკური ვარდნის მაქსიმალურად შემცირება და ეკონომიკის მდგრადობის შენარჩუნება.

დიაგრამა N1



წყარო: www.budgetmonitor.ge

სახელმწიფო ვალის პორტფელში დიდი ნაწილი საგარეო ვალს უჭირავს (80-81%). 2020 წლის მონაცემებით საქართველოს საგარეო ვალი 24,7 მლრდ ლარია, ხოლო მისი წილი მთლიან შიგა პროდუქტთან აღემატება IMF-ის მიერ დადგენილ ზღვარს და 63% -ს შეადგენს.

საქართველოს სახელმწიფო ვალი მოიცავს სახელმწიფო მმართველობის სექტორისა და ეროვნული ბანკის ვალს IMF-ის მიმართ. 2021 წლის მონაცემებით მთავრობის მიერ აღებული საგარეო ვალი დაახლოებით 95%-ს შეადგენს, ხოლო დანარჩენი 5 % ეკუთვნის საქართველოს ეროვნულ ბანკს.[1]

მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი 6 სხვადასხვა ვალუტაში[2] აღებული სესხებისგან შედგება. აქედან ძირითადი ნაწილი ევროში დენომინირებული სესხებია, რაც მთავრობის საგარეო ვალის 49.5%-ს შეადგენს. საგარეო ვალისა და მისი მომსახურების დასაფარად საქართველოს სახელმწიფო სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური რესურსის „გამომუშავება“ მხოლოდ ეროვნული ვალუტით შეუძლია, რომელიც შემდგომ უნდა გადახურდავდეს უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად, ბიუჯეტს მნიშვნელოვნად ეზრდება წნეხი საგარეო ვალის გადასახდელად.

2020-2021 წლებში სახელმწიფო ვალმა მიაღწია რეკორდულ დონეს პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად იმ დროს, როდესაც გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები მკვეთრად დაეცა.

---

[1] მონაცემები აღებულიაფინანსთა სამინისტროს ოფიციალური გვერდიდან - www.mof.gov.ge

[2] აშშ დოლარი, ევრო, ნასესხობის სპეციალური უფლება (SDR), ჩინური იუანი, იაპონური იენი, ქუვეითური დინარი

დიაგრამა N2



წყარო: www.mof.gov.ge

2021 წლის 8 თვის მდგომარეობით, კრედიტების სახით საგარეო წყაროებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდა 4.1 მლრდ ლარი, მიღებული კრედიტების 19.7% (818 მლნ ლარი) საინვესტიციო ხასიათისაა, ხოლო 80.3% (3.3 მლრდ ლარი) - ბიუჯეტის მხარდამჭერი. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებს, საინვესტიციო კრედიტებისგან განსხვავებით, წინასწარ განსაზღვრული მიზნობრიობა უმრავლეს შემთხვევაში არ გააჩნია და ბიუჯეტის მიმდინარე საჭიროებების დაფინანსებას ემსახურება.

2020-2021 წელს შეიცვალა საგარეო ვალის პორტფელი და მოზიდული თანხები გადანაწილდა ჯანდაცვის სექტორზე. აღსანიშნავია, რომ 2021 საგარეო ვალის 39% მიმართულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებასა და ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციას.

ამასთან, საკრედიტო რესურსის სახით მობილიზებული სახსრების დროული ათვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ტიპის სესხებისათვის, რომლებიც ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადის გადახდას კრედიტის აუთვისებელ ნაწილზე, რადგან პროექტის დაგეგმილზე დაგვიანებით განხორციელება იწვევს კრედიტის მომსახურების ხარჯების ზრდას. ვალდებულების გადასახადის გადახდა იწყება სესხის ეფექტურად გახდომის შემდეგ და ერიცხება კრედიტის აუთვისებელ ნაწილზე, მიუხედავად იმისა მიმდინარეობს თუ არა სესხის ათვისება.

საქართველო როგორც საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყანა საგარეო ვალის მომსახურების შეღავათიანი პირობებით სარგებლობს. ქვეყნისთვის სესხის მიმცემი სუბიექტები არიან: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აზიის განვითარების ბანკი, გერმანიის სახელმწიფო ბანკი, საფრანგეთის განვითარების ბანკი, მსოფლიო ბანკი და ევროკავშირი. საჭიროების შემთხვევაში კი შესაძლებელია - აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან შესაძლებელია საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციის მიღწევა.

Covid-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის შედეგად, მნიშნელოვანი ვარდნა განიცადა მსოფლიო ეკონომიკამ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა რომელიც ამ კრიზისში წარმოიშვა არის სახელმწიფო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა.

საგარეო ვალი შესაძლოა ქვეყნისთვის მოკლევადიან კეთილდღეობის წყაროს წარმოადგენდეს. თუმცა გრძელვადიანი კეთილდღეობის მისაღწევად საგარეო ვალის არა თუ სტაბილურად შენარჩუნება, არამედ ზრდა გამანადგურებელია და განვითარებად ქვეყნებს ფისკალური წნეხის

ქვეშ მოაქცევს. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია საქართველომ განიხილოს ვალის რეს-ტრუქტურიზაციის პერსპექტივები.

ქვეყნის განსავითარებლად არსებითია, აღებული თანხის ეფექტურად დაბანდება და ეფექ-ტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა. ამიტომ სახელმწიფო ვალით განხორციელებული ეკონომიკური ღონისძიებებისგან მიღებული გრძელვადიანი სარგებელი უნდა აჭარბებდეს იმ დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ვა-ლის აღებასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიზრდება ვალის ტვირთი და მისი ნეგატიური ზე-მოქმედება ეკონომიკურ აქტივობებზე

საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საჭირო იქნება მხარდაჭერა დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის, რომლებსაც მაღალი სახელმწიფო ვალის დონე აქვთ, რათა შეძლონ ფისკა-ლური სტაბილურობის შენარჩუნება.

ლიტერატურა:

1. მოხსენება "საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ" - სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2021 წელი; https://www.sao.ge/ka/მოხსენება-საქართველოს-2021-წლი20211102004336114ka.html
2. „სახელმწიფო ვალის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში" - სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2020 წელი; https:// www.sao.ge/Uploads/2020/5/სახელმწიფო_ვალის_მართვა.pdf
3. „საქართველოს სახელმწიფო ვალის ზრდის პრობლემა Covid-19 –ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში" - ვ. პაპავა, ვ. ჭარაია - ექსპერტის აზრი გამოცემა N152. 2021;
4. „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2019-2021" - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2019 წელი, https://www.mof.ge/images/File/DMS-GEO-2019-2021.pdf
5. World Economic Outlook – International Monetary Found – 2021 Jan. https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2022/01/25/world-economic-outlook-update-january-2022
6. Data for Georgia, Upper Middle Income." The World Bank, 2020. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=GE
7. Fiscal Monitor. Policies for the Recovery. Washington, DC, International Monetary Fund, 2020, October.

External Debt and Financial System Stability under the Covid-19 Pandemic

Tamar Barbakadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

PhD Student

SUMMARY

The components of public debt are particularly important for ensuring the fiscal sustainability of the state. When managed effectively, the funds raised are a stimulus to the country's economic growth, and while with inefficient management the country may reach a crisis instead of economic growth.

It's a significant foreign debt during a crisis caused by a pandemic, therefore it is therefore important to properly assess and identify the needs that are being financed through public debt. This will enable the country to avoid excessive debt and its service costs. Determining what kind of public debt portfolio is optimal depends on the economic situation of a particular country.

The COVID-19 Pandemic, Globalization and the Socio-Economic System of the Country (Macro Aspect)

Givi Bedianashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor, Doctor of Economic Sciences

The paper discusses the socio-economic challenges and their systemic features in the conditions of the COVID-19 pandemic as in the context of global as individual countries. The significant effect, such as increasing socio-economic uncertainty is analyzed. The research shows that in the conditions of increasing uncertainty it is necessary to strengthen the complex continuous forecasting-analytical activities due to the peculiarities of the socio-economic system of the country, both at the macro-systemic level and at the level of the private sector. It is noted that the experience of the pandemic period has shown us the great importance of an effective mechanism for the formation and implementation of socio-economic policies aimed at challenges and solving relevant complex problems. This policy, with the involvement of relevant institutional factors, should contribute to the long-term sustainability of the community.

***Keywords**. COVID-19 pandemic, globalization, socio-economic system of the country, growing uncertainty, long-term sustainability.*

As the past period has shown, the COVID-19 pandemic has proved to be the hardest and the most multifaceted challenge for all countries of the world as well as for the global economy as a whole. It concerns not only the economy of an individual country but also the whole socio-economic system of each of them. This substantially complicates both the timely identification of problems and ensuring their effective solution (on the peculiarities of the country's economy and socio-economic system see, for example, Bedianashvili, 1995).

The COVID-19 pandemic is not of economic origin (Papava, 2019), however, it still came as a significant shock to both the economy and other areas of society and this is clearly confirmed by the experience of the past two years.

At the same time, it is noteworthy that the impact of problems arising in different areas of society due to their complexity and diversity often goes beyond the field of origin in terms of their severity and significance. These processes are intensified by globalization, which, along with additional opportunities, creates new challenges for each country. This circumstance was clearly observed in the form of complex action of local and global factors of the pandemic (Bedianashvili, 2021a; Jinrong Jia et al., 2021; Menshikov et al., 2021; Mofijur et al., 2021; Papava, 2021; **Papava & Chkuaseli, 2021**; Papava & Charaia, 2021; **Zhylinska et al., 2021**).

The COVID-19 pandemic has shown that the probability of crisis events and unintended side effects increases in the modern period, which in many cases can not be fully foreseen. If the current trends in process development are maintained uncertainty over current trends in societal development (socio-economic uncertainty) will continue to increase in the near and long term and is likely to create new sources of global challenges and risks that are still unknown to us. It is extremely important to establish appropriate decision-making mechanisms based on knowledge at all levels of the socio-economic system by substantially strengthening the long-term forecast (at the level of private sector economy, entrepreneurship - business analytics, socio-economic policy - in the form of complex macrosystems: Bedianashvili, 2021b).

Analysis of the dynamics of the World Uncertainty Index shows that its growth trend is maintained (Diagram 1):

Diagram 1



Source: based on data from https://worlduncertaintyindex.com/data/

It should be noted that an important factor in the growth of uncertainty is the existence of risks of various natures in this or that area of the socio-economic system (Potential risks to growth in domestic economies, next 12 months,% of respondents - Diagram 2), which makes a long-term macrosystem approach relevant:

Diagram 2



Source: According to McKinsey & Company data

The socio-economic system of the country, as an object of regulation, in the presence of an increasing trend of uncertainty, makes the public (state) sector and a number of its functions (Bedianashvili, 2021c; Rusadze et al., 2021; Wu et al., 2018) very important, such as macroeconomic and ensuring social stability, supporting the population and businesses, stimulating the effective operation of

the health care system. It is clear that in the pre-pandemic situation, the state had to focus on solving other kinds of problems and tasks, such as economic growth, private sector development, the use of innovative factors in the economy, and so on.

The pandemic has made it relevant to formulate and implement policies aimed at addressing the challenges and solving relevant problems for the public sector. Accordingly, the public sector must be committed and responsible for the active policies focused on the long-term sustainability of society through the involvement of institutional factors.

The pandemic has clearly shown that the potential of the public sector and the ability to successfully cope with both crisis and post-crisis recovery tasks are crucial for governments (Bedianashvili, 2021; Mazzucato & Kattel, 2020). Skills such as adapting and learning in conditions of uncertainty, adapting public services and human needs, ensuring sustainable production, using digital technologies, and managing big data are important.

Public sector capabilities (potential) are usually defined as a set of in-house skills and resources necessary to perform policy functions, from public service delivery to policy development and implementation (Wu et al., 2018).

The coronary crisis, as the first and second years have already passed, has affected individual countries of the world to varying degrees. This was largely due to the different capabilities of countries in anticipating and effectively regulating the expected dynamics of economic activity in conditions of uncertainty. Germany, South Korea, and the countries of Southeast Asia, for example, were particularly resilient. Effective assembled mechanisms of public relations with the private sector, as well as the existence of strict monitoring systems for the spread of the virus and a high level of mandatory compliance with the rules of social distance, proved to be essential here.

Thus, the pandemic clearly identified the critical areas and problems in the socio-economic system of the country that require special attention of the state, in particular, continuous forecasting activities under uncertainty, adaptation, and rapid learning, macrosystem stability, promoting sustainable private sector development, digital technology, digital Ensuring development (Bedianashvili et al., 2021). The experience of the pandemic period has shown us the great importance of an effective mechanism for the formation and implementation of socio-economic policies aimed at solving challenges and related complex problems. This policy, with the involvement of relevant institutional actors, should contribute to the long-term sustainability of the community.

References:

1. Bedianashvili, G. (1995). *State, Power Structure and Socio-Economic Reform of Society*. Tbilisi, Mecniereba.
2. Bedianashvili, G. (2021a). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 15 (2), 191-197.
3. Bedianashvili, G. (2021b). The Socio-Economic Effects of COVID-19 and the Challenges of Economic Uncertainty. Materials of VI International Scientific Conference: *Challenges of Globalization in Economics and Business.* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Economics and Business Faculty. 34-38 (In Georgian).
4. Bedianashvili, G. (2021c). Public Sector in Conditions of COVID-19 Pandemic. Conference materials: *Economic, Social, Ecological and Technological Challenges in XXI-St Century*. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of Economics. 47-51. (In Georgian).

5. Bedianashvili, G., Bichia, Q., Natsvlishvili, E. (2021). Development of Entrepreneurial Activity, Labor Market and Modern Challenges of Higher Education. *Globalization and Business*. 12, 21-31 (In Georgian). DOI: 10.35945/gb.2021.12.002
6. Jinrong Jia, Muhammad Khalid Anser, Michael Yao-Ping Peng, Abdelmohsen A. Nassani, Mohamed Haffar & Khalid Zaman (2021): Economic and ecological complexity in the wake of COVID-19 pandemic: evidence from 60 countries. *Economic Research-Ekonomska Istraživanja*, DOI: 10.1080/1331677X.2021.1996257
7. McKincey&Company (December 21, 2021). The coronavirus effect on global economic sentiment, December 2021. URL: https://www.mckinsey.com/~/media/mckinsey/business%20functions/strategy%20and%20corporate%20finance/our%20insights/the%20coronavirus%20effect%20on%20global%20economic%20sentiment/december%202021/the-coronavirus-effect-on-global-economic-sentiment-december-2021.pdf?shouldIndex=false (accessed: 01.02.2022).
8. Menshikov, V., Bedianashvili, G., Kokina, I., Ruza, O. (2021). Mobility in the context of entrepreneurial potential of students under the conditions of the COVID-19 pandemic (Latvia, Georgia). *Entrepreneurship and Sustainability Issues*, 9(1), 574-589. DOI:10.9770/jesi.2021.9.1(36)
9. Mofijur, M., Rizwanul Fattaha, I.M., Asraful Alamb, Md, Saiful Islamc, A.B.M., Hwai Chyuan Onga, Ashrafur Rahmand, S.M., Najafie, G., Ahmedf, S.F., Alhaz Udding, Md., Mahlia, T.M.I. (2021). Impact of COVID-19 on the social, economic, environmental and energy domains: Lessons learnt from a global pandemic. *Sustainable Production and Consumption.* 26, 343-359. DOI: 10.1016/j.spc.2020.10.016
10. Papava, V. (October 7, 2021). On The Correlation Between Pandexit and Crisexit. *Eurasia Review*. URL: https://www.eurasiareview.com/07102021-on-the-correlation-between-pandexit-and-crisexit-oped/ (accessed: 24.01.2022)
11. Papava, V., & Chkuaseli, M. (2021). Coronomics, Financial support for the Economy and its Zombie-ing (In the Context of the Fifth Factor of Production). *Finance Theory and Practice*. 25 (5), 6-23. DOI: 10.26794/2587-5671-2021-25-5-6-23
12. Papava, V. (2019). Coronomic Crisis: When the Economy Is a Hostage to Medicine. Eurasia Review. URL: https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/ (accessed: 25.01.2021)
13. Papava, V., Charaia, V. (2021). The Problem of the Growth of Georgia's Public Debt during the Economic Crisis under the COVID-19 Pandemic. *GFSIS Expert Opinion.* 152. Tbilisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies. DOI: 10.13140/RG.2.2.10091.57120
14. Rusadze, N., Zakaradze, E., & Ipshiradze, A. (2020). Impact of COVID-19 on Public Service Supply (In the Context of Local Self-Government). *Globalization and Business*. 12, 88-93. (In Georgian). DOI: 10.35945/gb.2021.12.012
15. Wu, X., Holwett, M., and Ramesh, M. 'Policy Capacity: Conceptual Framework and Essential Components', in X. Wu, M. Holwett, & M. Ramesh (eds) (2018). *Policy Capacity and Governance: Assessing Governmental Competences and Capabilities in Theory and Practice, Basingstoke, Palgrave Macmillan*.1–25. DOI: 10.1016/j.polsoc.2015.09.001
16. Zhylinska, O., Bazhenova, O., Zatonatska, T., Dluhopolskyi, O., Bedianashvili, G., Chornodid, I. (2020). Innovation Processes and Economic Growth in the Context of European Integration. *Scientific Papers of the University of Pardubice, Series D: Faculty of Economics and Administration*. 28(3), 1-12. DOI: 10.46585/sp28031209

COVID-19-ის პანდემია, გლობალიზაცია და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა (მაკრო ასპექტი)

გივი ბედიანაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები და მათი სისტემური თავისებურებები COVID-19-ის პანდემიის პირობებში როგორც გლობალურ ასევე მსოფლიოს ცალკეული ქვეყნის ჭრილში. გაანალიზებულია ისეთი მნიშვნელოვანი ეფექტი, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური გა-

ნუზღვრელობის ზრდა. კვლევის შედეგად ნაჩვენებია, რომ ზრდადი განუზღვრელობის პირობებში საჭიროა, განხორციელდეს კომპლექსური უწყვეტი საპროგნოზო-ანალიტიკური საქმიანობის გაძლიერება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის როგორც ობიექტის თავისებურებებიდან გამომდინარე, როგორც სახელმწიფო მაკროსისტემურ, ისე კერძო სექტორის დონეზე. აღნიშნულია, რომ პანდემიური პერიოდის გამოცდილებამ დაგვანახა გამოწვევებზე და შესაბამისი კომპლექსური პრობლემების გადაჭრაზე მიმართული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის ეფექტიანი მექანიზმის დიდი მნიშვნელობა. ეს პოლიტიკა, შესაბამისი ინსტიტუციური ფაქტორების ჩართულობით, ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოების გრძელვადიან მდგრადობას.

საკვანძო სიტყვები. *COVID-19-ის პანდემია, გლობალიზაცია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, განუზღვრელობის ზრდა, გრძელვადიანი მდგრადობა*

საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება Covid-19 პანდემიის და პოსტპანდემიურ პირობებში

ხათუნა ბერიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ებრძვის ახალ კორონავირუსს, დგას ჯანდაცვასა და ეკონომიკას შორის ალტერნატივის წინაშე. სოციალური დისტანცირება და გლობალური ჩაკეტვა ხელს უწყობს პანდემიის გავრცელების შეჩერებას, ამასთან ზღუდავს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ხელს უშლის საინვესტიციო აქტივობას.

ცხადია ისიც, რომ ინვესტიციები განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის პროცესსა და სახელმწიფოს განვითარების მიმართულებას. ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი, განსაზღვრავს არა მხოლოდ მათი შემოდინების ინტენსივობას, არამედ ინოვაციურ პროცესებს, ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე, ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდაზე. ამიტომ ეკონომიკური ზრდის ფაქტორების სისტემაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეფექტიანი გამოყენება საქართველოს ეკონომიკური განვითარების გარანტიაა.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური ზრდა, პანდემია, საინვესტიციო აქტივობა, კრიზისი, დაძლევის გზები.*

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი არის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიური გაფართოება, რაც გამოიხატება კაპიტალის მოძრაობის გააქტიურებაში, ბიზნესის გაფართოებაში, უცხოური კომპანიების მიერ ეროვნული ბაზრების ათვისებაში, სამეცნიერო, და ტექნიკური ცოდნის ტრანსფერში. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება იწვევს სხვადასხვა ქვეყნის განვითარებაზე მოქმედი ეგზოგენური ფაქტორების, მათ შორის უცხოური ინვესტიციების ზეგავლენის დონის ზრდას მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, რომელთა შორისაა საქართველო.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მრავალფეროვნებას შეუძლია ხელი შეუწყოს რეციპიენტი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მათი ზეგავლენა ეკონომიკის განვითარებაზე იზრდება ტრანსფორმაციის პერიოდში, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს ღრმა მაკრო და მიკროეკონომიკური ტრანსფორმაცია.

ზოგადად, ინვესტიციები ხელს უწყობენ ეკონომიკური ზრდის პროცესსა და სახელმწიფოს განვითარების მიმართულებას. ქვეყნის საინვესტიო კლიმატი, განსაზღვრავს არა მხოლოდ მათი შემოდინების ინტენსივობას, არამედ ინოვაციურ პროცესებს, ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე, ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდაზე. ამიტომ ეკონომიკური ზრდის ფაქტორების სისტემაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეფექტიანი გამოყენება საქართველოს ეკონომიკური განვითარების გარანტიაა. უცხოური ინვესტიციები შეიძლება გახდეს მიმღები ქვეყნის დაჩქარებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების კატალიზატორი. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა ქვეყანა, რომლებმაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას მიაღწიეს, აქტიურად იზიდავენ უცხოურ კაპიტალს.

2008 წლის მსოფლიო კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, 2010-2014 წლებში საქართველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები დინამიური ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, 2015-2016 წლებში მათი მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო 2017 წელს

ინვესტიციების ოდენობამ თითქმის 2 მილიარდ აშშ. დოლარს მიაღწია, რაც განპირობებული იყო წინა წლებში დაწყებული მეგაპროექტის, განსაკუთრებით კი შაჰ-დენიზის გაზსადენის მშენებლობით. 2018 წლიდან ქვეყანაში ინვესტიციები მცირდება, ხოლო საინვესტიციო აქტივობა 2014 წლის მაჩვენებელსაც ვერ აღწევს. 2020 წელს, საქართველოში 617 მლნ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც 53%-ით (694 მლნ დოლარით) ნაკლებია 2019 წლის მონაცემებზე. [https://www.geostat.ge/]. 2021 წლის პირველ კვარტალში ინვესტიციების მოცულობამ 125 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28.3 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხოლო 2021 წლის ინვესტიციების მოცულობამ III კვარტალში 299.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2020 წლის III კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებს 1.4 პროცენტით აღემატება. ზრდა ძირითადად განპირობებულია რეინვესტიციის მაჩვენებლის გაზრდით [https://www.geostat.ge/].

საინვესტიციო აქტივობის ანალიზის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მისი წილის დადგენას ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ეს მაჩვენებელი 12% აღწევს, ხოლო 2021 წელს მხოლოდ 6.1%-ია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების მიზეზებს შორის ამ პერიოდში უმნიშვნელოვანესია ის, რომ ინვესტორთა მფლობელობაში არსებული რამდენიმე მსხვილი საწარმო გადავიდა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში, ხოლო არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორების მიმართ შემცირდა ვალდებულებები (სასესხო დავალიანების დაფარვა), ქვეყანაში როგორც პანდემიური ასევე არაპანდემიური მიზეზებით

დაპაუზდა რამოდენიმე მეგაპროექტი [https://bit.ly/38RtKbu], თუმცა ამ მიზეზებს ემატება დემოკრატიის, სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულებისა და ინვესტიციების დაცულობასთან დაკავშირებული პრობლემები [https://econ.st/3ft3Mxw].

ბოლო პერიოდში საქართველოს საინვესტიციო გარემოს განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ანაკლიის პორტის მშენებლობის შეჩერებამ. საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან გაკეთდა არაერთი განცხადება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის შეჩერების საკითხზე [https://bit.ly/2DzpfGQ]. ამ მოწოდებების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პორტის მშენებლობის შეჩერების გადაწყვეტილება არ შეცვლილა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს საინვესტიციო გარემოს. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში ახალი დიდი საინვესტიციო პროექტები აღარ დაწყებულა და ვერც ეკონომიკა იზრდება იმ ტემპებით, რომ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა მოახდინოს, შედეგად მივიღეთ ინვესტიციების კლება.

საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების სექტორული ანალიზის დროს აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი ინვესტიცია 2021 წელს საფინანსო სექტორზე მოდის 87.1 მლნ აშშ დოლარი (29.1 პროცენტი) და ეს ტენდენცია კვლავაც გრძელდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ეს სექტორი ყველაზე უკეთ არის განვითარებული. მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის სექტორი - 69.3 მლნ დოლარით (23. 2 პროცენტი), ხოლო მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 54.8 მლნ. აშშ დოლარით (18.3 პროცენტი).

რეგიონების მიხედვით, ლიდერია თბილისი, რომელზეც მთლიანი ინვესტიციების 63% მოდის.

დიაგრამა 1

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2021* წლის IIIკვარტალში



წყარო: https://www.geostat.ge/

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2021 წლის მონაცემებით, 52.4. % შეადგინა და ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფო - 60.9 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 20.4 პროცენტს შეადგენს, მეორე ადგილზე იმყოფება ნიდერლანდები - 59.8 მლნ. აშშ დოლარით (20.0 პროცენტი), ხოლო მესამეზე ჩეხეთი - 36.0 მლნ. აშშ დოლარით (12.0 პროცენტი).

ცხრილი 1

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2021 წლის III კვარტალში

(მლნ. აშშ დოლარი)

	2019					2020					2021*		
	I	II	III	IV	სულ	I	II	III	IV	სულ	I	II	III
სულ	**317.2**	**241.2**	**403.6**	**373.8**	**1 335.8**	**171.0**	**240.3**	**294.8**	**-134.2**	**572.0**	**131.7**	**297.7**	**299.0**
მათ შორის:													
გაერთიანებული სამეფო	56.8	-22.3	81.1	121.3	**236.9**	72.0	59.2	115.2	56.6	**303.0**	88.4	121.8	60.9
ნიდერლანდები	-81.8	65.9	49.6	54.4	**88.1**	21.7	68.8	90.5	19.6	**200.7**	5.6	41.0	59.8
ჩეხეთი	-11.7	13.6	13.0	2.6	**17.6**	-3.0	0.1	5.7	-9.8	**-7.0**	14.1	30.9	36.0
აშშ	21.4	27.3	40.7	26.2	**115.6**	30.7	22.6	26.2	18.9	**98.4**	-59.8	0.4	29.6
თურქეთი	69.0	51.1	-20.6	74.7	**174.2**	13.9	26.2	-3.6	42.6	**79.0**	28.9	22.4	24.2
მალტა	-35.4	8.0	15.9	12.7	**1.2**	10.2	19.3	4.5	11.9	**45.9**	-11.9	8.8	15.8
საფრანგეთი	2.0	3.7	5.6	8.8	**20.1**	0.2	1.8	1.4	8.4	**11.8**	1.0	3.0	14.5
სეიშელები	0.3	0.5	1.6	0.7	**3.1**	0.7	-1.5	0.1	-0.2	**-0.9**	1.6	2.4	13.0
რუსეთი	7.0	7.5	24.7	16.0	**55.2**	14.1	7.0	8.3	9.8	**39.2**	32.0	8.8	12.5
დანარჩენი ქვეყნები	289.6	86.0	192.0	56.3	**623.9**	10.4	36.9	46.6	-292.0	**-198.2**	31.8	58.1	32.8

წყარო: https://www.geostat.ge/

საინვესტიციო აქტივობის ზრდის თვალსაზრისით ქვეყანაში მნიშვნელოვანია მიმზიდველი ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შექმნა. ამ მიმართულებით ქვეყნების საინვესტიციო გარემოს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები იკვლევენ და შესაბამის რეიტინგებს ადგენენ. მათ შორის მნიშვნელოვანია: ბიზნესის კეთების სიმარტივის (Doing business) და ეკონომიკური თავისუფლების (Heritage Foundation) ინდექსები, რომელთა შორის საქართველოს მაღალი შეფასებები აქვს. მაგალითად, ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით, 2021 წლის კვლევის მიხედვით საქართველო მსოფლიო რეიტინგში (190 ქვეყანას შორის) მე-7 ადგილზე, ხოლო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში მსოფლიო მასშტაბით (180 ქვეყანას შორის) მე-12 ადგილზეა, რაც შეესაბამება უმეტესად თავისუფალი ქვეყნის პოზიციას. ამ რეიტინგებში არ აისახება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სტაბილურობა. ასევე, ქვეყნის ოკუპაციის პრობლემა, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო აქტივობაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგრეთვე დემოკრატიის კუთხით არსებული პრობლემები. დემოკრატიის ინდექსის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, წინა წელს საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის 89-ე ადგილს იკავებს. 2021 წელს გამოქვეყნებული რეიტინგით, 2020 წელს საქართველო დემოკრატიის დონით მსოფლიოში 91-ე ადგილზე იყო (167 ქვეყანას შორის), ანუ 2 ადგილით ჩამოქვეითდა. [https://econ.st/3ft3Mxw].

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველო მსოფლიოში მე-12 ადგილზეა, ამ ინდექსის ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმით - „საკუთრების უფლების დაცვა“ მსოფლიოში 49-ე ადგილზეა, რაც ინვესტორისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ინდექს მუნდის მიხედვით, ლოჯისტიკური წარმადობის კუთხით საქართველო 133-ე პოზიციაზეა, 2.35 ქულით, რაც საშუალოზე დაბალია https://bit.ly/3et8Ct4. საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობაზე უარყოფითად მოქმედებს კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი [https://bit.ly/3fryxmz].

საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას ზრდის ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმი (განსაკუთრებით, ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან, დსთს ქვეყნებთან, თურქეთთან, ჩინეთსა და ჰონგ-კონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულთან) და უცხოური კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის არარსებობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც დამატებით ღირებულებას სძენს ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალს. ქვეყანას გააჩნია იმის პოტენციალი, რომ კავკასიისა და ცენტრალური აზიის მთავარ სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ ჰაბად იქცეს, რაც მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. ქვეყნის სატრანსპორტო და ლოჯისტიკური პოტენციალი ამ ეტაპზე სრულად ათვისებული არ არის, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით კი ამ ორ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ბოლო წლებში ლოჯისტიკური მომსახურების და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მსოფლიოში რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესებში, რამაც გლობალური ბაზრის ჩამოყალიბება განაპირობა. მზარდი კონკურენციის პირობებში აუცილებელი გახდა ლოჯისტიკური მომსახურების სერვისის გაუმჯობესება, რასაც განაპირობებს გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ის ქვეყნები, რომლებიც ქმნიან ეფექტიან სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურას, იზიდავენ იმ საერთაშორისო კომპანიებს, რომლებიც გლობალური ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენენ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველომ მაქსიმალუ-

რად სწრაფად აუწყოს ფეხი მსოფლიო ტენდენციებს და საკუთარი ნიშა დაიკავოს მსოფლიო სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ რუკაზე, რითაც დამატებით საინვესტიციო მიმზიდველობას შესძენს ქვეყანას.

2020 წელს მსოფლიოსთვის ახალი საყოველთაო გამოწვევა კორონავირუსის პანდემია გახდა. 2020 წელს გლობალური უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადი დიდი წნეხის ქვეს აღმოჩნდა COVID-19 პანდემიის მხრიდან. დაზუსტებით არ არის დათვლილი, თუ რა ზიანი მიაყენა პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკას, მაგრამ უდავოა, რომ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპი შენელდა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსები მკვეთრად შემცირდება 2019 წლის 1,5 ტრილიონი დოლარიდან გლობალური ფინანსური კრიზისის დროს არსებულ მინიმუმამდე. განსაკუთრებით ეს შეეხება განვითარებად ქვეყნებს, რადგან ყველაზე მეტად დაზარალდნენ ინვესტიციები ექსპორტზე ორიენტირებული და პირველადი წარმოების მიმართულებით. საქართველო ამ მხრივ არ არის გამონაკლისი.

პანდემიის გამო ქვეყნებმა ეკონომიკური საქმიანობა საგრძნობლად შეაჩერეს, ჩაკეტეს საზღვრები, გადაიდო საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიებებები, რამაც შეამცირა ეკონომიკის ზრდის ტემპი. აღნიშნული პოლიტიკა საქართველომაც გაიზიარა. პანდემიის შედეგად, 2020 წლის სტატისტიკის მიხედვით, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები 53%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით. შემცირების ძირითად მიზეზებად ასახელებენ „შაჰ დენიზ 2“-ის პროექტის დასრულებას და ზოგიერთი უცხოური საკუთრების საწარმოს საქართველოს რეზიდენტის მფლობელობაში გადასვლას. გარკვეულწილად ერთ-ერთ მთავარ მიზეზს მსოფლიო პანდემია წარმოადგენს.

საყურადღებოა, რომ ინვესტიციების განსაკუთრებული შემცირება აღინიშნება საქართველოს ტურიზმის სექტორში. 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებთან შედარებით ამ სექტორში ინვესტიციები 75%-ზე მეტად შემცირდა. ასევე, ტრანსპორტის სექტორშიც შეიმჩნევა მნიშვნელოვანი კლება. ბოლო ორი წლის მესამე კვარტლის მონაცემების შედარებით შედეგად, აღმოჩნდა, რომ უპი შემცირდა 142%-ით. ლოგიკურია, რომ ამ პერიოდში გაიზარდა ინვესტიციების რაოდენობა ისეთ სექტორში, როგორიცაა ჯანდაცვა და სოციალური დახმარება.

საქართველოს ტურიზმისა და ტრანსპორტის სექტორი ყველაზე მაღალი საინვესტიციო პოტენციალით გამოირჩევა, მაგრამ პანდემიამ საგრძნობლად დააზარალა ეს დარგები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციის პერსპექტივები არ არის დამაიმედებელი. ტურიზმზე დამოკიდებული ქვეყნები ყველაზე მეტად დაზარალდება, რადგან მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია განიცდის შეზღუდვებს და გაურკვევლობას.

ბოლო პერიოდში მოხდა ჩინეთის ფაქტორის შეფასება. დიდია იმის ალბათობა, რომ შემცირდება მისი მიმზიდველობა საწარმოო სიმძლავრეების გადატანის კუთხით.

პანდემიამ შეიძლება გავლენა იქონიოს ინვესტიციების პოლიტიკაზე. ამან შეიძლება გააძლიეროს და განამტკიცოს უცხოური ინვესტიციების პოლიტიკის შეზღუდვების ზრდის ტენდენცია იმ დარგებში, რომლებიც მასპინძელი ქვეყნებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამავე დროს, პანდემიამ შეიძლება გამოიწვიოს კონკურენციის გაზრდა ინვესტიციებისთვის, რადგან ქვეყნები ცდილობენ კრიზისისგან გამოსწორებას.

პანდემიის მასშტაბმა და ინფექციის გავრცელების სწრაფმა ტემპმა წლის დასაწყისშივე განაპირობა ცხოვრების ჩვეული რიტმის შეცვლა, რამაც არნახული ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. უდავოა, რომ 2021 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური ზრდის ტემპი

მსოფლიოში. აღნიშნული კი განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის.

საზღვრების ჩაკეტვამ, ეკონომიკური საქმიანობის დაპაუზებამ და საერთაშორისო თუ ადგილობრივი ღონისძიებების გადადებამ გარკვეულწილად შეამცირა ეკონომიკის ზრდის ტემპები. ამ მხრივ საქართველოც არ არის გამონაკლისი და პანდემიის უარყოფითი შედეგები აისახა ეკონომიკურ ზრდაზე. 2020 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად დაეცა. ტურიზმის სექტორში, სადაც წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით, კლება 76%-ს შეადგენს, ტრანსპორტის სექტორში - 76%, ამასთან გაიზარდა ინვესტიციები ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სექტორში (ზრდა 3%). ტურიზმი და ტრანსპორტი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საინვესტიციო პოტენციალის მქონე დარგებია, თუმცა პანდემიის ნეგატიურმა ეფექტმა ეს სექტორები ყველაზე მეტად დააზარალა [Shengelia, 2020].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კორონავირუსის პანდემიის შედეგად ეკონომიკური ზიანის შეფასების ფონზე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია:

- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა - მათ შორის უკვე მომზადებული კანონის "საინვესტიციო ფონდების შესახებ" დამტკიცება და გადახდისუუნარობის კანონპროექტის შემუშავება;
- მომსახურების სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად ახალი ტექნოლოგიების ხელშეწყობა. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია (5G) სისტემაზე გადასვლის დაჩქარება, რაც სტიმულს მისცემს ადგილობრივ და უცხოურ სტარტაპებს განახორციელონ ტექნოლოგიებზე და ინოვაციებზე დაფუძნებული ბიზნესპროექტები;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით ქვეყანაში მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის არსებობა;
- გამართული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის არსებობა.

ზემოთ წარმოდგენილი ღონისძიებები სრულად ვერ ასახავს ფაქტორების იმ ნუსხას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე. ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოში დღეს არსებული გამოწვევების გათვალისწინებით ამ ფაქტორთა ნუსხა გაცილებით ვრცელია.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ექსპერტულ წრეებში აქტიურად განიხილება მოსაზრება ახალი კორონავირუსის გამოწვევების დამატებით შესაძლებლობებზე. მიუხედავად კორონავირუსის პანდემიისა, საქართველოს ნამდვილად წარმატებულად შეუძლია პოზიციონირება საერთაშორისო ასპარეზზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის და ეკონომიკური განვითარების გაჯანსაღების პროცესს.

დასკვნა

ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში არასტაბილური დინამიკით ხასიათდება. 2017 წელს ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა, თუმცა შემდგომ წლებში ის კლებით ხასიათდება. კორონავირუსის პანდემიამ მთლიანად მსოფლიოს და, შესაბამისად საქართველოს დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა. მსოფლიო ბანკის პროგნოზით, Covid-19-ის გავრცელების შედეგად, შემცირდება მსოფლიო ინვესტიციური ნაკადების მოცულობა. ამ პირობებში იზრდება ხელისუფლების როლი შეზღუდული უცხ-

ოური საინვესტიციო რესურსების ქვეყანაში მოზიდვის თვალსაზრისით. საქართველოში ინ-ვესტიციების შემოდინებაზე გავლენას ახდენს არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, კო-რუფციის მაღალი დონე, ოკუპირებული ტერიტორიების ფაქტორი. ამავდროულად ქვეყნის მიმზიდველობის დონე საინვესტიციო პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, კვლა-ვაც მაღალია.

ლიტერატურა:

1. ბერიშვილი ხ. „პუი-ის ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაზე". პ.გუგუ-შვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნ. შრომების კრებული, ტომი 13
2. Foreign direct investment flows in the time of COVID-19. იხ. http://www.oecd.org/ coronavirus/policy-respon-ses/foreign-direct-investment-flows-in-the-time-of-covid-19-a2fa20c4/
3. The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It." UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2WwcW5O.
4. T.Shengelia 2020. The post-coronavirus economy of the world and Georgia. // Economic and Business № 12
5. T. Shengelia 2017. The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system
6. T Shengelia. 2020 Export potential of Georgia. World economy and international economic relations 3, 29-33
7. https://www.geostat.ge
8. https://bit.ly/38RtKbu
9. https://econ.st/3ft3Mxw
10. https://bit.ly/2DzpfGQ

Increasing Georgia's Investment Attractiveness under the Covid-19 Pandemic and Post-pandemic Conditions

Khatuna Berishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor, Doctor of Economics

SUMMARY

In the recent years, foreign direct investment in Georgia is characterized by the unstable dynamics. In 2017, was frixed a record amount of investment, though, In the later years, it was declined. The coronavirus pandemic has caused great economic loss to the whole world and, consequently, to Georgia. According to the World Bank forecasts, the spreading of Covid-19 will reduce the volume of global investment flows. Under these conditions, the role of the government to attract limited foreign investment resources for the country is growing. For the inflow of the investments in Georgia is influenced by the unstable political situation, the high level of corruption, the factor of the occupied territories. At the same time, the level of attractiveness of the country in terms of implementation of investment projects remains high.

ქვეყნის ეკონომიკის ინვესტიციატევადობა (საქართველოს მაგალითზე)*

თეიმურაზ ბერიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია ეკონომიკის ფუნქციონირების ფაქტორები - მიწა, კაპიტალი, შრომა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ფაქტორებში ინვესტიციის საკითხებს და მათ შესაძლებლობებს. შემოთავაზებულია ქვეყნის ეკონომიკის ინვესტიციების ინტენსივობის გაზომვის იდეა - ხარისხობრივად და რაოდენობრივად. პირველ შემთხვევაში საუბარია ინვესტიციების შინაარსზე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, საფინანსო მომსახურებაში, არასაწარმოო სფეროში და ა.შ., მეორე შემთხვევაში კი ამ ინვესტიციების მოცულობაზე. წამოყენებულია ჰიპოთეზა, რომ ქვეყნის ეკონომიკაში გადაჭარბებულმა ინვესტიციებმა შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკის გადახურება, ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოებასა და ეკონომიკაში კორუფციის გაჩენას, რაც შეანელებს მის ეკონომიკურ ზრდას. ეგრეთ წოდებულმა „წარმოების შესაძლებლობების მრუდმა“ შეიძლება პირობითად იმოქმედოს ეკონომიკაში გადაჭარბებული ინვესტიციების შემზღუდველად. ზედა წერტილი, რომელიც მდებარეობს საწარმოო შესაძლებლობების მრუდის გარეთ (მიუწვდომლობა) პირობითად შეიძლება ჩაითვალოს გადაჭარბებული ინვესტიციის მიზანშეწონილობის მანიშნებელ წერტილად.

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიცია; ეკონომიკის ფუნქციონირების ფაქტორები; ინვესტიციატევადობა; წარმოების შესაძლებლობების მრუდი; ეკონომიკის გადახურება; კორუფცია ეკონომიკაში; საინვესტიციო პოლიტიკა.*

ეკონომიკური ლიტერატურის ჟურნალის (JEL) კოდები: *A 10; E 22; E 60*

ინვესტიციების თვისებრივი განმსაზღვრელები

ინვესტიცია (გერმანული Investition, ლათ. investio – „ვიცვამ“) არის კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტში, მომსახურებასა და ეკონომიკის სხვა სექტორებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, მოგების მიღების მიზნით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ ფინანსურ და რეალურ ინვესტიციებს. ფინანსური ინვესტიციები ეს არის ინვესტიციები აქციებში, ობლიგაციებსა და კორპორაციების ან სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ სხვა ფასიან ქაღალდებში.** რეალური ინვესტიცია ეს არის კაპიტალის დაბანდება ახალ კაპიტალურ საქონლის შექმნაში; შეიცავს ახალი კაპიტალის ფორმირებას (კაპიტალის დაგროვებას) ან არსებულ კაპიტალურ საქონელზე კაპიტალის წმინდა დამატებას. ინვესტიციები მოიცავს ინვესტიციებს ფიქსირებულ საწარმოო კაპიტალში (შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა), საცხოვრებელ სახლებში, მშენებლობაში, ინვენტარში (ნედლეული, მასალები, მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება). მთლიანი ინვესტიციები, ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის თანხების გამოკლებით, წარმოადგენს წმინდა ინვესტიციებს. ეკონომიკაში ინვესტიციების დარგობრივი მიდგომის თვალსაზრისით აუცილებელია სახელმწიფოს ფინანსური მონაწილეობა (მაგალითად, საპარტნიორო ფონდი საქართველოში), ამაში გამოიხატება სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა.

---

* წარმოდგენილი სტატიის ინგლისური ვერსია გამოქვეყნებულ იქნა ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესში“, 2021, #4;

** ამ სტატიაში „სახელმწიფოს“ და „მთავრობას“ გამოყენებულია, როგორც სინონიმები;

აქედან გამომდინარე, ინვესტიცია მარაგებში რეალური პროდუქტიული აქტივების დამატების პროცესია. ეს შეიძლება ნიშნავდეს ძირითადი აქტივების შეძენას, როგორიცაა შენობა, ქარხანა ან აღჭურვილობა, ან მარაგებისა და მიმდინარე სამუშაოების დამატებას. ეს არის ინვესტიციის კეინზისეული განმარტება: ეს არის ნაკადის კონცეფცია. საინვესტიციო საქონელი არის საქონელი, რომელიც განკუთვნილია საინვესტიციო გამოყენებისთვის და არა მოხმარებისთვის (A Dictionary of Economics. John Black. 1977).

კიდევ ერთხელ ეკონომიკის ფუნქციონირების ფაქტორული ანალიზის შესახებ

ცნობილია, რომ ფაქტორული ანალიზი ცვლადების მნიშვნელობებს შორის ურთიერთობის შესწავლის მრავალგანზომილებიანი მეთოდია. ამავე დროს ეს ურთიერთობები შეიძლება გამოვლინდეს ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე, ვერტიკალურ (საწარმო, ქვესექტორები, დარგები) და სივრცით ასპექტებში (მაგ. რეგიონული ეკონომიკა). წარმოდგენილ სტატიაში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ მაკრო მიდგომაზე („განვითარების დიდი ხაზი“), ანუ ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებენ ქვეყანაში ეკონომიკის როგორც მთელის ფუნქციონირებას. ამ კონტექსტში საინვესტიციო პროცესი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეკონომიკის ფუნქციონირებისა და ზრდის ფაქტორებში.

საწყის ეტაპზე, კლასიკური მიდგომის მიხედვით, წარმოების ფაქტორებში იგულისხმებოდა მიწა, კაპიტალი, სამუშაო ძალა, მაგრამ ეკონომიკური თეორიის და პრაქტიკის განვითარებასთან ერთად, მათში იქნა ჩართული მეწარმეობის ფაქტორი (ჯოზეფ შუმპეტერი მეწარმეობას სამი კარგად ცნობილი ფაქტორის, მიწის, კაპიტალის და შრომის დამატებით, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ფაქტორს უწოდებდა) და აგრეთვე სახელმწიფო იყო ჩართული. ამ უკანასკნელ ფაქტორთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესოა მეცნიერ-ეკონომისტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, ვლადიმერ პაპავას მოსაზრერბა, რომ სახელმწიფოს ფუნქციონირება შესაძლებელია კერძო სესხების ხარჯზე და არა გადასახადების მიღების საფუძველზე (Папава Владимир, 1993).

ეკონომიკურ ლიტერატურაში, წარმოების ფაქტორებზე მსჯელობისას, აქცენტი კეთდება მათ ეფექტიანობაზე (უკუგებაზე), ნაკლებად კი მათი ფუნქციონირების შესაძლებლობებზე, პოტენციალზე. მაგალითად, როდესაც საქმე ეხება მიწას, იყენებენ მიწის რესურსების ფართობის მაჩვენებლებს, რამდენად ეფექტიანად გამოიყენება ეს რესურსი, როგორია მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე და ა.შ. ხოლო, კაპიტალის შემთხვევაში, საუბარია კაპიტალუკუგებაზე. შრომის შემთხვევაში გამოიყენება პროდუქტიულობა - დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე. შედარებით რთულია მეწარმეობის შესაძლებლობების გაზომვა (თუმცა შეიძლება განისაზღვროს ირიბად, მაგალითად, მოგების მაჩვენებლით). ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს, აქ შეიძლება გამოვიყენოთ ქვეყნის მოსახლეობის წინაშე ვალდებულებების შესრულების მაჩვენებლები: ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური და ა.შ., ხოლო რაც შეეხება ამ ფაქტორების შესაძლებლობებს, აქ რაოდენობრივი განსაზღვრა ბევრად უფრო რთულია და დამოკიდებულია ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების საჭიროებებზე, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება.

აგრეთვე აქტუალურია ინვესტიციის წყაროების საკითხიც: ინვესტიციის ძირითადი წყაროებია მოგება და დანაზოგი (როგორც განკარგვადი შემოსავლის ნაწილი). ეს უკანასკნელი ფაქტორი საფუძვლიანად არის ახსნილი ჯ.კეინსის (J.M.Keynes,1936) მთავარ ნაშრომში, სადაც

კეინზი განიხილავს დანაზოგს, როგორც მოთხოვნის, ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის და შემდგომი ზრდის საფუძველს.

ინვესტიციები და ინვესტიციატევადობა ეკონომიკაში

ცნობილია, რომ ინვესტიცია ეხება იმ ეკონომიკურ (ფინანსურ) რესურსებს, რომლებიც მიმართულია კომპანიის რეალური კაპიტალის ზრდაზე, ანუ წარმოების აპარატის გაფართოებასა ან მოდერნიზაციაზე. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ახალი მანქანების, შენობების, ტრანსპორტის შეძენით, ასევე გზების, ხიდების და სხვა საინჟინრო ნაგებობების მშენებლობით. აქ საჭიროა განათლებისა და სამეცნიერო კვლევის ხარჯების ჩართვა. ეს ხარჯები წარმოადგენს ადამიანურ კაპიტალში კუმულატიურ ინვესტიციას და ასევე ზრდის ეკონომიკის პროდუქტიულ პოტენციალს.

ინვესტიცია არსებითად არის აქტივი, რომელიც იქმნება ფულის (მოგების) გაზრდის მიზნით. ერთია, თუ ინვესტიციას განახორციელებთ გასაყიდ აქტივში, შეგიძლიათ მიიღოთ შემოსავალი მოგების სახით. ხოლო, მეორეა, თუ ინვესტიციები განხორციელდება ანაზღაურების გენერირების გეგმაში, მაშინ მიიღებთ შემოსავალს მოგების დაგროვების გზით. არსებობს რამდენიმე სახის ინვესტიცია: ზრდა, აქციები, ქონება, თავდაცვითი ინვესტიციები, ნაღდი ფული, ფიქსირებული პროცენტი.

გადაჭარბებული ინვესტიციები გარკვეულწილად ხელს უწყობს ეკონომიკაში კორუფციის ზრდას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ფენომენი, როგორიცაა ჩრდილოვანი ეკონომიკა, წარმოების შესაძლებლობების არასაკმარისი გამოყენება, ეკონომიკის გადახურება (overheating), საზოგადოების მხრიდან ნდობის დაკარგვა, სოციალური კატაკლიზმები და ა.შ.

ჩვეულებრივ, ეკონომისტები, სტატისტიკოსები საინვესტიციო შესაძლებლობების რაოდენობრივ გაზომვისას, იყენებენ ინვესტიციების მოცულობის თანაფარდობას მთლიან სამამულო[***] პროდუქტთან I/GDP (t), და აქ ყველაფერი ლოგიკურია, რადგან GDP (მთლიანი შიგა პროდუქტი, მთლიანი სამამულო პროდუქტი) ეკონომიკური ფუნქციონირების ყოვლისმომცველი მაჩვენებელია (მიუხედავად მისი ზოგიერთი სისუსტისა, მაგალითად, ცხოვრების ხარისხის, ჩრდილოვანი და არაფორმალური ეკონომიკის გაუთვალისწინებლობა). ჩვენ მიგვაჩნია, რომ აქ აუცილებელია ზემოაღნიშნული მაჩვენებლის შევსება სტრუქტურული მიდგომიდან. ზოგადად, სტრუქტურული დონეების მეთოდის (როგორც შემეცნების ეპისტემოლოგიური ინსტრუმენტის) გამოყენება ეკონომიკის ანალიზისას ამდიდრებს ეკონომიკური მეცნიერების ინსტრუმენტებს.

გთავაზობთ ქვეყნის ინვესტიციის ინტენსივობის გამოთვლის ფორმულას ქვეყნის ეკონომიკის ინვესტიციების ინტენსივობის ვექტორული გაანგარიშებით (როგორც განვითარებული, ისე საშუალო განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი):

$$I\ (\text{ინვესტიციატევადობა})(t) = X\ (\ I/Land(t) + I/Capital(t) + I/Labor)(t),$$

სადაც I არის შიდა და გარე ინვესტიციების მოცულობა, X არის გარკვეული ქვეყანა; L არის მიწის რესურსების ტერიტორია; C- არის კაპიტალი; L- არის შრომა; (t)- დროის პერიოდია.

[***] სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში საქართველოს მენიერებათა აკადემიის აკადემიკოსების ვლადიმერ პაპავასა და ავთანდილ სილაგაძის მიერ ქართულ ენაში შემოღებული იქნა ტერმინი „მთლიანი სამამულო პროდუქტი“ (იხ.სიახლე ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის - “Gross Domestic Product”- ის ქართული სახელწოდების შესახებ/ ჟ.“ეკონომიკა და ბიზნესი“, 2019,#1,გვ.180-182).

გასათვალისწინებელია, რომ მიმდინარე საუკუნეში (2001-2020 წწ.) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მთლიანი ღირებულების მხოლოდ 1/3 (33.1%) შეადგენდა, ხოლო „ადგილობრივი" ინვესტიციების წილი 2/3-ზე მეტი იყო (66,9%). საქართველოს ეროვნული სიმდიდრის გამსხვილებული კომპონენტების (მიწა, ჰიდრომინერალური რესურსების და ტყეების, ეროვნული ქონების და ადამიანური კაპიტალის გათვალისწინებით - ფინანსური კაპიტალის გამოკლებით) ჯამური ღირებულება ოცდამეერთე საუკუნის II ათწლეულის შუა ხანებში შეადგენდა დაახლოებით 410 მილიარდ აშშ დოლარს, აქედან მიწა - 90 მილიარდ აშშ დოლარს; ეროვნული საკუთრების ელემენტები – 200 მილიარდ დოლარს, ხოლო ადამიანური კაპიტალი – 120 მილიარდ დოლარს. ამის გათვალისწინებით, მიწის საინვესტიციო მოცულობამ შეადგინა 4.0%, ეროვნულმა საკუთრებამ - 10.0%, ხოლო სამუშაო ძალამ (ადამიანურმა კაპიტალმა) - 18.8%. ზოგადად, ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობები იყო:

I (ინვესტიციის მოცულობა) (2001-2020) = 0.22*4.0% + 0.488*10.0% + 0.292*18.8% = 11.3%.

სტატისტიკური ეკონომისტები ჩვეულებრივ ითვლიან ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს, როგორიც არის შეფარდება I/GDP, მაგრამ ის აჩვენებს ინვესტიციების მასშტაბებს ეკონომიკაში როგორც მთელში (რაც ძალიან მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკის თვალსაზრისით) და არა ფაქტორულად. მეოცე საუკუნის პირველ ორ ათწლეულში (2001-2020 წწ.) საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტის საინვესტიციო მოცულობა საშუალოდ 8,9%-ს შეადგენდა. ამასთან, მას მაქსიმალური მნიშვნელობა ჰქონდა 2007 წელს (17,3%); 2001 წელს მისი დონე არ აღემატებოდა 3,4%-ს, ხოლო 2020 წელს, პანდემიისა და მსოფლიო მასშტაბით ბიზნეს აქტივობის შემცირების გამო, ის მხოლოდ 3,9% შეადგენდა - წინა წელთან შედარებით).[****]

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორი უნდა იყოს ქვეყნების ოპტიმალური საინვესტიციო შესაძლებლობები? ამ კითხვაზე პასუხი საკმაოდ რთულია ვინაიდან: პირველ რიგში, ეკონომიკური პროცესების ერთგვაროვნების და მრავალფეროვნების გამო; მეორეც, სახელმწიფოს საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსის და მიმართულების; მესამე, მსოფლიო ეკონომიკის საბაზრო კონიუნქტურის გამო.

აქ პირობითად შეიძლება საწარმოო შესაძლებლობათა ფენომენი (მრუდი) და აი რატომ: ეკონომიკის ზედა წერტილი მიუწვდომელია. მისი მიღწევა შესაძლებელია ინვესტიციების (როგორც შიდა, ასევე გარე) ზრდის პირობებში, მაგრამ ამან შეიძლება გამოიწვიოს როგორც ეკონომიკის გადახურების, ასევე კორუფციის მოვლენები). და აქ ჩნდება კითხვა: რამდენად ადეკვატურია ამ პროცესისთვის ეკონომიკის შესაძლებლობები (მისი ფუნქციონირების ფაქტორები)?

ინვესტიციატევადობის მაჩვენებელი შეიძლება გამოვიყენოთ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ანალიზისას, მაგრამ რადგან ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვა ფაქტორები - ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობიდან დაწყებული, საბაზრო პირობებით (როგორც შიდა, ასევე გარე) დამთავრებული. ამ კუთხით მაჩვენებელია კორელაციის ცვალებადობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიან სამამულო პროდუქტთან (მსპ) მიმართებაში გამოთვლილ ინვესტიციატევადობასა და თავად მსპ-ს ზრდის ტემპს შორის. ასე, 2001 წლიდან 2020 წლამდე პერიოდისთვის ის (სხვაობა ამ მაჩვენებლებს შორის) მერყეობდა - 3.0%-დან 2003 წელს 10.1%-მდე 2020 წელს.

[****] გამოთვლები შესრულდა ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორის იოსებ არჩვაძის მიერ.

რის საფუძველზე მიიღება საინვესტიციო გადაწყვეტილებები? ინტუიციის? ეკონომიკაში ფსიქოლოგიურ ფაქტორზე? ან ირაციონალურ ქცევაზე დაყრდნობით? (Акерлофф Дж., Шиллер Р. 2010). ვფიქრობ, რომ ნაწილობრივ, დიახ. ინვესტიცია, ხომ ეკონომიკაში სუბიექტური ფაქტორის მოქმედებაცაა (მთავრობა, კომპანიები, შინამეურნეობები).

აღსანიშნავია, რომ როგორც საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში, ასევე პრაქტიკაში გამოიყენებოდა მაჩვენებლები – კაპიტალის ინტენსივობა და კაპიტალის უკუგება (Экономическая энциклопедия. Политическая экономия. 1975). მაგრამ უნდა აღინიშნოს ორი გარემოება: ა) ეკონომიკის საბჭოთა მოდელი გულისხმობდა ერთიან ქვეყანას, ე.წ. ერთიან სახალხომეურნეობრივ კომპლექსს, როდესაც ძირითადი საშუალებები (კაპიტალი) იქმნებოდა ცენტრალიზებული დაგეგმვის საფუძველზე; ბ) ფონდები კი იყო სახელმწიფოს საკუთრებაში. აქ არ შევეხები ამ ქონების გამოვლენის ფორმებს, რადგან ეს ცალკე თემაა და სცილდება სტატიის ფარგლებს, მით უმეტეს, რომ ძალიან ხშირად, როგორც ეკონომისტები, ისე იურისტები ერთმანეთში ურევენ ქონების ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებს. ამასობაში სიმართლე, როგორც ყოველთვის, შუაშია: იურიდიული ასპექტი - ვის რა ეკუთვნის, ეკონომიკური - როგორია მატერიალური შედეგი და როგორ ნაწილდება ის.

ეკონომიკის გადახურების შესახებ

როდესაც ადგილი აქვს ეკონომიკის გადახურებას, ზოგიერთ მწარმოებელს (ფირმას) არ შეუძლია ყველა იმ საქონლის მიწოდება, რომელსაც მომხმარებელი ითხოვს. ამან შეიძლება გამოიწვიოს ფასების ზრდა უფრო სწრაფად, ვიდრე სხვაგვარად იქნებოდა. ეკონომიკის გადახურებამ ასევე შეიძლება აიძულოს შინამეურნეობები და ფირმები ზედმეტად ოპტიმისტურად შეხედონ მათი მომავალი შემოსავლის პერსპექტივებს, რის გამოც ისინი აიღებენ დიდ ვალებს. ეკონომიკის გადახურება რეალური საფრთხეა არასტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, განვითარებადი (გარდამავალი) ეკონომიკების, ასევე მაღალი სპეციალიზაციის მქონე რეგიონებისთვის, როდესაც მშპ-ის ზრდა ზედიზედ 2-3 წლის განმავლობაში 8-12 პროცენტია. საშიშროება ის არის, რომ თუ ზრდის ტემპები ძალიან მაღალია, ამა თუ იმ მიზეზით, რომელიც არ არის დაკავშირებული წარმოებასთან, შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც გაუარესდება მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (მაგალითად, ინფლაცია). საქართველოში შეიძლება შეიქმნას მძიმე ვითარება, როდესაც წინა წლების ჩამორჩენის დასაძლევად, საჭირო გახდება მაღალი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს ასევე ეკონომიკის გადახურებას (overheating).

ეკონომიკის გადახურების სიტუაციაში ეკონომიკური ზრდის ტემპი ხდება ფეთქებადი, უკონტროლო, კერძო და საჯარო სექტორის ყველა რესურსის შთანთქვის შემდეგ ის უახლოვდება იმ ხაზს, რომლის მიღმაც შემდგომი მდგრადი ზრდა ამოწურავს თავის თავს და დაიწყება რეცესია. ეკონომიკის გადახურებას წინ უძღვის ზრდის გადაჭარბებული დაფინანსება, ზედმეტად დაკრედიტება, ეკონომიკაში სახელმწიფო სახსრების გადაჭარბებული ინვესტიცია, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი სარისკო პროპორციებს იძენს, ინფლაცია, საგარეო სავაჭრო ბალანსის ღირებულება სულ უფრო და უფრო ნეგატიურ კონტექსტში გადადის ან მკვეთრად მცირდება. ეკონომიკური აგენტები, რომლებიც განჭვრეტენ რეცესიის მოახლოებას, ამჯობინებენ ინვესტირებას ეკონომიკის ისეთ სექტორებში (მაგალითად, უძრავ ქონებაში), ვიდრე ფინანსურ ინსტრუ-

მენტებში (ობლიგაციები, აქციები და ა.შ.). ეკონომიკის გადახურების სიმპტომებს შორის ბევრი ეკონომისტი, ფინანსისტი ხაზს უსვამს გადაჭარბებულ ინვესტიციას ეკონომიკურ ფონდებში (საქონელი და აღჭურვილობა, მომსახურება, კაპიტალი, რომელიც გამოწვეულია ნასესხები ფულის დაბალი ფასით (ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთები), ან მაღალი სამომხმარებლო მოთხოვნით, ან საერთაშორისო ბაზრის პირობებით (ფასის პირობები), ან სპეკულაციური ბუმით, რომელიც გამოწვეულია ახალი საინვესტიციო შესაძლებლობებით მთლიანად ეკონომიკაში ან ცალკეულ დარგებში. ეკონომიკის გადახურებას შეიძლება თან ახლდეს ინფლაციაც და დეფლაციაც (მატერიალური საქონლისა და მომსახურების მიწოდების ზრდის გამო). როგორც წესი, მას (გადახურებას) თან ახლავს ეკონომიკური ზრდის მაღალი (საშუალოზე საკმაოდ მაღალი) ტემპები, სასაქონლო და საფონდო ბაზრების ზრდა, საკრედიტო ფულის ზომიერი ან დაბალი ფასი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკის გადახურება გამოწვეულია საკრედიტო ბაზარზე სახელმწიფოს გადაჭარბებული გავლენით ცენტრალური ბანკის მეშვეობით. ამ პირობებში სახელმწიფოს მიერ მონეტარული პოლიტიკის დაგეგმვა საბაზრო პირობებში ვერ ასახავს ეკონომიკური განვითარების საჭიროებას და ტენდენციებს, რაც იწვევს ბანკის საპროცენტო განაკვეთზე ფოკუსირებული მეწარმეების მიერ კაპიტალის ზედმეტ ინვესტიციას და ფიზიკური პირების მიერ ჭარბ მოხმარებას, რომლებიც ასევე ყურადღებას ამახვილებენ საპროცენტო განაკვეთებზე. და ბოლოს, ეკონომიკის გადახურებას შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური რეცესია, უმუშევრობა და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა. ხოლო ეს უკანასკნელი ამცირებს შინამეურნეობის შემოსავლის დაზოგილ ნაწილს, რაც თავისთავად წარმოადგენს ეკონომიკაში ინვესტიციის წყაროს.

ეკონომიკის გადახურებამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ინვესტიციის გადაჭარბებულ მოცულობას ყველა უარყოფითი შედეგით. ამიტომ სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული ეკონომიკის ზრდისა და ინვესტიციების მოცულობის დაბალანსებაზე.

ეკონომიკაში კორუფციის შესახებ

კორუფცია არის „ქრთამის გამოყენება პოლიტიკოსებზე, საჯარო მოხელეებსა და სხვა ოფიციალურ პირებზე ზემოქმედების მიზნით“ (A Dictionary of Economics. John Black, 1977). კორუფცია ეკონომიკაში ეხება სახელმწიფოს ბოროტად გამოყენებას კერძო სარგებლობისთვის და მის ეკონომიკურ გავლენას საზოგადოებაზე. კორუფციის მაღალი დონის მქონე ეკონომიკებს არ შეუძლიათ ისე აყვავება, როგორც კორუფციის დაბალი დონის მქონე ეკონომიკას. კორუმპირებული ეკონომიკა ასევე ვერ ფუნქციონირებს გამართულად, რადგან ეკონომიკის ბუნებრივ კანონებს არ შეუძლია თავისუფლად ფუნქციონირება. ამის შედეგად, კორუფცია, მაგალითად, იწვევს რესურსების არაეფექტიან განაწილებას, ცუდ განათლებას და ჯანდაცვას ან ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობას, რომელიც მოიცავს არალეგალურ ქმედებებს, ისევე როგორც დაურეგისტრირებელ შემოსავალს ლეგალური საქონლისა და სერვისის წარმოებიდან, რომლებისთვისაც გადასახადები უნდა იქნას გადახდილი, მაგრამ არ გადაიხდება (How Corruption Affects Emerging Economies, 2019).

ინვესტორები, როგორც წესი, ეძებენ სამართლიან კონკურენტულ ბიზნეს-გარემოს, ამიტომ ისინი უმეტესწილად თავს არიდებენ ინვესტირებას ისეთ ქვეყნებში, სადაც კორუფციის მაღალი დონეა. კვლევები აჩვენებს, რომ ქვეყანაში კორუფციის დონესა და მისი გარემოს კონკურენტ-

უნარიანობის საზომებს შორის დადებით კავშირს (The Institutional Economics of Corruption and Reform: Theory, evidence and policy, 2009).

კორუფცია წარმოშობს ეკონომიკის არაეფექტიანობას, რამაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს წარმოების დონეზე. როგორც; პაულო მაუროს 1995 წლის კვლევა (How Corruption Affects Emerging Economies, 2019) აჩვენებს, კაპიტალის დაგროვება, ინვესტიციის სახით, უარყოფითად კორელირებს კორუფციასთან, განსაკუთრებით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან (Wei, Shang-Jin, 2000).

კორუფცია გლობალური ფენომენია, რომელიც იწვევს სიღარიბეს, ხელს უშლის განვითარებას, განდევნის ინვესტიციებს. ის ასევე ასუსტებს სასამართლო და პოლიტიკურ სისტემებს, რომლებიც უნდა მუშაობდნენ საზოგადოებრივი სიკეთისთვის. გასაკვირი არ არის, რომ კანონის უზენაესობა სუსტდება და ხალხის ხმა არ ისმის, მოქალაქეების ნდობა სახელმწიფო მოხელეებისა და ეროვნული ინსტიტუტების მიმართ კლებულობს.

საზოგადოებაში კორუფციის პრობლემა მრავალშრიანი, მრავალდონიანია (სექტორული და ტერიტორიული დონეები). ჩვენს სტატიაში ვაძლევთ ეკონომიკაში წარმოქმნილი კორუფციის ანალიზს (გადასახადების გადაუხდელობის ჩათვლით) (Shevardnadze K., Chechelashvili R., Chocheli V., Khaduri N. 2000), კერძოდ, კორუფციას, რომელიც გამოწვეულია ინვესტიციების დიდი მოცულობის შემოდინებით. თუმცა არის კორუფციის სხვა დონეებიც - სხვადასხვა ორგანიზაციებში (მაგალითად, საბანკო სექტორში) და ა.შ.

კორუფციის დონის (მისი აღქმის) მიხედვით საქართველო 145 ქვეყანას შორის 45-ე ადგილზეა. სიტყვა აღქმა ეხება გამოკითხულ პირთა სუბიექტურ აზრს (და ძალიან პირობითია). ამავე დროს, რა თქმა უნდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებში მკაფიოდ არის განსაზღვრული ამ ფენომენის კონკრეტულ ფაქტებზე სასჯელის დონე და, რა თქმა უნდა, ყველაფერს სასამართლო წყვეტს.

სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის შესახებ

ცნობილია, რომ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს ხელისუფლების ქმედებებს ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნების განსახორციელებლად. ამავე დროს, შეიძლება იყოს გარკვეული განსხვავება ამ კანონების არსსა და გამოვლინების ფორმას შორის. ეკონომიკური პოლიტიკა ასევე არის პრიორიტეტებისა და არჩევანის საკითხი, იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკური პრობლემები მოითხოვს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს, (მაგალითად, ინვესტიციები ინვესტორის თვალსაზრისით, ეს ერთია და მთავრობის თვალსაზრისით, სხვა რამაა. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საინვესტიციო პოლიტიკა, როგორც მისი ორგანული ნაწილი.

საინვესტიციო პოლიტიკა, ამერიკელი პროფესორის უილიამ შარპის (1990 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი) მიხედვით, საინვესტიციო პროცესის განუყოფელი ნაწილია, ინვესტორის მიზნების განსაზღვრის და მისი პრეფერენციების ჩათვლით მოსალოდნელ ანაზღაურებასა და რისკს შორის (Уильям Ф.Шарп, Гордон Дж. Александер, Джеффри В. Бейли, 2016). საინვესტიციო პოლიტიკის ელემენტებია: აქტივების სახეები, რომლებშიც ინვესტორი ახორციელებს ინვესტიციას; საინვესტიციო პორტფელის მართვის აქტივობის ხარისხი; არჩევანი, როგორც ინვესტიციის მიზანი - შემოსავლის გამომუშავება ან აქტივების ღირებულების ზრდა (Ibid - იქვე).

სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა არის ურთიერთდაკავშირებული მიზნებისა და

ღონისძიებების ერთობლიობა ქვეყნის ეკონომიკაში და მის ცალკეულ სფეროებში და დარგებში ინვესტიციების საჭირო დონისა და სტრუქტურის უზრუნველსაყოფად, ეკონომიკის ყველა ძირითადი აგენტების: მოსახლეობის, მეწარმეების და ა.შ., საინვესტიციო აქტივობის გაზრდის მიზნით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტიციები ქვეყნის, როგორც მთელის, თვალ-საზრისით ინვესტიციები მიმართულია გაცვეთილი სამრეწველო, ადამიანური ან ბუნებრივი კაპიტალის შესაცვლელად ან ახლის შესაქმნელად. სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული ინვესტიციების მოზიდვაზე ეკონომიკის ინოვაციურ დარგებში და მის ფარგლებს გარეთ (მეცნიერება, ბიოტექნოლოგია, არქიტექტურა, კომპიუტერები, ავტომობი-ლები, გარე სამყაროსთან ურთიერთქმედება, ეკოლოგია, მედიცინა, რობოტექნიკა).

საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკა (მიკრო დონე) საწარმოს ეკონომიკური და ფინანსური სტრატეგიის ნაწილია. იგი მოიცავს მისი რეალური და ფინანსური ინვესტიციების ყველაზე ეფექტური ფორმების არჩევას და განხორციელებას, რათა უზრუნველყოს მისი განვითარების მაღალი ტემპები და მისი საბაზრო ღირებულების მუდმივი ზრდა. ინვესტიციებმა ხელი უნდა შეუწყოს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, რათა იქნას მოპოვებული საკუთარი ნიშა როგორც საგარეო, ისე შიდა ბაზარზე და ამისთვის აუცილებელია მინიმუმ სამი პირობის დაკმაყოფილება: ა) პროდუქციის მოცულობა; ბ) პროდუქციის ხარისხი; გ) პროდუქციის ერ-თეულის ფასი. პროდუქციის მოცულობის ზრდა შეიძლება მიღწეული იყოს დამატებითი ინვესტიციების ჩართვით (ძირითადი კაპიტალი, ინვესტიციები, ადამიანური კაპიტალი); პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება საბაზრო კონკურენციაზეა დამოკიდებული (პროტექ-ციონისტული პოლიტიკის უარყოფა); ფასი, თავის მხრივ, დამოკიდებულია პირველ ორ ფაქ-ტორზე - რაც უფრო დიდია პროდუქციის მოცულობა, მით უფრო დაბალია ყოველი შემდგომი პროდუქტის ღირებულება (მასშტაბის ეფექტი) და, შესაბამისად, ფასი, რომელიც განსაზღვრავს მოგებას (მიკრო დონეზე). რაც შეეხება მაკრო ასპექტს, ის საბოლოოდ გავლენას ახდენს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ეფექტურობაზე.

ცნობილია, რომ ბაზრის ფუნდამენტური გაურკვევლობა განაპირობებს ხელისუფლების მარეგულირებელი ფუნქციის გაძლიერების აუცილებლობას სხვადასხვა ინსტრუმენტების (პირ-ველ რიგში, საგადასახადო პოლიტიკის) გამოყენებით. რაც შეეხება ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც უნდა განხორციელდეს ოპტიმალური საინვესტიციო პოლიტიკის მიზნით. ასევე, შეიძლება ვისაუბროთ გარკვეულ დივესტიციაზე, რაც ინვესტიციის საპირისპიროა. დივეს-ტიცია (ინგლ. divestment, divestiture) კაპიტალის ინვესტიციების გატანაა, აქტივების ნაწილის ან მთელი კომპანიის გაყიდვაა. დივესტიციის შემთხვევაში, აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები, როგორც წესი, აღემატება მომავალ ფულად ნაკადებს მათი შემდგომი ფუნქციო-ნირებიდან (ცნობილი მაგალითია ფინური ჯგუფი Nokia, რომელმაც 90-იანი წლების დასა-წყისში გაყიდა ქვედანაყოფები, რომლებიც არ ეხებოდან ტელეკომუნიკაციას). ეს ჩვეულებრივ გამოიყენება ფირმების, კომპანიების დონეზე ანუ მიკროეკონომიკის დონეზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას მაკროეკონომიკის, ანუ მთელი ქვეყნის დონეზეც. როგორ? სახელმწიფოს მიერ გატარებული იგივე საგადასახადო პოლიტიკით: უზრუნველყოს ქვეყნის მიერ ყველაზე ხელსაყრელი მოპყრობა იმ ინვესტორების მიმართ, რომლებიც ინვესტიციებს განახორციელებენ ისეთ დარგებში, რომელთა განვითარებითაც სახელმწიფო არის დაინტერესებული. შეიძლება შემედავოთ: ზემოთ მოცემულ პარაგრაფში მე ვაცხადებდი, რომ უარი უნდა ეთქვას პროტექციონისტულ ზომებს პროდუქციის ხარისხის

გაუმჯობესების მიზნით; მაგრამ ამ შემთხვევაში გვაქვს განსაკუთრებული გარემოება - როდესაც სახელმწიფო დაინტერესებულია ოპტიმალური, და არა მაქსიმალური, ინვესტიციების მოზიდვით. ამიტომ აქ შეიძლება გამონაკლისის გაკეთება (გავიხსენოთ ცნობილი აფორიზმი "არ არსებობს წესები გამონაკლისის გარეშე" - ყველა წესს აქვს თავისი გამონაკლისი - რომაელი სტოიკოსი ფილოსოფოსის სენეკას გამონათქვამი).

დასკვნის მაგიერ

ამ სტატიის დაწერის იდეა შედარებით ცოტა ხნის წინ გამიჩნდა, როგორც სახელმწიფოს, ისე ეკონომიკის მეცნიერთა მხრიდან ინვესტიციების მაქსიმალური ოდენობის გაზრდის მნიშვნელობის გამო (მასმედიის წარმომადგენლებიც განზე არ იდგნენ). ამავე დროს, მთავარ პრობლემას ვხედავთ საქართველოსთვის ეკონომიკის შესაბამის სექტორებში - არა მაქსიმალური, არამედ ოპტიმალური ინვესტიციების მოზიდვაში, ინოვაციური მიდგომის გათვალისწინებით. ამიტომაც სტატიაში შემოთავაზებულია ინვესტიციატევადობის მაჩვენებელი, რომელიც, ჩვენი აზრით, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარების დროს.

სტატიის დანართში მოცემულია საქართველოს ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI - პუი) დინამიკის ამსახველი დიაგრამები.

ლიტერატურა:

1. A Dictionary of Economics (1997) John Black. Oxford New York. Oxford University Press. P.251;
2. Папава Владимир. (1993) Государство, рынок и экономика. Препринт. Академия Наук Грузии. Институт экономики им. П. Гугушвили. – 36 С.;
3. J. M.Keynes „The GENERAL THEORY of Employment Interest and Money“. New York Harcourt, Brace and Company, 1936; в русском переводе с.116-120;
4. Акерлофф Дж., Шиллер Р. (2010) Spiritus Animals. М., С.177;
5. Экономическая энциклопедия. Политическая экономия (1975) М., том 2. С.118-119; та же энциклопедия (1980) М., том 4. С. 314-316;
6. A Dictionary of Economics (1977) John Black. Oxford New York. Oxford University Press. P.93;
7, How Corruption Affects Emerging Economies. In: Investopedia (19.05.2019) [cit.2020-03-21]; Ibid.;
9. The Institutional Economics of Corruption and Reform: Theory, evidence, and policy. Cambridge University Press (2009) ISBN 978-0-521-87275-1;
10. The Quarterly Journal of Economics (1995) Volume 110, Issue 3, August, pp. 681-712, https://doi.org/10.2307/2946696;
11. Wei, Shang-Jin (2000) “How taxing is corruption on international investors?”. Review of economics and statistics. 82.1: pp.1-11;
12. Shevardnadze K., Chechelashvili R., Chocheli V., Khaduri N. (2000) PAPAVA INDEXES OF TAX CORRUPTION. Publisher “Company Imperial” Ltd. Tbilisi. – pp.31-47;
13. Уильям Ф. Шарп, Гордон Дж. Александер, Джеффри В. Бейли (2016) Инвестиции. М.: Изд-во Инфра -М., С.780-789;

დანართი



Source: National Statistics Office of Georgia https://www.geostat.ge/en (last seen 9.12.2021)

TABLE №2

DYNAMICS OF FDI IN GEORGIA

(MILLION US DOLLARS)

YEAR	I	II	III	IV	TOTAL
2006	145.2	318.0	332.4	375.5	**1 171.2**
2007	330.8	375.3	470.6	588.0	**1 764.7**
2008	540.1	607.7	136.1	291.3	**1 575.2**
2009	114.5	178.3	179.1	194.9	**666.8**
2010	176.1	211.5	236.8	241.2	**865.6**
2011	222.6	273.1	309.1	329.2	**1 134.0**
2012	312.4	248.0	220.5	267.3	**1 048.2**
2013	291.8	224.1	271.6	251.6	**1 039.2**
2014	331.9	217.6	749.5	538.0	**1 837.0**
2015	343.4	493.2	531.1	361.0	**1 728.8**
2016	392.9	452.6	507.8	300.6	**1 654.0**
2017	413.3	396.6	635.4	535.4	**1 980.8**
2018	329.3	408.1	367.2	212.4	**1 317.1**
2019	317.2	241.2	403.6	373.8	**1 335.8**
2020	171.0	240.3	294.8	-134.2	**572.0**
2021*	131.7	297.7	299.0		**728.4**

Source: National Statistics Office of Georgia https://www.geostat.ge/en (last seen 9.12.2021)

TABLE №3

FDI IN GEORGIA BY COMPONENTS IN 2019-2021

(MILLION US DOLLARS)

	2019				TOTAL	2020				TOTAL	2021*		
	I	II	III	IV		I	II	III	IV		I	II	III
TOTAL	**317.2**	**241.2**	**403.6**	**373.8**	**1 335.8**	**171.0**	**240.3**	**294.8**	**-134.2**	**572.0**	**131.7**	**297.7**	**299.0**
of which:													
Equity	109.6	154.0	268.7	171.6	**704.0**	42.1	130.3	93.1	-236.8	**28.7**	28.4	38.4	16.8
Reinvestment of earnings^	123.3	88.5	239.0	184.2	**635.1**	114.6	133.7	123.2	129.0	**500.5**	72.0	247.9	293.3
Debt instruments^^	84.2	-1.3	-104.1	17.9	**-3.2**	14.3	-23.7	78.5	-26.4	**42.8**	31.3	11.4	-11.0

*Preliminary data.

^ Reinvestment of earnings - difference between profit/loss and dividends.

^^ Debt instruments- includes trade credits and loans.

Source: National Statistics Office of Georgia https://www.geostat.ge/en (last seen 9.12.2021)

TABLE №4

MAJOR INVESTOR COUNTRIES BY Q3 2021

(MILLION US DOLLARS)

	2019				TOTAL	2020				TOTAL	2021*		
	I	II	III	IV		I	II	III	IV		I	II	III
TOTAL	**317.2**	**241.2**	**403.6**	**373.8**	**1 335.8**	**171.0**	**240.3**	**294.8**	**-134.2**	**572.0**	**131.7**	**297.7**	**299.0**
of which:													
United Kingdom	56.8	-22.3	81.1	121.3	**236.9**	72.0	59.2	115.2	56.6	**303.0**	88.4	121.8	60.9
Netherlands	-81.8	65.9	49.6	54.4	**88.1**	21.7	68.8	90.5	19.6	**200.7**	5.6	41.0	59.8
Czech Republic	-11.7	13.6	13.0	2.6	**17.6**	-3.0	0.1	5.7	-9.8	**-7.0**	14.1	30.9	36.0
United States	21.4	27.3	40.7	26.2	**115.6**	30.7	22.6	26.2	18.9	**98.4**	-59.8	0.4	29.6
Turkey	69.0	51.1	-20.6	74.7	**174.2**	13.9	26.2	-3.6	42.6	**79.0**	28.9	22.4	24.2
Malta	-35.4	8.0	15.9	12.7	**1.2**	10.2	19.3	4.5	11.9	**45.9**	-11.9	8.8	15.8
France	2.0	3.7	5.6	8.8	**20.1**	0.2	1.8	1.4	8.4	**11.8**	1.0	3.0	14.5
Seychelles	0.3	0.5	1.6	0.7	**3.1**	0.7	-1.5	0.1	-0.2	**-0.9**	1.6	2.4	13.0
Russia	7.0	7.5	24.7	16.0	**55.2**	14.1	7.0	8.3	9.8	**39.2**	32.0	8.8	12.5
Other countries	289.6	86.0	192.0	56.3	**623.9**	10.4	36.9	46.6	-292.0	**-198.2**	31.8	58.1	32.8

Source: National Statistics Office of Georgia https://www.geostat.ge/en (last seen 9.12.2021)

CHART №2

FDI BY MAJOR INVESTOR COUNTRIES IN Q3 2021*



Source: National Statistics Office of Georgia https://www.geostat.ge/en (last seen 9.12.2021)

TABLE №5

FDI BY ECONOMIC SECTORS IN 2019-2021

(MILLION US DOLLARS)

	2019				TOTAL	2020				TOTAL	2021*		
	I	II	III	IV		I	II	III	IV		I	II	III
TOTAL	**317.2**	**241.2**	**403.6**	**373.8**	**1 335.8**	**171.0**	**240.3**	**294.8**	**-134.2**	**572.0**	**131.7**	**297.7**	**299.0**
of which:													
Financial sector	48.1	-24.3	106.5	141.8	**272.1**	96.6	79.5	129.8	98.4	**404.4**	98.0	139.3	87.1
Energy sector	71.2	87.9	49.4	52.9	**261.4**	-23.4	31.4	34.4	-50.1	**-7.8**	40.8	65.5	69.3
Manufacturing	25.3	41.3	50.8	0.0	**117.3**	5.3	15.9	29.0	-14.6	**35.5**	26.3	50.2	54.8
Transports	27.9	17.6	14.7	-5.2	**55.0**	7.9	3.7	-4.8	6.1	**12.8**	-5.1	-18.2	27.9
Construction	4.9	7.8	-11.5	44.8	**46.0**	-0.5	22.9	-12.7	23.6	**33.3**	2.1	-3.0	16.5
Communications	16.2	4.8	17.3	33.7	**72.1**	13.2	11.2	15.4	10.1	**49.9**	-68.7	-5.0	14.5
Health and social work	2.0	7.7	1.8	7.2	**18.8**	6.3	-1.1	1.6	3.7	**10.6**	12.0	5.4	7.5
Hotels and restaurants	57.8	21.8	36.7	7.0	**123.4**	7.4	-6.1	1.5	-252.4	**-249.5**	-0.9	-1.5	6.9
Agriculture, fishing	1.5	1.2	1.2	2.3	**6.3**	-3.7	5.0	-1.3	-1.8	**-1.8**	0.8	2.2	2.3
Other sectors	62.3	75.3	136.6	89.3	**363.4**	62.0	77.9	101.9	42.9	**284.6**	26.3	62.8	12.1

Source: National Statistics Office of Georgia https://www.geostat.ge/en (last seen 9.12.2021)



Source: National Statistics Office of Georgia https://www.geostat.ge/en (last seen 9.12.2021)

Investment Capacity of the Country Economy (on the Example of Georgia)

Teimuraz Beridze

Doctor of Economic Sciences, Professor,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article discusses the factors of the functioning of the economy - land, capital, labor. Particular attention is paid to the issues of investment in these factors and their capacity. The idea of measuring the investment intensity of the country's economy is proposed – in qualitative and quantitative terms. In the first case, we are talking about the content of investments in industry, agriculture, construction, financial services, non-manufacturing, etc., in the second case, about the volume of these investments. The hypothesis is put forward that excessive investment in the country's economy can cause the economy to overheat, as well as contribute to the emergence of corruption in society and the economy, which slows down its economic growth. The so-called "production possibilities curve" can conditionally act as a limiter of excessive investments in the economy. The upper point located outside the curve of production capabilities (inaccessibility) can be conditionally considered a point indicating the inexpediency of excessive investment.

რეგულირების გავლენის შეფასება პანდემიის დროს

ნესტან გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

საზოგადოების ცხოვრებაში სახელმწიფოს როლის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანი ხდება შესაბამისი საჯარო პოლიტიკისა თუ პროექტების ეფექტიანობის შეფასება და გავლენების ფართო სპექტრის ეკონომიკური ანალიზი. გავლენის შეფასების სისტემები განვითარებულ ქვეყნებში მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად ინერგება, საქართველოში კი ეს პროცესი შედარებით ახალია. 2020 წლის იანვრიდან სავალდებულო გახდა საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული რიგი კანონპროექტების მომზადებისას ეკონომიკური ანალიზის ისეთი მნიშვნელოვანი და საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ინსტრუმენტის გამოყენება, როგორიც არის რეგულირების გავლენის შეფასების (RIA). საქართველოში RIA-ს ამოქმედება მსოფლიოში პანდემიის დაწყებას დაემთხვა და ამან გარკვეულწილად შეაფერხა პროცესის პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელება და გავლენის შეფასების სისტემა რეალური გამოწვევების წინაშე დადგა. პანდემიური კრიზისის პირობებში მიღებული გადაწყვეტილებები და პოლიტიკის ქმედებები განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს როგორც მთლიანად ეკონომიკაზე, ასევე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებსა და დარგების განვითარებაზე. იმისათვის, რომ მიღებული გადაწყვეტილებები მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული და გრძელვადიან კეთილდღეობაზე მიმართული იყოს, პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოითხოვს გავლენის შეფასებების ინტეგრირებას ამ პროცესში და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით გავლენების შეფასების სისტემის პრაქტიკაში ეფექტიანად ამოქმედებას.

საკვანძო სიტყვები: *ეფექტიანობა, კეთილდღეობის ეკონომიკა, რეგულაციების ეკონომიკური ანალიზი, გავლენის შეფასება, რეგულირების გავლენის შეფასება.*

წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება სახელმწიფოს როლი (მთავრობის ზომა[1]) საზოგადოებების ცხოვრებაში, განსაკუთრებით სოციალური დაცვის, ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებით (Ortiz-Ospina & Roser, 2016). ეს კი, თავის მხრივ, დღის წესრიგში აყენებს ეფექტიანობის ცნებას. აქტუალური ხდება შესაბამისი საჯარო პოლიტიკების ეფექტიანობა საზოგადოების კეთილდღეობაზე გავლენის კუთხით და ზოგადად პროექტების ეკონომიკური ანალიზი. ამის შესაფასებლად ვითარდება მე-19 საუკუნიდან დღემდე კეთილდღეობის ეკონომიკისა და ეფექტიანობის კონცეფციები, სახელმწიფო რეგულაციების ეკონომიკური ანალიზის სფერო (economic analysis of law / law and economics) და საჯარო პოლიტიკის გავლენის შეფასების (impact assessment) მეთოდები.

ბოლო ორი წლის განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა ზემოაღნიშნული თემების აქტუალობა, ვინაიდან covid-19-ის პანდემიამ არაორდინალური გამოწვევების წინაშე დააყენა მსოფლიოს ქვეყნები, გაიზარდა მთავრობების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობაც და შესაბამისი გავლენები საზოგადოებაზე. ამ გავლენების ნაწილი ბაზარზე დაკვირვებადი და დათვლადია (მაგალითად, ეკონომიკური გავლენების უმეტესობა: დასაქმება/უმუშევრობა, მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია და ა.შ.), თუმცა, არსებობს არამონეტიზებული გავლენებიც (რიგი სოციალური გავლენები, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებზე, გენდერულ თანასწორობაზე, ბავშვთა უფლებებზე და ა.შ.; ასევე გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის გავლენები და სხვა), რომელთა შეფასება და რაოდენობრივ მაჩვენებლში გამოსახვა რთულია. ამავე დროს, ასეთი არამონეტიზებული გავლენების ყურადღების მიღმა დატოვებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლე-

[1] მთავრობის ზომა სხვადასხვაგვარად განიმარტება, თუმცა, ძირითადად, უკავშირდება სახელმწიფო დანახარჯების წილს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ). (ავტორის შენიშვნა).

მების წინაშე დააყენოს მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობა გრძელვადიან პერიოდში. გარდა ამისა, რისკის ქვეშ დგება მტკიცებულებებზე დამყარებული გადაწყვეტილებები (evidence-based policies), ვინაიდან პანდემიის პირობებში გაიზარდა დაუგეგმავი (ad-hoc) გადაწყვეტილებების რაოდენობა და შემცირდა ამ გადაწყვეტილებების დასაბუთების მაჩვენებელი. ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია ის, რომ covid-19-ის პანდემიის პირობებში მთავრობები გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების მოტივით ვერ ახორციელებენ შესაბამისი პოლიტიკების გავლენის შეფასებებს, თუმცა, მეორე მხრივ, ნათელია ისიც, რომ კრიზისის პირობებში მიღებული სახელმწიფო გადაწყვეტილებები ყველაზე მეტად ახდენს გავლენას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებზე, მოსახლეობაზე, ბიზნესებზე, ჯანდაცვასა და გარემოს დაცვაზე და ზოგადად ქვეყნის მომავალ განვითარებაზე. ეს ყოვლისმომცველი გავლენები, დიდი მასშტაბებისა და მოცულობიდან გამომდინარე, მოითხოვს შესაბამის ანალიზს როგორც ექს-ანტე (წინასწარი), ასევე ექს-პოსტ (შედგომი) შეფასებების ფორმატში. ამაზე მიუთითებს რიგი საერთაშორისო შეფასებები და კვლევებიც. პანდემია არ უნდა გახდეს იმის მიზეზი, რომ საფრთხე შეექმნას მტკიცებულებებზე დამყარებულ გადაწყვეტილებებს. არამედ, პირიქით, აუცილებელია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკის შექმნის პროცესში გაანალიზდეს მდგრადი განვითარების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი სფეროები და მათზე გავლენა შესაბამისი მახასიათებლების მიხედვით. ეს უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას პროცესებში და ხელს შეუწყობს მათ საჭიროებებსა და გრძელვადიან კეთილდღეობაზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებას.

რეგულირების გავლენის შეფასების არსი და მნიშვნელობა

რეგულირების გავლენის შეფასება (RIA[1]) უკეთესი რეგულირების შემადგენელი ნაწილი და მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომის მნიშვნელოვანი ელემენტია. მისი მიზანია, გაანალიზდეს მთავრობის ჩარევის მიზეზები, წარმოდგინდეს შესაბამისი პრობლემის გადაჭრისათვის პოლიტიკის სხვადასხვა ალტერნატივა (მათ შორის, არამარეგულირებელი) და შეფასდეს მათი გავლენები. RIA უზრუნველყოფს მიზნობრივი ჯგუფებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას მარეგულირებელ პროცესში და შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირებას პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. მიუხედავად იმისა, რომ RIA-ს წარმატებით განხორციელება ტექნიკურ და ადმინისტრაციულ გამოწვევებს უკავშირდება, მისი ჩატარება შესაბამის სისტემურ ჩარჩოში ამყარებს მთავრობების შესაძლებლობას, რომ უზრუნველყონ ეფექტიანი და ეფექტური რეგულაციების მიღება[2].

რეგულირების გავლენის შეფასების ამოსავალი პრინციპი არის ის, რომ რეგულაცია/კანონმდებლობა არ არის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი ხელმისაწვდომი გზა/ალტერნატივა და არსებობს როგორც მარეგულირებელი, ასევე არამარეგულირებელი ალტერნატივების ფართო სპექტრი. ალტერნატივების სხვადასხვა არჩევანის განხილვა იძლევს საშუალებას, ვიფიქროთ „ჩარჩოებს მიღმა“ (thinking outside the box) და ამასთანავე უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი. აუცილებელია, რომ შერჩეული ალტერნატივა აკმაყოფი-

[1] შესაძლოა, შეგვხვდეს სხვადასხვა სახელწოდებით: Regulatory Impact Analysis (RIA), Regulatory Impact Assessment (RIA) ან Impact Assessment (IA), Impact Analysis (IA). (ავტორის შენიშვნა).

[2] https://www.oecd.org/regreform/regulatory-policy/ria.htm

ლებდეს პროპორციულობის პრინციპს[1], რაც იმას ნიშნავს, რომ დასახული მიზნების მიღწევისათვის საჭირო ქმედებებს არ უნდა გასცდეს არც ერთი აქტივობა. რეგულირების გავლენის შეფასების სისტემა იძლევა ჩარჩოს საჯარო პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებების გავლენები შეფასდეს სხვადასხვა ასპექტით:

- გავლენების ტიპის/სპექტრის მიხედვით: ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და სხვ.
- გავლენების მასშტაბის მიხედვით: დიდი ან მცირე; გრძელვადიანი და მოკლევადიანი.
- გავლენების სხვა მახასიათებლების მიხედვით: დადებითი ან უარყოფითი; პირდაპირი ან არაპირდაპირი; დისტრიბუციული (გადანაწილებითი) და სპეციფიკური.

ეკონომიკურ გავლენებში მოიაზრება ისეთი საკითხები, როგორიც არის: ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), დასაქმება, უმუშევრობა, ინფლაცია და სხვ.); ბიზნესის (მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების) განვითარება; ადმინისტრაციული ტვირთი (administrative burden) ბიზნესებზე; ფისკალური პოლიტიკა და სახელმწიფო ბიუჯეტი და ა.შ. სოციალური გავლენები მოიცავს სფეროების ფართო სპექტრს, როგორიც არის: სოციალური ინკლუზია და მოწყვლადი (vulnerable) ჯგუფების დაცვა (LNOB პრინციპის[2] დაცვა); გენდერული თანასწორობა; ბავშვთა უფლებები; საზოგადოებრივი ჯანმრთელობა; სოციალური დაცვა; კულტურა; განათლების სისტემა და ა.შ. გარემოსდაცვითი გავლენებიც, თავის მხრივ, მრავალგვარია და გულისხმობს, მაგალითად, კლიმატის ცვლილებებს; განახლებადი და არაგანახლებადი ენერგიის გამოყენების საკითხებს; ჰაერის, წყლისა და რესურსების, ნიადაგის ხარისხის შეფასებებს; ცხოველების დაცვას და სხვა მსგავსი. პირდაპირია გავლენა, რომელიც შესაბამისი ქმედების პირდაპირი შედეგია. ეს ასახავს გავლენას მიზნობრივ ჯგუფებზე (კომპანიები, მომხმარებლები და ა.შ.). არაპირდაპირია გავლენები, რომლებიც გავლენას ახდენს სხვა სუბიექტებზე, რომლებიც შესაბამისი ქმედების პირდაპირ სამიზნე ჯგუფებს არ წარმოადგენს. ეს ძირითადად ეხება გავლენებს მწარმოებლურობაზე, კონკურენტუნარიანობაზე, საბაზრო სტრუქტურის ცვლილებაზე, ინოვაციებსა და სხვ. გარდა იმისა, რომ უნდა განისაზღვროს, თუ ვისზე ექნება გავლენა პოლიტიკის ქმედებას, უნდა გაანალიზდეს ასევე სხვადასხვა ჯგუფებზე შესაბამისი გავლენის შედეგები (მაგ, ეკონომიკის სპეციფიკური სექტორები, მომხმარებლები, რეგიონები). დისტრიბუციული გავლენების ანალიზი ნიშნავს „გამარჯვებულებისა“ და „დამარცხებულების“ განსაზღვრას შესაბამისი პოლიტიკის ალტერნატივის განხორციელების დროს. მაგალითად, რა გავლენა იქნება არსებულ უთანასწორობაზე (მაგ, გენდერული ან ეთნიკური საკითხები), მცირე და საშუალო ბიზნესებსა და დიდ კომპანიებზე, ახლად დაარსებულ საწარმოებსა და დიდხანს ფუნქციონირებად ბიზნესებზე და ა.შ.

RIA-სგან მიღებული სარგებელი მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, იმ კუთხით, რომ იგი მნიშვნელოვნად ამცირებს დაუსაბუთებელი რეგულაციების რაოდენობას და ცვლის საჯარო მოხელეების დამოკიდებულებას პოლიტიკის შექმნის მიმართ. მეორე მხრივ, მისი დანერგვის შედეგად რეგულაციებისგან გამოწვეული დანახარჯების თავიდან არიდება ფულად გამოსახულებაშიც მნიშვნელოვან სიდიდეებს აღწევს და ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც დადებითად აისახება (Renda, 2011), (IFC, MIGA, WB, 2010), (Weigel, 2000).

---

[1] https://ec.europa.eu/info/law/law-making-process/planning-and-proposing-law/impact-assessments_en

[2] „არავინ დარჩეს განვითარების პროცესებს მიღმა“ (LNOB) არის გაეროს დღის წესრიგი „2030“-ის მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ერთ-ერთი პრინციპი და მიუთითებს სიღარიბის აღმოფხვრის, უთანასწორობის შემცირებისა და დისკრიმინაციის დასრულების მნიშვნელობაზე. (ავტორის შენიშვნა).

RIA-ს განვითარება

RIA, როგორც ეკონომიკური ანალიზის სახე, ახალი არის საქართველოსთვის, თუმცა განვითარებული ქვეყნების დღის წესრიგში დადგა ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან (Renda, 2011). ისტორიული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ საჯარო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი რეფორმები განვითარებულ ქვეყნებში სხვადასხვა კრიზისის დროს ხდებოდა. ეს ეხება გავლენის შეფასებების სისტემასაც. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარებული ქვეყნების მთავრობები საჯარო პოლიტიკაში აქტიურად ნერგავენ რეგულირების გავლენის შეფასებებს, რომლებიც წარმოადგენს რეგულაციების ეკონომიკური ანალიზის სახეს.

დიაგრამა 1



წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)

1970-იან წლებში აშშ-ში სახელმწიფო ადმინისტრაციამ დაიწყო ბიზნესებზე რეგულაციების შედეგად დაკისრებული ხარჯების წინასწარი შეფასებები. რამდენიმე წლის შემდეგ კი, ნავთობის კრიზისის საპასუხოდ, აშშ-ში გაჩნდა რეგულირების გავლენის ანალიზის მოდელის პირველი მაგალითი „ინფლაციაზე გავლენის შეფასების“ სახით. ნელ-ნელა RIA გარდაიქმნა მაკროეკონომიკურ მიზნებზე ორიენტირებული საშუალებიდან კეთილდღეობის ეკონომიკაზე ორიენტირებულ საშუალებად და 1980-იანი წლებიდან აშშ-ში სრულყოფილი რეგულირების გავლენის შეფასებები ინერგება. დაახლოებით მსგავსი ისტორიით დაიწყო გავლენის შეფასებები ევროპაშიც. კერძოდ, 1980-იანები წლებიდან დიდ ბრიტანეთში დაინერგა „ბიზნესზე გავლენის შეფასება“ (BIA) და რეგულირებისგან გამოწვეული შესრულების ხარჯების შეფასების (Compliance Cost Assessment) მოდელები, რის ფარგლებშიც საკანონმდებლო ინიციატივების გავლენის შეფასება ხდებოდა ბიზნეს-საწარმოების მიმართ და არა მთლიან სოციალურ კეთილდღეობაზე. 2000-იანი წლებიდან კი ევროკავშირის დონეზე დაინერგა ინტეგრირებული გავლენის შეფასება (IIA), რაც გულისხმობდა ახალი ინიციატივების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენების შეფასებას. 2009 წელს „უკეთესი რეგულირების“ ფარგლებში გამოიცა ევროკომისიის გავლენის შეფასების (IA) სახელმძღვანელო დოკუმენტი (EC, 2009). ევროკავშირის წევრ ცალკეულ ქვეყნებს, თავის მხრივ, აქვთ ასევე სპეციფიკური ეროვნული მიდგომები RIA-ს მიმართ (OECD, 2008). მაგალითად, ჰოლანდიაში აქტუალურია ბიზნესზე გავლენის შეფასება, საფრანგეთში - ბიზნესსა და საჯარო ადმინისტრაციაზე რეგულირების გავ-

ლენა, ბელგიაში - ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი გავლენები. ფინეთში ყურადღება ექცევა ისეთ სფეროებზე გავლენებს, როგორიც არის ბიუჯეტი, ეკონომიკა, გარემოს დაცვა, საზოგადოება და ჯანდაცვა, რეგიონული პოლიტიკა და გენდერული თანასწორობა.

RIA-ს მნიშვნელობა პანდემიის დროს

საჯარო პოლიტიკაში მიმდინარე გამოწვევები მთელი მსოფლიოსათვის საერთო გახადა covid-19-ის პანდემიამ. ქვეყნების უმრავლესობას და მათ შორის, საქართველოსაც ჯერ კიდევ უწევს გადაწყვეტილებების მიღება არაორდინალურ რეჟიმში. ეს კი, თავის მხრივ, რისკის ქვეშ აყენებს RIA-ს სრულყოფილ ჩატარებას. ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია ის, რომ მთავრობები გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების მოტივით ვერ ახორციელებენ შესაბამისი პოლიტიკების გავლენის შეფასებებს, თუმცა, მეორე მხრივ, ნათელია ისიც, რომ კრიზისის პირობებში მიღებული სახელმწიფო გადაწყვეტილებები ყველაზე მეტად ახდენს გავლენას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებზე, მოსახლეობაზე, ბიზნესებზე, ჯანდაცვასა და გარემოს დაცვაზე და ეს ყოვლისმომცველი გავლენები მოითხოვს შესაბამის შეფასებებს. აღნიშნული საკითხი რომ აქტუალური გახდა, ამაზე მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებებიც. მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კვლევის მიხედვით (OECD, 2020), *„ექს-ანტე RIA–ს განხორციელების მოთხოვნისგან გათავისუფლება არ ნიშნავს, რომ ნაჩქარევად მიღებული "საგანგებო" რეგულაციების გავლენები არ უნდა შეფასდეს"*. იმავე ორგანიზაციის შეფასებით (OECD, 2020), გრძელვადიან პერიოდში აღნიშნული საგანგებო რეგულაციების გამჭვირვალე მონიტორინგი აუცილებელი იქნება, რომ შენარჩუნდეს მთავრობის ჩარევის პროგნოზირებადობა ეკონომიკაში. ვინაიდან ექს-ანტე (წინასწარი) გავლენის შეფასებები და საჯარო კონსულტაციების პროცესები გადაიდო, მიღებული გადაწყვეტილებების შემდგომი შეფასებების (ექს-პოსტ) ჩატარება მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მიმართ ნდობის დაბრუნებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს მთავრობების ხარჯვითი პოლიტიკა კრიზისის პერიოდში და გახდეს უფრო ეფექტიანი და მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული (OECD, 2021), რომ „არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა" (LNOB). გავლენის შეფასების საერთაშორისო ასოციაციის (IAIA) შეფასებით (Bancroft, 2020), „*COVID-19 არ არის ლეგიტიმური საბაბი იმისათვის, რომ მთავრობებმა შეცვალონ ან შეამცირონ შესაბამისი გავლენის შეფასებები*".

RIA საქართველოში პანდემიის დროს

საქართველოში რეგულირების გავლენის შეფასების ოფიციალური დანერგვიდან თითქმის ორი წელი გავიდა. ჯერ კიდევ 2014 წელს ასოცირების ხელშეკრულებაში გაჩნდა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ *„მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ რეგულირების ხარისხისა და შესრულების ხელშესაწყობად, მათ შორის, რეგულირების პოლიტიკასა და რეგულირების გავლენის შეფასებაზე ინფორმაციის გაცვლისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით"*. 2020 წლის იანვრიდან კი ოფიციალურად ამოქმედდა ცვლილებები „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში, რასაც მოჰყვა მთავრობის #35 დადგენილების ამოქმედება „რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" და

რეგულირების გავლენის შეფასება სავალდებულო გახდა საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული რიგი კანონპროექტებისათვის. ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული ოცი დასახელების კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადებისას სავალდებულოა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მომზადება. ერთი შეხედვით, ჩამონათვალში მოცემული კანონების სპეციფიკიდან ჩანს, რომ ქვეყნის მიდგომა RIA-ს დანერგვისას აქცენტირებულია უფრო მეტად ბიზნესსა და ეკონომიკაზე, რაც ასევე აღნიშნული იყო როგორც „საქართველო 2020“ სტრატეგიაში[1], ასევე შესაბამის სამთავრობო პროგრამებსა[2] და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებში[3]: *“საქართველოს მთავრობა დახვეწს რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) სისტემას, რომლის მიზანს როგორც ახალი საკანონმდებლო ინიციატივების, ასევე, არსებული საკანონმდებლო აქტების ბიზნესგარემოზე გავლენის შეფასება წარმოადგენს”.* სამთავრობო პროგრამაში 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“[4] და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) 2022-2025 წლების დოკუმენტში[5] აღნიშნულია, რომ *„გაფართოვდება რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტი, რაც მოგვცემს საშუალებას, თითოეული გადაწყვეტილების გავლენა ეკონომიკაზე იყოს წინასწარ გაანალიზებული, შესაძლო ნეგატიური შედეგების თავიდან არიდების მიზნით*“. მთავრობის RIA-ს მეთოდოლოგია ასევე მიუთითებს, რომ სახელმწიფო ინტერვენცია შესაბამისობაში უნდა იყოს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG). ეს უკანასკნელი კი, დღის წესრიგში აყენებს ვალდებულებებს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების ბალანსისთვის[6]. იმისათვის, რომ პანდემიურ კრიზისში მიღებული გადაწყვეტილებები ეფექტიანი და მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული იყოს, აუცილებელია გავლენის შეფასებების ინტეგრირება პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

დასკვნები და რეკომენდაციები

განვითარებულ ქვეყნებში მთავრობის ზომის ზრდასთან ერთად იზრდება ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობა სახელმწიფო რეგულაციების და პროექტების ანალიზისას. მაშინ, როდესაც მსოფლიოს გლობალური დღის წესრიგში ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნები დგას, არ არის გასაკვირი, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ამ სფეროებზე გავლენის შეფასება აუცილებელი ხდება. სახელმწიფოს როლი გლობალური პანდემიის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა, რეგულაციების საჭიროების დასაბუთებები კი გამოწვევების წინაშე დადგა. დღეს უკვე არაერთი საერთაშორიო ორგანიზაცია მიუთითებს, რომ პანდემია არ უნდა გახდეს იმის მიზეზი, რომ საზოგადოებისთის მნიშვნელოვანი სახელმწიფო დონის გადაწყვეტილებების შეფასებები გადავადდეს ან საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მათი საჭიროება. პირიქით, ეს გადაწყვეტილებები საზოგადოების მეტი ჩართულობით და ეკონომიკური მიზანშეწონილობით უნდა დასაბუთდეს.

თუ გადაწყვეტილებები შესაბამისი გავლენების შეფასების გარეშე მიიღება, ეს არასასურველი გამოწვევების წინაშე დააყენებს მთელი საზოგადოების გრძელვადიან კეთილდღეობას, ხოლო მტკიცებულებებზე დამყარებულ გადაწყვეტილებებს მნიშვნელოვანი დადებითი ეფექ-

---

1 http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
2 http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=68
3 https://mof.ge/BDD
4 http://gov.ge/files/68_78941_292978_govprogramme.pdf
5 https://mof.ge/5477
6 https://sdg.gov.ge/main

ტების მოტანა შეუძლია საზოგადოებისთვის - ეს როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და გარემოსდაცვის მიმართულებით შექმნის ბევრ ახალ შესაძლებლობას და მომავალი განვითარების ტენდენციებს.

ყველა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პანდემიის პირობებში მტკიცებულებებზე დამყარებული გადაწყვეტილებების (ექს-პოსტ და ექს-ანტე) პროცესის გაუმჯობესებისთვის რეკომენდებულია:

- საზოგადოების ჩართულობის ზრდა ზოგადად პოლიტიკის შესახებ და განსაკუთრებით, პანდემიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დროს.
- ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენების ანალიზის ჩატარება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს, მათ შორის, ჯანდაცვის სექტორში.
- დისტრიბუციული (გადანაწილებითი) გავლენების ანალიზი სხვადასხვა სოციალური ჯგუფის (ქალები, ბავშვები, ახალგაზრდები და ა.შ.) და ეკონომიკური სუბიექტების (დიდი, საშუალო, მცირე ბიზნესები, სექტორული საწარმოები და ა.შ.) მიხედვით.

აღნიშნული ქმედებების განხორციელება მიზანშეწონილია არა მხოლოდ მთავრობის RIA მეთოდოლოგიის შესაბამისად დამტკიცებული რიგი სექტორული ინიციატივების დროს, არამედ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და მასშტაბიანი გადაწყვეტილებების მიღების დროს ყველა სექტორში, მით უმეტეს, როდესაც ეს გადაწყვეტილებები პანდემიასთან დაკავშირებით მიიღება და გავლენას ახდენს ადამიანის ქცევებზე, განწყობებზე, ეკონომიკურ მდგომარეობასა და ზოგადად გრძელვადიან კეთილდღეობაზე.

ლიტერატურა:

1. Bancroft, D. (2020, June 30). *CURTAILING WORK ON IMPACT ASSESSMENTS DUE TO COVID-19 IS UNJUSTIFIED*. Retrieved December 27, 2021, from https://www.iaia.org/news-details.php?ID=123
2. EC. (2009). *IMPACT ASSESSMENT GUIDELINES*. Retrieved December 27, 2021, from https://ec.europa.eu/smart-regulation/impact/commission_guidelines/docs/iag_2009_en.pdf
3. IFC, MIGA, WB. (2010). *Regulatory Governance in Developing Countries.* International Finance Corporation, Multilateral Investment Guarantee Agency, World Bank. Retrieved December 27, 2021, from https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/27881
4. OECD. (2008). *Building an Institutional Framework for Regulatory Impact Analysis (RIA): Guidance for Policy Makers*. Retrieved December 27, 2021, from https://www.oecd.org/gov/regulatory-policy/buildinganinstitutionalframeworkforregulatoryimpactanalysisriaguidanceforpolicymakers.htm
5. OECD. (2020, September 30). *Regulatory quality and COVID-19: The use of regulatory management tools in a time of crisis*. Organisation for Economic Co-operation and Development. Retrieved December 27, 2021, from https://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/regulatory-quality-and-covid-19-the-use-of-regulatory-management-tools-in-a-time-of-crisis-b876d5dc/#section-d1e1580
6. OECD. (2020, July 27). *When the going gets tough, the tough get going: How economic regulators bolster the resilience of network industries in response to the COVID-19 crisis*. Organisation for Economic Co-operation and Development. Retrieved December 27, 2021, from https://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/when-the-going-gets-tough-the-tough-get-going-how-economic-regulators-bolster-the-resilience-of-network-industries-in-response-to-the-covid-19-crisis-cd8915b1/
7. OECD. (2021, July 9). *Government at a Glance 2021.* Organisation for Economic Co-operation and Development. Retrieved December 27, 2021, from https://www.oecd.org/gov/government-at-a-glance-22214399.htm
8. Ortiz-Ospina, E., & Roser, M. (2016). Government Spending. *Our World in Data*. Retrieved December 27, 2021, from https://ourworldindata.org/government-spending#endnotes

9. Renda, A. (2011). *Law and Economics in the RIA World.* Erasmus University Rotterdam , Intersentia, Mortsel (Belgie). Retrieved December 27, 2021, from hdl.handle.net/1765/22920
10. Weigel, W. (2000). *Why "Regulatory Impact Analysis" and not "Economic Analysis of Law"? Reflections on recent OECD Policy.* University of Vienna, Department of Economics. Retrieved December 27, 2021, from https://homepage.univie.ac.at/wolfgang.weigel/Lehre/Downloads/EAL_versus_RIA.pdf

Regulatory Impact Assessment During Pandemic

Nestan Gaprindashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Student

Since January 2020, it has become mandatory in Georgia to prepare regulatory impact assessment (RIA) on a number of government-initiated bills. The launch of RIA in Georgia coincided with the start of pandemic in the world. Hence, the impact assessment system faced real challenges. In order the decisions of the government to be relevant to the needs of the population and to aim for long-term social well-being, the policy-making process requires the integration of impact assessments into the process and the effective implementation of RIA system with the involvement of stakeholders.

Covid-19 პანდემიის გავლენა უმუშევრობაზე საქართველოში: სტატისტიკური კვლევა

სიმონ გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

მარიამ ოქრუაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

სტატიაში განხილულია Covid-19 პანდემიის გავლენა უმუშევრობის დონესა და რეგიონულ განაწილებაზე საქართველოში. პანდემიამ ყველა ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოში, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა შრომის ბაზარზე, რაც, პირველ რიგში, გამოიხატა სამუშაო ადგილების შემცირებით. გარდა ამისა, პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა განსაკუთრებული ზარალი მიაყენა თვითდასაქმებულებსაც, რომლებიც საქართველოში მეტად დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში გატარდა არაერთი ანტიპანდემიური ღონისძიება, მოსახლეობის ცხოვრების დონე მაინც მნიშნელოვნად შემცირდა. იმისათვის, რომ მოხდეს კორონომიკის კომპლექსური შესწავლა, ამისათვის აუცილებელია გავიანგარიშოთ და გავაანალიზოთ მისი გავლენის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასითებლები უმუშევრობაზე. აღნიშნული მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ის გარკვეულწილად საფუძველი იქნება, როგორც პანდემიის, ასევე პოსტპანდემიურ პერიოდში წარმოქმნილი პრობლემების შესაფასებლად და სათანადო პოლიტიკის გასატარებლად.

კვლევის შედეგად გამოვლენილია უმუშევრობის ტენდენციები საქართველოს ადმინისტაციული რეგიონების მიხედვით, ასევე წარმოდგენილია რეგიონების დაჯგუფება უმუშევრობის საშუალოზე მაღალი და საშუალოზე დაბალი დონეების მიხედვით. ამის შემდეგ გაანგარიშებულია დიფერენცირებული და სპეციფიკური სტატისტიკური მაჩვენებლები, რაც საყურადღებო დასკვნების ფორმულირების საფუძველია.

საკვანძო სიტყვები: *Covid-19 პანდემია, შინამეურნეობა, უმუშევრობის დონე, დაჯგუფება, ადმინისტრაციული რეგიონი.*

კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა დასაქმებისა და უმუშევრობის წონასწორობაზე საქართველოში, რის შედეგადაც კიდევ უფრო დამძიმდა ადამიანთა სოციალური პირობები. ძლიერ შეიცვალა მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრება და გაუარესდა მისი ეკონომიკური მდგომარეობა. მსოფლიოში აქამდე ცნობილი ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისთან ბრძოლის გამოცდილება ნაკლებად რელევანტური აღმოჩნდა. *„ნათელია, რომ COVID-19 პანდემია გლობალური პროცესია და, ამასთან, ისტორიის არმქონე მოვლენაა, რომელიც მრავალასპექტიანია და კომპლექსურ ანალიზს მოითხოვს. ჯერ კიდევ მაღალია გაურკვევლობის (განუსაზღვრელობის) ხარისხი როგორც კონკრეტულ ქვეყნებში, ისე მთლიანად მსოფლიოში" [გელაშვილი, 2020, #10: 65].*

ცხადია, რომ პანდემიამ უმნიშვნელოვანესი ზეგავლენა მოახდინა ცალკეული ინდივიდისა თუ მათი ოჯახების ფინანსურ მდგომარეობაზე, რაც ძირითადად გამოწვეულია შრომის ბაზრის ფუნქციონირების გაუარესებით. სამუშაო ადგილების შემცირება, ბუნებრივია, კრიზისის თანმხლები მოვლენაა. გარდა ამისა, პანდემიის გავრცელების საწყის ეტაპზე დაწესებულმა შეზღუდვებმა ზოგი სექტორი საერთოდ უფუნქციოდ დატოვა, რამაც განსაკუთრებით დააზარალა მომსახურების სფერო და, მათ შორის, ტურიზმი, რაც ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

კორონომიკის უფრო დეტალურად შესწავლის მიზნით მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ მისი გავლენის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასითებლები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, განსაკუთრებით კი - დასაქმებასა და უმუშევრობაზე. მოცემული მაჩვენებლების კომპლექსური სტატისტიკური შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ის გარკვეულწილად საფუძველი იქნება როგორც პანდემიის, ასევე პოსტპანდემიის პერიოდში შექმნილი პრობლემების შესაფასებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს ისეთი პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას, რაც მინიმალურ დროში უზრუნველყოფს ეკონომიკის გაჯანსაღებას.

მსოფლიოში პირველად სამუშაო ძალის გამოკვლევა ჩატარდა 1973 წელს, რაც შეეხება სამუშაო პირობების პირველ გამოკვლევას ის ჩატარდა 1969 წელს, როდესაც მიჩიგანის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაიწყეს დასაქმების ხარისხის გამოკვლევა.[1]

უმუშევრობის სიღრმისეულად შესასწავლად ძირითადად გამოვიყენეთ 3 სპეციალური გამოკვლევის შედეგები და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სამუშაო ძალის გამოკვლევის მეთოდოლოგია, რაც დაფუძნებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებზე. [2] ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანია საქსტატისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული კვლევა **„ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა“**, რომელიც განხორციელდა პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით, კომპიუტერიზებული სატელეფონო ინტერვიუს (CATI) მეთოდით და ასევე ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2021 წლის სამეცნიერო საგრანტო პროექტი **,,COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე“**, რომელიც განხორციელდა ელექტრონულად. აღნიშნული კვლევების შედეგები მეტად მნიშნელოვანია, რადგან ისინი იძლევიან სრულყოფილ ინფორმაციას პანდემიის პირობებში მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილებების შესახებ.

ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევის მიზანია სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღება პანდემიის დროს ბავშვებისა და ოჯახების მდგომარეობის შესახებ. გამოკვლევა მიმდინარეობდა მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის შერჩევის საფუძველზე რამდენიმე ეტაპად. შერჩევის ზომა წარმოადგენს თითქმის 2 000 შინამეურნეობას, რომელიც გარკვეული მაჩვენებლების შედარების შესაძლებლობასაც იძლევა.[3]

რაც შეეხება თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2021 წლის საგრანტო პროექტს ,,COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე“, მისი მიზანი იყო საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტთა შინამეურნეობების ცხოვრების დონის შესწავლა პანდემიის პერიოდში. გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო სამივე საგანმანათლებლო საფეხურის (ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის) 1067 სტუდენტმა და იგივე რაოდენობის მათმა მშობლებმა. აღნიშნული საკითხის შესწავლა ძლიერ მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ სტუდენტებმა მომავალში უნდა

---

1 Eurofound, International Labour Organization, 2019. Working conditions in a global perspective. Geneva, 1974.

2 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამუშაო ძალის გამოკვლევა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/media/39910/სამუშაო-ძალის-გამოკვლევა.pdf

3 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/media/41925/ოჯახებისა-და-ბავშვების-კეთილდღეობაზე-COVID-19-გავლენა-%285-ტალღა%29.pdf

უზრუნველყონ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა, რაც წარმატებული და განვითარებული ეკონომიკის საწინდარია [აბესაძე და სხვ., 2021].

კვლევის ძირითადი შედეგები

გასაგებია, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში სამუშაო ძალის მიწოდება და მოთხოვნა მუდმივ წონასწორობაში ვერ იქნება. პირიქით, ასეთი წონასწორობის მიღწევა იშვიათად ხდება. *ბაზარი მასში მონაწილე აგენტების შესაძლებლობათა თანასწორობას პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფს, ანუ საბაზრო წონასწორობა ირღვევა [პაპავა, 2011: 54].* სწორედ სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის სხვაობა იძლევა ინფორმაციას უმუშევართა რაოდენობაზე. *„ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება სულაც არ ნიშნავს უმუშევრობის აბსოლუტურ არარსებობას. ნებისმიერ შემთხვევაში ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა გარდაუვალია“ [გელაშვილი და სხვ., 2020].* საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, 2020 წელს, პრეპანდემიურ 2019 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე გაზრდილია 17.6-დან 18.5 პროცენტამდე. უმუშევრობის დონის გრძელვადიანი, 11-წლიანი ტენდენცია წარმოდგენილია შემდეგ გრაფიკზე:

გრაფიკი 1: უმუშევრობის დონე საქართველოში, %



წყარო: საქსტატი

როგორც გრაფიკიდან ჩანს, უმუშევრობის დონე 2012-2019 წლებში კლებადი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა, პანდემიამ, რა თქმა უნდა, მასზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა და 2020 წელს უმუშევრობის დონე გაიზარდა 0.9 პროცენტული პუნქტით. ამასთან, უმუშევრობის დონე ქალებზე უფრო მეტად კაცებში გაიზარდა და 20.2% შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.3 პროცენტული პუნქტით მეტია.

რაც შეეხება უმუშევრობის დონეს დასახლების ტიპის მიხედვით, 2020 წელს ქალაქ ადგილებში უმუშევრობის დონემ 20.3% შეადგინა, ხოლო სოფლად - 15.8%. აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის დონე სოფლის ტიპის დასახლებებში, 2019 წელთან შედარებით, შემცირებულია 0.9 პროცენტული პუნქტით, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ სოფლად მოსახლეობის დიდი ნაწილი მიეკუთვნება ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას, რომელთა რიცხოვნობაც

პანდემიის პირობებში კიდევ უფრო მეტად გაიზარდა (ქალაქისგან განსხვავებით, სადაც მათი რიცხოვნობა პირიქით, შემცირდა).

2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში **„ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევის"** ფარგლებში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე (გამოკვლევის პირველი ტალღის შედეგების თანახმად), გამოკითხული შინამეურნეობების 53.0% აფიქსირებს, რომ 2020 წლის მარტიდან მათი შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლები შემცირდა. მათგან 22% აღნიშნავს, რომ შემოსავლები შეუმცირდათ 51-75%-ით, 15%-ის აზრით, შემცირებამ შეადგინა 76–99%, ხოლო 3.4% აფიქსირებს, რომ შემოსავლები საერთოდ აღარ აქვთ (ანუ შეუმცირდათ 100%-ით). აღსანიშნავია, რომ შემოსავლის შემცირების ძირითადად წყაროს წარმოადგენს სამსახურის დაკარგვა, რადგან გამოკითხული შინამეურნეობების თითქმის მესამედში (31.8%) ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური. აღნიშნული მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებისათვის 32.9%-ის ტოლია, ხოლო სოფლად - 30.2% შეადგინა.[1]

შინამეურნეობების 31.9% შემოსავლის შემცირების მიზეზად ასახელებს მუშაობის ადგილის (კომპანია/ბიზნესი), სადაც მუშაობდა შინამეურნეობის წევრი, დახურვას. ქალაქის ტიპის დასახლებაში ეს მაჩვენებელი 38.2, სოფლად კი 24.0%-ია. გამოკითხულთა 23.2% აფიქსირებს, რომ კომპანიას/ბიზნესს შეუმცირდა მოთხოვნა, რომელშიც მუშაობდა შინამეურნეობის წევრი, ან ეკუთვნოდა შინამეურნეობის წევრს. ქალაქში ეს 21.4, ხოლო სოფლად - 25.4%-ია; ასევე, 15.8% აფიქსირებს, რომ შინამეურნეობის წევრს მოუწია საკუთარი კომპანიის/ბიზნესის დახურვა და ეს ქალაქის ტიპის დასახლებაში 16.4, ხოლო სოფლად 15.1%-ია; 7.0 პროცენტი აფიქსირებს, რომ შინამეურნეობის წევრს შეუმცირდა ხელფასი, მათგან ქალაქში - 8.4-ს, სოფლად - 5.3%ს.[2]

რაც შეეხება 2021 წლის მაის-ივნისში შეგროვებულ მონაცემებს (გამოკვლევის მე-2 ტალღის შედეგების მიხედვით), მათ საფუძველზე დადგინდა, რომ 2020 წლის დეკემბრიდან განვლილ პერიოდში, გამოკითხული შინამეურნეობების 37.4%-ს შეუმცირდა საშუალო თვიური შემოსავალი, რაც ქალაქის ტიპის დასახლებაში - 38.2-ს, ხოლო სოფლის - 36.3%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ შემოსავლის შემცირების ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, სამსახურის დაკარგვაა. გამოკითხული შინამეურნეობების 13.9%-მა აღნიშნა, რომ მათი შინამეურნეობის მინიმუმ ერთმა წევრმა დაკარგა სამსახური და ქალაქის ტიპის დასახლებაში ეს მაჩვენებელი 16.3-ის, ხოლო სასოფლო ტიპის - 10.5%-ის ტოლია. გამოკითხული შინამეურნეობების 15.1%-ს შემოსავალი შეუმცირდა 51-75%-ით, 10.4-ს - 76-99%-ით, ხოლო 2%-ს საერთოდ გაუქრა შემოსავალი (ანუ შეუმცირდა 100%-ით).[3]

როგორც მეორე ტალღის კვლევამ აჩვენა, შემოსავლის შემცირების უმთავრეს მიზეზად შინამეურნეობების ნახევარზე მეტმა, ანუ 50.7%-მა დააფიქსირა კომპანიის/ბიზნესის მხრიდან მოთხოვნის შემცირება, რომელშიც მუშაობდა შინამეურნეობის წევრი, ან ეკუთვნოდა შინამეურნეობის წევრს. ქალაქის ტიპის დასახლებაში ეს 47.2, ხოლო სოფლის - 55.8%-ია; 17%-მა

---

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/media/41925/ოჯახებისა-და-ბავშვების-კეთილდღეობაზე-COVID-19-გავლენა-%285-ტალღა%29.pdf

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა. იხილეთ: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/_705/ojakhebisa-da-bavshvebis-ketildgheobaze-covid-19-is-gavlenis-realur-droshi-gamokvlevis-shedegebi

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/705/ojakhebisa-da-bavshvebis-ketildgheobaze-covid-19-is-gavlenis-realur-droshi-gamokvlevis-shedegebi

დააფიქსირა კომპანიის /ბიზნესის დახურვას, სადაც მუშაობდა შინამეურნეობის წევრი, მათგან ქალაქში - 18.4, ხოლო სოფელში - 14.7%-ია; შინამეურნეობების 8.5 პროცენტში მის წევრს შეუმცირდა ხელფასი და ეს მაჩვენებელი ქალაქში 11.9-ს, ხოლო სოფელში 3.3%-ს შეადგენს; შინამეურნეობების 7.3 პროცენტში მის წევრს მოუწია საკუთარი კომპანიის/ბიზნესის დახურვა, მათგან ქალაქის ტიპის დასახლებაში 6.9-ს, ხოლო სოფლად - 7.7%-ს.[1]

2021 წელს განხორციელებული თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგრანტო კვლევითი პროექტის შედეგებით, პანდემიამდე დასაქმებული იყო გამოკითხულ სტუდენტთა 27.5%, მათგან პანდემიის გამო 10.7%-მა დაკარგა სამსახური [აბესაძე და სხვ., 2021]. *სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ მათი შინამეურნეობები საშუალო შემოსავლის მქონე (57%), ან დაბალშემოსავლიანია (43%). ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გამოკითხული სტუდენტებიდან არცერთმა არ აღნიშნა, რომ მათი შინამეურნეობა მაღალშემოსავლიანია [Mindorashvili et al, 2021].* აღნიშნული კვლევის მიხედვით, *პანდემიის პირობებში შეინიშნება შინამეურნეობების ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება განათლებაზე, რაც, რასაკვირველია, უარყოფითად აისახება მომავალი თაობების განათლების დონეზე [გელაშვილი და სხვ., 2021].*

საინტერესო შედეგებს იძლევა ასევე უმუშევრობის დონის ანალიზი მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ქვემოთ მოტანილ გრაფიკზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე 11 ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით:

გრაფიკი 2: უმუშევრობის დონე საქართველოში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, %



წყარო: საქსტატი

წარმოდგენილი გრაფიკიდან ნათლად ჩანს შემდეგი სახის ტენდენცია: პატარა ასაკობრივი ჯგუფებისათვის დამახასითებელია უფრო მაღალი უმუშევრობის დონე, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად მოცემული მაჩვენებელი მცირდება, რაც განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, კერძოდ: 1) 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდების დიდი ნაწილი დაკავებულია სწავლით და 2) მაღალი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ აკმაყოფილებს უმუშევრობის კრიტერიუმებს და მიეკუთვნება სამუშაო ძალის გარეთ მყოფ მოსახლეობას.

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/705/ojakhebisa-da-bavshvebis-ketildgheobaze-covid-19-is-gavlenis-realur-droshi-gamokvlevis-shedegebi

როგორც ჩვენ მიერ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, კორონავირუსის პანდემიამ განსხვავებული ზომით იმოქმედა საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონებზე. ზოგ რეგიონში მოსახლეობა უფრო მეტად დაზარალდა, ზოგში შედარებით ნაკლებად, რაც გამოწვეულია რეგიონში არსებული წამყვანი ეკონომიკური საქმიანობებით, არსებული ადგილობრივი პოტენციალითა და მისი გამოყენების შესაძლებლობებით.

გრაფიკი 3: უმუშევრობის დონე საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით, %



წყარო: საქსტატი

2020 წელს უმუშევრობის დონე საქართველოში 18.5 პროცენტი დაფიქსირდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პანდემიამ უმუშევრობაზე ადმინისტრაციულ რეგიონებში განსხვავებულად იმოქმედა. უმუშევრობის დონე 2020 წელს წინა, 2019 წელთან შედარებით, ყველაზე მეტად გაიზარდა თბილისში (16.3-დან 20.1%-მდე), ქვემო ქართლში (19.4-დან 22.2%-მდე) და აჭარის ა. რ.-ში (17.6-დან 18.7%-მდე); თუმცა, ზოგიერთ რეგიონში შეინიშნება უმუშევრობის დონის შემცირება და ეს ყველაზე მეტად კახეთში დაფიქსირდა (13.5-დან 10.4%-მდე). შემცირდა ასევე მცხეთა-მთიანეთში (21.1-დან 18.3%-მდე), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (34.4%-დან 31.9%-მდე).[1]

უმუშევრობის დონის მიხედვით ადმინისტრაციული რეგიონების დაჯგუფება მოხდა შემდეგნაირად:

პირველი ჯგუფი: რეგიონები უმუშევრობის დაახლოებით საშუალო დონით;

მეორე ჯგუფი: რეგიონები უმუშევრობის საშუალო დონეზე მაღალი დონით;

მესამე ჯგუფი: რეგიონები უმუშევრობის საშუალო დონეზე დაბალი დონით;

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმება და უმუშევრობა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

პირველ ჯგუფში შედიან რეგიონები უმუშევრობის დაახლოებით საშუალო დონით. ესენია: აჭარის ა. რ., სადაც უმუშევრობის დონე 18.7 პროცენტია, რაც საშუალო მაჩვენებელზე 0.2 პროცენტული პუნქტით მეტია. მას მოსდევს მცხეთა-მთიანეთი, სადაც უმუშევრობის დონე 18.3 პროცენტია და საშუალო მაჩვენებელზე 0.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება რეგიონები უმუშევრობის საშუალო დონეზე მაღალი დონით. ესენია: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სადაც უმუშევრობის დონე 31.9 პროცენტია და საშუალო მაჩვენებელზე მეტია 13.4 პროცენტული პუნქტით; ქვემო ქართლი, სადაც უმუშევრობის დონე 22.2 პროცენტია და საშუალო მაჩვენებელზე 3.7 პროცენტული პუნქტით მეტია; თბილისი, სადაც უმუშევრობის დონემ 20.1 პროცენტი შეადგინა და საშუალო მაჩვენებელზე მეტია 1.6 პროცენტული პუნქტით; შემდეგ მოდის შიდა ქართლი, სადაც უმუშევრობის დონე 20.0 პროცენტია და საშუალო მაჩვენებლს აღემატება 1.5 პროცენტული პუნქტით, ასევე იმერეთი, სადაც უმუშევრობის დონე 19.8 პროცენტია და საშუალო მაჩვენებელზე 1.3 პროცენტული პუნქტით მეტია.

მესამე ჯგუფში მოხვდნენ ის რეგიონები, რომლებში ამ მაჩვენებლით შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, ანუ უმუშევრობის საშუალოზე დაბალი დონეა. ესენია: კახეთი, სადაც უმუშევრობის დონე 10.4 პროცენტია და საშუალო მაჩვენებელზე 8.1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია; ასევე, სამცხე-ჯავახეთი, სადაც უმუშევრობის დონე 11.4 პროცენტია და საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია 7.1 პროცენტული პუნქტით; შემდეგ მოდის გურია, სადაც უმუშევრობის დონე 15.4 პროცენტია და საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია 3.1 პროცენტული პუნქტით და სამეგრელო-ზემო სვანეთი, სადაც უმუშევრობის დონე 15.9 პროცენტია და საშუალო მაჩვენებელზე 2.6 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში კორონავირუსის პანდემიამ ეკონომიკის ზოგი სექტორი ფაქტობრივად უმოქმედოთ დატოვა, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა შრომის ბაზრის ფუნქციონირება. ამან კი ხელი შეუწყო უმუშევრობის ზრდას. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად გაამწვავა არსებულმა მკაცრმა შეზღუდვებმა და პერიოდულმა ჩაკეტვებმა როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე ლოკალური მასშტაბით.

2020 წელს უმუშევრობის დონე, 2019 წელთან შედარებით, გაზრდილია 0.9 პროცენტული პუნქტით. მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების კლასიფიკაცია უმუშევრობის დონის მაჩვენებლით. გასაგებია, რომ ამ ნიშნით, ყველაზე რთულ რეგიონებს მიეკუთვნება ის რეგიონები, სადაც უმუშევრობის საშუალოზე უფრო მაღალი დონეა. ესენია: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ქვემო ქართლი, თბილისი, შიდა ქართლი და იმერეთი.

2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში **„ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევის"** ფარგლებში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელთა ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური 2020 წლის მარტის შემდგომი პერიოდიდან, შეადგენს 31.8%-ს, მათ შორის ქალაქის ტიპის დასახლებაში - 32.9-ს, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებაში - 30.2%-ს. რაც შეეხება 2021 წლის მაისი-ივნისში შეგროვებულ მონაცემებს, მათ საფუძველზე დგინდება, რომ 2020 წლის დეკემბრიდან განვლილ 6 თვეში შინამეურნეობების 13.9%-ში ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური, მათ შორის ქალაქის ტიპის დასახლებაში - 16.3-მა, ხოლო სოფლის ტიპის

დასახლებაში - 10.5%-მა. მოცემული მაჩვენებლების მკვეთრი ცვლილება ძირითადად გამოწვეულია პანდემიის გამო პირველ ეტაპზე დაწესებული მკაცრი შეზღუდვებით.

იმისათვის, რომ ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა შენარჩუნდეს და შრომის ბაზრის ფუნქციონირება გაუმჯობესდეს, რაც ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის აუცილებელია, **მიზანშეწონილია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:**

- მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება და ქვეყანაში არსებული სხვადასხვა პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება;
- კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
- რეგიონების ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება და ადამიანისეული კაპიტალის რაციონალურად გამოყენება;
- მეცნიერებისა და განათლების ხელშეწყობა, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა;
- ქვეყანაში რეალური სექტორის, ანუ ისეთი დარგების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ აღმავლობას, რადგან საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულებამ იმპორტზე, ასევე მომსახურების სფეროზე, ფაქტობრივად სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა.

მოცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს პანდემიის შედეგად გამოწვეულ ეკონომიკურ დანაკარგებს და ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ლიტერატურა:

1. აბესაძე ნ., მინდორაშვილი მ., ქუცურუა ქ. (2021). პანდემიის პერიოდში სტუდენტების დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური კვლევა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბილისი.
2. აბესაძე რ. (2014). ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი.
3. გელაშვილი ს. (2020). კორონასტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის ფორმირების შესახებ. ჟურნ. ,,გლობალიზაცია და ბიზნესი“, #10.
4. გელაშვილი ს., მაკალათია ი., მიქელაძე გ. (2020). ცხოვრების დონის სტატისტიკა (ელ. ვერსია, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა).
5. გელაშვილი ს., ოქრუაშვილი მ., ფანცულაია ნ. (2021). COVID-19 პანდემიის პირობებში სტუდენტთა შინამეურნეობების ხარჯების ცვლილებების სტატისტიკური კვლევა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბილისი.
6. პაპავა ვ. (2011). არატრადიციული ეკონომიკსი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.researchgate.net/publication/320548098_aratraditsiuli_ekonomiksi
7. Mindorashvili M., Abesadze N., Gelashvili S. (2021). Program-methodological issues of the statistical study of the impact of COVID-19 on the standard of living of the population. Proceedings of the Paata Gugushvili Institute of Economics International Scientific Conference “Economic, Social, Ecological and Technological Challenges of the XXI Century”. Tbilisi.
8. Eurofound, International Labour Organization (2019). Working conditions in a global perspective. Geneva.

9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა.
ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/media/41925/ოჯახებისა-და-ბავშვების-კეთილდღეობაზე-COVID-19-გავლენა-%285-ტალღა%29.pdf
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/705/ojakhebisa-da-bavshvebis-ketildgheobaze-covid-19-is-gavlenis-realur-droshi-gamokvlevis-shedegebi
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამუშაო ძალის გამოკვლევა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/media/39910/სამუშაო-ძალის-გამოკვლევა.pdf
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმება და უმუშევრობა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

Impact of the Covid-19 Pandemic on Unemployment in Georgia: A Statistical Research

Simon Gelashvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Oqruashvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article discusses the impact of the Covid-19 pandemic on the unemployment rate and regional distribution in Georgia. The pandemic has had a significant negative impact on the labor market in all countries, including Georgia, which has been reflected primarily in job losses. In addition, the restrictions imposed due to the pandemic have caused particular damage to the self-employed, who are present in large numbers in Georgia. Although a number of anti-pandemic measures were taken in the country, the living standards of the population were still significantly reduced.In order to make a complex study of Coronomics, it is important to calculate and analyze the quantitative and qualitative characteristics of its impact on unemployment. Statistical analysis of these indicators is extremely important as it will be to some extent a basis for assessing both pandemic and post-pandemic problems and implementing appropriate policies.

As a result of the research, unemployment trends are revealed according to the administrative regions of Georgia, as well as the grouping of regions according to above-average and below-average unemployment levels. Differentiated and specific statistical indicators are then calculated, which is the basis for formulating cautious conclusions.

Keywords: *Covid-19 pandemic, household, unemployment rate, grouping, administrative region.*

რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდულობა COVID-19 პანდემიის პირობებში

რევაზ გველესიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ირინა გოგორიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემათა მეცნიერული განხილვის საფუძველზე მიღებულ შედეგებს ვერც ერთი პოლიტიკოსი გვერდს ვერ აუვლის როგორც მიზნების ფორმირების, ასევე მათი მიღწევის საშუალებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას. ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების მეცნიერულად გადაჭრის შედეგი ცოდნის სახით გვეძლევა შემდეგ საკითხებზე:

- *თუ რა სახის დამოკიდებულებაა დასახულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებს შორის;*
- *რა ინსტრუმენტებს ვფლობთ ამ მიზნების მისაღწევად;*
- *რა თანმხლები მოვლენები მოჰყვება ცალკეული ინსტრუმენტის გამოყენებას;*
- *გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების ლოგიკიდან გამომდინარე რა დამხმარე საშუალებების გამოყენებაა შესაძლებელი დასახული მიზნების მისაღწევად.*

რამდენადაც ამგვარი ცოდნა პოლიტიკოსის აზრით სანდოობის გარკვეული ხარისხით სარგებლობს, ამდენად იგი მას იყენებს კიდეც თავისი მოქმედების მომზადების პროცესში. მის წინაშე (გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი პრობლემის სახით) წამოიჭრება ხოლმე საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ასეთი ცოდნის მიღება და მისი შეფასება.

საკვანძო სიტყვები: *რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და ინსტრუმენტები, წესრიგის პოლიტიკა, გადაწყვეტილებების მიღება, გადაწყვეტილებების გამტარებლები, COVID 19 პანდემია*

ჰერბერტ გირშმა (Giersch, 1961/90, გვ. 22) იდეალურად რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა შემდეგნაირად დაახასიათა: „...პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია მიზანთა გლობალური, კარგად გააზრებული და შინაგანად გაწონასწორებული სისტემის განხორციელებაზე, რომელიც წარმატების იმ უმაღლეს დონეს გვიჩვენებს, რისი მიღწევაც შესაძლებელია არსებულ გარემოებებში“.

მოცემული განსაზღვრება ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებებს იმ ლოგიკის საფუძველზე წარმოგვიდგენს, რომელიც ტრადიციულად ეკონომიკურ მოძღვრებას ახლავს. ამ ლოგიკის მიხედვით უნდა არსებობდეს აუცილებელი მახასიათებლები, რომლებიც გადაწყვეტილების ელემენტების ანალიზსა და მათ შედარებას რეალურ შესაძლებლობებთან მისაღწევს გახდის.

ობიექტურ რაციონალურობაზე ორიენტირებული გეგმის არჩევა არ ნიშნავს იმას, რომ ინტერვენციის წესები და დაგეგმვის ჯერ კიდევ გასაანალიზებელი საფეხურები „იდეალთან“ მიახლოვების საშუალებად მივიჩნიოთ. ასეთი რამ შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ პრინციპულად შეუმოწმებადი ვარაუდის საფუძველზე. ამ შემთხვევაში უნდა დაგვეშვა, რომ გადაწყვეტილების საფუძველთა ყოველი გაფართოება აუცილებლად აუმჯობესებს გადაწვეტილების მიღებას, და როგორც წესი, „იდეალთან“ გვაახლოვებს. ასეთი ვარაუდი ერთობ ბუნდოვანია და არ სა-

ბუთდება. ობიექტური რაციონალურობის მოთხოვნაზე ორიენტირება აუცილებელია იმისათვის, რომ:

- უკეთ შევძლოთ იმ საზღვრების იდენტიფიცირება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია არსებული ცოდნის საფუძველზე ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების გადაწყვეტა;
- სისტემური მიდგომის საფუძველზე გამოვნახოთ გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების დამხმარე საშუალებები, რომლებიც მათი შეზღუდულობის გამო ყოველთვის სუბიექტურად რაციონალურია.

რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის დამახასიათებელი თავისებურებები

რაციონალურობის განსაზღვრებიდან გამომდინარე მიზანთა სისტემა „გლობალური“ უნდა იყოს. ეს ასეა რადგან ეკონომიკური პოლიტიკისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზნებს შორის უამრავი ვერტიკალური და ჰორიზონტალური დამოკიდებულება არსებობს. თუ ეს მოთხოვნა არ გავითვალისწინეთ, მაშინ წინასწარ იქნება დაპროგრამებული გაუაზრებელი მოქმედების შედეგებთან დაკავშირებული ცდომილებები. ამიტომაც რეალურ სიტუაციაში ყოველთვის არსებობს იმის რისკი, რომ მოქმედების გარკვეული შედეგები გაუთვალისწინებელი დარჩება. ამავე დროს იმის მცდელობა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ყველა ინდივიდუალური გადაწყვეტილება მიზანზე ყველასთვის მისაღები ზემოქმედებისკენ მივმართოთ - ძალზე ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცედურა იქნება. შესაძლოა, უფრო მისაღები და შემამსუბუქებელი საშუალება იყოს ის, რომ გადაწყვეტილების პროცესი მრავალსაფეხურიანი გავხადოთ. ამისათვის კი აუცილებელია გრძელვადიანი კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოქმედების ესა თუ ის შესაძლებლობა წინასწარ ავირჩიოთ. სწორედ ამას ნიშნავს კონცეფციის მიმართ კონფორმულობა. იგი გულისხმობს, რომ ჩამოყალიბებულია ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი კონცეფცია, რომელიც გლობალურ საზოგადოებრივ მიზნებთან დამოკიდებულებაში ეკონომიკის, როგორც ქვესისტემის ფორმირებისა და სტატუსის თაობაზე საკმაოდ გრძელვადიან პოლიტიკურ კონსენსუსს ემყარება. ამგვარი კონცეფციის განვითარება და მისთვის ხანგრძლივი არსებობის პირობების უზრუნველყოფა წესრიგის გლობალური პოლიტიკის ამოცანაა. იგი აუცილებლად რაციონალურობის მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს (გველესიანი, გოგორიშვილი, 2018, გვ.148). რაკი რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრების ელემენტები „კარგად გააზრებული“ და „შინაგანად გაწონასწორებულია“, შესაძლებელი ხდება მიზნებს შორის დამოკიდებულებების სათანადოდ გათვალისწინება. კარგად გააზრებული (თანმიმდევრული) ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს, რომ სწორად შევაფასოთ მიზნებს შორის კონფლიქტები და ანტინომიები თავიდან ავიცილოთ. სისტემის ელემენტები შინაგანად გაწონასწორებულია თუ ნაპოვნია ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებს შორის მაქსიმალურად შესაძლებელი კომპრომისი. ამისათვის კი საჭიროა, რომ ცალკეული მიზანი მხოლოდ გარკვეულ დონეზე იქნეს რეალიზებული. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ მიზანთან შემდგომი მიახლოების დამატებითმა ხარჯებმა შესაძლო პოზიტიური გვერდითი მოვლენების ჩათვლით არ გადაფაროს მისი რეალიზებით მიღებული უკუგება. ასეთი რამ მოსალოდნელია, რადგან საშუალებათა გამოყენება ყოველთვის დაკავშირებულია, როგორც რესურსების დანახარჯებთან (პირდაპირი ხარჯები), ისე ,,კონკურენტ მიზნებზე” შესაძლო ნეგატიურ ზემოქმედებებთან (არაპირდაპირი ხარჯები). ამავე დროს, საშუალებათა სხვა-

დასხვა კომბინაციებიდან ისეთი უნდა შევარჩიოთ, რომელიც დასახულ მიზანთან დამოკიდებულებაში ყველაზე მეტ სარგებელს მოგვცემს. ამგვარი პრაგმატული გადაწყვეტილება კი მიზნის ოპერაციონალიზების გარდა ზემოქმედებებისა და გვერდითი მოვლენების ცოდნასაც გულისხმობს. მათ შესახებ ინფორმირებულობა კი იგივე არ არის, რაც ღირებულებების შეფასების პრობლემა. ის პოზიტიური ცოდნის მიღების პრობლემა და მეცნიერული პროგნოზირების ამოცანაა. ეს კი შემეცნების საგნის სტრუქტურიდან გამომდინარე შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყდეს. ასეთ გადაწყვეტას გრძელვადიან შედეგებზე პრეტენზია არ ექნება. ცოდნის მიღების პრობლემას შეფასების პრობლემაც ემატება, როცა საქმე ეხება საშუალებებსა თუ საშუალებათა კომბინაციებს შორის შედარებას. იგი ეკონომიკური პოლიტიკის ხარჯებისა და სარგებელის ანალიზთან არის დაკავშირებული.

ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება გულისხმობს, რომ იდეალურ შემთხვევაშიც კი უნდა ამოვიდეთ არა გარანტირებული, არამედ სავარაუდო პოლიტიკური შედეგებიდან. ასეთი ვარაუდი კი მიუხედავად მისი სუბიექტური ხასიათისა, არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემის შეუსაბამო გამარტივებას. სწორედ ეს არის ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების ხელოვნება.

ამრიგად, წარმატების ხარისხი დამოკიდებულია არა გამოყენებული თეორიების რაოდენობაზე, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული გამტარებლის სტრატეგიულ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია:

- ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების უამრავ გამტარებელს შორის კოორდინაციის პრობლემა;
- იმ ინდივიდებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ზეგავლენა, რომლებიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობენ;
- ეკონომიკური სუბიექტები, რომელთა ქცევამაც ზეგავლენა უნდა განიცადოს, ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების მოლოდინის საფუძველზე მოღვაწეობენ (Streit, 2005, გვ. 350).

მაქსიმალური წარმატების მიღწევა მიზანთან მიახლოვების ხარისხის მიხედვით ხდება. მიზნის ოპტიმიზაცია კი რეალური შესაძლებლობების საფუძველზე რაციონალურობის პრინციპთან ჰარმონიზების საშუალებასაც გვაძლევს. თუ მიზნის ოპტიმიზაციისას პრობლემის საუკეთესოდ გადაწყვეტას ვცდილობთ, მაშინ არეალის სწორი ამორჩევის შემთხვევაში ითვლება, რომ პრობლემა დამაკმაყოფილებლადაა გადაჭრილი. ამასთან, მიზნის ,,ცვლადი" იმ არეალშია, რომელიც შემოსაზღვრულია მისი მიღწევის ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი დონეებით. ასევე შესაძლებელია, რომ არეალს მიზნის მიღწევის აღნიშნული დონეების კომბინაციის სახე ჰქონდეს. რაციონალურობის პრინციპიდან გამომდინარე შესაძლებელია დამაკმაყოფილებელი და საუკეთესო შედეგების გაერთიანება. რაციონალური მოქმედების შეზღუდულობის გათვალისწინებით მისაღებია პრობლემის გადაწყვეტაზე პრეტენზიის შერბილება. გადაწყვეტილების გამტარებელს გადაწყვეტილების მიღების ველი ესაჭიროება. კონკრეტულ შემთხვევაში, რაც უფრო მცირედ ფასდება ამგვარი ველის სწორად ჩამოყალიბების შესაძლებლობა, მით უფრო სავარაუდოა, რომ მიზნის და სიტუაციის შესაბამისი ფორმულირებები მივიღოთ.

ეკონომიკური პოლიტიკის სუბიექტის მიერ წინასწარ მართვის შედეგების გამოცნობა, ეკონომიკური პოლიტიკის მოვლენას ენდოგენურ ელემენტად აქცევს. ეს მართვის მცდელობას (პოლიტიკის რეაქცია) არა მარტო სტიმულს აძლევს, არამედ სუბიექტი მას ნაწილობრივ წინასწარ ჭვრეტს კიდეც. ზემოქმედების პროგნოზის შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ეკონომი-

კური სუბიექტები მართვის მცდელობებზე (ისტორული ნიმუშების მიხედვით) მექანიკურად რეაგირებენ. ამ შემთხვევაში პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად იცვლება ქცევის ძველი წესებიც. სწორედ ამაშია იმ შეზღუდვის არსი, რომელიც ამ სახის რეაქციაზეა დაწესებული (ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა იმ მოდელებში, რომლებსაც საფუძვლად უდევს რაციონალური მოლოდინის თეორია (Lucas,1976).

ზემოქმედების პროგნოზის შედგენისას შეზღუდვა, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია დამკვიდრებული მაკროეკონომიკური მოდელის გამოყენების წინააღმდეგ (ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის გათვალისწინებით). განვითარებულ ქვეყნებში (გლობალური კრიზისის დაწყებამდე) ამგვარი მცდელობები არსებითად ეკონომიკური პოლიტიკის ,,რუტინას" დაუახლოვდა. ამან საგრძნობლად გაზარდა კერძო ეკონომიკური სუბიექტების შესაძლებლობა, რომ მათ პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკისა და მის შედეგების თვალსაზრისით გარკვეული გამოცდილება დაეგროვებინათ. ამის საფუძველზე მათ ჩამოაყალიბეს რაციონალური მოლოდინის ტენდენციები (Gäfgen, 1986, გვ.5). მაგალითად, მათ მიიღეს გამოცდილება იმის შესახებ, რომ ეკონომიკის (ბიზნეს აქტივობის) გაჯანსაღების ღონისძიებებს ინფლაციური შედეგები მოჰყვება. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ გააქტივებული მოთხოვნის ზრდა (თუ მისი ნაწილობრივი განეიტრალება არ მოხდა) როგორც წესი, უარყოფითად მოქმედებს, როგორც სასაქონლო ისე შრომის ბაზარზე. ეკონომიკური პოლიტიკის აქტივობის დაქვეითება ინვესტორებს აფრთხობს, რაც დაქვეითებას კიდევ უფრო აჩქარებს. ამის დასტურია ინვესტიციების, წესად ქცეული, საგადასახადო სტიმულირება. რაციონალურ მოლოდინის შემთხვევაში არსებობს იმის საფრთხე, რომ სტაბილიზაციის პოლიტიკამ ხელშემწყობი გარემოებების ეფექტიანობა შეამციროს ან/და ისინი კონტრპროდუქტიული გახადოს.

ასე, რომ რაციონალური ჰიპოთეზების ან/და რაციონალური მოლოდინის ტენდენციათა ემპირიული მნიშვნელობა თუ აბსოლუტურად გაუგებარი არა, ძალზე საკამათო მაინც არის (Schiller, 1978; Kirchgässner, 1985; Gäfgen, 1986). ამ მხრივ გასათვალისწინებელია, რომ ა) მართვის ცოდნა კერძო ეკონომიკურ სუბიექტებს შორისაც ვრცელდება; ბ) მათ უნარი შესწევთ შეაფასონ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესი და გ) აქედან გამომდინარე, შესაძლებლობებზე წინასწარ შემუშავებული პოზიციებით იმოქმედონ. ამ პირობებს, რა თქმა უნდა, ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების ყველა სფერო ერთნაირად ვერ დააკმაყოფილებს. ამავე დროს, მოლოდინის ფორმირების პროცესს ერთჯერადი ან ხელისუფლების მიერ პერიოდულად განხორციელებული ინტერვენციები აფერხებს. მიუხედავად ამისა, რაციონალური მოლოდინის არგუმენტი მნიშვნელობას მაინც ინარჩუნებს. როგორც კი გავითვალისწინებთ, რომ კერძო ეკონომიკური სუბიექტები ცდილობენ წინასწარ განჭვრიტონ პოლიტიკური გადაწყვეტილებები და მათგან გამომდინარე შედეგები, მაშინვე საეჭვო ხდება მათი ქცევის სტაბილურობა. ეკონომიკური პოლიტიკისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ საბაზისო ცოდნა (რომელიც „რუტინასთან" შედარებით ისედაც მწირია) მართვის ერთჯერადი თუ არარეგულარული მცდელობების შემთხვევაში კიდევ უფრო მცირდება.

ადამიანები საზოგადოდ თავიანთი წარმატებისა თუ წარუმატებლობის გამოცდილებაზე სწავლობენ. ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვასთან დაკავშირებით გონივრულია, რომ ახალი გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გამოცდილება გავითვალისწინოთ. ეს კი წინასწარ გულისხმობს იმას, რომ წარსულში გატარებული ეკო-

ნომიკური პოლიტიკა არის კრიტიკულად გასაანალიზებელი. ეს არის ერთადერთი გზა იმის გასაგებად, თუ:

- რამდენად მოხერხდა დასახული მიზნის მიღწევა;
- დაგვიანებით ხომ არ გაირკვა, რომ ამა თუ იმ მიზნის მიღწევა შეუძლებელია;
- ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამა ნაწილობრივ ანდა მთლიანად მცდარ საფუძველს ხომ არ ემყარებოდა;
- რა ფაქტობრივი პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები გამოიწვია პროგრამის რეალიზებამ;
- რატომ მოხდა პროგრამის მხოლოდ ნაწილობრივი რეალიზება;
- რამდენად დააზიანა ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული გეგმა სხვა ეკონომიკურ სუბიექტთა მოქმედებამ და რეაქციებმა (გველესიანი, გოგორიშვილი, 2018, გვ.164-165).

აღნიშნული საკითხები სისტემურად და მიუკერძოებლად უნდა შეაფასონ დამოუკიდებელმა საექსპერტო ინსტანციებმა.განვითარებულ ქვეყნებში გადაწყვეტილებათა გამტარებლები,როგორც მათი პუბლიკაციებიდან ირკვევა ხოლმე, წარუმატებლობის პოლიტიკურ მიზეზებს ნაკლებად ეხებიან. საპირისპირო მდგომარეობა გვაქვს განვითარებად ქვეყნებში. ამასთან, გადაწყვეტილების გამტარებელთა მოკლევადიან პერიოდებში შეცვლა გამოცდილების პროცესის წყვეტას იწვევს. ჩვეულებრივ, არც იმის მოლოდინი უნდა გვქონდეს, რომ ოპოზიცია მოგვაწვდის სიტუაციის ობიექტურ ანალიზს (თუმცა კონტროლის ფუნქცია მას ეკისრება). როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა ცდილობდეს ისეთ ორგანოდ წარმოგვიდგეს, რომელიც ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში არსებით მონაწილეობას ღებულობს და შესაბამისად ყველაფერზეა პასუხისმგებელი. ამასთან, წინა საფეხურზე უნდა წამოვწიოთ პასუხისმგებლობის საკითხი ინსტიტუციების ეფექტიან მუშაობასთან დაკავშირებით. აუცილებელია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის მრჩეველები, ექსპერტები და მოწვეული სპეციალისტები თავიანთ წილ პასუხისმგებლობას ინაწილებდნენ.

შედეგის კონტროლის თვალსაზრისით ზემოთ ჩამოყალიბებული საკითხები ორ სფეროდ იყოფა:

- ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა განხორციელების დამატებითი ანალიზი და
- ხარჯებისა და სარგებლის დამატებითი ეკონომიკურ-პოლიტიკური ანალიზი:

პირველი სფერო განიხილავს იმას თუ რა და როგორ იქნა მიღწეული. მეორე სფეროს ძირითადი საკითხია ვისთვის და რამდენად ამართლებს მიღებული სარგებელი გაწეულ დანახარჯებს.

რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები COVID-19 პანდემიის პირობებში

COVID-19 პანდემის პირობებში რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მიზანს უნდა წარმოადგენდეს საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის განვითარება-დივერსიფიკაცია შიგა ბაზრის მოთხოვნათა მაქსიმალური დაკმაყოფილების მიმართულებით. დაქვემდებარებული მიზანი ამ შემთხვევაში ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროს გაფართოებაა სამომხმარებლო დანიშნულების საქონლისა და მომსახურების განვითარების საფუძველზე. ამავე დროს მნიშვნელოვანია პანდემიის პროცესების საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების თეორიული და პრაქტიკული საკითხების კვლევა ინტერდისციპლინარულ დონეზე. როგორც

ნობელიანტი რობერტ შილერი მიგვითითებს, ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული როლი სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროს განეკუთვნება. ამ მხრივ აუცილებელია მობილური ჯგუფების შექმნა და მოსახლეობის გაცნობიერება ეკონომიკური განვითარების მიმართულებებისა და პანდემიასთან ბრძოლის ეფექტიან საშუალებებთან დაკავშირებით.

დღეს, როგორც ყოველთვის, ინფლაცია აქტუალური პრობლემაა. კრიტიკული, მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ფასების ზრდას განაპირობებს - მოგებების ზრდის ბუმი - მნიშვნელოვან წილად მხედველობის არედან ამოვარდნილია. 2021 წელს არასაფინანსო მოგების მარჟამ აშშ-ში მიაღწია ისეთ დონეს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არ ყოფილა. ომის დასრულებამ წარმოების უეცარი რესტრუქტურიზაცია მოითხოვა. ამ პროცესმა წარმოქმნა ე. წ. ,,ვიწრო ადგილები". სწორედ იმის მსგავსი, რომელიც პანდემიამ გააჩინა. როგორც წარსულში, ისე დღესაც საბაზრო ძალაუფლების მქონე მსხვილმა კორპორაციებმა გამოიყენეს ზემოგების მისაღებად მიწოდებაში არსებული პრობლემები. ი. ვებერი აღნიშნავს, რომ 2021 წლის მიწურულს ფსს-მ ,,არწივის კლანჭები" გამოაჩინა მის მიერ დაკავებულმა პოზიციამ მნიშვნელოვნად შეზღუდა ფულადი სტიმულები, მაგრამ ვერ გამოასწორა მიწოდებათა ჯაჭვის პრობლემები (Weber, 2021). დღევანდელ პირობებში საჭიროა სერიოზული მსჯელობა და აქტივობა ფასებზე სტრატეგიული კონტროლის შესახებ, როგორც ეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განხორციელდა. ინფლაციასთან დაკავშირებით ეკონომისტებში აზრი ორად გაიყო. ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ შეწუხების საფუძველი არ არსებობს და ინფლაცია მალე თავისით გაქრება, მეორე ჯგუფი ეკონომიკურ პოლიტიკაში ფისკალური შეზღუდვებისა და საპროცენტო განაკვეთების ამაღლების რეკომენდაციებს გვაძლევს. არსებობს მესამე ვარიანტიც, მთავრობებს ძალუძთ ინფლაციის მასტიმულირებელ კონკრეტულ ფასებზე ტარგეტირების რეჟიმის დაწესება. ეს უნდა მოხდეს მკაცრ ეკონომიაზე გადასვლის სანაცვლოდა (რასაც შესაძლებელია რეცესია მოჰყვეს). თეთრი სახლის ეკონომიკურ კონსულტანტთა საბჭო ვარაუდობს, რომ დღევანდელი ინფლაციის საუკეთესო ისტორიული ანალოგიაა მეორე მსოფლიო ომის შედეგები. ორივე შემთხვევაში გვაქვს არაკლებადი მოთხოვნა საოჯახო მეურნეობებში არსებული მაღალი დანაზოგების გამო. მეორე მსოფლიო ომის დროს ეს იყო შემოსავლების ზრდისა და ნორმირების შედეგი, ხოლო დღეს ეს არის სტიმულებისა და ზოგიერთი სფეროს გამოთიშვის რეზულტატი. ორივე შემთხვევაში მიწოდებათა ჯაჭვი დარღვეული აღმოჩნდა. როგორც ი. ვებერი აღნიშნავს ომის შემდგომი ინფლაცია უალტერნატივო არ ყოფილა.

ფასებზე კონტროლთან დაკავშირებით საკითხის გადაწყვეტა შემდეგნაირად იყო შესაძლებელი: ან უნდა ერთი გადაწყვეტილებით მოესპოთ კონტროლი (როგოც ამას აშშ-ში დემოკრატები, რესპუბლიკელები და მსხვილი ბიზნესი მოითხოვდა) ან კიდევ კონტროლი ფასებზე ომის შემდგომ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მომხდარიყო. აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერები, მათ შორის: პოლ სამუელსონი, ირვინგ ფიშერი, ფრენკ ნაითი, საიმონ კუზნეცი, პოლ სუიზი, უესლი მიტჩელი და ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის 11 ყოფილი პრეზიდენტი გაზეთ New York Times-ში ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს მოუწოდებდნენ ფასებზე კონტროლი გაეგრძელებინათ. მათ მიერ მოყვანილი არგუმენტები ფასების კონტროლთან მიმართებაში მისაღებია და გამოყენება უნდა ჰპოვოს დღევანდელ სიტუაციაშიც. მათი მტკიცებით, მანამდე სანამ მიწოდება ,,ვიწრო ადგილებიდან" არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას უნდა გაგრძელდეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქონლის ფასებ-

ზე კონტროლი, იმისათვის, რომ არ მოხდეს ფასების სწრაფი ზრდა. ამ მოწოდებას შეუერთდა ომის დროს ფასებზე კონტროლის ,,მეფე“ ჯონ კენნეტ გელბრეიტი. იგი ამბობდა, რომ ეს შეაჩერებს ინფლაციას არა იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ამას რომელიმე ეკონომისტი ვარაუდობს, ამავდროულად შეიქმნება ბაზა და მოვიგებთ დროს აუცილებელი ღონისძიებებისათვის. იგი განმარტავდა, რომ ,,ფასებზე კონტროლის როლს“ სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა.

დღეს კვლავ აღმოცენდა არჩევანის აუცილებლობა ზემოგებების ზრდის (რომელსაც ფასების ზრდამდე მივყავართ) მოთმენასა და მაქსიმალური სიზუსტით შერჩეული ფასების ნაკრებზე კონტროლის დაწესებას შორის. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილება სააფთიაქო სფეროში სამკურნალო საშუალებათა ფასების რეგულირებასთან დაკავშირებით.

ამასთან, გასათვალისწინებელია ეკონომიკური მიმომხილველის ადამ ტუზის მითითება (Tooze, 2022), რომ ნებისმიერი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკის ,,იზოლაციასა“ და დარგობრივი სტრუქტურის ყოველმხრივი განვითარების პროცესს არ შეუძლია არც ერთი თანამედროვე ქვეყანა გამოიყვანოს მოგზაურობის, საქონლის, მომსახურებისა და ფინანსების გლობალური ქსელიდან.

დასკვნა

აღსანიშნავია, რომ დღეს არა მარტო საქართველოში არამედ მთელ მსოფლიოშიც ძალზე გაჭირდა რაციონალური (ან მასთან დაახლოებული) პოლიტიკის როგორც შემუშავება, ასევე მისი გატარება. უფრო მეტიც, ეკონომისტების უმრავლესობა დღეს ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმასთან დაკავშირებით. ჯერ-ჯერობით არ არის ჩამოუყალიბებული კონკრეტული „საგზაო რუქა“ პანდემიიდან გამოსვლისა და მისი შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

ამ თვალსაზრისით გვსურს გამოვყოთ რიგი გარემოებები, რომელთა მოქმედებაც ხელს უშლის რაციონალური აზროვნების, ქცევის და არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებას. გლობალური რაციონალიზმის დამაბრკოლებელი პროცესები ეყრდნობა:

- მსოფლიო საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნიჰილიზმს, აგრესიასა და ნაციონალურ საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემების ძალისმიერი მეთოდებით ტრანსფორმაციის მცდელობებს;
- წინააღმდეგობას, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდური ნორმების პოზიტიური კვლევებისა და მათ საფუძველზე ნორმატიულ გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობების დეფიციტმა წარმოშვა. COVID-19 პანდემიამ გამოავლინა დემოკრატიასა და რაციონალიზმს შორის არსებულ წინააღმდეგობათა (როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდურ ნორმებს შორის არსებული) კონკრეტული პრობლემები, მაგრამ არ არის მოძიებული როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ დონეზე მათი გადაწყვეტის ეფექტიანი ინსტრუმენტები;
- სიმეტრიული ინფორმაციის სიმწირეს, რაც ერთმნიშვნელოვნად ვლინდება მეცნიერების, პოლიტიკური ძალაუფლებით აღჭურვილ პირთა და მსოფლიოში ცნობილ ბიზნესმენთა ურთიერთსაწინაარდეგო მოსაზრებებში;
- და ბოლოს, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ინტერესთა ჯგუფების შეუთანხმებელ და არაორგანიზებულ მოქმედებებს.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მსოფლიოში დაწყებული აგრესიული, ნაწილობრივ უმართავი ეკონომიკური ტენდენციები, რომელიც ვლინდება ტრადიციულ ლოგისტიკურ, საწარმოო და სასაქონლო ღირებულებათა ჯაჭვის შესუსტებასა და რიგ შემთხვევებში წყვეტაში. ამ მხრივ აქტუალური გახდა ყველა ქვეყნისათვის სტრუქტურულ (სექტორულ და რეგიონულ) პოლიტიკაზე აქცენტირება. განსაკუთრებით ეს ეხება მცირე ღია ეკონომიკის მქონე განვითარებად და საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებს, რომლებიც ჯერ რეალურად სრულყოფილად არ არიან ინტეგრირებული ეკონომიკურ და რეგიონულ გაერთიანებებში. რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი შედეგი, რომელიც თანხვედრაში იქნება მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების ძირითად ტრენდთან არის ინტელექტუალური პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების დამკვიდრება.

ლიტერატურა:

1. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018, 233 გვ.
2. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი VIII, №4, თბილისის უნივერსიტეტი, თბ., 2015, გვ. 34-45.
3. გველესიანი რ., რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა და მისი დაგეგმვის სტრუქტურა, ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“ № 4, თბილისი, „ლოი“, 2013, გვ. 13-20.
4. გოგორიშვილი ი., გველესიანი რ. პროგრესი - სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საწარმოთა სამეწარმეო პოლიტიკის ცვლილების მამოძრავებელი ძალა, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მასალები, თსუ გამომცემლობა თბ., 2018, გვ.93-97.
5. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, მეორე გამოცემა, „უნივერსალი“, თბ. 2012, 246 გვ.
6. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II, მეორე გამოცემა, „უნივერსალი“, თბ. 2012, 305 გვ.
7. Gvelesiani R., Gogorishvili I. The Basic Problems for the Realization of the Concept of Economic Policy. XII International Conference on Economics and Management, International Science Index, Vol. 8. No:11; November 10-11, 2014, Madrid, Spain, p. 532-535.
8. GAEFGEN, G. (1986), Komplexitaet und wirtschaftspolitisches Handeln – Anmerkungen zur Krise der theoretischen Wirtschaftspolitik; in R. KAPPEL. (Hrsg.): Im Spannungsfeld von Wirtschaft, Technik und Politik (Festschrift fuer Bruno Frisch), Muenchen, S.435-452.
9. GIERSCH, H. (1961), Allgemeine Wirtschaftspolitik (Erster Band: Grundlagen), unveraenderter Nachdr., Wiesbaden, 1990.
10. KIRCHGAESSNER, G. (1985), Ist ,,rationale" Wirtschaftspolitik moeglich? – Zu den Auswirkungen der Theorie rationale Erwartungen und der oekonomischen Theorie der Politik auf die Theorie der Wirtschaftspolitik. Konjunkturpolitik 31, S.209-237.
11. LUCAS JR., R.E. (1976), Econometric Policy Evaluation – A Critique; in K. BRUNNER und A.H. MELTZER (Hrsg.): The Philips Curve and Labor markets, Amsterdam u.a. S.19-46.
12. STREIT, M. E. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart.
13. SCHILLER, R. J. (1978), Rational Expectations and the Dynamic Structure of Macroeconomic Models. Journal of Monetary Economics 4, S. 1-44.
14. Weber, I. (2021), Could strategic price controls help fight inflation?. https://www.theguardian.com/business/commentisfree/2021/dec/29/inflation-price-controls-time-we-use-it);
15. Tooze, A. (2022), ,,Shutdown: How ovid Shook the World's Economy" https://adamtooze.com/2022/01/07/the-economics-of-the-beatles-vs-the-rolling-stones/.

Restrictions on Rational Economic Policy in the Context of the COVID-19 Pandemic

Revaz Gvelesiani
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Professor, Doctor of Economic Sciences

Irina Gogorishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor, Doctor of Economics

SUMMARY

The results of the scientific discussion of economic policy problems can not be ignored by any politician when making decisions about the formation of goals and the tools to achieve them. The result of scientific solution of economic policy problems is given to us in the form of knowledge on the following issues:

- *What is the relationship between the set economic-political goals;*
- *What tools do we have to achieve these goals;*
- *What side effects will follow the use of a separate tool;*
- *Based on the logic of decision making and decision making, what aids can be used to achieve the set goals.*

As much as such knowledge ensures a certain degree of credibility in the politician, so he uses it even in the process of preparing his actions. The issue (as an additional problem with decision-making) often arises whether it is possible to acquire such knowledge and to evaluate it.

Keywords: *Rational Economic Policy, Economic Policy Objectives and Tools, Order Policy, Decision Making, Decision Makers, COVID 19 Pandemic*

Challenges of Distance Learning during Covid-19 and Statistics from a Socio-demographic Perspective

Maia Giorgobiani
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor, Doctor of Economics

Lia Dzebisauri
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor, Doctor of Economics

In 2020, as a result of the Covid-19 pandemic, certain restrictions were introduced in Georgia, which significantly affected the learning process, and distance learning (DL) was introduced throughout the country. This has created significant problems for both students and teachers. Students from low-income families living in high mountain regions and teachers who do not have the skills to use information technology found themselves in a difficult situation. The aim of this article is not to find the ways of solving problems of DL but to show the statistical trend of difficulties from socio-economic perspective.

Based on expert assessment methods, three large universities in Georgia were analyzed using the method of integral assessment. Challenges of DL were observed taking into account teachers' qualifications, age categories, gender and other social and demographic parameters.

Keywords: *statistics, distance learning, demography, analysis*

In modern digital era accessing the internet still remains the most problematic issue in developing countries like Georgia.

In 2020, travel restrictions throughout Georgia were established, and public places and institutions, including educational organizations, were closed due to the COVID-19 pandemic (Husch Blackwell, 2021). Since the spring of 2020, the Ministry of Education has officially approved the requirement for the forced transition to online education for all the country's educational organizations (Garda World, 2020). The Georgian's education system was highly improved by international partner organizations (Microsoft and the Organization for Economic Co-operation and Development, OECD), but in actuality, access to education in the higher education system was not ensured (OECD, 2019a). In 2020, the Government of Georgia used about 80% of 1.8 billion lari, to finance preschool and secondary education spheres, with the remaining money invested in professional and higher education (Owens, 2021). The rate of enrollment in higher education in the country is overgrowing. Still, the funding level remains relatively low in comparison with international standards (around USD 442 PPP in 2016, compared to over 105,000 USD PPP across OECD countries) (UNESCO-UIS, 2021). This low spending was one of the main reasons the higher education system was unable to effectively respond to the challenges of the pandemic by transitioning to DL.

The economic development of the regions of Georgia strongly depends on geographical location. Therefore, the country is characterized by a high level of social inequality (Gini coefficient of 0.36) (Trading Economics, 2021). Despite Georgia's relatively high Internet penetration rate, many students living in remote rural and mountainous areas are at a digital disadvantage. The situation is even worse for students from poor and/or disadvantaged families. It is not typical for them to have devices with access to online classes and pay monthly bills for the Internet. Due to the low level of social assistance in Georgia,

such university students become socially vulnerable. Today, they are outside the scope of higher education (National Statistics Office of Georgia, 2021).

With the aforementioned destructive factors for a DL provision in Georgia requiring a reorientation of state policy, the crucial problem is that low TIWP impedes DL implementation. Many teachers do not have the skills to use ICT to provide DL, primarily due to the aging workforce in Georgian universities. According to OCED estimates, almost one in four teachers is over 60 years old (compared to, for example, one in twenty across TALIS-participating countries) (OECD, 2019b). The current situation is a consequence of implementing the state policy in Georgia to support an aging teaching workforce amid increasing differentiation between the decrease in the number of students by 21% and teachers by 1% over the past ten years (National Statistics Office of Georgia, 2021). The low TIWP level of universities in DL conditions against the background of the protracted COVID19 pandemic carries an even greater risk of aggravating the problem of the quality of higher education in Georgia: the discrepancy between the professional content of education and the changing landscape of employment following modern socio-economic development trends.

Methodology. Questioning methods and Delphi were used for the study, which were implemented through remote anonymous discussion. An expert group of 50 people has been formed - representatives of Learning Process Management Department of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Quality Assurance Service of Batumi State University, named after Shota Rustaveli and Akaki Tsereteli State University. The competence of the expert group was ensured by the experience of experts of at least five years in education. The object of the research was the productivity of intellectual labor during distance learning of teachers from above mentioned universities in Georgia.

The competence of the expert group was ensured by the experience of experts of at least five years in education.

To assess student performance during DL an intermediate control of students' knowledge was carried out. The performance indicator they assessed in the range of "0" - "50" points for each discipline to characterize the IWP of an individual teacher.

To assess the provision of the educational process with methodological materials and practical orientation it was evaluated by the students and the expert group during the questionnaire survey. The evaluation was carried out on a 10-point scale, where the grade "1" corresponded to the low quality of the teaching material according to students and experts, its incompleteness, irrelevant data, low semantic load, and inaccessibility of the material (lack of physical access and lack of understanding of the content of discipline). Assessment "10" represented a high quality of teaching material.

Results. The survey was conducted for the 2020-2021 academic year (Google Forms, 2021) and the results from a socio-demographic perspectives can be presented as follows:

The share of young teachers aged 20-24 in the surveyed respondents is 1.5%, those aged 25-29, 3.8%, and those aged 30-34, 7.9%. The percentage of the respondents increases with age, although the age group of 65 is 2.3% and over 65, 7.5%. It is important to note that the share of young people is much lower than that of retired people; we think some measures have to be taken to attract more young people.

According to marital status, married people predominate with a percentage of 59.2%. The share of single people is 23.4%, divorced, 9.8%, and widowed, 7.5%. The share of single and divorced people is highest in the 45-49 age group, 16.1%, and 26.9%, respectively.

Among the respondents, 70.2% have children, and 29.8% do not, which is natural, as this figure almost coincides with the share of single people. As the results of the research show, family and children do not impede personal development. In all cases (it does not matter if the respondent is married and has children), more than 80% of the respondents devote their free time to personal development. Work experience influences many factors. According to the research, 3.8% have less than one year of work experience.

Work experience of 1-3 years is observed by 4.9% of the respondents. The share of teachers with 4-8 years of experience is 12.8%, and 52.9% have more than nine years of work experience. 78.8% of total employed women are in this largest category (9th year of work experience) and 77.0% of men respectively.

77.4% of the respondents stated that they can work from home, although the answer "partially" was given by 20.4% and the answer "no" by 2.3%. In total, 22.7% of the respondents do not have the conditions at home to work remotely.

72.5% of the respondents managed to reconcile family affairs with work, and 27.6% answered "no" or "partially." This figure is approximately equal to the number of respondents who reported not having adequate family conditions. But no matter how surprising, according to the survey women (78.1%) are more likely to combine household chores with work than men (21.9%).

30.2% of the respondents find it challenging to combine childcare with work. It is interesting if these respondents find time for selfdevelopment. At least 81.7% of the respondents with children can devote free time to personal development, however some differences were observed with respect to gender. 79.1% of women with children spend their free time on personal development. The same indicator among men is 89.4%.

71.3% of the respondents feel the help of family members in their career advancement, 28.7% of them answered ‘’partially’’ or ‘’no “. It is interesting to see the connection between this question and gender and between single and married respondents. 69.0% of the women surveyed, 55% of whom are married, and 78.7% of men, 79.2% of whom are also married, report support from their family in career advancement.

In the case of working with a flexible work schedule, only 14% of the respondents prefer to work only from home, which most likely suggests that these are the respondents who have appropriate conditions at home to do that. 20.4% of the respondents prefer to work only from the office. The survey results show that of the respondents who prefer to work only from the office, 61.1% are married and 82.6% are women, and only 17.4% are men. Respondents evaluate DL differently. 41.5% want to work remotely less, while 15.1% want to spend more time working remotely.

When working remotely, modern communication tools and technologies are necessary to achieve the desired result. Professors needed to learn many new software packages to conduct high-level lectures, seminars, or examinations. However, 26.0% of the respondents found modern technologies to cause stress, and the hindering factor was 5.7%. According to the analysis results, the use of contemporary communication technologies becomes the basis of tension in the age group of 50-54, which was observed by 23.2% of the respondents of this age. This response is also high and is evenly distributed in the 45-49 and 55-59 age groups and is 14.5-14.5%, respectively.

From a gender perspective, interesting issue was that the use of modern technologies has proven to be the most stressful for women. The negative attitude against IT was recorded by 33.5% of women and 26.2% of men. It tends that men have more talent to the modern technologies.

During DL, it was necessary to conduct a series of trainings for the professors to provide new methods of teaching, as well as, in many cases, conducting exams. Unfortunately, only 29.1% of the respondents mentioned that the organization trained them according to the requirements.

DL has its advantages as well as its disadvantages. Respondents name various factors from the positive sides. In particular, 17% state that they maintain a balance between work and personal life. For 17.4%, a flexible work schedule is acceptable, and it is sufficient for 47.9% because they can work from anywhere, 9.8% consider that a significant advantage of remote work is cost reduction. It is comfortable for only 7.9%.

The most significant disadvantage of DL for employees in the educational space was the lack of communication with colleagues (42.6%). 73.5% of these respondents are women, and 54.2% of them are married. The second shortcoming was the difficulty of separating working and nonworking time, with 28.3%, indicating a low selfmanagement level. Also in this category, women have a high share - 81.3%, -of which 57.4% are married.

DL and less communication with management is a brake on career growth for some respondents. About 59.4% think so (real answers: I find it difficult to answer, I agree, I agree) and 62.1% of married respondents agree, and 54.2% fully agree with this opinion. It is interesting to assess this issue from a gender perspective. According to the survey, 77.6% of the women agree, and 75.0% fully agree that remote work and less communication with management reduce career advancement chances.

Depending on the age categories, teachers aged 30-44 have been characterized by high level of competence and the ability to use DL technologies. 20-29 years old teachers, were not yet developed professional competencies and the inability to organize themselves. 45 and older teachers have problems with the use of DL technologies.

DL along with negative, also has positive side. The ability to use a flexible schedule was identified as one of the most significant advantages of the remote form of the educational process. A flexible schedule provides teachers with more opportunities for self-development, participation in advanced training programs, and expansion of interdisciplinary competencies.

The factor of the ability to work from home determines the availability of appropriate support (material, informational, technological) for DL. Similar in content to this factor is also the ability to use ICT in the learning process of distance teaching technologies, without which the implementation of DL is impossible.

Since DL leads to an increase in the time spent with the family, support from the spouse in professional implementation, ability to maintain a balance between family and work, and ability to self-organize.

DL reduces communication with colleagues, which was a significant drawback of this form of organization of the educational process and can lead to psychological tension. On the other hand, social isolation reduces the stress associated with peer interactions for introverted educators.

As a DL problem, one can designate the lack of career opportunities, which reduces motivation to work.

Conclusion. Challenges of distance learning more dramatically have been surfaced especially during the COVID-19 outbreak.

It has been empirically substantiated that in the studied universes of Georgia, TIWP is at medium and low levels under the conditions of forced DL. This potentially poses a threat to the quality of education

in the country due to the uncertainty of the duration of the COVID19 pandemic and the social distancing regime it has caused.

It was also revealed that improving the qualifications of teachers in the use of ICT, increasing their motivation and competencies to ensure the effectiveness, continuity and quality of DL are needed.

Data from Our World in Data as of the beginning of February 2022 indicated that Georgia was ranked tenth in the world in terms of the spread of coronavirus and is on the verge of the third wave of the pandemic (Our World in Data, 2022). As a result, this means the continuation of the regime of social isolation and DL for an indefinite period. To ensure a high-quality educational process and its continuity in the conditions of forced DL, remains the high importance priority of Georgian government.

References:

1. Kharadze, N., Giorgobiani, M., Melkoshvili, T., Dzebisauri, L., Pirtskhalaishvili, D., (2021). Effective Strategies to Manage Teacher Intellectual Work Productivity in Distance Learning. Journal of Eastern European and Central Asian Research (Vol. 8 No. 4 (2021), 653-665. https://www.ieeca.org/journal/index.php/JEECAR/article/view/840/357
2. Hanushek, E.A., & Ettema, E. (2017). Defining Productivity in Education: Issues and Illustrations. The American Economist, 62(2), 165-183. https://doi.org/10.1177/0569434516688207
3. Husch Blackwell. (2021). Georgia: State-byState COVID-19 Guidance. https://www.huschblackwell.com/georgiastate-by-state-covid-19-guidance
4. Garda World. (2020). Georgia: Authorities introduce further COVID-19 restrictions November 3. https://www.garda.com/crisis24/news-alerts/396076/georgia-authorities-introduce-further-covid-19-restrictions-november-3-update-19
5. Maghlaperidze, E., Kharadze, N., & Kuspliak, H. (2021). Development of Remote Jobs as a Factor to Increase Labor Efficiency. Journal of Eastern European and Central Asian Research (JEECAR), 8(3), 337-348. https://doi.org/-10.15549/jeecar.v8i3.669
6. National Statistics Office of Georgia. (2021). https://www.geostat.ge/en OECD. (2019a). The education system in Georgia. https://www.oecdilibrary.org/sites/bbc437aeen/index.html?itemId=/content/component/ bbc437ae-en
7. OECD. (2019a). The education system in Georgia. https://www.oecd-ilibrary.org/sites/bbc437ae-en/index.html?itemId=/content/component/bbc437ae-en
8. OECD. (2019b). TALIS 2018 Results (Volume I): Teachers and School Leaders as Lifelong Learners. Paris: TALIS, OECD Publishing. https://doi.org/10.1787/23129638
9. Owens, S. (2021). State of Education Funding (2021). Georgia Budget & Policy Institute https://gbpi.org/state-education-2021/
10. Trading Economics. (2021). Georgia - GINI Index. https://tradingeconomics.com/georgia/giniindex-wb-data.html
11. UNESCO-UIS. (2021). http://data.uis.unesco.org/Index.aspx
12. Vasiljeva, M., Neskorodieva, I., Ponkratov, V., Kuznetsov, N., Ivlev, V., Ivleva, M., Maramygin, M., & Zekiy, A. A. (2020). Predictive Model for Assessing the Impact of the COVID-19 Pandemic on the Economies of Some Eastern European Countries. J. Open Innov. Technol. Mark. Complex., 6, 92. https://doi.org/10.3390/joitmc6030092

დისტანციური სწავლების გამოწვევები Covid-19 პანდემიის პირობებში და სტატისტიკა სოციალურ-დემოგრაფიული პერსპექტივიდან

მაია გიორგობიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ლია ძებისაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ანოტაცია

2020 წელს, Covid-19-ის პანდემიის შედეგად, საქართველოში დაწესდა გარკვეული შეზღუდვები, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა სწავლის პროცესზე და დისტანციური სწავლება (DL) დაინერგა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამან მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა როგორც სტუდენტებს, ასევე ლექტორებს. რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები დაბალშემოსავლიანი ოჯახების სტუდენტები და პედაგოგოები, რომელთათვისაც ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გამოწ-ვევას წარმოადგენს. ამ სტატიის მიზანია არა დისტანციური სწავლების პრობლემების გადაჭრის გზების პოვნა, არამედ სირთულეების სტატისტიკური ტენდენციის ჩვენება სოციალურ-ეკონომიკური პერსპექტი-ვიდან.

ექსპერტთა შეფასების მეთოდებზე დაყრდნობით, ინტეგრირებული შეფასების მეთოდით გაანა-ლიზდა საქართველოში არსებული სამი დიდი უნივერსიტეტი. დისტანციური სწავლების გამოწვევები დაფიქსირდა პედაგოგთა კვალიფიკაციის, ასაკობრივი კატეგორიების, სქესის და სხვა სოციალური და დემოგრაფიული პარამეტრების ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: *სტატისტიკა, დისტანციური სწავლება, დემოგრაფია, ანალიზი*

COVID-19 პანდემია და წარმოების გამოწვევები

ნინო გრიგოლაია
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ალტე უნივერსიტეტი

ცირა მიქატაძე
ეკონომიკის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე პირობებში კონკურენტუნარინობისათვის წარმოების გამოწვევებს. დიდი ხანია მენეჯერები ითვალისწინებენ მ. პორტერის იდეებს კონკურენტუნარიანობის საკითხებში, რომელმაც დაადგინა რომ კონკურენტული უპირატესობისთვის, ყველაზე მისაღებია დიფერენცირების სტრატეგია. დანახარჯებში ლიდერობის სტრატეგია შეიძლება ადვილად დუბლირებადი იყოს კონკურენტების მხრიდან. მეცნიერები ეთანხმებიან რა მ. პორტერს მიაჩნიათ, რომ კრიზისის დროს ასევე მისაღებია დანახარჯებში ლიდერობის სტრატეგია.

გლობალური კონკურენციის ინტენსივობამ ახალი მიდგომებიც წარმოშვა, მათი შორისაა "მჭლე წარმოებისნ მიდგომა, რომლის ძირითადი ასპექტებია უწყვეტი გაუმჯობესების შესაძლებლობა და დანაკარგების შემცირება. ყველა ზემოთ აღნიშნული მიდგომის გამოყენება მნიშვნელოვანია, თუმცა ყურადსაღებია, რომ ახალი რეალობა საჭიროებს მიწოდებათა ჯაჭვის აღდგენას საწარმოო სიმძლავრეების რეორიენტაციის პირობებში. იზრდება კომუნიკაციებზე წვდომის სიჩქარე და მნიშვნელობა, აუცილებელია გააქტიურება ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლისთვის. მნიშვნელოვანია ქსელური კომპანიების გაფართოება, ვირტუალური მაღაზიების ფორმირება, მაქსიმალური ავტომატიზაცია დისტანციური მოქმედების უპირატესობების გამოყენებისთვის.

საქართველო მცირე და სუსტი ეკონომიკის ქვეყანაა, ამიტომ პანდემიით გამოწვეული პრობლემები განსაკუთრებით მწვავეა. თუმცა გაჩდა ახალი შესაძლებლობები, რომელიც საჭიროებს ადექვატურ, დროულ რეაგირებას, უპირატესობის გამოვლინებას და გამოყენებას. ნაშრომში გადმოცემულია წარმოების განვითარების ზოგადი ეკონომიკური ასპექტები და განხილულია განვითარების ახალი შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები: *კონკურენტუნარიანობა, სტრატეგიები, სწრაფადცვლადი ტექნოლოგიები, საწარმოო სიმძლავრეები*

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საზოგადოება მსჯელობდა გლობალიზაციის მთელ რიგ გამოწვევებზე, მაგრამ COVID-19 პანდემია განსაკუთრებული აღმოჩნდა, რომელმაც იმდენად მკვეთრად შეცვალა საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ დღეს მეცნიერები დეგლობალიზაციაზე საუბრობენ ან კიდევ ზოგიერთს მიაჩნია, რომ ეს COVID -19 პანდემიით გამოწვეული გლობალიზაციის დროებითი შეფერხებაა.

ზოგიერთი მეცნიერი COVID-19 პანდემიას და მისგან გამოწვეულ კრიზისს ,,დიდ დეპრესიასთან'' აიგივებს, ზოგიერთი კიდევ 2007-2009 წლების ფინანსურ კრიზისთან. ფაქტი ის არის, რომ შეიქმნა არაორდინალური მდგომარეობა, დაიხურა საწარმოები, შეჩერდა ავია და სარკინიგზო გადაზიდვები, შემცირდა საერთაშორისო ვაჭრობა, მომსახურების სფერო და ტურიზმის სექტორი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

გლობალური კონკურენციის ინტენსივობამ წინ წამოწია კონკურენტუნარიანობის საკითხი. ამ მხრივ წარმოებასა და მომსახურებაში ახალი მიდგომაა - ,,მჭლე წარმოების'' მიდგომა, რომლის მიხედვით ფირმა კონკურენტუნარიანობას შეინარჩუნებს თუ მენეჯერს კარგად ესმის სიჩქარის და მოხერხებულების არსი და შეუძლია ამ მიმართულებით საქმიანობა. ცვალებად ბაზრებზე პროდუქციის მიწოდებისთვის სიჩქარე აუცილებელია, მომხმარებლის ცვალებადი

გემოვნების დასაკმაყოფილებლად. როგორც ცნობილია, მომხმარებელთა გადადინება მოხდა მობილური ტელეფონების გამოყენებიდან სმართფონებზე. ტელეფონების ლიდერმა NOKIA-მ, წამყვანი პოზიციები დაუთმო SAMSUNG-ს და APPL-ს რადგან მომხმარებელთა სმარტფონებზე გადასვლის გამო ზარალში აღმოჩნდა. იგივე საფრთხის წინაშე აღმოჩნდა სხვა კომპანიები და იძულებული იყვნენ პოზიციები დაეთმოთ, რადგან სწრაფად ცვალებად ბაზარზე კონკურენცია ძალზე მაღალია.

,,მჭლე წარმოების“ მიდგომა მიჩნეულია სიჩქარის და მწარმოებლობის გაზრდის მნიშვნელოვან იარაღად. პირველად ეს მიდგომა ,,TOYOTA'' -მ გამოიყენა ჩათვალა, რომ მასიური წარმოება მათ სასარგებლოდ არ იმუშავებდა (მასიური წარმოება იქ მუშაობს კარგად, სადაც ერთიდაიგივე პროდუქტების დიდი რაოდენობა იწარმოება).

კვლევებიდან ირკვევა, რომ ,,მჭლე წარმოების“ საუკეთესო მაგალითია ესპანური მაღაზია ZARA, რომელმაც გაყიდვების კოლოსალურ ზრდას მიაღწია. ამ მაღაზიას ესპანეთში საკუთარი საწარმოები აქვს, რომლებიც განლაგებულია მაღაზიების ახლოს და ეხმარებიან მათ ორი-ოთხი კვირის განმავლობაში გაითვალისწინონ და დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნები. ZARA მცირე რაოდენობით ყველა სტილის პროდუქციას აწარმოებს მომხმარებლის ფართო არჩევანზე ორიენტაციით.

,,მჭლე წარმოების'' მიდგომის ასპექტებია: უწყვეტი გაუმჯობესების შესაძლებლობა და დანაკარგების შემცირება. დანაკარგების შემცირების მაგალითებია: მასალების გადადინება, დამატებითი დამუშავება, ინვენტარიზაცია და ა.შ. დღევანდელ პირობებში როცა მიწოდების ჯაჭვები ჩაშლილია, ეკონომიკა დაპაუზებულია, გარემო ძნელად პროგნოზირებადია, როგორ ინტერპრეტირდება ,,მჭლე წარმოების'' მიდგომა? კონკურენტუნარიანობის საკითხებში ბოლო წლებში მსოფლიოში ყველაზე მეტად მ. პორტერის იდეებს ითვალისწინებდნენ, რომელმაც დაადგინა, რომ კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად ყველაზე მეტად უპრიანია დიფერენცირების სტრატეგია, რადგან დანახარჯებით ლიდერობის სტრატეგია უფრო ადვილად დუბლირებადი შეიძლება იყოს კონკურენტების მხრიდან. პოლ. გ. კიტი, ფილიპ კ. იანგი, სტივენ ი. ერფლი ეთანხმებიან მ. პორტერს და ამასთან მიაჩნიათ, რომ კრიზისის დროს კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ დანახარჯების შემცირების სტრატეგია კონკურენტუნარიანობისათვის იმ პირობით თუ მომხმარებლის მოთხოვნაზე ყურადღებას არ შეამცირებენ. მენეჯერებისათვის ძალზე რთულდება გადაწყვეტილების მიღება მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში ფირმის რესურსების განაწილების შესახებ. ამიტომ წარმოების ეკონომიკაში დაგეგმვა იძენს დიდ მნიშვნელობას. სიმძლავრეების სწორი დაგეგმვა ორ ძირითად ელემენტს საჭიროებს: მოთხოვნის პროგნოზირებისა და ეფექტიან კომუნიკაციას წარმოების და მარკეტინგის ფუნქციებს შორის. მარკეტოლოგებმა უნდა გაყიდონ იმდენი პროდუქცია რამდენიც მოითხოვნადია. მათ უნდა შეკრან ჯაჭვი ბაზარი-წარმოება-ბაზარი.

პანდემიამ გამოიწვია მიწოდების გლობალური ჯაჭვის რღვევა; რაც ერთი მხრივ მომწოდებელ საწარმოთა პარალიზებით იყო გამოწვეული (Oxford buzness group, 2020) მეორე მხრივ, მთავრობის მიერ ექსპორტზე შეზღუდვების დაწესებულების გამო. ეს შეზღუდვები ეხებოდა სამედიცინო ტექნიკას და მედიკამენტებს. ზოგიერთმა ქვეყანამ სასურსათო უსაფრთხოების მოტივით სურსათის ცალკეულ სახეობათა ექსპორტიც შეზღუდა (Schmidhuber Pound Qiao, 2020) ბევრმა ქვეყანამ თვითიზოლაციას მიმართა. სურსათის მიწოდებათა ჯაჭვისთვის მძიმე დარტყმა გამოწვეული იყო აგრარული სფეროს შრომატევად დარგებში სეზონური სამუშაო ძალის

დეფიციტით და ლოჯისტიკური შეზღუდვებით. ამ მხრივ აღსანიშნავია ხილი, ბოსტნეული, რძის პროდუქტები (The Word Bank, 2020) რაც ბუნებრივად ემუქრება ნებისმიერი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას (Food and agricutture organization of the united nation (fac), 2020)

კორონავირუსით გამოწვეულმა კრიზისმა საქართველოს ეკონომიკაზე მძიმე ზეგავლენა მოახდინა. შემცირდა ტურიზმის შემოსავლები, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილები, გაიზარდა სახელმწიფო ვალი, რამაც მიგვანიშნა, რომ აუცილებელია მომხმარებლური ეკონომიკის მოდელიდან მწარმოებლურ ეკონომიკურ მოდელზე გადასვლა. დღის წესრიგში დადგა ეკონომიკის რეალური სექტორის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, მშენებლობა) სწრაფი განვითარების და მომსახურების სექტორზე დამოკიდებულების შემცირების ამოცანა, ექსპორტის დივერსიფიცირება.

სისტემური და კომპლექსური ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავება და განხორციელება რთული აღმოჩნდა. ჩამოყალიბდა ისეთი-ნეგატიური მოვლენები როგორიცაა: უმუშევრობა, სიღარიბის ზრდა, ინფლაცია. მართალია 2021 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გაიზარდა (10 პროცენტით), მაგრამ როგორც აკად. ვლ. პაპავა აღნიშნავს ინფლაციამ (12,5%) „შეჭამა“ ეს ზრდის ტემპი. აუცილებელი ხდება მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერა, სამეწარმეო აქტივობის მაქსიმალური ხელშეწყობა, საფინანსო-საბანკო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფა.

საქართველოს, როგორც ღია ეკონომიკის ქვეყანას, ასევე საფრთხეს უქმნის პროტექციონიზმის ტენდენციები მსოფლიოში, სასიცოცხლო პროდუქტის შექმნის პრობლემებით. ამიტომ გვესაჭიროება შიდა რესურსების მობილიზება და იმპორტის ჩანაცვლებადი ეკონომიკის განვითარება, უპირველესად სასურსათო პროდუქტის წარმოების მიმართულებით. კორონავირუსთან ბრძოლასთან ერთად აუცილებელია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის ხელშწყობა-სურსათის და კვების პროდუქტების წარმოების განვითარებისათვის. დღის წესრიგში დგება ძირითადი სასურსათო პროდუქტების ადგილობრივი წარმოების ამოცანა, რადგან არსებობს წარმოების გაზრდის პოტენციალი, ისეთი პროდუქტებისათვის, როგორიცაა: ხილი, ბოსტნეული, ხორც-პროდუქტები, სიმინდი.

ცნობილია, რომ იაპონურ, ამერიკულ და სხვა ქვეყნების კომპანიებს გააქვთ თავიანთი საწარმოები ჩინეთიდან მიწოდების რეგიონალური კვანძების ჩამოსაყალიბებლად, რათა არ იყვნენ მიწოდების ერთ რომელიმე ინდუსტრიულ ჰაბში კონცენტრირებული. ჩვენს მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს აქვს შანსი ასეთ ვითრებაში გახდეს მიწოდების ერთ-ერთი რეგიონალური კვანძი, აქვე უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შესაძლებელია არამარტო შედარებით დაბალტექნოლოგიური მწარმოებელი კომპანიების, ასევე მაღალტექნოლოგიური კომპანიების მოზიდვაც, რომლებიც უშვებენ მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის, კავშირგაბმულობის პროდუქციას. ასეთი წარმოების კვალიფიციური სამუშაო ძალით უზრუნველყოფისთვის მთავრობამ გამოავლინა მზადყოფნა მათ დასაფინანსებლად.

განვითარებად ქვეყნებს ჩინეთიდან გამოსვლის შემთხვევაში უჩნდებათ შესაძლებლობები, რომ ფირმებმა ალტერნატიული წარმოების ბაზრები შესთავაზონ. საქართველო აუთვისებელი შესაძლებლობების ქვეყანაა და აუცილებელია ამ შესაძლებლობების გამოყენება სიტუაციის სწორი შეფასებით და სათანადო პროგრამის შემუშავებით.

აუცილებლად უნდა აღნიშნოს ცნობილ მეცნიერთა (აკად. ვლ. პაპავა) შემდეგი მოსაზრება: პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში მთავრობებმა 2007-2009 წლების გლობალური

ფინანსური კრიზისის დროს გამოყენებული ღონისძიებებით იხელმძღვანელეს, რაც მიმართული იყო მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობის და ბიზნესის მხარდაჭერისკენ. ეს მხარდაჭერა კი ხშირად იწვევს გადახდისუუნარო ფირმების ზომბირებას. ამ მეცნიერთა აზრით, პოსტპანდემიურ პერიოდში ეკონომიკის განვითარების პრობლემა იქნება ზომბირებული ფირმებისგან განთავისუფლება ეკონომიკის გასაჯანსაღებლად. აღნიშულ მდგომარეობას უნდა დაუპირისპირდეს სამეწარმეო აქტივობის მაქსიმალური ხელშეწყობა და ახალი ფირმების შექმნა (ამ მხრივ მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების პროგრამის გამოცხადება). ახალი კადრების მომზადება, ეს კი შესაძლებელი იქნება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელზე თუ ვიქნებით ორიენტირებულები.

პანდემიით გამოწვეული ახალი რეალობა მიწოდების ჯაჭვის აღდგენას საჭიროებს საწარმოთა სიმძლავრეების რეორიენტაციის პირობებში. კონკურენცია მენეჯერებისაგან მოითხოვს არა მარტო იმ თეორიული ასპექტების ცოდნას, რომელიც დასაყრდენია კონკურენტუნარიანობაში, არამედ უწყვეტი გაუმჯობესების შესაძლებლობის გამოყენებას, გააქტიურებას ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლისთვის. იზრდება კომუნიკაციებზე წვდომის სიჩქარე და მნიშვნელობა, კომპანიების ვირტუალურ სივრცეში მუშაობის აუცილებლებლობა. (ასეთ სივრცეში მუშაობისას ფირმებს დაბალი დანახარჯები აქვთ, თუმცა იზრდება მონავცემთა ბაზების მართვის დანახარჯები).

საქართველო მცირე და სუსტი ეკონომიკის ქვეყანაა, შექმნილი პრობლემები კი ძალზე მწვავე, ამიტომ გვჭირდება ახალ შესაძლებლობებზე დროული რეაგირება, და ჩვენი უპირატესობების სათანადოდ გამოყენება.

ლიტერატურა:

1. პოლ გ. კიტი, ფილიპ კ. ი. იანგი, სტივენ ი. ერფლი (2019), მენეჯერული ეკონომიკა ეკონომიკური ინსტრუმენტები თანამედროვე მენეჯერებისათვის ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. პაპავა ვ., ჭარაია ვ., (2020) კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა http/www.gfsis.org/ge/publications/optinion
3. www.heaminnouations.ca/seuun-types.htm/
4. K.Fordows, M. Leuis, and J.Macluca (2004) “Rapid File Fulfiement” Harvard Business Revew, voe. 11, n, 11
5. kovid-19 -ის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები, PMSreceowch გამოცემა, 116.27.04.2019.
6. საქართველოს ევროპული გზა პამდემიური დეგლობალიზაციის პირობებში, რონდელის ბლოგში GFSIS 06.08.2020.
7. კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი ,,ეკონომიკა და ბიზნესი” ჟურნალი N2. 2020.
8. პოსპანდემიური ზომბირებული ეკონომიკის საფრთხე გაკოტრების მექანიზმების ქმედითუნარიანობა GFSIS ექსპერტის აზრი N 170. 2021.

COVID-19 Pandemic and Production Challenges

Nino Grigolaia
Doctor of Economics, Professor
Alte University

Tsira Mikatadze
Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The paper is dedicated to the production challenges for competitiveness in modern conditions. For a long time managers have been considering M. Porter's ideas on competitiveness, who found that for competitive advantage, a differentiation strategy is most acceptable. A cost leadership strategy can be easily duplicated by competitors. Scholars agree that M. Porter believes that a spending leadership strategy is also acceptable in times of crisis.

The intensity of global competition has also given rise to new approaches, including the "lean manufacturing" approach, the key aspects of which are the ability to continuously improve and reduce losses. The use of all the above approaches is important, however, it is noteworthy that the new reality requires the restoration of the supply chain in the context of reorientation of production capacities. Increasing the speed and importance of access to communications, it is necessary to activate to switch to new technologies. It is important to expand network companies, set up virtual stores, maximize automation to take advantage of remote operations.

Georgia has a developing economy, so the problems caused by the pandemic are especially acute. However, new opportunities have arisen that require adequate, timely response, advantage and application. The paper presents the general economic aspects of production development and discusses new development opportunities.

Keywords: *Competitiveness, Strategies, Rapidly changing technologies, Production capacities*

კოვიდ 19-ის პერიოდში კრიპტოვალუტის აქტუალობა და ფინანსური გლობალიზაციის ახალი გამოწვევები

ლევან დგებუაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ნაშრომში გაანალიზებულია ვირტუალური ვალუტების ინდუსტრიის (კერძოდ, კრიპტოვალუტების) შესახებ სხვადასხვა ქვეყნების და ექსპერტების მოსაზრებები. მსოფლიო ეკონომიკისათვის აქტუალურ საკითხად იქცა, თუ როგორი შეიძლება იყოს უმსხვილესი ფინანსური შუამავლის, ბანკის მომავალი. მაკროეკონომიკა ცალსახად, ვერ პროგნოზირებს კრიპტოვალუტების მომავალს და მათი შესაძლო განვითარების ტენდენციას. განხილულია კრიპტოვალუტების გლობალიზაციის გამომწვევი მიზეზები. დღეისათვის არსებული მოცემულობით მიჩნეულია, რომ კრიპტოვალუტები განეკუთვნებიან არატრადიციული ეკონომიქსის შესწავლის სფეროს.

საკვანძო სიტყვები: *ვირტუალური ვალუტა, კრიპტოვალუტა, ბლოკჩეინი, ფინანსური სტაბილურობა, მონეტარული პოლიტიკა.*

ახალი ტექნოლოგიები – მართავენ ტრანსფორმაციული ცვლილების პროცესს გლობალურ ეკონომიკაში, მათ შორის საქონლის, მომსახურების და აქტივების გაცვლისას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი განვითარება იყო ვირტუალური ვალუტის წარმოქმნა.

ვირტუალური ვალუტის ინდუსტრია საწყისი განვითარების ფაზაშია. მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო თუ საზედამხედველო ჩარჩო ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია და უმეტეს შემთხვევაში, ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია. ვირტუალური ვალუტა განისაზღვრება როგორც ნებისმიერი სახის ციფრული ერთეული, რომელიც გამოიყენება, როგორც გაცვლის საშუალება და ანგარიშის ერთეული. კრიპტოვალუტაც ვირტუალური ვალუტის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

კრიპტოვალუტებთან დაკავშირებით საქმიანობა, როგორც მოპოვება, ისე ვაჭრობა, მზარდია მსოფლიო მასშტაბით და გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს ვირტუალურ ვალუტასთან დაკავშირებულ საქმიანობას და კრიპტოვალუტა არ წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებას. მას ახასიათებს ფასების მაღალი მერყეობა, რის გამოც დიდია იმის ალბათობა, რომ მომხმარებლებმა ფინანსურად იზარალონ.

დღეისათვის ცნობილი კრიპტოვალუტა ბიტკოინი და სხვადასხვა კრიპტოვალუტები, ყოველდღიურად ცვლიან მსოფლიოს. ეს ყველაფერი შესაძლოა ირეალურად მოგვეჩვენოს თუ მათ შესახებ პრაქტიკული ცოდნა არ გაგვაჩნია.

ვირტუალური ვალუტები გვთავაზობს უამრავ პოტენციურ სარგებელს, რომელიც დაკავშირებულია გადახდების და გადარიცხვების (განსაკუთრებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ) სისწრაფესთან და ეფექტურობასთან. არის აბსოლუტურად დეცენტრალიზებული და გამჭვირვალე სისტემა. ამავდროულად, ვირტუალური ვალუტები, შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან, ტერორისტების დაფინანსებასთან, გადასახადების გადაუხდელობასთან და თაღლითობასთან.

რა არის კრიპტოვალუტა?

ტერმინი კრიპტოვალუტა გამოიყენება ციფრული ვალუტების აღწერისათვის, რომელიც იყენებს კრიპტოგრაფიას. Bitcoin, Ethereum, Litecoin, Dash, Monero, Ripple, Steem ყველა მათგანს ეწოდება კრიპტოვალუტა.

სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის პროფესორი უსმან ჩოჰანი [10] განმარტავს, რომ კრიპტო აქტივი არსებობს განზომილებაში, რომელიც არ არის ფიზიკური და არსებობს მხოლოდ ციფრული ფორმით. მისი ღირებულება გამომდინარეობს მიწოდებისა და მოთხოვნის ძალებისაგან გარე ჩარევის გარეშე.

ბრეტონ ვუდსის სისტემის დასრულების შემდეგ 1970-იან წლებში მაღალმა ინფლაციამ განაახლა სკეპტიციზმი ცენტრალური ბანკებისათვის მონოპოლიური ძალაუფლების მინიჭების გამო, ვალუტის გამოცემაზე. აღსანიშნავია, რომ ფრიდმანი და შვარცი (Friedman…1986) და ფიშერი (Fischer, 1986) უარყოფდნენ ჰაიეკის წინადადებას ფულის დენაციონალიზირებასთან დაკავშირებით (Hayek, 1976).

ამერიკელმა ეკონომისტმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკის დარგში, მილტონ ფრიდმანმა ჯერ კიდევ 1999 წელს იწინასწარმეტყველა ციფრული ვალუტის შესახებ [11]. მისი თქმით: "ერთადერთი რაც არ გვყოფნის, მაგრამ ეს მალე იქნება, არის საიმედო ელექტრონული ფული. მეთოდი, როდესაც ყიდულობთ ინტერნეტით, თქვენ შეგიძლიათ გადარიცხოთ სახსრები A-დან B-ზე, ისე რომ არ იცნობთ B-ს ან B-ზე, თუ იცნობთ A-ს. საშუალებაა, რომლითაც მე შემიძლია 20 დოლარი გადმოგცეთ, ისე, რომ არ იცით ვინ ვარ. მსგავსი რამ იქნება განვითარებული ინტერნეტში".

ფინანსური ტექნოლოგიის ბლოკჩეინის მიმართ საზოგადოებამ პირველად შეიტყო 2008 წელს, როდესაც ინტერნეტში სატოში ნაკომოტოს სახელით 2008 წლის 31 ოქტომბერს გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით: ბიტკოინი – Peer-to-Peer ელექტრონული ფულის სისტემა. სატოში ნაკომოტო – არის ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ფსევდონიმი, რომლებმაც შეიმუშავეს კრიპტოვალუტა ბიტკოინის პროტოკოლი. სტატიაში ახსნილი იყო, თუ როგორ უნდა მოხდეს ვირტუალური (ელექტრონული) ფულის მიმოცვლა შუამავალი ფინანსური ინსტიტუტების გარეშე. ასევე გადაიჭრა ე.წ. ორმაგი გახარჯვის (Double Spending) პრობლემა. ნაშრომი თავისთავად მოიაზრებდა ფულის მოძრაობას ყოველგვარი შეფერხებების გარეშე, რის მაგალითადაც შეიქმნა პირველი კრიპტოვალუტა – ბიტკოინი, რომლის მიმოცვლაც ხდება ბლოკჩეინ პლატფორმაზე. ამავე პლატფორმის გამოყენების კიდევ ერთი მაგალითია ე.წ. სმარტ კონტრაქტების შექმნა [12], რომელიც გულისხმობს კონტრაქტის პირობების გაწერას პროგრამულად, რამაც შესაძლებელი გახადა ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენება ბევრ სხვა სფეროში მისი მთავარი მახასიათებლების გამო: იგი აბსოლუტურად დეცენტრალიზებული ბაზაა და მასში მონაცემების წაშლა ან შეცვლა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. სმარტ კონტრაქტების შექმნის შესაძლებლობა, რომლის შექმნის იდეაც ეკუთვნის ნიკ ზაბოს (Nick Szabo) [13], ბლოკჩეინამდე ბევრად ადრე, 90-იან წლებში მოხდა. აქედან გამომდინარე, ბლოკჩეინთან დაკავშირებით შეიქმნა ასობით სტარტაფ კომპანია (მათ შორის საქართველოში), რომლებიც მის გამოყენებას უსადაგებენ სხვადასხვა სფეროებს როგორიცაა დაზღვევა, გადარიცხვები, უძრავი ქონების რეგისტრაცია.

2022 წლის მდგომარეობით შექმნილია და ივაჭრება 8000-მდე კრიპტოვალუტის სახეობა (https://www.worldcoinindex.com-ის მიხედვით). 2022 წლის იანვარში ბიტკოინის კაპიტალიზაციამ 700 მილიარდი დოლარი (https://coinmarketcap.com/all/views/all/) შეადგინა. ბაზრის კაპიტალიზაცია (Market Cap) გულისხმობს პლატფორმის მიერ მიმოქცევაში გამოშვებული კრიპტოვალუტის მოცულობის ფასს აშშ დოლარის კურსთან მიმართებაში.

კრიპტოვალუტის გლობალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორები

გლობალიზაციის პირველი ფაზა იყო ინტერნეტი, მაგრამ დღეისათვის დეცენტრალიზებული ბლოკჩეინის სისტემა გლობალიზაციის მეორე ფაზას წარმოადგენს, სადაც უსაზღვრო სამყარო უფრო მეტად მიღწევადი ხდება.

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ კრიპტოვალუტის გლობალიზაციის დაჩქარებას არის შემდეგი: გადარიცხვა და გადახდა მსოფლიო მასშტაბით ქაღალდური დოკუმენტაციის გარეშე.

ნობელის პრემიის ლაურეატი, ეკონომისტი ჯოზეფ სტიგლიცი [15], თვლის რომ კრიპტოვალუტა ბიტკოინი უნდა აიკრძალოს. მისი მოსაზრებით: "ბიტკოინი წარმატებულია, ვინაიდან მას გააჩნია პოტენციალი მოტყუებისა და მასზე ზედამხედველობის არ არსებობის გამო. ის უნდა გამოცხადდეს კანონგარეშე, მას არ გააჩნია არავითარი სოციალურად სასარგებლო ფუნქცია."

უნდა აღინიშნოს, რომ არა ერთი ქვეყნის მოწოდება გაისმა სახელმწიფო კრიპტოვალუტის შექმნის თაობაზე. მაგალითად, ვენესუელა და მარშალის კუნძულების რესპუბლიკა მსოფლიოში პირველი ქვეყნებია, რომლებმაც შექმნეს საკუთარი კრიპტოვალუტა [16].

ნობელის პრემიის ლაურეატი, ამერიკელი ეკონომისტი, პოლ კრუგმანი [17] თვლის, რომ ნებისმიერი კრიპტოვალუტა საჰაერო ბუშტის მსგავსია, ამასთან ძალიან არასტაბილური.

ვირტუალურ ვალუტებთან დაკავშირებით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სავალუტო ფონდის პერსონალის მსჯელობა, რომელიც გამოქვეყნდა 2016 წლის იანვრის თვეში [19].

დაბეგვრა

ვირტუალურ ვალუტებს გააჩნიათ დიდი პოტენციალი გადასახადებისაგან თავის არიდებისა. ეს განსაკუთრებით კრიპტოვალუტებს ეხება, როდესაც მონაწილეებმა არ უნდა გაამჟღავნონ თავიანთი იდენტურობა.

ვირტუალური ვალუტის ანონიმურობა/ფსევდო-ანონიმურობა მიმზიდველს ხდის მას არაკანონიერი საქმიანობისათვის, მათ შორის ფულის გათეთრებისათვის.

იმდენად, რამდენადაც ვირტუალური ვალუტები ასრულებენ სიმდიდრის დაგროვების და გაცვლის ფუნქციას, ისინი წარმოშობენ დაბეგვრასთან დაკავშირებულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგმა ქვეყანამ (მაგალითად, აშშ) [21] მიაღწია წარმატებებს დაბეგვრის საკითხებში, ბევრ ქვეყანაში ეს საკითხი არ არის დარეგულირებული.

საგადასახადო რეჟიმების განსაზღვრისას, უმთავრესი კითხვა რჩება თუ რად მიიჩნევა ვირტუალური ვალუტა: არაფულად აქტივად თუ ვალუტად (ფული). ბევრ ქვეყანაში ვირტუალურ ვალუტა საგადასახადო მიზნებისათვის განიხილება, როგორც საქონელი (მაგალითად: აშშ, კანადა).

2015 წლის 22 ოქტომბერს ევროსასამართლოს მიერ დადგენილი იქნა [22], რომ ოპერაციები დაკავშირებული ბიტკოინის ფულზე გადაცვლასთან გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (შემდგომში-VAT). სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაკონკრეტებულია, რომ VAT-ით დაბეგვრა ვრცელდება საქონლის და მომსახურების მიწოდებაზე. ბიტკოინთან დაკავშირებული ტრანზაქციები მიკუთვნებულ იქნა ისეთ საგადახდო ოპერაციებთან, როგორებიცაა ვალუტა, მონეტა და ბანკნოტი, შესაბამისად არ ექვემდებარება VAT-ით დაბეგვრას. სასამართლომ რეკომენდაცია გაუწია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს გამორიცხონ კრიპტოვალუტები იმ აქტივების ჩამონათვალიდან, რომლებიც ექვემდებარება დაბეგვრას VAT-ით.

ფინანსური სტაბილურობა

ფინანსური ინსტიტუტები არ მონაწილეობენ ვირტუალური ვალუტების ოპერაციებში. ბანკებისათვის შემოსავლების დაკარგვის რისკი დაკავშირებულია იმასთან, რომ ვირტუალურ ვალუტებს შეუძლიათ შექმნან ალტერნატიული საგადახდო სისტემა უფრო მიმზიდველი მომხმარებლებისათვის.

ფინანსური სტაბილურობის კუთხით, ასევე საყურადღებოა კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და IT რისკები, რადგან ეს ტექნოლოგიები ძნელად, თუმცა მაინც ექვემდებარება მანიპულირებას.

ევროპულმა საბანკო მართველობამ [24] რეკომენდაცია მისცა ევროკავშირის ქვეყნებს საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებმა არ განახორციელონ ვირტუალური ვალუტის ყიდვა და გაყიდვა, იმისათვის, რომ "დაცულ" იქნან რეგულირებადი ფინანსური დაწესებულებები.

ევროპული ფასიანი ქაღალდების და ბაზრების ორგანო, ევროპული საბანკო ორგანო და ევროპული დაზღვევისა და საპენსიო სისტემა ერთობლივად აფრთხილებენ მომხმარებლებს, კრიპტოვალუტების შესყიდვისა და შენახვის რისკების თაობაზე. ევროპული საბანკო მმართველობა მოუწოდებს მომხმარებლებს თავი შეიკავონ კრიპტოვალუტებში ინვესტირებისაგან, ვინაიდან, მათი განმარტებით, კრიპტოვალუტებთან დაკავშირებული საქმიანობა – აზარტული საქმიანობის ტოლფასია [25].

მონეტალური პოლიტიკა

ვირტუალური ვალუტების ხისტი მიწოდების წესები დამახასიათებელია ბევრი კრიპტოვალუტისათვის, მათ შორის ბიტკოინისათვის – პრინციპში შეზღუდული ინფლაციური რისკი გააჩნიათ [Buiter, 2014].

თუმცა, ვირტუალური ვალუტების თანამედროვე სისტემები მოკლებულნი არიან სხვა კრიტიკულად მნიშვნელოვან მახასიათებლებს, რომლებიც უნდა ახასიათებდნენ სტაბილურ მონეტარულ რეჟიმებს. დანაკლისი მდგომარეობს სულ მცირე 3 ძირითადი მონეტარული სტაბილურობის რისკისაგან თავდაცვის შესაძლებლობებში: სტრუქტურული დეფლაციის რისკი; დროებით შოკებზე (ფულზე მოთხოვნა) რეაგირების მოქნილობა და შესაბამისად ჯანსაღი ბიზნეს ციკლის უზრუნველყოფა და შესაძლებლობა იფუნქციონიროს ბოლო ინსტანციის კრედიტორის როლში (Lender of last Resort – ფინანსური კრიზისის დროს ცენტრალური ბანკის ფუნქცია სესხების გაცემისა).

ვირტუალური ვალუტების ფიქსირებული მიწოდება წარმოშობს სტრუქტურულ დეფ-ლაციას, ოქროს სტანდარტის ანალოგიურად. როგორც წესია ფულის მოთხოვნა იზრდება ეკო-ნომიკის ზრდის შესაბამისად. როდესაც ფულის მიწოდება ფიქსირებულია, მზარდი მოთხოვნა ფულზე წარმოშობს სტრუქტურულ დეფლაციას. ამიტომაც, ოქროს სტანდარტზე და ფუნტ სტერლინგზე ან აშშ დოლარზე დაფუძნებული საერთაშორისო სარეზერვო სისტემები ვითარ-დებოდნენ შეზღუდული რესურსებით (Redish, 1993, end Bordo, 1981). თანამედროვე მონე-ტარულ რეჟიმებს, ფულის მიწოდების მოქნილობით გააჩნიათ უპირატესობა ვირტუალური ვალუტებისაგან განსხვავებით. თუმცა, ვირტუალური ვალუტების დაპროექტება შესაძლებელია ისეთნაირადაც, რომ ფულის მასის გაფართოების შესაძლებლობა გააჩნდეს, მაგალითად ტრანზაქციების მოცულობის შესაბამისად, რითაც შესაძლებელი იქნებოდა დეფლაციის მიდრეკილების გადალახვა მზარდი ეკონომიკის პირობებში.

ზოგადად, ეკონომიკაში რომელშიც ვირტუალური ვალუტების წილი ძალიან დიდია, ფულად საკრედიტო პოლიტიკის უნარი მართოს ბიზნეს ციკლი შესაძლებელია შემცირდეს. ეს პრობლემები ანალოგიური იქნება იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც ხასიათდებიან მზარდი დოლარიზაციით. დღეს არსებული ვირტუალური ვალუტები არ იძლევა საშუალებას ფულადი მასის ზრდისა, უარყოფითი ფულის მიწოდების შოკის პერიოდში. აღნიშნულს ექნება ტენდენცია გაამძლავროს რეცესიული პროცესი და განაპირობებს დეფლაციურ სპირალს დიდი დეპრესიის ანალოგიურად, ოქროს სტანდარტის დროს.

ვირტუალური ვალუტებისათვის არ იქნება ადვილი ჩაანაცვლოს ცენტრალური ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქცია (ე.წ. LOLR). მსოფლიო საფინანსო კრიზისმა კვლავ გაუსვა ხაზი იმ ინსტიტუტების როლის მნიშვნელობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიკვიდურობას. მოქნილი ფულის მიწოდების დროსაც რთულად გასაგებია, როგორ შეიძლება დეცენტრალიზებულმა ვირტუალური ვალუტების სისტემამ უზრუნველყოს ლიკვიდობის მართვა ფინანსური კრიზისის პერიოდში.

რეგულაციებისა და ინტერვენციების არ არსებობისას ვირტუალური ვალუტები ფარ-თოდ იქნება გამოყენებადი იმ ქვეყნებში, სადაც ფულად-საკრედიტო სისტემა ნაკლებად სანდო-ობიანია. ზოგადად, ერთიანი ვალუტის გამოყენების უპირატესობა მნიშვნელოვანია, თუმცა ერ-თი ქსელიდან მეორეში ტრანსფორმაციის დანახარჯები დიდი იქნება. სწორედ ასეთი ქსელური დანახარჯები ქმნიან ტენდენციას ერთი ვალუტის არსებობისკენ. დღეის მდგომარეობით არსე-ბული სახით ვირტუალურმა ვალუტებმა ვერ დაძლიეს ეს პრობლემა (Doud, 2014). ვირტუალუ-რი ვალუტა მიმზიდველი შეიძლება იყოს იმ ქვეყნებისათვის, რომლებშიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დაბალი სანდოობით სარგებლობს, თუმცა ფასების სტაბილურობის რეგულირება იქნება მასტიმულირებელი შეამციროს (შეზღუდოს) მათი მოხმარება. ამასთან, ვირტუალური ვალუტის ცვალებადობა იმდენად ძლიერი იყო, რომ იმ ქვეყნებისათვისაც, სადაც ფულად-საკ-რედიტო სისტემის სანდოობა ძალიან დაბალია ამერიკული დოლარი უფრო მიმზიდველია, ვიდრე ვირტუალური ვალუტა.

მონეტარული პოლიტიკის მხრივ, კიდევ ერთი საყურადღებო საკითხია, რომ კრიპტოვა-ლუტების შემოღების შემთხვევაში, ცენტრალურ ბანკს შესაძლებლობა ექნება უარყოფითი საპრო-ცენტო განაკვეთები დაადგინოს. დღეს, როდესაც ნაღდი ფულადი სახსრები არსებობს – ეს შეუძ-ლებელია, რადგან ნაღდ ფულზე უარყოფითი განაკვეთის დარიცხვა ვერ განხორციელდება.

უარყოფითი განაკვეთების შესაძლებლობა განსაკუთრებით საჭირო გამოჩნდა ფინანსური კრიზისის ფონზე, როდესაც საჭირო იყო უფრო მეტი სტიმულირება, ვიდრე განაკვეთის ნულოვანი დონე, ე.წ. ლიკვიდურობის ხაფანგი (liquidity trap) [26].

დასკვნა

როგორც გაირკვა, კრიპტოვალუტები არის უსაზღვრო, დეცენტრალიზებული სისტემა და შეუძლია ჩაანაცვლოს ფული ნებისმიერი ტრანზაქციის დროს. ყოველგვარი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გარეშე, ბიტკოინი შეიჭრა მსოფლიო ეკონომიკაში მისი მარტივად გამოყენების შედეგად. ბიტკოინი, ინტერნეტის შემდგომ ყველაზე ინოვაციური გამოგონებაა. ის არის ინტერნეტ ფული და ციფრული ვალუტა, მისი შეჩერების მიზნით უნდა შეწყდეს ინტერნეტი. სწორედ ამაშია, ბიტკოინის სიმძლავრე.

დღევანდელი გადასახედიდან, ვირტუალური ვალუტა ნამდვილად სცდება ტრადიციული ეკონომიქსის ჩარჩოებს და ის დიდი ალბათობით, ადგილს ქართველი ეკონომისტის, ვლადიმერ პაპავასეული არატრადიციული ეკონომიქსში (V. Papava, 2011) უნდა იმკვიდრებდეს.

ვირტუალური ვალუტები სწრაფად ვითარდება და, შესაბამისად, სამომავლო ლანდშაფტის კონტურების პროგნოზირება ძნელია. თუმცა განსაკუთრებული აქტუალურობა კოვიდ 19-ის მოქმედების პერიოდში შეიძინა, მისი ვირტუალური ბუნებიდან გამომდინარე, შესაბამისად სახელმწიფოები დაკვირვებით უნდა ადევნონ თვალყურს მის განვითარებას. ვირტუალური ვალუტის ფართო გამოყენება და ურთიერთობა სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან, დროთა განმავლობაში სისტემური რისკის წარმოშობასთან არის დაკავშირებული.

ლიტერატურა:

1. პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიქსი, თბილისი, 2011
2. Satoshi Nakamoto. Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System. 2008. https://bitcoin. org/bitcoin.pdf
3. Bordo, M.D., 1981, “The Classical Gold Standard: Some Lessons for Today,” Federal Reserve Bank of St. Louis Review, (May), pp. 2–17.
4. Dong He, Karl Habermeier, Ross Leckow, Vikram Haksar, Yasmin Almeida, Mikari Kashima, Nadim Kyriakos-Saad, Hiroko Oura, Tahsin Saadi Sedik, Natalia Stetsenko, and Conceprion Verdugo-Yepes, IMF STAFF NOTE, **Virtual Currencies and Beyond: Initial Consideration**, 2016.
5. Dowd, K., 2014, “New Private Monies: A Bit-Part Player?” Institute of Economic Affairs, Cobden Centre Hobart Paper No. 174. London: Institute of Economic Affairs.
6. Fischer, S., 1986, "Friedman Versus Hayek on Private Money: Review Essay," Journal of Monetary Economics: 17 (3), (May 1986), 433–440.
7. Friedman, M. and A.J. Schwartz, 1986, “Has Government any Role in Money?” Journal of Monetary Economics: 17(1), pp. 37–62.
8. Hayek, F.A., 1976, Denationalization of Money (London: Institute of Economic Affairs).
9. Redish, A., 1993, “Anchors Aweigh: The Transition from Commodity Money to Fiat Money in Western Economies,” Canadian Journal of Economics: pp. 777–795.

ელექტრონული გვერდი:

10. https://www.imf.org/external/pubs/ft/sdn/2016/sdn1603.pdf
11. https://bitcoinrush.md/лауреат-нобелевской-премии-мильтон-ф/
12. https://www.bbva.com/wp-content/uploads/en/2016/11/Digital_Economy_Outlook_Oct15_Cap1.pdf

13. https://www.entrepreneur.com/article/233143
14. http://goldenfleece.co
15. https://anycoin.news/2017/11/29/stiglitz-bitcoin/
16. https://www.rt.com/business/420419-marshall-islands-sovereign-cryptocurrency/
17. https://inosmi.ru/politic/20171004/240430052.html
18. http://www.imf.org/en/News/Articles/2017/09/28/sp092917-central-banking-and-fintech-a-brave-new-world?cid=em-COM-123-35955
19. https://www.imf.org/external/pubs/ft/sdn/2016/sdn1603.pdf
20. https://news.ge/erovnuli-bankis-gafrtxilebi/
21. https://www.irs.gov/pub/irs-drop/n-14-21.pdf
22. https://bits.media/news/evropeyskiy-sud-spravedlivosti-priravnyal-bitkoin-k-valyutam-i-osvobodil-ot-nds/
23. https://www.eba.europa.eu/documents/10180/657547/EBA-Op-2014-08+Opinion+on+Virtual+Currencies.pdf
24. https://www.esma.europa.eu/sites/default/files/library/esma50-164-1284_joint_esas_warning_on_virtual_currenciesl.pdf
25. https://news.ge/kriptovalutebtan-dakavsirebit-erovnul-banksi-sexvedra-gaimarta/
26. https://econ.economicshelp.org/2009/10/liquidity-trap-explained.html

The Urgency of Cryptocurrency in the Period of Covid 19 and New Challenges of Financial Globalization

Levan Dgebuadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Student

SUMMARY

New technologies - run the process of transformation change in the global economy, including the process of exchanging goods, services and assets. An important development in this process was the creation of a virtual currency.

The virtual currency industry is in the begining stage of development. The related legislative and supervisory framework varies according to countries and mostly is still in the process of study. Virtual currency is defined as any type of digital unit that is used as an exchange and account unit. Cryptocurrency is one type of virtual currency.

The activities connected to cryptocurrencies in terms of both earning and trading is increasing worldwide and Georgia in this regard is not an exception either. In addition, the Georgian legislation does not regulate the activities related to the virtual currency and the cryptocurrency is not a legal way of payment. It is characterized with high price fluctuations; hence the probability that the consumers may suffer financial losses is high.

Virtual currencies offer a lot of potential benefits in terms of speed and efficiency of payments and transfers (especially abroad). The system is absolutely decentralized and transparent. At the same time, virtual currencies bear significant risks related to money laundering, terrorism financing, tax evasion and fraud.

COVID-19-ის პანდემია და სურსათის ფასები საქართველოში: ძირითადი ტრენდები და მოლოდინები

სალომე დეისაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

სასურსათო უსაფრთხოების მხრივ COVID-19-ის პანდემიამ სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა ქვეყნები, მათ შორის საქართველო. პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა სურსათის მწარმოებლებსა და მომწოდებლებს ტრანსპორტირებასა და სამუშაო ძალის დეფიციტთან დაკავშირებით პრობლემები შეუქმნა, რამაც საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის ფასების ზრდა გამოიწვია. ფასებთან დაკავშირებულმა ზოგადმა ტენდენციებმა საქართველოშიც იჩინა თავი და სურსათის ფასები მკვეთრად გაიზარდა. ფასები გაიზარდა თითქმის ყველა ძირითად სასურსათო ჯგუფში შემავალი პროდუქტებისთვის. სურსათის ფასების ზრდა განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან შინამეურნეობებზე აისახება, რომელთა სამომხმარებლო ხარჯების დიდი წილი ისედაც სურსათზე იხარჯება. სტატია აღწერს პანდემიის ეფექტებს სურსათის ფასებზე საქართველოში და მიმოიხილავს მთავარ ფაქტორებს, რამაც ქვეყანაში სურსათის ფასების ზრდაზე მოახდინა გავლენა. საქართველო სურსათის წმინდა იმპორტიორი ქვეყანაა. იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების გამო სურსათის ფასებს საქართველოში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტრენდები და გაცვლითი კურსის რყევები. სტატიაში ასევე განხილულია ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ სურსათის ფასების დინამიკას ადგილობრივ ბაზრებზე მომდევნო თვეებში და წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია სურსათის ფასების დასტაბილურებისკენ საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: სურსათის ფასები, COVID-19, პანდემია, ინფლაცია, მოლოდინები

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა სასურსათო სისტემებს მთელ მსოფლიოში. შეფერხებები მიწოდების ჯაჭვში, გაზრდილი მოთხოვნა, გაძვირებული ტრანსპორტირება და შემცირებული წარმოება მთავარ ექსპორტიორ ქვეყნებში საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის ფასების ზრდა და არასტაბილურობა განაპირობა (Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), 2022). ფასებთან დაკავშირებულმა გლობალურმა ტრენდებმა საქართველოშიც იჩინა თავი და სურსათის ფასები მკვეთრად გაიზარდა.

პანდემიის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ საქართველოში სურსათის ფასები ჯერ კიდევ შორსაა სტაბილურობისგან. სტატიაში აღწერილია სურსათის ფასების დინამიკა COVID-19-ის პანდემიის დროს საქართველოში და განხილულია ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც მნიშნელოვანი გავლენა მოახდინა სურსათის ფასებზე პანდემიის დაწყებიდან დღემდე. გარდა ამისა, სტატიაში გაანალიზებულია სურსათის ფასებთან დაკავშირებული მოლოდინები და წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც მიმართულია სურსათის ფასების დასტაბილურებისთვის.

სურსათის ფასების დინამიკა COVID-19-ის პანდემიის დროს

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემების თანახმად, 2020 წლის თებერვლიდან მოყოლებული, როდესაც საქართველოში COVID-19-ის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა, ყოველთვიური ფასები სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე წლიურ ჭრილში საშუალოდ 10.9%-ით იზრდებოდა (დიაგრამა 1). 2021 წლის ოქტომბერში სურსათის ფასების ცვლილებამ წლიურ ჭრილში 18.4% შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2011 წლის მაისის შემდეგ.

დიაგრამა 1



წყარო: საქსტატი, 2022

2020-2021 წლებში წლიურ ჭრილში ფასები გაიზარდა თითქმის ყველა ძირითად სასურსათო ჯგუფში შემავალი პროდუქტებისთვის. ამასთანავე, შინამეურნეობების მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში გაიზრდა სურსათზე დანახარჯების წილი: 2020 წლის მონაცემებით სურსათზე გაწეული დანახარჯები მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების 47.4%-ს შეადგენდა, რაც რაც 4.4 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (43%). 2021 წლისთვის ეს მონაცემები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, თუმცა, სავარაუდოდ, 2021 წელსაც ქართველი მომხმარებლები თავიანთი სამომხმარებლო ხარჯების დიდ წილს სურსათზე გადაანაწილებდნენ.

საქსტატის თანახმად, 2022 წელიც სურსათის ფასების ზრდით დაიწყო. 2022 წლის იანვარში ფასები გაიზარდა სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ყველა ქვეჯგუფში: ბოსტნეული და ბაღჩეული (23.3%); პური და პურპროდუქტები (20.5%); ზეთი და ცხიმი (19.6%); რძე, ყველი და კვერცხი (14.4%); ხილი და ყურძენი (13.7%); ხორცი და ხორცის პროდუქტები (11.9%) (საქსტატი, 2022).

საქართველო სურსათის წმინდა იმპორტიორი ქვეყანაა (Gelashvili, Katsia, & Deisadze, 2020). იმპორტირებული სურსათის წილი სამომხმარებლო კალათაში მაღალია და მოხმარებული სურსათის დაახლოებით 80%-ს შეადგენს. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 15% იყო, ზოგადად ხორცის – 49%, ხოლო ბოსტნეულის – 63%. იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების გამო სურსათის ფასებს საქართველოში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტრენდები და გაცვლითი კურსის რყევები.

საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტრენდები: სურსათის იმპორტზე საქართველოს მაღალი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, სურსათის საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესები დიდ გავლენას ახდენს სურსათის ადგილობრივ ფასებზე. 2020-2021 წლებში

საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის ფასები, რომელსაც სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსით ზომავს, აღმავალი ტრენდით ხასიათდებოდა (დიაგრამა 2). FAO-ს მიხედვით, ფასების ზრდა აღნიშნულ პერიოდში ძირითადად იმპორტზე მოთხოვნის ზრდისა და სურსათის მიწოდების ჯაჭვებში შეფერხებების გამო (Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), 2022). იმპორტზე მოთხოვნის ზრდა თავის მხრივ განაპირობა ექსპორტის მოსალოდნელმა შეზღუდვებმა ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებში წარმოების შემცირების გამო (მაგ., მარცვლეული. მცენარეული ზეთი, შაქარი, ხორცი, რძის პროდუქტები). მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ბაზრებიდან ადგილობრივ ბაზარზე ტენდენციების გადმოცემას გარკვეული დრო სჭირდება, გარკვეული გარემოებების გამო სურსათზე ფასების ზრდის ტენდენცია ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად გადაეცა ადგილობრივ ბაზრებს საქართველოში. მაგალითად, უამინდობისა და შემცირებული წარმოების მოლოდინმა რუსეთის ბაზრებზე, რომელიც საქართველოს მთავარი საიმპორტო პარტნიორია ხორბლისა და მზესუმზირის ზეთის შემთხვევაში, ხელი შეუწყო ამ კონკრეტულ პროდუქტებზე ფასების ზრდას საქართველოში.

დიაგრამა 2



წყარო: საქსტატი, FAO, 2022

შენიშვნა: სურსათის ფასების ცვლილება მოცემულია წლიურ ჭრილში, წინა წლის შესაბამისი თვესთან მიმართებით

გაცვლითი კურსის დინამიკა: პანდემიის პირველი წლის განმავლობაში ქართული ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაუფასუფარდა: 2020 წელს, ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 10.3%-ით გაუფასურდა 2019 წელთან შედარებით, და ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 2.82-დან 3.11-მდე გაიზარდა (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022). ლარის გაუფასურებამ იმოქმედა იმპორტირებული სურსათისა და ნედლეულის ფასებზე, მათ შორის შხამ-ქიმიკატებზე, სასუქზე, საწვავსა და რძის ფხვნილზე. დიაგრამა 3 გვიჩვენებს სურსათის ფასების ინდექსისა და ყოველთვიური გაცვლითი

კურსის დინამიკას 2020 წელს. აშკარაა, რომ გაცვლითი კურსის დინამიკამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა სურსათის ფასების ზრდის ტემპი 2020 წელს - პანდემიის პირველ წელს.

დიაგრამა 3



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი, 2022

2020 წელს სურსათის ფასების დასტაბილურებისა და სოფლის მეურნეობაზე პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების შესამცირებლად რამდენიმე მნიშნელოვანი ინტერვენცია განახორციელა. 2020 წლის აპრილი-მაისში საქართველოს მთავრობამ დაასუბსიდირა ძირითადი სასურსათო პროდუქტების იმპორტიორებისთვის გაცვლითი კურსით გამოწვეული სხვაობა, რომ მათ არ გაეძვირებინათ შესაბამისი პროდუქტები. გარდა ამისა, სოფლის განვითარების სააგენტომ წარმოების ხელშეწყობის მხრივ ორი მნიშვნელოვანი პროგრამა განახორციელა: აგრო ბარათების მეშვეობით მცირემიწიანი ფერმერების დახმარება, რაც 0.25-10 ჰა რეგისტრირებული მიწის მესაკუთრეებისთვის სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების სუბსიდირებას გულისხმობდა და აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ბენეფიციარებმაც აგროტექნიკური სამუშაოებისთვის საჭირო დიზელის საწვავი შეღავათიან ფასად შეიძინეს (Gelashvili, Katsia, & Deisadze, 2020).

მოსავლის თვალსაზრისით, 2020 კარგი წელი აღმოჩნდა საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის და სექტორის რეალურმა ზრდამ 8.1% შეადგინა (საქსტატი, 2022). წარმოების ეს პოზიტიური ტრენდი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ გაენეიტრალებინა საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მდგომარეობის, გაცვლითი კურსისა და COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების გავლენა სურსათის ფასებზე. გარდა ამისა, 2020 წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკურმა ვითარებამ, ქვეყანაში არაპროგნოზირებადი გარემო შექმნა და უარყოფითად აისახა მოლოდინებზე, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ზეწოლა გაცვლით კურსზე და, შესაბამისად, ფასებზე.

სურსათის ფასებთან დაკავშირებული მოლოდინები

იმისთვის, რომ განვსაზღვროთ, როგორ შეიცვლება სურსათის ფასები საქართველოში, მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივ ფასებსა და მოლოდინებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო ბაზრებიდან ტრენდების ადგილობრივ ბაზრებზე გადმოცემას დრო სჭირდება. ამის გათვალისწინებით, რომ FAO-ის სურსათის ფასების ინდექსი 2021 წლის განმავლობაში ყოველთვიურად იზრდებოდა და 2022 წლის იანვარიც აღმავალი ტრენდით დაიწყო, სურსათის ადგილობრივი ფასებიც შეიძლება მიჰყვეს ამ ტენდენციას და განაგრძოს ზრდა. თუმცა, საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტრენდების ადგილობრივ ფასებზე სრულად გადაცემისა და ასახვის დრო პროდუქტების მიხედვით განსხვავდება (Deisadze & Seturidze, 2021). მაგალითად, ხორბლის საერთაშორისო ბაზარზე ფასების ცვლილების ასახვას ადგილობრივ ბაზარზე, ზოგადად, დაახლოებით შვიდი თვე სჭირდება (Katsia & Mamardashvili, 2016). ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ შეიძლება საერთაშორისო ფასების ზრდას ველოდოთ, გადაცემის პერიოდმა საქართველოს მთავრობას უნდა მისცეს საშუალება, მოერგოს ამ ცვლილებებს და შესაბამისად დაგეგმოს თავისი ინტერვენციები.

საწვავის და ნავთობის გაზრდილმა ფასებმა შეიძლება კიდევ უფრო შეუწყოს ხელი სურსათის ფასების ზრდას. საწვავზე ფასების ბოლოდროინდელმა ზრდამ შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს ტრანსპორტირების ხარჯები და, შესაბამისად, იმოქმედოს სურსათის ფასებზე. 2021 წლის თებერვლიდან ტრანსპორტის კატეგორიაში ყოველთვიური ფასები წლიურ ჭრილში საშუალოდ 16.5%-ით იზრდებოდა და 2022 წლის იანვარშიც ზრდა განაგრძო (საქსტატი, 2022). საწვავის ფასები არამხოლოდ ზრდის სურსათის ტრანსპორტირების ხარჯებს ფერმიდან სუფრამდე, არამედ მოქმედებს წარმოების დანახარჯებზეც: ნავთობპროდუქტები სასუქების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

გაცვლითი კურსის სტაბილიზაციის მიუხედავად, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში კვლავ იმაზე მაღალია, ვიდრე პანდემიამდე იყო. 2021 წლის ივნისში, ქართულმა ლარმა აშშ დოლართან მიმართებაში გამყარება დაიწყო, 3.38-დან (2021 წლის მაისი) 3.16-მდე (2021 წლის ივნისის მაჩვენებელი) შემცირდა. თუმცა საშუალო გაცვლითი კურსი კვლავ უფრო მაღალია (3.08 2022 წლის იანვარში აგვისტოში), ვიდრე პანდემიამდე (2.85 2020 წლის თებერვალში) იყო (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022). შესაბამისად, გაცვლითი კურსი კვლავ უარყოფითად მოქმედებს იმპორტირებული სურსათის ფასებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერვენციებმა შესაძლოა შეამციროს ინფლაციის დონე, მათ შორის სურსათის ფასების დონე საშუალოვადიან პერიოდში. ინფლაციის დონის 3%-იან მიზნობრივ ნიშნულთან მიახლოების მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასული წლის განმავლობაში რამდენჯერმე გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი. საბოლოო ზრდა დაფიქსირდა 2021 წლის დეკემბერში, როდესაც რეფინანსირების განაკვეთი 10%-დან 10.5%-მდე გაიზარდა, რაც ბოლო ათი წლის განმავლობაში დაფიქსირებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების ეფექტს გარკვეული დრო სჭირდება (დაახლოებით ექვსი თვე), რომ იმოქმედოს, ამიტომ, ფასების დასტაბილურება მომდევნო თვეებში შეიძლება დაიწყოს.

გარდა ამ ფაქტორებისა, ფასებზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მოლოდინები. საქართველოს ეროვნული ბანკის პროგნოზით, ინფლაციის დონემ 2022 წლის პირველი კვარტლიდან შემცირება უნდა დაიწყოს ოდნავ შემცირდეს, თუმცა იგი 12%-ის ფარგლებში დარჩება. ინფლაციურმა მოლოდინებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს სურსათის ფასებზეც. გარდა ამისა, მოსავლიანობა და სოფლის მეურნეობის წარმოებაც იმოქმედებს სურსათის ადგილობრივ ფასებზე. გასათვალისწინებელია ვაქცინაციის შენებული ტემპი, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობაზე და შესაბამისად, შეაფერხოს წარმოების პროცესი.

დასკვნები და რეკომენდაციები

გასული ორი წლის განმავლობაში სურსათის ფასები საქართველოში აღმავალი ტრენდით ხასიათდებოდა, რაც ძირითადად COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვებით, საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტრენდებითა და გაცვლითი კურსის რყევებით აიხსნება. მიუხედავად იმისა, რომ 2020 სოფლის მეურნეობისთვის კარგი წელი იყო მოსავლისა და წარმოების თვალსაზრისით, წარმოების ეს პოზიტიური ტრენდი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ გაენეიტრალებინა აღნიშნული ფაქტორების გავლენა სურსათის ფასებზე.

პანდემიის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ საქართველოში სურსათის ფასები ჯერ კიდევ შორსაა სტაბილურობისგან. მომდევნო თვეების განმავლობაში საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტრენდები, ისევე როგორც ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკა და გაზრდილი ნავთობპროდუქტების ფასები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს სურსათის ფასებზე საქართველოში. გასათვალისწინებელია, ადგილობრივი წარმოების დონე და გაცვლითი კურსის ფაქტორიც, რომელიც ბოლო პერიოდში დასტაბილურდა.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, რთულია განისაზღვროს, როგორ შეიცვლება სურსათის ფასები მომდევნო თვეებში. როგორც ჩანს, შინამეურნეობებს კვლავ მოუწევთ სირთულეებთან გამკლავება, რადგან გაზაფხულამდე ძირითადი სასურსათო პროდუქტების ფასები ზრდას განაგრძობს, ეს განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან შინამეურნეობებზე აისახება, რომელთა სამომხმარებლო ხარჯების დიდი წილი ისედაც სურსათზე იხარჯება.

ფერმერული მეურნეობებისთვის გარკვეული შეღავათი შეიძლება იყოს სუბსიდირებული ნედლეული (სასუქები, პესტიციდები, დიზელი, ცხოველების საკვები და ა.შ.) რაც წარმოების ხარჯებს შეამცირებს. გარდა ამისა, სურსათის მიწოდების ჯაჭვში და ლოჯისტიკაში არსებულ გამოწვევებზე მიმართულ დამატებით სახელმწიფო პროგრამებს შეუძლიათ ხელი შეუშალონ სურსათზე ფასების ზრდას. გრძელვადიან პერიოდში პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს არამხოლოდ ძირითადი სასურსათო პროდუქტების ადგილობრივი წარმოების ზრდას, არამედ საიმპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას, რათა უზრუნველყოს სურსათის მიწოდებისა და ფასების დაბალი რყევადობა.

ლიტერატურა:

1. Deisadze, S., & Seturidze, E. (2021). Is There an End in Sight to Food Price Inflation? *Investor.ge*(2021October-November). Retrieved from http://www.investor.ge/2021/10/18/iset-pi-is-there-an-end-in-sight-to-food-price-inflation/

2. Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO). (2022). Retrieved from FAO Food Price Index: https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/
3. Gelashvili, S., Katsia, I., & Deisadze, S. (2020). Food Security in Times of Pandemic in Georgia. Retrieved from https://freepolicybriefs.org/2020/11/16/food-security-covid-19/
4. Katsia, I., & Mamardashvili, P. (2016). *Price Transmission in Wheat Flour Market in Georgia.* Retrieved from https://iset-pi.ge/storage/media/other/2021-09-27/e0172b00-1f75-11ec-9473-d3bd547aec60.pdf
5. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2022). *სტატისტიკური მონაცემები.* Retrieved from https://nbg.gov.ge/
6. საქსტატი. (2022). *ეროვნული ანგარიშები.* Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
7. საქსტატი. (2022). *ინფლაცია საქართველოში: 2022 წლის იანვარი.* Retrieved from https://www.geostat.ge/ka/single-news/2439/inflatsia-sakartveloshi-2022-tslis-ianvari
8. საქსტატი. (2022). *ფასების სტატისტიკა.* Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/25/fasebis-statistika

COVID-19 Pandemic and Food Prices in Georgia: Main Trends and Expectations

Salome Deisadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Student

SUMMARY

Two years into COVID-19 Pandemic, international food prices have been on the rise reflecting disruptions in supply chains, increased import demand, and poor growing conditions in exporting countries. Georgia has not been isolated from the trend, and consumers have seen drastic food price inflation. This article discusses the main drivers of food prices increases in Georgia and discusses the key factors that will form expectations for the upcoming months. Furthermore, it provides the recommendations to ensure less disruptions in food supply chains and low volatility in food prices.

მინერალური და მტკნარი წყლების საექსპორტო პოლიტიკა საქართველოში

გულნაზ ერქომაიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ნაშრომში გადმოცემულია მინერალური და მტკნარი წყლების წარმოებისა და ექსპორტის არსებული ვითარება, ახალი ბაზრების ათვისების გამოწვევები, კოვიდ -19 პანდემიის გავლენა გაყიდვებზე, მინერალური და მტკნარი წყლების საექსპორტო პოლიტიკა საქართველოში. აღნიშნულია, რომ ახალი ბაზრების მოძიება საკმაოდ რთულია. მსოფლიოში კონკურენცია დიდია და ქართველ მეწარმეებს დიდი გრძოლა უწევთ ახალი ბაზრების ასათვისებლად. აუცილებელია პოტენციური პარტნიორი ქვეყნების რეგულაციებისა და მოთხოვნის თავისებურებების გათვალისწინება. სწორი სტრატეგიის შემთხვევაში საკმაოდ დიდი შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნეს წყლის ბიზნესით.

საკვანძო სიტყვები: *მინერალური წყლები, მტკნარი წყლები, კოვიდ - 19, საექსპორტო პოლიტიკა, რეგულაციები წყლის შესახებ.*

მინერალური და მტკნარი წყლების წარმოება დიდი ხანია მნიშვნელოვან პოზიციას იკავებს საქართველოს ეკონომიკაში. ამას განაპირობებს: ნედლეულის ბუნებრიობა, სიუხვე, სიიაფე, სტაბილურობა, განახლებადობა, არასეზონურობა, მაღალი ხარისხი, კონკურენტუნარიანობა და, რაც მთავარია დაბანდებული კაპიტალის უკუგების მოკლე პერიოდი. ამ მხრივ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ საქართველო მდებარეობს იმ ქვეყნების შუაგულში, რომლებიც სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდიან.

აღსანიშნავია, რომ წყალზე მოთხოვნილება განუხრელად იზრდება. საქართველო კი უმდიდრესი ქვეყანაა სასმელი წყლის რესურსებით. საქართველოს წყლის რესურსების 30% უმაღლესი ხარისხის მიწისქვეშა სასმელ წყალს წარმოადგენს.

საქართველოში ცნობილია 730-ზე მეტი დასახელების მინერალური წყალი, რომელთა ჯამური დღეღამური დებეტი 130 მლნ ლიტრს შეადგენს. მათგან 300-ზე მეტს დიდი სამრეწველო და ბალნეოლოგიური მნიშვნელობა აქვს [ერქომაიშვილი, 2004].

მინერალური წყლების საბადოთა რაოდენობა საქართველოში 2-ჯერ აღემატება მსოფლიოში ცნობილ საფრანგეთისა და გერმანიის ქვეყნებში ერთად არსებულ მინერალურ წყალთა გამოსვლის რაოდენობას, ხოლო რაც შეეხება ზოგიერთ მინერალურ წყალს, როგორიც არის „ბორჯომი", „ნაბეღლავი", „საირმე", „ლუგელა", „უწერა" და სხვა, ისინი თავიანთი იონური შემადგენლობით და სამკურნალო თვისებებით წარმოადგენენ მსოფლიოში უნიკალურს.

ქართულ მინერალურ წყალზე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მოთხოვნა ყოველთვის მაღალი იყო. მის ყველაზე დიდ მომხმარებლად ისევ რუსეთი რჩება.

1990 წლამდე საქართველოში ყოველწლიურად ჩამოისხმებოდა 18 სახის მინერალური წყალი 520-530 მლნ ნახევარი ლიტრი ბოთლის მოცულობით. შემდგომ პერიოდში აღინიშნებოდა წარმოების მკვეთრი დაცემა და 1995 წლისათვის 9,4 მლნ ბოთლამდე შემცირდა. შემცირდა გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტიც. 1995 წელს პრაქტიკულად მხოლოდ ერთი სახეობის მინერალური წყალი, კერძოდ, „ბორჯომი" ჩამოისხმებოდა [ერქომაიშვილი, 2016].

წარმოების დაცემა განპირობებული იყო რიგი მიზეზებით: ენერგომატარებლების დეფიციტით, ეკონომიკური კავშირებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების მოშლით, მწვავე კრიმინოგენული სიტუაციით, პრივატიზაციის პროცესის არასწორი განხორციელებით.

საქართველოს მინერალური წყლების წარმოების აღმასვლა იწყება 1996 წლიდან. 2002 წელს ჩამოისხა 134,5 მლნ პირობითი ბოთლი წყალი, რაც 16,7-ჯერ აღემატება 1995 წლის მაჩვენებელს. 2002 წელს საქართველოს კვების პროდუქტების საექსპორტო ბალანსში მინერალურმა წყალმა 15,2% შეადგინა. თუმცა 2006 წლის შემდეგ ვითარება შეიცვალა და ექსპორტის სტატისტიკამ კლება დაიწყო. რუსულმა ემბარგომ, ერთის მხრივ, ქართული მინერალური წყლის მწარმოებელ კომპანიებს ბევრი პრობლემა შეუქმნა, თუმცა, მეორეს მხრივ, მათ ახალ საექსპორტო ბაზრებზე მუშაობის მოტივაცია გაუჩინა.

ბოლო წლებში მინერალური და მტკნარი წყლების წარმოება იზრდება, მაგრამ ახალი ბაზრების მოძიება საკმაოდ რთულია. მსოფლიოში კონკურენცია დიდია და ქართველ მეწარმეებს დიდი ბრძოლა უწევთ ახალი ბაზრების ასათვისებლად. მინერალური და მტკნარი წყლების ხარისხითა და წარმოების კულტურით შესაძლებელია კიდევ მეტი სერიოზული ბაზრის ათვისება.

მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი 2021 წელს 2020 წელთან შედარებით 32%-ით გაიზარდა. საქართველოდან მსოფლიოს ქვეყნებში ექსპორტზე 2021 წლის იანვარ-ნოემბერში 130,9 მლნ დოლარის ღირებულების მინერალური და მტკნარი წყლები გავიდა. პირველ ადგილზეა რუსეთი - 42,8%, შემდეგ მოდის უკრაინა, ლიეტუვა, ყაზახეთი, ბელორუსი, უზბეკეთი, აშშ, აზერბაიჯანი, ისრაელი. გარდა ამ ქვეყნებისა მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი ხორციელდებოდა: ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში, კანადაში, ჩინეთში, იაპონიაში, სომხეთში, საბერძნეთში, გაერთიანებული სამეფოში, ბულგარეთში, თურქეთში, ლატვიაში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში [12].

საერთოდ, 2021 წელს საქართველოს ექსპორტი 26,9%-ით გაიზარდა 2020 წელთან შედარებით და 11,7%-ით 2019 წელთან შედარებით. 2020 წელს იმპორტი ექსპორტს 2,4-ჯერ აღემატებოდა, მაშინ როცა 2017 წელს ეს მაჩვენებელი 3-ჯერ მეტი იყო, წინა წლებში კი უფრო მეტი.

უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეულში მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი 2019-2020 წლებში მე-6 პოზიციას იკავებდა (3,5-3,5%), ხოლო 2021 წელს უკვე მე-5 პოზიციაზე გადავიდა (4,7%) [12]. მიუხედავად იმისა, რომ მინერალური წყლები წლებია უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფშია, საჭიროა დარგის უფორ მეტად პრიორიტეტიზაცია, წარმოების ხელშეწყობა, ექსპორტის სტიმულირება, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

საქართველოს მინერალური წყლების ბაზარზე 2021 წლის მდგომარეობით, წარმოდგენილია 30-ზე მეტი კომპანია. მათგან ექვსი ბაზარზე ფუნქციონირებადი მსხვილი კომპანია, რომელიც ჩამოსასხმელი წყლების 17 დასახელების ბრენდს აწარმოებს, აქედან 12 ბრენდი წარმოადგენს მინერალურ წყალს. ეს კომპანიებია: შპს „IDS ბორჯომი საქართველო“ (აწარმოებს მინერალურ წყლებს „ბორჯომი“, „ლიკანი“, „ბაკურიანი“, „ბაკურიანი ციდა“), სს „წყალი მარგებელი“ (მინერალური წყალი „ნაბეღლავი“, მტკნარი წყალი: „ბახმარო“ და „ჯეო ნატურა“), შპს „აქვა გეო“ (მინერალური წყალი „კობი“, მტკნარი წყალი: „სნო“ და „სნო ქიდსი“), შპს „საირმე მინერალ ვოთერს“ (მინერალური წყალი „საირმე“ და „საირმე პრემიუმი“, მტკნარი წყალი - „ნაკადული“), სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ (მინერალური წყალი -„მთის წყალი“), შპს „ვოთერ ლენდი (მინერალური წყალი - „გუდაური“).

მინერალური წყლების ექსპორტის ყველაზე დიდი წილი მოდის ბორჯომზე (92%), ნაბეღლავი (6%), დანარჩენი - 2%. დანარჩენში შეიძლება გამოვყოთ „საირმე“, რომლის წილი ექსპორტში 0,5%-ია.

„ბორჯომი“ არის ვულკანური წარმოშობის, ბუნებრივი ნახშირორჟანგით გაჯერებული წყალი, რომელიც ადამიანს ეხმარება ქრონიკულ და მეტაბოლიზმთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში, აქვს სამკურნალო თვისებები.

დღეისათვის „ბორჯომი“ მსოფლიოს 40 ქვეყანაშია წარმოდგენილი [4]. ამ ქვეყნებს შორის არიან დსთ-ს სივრცეში შემავალი ქვეყნები, ასევე ბელგია, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, იაპონია, ჩინეთი, შვეიცარია, ლუქსემბურგი და ა.შ. თუმცა ამ ქვეყნებიდან კომპანია „ბორჯომი“ პროდუქციის ექსპორტს ყველაზე დიდი რაოდენობით მაინც დსთ-ს სივრცეში ახორციელებს. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში იმპორტირებული მინერალური წყლის სეგმენტზე „ბორჯომი“ ნომერ პირველი უცხოური ბრენდია გაყიდვების მიხედვით.

კომერციული ვებგვერდი Top-10- list.org - მონაცემებით, „ბორჯომი“ მსოფლიოს საუკეთესო და სასარგებლო მინერალური წყლების ტოპათეულში მესამე პოზიციაზეა. აღნიშნული ვებ-გვერდი რეიტინგებს უშუალოდ მომხმარებლისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს. მინერალური წყლების მსოფლიო ტოპ ათეულში „ბორჯომთან“ ერთად წარმოდგენილია შემდეგი ბრენდები: Evian, Perrier, San Pellegrino, Naya, Volnic Water, Agna Pasific, Montclar Water, Kona Deep Sea Mineral Water, Ein Gedi Mineral Water [14].

ქართული მინერალური წყლის ბაზარზე ასევე საკმაოდ მძლავრად არის წარმოდგენილი „ნაბეღლავი". იგი არის ბუნებრივი ნახშირორჟანგით გამდიდრებული, ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი სუფრის წყალი. მას აქვს უნიკალური სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები. ამასთან, მისი მოხმარება შეიძლება შეუზღუდავი რაოდენობით, ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის. „ნაბეღლავის“ სისტემატური მოხმარება ხელს უწყობს ორგანიზმის გაწმენდას მავნე ნივთიერებებისაგან და მის გამდიდრებას აუცილებელი მინერალებით.

ადგილობრივ ბაზარზე წარმატების გარდა, „ნაბეღლავმა“ მოწონება საზღვრებს გარეთაც დაიმსახურა და დღეისათვის იგი მსოფლიოს 30 ქვეყანაში გააქვთ, მათ შორის: ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებში, აზიაში, ასევე ახლო აღმოსავლეთსა და ჩრ. ამერიკაში.

აღსანიშნავია მინერალური წყალი „საირმე“, რომელიც ექსპორტზე მსოფლიოს 17 ქვეყანაში გააქვთ. გაყიდვების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება როგორც ქართულ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე.

ცნობილ ბრენდებთან ერთად („ბორჯომი“, „ნაბეღლავი“, „საირმე“) ქართული მინერალური წყლის ბაზარს კიდევ ერთი მინერალური წყალი - „ფლატე" შეემატა. ჩატარებული კვლევებით და სამედიცინო დასკვნებით დადგენილია, რომ წყალი „ფლატე“ გამოიყენება 30-მდე სხვადასხვა ქრონიკული დაავადების სამკურნალოდ. მათ შორის იგი გამოიყენება შაქრიანი დიაბეტის მძიმე ფორმის, ინსულინდამოკიდებული დიაბეტის მკურნალობის დროს. „ფლატე“ მოიხმარება ყოველდღიურად, როგორც სასმელი წყალი, რადგანაც მისი მინერალიზაცია არ აღემატება 3000 მგ/ლიტრში. ყველაზე დიდი მოთხოვნა „ფლატეზე" რუსეთში, ყაზახეთში და ბელორუსშია. „ფლატე" 30-40 წლის წინ გადიოდა შუა აზიაში და ყველაზე მოთხოვნადი, ძვირადღირებული წყალი იყო. მისი შემცველობა დღესაც არ შეცვლილა, ხარისხი - საუკეთესოა. „ფლატე" თავისი შემადგენლობითა და ხარისხით ძალიან ახლოსაა იმ წყლებთან, რომლებსაც ევროპელები აქტიურად მოიხმარენ.

პანდემიის პერიოდში, როგორც მონაცემებიდან ჩანს, მინერალური და მტკნარი წყლების წარმოებისა და ექსპორტის მიმართულებით დარტყმა სერიოზული არ ყოფილა. 2019 წელს ექსპორტზე გავიდა 133,5 მლნ დოლარის პროდუქცია, 2020 წელს 116,6 მლნ, ხოლო 2021 წლის იანვარ-ნოემბერში - 130,9 მლნ აშშ დოლარის პროდუქცია, რომელიც თითქმის უტოლდება პანდემიამდელ მაჩვენებელს (კიდევ დარჩენილია დეკემბრის თვე). როგორც ვხედავთ, 2020 წელს გაყიდვების მოცულობა წინა წელთან შედარებით თითქმის 17 მლნ დოლარით შემცირდა. შემცირდა შიგა მოხმარება ტურისტების რაოდენობის საგრძნობი კლების ფონზე. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის დასაწყისამდე აღნიშნულ პროდუქტზე ფასები არ გაზრდილა და კომპანიებმა ფასები მოგების მარჟის შემცირების ხარჯზე შეინარჩუნეს.

პანდემიით გამოწვეული პრობლემები შეეხო წყლის ინდუსტრიასაც. ძირითადი გამოწვევები სამი მიმართულებით გამოვლინდა [ლობჟანიძე, 2021].

- წყლის მოხმარების და წყლით მომარაგების მომსახურების სფეროს დაბრკოლებები;
- წყლის ინდუსტრიაში ნედლეულით, ტექნიკითა და ტექნოლოგიებით უზრუნველ-მყოფი კომპანიების შეფერხებული სამუშაოები;
- წყლის ინდუსტრიაში კერძო სექტორის კომპანიების მიწოდების კონსერვატიზმი.

მინერალური და მტკნარი წყლების ბაზარი დღეისათვის ერთ-ერთი უმთავრესი და მზარდი მოთხოვნილებების ბაზარია მსოფლიოში. მისი განვითარებისთვის აუცილებელია მისი მწარმოებელი კომპანიებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა, ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან ბაზრის დაცვა, მინე-რალური წყლების სამკურნალო შესაძლებლობების გაცნობა ფართომასშტაბიანი რეკლამებით, საგადასახადო შეღავათების დაწესება, მაგალითად, საფრანგეთში მინერალური წყლის მწარმოებლები შეღავათიან რეჟიმში იხდიან დამატებული ღირებულების გადასახადს. ანუ თუკი ქვეყანაში დამატებული ღირებულების გადასახადი 19%-ია, წყლის მწარმოებლებისთვის იგი 7% -ით განისაზღვრება [Erkomaishvili, 2015].

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა მინერალური წყლების ფალსიფიკაცია. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ 1991-1992 წლებიდან შეიმჩნეოდა, როცა ფაქტობრივად შეწყდა მინერალური წყლების ჩამოსხმა და მისი მიწოდება ტრადიციულ ბაზრებზე. ფალსიფიკატორს საშუალება ეძლევა ბაზრის გარკვეული სეგმენტი დაიკავოს დემპინგურ ფასებში და ადგილი აქვს არაჯანსაღ კონკურენციას. ამგვარად, ზარალდება მომხმარებელიც და სახელმწიფო ბიუჯეტიც. ბოლო პერიოდში ამ საკითხის მოსაგვარებლად შემუშავდა სპეციალური დამცავი ნიშნები, რამაც მკვეთრად შეამცირა ფალსიფიცირებული პროდუქცია, თუმცა ცალკეული შემთხვევები მაინც შეინიშნება.

ამჟამად ბევრ ქვეყნაში წარმატებით იყიდება მტკნარი წყლებიც, რომლითაც ასე მდიდარია საქართველო. სპეციალისტების ვარაუდით, უახლოეს მომავალში ბაზრის განაწილება შეიძლება მტკნარი წყლების სასარგებლოდ შეიცვალოს.

მინერალური წყლების წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში სახელმწიფო რეგუ-ლირების განსახორციელებლად მიღებულ იქნა ორი კანონი („წიაღის შესახებ” -1996წ.[10]. და „წყლის შესახებ”-1997წ. [11]), რომლებიც მთლიანად მოიცავენ და არეგულირებენ წყლის მოპოვებიდან და მოვლა-პატრონობიდან დაწყებული, გადამუშავებით დამთავრებული მთელ ტექნოლოგიურ ციკლს. ორივე კანონი მიახლოებულია საერთაშორისო სტანდარტებ-თან. შემუშავებულია მინერალური წყლების წარმოების განვითარების კონცეფცია, რომე-

ლშიც გათვალისწინებულია როგორც ადრე ათვისებული მინერალური წყლების სრული დებეტის საწარმოო ათვისება, ისე დაბალმინერალიზებული სასმელი წყლების ახალი სახეობების წარმოებაში დანერგვა.

საქართველოს კანონის „წყლის შესახებ“ (11.11.97წ.) მიხედვით საქართველოში წარმოებული (ჩამოსხმული) წყლის პროდუქცია მისი წარმოშობის, ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლებისა და დამუშავების ხარისხის მიხედვით კლასიფიცირებულია 4 კატეგორიად: ნატურალური მინერალური წყალი, სამკურნალო მინერალური წყალი, წყაროს წყალი და სუფრის წყალი.

კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირებისათვის სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება საწარმოო სტრუქტურების დინამიურად გარდაქმნაზე, განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების განვითარების მიმართულებით (საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიები, საგადასახადო შეღავათები, რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში დახმარებები და ა.შ.). ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია გახდა მრავალი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

საქართველო აქტიურად არის ჩართული წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების პროგრამებში და მონაწილეობს წყლის მართვის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამართულ საერთაშორისო შეხვედრებსა და კონფერენციებში. ევროკავშირთან ჰარმონიზაციის პროცესში საქართველოში წყლის პროდუქტის წარმოებისა და ვაჭრობის, ბაზარზე კონკურენციის, ექსპორტის, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის საკითხები რეგულირდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე [3].

გარდა საერთაშორისო საყოველთაო რეგულაციებისა, საქართველოს რიგ ქვეყნებთან შესასრულებელი აქვს არასატარიფო ვალდებულებები მინერალური წყლების მათ ქვეყნებში იმპორტის განხორციელების წინაპირობად [9].

რეგულაციების ყველაზე მაღალი ოდენობით გამოირჩევა: არაბთა გაერთიანებული ემირატები 171 მარეგულირებელი პრინციპით, ჩინეთი -168, ყატარი -123, საუდის არაბეთი -114, ყირგიზეთი - 106, რუსეთი - 102, ყაზახეთი - 81. ეს ქვეყნები მიუხედავად მათი არასატარიფო რეგულაციებისა, ჩვენი ქვეყნის წამყვან საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენენ. შედარებით ნაკლებ რეგულაციას აწესებენ: აშშ - 49, ლიეტუვა, ლატვია, კანადა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი, პოლონეთი, ჩეხეთი და ავსტრია, თითოეული - 33 რეგულაციას უწესებს მათ იმპორტიორ პარტნიორებს, რომელთა შორის ერთ-ერთი საქართველოა. არასატარიფო ბარიერები მოხსნილი გვაქვს შემდეგ სახელმწიფოებთან: უკრაინა, ბელორუსი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, თურქმენეთი, სომხეთი, თურქეთი, კორეა და ერაყი.

საერთაშორისო ბაზრებზე დარჩენისა და ახალი ბაზრების ათვისებისათვის აუცილებელია პოტენციური პარტნიორი ქვეყნების რეგულაციებისა და მოთხოვნის თავისებურებების გათვალისწინება.

დასკვნები. კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ინსტიტუციონარული რეფორმები საკმარისი არ არის მინერალური და მტკნარი წყლების კონკურენტუნარიანობის და ექსპორტის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

მთავარ პრობლემებად მიიჩნევა:

- საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიების ნაკლებობა;

- რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში სახელმწიფოს მხრიდან დახმარებების არქონა;
- ინფლაცია;
- პროდუქციის ფალსიფიკაციის პრობლემა, განსაკუთრებით უცხოეთის ბაზრებზე.

რეკომენდაციები:

- უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით: ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა, დაზღვევის სისტემის შექმნა, ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა;
- მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიის დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ.;
- კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელია თანამედროვე დიზაინით გაფორმებული მაღალი ხარისხის პროდუქციის უწყვეტი მიწოდება, ახალი ბაზრების ათვისებისათვის სადისტრიბუციო ქსელების გახსნა, სარეკლამო საქმიანობის ფართოდ გაშლა, ელექტრონული ვაჭრობის ორგანიზაცია;
- მინერალური წყლების ბიზნესის აღმავლობის საწინდარი კარგად განვითარებული სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო კომუნიკაციებია, რადგან საწარმოთა უმრავლესობა უახლოეს რკინიგზის სადგურებსა და პორტებს ძალიან მოშორებულია;
- ინვესტორებისთვის აუცილებელია სტაბილური სამართლებრივი გარემოს არსებობა, რაც შეუქმნის მათი საკუთრების დაცვის მყარ გარანტიებს.

საქართველოს შეუძლია მთელი მსოფლიო დააკმაყოფილოს როგორც მინერალური, ისე მტკნარი წყლებით. დღეს მსოფლიოში განსაკუთრებით დგას წყლის პრობლემა. ყველაზე დიდი შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნეს წყლის ბიზნესით. ეს არის უფასო მზა რესურსი. ბიზნესმენი ვინც ამ სფეროში ჩადებს ფულს, წაგებული არასოდეს დარჩება.

ლიტერატურა:

1. ერქომაიშვილი გ., მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2004
2. ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისი, „უნივერსალი“, 2016.
3. თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან - http://www.dcfta.gov.ge/ge/home
4. კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდი -„ბორჯომი საქართველო“ (borjomi.com)
5. კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდი -„წყალი მარგებელი“ (nabeghlavi.ge)
6. კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდი - „Aqua Geo Georgian Water“ (sno.ge)
7. კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდი - „Sairme Mineral Waters“ LTD (sairmewater.com)
8. ლობჟანიძე ნ., კონკურენცია და პროდუქტის კონკურენტუნარიანობა ქართული მინერალური წყლების ბაზარზე. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2021
9. მინერალური წყლების იმპორტზე საქართველოსთვის დაწესებული არასატარიფო რეგულაციები - Market Access Map (macmap.org)
10. საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, თბილისი, 1996წ. 17 მაისი
11. საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“, თბილისი, 1997წ. 16 ოქტომბერი
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www. geostat.ge

13. Erkomaishvili G., Consumer Market for Mineral Water and Development Policy in Georgia. International Conference on Economics and Business Management. World Academy of Scienxe, Engineering and Technology, Rome, Italy, 5-6 may, 2015. Index 101, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business www. waset.org
14. https://top-10-list.org/2011/10/26/top-10-mineral-water-brands/

Mineral and Fresh Water Export Policy in Georgia

Gulnaz Erkomaishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor, Academic Doctor of Economics

SUMMARY

The paper introduces the current situation of production and export of mineral and fresh water, the challenges of opening new markets, the impact of the Covid-19 pandemic on the situation in this area, the export policy of mineral and fresh water in Georgia. It is noted that finding new markets is quite difficult. Competition in the world is fierce and Georgian entrepreneurs struggle to break into new markets. The regulations and requirements of the potential partner countries must be taken into account. With the right strategy, the water business can generate quite a bit of revenue.

Keywords: *Mineral waters, Freshwaters, Covid-19, Export policy, Water regulations.*

COVID 19 პანდემია და მისი გავლენა შემოსავლების აღიარებაზე

მარიამ ვარდიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

მარინა მაისურაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

სტატიაში განილულია COVID 19 პანდემიით შექმნილ სიტუაციებსა და გარემოებებში ფასს 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან", შემოსავლების აღიარების ის ასპექტები, რომლებზეც ძირითადად გავლენას იქონიებს პანდემიით გამოწვეული კრიზისი, რომლის დროსაც იცვლება მყიდველების ქცევა.

შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცვალებადი ანაზღაურება. იმისათვის, რომ სამართლიანად აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გარემოებები და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები საჭირო ხდება არსებული კონტრაქტების გადასინჯვა და ცვალებადი ანაზღაურების ხელახალი შეფასება.

გაურკვევლობებმა, რომელიც დაკავშირებულია COVID 19 პანდემიასთან და ამჟამინდელ საბაზრო პირობებთან, ასევე შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებელთა კონტრაქტების მოდიფიკაცია. ზოგიერთი მოდიფიკაცია მხედველობაში მიიღება პერსპექტიულად, ხოლო სხვები მხედველობაში მიიღება კუმულაციური მიდგომის გამოყენებით.

აგრეთვე შესაძლებელია, რომ საწარმოები ახლა უფრო მეტად იყვნენ მზად, რათა მიიღონ ნაწილობრივი გადახდის ან გადახდის ვადების გახანგრძლივების გადაწყვეტილება.

საწარმოებმა უნდა გააანალიზონ, არსებული გარემოებები და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი აქტივი ან სავაჭრო დებიტორული დავალიანება გაუფასურების შემდგომ უნდა შეაფასონ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: *ამონაგები, სახელშეკრულებო აქტივი, ცვალებადი ანაზღაურება, კონტრაქტი*

კორონავირუსულმა პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს ეკონომიკური ცხოვრება. პანდემიამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური აღრიცხვისა და ანაგარიშგების სხვადასხვა ასპექტზე, მათ შორის ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან", მიხედვით შემოსავლების აღიარებაზე.

ვირუსთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, ეკონომიკური აქტივობის შენელების შედეგად, კომპანიები როგორც წესი, ელიან შემოსავლისა და გრძელვადიანი კონტრაქტების შესრულების ვალდებულებების მნიშვნელოვან შემცირებას.

შემოსავლების კლება შეიძლება წარმოიქმნას საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის მოცულობის შემცირებისა და ცვალებადი ანაზღაურების ცვლილების შედეგად.

COVID პანდემიამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი გაურკვევლობა მომხმარებლებთა ქცევასთან დაკავშირებით, მაგალითად, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური გარემოს ცვლილებების შედეგად მომხმარებლები შეეცდებიან შეცვალონ კონტრაქტები, ასევე შესაძლებელია შეიცვალოს მომხმარებლებთა გადახდის უნარი, გაიზარდოს გაზრდილი ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულება და სხვა.

ასევე შეიძლება მენეჯმენტმა, ხელახალი მოლაპარაკებით, მიიღოს მომხმარებელთა მხარდაჭერის პროგრამა დათმობების ან დამატებითი წახალისების შეთავაზებით და გადახდის პირობების გახანგრძლივების გზით.

არსებული კონტრაქტების მიხედვით შემოსავლების ახალად აღიარებისას გაითვალისწინება ცვლადი ფაქტორები, როგორიცაა ფასდაკლება, დაბრუნება, სესხები, წახალისება, შესრულების პრემიები და ჯარიმები.

ამონაგების ხუთ საფეხურიანი მოდელი

ფასს 15 ემყარება ძირითად პრინციპს, რომელიც მოითხოვს საწარმომ ამონაგები აღიაროს იმ თანხით, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლებისათვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ მაშინ, როდესაც შეასრულებს ვალდებულებას, დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისათვის გადაცემით. ამ პრინციპის გამოყენება გულისხმობს ხუთ საფეხურიანი მოდელის დაცვას.

როგორც წესი, როდესაც ხელშეკრულება აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოდელის გამოყენების პირობებს, მომხმარებლებისათვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ, საწარმოს მიერ მოპოვებული უფლება ანაზღაურებაზე, თუ ეს უფლება დამოკიდებულია დროის გარკვეული პერიოდის გასვლის გარდა სხვა რამეზე (მაგალითად, საწარმოს სამომავლო საქმიანობის შედეგებზე) აღიარდება სახელშეკრულებო აქტივად.

კლიენტის გადახდის უნარის ნებისმიერი გაუარესებით, საწარმომ სახელშეკრულებო აქტივის გაუფასურებით მოსალოდნელი ზარალი უნდა შეაფასოს ფასს 9-ის შესაბამისად. სახელშეკრულებო აქტივის გაუფასურება უნდა შეფასდეს, აისახოს და გამჟღავნდეს იმავე საფუძველზე, რომელიც გამოიყენება ფასს 9-ის მოქმედების სფეროში მყოფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მიმართ (ფაას 15)

ცვალებადი ანაზღაურება

თუ მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებით ანაზღაურება მოიცავს ცვალებად ანაზღაურებას, საწარმომ, ხელშეკრულების დადებისას უნდა შეაფასოს ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს იგი დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.(ფასს 15)

არსებულ გარემოებებში საჭირო იქნება მომხმარებლებთან ახალი და არსებული კონტრაქტებით ცვალებადი ანაზღაურების განხილვა-შეფასება, რადგან პანდემიის შედეგად ცვალებადი ანაზღაურების შეფასება შეიძლება შეიცვალოს.

მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, ფულადი სახსრების დაბრუნების, კრედიტის, მასტიმულირებელი ფასების, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ჯარიმების ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. (ფასს 15) საწარმო, რომელიც აკეთებს ასეთ შეფასებას ხელშეკრულების დაწყებისას, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა განაახლოს (გააკორექტიროს) გარიგების ფასის შეფასება (მათ შორის, ხელახლა უნდა განსაზღვროს, ცვალებადი ანაზღაურების შეფასების თანხის სიდიდე შეზღუდულია თუ არა), რათა სამართლიანად აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გარემოებები და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გარემოებებში მომხდარი ცვლილებები. (ფასს 15).

ცვალებადი ანაზღაურების განახლებული შეფასება (მათ შორის, ნებისმიერი თანხა, რომელიც შეზღუდულია) უნდა ასახავდეს საწარმოს მოლოდინებს ანაზღაურების ოდენობის ცვლილების შესახებ, რომლის უფლებასაც ის მოელის ნებისმიერი მოგვარებული განუსაზ-

ღვრელობების ან ახალ, პანდემიასთან დაკავშირებული გაურკვევლობის შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებით.

ხელშეკრულების შესასრულებელ ვალდებულებებზე გარიგების ფასში ცვალებადი ანაზღაურების შეფასების ცვლილების გამო საწარმომ ხელახლა არ უნდა გაანაწილოს გარიგების ფასი, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ განცალკევებით გასაყიდი ფასების ცვლილებების ასახვისთვის. უკვე დაფარულ შესასრულებელ ვალდებულებაზე მიკუთვნებული თანხები უნდა აღიარდეს ამონაგების სახით, ან ამონაგების შემცირების სახით იმ პერიოდში, როდესაც გარიგების ფასი შეიცვალა.

ცვალებადი ანაზღაურების ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს აღიარებული ამონაგების შემცირება.

მაგალითად, საწარმომ 2020 წლის ბოლოს 31 დეკემბერს, გააფორმა კონტრაქტი მომავალი წლის მაისამდე რვა ტრაქტორის წარმოებაზე. მყიდველი დათანხმდა 10,000 ლარი გადაეხადა თითოეული ტრაქტორის მიწოდებისას. ხელშეკრულება ითვალისწინებს ბონუსს 20,000 ლარს, თუ ყველა ტრაქტორი მიწოდებული იქნება 2021 წლის 30 ივნისამდე. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიწოდებულია ექვსი ტრაქტორი, მეშვიდე დასასრულს უახლოვდება და მერვეს მიწოდება დაგეგმილია 31 მაისს. 2021 წლის 31 მარტს საწარმომ სოციალური დისტანციის წესების გამო შეწყვიტა ტრაქტორის წარმოება. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ მაღალი ალბათობით, შემდგომში, ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის პრობლემის გადაჭრის დროს, დაგროვილი აღიარებული ამონაგების სიდიდე მნიშვნელოვნად არ შემცირდება.

ამიტომ, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმომ შემოსავალი აღიარა 6 ტრაქტორის მიწოდებით 10,000 × 6 = 60,000 ლარი, ბონუსი 20,000 × 6/8 = 15,000 ლარი, სულ 75,000 ლარი.

2021 წელს გაიკვა რომ ვალდებულების შუსრულებლობის გამო შესრულების ბონუსი არ მიიღება. შესაბამისად დაკორექტირდება 2020 წელს აღიარებული შემოსავლის ჯამური თანხა და საერთო შემოსავალი აღიარებული იქნება ბონუსის გარეშე 60,000 ლარად.

ხელშეკრულების მოდიფიკაცია და შეწყვეტა

გაურკვევლობამ, რომელიც დაკავშირებულია COVID 19 პანდემიასთან და ამჟამინდელ საბაზრო პირობებთან, ასევე შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებელთა კონტრაქტების ცვლილებები. გარდა ამისა, ერთეულებმა და მომხმარებლებმა შეიძლება უფრო მეტად შეწყვიტონ კონტრაქტები (მთლიანად ან ნაწილობრივ), რაც ფასს 15-ის მიხედვით ასევე წარმოადგენს ხელშეკრულების მოდიფიკაციის ფორმას. ხელშეკრულების ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდებიან შეცვალონ კონტრაქტის საგანი ან ფასი (ან ორივე) და ეს ცვლილებები წარმოქმნის ახალ ან ცვლის ხელშეკრულების მხარეთა კანონიერად აღსრულებად უფლებებსა და ვალდებულებებს.

საწარმოებმა უნდა აღრიცხონ ხელშეკრულების მოდიფიკაცია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ზოგიერთი მოდიფიკაციის ცალკეულ კონტრაქტებად აღირიცხვას, ხოლო სხვები შეიძლება გახდეს თავდაპირველი ხელშეკრულების ნაწილი და აღირიცხოს როგორც ერთი კონტრაქტი. გარდა ამისა, ზოგიერთი მოდიფიკაცია მხედველობაში

მიიღება პერსპექტიულად, ხოლო სხვები მხედველობაში მიიღება კუმულაციური მიდგომის გამოყენებით.

საწარმოებმა ასევე უნდა განსაზღვრონ, არის თუ არა ახალი კონტრაქტი არსებულ მომხმარებელთან არსებული ხელშეკრულების მოდიფიკაცია. ამ ანალიზის გაკეთებისას მათ უნდა გაითვალისწინონ შესაბამისი ფაქტები და გარემოებები, ასევე ფასს 15-ის მოთხოვნები, რომელის მიხედვით ეს ხელშეკრულებები უნდა აღირიცხოს, როგორც ერთი ხელშეკრულება, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთი ან რამდენიმე:

- ხელშეკრულებებზე მოლაპარაკება წარმოებს, როგორც ერთი კომერციული მიზნის პაკეტზე;
- ერთი ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელი ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია სხვა ხელშეკრულების ფასზე, ან შესრულებაზე (შედეგებზე); ან
- ხელშეკრულების მიხედვით დაპირებული საქონელი ან მომსახურება (ან თითოეული ხელშეკრულებით დაპირებული ზოგიერთი საქონელი ან მომსახურება) ერთი შესასრულებელი ვალდებულების ნაწილია.

ვფიქრობთ, რომ ფასს 15-ით აღრიცხული ხელშეკრულების ცვლილება შეიძლება მიუთითებდეს „ფაქტებისა და გარემოებების მნიშვნელოვან ცვლილებაზე“ (იხ. ფასს 15-ის პუნქტი 13) და ფასს 15-ის კრიტერიუმების ხელახალი შეფასების აუცილებლობაზე.

თანხის დაბრუნებისა და გადახდის ვადების გახანგრძლივების ალბათობასთან დაკავშირებული საკითხები საჭიროებს ფრთხილ ანალიზს და მისმა შედეგებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე, არის თუ არა არსებული კონტრაქტი აღრიცხული ფასს 15-ის შესაბამისად.

ანაზღაურების მიღების ალბათობა და გადახდის ვადების გახანგრძლივება

COVID 19-ის პანდემიამ შესაძლოა გავლენა იქონიოს მყიდველების მიერ თანხის გადახდის შესაძლებლობაზე, ან უკან დაბრუნების უფლებით გაყიდვის ოპერაციასთან დაკავშირებით ფულადი სახსრების დაბრუნებაზე. აგრეთვე შესაძლებელია, რომ საწარმოები უფრო მეტად იყვნენ მზად, რათა მიიღონ ნაწილობრივი გადახდის ან გადახდის ვადების გახანგრძლივების გადაწყვეტილება.

საწარმოებმა უნდა გააანალიზონ, შემდეგი გარემოებები:

- ფასს 15-ის მიხედვით გათვალისწინებული ცვლადი ანაზღაურების მიღების ალბათობა, ხელშეკრულების დადებისას;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი აქტივის ან სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების შემდგომი შეფასება ფასს 9-ის-ფინანსური ინსტრუმენტები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შესაბამისად.
- ხელშეკრულების დანახარჯებთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურება და მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტების იდენტიფიცირება.

იმისათვის, რომ შეთანხმებაში გათვალისწინებულ იქნეს ფასს 15-ის „მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებები“ მოთხოვნები, სავარაუდო უნდა იყოს, რომ საწარმო მიიღებს იმ ანაზღაურებას, რომლის უფლებასაც იგი მოელის იმ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც გადაეცემა მომხმარებელს. ფასს 15-ის შესაბამისად თანხის დაბრუნების ალბათობის

შეფასებისას, საწარმოებმა ჯერ უნდა განსაზღვროს ტრანზაქციის ფასი შემოსავლების აღიარების მოდელის მე-3 საფეხურის მიხედვით. ხელშეკრულების ფასი და ტრანზაქციის ფასი განსხვავდება, თუ ხელშეკრულების დაწყებისას საწარმო დაასკვნის, რომ მან შესთავაზა ან სურს მიიღოს დათმობა ფასში (ცვლადი ანაზღაურების ფორმა). საწარმო შეიძლება დათანხმდეს ხელშეკრულებაში მითითებულ ფასზე დაბალ ფასს, რათა დაამყაროს ან გააუმჯობესოს ურთიერთობა მომხმარებლებთან, ან მომხმარებლებს შეიძლება ჰქონდეს გონივრული მოლოდინი, რომ საწარმო შეამცირებს ფასს, რომელიც ეფუძნება მის ნორმალურ ბიზნეს პრაქტიკას. საწარმო ამცირებს ხელშეკრულების ფასს, რათა განსაზღვროს გარიგების ფასი ხელშეკრულების დადების დროს. შემდეგ, ამ ტრანზაქციის განსაზღვრული ფასის საფუძველზე, ხდება ანაზღაურების ალბათობის შეფასება ფასს 15-ის მიხედვით. საწარმომ ასევე უნდა შეაფასოს სახელშეკრულებო აქტივები ან სავაჭრო მოთხოვნები, ფასს 15-ის ფარგლებში არსებული კონტრაქტებიდან გამომდინარე, ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის ცვლილებების დაწყების შემდეგ იცვლება თანხა, რომელსაც საწარმო მოელის რომ მიიღებს, მაშინ საწარმოს შეიძლება დასჭირდეს მნიშვნელოვანი განსჯა, რათა დადგინდეს, არის თუ არა ცვლილება განპირობებული:

1) ხელშეკრულების დადებისას გამოვლენილი ცვლილებით ცვლადი ანაზღაურების შეფასებაში, (რომელიც იქნება გათვალისწინებული, როგორც გარიგების ფასის ცვლილებად)
2) იდენტიფიცირებადი საკრედიტო მოვლენა (მაგალითად, მომხმარებლების ცნობილი ან მოსალოდნელი შემცირება, ცნობილი ან მოსალოდნელი გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია ან მოთხოვნა ეკონომიკური მიზეზების გამო შეღავათი გადახდაზე), რომელიც იწვევს უიმედო ვალს და განიხილება როგორც დანაკარგი, გაუფასურება ფასს 9-ის მიხედვით. არსებულ მყიდველებთან ხელშეკრულებების პირობების ცვლილების შემთხვევაში საწარმოებმა ასევე უნდა განსაზღვრონ, ხდება თუ არა ცვლილება კონტრაქტებში.

ახალ ან არსებულ მყიდველებზე გადახდის ვადის გაგრძელების შეთავაზება შეიძლება მიუთითებდეს, რომ ხელშეკრულებაში არის მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი. თუ არსებობს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი, საწარმომ უნდა მოახდინოს ტრანზაქციის ფასის კორექტირება ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით, თუ ხელშეკრულების მხარეებს შორის შეთანხმებული გადახდის ვადები მყიდველს ან საწარმოს (გამყიდველს) აძლევს მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელს.

მომხმარებელთა სტიმულირება

საწარმოებმა თავიანთ მომხმარებლებს შეიძლება შესთავაზონ დამატებითი სტიმულირება, როგორიცაა უფასო საქონელი ან მომსახურება, რათა წაახალისონ ისინი შესაძენად. საწარმოებს ასევე შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი პროდუქციის ფასები მომხმარებელთა საჭიროებების შესაბამისად, ან შესთავაზონ მზა პროდუქციის შენახვა, როდესაც მყიდველს არ აქვს მათი დაუყოვნებლივ მიღების შესაძლებლობა.

კლიენტებისათვის უფასო საქონლისა და მომსახურების მიწოდება დამოკიდებულია კონკრეტული შეთავაზების ფაქტებსა და გარემოებებზე. ნებისმიერი წინადადება, რომელიც ქმნის ან ცვლის არსებული იურიდიული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეთა დაცულ უფლე-

ბებსა და მოვალეობებს აღირიცხება როგორც **ხელშეკრულების მოდიფიკაცია**. ფასს 15-ის მიხედვით **ხელშეკრულების მოდიფიკაცია** ნიშნავს ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების საგნის ან ფასის (ან ორივეს) ცვლილებას.

ფასს 15-ის თანახმად, საწარმომ პროდუქციის გადაცემასთან დაკავშირებული შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მომენტის დასადგენად უნდა შეაფასოს, როდის მოიპოვებს მომხმარებელი კონტროლს პროდუქციაზე. სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე (მათ შორის, მიწოდებისა და ტრანსპორტირების პირობების), ზოგიერთი ხელშეკრულების შემთხვევაში მომხმარებელს კონტროლი გადაეცემა მის ტერიტორიაზე პროდუქციის მიწოდებისას, ან საწარმოს მიერ პროდუქციის გაგზავნის მომენტში. თუმცა, ზოგიერთი ხელშეკრულების მიხედვით, მომხმარებელმა პროდუქციაზე კონტროლი შეიძლება მაინც მოიპოვოს, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქცია რჩება საწარმოს ფიზიკურ მფლობელობაში. ასეთ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ მომხმარებელს აქვს საქონლის ან მომსახურების გამოყენების მიზნის განსაზღვრისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკულად მთელი დარჩენილი სარგებლის მიღების შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვიტა, არ გამოეყენებინა პროდუქციის ფიზიკური ფლობის მოპოვების უფლება. მაშასადამე, საწარმო არ აკონტროლებს ამგვარ პროდუქტს. ამის ნაცვლად, საწარმო მომხმარებელს უწევს მის საკუთრებაში მყოფი აქტივის შენახვის (დაცვის) მომსახურებას.

საწარმოებმა უნდა განიხილონ, საჭიროა თუ არა შემოსავლების უფრო დეტალური გამჟღავნება გაურკვევლობის ან ბიზნეს პრაქტიკის ცვლილების გამო, რაც განპირობებულია კორონავირუსის პანდემით. მაგალითად, თუ საწარმო აფასებს ცვლად ანაზღაურებას (მათ შორის ზღვრის გამოყენებას), მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია გამოყენებული მეთოდების, საწყისი მონაცემების და ვარაუდების შესახებ.

ორგანიზაციებმა ასევე უნდა გაამჟღავნონ გარკვეული ინფორმაცია მისი შესრულების ვალდებულებების შესახებ, მათ შორის, როდესაც შესრულების ვალდებულებები დაკმაყოფილებულია გაყიდვის ხელშეკრულებით, ბილინგით და გადავადებული მიწოდებით და მნიშვნელოვანი გადახდის პირობებით.

დასკვნები და რეკომენდაციები

ეჭვგარეშეა, რომ მსოფლიო ეკონომიკაზე კორონავირუსის გავლენის მასშტაბები და სიჩქარე უპრეცედენტოა. ვინაიდან COVID-19 აგრძელებს სწრაფად განვითარებას, ერთეულებმა მა უნდა განიხილონ ადგილი ჰქონდა თუ არა იმ მოვლენებს რომელბმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

რაც შეეხება შემოსავლების აღიარებას, როდესაც საქმე ეხება ისეთ სიტუაციებსა და გარემოებებს, როგორიცაა პანდემიით გამოწვეული კრიზისი, ამან შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ორგანიზაციების შესაძლებლობა, დაიცვან კონტრაქტებით განსაზღვრული პირობები. ამიტომ კომპანიებმა ხელახლა უნდა შეაფასონ კონტრაქტებთანთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების შესაძლებლობა. საწარმოებს შემოსავლების აღიარებისას, შეიძლება დასჭირდეთ მნიშვნელოვანი განსჯა *და* ცვალებადი ანაზღაურების ხელახალი შეფასება, პანდემიასთან დაკავშირებული გაურკვევლობების ზემოქმედების დასადგენად.

გარდა ამისა, მიმდინარე და სამომავლო კონტრაქტების აღრიცხვაზე და გამჟღავნებაზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს პანდემიის საპასუხოდ მიღებულმა ისეთმა გადაწყვეტილე-

ბებმა, როგორიცაა კონტრაქტის ცვლილებები, შეღავათები იმ მომხმარებლებისთვის რომლებსაც უჭირთ თანხის დაბრუნება, ფასების გადახედვა და სხვა.

ლიტერატურა:

1. ფასს 15 *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან* https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/515;
2. ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები; https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/509
3. Accounting Considerations Related to Coronavirus Disease 2019, IFRS in Focus, March 2020, file:///C:/Users/Mariami/Downloads/ifrs-in-focus-covid.pdf
4. 3. APPLICATION OF IFRS STANDARDS IN LIGHT OF THE CORONAVIRUS DISEASE (COVID-19) UNCERTAINTY IFRS 15 Revenue from Contracts with Customers; April 2020; https://www.accountancysa.org.za
5. Особенности учета по МСФО в условиях пандемии коронавирусного заболевания; Ноябрь 2020 года; https://assets.ey.com
6. Руслана Віліївна. Київ, 23.04. 2020*; COVID – 19 VS Міжнародні стандарти фінансової звітності;* https://www.apu.com.ua › uploads › 2019/11

COVID 19 Pandemic and its Impact on Revenue Recognition

Mariam Vardiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor, Doctor of Economics

Marina Maisuradze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor, Doctor of Economics

SUMMARY

There is no doubt that the scale and speed of the coronavirus impact on the world economy is unprecedented. As COVID-19 continues to develop rapidly, entities should consider whether events have occurred that have had a material impact on the financial statements.

With regard to revenue recognition, when dealing with situations and circumstances such as a crisis caused by a pandemic, this may call into question the ability of organizations to comply with the terms of the contracts. Companies therefore need to re-evaluate their ability to receive cash flow related to contracts. When recognizing revenue, businesses may need significant judgment and reassessment of variable payments, in order to determine the impact of pandemic uncertainties.

In addition, the accounting and disclosure of current and future contracts can also be affected by decisions made in response to a pandemic, such as contract changes, benefits for customers who have difficulties in repayments, price revisions, etc.

ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხი COVID 19 პანდემიის პირობებში

დავით ვეკუა

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნუვერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ეკონომიკური პოლიტიკა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და მდგრადი განვითარების საფუძველია. წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით ხორციელდება მოქალაქეთა საზოგადოებრივი და ეკონომიკური ინტერესების დაცვა, უზრუნველყოფილია მათი კეთილდღეობა და ცხოვრების დონის ზრდა, მომავალი თაობებისთვის ჩნდება განვითარების ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები. გლობალური ეკონომიკური რისკებიდან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკა ადექვატურად უნდა რეაგირებდეს ახალ გამოწვევებზე(მაგალითად პანდემია) და დროულად ახდენდეს ეკონომიკური განვითარების ვექტორების კორექტირებას.

ეკონომიკურმა პოლიტიკამ, როგორც ეკონომიკის მართვის ხელოვნებამ, განსაკუთრებით კრიზისების პირობებში, უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტურად მართვის შედეგად შესაძლებელი გახდება კრიზისების(მათ შორის პანდემიის) შედეგად დამდგარი ნეგატიური შედეგების მაქსიმალურად სწრაფი ნეიტრალიზაცია.

*COVID 19 პანდემიამ, ეპიდემიოლოგიურმა გარემოებებმა საქართველო მრავალი გამოცდისა და განსაცდელის წინაშე დააყენა. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა საქართველოს ეკონომიკაზე **COVID 19** პანდემიის პროცესის ნეგატიური გავლენებია,*

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ,რომ პანდემიის პირობები საქართველოში მეწარმეებმა და ბიზნეს სექტორმა არსებული სირთულეების პირობებში არ დაკარგონ საკუთარი ბიზნესის განვითარების პროფესიული ინტერესი, შეძლონ არსებულ გარემოსთან ადექვატური ადაპტაცია და მთავრობისგან მიიღონ ბიზნესის დაცვის ფინანსური და საკანონმდებლო მხარდაჭერა. ეს მხარდაჭერა უნდა გამოიხატოს ბიზნესის თანადაფინანსების მოცულობების ზრდაში, ბიზნესის დახმარების პროგრამების მიზნობრიობის ამაღლებაში და ინოვაციური იდეებისა და მიდგომების მეტ პოპულარიზაციაში.

სტატიაში ასევე განხილულია ფინანსური ბაზრების რეგულირების, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის, დასაქმების ზრდისა და უმუშევრობის შემცირების ზოგიერთი აქტუალური საკითხი, რომლის მოგვარების გარეშეც შეუძლებელია პანდემიის ნეგატიური შედეგების სწრაფი ნეიტრალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის წარმატებული განვითარება.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური პოლიტიკა, ინტეგრაცია, გლობალიზაცია, ინკლუზიური ეკონომიკა, ინოვაცია.*

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა (კრიზისების პირობებშიც) არის განვითარების, მხოლოდ მოცემული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური პროცესი, რის გამოც თუნდაც ძალიან წარმატებული ქვეყნებიდან მისი მექანიკური დუბლირება ყოვლად დაუშვებელია,- რადგან ასეთ პირობებში ნაკლებად არის გათვალისწინებული ქვეყნის განვითარების ისტორიული და მენტალური კონტექსტი, ფასეულობათა და ღირებულებათა სისიტემა, ადამიანური რესურსების პროფესიული დონე და სხვა. პროგრესისა და კულტურული გარემოს ურთიერთკავშირის მნიშვნელობაზე აქტიურად დიწყეს მსჯელობა ჯერ კიდევ IX-ე საუკუნეში ფრანგმა განმანათელებლებმა. დიდი ფრანგი მოაზროვნის და ფილოსოფოსის ჟან ჟაკ რუსოს აზრით: ,,სამეცნიერო პროგრესსა და ადამიანების ღირებულებებს შორის რიგ შემთხვევებში შეიძლება არსებობდეს უთანხმოება და ამ უთანხმოების წყარო არის ის, რომ ადამიანი არის არა მარტო ბუნების, არამედ კულტურული გარემოს შემადგენელი ნაწილი.'' (Мужсский,2000) ცხადია, რომ

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების და იმპლემენტაციის დროს მენტალობა, ღირებულებებიც და ფასეულობებიც ამ კულტურული სივრცის ნაწილად უნდა განვიხილოთ.

საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში საერთაშორისო გამოცდილებასა და ჩვენს ტრადიციულ კონსერვატიზმს შორის აუცილებლად უნდა მოიძებნოს ოპტიმალური თანაარსებობის შესაძლებლობა. ამ თანაარსებობის ფუნდამენტი უნდა იყოს საზოგადოებრივი მხარდაჭერა, ვინაიდან ეკომომიკაში ნებისმიერი რეფორმა გულისხმობს, როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივ პასუხისმგებლობასაც. საზოგადოება მარტივად ვერ იღებს ახალ ფასეულობებსა და ღირებულებებს, რადგან ასეთ დროს საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული შეხედულებები წინააღმდეგობაში მოდის მისთვის ჯერ კიდევ კარგად გაუაზრებელ ინოვაციებთან. ძირითადი მიზნები და ამოცანები მოსახლეობისთვის გასაგები უნდა იყოს. მთავრობა ამ მიმართულებით სისტემატიურად უნდა მუშაობდეს, როგორც დარგობრივ საერთაშორისო ექსპერტებთან, ასევე ამ საკითხებით დაინტერესებულ საზოგადოების დიდ ნაწილთანაც, ვინაიდან ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით რეალიზაციას პირველ რიგში მოსახლეობის მხარდაჭერა სჭირდება.

ჩვენი ქვეყნის გლობალურ სამყაროში ინტეგრაციის პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად ბოლო ათწლეულში მიმდინარეობს და მისი გავლენების ზრდა ეკონომიკური ურთიერთობების ფართო სპექტრზე სულ უფრო შესამჩნევი ხდება. ცნობილი ფინანსისტი და მეცენატი ჯორჯ სოროსი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სივრცის ტრანსფორმაციის პროცესს განიხილავს როგორც: ,,ფინანსური ბაზრების გლობალურ განვითარებას, ტრანსნაციონალური კორპორაციების სიძლიერის ზრდას და ეროვნულ ეკონომიკებზე მათი გავლენების გაფართოვებას.“(Copoc,2004)

გლობალიზაციის თემა დღეს ბევრი საერთაშორისო ინსტიტუტის და ცნობილი მეცნიერის კვლევის საგანია და ვფიქრობ, რომ ჩვენც ამ პროცესში უფრო აქტიურად უნდა ჩავერთოთ. ეს იქნება ის შესაძლებლობა, როდესაც შეგვეძლება ვისწავლოთ სხვის შეცდომებზე და არა საკუთარზე, რაც სამწუხაროდ ჩვენი ისტორიის მანძილზე იშვიათად ხდებოდა.

თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა დღის წესრიგში აყენებს ისეთი პრობლემების მოგვარების აუცილებლობას, რომლებიც მომავალში მნიშვნელოვნად შეამცირებს კრიზისების ნეგატიურ შედეგებს და განსაზღვრავს მსოფლიოში სტაბილურობის და განვითარების დონესა და პერსპექტივას. ეს პრობლემებია:სიღარიბე და რესურსების არასამართლიანი განაწილება, მოსახლეობის ზრდა, მიგრაცია, ეკოლოგია, ეპიდემიოლოგიური ვითარება, სოციალური უთანასწორობა და სხვა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით ,,თუ 1998 წელს დედამიწაზე ცხოვრობდა 5.9 მილიარდი ადამიანი, 2018 წელს მოსახლეობამ შეადგინა 7.6 მილიარდი. 20 წლის წინ მოსახლეობის 50.5 პროცენტი ცხოვრობდა სოფლად, დღეს ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის წილი გაიზარდა 55,5- პროცენტამდე, ხოლო მსოფლიო ბანკის პროგნოზით, ეს მაჩვენებელი 2050 წელს მიაღწევს 66,5- პროცენტს'' (ბანკები და ფინანსები, 2018).

პანდემიის ფონზე ერთ-ერთი უმწვავესი გამოწვევა, რომელსაც გლობალიზაციის შედეგად ეკონომიკაში თანამედროვე მსოფლიო აწყდება, არის საზოგადოებაში ეკონომიკური უთანასწორობის მუდმივი ზრდა. ეს პრობლემა გლობალური ეკონომიკისთვის ,,აქილევსის ქუსლი'' გახდა. ცნობილი ფრანგი ეკონომისტი თომას პიკეტი თავის წიგნში ,,კაპიტალი XXI საუკუნეში“ წერს:,, თუ გადავხედავთ აშშ-ს ეკონომიკის საერთო ზრდას მსოფლიო კრიზისამდე 30 წლის განმავლობაში, 1977-2007 წლების პერიოდში, მაშინ შევამჩნევთ, რომ ყველაზე

მდიდარი მოსახლეობის 1%-ზე მოდის მთლიანი ეროვნული შემოსავლების ნამეტის 60%“ (პიკეტი, 2018).

საქართველოშიც საერთო სიდუხჭირის და პანდემიის ფონზე გლობალიზაციის შედეგად წარმოქმნილი პრობლემის დაძლევა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ეკონომიკაში რესურსების სამართლიანი განაწილებისა და მთავრობის მხრიდან პანდემიის პროცესის ეფექტურ მართვაზე. ასეთ ექსტრემალურ პირობებში ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაცია უნდა იყოს უაღრესად სენსიტიური და თავისუფალი ყოველგვარი პოპულიზმისგან, მას უნდა ჰქონდეს ლოგიკური განვითარების შესაძლებლობა და ურთიერთკავშირი საერთაშორისო ბიზნესთან.

კოვიდ-რეგულაციებმა არ უნდა შეზღუდოს თავისუფალი ბაზრის შესაძლებლობები ვინაიდან ლიბერალიზმს, უკვე მრავალი წელია დასავლეთის წამყვანი ქვეყნები და ინსტიტუტები განიხილავენ, როგორც გლობალურ ეკონომიკურ განვითარებას უალტერნატივო პროცესს და მომავალი განვითარების ფუნდამენტს. ლიბერალების აზრით, ეკონომიკა არ საჭიროებს მთავრობების მხრიდან ზედმეტ რეგულაციებს. ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსის თანამედროვე ლიბერალიზმის თეორიის ერთ- ერთი ფუძემდებლის ჯონ ლოკის აზრით ,,ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა არის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ამიტომ ასეთი ადამიანისთვის არის დამახასიათებელი მესაკუთრეობა და ეგოიზმი და აქედან გამომდინარე მათში ღრმად არის გამჯდარი ინდივიდუალიზმი.'' (Мужский, 2000) გლობალიზაციის თეორეტიკოსებისათვის ინდივიდუალიზმი არის ეკონომიკის, საზოგადოების განვითარების და კეთილდღეობის მთავარი წყაროს.

ამავე დროს უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში(განსაკუთრებით ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ), სხვა ქვეყნებშიც შეიმჩნევა გლობალიზაციის გავლენის ლოკალიზების პროცესი. ,,იგი ისეთ მოვლენებში აისახება, როგორიცაა: რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანების ჩამოყალიბება, ფირმების სტრატეგიული ალიანსების გაფართოება, საშუალო და მცირე ბიზნესის გავრცელება, ფიზიკური პირების მეურნეობის განვითარება. ლოკალიზაცია აძლიერებს წარმოების მოქნილობას, მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებას, რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას, ცალკეულ ფირმებში დამოუკიდებლი საწარმოო ქვედანაყოფების პრაქტიკის გაფართოებას, ხელს უწყობს დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას, გლობალიზაციის მოთხოვნებთან ადაპტაციას.''(პავლიაშვილი, 2008)

ლიბერალურმა დემოკრატიამ, გარდა ბევრი პოზიტიური შესაძლებლობისა, ამავე დროს გააჩინა პრობლემათა მთელი სპექტრი, რომელთაგანაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილებაში სოციალური უთანასწორობა. ამ პრობლემის დაძლევის მიზნით, ევროკავშირის ქვეყნებში, სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს ინკლუზიური ეკონომიკის იდეის პროპაგანდა. ინკლუზიურობის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა კოვიდ-პანდემიის გამო, ვინაიდან თითქმის ყველა ქვეყნაში აუცილებელი გახდა უამრავი რეგულაციის, შეზღუდვების და სოციალური დახმარების სისტემების შემოღება და იმპლემენტაცია.

ინკლუზიურობის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის განვითარებითა და შედეგებით სარგებლობს მთელი მოსახლეობა და არ მარტო მცირე ბიზნეს ჯგუფები. ინკლუზიური ეკონომიკა ზრდის დასაქმების პერსპექტივას და ხელს უწყობს დოვლათის განაწილებაში სამართლიანობის დამყარებას, რაც იმას ნიშნავს, რომ განვითარების ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებისას უთანასწორობის დაძლევასა და ეკონომიკაში მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობაზე.

საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხანგრძლივმა პროცესმა ,,ფუნდამენტალურად შეცვალა ბიზნესის წარმართვის, საკუთრების ფლობის, ბაზრების რეგულირების, კონკურენციისა და სამეწარმეო საქმიანობის, საზოგადოებრივი დოვლათის განაწილებისა და გადანაწილების ფორმები და პირობები, რამაც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში განსაზღვრა სოციალური საკითხების სამართლიანი მოგვარების ახალი პრიორიტეტები''. (ვეკუა, 2020) საქართველომაც, არა მარტო დეკლარაციის დონეზე, არამედ რეალურად, ეკონომიკური განვითარების მთავარ პარადიგმად უნდა განსაზღვროს მისი ინკლუზიურობა, რაც გულისხმობს ფინანსური, ეკონომიკური, და სოციალური რისკების შემცირების მიზნით ეკონომიკის განვითარებაში თანამოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას და მიღებული სარგებლის სამართლიანად განაწილებას. მისასალმებელია,რომ საქართველოს მთავრობა, უმუშევარობის შემცირების მიზნით, ამზადებს საზოგადოებრივი სამუშაოებზე მოქალაქეთა დასაქმების სამთავრობო პროგრამას, რომელმაც სოციალურად შეჭირვებული და დახმარების მიმღები მოსახლეობა, უნდა გახადოს აქტიური სამუშაოს მაძიებელი.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამაარსებლის და დირექტორის, კლაუს შვაბის აზრით „თანამედროვე კაპიტალიზმის რამდენიმე ფუძემდებლური პრინციპი გადახედვას საჭიროებს, პირველ რიგში ესაა ნეოლიბერალური იდეოლოგია. ცალსახაა, რომ წარსულში მიღწეული ყველა წარმატების საწინდარი სამეწარმეო სული და რისკზე წასვლის უნარი იყო. თუმცა, თავად ცნება „კაპიტალის“ დღეს არსებული აღქმა უნდა შეიცვალოს, თანამედროვე მომხმარებლებს არა მხოლოდ მეტი საქონლის და მომსახურების ნაკლებ ფასში მიღება სურთ, არამედ ელიან კორპორაციების მხრიდან მეტ სოციალურ პასუხისმგებლობას. გადატვირთვამ ხმის უფლება ყველას უნდა მისცეს, ვინც დღეს უკანა რიგებშია. დღეს არსებული სისტემის საყრდენების ნაწილი უნდა შეიცვალოს, ნაწილი - შესწორდეს. სწორედ ესაა საჭირო საყოველთაო პროგრესისთვის“ (Schwab& Zahidi, 2018).

დღეს მსოფლიოში მთავრობებისა და ეკონომიკური სფეროს თვალსაჩინო მეცნიერების მხრიდან დიდ ყურადღება ეთმობა ე. წ. ,,მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას'', რაც ცოცხალი სამუშაო ძალის ხელოვნური ინტელექტით ცვლილების გარდაუვალ აუცილებლობას უკავშირდება და მასთან კავშირში მყოფი სამუშაო ძალის დასაქმების პრობლემას. ეკონომიკური პოლიტიკის ეს მიმართულება გასაკუთრებით სენსიტიურია საქართველოსთვის, ვინაიდან ქვეყანაში ისედაც არსებობს სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალი დონე.

საქართველოში,,საქსტატის'' მონაცემებით: ,,სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრითმა წილმა 2020 წლის მონაცემებით 21.3% შეადგინა. ასევე ძალზედ მაღალია შრომისუმარიან მოსახლეობაში უმუშევრობის დონე, რომელმაც 2021 წლის ცხრა თვის მონაცემებით 19.5% შეადგინა.“(საქსტატი,2021) ცხადია, უმუშევრობის მაღალი დონე მნიშვნელოვან წილად პანდემიურ კრიზისს უკავშირდება, მაგრამ ის, რომ თითქმის ყოველი მეხუთე შრომისუნარიანი მოქალაქე უმუშევარია, მთავრობიდან მოითხოვს დასაქმების პოლიტიკის სერიუზულ გააქტიურებას. ეკონომიკაში ინკლუზიურმა მიდგომებმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს თითოეული მოქალაქის მინიმალური მოთხოვნები: საკვებზე, წყალზე, საცხოვრებელზე, სამოსზე, ენერგორესურსებზე, სამედიცინო მომსახურებასა და განათლების უფლების რეალიზაციაზე.

ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობა სჭირდება საინვესტიციო აქტიურობას. პანდემიის, ან სხვა ობიექტური თუ სუბიექტუ-

რი მიზეზების გამო, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირებულია და 2020 წელს შეადგინა მხოლოდ 572,0 მილ. დოლარი. 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ის შემცირებულია 763.8 მილ. დოლარით (საქსტატი,2021) რაც უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემაა, ჩვენი ქვეყნის ინკლუზიური განვითარებისათვის.

საქართველოში ინოვაციური მეწარმეები არ გაურბიან სირთულეებს და რაც მთავარია, ბიზნესში შექმნილი სირთულეების გამო არ კარგავენ საკუთარი ბიზნესის განვითარების პროფესიულ ინტერესებს. რაც შეეხება მთავრობის მხრიდან ინოვაციური აქტიურობების წახალისებას და დაფინანსებას, ვიქრობთ, რომ საჭიროა მთავრობის მხრიდან ე. წ ,,სტარტაფებისკკპროგრამების დაფინანსების მოცულობების გაზრდა, მიზნობრიობის ამაღლება და ინოვაციური იდეების მეტი მხარდაჭერა და პოპულარიზაცია.

მიუხედავად იმისა ,რომ სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში დინამიურად ვითარდება, მისი წილი ქვეყნის ეკონომიკაში ჯერ კიდევ მცირეა. 2020 წლის 9 თვის მონაცემებით თუ მთლიანი სადაზღვევო პრემიის მოცულობას შეუფარდებთ მთლიან შიდა პროდუქტს, ეს მაჩვენებილი იქნება მხოლოდ - 1,15%,, (Insurance gov.ge,2020) იმის გამო, რომ სადაზღვევო ბაზარი სუსტად დივერსიფიცირებულია, მნიშვნელოვანი სადაზღვევო ფინანსური რესურსები თავს იყრის რამდენიმე კომპანიის ხელში. ასე მაგალითად: 2020 წლის 9 თვის მონაცემებით ბაზარზე მომქმედი 18 სადაზღვევო კომპანიიდან ოთხზე: „ჯიპიაი“ ჰოლდინგზე, ალდაგზე, თიბისი დაზღვევაზე, და იმედიL-ზე მთლიანად ინდუსტრიაში გამომუშავებული პრემიიდან 60,1% მოდის. (Insurance gov.ge, 2020) საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე სამართლიან კონკურენციას მნიშვნელოვნად აფერხებს მსხვილი სადაზღვევო კომპანიების ხელში კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი. ვფიქრობთ, რომ საქართველოში სადაზღვევო ბიზნესში სამართლიანი კონკურენციის პირობების ჩამოყალიბებაზე ბევრი კორელაციური (ურთიერთდაკავშირებული) ფაქტორი ზემოქმედებს, მათ შორისაა: ბაზრის მონაწილეთა რესურსული შესაძლებლობები, სადაზღვევო კომპანიების ბაზარზე ოპერირების ტრადიციების და გამოცდილების არასათანადო დონე, სადაზღვევო პროდუქტების ასორტიმენტის და ხარისხის სიმცირე, ბაზრის სახელმწიფო რეგულაციის არასათანადო დონე და სხვა.

მცირე ბიზნესში დასაქმებულ კრეატიულ ადამიანებს ინოვაციური აქტიურობისთვის მეტი ფინანსური შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნას: ვენჩერული ინვესტიციები და კაპიტალი, რისკების დასაზღვევად საბიუჯეტო ასიგნებები, სახელმწიფო გრანტები, მცირე ბიზნესის თანადაფინანსების სისტემა და სხვა.

მცირე ბიზნესს, მისი სოციალური როლისა და ფუნქციიდან გამომდინარე, მეტი მხარდაჭერა და პოპულარიზაცია სჭირდება, ვინაიდან სწორედ ეს არის ის გზა, რომელმაც ქვეყანაში ხელი უნდა შეუწყოს უმუშევრობის და სიღარიბის დაძლევას, შეამციროს ქვეყნიდან აქტიური სამუშაო ძალის მიგრაციის პროცესი.

დასკვნა. საქართველოს მთავრობის მიერ ეკონომიკის ინკლუზიური განვითარების დეკლარირების შემდეგ, სამართლიანობის მორალურ -სამართლებრივი ასპექტების განხილვა ეკონომიკური პოლიტიკის ჭრილში განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან სუსტი ანტიმონოპოლიური საქმიანობისა თუ სხვა არაადექვატური რეგულაციების გამო, ქონებრივმა პოლარიზაციამ და სოციალურმა უთანასწორობამ მოითხოვა ეკონომიკაში ახალი იმპერატივების დამკვიდრება. საქართველოს ეკონომიკაში, განსაკუთრებით პანდემიის შედეგებიდან გამომდინარე, სოციალურ სექტორში არსებული უმძიმესი მდგომარეობის გათვალისწინებით, ინკლუზიურობის

მხოლოდ დეკლარირება საკმარისი არ არის, საჭიროა დღეს არსებული შრომისა და დასაქმების პოლიტიკის არსებითი ცვლილებები, რის შედეგადაც გატარდება ისეთი პოლიტიკა, რომელიც შეამცირებს ქვეყანაში არსებულ სიღარიბესა და უმუშევრობის მაღალ დონეს.

ეკონომიკური სექტორის სტიგმატიზაცია გარკვეული შემაფერხებელი ფაქტორია საქართველოში ვენჩერული ინვესტიციის შემოდინებისათვის, რადგან ბიზნეს წრეებში, თითქოს დამკვიდრდა აზრი, რომ სუსტი ეკონომიკის ქვეყნებს არ უნდა ჰქონდეთ ჯანსაღი ამბიცია, აწარმოონ ინოვაციური პროდუქტი. ვფიქრობთ, რომ ასეთი მიდგომა არასწორია, რადგან ინოვაციურ აზროვნებას არ აქვს არც გეოგრაფიული საზღვრები და არც პოლიტიკური ,,კლიშეებიკკ, ხოლო გლობალური ბიზნესი კი მსოფლიოს განიხილავს, როგორც ერთიან ფინანსურ, შრომით და სასაქონლო ბაზარს.

ფინანსური ბაზრების სრულყოფა იყო და რჩება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. ბიზნეს რისკების ნეიტრალიზაციის და მინიმიზაციის მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სადაზღვევო ინფრასტრუქტურის განვითარება.

ვფიქრობთ, რომ საქართველოში წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო მცირე და საშუალო ბიზნესი უნდა გახდეს. ამ მიმართულებით საქართველოში ბევრი რამ კეთდება: გამარტივდა მათი სამეწარმეო რეგისტრაცია, შემცირდა საგადასახადო ტარიფების ოდენობები, მიღებულ იქნა მონოპოლიური საქმიანობის შემზღუდავი საკანონმდებლო აქტები და სხვა, თუმცა მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისების მიზნით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ინვესტიციების ხელმისაწვდომობის და სიიაფის, ბიზნესგარემოს საიმედოობის და სტაბილურობის, მცირე და საშუალო საწარმოთა აქტივების ლიკვიდობის ამღლების მიმართულებით და სხვა.

ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაცია მნიშვნელოვანწილად მომავალზეა ორიენტირებული, აქედან გამომდინარე კარგად უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ მომავალს, უამრავ პოზიტივთან ერთად, ერთი დიდი ნაკლიც აქვს, ის ძლიან სწრაფად გვიახლოვდება, ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესს მეტი დინამიზამი და თანმიმდევრულობა სჭირდება. ჩვენ, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, უნდა გვქონდეს საერთაშორისო თანამეგობრობასთან ადაპტირებული, სუვერენული ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური ურთიერთობების საკუთარი ,,თამაშის წესები,''წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიწევს სხვისი წესებით ცხოვრება.

ლიტერატურა:

წიგნები:

1. პავლიაშვილი ს.(2009) - *პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში* თბილისი. გვ. 23
2. Сорос Д.(2004) - *О глобализации*.Москва. ст.15.
3. Мусский И. (2000)- *Сто великих мыслилителей*. Москва. „ВЕЧЕ''- ст.326
4. Мусский И. (2000)- *Сто великих мыслилителей*. Москва. „ВЕЧЕ''- ст.264

ელ.წიგნები:

5. Schwab K., Zahidi S. (2018) *10 Things You - and Your Government - Should Know about Competitiveness in the Fourth Industrial Revolution*, [Online] 16 October

სტატიები:

6. ვეკუა დ.(2020) - *საქართველოს ეკონომიკაში სამართლიანობის დამკვიდრების სირთულეები და მათი დაძლევის გზები. გ. თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული.N10. გვ.64*
7. *ბანკები და ფინანსები(* 2018) – 2.04. გაზეთის ნომერი.
8. Politikano.blog(2018) 07/22*/ტომას პიკეტი- ეკონომიკური უთანასწორობა - XXI საუკუნის უმთავრესი პრობლემა/*

ინტერენეტ რესურსები:

9. www. geostat.ge
10. www.Insurance gov.ge (სტატისტიკა)

Some Aspects of Economic Policy and its Peculiarities in Georgia during COVID-19 Pandemic

Davit Vekua

Academic Doctor of Economics

Associate Professor at Guram Tavartkiladze Teaching University

SUMMARY

The lengthy process of transformation of the Georgian economy has fundamentally changed forms and conditions of business management, property ownership, market regulations, competition and economic activity, as well as distribution and redistribution of public wealth. This created new priorities in problem solving in the system of economic relations.

The author believes that in Georgia, inclusiveness should become a major paradigm of the economic development. This means active engagement of citizens in economic development and fair distribution of generated wealth with the purpose to reduce the financial, economic, and social risks.

The author deems , that during pandemic and post-pandemic times the Georgian innovative entrepreneurs don't avoid challenges and don't lose professional interest towards the development of their businesses. In his opinion, it is necessary for the government to increase the scale of business startup financing programmes, improve their targeting and provide more support to innovative ideas as well as promote these.

The article reviews some actual aspects of the regulation of financial markets, support to small and medium scale businesses, increase in employment and decrease in unemployment – the factors that are critically important for the economic development of Georgia , neutralization of pandemic causes and continuing the process of building civil society in the country.

Value Choices of the Community in the Context of the Covid-19 Pandemic

Shota Veshapidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Gia Zoidze
Invited Lecturer
Batumi State University

As a result of the global Covid-19 pandemic, the Georgian economy found itself in crisis. The pandemic also threatens the traditions and values of the community. The country needs to overcome the negative consequences caused by the pandemic, which has acquired a global character. Great global changes are taking place in the world. Just as the epoch-making transformations that began in the 1960s laid the groundwork for what is happening today, further changes will be driven by the consequences of overcoming COVID-19. This applies to everything, including values. Today world processes offer a new challenge to everyone. In order for the demands of globalization to be met and for the country to find its place and function in the modern world, a state thinking based on human values is necessary. The existence of a state-minded society is an irreversible guarantee of progress.

Keywords: *Value orientations of the economy, unity, freedom, reforms, progress.*

In order to determine how to act, how to find alternatives available in all aspects of human life, we need to understand where we need to go, what we want. That's it, first of all, we have to choose the main value orientations. Sociologists define values as the opinion formed in society, the attitudes about what is important and insignificant, right and wrong. Therefore, values are what society considers most important, right and wrong. (Charkviani, 2019)

It is important for our era to consider current events and processes in relativity. The peculiarity of such an approach is that everything is viewed in terms of its country, its place (geostrategic situation), environmental conditions and historical situation (in terms of time), depending on them. Such an approach presents economic life not as an understanding of events but as a relation (explanation). Based on the establishment of such a ratio, it is possible to establish relationships that are acceptable to the whole society. Such is the universal method of achieving the optimal synthesis of universal and national values, of achieving a unified progress through the preservation of our "Ego", "local trifles", traditions and customs.

All of the above, in the conditions of modern globalization, have an invaluable, practical purpose for each country. Georgia has rich traditions in this direction. In Georgian economic thought, education was considered to be the most important for the country's progress. This is considered to be the main basis for the success of David Aghmashenebeli and Queen Tamar Khan's Georgia. (Chavchavadze, 1997, 2007). The principles and core values, the implementation of which can lead to progress, are still relevant today. Among these principles are: unity, striving for freedom, reconstruction, reforms and progress.

On the hierarchical scale of values, the highest value is the person. To save and protect their lives, people are creating a state. The state seeks to ensure the physical security of people from external and internal threats. Its function is also to protect justice in the lives of citizens. The social development of any country, including the economic one, is related to the state.

From the 90s of the last century, when the Internet took over the world, a new era began. In the field of technology, in the modern world, amazing progress has already been made, although there have

been many serious challenges, which make us think that we will all either improve life as a whole, part of the common space of the earth, or face insurmountable obstacles. The solution, of course, exists, and it is, in our opinion, only one: the main focus should be shifted by everyone to the human being, and everything should be done to bring to the forefront the core human values, such as: the right to life, liberty and the pursuit of happiness.

In our time, many life-threatening calamities have been revealed. Their list is quite a long list: Dividing people into ours and others; Ethnic-racial and religious arrogance and arrogance; Indifference towards poor and destitute people; Using pietist discourse for political manipulation; Critical and irrational support for the legitimation of religion by political and economic elites; Discrimination against women and the neglect of the feminist perspective in life and politics; Violence justified in the name of religion and God; Persecution and harassment of religious minorities. To see a national threat in their existence. Demonizing and persecuting LGBTQ + people. To use the Judeo-Christian and Islamic scriptures for this, even though they do not say anything about the phenomenon of different sexual orientations; Careless treatment of the ecosystem. Its exploitation and destruction; Carelessness, cruelty and consumerism towards domestic and wild animals-birds. Who cares, how many more things we have to replace society with love, joy, peace and kindness. (Songhulashvili, 2022)

To the above, now the global Covid-19 pandemic has also been added. We are losing dozens of people every day in Georgia, as of February 1, 2022, more than 13,000 people have already died in the Covid-Pandemic. It does not seem like we are all doing our best to save each person's life. People do not trust vaccination, do not trust the government that organizes the vaccination process.

Trust is the most important component of an ethical life, as it affects all areas of public life: personal, social, religious, and business relationships. Nothing breaks the constraint of the state together like a reduction and loss of trust. The principle of justice requires us to recognize that the state can use its position either for universal good (for social reforms, for the establishment of a just society), or for its own interests (for political and economic power). We have examples of one in history as well as another. (Songhulashvili, 2022)

In the nineteenth century, criticism of religion emerged within the framework of political-economic discourse. But, social issues are still unresolved today. Georgia is facing many challenges. Among them are the creation of new jobs, employment of young and old, assistance to the socially vulnerable, water supply to villages, improvement of transport and logistics services, creation of new municipal transport in the regions. It must also continue to rehabilitate pandemic-affected households and small businesses, address housing problems, and further development of infrastructure.

In the era of globalization, one of the main values is the formation of state thinking. Such thinking attaches great importance to the service of the land with true faith, dignity, freedom, and responsibility. It is also important to distinguish between ideological extremes and to understand the superiority of "our" need over "me" and "my" needs. Today, world processes offer a new challenge to everyone ,Our nation must also respond to the demands offered by globalization and find its place and function in the modern world, which inevitably requires the formation of state thinking. The existence of a state-minded society is an irreversible benchmark for progress.

An important guideline of state thinking should be the rational solution of the socio-economic problems of the society. This state thinking should include an in-depth and comprehensive analysis in

terms of political, socio-economic, technological, legal, environmental, ethical and demographic factors. First of all, the country needs peace, stability, predictability. It is also necessary to employ the population, to develop small and medium-sized businesses, to revive agriculture, to fill our market with local products. It is necessary to promote science, culture and sports and, naturally, to take care of the restoration of the country's integrity. There is no single sector that can bring the country out of the crisis alone. Appropriate projects need to be implemented in the areas of infrastructure, economy, local production, agriculture, education, health, sports, culture. In order to preserve Georgia's identity in the era of globalization, the main condition is to create a Georgian state based on modern technologies and achievements based on our traditions. (Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II, 2006, 2009)

Now, we need not undermine the foundation necessary for the establishment of any free and progressive state. Above all, it is freedom, dignity, peace, stability of the country, respect for human rights, protection of property, freedom of business, free media, strong civil society. We must use our resources in the international division of labor. The most important resource for humanity is water. In the long run, the importance of fresh water will increase especially, the consumption of which is increasing rapidly in the world. Increased demand for water supply requires the development of new technologies for its treatment, protection (storage) and transportation. Georgia is one of the big owners of water resources, so in the future we must find our place in the world water market. Today, the development of agriculture, small and medium business should become a top priority. Jobs must be created so that people can be employed and get out of difficult social conditions. (Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II, 2022, 2009, 2006, 2005)

Our great resource is intellectual potential as well. In the post-polar economy, the role of intellectual resources is steadily growing, and the struggle to obtain them is intensifying. The country should not lose the scientific achievements it has. We must make full use of even the scientific or economic achievements of the Soviet period, much of which we have almost completely given up and lost. As for science, it must be said that Georgia has world-renowned researchers in many fields. In general, the scientific field plays a crucial role in the development of any country, its formation requires a lot of money and a lot of time. The country must use its rich scientific potential.

Conclusions

The Covid-19 pandemic has posed new challenges for Georgia. The country's economy has experienced a deep crisis. In addition, the preliminary results of 2021 show that the crisis will be overcome. New opportunities and areas have emerged. The crisis was followed by the proliferation of remote services, a very rapid growth in the pharmaceutical field. The fields of technological and artificial intelligence have become more important, and reasonable cooperation between the state and the private sector has been further enhanced. The balance between the center and the regions has changed, nature, ecology, the village has acquired a new destination. Our hospitality traditions shaken by the pandemic have been revived. Overcoming the negative consequences caused by the pandemic should lead to a rapid recovery of the economy and the acceleration of development.

First of all, it is necessary to effectively implement measures to prevent the spread of coronavirus by providing a flexible health care system. In line with it, the competitiveness of the manufacturing, agriculture and tourism sectors must be increased in order for the country to be attractive for investment.

It is important to raise the entrepreneurial culture, improve access to finance, implement programs adapted to the regional and cultural peculiarities of Georgia. European standards must be adopted quickly, Georgian legislation must be harmonized with EU legislation. Promoting internationalization, electronic communications, information technology, innovation, research and development is an important priority.

In terms of economic growth of the country, it is important to improve infrastructure, macroeconomic stability, labor market dynamics, financial system stability. An important way to tackle economic growth and unemployment is to increase state support for companies through the implementation of various programs, ensuring universal access to monetary resources, and liberalization of the tax system. The government can create a competitive environment, develop basic infrastructure, take care of education, make it easier to do business, introduce low, reasonable taxes, reduce business loans, reduce interest rates.

It is important that companies, start-ups, are closely acquainted with the requirements of the DCFTA of the Deep and Comprehensive Free Trade Agreement with the European Union. This will make it possible to see how the agreement provides opportunities, what are the requirements in terms of goods and their quality in the EU market. Georgian products are often not competitive in the EU market in terms of price and quality. It is important to know how businesses work together in the EU. This will enable entrepreneurs to overcome low productivity, low access to knowledge and technology. It is also important for entrepreneurs to realize that it is necessary to increase the quality of products, to disseminate relevant information about products in the EU and other markets.

References:

1. Charkviani, G. (2019). "Globalization", salon conversations. The Thinking Academy. Available at: https://www.youtube.-com/watch?v=j7lmwx-VJto&t=6s (accessed: 04.02.2022)
2. Chavchavadze, I. (1997). Domestic review. Complete collection of works in twenty volumes, Vol. VI, "Ilia Foundation", Tbilisi.
3. Chavchavadze, I. (2007). Equality of ranks. Complete collection of works in twenty volumes, Volume X. "Ilia Foundation". P. 371-373.
4. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business*.
5. Papava, V. (2020). Coronomic crisis: When the economy is a hostage to medicine. *Eurasia Review*.
6. Papava, V. (2020). On the COVID-19 pandemic economic crisis and the reorientation of the Georgian economy. *Reflecting on a Changed World.*
7. Sichinava, A., Chikava, M., Veshapidze, S., Sekhniashvili, D., & Pailodze, N. (2013). Realities of internationalization of higher education in Georgia.
8. Silagadze, A., Zubiashvili, T., (2016). Georgia's economy against the background of the associate agreement with the European Union. International Journal of Business and Management Studies 5 (2), 533-540.
9. Silagadze, A. (2008). Origin of Liberal Economic Doctrines.". *Innovation", Tbilisi*.
10. Songhulashvili M. (2022). Subversive prayer - Christmas address of the Metropolitan of Tbilisi. Available at: https://tabula.ge/ge/news/678082-dzirgamomtkhreli-lotsva-tbileli-mitropolitis?fbclid=IwAR0ki2CxAxpsP0Q1KkSKA7DY6orZT3N2uw5xFlSPxWprIJ3V3pdMATCANjI (accessed: 04.02.2022)
11. Tvalchrelidze, A. G., & Silagadze, A. (2020). Influence of COVID-19 coronavirus pandemic on international oil markets.- *Zeszyty Naukowe Akademii Morskiej w Szczecinie*.
12. Veshapidze, S., & Zoidze, G., & Berishvili K. (2021). THE ECONOMIC DETERMINANT OF THE EDUCATION SYSTEM. *Sciences of Europe*, (81-2), 6-12.
DOI: 10.24412/3162-2364-2021-81-2-6-12

13. Veshapidze, S., CHIABRISHVILI, K., Zubiashvili, T., & Zoidze, G. (2021). ON THE RELATIONSHIP BETWEEN EDUCATION AND ECONOMIC SECURITY. *Ecoforum Journal*, *10*(3).
14. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia. *The New Economist*, *16*(2), 1-1.
DOI: 10.36962/NEC6102202133
15. Veshapidze, S., Zoidze, G. (2022). On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS. - International Scientific Collection - Vol. 5.* Kyiv – CUL.
16. Veshapidze, S., Zubiashvili, T., (2020). About the Origins of Modern Geoeconomic Foundations of Georgia. Ecoforum Journal 9 (2).
17. Veshapidze, S., & Zubiashvili, T. (2021). About population growth and global problems.
18. Veshapidze, S., (2019). Structure of European value system. World economy and international economic relations.
19. Veshapidze, S., (2020). Religion and national values in Georgia. International Scientific Collection, Volume 3, pp. 33-36.
20. Veshapidze, S., (2017). THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. *Sciences of Europe*. VOL 4, No 13 (13)
21. Veshapidze, S., Darbaidze, M., Beridze, T., (2016). Euro-Atlantic values: what tie up us. Universal. pp. 230-235.
22. Veshapidze, S., Babuadze, N., & Beridze, T. (2015). EUROPEAN VALUES AND CHOICE OF GEORGIA (HUMAN DIGNITY, LAWFUL SOVEREIGNTY, DEMOCRACY AND WELLBEING). *ACTUAL PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMIES.(10-11 July, 2015). PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY. Tbilisi*, 79-83.
23. Zoidze, G. (2021). Basic Paradigms of Institutional Economics. *Publishing House "Universal*, 202.
DOI: 10.5281/zenodo.5544934
24. Zoidze, G. (2021). Importance of Euro-Atlantic Integration: Democracy, Security and Economic Development. *Three Seas Economic Journal*, *2*(3), 1-7.
25. Zoidze, G., & Abuselidze, G. (2021). COVID-19 pandemic and currency risk analysis in Georgia. Entrepreneurship, 9 (2), 33-46
DOI:10.37708/ep.swu.v9i2.3
26. Zoidze, G. (2020). GEORGIAN AGRO-SPHERE DEVELOPMENT PRIORITIES AND WAYS OF CARRYING OUT SOME IMPROVEMENTS. *Myśl Ekonomiczna i Polityczna*, (2 (69)), 55-71.
DOI: 10.26399/meip.2(69).2020.10/g.zoidze
27. Zoidze, G., & Tkhilaishvili, G. (2021). Prospects of Intermodal Transportation and Logistics Channels Development for Georgia. In *Proceedings of 25th International Scientific Conference. Transport Means*
28. Zoidze, G. (2020). Risks Caused by Pandemics and Anti-crisis Management. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Paata Gugushvili Institute of Economics. In *Proceedings of Materials of International Scientific Conference Dedicated to the 115th Birth Anniversary of Academician Paata Gugushvili* (pp. 190-195).
DOI: 10.5281/zenodo.5544942
29. Zubiashvili, T., & Zubiashvili, N. (2021). POPULATION AGING–A GLOBAL CHALLENGE. *Ecoforum Journal*, *10*(2).
30. Christmas Epistle of the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II (January 7). 2022. „Formula News". Available at: https://formulanews.ge/News/62705 (accessed: 04.02.2022)
31. Easter Epistle of the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II (May 2-8). 2005. "Kviris Palitra".
32. Easter Epistle of the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II (April 24 - 30). 2006. "Kviris Palitra".
33. Easter Epistle of the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II (April 20 - 26). 2009. "Kviris Palitra".
34. The Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II. 2004. Speech at the International Forum on Globalization and the Dialogue of Civilizations, Sheraton-Metechi Palace, "Patriarchate Agencies", # 38.

საზოგადოების ღირებულებითი არჩევანი კოვიდ-19 პანდემიის პირობებში

შოთა ვეშაპიძე
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გია ზოიძე
მოწვეული ლექტორი
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

გლობალური Covid-19-ის პანდემიის შედეგად საქართველოს ეკონომიკა კრიზისში აღმოჩნდა. პანდემია საფრთხეს უქმნის საზოგადოების ტრადიციებსა და ღირებულებებს. ქვეყანამ უნდა დაძლიოს პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, რომელმაც გლობალური ხასიათი შეიძინა. მსოფლიოში დიდი გლობალური ცვლილებები ხდება. ისევე, როგორც 1960-იან წლებში დაწყებულმა ეპოქალურმა გარდაქმნებმა საფუძველი ჩაუყარა იმას, რაც დღეს ხდება, შემდგომი ცვლილებები განპირობებული იქნება COVID-19-ის დაძლევის შედეგებით. ეს ეხება ყველა საკითხს ღირებულებების ჩათვლით. იმისათვის, რომ გლობალიზაციის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს და ქვეყანამ იპოვოს თავისი ადგილი და ფუნქცია თანამედროვე სამყაროში, საჭიროა ადამიანურ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი აზროვნება. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოების არსებობა პროგრესის შეუქცევადი გარანტიაა.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტაციები, ერთიანობა, თავისუფლება, რეფორმები, პროგრესი.*

კოვიდ-პანდემია, როგორც საინვესტიციო გამოწვევა საქართველოს ეკონომიკისთვის

ირაკლი ზოიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

პანდემიურმა აფთქებამ მთელს მსოფლიოზე და მათ შორის საქართველოზეც იქონია უარყოფითი ეკონომიკური გავლენა. ამიტომ, აქტუალურია არსებული მდგომარეობის ობიექტურად შეფასება და იმ პრობლემების დაძლევა, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას. მოცემული სტატიის მიზანია გამოკვეთოს ეკონომიკური სიძნელეები, რომელიც ვირუსის გავრცელებამ გამოიწვია საქართველოში საინვესტიციო რისკების გამწვავების კუთხით და გამოიძებნოს მათი გადაჭრისთვის საჭირო ეფექტიანი გზები. სტატიაში გამოყენებული საკითხის შესწავლის ტრადიციული გზები ეფუძნება იმ ობიექტური ეკონომიკური მოვლენების შესწავლას, რომელიც 2020-2021 წლებში დაფიქსირდა. რაოდენობრივი, თვისობრივი და ლოგიკური განზოგადების გზით გაანალიზებულია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც მოძიებულია სხვადასხვა ოფიციალური წყაროებიდან და სამეცნიერო სტატიებიდან.

პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეუშალა ხელის საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებას და წარმოქმნილმა პრობლემებმა მნიშვნელოვანი ეკონომიკრი დანაკარგები მოუტანა ქვეყანას. არსებული სიტუაციიდან გამოსავალი არის მთავრობის აქტიური მუშაობა ბიზნესთან, პანდემიით გამოწვეული საინვესტიციო რისკების დაძლევის გზით მოვიზიდოთ სახსრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთის მხრივ ბიზნეს საქმიანობის გააქტიურებას და მეორე მხრივ, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: *Covid-პანდემია, ინვესტიციები, საინვესტიციო რისკები, ეკონომიკური განვითარება.*

2020 წელი მთელი მსოფლიოსთვის საკმაოდ მოულოდნელი და რთული წელი აღმოჩნდა. ვირუსი სახელად COVID-19 (ან კორონავირუსი) მთელს პლანეტაზე გავრცელდა, რომელმაც მილიონობით ადამიანის დაინფიცირება და გარდაცვალება გამოიწვია, ეს პროცესი დღესაც გრძელდება. გარდა ჯანდაცვის პრობლემებისა, არსებულმა პანდემიამ დიდი ზიანი მიაყენა გლობალურ ეკონომიკას. ამ მოვლენას კორონომიკული კრიზისიც კი უწოდეს (Papava, 2020).

პანდემიით გამოშვეული შეზღოდვების გამო მსოფლიო ეკონომიკა 2020 წელს 4,3%-ით შემცირდა, თუმცა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების შექმნისა და კოვიდ-რეგულაციების შექმნის ფონზე 2021 წლის მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 5,5 პროცენტს შეადგენს (World Bank, 2022).

კორონომიკული კრიზისის პირობებში ყველა ქვეყანაში შემცირდა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, რამაც ექსპორტი და შესაბამისად, ინვესტიციები შეამცირა (პაპავა & ჭარაია, 2020). კრიზისმა მნიშვნელოვნად შეამცირა გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაც, რომლის შედეგადაც 2020 წელს მისი მაჩვენებელი 35%-ით დაეცა (UNCTAD, 2021).

გლობალურ ტენდენციას არც საქართველო ჩამორჩა, 2020 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 6,8 პროცენტით, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - 57,2%-ით შემცირდა.[1]

ეკონომიკური კრიზისის ანალიზი და გამოსავლის გზების ძიება დღეისათვის ყველაზე პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს. იქედან გამომდინარე, რომ COVID-19-მა ძირეულად შეცვალა ქვეყნის კეთილდღეობის პრიორიტეტები და მნიშვნელოვანი საინვესტიციო დანაკარგები გამოიწვია, რომლის შეფასება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება აქტუალურია.

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://cutt.ly/1OhMkK2; https://cutt.ly/dOhMblE

სტატიაში განხილული თემის კვლევისთვის ძირითადად გამოყენებულია ტრადიციული მეთოდი, რომელიც გულისხმობს საზოგადოებაში უკვე არსებული ინფორმაციის რაოდენობრივ, თვისობრივ, ისტორიულ, ლოგიკურ ანალიზს და სინთეზს. მასში გამოყენებულია ქართული და უცხოენოვანი სტატიები, საქართველოს ეროვნული ბანკის, მსოფლიო ბანკის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციები და მონაცემები, ასევე, საკითხის მცოდნე მეცნიერ-ეკონომისტების მოსაზრებები. აღნიშნული მეთოდის შერჩევა განპირობებულია იქედან, რომ მოცემული თემის ირგვივ არსებული ინფორმაცია საკმარისად პასუხობს სტატიის მიზანს და დამატებით არ საჭიროებს ახალი, აქამდე უცნობი მეთოდების გამოყენებას სასურველი ამოცანის გადასაჭრელად.

მოცემული სტატია მოიცავს სიახლეებს, რომელსაც მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს. იგი შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს გაეცნონ საქართველოში საინვესტიციო დანაკარგების მიზეზების კომპლექსურ კვლევას, გამოთქმული რეკომენდაციები კი შესაძლოა გახდეს ახალი და ეფექტიანი გზა არსებული პრობლემის გადაჭრისთვის.

კრიზისიდან გამოსავლის ძიება დღეისთვის ყველაზე აუცილებელი და აქტუალური საკითხია. არსებობს უამრავი მოსაზრება და მთავრობაც მუშაობს გეგმაზე, თუმცა, მნიშვნელოვანია უფრო აქტიური ნაბიჯების გადადგმა, რათა სწრაფად დაიწყოს წარმოქმნილი საინვესტიციო რისკების შემცირების და ეკონომიკური განვითარების სწრაფი პროცესი. პირველ რიგში უნდა მოხდეს ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავება ბიზნეს სუბიექტებთან თანამშრომლობის საფუძველზე, რომელიც ცალკეულ დარგებს გაუწევს საჭირო დახმარებას და ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას. ამისათვის, შესაძლებელია გამოყენებული იყოს საგადასახადო შეღავათები, საინვესტიციო საქმიანობით დაინტერესებისთვის კონკრეტული პროექტების შეთავაზება ინვესტორებისთვის და ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა.

კოვიდ-პანდემია, როგორც საინვესტიციო გამოწვევა საქართველოს ეკონომიკისთვის

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2020 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 57,2 %-ით შემცირდა, რაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში 2009 წლის შემდგომ ყველაზე დიდი კლება იყო. 2009 წელს შემცირება 57,7 %. (იხ. დიაგრამა 1.) ამავე დროს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, 2020 წლის მეოთხე კვარტალში ინვესტიციების მაჩვენებელი უარყოფითი გახდა და -134,2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლილება (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში პანდემიის შეჩერებისთვის დაწესებული შეზღუდვების ფონზე კლება განიცადა ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორმა. 2020 წელს საქართველოს რელური მთლიანი ეროვნული პროდუქტი წინა წელთან შედარებით 6,8%-ით შემცირდა. ყველაზე დიდი ზიანი მომსახურების სფეროს მიადგა, ხელოვნება, გართობა, დასვენება და დასვენების საშუალებებით უზრუნველყოფის სექტორში შემცირება 46 %-ს გაუტოლდა. ზიანი მიადგა საგარეო სექტორსაც, საგარეო სავაჭრო ბრუნვა[1] შემცირდა 12,5%-ით, 83%-ით ანუ დაახლოებით 2,7 მილიარდი დოლარით შემცირდა ტურიზმიდან შემოსავლები. 2020 წელი მძიმე აღმოჩნდა ქვეყნის ბიუჯეტისთვისაც, მთავრობას სოციალური ხარჯების გაზრდა მოუწია პანდემიის სამართავად, ასევე, გაიცა კომპენსაციები უმუშევრად დარჩენილებზე, ბავშვებზე და სოციალურად დაუ-ცველებზე, დაწესდა საგადასახადო შეღავათები ბიზნესზე და სხვა. ამავე დროს, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შეუმცირდა 2 მილიარდი ლარით, ხოლო გაზრდილი ხარჯების დაფარვა მოხდა დამატებით აღებული 7 მილიარდი ლარის ოდენობის ვალით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე მივიღეთ საინვესტიციო დანაკარგები, ამიტომაც მნიშვნელოვანია გაანალიზდეს კონკრეტულად რა გზებია საჭირო იმისთვის, რომ საქართველომ მოიზიდოს საინვესტიციო კაპიტალი და გახდეს მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისთვის, რათა ხელი შეეწყოს ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების მატებას. ქვემოთ განვიხილავთ იმ საინვესტიციო რისკებს, რომლებიც პანდემიის ფონზე კიდევ უფრო გამწვავებულია და ხელს უშლის საქართველოში ინვესტირებას.

ტურიზმი. პანდემიის პირველი „მსხვერპლი“ ტურიზმი აღმოჩნდა, მსოფლიო ქვეყნების უმეტესობამ, მათ შორის საქართველომ მალევე ჩაკეტეს საზღვრები, რათა ხელი შეეშალათ პანდემიის გავრცელებისთვის. ოფიციალური მონაცემებით 2020 წელს 80,4%-ით იკლო ტუ-რისტულმა ვიზიტებმა, შესაბამისად, შემცირდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, რო-მელიც მძიმე ტვირთი აღმოჩნდა სასტუმროების, რესტორნების, ტურისტული სააგენტოების, ავია კომპანიებისთვის და სხვა დაკავშირებული სექტორებისთვის. მოცემულ დარგებში 2019 წელს 123 მილიონი აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, 2020 წელს კი მაჩვენებელი უარყოფითი, -250 მილიონი აშშ დოლარი იყო, შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოხდა მნიშვნელოვანი საინვესტიციო ზარალი.

ლარის კურსი. პანდემია დიდი გამოწვევა აღმოჩნდა ეკონომიკისათვის, რაც ეროვნულ ვალუტასაც აშკარად დაეტყო. დიაგრამა 2 აჩვენებს ლარის გაცვლითი კურსის დინამიკას და როგორც გრაფიკულადაც ჩანს პანდემიის დროს მნიშვნელოვანი მერყეობები ახასიათებდა ლარის ევროსთან და აშშ დოლართან მიმართებაში. ვალუტის კურსის არასტაბილურობა ხელს უშლის მოსალოდნელი შემოსავლების ან ხარჯების პროგნოზირებას საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმული ან იმპორტზე დამოკიდებული კომპანიებისთვის, რაც მომავალს გაურკვეველს ხდის, შესაბამისად, საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას მნიშვნელოვნად ამცირებს.

[1] საგარეო სავაჭრო ბრუნვა არის ექსპორტ-იმპორტის ჯამი.

დიაგრამა 2. ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ინფლაცია. ფასების დონის არასტაბილური და მკვეთრი ზრდა საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს. პანდემიის გამოწვეული კიდევ ერთი გლობალური ტენდენცია მიწოდების ჯაჭვის შეფერხება იყო, რამაც საერთაშორისო ბაზრებზე და საქართველოშიც ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი გამოიწვია, განსაკუთრებით იმპორტირებულ საქონელზე. (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. ინფლაცია საქართველოში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმპორტდამოკიდებული ქვეყნისთვის ფასების ზრდა განსაკუთრებით მტკივნეულია, მსყიდველობითი უნარის მსგავს შემირებას მოთხოვნის შემცირება ახლავს, რომელიც მოცემულ ეკონომიკაში ინვესტირების განხორციელების სურვილს აქრობს.

ინფლაციის მოსათოკად ეროვნულმა ბანკმა პანდემიის განმავლობაში 8%-დან 10.5 %-მდე გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი, რამაც თავის მხრივ სესხის აღება გააძვირა. ამ პერიოდში, იურიდიული პირებისთვის გაცემული ბიზნეს სესხების საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ ვალუტაში 12,2%-დან 14,2%-მდე გაიზარდა. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში კაპიტალის ბაზარი არ არის კარგად განვითარებული, ბიზნესის დასაფინანსებლად გამოიყენება

საბანკო სესხი გაძვირებული საპროცენტო განაკვეთები კი ამცირებს მოთხოვნას საინვესტიციო სესხებზე.

საგადასახდელო ბალანსი. პანდემიით გამოწვეულ საინვესტიციო დანაკარგებს საგადასახდელო ბალანსიც კარგად ასახავს, კრიზისამდელი პერიოდის დადებითი დინამიკა მიმდინარე ანგარიშების დეფიციტის ზრდამ შეცვალა, პირდაპირი და პორტფელის ინვესტიციების კლების შედეგად საჭირო გახდა დეფიციტის დასაფარად დამატებით საერთაშორისო ვალდებულებების აღება, რომლის ძირითად წყაროს დონორებისგან მოზიდული სამთავრობო ვალი წარმოადგენს.

ცხრილი 1. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი *(მლნ აშშ დოლარი)*

ანგარიშები	2018	2019	2020
	-	-	-
მიმდინარე ანგარიში	1,191.41	960.09	1,965.61
		47.0	41.0
კაპიტალის ანგარიში	76.06	5	5
	-	-	-
ფინანსური ანგარიში	1,218.37	957.79	2,005.33
	-	-	-
პირდაპირი ინვესტიციები	976.88	1,054.28	549.10
	293.6	311.	-
აქტივები	1	88	15.13
	1,270	1,36	533.
პასივები	.49	6.16	97
		-	-
პორტფელის ინვესტიციები	47.64	697.55	74.63
	254.7	28.5	47.0
აქტივები	8	4	2
	207.1	726.	121.
პასივები	4	09	65
	-	595.	-
სხვა ინვესტიციები	568.85	46	1,659.92

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დასკვნები და რეკომენდაციები

Covid-19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი დანაკარგები მოუტანა საქართველოს ეკონომიკას, განსაკუთრებით საინვესტიციო კუთხით. დაწესებულმა შეზღუდვებმა, მაღალმა ინფლაციამ, ვალუტის მერყეობამ, საგარეო სავაჭრო ბრუნვის და ტურისტული შემოსავლების კლებამ გამოიწვია ინვესტიციების მნიშვნელოვანი შემცირება, რამაც საბოლოო ჯამში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა მოიტანა ქვეყნისთვის. განხილული საინვესტიციო სირთულეების შემცირების მიზნით საჭიროა მთავრობამ იმუშავოს რამდენიმე მიმართულებით, რათა ჩამოყალიბდეს მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და გაუმჯობესდეს ეკონომიკური მდგომარეობა.

პირველი რიგში, საჭიროა მრეწველობის ხელშეწყობა, გლობალური მიწოდების ჯაჭვის შეფერხების გამო მრავალმა სახელმწიფომ დაიწყო ჩინეთიდან წარმოების გამოტანა უფრო მოსახერხებელ ადგილას. საქართველო კი არის ქვეყანა, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობა აქვს ერთდროულად ჩინეთთან, თურქეთთან და ევროკავშირთან, ეს კი შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევს ქვეყანას გახდეს ინვესტირებისათვის მიმზიდველი ადგილი. ამიტომ, საჭიროა გამართული ლოჯისტიკური და მატერიალური ინფრასტრუქტურა. ამასთან, არსებობს კარგი სატრანზიტო პოტენციალი, რომელიც კიდევ უფრო განვითარებას მოითხოვს.

აუცილებელია ხელი შევუწყოთ სოფლის მეურნეობის განვითარებას, რადგანაც ინფლაცია ყველაზე მეტად სურსათზე აისახა და შესაბამისად, ამ სფეროში იმპორტჩამნაცვლებელი პოლიტიკა ვალუტის გაუფასურების და ინფლაციის პრობლემის წინაშე ნაკლებად დადგება. მთავრობის აქტიური აგრარული სექტორის დაფინანსება და გრანტებით უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს ინვესტირებას დერგში.

პანდემიამ ახალი შესაძლებლობები გაუშინა სატელეკომუნიკაციო სფეროს, გაიზარდა მოთხოვნა ონლაინ პლატფორმებზე. ამ მიმართულებით განათლების ხელშეწყობა და ინფრა-სტრუქტურის განვითარება IT სფეროში მოღვაწე ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების გააქტიურებას გამოიწვევს.

ლიტერატურა:

1. პაპავა ვ. & ჭარაია ვ. (2020). *კორონომიკული კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა.* საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
2. Papava V. (29 March, 2020). *Coronomic Crisis: When The Economy Is a Hostage to Medicine.* Eurasia Review. https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/
3. საქართველოს ეროვნული ბანკი (2021). *წლიური ანგარიში 2020.* (ყოველწლიური პუბლიკაცია, ISSN 1512-1739). თბილისი, საქართველო.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი. *სტატისტიკური მონაცემები.* https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (16.08.2021). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქარ-თველოში 2020.* https://cutt.ly/dOhMblE
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021). *სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია).* *https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia*
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (15.11.2021). *საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2020.* https://cutt.ly/1OhMkK2
8. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2021). *საერთაშორისო მოგზაურობა რეზიდენტობის მიხედვით.* https://cutt.ly/ROvgxre
9. United Nations Conference on Trade and Development (2021). *World Investment Report 2021.* Geneva. https://unctad.org/system/files/official-document/wir2021_en.pdf
10. World Bank Group (January, 2022). *Global Economic Prospects*, Flagship report. Washington, DC, USA.

Covid-pandemic as an Investment Challenge for the Georgian Economy

Irakli Zoidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Student

SUMMARY

Pandemic outbreaks have had a negative economic impact on the world, including Georgia. Therefore, it is important to objectively assess the current situation and overcome the problems facing the country. The purpose of this article is to highlight the economic difficulties caused by the spread of the virus in terms of aggravation of investment risks and find effective ways to solve them. The traditional ways of studying the issue used in the article are based on the study of objective economic events observed in 2020-2021. Quantitative, qualitative and logical generalizations are used to analyze the economic indicators related to investment activities, which are obtained from various official sources and scientific articles.

The crisis caused by the pandemic significantly hindered the implementation of investment activities in Georgia, and the resulting problems brought significant economic losses to the country. The solution to the current situation is for the government to work actively with business, to overcome the investment risks caused by the pandemic and attract funds, that will ensure the activation of business activities on the one hand, and the improvement of the economic situation on the other hand.

Keywords: *Covid-pandemic, investments, investment risks, economic development.*

მდგრადი დაფინანსების სოციალური კომპონენტის ზრდა COVID-19 პანდემიის პირობებში

სალომე თვალოძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

მდგრადი დაფინანსება, რომელიც ფინანსური გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გათვალისწინებას გულისხმობს, მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. სოციალური საკითხები, როგორც ESG-ის ერთ ერთი მთავარი კომპონენტი, ფაქტორების ფართო სპექტრს მოიცავს. მათ შორისაა მომხმარებელთა უფლებები, ინკლუზიურობა, ფინანსური ჩართულობა, შრომითი სტანდარტები, მიწოდების ჯაჭვის მართვა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, უთანასწორობა, ადამიანური კაპიტალი, კულტურა, კეთილდღეობა, მონაცემთა დაცვა, ადამიანთა უფლებები და სხვა. ESG სამყაროში სოციალური საკითხების ინტეგრაციამ არასაკმარისი პროგრესი განიცადა, რადგან სოციალურ კომპონენტს შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა მის განმარტებასთან, შეფასებასთან, მოცვის არეალთან და გაზომვასთან დაკავშირებული გამოწვევებიდან გამომდინარე. 2020 წლის პანდემიის ფონზე, დებატებმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური საკითხების როლის გადახედვის შესახებ ახალი მნიშვნელობა შეიძინა. COVID-19 კრიზისი, რომელმაც ჯანმრთელობასა და უფრო ფართო სოციალურ უთანასწორობასთან დაკავშირებული საზოგადოებაში არსებული სუსტი წერტილები გამოამჟღავნა, გადამწყვეტი მომენტი გახდა "S" კომპონენტისთვის. ამჟამად, მზარდია ინვესტორებისა და ფინანსური ინსტიტუტების სოციალური საკითხებისადმი ინტერესი, რადგან აღნიშნულ საკითხების არასათანადო გათვალისწინებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები შექმნას და რეპუტაციის გრძელვადიანი დაზიანება გამოიწვიოს.

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი დაფინანსება, ESG, სოციალური საკითხები, COVID 19 პანდემია.*

სოციალურ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისა და ზოგადად, საზოგადოების კეთილდღეობისთვის. COVID 19 პანდემიის პირობებში სოციალური გამოწვევების ზრდის ფონზე, აღნიშნული საკითხები კიდევ უფრო აქტუალური გახდა და მდგრადი განვითარების მისაღწევად მათი მნიშვნელობა გაიზარდა.

მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი მდგრადი დაფინანსებაა, რადგან ამ პროცესში ფინანსურ სისტემას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. მდგრადი დაფინანსება აუცილებელი პირობაა უფრო მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ეკონომიკაში გამჭვირვალობისა და გრძელვადიანი ხედვის ხელშესაწყობად.

მდგრადი დაფინანსება ფართო კონცეფციაა, რომელიც ფინანსური სისტემის მდგრადობასთან შესაბამისობას გულისხმობს. მდგრადი დაფინანსების ერთიანი განმარტება არ არსებობს. თუმცა, ზოგადად, იგი გულისხმობს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (Environmental, Social, Governance; ESG) ფაქტორების ინტეგრაციას ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ფინანსების მიმართვას მდგრადი და ინკლუზიური ზრდის მისაღწევად. გარემოსდაცვითი საკითხები შეიძლება მოიცავდეს კლიმატის ცვლილების შერბილებას და ადაპტაციას, ისევე როგორც გარემოსდაცვით საკითხებს უფრო ფართოდ, მაგალითად, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, დაბინძურების პრევენციას და წრიულ ეკონომიკას. სოციალური საკითხები შეიძლება ეხებოდეს უთანასწორობის, ინკლუზიურობის, შრომითი ურთიერთობების, ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების, ასევე ადამიანის უფლებათა საკითხებს. მმართველობითი საკითხები - მათ შორის მენეჯმენტის სტრუქტურები, თანამშრომელთა ურთიერთობა

და ანაზღაურება - ფუნდამენტურ როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების სათანადო ჩართვის უზრუნველყოფაში.

ESG საკითხების შესახებ საუბრისას, ტრადიციულად, მთავრი აქცენტი ხშირად "E" კომპონენტზე კეთდებოდა. ამის საპირისპიროდ, სოციალურ, "S" კომპონენტს შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა მის განმარტებასთან, შეფასებასთან, მოცვის არეალთან და გაზომვასთან დაკავშირებული გამოწვევებიდან გამომდინარე. სოციალური ელემენტის განსაზღვრა და რაოდენობრივად შეფასება შეიძლება უფრო მეტ სირთულესთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ ამ საკითხების სათანადო გათვალისწინებას შეუძლია დიდი განსხვავება მოახდინოს დაინტერესებული მხარეების ნდობისა და მათი ეფექტური ჩართულობის განსაზღვრაში.

2020 წლის პანდემიის ფონზე, დებატებმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური საკითხების როლის გადახედვის შესახებ ახალი მნიშვნელობა მიიღო. COVID-19 კრიზისი, რომელმაც ჯანმრთელობასა და უფრო ფართო სოციალურ უთანასწორობასთან დაკავშირებული საზოგადოებაში არსებული სუსტი წერტილები გამოამჟღავნა, გადამწყვეტი მომენტი გახდა "S" კომპონენტისთვის. აღნიშნულ სუსტ წერტილებს, რომელიც წინა პლანზე გამოვიდა, მიეკუთვნება: საზოგადოებრივი მოლოდინების განვითარება, რომელიც დაკავშირებულია მდიდართა და ღარიბთა შორის მზარდ უთანასწორობასთან; ხელმისაწვდომ საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობასთან; ბუნებასთან კავშირთან; გენდერულ უთანასწორობასთან; და ფსიქიკური დაავადების ზრდასთან. შედეგად, მოლოდინი არის, რომ გაიზრდება ფოკუსირება ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაზე მათი თანამშრომლების, მიწოდების ჯაჭვებისა და ჯგუფების მიმართ, სადაც ისინი მუშაობენ.

დღევანდელ პირობებში სოციალური საკითხები სულ უფრო აქტუალური ხდება და ESG საკითხების განხილვისას სოციალურ კომპონენტს სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ESG სამყაროში სოციალური საკითხების ინტეგრაციამ არასაკმარისი პროგრესი განიცადა. ეს გარკვეულწილად განპირობებულია მრავალი გამოწვევებით და „მითებით": არასწორი აღქმა იმის შესახებ, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სოციალური ინდიკატორები - როგორიცაა კომპანიის შრომითი პრაქტიკა ან საზოგადოებასთან ურთიერთობა - და როგორ ან შეიძლება თუ არა მათი ინტეგრირება ანალიზსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ყველა ინვესტორის, ფინანსური ინსტიტუტისა და კომპანიისთვის მნიშვნელოვანია ამ კითხვების პროაქტიულად განხილვა, რადგან სოციალურმა საკითხებმა შეიძლება შექმნას მნიშნველოვანი რისკები, და ამასთან, აღნიშნული საკითხები მომავალში კიდევ უფრო აქტუალური გახდება (White & Case, 2021).

ამასთან, გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობა სოციალური ინდიკატორების, ვიდრე გარემოსდაცვითი მაჩვენებლების მატერიალურობას. კომპანიის სოციალური მახასიათებლები დიდი ხნის მანძილზე განიხილებოდა, როგორც ნაკლები რისკი ფინანსური შედეგებისთვის. კომპანიის გარემოსდაცვითი საქმიანობა მიჩნეულია უფრო მატერიალურად, ხელშესახები გარემოსდაცვითი რისკის გამო, მაგალითად როგორიცაა კლიმატის ცვლილებიდან მომდინარე ბიზნეს ოპერაციების რისკები, და გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და პოლიტიკიდან გამომდინარე რისკები. ამის საპირისპიროდ, სოციალური ინდიკატორების ფარგლები სცილდება პირდაპირ რეგულირებულ სფეროს, და ისეთ საკითხებს მოიცავს, როგორიცაა მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა, ჯანმრთელობა და ა.შ. ამასთან, ურთიერთკავშირი გარემოსა და სოციალურ შედეგებს შორის არ არის სრულად აღქმული, და უგულებელყოფითა ის მრავალი მიმართულებები, რომლითაც ინდიკატორები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე.

ისტორიულად, მატერიალურობის კონცეფცია ვიწრო გაგებით გამოიყენებოდა. თავდაპირველად, მატერიალურობა[1] იყო სამართლებრივი კონცეფცია, რომელიც ორიენტირებულია რისკების იდენტიფიცირებაზე, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს, რადგან მათი დამალვა ხელს უშლის საკითხის სათანადო შეფასებას. ასეთი განსაზღვრება წარმოშობს მოკლევადიან, სტატიკურ ფინანსურ მატერიალურობას, რომელიც სათანადოდ ვერ ითვალისწინებს, რომ ის შეიძლება იყოს დინამიური. ასეთი მიდგომა უგულებელყოფს რისკების ბევრად გაუმჯობესებულ გაგებას, რომლებიც წარმოიქმნება სეკულარული ტენდენციებიდან, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ტექნოლოგიური მიღწევები და დემოგრაფიის ცვლილებები - ეს ყველაფერი ცვლის კომპანიების საოპერაციო ფონს. ეს რისკები ცვალებადია, რადგან დროთა განმავლობაში იცვლება მათი ხასიათი და ინტენსივობა. ისინი ასევე ქმნიან ზეწოლას მარეგულირებელი ცვლილებებისთვის, რაც ESG კრიტერიუმებს, მათ შორის სოციალურ განზომილებას, გადამწყვეტს ხდის რისკის მართვისთვის. როგორც OECD-ის 2020 წლის ანგარიშშია[2] აღნიშნული, ბაზრის დაინტერესებულმა მხარეებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ არაფინანსური ანგარიშგების ტიპებს, რომლებიც დაეხმარება კომპანიებს მიიღონ გადაწყვეტილებები გრძელვადიანი ფინანსური მატერიალურობის შესახებ. რადგან ინვესტირებას კომპანიებში, რომლებსაც აქვთ დაბალი შეფასებები "S" ინდიკატორებზე, ან არ აქვთ ხელმისაწვდომი მონაცემები, რისკებთანაა დაკავშირებული და ამის არა ერთი მაგალითი[3] არსებობს.

აღსანიშნავია, რომ Business & Human Rights Resource Center-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ[4] აჩვენა, რომ კომპანიები, რომლებსაც შეუძლიათ მაღალი შეფასებები მიიღონ გარემოსდაცვით საკითხებში (როგორიცაა განახლებადი ენერგიის კომპანიები) შეიძლება სერიოზული სოციალური პრობლემები ჰქონდეთ, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან, მათი მიწოდების ჯაჭვში. რეგულაციები, როგორიცაა მაგალითად the Global Magnitsky Act[5], აწესებს სანქციებს სუბიექტებსა და ინდივიდებზე, რომლებიც მონაწილეობენ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევაში. მისი მიღება სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯის მაგალითია ადამიანის უფლებების მნიშვნელობის ხაზგასმისთვის.

რეგულაციებიც და კანონმდებლობაც ვითარდება. მარეგულირებლები მთელს მსოფლიოში სხვა ფინანსურ რისკებთან ერთად მეტ ყურადღებას აქცევენ მდგრადობის რისკებს და სთხოვენ კომპანიებს გაამჟღავნონ თავიანთი გავლენა საზოგადოებაზე და ასევე, გარემოზე. ევროკავშირის (EU) არაფინანსური ანგარიშგების დირექტივამ (NFRD[6]) შემოიტანა ორმაგი მატერიალურობის კონცეფცია, რომელიც ადგენს, რომ კომპანიებმა უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საზოგადოებაზე და გარემოზე მათი ზემოქმედების გასაგებად, ასევე იმ ფინანსური რისკების შესახებ, რომლებსაც კომპანიას სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები უქმნის.

სოციალური საკითხების მატერიალურობის და მისი შეფასებისა და ანალიზის პროცესში ჩართვის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. თუმცა, ეს პროცესი გარკვეულ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. სოციალური ინდიკატორების იდენტიფიცირება არ არის ისეთი მარტივი, როგორც სხვა ფინანსური ანალიზი, რადგან „სოციალური საკითხები“ მოიცავს თემების ფართო სპექტრს, მათ შორის ჯანდაცვას, მრავალფეროვნებას, პროდუქტის უსაფრთხოებას და შრომით ურთიერთო-

[1] www.ifrs.org/news-and-events/2018/10/iasb-clarifies-itsdefinition-of-material/
[2] https://www.oecd.org/finance/ESG-Investing-Practices-Progress-Challenges.pdf
[3] მაგალითად, https://www.theguardian.com/business/2020/jul/06/boohoo-leicester-factory-conditions-covid-19
[4] https://www.business-humanrights.org/en/from-us/briefings/renewable-energy-human-rights-benchmark/
[5] https://www.state.gov/global-magnitsky-act/
[6] https://ec.europa.eu/finance/docs/policy/190618-climate-related-information-reporting-guidelines_en.pdf

ბებს. ის ფაქტი, რომ სოციალური რისკების მატერიალურობა განსხვავდება ინდუსტრიებსა და ქვეყნებს შორის, დამატებით სირთულის მატებს. მაგალითად, შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხებია ჯანდაცვის სარგებლისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, ხოლო სხვა ქვეყნებში იძულებითი შრომისა და კორუფციის საკითხებს მეტი ყურადღება ექცევა.

სოციალური მაჩვენებლები მრავალმხრივია. თუმცა, ჩარჩოები, როგორიცაა გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ (UN Guiding Principles on Business and Human Rights, UNGP [1]) და OECD-ის სახელმძღვანელო მრავალეროვნული საწარმოებისთვის (OECD Guidelines for Multinational Enterprises[2]), უზრუნველყოფენ ადვილად მისაწვდომ სახელმძღვანელო პრინციპებს სოციალური საკითხების გააზრებისთვის. ასევე არსებობს კონსენსუსი, რომ სოციალური ინდიკატორები ეხება დაინტერესებული მხარეების უფლებებს: კომპანიის პასუხისმგებლიანი ქცევა მის ადამიანურ კაპიტალთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან და ფართო საზოგადოებასთან დაკავშირებით. ამ თემების უფრო სიღრმისეულად შესასწავლად, არსებობს მრავალი მნიშვნელოვანი ინდიკატორი და მაჩვენებელი (იხ. *ცხრილი 1*).

ამასთან, მონაცემთა პროვაიდერები და სარეიტინგო სააგენტოები თანდათან აუმჯობესებენ მათ მიერ შეთავაზებულ მონაცემთა ხარისხს და მრავალფეროვნებას. ეს გამოწვეულია მონაცემთა მიწოდების მზარდი კონკურენტული ბაზრით. „S“ თემების მონაცემების რაოდენობა სტაბილურად უმჯობესდება, კიდევ უფრო მეტი ყურადღება გამახვილებულია სოციალურ ინდიკატორებზე 2020 წელს COVID-19 კრიზისის გამო.

ESG-ში „S“-ის სტანდარტიზაციის ნაკლებობამ გამოიწვია გავრცელებული წარმოდგენა, რომ შეუძლებელია კომპანიების სოციალური მუშაობის გაზომვა და რომ არსებული მონაცემები არ არის სანდო ან შესადარისი. ეს რწმენა განმტკიცდა მრავალი ნაშრომით, რომლებიც სტანდარტიზაციის ნაკლებობას და ESG რეიტინგების განსხვავებას ადასტურებენ (Berg et al., 2020), და ზოგიერთ შემთხვევაში სიტუაციას უწოდებენ "ანბანის წვნიანს[3]" ან "მთლიან დაბნეულობას[4]". ინვესტორების რამდენიმე ბოლოდროინდელი გამოკითხვა ასევე მიუთითებს, რომ ESG ინტეგრაციის ყველაზე დიდი შემაფერხებელი გამოწვევებია მონაცემებთან დაკავშირებული გამოწვევები, როგორიცაა მონაცემთა ხარვეზები და თავსებადობა, თანმიმდევრულობა და შესადარისობა. მართალია, არსებობს გამოწვევები სტანდარტიზაციის არარსებობასთან დაკავშირებით, თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა მონაცემთა შეგროვებაში და სოციალური ინდიკატორებისა და მათი გაზომვის დაკავშირებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ სოციალურ ინდიკატორებზე მეტი ფოკუსირება შემოსავლების შემცირებას იწვევს. პირიქით, ESG ფონდების მუშაობის ანალიზმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში აჩვენა, რომ ESG ფონდები აჩვენებენ უფრო მეტ გამძლეობას კრიზისის დროს (Friede et al., 2015; Bouslah et al., 2018).

ჰარვარდის სამართლის სკოლის სტატიის[5] მიხედვით კი, ფაქტორები, რომლებიც შედის „S“-ში, ისევე ქმნის რისკებს ბიზნესისთვის (და ზოგიერთი კომპანიისთვის უფრო მეტად) როგორც „E“ და „G“-ში შემავალი ფაქტორები, რაც თავის მხრივ, იწვევს კომპანიის რეპუტაციას ხანგრძლივ ზიანს.

---

1 https://www.ohchr.org/Documents/Publications/GuidingPrinciplesBusinessHR_EN.pdf
2 http://mneguidelines.oecd.org/guidelines/
3 https://www.responsible-investor.com/articles/esg-disclosure-standards-the-alphabet-soup-wants-to-play-scrabble
4 https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3438533
5 https://corpgov.law.harvard.edu/2020/06/28/time-to-rethink-the-s-in-esg/

ცხრილი **1.** სოციალური საკითხების შესაძლო ინდიკატორები

სოციალური ინდიკატორები	
სამუშაო ადგილზე არსებული რისკები და მიწათსარგებლობის საკითხები	• იძულებითი ან სავალდებულო შრომა; • ბავშვთა შრომა; • ადამიანის უფლებათა პოლიტიკის ინტეგრაცია და პერსონალის ტრენინგი; • ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საჩივრები; • ჯანმრთელობა და უსაფრთხოება • მიწათსარგებლობა
სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა	• შრომითი ურთიერთობები; • ანაზღაურება; • ტრეინინგები და განათლება; • საგადასახადო დარღვევები; • მექრთამეობა და კორუფცია
მრავალფეროვნება და ინკლიზიურობა	• სამუშაო ძალის შემადგენლობა; • გენდერული თანასწორობა და დაკავშირებული საკითხები; • ეთნიკური უმცირესობები და დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფები; • ასაკობრივი და თაობათა წარმომადგენლობა; • დისკრიმინაცია და დაკავშირებული დავები; • ინკლიზიურობა და ჩართულობა; • ბავშვთა მოვლა და დაკავშირებული სერვისები; • ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება;
ციფრული უფლებები/ მონაცემთა და IT უსაფრთხოება	• მონაცემთა დაცვა; • გაციფრულება და ხელმისაწვდომობა; • კონფიდენციალურობა და დაკავშირებული დავები;

ცხრილი **2.** სოციალური კომპონენტი მნიშვნელოვნად ამცირებს სისტემურ რისკს

ცვლადი	მთლიანი რისკი	სისტემური რისკი	იდიოსინკრატიული რისკი
E	-0.008*	-0.001	-0.003**
S	-0.009**	-0.042**	-0.005**
G	-0.012***	-0.009	-0.002**

*შენიშვნა: ***, ** და * აღნიშნავს მნიშვნელობას 1%, 5% და 10% დონეზე, შესაბამისად*
წყარო: Del Giudice et al., 2019

ამასთან, სოციალური ფაქტორები დიდ გავლენას ახდენენ მიწოდების ჯაჭვის მრავალ რგოლზე. კომპანიის ჰოლისტიკური შეფასებისთვის, "S" უნდა იყოს რისკის ანალიზის ძირითადი ინგრედიენტი (DWS, 2020; Deutsche Bank AG, 2019). კვლევებმა აჩვენა მნიშვნელოვნად უარყოფითი კავშირი კომპანიის რისკიანობას და მის სოციალურ რეიტინგსა შორის, რამაც შეიძლება ასევე ახსნას, თუ რატომ გახდა სოციალური ინვესტიციები განსაკუთრებით ღირებული COVID 19 პანდემიის დროს. მაგალითად, Sassen და სხვებმა (2016) თავიანთ ნაშრომში მნიშვნელოვნად უარყოფითი კავშირი აჩვენეს სოციალურ კომპონენტსა და ფირმის სისტემურ, იდიოსინკრატიულ და მთლიან რისკს შორის. ანალოგიურად, Del Giudice და სხვები (2019) აჩვენებენ, რომ კომპანიის მიერ სოციალური გაიდლაინების დაცვა განსხვავებულ გავლენას ახდენს მის რისკის პროფილზე, ვიდრე "E" და "G" კრიტერიუმები. "S" არის ერთადერთი კომპონენტი, რომელიც ამცირებს სისტემურ რისკს ფირმის დონეზე (იხ. *ცხრილი* ***2***).

მეტი მონაცემების შეგროვებითა და კვლევებით, ასევე იზრდება მტკიცებულება, რომ უფრო მრავალფეროვანი და ინკლუზიური კომპანიები კონკურენტებს სჯობნიან. Refinitiv D&I-ის კვლევამ[1], „საკვანძო ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს მრავალფეროვან და ინკლუზიურ სამუშაო ადგილებს", აჩვენა, რომ ის პორტფელები რომლებიც თანამშრომლების ან საბჭოების მრავალფეროვნებას ითვალისწინებდა უკეთეს შედეგს აჩვენებდა. მსგავსი შედეგი აჩვენა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის 2019 წლის კვლევამ[2], მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მაგალითზე. ანგარიშის ერთ-ერთი მთავარი დასკვნა არის ის, რომ ფონდებს გენდერულად დაბალანსებული ლიდერების გუნდებით 10 პროცენტიდან 20 პროცენტამდე უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ იმ ფონდებთან შედარებით, სადაც გენდერული ბალანსი დაცული არ არის.

გრძელვადიანი მომგებიანობისთვის, "S" კომპონენტი ESG-ში მხოლოდ უფრო მნიშვნელოვანი გახდება, რაც ESG მონაცემთა ანალიზს გადამწყვეტს ხდის. კვლევები აჩვენებს, რომ კომპანიებს, რომლებსაც კარგი რეიტინგები აქვთ მატერიალური მდგრადობის საკითხებში, მნიშვნელოვნად სჯობნიან მათ, ვისაც დაბალი რეიტინგები აქვთ იმავე საკითხებში (Khan, etl., 2016). კავშირი უფრო მკაფიო ხდება კომპანიის კულტურას, სოციალურ და ბიზნეს პრაქტიკას, მის ადგილს საზოგადოებასა და დადებითი ფინანსური შედეგების მიღწევის უნარს შორის.

[1] https://www.refinitiv.com/en/resources/special-report/diversity-and-inclusion-at-workplace
[2] https://www.ifc.org/wps/wcm/connect/79e641c9-824f-4bd8-9f1c-00579862fed3/Moving+Toward+Gender+Balance+Final_3_22.pdf?MOD=AJPERES&CVID=mCBJFra

როგორც FCLT-ის ბოლოდროინდელმა კვლევამ[1] აჩვენა, არსებობს სისტემატური მტკიცებულება, რომ გრძელვადიან მიდგომას შეუძლია გამოიწვიოს უკეთეს შედეგები შემოსავლების, ინვესტიციების, საბაზრო კაპიტალიზაციისა და სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით.

COVID 19 პანდემიის ფონზე ESG-ის სოციალური კომპონენტი, "S", სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ფინანსური ინსტიტუტების, ინვესტორების და კომპანიების მზარდი რაოდენობა ამახვილებს უფრო მეტ ყურადღებას სოციალურ თემებზე, როგორიცაა ინკლუზიურობა, შრომის სტანდარტები, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ადამიანური კაპიტალი, კულტურა და კეთილდღეობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ESG-ის სამი კომპონენტი ღრმად არის ურთიერთდაკავშირებული და მდგრადი განვითარების მისაღწევად აუცილებელია როგორც გარემოსდაცვითი, ასევე სოციალური ფაქტორების სათანადო ანალიზი და გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგების დაბალანსებული შეფასება.

ლიტერატურა:

1. Berg, F., Koelbel, J. F., & Rigobon, R. (2019). *Aggregate confusion: The divergence of ESG ratings* (pp. 1-42). Cambridge, MA, USA: MIT Sloan School of Management. Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=3438533 or http://dx.doi.org/10.2-139/ssrn.3438533
2. Bouslah, K., Kryzanowski, L. & M'Zali, B. (2018). Social Performance and Firm Risk. Impact of the Financial Crisis. *J Bus Ethics 149, 643–669, 2018*. https://doi.org/10.1007/s10551-016-3017-x
3. Del Giudice, A., M. Migliavacca, and S. Piserà. (2019). The impact of ESG factors on systematic, idiosyncratic and total firm risk. *Working paper.*
4. DWS. (2020). *Systematic Investment Solutions: Spotlight on 'S' - Integrating the Social factor into investment portfolios*. Investment Insights.
5. Deutsche Bank AG. (2019). *The "S" in ESG: the ugly duckling of investing*. CIO Special.
6. Friede G., Timo Busch & Alexander Bassen (2015) ESG and financial performance: aggregated evidence from more than 2000 empirical studies. *Journal of Sustainable Finance & Investment, 5:4, 210-233*, DOI: 10.1080/20430795.2015.1118917
7. Khan, Mozaffar and Serafeim, George and Yoon, Aaron. (2016). Corporate Sustainability: First Evidence on Materiality. *The Accounting Review, Vol. 91, No. 6, pp. 1697-1724.*, Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=2575912 or http://dx.doi.-org/10.2139/ssrn.2575912
8. Sassen, R., Hinze, A. & I. Hardeck (2016). Impact of ESG factors on firm risk in Europe. *J Bus Econ 86, 867–904, 2016.* https://doi.org/10.1007/s11573-016-0819-3
9. White & Case LLP. (2021). *Amplifying the "S" in ESG: Investor Myth Buster*. URL: https://www.whitecase.com/publicati-ons/insight/amplifying-s-esg-investor-myth-buster?utm_source=linkedin&utm_medium=organic&utm_term=&utm_content=&utm_campaign=

Increasing Importance of the Social Component of Sustainable Finance during the COVID 19 Pandemic

Salome Tvalodze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

PhD Student

SUMMARY

The integration of social issues into the ESG world has made insufficient progress as the social component has received relatively little attention due to the challenges associated with its definition, evaluation, coverage, and measurement. In the wake of the COVID-19 pandemic, the debate over the role of social issues in the decision-making process has taken on new significance. Now, there is a growing interest in social issues for investors and financial institutions, as improper consideration of these issues can create significant risks and lead to long-term damage to reputation.

[1] https://www.fcltglobal.org/wp-content/uploads/Measuring-the-Economic-Impact-of-Short-Termism.pdf

COVID-19–ის პანდემიის გავლენა სოციალურ მედია მარკეტინგზე

ნია თოდუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

სტატიაში ნაჩვენებია სოციალური მედიის როლი ბიზნესში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია COVID-19-ის პანდემიის პირობებში სოციალური მედია მარკეტინგული აქტივობების ზრდაზე. ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლენილია COVID-19-ის პანდემიის გამო სოციალურ მედიაში მომხმარებელთა აქტივობის გაზრდის ძირითადი მიზეზები. ნაშრომში მოცემულია COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული პრობლემების მოგვარებაში სოციალური მედიის ხელშეწყობის შესახებ რესპონდენტების შეფასებები. დადგენილია, თუ რომელი სფერო უნდა იყოს ყველაზე აქტიური სოციალურ მედიაში COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: *COVID-19-ის პანდემია, სოციალური მედია, მარკეტინგი, მომხმარებელთა ქცევა, მარკეტინგული კვლევა.*

პრობლემის აქტუალობა. სოციალური მედია ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი თანდათანობით ხდება მნიშვნელოვანი მარკეტინგული ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს კომპანიებს, თავიანთ მომხმარებლებთან მჭიდრო ურთიერთობები დაამყარონ. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედია ესაა Web-2-ზე დაფუძნებული ინტერნეტ აპლიკაციების ჯგუფი, რომელიც მომხმარებლებს კონტენტის შექმნისა და გაზიარების საშუალებას აძლევს (Kaplan & Haenlein, 2010). დღეისათვის სოციალური მედია დიდ გავლენას ახდენს მომხმარებლების აღქმაზე, დამოკიდებულებებზე და მოსაზრებებზე, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე (Xhema, 2019). სოციალური მედია, უზრუნველყოფს რა ბრენდების პოპულარობის ამაღლებას (Al-Sheikh & Hasanat, 2020), სიტყვიერი მარკეტინგის ხელშეწყობას (Li & Wu, 2018) და გაყიდვების მოცულობის ზრდას (Coursaris et al., 2016), ორგანიზაციებს ანიჭებს შესაძლებლობას, მომხმარებლებზე დადებითი ზემოქმედება მოახდინონ. განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ასეთი ქსელური ურთიერთობები, უწინარეს ყოვლისა, მომხმარებელთა ნდობაზე აისახება (Hajli, 2014). ამიტომაც სოციალური მედია, ნდობის განმტკიცების მექანიზმების მეშვეობით, უზრუნველყოფს კომპანიებში ისეთი მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებას, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებელთა ქცევაზე (Usman & Okafor, 2019).

დღეისათვის სოციალური მედია მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად მიიჩნევა. ამიტომ სოციალური მედიის აქტიური მომხმარებლების რაოდენობა ყოველწლიურად საგრძნობლად მატულობს. 2021 წელს მსოფლიოში სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 10,5%-ით გაიზარდა და შეადგინა 3,96 მლრდ ადამიანი (მსოფლიო მოსახლეობის 51,1%), რაც არის ინტერნეტში ჩართული მოსახლეობის 86,6% (Statista, 2021a). მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სოციალური მედიის ტიპებიდან ყველაზე უფრო პოპულარულია სოციალური ქსელები. სოციალური ქსელებში დაშვების ყველაზე უფრო მაღალი დონე არის აშშ-ში და ევროპაში. კერძოდ, 2021 წლისათვის აშშ-ის მოსახლეობის 67,4% სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელია (Statista, 2021b). ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი, საშუალოდ, არის 63%, ხოლო ყველაზე მაღალია ისლანდიაში (92%) (Statista, 2021c). საქართველოსთან მიმართებით, ეს მაჩვენებელი არის 68,9% (DataReportal, 2021). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროპაში არსებული საწარმოების 53% კლიენტებთან ურთიერთობისათვის აქტიურად იყენებს სოციალურ მედიას (Eurostat, 2022).

დღეისათვის საქართველოში მრავალი ორგანიზაცია იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს თავისი მომსახურების პრომოუშენისა და მომხმარებლებთან ურთიერთობისათვის. ქართული ორგანიზაციები, რომლებიც მისდევენ სოციალურ მედია მარკეტინგს, საზოგადოების თვალში დიდ ნდობას და კეთილგანწყობას იმსახურებენ. ეს, განსაკუთრებით გამოჩნდა COVID-19-ის პანდემიის პირობებში. მართალია, საქართველოში ქართული კომპანიები უზარმაზარ ძალისხმევას ხარჯავენ გლობალურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებთან ადაპტაციისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისათვის, მაგრამ ეს საკმარისი როდია. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ მრავლადაა ორგანიზაციები, რომლებიც ციფრული მარკეტინგის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას იჩენენ. შესაბამისად, ქართველი მომხმარებლების უმეტესი ნაწილი ვერ იღებს სათანადო და დროულ ინფორმაციას ბაზარზე მიმდინარე მოვლენების შესახებ. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ქართულ სინამდვილეში ნაკლებადაა შესწავლილი სოციალური მედია მარკეტინგის გავლენა ადგილობრივი მომხმარებლების ქცევაზე, რაც სათანადო მეცნიერულ კვლევას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა ქცევისა და სოციალური მედია მარკეტინგის კუთხით საქართველოში ჩატარებულია გარკვეული კვლევები (Apil et al., 2009; Todua et al., 2016; Todua & Jashi, 2018; Todua, 2019; Seturi & Urotadze, 2020; Jashi, 2020; Urotadze, 2020; Mgebrishvili & Urotadze, 2021), ისინი საკმარისი არაა. აღნიშნული თემის აქტუალობამ, მოცემულ სფეროში არსებულმა პრობლემებმა, მათი მეცნიერული შესწავლისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების აუცილებლობამ განაპირობა შესაბამისი კვლევის მიმართულება. კვლევის მიზანს კი წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენა მოზხდინა COVID-19–ის პანდემიამ სოციალურ მედიაში მომხმარებელთა აქტივობაზე. დასახული მიზნის მისაღწევად ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის დიზაინი ითვალისწინებდა პირველადი და მეორადი მონაცემების მოპოვებას (Malhotra, 2010). მეორადი მონაცემები ეყრდნობა გამოქვეყნებულ მასალებს, ხოლო პირველადი მონაცემების მოპოვებისათვის გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. თავის მხრივ, რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისათვის მოცემულ კვლევაში შერჩეულია რაოდენობრივი, კერძოდ, დესკრიფციული კვლევის მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს მონაცემების შეგროვების ერთიანი ტექნიკის გამოყენებას (Saunders et al., 2019). თავის მხრივ, დესკრიფციული მეთოდებიდან გამოვიყენეთ მომხმარებელთა გამოკითხვა სპეციალურად შედგენილი ანკეტის მეშვეობით. ამასთან, ეს კვლევა წარმოადგენს პროფილურ კვლევას, რაც ნიშნავს იმას, რომ გენერალური ერთობლიობის ნებისმიერი ამონაკრებიდან მონაცემები დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შეგროვდა მხოლოდ ერთხელ (Malhotra, 2010). ჩვენს კვლევაში გამოყენებულია ელექტრონული ფორმით ანკეტური გამოკითხვა, როგორც მონაცემთა შეგროვების ძირითადი მეთოდი. გარდა ამისა, მოცემულ კვლევაში ანკეტური გამოკითხვა ჩავატარეთ თვითადმინისტრირებადი მეთოდის გამოყენებით. ასეთი მიდგომა განაპირობა იმან, რომ უშუალოდ რესპონდენტებისაგან ელექტრონული ფორმით მონაცემთა შეგროვების პროცესში თვითადმინისტრირების მეთოდი მარტივი, შედარებით სწრაფი და იაფია (Saunders et al., 2019). ანკეტაში შემავალ კითხვებზე პასუხები წარმოდგენილია მრავალვარიანტული არჩევით, ხოლო საზომად გამოყენებულია ლიკერტის 5 ბალიანი სკალა (1=სრულიად არ ვეთანხმები, 2= არ ვთანხმები, 3= ნეიტრალური, 4= ვეთანხმები, 5= სრულიად ვეთანხმები). 95%-იანი სანდო ალბათობისა და 4%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, სულ გამოიკითხა 18 წელზე მეტი ასაკის 425 რესპონდენტი (მათ შორის მამაკაცი იყო 155, ქალი - 270). მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის საშუალებით.

კვლევის შედეგები. რესპონდენტების უმრავლესობა (76%) მიიჩნევს, რომ COVID-19-ის პანდემიის გავლენით სოციალურ მედიაში მათ აქტივობა გაიზარდა, ხოლო 24%-ის აზრით, უცვლელი დარჩა. აღსანიშნავია, რომ სოციალურ მედიაში რესპონდენტების აქტივობის გაზრდას სხვადახვა მიზეზი განაპირობებს. კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების 12% ასეთი აქტივობის ძირითადი მიზეზად მიიჩნევს საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ შეშფოთებას, 34% - მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობაზე შეშფოთებას, 7% - სოციალურად დაუცველი ადამიანების ჯანმრთელობაზე შეშფოთებას, 10% - მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ შეშფოთებას, 7% - საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდას, რომელმაც პანდემიის პერიოდში საგრძნობლად მოიმატა, 9% - ქვეყანაში სამუშაო ადგილების დაკარგვისა და მზარდი სიღარიბის შესახებ შეშფოთებას, 14% - მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე შეშფოთებას. 8% კი მიიჩნევს, რომ მოქალაქეებმა კორონავირუსის შედეგად არ მიიღეს საჭირო დახმარება და სწორედ ამიტომაც აქტიურად ჩაერთნენ სხვადასხვა სოციალურ მედია აქტივობებში (იხ. დიაგრამა 1).

ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესო იყო იმის გაგება, თუ რამდენად უწყობს ხელს სოციალური მედია მომხმარებლებს COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული პრობლემების მოგვარებაში. ამისათვის რესპონდენტებს დაევალათ, ჩვენ მიერ შეთავაზებული დებულებები შეეფასებინათ 1-დან 5-მდე ბალით, მნიშვნელობების ზრდადობის მიხედვით (1=სრულიად არ ვეთანხმები, 5= სრულიად ვეთანხმები). კვლევის შედეგები მოცემულია მე-2 დიაგრამაზე. როგორც ანალიზი ცხადყოფს, რესპონდენტები, ძირითადად, ნეიტრალურ დამოკიდებულებას ავლენენ შესაფასებელი დებულებების მიმართ. გამონაკლისია COVID–19-თან დაკავშირებულ ინფორმაციისა და განახლებებთან დაკავშირებული შემთხვევა, რომლის მიმართ რესპონდენტები ნაკლებ დაინტერესებას გამოხატავენ.

დიაგრამა 1. COVID-19 პანდემიის გამო სოციალურ მედიაში რესპონდენტების აქტივობის გაზრდის ძირითადი მიზეზები



რესპოდენტებს ვთხოვეთ, გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, რესპონდენტების უმრავლესობა (32%) თვლის, რომ ამ კუთხით ყველაზე აქტიური უნდა იყვნენ დაავადებათა კონტროლის სპეციალისტები, 28% ასახელებს სამედიცინო საზოგადოებას, 20% - მთავრობის წარმომადგენლებს, 10% - სამოქალაქო საზოგადოებას, 9%- სამეცნიერო საზოგადოებას. გამოკითხულთა მხოლოდ 1%-ს მიაჩნია, რომ საჭიროა სხვა აქტივობის გამოვლენა, კერძოდ, ყველა ჩამოთვლილი სფერო ერთად უნდა იყოს ჩართული სოციალურ ქსელში.

დიაგრამა 2. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული პრობლემების მოგვარებაში სოციალური მედიის ხელშეწყობის შესახებ რესპონდენტთა მიერ მოცემული შეფასების სიხშირეები



დასკვნა. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ წარმოაჩინა საქართველოს მოსახლეობაში სოციალური მედიის გამოყენების ზრდის ტენდენციები. ქართველი მომხმარებლები საკმაო აქტივობას ავლენენ სოციალურ ქსელებში, რომლებიც მათი ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტი გახდა. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ინტენსიურად მიმდინარეობს ტრადიციული მედია საშუალებების ჩანაცვლება სოციალური მედია ქსელებით. ქართველი მომხმარებლები მათთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად ონლინ სივრცეს სულ უფრო ხშირად იყენებენ. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ COVID-19-მა მკვეთრად შეცვალა მათი დამოკიდებულება სოციალური მედიის მიმართ. სხვადასხვა კომპანიების მიერ მოწოდებული ინფორმაციებისა და შეთავაზებების მიმართ ისინი უფრო დაინტერესებულები გახდნენ. ქართველი მომხმარებლები ნელ-ნელა ეჩვევიან კომპანიებთან სოციალური მედიის მეშვეობით ურთიერთობას, მაგრამ COVID -19-ის პანდემიიდან გამომდინარე, მათი აქტივობა აშკარა შესამჩნევია. მომხმარებელთა ასეთი გააქტიურება, თავის მხრივ, უბიძგებს კომპანიებს, თავიანთ საქმიანობაში უფრო მეტად გამოიყენონ სოციალურ მედიის ინსტრუმენტები.

ლიტერატურა:

1. Al-Sheikh, E. S., & Hasanat, M. H. A. (2020). Social media mining for assessing brand popularity. In *Global Branding: Breakthroughs in Research and Practice* (pp. 803-824). IGI Global.
2. Apil, A. R., Kaynak, E., and Todua, N. (2009). Product Preference Differences of High and Low Ethnocentric Consumers in Georgia. In *Proceedings of the 18th World Business Congress „Management Challenges in an Environment of Increasing Regional and Global Concerns"*,International Management Development Association, pp. 531-539.
3. Coursaris, C. K., van Osch, W., & Balogh, B. A. (2016). Do Facebook likes lead to shares or sales? Exploring the empirical links between social media content, brand equity, purchase intention, and engagement. In *49th Hawaii international conference on system sciences (HICSS)* (pp. 3546-3555). IEEE.
4. DataReportal (2021). Digital 2021: Georgia. Produced by Simon Kemp and the team at Kepios. Available at https://datareportal.com/reports/digital-2021-georgia (Accessed January 27, 2022).
5. Eurostat (2022). Social media - statistics on the use by enterprises. Available at: https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Social_media_-_statistics_on_the_use_by_enterprises (Accessed January 27, 2022).
6. Hajli, N., Sims, J., Zadeh, A. H., & Richard, M. O. (2017). A social commerce investigation of the role of trust in a social networking site on purchase intentions. *Journal of Business Research, 71*, 133-141.
7. Jashi, Ch. (2020). The New Context of Marketing in Social Media (Conceptual review). Economics and Bussines, *1,* 152-164.
8. Kaplan, A. M., & Haenlein, M. (2010). Users of the world, unite! The challenges and opportunities of Social Media. *Business horizons*, *53*(1), 59-68.
9. Malhotra, N. (2010). *Marketing research: An applied orientation*. 6th ed., Upper Saddle River, N.J.; London: Pearson Education.
10. Mghebrishvili, B., & Urotadze, E. (2021). Challenges of Business Social Responsibility in the Conditions of Coronavirus Pandemic. *Ecoforum Journal, 10*(3).
11. Saunders, M., Lewis, P., & Thornhill, A. (2019). *Research methods for business students.* 8th ed., Harlow: Pearson Education Ltd.
12. Seturi, M., & Urotadze, E. (2020). Some opinions about sustainable development and tourism (case of Georgia). In *Proceedings of the 5th International Scientific and Practical Conference „Strategic imperatives of modern management"* (Kyiv National Economic University named after Vadym Hetman), pp. 286-289.
13. Statista (2021a). Global digital population as of January 2021 (in billions). Available at: https://www.statista.com/statistics/617136/digital-population-worldwide/ (Accessed January 27, 2022).
14. Statista (2021b). Social media usage in the United States - Statistics & Facts. Available at: https://www.statista.com/topics/3196/social-media-usage-in-the-united-states/ (Accessed January 27, 2022).
15. Statista (2021c). Social media usage in Europe - Statistics & Facts. Available at: https://www.statista.com/topics/4106/social-media-usage-in-europe/ (Accessed January 27, 2022).
16. Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. *Globalization and Business, 7*, 39-48.
17. Todua, N., & Jashi, C. (2018). Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, *12* (2), 183-190.
18. Todua, N., Mghebrishvili, B., & Urotadze, E. (2016). Main aspects of formation of legal environment on the Georgian food market. In *Proceedings of the International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business"*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp. 250-256.
19. Urotadze, E. (2020). The role of social media marketing in attitude towards Georgian consumers to travel agencies. In *Proceedings of the 7th Business Systems Laboratory International Symposium „Socio-Economic Ecosystems: Challenges for Sustainable Development in the Digital Era",* University of Alicante (Spain), pp. 236-241.
20. Usman, A., & Okafor, S. (2019). Social Media and Purchase Intentions: Strategic Marketing Implications. In *W. Ozuem, E. Patten & Y. Azemi (Eds.), Harnessing Omni-Channel Marketing Strategies for Fashion and Luxury Brands* (pp. 83-105). Irvine: BrownWalker Press.
21. Xhema, J. (2019). Effect of Social Networks on Consumer Behaviour: Complex Buying. *IFAC-PapersOnLine, 52*(25), 504-508.

Impact of the COVID-19 Pandemic on Social Media Marketing

Nia Todua
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Student

SUMMARY

The article illustrates the role of social media in business. Particular attention is paid to the growth of social media marketing activities in the context of the COVID-19 pandemic. The study identified the main reasons why consumer activity increased on social media due to the COVID-19 pandemic. The paper shows respondents' assessments of how social media supports solving the problems caused by the COVID-19 pandemic. The article also defines which area should be most active on social media regarding the COVID-19 pandemic.

Keywords: *COVID-19 pandemic, social media, marketing, consumer behavior, marketing research.*

COVID-19-ის პანდემიის გავლენა ციფრული ბანკინგის მომხმარებელთა ქცევაზე

ნუგზარ თოდუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ნინო გოგიტიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

სტატიაში ნაჩვენებია COVID-19-ის პანდემიის გავლენა ციფრულ ბანკინგსა და ციფრულ საბანკო მარკეტინგზე, გაანალიზებულია უახლესი კვლევები, რომლებიც ითვალისწინებს ციფრული საბანკო არხების გამოყენებას თანამედროვე ეტაპზე და მათ სამომავლო პროგნოზებს. ნაშრომში გამოყოფილია COVID-19-ის პანდემიის პირობებში ციფრული ბანკინგის მომხმარებელთა ქცევის ძირითადი მახასიათებლები. აქვე მიმოხილულია უახლესი პერიოდის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც COVID-19-ის პანდემიის დაწყებიდან დღემდე ციფრული ბანკინგის მომხმარებელთა ქცევაზე აისახა. სტატიაში, მეორადი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, გამოკვეთილია ციფრული ბანკინგის გამოყენების მნიშვნელობა და მისი ზრდის პერსპექტივები, რომლებიც ბანკებმა კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად უნდა გამოიყენონ.

საკვანძო სიტყვები: *ციფრული ბანკინგი, COVID-19-ის პანდემია, მობილური ბანკინგი, ციფრული საბანკო მარკეტინგი, მომხმარებელთა ქცევა*

გლობალიზაციის ეპოქაში მომხმარებლები მეტად მოქნილ, სწრაფ და მარტივ საბანკო სერვისებს ითხოვენ. ელექტრონული კომერციის აპლიკაციებს შორის ციფრული ბანკინგი ყველაზე მომგებიანი გახდა. ყველა ფინანსური ინსტიტუტი, მომსახურების გასაუმჯობესებლად და ინფორმაციის გავრცელების მასშტაბების გასაზრდელად, ციფრული ბანკინგის დანერგვას ცდილობს (Rahi & Abd-Ghani, 2019). საფინანსო ინდუსტრიის განვითარება დამოკიდებულია ციფრული ტექნოლოგიების ადაპტაციის უნარზე, რაც მომხმარებლების უწყვეტ მხარდაჭერაზე აისახება (Sitorus et al., 2019). ამისათვის კი მნიშვნელოვანია საბანკო პროდუქტების მარტივად გამოსაყენებელი, ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სისტემის შექმნა (Tabash et al., 2019). ციფრული ბანკინგის დახმარებით მომხმარებლებთან პირისპირ შეხვედრა აუცილებელი არაა, ამიტომ ციფრული ბანკინგის გამოყენება ტრანსაქციის და დროით დანახარჯებს ამცირებს (თოდუა & გოგიტიძე, 2021). ინფორმაციის მოპოვების გამარტივებული სქემის და სხვა უამრავი სარგებლის გამო, საბანკო სექტორში ციფრული აპლიკაციების გამოყენება იზრდება, რითაც საბანკო ფილიალების გამოყენება და ფიქსირებული ხარჯებიც იკლებს (Sudarsono et al., 2020).

COVID-19-ის პანდემიამ გლობალურ ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა. მკაცრმა შეზღუდვებმა ყოველდღიური ცხოვრება და ბიზნესის მართვის გზები შეცვალა. ამ სიტუაციაში საბანკო სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან ის ეკონომიკური თვალსაზრისით გადამწყვეტი კომპონენტია. ბოლო წლებში, საბანკო სისტემა, მომხმარებელთა მოლოდინებისა და საჭიროების შესაბამისად, გარემოსთან მუდმივად ადაპტირდება, რაც ციფრული ბანკინგის მომხმარებელთა ქცევას ცვლის. COVID-19-ის პანდემიამ ბიზნესის გაციფრულების პროცესი დააჩქარა, რისი საჭიროებაც საბანკო საქმეში კრიზისამდეც იდგა. გამომდინარე იქედან, რომ თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესი ციფრული ტექნოლოგიებით მართვადი სისტემაა, მას მომხმარებელთა ქცევასა და შრომის მწარმოებლურობაზე უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძ-

ლია. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ინფორმაციის გავრცელების მუდმივობას, გამჭვირვალობას და პროდუქტიულობას განაპირობებს. ამასთან, COVID-19-ის პანდემია სხვა ისტორიულ პანდემიებს არ ჰგავს. დღისათვის გლობალიზაცია და ინფორმაციის უწყვეტი გავრცელება კომპანიებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს (Farzanegan et al., 2020). მიმდინარე კრიზისმა ახალი, ინოვაციური სერვისების გაჩენას და არსებულის განვითარებას ხელი შეუწყო. მომსახურების სისტემებს შორის ციფრული საბანკო აპლიკაციები ყველაზე წარმატებულია, რომლებიც რთულ პერიოდში მომხმარებლისთვის პრობლემების მარტივად გადაჭრის გზებს ქმნიან (Karabag, 2020).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბანკები ეკონომიკის მთავარი საყრდენია. ისინი კომპანიებისა და ფიზიკური პირებისათვის კაპიტალის ძირითადი მიმწოდებლებია. საბანკო სისტემის შეფერხება ან დარღვევა მთლიან საზოგადოებაზე უარყოფითად მოქმედებს. საბანკო ინდუსტრია, საქმიანობის სპექციფიკიდან გამომდინარე, ეკონომიკური და ფინანსური მექანიზმების ფუნქციონირებაში საკვანძო როლს ასრულებს, რაც ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობას განსაზღვრავს (Marcu, 2021). ცხადია, საბანკო სისტემის მართვის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება პანდემიის შემდგომ ეკონომიკის აღდგენაზეც გავლენას მოახდენს. ამიტომ საბანკო სისტემაში ინოვაციური მიდგომების გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (Demirguc-Kunt et al., 2020). პანდემიის ეკონომიკური შედეგები ყველა დარგისათვის კრიტიკულია. აქედან გამომდინარე, პანდემიის დროს შემუშავებული საბანკო სტრატეგიებისა და ინოვაციების გაანალიზება მეტად აქტუალური საკითხია. პრობლემის აქტუალობის მიუხედავად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ციფრული ბანკინგის მომხმარებელთა ქცევის შესახებ კვლევები მწირია. მართალია, მომხმარებელთა ქცევისა და ციფრული მარკეტინგის გამოყენებასთან დაკავშირებით ჩვენში შესრულებულია გარკვეული კვლევები (Apil et al., 2009; Todua & Jashi, 2013; Todua & Jashi, 2018; Todua, 2018; Todua, 2019; Urotadze, 2020; Jashi & Urotadze, 2020; Todua & Jashi, 2021; Todua & Gogitidze, 2021; Mgebrishvili & Urotadze, 2021), მაგრამ ისინი არასაკმარისია საბანკო მომსახურების ბაზარზე მიმდინარე მოვლენების სიღრმისეული ანალიზის ჩასატარებლად. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია COVID-19-ის პანდემიის გავლენით ციფრული ბანკინგის მომხმარებელთა ქცევაში ახალი ტენდენციების გამოვლენა. კვლევის მეთოდოლოგიაში გამოყენებულია გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალებისა და მეორადი მონაცემების ანალიზი.

საბანკო სექტორში განხორციელებული ცვლილებები COVID-19-ის პანდემიის პერიოდში

მსოფლიო ლოქდაუნის პერიოდმა მომხმარებელთა ქცევა გლობალურად შეცვალა და ციფრული აპლიკაციების უპირატესობა დაადასტურა. პანდემიის შედეგად საბანკო სისტემაში ბევრი რამე იცვლება, მათ შორის მუშაობის ფორმები, საბანკო ოპერაციები და პროცედურები. პანდემიის პერიოდში საბანკო მომსახურება ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას ითხოვს. მსოფლიო მასშტაბით ბანკების ფილიალების მეოთხედი თანამშრომლების უსაფრთხოების, პერსონალის დეფიციტისა და ვაჭრობის შემცირების გამო დაიხურა, ხოლო დარჩენილების უმეტესობა შემცირებული სამუშაო საათებითა და პერსონალით აგრძელებს მუშაობს (KPMG, 2020). სამუშაო დროის ადაპტირება, მომხმარებლის დისტანციური მომსახურება და სხვა პროცედუ-

რული ცვლილებები, საბანკო სისტემის ფორმირებაზე ახდენს გავლენას. საბანკო ინდუსტრიამ ძველი მეთოდები შეცვალა და მომხმარებლის ცხოვრების გამარტივებაზე კონცენტრირდა. პანდემიის პერიოდმა აჩვენა, რომ ყველაფერი ძალიან სწრაფი და მარტივია მაშინ, როცა ფინანსური ინსტიტუტები მუშაობის მოქნილ გზებს მიმართავენ. ბანკებისთვის უმნიშვნელოვანესია თანამედროვე და სანდო ინტერფეისის გამოყენება, როდესაც ჯერი საბანკო პროცესების გაციფრულებაზე დგება. გადახდის ახალი მეთოდების შემუშავებაში ინტერნეტი და საბანკო აპლიკაციები არსებითი გახდა. ციფრული ბანკინგი ონლაინ გადახდის ეფექტიანი გზაა, რომლის მნიშვნელობა პანდემიის შემდგომაც გაიზრდება (Tarazi & Abedifar, 2020). ინოვაციური ბანკინგი მომხმარებლის მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე დადებითად მოქმედებს. მომხმარებელთა ნდობის მოსაპოვებლად ციფრული ბანკინგის გამართული ფუნქციონირება და ტრანსაქციების უშეცდომო განხორციელება გადამწყვეტია (Jebarajakirthy & Shankar, 2020).

მსოფლიო საცალო ბანკინგის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, ამ პერიოდში მომხმარებელთა 57% ჩაერთო ციფრულ საბანკო მომსახურებაში, ხოლო პანდემიამდე ეს მაჩვენებელი იყო 49% (Buehler et al, 2020). კვლევები აჩვენებს, რომ სოციალურმა დისტანციამ მომხმარებლებში მობილური ბანკინგის გამოყენების განზრახვა გაზარდა (George, 2018). ამასთან, ცხადია ისიც, რომ საბანკო სისტემის სრული ტრანსფორმაცია ერთიანად ვერ მოხდება. ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ტექნოლოგიური წინსვლა ტრადიციული ბანკებზე გავლენას მოახდენს, ზოგი კი ფიქრობს, რომ ციფრული ბანკინგი ტრადიციული საბანკო სისტემის შემავსებელი გახდება. მიმდინარე ციფრული ტენდენციებით ონლაინ ბანკინგმა ისეთ სეგმენტებამდე მიაღწია, რომლებიც პანდემიამდე ციფრული სისტემების მიმღებლობით არ გამოირჩეოდა. ასეთია ხანშიშესული ადამიანებისა და სოფლის მოსახლეობის სეგმენტები. ამის დასტურია აგრეთვე აზიური ბანკები, რომლებმაც მომხმარებლებისათვის ციფრული საბანკო სერვისების განვითარება დააჩქარეს და ამ პროცესში მათ კომუნიკაციის პრობლემები არ შექმნიათ (Dahl et al, 2020).

ციფრული ბანკინგი COVID-19-ის პანდემიურ გარემოში

მსოფლიო პანდემიამ მომხმარებლები ციფრული არხების გამოყენებისკენ ინტენსიურად წაახალისა. ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მონაცემებით (Boston Consulting Group, 2021), COVID-19-ის პანდემიის პერიოდში, მომხმარებლების 13% თხუთმეტ ძირითად ბაზარზე იყენებდა ციფრულ ბანკინგს, ხოლო 12% - მობილურ ბანკინგს (ზოგიერთ ბაზარზე ეს მაჩვენებლები გაცილებით მაღალია). COVID-19-ის პანდემიამ უნაღდო ანგარიშსწორებაზე მოთხოვნა გაზარდა. რესპონდენტების 20%-მა ციფრული ბანკინგის მეშვეობით ციფრული გადახდების ზრდა განაცხადა, ხოლო 10% -სათვის საკრედიტო და სადებეტო ბარათების პანდემიამდელი გამოყენების მაჩვენებელი არ შეცვლილა. ამასთან, სოციალურმა დისტანციამ და შეზღუდვებმა საბანკო ფილიალების გამოყენება 12%-ით შეამცირა და მომხმარებლები აიძულა, მობილური ბანკინგის მომსახურების მისაღებად პირველად დარეგისტრირებულიყვნენ (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. COVID-19-ის პანდემიის შედეგად მობილური ბანკინგის გამოყენება სხვადასხვა ქვეყნებში



წყარო: Boston Consulting Group (2021).

მსოფლიო ტენდენციამ აჩვენა, რომ მომხმარებლები კმაყოფილნი დარჩნენ იმ ციფრული სერვისით, რაც პანდემიის პერიოდში მიიღეს/აღმოაჩინეს. ამიტომ, სავარაუდოა, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ ციფრულ ბანკინგზე მოთხოვნა კვლავ გაიზრდება (იხ. დიაგრამა 2). აღნიშნული პროგრესი მუდმივი იქნება, რადგან კვლევების მიხედვით, მოსალოდნელია, რომ მობილური ბანკინგის გამოყენება 19%-ით გაიზრდება, ხოლო საბანკო ფილიალებისა შემცირდება 26%-ით (Boston Consulting Group, 2021). პანდემიის შემდგომ შეიძლება დადასტურდეს პროგნოზი, რომ მომხმარებლები ციფრულ ბანკინგს მიანიჭებენ უპირატესობას. ციფრულად გათვიცნობიერებული მომხმარებლებისთვის, შესაძლოა, ციფრულად მოწინავე ფინანსური კონკურენტები მეტად მიმზიდველნი აღმოჩნდნენ, რაც ციფრული ბანკინგის განსავითარებლად მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

დიაგრამა 2. COVID-19-ის პანდემიის შედეგად ციფრული ბანკინგის გამოყენება



წყარო: Boston Consulting Group (2021).

COVID-19-ის გავრცელებამ ციფრული ბანკინგისა და ციფრული საბანკო მარკეტინგისადმი მიდგომები შეცვალა. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, ტრადიციული რეკლამის ხვედრითი წილი 30%-ით შემცირდა და ონლაინრეკლამის მნიშვნელობა გაიზარდა (Interactive Advertising Bureau, 2021). 2020 წელს, პანდემიური გარემოს მიუხედავად, ციფრულ რეკლამაზე გაწეული დანახარჯები 12%-ით გაიზარდა, ხოლო

ინტერნეტ რეკლამიდან მიღებულმა შემოსავალმა 2,7 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია (CNBC, 2021). სოციალური მედია რეკლამებიდან მიღებული შემოსავალი 23%-ით გაიზარდა (CISION, 2021). სმარტფონების გამოყენებამ ონლაინ რეკლამაზე გადართვა დააჩქარა, ვინაიდან 2021 წლის იანვრისათვის მობილური ტელეფონების მომხმარებელთა რაოდენობამ 5,29 მლრდ-ს მიაღწია, რაც მსოფლიო მოსახლეობის 67,1%-ს შეადგენს. ბოლო ერთ წელიწადში მობილური ტელეფონების მომხმარებელთა რაოდენობა 93 მლნ-ით (1,8%-ით) გაიზარდა (DataReportal, 2021).

COVID-19-ის პანდემიამ მობილურ აპლიკაციებზე სარეკლამო დანახარჯების მკვეთრი მატება გამოიწვია. 2020 წელს მობილური რეკლამის ხარჯებმა რეკორდულ, 223 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც წინა წლის მაჩვენებლის 17%-იან ზრდას უდრის (Statista, 2021). სმარტფონების მომხმარებელთა 60% კომპანიებს უშუალოდ მობილური აპლიკაციებით უკავშირდება (Hubspot, 2021). არსებული კვლევები ადასტურებს მიმდინარე ტენდენციის შენარჩუნებას, ამიტომ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ბანკებმა სარეკლამო კამპანიები ციფრულ აპლიკაციებს უნდა მოარგონ. ციფრული რეკლამის დანახარჯები მზარდია ვიდეო არხებსა (Youtube) და სოციალურ მედიაშიც, ამიტომ ციფრული ბანკინგის რესურსები ამ მიმართულებით უნდა ოპტიმიზდეს.

COVID-19-ის პანდემიამ ბიზნეს ურთიერთობებისადმი მომხმარებლების დამოკიდებულებაც შეცვალა. ამ თვალსაზრისით, კვლევების ძირითად ორიენტირს, როგორც ტრადიციულ, ასევე ციფრულ ბანკინგთან მიმართებაში, მომხმარებელთა მიერ აღქმული სანდოობის განცდა წარმოადგენს. მომხმარებლებისთვის, ბანკში ფულის შესატანად, ფილიალებში სტუმრობა ან ციფრული ბანკინგი მოსახერხებელია იმის მიხედვით, თუ რამდენად ექნებათ მათ უსაფრთხო ტრანსაქციების განხორციელების საშუალება. Boston Consulting Group-ის მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ რესპონდენტთა 69%-ისთვის პროვაიდერი ბანკის მიმართ ნდობა პანდემიის პერიოდში უცვლელია. რესპონდენტების 24%-მა პროვაიდერის ცვლილების სურვილი გამოთქვა, ხოლო 33%-მა ჩათვალა, რომ ციფრული ბანკინგის გამოყენება უფრო მოსახერხებელია (Boston Consulting Group, 2021). ამასთან, ბანკების მიმართ მეტ ნდობას გამოთქვამს 18-დან 34 წლამდე ასაკის ახალგაზრდული სეგმენტი (იხ. დიაგრამა 3). კვლევებით დასტურდება, რომ პროვაიდერი ბანკების მიმართ გამოჩენილი ნდობის მიუხედავად, მომხმარებლები მომავალში ბანკების შეცვლას გეგმავენ. ამ კუთხით, განსაკუთრებით აქტიურობენ ახალგაზრდები, რომელთათვისაც თანხების განთავსება ციფრულ ბანკებში უფრო პრიორიტეტულია (იხ.დიაგრამა 4).

დიაგრამა 3. COVID-19-ის პანდემიის პერიოდში ბანკების მიმართ მომხმარებელთა ნდობა



წყარო: Boston Consulting Group (2021).

დიაგრამა 4. მომხმარებლების მიერ საბანკო პროვაიდერების ცვლილებისადმი მზაობა



წყარო: Boston Consulting Group (2021).

COVID-19-ის პანდემიის მიხედავად, ბანკები, ტრადიციულად, ხელს უწყობენ განათლების, ინფრასტრუქტურის, ცხოვრების ხარისხისა და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებას, ამიტომ საბანკო სექტორმა ჩაკეტვის პერიოდი შედარებით წარმატებით გადალახა და ციფრული ბანკინგის უპირატესობები ეკონომიკური სისტემის კეთილდღეობაზე აისახა (Marcu, 2021).

დასკვნა

COVID-19-ის პანდემიამ დაადასტურა, რომ ციფრული ბანკინგის გამოყენება უნდა გაფართოვდეს. ახალმა კორონავირუსულმა პანდემიამ მომხმარებელთა ცხოვრების წესის ცვლილება გამოიწვია, რაც ციფრულ საბანკო მარკეტინგზე პირდაპირ აისახა. ამჟამად მსოფლიოში ციფრული ბანკინგის პროცესის გადახედვა და ტრანსფორმაცია მიმდინარეობს, რაც გრძელვადიან პერიოდში დადებით ცვლილებებს გამოიწვევს. პანდემიური გავლენა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, ამიტომ ციფრული ბანკინგის სფერო მუდმივად იცვლება. პანდემიის პერიოდში ციფრული ბანკების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულება უმნიშვნელოვანესია, რაც სამომავლო კვლევების პერსპექტივიდან გამომდინარე, მსოფლიო საბანკო სექტორის გარემოსთან ადაპტირებასა და ციფრული ბანკინგის ეფექტიანობას გაზომავს. მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ სისტემებზე გადასვლის პროცესი დაჩქარდა, ბანკებმა უფრო აქტიურად უნდა გაავრცელონ ინფორმაცია ციფრული საბანკო მარკეტინგის შესახებ, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ამ სისტემას არ იცნობს. ამიტომ ბანკებმა მეტი აქცენტი უნდა გააკეთონ ციფრული ბანკინგის გამოყენების სიმარტივეზე, გამჭვირვალობაზე, მოხერხებულობასა და უწყვეტი წვდომის შესაძლებლობაზე, რაც მობილური ბანკინგის შემთხვევაშიც აუცილებელია. თავის მხრივ, ციფრული ბანკინგის პოპულარიზაცია შესაძლებელია მომხმარებელებში ციფრული აპლიკაციების გამოყენების სიმარტივისა და მომსახურების ხარისხის შესახებ დადებითი წარმოდგენის შექმნით. რაც უფრო უსაფრთხოდ მიიჩნევს მომხმარებელი ციფრულ ბანკინგს და პირადი ფინანსური ინფორმაციის კონფიდენციალობაში ეჭვი არ შეეპარება, მით უფრო მარტივად მიიღებს გადაწყვეტილებას აპლიკაციით სარგებლობის შესახებ. ვინაიდან საბანკო სისტემების გაციფრულება უწყვეტი პროცესია, ბანკებმა ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი მიზნობრივ აუდიტორიაზე მორგებული ციფრული პლატფორმების შემუშავებას და შესაბამისი მარკეტინგული პროგრამების განვითა-

რებას უნდა მოახმარონ, რაც მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ლოიალური კლიენ-ტების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

ლიტერატურა:

1. Apil, A. R., Kaynak, E., and Todua, N. (2009). Product Preference Differences of High and Low Ethnocentric Consumers in Georgia. In *Proceedings of the 18th World Business Congress „Management Challenges in an Environment of Increasing Regional and Global Concerns"*,International Management Development Association, pp. 531-539.
2. Boston Consulting Group (2021). *Global Retail Banking 2021: The Front-to-Back Digital Retail Bank.* Available from: https://www.bcg.com/publications/2021/global-retail-banking-report (Accessed 27 January 2022).
3. Buehler, K., Conjeaud, O., Giudici, V., & Samandari, H. (2020). *Leadership in the time of coronavirus: COVID-19 response and implications for banks.* Available from: https://www.mckinsey.com/industries/financial-services/our-insights/leadership-in-the-time-of-coronavirus-covid-19-response-and-implications-for-banks (Accessed 27 January 2022).
4. CISION (2021). *Social Media Advertising Market Is The Second Biggest Market Within Digital Advertising.* Available from:https://www.prnewswire.com/news-releases/social-media-advertising-market-is-the-second-biggest-market-within-digital-advertising-301249882.html (Accessed 27 January 2022).
5. CNBC (2021). *Digital ad spend grew 12% in 2020 despite hit from pandemic.* Available from: https://www.cnbc.-com/2021/04/07/digital-ad-spend-grew-12percent-in-2020-despite-hit-from-pandemic.html (Accessed 27 January 2022).
6. Dahl, J., Giudici, V., & Kumar, S. (2020*). Lessons from Asian banks on their coronavirus response. McKinsey & Company,* Available from: *https://www.mckinsey.com/industries/financial-services/our-insights/lessons-from-asian-banks-on-their-coronavirus-response* (Accessed 27 January 2022).
7. Datareportal (2021). *Digital Around the World.* Available from: https://datareportal.com/global-digital-overview (27 January 2022).
8. Demirguc-Kunt, A., Pedraza, A., & Ruiz-Ortega, C. (2020). *Banking Sector Performance During the COVID-19 Crisis.* Available from: https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/34369 (Accessed 23 January 2022).
9. Farzanegan, M. R., Feizi, M., & Gholipour, H. F. (2020). Globalization and the Outbreak of COVID-19: An Empirical Analysis. *Journal of Risk and Financial Management, 14*(3), 105.
10. George, A. (2018). Perceptions of Internet banking users—A structural equation modelling (SEM) approach. *IIMB Management Review, 30*(4), 357–368.
11. HubSpot (2021). *The Ultimate List of Marketing Statistics for 2021.* Available from: https://www.hubspot.com/marketing-statistics (Accessed 27 January 2022).
12. Interactive Advertising Bureau (2021). *2020/21 COVID Impact on Advertising*. Available from:https://www.iab.com/-wpcontent/uploads/2020/09/200831.SpendResearchStudyNo6.FINAL .pdf (Accessed 16 November 2020).
13. Jashi, Ch., & Urotadze, E. (2020). Marketing Aspects of COVID-19 Epoch. In *Proceedings of the 5th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business",* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp. 397-404.
14. Jebarajakirthy, C., & Shankar, A. (2021). Impact of online convenience on mobile banking adoption intention: A moderated mediation approach. *Journal of Retailing and Consumer Services, 58*(7), 102323.
15. Karabag, S. F. (2020). An unprecedented global crisis! The global, regional, national, political, economic and commercial impact of the coronavirus pandemic. *Journal of Applied Economics and Business Research*, *10*(1), 1-6.
16. KPMG (2020). A catalyst for change for bank branches Available from: https://home.kpmg/xx/en/blogs/home/posts/-2020/04/a-catalyst-for-change-for-bank-branches.html (Accessed 27 January 2022).
17. Marcu, M. R. (2021). The impact of the covid-19 pandemic on the banking sector. *Management Dynamics in the Knowledge Economy*, *9*(2), 205-223.
18. Mghebrishvili, B., & Urotadze, E. (2021). Challenges of Business Social Responsibility in the Conditions of Coronavirus Pandemic. *Ecoforum Journal, 10*(3).
19. Rahi, S., & Ghani, M. A. (2019). Integration of expectation confirmation theory and self-determination theory in internet banking continuance intention. *Journal of Science and Technology Policy Management*, *10*(3), 533–550.
20. Sitorus, H. M., Govindaraju, R., Wiratmadja, I. I., & Sudirman, I. (2019). Examining the role of usability, compatibility and social influence in mobile banking adoption in Indonesia. *International Journal of Technology*, *10*(2), 351-362.

21. Statista (2021). *Mobile advertising spending worldwide*: 2007-2023. Available from: https://www.statista.com/statistics/303817/mobile-internet-advertising-revenue-worldwide/ (Accessed 27 January 2022).
22. Sudarsono, H., Nugrohowati, R. N. I., & Tumewang, Y. K. (2020). The effect of Covid-19 pandemic on the adoption of Internet banking in Indonesia: Islamic bank and conventional bank. *The Journal of Asian Finance, Economics, and Business*, *7*(11), 789-800.
23. Tabash, M. I., Albugami, M. A., Salim, M., & Akhtar, A. (2019). Service quality dimensions of E-retailing of Islamic banks and its impact on customer satisfaction: An empirical investigation of kingdom of Saudi Arabia. *The Journal of Asian Finance, Economics, and Business*, *6*(3), 225-234.
24. Tarazi, A., & Abedifar, P. (2020). Special issue on Islamic banking: Stability and governance. *Global Finance Journal*, *51.*
25. Todua, N. (2018). Impact of Social Media Marketing on Consumer Behavior in the Georgian Tourism Industry. *International Academy Journal Web of Scholar,* 3 (5/23), 11-16.
26. Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. *Globalization and Business,*. 7, 39-48.
27. Todua, N., & Gogitidze, N. (2021). Features of the Use of Digital Marketing in the Banking Sector. *The New Economist, 16*(3/4), 7-15.
28. Todua, N., & Jashi, C. (2018). Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, *12* (2), 183-190.
29. Todua, N., & Jashi, Ch. (2013). Challenges of Social Marketing in Georgia. *TSU Science,* 5, 59-62.
30. Todua, N., & Jashi, Ch. (2021). Paradoxes of Social Marketing in Healthcare (In the Context of COVID-19 Pandemic). In *Proceedings of the 6th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business",* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp. 163-168.
31. Urotadze, E. (2020). The role of social media marketing in attitude towards Georgian consumers to travel agencies. In *Proceedings of the 7th Business Systems Laboratory International Symposium „Socio-Economic Ecosystems: Challenges for Sustainable Development in the Digital Era",* University of Alicante (Spain), pp. 236-241.

Impact of COVID-19 Pandemic on Digital Banking Consumer Behavior

Nugzar Todua
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nino Gogitidze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article shows the impact of the COVID-19 pandemic on digital banking and digital banking marketing. With the help of the latest research analyzed digital banking channels' use at the current stage and their future predictions.The paper highlights the key features of digital banking consumer behavior during the COVID-19 pandemic. It also reviews the latest statistics on digital banking user behavior since the pandemic started. Based on the analysis of secondary data, the article highlights the importance of the use of digital banking and the prospects for its growth, which banks should use to gain a competitive advantage.
Keywords: *Digital Banking, COVID-19 Pandemic, Mobile Banking, Digital Banking Marketing, Consumer Behavior.*

სამოგზაურო დაზღვევის მნიშვნელობა ტურისტული ბიზნესისათვის და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ნატო კაკაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

ხათუნა ბარბაქაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სამოგზაურო დაზღვევა გულისხმობს მოქალაქის მატერიალური ინტერესების დაცვას ტურისტული მოგზაურობის დროს. COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ტურიზმზე - მოგზაურობაზე დაწესებული სისტემური შეზღუდვები ხელს უშლის მოგზაურობას, ადამიანების სურვილის მიუხედავად, ხოლო, ვირუსის აღმოცენებული რისკიმოგზაურებში ზრდის შიშს, რის გამოც ისინი იცვლიან ტიპიურ სამოგზაურო ქცევას. ყოველივე აქედან გამომდინარე, განუზღვრელად იზრდება სამოგზაურო დაზღვევის მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: *სამოგზაურო დაზღვევა; ტურისტების დაზღვევა; ტურისტების პირადი დაზღვევა; სადაზღვევო თანხა.*

ტურიზმი ეკონომიკური წინსვლის, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნისა და შემოსავლის მიღების წყაროა, მას საქართველოს ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უკავია. ამასთან, დიდ როლს თამაშობს მოსახლეობის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფასა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

პანდემიამდე საქართველოსთვის ტურიზმი ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და სწრაფად განვითარებად სექტორს წარმოადგენდა. ყოველწლიურად იზრდებოდა, როგორც საქართველოში ჩამოსული ტურისტების, ასევე ადგილობრივი ტურისტების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა საზღვარგარეთ. აღნიშნულზე მეტყველებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომლის მიხედვით, 2019 წელს საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განოხრციელებული ვიზიტების რაოდენობა 7.7 მილიონი იყო, 2018 წელს კი - 7.2 მილიონი, ანუ სახეზე იყო 7.3%-იანი ზრდა.თუმცა რადიკალური ცვლილება გამოიწვია კორონავირუსის პანდემიამ - 2020 წლის იანვარში ზემოთ აღნიშნულმა მაჩვენებელმა 633.201, ხოლო 2021 წლის იანვარში - 34,909 შეადგინა, რაც 94.5%-იანი ცვლილებაა. ყოველივე ეს ცხადყოფს ტურიზმის დარგზე COVID-19-ის დამანგრეველ ზემოქმედებას, რაც აუცილებლად ჰპოვებს ასახვას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

სამოგზაურო დაზღვევის აქტუალობას განაპირობებდა ისიც, რომ სხვადასხვა ქვეყანაში გამგზავრებისათვის, უვიზო რეჟიმის ამოქმედებამდე, მოგზაურს ჰქონდა ვალდებულება შეეძინა სამოგზაურო დაზღვევა, ვინაიდან ვიზის მისაღებად წარსადგენი სხვადასხვა საბუთების ჩამონათვალი დაზღვევის ამ პროდუქტსაც მოიცავდა. ადამიანი, მოგზაურობის მიზნის განურჩევლად, დაცული არაა უბედური შემთხვევებისაგან. უსაფრთხო მგზავრობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სამოგზაური დაზღვევის შეძენა, რომელიც წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ საშუალებას თავიდან იქნეს აცილებული მოგზაურობის თანმდევი გაუთვალისწინებელი, მნიშვნელოვანი ხარჯები.

სტატიაში გამოვლენილი და შეფასებულია, საქართველოში, კორონავირუსის პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში, მოგზაურობასა და სამოგზაურო დაზღვევასთან დაკავშიებული ტენდენციები. ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება და წარმატებული საქმიანობა,უამრავ საფრთხესთან შეჯახებასა და გამკლავებას გულისხმობს. ისეთ მოვლენებს, როგორიცაა; ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი, ავტოსაგზაო შემთხვევა, სტიქიური უბედურებები - მიძისწისძვრა, წყალდიდობა თუ სხვა, დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ადამიანებისათვის.დამდგარი ზარალის გადანაწილება მონაწილეთა მიერ შექმნილი ფულადი ფონდების ხარჯზე და მისი კომპენსირება - სწორედ, ესაა დაზღვევის მთავარი არსი.[1]

სამოგზაურო დაზღვევა უსაფრთხო მგზავრობისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების თავიდან აცილების, ერთ-ერთი, ყველაზე ეფექტური გზაა, რომელიც სამედიცინო ხარჯების დაზღვევასთან ერთად, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯების დაზღვევასაც გულისხმობს. საქართველოს სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ სხვადასხვა ტიპის ადამიანებს სხვადასხვა სახის დაზღვევა შესთავაზონ. მათ რიცხვში შეიძლება იყოს: სამოგზაურო დაზღვევა სტუდენტის მოგზურობისას, დასასვენებლად მოგზაურობისას, საერთაშორისო მოგზურობისა თუ ბიზნეს მოგზაურობისას.[2]

ტურიზმის დაზღვევა ეხება ტურისტების დაზღვევას, უშუალოდ მათ მოგზაურობასთან დაკავშირებული რისკებისაგან. სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობისას, ტურისტზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: კლიმატის, კვების რეჟიმის, წყლის ქიმიური შემდგენლობის და სხვა ცვლილებები, რომლებსაც თან სდევს გარკვეული სირთულეები. დაზღვევა ზემოქმედებს ტურისტული მოგზაურობის ყველა მონაწილის უსაფრთხოებაზე და იცავს მათ პოტენციური რისკებისაგან. მსოფლიოში მუდმივად ხდება არასასურველი, კატასტროფული მოვლენები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს საერთაშორისო ტურისტულ მიმართულებებზე, აზიანებს ქვეყნების ეკონომიკას და საფრთხეს უქმნის ტურისტული ბიზნესსაქმიანობის განვითარებას. ამ დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაზღვევა, ხოლო მთავარი გამოწვევა რისკების დაფარვა და სადაზღვევო დაფარვის მომგებიანობის მიღწევაა.

ტურიზმის ინდუსტრიაზე გავლენა იქონია 2020 წლის გლობალური კორონავირუსის პანდემიამ. COVID-19 არის გლობალური კრიზისის მაგალითი, რომელმაც ღრმად იმოქმედა ქვეყნების ეკონომიკაზე: შემცირებული სამუშაო ადგილები და შემოსავლები, შეჩერებული ბიზნესის წარმოება, დაუცველობის გრძნობა სამომავლო პერსპექტივაში და სხვა. მთავარ სადაზღვევო შემთხვევებს, რომლის დროსაც გამოიყენება ტურისტების პირადი დაზღვევა მიეკუთვნება მოულოდნელი ავადმყოფობა, ავარიის შედეგად მიღებული სხეულის დაზიანებები, ან ტურისტული მოგზაურობისას დაფიქსირებული გარდაცვალების შემთხვევა. კომპენსაცია არ არის გათვალისწინებული, თუ ავადმყოფობა გამოწვეულია დამზღვევის მიერ (მაგალითად, ალკოჰოლური თრობის მიზეზით, ან/და ადგილი ჰქონდა მოგზაურობის დაწყებამდეც (ქრონიკული დაავადებების სახით). სადაზღვევო გადახდები ეხება: ექსტრემალური სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, მედიკამენტების შეძენას, ავადმყოფის ტრანსპორტირებასა და გარდაცვლილის რეპატრიაციას. სადაზღვევო პოლისის ღირებულება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: სადაზღვევო თანხა, მოგზაურობის ხანგრძლივობა და ქვეყანა, რომელშიც ხდება გამგზავრება. ტურისტული ფირმების რისკების დაზღვევა მოიცავს ფინანსური რისკების დაზღვევას. ფინანსური რისკების

[1] კაკაშვილი ნ. შათირიშვილი ჯ. სადაზღვევო საქმე (თბ. 2012)

[2] Damian Tysdal. "History of Travel Insurance", (octomber, 2009), https://www.travelinsurancereview.net/2009/10/04/history-of-travel-insurance/ (15.04.2021)

რიცხვს მიეკუთვნება:[1] კომერციული რისკები (გადაუხდელობა ან გადახდის შეფერხება, კონტრაგენტის ჯარიმები, თუ კი ის ხელშეკრულების დარღვევის პირობად, ფორსმაჟორულ გარემოებებს არ აღიარებს;კომპანიის გაკოტრება;საბაჟო კანონმდებლობის, სავალუტო რეგულირების, საპასპორტე კონტროლისა და სხვა საბაჟო ფორმალობების ცვლილებები; ფოსმაჟორული გარემოებების წარმოქმნა; პოლიტიკური რისკები და ა.შ

ტურისტების დაზღვევა საზღვარგარეთ მოგზაურობისას მოიცავს: უცხოეთში მოგზაურობის დროს, მოულოდნელი ავადმყოფობის ან ავარიის შემთხვევაში სამედიცინო დახმარების გაწევას; ტრანსპორტირებას უახლოეს საავდამყოფოში, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურეობის გაწევას; ტურისტის ევაკუაციას მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში, სათანადო სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ; სამკურნალო მედიკამენტების მიწოდება, თუ მათი ადგილზე მოპოვება შეუძლებელია; ტურისტების იურიდიული დახმარებას, საზღვარგარეთ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებაში;[2] ამდენად,სამოგზაურო დაზღვევის პოლისი მფლობელის გარანტიას წარმოადგენს საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტის დაცვასუბედური შემთხვევებისაგან და მოიცავს ხელშეკრულებაში ჩადებულ სხვადასხვა მომსახურეობებს.

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქვეყნის მასშტაბით, 2021 წლის 31მარტის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე 18 სადაზღვევო კომპანია, აღსანიშნავია, რომ ყოველივე მათგანი ფლობს სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევისათვის საჭირო ლიცენზიას.[3] 2018 წელს სამოგზაურო დაზღვევის მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემიის მოცულობა 7.74 მლნ. ლარი იყო, 2019 წელს - 8.51 მლნ. ლარი, 2020 წელს კი ამ მაჩვენებელის მნიშვნელობა მინიმუმამდე შემცირდა და შეადგინა 3.92 მლნ ლარი, რაც წლების განმავლობაში მიღებულ შედეგებს შორის მინიმალურია.

გავრცელებული ვირუსის უარყოფითი შედეგები განსკუთრებულად აისახა ტურიზმის სფეროზე, ქვეყნებს მოუწიათ (ჩინეთი, აშშ, ევროპა და სხვა) საზღვრების ჩაკეტვა, განუსაზღვრელი ვადით გადაიდო ყველა რეგულარული რეისი გარდა, სპეცრეისებისა, მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობა სახლში „ჩაიკეტა“, დაიხურა სასტუმრეობი და ოტელები, შესალოა ითქვას, რომ ვირუსმა ტურიზმის პარალიზება მოახდინა. ყოველივე აქედან გამომდინარე, ნათელია სამოგზაურო დაზღვევის პოლისზე მოთხოვნის შემცირების მიზეზები,ეს პროდუქტი ადამიანებისათვის მოულოდნელად სრულიად გამოუსადეგარი და არასაინტერესო გახდა.

სამოგზაურო დაზღვევის შეძენის შემთხვევაში, მომხმარებლისათვის შეთავაზებული დაზღვევის პირობები სადაზღვევო კომპანიების მიხედვით განსხვავდება. მაგალითისათვის განხილულია სადაზღვევო ბაზრის წილის მიხედვით ლიდერი კომპანიებიდან რამოდენიმე, მათ შორისა:

ჯიპიაი ჰოლდინგი მომხმარებელს საზღვარგარეთ მოგზაურობისას, ჯანმრთელობის მდგომარეობის მოულოდნელი გაუარესებით გამოწვეული ხარჯებისაგან დასაცავად სამოგზაურო დაზღვევის რამდენიმე ვარიანტს სთავაზობს, რომელიც ჰოსპიტალურ, გაუთვალისწინებელ

[1] И.Е. Сергеевна, „Виды страхования в туризме“. (Реферат, Санкт-Петербургский государственный университет, 2010), https://works.doklad.ru/view/9CDwj97rQnY.html(22.04.2021)

[2] И.Е. Сергеевна, „Виды страхования в туризме“. (Реферат, Санкт-Петербургский государственный университет, 2010), https://works.doklad.ru/view/9CDwj97rQnY.html (22.04.2021)

[3] სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, : http://insurance.gov.ge/Statistics.aspx(01.05.2021)

შემთხვევებთან და გადაუდებელ სტომატოლოგიურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს.[1]ასევე პანდემიური გამოწვევების საპასუხოდ ჯიპიაი ჰოლდინგმა 2021 წლის 26 აპრილს სამოგზაურო კომპანიებისათვის წარმოადგინა პოლისი - „Travel Annual Covid", რომელიც უზრუნველყოფს, დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებითა და ბარგის დაკარგვით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებას;[2] მომსახურების არაერთ ჩამონათვალს შორის, რომელიც დაზღვევის ამ პოლისით ფინანსდება (ამბულატორიული მომსახურება, რეანიმაციული და სტაციონალური მკურნალობა, გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება და სხვა), გამოყოფილია კოვიდ-19 -ის მკურნალობა, რომელიც გულისხმობს Covid-19-ით გამოწვეული დაავადების და მისი გართულებების ამბულატორულ და სტაციონალურ მკურნალობას 3000 USD/EUR ლიმიტის ფარგლებში, ფრანშიზა 150 USD/EUR.[3]

სადაზღვევო ბაზარზე არსებულ წარმატებულ ქართულ ბრენდთა შორისაა „არდი დაზღვევა", პანდემიიდან გამომდინარე შექმნილ სიტუაციაში, არდი დაზღვევამ კვლავ გამოიჩინა ინოვაციურობა და მომხმარებელს სამოგზაურო დაზღვევა კოვიდ დაფარვით შემდეგი პირობებით შესთავაზა: ლიმიტი 50000 EUR, ერთი დღის ღირებულება 7 ლარი; ლიმიტი 75000 EUR, ერთი დღის ღირებულება 9 ლარი;

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, თიბისი დაზღვევა იყო პირველი, ვინც ბაზარზე წარადგინა პროდუქტი - „Covid-19-ის გართულებული შემთხვევების დაზღვევა ბიზნესისათვის".[4] დაზღვეულს გადაეცემა 10000 ლარი, თუ კი ის დაინფიცირდება კორონავირუსით და მკურნალობა დასჭირდება საავადმყოფოში, ხოლო დაზღვეულის ვირუსით გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ოჯახი მიიღებს 50000 ლარს. ამ დაზღვევის შეძენის შესაძლებლობა აქვს საქართველოში მუდმივად მცხოვრებ, 18-დან 65-წლამდე საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს და მისი ფასი 19 ლარია, რომელიც ერთჯერადად გადაიხდება.მიმდინარე პერიოდში თიბისი დაზღვევამ კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა მომხმარებელს. სამოგზაურო დაზღვევის შეძენისას, PCR ტესტირებაზე კლინიკა RAYMANN-ში გარკვეული ფასდაკლებით სარგებლობის შესაძლებლობა - 89 ლარი ბინაზე გამოძახებით, კლინიკაში ვიზიტის შემთხვევაში - 69 ლარი, ასევე, მოგზაურობის პერიოდში REDMED-ის 24-საათიანი ვიდეოკონსულტაცია განასაკუთრებულ ფასად.[5] სამოგზაურო დაზღვევის პოლისის ღირებულებას სხვადასხვა ფაქტორთა კრებული განსაზღვრავს, როგორიცაა დაზღვეულის ასაკი, მოგზაურობის ხანგრძლივობა, შერჩეული სადაზღვევო პროდუქტი, მოგზაურობისათვის შერჩეული ქვეყანა.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედ სადაზღვევო კომპანიებს სამოგზაურო დაზღვევაზე ფაქტიურად სტანდარტული ფასი აქვთ წარმოდგენილი, რომელიც ძირითადად 1 ლარიდან 10 ლარამდე მერყეობს.

2020 წელს გაფორმებული პოლისების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით მაქსიმალურად არის შემცირებული, რაც პანდემიიდან გამომდინარე, არა მარტო საქართველოში,

---

1 სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი", სამოგზაურო დაზღვევა, https://www.gpih.ge/gpih/Travel/whatiscovered.php (01.06.21)

2 სს სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი", პოლისი Tavel Annual Covid, წყარო: https://www.gpih.ge/-gpih/Travel/whatiscovered.php (01.06.21)

3 იქვე.

4 თიბისი დაზღვევა, „COVID-19-ის გართულებული შემთხვევების დაზღვევა ბიზნესისათვის", წყარო: https://tbcinsurance.ge/ka/blog/article/193-covid-19-is-gartulebuli-shemtkhvevebis-dazghveva-biznesistvis (02.06.21)

5 თიბისი დაზღვევა, სპეციალური შეთავაზება სამოგზაურო დაზღვევის შეძენისას, წყარო: https://tbcinsurance.-ge/ka/blog/article/258-spetsialuri-shetavazeba-samogzauro-dazghvevis-shedzenisas (02.06.21)

არამედ მსოფლიოში შექმნილი ვითარების შედეგია. 2020 წლის მონაცემებით სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მოზიდული პრემია 3935516 მლნ. ლარია, მისი წილი ბაზარზე კი - 0,55%-ია, მაშინ, როცა 2019 წლის მონაცემებით, ეს მაჩვენებლები შესაბამისად, 8199498 მლნ. ლარია და 1,31%-ია. 2021 წლის პირველ კვარტალში სამოგზაურო დაზღვევაში გამომუშავებული პრეემის მოცულობა 762,561 მლნ. ლარია.

<u>დასკვნა. სამოგზაურო დაზღვევა ნამდვილად იყო ერთ-ერთი მოთხოვნადი და შესაბამისად გაყიდვადი პროდუქტი მომხმარებლებს შორის,თუმცა, კორონავირუსის პანდემიამ ძირეულად შეცვალა მანამდე არსებული ვითარება.</u> COVID-19-ის გავრცელებამდე, ტურიზმი და მოგზაურობა გვევლინებოდა მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორად, რომელიც გლობალური მშპ-ს 10%-ს შეადგენდა და მსოფლიოს გარშემო 320მლნ-ზე მეტ სამუშაო ადგილს წარმოქმნიდა. 1950-იან წლებში მხოლოდ 25 მლნ ადამიანი მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ, მაშინ როცა 2019 წლისათვის ამ რიცხვმა 1.5 მილიარდს მიაღწია.[1]

ეკონომიკურ სექტორებს შორის, ტურიზმმა ყველაზე მეტად განიცადა პანდემიის ზემოქმედება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია 2020 წელს, საერთაშორისო ტურისტების რაოდენობის 850 მლნ-დან, 1.1 მლრდ-ამდე, ექსპორტის 910 მლრდ-დან 1.1 ტრილიონ დოლარამდე, ხოლო -ტურიზმის სფეროში სამუშაო ადგილების 100-120 მლნ-მდე შემცირებას პროგნოზირებს[2]. 2020 წელს გასულ წელთან შედარებით, ადგილობრივი ვიზიტორების ხარჯები 45%-ით, ხოლო საერთაშორისო ვიზიტორების ხარჯები უპრეცედენტო 69.4%-ით შემცირდა;[3]

გავრცელებულმა პანდემიამ მსოფლიოს პარალიზება გამოიწვია. ქვეყნების წინაშე დამდგარი ეკონომიკური ზიანის მოცულობა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ხოლო ეს სხვაობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების დონე, ტურიზმის, ნავთობისა და სხვა საქონლის ექსპორტის წილი ეკონომიკაში, ასევე პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა.

2020 წლის თებერვლიდან საქართველომ ყოველთვიური 30 მლნ ლარის მოცულობის ზარალი ნახა, ვირუსის საყოველთაო გავრცელების პერიოდში, მარტის თვეში, როდესაც საქართველომუცხოელებისათვის ჩაკეტა საზღვრები, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა რაოდენობა 49%-ით, ხოლო ფრენების რაოდენობა - 21%-ით შემცირდა.[4]

ჩაკეტილი საზღვრები, დახარული სასტუმროები, რესტორნები და კაფეები, მინიმუმამდე შემცირებული მოთხოვნა ისეთ ტურისტულ მომსახურებებზე, როგორიცაა, თარჯიმნები გიდები, შიდა ტრანსპორტირება და სხვა - ასეთია 2020 წლის ეპიდემიური სურათი, რომელიც უდიდეს გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკაზე.

შექმნილ სიტუაციაში, კრიზისიდან თავის დასაღწევად უდიდესი როლი ენიჭება სახელმწიფოს. 2020 წლის 7 მაისს საქართველოს მთავრობამ, ეკონომიკაზე კორონავირუსის პანდემიის უარყოფითი ზეგავლენის მაქსიმალურად შესამცირებლად, წარადგინა ტურიზმის ანტიკრიზისული გეგმა - ეკონომიკური სტარტეგია, რომელიც ითვალისწინებს ტურიზმის სექტორში და-

---

1 FINANCE AND DEVELOPMENT, December 2020, https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2020/12/impact-of-the-pandemic-on-tourism-behsudi.htm (25.04.21)

2 UN WTO, Tourism and Covid-19 – unprecedented economic impacts, https://www.unwto.org/tourism-and-covid-19-unprecedented-economic-impacts (29.04.21)

3 World Travel & Tourism Council, Economic Impact Reports, https://wttc.org/Research/Economic-Impact (3.05.21)

4 იქვე.

საქმებულებსა (თვითდასაქმებულებისათვის ერთჯერადად 300 ლარი და დაქირავებულთათვის 6 თვის განმავლობაში 200 ლარი) და დამსაქმებლებზე (თითოეული შენარჩუნებული სამუშაო ადგილისათვის სახელმწიფო სუბსიდია) ზრუნვას, ასევე 200 მლნ ლარის მოცულობის დახმარებას ტურიზმის სტიმულირებისათვის[1]: 45 მლნ. ლარი - 2020 წლის ქონების გადასახადის გაუქმება ტურისტული ინდუსტრისათვის; 90 მლნ. ლარი - საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლება და გადავადება; 60 მლნ. ლარი - სესხების სუბსიდირება 3000 სასტურმოსათვის; 5 მლნ. ლარი - გიდებისა და ტურისტული კომპანიების მხარდაჭერა.[2]

ტურიზმს გააჩნია აღდგენის პოტენციალი, ის კვლავ გახდება ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. არსებული კრიზისი სექტორისათვის ქმნის გამოწვევებს, თუმცა, ასევე, ხელს უწყობს ინოვაციების წახალისებას, ახალი ბიზნეს-მოდელების წარმართვას, ახალი ნიშებისა და ბაზრების შესწავლას, აქამდე უცნობი მიმართულებების აღმოჩენასა და ტურიზმის მდგრადი განვითარების მოდელებზე გადასვლას.

ლიტერატურა:

1. კაკაშვილი ნ. შათირიშვილი ჯ. სადაზღვევო საქმე თბ., 2012
2. Damian Tysdal. "History of Travel Insurance", (octomber, 2009), https://www.travelinsurancereview.net/2009/10/04/history-of-travel-insurance/ (15.04.2021)
3. И.Е. Сергеевна, „Виды страхования в туризме". (Реферат, Санкт-Петербургский государственный университет, 2010), https://works.doklad.ru/view/9CDwj97rQnY.html(22.04.2021)
4. И.Е. Сергеевна, „Виды страхования в туризме". (Реферат, Санкт-Петербургский государственный университет, 2010), https://works.doklad.ru/view/9CDwj97rQnY.html (22.04.2021)
5. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, http://insurance.gov.ge/Statistics.aspx (01.05.2021)
6. სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი", სამოგზაურო დაზღვევა, https://www.gpih.ge/gpih/Travel/-whatiscovered.php (01.06.21)
7. სს სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი", პოლისი Tavel Annual Covid, წყარო: https://www.gpih.-ge/gpih/Travel/whatiscovered.php (01.06.21)
8. თიბისი დაზღვევა, „COVID-19-ის გართულებული შემთხვევების დაზღვევა ბიზნესისათვის", წყარო: https://-tbcinsurance.ge/ka/blog/article/193-covid-19-is-gartulebuli-shemtkhvevebis-dazghveva-biznesistvis (02.06.21)
9. თიბისი დაზღვევა, სპეციალური შეთავაზება სამოგზაურო დაზღვევის შეძენისას, წყარო: https://tbcinsurance.ge/-ka/blog/article/258-spetsialuri-shetavazeba-samogzauro-dazghvevis-shedzenisas (02.06.21)
10. FINANCE AND DEVELOPMENT, December 2020, https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2020/12/impact-of-the-pandemic-on-tourism-behsudi.htm (25.04.21)
11. UN WTO, Tourism and Covid-19 – unprecedented economic impacts, https://www.unwto.org/tourism-and-covid-19-unprecedented-economic-impacts (29.04.21)
12. World Travel & Tourism Council, Economic Impact Reports, https://wttc.org/Research/Economic-Impact (3.05.21)

[1] საქართველოს მთავრობა - http://gov.ge/files/288_76050_775262_final_Tourismpresentation.pdf (12.05.21)

[2] იქვე.

The Importance of Travel Insurance for Tourism Business and its Development Prospects in Georgia

Nato Kakashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor

Khatuna Barbakadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

SUMMARY

Travel insurance means protecting the material interests of the citizen during a tourist trip. The COVID-19 pandemic has had a significant impact on tourism - systemic travel restrictions prevent people from traveling, regardless of their wishes, and increase their fear of perceived risk-taking trips, causing them to change typical travel behaviors. All in all, the importance of travel insurance is growing indefinitely.
Keywords: *travel insurance; Tourist insurance; Personal insurance for tourists; Insurance amount.*

COVID-19 -ით გამოწვეული პანდემია და გარემოსადმი მდგრადობის ცალკეული საკითხები

ნაზირა კაკულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

COVID-19-ით გამოწვეული პანდემია ეკონომიკის სფეროში (და არამარტო) მიმდინარე გლობალური კრიზისია. ამავე დროს, მისი ზემოქმედება გლობალურ ეკონომიკაზე ექსპონენციალურად იზრდება.

დღევანდელ ეპოქაში განსაკუთრებული როლი დაიკავა მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების საკითხმა. მოცემული პრობლემის აქტუალობა გამომდინარეობს თავის მხრივ მდგრადი განვითარების არსიდან, ვინაიდან ის ფუნდამენტურ როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდის საკითხში, ისე რომ დაცული იყოს მომავალი თაობის ინტერესებიც.

მდგრადი განვითარება არის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, სადაც ასევე გათვალისწინებულია, ეკონომიკური განვითარების ფაქტორი და რა თქმა უნდა გარემოს დაცულობის საკითხიც. ის ასევე ითვალისწინებს ცხოვრების დონის უპირობო ზრდას, მათ შორის საზოგადოების კეთილდღეობის ზრდასაც და მომავალი თაობის უფლებას, რომ შეძლონ ისარგებლონ გარემოში არსებული რესურსებით მაქსიმალურად, ისე რომ არ მიადგეს ზარალი გარემოს.

თანამედროვე პირობებში მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარება ისე, რომ ვექტორი მიმართული იყოს ბუნებრივი რესურსის რაციონალური გამოყენებისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისაკენ.

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი განვითარება, ეკონომიკური ზრდა, კოვიდ-19, გარემოს დაცვა.*

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვან კავშირშია გარემოსადმი მდგრადი პოლიტიკის არსებობასთან და ამავდროულად სახელმწიფოს ჩარევა აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანად დადებითი ეფექტებით ხასიათდება საშუალოვადიან პერიოდში.

გლობალური პანდემიის პირობებში მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენადაა დღევანდელი ეკონომიკური სისტემები ორიენტირებული „მწვანე განვითარებაზე“ და რამდენად ეფექტიანია სახელმწიფოს პოლიტიკა ამ მიმართულებით ?! 2011 წლის გაეროს მწვანე ეკონომიკის ანგარიშის მიხედვით მწვანე ეკონომიკა (სადაც პირველად გაჟღერდა შესაბამისი პრობლემის არსებობა) უნდა იყოს რესურსების ეფექტიანი მომხმარებელი და უნდა იყოს სოციალურად ინკლუზიური.

ახალი ადამიანური დაავადებების წარმოშობა მჭიდროდაა დაკავშირებული ეკოსისტემებისა და ჰაბიტატების დეგრადაციასთან, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია კლიმატის ცვლილებით, რესურსების ინტენსიური მოპოვებით, ურბანული და აგრარული ექსპანსიითა და დაბინძურებით.

კოვიდ-19-ის შესწავლამ ნათლად დაგვანახვა, რომ არსებობს კავშირი ჰაერის დაბინძურებასა და ვირუსით გამოწვეულ სიკვდილიანობას შორის. კვლევის თანახმად, 2.5 ზომის მტვრის მყარი შეწონილი ნაწილაკებით (PM 2.5-ით) ჰაერის დაბინძურების სულ მცირედი (1მკგ/მ.კუბ.-ით) მატება იწვევს Covid-19-ით ინფიცირებულთა გარდაცვალების რისკის ზრდას 15%-ით. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უფროდაუფრო აქტუალური ხდება ეკონომიკის გარემოსადმი მდგრადი განვითარებას საკითხს. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანწილად ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში რომელიც წევრ ქვეყნებს შესაბამისი პოლიტიკის გატარების ვალდებულებას აკისრებს.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური დისკუსიები და კვლევები მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით რამდენიმე ათწლეულია გრძელდება, აღნიშული საკითხი ქმედითი ნაბიჯებით არ ხასიათდებოდა 2008 წლის ფინანსურ კრიზისამდე.

2005 წელს, ეკოსისტემის ათასწლეულის კვლევის ფარგლებში, შესწავლილი იქნა ადამიანთა კეთილდღეობის მიზნით, არსებული ეკონომიკური სისტემის მიერ გარემოსადმი მიყენებული ზიანი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მსოფლიო ეკოსისტემის 60% განადგურების პირასაა მისული. სხვა სიტყვებით, მსოფლიოს განვითარება საკმაოდ შორსაა მდგრადისგან.

2006 წელს, ლონდონის ეკონომიკური სკოლის კლიმატის ცვლილებისა და გარემოს კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის თავჯდომარემ, ეკონომისტმა ნიკოლას შტერნმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც მიმოიხილავდა კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას მსოფლიო ეკონომიკაზე და განიხილავდა მას, როგორც ეკონომიკური განვითარების ყველაზე დიდ გამოწვევას. ანგარიშის მთავარი დასკვნა არის ის, რომ რაც უფრო ადრე მოხდება ინვესტირება კლიმატის ცვლილების გამოწვევების აღმოსაფხვრელად, მით უფრო ნაკლები იქნება საბოლოო დანახარჯი და მეტი სარგებელი მსოფლიოსთვის. ანგარიშის თანახმად, ქმედების გარეშე, კლიმატის ცვლილების ყოველწლიური დანახარჯი სულ ცოტა მსოფლიო მშპ-ს 5%-ს შეადგენს რომელიც რისკ ფაქტორების გათვალისწინებით 20%-მდეც კი შეიძლება გაიზარდოს (STERN N. 2006).

2008 წლის მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში, ეკონომიკურ პოლიტიკაში არსებული ნაკლოვანებები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა და „ʹ— - ‘‘— ეკონომიკისნ კონცეფცია, რომელიც უკეთესად ასახავს ბუნებრივი და სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას აქტიურად იქნა წამოყენებული, როგორც ტრადიციული ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატივა, რომლის უპირატესობა ტრადიციულ ეკონომიკურ სისტემასთან შედარებით ისაა, რომ იგი ასტიმულირებს ეკონომიკური განვითარებას და ამავდროულად ითვალისწინებს პლანეტარულ შეზღუდვებს (D. Fedrigo-Fazio, P. ten Brink 2012).

მთლიანად ეკონომიკურ სისტემაზე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების კონტექსტში ასახულია ცხრილში (Ryszawska B. 2013).

ცხრილი 1: გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური და პოზიტიური მხარეები

ნეგატიური	პოზიტიური
1 მშპ-ს ზრდის ტემპების შემცირება	1. მშპ-ს, როგორც ეკონომიკური აქტიურობის გაზომვის ინსტრუმენტის არასრულფასოვნებაზე დისკუსიის გააქტიურება
2 რეცესია	2. გლობალური „მწვანე ზრდის“ ახალი მოდელის განვითარება
3 ზრდადი უმუშევრობა	3. „მწვანე ეკონომიკა“
4 ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა	4. ეკოლოგიური ინოვაციების ზრდა
5 ინვესტიციების შემცირება	5. „მწვანე ინვესტირების“ ფონდი
6 საზოგადოების მხრიდან ფინანსური სექტორისადმი ნდობის შესუსტება	6. მდგრადი ფინანსური სისტემა
7 საქონლის და მომსახურების დაბალი მიწოდება	7. განახლებადი ენერგიისა, ინვესტიციების და ტექნოლოგიების განვითარება
8 სოციალურ სფეროში მთავრობის დანახარჯების შემცირება	
9 მთავრობის ზომის ზრდა	
10 ეკონომიკის არსებული მოდელის კრიზისი	

წყარო: Financing the transition to green economy in Europe, B.Ryszawska, 2013

„მწვანე ზრდის“ სტრატეგიის დანერგვის პროცესში სამი მნიშვნელოვანი საკითხი რომელიც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს არის შმდეგი: (OECD, 2012):

1. ეროვნული „მწვანე ზრდის“ გეგმა, რომელიც საშუალებას მისცემს შექმნას ხელსაყრელი პირობები მწვანე ზრდისთვის;
2. „მწვანე ზრდის“ მეინსტრიმინგის მექანიზმები არსებულ ეკონომიკურ საქმიანობაში შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად;
3. „მწვანე ზრდის“ პოლიტიკის ინსტრუმენტები სივრცითი და რესურსების სისტემებში კონკრეტული შესაძლებლობების დასაფიქსირებლად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მწვანე ეკონომიკის ანგარიშის მიხედვით მსოფლიოს GDP-ს ორი პროცენტის ინვესტირება „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი შეიძლება იყოს. ტრადიციული ფისკალური პოლიტიკის რეფორმა, ბუნებრივი აქტივების სრულფასოვანი შეფასება, „მწვანე ტექნოლოგიების“ ხელშემწყობი ინოვაციების განხორციელება და სხვა წარმოადგენს აღნიშნული კუთხით გადადგმული ნაბიჯების მაგალითებს. აღსანიშნავია, რომ „მწვანე ეკონომიკა“ არ გულისხმობს ეკონომიკური ზრდის შენელებას. უფრო მეტიც, სხვადასხვა მაკროეკონომიკული მოდელებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიან პერიოდში „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას შემცირებული ეკოლოგიური რისკების პირობებში (D. Fedrigo-Fazio, P. ten Brink 2012).

აღსანიშნავია, რომ „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების კუთხით ერთ-ერთი მოწინავეა ევროკავშირი, რომელიც ბოლო ათწლეულები ინდივიდუალური ქვეყნების და ევროკავშირის დონეზე სხვადასხვა ღონისძიებებს იყენებს. აღნიშნულ ღონისძიებებს მიეკუთვნება გადასახადები სპეციფიური ტიპის დამაბინძურებლებზე, ენერგიასა და ტრანსპორტზე. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი საკუთარი განვითარების სტრატეგიაშიც აქტიურად ასახავს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ მიზნებს (როგორიცაა კარბონის დაბალი მოცულობა და რესურსების ეფექტიანი გამოყენება) (COM(2010) 2020 final, Europe 2020: A strategy for smart, sustainable and inclusive growth).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, “მწვანე ზრდის” კუთხით მიღწეული პროგრესის ერთ-ერთ აღიარებულ გაზომვის მეთოდოლოგიას გვთავაზობს OECD, რომელიც ინდიკატორთა ოთხ ჯგუფს ეფუძნება. მოცემულ ნაწილში აღნიშნულ ინდიკატორთა პირველ ჯგუფზე, კერძოდ გარემოსა და რესურსების პროდუქტიულობაზე დაყრდნობით განვიხილავთ საქართველოში არსებულის მდგომარეობას.

ინდიკატორთა აღნიშნული ჯგუფი 2019 წლისთვის საქართველოსთვის მოიცავს სამ ინდიკატორს, კერძოდ:

1. CO2-ს პროდუქტიულობა - ასახავს მთლიან შიდა პროდუქტს CO2 - ს ერთ კილოგრამ ემისიაზე (2021 წლისთვის GDP გამოსახულია 2015 წლის აშშ დოლარებში);
2. ენერგორესურსების პროდუქტიულობა - ასახავს ერთი ერთეული (ენერგიის ერთეული გამოსახულია TPES-ში- Total primary energy supply)[1] ენერგიის მოხმარების შესაბამის

[1] მთლიანი პირველადი ენერგიის მიწოდება (TPES) არის ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი პირველადი ენერგიის მთლიანი რაოდენობა. ის მოიცავს იმპორტირებულ ენერგიას, ექსპორტირებულ ენერგიას (გამოკლებული) და ბუნებრივი რესურსებიდან მოპოვებულ ენერგიას (ენერგიის წარმოება).

მთლიან შიდა პროდუქტს (2021 წლისთვის მაჩვენებელი გამოსახულია 2015 წლის აშშ დოლარებში).

მოცემულ კვლევაში, აღნიშნული ინდიკატორების ანალიზისთვის ინფორმაცია აღებულია OECD-ს მონაცემთა ბაზიდან 2019 წლისთვის .

აღნიშნული მონაცემების მიხედვით პირველ ინდიკატორთან მიმართებით საქართველოში არსებული CO2 - ს პროდუქტიულობა 2019 წლისთვის შეადგენდა 5.74-ს. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი, OECD-ს მიერ შეფასებულია 140 ქვეყნისთვის, საიდანაც საქართველო 69-ე ადგილს იკავებს (სხვა სიტყვებით, აღნიშნული მაჩვენებელით, როგორც "მწვანე ზრდის" ფორმირების ფაქტორის მიხედვით საქართველო 69-ე ადგილზეა).

ენერგომატარებლების პროდუქტიულობის თვალსაზრისით, 2019 წელს 1 TPSE ერთეული ენერგომატარებლის მოხმარებით 10,484.2 დოლარის GDP იწარმოება.
აღნიშნული ინდიკატორების განხილვა საინტერესოა რეგიონულ ჭრილში, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში N2

ცხრილი 2: გარემოსა და რესურსების პროდუქტიულობის ინდიკატორები რეგიონულ ჭრილში

ქვეყანა/რეგიონი	GDP-ს თანაფარდობა ემიტირებულ CO2-თან მიმართებაში	ენერგომატარებლების პროდუქტიულობა (აშშ დოლარი)
საქართველო	5.74	10,484.2
აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია და ცენტრალური აზია	2.4	5,201.0
ევროკავშირი	7.2	13,701.1
მსოფლიო	3.78	8,781.5

წყარო: OECD (https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=GREEN_GROWTH#)

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, CO2-ს პროდუქტიულობა საქართველოში მნიშვნელოვნად აღემატება აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების საშუალო პროდუქტიულობას, თუმცა ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოსთვის მსოფლიო საშუალო მაჩვენებელსაც აჭარბებს.

მსგავსად CO2-ს პროდუქტიულობისა, ენერგომატარებელი რესურსების პროდუქტიულობა საქართველოში აღემატება აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების საშუალო პროდუქტიულობას თუმცა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირს. ამასთან აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო მსოფლიო საშუალო მაჩვენებელსაც ჩამორჩება.

რაც შეეხება არა ენერგომატარებელი რესურსების პროდუქტიულობას, საქართველო მნიშვნელოვნად (ორჯერ და მეტჯერ) ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.

ქვეყნის ეკონომიკური გამოწვევები საკმაოდ სერიოზულია. არ არსებობს ადგილობრივი წარმოება, რომელიც, შეცვლილი გლობალური ვაჭრობის პირობებში, დააკმაყოფილებდა მოსახლეობის პირველად მოთხოვნილებებს, მათ შორის, სურსათზე

სტიმულირების პაკეტმა,რომელსაც მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი გვთავაზობს დღევანდელი გამოწვევების საპასუხოდ, უნდა წაახალისოს მცირე და საშუალო ბიზნესი,

შექმნას ისეთი მექანიზმები, რაც საშუალებას მოგვცემს, განვითარდეს სოფლის მეურნეობა, განახლებადი ენერგიები და ენერგოეფექტურობა (მასალებისა და ტექნოლოგიების ადგილზე წარმოება), ციფრული ტექნოლოგიები. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი უნდა იყოს კეთილდღეობა (ხელმისაწვდომი და ძლიერი სოციალური სერვისები, ჯანდაცვა, განათლება და გარემოს ხარისხი).

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული თანხებით, შესაძლებელი გახდება ქვეყანაში არსებულ მოთხოვნაზე დაფუძნებული რეალური ეკონომიკის განვითარება მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად.

ლიტერატურა:

1. Myers, S. S. et al. Human health impacts of ecosystem alteration. Proc. Natl Acad. Sci. USA 110, 18753–18760 (2013).
2. D Fedrigo-Fazio, JP Schweitzer, P Ten Brink, L Mazza… -Evidence of absolute decoupling from real world policy mixes in Europe, Sustainability, 2016 - mdpi.com
3. https://projects.iq.harvard.edu/covid-pm?fbclid=IwAR2DdlUsbvmstWi9M8oyVxcWG8oYFH4MsR2Wba9q4MUbu3RvbteWOXfWldk
4. https://www.carbonbrief.org/analysis-coronavirus-has-temporarily-reduced-chinas-co2-emissions-by-a-quarter
5. https://thehill.com/policy/energy-environment/489753-epa-suspends-enforcement-of-environmental-laws-amid-coronavirus
6. https://theintercept.com/2020/03/31/epa-regulations-air-pollution-coronavirus/
7. https://www.oecd-ilibrary.org/content/paper/5k8zxpjsggf0-en
8. https://www.eea.europa.eu/policy-documents/com-2010-2020-europe-2020
9. https://energyeducation.ca/encyclopedia/Total_primary_energy_supply
10. https://www.researchgate.net/publication/292147307_Green_Economy_Indicators
11. https://www.lse.ac.uk/granthaminstitute/publication/the-economics-of-climate-change-the-stern-review/

Pandemic Called COVID-19, and Some Ecological Problems

Nazira Kakulia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

SUMMARY

In the modern era, the issue of green economy and sustainable development has been especially advanced. The urgency of this problem stems from the importance of its own sustainable development, as it is fundamental to economic growth and to protect the interests of future generations. Sustainable development is a system of social development that ensures human well-being in the interests of economic development and environmental protection, increasing the quality of life and the rights of future generations to enjoy maximum natural resources and environment protected from reversible qualitative and quantitative changes.

The main goal and action of green economy and sustainable development is economic evolution. Due to it the vector is directed towards the rational use of natural resources and the reduction of negative impacts on the environment.

The main aim of the police paper is to present the peculiarities of green economy and sustainable development, as well as the problems arising during their introduction and ways to solve these problems. The paper presents the ongoing processes in Georgia, which have been implemented in the modern directions recent years.

საბანკო სერვისების ციფრულიზაცია გლობალური პანდემიის ფონზე

ნათია კახნიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

გლობალურმა პანდემიამ კაცობრიობის ისტორია შეცვალა და მსოფლიო დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. 2020 წელს მსოფლიო ეკონომიკა დაახლოებით 5%-ით შემცირდა, რაც ციფრებში 4 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტია. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ბიზნესი გაჩერდა, ეკონომიკური სუბიექტები ოპერირებას ვეღარ ახდენდნენ, ყველა ტიპის კომუნიკაცია კი დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა. გამოწვევებთან ერთად პანდემია დიდი შესაძლებლობაც აღმოჩნდა ბიზნესისთვის, რადგან თვალსაჩინო გახდა, რომ საჭირო იყო სერვისებისა და პროცესების გაციფრულება. სწორედ აქედან იწყება ბიზნესის, მათ შორის საბანკო სერვისების ერთგვარი ციფრული ტრანსფორმაციაც. საბანკო სფერო, რომელიც მოიცავს ბევრ სხვადასხვა მომსახურებას, მუდმივად ცდილობს მომსახურებაზე ხელმისწვდომობა გაამარტივოს და ამის ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშულება არის თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები. დღევანდელმა პანდემიამაც წარმოაჩინა ციფრულიზაციის პროცესის უდიდესი მნიშვნელობა და ასევე სფეროები, რომლებიც არც იყენებდნენ ციფრულ ტექნოლოგიებს, აუცილებლობიდან გამომდინარე გამოყენების გზით დაინახეს მომსახურების გაუმჯობესების დიდი არეალი.

საკვანძო სიტყვები: *ბანკი, პანდემია, ციფრულიზაცია, ტექნოლოგიები, ტრანსფორმაცია.*

კოვიდ პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა ისტორიული გამოწვევის წინაშე დააყენა, ბიზნესამყარო უკვე წელიწადზე მეტია ცდილობს გაუმკლავდეს პანდემიით შექმნილ კრიზისს. სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკამ სხვადასხვანაირად შეძლეს პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა.

გამონაკლისს არც საბანკო სექტორი წარმოადგენს, პირიქით ეს არის სფერო სადაც საკმაოდ მძაფრად აისახა პანდემიისგან გამოწვეული ეფექტები. პანდემიის გავრცელება მოიცავდა სხვადასხვა ეტაპებს და შესაბამისად სხვადასხვა ხარისხს, ამის გათვალისწინებით სახელმწიფოს უწევდა გარკვეული მკაცრი რეგულაციების შემოღება რადგან დაეცვა მოქალაქეების ჯანმრთელობა. აღნიშნული რეგულაციები იყოს კომპლექსური ხასიათის, მოიცავდა სხვადასხვა მაშტაბით გადაადგილების შეზღუდვას, კომენდანტის საათის შემოღებას, გარკვეული ბიზნესების ფუნქციონირების შეზღუდვას და ა.შ. ეს ყველაფერი ნეგატიურად აისახებოდა ეკონომიკის და ამ შემთხვევაში კონკრეტულად ფინანსური ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო სფეროს საქმიანობა არ შეზღუდულა პირდაპირ, მათი ეფექტიანობის ხარისხი უშუალოდ არის დაკავშირებული იმ ბიზნეს ჯგუფებთან თუ ფიზიკურ პირებთან, რომელთა აქტივობა შეჩერდა ან შენელდა.

ბანკი ერთადერთი ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც ეკონომიკას ფულით ამარაგებს, შესაბამისად, მისი გაციფრულების გარეშე შეუძლებელი იქნებობა სხვა დარგების ტრანსფორმაციაც.

პანდემიის ფონზე პირველი, რაც ბანკებმა გააკეთეს, დისტანციურ საბანკო მომსახურებაში მეტი ინსვეტიციის განხორციელება იყო. მონაცემთა ანალიტიკა, ხელოვნური ინტელექტი, რობომრჩეველები, ბლოკჩეინები... ეს ის მიმართულებებია, რომელთა აქტიურად გამოყენება ბანკებმა გაციფრულების პროცესის დაჩქარების მიზნით დაიწყეს.რამას მოყვა შემდეგი ნაბიჯი – ფინტექ-კომპანიებთან აქტიური თანამშრომლობა. ფინტექკომპანიები აწარმოებენ ფინანსურ მომსახურებას კომპიუტერული პროგრამისა და ტექნოლოგიების მეშვეობით, რის შედეგადაც მომხმარებელს შეუძლია, უფრო მარტივად და სწრაფად დაგეგმოს, მართოს და აკონტროლოს საკუთარი ფინანსები. აღნიშნული უზრუნველყოფს მომხმარებლის დროულ ინფორმირებას, რაც შესაბამისად ამცი-

რებს ხარჯებს და აუმჯობესებს არსებულ ბიზნესმოდელებსა და მომსახურებას. ონლაინრეჟიმი მომხმარებელს ფინანსური პროდუქტის მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს და მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებს. ასევე, ტექნოლოგიის დახმარებით ფინანსურ ორგანიზაციებს აქვთ უფრო დეტალური ბაზები საკუთარ მომხმარებლებზე. ბანკებისა და ფინტექკომპანიების თანამშრომლობის კლასიკური მაგალითია გერმანული ნეობანკის, "N26"-ისა და ფულადი გზავნილების ფინტექკომპანია "TransferWise"-ის პარტნიორობა. სწორედ ამ ურთიერთობის ფარგლებში 30-ზე მეტი სავალუტო წყვილის შეთავაზება გახდა შესაძლებელი. ასევე წარმატებული შემთხვევაა მსოფლიო საბანკო გიგანტის, "HSBC ბანკისა" და კომპანია "Tradeshift"-ის კოლაბორაციაც, რა დროსაც ბანკი Tradeshift-ის პლატფორმას მომწოდებლებზე ინვოისების გადახდების ავტომატიზაციის მიზნით იყენებდა; ეს კი უზრუნველყოფს მეტ გამჭვირვალობას გრძელვადიანი გადახდების თვალსაზრისით. საინტერესო მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნორვეგიული ბანკების ექვსეულის, ე.წ Nordic Consortia-ს მიერ დაფუძნებული ფინტექკომპანია Invidem-ი, რომელიც ამ ბანკებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასა და მომხმარებლების ქცევის (AML / KYC) საკითხების ანალიზში ეხმარება. ამავე ბანკების მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე აპლიკაცია აანალიზებს მომხმარებლის ქცევებს თითოეულ ბანკში, რის შემდეგაც უკვე შეუძლია ამოიცნოს ფულის გათეთრებისა და მსგავსი უკანონო შემთხვევები.

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში, ბუნებრივია, შემცირდა პირდაპირი კომუნიკაცია, რაც აისახა ფილიალების დახურვის დინამიკაში. მაგალითად, გერმანიაში "Commerze Bank-მა" 340 ფილიალი დახურა. ანალოგიურად, შვედეთის ბანკმა, "Handelsbanken"-მა განაცხადა, რომ ფილიალების ქსელის 50%-ით შემცირებას აპირებს. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე აღნიშნული ცვლილებები გარდაუვალი იყო. შესაბამისად, ევროპისა და აშშ-ს ბანკების უმრავლესობამ მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო. უნდა ითქვას, რომ ფილიალების შემცირების საკითხი საქართველოს საბანკო სექტორსაც შეეხო და 2020 წლის მარტის შემდეგ 20-ზე მეტი სერვისცენტრი დაიხურა. საქართველოს საბანკო სექტორშიც ასევე ბევრი ძალიან საინტერესო ცვლილება მოხდა. პირველი, რაც ქართულმა ბანკებმა სწრაფად განახორციელეს, დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა იყო და ამ მხრივ საბანკო სერსვისების მიწოდება არ შეფერხებულა. ციფრულმა ტრანსფორმაციამ, თავის მხრივ, სამუშაო პროცესები დააჩქარა, რადგან საჭირო იყო დისტანციური კომუნიკაცია. მაგალითად, გაიზარდა ისეთ საბანკო ოპერაციებზე არსებული ლიმიტები, როგორებიცაა: გადარიცხვები, გადახდები, თანხის განაღდება და ა.შ. საბოლოოდ, ტექნიკურმა შესაძლებლობებმა ჩვენი ყოველდღიურობა მოიცვა და სხვადასხვა აპლიკაციამ, მაგალითად, მობილბანკმა, მეტი ფუნქცია და მნიშვნელობა შეიძინა.

საქართველოს ბანკი, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფინანსური ორგანიზაციაა, რომელმაც სწრაფად შეძლო ციფრულ პროცესებთან ადაპტაცია და ბევრი ცვლილების განხორციელებაც. ბანკი აერთიანებს 2,5 მილიონზე მეტ მომხმარებელს და 8000-ზე მეტ თანამშრომელს, სწორედ ამიტომ სასიცოცხლო მნიშვნელობის იყოს ამ ორგანიზაციისათვის ისეთი ინოვაციების დანერგვა, რაც ფიზიკურ კონტაქტს შეამცირებდა არსებული რისკების გათვლისწინებით. საკმაოდ დახვეწილმა მობაილ ბანკის პლატფორმამ, მომხმარებელს გაუადვილა ნებისმიერი მომსახურების მიღება დისტანციურად. მაგალითად, ბანკმა საკუთარ მომხმარებლებს ისეთი სიახლეები შესთავაზა, როგორებიცაა: ერთიანი ავტორიზაციის სისტემა, ინტერნეტბანკისა და მობილბანკის ახალი ფუნქციები, მათ შორის, მობილური აპლიკაციის ინტერნეტის გარეშე გამოყენების შესაძლებლობა, თანხის მოთხოვნა და გაყოფა (Bill Split), საბანკო ოპერაციების მრავალფეროვანი არ-

ჩევანი და სხვ. მეტი კომფორტისთვის ასევე იყო განულებული საკომისიო მობილბანკით სარგებლობისას. ციფრული ტრანსფორმაციის მხრივ უძრავი ქონების პლატფორმა area.ge-ზე იპოთეკური სესხის გამოთვლის მექანიზმი დაინერგა და სესხის აღების პროცესის დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, ციფრულად გახდა ხელმისაწვდომი.

„თიბისი“ ბანკმა 2100-ზე მეტი თანამშრომელი გადაიყვანა დისტანციური მომსახურების რეჟიმზე. კომპანიას ისიც დაეხმარა რომ 2019 წლის დასაწყისში ეჯაილ ტრანსფორმაცია დაიწყო, ამიტომაც ბანკის თანამშრომლების დიდი ნაწილი ამ ყველაფრისათვის უკვე მზად იყო. ბანკს უნდა დაეძლია გამოწვევები: თანამშრომლებისა და მომხმარებლების უსაფრთხოება. ასევე „თიბისი“-ის მაგალითზე, უნდა ავღნიშნოთ რომ ტრანზაქციების 95% ფილიალში მისვლის გარეშე ხდება, რაც ასევე მეტყველებს მაღალტექნოლოგიურ განვითარებაზე. „თიბისი“ ბანკმა ქართულ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებს მათი საქმიანობის გასამარტივებლად სხვადასხვა ინიციატივა შესთავაზა. შეიქმნა პლატფორმა rtbc4u.vendoo.ge. ვენდუ არის საქართველოში პირველი ონლაინ მოლი, რომელიც აკავშირებს მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს მთელი საქართველოს მასშტაბით და უზრუნველყოფს პროდუქციის ყიდვა-გაყიდვას საუკეთესო პირობებითა და მაქსიმალური კომფორტით. ხოლო მეწარმეებს თავაზობს გაყიდვების პლატფორმას, საწყობს, მარკეტინგს და სწრაფი მიწოდების სერვისით უზრუნველყოფას, რაც გაუმარტივებს მათ ბიზნესის გაფართოებას ონლაინ სივრცეში და საშუალებას მისცემს გაყიდონ პროდუქცია ქვეყნის მასშტაბით.

საბანკო სექტორის გაციფრულებაზე მეტყველებს მარეგულირებელთან კომუნიკაციაც. საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით, ბანკების ზედამხედველობა და შესაბამისი პროცედურების ჩატარება დისტანციურად, ციფრული არხების მეშვეობით უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, გაციფრულდა კომუნიკაციის აქამდე ტრადიციული არხები და საფუძველი ჩაეყარა ახლის ფორმირებასაც.

საბანკო სექტორის გაციფრულების პროცესს შეგვიძლია ასევე მივაკუთვნოთ 2020 წლის ივნისში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპებიც. ასევე ეროვნული ბანკი მუშაობს პროექტზე „ციფრული ლარი“, რომლის გამოშვებაც 2022 წლის ზაფხულში იგეგმება. მისი შექმნის აუცილებლობა დაგვანახა პანდემიამ. ციფრული ლარი უკეთესადაც მოერგება ციფრულ ეკონომიკას და იგი მონეტარული პოლიტიკის კონტროლის შენარჩუნების უკეთესი საშუალება იქნება. ციფრულ ლარს ელექტრონული ფორმა ექნება და იგი უზრუნველყოფს მხარეებს შორის უკონტაქტო სწრაფ გაცვლას.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ-19 პანდემიის ფონზე შემცირდა მსოფლიო ეკონომიკა და ვაჭრობა, ელექტრონული კომერციაზე მოთხოვნა გაიზარდა, რისი მთავარი წყარო გახლდათ ციფრული-დიგიტალური ეკონომიკის განვითარება და ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრება. სწორედ აღნიშნულ პროცესში აქტიურ და აუცილებელ როლს ასრულებს კომერციული ბანკების ინოვაციური სერვისები, შესაბამისად, კოვიდ-19 პანდემიამ უფრო მეტად დაგვანახა ელექტრონული ფულისა და ონლაინ გადახდების საჭიროება. როგორც ვხედავთ, საქართველოს საბანკო სექტორი პანდემიის გამოწვევებს მომზადებული შეხვდა და ტექნოლოგიების დანერგვისა და გაციფრულების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც გადაიდგა. არსებული პანდემიის პროცესში ბანკების როლიც გაიზარდა და მათი მხრიდან სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობაც. მთავარი მიზეზი თუ რატომ ელიან ასეთ ჩართულობას ბანკებისგან არის მათი შემოსავლიანობა და გავლენა ქართულ რეალობაში. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საქართველო გლობა-

ლურ ფინტექრეიტინგში 212-ე ადგილი 3.418 ქულით იკავებს. (Findexable_Global-Fintech-Rankings-2020).

საბედნიეროდ, საქართველოს მასშტაბით ჩვენ უკვე ვხედავთ საბანკო სექტორის ჩართულობას კრიზისების მართვის კუთხითაც, თუმცა რამდენად ეფექტურია ის ახალი შეთავაზებები და ნაბიჯები, რომლებსაც ბანკები დღეს საზოგადოებას სთავაზობენ და რამდენად პასუხობს ბანკების რეაქცია თანამედროვე გამოწვევებს, კერძოდ კი იმ უცნაურ გარემოს, რომელიც დღეს კორონავირუსის პანდემიის გამო გვაქვს ქვეყანაში და ზოგადად მსოფლიოში. ეს შეკითხვა კვლავ აქტუალური რჩება ფინანსური გამოწვევების კვალდაკვალ, თუმცა ტექნოლოგიების საჭიროებისა და პოპულარობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია მათი სამომავლო გავლენა ფინანსურ სექტორზე.

ლიტერატურა:

1. კეპულაძე გ., (2021) ორი პრობლემა რაც მომხმარებელსა და ბანკებს შორის არსებობს, „ბიზნეს მედია“;
2. შალამბერიძე ხ., (2020) ,,საბანკო საქმიანობის ტენდენციები, პანდემია და საბანკო პროდუქტების ტრანსფორმაცია'', კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკის განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“ ;
3. ,,საქართველოს ეროვნული ბანკი'', ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, თბ., 2020;
4. „საქართველოს ეროვნული ბანკი“. საქართველოს ეროვნული ბანკის საგანგებო ღონისძიებები COVID-19-თან დაკავშირებით, თბ., 2021;
5. Saunders A., Cornett M. M., (2010) Financial Institutions Management: A Risk Management Approach,.
6. Heider F., Saidi F., Schepens G., Banks and negative interest rates, Frankfurt, 2021;
7. https://forbes.ge/blogs/e1-83-a3-e1-83-a5-e1-83-9b-e1-83-9c-e1-83-98-e1-83-a1-e1-83-97-e1-83-a3-e1-83-90-e1-83-a0-e1-83-90-e1-83-a4-e1-83-98-e1-83-9c-e1-83-a2-e1-83-94-e1-83-a5-e1-83-98-e1-83-a1-e1-83-90-e1-83-a4/;
8. https://fintech.ge/news/details?id=153

Digitalization of Banking Services against the Background of the Global Pandemic

Natia Kakhniashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Invited Associate Professor, Doctor of Business Administration

SUMMARY

While the global economy and trade have declined in the wake of the Covid-19 pandemic, demand for e-commerce has grown, with the main source being the development of the digital economy and its establishment in everyday life. Innovative services of commercial banks play an active and necessary role in this process, therefore, the Covid-19 pandemic has shown us the need for electronic money and online payments. As we can see, the Georgian banking sector met the challenges of the pandemic prepared and took important steps towards the introduction and digitization of technologies. The role of banks in the current pandemic process has also increased and their involvement in civic activities. Fortunately, throughout Georgia we are already seeing the involvement of the banking sector in terms of crisis management in the wake of financial challenges. However, given the need and popularity of technologies, their future impact on the financial sector needs to be considered.

***Keywords**: Banking, Pandemic, Digitalization, Technology, Transformation.*

კორონა ვირუსის გავლენა მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე

გიგა კიკორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ ერთ კანონზომიერებას, რომ 1970 წლიდან მოყოლებული, კრიზისი საშუალოდ 10 წელიწადში ერთხელ მეორდება. ახალმა ბიოლოგიურმა კრიზისმა, პანიკა წარმოშვა ფინანსურ ბაზრებზე და სამყარო სულ სხვა რეალობის წინაშე დააყენა. გაჩნდა ტერმინი „კორონომიკა", რომელიც კორონა ვირუსის უარყოფითი ეკონომიკური შედეგების შესწავლას ემსახურება. შესამაბისად, ის მეთოდები, რაც გამოყენებული იყო 2008 წლის გლობალური კრიზისის დასაძლევად, ახლა არ გამოდგება. მეტიც, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს კრიზისი უფრო ღრმა და გრძელვადიანი იქნება, ვინაიდან გავლენას მოახდენს ერთდროულად ბიზნესზე, დასაქმებაზე და მოიტანს სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს. პანდემია განსაკუთრებით დაზარალებს ღარიბ და დაუცველ ხალხს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რაც გაზრდის უთანასწორობასთან დაკავშირებულ რისკებს.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული შედეგები და სხვადასხვა ქართველი და უცხოელი ექსპერტების მოსაზრებები. ჩამოყალიბებულია ავტორისეული მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომელიც უკავშირდება კორონავირუსით გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისს მსოფლიოსა და საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: *კორონომიკა, კრიზისი, ეკონომიკა*

COVID-19-ის შესაძლო ეკონომიკური შედეგები

COVID-19 პანდემია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და გლობალური სტაბილურობის თვალსაზრისით. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების თანახმად, კრიზისი ამაზე უარეს პერიოდში ვერ მოხდებოდა. თუმცა, ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან პანდემიის საფრთხე გასულ საუკუნეშიც იზრდებოდა. Dengue, Ebola, SARS, Zika, H1N1 - ესენი მხოლოდ აისბერგის ზედა ნაწილია. 1980 წლიდან მოყოლებული, 12 000-ზე მეტმა დოკუმენტურად დადასტურებულმა ინფექციურმა დაავადებამ შეიწირა ათობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე მთელს მსოფლიოში.

საზოგადოება და მსოფლიო მოუმზადებელი შეეხვდა ეპიდემიის გავრცელებას, რომელიც გარდაუვალი იყო, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით გადაწყვეტილების მიმღები პირების დაგვიანებულ რეაქციებს. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაჟღერებული მოსაზრებების თანახმად, კრიზისი ამაზე უარეს პერიოდში ვერ მოხდებოდა, ვინაიდან წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნებში არსებული დიდი კორპორატიული ვალის გამო ეკონომისტები რეცესიის განმეორებას ისედაც ვარაუდობდნენ 2020 წლისთვის. საგარეო ვალი და სოციალური უთანასწორობა საქართველოსთვისაც ძირითად გამოწვევებს წარმოადგენს. კრიზისმა უფრო თვალსაჩინო გახადა, რომ ქვეყნის ეკონომიკა არ უნდა იყოს დამოკიდებული ტურიზმზე, ფულად გზავნილებსა და მომსახურებაზე. ინდუსტრიულმა ქვეყნებმა დაიწყეს ფიქრი წარმოების საშუალებების დივერსიფიკაციაზე, რისთვისაც უზარმაზარი რაოდენობის თანხები გამოიყო. ახლა, როგორც არასდროს, საქართველოს აქვს შანი გახდეს რეგიონში ერთ-ერთი წარმატებული მწარმოებელი ქვეყანა, თანდათანობით შეამციროს იმპორტი და გაზარდოს დასაქმება, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლო ფაქტორს წარმოადგენს.

მთავრობებმა, ბიზნესმა და ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მოხდეს ეპიდემიის მრუდის გაბრტყელება (სურ 1). კაცობრიობას COVID-19 ძვირად დაუჯდება.

დიაგრამა 1. ეპიდემიის გავცრელება სახელმწიფოს ჩაურევლობის და ჩარევის შემთხვევაში



შედგენილია შემდეგი ვებ-გვერდის მიხედვით: https://www.livescience.com/coronavirus-flatten-the-curve.html

ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მსოფლიო მოსახლეობის 20-დან 60%-მდე შესაძლოა დაინფიცირდეს და ვირუსმა 14-დან 42 მლნ. ადამიანამდე შეიწიროს (მსოფლიო მოსახლეობის მაქსიმუმ 5.5%). ამ ყოველივეს არანაკლები შედეგი ექნება ეკონომიკაზეც. ბრუკინგსის ინსტიტუტის შეფასებით, პანდემიის შეჩერების შემთხვევაშიც იგი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს გლობალურ ეკონომიკაზე. ყველაზე ცუდი სცენარის შემთხვევაში კი 9 ტრლნ. აშშ დოლარზე მეტით შეიძლება შემცირდეს გლობალური მთლიანი შიგა პროდუქტი. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსალოდნელია მოკლევადიანი რეცესია და არ არის გამორიცხული ახალი დეპრესია 2021 წლისთვის. მაშინ როდესაც დემოკრატიით კმაყოფილება ათწლეულების განმავლობაში დაბალ ნიშნულზეა, ამ გაუარესებულ ეკონომიკურ მდგომარეობას პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე გრძელვადიანი უარყოფითი შედეგი ექნება.

პანდემია განსაკუთრებით დააზარალებს ღარიბ და დაუცველ ხალხს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რაც გაზრდის უთანასწორობასთან დაკავშირებულ რისკებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყოველი მე-8 ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, მათ ¾-ზე მეტი კი ხელფასიდან ხელფასამდე ცხოვრობს.

ახლა, ისე როგორც არასდროს, საჭიროა საყოველთაო საპასუხო ქმედება. G7 (კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, გაერთიანებული სამეფო და აშშ) და დიდი ოცეულის ქვეყნებმა უნდა გადადგან ნაბიჯები, რომ ნდობა აღადგინონ არამხოლოდ ბაზრებზე, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტებშიც. გლობალური დღის წესრიგში უნდა იდგეს COVID-19-ის და მომავალში მოსალოდნელი სხვა პანდემიების შემაკავებელი ძლიერი და მრავალმხრივი მექანიზმის შემუშავება. საბოლოოდ, კრიზისი დასრულდება, მაგრამ უამრავი ადამიანი დაიღუპება

და პანდემიის საშიშროება კვლავ გამოწვევად დარჩება. კრიმინალური დანაშაულის ტოლფასი უნდა იყოს მუდმივი გლობალური სტრუქტურის არქონა მომდევნო პანდემიასთან გასამკლავებლად, მანამ, სანამ ის მოხდება.

კორონა ვირუსის გავლენა გლობალურ მოთხოვნასა და მიწოდებაზე

2008 წლის კრიზისზე საპასუხოდ, დასავლეთის ცენტრალური ბანკების მიერ უპრეცენდენტო დაბალი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკის შედეგად წარმოქმნილმა რეკორდულად იაფი სესხების პოლიტიკამ საფონდო ბირჟებზე აქციათა ფასების მუდმივი ზრდა გამოიწვია და ეს სპეკულაციური რეალობა უკვე ოფიციალურად დასრულებულად შეგვიძლია გამოვაცხადოთ. 2008 წლის გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის წყარო ეკონომიკაში იყო, ხოლო ამჟამინდელი კრიზისი უკავშირდება მედიცინის სფეროს (პაპავა & ჭარაია, 2020).

დღეს გლობალური ბაზრები ორმხრივი შოკიდან, როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების გამოწვეულ ჩავარდნას განიცდიან. თუ კომპანია ვერ ყიდის პროდუქტს, რადგან მყიდველი აღარ ჰყავს, ეს საფონდო ბირჟაზე ამ კომპანიის აქციების ღირებულებას შეამცირებს. ვირუსული ინფექციით გამოწვეულმა ბიოლოგიურმა კრიზისმა, ფინანსური ბაზრების ღირებულება შეამცირა. ჩინეთი გლობალური მიწოდების ჯაჭვის მთავარი ცენტრია. ჩინურ ქარხნებში იწარმოება ელექტორონული და ფარმაცევტული ინდუსტრიის ღირებულებათა ჯაჭვის უდიდესი ნაწილი. მაგალითად, ჩინური საწარმოების გაჩერებამ დიდი დაბრკოლება შეუმქნა სამხრეთ კორეის საავტომობილო ინდუსტრიას, რომლებსაც თავიანთი წარმოების გარკვეული შუა რგოლების ჩინეთში აუთსორსინგის გამო, შეექმნათ პრობლემები (გაბიცინაშვილი, 2020).

კორონა ვირუსის გავლენა საქართველოზე

2008 წლის ფინანსური კრიზისისგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად საბანკო სექტორთან იყო დაკავშირებული, ახალი კორონა ვირუსის მიერ შექმნილი ეკონომიკური კრიზისი ბევრად მეტ გამოწვევას უყენებს სახელმწიფოებს. გაჩნდა ტერმინი კორონომიკა[1], რომელიც კორონავირუსის უარყოფითი ფონით გამოწვეულ ეკონომიკის ჩამოშლას უკავშირდება. ეკონომიკა აღმოჩნდა ახალ ვითარებაში და როგორც ამას პროფესორი ვლადიმერ პაპავა აღნიშნავს, მედიცინის წარმატებაზეა დიდწილად დამოკიდებული ეკონომიკა ამჟამად (პაპავა, 2020).

2008 წლის კრიზისმა გვასწავლა, რა ხდება მაშინ როდესაც სახელმწიფოები ეკონომიკას უპირობო ლიკვიდურობით დატვირთავენ, იმის მაგივრად, რომ შექმნან მდგრადი და ინკლუზიური აღდგენის საფუძვლები (Mazzucato, 2020).

საქართველოს მთავრობამ დროულად დაიწყო ფიქრი გამოსავალზე და სწრაფად გამოიყენა ზომები ბაზრის სხვადასხვა მონაწილეზე მკვეთრი ზემოქმედების შესამცირებლად (ბაბიჩი, კეშელავა, & მჟავანაძე, 2020). ტურიზმის და ფულადი გზავნილების შემცირება ლარს მალევე დაეტყო და იგი რეგიონულ ვალუტებთან მიმართებით უპრო მეტად გაუფასურდა. ფუნდამენტური ფაქტორები, რომლებიც ლარის გაუფასურებას ხელს უწყობს, არის სავაჭრო ბალანსში მიმდინარე პროცესების შედეგი. ვინაიდან საქართველო არის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა, უცხოური ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება.

[1] იხ. ბმული: http://www.ft.lk/columns/Coronomics-Plan-your-eggs-and-the-basket/4-695109

საქართველოში, სახელმწიფომ ვირუსის გამოჩენიდან მალევე მიიღო საკარანტინო და საგანგებო მდგომარეობა. დამტკიცდა ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება[1], რომელიც შეეხო მიმოსვლის, საგანმანათლებლო პროცესის, კულტურული და სპორტული ღონისძიებების, ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვას. ბუნებრივია, ამ ყოველივეს თავისი უარყოფითი გავლენა ექნება ადამიანებზე, როგორც მორალური ასევე ფინანსური თვალსაზრისით. ტურისტების და ფულადი გზავნილების შემოდინების შეწყვეტამ, თავისი გავლენა იქონია ლარის კურსზე და იგი კიდევ უფრო გაუფასურდა. ამ ყოველივეს ფონზე სამომხმარებლო პროდუქტის ფასებიც გაიზარდა. დაიხურა რესტორნები, კაფე-ბარები, სპორტული დაწესებულებები და ა.შ. შესაბამისად, ყველაზე დიდი დარტყმა მიადგა მცირე და საშუალო ბიზნესს. ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ დისტანციურად მუშაობის საშუალება და დასაქმებულები არიან მცირე ბიზნესში, ძირითადად, საბანკო ვალდებულებებზე არიან დამოკიდებული. შესაბამისად, ამ მხრივ საქართველოში დაბალშემოსავლიან ადამიანებზე ყველაზე უარყოფითად იმოქმედებს ვირუსის უარყოფითი გავლენა. ბევრი ადამიანი სამსახურის გარეშეც კი დარჩა. ამ უკანასკნელში მოიაზრება ის ხალხი ვინც ტურიზმის სფეროში იყო დასაქმებული. გარდა ამისა, უცხორი ინვესტიციების შემცირებაც გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას ამ პერიოდში. შინამეურნეობებს, რომელთაც სესხი დოლარში აქვთ აღებული, მოუწევთ ზედმეტი ხარჯის გაწევა ლარის კურსის ცვალდებადობის გამო. ფაქტობრივად, ვისი სამსახურიც არ იძლევა დისტანციურად მუშაობის საშუალებას, მათ ყველაზე დიდი ზარალი ადგებათ.

საქართველო, ბევრი სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, ვირუსს ბევრად უკეთ მომზადებული შეხვდა და შეძლო საწყის ეტაპზე მისი მოთოკვა. ავტორის, ალექსანდრ სკრივენერის სტატიაში აღნიშნულია, რომ მდიდარ ქვეყანად ყოფნა არ არის იმის გარანტია, რომ კრიზისის დროს ეფექტური პოლიტიკის შემუშავება მოხდეს (Scrivener, 2020). მას მაგალითად მოჰყავს ნიდერლანდები, ვინაიდან ვირუსის პირველი დადასტურებული შემთხვევა ამ ორ ქვეყანაში თითქმის ერთსა და იმავე დღეს მოხდა. თუმცა, ნიდერლანდების მთავრობამ ვერ მოახდინა ვირუსის გავრცელების შეჩერება. საქართველოსგან განსხვავებით, იქ არ მიიღეს მკაცრი ზომები, რამაც გამოიწვია ვირუსით სიკვდილიანობა, მაშინ როდესაც საქართველოში არც ერთი შემთხვევა არ იყო დაფიქსირებული და პაციენტების მკურნალობამ შედეგი გამოიღო.

საკონსულტაციო კომპანია Reformatics-მა, გამოაქვეყნა ანტიკრიზისული ეკონომიკური ფორმულა, რომელიც დროებითია და მხოლოდ განსაკუთრებულ სიტუაციაში უნდა იყოს გამოყენებული. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ უნდა მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ვინაიდან, მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ნაწილს არ გაუნულდეს შემოსავალი. გარდა ამისა, რეკომენდაციას აძლევენ მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერასაც, რაც უკავშირდება მორატორიუმის შემოღებას საგადასადო ვალდებულებებზე.

კომპანია „გალტ ენდ ტაგარტმა“ გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს ბიოლოგიური საფრთხეებისადმი მზაობა მაღალშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (51.9) უტოლდება. კრიზისის დროს, როგორც წესი, კერძო ინვესტიციები მკვეთრად ეცემა. ამას ადგილი ჰქონდა 2008 წლის მსოფლიო გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, რასაც ომი დაემთხვა და უძრავი ქონების ფასები ლარში 27%-ით, ხოლო დოლარში 34%-ით დაეცა.

[1] იხ. ბმული: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=0

„გალტ ენდ ტაგარტის“ 2020 წლის კვარტალურ გამოცემაში მოცემულია კორონავირუსის გავლენა თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე (ბოჭორიშვილი & სამყურაშვილი, 2020). კვლევაში ნათქვამია, რომ Covid-19-ს პანდემიამ უძრავი ქონების ბაზრის მოლოდინები მკვეთრად გააუარესა. 2020 წლის მარტში საგანგებო მდგომარეობის ამოქმედებამდე უძრავი ქონების გაყიდვები იზრდებოდა. დეველოპერები და კერძო ინვესტორები არ ჩქარობენ ფასების დრამატულად შეცვლას, რომ მოერგონ ახალ რეალობას.

უძრავი ქონების პორტალის „სიტყვა და საქმე“, კვლევის თანახმად, დედაქალაქში გასაყიდ უძრავ ქონებაზე მოთხოვნა, კორონა ვირუსის დაფიქსირებიდან ერთ თვეში, 33%-ით შემცირდა, რის პარალელურადაც მიწოდება - 55%-ით. შემცირება აისახა ასევე საიტზე განთავსებული განცხადებებისა და ვიზიტორთა რაოდენობაში. მოთხოვნის შემცირება დედაქალაქში გასაქირავებელ უძრავ ქონებასაც დაეტყო. შესაბამისად, პრობლემები შეექმნათ იმ ადამიანებს, ვინც ბინების გაქირავებით იყვნენ დაკავებულები. თბილისში ბინებს, დიდწილად, სტუდენტები ქირაობენ, მათი უმეტესობა კი მომსახურების სექტორში, სასტუმროებში, ტურისტულ კომპანიებსა და კაფე-ბარებში არიან დასაქმებულები. საქართველოში შეზღუდვების შემდეგ, მომსახურების ობიექტები დაიხურა, შესაბამისად, სტუდენტების უმეტესი ნაწილი შემოსავლის გარეშე დარჩა, რამაც გამქირავებლებს პრობლემა შეუქმნა.

სახელმწიფომ, საქართველოში კორონა ვირუსის დაფიქსირებიდან ორი თვის თავზე ანტიკრიზისული სოციალურ-ეკონომიკური გეგმა წარადგინა. გეგმის მეორე ეტაპზე კი გათვალისწინებული არიან ის ადამიანები, რომლებიც აქირავებს კუთვნილ საცხოვრებელ ფართებს ბინების გაქირავების ელექტრონული პორტალების მეშვეობით (Airbnb.com, booking.com და სხვა), რომელთა კომპენსაციის მოცულობა ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით განისაზღვრა. თუმცა, მათ უნდა წარადგინონ საბანკო ამონაწერი, სადაც გამოჩნდება შესაბამისი კომპანიიდან მიღებული შემოსავალი. Booking.com-ის მონაცემებით, მხოლოდ თბილისში 4,868 უძრავი ქონება ქირავდება, Airbnb-ის მეშვეობით რეგისტრირებული ოთახების რაოდენობა კი 10,000-ს აჭარბებს.

მკვლევარებმა შეისწავლეს თუ საქართველოში დასაქმებულთა რა ნაწილს შეუძლია დისტანციურად იმუშაოს სახლიდან, რომლის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ დასაქმებულთა მხოლოდ 24%-28%-ს შეუძლია დისტანციურად მუშაობა. კვლევაში ნათქვამია, რომ 1.2-1.3 მილიონი დასაქმებული ადამიანი, კრიზისის პერიოდში, ვერ შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას დისტანციური რეჟიმით, რაც პირდაპირ აისახება მათ შემოსავალზე (ყიფიანი & მახარაძე, 2020). ვინაიდან მომსახურების სფეროში საქმიანობის გაგრძელება დისტანციურად შეუძლებელია, ყველაზე მეტად დაზარალდნენ აქ მომუშავე ადამიანები, რის შედეგადაც დაკარგეს შემოსავლები და შემცირდა მოთხოვნა ქირაზე და საცხოვრისზე.

გლობალური უძრავი ქონების მომსახურების წამყვანი ფირმის Cushman & Wakefield Georgia-ს მიერ 2020 წლის მარტში წარმოდგენილ ანგარიშში ნათქვამია, რომ უძრავი ქონების ბაზარი დიდწილად დამოკიდებულია ფულად გზავნილებზე, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებიდან, სადაც კორონავირუსი ფართოდაა გავრცელებული. შესაბამისად, მოსალოდნელია ამ ფულის შემოდინების სწრაფი კლება და შემდგომი უარყოფითი გავლენა აღნიშნულ სექტორზე (Veritas Brown, 2020). საცხოვრისის ბაზრის სექტორს კრიზისთან გამკლავება ასე თუ ისე შეუძლია, ვინაიდან როდესაც 2019 წლის საბანკო რეგულაციები ძალაში შევიდა, მოკლევადიან პერიოდში გაყიდვები შემცირდა, თუმცა შემდეგ კვლავ გაიზარდა. 2020 წლის მაისის მიწურულს სახელმწიფომ უძრავი ქონების სექტორის დახმარების პაკეტი წარადგინა, რითიც ხელი შეუწყო

მოთხოვნის სტიმულირებას და სამშენებლო კომპანიების მიერ ფასების შენარჩუნებას. პროგრამაში კომერციული ბანკები ჩაერთვნენ. შედეგად, კი სესხებზე მოთხოვნა გაიზარდა და

დასკვნები და რეკომენდაციები

კრიზისმა ყველაზე მეტად მცირე და საშუალო ბიზნესი დააზარალა. მისი გადავლის შემდეგ, დრო დასჭირდება ადამიანების მორალური და ფინანსური ზიანის აღდგენას. მოთხოვნადი გახდება ისეთი პროფესიის წარმომადგენლები, როგორიცაა ფსიქოლოგები, ფიტნეს ინსტრუქტორები და ა.შ. ბანკები და კერძო კომპანიები გვერდით უნდა დაუდგნენ თანამშრომლებს და შეუმსუბუქონ მათ ის ტვირთი გადასახადების სახით, რაც ვირუსის გამო უმუშევრობის შედეგად მიადგათ.

მსოფლიო სავაჭრო წესრიგი იცვლება. განვითარებული ქვეყნები ეცდებიან მაქსიმალურ დივერსიფიკაციას ჩინეთისგან, საწარმოთა ძირითადი ნაწილის საკუთარ ქვეყნებში გადატანა, იქ არსებული მაღალი დანახარჯების გამო არაეფექტიანი იქნება. ამ ლოგისტიკურ ჯაჭვში, სადაც ტრილიონობით დოლარის მოცულობის თანხებზეა საუბარი, საქართველოს აქვს ყველა წინაპირობა, რომ თავისი ადგილი იპოვოს. რეგიონულ ქალაქებში შესაძლებელი გახდება ფაბრიკა/ქარხნების გადმოტანა და აწყობა, რომელიც მანამდე ჩინეთიდან ოპერირებდა. ეს კი, დასაქმების დიდი წყარო გახდებოდა რეგიონებში. თუ საქართველო შეძლებს წარმოების საშუალებების ქვეყანაში დამკვირდებას და ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების წარმოებას, იმპორტის შემცირების მიზნით, ეს ლარის სტაბილურობას და გამყარებას შეუწყობს ხელს გრძელვადიან პერიოდში.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბევრი ბიზნესი სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, თვითონ ფული არსად ქრება. თუ ამას დავუმატებთ წამყვანი ქვეყნების უზარმაზარ ფისკალურ სტიმულუსებს, ხელმისაწვდომი გახდება ისეთი ფინანსური რესურსების მოზიდვა, რომელებიც მანამდე ხელმიუწვდომელი იყო. ამ თანხების ათვისება და საკუთარი ეკონომიკური განვითარებისკენ მიმართვა, ასევე სრულიად ახალ შესაძლებლობებს აჩენს საქართველოსნაირი ქვეყნებისთვის.

ნათელია, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება დისტანციურად მუშაობა და სერვისების ონლაინ მიწოდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს იმას ნიშნავს, რომ უამრავი სერვისის მიმწოდებლი კომპანიისთვის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა სულ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდება. სწორი მარკეტინგის, გამართული საგადასახადო სისტემის და ადეკვატური სამართლებრივი გარემოს შეთავაზებით, შესაძლებელია საქართველო ძალიან მიმზიდველ ადგილად იქცეს.

თუ აქამდე არაერთი შეზღუდვა არსებობდა, ახლა საუკეთესო დროა ელექტრონული მთავრობის მიმართულებით რეფორმების განხორციელებისთვის. ესტონეთისა და სინგაპურის მაგალითებით, ეს შეამცირებს დანახარჯებს და გაზრდის ეფექტურობას, რაც პირდაპირ აისახება ინვესტიციების მოზიდვაზე. ნებისმიერი ასეთი დონის კრიზისი არის შესაძლებლობა, რომ ქვეყანამ სწორი პოლიტიკის გატარებით წარმატებას მიაღწიოს.

ლიტერატურა:

1. Mazzucato, M. (2020, March 30). *Capitalism's Triple Crisis*. Retrieved from Project Syndicate: https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-crises-of-capitalism-new-state-role-by-mariana-mazzucato-2020-

03?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=83c80c6658-sunday_newsletter_03_04_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-8

2. Scrivener, A. (2020, March 22). Why is Georgia succeeding with the coronavirus where many Western countries are failing?
3. Veritas Brown, C. (2020). *Coronavirus: Impact On Real Estate Market.* თბილისი: Cushman & Wakefield Georgia.
4. ბაბიჩი, ი., კეშელავა, დ., & მჟავანაძე, გ. (2020). *ეკონომიკური რეაგირება COVID-19-ზე: როგორ უმკლავდება გამოწვევას საქართველო?* თბილისი: International School of Economics at TSU Policy Institute.
5. ბოჭორიშვილი, ე., & სამყურაშვილი, კ. (2020). *თბილისის უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა.* თბილისი: Galt And Taggart.
6. გაბიცინაშვილი, მ. (2020, March 19). *1tv.ge*. Retrieved from https://1tv.ge/analytics/virusi-da-kapitalizmi/?fbclid=IwAR1iUC4PwEZ-bfiFXH3dwJTgpu4-qq8MaoUPdeHlBpBt5LnoS42sLx6HjZ8
7. პაპავა, ვ. (2020, March 14). Retrieved from https://www.interpressnews.ge/ka/article/589879-lado-papava-dges-ekonomika-medicinis-mzevalia/
8. პაპავა, ვ., & ჭარაია, ვ. (2020). *კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა.* თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.
9. ყიფიანი, ი., & მახარაძე, დ. (2020). *საქართველოში დასაქმებულთა რა ნაწილს შეუძლია იმუშაოს სახლიდან?* თბილისი: ISET.

The Impact of the Corona Virus on the World and Georgian Economies

Giga Kikoria

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Invited Lecturer, Doctor of Economics

SUMMARY

If we look at the history of world economic crises, we will see one regularity that since 1970, the crisis has been repeated on average once every 10 years. A new biological crisis has caused panic in the financial markets and put the world in a completely different reality. The term "coronomics" was coined to refer to the negative economic consequences of the coronavirus. Consequently, the methods used to overcome the global crisis of 2008 are now unsuitable. Moreover, experts note that this crisis will be deeper and longer-lasting, as it will simultaneously affect business, employment and bring about socio-political change. The pandemic will particularly affect poor and vulnerable people in many countries around the world, increasing the risks associated with inequality.

This paper discusses the consequences of the COVID-19 pandemic and the views of various Georgian and foreign experts. Authorial opinions and recommendations related to the economic crisis caused by the coronavirus in the world and in Georgia have been formed.

ბალტიის ქვეყნების გამოცდილების ანალიზი და მისი გათვალისწინება საქართველოს შრომის ბაზრის პოლიტიკის ფორმირებაში (კოვიდ-19 პანდემიის კონტექსტით)

სალომე კობახიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დოქტორანტი

სტატიაში მოცემულია შრომის ბაზრის პოლიტიკის შედეგების გაუმჯობესებისთვის გასატარებელი ღონისძიებების ანალიზი. განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული შრომის ბაზრის პოლიტიკა, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის. გარდა ამისა, მოცემულია იმ ქვეყნების მაგალითები, რომლებმაც წარმატებით განახორციელეს აღნიშნული პოლიტიკა. სტატიაში ასევე, გამახვილებულია ყურადღება, ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, შემოთავაზებულია გზები ამ პრობლემების გადასაჭრელად და ეფექტიანი შრომის ბაზრის პოლიტიკის გატარების ხელშესაწყობად. ამასთან, გაანალიზებულია კოვიდ-19-ის პანდემიის ეფექტით გამოწვეული შრომის ბაზრის ცვლილებები და ის გამოწვევები, რის წინაშეც დააყენა ახალმა რეალობამ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები. შემოთავაზებულია გზები, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში პანდემიის ეფექტის გასათვალისწინებლად.

საკვანძო სიტყვები: *შრომის ბაზრის პოლიტიკა; ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები; პოლიტიკის შედეგები; საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება; კოვიდ-19-ის პანდემიის ეფექტი;*

JEL Codes: *J08, J46, J88.*

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მასზე უშუალოდ აისახება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მოვლენები. შრომის ბაზარი არის ადგილი, სადაც დასაქმებულები და დამსაქმებლები ხვდებიან ურთიერთქმედებენ საკუთარი კეთილდღეობის ოპტიმიზაციის მიზნით. შრომის ბაზარი, ეს არის სოციალური ნორმების, ინსტიტუტებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებასა და გამოყენებას მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე. შრომის ბაზრის გამართული ფუნქციონირება ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების და ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. სწორედ ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ შრომის ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესების გზები საქართველოში ბალტიის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

ამ ეტაპზე, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს „ევროკავშირში გაწევრიანება“ წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისთვის სასარგებლო იქნება ბალტიის ქვეყნების მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი.

თუმცა, რაც არ უნდა კარგად იქნეს შედგენილი ეკონომიკური პროგრამები, რომლებიც უცხო ქვეყნების გამოცდილების გამოყენებას ემყარება, მაინც გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არსებობს ცოდნის ეფექტიანად გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები, რასთან გამკლავებაც მოუწევთ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს.

მსოფლიოში მომხდარმა უკანასკნელმა მოვლენებმა (კოვიდ-19-ის პანდემია) ნათლად დაგვანახა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საკითხში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინების საჭიროება, ვინაიდან შრომის ბაზარმა კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად მნიშვნელოვანი მოდიფიცირება განიცადა მთელს მსოფლიოში.

შეიძლება ითქვას, რომ „შრომის ბაზრის პოლიტიკის“ კონცეფციას აქვს ორი ძირითადი კომპონენტი: (1) დასაქმებისა და საწარმოო ურთიერთობების მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება; და (2) ე.წ. „პასიური“ და „აქტიური“ საბაზრო პოლიტიკა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების ბოლო დებატებში ასახულია განსხვავებული შეხედულებები შედარებითი მნიშვნელობის შესახებ, რომელიც უნდა მიენიჭოს ამ ელემენტებს. შესაბამისი პოლიტიკის გამოცდილების დიდი ნაწილი შეჯამებულია OECD-ის სამუშაო სტრატეგიაში, რომელიც პირველად დაიწყო 1994 წელს და შემდგომში ექვემდებარება მუდმივ განახლებას იმ კვლევებზე დაყრდნობით, რომლებიც მონიტორინგს უწევენ მის განხორციელებას სხვადასხვა წევრ ქვეყანაში.

OECD სამუშაო სტრატეგია შედგება შრომის ბაზრის პოლიტიკის ათი ფართო მიმართულებისგან, რომელთაგან პირველი ექვსი და მეათე დაკავშირებულია ინსტიტუციურ ჩარჩო პირობებთან ბიზნესისთვის, სამუშაო ადგილების შექმნისა და ხელფასების დაწესებისთვის, რომელიც ემყარება 60-ზე მეტ დეტალურ რეკომენდაციას. რაც ითვალისწინებს იმ გამოცდილებას, რომ OECD-ის ბევრ ქვეყანაში დასაქმების შესაძლებლობები ძალიან შეზღუდული იყო გადაჭარბებული რეგულაციებით. სამი მიმართულება ეხება შრომის ბაზრის აქტიურ და პასიურ პროგრამებს, რომლებიც ექვემდებარებოდა OECD-ის დეტალური კვლევების სერიას და ასევე შეფასების კვლევას წევრ ქვეყნებში. დასაქმების სტრატეგიის ძირითადი რეკომენდაციები გამართლდა შემდგომ კვლევებში, რომლებმაც დაადგინეს, რომ ქვეყნები, რომლებიც მათ სრულფასოვნად ახორციელებდნენ, ყველაზე წარმატებულები იყვნენ დასაქმების გაზრდასა და უმუშევრობის შემცირებაში (OECD. 1996).

OECD-ის მიერ გამოქვეყნებული 2002 წლის *დასაქმების პერსპექტივა,* რომელიც აანალიზებს OECD ქვეყნების უმრავლესობის ინდიკატორებს, აღმოაჩენს, რომ პროდუქტის ბაზრის საწინააღმდეგო რეგულაციები მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს არასასოფლო-სამეურნეო დასაქმებაზე და ისინი ამახინჯებენ შედარებით ხელფასებს მუშაკების საზიანოდ. უფრო კონკურენტუნარიანი პროდუქტი-ბაზრის სექტორები. 2002 წლის გაზაფხულზე ეკონომიკური პერსპექტივაში მოხსენებული კვლევა მიუთითებს ინოვაციებისა და უკეთესი პროდუქტიულობის გადამწყვეტ როლზე, როგორც მამოძრავებელ ძალაზე ეკონომიკურ ზრდაში. ასევე დადგინდა, რომ პროდუქციის ბაზრის კონკურენციის გაძლიერების პოლიტიკა და დასაქმების დაცვის გამარტივება ზრდის ეფექტიანობის გაუმჯობესების სტიმულს (OECD, 2002[2]).

OECD სამუშაო სტრატეგია მოიცავს:

1. მაკროეკონომიკური პოლიტიკა უნდა შემუშავდეს ისე, რომ იგი ხელს უწყობდეს ეკონომიკურ ზრდას და, კარგ სტრუქტურულ პოლიტიკასთან ერთად, მის მდგრადობას.

2. გააძლიეროს ტექნოლოგიური ინოვაციების შექმნა და დანერგვა მისი განვითარების ჩარჩოების გაუმჯობესებით.

3. სამუშაო დროის მოქნილობის გაზრდა, რომელიც ითვალისწინებს როგორც დასაქმებულების, ასევე დამსაქმებელთა ინტერესებს.

4. სამეწარმეო კლიმატის გაუმჯობესება საწარმოს შექმნისა და გაფართოების დაბრკოლებებისა და შეზღუდვების აღმოფხვრის გზით.

5. ხელფასები და შრომის დანახარჯები უნდა გახდეს უფრო მოქნილი იმ შეზღუდვების მოხსნით, რათა ხელფასთან ერთად გათვალისწინებული იყოს ადექვატური სამუშაო პირობები და ინდივიდუალური კვალიფიკაციის დონე, განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშაკებისთვის.

6. უნდა განხორციელდეს რეფორმები დასაქმების უსაფრთხოების დებულებებში, რომ მათ ხელი აღარ შეუშალონ კერძო სექტორში დასაქმების გაფართოებას.

7. შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკაზე აქცენტის გაძლიერება და მათი ეფექტიანობის ამაღლება.

8. უნდა გაუმჯობესდეს სამუშაო ძალის უნარები და კომპეტენციები განათლებისა და ტრენინგის სისტემებში ფართომასშტაბიანი ცვლილებებით.

9. უმუშევრობისა და მასთან დაკავშირებული შეღავათების სისტემების რეფორმირება - და მათი ურთიერთქმედება საგადასახადო სისტემასთან - ისე, რომ საზოგადოების ფუნდამენ-ტური თანასწორობის მიზნები მიღწეული იქნეს ისეთი გზებით, რომლებიც გაცილებით ნაკლებ ზიანს აყენებს შრომის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას.

10. პროდუქციის ბაზარზე კონკურენციის გაძლიერება ისე, რომ შემცირდეს მონოპოლის-ტური ტენდენციები და ასევე ხელი შეეწყოს უფრო ინოვაციური და დინამიური ეკონომიკის ფორმირებას (OECD, 1994)[1].

ანალოგიურად, ევროკავშირმა 1997 წელს მიიღო დასაქმების ევროპული სტრატეგია (EES). იგი საფუძვლად დაედო დასაქმების ეროვნულ სამოქმედო გეგმებს წევრ ქვეყნებში და იმ ქვეყნებში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ევროკავშირის წევრობას, მათ შორის ბალტიისპირე-თის ქვეყნებში. სტრატეგიის ძირითადი მიზნები გამოიხატებოდა ოთხ ძირითად მიმართულე-ბაში:

- დასაქმების გაუმჯობესება (სამუშაოს მაძიებელთა).
- მეწარმეობა.
- ადაპტაცია (ბიზნესისა და მათი თანამშრომლების).
- თანაბარი შესაძლებლობები (მამაკაცები და ქალები, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ა.შ.).

ამრიგად, EES მოიცავს დაახლოებით იგივე პოლიტიკის საკითხებს, რასაც OECD სამუშაო სტრატეგია, თანაბარი შესაძლებლობების დამატებით." ასევე, OECD-ის მსგავსად, გამოთქვა შეშ-ფოთება ALMPS-ის ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობის შესახებ. EES-ის მიერ 1997 წელს გათვალისწინებული მთავარი მიზანი იყო იმის უზრუნველყოფა, რომ ხუთი წლის განმავლობა-ში ყველა უმუშევარს ჰქონოდა შეთავაზება „ახალი დასაწყისი“-ს სახით. "ტრენინგის, გადამზა-

[1] 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში OECD-ის ბევრ ქვეყანაში მაღალი და მუდმივი უმუშევრობის საპასუხოდ, OECD-მა ჩაატარა შრომის ბაზრის მუშაობის გაუარესების გამომწვევი ფაქტორების ძირითადი კვლევა. შედეგად მიღებული დიაგნოზი გამოქვეყნდა 1994 წელს, როგორც OECD Jobs Study. პოლიტიკის რეკომენდაციები შემუშავებული იყო ეკონომიკისა და საზოგადოებების უნარის გასაუმჯობესებლად „სწრაფად და ინოვაციური ადაპტაციისთვის სწრაფი სტრუქტურული ცვლილებების სამყაროსთან“. პოლიტიკის გაიდლაინები მოიცავდა ცხრა ფართო სფეროს, მათ შორის მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, ინოვაციების შექმნასა და გავრცელებას, სამეწარმეო კლიმატს და სამუშაო ძალის უნარების განვითარებას. მათ ასევე განიხილეს შრომის ბაზრის პოლიტიკისა და ინსტიტუტების სხვადასხვა ასპექტები, განსაკუთრებით შრომის ბაზრის რეგულაციები, ხელფასის დადგენის ინსტიტუტები და უმუშევრობის შეღავათების სისტემები. 1995 წელს დაემატა პოლიტიკის მეათე მიმართულება, რომელიც რეკომენდაციას უწევდა პროდუქციის ბაზრის კონკურენციის ხელშეწყობის პოლიტიკას. ერთად, ეს ათი ფართო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც გამყარებულია თითქმის 70 დეტალური პოლიტიკის რეკომენდაციით, წარმოადგენს პირველ OECD-ის სამუშაო სტრატეგიას. წყარო: oecd.org. წვდომის თარიღი 15.01.2022 https://www.oecd.org/employment/jobs-strategy/about/previous-strategies/#d.en.433762

დების, სამუშაო პრაქტიკის, სამუშაოს ან სხვა დასაქმების ზომების" შესახებ თორმეტ თვემდე დასაქმებულობის მიღწევამდე, ან ექვს თვემდე ახალგაზრდების შემთხვევაში. დანარჩენი თავი პირველ რიგში განიხილავს დასაქმების საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოს, დასაქმების საჯარო სამსახურს და მის აქტიურ და პასიურ პროგრამებს.

ბალტიის ქვეყნების შრომის ბაზრის პოლიტიკის შედეგები

ბალტიისპირეთის სამმა სახელმწიფომ - ესტონეთმა, ლატვიამ და ლიეტუამ - შთამბეჭდავი პროგრესი განიცადა 1990-იანი წლების შემდეგ, როდესაც მათ განიცადეს მძიმე გარდამავალი შოკი საბჭოთა ეკონომიკის დანგრევის შედეგად. 1991 წელს დაიბრუნეს დამოუკიდებლობა, მათ სწრაფად გახსნეს თავიანთი მცირე ეკონომიკები საერთაშორისო კონკურენციისთვის და კოორდინირება მოახდინეს თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკის სხვა საბაზრო ეკონომიკების პოლიტიკასთან და თითქმის დაასრულეს მზადება ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გადასვლა საბაზრო სისტემაზე შეიძლება ჩათვლილიყო არსებითად მიღწეულად უკვე 2000 წლისთვის, როდესაც ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ ევროკავშირის წევრები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მომსახურების რესტრუქტურიზაცია უნდა გაგრძელებულიყო მაღალი ტემპით, რადგან ბალტიის ქვეყნები ჯერ კიდევ შორს იყვნენ OECD-ის ქვეყნებისგან ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ამ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მოხდა შრომის ბაზრისა და სოციალური პოლიტიკის ელემენტების უმეტესობის საფუძვლიანი რეფორმირება.

მათ დაძლიეს ეკონომიკური პოლიტიკის რთული გამოწვევები, რომელთა მოგვარებაც აუცილებელია განვითარებადი ეკონომიკის კორექტირებისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება უმუშევრობისა და დასაქმების პოლიტიკის გატარებას, საპენსიო რეფორმებს, მოხუცებზე და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებზე გრძელვადიან ზრუნვას და ყველაზე ღარიბი შინამეურნეობების მიზნობრივი მხარდაჭერის საჭიროებას. მათ მიერ გატარებული რეფორმები ძირითადად შთაგონებული იყო OECD-ის ქვეყნებში მოყვანილი პოლიტიკის მაგალითებით, საიდანაც ხშირად შეიძლება გამოვიდეს როგორც პოზიტიური, ასევე უარყოფითი პოლიტიკის გაკვეთილები.

პოლიტიკის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა ბალტიის ქვეყნებში არსებული რთული ვითარება, რომელიც გამოირჩეოდა მაღალი უმუშევრობის დონით, მოკრძალებული ცხოვრების სტანდარტებით და შემოსავლების შედარებით არათანაბარი განაწილებით. უფრო მეტიც, როგორც ევროპის გარდამავალი ქვეყნების უმეტესობაში, გადასახადებისა და სოციალური დაზღვევის შენატანების ერთობლივი ტვირთი ძალიან მძიმე იყო, თუნდაც ევროკავშირის სტანდარტებით გაანგარიშებულ მთლიან სამამულო პროდუქტთან[1] (GDP) შედარებით ზომიერი სოციალური დანახარჯებით. ეს ფინანსური ტვირთი, რომელიც უნდა ეტვირთათ საწარმოებს და ფორმალური ეკონომიკის მუშაკებს, ხელს უწყობდა ქვეყნებში არაფორმალური ეკონომიკის მაღალი დონის არსებობას და შემოსავლების ნაკლებ ანგარიშგებას, განსაკუთრებით ლიტვასა და ლატვიაში (OECD, 2002).

2000 წლისთვის უკვე დასაქმების ინსტიტუციური ჩარჩო საფუძვლიანად იყო რეფორმირებული სამ ქვეყანაში და უზრუნველყოფდა შრომის ბაზრის მოქნილობის მნიშვნელოვან ხა-

[1] მსპ - მთლიანი სამამულო პროდუქტი ნაცვლად მთლიანი შიგა პროდუქტისა. (იხ. პაპავა, ვ., სილაგაძე, ა. (2019) „სიახლე ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N1, 2019, გვ. 180-182).

რისხს, ამავდროულად განმარტავდა მუშაკთა უფლებებსა და პასუხისმგებლობებს. 2000 წლიდან უკვე მათი მთავარი გამოწვევა აღარ იყო იმდენად დამატებითი რეგულაციების შემოღება, რამდენადაც არსებულის აღსრულება. ბალტიის ქვეყნებმა დანერგეს უმუშევრობის უზრუნველყოფის (UI) პროგრამები. უმუშევრობის შემწეობის ეფექტიან ადმინისტრირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა დასაქმების საჯარო სამსახურმა (PES) რომელიც უზრუნველყოფდა სამუშაოს მაძიებელთა კონსულტაციას და სამუშაოს ძიებაში დახმარებას.

2000 წლიდან მოყოლებული, ბალტიის სამმა ეკონომიკამ დაიწყო შთამბეჭდავი ზრდა, წელიწადში საშუალოდ 8–9 პროცენტით. 2004 წელს ისინი საბოლოოდ გახდნენ ევროკავშირის წევრები. ამავე დროს, მათ განაცხადეს მზადყოფნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრობისთვის და 2004 წელს გახდნენ ნატოს სრულუფლებიანი წევრები (Åslund, 2013, 2015).

საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომ ბალტიის ქვეყნები საქართველოს მსგავს სასტარტო პოზიციაში იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ისინი გვაძლევენ იმ გამოცდილების წარმატებულ მაგალითს, რა გზის გავლაც საქართველოს უწევს ევროკავშირში ინტეგრაციის მიზნის მისაღწევად, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს მრავალი გამოწვევის დაძლევა მოუწევთ იმისთვის, რომ მათმა ძალისხმევამ სასურველი შედეგები მოუტანოს სახელმწიფოს . “მთავარია არა ცოდნის გამოყენება, არამედ ამ ცოდნის მიღება და მისი გაღრმავება” (გველესიანი, გოგორიშვილი, 2018).

იმისათვის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელმა ეფექტიანად გამოიყენოს ის ცოდნა, რასაც მას განვითარებული სახელმწიფოების მაგალითები სთავაზობს, საჭიროა მოახდინოს სწორი შეფასება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და განსაზღვროს მოსალოდნელი შედეგები. კონკრეტული ღონისძიების შეფასებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმის ცოდნა, თუ რა ზემოქმედებას მოახდენს იგი (საშუალება) დოზირებული გამოყენების შემთხვევაში. სწორედ ასეთი ცოდნის საფუძველზე ხდება შესაძლებელი ღონისძიების მიერ გამოწვეული, როგორც ძირითადი და თანმხლები, ისე მოკლევადიან და გრძელვადიან ზემოქმედებათა განსაზღვრა და შეფასება. ხშირად საშუალების გამოყენების დანახარჯებიც მისი გამოყენების დოზირებაზეა დამოკიდებული. გამოყენების ეფექტი მიზნებსა და საშუალებებს შორის დამოკიდებულებების ტექნოლოგიას ეხება. ასეთი მიმართებები კი განსაზღვრავს რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების შესაძლებლობათა სფეროს. მათი უგულებელყოფა ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტით არასასურველ შედეგებს გამოიწვევს (გველესიანი, ბედიანაშვილი, 2021).

იმისათვის, რომ მოხდეს შრომის ბაზრის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს მთელი რიგი თავისებურებები, რომლებსაც ვხვდებით ქვეყნის რეზიდენტების ეკონომიკურ ქცევაში. იმისათვის, რომ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა ეფექტიანი იყოს, საყურადღებოა, საზოგადოების დამოკიდებულება მათდამი დაკისრებული გადასახადების მიმართ. საქართველოს საგადასახადო სფეროში იკვეთება ყურადსაღები პრობლემები. უნდა ვაღიაროთ, რომ საგადასახადო ორგანოებს საქმე აქვთ საზოგადოებასთან, რომელიც ტრადიციულად გაურბოდა გადასახადების გადახდას. საქართველოში გადასახადების გადახდის კულტურა შედარებით განუვითარებელია, რაც აიხსნება საბჭოური

წარსულით და სახელმწიფოს სისუსტით, ასევე იმით, რომ საზოგადოება ვერ ხედავს კავშირს გადასახადებსა და პირად სარგებელს შორის (ლობჟანიძე, 2017). საერთაშორისო გამოცდილების ეფექტიანად გამოყენებისთვის და იმ მიზნის მიღწევისვთის, რასაც ემსახურება შრომის ბაზარზე გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა, ასევე გასათვალისწინებელია, რომ განვითარებად და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს აღწევს არაფორმალური შრომითი ურთერთობები. (Smith and Stenning, 2006, Aliyev, 2015, კობახიძე, 2020). რაც, ბუნებრივია, თუნდაც იდეალური შრომის ბაზრის ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაშიც კი, კოლაფსის საშიშროებას წარმოშობს. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია არამხოლოდ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება და განხორციელება, არამედ დანერგილი პროგრამების მუდმივი მონიტორინგიც.

ეფექტიანი შრომის ბაზრის პოლიტიკის ფორმირებასთან დაკავშირებული მსჯელობისას, გარდა იმ პრობლემისა, რომ შეიძლება არსებული ცოდნის არასწორად გამოყენება ზემოთჩამოთვლილი მიზეზების გამო, ასევე საყურადღებოა, რომ „მაშინაც კი, როცა ეკონომიკაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე მმართველ პირებს აქვთ სპეციალური ეკონომიკური განათლება, ხშირია შემთხვევები, როცა ისინიც გადაწყვეტილების მიიღებისას ხელმძღვანელობენ არა იმდენად ეკონომიკური მეცნიერების მიერ დაგროვილი ცოდნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობით“ (პაპავა, 2019).

COVID 19-ის პანდემიის ეფექტის გათვალისწინება შრომის ბაზრის პოლიტიკის ფორმირებისას

COVID-19-ის პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა მანამდე არნახული გამოწვევები წინაშე დააყენა. შემთხვევითი არ არის, რომ პანდემიით პროვოცირებულ კრიზისს ბოლო ასი წლის ყველაზე მასშტაბურ ეკონომიკურ კრიზისებს ადარებენ - 1929-1933 წლების „დიდი დეპრესიას“ და 2008-2009 წლების „დიდი რეცესიას“. „დიდმა ლოკდაუნმა“ (Gopinath, 2020), საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, სინქრონულად შეასუსტა ეკონომიკური აქტივობა მთელ მსოფლიოში, მკვეთრად შეამცირა შინამეურნეობათა მოხმარება, განსაკუთრებით დააზიანა მომსახურების სექტორი, დიდი დარტყმა მიაყენა შრომის ბაზარს და საერთაშორისო ვაჭრობას (IMF, 2020). შედეგად, მასობრივად დაიკარგა სამუშაო ადგილები და დაიშრიტა შინამეურნეობების რეგულარული შემოსავლის წყაროები, რამაც სიღარიბის დონის მკვეთრი ზრდის რეალური საფრთხე წარმოქმნა (კაკულია, კაპანაძე, 2020).

კორონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ სააშკარაოზე გამოიტანა ბაზრის ნაკლოვანება, რომელიც ეკონომიკურ თეორიაში „ბაზრის ჩავარდნის“, ანუ „ბაზრის ფიასკოს“ სახელწოდებითაა ცნობილი. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის არაეფექტიანობით ჯანდაცვისა და კერძო ჰოსპიტალურ ქსელებში. „ჯანდაცვა, როგორც საბაზრო პროდუქტი, ფაქტობრივად ჩავარდა“ (Archvadze, 2020, Mekvabishvili, 2020).

მსოფლიოს და შესაბამისად საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა. ბუნებრივია, ამ ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია შრომის ბაზრის პოლიტიკის ფორმირების საკითხში. პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა შრომის ბაზრის სექტორები და გაზარდა არაფორმალური დასაქმების წილი ქვეყანაში. ბოლო დროს ძალიან მწვავედ იჩინა თავი "ფარულმა" უმუშევრობამ. გაიზარდა

იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ვეღარ მუშაობს, მაგრამ ოფიციალურად არც გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა ცდილობს რამენაირად არეგულიროს ეს პროცესი და უმუშევრობას "დროებითი" ხასიათი მისცეს, ანუ შეინარჩუნოს კადრები, რათა ისინი ნებისმიერ მომენტში დაუბრუნდნენ სამუშაოს. ნიშანდობლივია, რომ ისინი სტატისტიკას ამახინჯებენ: უმუშევართა მაჩვენებელში არ აღირიცხებიან, თუმცა ფაქტობრივად ამ მდგომარეობაში იმყოფებიან.

დასაქმებულთა ანუ ხელფასიანთა რიცხვის შემცირება, რა თქმა უნდა, იწვევს მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას. ადამიანები ნაკლებს ხარჯავენ, მოხმარება - ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა - მცირდება. სახელმწიფოს შემოსავლები ეცემა - მცირდება მოსახლეობის მიერ გადასახადების გადახდა, ხოლო ბიუჯეტიდან გასავლები იზრდება, თუნდაც უმუშევრობის გადასახადების, სხვა სოციალური ღონისძიებების სახით. ნიშანდობლივია, რომ რაც უფრო ხანგრძლივია აღნიშნული სიტუაცია, მით უფრო ძნელია ადამიანების სამსახურში დაბრუნება პროფესიული, კონკურენტუნარიანი ფორმით. შედეგად, აუცილებლად იზრდება სოციალური უთანაბრობა (მელაშვილი, ქისტაური, ქველაძე. 2021).

პანდემიის პერიოდში გამოიკვეთა სახელმწიფოს განსაკუთრებული მისია და როლი, რაც საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ახალ როლსა და გამოწვევებში ვლინდება. აღსანიშნავია ეკონომიკური პოლიტიკის ხუთი მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარება. ესენია:

- სახელმწიფო, როგორც ინოვაციების მთავარი შემკვეთი. ინოვაციური პროდუქტების ბაზრებზე სახელმწიფო შეკვეთების დომინირების პოლიტიკა;
- სახელმწიფო, როგორც ინფრასტრუქტურისა და ეკოსისტემის შემქმნელი. ინოვაციური პროდუქტების ბაზრებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ეკოსისტემის შემუშავების პოლიტიკა;
- სახელმწიფო, როგორც დაფინანსების წყარო. ინოვაციური პროდუქტების წარმოებისათვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების პოლიტიკა;
- სახელმწიფო, როგორც ახალი კომპეტენციების შემქმნელი. ახალი კომპეტენციების შექმნისა და სამეწარმეო სფეროში მათი დანერგვის ხელშემწყობი პოლიტიკა;
- ინოვაციათა კულტურის შექმნის სტიმულირების პოლიტიკა.
- უნარები და გადამზადება.

საქართველოს ინოვაციური სამრეწველო დარგების განვითარება და კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია კვალიფიციური სამუშაო ძალის დაკომპლექტებასა და შენარჩუნებაზე. იმის გამო, რომ მოთხოვნები კვალიფიცირებული შრომითი რესურსების მიმართ იზრდება აუცილებელია, რომ განათლება და სწავლება სწრაფად მოდიფიცირდეს როგორც განხორციელების საშუალებებით ასევე შინაარსობრივადაც (გოგორიშვილი, 2021).

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია არაფორმალურ სექტორში დასაქმებულების საკითხის განხილვა, იმდენად რამდენადაც ქართულ შრომის ბაზარზე სწორედ არაფორმალურ დასაქმებას უჭირავს ძირითადი ადგილი. სამუშაო ძალის კვლევაზე დაყრდნობით საქართველოს სტატისტიკის სამსახური გვამცნობს, რომ არასასოფლო-სამეურნეო სფეროში არაფორმალური შრომით დაკავებულია სამუშაო ძალის 36.2%. თუმცა, ცნობილია რომ სამუშაო ძალის კვლევები, როგორც წესი, ვერ ახერხებს სრულად ასახოს არაფორმალური დასაქმების მაჩვენებლები, განსაკუთრებით კი ისეთი “რუხი ზონები”, როგორიცაა დამოუკიდებელი კონტრაქტორების შრომა ონლაინ პლატფორმებზე, ან ონლაინ აპლიკაციის

საშუალებით რეალურ სივრცეში შესრულებული დაკვეთები (ე.წ. gig-ები), რომელსაც ეწევიან მაგალითად ტაქსის მძღოლები და კურიერები. აღნიშნულის მიუხედავად, ცხადია, რომ არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა წილი ქართულ შრომის ბაზარზე საკმაოდ დიდია. კრიზისის პირობებში ისინი ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ, რადგან მათი შემოსავალი, უმეტეს შემთხვევაში, მათ დღიურ შრომაზეა დამოკიდებული - შესაბამისად, სახლში დარჩენა პირდაპირი გაგებით უწყვეტს მათ საარსებო საშუალებას. დაქირავებით დასაქმებულებისაგან განსხვავებით, არაფორმალურ სექტორში მშრომელები განსაკუთრებით მოწყვლადი არიან იმის გამო, რომ მათ აქვთ შრომითი ხელშეკრულებები და სახელმწიფოს მათ შესახებ ინფორმაცია არა აქვს. შრომითი კონტრაქტის შეწყვეტის შედეგად უმუშევრად დარჩენილ ადამიანს სახელმწიფო შეიძლება დაეხმაროს რიგი პროგრამებით, რადგანაც ამ ადამიანების იდენტიფიკაცია მარტივია. არაფორმალურად მშრომელთა იდენტიფიკაცია კი ფაქტიურად შეუძლებელია და ამიტომაც ძალიან რთულია სოციალური უსაფრთხოების სისტემებმა ისინი მოიცვან. სწორედ, ამიტომ პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებულად სწორედ ეს ჯგუფი უნდა მოვიაზროთ (დიაკონიძე, ნაცვლიშვილი (2020).

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, შრომის ბაზრის პოლიტიკის მიმართულების ფარგლებში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- შრომის ბაზრის პოლიტიკის ფორმირების პროცესში, განსახორციელებელი ღონისძიებების მიერ გამომწვევი, როგორც ძირითადი და თანმხლები, ისე მოკლევადიან და გრძელვადიან სავარაუდო ეფექტების გათვალისწინება;
- არაფორმალურად მშრომელთა იდენტიფიკაციისთვის საჭირო პროგრამების შექმნის უზრუნველყოფა;
- შრომის ბაზრის პოლიტიკის ფორმირების პროცესში უცხო ქვეყნის გამოცდილების გამოყენებასთან დაკავშირებული სავარაუდო პრობლემების გათვალისწინება;
- გატარებული შრომის ბაზრის პოლიტიკის მუდმივი მონიტორინგი და შედეგების ანალიზი;
- მოქნილი და ცვლილებებთან მარტივად ადაპტირებადი შრომის ბაზრის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ კოვიდ-19-ით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია შრომის ბაზარზე. მოხდა შრომის ბაზრის სექტორების მოდიფიკაცია, ახალ გარემოსთან შესაბამისობაში. ამიტომ შრომის ბაზრის პოლიტიკის გამტარებელმა, მთელ რიგ ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია გაითვალისწინოს შრომის კოვიდ-19-ის პანდემიის ეფექტიც.

ლიტერატურა:

1. გველესიანი რ., ბედიანაშვილი გ. (2021). დოზირებისა და დაყოვნების პრობლემა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების პროცესში. გლობალიზაცია და ბიზნესი #11, გვ. 18.
2. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., (2018). პროგრესი - სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საწარმოთა სამეწარმეო პოლიტიკის ცვლილების მამოძრავებელი ძალა. გლობალიზაცია და ბიზნესი. გვ. 93.

3. გოგორიშვილი ი. (2021). ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი გამოწვევებიCOVID19-ის პანდემიისა და პოსტპანდემიური პერიოდებში. "ეკონომიკა – XXI საუკუნე". ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.
4. დიაკონიძე ა. ნაცვლიშვილი ვ. (2020). შრომა და სოციალური უსაფრთხოება ახალი კორონავირუსის პანდემიის პერიოდში. რეკომენდაციების პაკეტი საქართველოს მთავრობისთვის. ღია საზოგადოების ფონდი. წვდომის თარიღი: 25.01.2022. https://osgf.ge/rogor-unda-daekhmaros-mtavroba-umushevrad-darchenilebs-rekomendaciebi/
5. კობახიძე ს. (2020). შრომის ბაზრის პოლიტიკის მიზანი და თანამედროვე ტენდენციები. გლობალიზაცია და ბიზნესი. #9. გვ. 37.
6. ლობჟანიძე ნ. (2017). საქართველოს საგადასახადო სისტემის გავლენა მცირე და საშუალო მეწარმეობაზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები" # 1 (1). გვ. 489.
7. მელაშვილი მ., ქისტაური ნ., ქველაძ ქ. (2021). უმუშევრობა და პანდემია. "ეკონომიკა – XXI საუკუნე". ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.
8. პაპავა ვ., სილაგაძე ა. (2019). „სიახლე ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N1, გვ. 180-182.
9. პაპავა ვ. (2019). საით მიდის ეკონომიკური პოლიტიკა? რონდელის ბლოგი. წვდომის თარიღი: 28 იანვარი 2022. https://www.gfsis.org/ge/blog/view/1000
10. OECD. (2002₁). Labour Market and Social Policies in the Baltic Countries. Organisation for Economic Co-operation and Development წვდომის თარიღი 18.01.2022. https://read.oecd-ilibrary.org/employment/labour-market-and-social-policies-in-the-baltic-countries_9789264100077-en#page1
11. Archvadze, I., (2020). Transformation of state function in the postpandemic period. Economy and Business, N2; (In Georgian)
12. Åslund A. (2013). How Capitalism Was Built: The Transformation of Central and Eastern Europe, Russia, the Caucasus, and Central Asia, 2nd ed., New York: Cambridge University Press.
13. Åslund A. (2015). The baltic tigers: Past, present and future. Ifo Institute, Munich, 2015 in: CESifo Forum 16 (4), 03-08.
14. Mekvabishvili E. (2020). Why did Economists Fail to Predict the Global Financial Crisis? *Economics and Business*. Referential and Reviewed International Scientific-Analytical Journal. Volume XII, N 3.
15. კაკულია მ., კაპანაძე ნ. (2020). ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. თბილისი. წვდომის თარიღი: 25.01.2022. https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2901.pdf
16. OECD (2002₂). OECD Employment Outlook. Chapter 5: And the twain shall meet: Cross-market effects of product and labour market policies. წვდომის თარიღი: 19.01.2022. https://www.oecd.org/els/emp/17652691.pdf
17. OECD. (1996). Implementing The Oecd Jobs Strategy Lessons From Member Countries' Experience. Organisation for Economic Co-operation and Development. წვდომის თარიღი: 15.01.2022. https://www.oecd.org/els/emp/1941687.pdf
18. OECD. (1994). OECD Jobs Study. Organisation for Economic Co-operation and Development წვდომის თარიღი: 15.01.2022 https://www.oecd.org/els/emp/1868601.pdf

Analysis of the Experience of the Baltic States and its Deliberation in the Formation of Georgian Labor Market Policy (in the context of the Covid-19 Pandemic)

Salome Kobakhidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

PhD student

SUMMARY

The article analyzes the measures to be taken in order to improve the results of labor market policy. The article discusses labor market policies developed by international organizations for countries with transitional economies. In addition, examples are given of countries that have successfully implemented this policy. The article also focuses on the problems associated with economic policy-making process, suggests ways to solve these

problems, and facilitate effective labor market policy-making process. At the same time article discusses the changes in the labor market caused by the effects of the Covid-19 pandemic and the challenges that economic policy makers are facing due to the new reality. This article suggests the ways to address the effects of the pandemic in the economic policy-making process.
Keywords: *labor market policy; Economic policymakers; Policy results; transitional economies; The effects of the Covid-19 pandemic;*
JEL Codes: *J08, J46, J88.*

ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები და მხარდამჭერი პროგრამები კოვიდ 19 პანდემიის პირობებში

თამარ ლაზარიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სტატიაში დახასიათებულია ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები და მოცემულია მისი მხარდამჭერი პროგრამები კოვიდ პანდემიის პირობებში. შესწავლილია ამ პროდუქტებით მოსახლეობის დაინტერესების დონე და მასზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია.

ნაშრომში გაანალიზებულია კონკურენციის დონე ბიოპროდუქტების ბაზარზე, გამოკვეთილია ბიოპროდუქციის ძირითადი მიმწოდებლები და მომხმარებლები. გაკეთებულია დასკვნა, რომ ორგანული პროდუქციის ყველაზე დიდი მოხმარება მდიდარ ქვეყნებში აღინიშნება. ბოლო წლებში ბიოპროდუქციის მსოფლიო ბაზარი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. თუ ადრე ბიოპროდუქცია მხოლოდ ელიტარულ მომხმარებელზე იყო გათვლილი, დღეს უკვე გაჩნდა ამ პროდუქციით რიგითი მომხმარებლის დაინტერესების ტენდენცია და გაიზარდა კონურენციაც.

სტატიაში გაანალიზებულია ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და შესაბამისი ბაზრის ევროპული მოდელი. საქართველოში ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპულ მოთხოვნებს, თუმცა, საქართველოს ბიოპროდუქტების ბაზარზე შეიმჩნევა მომხმარებელთა ფენის ჩამოყალიბება, რომელიც ჯანსაღი კვების მომხრეა და მზადაა გადაიხადოს განსხვავებული ფასიც. გაანალიზებულია პანდემიის პერიოდში ბიომეურნეობების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები. ბიოსასურსათო პროდუქტების ბაზრის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოებაში არსებული პრობლემების შესახებ და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *ბიოსასურსათო პროდუქტი, ბიოპროდუქტის წარმოება, პანდემია, სახელმწიფო მხადამჭერი პროგრამები.*

ბიოსასურსათო პროდუქტების ბაზარი მსოფლიოში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ასევე, ზრდადია ამ სფეროში ჩართული ფერმერებისა და ბიოპროდუქტებით დაკავებული ფართობების რაოდენობა. ბოლო წლების მონაცემებით, ბიოპროდუქტების მსოფლიო ბაზარი 3-ჯერ და მეტად გაიზარდა. დღევანდელ ევროპაში ბიოსასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა მკვეთრად არის გაზრდილი, მიუხედავად იმისა, რომ ფასები ამ პროდუქტებზე მაღალია. ბოლო წლებში ბიოპროდუქციის მსოფლიო ბაზარი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. თუ ადრე ბიოპროდუქცია მხოლოდ ელიტარულ მომხმარებელზე იყო გათვლილი, დღეს უკვე გაჩნდა ამ პროდუქციით რიგითი მომხმარებლის დაინტერესების ტენდენცია და გაიზარდა კონურენციაც. დღეისათვის აფრიკის, ლათინური ამერიკის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სერიოზულ განაცხადს აკეთებენ ბიობაზარზე და სწორი საექსპორტო პოლიტიკით დიდ წარმატებასაც აღწევენ. ბიობაზრის განვითარება დღეს საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია. ბიოწარმოების განვითარებისათვის აუცილებელია სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა, რადგან ფინანსებზე თავისუფალი ხელმისაწვდომობის გარეშე ასეთი მეურნეობები ვერ განვითარდება. თანამედროვე აგროკრედიტების მსგავსი სისტემა წარმატებით მუშაობს საფრანგეთში, აშშ-ში ფერმერთა საკრედიტო სისტემა, გერმანიანი-რაიფაიზენ კრედიტი, ბელგიაში-ბრეინდენბონდი, ჰოლანდიაში-რაბობანკი და ა.შ. (Lazariashvili T. 2021). გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, ინფრასტრუქტურას (*E. Kharaishvili*, *B. Gechbaia*, G. Erkomaishvili, *M. Lobzhanidze* and I. Natsvlishvili.

2021). საქართველოს, მისი უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქვს კარგი პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქციის სერიოზული მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებისთვის.

ბიოწარმოების ეფექტიანობის ამაღლება პრიორიტეტულია ქვეყნის განვითარებისათვის. განვითარებადი, დაბალშემოსავლიანი ქვეყნები ხშირად აპელირებენ იმაზე, რომ ევროკავშირის პროტექციონისტული პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში ხელს უშლის მათი ექსპორტის ზრდას. თუმცა, სინამდვილეში, განვითარებადი ქვეყენებისთვის მთავარი ხელისშემშლელია არა სავაჭრო ბარიერები, არამედ მათი არასაკმარისი უნარი დაიცვან სტანდარტები და პროდუქტის ხარისხი. ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვენელობისაა საქართველოსთვის, რადგან ქვეყანას აქვს აგროტურიზმის განვითარების კარგი შესაძლებლობა. ასევე, შეუძლია ბიოპროდუქტების გატანა საერთაშორისო ბაზრებზე (Natsvlishvili I., Kharaishvili E., Lazariashvili T. 2020). დღეს მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ბიო წარმოების დივერსიფიკაცია დიდ გავლენას მოახდენს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და სასურსათო ბაზრების განვითარებაზე. კვლევებში გაკეთებულია დაასკვნა, რომ ბიო წარმოება არის ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო სისტემა, რომელსაც შეუძლია მრავალი პრობლემის მოგვარება, როგორიცაა გარემოს დაცვა, დასაქმება, შემოსავლის წარმოება, კვების ხარისხის გაუმჯობესება და სხვა.

ბიოპროდუქციის წარმოებისას საყურადღებოა წარმოების პროცესში ბიოლოგიურად სუფთა სასუქების გამოყენება. 30-40 წელია, რაც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მეტდნაკლებად დადგა ანალოგიური პრობლემის წინაშე და საქართველოსგან განსხვავებით მაშინვე დაიწყო გამოსავლის აქტიური ძიება, თუმცა, სხვადასხვა მცდელობისა და შეზღუდვის მიუხედავად, სასურველი შედეგები ვერ იქნა მიღწეული. საქართველოს ბიოაგროწარმოების განვითარების დიდი შესაძლებლობები აქვს. ქვეყნის ბუნებრივი პირობები ბიომეურნეობების შექმნისა და ბიოაგროწარმოების განვითარების უნიკალურ საშუალებას გვაძლევს (ლაზარიაშვილი თ. 2017).

დღევანდელ ევროპაში ბიოსასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა მკვეთრად არის გაზრდილი, მიუხედავად იმისა, რომ ფასები ამ პროდუქტებზე მაღალია. ბიო პროდუქტების სახეობების მიხედვით შესწავლამ გვიჩვენა, რომ საქართველოში აღნიშნული პროდუქტები ძირითადად იწარმოება მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში, მარცვლოვანი კულტურებში, ხეხილის ზოგიერთ სახეობებსა და კენკროვანებში. მცირე მოცულობით ბიო პროდუქტების წარმოება ფიქსირდება კარტოფილის, სიმინდის, ბოსტნეულისა და დაფნის წარმოებაში. საქართველოსთვის, როგორც მცირემასშტაბიანი და მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციული ქვეყნისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიო ღვინის წარმოება ამ სფეროს ინდუსტრიული განვითარებისა და ბიო პროდუქტების ნიშის მოსაპოვებლად საერთაშორისო ბაზრებზე. ბიოსასურსათო პროდუქტების ბაზრის ზრდაზე მოქმედებს ისიც, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ბიომეურნეობები დახმარებას იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და თითქმის ყველა სახელმწიფოს აქვს სხვადასხვა პროგრამა, როგორც პირველადი ბიოპროდუქციის წარმოების, ასევე, გასაღების ხელშეწყობისათვის.

საქართველოში უპირატესად მოთხოვნაა ადგილობრივი წარმოების პროდუქტებზე - მომხმარებელს მიაჩნია, რომ ისინი ნაკლებად შეიცავენ კონსერვანტებსა და სხვა მავნე ნივთიერებებს. საქართველოში ბიოსასურსათო პროდუქტების ბაზრის განვითარების პერსპექტივების დასადგენად საჭირო იქნება ამ ბაზრების განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, ბიოპროდუქტებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების განსაზღვრა, ქვეყანაში არსებული

საკანონმდებლო გარემოს ანალიზი ბიოწარმოების სფეროში, ბიოპროდუქტების წარმოებისა და ბაზარზე პოზიციების მოსაპოვებლად სახელმწიფო პროგრამების ამოქმედება და სხვა.

თუ გვსურს, საქართველოს სოფლის მეურნეობა მსოფლიო ბაზარზე წარმატებული და კონკურენტუნარიანი იყოს, ამ მიზნის განსახორციელებლად ბიოწარმოება ერთადერთი გზაა. პროდუქციის რაოდენობით დიდ ქვეყნებს კონკურენციას ვერ გავუწევთ, მაგრამ ამ პროდუქციის მაღალი ხარისხით ბიოაგროწარმოებას განვავითარებთ (ბერუაშვილი, წერეთელი. 2015); ორგანული ანუ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში დიდი მოწონებით სარგებლობს. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის ექსპორტს ახორციელებენ, საქართველოცაა, თუმცა, საექსპორტო საქონლის რაოდენობა ჯერჯერობით ძალიან მცირეა (ბერუკაშვილი. 2013). აღსანიშნავია პოზიტიური ცვლილება სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის სფეროშიც, კერძოდ, ნელ-ნელა ხდება ბიოპროდუქციის წარმოებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება და დანერგვა.

ბიოპროდუქტთა შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ ღვინისა და ჩაის წარმოებაზე. ეს ის პროდუქტებია, რომელთა მეშვეობითაც საქართველოს შეუძლია საკუთარი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ბიობაზარზე. ჩაის წარმოება, მათ შორის ბიოჩაის წარმოება, პირველ რიგში, ჩინეთთან ასოცირდება, თუმცა, რამდენიმე ათეული წლის წინ საქართველო მსოფლიოს მასშტაბით ჩაის მწარმოებელთა ლიდერ ოთხეულში შედიოდა. მაშინ უფრო მეტი ჩაი მხოლოდ ჩინეთში, ინდოეთსა და შრი-ლანკაში იკრიფებოდა. ცოტა ხნის წინ ქართული ჩაი ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა. საქართველოში, ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობების გამო, ჩაის კრეფის სეზონი 6 თვე გრძელდება. დარგის ექსპერტების აზრით, ნედლეულის მაღალი ხარისხი და კონკურენტული ფასი ქართული ჩაის ძირითად უპირტესობას წარმოადგენს. მიუხედავად წარსული გამოცდილებისა, მაინც საჭიროა თანამედროვე ცოდნის გაზიარებაც. საქართველოს მთავრობას დადებული აქვს მემორანდუმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რაც ტექნიკურ დახმარებას და ასევე, სპეციალისტების გადამზადებასაც ითვალისწინებს განსაკუთრებით ბიოჩაის წარმოებაში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე საქართველოს გააჩნია პოტენციალი ბიო ჩაის წარმოების კუთხით. ბიოპროდუქტების წარმოების მხრივ პერპექტიულია ღვინის წარმოებაც, რაც ხელს შეუწყობს ღვინის ტურიზმის განვითარებას და შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს კონკურენტული უპირატესობის მქონე დარგების განვითარებას დივერსიფიკაციის გზით.

ამგვარად, საქართველოს ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოების შესაძლებლობების საკმაოდ დიდი პერსპექტივები გააჩნია და ეფექტიანი ბიოწარმოების შექმნითა და შესაბამისი სარეკლამო კამპანიით შესაძლებელია მსოფლიო ბაზარზე უკვე მოპოვებული წილის გაზრდა (Kharaishvili, E., Gechbaia, B., & Mushkudiani, Z. 2019).). საქართველოში ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოების შესაძლებლობების და მხარდამჭერი პროგრამების შეფასების საფუძველზე ბიოპროდუქციის მწარმოებელთათვის განსაკუთრებით შემზღუდველი ფაქტორია მაღალი დანახარჯების დონე, არასაკმარისი ნოუ-ჰაუ და ჩვეულებრივიდან ორგანულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის სირთულე, თუმცა ეს უკანასკნელი საქართველოში უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რადგან დღეისათვის საქართველოში ნაკლებად იყენებენ ქიმიურ პესტიციდებსა და სასუქებს, შესაბამისად კონვერსიის პერიოდი შეიძლება ორ წლამდე შემცირდეს და ნაკლებ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული.

სერიოზული კონკურენციის მიუხედავად, ქართული ბიოპროდუქციას საერთაშორისო ბაზარზე ღირსეული ადგილის დაკავება შეუძლია. ბიოპროდუქციის სექტორი ერთადერთია, სადაც მოთხოვნა მიწოდებას აღემატება, თუმცა, მის განვითარებას ხელს უშლის სერტიფიცირების სირთულე, შესაფუთი მასალების ხელმიუწვდომლობა, ცუდი ლოჯისტიკა და სხვა ფაქტორები

შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ბიომეურნეობები მაშინ შეიძლება განვითარდეს, თუ შემდეგი საკითხები იქნება სისტემურ დონეზე მოგვარებული:

1. **კვალიფიკაცია**: ფერმერებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია (Kharaishvili E., Natsvlishvili I. 2019), თუ რას ნიშნავს ბიომეურნეობა, ბიოპროდუქტი, რა პერსპექტივები აქვს ამ დარგს, როგორ უნდა მოხდეს მეურნეობის ორგანულზე გადაყვანა და ა.შ.
2. **მხარდაჭერა**: მსურველმა ფერმერებმა მაქსიმალურად უმტკივნეულოდ უნდა შეძლონ კონვენციური (ტრადიციული) მეურნეობიდან ორგანულზე გადასვლა, რომელსაც გარკვეული დროის და ფინანსური რესურსები ესაჭიროება.
3. **სერტიფიცირება**: ბიომეურნეს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მის მიერ ყველა წესის დაცვით მოყვანილ ბიოპროდუქციას არ შეექმნება პრობლემები და ზოგადად არ დადგება ეჭვქვეშ მისი ორგანულობა.
4. **რეალიზაცია**: ჩვეულებრივი ფერმერი ვერ დაუკავშირდება უცხოეთში სავარაუდო მყიდველს, ვერ დადებს კონტრაქტს და ვერ მოაგვარებს ექსპორტთან დაკავშირებულ რთულ პროცედურებს. ყველაფერ ამაში მას სერიოზული დახმარება ესაჭიროება.

სწორედ ზემოთ მოცემული საკითხები წარმოადგენს ძირითად პრობლემას და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას.ბიო საკვებისა და სასმელების ინდუსტრია დომინირებს ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. ამ ქვეყნებში ბიო სასურსათო წარმოების ზრდას ხელს უწყობს სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამები.

ბიოპროდუქტების წარმოების განვითარებისათვის ხორციელდება ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და ბაზრებზე ამ პროდუქტების დასამკვიდრებლად მთავრობების მიერ ფინასური და სამართლებრივი მხარდაჭერა.

ბიომეურნეობების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ მეურნეობებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები საკმაოდ მრავალფეროვანია, მათგან აღსანიშნავია: ორგანულ მეურნეობაში ინვესტირების მხარდაჭერა (მაგ., ირლანდია, ტუნისი); ბიო პროდუქტების მიწოდების ჯაჭვის განვითარების მხარდაჭერა (ავსტრია), ორგანული მიწის მართვა საჯარო ადგილებში დ ა საჯარო მფლობელობაში არსებულ მიწაზე (მაგ., საფრანგეთი, აშშ, გერმანია, დანია და სხვ.); ბიო პროდუქტების მწარმოებელი კომპანიების მხარდაჭერა ორგანული პროდუქტების წარმოებაში, გადამუშავებასა და მარკეტინგში (მაგ., დანია); საჯარო შესყიდვები (მაგ., დანია, ბრაზილია); ადგილობრივი ვაჭრობის ხელშეწყობა (მაგ.,ფილიპინები); ადგილობრივი ვაჭრობის ხელშეწყობა (მაგ., აშშ, იაპონია, ტუნისი, ჩინეთი, ბრაზილია, ბუტანი, ინდოეთი); ადგილობრივი მონაცემების შეგროვება და გავრცელება (მაგ., აშშ, შვეიცარია, კანადა); ორგანული ასოციაციების ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობა (მაგ., ბელგია, დანია); მომხმარებელთა საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა (მაგ., დანია, საუდის არაბეთი); ფირმის შემოსავლის დივერსიფიცირებისა და აგრო ტურიზმის მხარდაჭერა (მაგ., ინდონეზია, ჩეხეთი, იტალია) და სხვა (IFOAM. 2017). ბიო მეურნეობების დასახმარებლად USDA-ის მი-

ერ შექმნილია The Farm Service Agency (FSA), რომელიც ფერმერებს ეხმარება ორგანულ მეურნეობაზე გადასვლაში, სერტიფიცირებაში, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციაში, დაზღვევაში, საოპერაციო ხარჯების გაწევაში, პროდუქციის შენახვასა და დამუშავებაში და სხვ. მაგალითად, 2017 წლის იანვრიდან, სერტიფიცირებული ორგანული პროდუქტების მწარმოებლებს შეუძლიათ ეწვიონ USDA-ს 2,124 ადგილობრივი ოფისიდან ერთ-ერთს, რათა მიიღონ ანაზღაურება, რომელიც დაფარავს სერტიფიცირების ხარჯების 75%-მდე, რაც ყოველწლიურად შეადგენს $750-ს. ასევე, კატასტროფის დროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანაკარგების დახმარების პროგრამა ანაზღაურებს ბუნებრივი კატასტროფის შედეგად ორგანული პროდუქციის დანაკარგების 55%-დან 100%-მდე და მასში იხდის მოსავლის საბაზრო ღირებულების 50-65% -ს. ბიო ფერმერებს ეძლევათ დაბალპროცენტიანი სესხები, რომელიც ეხმარება ფერმერებს ორგანულ მეურნეობაზე გადასვლის პერიოდში და გაწერილია ისეთი ხარჯების დასაფარად, როგორებიცაა: უძრავი ქონების შეძენა, აშენება ან განახლება შენობა-ნაგებობების, წყლისა და ნიადაგის კონსერვაცია, ოპერაციული ხარჯები, საწვავი, დაზღვევა, ტექნიკა-დანადგარები და სხვ. მომსახურების გაწევად ფერმერებს სთავაზობენ ფერმისა და მინდვრის საზღვრების კოორდინატების რუკაზე დატანას, ანგარიშის მომზადებას ორგანული ფერმების ფართობების შესახებ, რაც საჭიროა სერტიფიცირების პროცესში ან მოსავლის დამზღვევი აგენტის მომსახურება და სხვა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობაში ბიოაგროწარმოების სექტორის წილი, როგორც აღინიშნა, ზრდადია. ამ ქვეყნებში ბოლოდროინდელი აგრარული პოლიტიკის მიმართულების ანალიზიც გვიჩვენებს, რომ პოლიტიკის მექანიზმები არეგულირებს მომხმარებლისათვის ხარისხიანი პრდუქციის მიწოდებას, რაც მეტ სტიმულს აძლევს მოსახლეობას ბიო პროდუქტების შესაძენად და ბაზრის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებიც მეტია. ამ თვალსაზრისით საქართველოში, უპირველესად, საჭიროა ბიო პროდუქტების მწარმოებელ დარგებში ბიომეთოდების დანერგვა (მირველაშვილი მ., უჯმაჯურიძე ლ., ბერუაშვილი მ. 2020). კოვიდპანდემიის პირობებში, მნიშვნელოვანია სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამის ამოქმედება. აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ნინო წილოსანის განცხადებით, „ბიოწარმოება რეალურად არის შესაძლებლობა, შევიდეთ ევროპის ბაზარზე. სამუშაო ჯგუფთან ერთად, შევიმუშავეთ რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც მოიცავსრბიოწარმოებისრწახალისების სხვადასხვა მიმართულებებს. უპირველეს ყოვლისა, ვთვლით, რომრბიოწარმოებებისრსერტიფიცირებაშირუნდა მოხდეს დახმარება, 3-წლიანი სასერტიფიკაციო პროცესი მიმდინარეობს და ყოველწლიურად ბიოორგანული სასუქებით დაწყებული და თავად სერტიფიცირებისრპროცესში, სახელმწიფოს სუბსიდირებარსაკვანძოდრმნიშვნელოვანია, ასევე მნიშვნელოვანია, რომ უკვე შემდგომ, სახელმწიფორბიომწარმოებლებსრეხმარებოდეს პროდუქტის პოპულარიზაციასა და მარკეტინგში, ასევე, საინტერესო გამოფენებში მონაწილეობის სუბსიდირება. მისივე თქმით, პროგრამის დახმარებით, ორგანული წარმოება სასოფლო-სამეურნეო მიწების 2.5% იქნება. „ევროკავშირის სამოქმედო გეგმით, 2030 წლისთვის მათი სასოფლო-სამეურნეო მიწების 25%-ზე მეტი უნდა იყოს ორგანული წარმოება, რაც გვაძლევს მიმართულებას, რომ გეზი ამ კუთხით უნდა ავიღოთ. ჩვენს შემთხვევაში, სახელმწიფო პროგრამა შესაძლებლობას მოგვცემს ბიოწარმოების მიმართულებითრსოსოფლო-სამეურნეორმიწების 2.5%-მდე ავიდეთ, თუმცა ესეც კარგი მაჩვენებელია, რადგან ფაქტობრივად ნულიდან ვიწყებთ“, - აღნიშნავს წილოსანი[1]. ბიოაგრომეურნეობების განვითარების და ასევე კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დამკვიდრების მიმართუ-

[1] https://businessformula.ge/News/3430

ლებით, კოვიდ პანდემიის პირობებში განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები. გაუმჯობესდა მონაცემთა შეგროვების, გავრცელებისა და გამოყენების კოორდინირებული სტატისტიკური სისტემა. დაიხვეწა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრის საინფორმაციო სისტემა. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ბიოპროდუქციის პოპულარიზაციას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. ამრიგად, კოვიდპანდემიის პირობებში, მხარდამჭერი პროგრამების საფუძველზე, საქართველოში შესაძლებელია ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში, ძირითადად მის დედაქალაქში (თბილისში), უკვე ფორმირებულია მომხმარებელთა ფენა, რომელიც ჯანსაღი კვების მომხრეა და მზად არის გადაიხადოს განსხვავებული ფასიც, მით უმეტეს, რომ მათი შემოსავლებიც იზრდება. მომხმარებლის მოთხოვნის ზრდა უსაფრთხო, ხარისხიან საკვებზე უახლოეს მომავალში შეუქცევადი ტენდენციის იქნება გრძელვადიან პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ პროცესის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად, აუცილებელია ბიო პროდუქტების ბაზრის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა. ასევე, საქართველოში ჩატარებული კვლევით დადასტურებულია კოოპერატივების შექმნის აუცილებლობა ზოგადად აგროსასურსათო სფეროში (სირბილაძე გ., მემარნიშვილი ნ. 2016). თუმცა, ფერმერებს შორის კოოპერირების განვითარების თვალსაზრისით მთელი რიგი ბარიერებია ბიოწარმოებისა და ბაზრის განვითარების მიმართულებით. არსებული ბარიერების დაძლევა და მათი მოგვარების გზების დასახვაც მოითხოვს ამ პროცესის დამაბრკოლებელი ფაქტორების გამოვლენას. საქართველოში, კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე, 2020 წლის 23 მარტის საქართველოს მთავრობის ბრძანების საფუძველზე, სახელმწიფომ 10 მილიონი ლარი გამოყო იმპორტირებული პროდუქციის ფასების სუბსიდირებისთვის 9 აგროსასურსათო პროდუქტის ფასების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად (საქართველოს მთავრობის ბრძანების N185). აღნიშნული პროდუქტებია: მაკარონი, ბრინჯი, წიწიბურა, ზეთი, შაქარი, ხორბალი, ხორბლის ფქვილი, რძის ფხვნილი, ლობიო. მათგან სუბსიდიის თითქმის ნახევარი (48,78%) ხორბალზე მოდის. ეს პროდუქტები მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი პროდუქტებია და ამიტომ შეგვიძლია განვიხილოთ პირობითად კონკურენტულ ბაზრად. სახელმწიფომ კომპანიებს აუნაზღაურა კომპენსაციით ის თანხა, რომელიც იძლევა გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ფასნამატს. შედეგად, ბაზარი გახდა სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი. როგორც ვხედავთ ზემოთ ნახსენები ცხრა პროდუქტი არის პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტები და მათ მიმართ მომხმარებლებს არაელასტიკური დამოკიდებულება აქვთ. თუ Ed/Es თანაფარდობა არც თუ ისე დიდია, მაშინ სუბსიდიიდან მიღებული სარგებელი უპირატესად მომხმარებლებს ენიჭებათ. კოვიდსიტუაციის პირობებში, ასეთი პოლიტიკის შედეგად:

- მომხმარებლები, უფრო მეტ სარგებელს იღებენ ვიდრე მწარმოებლები, რადგან მათი მოთხოვნა ამ პროდუქტებზე შედარებით არაელასტიკურია.
- მწარმოებლებიც არანაკლებ სარგებელს ღებულობენ, რადგან ისინი თავიანთ პროდუქციას ყიდიან მაღალ ფასში, რაშიც სუბსიდიის როლი ერთმნიშვნელოვნად მაღალია.
- საზოგადოების კეთილდღეობის თვალსაზრისით კი, ქვეყანაში არ იქმნება პროდუქციის დეფიციტი და წარმოების მოცულობა არ მცირდება.

კვლევის შედეგად, გამოვლენილია საქართველოში ბიო წარმოებასა და ბიო ბაზრის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები:

- საქართველოში ბევრი ფერმერია, რომელიც ცდილობს ქიმიკატების გამოყენების შემცირებას მოსავლის მოყვანისას. ისინი არ წარმოადგენენ ფერმებს, სადაც ქიმიკატების გამო-

ყენება მთლიანად ამოღებულია, მაგრამ ცდილობენ მათი გამოყენების მინიმუმამდე დაყვანას. აგრეთვე, არსებობენ ფერმერები, რომლებიც თავიანთ მეურნეობაში საერთოდ არ იყენებენ ქიმიკატებს და ფერმერების მესამე, ყველაზე სასურველ ტიპად შეიძლება ვაღიაროთ ის ფერმერები, რომლებიც საერთოდ არ იყენებენ ქიმიკატებს და ამავე დროს სერთიფიცირებულები არიან ორგანული მასერტიფიცირებელი დაწესებულების მიერ.

- ძალიან ბევრი ფერმერი იყენებს დაბალი შემცველობის ქიმიკატებს მცენარეების მოყვანასა და მეცხოველეობაში, რადგან ხშირ შემთხვევაში, ის უფრო იაფია, ვიდრე ქიმიური სასუქების შეძენა, ჰერბიციდები.
- ქართველი ფერმერების უმრავლესობა პროდუქტს ადგილობრივ ბაზარზე ასაღებს. საქართველო ახორციელებს საკვების დიდი ნაწილის იმპორტირებას საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, არადა არსებობს ადგილობრივი წარმოების გაზრდის ძალიან კარგი პოტენციალი.
- ორგანული პროდუქტებით ვაჭრობა არ იწყება ფერმერების მიერ ორგანული საკვების წარმოებით ან საქართველოს მთვრობის მიერ ორგანული საკვების წარმოების მოთხოვნით. ორგანული საკვებით ვაჭრობა იწყება ინფორმირებული საზოგადოებით, რომელსაც სურს ორგანული საკვების შეძენა, რადგან ის უფრო ჯანსაღია მათთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის. ასე ხდება ევროპასა და ამერიკაში.
- პირველად იწყება კლიენტების მიერ ჯანსაღი საკვების მოთხოვნა, ხოლო ამის შემდეგ ფერმერები იწყებენ ორგანული საკვების წარმოებას. მთავრობა, არაკომერციული ადგილობრივი ორგანიზაციები და ბიზნესები იწყებენ დახმარების გაწევას. ეს გრძელი გზაა. მთავარ დაბრკოლებას საქართველოში დღეს წარმოადგენს ის, რომ ორგანულ საკვებზე მოთხოვნა დაბალია და ცოტაა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მზად არიან გადაიხადონ ოდნავ მეტი თანხა ორგანულ საკვებში.

ამრიგად, საქართველოში ბიოსასურსათო პროდუქტების წარმოების შესაძლებლობების და მხარდამჭერი პროგრამების შეფასების საფუძველზე შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები შემუშავდა:

- მიზანშეწონილია, ბიო წარმოების შესახებ შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება ბიო ფერმერული კოოპერატივების განვითარებისა და ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის;
- არასრულყოფილი ან ბუნდოვანია ბიო წარმოებისა და ბიო ბაზრის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. მიზანშეწონილია, ევროპის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე ბიო ბაზრის ახალი მარეგულირებელი წესების შემუშავება და არსებულის სრულყოფა, ასევე, მათ შესახებ საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება მწარმოებლებისა და მომხმარებლებისათვის;
- საქართველოში სუსტია ან ზოგიერთ სფეროში საერთოდ არ მოქმედებს ბიო წარმოების სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამები. საჭიროა, შემუშავდეს ბიო პროდუქტების გაყიდვებისა და მარკეტინგული მხარდაჭერის კონკრეტული პროგრამები; სასურველია, მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა პროდუქტის ბრენდირება და პოპულარიზაცია, რეგულარული ლოკალური ბაზრობების გამართვა, შესაძლო ინვესტიციების მოძიება, გაყიდვების ქსელისა და საბაზრო კავშირების ხელშეწყობა;

- შეზღუდულია ბიო წარმოებაში ფინანსურ რესურსებზე წვდომა. სასურველია, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწდვომობის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს ბიო მეურნეობების რესურსულ პოტენციალს და განსაზღვრავს დიფერენცირებულ მიდგომებს რესურსების ფლობის თვალსაზრისით სხვადასხვა დონეზე მყოფი კოოპერატივებისათვის;
- ბიო წარმოებისა და ბიო ბაზრის შესახებ საქართველოში არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში საჭიროა, შეიქმნას სტრუქტურული ერთეული, რომელიც ბიო წარმოების და ბიო ბაზრის შესახებ ევროპაში აღიარებული ფორმების მიხედვით განახორციელებს შესაბამის მონაცემთა ბაზების შემუშავებას.

ლიტერატურა:

1. თოდუა ნ. (2017). „გლობალიზაციის გავლენა ჯანსაღი კვებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულებაზე“. http://eprints.tsu.ge/399/1/The%20Impact%20of%20Globalization%20on%20the%20Attitude%20of%20Georgian%20Consumers%20to%20Healthy%20Nutrition.pdf
2. ლაზარიაშვილი თ. (2017). „ბიოპროდუქტების ბაზარი: მსოფლიო გამოცდილება ბიოპროდუქტების წარმოებაში და გამოწვევები საქართველოში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გეოგრაფია გლობალურ კონტექსტში: მიღწევები და გამოწვევები“, ქუთაისი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. მირველაშვილი მ., უჯმაჯურიძე ლ., ბერუაშვილი მ. (2020). „გარდამავალი პერიოდი ანუ როგორ დავიწყოთ ყურძნის ბიოწარმოება“. http://srca.gov.ge/files/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf
4. სირბილაძე გ., მემარნიშვილი ნ. (2016). საქართველოს ფერმერთა კოოპერატივების ანგარიში. http://www.elkana.org.ge/uploads/98/Cooperative%20Research%20Georgia-Geo.pdf
5. ხარაიშვილი ე. (2017). ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში, თბილისი, გვ. 114.
6. Lazariashvili T. (2020). “DIRECTIONS FOR DEVELOPING THE PRODUCTION OF LOCAL AGRO-FOOD PRODUCTS IN GEORGIA”. International Scientific and Practical Internet Conference, ORGANIZATION’S STRATEGY VS REALITIES OF THE VUCA-WORLD “, Kyiv, SHEI KNEU named after V. Hetman
7. Lazariashvili T. (2019). “The Impact of Agro-insurance on Farming Development”, ICBEMM 2019: International Conference on Business, Economics, Management and Marketin, Rome, Italy. https://panel.waset.org/conference/2019/10/rome/ICBEMM
8. Lazariashvili T. (2020). “Trends in wine market development and expansion in Georgia “(The case of Kakheti region). V International scientific and practical conference “Strategic Imperatives of Modern Management”. https://ir.kneu.edu.ua/bitstream/handle/123456789/32889/sism_20_81-84.pdf sequence=1&isAllowed=y
9. Natsvlishvili I., Kharaishvili E., Lazariashvili T. (2020). “Bio-products market in Georgia: current challenges and development perspectives, International Journal of Markets and Business Systems, Volume 4, Issue 1. https://www.inderscienceonline.com/toc/ijmabs/4/1
10. Natsvlishvili I., Kharaishvili E., Lazariashvili T. (2020). “Impact of agro tourism on economic development of related sectors in the context of sustainable well-being (case of Georgia)”. Int. J. Markets and Business Systems, Vol. 4, No. 2
11. Nsiah, Wallace. (2017). “The future of food and agriculture Trends and challenges”. Food and Agriculture Organization of the United Nations Rome. http://www.fao.org/3/a-i6583e.pdf
12. Kharaishvili E., Natsvlishvili I. IMPACT OF INTERNATIONAL EDUCATIONAL MIGRATION IN THE CONTEXT OF GLOBALIZATION OF HIGHER EDUCATION (CASE OF GEORGIA), EDULEARN19 Proceedings. 11th International Conference on Education and New Learning Technologies. July 1st-3rd, 2019 — Palma, Mallorca, Spain. Edited by L. Gómez Chova, A. López Martínez, I. Candel Torres. IATED Academy. Published by IATED Academy iated.org

13. Kharaishvili, E., Gechbaia, B., & Mushkudiani, Z. (2019). The trends of producing agro-food products and export innovative marketing strategy in Georgia. Economics. Ecology. Socium, 3(3), 1-10.
14. Kharaishvili E., *B. Gechbaia*, G. Erkomaishvili , *M. Lobzhanidze* and I. Natsvlishvili. Shipping policy of agri-food products and the formation of food markets in Georgia. MATEC Web Conf. Volume 339, 2021
15. Businessformula, https://businessformula.ge/News/3430
16. EU Georgia: ევროკავშირი - სიდიდით მეორე ბიო ბაზარი მსოფლიოში http://eugeorgia.info/ka/article/608/-evrokavshiri---sididit-meore-bio-bazari-msoflioshi/
17. Farm Service Agency and Organic Agriculture https://www.fsa.usda.gov/programs-and-services/outreach-and-education/help-for-organic-farming/index
18. IFOAM, GUIDELINES FOR PUBLIC SUPPORT TO ORGANIC AGRICULTURE, First edition: September 2017. https://www.ifoam.bio/sites/default/files/policy_toolkit_main_report.pdf

Bio-food Production Opportunities and Support Programs in the Condition of the Covid-19 Pandemic

Tamar Lazariashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor, Doctor of Economics

SUMMARY

The article describes the possibilities of producing bio-food products and gives its support programs in the conditions of Covid Pandemic. The level of interest of the population in these products and the tendency of increasing demand for them have been studied.

The paper analyzes the level of competition in the market of organic products, identifies the main suppliers and consumers of organic products. It is concluded that the highest consumption of organic products is observed in rich countries. The world market for organic products has undergone significant changes in recent years. If before organic products were intended only for elite consumers, today there is a tendency for all type of consumers to be interested in these products and the competition has also increased.

The article analyzes the European model of bio-food production and relevant market. The production of bio-food products in Georgia lags far behind European requirements, however, in the Georgian bio-products market there is a layer of consumers who are in favor of healthy food and are willing to pay different prices. Government support programs for organic farms during the pandemic are analyzed. Based on the market analysis of bio-food products, conclusions are made about the problems in the production of bio-food products and relevant recommendations are proposed.

Keywords: *bio-food product, bio- production, pandemic, support programs.*

კოვიდ -19 პანდემიის პირობებში საქართველოს განვითარების სტრატეგიის საკითხის განხილვისათვის

ეკა ლეკაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ნაშრომში თავმოყრილია გლობალური და ეროვნული ეკონომიკის დონეზე წარმოშობილი პრობლემატიკა, რომლებმაც კოვიდ 19 პანდემიის პირობებში იჩინა თავი და რომელთა გათვალისწინებაც უმნიშვნელოვანესია, როგორც პოსტპანდემიური ეკონომიკის აღდგენის, ასევე მდგრადი და უსაფრთხო ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: *კოვიდ 19, საქართველო, ეკონომიკა; პრობლემები.*

საფინანსო ეკონომიკური კრიზისების, გლობალიზაციის პირობებში გაზრდილი უთანასწორობის, ეკოლოგიური კატასტროფების რიცხვის ზრდამ ეკონომიკური თეორიის დაშვებების და მისი სამართლიანობის მიმართ კითხვები გააჩინა. რა თქმა უნდა, ძალიან რთულია აღმოჩნდა თავის დაღწევა მეინსტრიმული შეხედულებების და გაბატონებული თეორიული ეკონომიკური რეცეფტების გავლენისგან, რომელიც ვაშინგტონის კონსესუსის საფუძველზე ყალიბდებოდა, თუმცა ეს პროცესი მკაფიოდ დააჩქარა 2019 წლის ბოლოს კოვიდ-19 პანდემიის დაწყებამ. შედეგებმა აჩვენა, რომ ეკონომიკურ პროცესებზე და პოლიტიკაზე პირველხარისხოვანი გავლენა შესაძლებელია ჰქონდეს არაეკონომიკური ხასიათის ფაქტორებს და მას შეუძლია ეკონომიკურ მოდელს სრულად შეუცვალოს შინაარსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ ქვეყნები ეკონომიკური სტაბილურობის, უსაფრთხოების და განვითარების პოლიტიკის კონტექსტის გათვალისწინებით. ნაშრომის მიზანია გავაანალიზოთ საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის პროცესში კოვიდ 19 პანდემიის პერიოდში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე.

კოვიდ - 19-ის პანდემიის პირობებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის სახე, სირთულეების ის ნუსხა, რასაც აწყდებიან ეროვნული ეკონომიკები და რომელთა გადაწყვეტაც შეუძლებელია მეინსტრიმული დღის წესრიგის ფარგლებში. ბაზრის მექანიზმმა კრახი განიცადა ეკონომიკის ჩაკეტვის პირობებში. პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საწარმოო და სატრანსპორტო ინდუსტრიებს, რამაც გამოიწვია დარღვევები გლობალური ღირებულების ჯაჭვებში და პროდუქციის მიწოდებაში, ასევე, გამოიწვია სამუშაო საათების შემცირება და სამუშაო ადგილების დაკარგვა ამ სექტორებში.

მდგრადი განვითარების მიზნების ანგარიშის (2020) მიხედვით, COVID-19 ეფექტები იმდენად მადესტაბილიზირებელი იყო, რომ მან საფრთხეს შეუქმნა მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG), მათ შორის მეცხრე მიზნის (**გამძლე ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა და ინოვაციების განვითარება**) პროგრესს. 2020 წლის პირველ კვარტალში გლობალური მრეწველობის წარმოების ზრდამ მკვეთრი შემცირება განიცადა (6.0 პროცენტით) ეკონომიკების ჩაკეტვის ზომების გამო. ამავე პერიოდში ჩინეთში, მსოფლიოს უმსხვილეს სამრეწველო ქვეყანაში, COVID-19-მა გამოიწვია წარმოების უპრეცედენტო ვარდნა (14,1 პროცენტით). მრეწველობა ითვლება რა მთლიანი ეკონომიკური ზრდის მამოძ-

რავებელ ძრავად, სამრეწველო წარმოების ასეთმა გლობალურმა კრიზისმა სერიოზული გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკაზე.

ასევე, საჰაერო ტრანსპორტის ინდუსტრიამ, რომელიც ბოლო წლებში ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა იყო, თავისი არსებობის ისტორიაში ყველაზე მკვეთრი ვარდნა განიცადა. COVID-19-ის აფეთქებამ დამანგრეველი შედეგები მოუტანა საავიაციო ინდუსტრიას. 2020 წლის აპრილისთვის მთავრობების მიერ მოგზაურობის მკაცრმა შეზღუდვებმა გამოიწვია საჰაერო რეისების 90 პროცენტის შეჩერება, მოგზაურობის მოთხოვნა ნულამდე დაეცა. 2020 წლის პირველ ხუთ თვეში, მგზავრთა რიცხვი 51.1 პროცენტით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, პანდემიამ შეიძლება გამოიწვიოს 2.29 მილიარდით 3.06 მილიარდი მგზავრის შემცირება, რაც ავიაკომპანიებისთვის $ 302 მილიარდი და $ 400 მილიარდი წლიური მთლიანი საოპერაციო შემოსავლებია. ჩვეულებრივ საქმიანობასთან შედარებით საჰაერო ტრანსპორტი ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ინდუსტრიაა (მდგრადი განვითარების ანგრიში, 2020).

რაც შეეხება საქართველოს, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, ეკონომიკის გახსნის ეტაპისთვის, 2021 წლის 20 მაისის მდგომარეობით, საქართველოში უმუშევრობის დონემ 21, 9% -ს მიღწია რაც 3.7 %-ული ერთეულით მაღალი მაჩვენებელია წინა კვარტალთან შედარებით. ამასთან, უმუშევრობის ზრდა უფრო მაღალია ქალაქში (40.1%), ვიდრე სოფელში (34,7%)[1]. 2020 წელს რეალური მშპ-ს ზრდამ -6,8% შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით 12,3 % პროცენტით ნაკლებია.

2021 წლის მაისში წლიური ინფლაციის დონემ 7.7 % შეადგინა. ყველაზე დიდი წვლილის მქონე ჯგუფებია: ტრანსპორტი, საცხოვრებელი, წყალი, ელექტრო ენერგია, აირი, ჯანმრთელობის დაცვა (აპრილის თვეში) სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (ანუ პირველადი საჭიროების პროდუქტები და მომსახურება - ე.ლ.)[2]. 2021 წლის თებერვალში წარმოების ფასების ინდექსი წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 16.9%-ით. ექსპორტის ფასების ინდექსის 16.9 % - ს, ხოლო იმპორტის ფასების ინდექსის ზრდა 19.4 %-ს შეადგენს[3].

მრეწველობის პროდუქციის ინდექსი სეზონური შესწორებით 2015 საბაზისო წელთან შედარებით (დიაგრამა N2) გვიჩვენებს იმ დარგებს, რომელთაც მკვეთრი აღმავლობა და დაცემა განიცადეს პანდემიით გამოწვეული ეკონომიკის ჩაკეტვის პირობებში. ნათელია, რომ იგი უკავშირდება შეცვლილი ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურას.

პანდემიის პირობებში ნათელად გამოჩნდა, რომ ეკონომიკაში მთავრობის ჩაურევლობის პოლიტიკამ კრახი განიცადა და გაჩნდა საჭიროება კრიზისული სიტუაციის მართვაზე პასუხისგებლობა აეღო სახელმწიფოს. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საბაზრო ძალები არაეფექტიანია გრძელვადიანი შესაძლებლობების გასავითარებლად. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა არა მარტივი პასუხი კრიზისზე და რას გვიკარნახებს ბაზარი, არამედ როგორ მოახდენს მთავრობა ასეთი არაპროგნოზირებადი მდგომარეობის მართვას.

მთლიანი შიდა პროდუქტის სტურქტურა 2020 წლისთვის შემდეგი სახისაა (იხ. დიაგრამა N1):

---

1 https://www.geostat.ge/media/38438/20.05.2021.Infographic_GEO.pdf. (წვდომა განხორციელდა 25.07.2021)
2 https://www.geostat.ge/media/38739/03.06.2021.Infographic_GEO.pdf. (წვდომა განხორციელდა 25.07.2021)
3 https://www.geostat.ge/media/37336/19.03.2021.Infographic_GEO.pdf. (წვდომა განხორციელდა 25.07.2021)

დიაგრამა N 1



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
(წვდომა განხორციელდა 3.12 2022)

თანამედროვე პირობებში კოვიდ პანდემიამ სულ უფრო მეტად გაართულა ადმინისტრირებისა და მართვის პირობები, რადგან შეუძლებელი აღმოჩნდა განვითარების სტრატეგიების დაგეგმვა და განსაზღვრა. განვითარების სტრატეგიის შემუშავების და იმპლიმენტაციის სირთულეს დაემატა ის განუსაზღვრელობები, რომლებიც ვირუსის გლობალურ გავრცელებას და უმართავ სიტუაციებს მოჰყვა. აქტუალური გახდა თანამედროვე ეკონომიკური ანალიზის მეთოდი VUCA (Volatility, Uncertainty, Complexity, Ambiguity), რაც ოთხი კომპონენტის გათვალისწინებას გულისხმობს.

დიაგრამა N 2



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
(წვდომა განხორციელდა 3.12 2022)

აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებს მოეთხოვებათ მაღალი კვალიფიკაცია და კომპეტენციები, რაც კრიზისული სიტუაციების მართვას და მთავრობის მიერ ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას განაპირობებს. ამასთან, მოდელი უნდა ემყარებოდეს საზოგადოების და ხელისუფლების ერთიან სულისკვეთებას და თანხმობას, რაც წინაღობების და გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებას უზრუნველყოფს.

პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე მრავალი მეცნიერ-ეკონომისტის კვლევის ინტერესად იქცა. შეჯამების სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ მათ მიერ მოცემული საზოგადო მინიშნებები, რომლებიც, რათქმაუნდა, საქართველოსაც ეხება.

აღსანიშნავია, რომ პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა მცირე სამრეწველო საწარმოებს, რომელებიც დასაქმების ძირითად წყაროს წარმოადგენენ როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში. ისინი შემოსავლის წარმოებაში, სიღარიბის შემსუბუქებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და გადამწყვეტ როლს ითამაშებენ COVID-19-ის შემდგომი გლობალური ეკონომიკის აღდგენაში. ამასთან, ისინი, მცირე ზომის და რესურსების გამო, ამ ტიპის გამოწვევებთან მიმართებაში გამომოწყვლადნი არიან. მათ არ აქვთ შესაძლებლობა გაუმკლავდნენ მოულოდნელ შოკებს, თუნდაც ამჟამინდელ კრიზისს, მთავრობების დახმარების გარეშე.

კრედიტზე წვდომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ზომის ფირმებისათვის მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და მათთვის ადგილობრივი და გლობალური ღირებულების ჯაჭვებში ინტეგრაციისთვის. მდგრადი განვითარების ანგარიშის (2020) მიხედვით, განვითარებად ქვეყნებში მცირე საწარმოების 34.7 პროცენტი სარგებლობს სესხებით ან საკრედიტო ხაზით. მცირე და საშუალო საწარმოების დახმარების მიზნით ფისკალური სტიმულირებისა და ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა აუცილებელია კრიზისის განმავლობაში და მის შემდეგაც მათი გადარჩენისა და განვითარებისათვის.

COVID-19-თან გამკლავება წარმოუდგენელია კვლევაში და განვითარებაში (R&D) ინვესტიციების ზრდის გარეშე. მეტი ინვესტიციაა საჭირო ფარმაცევტულ ინდუსტრიაში და ისეთ უახლეს ტექნოლოგიებში, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს წამლებისა და ვაქცინების განვითარებას და მასთან დაკავშირებული სერვისებისა და რესურსების მართვას.

თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა მობილური კავშირების განვითრებას. იგი პრაქტიკულად უნივერსალურია, მაგრამ გლობალური მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ძირითადად დაბალგანვითარებად ქვეყნებში, ხაზგარეშე რეჟიმშია. COVID-19-მა ბევრი აიძულა იმუშაოს, ისწავლოს, ეძებოს ჯანმრთელობის დაცვა და სოციალიზაცია სახლიდან. ციფრული ტექნოლოგიები და ინტერნეტი არასოდეს ყოფილა ყოველდღიური ცხოვრების ისეთი უმთავრესი ნაწილი, როგორც პანდემიის პირობებში. თავი იჩინა ამ მიმართულებით დიდმა ჩავარდნამ, რომლის ძირითადი მიზეზი არის ინტერნეტით სარგებლობის ღირებულება და საჭირო უნარების არარსებობა.

პანდემიამ მკაფიოდ დაგვანახა, რომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გამართული ინფრასტრუქტურის არსებობას არამარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური და ეკოლოგიური სისტემების ფუნქციონირებისათვის. გზების, რკინიგზის, მილსადენების, ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მიწოდების, საკომუნიკაციო ხაზების, ხიდების მიღმა ამ სისტემების პარალიზების გამოწვევა შეეძლო საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინტერნეტის, პროგრამებისა და პლატფორმების დეფიციტს და გაუმართავ მუშაობას, რადგან მთელი მსოფლიო იძულებით გა-

დავიდა საქმიანობის შერეულ ფორმაზე, რაც დისტანციურ მუშაობას მოიცავდა. ამ მიმართულებით ძალიან დიდი სამუშაოა გასაწევი განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.

განვითრებული ქვეყნები თანხმდებიან ინოვაციური პროექტების დაფინანსებასა და იმპლემენტაციაზე ინფრასტურუქტრაში. მათ შორის პრობლემატურია წყლის რეურსის სათანადოდ ათვისების საკითხი, განსაკუთრებით სასმელი წყლის, თვითაღმდეგნი მასალების და ჰიდროგენის (წყალბადის) შესაძლებლობების გამოყენების მიმართლებით.

სამეცნიერო წრეების კვლევის საკითხებად წარმოჩინდა შემდეგი სახის პრობლემები: ჯანდაცვის სისტემის მდგრადობის შენარჩუნების ამოცანა; უმუშევრობა; კრიზისების შედეგად გაჩერებული ბიზნესისთვის დახმარების გაწევა; საბიუჯეტო თანხების შემცირება საგადასახადო შენატანების შემცირების გამო; ერთობლივი მიწოდების და ერთობლივი მოთხოვნის შემცირება; პრობლემები საგარეო ვაჭრობაში, რაც იმპორტიორი ქვეყნების მხრიდან სასურსათო პროდუქციის ექსპორტის აკრძალვას უკავშირდება; პრობლემები მიწოდების ჯაჭვში; დისტანციურ მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებული ტრანზაქციული ხარჯები და გაურკვევლობები; განუსაზღვრელი მოლოდინები პანდემიის ხანგრძლივობის საკითხზე და ა.შ.

პანდემიის პირობებმა საქართველოს მეცნიერ ეკონომისტებს მრავალი კითხვა გაუჩინა. მათ შორის:

- საჭიროა თუ არა საქართველოს ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის კონტექსტის გათვალისწინებით?
- რამდენად დაცული იყო ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოება?
- რომელი დარგები აღმოჩნდნენ მოგებულნი და რომელი წაგებულნი?
- რომელი დარგების განვითარებაზე უნდა მოხდეს რესურსების მობილიზება და რატომ?
- რატომ არის კვლავ უმთავრესი საკითხი სამუშაო ადგილების შექმნის საკითხი და რომელმა დარგებმა უნდა იტვირთონ ეს ფუნქცია?
- რა ადგილი უკავია საქართველოს 4.0 სამრეწველო რევოლუციის შედეგების ათვისებაში?
- რატომ არის მეინსტრიმული ეკონომისტების ხედვები გადასასინჯი? რა ხარვეზებმა იჩინა თავი კოვიდ პანდემიის პირობებში?

საქართველოში, სხვა ქვენების მსგავსად, რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა **ტურიზმის, მასთან დაკავშირებულ დარგების, ავიაციის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, გართობის და სანახაობების და ა.შ. ინდუსტრიები**. არსებულმა მდგომარეობამ განსაკუთრებული ზიანი მოუტანა **თვითდასაქმებულებს, არაფორმალურად ან არამყარი კონტრაქტებით დასაქმებულებს (უდანაზოგოები, მოვალეები, მომსახურების სფეროში, განსაკუთრებით, ტურიზმის სფეროში დასაქმებულებს)**.

ეს კრიზისი კაპიტალიზმის გადააზრების საშუალებას გვაძლევს. იგი მოითხოვს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სფეროების ტრანსფორმაციას. უფრო მეტად ხდება საჭირო ისეთი ეკონომიკური სტრუქტურის მოდელის შექმნაზე ზრუნვა, რომელიც ძირითადად, სიცოცხლის უსაფრთხოებაზე, მდგრად და ინკლუზიურ განვითარებზე იქნება პასუხისმგებელი. ყველა შესაძლო სეგმენტში უნდა ამოქმედდეს საზიარო ეკონომიკის მოდელი.

პატარა ბაზრის პირობებში გვერდს ვერ ავუვლით მსოფლიო ბაზარს, მაგრამ დამოკიდებულება უნდა იყოს მნიშვნელოვნად მცირე **საარსებო და უსაფრთხოების პროდუქტებზე და მომსახურებაზე, როგორიცაა კვება, თავდაცვა, ჯანდაცვა**. **აქედან გამომდინარე, ყურადღება უნდა გა-**

მახვიდეს ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიური სისტემის რეკაპიტალიზაციაზე, სამედიცინო აღჭურვილობის წარმოების, ფარმაცევტიკის, ბიოტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის, ჰიგიენური საშუალებების წარმოების, ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციების და საბინაო სექტორის განვითარებაზე. ამასთან, ამ დარგებთან ერთად უმნიშველოვანესია კვლევის და განვითარების კოორდინაცია.

მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობის შესაძლებელია იყოს მიტანის სერვისი, ციფრული წარმოება (რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს კიბერუსაფრთხოებით) ციფრული მოწყობილობების წარმოება, ონლაინ განათლება, გაყიდვები, კონსულტაცია, ავეჯის წარმოება, შემოქმედებითი ინდუსტრიის გავითარება.

პანდემია წარმოების ტექნოლოგიებში ცვლილებებს მოითხოვს და გაჩნდა **შრომის და წარმოების ორგანიზაციული საკითხების დისტანციურ მართვაზე გადასვლის საჭიროება**. ეს, რათქმაუნდა, შეამცირებს შრომაზე, შენობა-ნაგებებაზე გაწეულ ხარჯებს, ასევე სხვა მიმდინარე ხარჯებს, მაგრამ გაზრდის წარმოების გაციფრულებაზე, გაწეულ დანახარჯებს - სადაც ეს შესაძლებელია.

დასკვნები და რეკომენდაციები

ამრიგად, პანდემიის პირობებში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების საკითხები გახდება პრიორიტეტული, რაც ხელისუფლებას დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს. **მსოფლიო ეკონომიკის ისტორიის გაკვეთილები გვასწავლის, რომ დიდი დეპრესიების, კრიზისების და საომარი მოქმედებების პერიოდში და შემდგომ ქვეყნები ხშირად მიმართავდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკას, რათა დაიცვან სამამულო წარმოება და ხელსაყრელი გარემო შექმნან სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის**. თუმცა აღნიშნული სტრატეგიები ემყარებოდა ეკონომიკის ღიაობის მოდელს, ანუ **მიზანი დაკავშირებული იყო ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ბაზართან შემდგომი ინტეგრირებასთან**.

პანდემიის პირობებმა აჩვენა მოქმედი წესრიგებისგან განსხვავებული წესრიგის, მოდელის და სტრატეგიის შემუშავების საჭიროება, რადგან **კაცობრიობა დგას მსგავსი პანდემიების განმეორებების საფრთხის წინაშე. ამასთან, ჯანდაცვაზე დანახარჯების ზრდა ნიშნავს ეკონომიკის და სოციალური ცხოვრების სხვა მიმართულებებით დანახარჯების შემცირებას შეზღუდული რესურსების პირობებში**.

ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიების ხელშეწყობის და მატერიალურ ინფრასტრუქტურაში, ინოვაციებსა და კვლევაში ინვესტირების გაგრძელება არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის.

სასწრაფოდ საჭიროა მცირე ინდუსტრიების ფინანსური მომსახურების უკეთესი წვდომა გლობალური ეკონომიკის რეანიმაციისთვის. შემოსავლების ზრდის და ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად კი მიზანშეწონილია, ეკონომიკის ისეთი ტრანსფორმაცია, რომელიც **გადამამუშავებელი მრეწველობის და მათ შორის მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული**. ამასთან, ეს დარგები ძირითადად ექსპორტზე ორიენტირებული დარგები უნდა იყოს. ამასთან, საექსპორტო წარმოების განვითარება აუცილებელია და ის არ უნდა **ემყარებოდეს მხოლოდ ბუნებრივ ფარდობით უპირატესობას, არამედ მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს შეძენილ ფარდობით უპირატესობაზეც**.

ლიტერატურა:

1. Competing in the Next Economy. A New Innovation Age Calls for a New Innovation Game (2021). USA. Council of Competitiveness. 114 pages.
2. Ernest Liu. Industrial Policies in Production Networks. *The Quarterly Journal of Economics* (2019), 1883–1948. doi:10.1093/qje/qjz024. Oxford University Press.
3. Gagnidze, Ineza. 2021. The Scientific-Research System of Georgia in International Evaluations and Some Directions of Its Improvement. Referential and Reviewed International Scientific-Analytical Journal of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business. *N4.* http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge
4. General Principles of EU Industrial Policy. Article 173 of the Treaty on the Functioning of the European Union. Fact Sheets in the European Union – 2021. www.europarl.europa.eu/factsheets/en
5. Gvelesiani, Revaz. 2015. "Intrinsic Contradictions of Entrepreneurship Development and Self-development." *International Journal of Economics and Management Engineering, Vol:9, No:3* 1007- 1010.
6. Jose M. Salazar – Xiriachs, Irmgard Nubler, Richard Kozul – Wright. (2014). Transforming Economies. Making industrial policy work for growth, jobs and development. International Labour Office. Geneva.
7. Lekashvili, Eka, 2019. "MANAGEMENT OF INNOVATIONS IN GEORGIAN HIGHER EDUCATIONAL INSTITUTIONS:KEY PROBLEMS WITH TEACHING ECONOMIC SCIENCE." *Marketing and Management of Innovations, Issue 1* 281-293.
8. Lukas Schlogl & Kyunghoon Kim (2021) After authoritarian technocracy: the space for industrial policy-making in democratic developing countries, Third World Quarterly, DOI: 10.1080/01436597.2021.1984876nt? How should industrial policies be monitored and evaluated?
9. Taxonomy of Industrial Policy. Inclusive and Sustainable Industrial Development Working aper Series WP 08/2015. Research, Statistics and Industrial Policy Branch. 46 pages.
10. Transform 2020.Resilience in the Age of Covid-19 – An Update to the 2007 Report.
11. Voluntary National Review Georgia 2020. Report on Implementation of the 2030 Agenda on Sustainable Development. Secretariat of the SDGs Interagency Council of Georgia. Administration of the Government of Georgia.
12. William F. Maloney & Gaurav Nayyar. Industrial Policy, Information and Government Capacity. World Bank Group. Equitable Growth, Finance and Institutions Global Practice Group. May 2017. Policy Research Working Paper 8056.

For the Discussion of the Development Strategy of Georgia in Period of Pandemic Covid 19

Eka Lekashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor, Academic Doctor of Economics

SUMMARY

The paper summarizes the economic problems that have raised at the global and national levels, in the period of Covid 19 pandemic and which are important to consider, both for the recovery of the post-epidemic economy and for the strategy of sustainable and secure economic development.

Keywords: *Covid 19, Georgia, Economy; Challenges.*

COVID-19 პანდემიის გავლენა სასწავლო მიგრაციაზე და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

მანანა ლობჟანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მიგრაციულ პროცესებში, აღსანიშნავია ცვლილებები სასწავლო მიგრაციის პროცესში. COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა გამოიწვია ცვლილებები სასწავლო პროცესში, რაც უარყოფითად აისახა სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე. საგანმანათლებლო პროცესი ნაწილობრივ ან მთლიანად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე,

დისტანციური სწავლება ახალი გამოწვევაა არა მხოლოდ საქართველოსთვის არამედ მსოფლიოსთვის. არ არსებობს პანდემიის მართვის გამოცდილება, COVID-19-ის პანდემიის წინაშე მოუმზადებელი აღმოჩნდა ჯანდაცვის და განსაკუთრებით კი განათლების სექტორი. არასაკმარისი კომპიუტერული ტექნიკის ქონა, ასევე არასაკმარისი ციფრული ტექნოლოგიების ფლობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა განათლების სექტორისათვის. რეგიონებში საკმაოდ დიდი პრობლემაა ხარისხიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. რაც ყველაზე უარყოფითად სწორედ განათლების სექტორზე აისახა. დისტანციური სწავლების დროს სწავლების ხარისხი გაუარესდა.

საკვანძო სიტყვები: *სასწავლო მიგრაცია, ახალგაზრდები, COVID-19 პანდემია.*

თანამედროვე მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა როგორც შრომითი, ისე სასწავლო მიგრაცია. მიგრაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად მიჩნეულია მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილი. სასწავლო მიგრაციის მაჩვენებლები მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც უნარებზე ფასი მაღალია. დაბალი უნარების მქონე ინდივიდების მწარმოებლურობა დაბალია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. სასწავლო მიგრაციის პროცესი განვითარებადი ქვეყნისთვის შეფასებულია. როგორც დადებითი მოვლენა, რადგან ინდივიდებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიას, მიიღონ ცოდნა და დანერგონ საკუთარ ქვეყანაში. სასწავლო მიგრაციის უარყოფით მხარედ მიჩნეულია განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან კურსდამთავრებულთა მცირე ნაწილის დაბრუნება საკუთარ ქვეყანაში.

საქართველოში მკვეთრია დისბალანსი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ახალგაზრდების პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობას შორის. შრომის ბაზარზე ფორმირებული მოთხოვნა შეუსაბამოა ახალგაზრდების უმაღლესი და პროფესიული მომზადების დონესთან. არაადეკვატური განათლების მქონე ახალგაზრდები სტრუქტურული უმუშევრობის მთავარი წყაროა (Kharaishvili E., Chavleishvili M., Lobzhanidze M., Damenia N., Sagareishvili N. 2017).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სრული შესაბამისობის მიღწევა ეკონომიკის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან, მიღებული განათლება შრომითი მოწყობისა და სრულფასოვანი ცხოვრების გარანტიას უნდა იძლეოდეს. იმ ქვეყნისათვის, საიდანაც ხდება ახალგაზრდობის მობილობა, ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ უცხოეთში მიდიან ყველაზე მომზადებული, განათლებული და შრომისმოყვარე ახალგაზრდები. მიგრაციული განწყობა სწორედ ელიტურ სტუდენტ-ახალგაზრდობაში შეიმჩნევა. მათი აკადემიური მოსწრება და პროფესიული მომზადება მაღალი მახასიათებლებით გამოირჩევა. სასწავლო მიგრაციას. როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მხარეები გააჩნია. ქვეყანა, საიდანაც გაედინება ახალგაზრდები

კარგავს ინტელექტუალური პოტენციალის მნიშნელოვან ნაწილს, ოჯახის ან სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტირება დაკარგულია, თუ მიღებული განათლებით ახალგაზრდა სამშობლოში არ დაბრუნდა. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მნიშვნელოვანი კადრებით ქვეყანა კვლავ ავსებს როგორც მეცნიერებას, ასევე ეროვნულ ეკონომიკას. უცხოეთში განათლების მიღებას უნდა შევხედოთ არა ვიწრო ეროვნული პრიზმიდან, არამედ საკადრო პოტენციალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების ჭრილში.

2021 წლის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 3,7 მლნ-ს შეადგენს. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ასეთი შემცირების ტენდენცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მიგრაციის სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებაში.

სასწავლო მიგრანტების პოტენციალის შეფასება პოსტსაბჭოთა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. დაბრუნებული კვალიფიციური მიგრანტების საზოგადოებაში ინტეგრაცია უზრუნველყოფს ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების დანერგვას.

ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და მიგრაციული პროცესების ეფექტიანად მართვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სასწავლო მიგრაციის კვლევა, იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც განსაზღვრავს ეფექტიან სასწავლო მიგრაციას და დადებით გავლენას ახდენენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე.

მსოფლიოში მიმდინარე სასწავლო მიგრაციის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინება ინტელექტუალური პოტენციალის შეფასების თვალსაზრისით საქართველოსთვის უდიდესი გამოწვევაა. საქართველოში საკმაოდ აქტუალურია სასწავლო-პროფესიული მობილობა, რადგან ეს უკანასკნელი მიიჩნეულია პიროვნების ჩამოყალიბებისა და თვითრეალიზაციის, უცხო გარემოში ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების, სწავლისა და მუშაობის გამოცდილების შეძენის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.

სასწავლო მიგრაციის ზრდას ხელი შეუწყო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების ჩართვამ ბოლონიის პროცესში. საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წელს შეუერთდა, ხოლო 2013 წელს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) აფილირებული წევრი გახდა.

საქართველოს ახალგაზრდები საზღვარგარეთ სასწავლებლად, ასევე, კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაფინანსების სხვადასხვა წყაროების საშუალებით ფინანსდებიან: 1. უცხო ქვეყნების მიერ გამოყოფილი სასწავლო სტიპენდიებისა და გაცვლითი პროგრამების საშუალებით; 2. საქართველოს მთავრობის დაფინანსებით; 3. არასახელმწიფო დაფინანსებით.

მსოფლიოში საერთაშორისო მობილობაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა ბოლო 10 წლის განმავლობაში თითქმის 70%-ით გაიზარდა და 2020 წლისთვის 4,5 მილიონს გადააჭარბა (UNESCO).

განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც 2014 წელს დაარსდა და 2014-2021 წლებში 1100-ზე მეტირსასწავლო სტიპენდია გასცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის. მათმა ნაწილმა უკვე დაასრულა საზღვარგარეთ სწავლა, დაბრუნდა ქვეყანაში და მიღებული ცოდნის რეალიზებას საკუთარ ქვეყანაში განაგრძობს (განათლების საერთაშორისო ცენტრი, IEC).

დიაგრამა 1

2017-2021 წლებში დაფინანსებული სტიპენდიანტები ქვეყნების მიხედვით



წყარო: მონაცემები დამუშავებულია ავტორის მიერ განათლების საერთაშორისო ცენტრის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 2

2017-2021 წლებში გაცემული სასწავლო სტიპენდია



წყარო: მონაცემები დამუშავებულია ავტორის მიერ განათლების საერთაშორისო ცენტრის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 3

დაფინანსებული სტიპენდიანტები რაოდენობა 2017-2021 წლებში



წყარო: მონაცემები დამუშავებულია ავტორის მიერ განათლების საერთაშორისო ცენტრის მონაცემების საფუძველზე

2021 წელს, კორონა ვირუსით გამოწვეული პანდემიისა და ქვეყანაში არსებული რთული სამუშაო პირობების მიუხედავად, ცენტრმა 10 სასტიპენდიო სქემა/პროგრამა განახორციელა, რის შედეგადაც 123 ახალი სტიპენდია გაიცა, ხოლო ბენეფიციართა საზღვარგარეთ სწავლა სახელმწიფოს მიერ 6 741 866 ლარით დაფინანსდა (განათლების საერთაშორისო ცენტრი, IEC).

საქართველოდან საერთაშორისო სასწავლო მიგრაციის ძირითადი მიმართულებებია ევროპისა და ამერიკის უმაღლესი სასწავლებლები და დინამიკაში შესაბამისი მაჩვენებლები ზრდადია. ახალგაზრდების სასწავლო მიგრაციის ასეთი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია შრომის ბაზარზე არსებული დიდი კონკურენციით, საზღვარგარეთ მიღებულ განათლებაზე მაღალი მოთხოვნითა და მაღალანაზღაურებადი სამუშაოს ძიების სურვილით.

გლობალიზაციის პროცესებში ეფექტიანი ჩართვისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლისათვის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

პანდემიის პერიოდში დიდი მოთხოვნა გაჩნდა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე. ღია წვდომა სხვადასხვა პლატფორმაზე მნიშვნელოვნად შეამცირებს განათლების მისაღებად სხვა ქვეყნებში სასწავლო მიგრაციას. პროგნოზის სახით შიძლება ითქვას, რომ პოსტპანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად მოიმატებს ელექტრონული სასწავლო პლატფორმების გამოყენების ინტენსივობა.

დასკვნები და რეკომენდაციები

- საქართველოში სასწავლო მიგრაციის წილი მიგრაციულ პროცესებში ჯერ კიდევ მცირეა, ხოლო მოთხოვნა საზღვარგარეთ განათლებაზე საკმაოდ მაღალია. თუმცა, ამ მაჩვენებლის შესაბამისი არ არის მათი დასაქმების ტენდენცია. საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა არ არის მათი ეფექტიანი დასაქმების წინაპირობა;
- არასწორი პროფესიული ორიენტაცია, რაც გამოიხატება ძირითადად უმაღლესი განათლების მიღებაში, მნიშვნელოვნად ართულებს მათ დასაქმებას. შრომის ბაზარზე მეტწილად უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები გამოდიან;

- სასწავლო მიგრაცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით ეფექტიანია. ახალგაზრდები სამშობლოში ბრუნდებიან საერთაშორისო გამოცდილებით, ახალი ცოდნითა და უნარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სასწავლო მიგრაციის ამ პოტენციალის გათვალისწინება მიგრაციის პოლიტიკის დაგეგმვისას. სასწავლო მიგრაციის ეფექტიანი მართვით შესაძლებელია ადამიანისეული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება;
- სასწავლო მიგრაცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ახდენს გავლენას.

ახალგაზრდების სასწავლო მიგრაციას თან ახლავს დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური შედეგები. მიზანშეწონილია მიგრაციის ამ შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი სახელმწიფო პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავება.

ლიტერატურა:

1. E. Kharaishvili, M. Chavleishvili, M. Lobzhanidze, N. Damenia, N. Sagareishvili. Problems of Youth Employment in Agricultural Sector of Georgia and Causes of Migration. World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering Vol:11, No:10, 2017.
2. Tukhashvili M., Labor Potential of Georgia, Tbilisi, TSU Publishing, 1998.
3. National Youth Research in Georgia, UNICEF, unite for children, 2014, http://unicef.ge/uploads/Final_Geo_Adolescents_and_Youth_in_Georgi a.pdf
4. Employment and unemployment, National Statistics Office of Georgia, 2016, www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=146&lang=eng.
5. Lobzhanidze M., Youth Employment Problems and Economic Sustainability Problems in Georgia, proceedings of the international scientific an practical conference Innovative Economy and the problems of its Formation in Post-communist Countries, p. 279.
6. Tukhashvili Mirian, Tsartsidze Murman, Latsabidze Natela, Lobzhanidze Manana, Shelia Mzia European Journal of Humanities and Social Sciences Scientific journal, No 3 2018, ISSN 2414-2344 https://ppublishing.org/upload/iblock/239/EJH-3_2018.pdf
7. განათლების საერთაშორისო ცენტრი, https://iec.gov.ge/
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge.
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo
10. იუნესკო-ს სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემები http://uis.unesco.org/indicator/edu-mobility-in-country

COVID-19 Pandemic Impact on Study Migration and it's Socio-Economic Consequences

Manana Lobzhanidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor, Doctor of Economics

SUMMARY

COVID-19 pandemic contributed to significant changes in migration processes, changes in educational migration should be noted. Restrictions caused by COVID-19 pandemic had negative impact on effectiveness of educational process. Educational process has partially or completely shifted towards distance learning.

Distance learning is a new challenge not only for Georgia, but for the world. Experience for pandemic management is non-existent. Hence, health and especially educational sector were unprepared for COVID-19 pandemic. Having insufficient computer equipment as well as inadequate amount of digital technologies are one of the main challenges for the educational sector. Access to high quality internet is a big problem in rural areas. Which was most negatively reflected in the education sector. The quality of learning has declined during distance learning.
Key words: *Educational migration, Youth, COVID-19 pandemic.*

პოსტთანამედროვე ეკონომიკის კონტურები (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტი)

ელგუჯა მექვაბიშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ეკონომიკა კომპლექსური სისტემაა, რომელიც არაწრფივად ვითარდება, მისი პროგნოზირება კი რთული პრობლემაა, მითუმეტეს როცა საკითხი ეხება გრძელვადიანი პრონოზების შემუშავებას. სირთულეს ორი ურთიერთსაპირისპირო გარემოება განაპირობებს. პირველი მათგანი ქაოსის თეორიაში ცნობილია „პეპელას ეფექტის“ სახელწოდებით, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: საკვლევი ობიექტის საწყის პირობებში მცირე ცვლილებებიც კი დიდ ცვლილებებს იწვევს საბოლოო შედეგში, რის გამოც ობიექტის მომავალი მდგომარეობის ზუსტად განჭვრეტა შეუძლებელია. მეორე მხრივ, ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის განვითარება გარკვეულ წესრიგსა და ლოგიკას ემორჩილება, რის გამოც წარმოქმნილი ტენდენციების ექსტრაპოლაციით შესაძლებელია ამ სისტემის მომავალი მდგომარეობის მახასიათებელი რიგი პარამეტრების განსაზღვრა. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძელზე, სტატიაში შემოთავაზებულია შედარებით შორეული პოსტთანამედროვე ეკონომიკის, როგორც ცივილიზაციის განვითარების კანონზომიერი შედეგის, ავტორისეული ხედვა, რომელიც გარკვეულ პოსტულატებს ეფუძნება.

საკვანძო სიტყვები: *პოსტთანამედროვე ეკონომიკა; პარტნიორული ეკონომიკა; კრეატიული ეკონომიკა, ეკონომიკის ჰუმანიზაცია, არაეკონომიკური ადამიანი.*

კაცობრიობა სწრაფად ცვალებად და გაურკვევლობის მაღალი ხარისხით გამორჩეულ პირობებში ცხოვრობს. არსებული რეალობის გათვალისწინებით, გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება, ერთი შეხედვით, უნაყოფო საქმიანობად შეიძლება მოგვეჩვენოს. თუმცა ისიც აშკარაა, რომ ადამიანებს სჭირდებათ ასეთი პროგნოზები, ვინაიდან მათ გარეშე საქმიანობა სუბიექტურად შეზღუდული, არარაციონალური და არაეფექტიანი, დასახული მიზნები კი მიუღწეველია, ან მათი მიღწევა დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. პროგნოზირება ჩვენი ამჟამინდელი რეალობიდან სხვადასხვა დროით დაშორებული საზოგადოებრივი მდგომარეობის აღწერას გულისხმობს. თუმცა, მომავლის საზოგადოების და ეკონომიკის ზუსტი სურათის დახატვა მეცნიერებას დღეს არ შეუძლია და მხოლოდ ჰიპოთეზების ჩამოყალიბებით უნდა დაკმაყოფილდეს, რაც თეორიულ მოდელებში აისახება გარკვეული პოსტულატების სახით. წინამდებარე სტატიაში ჩვენს მიერ შემოთავაზებულია თეორიული მოდელი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „პოსტთანამედროვე (მომავალი) ეკონომიკის კონტურები“ და გაანალიზებულია მისი პოსტულატები.

პოსტთანამედროვე ეკონომიკის თეორიული მოდელის პოსტულატები

პირველი პოსტულატი - ეხება პოსტთანამედროვე ეკონომიკის ტექნოლოგიური ბაზისის ჩამოყალიბებას, რომელიც მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის პირდაპირი ზემოქმედებითაა ნაკარნახევი. ახალი ტექნოლოგიური წესისათვის დამახასიათებელი იქნება არამექანიკური, ბიოლოგიური, ინფორმაციული, სოციალური ნანოტექნოლოგიების გამოყენება. მათ საფუძველზე განხორციელდება წარმოებისა და მოხმარების ინდივიდუალიზაცია და მინიატურიზაცია, საწარმოო პროცესების რობოტიზაცია, ხელოვნური ინტელექტის კონსტრუირება და პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა, განახლებადი რესურსების ათვისება, წარმოების რესურსტევადობის შემცი-

რება, მეცნიერებატევადობისა და ინფორმაციატევადობის მკვეთრი გაზრდა; ადამიანის კეთილდღეობასთან პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებული ისეთი სფეროების პრიორიტეტული განვითარება, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება, ინფორმატიკა, ეკოლოგია და ა.შ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს შემოქმედებითი, ინოვაციური საქმიანობა, რომელიც „ახალი ეკონომიკის" მთავარ მამოძრავებელ მექანიზმად ჩამოყალიბდება. გამოიყოფა ახალი ინოვაციური კლასტერები: ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები, ბიოლოგიური (განსაკუთრებით მოლეკულური ბიოლოგიის), სამედიცინო, გარემოს დაცვის ახალი საშუალებები და სხვ.

წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ბაზისში განხორციელებეული თვისებრივი ძვრები გამოიწვევს ეკონომიკის სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობის ადეკვატურ ცვლილებას - წინა პლანზე გადმოიწევს ინტელექტუალურ-ქსელური სტრუქტურები, რომლებიც კოლექტიური მოქმედებისა და კონკურენციის, კონფლიქტებისა და თანამშრომლობის სიმბიოზების სახით მოგვევლინება. ტრადიციული გეოგრაფიული, ფინანსურ-ეკონომიკური, პოლიტიკური სივრცეების გვერდით წარმოიქმნება სოციალური, ინფორმაციული, კულტურული, ტექნოლოგიური, ინსტიტუციური სივრცეები, რომლებსაც საკუთარი საზღვრები, განვითარების კანონზომიერებები და მექანიზმები ექნებათ.

ინფორმაციის გადაქცევა ეკონომიკის განვითარების მთავარ ფაქტორად რადიკალურად გარდაქმნის მართვის სისტემას: ავტორიტარულ-მბრძანებლური და იერარქიულად ორგანიზებული მართვა, რომელიც მტრულადაა განწყობილი მუშაკთა დამოუკიდებლობის, ინიციატივის, არჩევნის თავისუფლების, შემოქმედებითი აზროვნებისა და მოქმედების მიმართ, ისტორიას ჩაბარდება და ადგილს დაუთმობს დემოკრატიულ მართვას, მუშაკთა ფართო მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, მოგების განაწილებაში, აქციების ფლობაში და ა.შ. ამ გზით ჩამოყალიბდება თანამონაწილე პირთა პარტნიორული ეკონომიკა, რომელიც შეცვლის ტრადიციულ საბაზრო ეკონომიკას. ეკონომიკის აღნიშნულ მოდელს „ინკლუზიურ კაპიტალიზმსაც" უწოდებენ. (Schwab K; Thierry M; 2020)

მეორე პოსტულატი – ეკონომიკური ზრდის ტრადიციული მოდელი, რომელიც: ა) გულისხმობს ეკონომიკის ყოველმხრივ ფინანსებიზაციას და ვირტუალიზაციას, ვალების სწრაფად პროგრესირებადი მასშტაბით დაგროვებას, ფინანსური ბუშტების „გაბერვა-ჩაფუშვის" პერიოდულად განმეორებადობას; ბ) ემყარება ისეთი სფეროების პრიორიტეტულ განვითარებას, როგორიცაა სათამაშო და შოუ-ბიზნესი (მასკულტურა), სწრაფი კვება, ფინანსური ოპერაციები და პირველ რიგში – უძრავი ქონებით ვაჭრობა, ანუ მომსახურების ის სფეროები, რომლებიც არაფერს მატებენ „წმინდა პროდუქტის ფიზიკურ მოცულობას" და მხოლოდ ემსახურებიან „ნომინალური შემოსავლის უსარგებლო გაფართოებას" – (ლ. ლარუში) შეიცვლება რეალური წარმოების პროცესების გაფართოებასა და შრომის ფიზიკური მწარმოებლურობის ამაღლებაზე დამყარებული ეკონომიკური ზრდის მოდელით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფინანსური ოლიგარქიის კაპიტალიზმის მოდელი უნდა ჩანაცვლდეს „სამეწარმეო (ანტეპრენიორული) კაპიტალიზმის" მოდელით.

მესამე პოსტულატი. პოსტთანამედროვე ეკონომიკა უნდა იყოს მრავალწყობიანი, ემყარებოდეს კერძო, სახელმწიფო და კოლექტიური საწარმოების თანაარსებობას და თანამშრომლობას. საკუთრებისა და მეწარმეობის ფორმის პროგრესულობის ხარისხი უნდა განსაზღვროს არა იდეოლოგიურმა კლიშემ, არამედ პრაქტიკაში მისმა ეკონომიკურმა და სოციალურმა ეფექტია-

ნობამ. ამასთანავე, მათ თანაფარდობას უნდა არეგულირებდეს კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკა, ისტორიული გამოცდილება, განვითარების დონე, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების იერარქია და ა.შ. ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ მაღალი ალბათობით მოსალოდნელია კლასიკური ფორმით არსებული კერძო საკუთრების არეალის შეზღუდვა მისი სოციალიზაციის გზით და როგორც კოლექტიური, ისე საჯარო საკუთრების მოქმედების არეალის გაფართოება.

მეოთხე პოსტულატი. ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს როლის ახლებური, ნეოკლასიკური, ნეოლიბერალური და ლიბერტარიანული ინტერპრეტაციებისგან სრულიად განსხვავებული გააზრება. თვითრეგულირებადი ბაზარი მზარდი ექსპანსიურობით გამოირჩევა. იგი ცდილობს საკუთარი ფუნქციონირების ფუნდამენტური პრინციპებისა და მექანიზმების სოციუმის ყველა მხარეზე გავრცელებას, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების კონტროლქვეშ მოქცევას. ასეთ პირობებში სახელმწიფომ, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს ხელსაყრელი გარემო საბაზრო ძალების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მეორე მხრივ კი - საზოგადოება უნდა დაიცვას საბაზრო ფინანსურ-ეკონომიკური დიქტატისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის იარსებებს საკუთრივ ბაზრისა და მთელი საზოგადოების „საყრდენი სვეტის“ ჩამოშლის რეალური საფრთხე. გლობალიზაცია და ეკონომიკური ზრდის პოსტინდუსტრიულ სტადიაზე გადასვლა ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია, რომლებიც აქტიურად ზემოქმედებენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხზე, ფორმებზე, მექანიზმებზე, ინსტრუმენტებზე და ა.შ. ამასთანავე, სახელმწიფოს როლი და მისი სუვერენიტეტი გლობალიზაციის პირობებში კი არ ქრება, არამედ მნიშვნელოვან მოდიფიცირებას განიცდის, რაც ორ ძირითად გარემოებაში ვლინდება. პირველი – თანამედროვე სახელმწიფო ადგილს იკავებს არა ბაზრის „გვერდით“, ან „ზევით“, არამედ ორგანულადაა ჩართული საბაზრო სისტემაში. იგი ბაზრის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა და, ამასთანავე, მოწოდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს საბაზრო ჩავარდნები, პასუხისმგებელია მთელი საზოგადოების ინტერესთა რეალიზაციაზე. (მექვაბიშვილი ე. 2018). მეორე – გლობალიზაციის ეპოქაში სახელმწიფოს პრიორიტეტულ ფუნქციად იქცევა არა ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარე ფაქტორების ზეგავლენისაგან, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, არამედ საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი ჩართვა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება გლობალური მასშტაბით.

ამ თვალსაზრისით მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია გლობალური ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურის შექმნა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საინფორმაციო-ტექნოლოგიურ რევოლუციაში, მეცნიერების, განათლების, კულტურის პრიორიტეტულ განვითარებაში, ახალი ცოდნის გენერირებასა და ინფორმაციული ეკონომიკის დამკვიდრებაში.

მეხუთე პოსტულატი. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაზრდა მისი მხრიდან საბაზრო ეკონომიკის რეგულირების გაძლიერებაში ჰპოვებს გამოხატულებას. „რეგულირების საჭიროებით ეკონომიკური სისტემები არაფრით განსხვავდებიან ბიოლოგიური ან მექანიკური სისტემებისაგან. რეგულირების, მართვის და წესების გარეშე ისინი აუცილებლად განიცდიან კრახს და თანაც მოკლე დროში“ (გელბრეიტი ჯ.კ. 2021). როგორც პროფ. ი. კოვზანაძე შენიშნავს, „პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში სახელმწიფო – ეროვნულ ეკონომიკაში და საერთაშორისო ინსტიტუტები – მსოფლიო ეკონომიკაში მოწოდებულნი არიან მართონ საბაზრო პროცესები“. (Ковзанадзе И. (2010). პოსტთანამედროვე ეკონომიკაში რეგულირებას ექნება მაქსიმალურად

კვალიფიციური, მეცნიერულად დასაბუთებული, ზომიერი და ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირების მიზანს დაქვემდებარებული ხასიათი. გამოყენებული იქნება რეგულირების ფორმები, მეთოდები, ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ წონასწორობის დამყარებასა და უზრუნველყოფას: ა) ეკონომიკის რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის; ბ) საფინანსო ინოვაციებსა და მათ მარეგულირებელ სტრუქტურებს შორის; გ) მოხმარებას, დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის. რეგულირება ასევე უზრუნველყოფს კომერციული (სპეკულაციური) მონდომებისა და შემოქმედებითი საწყისების გაერთიანებას ბიზნეს-საქმიანობაში და მტკიცე ფუნდამენტს შეუქმნის ახალ ტიპის ეკონომიკურ ზრდას. წარსულს ჩაბარდება დიქოტომიური აზროვნება- ბაზარი ან სახელმწიფო, რეგულირება ან დერეგულირება, ლიბერალიზმი ან დირიჟიზმი და იგი შეიცვლება მათი სინთეზით. საყოველთაოდ გაცნობიერდება ჭეშმარიტება, რომ მხოლოდ სახელმწიფოს „ხილული ხელისა“ და „ბაზრის უხილავი ხელის“ სიმბიოზი იძლევა სასურველ შედეგს- უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის სტაბილურ ზრდას. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელსაც შემოქმედებით ეკონომიკას უწოდებენ. ამ ტიპის ეკონომიკაში დამატებული ღირებულების უდიდესი ნაწილი ახალი იდეების გენერირებაზე მოდის.

მეექვსე პოსტულატი. პოსტთანამედროვე ეკონომიკა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისაგან განსხვავებით, რომელშიაც ფული და ფინანსები ადამიანის კეთილდღეობას კი არ ექვემდებარება, არამედ ადამიანია ჩაყენებული მათი უკიდეგანო ზრდის სამსახურში, ორიენტირებულია ადამიანზე, როგორც უზენაეს საზოგადოებრივ ფასეულობაზე და ემსახურება მის ინტერესებს.

ასეთ მიდგომას საგრძნობლად შეუწყო ხელი გლობალური ფინანსური კრიზისის დროს განვითარებულმა მოვლენებმა. მეტად საყურადღებო და საინტერესოა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე 2010 წლის 27 იანვარს საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტის ნ. სარკოზის მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია: „ამჟამად მთავარი ამოცანაა ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა ეკონომიკა იმუშავებს ადამიანისათვის“. (Мировая экономика, 2010).

სოციალიზაციის პროცესი სხვადასხვა მიზეზის გამო რთულად, არათანმიმდევრულად და არასაკმარისი ტემპით მიმდინარეობს, რაც დღის წესრიგში აყენებს ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ნოვაციური ხასიათის მქონე გარღვევის აუცილებლობას.

მაშასადამე, ძველი ეკონომიკური მოდელი, რომლის ცენტრშიც დგას „ეკონომიკური ადამიანი“, უნდა შეიცვალოს „არაეკონომიკურ ადამიანზე“ ორინეტირებული, ანუ ანტროპოცენტრული მოდელით. არაეკონომიკური ადამიანისათვის შემდეგი თვისებები იქნება დამახასიათებელი: ა) მის ქცევას განსაზღვრავს და წარმართავს საკუთარ ეგო-ს გარეთ გასული მოტივები; ბ) იგი არამატერიალურ ფასეულობებს მიანიჭებს პრიორიტეტს; გ) მისთვის დამახასიათებელია მაღალი პასუხისმგებლობა სხვა ადამიანების, კოლექტივის და საზოგადოების მიმართ; დ) იგი მზადაა არეგულიროს (შეზღუდოს) მიმდინარე მოხმარება მომავალი თაობების საკეთილდღეოდ და შედარებით მაღალი საფასური გადაიხადოს გლობალური პრობლემების გადაჭრის დასაფინანსებლად.

მეშვიდე პოსტულატი. ეკონომიკის ჰუმანიზაცია შეიცავს საბაზრო ეკონომიკის სოციალიზაციის გაძლიერების მოთხოვნას, რომელიც განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე უწყვეტად მიმდინარეობდა. ეს ბევრი ფაქტით დასტურდება. მაგ.: თანამედროვე პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებში თანაფარდობა სამხედრო

ხარჯებსა და სოციალური დანიშნულების ხარჯებს შორის 1:6 შეადგენს. ეს ამ ქვეყნების სოციალურად ორიენტირებულ სისტემად ტრანსფორმირების ნათელი მაჩვენებელია. განსხვავება არის მხოლოდ ცალკეული ქვეყნების მიხედვით სოციალურობის ხარისხში. ასევე აღსანიშნავია პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში საბიუჯეტო პოლიტიკის ორიენტიერებულობა ადამიანი – კაპიტალის განვითარებაზე: განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემის დაფინანსებაზე და ა.შ. სწორედ ამ ტიპის დანახარჯები მიიჩნევა ეროვნული ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და გლობალური მასშტაბით კონკურენტუნარიანობის ამაღლების გადამწყვეტ ფაქტორად.

პროფ. ი. სტიგლიცი სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის კლასიკურ მაგალითად სკანდინავიის ქვეყნებს მიიჩნევს და დასძენს: „სკანდინავიის ქვეყნების წარმატება უზრუნველყო მათში სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნამ. ამ ქვეყნებმა დაინახეს, რომ მდგრადი აყვავებისათის აუცილებელია მისი საყოველთაობა. ეს მნიშვნელოვანი გაკვეთილია, რომელიც უნდა ისწავლოს აშშ-მ და ევროპის დანარჩენმა ნაწილმა“. (http://www.project-sindicate.org/commentary/lessons-anti-globalists-by-joseph-e-stiglitz-2017)

პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში სოციალურ სფეროში განხორციელებული პოზიტიური ძვრების მიუხედავად, სოციალური დიფერენციაციის მაღალი ხარისხი და სოციალური უსამართლობა კვლავ რჩება მწვავე პრობლემად. სტიგლიცის აზრით, "ზედაფენა პირდაპირ მდიდრდება იმათ ხარჯზე, ვინც სოციალური კიბის დაბალ საფეხურზე იმყოფება". პრობლემის არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, სოციალური სამართლიანობის მიმართ მეინსტრიმული დოქტრინების ნეგატიური დამოკიდებულებაა, რომლის არსი ნათლადაა ჩამოყალიბებული ამერიკელი მეცნიერის რ. პაიპსის ნაშრომში "საკუთრება და თავისუფლება". იგი წერს: "სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, მხოლოდ იძულებით, ე.ი. თავისუფლების შეზღუდვითაა მიღწევადი. ეს აუცილებლად მოითხოვს იმ მოქალაქეთა საკუთრების უფლების უხეშად დარღვევას, რომლებიც ფლობენ უფრო მეტ ქონებას, ან სარგებლობენ უფრო მაღალი საზოგადოებრივი სტატუსით, ვიდრე უმრავლესობა". (პაიპსი რ. 2004). ნეოლიბერალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის ა. ჰაიეკის აზრით, საზოგადოება თუკი საოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებით იხელმძღვანელებს, ვერ მიაღწევს ვერცერთ მათგანს, სამაგიეროდ დაანგრევს ეკონომიკურ ეფექტიანობას. (Хайек Ф. А.1992).

მაშასადამე, თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასა და რეალურ სამეურნეო ცხოვრებაში ბევრი მიზეზი არსებობს, რომელიც წინ ეღობება და ხელს უშლის ეკონომიკური განვითრების ახალი მოდელის დამკვიდრებას.

მერვე პოსტულატი – მოხმარების ახალი წესი, როგორც მომავლის ეკონომიკის ორგანული შემადგენელი ნაწილი. გლობალიზაციის ასიმეტრიული ხასიათი, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ, იმაშიც გამოიხატება, რომ თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში მოთხოვნა ჯერჯერობით საკმაოდ მოდუნებულია, მიწოდება კი სისტემატურად იზრდება. ამას შედეგად მოსდევს ეკონომიკური დისბალანსების გაღრმავება, რომელიც აპროვოცირებს დეფლაციის ხანგრძლივ პროცესს. აღნიშნულის კლასიკური მაგალითი იაპონიაა, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია დეფლაციის მარწუხებშია მოქცეული. მთავრობათა არაერთმა მცდელობამ, მათ შორის შედარებით წარმატებულმა „აბეეკონომიკამ“ ვერ შეძლო სიტუაციაში ძირეული

გარდატეხის მოხდენა წამყვანი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს სულ უფრო უძნელდებათ „ლიკვიდურობის ხაფანგის“ წინააღმდეგ ბრძოლა.

ამჟამად „ლიკვიდურობის ხაფანგის“ მთავარი ასპექტი, როგორც ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ე. ფელპსი მიუთითებს, გლობალური მიწოდების მრუდია. ასეთ პირობებში, მეცნიერის აზრით, მართებულია აქცენტი გადავიდეს მოთხოვნის მხარეზე და ფისკალურმა ხელისუფლებამაც უფრო მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს ამ მიმართულებით (ფელპსი ე. „გავაფართოვოთ მოთხოვნა, თუ გავზარდოთ ინოვაციები“). კოვიდ 19-ის პანდემიამ კორონომიკური კრიზისის წარმოშობა განაპირობა, რომელმაც ერთდროულად მიწოდებისა და მოთხოვნის შოკები წარმოქმნა და ეკონომიკა მოჯადოებულ წრეში მოაქცია (Papava V. 2020).

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა მოხმარების და ერთობლივი მოთხოვნის გაზრდას, არამედ მისი სტრუქტურის და ხასიათის ძირეულ შეცვლას. ჩვენ აქ ვგულისხმობთ თანამედროვე, ხშირ შემთხვევაში მოხმარების არაჯანსაღი, მახინჯი, რეალურ სარგებლობას მოკლებული მოხმარების ფორმების ჩანაცვლებას ისეთი მოხმარებით, რომელიც უშუალოდ აკმაყოფილებს ადამიანის ფიზიკური, სულიერი, ინტელექტუალური განვითარების მიზანს. მოხმარების მეცნიერულად დასაბუთებული, ჰუმანიზირებული და გონივრული ფორმების დანერგვით შესაძლებელი გახდება თავიდან ავიცილოთ წარმოების უსაზღვრო გაფართოების აუცილებლობა. ამ გზით შევამცირებთ პლანეტარული მასშტაბით სასიცოცხლო რესურსების ექსპლოატაციის ხარისხს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. მოხმარების წესს, ფორმებსა და სტრუქტურას, როგორც წესი, საზოგადოებაში დამკვიდრებული ფასეულობების სისტემა განსაზღვრავს. იგი გვიჩვენებს „თუ რამდენად შეესაბამება წარმოება და ამის შემდეგ მოხმარება ადამიანის რეალურ ინტერესებს“. (მალაშხია გ. და 2014). ზნეობრივ ფაქტორებს, აღზრდას, განათლებას, კულტურას, რელიგიურ მრწამსს, ტრადიციებს, ისტორიულ მემკვიდრეობას და სხვ. წამყვანი როლი აკისრია გონივრული მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაში. როგორც ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ი. კანტი შენიშნავდა: „ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელიც ექვემდებარება აღზრდას“.

რა ობიექტურ და სუბიექტურ დაბრკოლებებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული მოხმარების რაციონალური მოდელის ჩამოყალიბება? რა თქმა უნდა, ლიბერალები, ნეოლიბერალები და ლიბერტარიანელები მასში დაინახავენ ადამიანის პირადი თავისუფლების უხეშ შეზღუდვას, თუმცა სრულიად უსაფუძვლოდ! ჩვენ ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ ადამიანის არა ზოგადად მოთხოვნილებების, არამედ საკუთარი თავისთვის ზიანის მომტანი ფორმების შეზღუდვაზე და პარალელურად ჯანსაღი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გაფართოებაზე. შემოთავაზებული მოდელი ადამიანის, როგორც მომხმარებლის თავისუფლებას კი არ შეზღუდავს, არამედ პირიქით, გააფართოებს და ილუზორული თავისუფლება რეალური თავისუფლების სფეროში გადავა. მხედველობაში მისაღებია პრობლემის სოციალური ასპექტიც: გონივრული მოთხოვნილებების ფორმირების ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელი ათავისუფლებს რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. ეს უკანასკნელი რესურსების მძაფრი შეზღუდულობის პირობებში მოსახლეობის უმცირესი ნაწილის ფუფუნებას ხმარდება. მომავალში იგი წარიმართება იმ ადამიანების მოხმარების დასაკმაყოფილებლად, ვინც დღეს საარსებო საშუალებათა მწვავე დეფიციტს განიცდის.

დასკვნა

დასასრულს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ კორონა ვირუსის პანდემია, რომელმაც „შეძრა“ მსოფლიო, ქმნის ახალ რეალობას, მნიშვნელოვნად აჩქარებს პოსტთანამედროვე ეკონომიკის ტექნოლოგიური საფუძვლების მომწიფებას და მასთან ერთად, პრინციპულად ახალი, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სოციალური, კულტურულ-ინტელექტუალური და ა.შ. ცვლილებების დაწყებას, რომელთა ერთობლიობა მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების არსებული მოდელისაგან პრინციპულად განსხვავებულ ეკონომიკურ სისტემასთან აახლოვებს.

ლიტერატურა:

1. გელბრეიტი ჯ.კ. (2021). „რა არის ეკონომიკსი? პოლიტიკური დისციპლინა რეალური მსოფლიოსთვის“. ეკონომიკა და ბიზნესი, №4, გვ. 9-28
2. მალაშხია გ. (2014). უქმი ეკონომიკა.
3. მექვაბიშვილი ე. (2018). გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართვრლოს ეკონომიკა.
4. პაიპსი რ. (2004). საკუთრება და თავისუფლება.
5. Papava V. (2020). “On the Atypical Economic Crisis Under The COVID -19 Pandemic”. Economics and Business, №4, pp. 9-16
6. Schwabi K.; Thierry M. (2020). “COVID-19: The Great Reset”. Cooper.
7. Ковзанадзе И. (2010). Уроки мирового кризиса: необходима новая модель регулирования экономики.
8. Мировая экономика, (2010). №1.
9. Хайек Ф. А. (1992). Пагубная самонадеянность. М., «Новости».
10. http://www.project-sindicate.org/commentary/lessons-anti-globalists-by-joseph-e-stiglitz-2017

Contours of Postmodern Economy (Theoretical-methodological aspect)

Elguja Mekvabishvili

Doctor of Economic Sciences,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professor

SUMMARY

The economy development's predicting is one of the important functions of economic science. Without this, human activities are irrational and ineffective and it is impossible to achieve the set goals or it is associated with high costs. It is especially difficult to predict the distant future, since at this time it is impossible to paint an accurate picture of reality, and science must be satisfied only with the formation of a hypothesis. The latter should be reflected in the theoretical model of postmodern (future) economics in the form of certain postulates.

In this article, a theoretical model called "Contours of Postmodern Economy" is developed and its eight postulates are formulated. It is argued that the economy of the future will be a partnership and humane system, fundamentally different from the modern market economy.

COVID-19 პანდემია და თამბაქოს მოხმარება საქართველოში[1]

გიორგი მჟავანაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

COVID-19-ის პანდემიამ და მასთან საბრძოლველად დაწესებულმა შეზღუდვებმა შეცვალა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება და მათი სამომხმარებლო ქცევა. ამავდროულად, თამბაქოს მოხმარება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მოწევის გავრცელების მიხედვით საქართველო „მოწინავე" პოზიციებს იკავებს ევროპის ქვეყნებს შორის. პანდემიის ზეგავლენა თამბაქოს მოხმარებაზე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ზოგიერთ ქვეყანაში პანდემიის დაწყების შემდეგ შეინიშნება თამბაქოს მოხმარების მკვეთრი ზრდა მწეველებს შორის. ერთის მხრივ COVID-19-ის გამო მწეველები უფრო მოტივირებული არიან მოწევას თავი დანებონ, თუმცა პანდემიით განპირობებული სტრესი, პირიქით, ახალისებს მოწევის რაოდენობის ზრდას სხვა მწეველებში.

საქართველოში მოწევის გავრცელება შემცირდა პანდემიის პირობებში. ამავდროულად გაიზარდა გაყიდული სიგარეტების რადენობა, რაც მიუთითებს მწეველთა მიერ მოხმარებული სიგარეტების რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდაზე. ეს სავარაუდოდ განპირობებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებით პანდემიის პერიოდში. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია პროაქტიული ზომების გატარება სახელმწიფოს მხრიდან ფსიქიკური ჯანმრთელობისა და მოწევის შეწყვეტის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: *ქცევითი ეკონომიკა, თამბაქოს მოხმარება, თამბაქოს კონტროლის პოლიტიკა, აქციზის გადასახადი*

თამბაქოს მოხმარება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მოდელირებული შეფასებებით, 2019 წელს საქართველოში ზრდასრული მოსახლეობის 32 პროცენტი ეწეოდა თამბაქოს (WHO, 2021). მამაკაცებში მწეველობის გავრცელება 56.9 პროცენტი იყო. ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში მეოთხე, ევროპაში კი პირველ ადგილს იკავებდა. თამბაქოს მოწევის მაჩვენებელი დაახლოებით 8-ჯერ ნაკლები იყო ქალებში და 7.1 პროცენტი შეადგენდა, რაც სავარაუდოდ არ ასახავს რეალურ სურათს. მაგალითად, ნიკოტინის ტესტების გამოყენებით ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქალების 12.2 პროცენტი ეწევა თამბაქოს (Gamkrelidze et al, 2018). მოწევის მაღალ მაჩვენებელთან ერთად, 2016 წელს საქართველოში ზრდასრული მოსახლეობის 43 პროცენტი იმყოფებოდა მეორადი კვამლის ზეგავლენის ქვეშ სახლში, ხოლო 15.8 პროცენტი - სამუშაო ადგილზე. საერთო ჯამში, მოსახლეობის ნახევარზე მეტი იმყოფებოდა მეორადი კვამლის ზეგავლენის ქვეშ საკუთარი თანხმობის გარეშე (Gamkrelidze et al, 2018).

შედეგად, საქართველოში თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული დაავადებებისგან ყოველწლიურად 11,400 ადამიანი იღუპება (ზრდასრული მოსახლეობის 0.4 პროცენტი), აქედან დაახლოებით 2,100 სიკვდილი უკავშირდება პასიურ მოწევას. მოწევის სავარაუდო ეკონომიკური ხარჯები, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის პირდაპირ ხარჯებს, და ავადობასთან და სიკვდილიანობასთან დაკავშირებული არაპირდაპირ ხარჯებს შეადგენს დაახლოებით 825 მილიონ ლარს წელიწადში, ან მშპ-ს 2.4 პროცენტს (UNDP et al, 2018).

2020 წლის მარტში COVID-19 გლობალურ პანდემიად გამოცხადდა, რასაც მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, შემდგომ მოყვა ვირუსის წინააღმდეგ მიმართუ-

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [PHDF-21-740, თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის ზეგავლენა მოწევის გავრცელებაზე, სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობასა და ეკონომიკური კეთილდღეობის გადანაწილებაზე საქართველოში].

ლი მკაცრი ადმინისტრაციული ზომები. დაწესებულმა ლოქდაუნებმა, გადაადგილების შეზღუდვებმა, სოციალური დისტანცირების პრაქტიკის დანერგვამ რადიკალურად შეცვალა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება და მათი სამომხმარებლო ქცევა. მოცემული სტატიის მიზანია არსებული მეორადი წყაროების გამოყენებით შეისწავლოს COVID-19-ის პანდემიის ზეგავლენა თამბაქოს მოხმარებაზე საქართველოში. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნება რეკომენდაციების შემუშავება საქართველოში თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის შემდგომი დახვეწისთვის.

COVID-19 პანდემიის ზოგადი ეფექტები თამბაქოს მოხმარებაზე

არსებული კვლევების მიხედვით, პანდემიის ზეგავლენა თამბაქოს მოხმარებაზე არ არის ცალსახა და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, ნიდერლანდებში მწეველთა 67.7 პროცენტი აღნიშნავს, რომ მათ მიერ მოწეული სიგარეტების რაოდენობა არ შეცვლილა, 18.5 პროცენტი ამბობს, რომ ნაკლებ, ხოლო 13.8 პროცენტი კი პირიქით, მეტ სიგარეტს ეწევა პანდემიის დაწყების შემდეგ (Elling et al., 2020). ამერიკელ მოზარდებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, მწეველთა 51.7 პროცენტის ქცევა უცვლელია, 20.7 პროცენტმა შეამცირა, ხოლო 27.6 პროცენტმა გაზარდა მოწევის რაოდენობა (Cordon et al., 2021). მსგავსი ვითარება შეინიშნება ბელგიაში და ავსტრალიაშიც (Stanton et al., 2020, Vanderbruggen et al., 2020).

თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში პანდემიის დაწყების შემდეგ შეინიშნება მოწევის რაოდენობის გამოკვეთილი ზრდა მწეველებს შორის. მაგალითად, პოლონეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მწეველთა 45.2 პროცენტი უფრო მეტს ეწეოდა ლოქდაუნების პერიოდში (Sidor & Rzymski, 2020). ახალი ზელანდიის მწეველთა კვლევამ აჩვენა, რომ მწეველთა 45 პროცენტი ეწევა მეტს და მხოლოდ 16 პროცენტი ეწევა ნაკლებს, დანარჩენ 39 პროცენტში კი ცვლილებები არ შეინიშნება (Gendall et al., 2021). ანალოგიურად, იტალიაში ჩატარებული კვლევის თანახმად, მწეველთა 30 პროცენტი ეწევა მეტს (დღეში საშუალოდ 5.6 სიგარეტით) და მხოლოდ 18 პროცენტი აღნიშნავდა, რომ ეწევა ნაკლებს (დღეში საშუალოდ 4.1 სიგარეტით) (Ferrante & Fearnside, 2020).

საერთაშორისო კვლევები ასევე აფასებენ COVID-19-ის გავლენას მოწევაზე თავის დანებების მცდელობებზე. ნიდერლანდელი მწეველების 33.8 პროცენტი აცხადებს, რომ COVID-19-ის გამო უფრო მოტივირებული არიან მოწევას თავი დანებონ (Elling et al., 2020). ეს აიხსნება მწეველების შეხედულებასთან, რომ COVID-19 ჯანმრთელობისთვის სერიოზულ რისკს წარმოადგენს, მწეველების COVID-19-ით დაინფიცირების მაღალი რისკი გააჩნიათ და დაავადება უფრო მძიმე გართულებებს იწვევს მწეველებს შორის. თუმცა, ამერიკელ მწეველებში, COVID-19-ით გამოწვეული ჯანმრთელობის გართულების შიში, პირიქით, ამცირებდა მოწევისთვის თავის დანებების ალბათობას და დადებითად იყო დაკავშირებული მოწევის რაოდენობის ზრდასთან (Shepherd et al., 2021).

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ COVID-19-ის მიმართ შიში შესაძლოა ზოგიერთ მწეველს უბიძგებს მოწევის რაოდენობის შემცირებისკენ ან მოწვისთვის თავის დანებებისკენ, თუმცა, ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებამ (სტრესმა, დეპრესიამ) შეიძლება, პირიქით, წაახალისოს მოწევა სხვებში.

საქართველომ ბოლო წლებში არაერთი რადიკალური ცვლილება განახორციელა თამბაქოს კონტროლის მიმართულებით, რაც თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობისა და ეკონომიკური ზიანის შემცირებას ემსახურება. ამ მიმართულებით ქვეყანამ ყველაზე რადიკალური ნაბიჯი 2017 წელს გადადგა, როდესაც ცვლილებები დაანონსა თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონში, რეკლამის შესახებ კანონში, მაუწყებლობის შესახებ კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ამ ცვლილებებით 2018 წლიდან: ა) აიკრძალა მოწევა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში; ბ) აიკრძალა თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ყველა სახის რეკლამა; გ) თამბაქოს მწარმოებლებს შეეზღუდათ სპონსორობის უფლება; დ) გაიზარდა სიგარეტის შეფუთვაზე თამბაქოს მოწევის მავნებლობის გამაფრთხილებელი ნიშნების ზომა და სავალდებულო გახდა შეფუთვაზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების გრაფიკული გამაფრთხილებელი ნიშნების დატანა (Mzhavanadze, 2021a).

პარალელურად, 2017 წლიდან ეტაპობრივად იზრდებოდა აქციზის გადასახადი.საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, თამბაქოს ნაწარმის აქციზის გადასახადი შედგება ორი კომპონენტისგან: (1) სპეციფიკური (სპ), რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ თანხას პროდუქტის ერთეულზე და (2) ადვალორული (ად), რომელიც საცალო სარეალიზაციო ფასის საფუძველზე ანგარიშდება. 1-ელ ცხრილში წარმოდგენილია თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის ცვლილებების ქრონოლოგია (ლარში სპ-ისთვის და პროცენტებში ად-ისთვის) თამბაქოს ნაწარმის მიხედვით 2016 წლიდან დღემდე.

ცხრილი 1

ნაწარმი	რაოდენობა	იან. 2016		იან. 2017		ივნ. 2017		იანვ. 2019		ნოე. 2019	
		Sp	Ad	Sp	Ad	Sp	Ad	Sp	Ad	Sp	Ad
სიგარეტი (ფილტრიანი)	20 ღერი	1.1	10	1.7	10			1.7	30		
სიგარეტი (უფილტრო)	20 ღერი	0.3	10	0.6	10			1.7	10	1.7	30
თუთუნი	1 კგ	25		35						60	

წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2017 წლის იანვარში აქციზის ფიქსირებული კომპონენტის განაკვეთი ფილტრიან სიგარეტზე გაიზრდა 1.1 ლარიდან 1.7 ლარამდე, ხოლო უფილტრო სიგარეტისთვის - 0.3 ლარიდან 0.6 ლარამდე. 2019 წელს აქციზის გადასახადი ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე გათანაბრდა, როდესაც აქციზის ფიქსირებული კომპონენტის განაკვეთი უფილტრო სიგარეტზე გაიზარდა 1.7 ლარამდე, ხოლო ადვალური კომპონენტის განაკვეთი გაიზარდა საცალო სარეალიზაციო ფასის 10 პროცენტიდან 30 პროცენტამდე როგორც ფილტრიანი, ასევე უფილტრო სიგარეტისთვის. 2019 წლის ნოემბერში, თამბაქოს ნაწარმზე, რომელიც იყიდება წონით, აქციზის გადასახადი 1 კილოგრამზე გაიზარდა 35 ლარიდან 60 ლარამდე. მას შემდეგ ცვლილებები თამბაქოს ნაწარმის ძირითადი სახეობების აქციზის გადასახადში არ შესულა.

განხორციელებული საკანონმდებლო და საგადასახადო ცვლილებების ზეგავლენის ზუსტი განსაზღვრა თამბაქოს მოხმარებაზე რთულია სტატისტიკური მონაცემების სიმცირის

გამო. მე-2 ცხრილში თავმოყრილია სხვადასხვა წყაროს სტატისტიკა საქართველოში მწეველთა რაოდენობის შესახებ, რომელიც გამოსახულია როგორც მწეველთა წილი მთლიან მოსახლეობაში. მოცემული ცხრილის მიხედვით მოწევის გავრცელება საქართველოში კლებადი ტენდენციით ხასიათდება, რაც შესაძლოა სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგი იყოს (Mzhavanadze, 2021a). ეს ტრენდი შენარჩუნდა პანდემიის პირობებშიც: 2020 წელს მწეველთა რაოდენობა წლიურად 2.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2021 წელს დამატებით 1 პროცენტული პუნქტით შემცირდა (Mzhavanadze, 2021b; NCDC, 2020).

ცხრილი 2

წყარო	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**
STEPS გამოკითხვა (WHO,2017)	31.0	...	...	...	...	...
თამბაქოს ეროვნული კვლევა (NCDC, 2019)	...	...	...	30.7	...	...
ტაქსებში მოწევის აკრძალვის საზოგადოებრივი მხარდაჭერის კვლევა (NCDC, 2020)	...	...	...	...	28.2	...
თამბაქოს ალტერნატიული პროდუქტების მოხმარების კვლევა (Mzhavanadze, 2021b)	...	...	...	...	...	27.2
საქსტატის შინამეურნეობების შემოსავლების და ხარჯების გამოკვლევა, (Mzhavanadze, 2021a)	33.4	28.4	27.0	26.2	...	...

ამავდროულად, ფინანსთა სამინისტროს სტატისტიკა გაცემული აქციზური მარკების შესახებ, რომლის გამოყენება შესაძლებელია გაყიდული ქარხნული სიგარეტების რაოდენობის დასადგენად, განსხვავებულ სურათს წარმოაჩენს. მართალია, 2016-2019 წლებში ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების მოხმარება 465 მილიონი კოლოფიდან 216 მილიონ კოლოფამდე შემცირდა, თუმცა პანდემიის დროს მოხმარება კვლავ გაიზარდა და 2021 წელს 291 მილიონ კოლოფს მიაღწია.

დიაგრამა 1



წყარო: ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური

პანდემიის დროს მოწევის გავრცელების შემცირება (ცხრილი 2) და ქარხნული სიგარეტების მოხმარების ზრდა (დიაგრამა 1) მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მწეველთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად გაიზარდა მწეველთა მიერ მოხმარებული სიგარეტების რაოდენობა. დიაგრამა 2 ასახავს მწეველების მიერ დღიურად მოხმარებული ქარხნული სიგარეტების საშუალო რაოდენობას. მოცემული გრაფიკის მიხედვით, იმ მწეველებს შორის, რომლებმაც პანდემიის პირობებში მოწევა გააგრძელეს, დღიურად მოხმარებული ქარხნული სიგარეტების რაოდენობა 2021 წელს 2019 წელთან შედარებით გაიზარდა 52.2 პროცენტით.

დიაგრამა 2



წყარო: ავტორის კალკულაციები

დასკვნები და რეკომენდაციები

COVID-19 პანდემიის პერიოდში საქართველოში მწეველთა რაოდენობა შემცირდა. საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ასეთი შემცირების მიზეზი შესაძლოა იყოს მწეველების სურვილი შეამცირონ ვირუსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მაღალი რისკები მწეველებს შორის. ამვდროულად, პანდემიამდელ პერიოდში საქართველოში გატარდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო, რომლებიც მოწევის შემცირებისკენ იყო მიმართული. ამიტომ, 2020 და 2021 წლებში მწეველთა რაოდენობის შემცირების ზუსტი მიზეზის დადგენა რთულია.

პარალელურად, პანდემიის დროს გაიზარდა დღიურად მოხმარებული სიგარეტების რაოდენობა, რაც სავარაუდოდ განპირობებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებასთან - გაზრდილ სტრესთან და დეპრესიასთან.

შესაბამისად, პანდემიის და პოსტპანდემიურ პერიოდში მნიშვნელოვანია პროაქტიული ზომების გატარება სახელმწიფოს მხრიდან ფსიქიკური ჯანმრთელობისა და მოწევის შეწყვეტის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

ლიტერატურა:

1. Cordon, M., Eyestone, E., Hutchison, S., Dunlap, D., Smith, L., Williams, R.M., Kim, E., Kao, J.Y., Hurtado-de-Mendoza, A., Stanton, C., Davis, K., Frey, J., McKee, B., Parikh, V. & Taylor, K.L. on behalf of the Lung Screening, Tobacco, and Health Study (2021). *A Qualitative study exploring older smokers' attitudes and motivation toward quitting during the COVID-19 pandemic.* Prev. Med. Rev., 101359
2. Elling J.M., Crutzen, R., Talhout, R., & de Vries, H. (2020). *Tobacco smoking and smoking cessation in times of COVID-19.* Tob. Prev. Cess., 6 (39), 1-5
3. Ferrante, L. & Fearnside, P.M. (2020). *Protect Indigenous peoples from COVID-19.* Science, 368 (6488), 251
4. Gamkrelidze, A., Mebonia, N., Sturua, L., Demtrashvili, N., Kakutia, N., (2018). *Non-Communicable Diseases Risk-Factor Steps Survey, Georgia, 2016 Executive Summary*. World Health Organization. Retrieved from https://www.who.-int/ncds/surveillance/steps/STEPS_Georgia_2016_ENG_summary_2016_final.pdf?ua=1
5. Gendall, P., Hoek, J., Stanley, J., Jenkins, M. & Every-Palmer, S. (2021). *Changes in tobacco use during the 2020 COVID-19 lockdown in New Zealand.* Nicotine Tob. Res.
6. Mzhavanadze, G. (2021a). *The Effectiveness of Tobacco Control Policy in Georgia*. Economics and Business: 2. Retrieved from https://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=eng&adgi=1150&title=The%20Effectiveness%20of%20Tobacco%20Control%20Policy%20in%20Georgia#
7. Mzhavanadze, G. (2021b). *Quitting or Going Underground? How Georgians Responded to Increased Tobacco Regulations.* ISET Economist Blog. Retrieved from https://iset-pi.ge/en/blog/2932-tavis-danebeba-tu-iatakqveshetshi-gadasvla-tam-baqos-momxmareblebis-reaqcia-gamkacrebul-regulaciebze
8. Shepherd, J.M., Fogle, B., Garey, B., Viana, A.G. & Zvolensky, M.J. (2021). *Worry about COVID-19 in relation to cognitive-affective smoking processes among daily adult combustible cigarette smokers.* Cogn. Behav. Ther., 50
9. Sidor, A. & Rzymski, P. (2020). *Dietary choices and habits during COVID-19 lockdown: experience from Poland.* Nutrients, 12 (6), 1657
10. Stanton, R., To, Q.G., Khalesi, S., Williams, S.L., Alley, S.J., Thwaite, T.L., Fenning, A.S., & Vandelanotte, C. (2020). *Depression, anxiety and stress during COVID-19: associations with changes in physical activity, sleep, tobacco and alcohol use in Australian adults.* Int. J. Environ. Res. Public Health, 17 (11), 4065
11. UNDP, NCDC, RTI International, WHO FCTC Secretariat, WHO, (2018). *The case for investing in WHO FCTC implementation in Georgia*. United Nations Development Programme. Retrieved from https://www.undp.org/con-tent/dam/undp/library/people/health/WHO%20FCTC%20Implementation/The_Case_for_Investing_in_WHO_FCTC_Implementation_in_Georgia.pdf
12. Vanderbruggen, N., Matthys, F., Van Laere, S., Zeeuws, D., Santermans, L., Van den Ameele, S., & Crunelle, C.L. (2020). *Self-reported alcohol, tobacco, and cannabis use during COVID-19 lockdown measures: results from a web-based survey.* Eur. Addict. Res., 26 (6), 309-315
13. WHO (2017). *Georgia STEPS Survey 2016.* Retrieved from https://extranet.who.int/ncdsmicrodata/index.-php/catalog/223/download/1972
14. WHO (2021). *Report on the Global Tobacco Epidemic: Addressing New and Emerging Products. World Health Organization*. Retrieved from https://www.who.int/teams/health-promotion/tobacco-control/global-tobacco-report-2021-&publication=9789240032095
15. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (2019). *თამბაქოს მოხმარება საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში.* ხელმისაწვდომია: https://ncdc.ge/Api/api/File/GetFil-e/22c5e2c0-36d9-4a08-975c-03fa09d21c2e
16. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (2020). *ტაქსებში მოწევის აკრძალვის საზოგადოებრივი მხარდაჭერის კვლევა.* ხელმისაწვდომია: https://test.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?-ID=3b1ad40f-99ea-42b3-8b52-4a07c5a35513
17. ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური (2022). *ინფორმაცია შემოსავლების სამსახურისა და შერ-ჩეული პირის მიერ გაცემული აქციზური მარკების რაოდენობისა და ტარის ყველა მოცულობის მიხედვით.* ხელმისავდომია: https://old.rs.ge/5905

The Impact of COVID-19 Pandemic and Tobacco Consumption in Georgia[1]

Giorgi Mzhavanadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Student

SUMMARY

During this unprecedented public health crisis, stress and anxiety may cause current smokers to increase their tobacco use or former smokers to relapse. This study describes changes in smoking behavior among Georgian population in response to the COVID-19 pandemic. Smoking prevalence decreased, while the main concern is for smokers who increase their cigarette consumption due to increased mental distress caused by elevated health risks, lockdowns and social distancing practices.

[1] This work was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [PHDF-21-740, The effects of tobacco control policy on smoking prevalence, socio-economic inequality and welfare distribution in Georgia]

კონფლიქტები მარკეტინგულ არხებში და მისგან მომდინარე საფრთხეები

ბაბულია მღებრიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

გიული ქეშელაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ადამიანთა ცხოვრების ნებისმიერი სფერო, მათ შორის მარკეტინგული არხებიც, სავსეა დაპირისპირებით, ერთსა და იმავე საკითხზე აზრთა სხვადასხვაობით, ზოგჯერ მტრობითა და აგრესიით. კონფლიქტის ამგვარი გამოვლინებების სწორად მართვის შემთხვევაში, შესაძლებელია დადებითი შედეგების მიღება როგორც მარკეტინგული არხების მონაწილეებისთვის, ისე მომხმარებლებისთვის. კონფლიქტი აჩვენებს არხის მონაწილეებს საკუთარ და მეტოქეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს, რაც შემდგომში საქმიანობის სწორი მიმართულებით განხორციელების საშუალებას იძლევა. ავტორები მიიჩნევენ, რომ პრობლემა არ არის კონფლიქტური სიტუაციის არსებობა, პრობლემა მისი გამწვავება და გადაჭრით დაუინტერესებლობაა. ავტორები სთვლიან, რომ კონფლიქტის მოგვარების სურვილი, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, საზოგადოების მაღალი კულტურული დონის მაჩვენებელი და პროგრესული გზით განვითარების აუცილებელი პირობაა.

საკვანძო სიტყვები: *კონფლიქტი, მარკეტინგული არხი, მომხმარებელი.*

ტერმინი „კონფლიქტი“ ადამიანებში, ძირითადად, მხარეებს შორის უთანხმოებასთან, აგრესიასთან, მტრობასთან, დაპირისპირებასთან ასოცირდება და საქმიანობის ხელშემშლელ ფაქტორად აღიქმება. კონფლიქტი რეალურად მხარეთა ურთიერთობაში არასასიამოვნო და არასახარბიელო სიტუაციებს ქმნის. მაგრამ, ცალსახად, იმის თქმა, რომ ეს ხელს უშლის საქმიანობის ნორმალურად განხორციელებას, არ შეიძლება. ხშირად, სწორედ, კონფლიქტური სიტუაციების გამო ხორციელდება მხარეების მიერ საქმიანობის გაუმჯობესების გზების ძიება და ცხოვრებაში გატარება. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ „კონფლიქტის გარეშე პროგრესი შეუძლებელია. ნებისმიერი ახალი იდეა, გამოგონება, ინიციატივა გარდაუვლად კონფლიქტში შედის ძველთან და მასთან ბრძოლაში მკვიდრდება“ (ნიჟარაძე გ. და სხვ.,2010). ასეა, საერთოდ, და ასეა მარკეტინგულ არხებშიც. ამიტომ, მარკეტინგული არხების კონფლიქტში მონაწილე მხარეები უნდა ცდილობდნენ დაძაბული სიტუაციები პროგრესისთვის გამოიყენონ და არა რეგრესისთვის. თუმცა, ეს ყოველთვის არ/ვერ ხერხდება, რადგან დაპირისპირებული მხარეები ვერ ახერხებენ (ან არ სურთ) კონფლიქტის გადაჭრის რეალური გზის დანახვას. ამის მიზეზი, ძირითადად, საკუთარი მიზნების წინ წამოწევა და მეორე მხარის მიმართ აგრესიაა.

მარკეტინგულ არხებში არსებული კონფლიქტები უშუალო გავლენას ახდენს მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ამიტომ, ისინი დროულად უნდა მოგვარდეს. გახანგრძლივებულმა კონფლიქტურმა სიტუაციებმა შესაძლებელია, მომხმარებელი ძალიან დააზარალოს. მომხმარებლების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ დაპირისპირებული მხარეები კომპრომისზე წავიდნენ და გამარჯვებას ურთიერთობების შენარჩუნება ამჯობინონ.

კონფლიქტური სიტუაციების დროულად გადაწყვეტა დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, როცა, კორონავირუსული პანდემიის გამო, მარკეტინგულ არხებს მომხმარებელთა მოთხოვნილებების სათანადოდ დაკმაყოფილებაში საკმაოდ ბევრი პრობლემა აქვთ. არ არის სასურველი, რომ მომხმარებლების პროდუქტებით უზრუნველყოფის სფეროში არსებულ სიძნელეებს,

კონფლიქტით გამოწვეული რთული ურთიერთობები და მათი არასასურველი შედეგებიც დაემატოს. ამით დაზარალდება არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ მარკეტინგული არხებიც. ამიტომ, საჭიროა იმ გზების დროულად გამოძებნა, რომლებიც ხელს შეუწყობს კონფლიქტების თავიდან აცილებას ან არსებული კონფლიქტების ოპერატიულად მოგვარებას.

კვლევის შედეგები. კონფლიქტებს მარკეტინგულ არხებში იწვევს მისი მონაწილეების მიერ განხორციელებული ისეთი ქმედებები, რომლებიც საერთოდ უგულებელყოფს სხვა მონაწილეების ინტერესებსა და სურვილებს. ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ მარკეტინგულ არხებში კონფლიქტების საფუძველი მისი მონაწილეების მიზნების შეუთავსებლობა, საქმიანობის სფეროსთან მიმართებით აზრთა სხვადასხვაობა და რეალობის განსხვავებული აღქმაა (Штерн Л. И другие, 2002: 342-349). სხვა ავტორების აზრით, მარკეტინგულ არხებში კონფლიქტების ჩამოთვლილ მიზეზებს ემატება შუამავლების მწარმოებელზე დამოკიდებულება (კოტლერი & კელერი, 2015: 576). მარკეტინგულ არხებში კონფლიქტების განმაპირობებელ მიზეზებს ჩვენ დავამატებთ არხის მონაწილეების სწრაფვას ლიდერობისკენ, რომელიც, თავის მხრივ, მათ მიერ განსხვავებული მიზნების დასახვას განაპირობებს. ბუნებრივია, რაც უფრო ძლიერია და ზოგჯერ „არაჯანსაღიც“ კი ლიდერობისკენ მისწრაფება, არათავსებადია მიზნები, განსხვავებულია იმ რეალობის აღქმა, რომელშიც მარკეტინგული არხის მონაწილეებს უწევთ ფუნქციონირება, მით უფრო ძლიერია კონფლიქტი და რთულია მისი მოგვარება. მარკეტინგული არხის მონაწილეებს შორის არსებულმა კონფლიქტმა შესაძლებელია, პერსპექტივაში თანამშრომლობის შესაძლებლობა მკვეთრად შეამციროს, ერთმანეთის მიმართ გაჩენილი გარკვეული დაუკმაყოფილებლობის გრძნობის გამო. ცხადია, ასეთ პირობებში პროდუქციის გაყიდვის მოცულობაც შემცირდება არხის კონფლიქტში მონაწილე რგოლებში. ამიტომ, მარკეტინგულ არხში არსებული კონფლიქტები უნდა იმართოს. ისინი, სასურველია, გადაიჭრას ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ არის ძლიერი და არსებობს უბრალო გაუგებრობის და ამა თუ იმ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის სახით. თუ ეს არ მოხერხდა და კონფლიქტი გაღრმავდა, უნდა შემუშავდეს და გატარდეს საჭირო სტრატეგიები კონფლიქტის გადასაჭრელად.

მარკეტინგულ არხებში შეიძლება დაფიქსირდეს კონფლიქტის ყველა ტიპი: პიროვნებათშორისი კონფლიქტი, პიროვნების შინაგანი კონფლიქტი, კონფლიქტი პიროვნებასა და ჯგუფს შორის და ჯგუფთაშორისი კონფლიქტი (შუბლაძე გ. და სხვ. 2008: 141). ჩვენი აზრით, არხის მუშაობის შედეგებზე ყველაზე მეტი გავლენის მოხდენა ჯგუფთაშორის კონფლიქტს შეუძლია. ის ვლინდება არხის მონაწილეების დაპირისპირებაში და მოსაგვარებლად უფრო ძნელია, ვიდრე კონფლიქტის სხვა ტიპები, რომლებიც, ძირითადად, არხის ერთი რომელიმე მონაწილის შიგნით ვლინდება. როგორც არხის რომელიმე მონაწილის შიგნით არსებული, ისე მონაწილეებს შორის წარმოშობილი კონფლიქტის მოგვარება, პირველ რიგში, ხელმძღვანელების პროფესიონალიზმსა და მონდომებაზეა დამოკიდებული. მაინც რა სახის კონფლიქტები შეიძლება არსებობდეს მარკეტინგულ არხებში მონაწილეებს (ჯგუფებს) შორის? ასეთ კონფლიქტებს მიეკუთვნება: კონფლიქტი მწარმოებელ კომპანიასა და შუამავლებს შორის; კონფლიქტი მწარმოებელ კომპანიასა და მსხვილ მყიდველებს შორის; კონფლიქტი ერთი და იგივე მწარმოებელი კომპანიის შუამავლებს შორის და ა.შ. მარკეტინგულ არხებში კონფლიქტის საფუძველი უმეტეს შემთხვევაში ფასებთან დაკავშირებული საკითხები ხდება. თუმცა, კონფლიქტის მიზეზი შეიძლება გახდეს პროდუქციის გაყიდვის ტერიტორია, რეკლამით გავრცელებული ინფორმაცია და სხვ.

ჯგუფთაშორისი კონფლიქტი შეიძლება შეგვხვდეს მარკეტინგული არხების სისტემის ყველა სახეში: ტრადიციულში, ვერტიკალურში, ჰორიზონტალურში და მრავალარხიანში. მას ყველაზე მწვავე და დესტრუქციული ხასიათი აქვს ტრადიციულ მარკეტინგულ სისტემაში. როგორც წესი, ტრადიციული არხების მონაწილეები, ძირითადად, არ არიან ორიენტირებულები თანამშრომლობაზე. ისინი მიისწრაფიან საკუთარი ინტერესების დაცვისკენ და მზად არიან საკუთარი მოგების მიღებას სხვების ინტერესები „მსხვერპლად შესწირონ". კონფლიქტების სიმწვავეს ტრადიციულ არხებში განაპირობებს ის ფაქტი, რომ ამ ტიპის არხებში ყველაზე მეტად ვლინდება ლიდერობისკენ მონაწილეთა სწრაფვა, რასაც არხის მონაწილეების მიერ არათავსებადი მიზნების დასახვა მოყვება შედეგად. ამასთან, ტრადიციულ არხებში კონფლიქტების მართვა ძნელია და თითქმის შეუძლებელიც, რადგან არხის არც ერთ წევრს არ აქვს სრული, ან მნიშვნელოვანი კონტროლი დანარჩენ მონაწილეებზე (კოტლერი & კელერი კ. 2015: 569). ამის შედეგად კონფლიქტი იძენს დესტრუქციულ ხასიათს, რითაც ზარალდებიან არხის მონაწილეები, საბოლოოდ კი ზიანი მომხმარებლებს ადგებათ.

კონფლიქტები უნდა იმართოს. კონფლიქტის შედეგები დამოკიდებულია მართვის ეფექტიანობაზე. თუ მართვა განხორციელდა სათანადო დონეზე, კონფლიქტს შეიძლება მოჰყვეს დადებითი შედეგები (შუბლაძე გ. და სხვ. 2008: 143). უმეტეს შემთხვევაში ეს ასეც არის. კონფლიქტების მართვასთან დაკავშირებით არსებულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ მარკეტინგულ არხებში კონფლიქტების გადასაჭრელად ყველაზე უკეთეს შედეგს კომპრომისი და თანამშრომლობა იძლევა. მათი გამოყენების პირობებში მდგომარეობის გამწვავების თავიდან აცილება ხდება შესაძლებელი, რასაც კონფლიქტების თავიდან აცილებამდე მივყევართ.

კომპრომისის დროს მარკეტინგული არხის მონაწილეები მზად არიან ერთმანეთთან შეთანხმდნენ და ამ პროცესში თავიანთი ინტერესების ნაწილი მეორე მხარის სასარგებლოდ დათმონ. კომპრომისი ემყარება თანამშრომლობას, რომლის დროსაც რაიმეს დათმობა რაღაცის სანაცვლოდ ხდება. დათმობას არ აქვს სპონტანური ხასიათი, ის წინასწარ არის გააზრებული და მოცემულ მომენტში დათმობის სანაცვლოდ მიღებული „რაღაც" კომპანიისთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ კომპრომისზე წასვლა არ ნიშნავს წაგებას, ის ორივე მხარისთვის სარგებლის მომტანია.

მარკეტინგული არხების კონფლიქტების მოგვარებაში განსაკუთრებით კარგი შედეგის მოტანა თანამშრომლობას შეუძლია. ამ სტრატეგიის გამოყენებისას, მარკეტინგული არხების მონაწილეები მუდმივად ხვდებიან ერთმანეთს, ისმენენ ერთმანეთის მოსაზრებებს, მოწოდებული არიან შეუთანხმდნენ ერთმანეთს და ერთმანეთთან ურთიერთობა მომავალშიც გააგრძელონ. ე.ი. ისინი ორიენტირებული უნდა იყვნენ გრძელვადიან პერიოდში ურთიერთობების დამყარებისკენ და ამისთვის მზად უნდა იყვნენ ინტერესების ნაწილიც კი დათმონ. გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარებით, საბოლოო ჯამში, არხის მონაწილეები დადებით შედეგებს მიიღებენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანამშრომლობა და მოსაზრებების შეთანხმება არ არის მარტივი პროცესი, მაგრამ საბოლოო შედეგი იმდენად შთამბეჭდავია, რომ თანამშრომლობის დროში „გაწელვის" მიუხედავად, ღირს მისი აქტიურად გამოყენება.

კომპრომისზე წასვლა და თანამშრომლობა მარკეტინგული არხის მონაწილეებს შორის გაიოლდება, თუ არხის წევრები დაისახავენ საერთო ორგანიზაციულ მიზნებს, რომელთა განხორციელებისთვის საჭირო გახდება არხის მონაწილეთა წარმომადგენლების ერთობლივი ძალისხმევა. კარგი იქნება, თუ საერთო მიზნები მომხმარებლების მოთხოვნილებების უკეთესად

დაკმაყოფილებისკენ იქნება მიმართული. ეს ორივე მხარის ინტერესებში შედის და ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას.

კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია მარკეტინგულ არხში დაჯილდოების სისტემის გამოყენებას. მწარმოებელს შეუძლია, წაახალისოს შუამავლები მისი პროდუქციის გაყიდვაში გამოჩენილი ინიციატივისა და მიღწეული წარმატებებისთვის. შეიძლება წახალისდნენ როგორც ბითუმად, ისე საცალოდ მოვაჭრეები. მხოლოდ მატერიალური წახალისება, არ იძლევა კარგ შედეგს. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მორალური წახალისებაც, მაგალითად, მადლობის გამოცხადება. მატერიალური წახალისებისთვის შეიძლება პრემიის გამოყენება, პროდუქციაზე ფასდაკლება, საქონლის ახალი პარტიის ნაწილის უფასოდ გადაცემა.

მარკეტინგული არხის მონაწილეებს თუ სურთ, რომ კონფლიქტები დროულად მოაგვარონ და არ დაზარალდნენ, მუდმივად უნდა ახსოვდეთ, რომ:

- არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია და გადაუჭრელი პრობლემა;
- შესაძლებელია ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების მიღება;
- პრობლემის მოგვარებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ფსიქოლოგიური დაკმაყოფილებაც;
- პრობლემური სიტუაციის მოგვარების პროცესი სწორად, სიტუაციის შესატყვისად, უნდა იყოს შერჩეული (ასათიანი თ. და სხვ. 2000).

მარკეტინგული არხის მონაწილეები, უფრო სწორად მათი ლიდერები, თუ აღნიშნულს კარგად გაითავისებენ, კონფლიქტებსაც მოაგვარებენ და მათი მოგვარებით სარგებელსაც მიიღებენ. ჯერ ერთი, კონფლიქტი მათ დაანახვებს გადაუჭრელ პრობლემას და მისი გადაწყვეტით წინ - უკეთესობისკენ გადაადგმევინებს ნაბიჯს. მეორე, კონფლიქტი დაანახვებს არხის მონაწილეს მოწინაღმდეგესთან შედარებით, უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს. მესამე, კონფლიქტის მოგვარებით განიმუხტება არხში არსებული დაძაბული ატმოსფერო და უკეთესად განვითარების შესაძლებლობები შეიქმნება. მეოთხე, რაც მთავარია, კონფლიქტის გადაჭრით, მდგომარეობა დარეგულირდება და საფრთხე არ შეექმნება მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რაც მარკეტინგული არხის ყველა მონაწილის ძირითად მიზანს წარმოადგენს.

დასკვნა. მარკეტინგულ არხებში კონფლიქტებთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურული წყაროების, აგრეთვე, კონფლიქტების თეორიის შესწავლისა და მიღებული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე შესაძლებლობა მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები:

- კონფლიქტური სიტუაციების არსებობა მარკეტინგულ არხებში არ წარმოადგენს პრობლემას, პრობლემა არის მისი გამწვავება უყურადღებობით, აგრეთვე, პრობლემას წარმოადგენს მათი დროულად გადაჭრის საკითხით დაუინტერესებლობა;
- მარკეტინგული არხის მონაწილეებს კონფლიქტები საკუთარი თავისა და მეტოქის შესაძლებლობების შეცნობის საშუალებას აძლევს;
- მარკეტინგულ არხებში, კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ინტეგრაციის ისეთი დონის შენარჩუნება, რომ მონაწილეებმა შეძლონ საქმიანობის კოორდინაცია;
- კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტის შესახებ სწორი გადაწყვეტილების მიღება, არხის მონაწილეებს არამარტო პრობლემებისგან იხსნის, არამედ წინსვლის შესაძლებლობასაც აძლევს;

- კონფლიქტების მოგვარების სურვილი, როგორც საერთოდ, ისე მარკეტინგულ არხებში, ჩვენი აზრით, ადამიანთა საზოგადოების განვითარების მაღალი კულტურული დონის მაჩვენებელია და ის აუცილებლად უნდა იქცეს რეალობად.

ლიტერატურა:

1. ასათიანი თ., ბერეკაშვილი დ., მშვიდობაძე რ., ნიჟარაძე გ. როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები (2000). გამოშვება I. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN), თბილისი. http://www.iccn.ge/files/rogor_movagvarot_konfliqtebi_i_2000_full.pdf
2. კოტლერი ფ., კელერი კ. (2015). მარკეტინგის მენეჯმენტი. თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე პროფ. ნ. თოდუას სამეცნიერო რედაქტორობით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. მღებრიშვილი ბ. (2010). მარკეტინგი და კრიზისული სიტუაციების მართვა. https://www.researchgate.net/publication/322754232_MARKETING_AND_MANAGAMENT_OF_THE_CRISIS_SITUATION
4. ნიჟარაძე გ., მშვიდობაძე რ., ასათიანი თ., ციხისთავი თ. (2010). კონფლიქტები. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN), თბილისი. http://www.iccn.ge/files/konfliqtebi_2010_geo_full.pdf
5. ქეშელაშვილი გ., ჯიბუტი მ. (2020). საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა და ბიზნესის გამოწვევები კორონავირუსის პირობებში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები,,ეკონომიკა_XXIსაუკუნე“, http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=1&cat=pers&leng=ge&adgi=1069&title=საქართველოს%20მთავრობის%20ანტიკრიზისული%20ეკონომიკურიგეგმა%20და%20ბიზნესის%20გამოწვევები%20კორონავირუსის%20%20პირობებში
6. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ. (2008). მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
7. Palmatier Robert, W., Sivadas Eugene, Stern Louis, W., and El-Ansary Adel, I. (2020). Marketing Channel Strategy. An Omni Channel Approach. Routledge, New York and London.
8. Штерн Л., В., Эль-Ансари А., И., Кофлан Э., Т. (2002). Маркетинговые каналы. Пер. с англ. Изд. дом „Вильямс“, Москва.

Conflicts in Marketing Channels and Consequential Threats

Babulia Mghebrishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor, Doctor of Economics

Giuli Keshelashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor, Doctor of Economics

S U M M A R Y

Any area of human life, including marketing channels, is full of controversy, differences of opinions, sometimes even hostility and aggression. Properly managing such manifestation of conflicts can bring positive results for both marketing channel participants and consumers. Marketing channel participants can see their and their rivals' strengths and weaknesses during conflict situations. These allow them to progress their activities in the right direction in the future. The authors believe that the problem is not the existence of a conflict situation; the problem is its aggravation and lack of interest in solving it. The authors believe that the desire to resolve the conflict, in any area of life, is an indicator of a high cultural level of society and a necessary precondition for positive development.

Keywords: *conflict, marketing channel, customer*

გაურკვევლობა და რისკი კოვიდ-19 პანდემიის პირობებში

მარინე ნაცვალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

2020 წლის დასაწყისში მსოფლიოს ყველა ქვეყანის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე, საქონლისა და მომსაურების ყველა ბაზარზე შეიმჩნეოდა მზარდი დაბნეულობა. ეკონომიკაზე კოვიდ-19 პანდემიის გავლენით, ფაქტიურად ყველა დარგის მეცნიერთა შორის მრავალი საინტერესო საკვლევი საკითხი გამოიკვეთა.

კოვიდ-19 პანდემიის ფონზე არსებული დიდი გაურკვევლობის პირობებში, შეიმჩნეოდა მოსალოდნელი საფრთხეების და მასთან დაკავშირებული მაღალი ზემოქმედების რისკების უგულებელყოფა, რომლებიც, წლების განმავლობაში, ბევრმა ქვეყნის მთავრობამ არ გაითვალისწინა. მეცნიერების მხრიდან იყო სანდო გაფრთხილება იმის შესახებ, რომ მსოფლიო ცუდად იყო მომზადებული პანდემიისთვის. მისი დაწყებითანავე ცხადი გახდა, რომ ბევრმა ქვეყანამ აღნიშნულ ფაქტზე საკმაოდ ნელი რეაგირება მოახდინა და არაეფექტური ღონისძიებები გაატარა, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა ეკონომიკის თითქმის ყველა დარგს.

სტატიაში საუბარია არაპროგნოზირებადი გაურკვევლობისა და გაზომვადი რისკის პირობებში კოვიდ-19 პანდემიის ფონზე მთავრობების მიერ განხორციელებულ პოლიტიკაში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შეფასებაზე „შავი გედის თეორიისა“ (ტერმინი, რომელიც გამოიყენება გახმაურებული, მაგრამ ძნელად პროგნოზირებადი და იშვიათი მოვლენების აღსაწერად) და „რუხი მარტორქის“ („საკმაოდ სავარაუდო, მაღალი ზემოქმედების რისკები) ტერმინების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: *გაურკვევლობა, რისკი, „შავი გედი“, „რუხი მარტორქა“, ქცევითი ეკონომიკა*

თანამედროვე საზოგადოებაში გაურკვევლობა და რისკები მნიშვნელოვნად გაიზარდა და გადაწყვეტილების მიღებისთვის ფუნდამენტური გამოწვევა წარმოქმნა. კოვიდ-19-ის უეცარი აფეთქება ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. ახალი კორონავირუსი, SARS-COV-2, რომლის შესახებაც ძალიან ცოტა ვიცოდით, გამოჩენისთანავე მთელ მსოფლიოში სწრაფად გავრცელდა (Xu, 2021).

კოვიდ-19 პანდემიისგან გამოწვეული ეფექტებიდან განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ეკონომიკური ვარდნისა და უმუშევრობის ზრდის უარყოფითი ზემოქმედების შესწავლა მოთხოვნაზე და სხვადასხვა ბაზრებზე მზარდი რისკების ანალიზი. თუმცა, პანდემიის უარყოფითი ეკონომიკური ზემოქმედების მიუხედავად, იზოლაციამ და დისტანციური მუშაობის პრაქტიკის მზარდმა გამოყენებამ სრულიად შეცვალა საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე მოთხოვნა და შესაბამისად, მიწოდებასაც. ძნელი შესაფასებელია, ამ ეფექტებიდან რომელი სჭარბობს და სავარაუდოდ, ეს ეფექტები ქვეყნების მიხედვით, განსხვავდება. თუმცა მზარდი გარღვევა საბაზრო ფასებსა და ეკონომიკურ გარემოს შორის სრულიად ახალ მიდგომებს აყალიბებს ბაზრების ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ზოგადი წონასწორობის ანალიზში და, ხშირ შემთხვევაში, გულისხმობს გადაჭარბებულ შეფასებას და ფასების კორექტირების მზარდი რისკებს წარმოშობს. ამ და ბევრი სხვა გარემოებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი ატიპიურია (პაპავა, 2020b) და მისი დასრულება მთლიანად დამოკიდებულია პანდემიის დასრულებაზე, ამჟამად კი შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკა მედიცინის მძევალია და მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი არ დასრულდება მანამ, სანამ მედიცინა არ „მოერევა“ კორონავირუსს. (Papava, 2020a; Papava, 2020b).

კოვიდ-19 პანდემიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გაკვეთილი იყო იმ მოსალოდნელი საფრთხეების და მასთან დაკავშირებული მაღალი ზემოქმედების რისკების უგულებელყოფა, რომ-

ლებიც, წლების განმავლობაში, ბევრმა ქვეყნის მთავრობამ არ გაითვალისწინა. მეცნიერების მხრიდან იყო სანდო გაფრთხილება იმის შესახებ, რომ მსოფლიო ცუდად იყო მომზადებული პანდემიისთვის. როდესაც კოვიდ-19 პანდემია დაიწყო, ძალიან ბევრი ქვეყნის მთავრობამ საკმაოდ ნელი და არასწორი რეაგირება მოახდინა, რაც ცალკე შესწავლისა და ანალიზის საკითხია. იქიდან გამომდინარე, რომ კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის ეკონომიკური მეთოდებით დასრულება შეუძლებელია, მთავრობის ეკონომიკური შესაძლებლობებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ანტიკრიზისული ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას, რომელსაც შეუძლია ბიზნესის გადარჩენა. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია მთავრობის მხრიდან განხორციელებული სწორი ეკონომიკური ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობას (პაპავა, 2020b).

მთავარი განსხვავება რისკსა და გაურკვევლობას შორის არის ის, რომ რისკი გაზომვადია, ხოლო გაურკვევლობა არაგაზომვადი და არაპროგნოზირებადი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ამ ორ ტერმინს ურთიერთშემცვლელად იყენებს, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის პროფესორის, ჟილ ჰილარის მოსაზრებით, რისკისა და გაურკვევლობის ცნებები არ შეიძლება გაიგივდეს და მათ შორის მკაფიო განსხვავება არსებობს. რისკი აღწერს სიტუაციას, რომელშიც არის დანაკარგი ან საფრთხე, ის არის იმის შანსი, რომ ინვესტიციის რეალური შედეგი განსხვავდებოდეს მოსალოდნელი შედეგისგან, ხოლო გაურკვევლობა არის მოვლენის შესახებ დარწმუნების ნაკლებობა, ანუ ის გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც არ არსებობს დარწმუნება მომავალი შედეგების შესახებ. გაურკვევლობა განსხვავდება რისკისგან იმით, რომ რისკი შეიძლება წინასწარ შეფასდეს და რაოდენობრივად გაიზომოს ისტორიული მონაცემების საფუძველზე, საბაზრო ფაქტორების გამოყენებით. ამიტომ რისკის მართვა უფრო ადვილია, რადგან შესაძლებელია რისკებისგან დაზღვევა, მაგრამ გაურკვევლობისგან დაზღვევა შეუძლებელია. გაურკვევლობა ძირითადად არის მოვლენის შესახებ დარწმუნების ნაკლებობა. შეიძლება იყოს მრავალი შესაძლო შედეგი, მაგრამ ისინი არ არის გარკვეული. კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად გამოწვეული რეალობა გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილების მიღების ცხადი მაგალითია. პანდემიის დაწყების საწყის ეტაპზე ბევრი გაურკვევლობა იყო - ჩვენ არ ვიცოდით როგორ დაგვეცვა თავი, როგორ გაგვეგრძელებინა ყოველდღიური ყოფა და ა.შ.

2017 წელს მეცნიერები უკვე მსჯელობდნენ, თუ რა საფრთხეს შეუქმნის გლობალური პრობლემები კაცობრიობას უახლოეს მომავალში. ცნობილი ამერიკელმა ფილოსოფოსი, ფინანსისტი და წარმატებული ტრეიდერი, ნასიმ ტალები მიიჩნევდა, რომ ყველაზე დიდი რისკი ახალი ეპიდემიებია, მედია არ აფასებს ამ საფრთხეს და იშვიათად აქცევს ყურადღებას ისეთ სამეცნიერო პუბლიკაციებს, რომელშიც საუბარია ბაქტერიების მდგრადობის ზრდაზე ანტიბიოტიკების მიმართ, ახალი ვირუსებისა ან მათი ახალი შტამების წარმოქმნაზე. ნასიმ ტალები აღიშნავდა, რომ სწორედ ამ საკითხების უგულებელყოფა ეპიდემიებს ახალი „შავი გედების“ ერთ-ერთ ყველაზე სავარაუდო კანდიდატად აქცევს.

აღსანიშნავია ალბათობისა და გაურკვევლობის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომების სერია ჯერ კიდევ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში, რომელიც ეკუთვნის ბრიტანელ ფილოსოფოსს და ეკონომისტს, კემბრიჯის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორს ტონი ლოუსონს (Lawson, 1985, 1987, 1988). მისი ნაშრომები დაწერილია მაკროეკონომიკაში რაციონალური მოლოდინების თეორიის ფონზე და ეყრდნობა ჯონ მეინარდ კეინსის ნაშრომებს (1921,

1936, 1937) და კემბრიჯში ჩატარებულ კვლევას კეინსის ადრინდელ ნაშრომებზე ეკონომიკაში ალბათობის შესახებ (შემდგომ წლებში გამოქვეყნდა Carabelli, 1988; Meeks, 2003 და O'Donnell, 1989), რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო აღედგინა და წარმოედგინა ფილოსოფიური საფუძვლები გაურკვევლობის კონცეფციისთვის, რომელიც არ შემცირდება რიცხობრივად განსაზღვრულ ალბათობამდე. ნაშრომები ფართოდ იყო ციტირებული და ეკონომიკის ჰეტეროდოქსული მიდგომების კანონის ნაწილი გახდა, რომელიც ხაზს უსვამს განსხვავებას რისკის სიტუაციებს შორის, რომლებშიც შეიძლება განისაზღვროს რიცხვითი ალბათობები და გაურკვევლობის სიტუაციებს შორის, სადაც მათი განსაზღვრა შეუძლებელია (Faulkner, 2017).

ნასიმ ტალებმა თავის წიგნში: „შავი გედი. არაპროგნოზირებადობის ნიშნის ქვეშ" გამოიყენა ტერმინი: „შავი გედის სახის მოვლენები" (Taleb, 2007) - რთულად წარმოსადგენი, ისტორიაში არარსებული მოვლენები, რომელსაც აქვს დიდი ფსიქოლოგიური გავლენა და ადამიანებს თიშავს რეალობიდან, შეუცნობელს ხდის, თუ რა შეიძლება მათმა მოქმედებებმა გამოიწვიოს (Taleb, 2007). „შავი გედის" თეორია ხსნის იმას, თუ რატომ არ ხდება საზოგადოებაში არსებული ყველაზე დიდი ცვლილებების გათვალისწინება, როდესაც რისკის ტრადიციული მართვა აბსოლუტურად უსარგებლოა. „შავი გედები" შეიძლება იყოს უცნობი და გაუთვალისწინებელი, "უკიდურესად ნეგატიური მოვლენის" სიმბოლო. „შავი გედების თეორია" აღწერს მოვლენას, რომელიც მოულოდნელად მოდის, აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და ხშირად არასათანადოდ ხდება მისი რაციონალიზაცია ფაქტის შემდეგ, რეტროსპექტული ანალიზის უპირატესობის სასარგებლოდ. თუმცა, "შავი გედები" შეიძლება იყოს არა მხოლოდ უარყოფითი მოვლენები, არამედ წარმოადგენდეს არაპროგნოზირებად "იღბალს". ტერმინი ეფუძნება ძველ გამონათქვამს, რომ ასეთი შავი გედები არ არსებობდნენ.

ნასიმ ნიკოლას ტალებმა ეს „შავი გედის თეორია" შეიმუშავა, რათა აეხსნა:

1. გახმაურებული, ძნელად პროგნოზირებადი და იშვიათი მოვლენების არაპროპორციული როლი, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი მოლოდინების სფეროს ისტორიაში, მეცნიერებაში, ფინანსებსა და ტექნოლოგიაში.

2. თანმიმდევრული, იშვიათი მოვლენების ალბათობის გამოუთვლელობა მეცნიერული მეთოდების გამოყენებით (მცირე ალბათობების გამო).

3. ფსიქოლოგიური მიკერძოება, რომელიც აბრმავებს ადამიანებს, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად, გაურკვევლობისა და ისტორიაში იშვიათი მოვლენის დიდი როლის მიმართ.

„შავი გედის თეორიის" კრიტერიუმების მიხედვით მოვლენა მოულოდნელია (ექსპერტისთვის); მოვლენას აქვს მნიშვნელოვანი შედეგები და რეტროსპექტივაში, მოვლენას აქვს რაციონალისტური ახსნა, თითქოს ის მოსალოდნელი იყო (Faulkner, 2017).

ნასიმ ნიკოლას ტალების თვალსაზრისით, პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენა, ისტორიული და პოლიტიკური მოვლენა, ხელოვნებისა და კულტურის მიღწევა არის „შავი გედის" ტიპის მოვლენა. ასეთი მოვლენების მაგალითებია: ინტერნეტის განვითარება, პირველი მსოფლიო ომი, საბჭოთა კავშირის დაშლა, 11 სექტემბრის ტერაქტი და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ტალები ასევე აღნიშნავს, რომ კაცობრიობას არ შეუძლია წარმატებით იწინასწარმეტყველოს თავისი მომავალი და მისი ცოდნისადმი ნდობა უსწრებს თავად ცოდნას და წარმოშობს „ზედმეტად თავდაჯერებულობის" ფენომენს.

როგორც ავღნიშნეთ, „შავი გედის“ მოვლენა ეხება გაუთვალისწინებელ და საეჭვო მოვლენას, რომელსაც, როგორც წესი, აქვს უკიდურესი შედეგები, ხოლო „რუხი მარტორქა“ ძალზე აშკარა, მაგრამ იგნორირებული საფრთხეა. ტერმინი „რუხი მარტორქა“ პირველად გამოიყენა მიქელე ვუკერმა 2016 წელს თავის წიგნში: „რუხი მარტორქა: როგორ ამოვიცნოთ და ვიმოქმედოთ აშკარა საფრთხეებზე, რომლებსაც ჩვენ ვუგულებელყოფთ“.

„რუხი მარტორქა“ არის მეტაფორა იმ საფრთხეების შესახებ, რომელსაც ჩვენ ვხედავთ და შევიცნობთ, ვაღიარებთ, მაგრამ ვერაფერს ვაკეთებთ: წარმოვიდგინოთ დიდი ზომის მძიმე ნივთი, რომელიც ჩვენსკენ მოგორავს და რომლის იგნორირება რთულია, მაგრამ მას ჩვენ თვალს ვაშორებთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ინტერესებშია გავიქცეთ, სანამ ის ამოძრავდება. ანუ „რუხი მარტორქა“ არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება საფრთხის დასადგენად, რომელიც ნელა მოძრაობს, აშკარაა, მაგრამ მაინც იგნორირებას ვუკეთებთ იმიტომ, რომ ეს ჩვენთვის უფრო მოსახერხებელია. ტერმინი „რუხი მარტორქა“ გარკვეულწილად „შავი გედის“ ტერმინის საპირისპიროა.

"რუხი მარტორქა" არის უაღრესად სავარაუდო, მაღალი ზემოქმედების, მაგრამ უგულებელყოფილი საფრთხე. “რუხი მარტორქები” არ არის შემთხვევითი სიურპრიზები, მაგრამ ხდება მთელი რიგი გაფრთხილებისა და თვალსაჩინო მტკიცებულებების შემდეგ, მაგალითად: 2008 წელს საბინაო ბუშტის აფეთქება, ქარიშხალი კატრინას და სხვა ბუნებრივი კატასტროფების დამანგრეველი შედეგები, ახალი ციფრული ტექნოლოგიები, რომლებმაც შეარყია მედია სამყარო, საბჭოთა კავშირის დანგრევა და სხვა ... ყველაფერი წინასწარ აშკარა იყო (Wucker, 2016).

2006 წელს „შავ გედში“ ტალები წერს: „გლობალიზაციამ შექმნა ურთიერთდაკავშირებული მსხვრევადობა (მყიფეობა)[1], შეამცირა არასტაბილურობა და შექმნა სტაბილურობის სახე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ქმნის „შავ გედებს“. ჩვენ არასდროს ვცხოვრობდით გლობალური კოლაფსის საფრთხის ქვეშ. ფინანსური ინსტიტუტები სულ უფრო და უფრო მეტად შეერწყმება დიდ ბანკებს. ყველა ბანკი ურთიერთდაკავშირებულია. ფინანსურ ბიოსფეროს ჭამს გიგანტური, ინცესტუალური, ბიუროკრატიული ბანკები და როცა ერთი მათგანი ეცემა, ყველა ეცემა. საბანკო გარემოში კაპიტალის მზარდი კონცენტრაცია, როგორც ჩანს, ფინანსური კრიზისების ალბათობას ნაკლებად წარმოშობს, მაგრამ როდესაც ეს მოხდება, ის უფრო გლობალური ხდება და უფრო ძლიერად გვატყდება თავს. ჩვენ გადავედით განსხვავებული საკრედიტო პოლიტიკის მცირე ბანკების დივერსიფიცირებული „ბიოსფეროდან“ ფირმების უფრო ჰომოგენურ გარემოში, სადაც ერთი ჰგავს მეორეს. მართლია, ახლა გაკოტრების ნაკლები შემთხვევები გვაქვს, მაგრამ როცა მოხდება. .. ამაზე ფიქრით ვკანკალებ. აქვე განვმარტავ: ნაკლები, მაგრამ უფრო მძიმე კრიზისები გვექნება. რაც უფრო იშვიათია მოვლენა, მით ნაკლები ვიცით მისი შანსების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ სულ უფრო ნაკლები ვიცით კრიზისის შესაძლებლობის შესახებ” (Taleb, 2007; Faulkner et al, 2017).

2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი ხშირად აღწერილია, როგორც „შავი გედის“ მოვლენა, მიუხედავად გაფრთხილებისა დერივატივებისა და სუბპრაიმ საბინაო ბაზრის ბუშტის შესახებ (subprime housing-market bubble). განმარტების მიხედვით, „შავი გედების“ წინასწარმეტყველება შეუძლებელია, ამიტომ არაფერი შეიძლება გაკეთდეს მათთვის მოსამზადებლად. ამგვარი აზროვნება აღრმავებს არსებულ მდგომარეობას ფატალიზმის წახალი-

[1] ნასიბ ტალები არის „ანტიმყიფეობის“ ცნების ავტორი, რაც ნიშნავს წარუმატებლობის, დანაკარგების, შეცდომებისგან სარგებლობის უნარს; დათრგუნვის, განვითარების და გაძლიერების უნარი ქაოსის წინაშე.

სებით, უარყოფს ანგარიშვალდებულებას და გზას უხსნის მოკლევადიან და მიზანმიმართულ იგნორირებას, რაც თავის მხრივ იწვევს არასტაბილურობას და რისკს (Kelman, 2021).

ჯერ კიდევ 1937 წელს, კეინსი წერდა: „ნება მომეცით აგიხსნათ ის, რომ „გაურკვეველი ცოდნის“ ქვეშ მე არ ვგულისხმობ მხოლოდ იმის გარჩევას, რაც ცნობილია და მხოლოდ სავარაუდოა. რულეტის თამაში ამ თვალსაზრისით არ ექვემდებარება გაურკვევლობას; არც ობლიგაციებიდან სარგებლის მიღების პერსპექტივა. ან, კიდევ ერთხელ, სიცოცხლის მოლოდინი მხოლოდ ზომიერად გაურკვეველია. ამინდიც კი მხოლოდ ზომიერად გაურკვეველია. მე ვიყენებ ტერმინს, როდესაც ევროპის ომის პერსპექტივა გაურკვეველია, ან სპილენძის ფასი და საპროცენტო განაკვეთი ოცი წლის შემდეგ, ან ახალი გამოგონების მოძველება, ან ქონების კერძო მფლობელთა მდგომარეობა 1970 წელს. ამ საკითხებთან დაკავშირებით არ არსებობს მეცნიერული საფუძველი, რომელზედაც ჩამოყალიბდეს რაიმე გამოთვლადი ალბათობა. ჩვენ უბრალოდ - არ ვიცით (Keynes, 1937).

ეკონომიკაში ბოლო 30 წლის განმავლობაში გაურკვევლობის შესახებ მსჯელობის უმეტესი ნაწილი, როგორც მეინსტრიმულ, ასევე ჰეტეროდოქსულ სტატიებში, როგორიცაა მაგალითად ტონი ლოუსონის ნაშრომები, ფოკუსირებულია სიტუაციებზე, რომლებშიც გაურკვევლობის ობიექტები შესაძლებელია იყოს წარმოგენილი და ფორმულირებული იმგავარად, რომ ის იყოს ალბათობის განსჯის საგანი (მაშინაც კი, თუ ასეთი განსჯა ძირითადად ხარისხობრივია და არა რაოდენობრივი ხასიათის). ამ ფოკუსმა გამოიწვია შედარებითი უგულებელყოფა იმ სახის გაურკვევლობაზე, რომელიც წარმოიშობა წარმოუდგენელი შესაძლებლობების არსებობიდან და რომლებიც, შესაბამისად, არ შეიძლება იყოს ალბათობის განსჯის საგანი (Faulkner et al, 2017).

ნასიმ ნიკოლას ტალებმა კითხვაზე - არის თუ არა კოვიდ-19 პანდემია „შავი გედი“? გასცა პასუხი - არა, ეს ასე არ არის. 2021 წლის მოსალოდნელი რისკების დასაძლევად, ჩვენ უნდა შევცვალოთ „შავი გედის“ ფატალიზმი „რუხი მარტორქის“ კონსტრუქციული პრაგმატიზმით. კოვიდ-19 გავრცელებისთანავე, ანალიტიკოსებმა სწრაფად შეცვალეს ადრე გაკეთებული პროგნოზები და აღნიშნეს, რომ პანდემიის პირობებში V- ფორმის სწრაფი აღდგენის ნაცვალად ეკონომიკის აღდგენა U-ფორმის იქნება, შემდეგ კი უფრო ეტაპობრივ “Swoosh”-მდე (Swoosh ეტაპობრივი აღდგენაა, რომელიც დროში უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ვარდნა, ცნობილი სავაჭრო ნიშნის, „ნაიკის“ ფორმის მრუდია)[1]. მეცნიერები თვლიან, რომ ჩვენ ახლა გვაქვს k-ფორმის აღდგენა გვაქვს, რამაც კეთილდღეობის მქონე ადამიანების ფენას დიდი სტიმული მისცა, შექმნა ფინანსური აქტივების ბუშტები, მაშინ, როდესაც ძირითად მშრომელებს და დაუცველ სექტორებს აღდგენისთვის დიდი ბრძოლა უწევს. K-ფორმის აღდგენა ხდება მაშინ, როდესაც რეცესიის შემდეგ, ეკონომიკის სხვადასხვა ნაწილი აღდგება სხვადასხვა ტემპებით, სხვადასხვა დროში ან მასშტაბებით. ეს აღდგენა განსხვავდება თანაბარი, ერთიანი აღდგენისგან სექტორებში, ინდუსტრიებში ან ადამიანთა ჯგუფებში. K-ფორმის აღდგენა იწვევს ცვლილებებს ეკონომიკის სტრუქტურაში ან მთლიანად საზოგადოებაში, რადგან ეკონომიკური შედეგები და ურთიერთობები ფუნდამენტურად იცვლება რეცესიის დაწყებამდე და მის შემდეგ. აღდგენის ამ ტიპს K-ს ფორმას უწოდებენ, რადგან ეკონომიკის ცალკეული ნაწილების აღდგენის ტრაექტორია შეიძლება განსხვავდებოდეს, რომელიც რომაული ასო "K"-ის ორ მკლავს წააგავს. 2021 წელს გლობალური ეკონომიკა დაზარალდა გაკოტრების, სამუშაო ადგილების დაკარგვისა და დეფოლტის ტალღოვანი ეფექტისგან.

[1] https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/swoosh

დასკვნა

მომავალში რთული გამოწვევების წინაშე დგომა მოითხოვს გრძელვადიან, ფართომასშტაბიან აზროვნებას, სადაც უფრო მეტი აქცენტი გაკეთდება რეალურ ეკონომიკაზე და უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის და პოლიტიკური ლიდერების პასუხისმგებლობის დაკისრების ვალდებულებაზე. არსებული სიტუაცია ასევე, ახალი შესაძლებლობების განხორციელების კარგი საშუალებაა. ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციების ხელშეწყობა შექმნის სამუშაო ადგილებს და შეამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს. უთანასწორობის დაძლევა კი აამაღლებს k-ფორმის აღდგენის ქვედა ნაწილს და გაავრცელებს ეკონომიკური აღდგენის სარგებელს (Wucker, 2020).

პოსტპანდემიური პერიოდის ადრეულ ეტაპებზე, სავარაუდოდ, მთავრობები გააგრძელებენ ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტების გამოყენებას, გარკვეული დროის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, პოსტკრიზისულ პერიოდში ზომბირებული ეკონომიკის აღდგენა კიდევ უფრო რთული იქნება (Papava, 2021).

ამ შემთხვევების ანალიზის დროს აშკარად ჩანს ის პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდუალურ ფსიქოლოგიასა და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს შორის კავშირზე, მაგალითად ადამიანებს (მთავრობებს, პოლიტიკის გამტრებლებს) ახასიათებთ ტენდენცია, ყურადღება გამახვილონ უფრო სასიამოვნო ამბებზე, ვიდრე უსიამოვნო ამბებისადმი მეტი ყურადღების გამოჩენაა. ასევე არსებობს ბუნებრივი სურვილი - გადავადება იმ პრობლემებთან გამკლავებაში, რომლებსაც არ აქვს ვადა, იმ იმედით, რომ მომავალში ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით და პრობლემასაც მოვაგვარებთ. ქვეყანას უნდა აწუხებდეს არა მხოლოდ „შავი გედები“, არამედ „რუხი მარტორქები“, რისი მაგალითებიცაა ქვეყნებისა და მთლიანად მსოფლიოს წინაშე მყოფი მრავალი პრობლემება, დაკავშირებული პოლიტიკასთან, იდეოლოგიასთან, მეცნიერებასა და ტექნოლოგიებთან, საზოგადოებასთან, გარემოს მდგრადობასთან და მთლიანად, ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან.

ლიტერატურა:

1. Faulkner, P., Feduzi, A. & Runde, J. (2017). Black Swans and the risk/uncertainty distinction, *Cambridge Journal of Economics, Volume 41, Issue 5, Pages 1279–1302,* https://doi.org/10.1093/cje/bex035
2. Keynes, J.M. 1937 [1973]. The general theory of employment, Quarterly Journal of Economics, in The General Theory and After: Part II Defence and Development, *vol. 51, No. 2 (Feb, 1937),* http://hetwebsite.net/het/texts/keynes/keynes1937qje.htm
3. Kelman, S. (2021), Blog, Steven Kelman suggests we should spend more time planning for the known risks on the horizon. https://fcw.com/blogs/lectern/2021/01/kelman-covid-black-swans-gray-rhinos.aspx
4. Papava, V. (2021). The Threat of the Formation of a Post-pandemic Zombie Economy and the Legal Capacity of Bankruptcy Mechanisms, https://www.researchgate.net/publication/357017565_The_Threat_of_the_Formation_of_a_Post-pandemic_Zombie_Economy_and_the_Legal_Capacity_of_Bankruptcy_Mechanisms
5. Papava, V. (2020b). On the Atypical Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic. *Economics and Business, XII(4), 9-16.* https://www.researchgate.net/publication/349098628_On_the_Atypical_Economic_Crisis_under_the_COVID-19_Pandemic
6. Papava, V. (2020a). Coronomic Crisis: When the Economy Is a Hostage to Medicine. https://www.researchgate.net/-publication/340264924_Coronomic_Crisis_When_The_Economy_Is_A_Hostage_To_Medicine
7. Taleb, N.N. (2007). The Black Swan: The Impact of the Highly Improbable, *The New York Times.* https://www.nytimes.com/2007/04/22/books/chapters/0422-1st-tale.html

8. Wucker, M. (2016). The Gray Rhino: How to Recognize and Act on the Obvious Dangers We Ignore, ISBN 978-1-250-05382-4. https://www.scribd.com/book/304897437/The-Gray-Rhino-How-to-Recognize-and-Act-on-the-Obvious-Dangers-We-Ignore
9. Wucker, M. (2020). The World in 2021, Was the pandemic a grey rhino or a black swan? It was more predictable than people realize. *The Economics,* https://www.economist.com/the-world-ahead/2020/11/17/was-the-pandemic-a-grey-rhino-or-a-black-swan
10. Xu,T. (2021). Uncertainty, Ignorance and Decision-Making: Looking Through the Lens of Modelling the Covid-19 Pandemic, *School of Law, University of Essex, Amicus Curiae, Series 2, Vol 3, No 1, 10-32* https://core.ac.uk/display/479484442?source=2

Uncertainty And Risk During The COVID-19 Pandemic

Marine Natsvaladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor, Doctor of Economics

SUMMARY

Almost every market, both for services and goods, has been experiencing increasing uncertainty since the beginning of 2020. A lot of interesting research topics have emerged after the impact of COVID-19 on the economy.

The disdain for the expected high dangers and related risks, which were overlooked by many countries' governments in prior years, may be seen in the context of the COVID-19 pandemic. Scientists had warned that the world was ill-equipped to deal with the pandemic.

Immediately after it began, it became clear that the reactions of many countries were delayed, and the measures taken were ineffective. This affected almost every industry in the economy.

One of the most intriguing consequences of COVID-19 is its effect on demand and increasing risks in a variety of markets as a result of the negative effects of the economic recession and rising unemployment. It's worth noting that the negative economic effects of pandemics, isolation, and remote working practices completely altered market demand for goods and services, and therefore the offer. It is very hard to assess which effect is more significant, and the impact is likely to vary per country.

In this study, the evaluation of political measures affecting the economy is discussed on the basis of the "Black Swan" and "Grey Rhino" terms, in situations of unpredictable uncertainty and measured risks. "Black Swan" is used to describe very rare events that are highly predictable and have a high impact, and "Grey Rhino" describes very likely high-impact risk events.

Risk describes the situation where there is a loss or danger. While uncertainty differs from risk in that risk can be estimated in advance and measured using historical market data, uncertainty cannot. As a result, risks are easier to handle since they can be insured, but uncertainty cannot be insured.

The reality following the COVID-19 pandemic is a very good example of taking decisions in a situation of uncertainty. We faced a lot of uncertainties at the start of the epidemic – we did not know how to protect ourselves, how to carry on with everyday life, and so on. The Black Swan Theory explains why society ignores the most significant changes when traditional risk management is completely ineffective. It refers to an unforeseen and suspicious event that has a significant impact, while the "Grey Rhino" is the very obvious but ignored threat. The "Grey Rhino" is a metaphor for threats that we can see and hear but fail to address. In some ways, the term "Grey Rhino" is the opposite of "White Swan."

In the future, facing the challenges requires long-term, large-scale thinking. The link between individual psychology and economic decision-making is becoming increasingly apparent.

Keywords: *Uncertainty, Risk, Black Swan, Gray Rhino, Behavioral Economics*

ძალადობრივი კონფლიქტის მიკროეკონომიკური კვლევის თანამედროვე ტენდენციები

ია ნაცვლიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია ძალადობრივი კონფლიქტის მიკროეკონომიკურ კვლევაში თანამედროვე მიღწევები, სამაგიდო კვლევის მეთოდით სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე გაანალიზებულია კონფლიქტის მიკროეკონომიკური კვლევის შედეგების გავლენა პოლიტიკაზე და კონფლიქტების სამომავლო კვლევებზე. კონფლიქტი წარმოდგენილია, როგორც ინტერესების აღქმული დაშორება ან მხარეთა რწმენა, რომ მათი მისწრაფებები ვერ იქნება მიღწეული ერთდროულად. სტატიაში ნაჩვენებია ბოლო ათწლეულებში ძალადობრივი კონფლიქტის მიკროეკონომიკის, როგორც ემპირიული განვითარების ეკონომიკის, ახალი ქვედარგის წარმოშობა, კრიტიკულად შეფასებულია კონფლიქტის მიკროეკონომიკის შესახებ გავრცელებული ზოგიერთი წარმოდგენა. ამასთან, წარმოჩენილია კონფლიქტების კვლევასთან დაკავშირებული სხვა დისციპლინების როლი და თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში კონფლიქტის მიკროეკონომიკის მიერ ემპირიული კვლევის მეთოდებით და მონაცემებით შეტანილი წვლილი. სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ კონფლიქტების მიკროეკონომიკური კვლევის შედეგები მომავალში ხელს უწყობს კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო ინტერვენციების, პოსტკონფლიქტური ინსტიტუტების მშენებლობის, კონფლიქტურ ზონებში ფირმების ქცევის და ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებისას ემოციების როლის კვლევებს. სუსტია კავშირი ჰუმანიტარულ თუ განვითარების ხელშემწყობი, პოლიტიკის შემქმნელი ორგანიზაციების მიერ გენერირებული შეზღუდული ცოდნის გამოყენებასა და სწრაფად განვითარებად აკადემიურ ქვედარგს შორის. ამასთან, სწრაფად განვითარებადი ეს ქვედარგი სათანადოდ არ არის წარმოდგენილი ეკონომიკურ დისციპლინათა სწავლებაში.

საკვანძო სიტყვები: *კონფლიქტი, ძალადობა, მიკროეკონომიკა, განვითარების ეკონომიკა, კვლევა.*

თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი გამოწვევის-პანდემიის პირობებშიც არ ცხრება კონფლიქტები, ომები და ძალადობრივი ქმედებები. ამასთან, პანდემიის პერიოდს ახასიათებს სპეციფიკური კონფლიქტები, მაგალითად დაპირისპირებები ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო დაწესებულ შეზღუდვების მოწინააღმდეგეებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის, ვაქცინაციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის და სხვა. ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვების წინააღმდეგ გამართულ საპროტესო დემოსტრაციებსაც ხშირად აქვს ძალადობრივი ხასიათი, მაგალითად 2022 წლის 23 იანვარს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გამართული საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიც დაახლოებით 50000 პროტესტანტი მონაწილეობდა პოლიციელებთან შეტაკებებში, ევროკავშირის დიპლომატიური სამსახურის შენობების ვანდალურ დარბევასა და სხვა ძალადობრივ ქმედებებში გადაიზარდა. დემონსტრაციაში, რომელიც ორგანიზებული იყო ევროკავშირის მასშტაბით მოქმედი ქსელის „გაერთიანებული ევროპელები თავისუფლებისთვის“ და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შემოღებული შეზღუდვების მოწინააღმდეგე სხვა ორგანიზაციების მიერ, მონაწილეობას იღებდნენ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული პროტესტანტებიც (Lombardi, 2022).

პანდემიის პირობებში კონფლიქტის ერთგვარი გამოვლინებაა ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით ვაქციანციის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების დამოკიდებულებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებების მიმართ. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულია სხვადასხვა კვლევები კოვიდ19-ის ვაქცინაციისადმი ადამიანთა განწყობების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი კვლევა 44,260 რესპოდენტის გამოკითხვით ჩატარდა აზიის, აფრიკის და სამხრეთ

ამერიკის დაბალ და საშუალო შემოსავლიან 10 ქვეყანაში, ასევე რუსეთის ფედერაციასა და აშშ-ში (Solís et al., 2021). დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში აღმოჩნდა ვაქცინის მიღების მკვეთრად უფრო დიდი სურვილი (საშუალო-80,3%, მედიანა-78%, დიაპაზონი-30,1%) აშშ-სთან და რუსეთთან შედარებით (აშშ-ში საშუალო-64,6%, რუსეთში - საშუალო 30,4%). ვაქცინაციისადმი ინტერესს საშუალო და დაბალშემოსავლიან ქვეყნებში რესპოდენტები ხსნიდნენ ძირითადად ვირუსისგან პერსონალური დაცვის სურვილით, ხოლო ვაქცინის მიღებიდან თავშეკავების ყველაზე უფრო ხშირად გავრცელებული მიზეზი იყო ვაქცინაციის გვერდითი ეფექტები. ინფორმაციის ყველაზე უფრო სანდო წყაროდ მიიჩნეოდა ჯანდაცვის მუშაკები. როგორც კვლევის შედეგები მოწმობს, ვაქცინების განაწილების პროცესში სამხრეთის ქვეყნებისთვის პრიორიტეტის მინიჭება გლობალური იმუნუზაციის თვალსაზრისით უფრო დიდ შედეგს იძლევა. ამასთან, ვაქცინაციის კამპანიამ ხელი უნდა შეუწყოს სამხრეთის ქვეყნებში ვაქცინაციისადმი მაღალი მზაობის ეფექტურად გარდაქმნას რეალურ შედეგებში (Solís et al., 2021). აღსანიშნავია, რომ არაძალადობრივი და ძალადობრივი კონფლიქტები, მათ შორის კრიმინალური ძალადობა, ძირს უთხრის ქვეყნის ეკონომკას ინვესტიციების, წარმოების მოცულობის და ეკონომიკური ზრდის შემცირებით. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, მექსიკაში კრიმინალური ძალადობით გამოწვეული დანაკარგი იყო მშპ-ს 7 % (Kapstein & Tantravahi , 2021). ამგვარად, თანამედროვე მსოფლიოში პანდემიის პირობებში არსებული გამოწვევების ფონზე აქტუალობას არ კარგავს ზოგადად კონფლიქტების, მათ შორის ძალადობრივი კონფლიქტების ეკონომიკური კვლევები.

კონფლიქტის მიკროეკონომიკა, როგორც განვითარების ეკონომიკის ახალი ქვედარგი. კონფლიქტის მიკროეკონომიკა ეკონომიკის შედარებით ახალგაზრდა და სწრაფად მზარდი, განვითარების ეკონომიკის დამოუკიდებელ ქვემიმართულებად ჩამოყალიბებადი დარგია (Verwimp et al., 2019). თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება ძირითადად არ განიხილავს კონფლიქტს, როგორც პროდუქტების ალტერნატიული განაწილების გზას და მიიჩნევს, რომ კარგად განსაზღვრული საკუთრების უფლება უზრუნველყოფილია მესამე ძალის-სახელმწიფოს მიერ (Wärneryd, 2014). ძალადობრივი კონფლიქტის ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული განმარტებები არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა ჩვენ განვსაზღვრავთ ძალადობრივ კონფლიქტს, როგორც „სოციალური კონტრაქტის სისტემატურ რღვევას, რომელიც გამოწვეულია სოციალური ნორმების ცვლილებით ან/და იწვევს სოციალურ ნორმებში ცვლილებებს, რაც შეიცავს მასობრივ ძალადობას, რომელიც გამოწვეულია კოლექტიური მოქმედებებით“ (Justino et al., 2013: 6).

კონფლიქტის მიკროეკონომიკაში პირველი სამეცნიერო კვლევები ახალი მიკროეკონომიკური მიდგომებით თავდაპირველად ჩნდება შემდეგი მიმართულებებით: ა) საზოგადოების განვითარების შესწავლა 1990-იანი წლების მეორე ნახევრის ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში (Deaton, 1997), ბ)ქვეყნების შედარებითი ანალიზი შეიარაღებული კონფლიქტის ეკონომიკური მიზეზებისა და შედეგების მიხედვით (Collier & Hoeffler, 2004) და გ)განვითარების პოლიტიკური ეკონომიის ახალი კვლევები (Acemoglu et al., 2001). ამავდროულად, პოლიტიკის შემქმნელების მხრიდან იმ ფაქტის მზარდმა გაცნობიერებამ, რომ ყველაზე ღარიბი და დაუცველი ოჯახები სწორედ ომის პირობებში ცხოვრობდნენ, ასევე პოლიტიკის ყურადღების ფოკუსირებამ ერაყისა და ავღანეთის სტაბილიზაციასა და განვითარებაზე აიძულა მრავალი ეკონომისტი ყურადღება გაემახვილებინა ძალადობრივი კონფლიქტის შესწავლაზე (Verwimp et al., 2019). ეკო-

ნომიკურ მეცნიერებაში პირველი კვლევები ფოკუსირებული იყო სამოქალაქო ომების მაკროეკონომიკურ მიზეზებსა და შედეგებზე, თუმცა თვალთახედვაში მალევე მოექცა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ის გარემო, სადაც ინდივიდები, ოჯახები და თემები მოქმედებენ, ადაპტირდებიან, იღებენ გადაწყვეტილებებს და ცხოვრობენ. შესწავლის საგნად იქცა ის, თუ როგორ გარდაიქმნება თავად ეს მიკრო დონის დინამიკა კონფლიქტად (Justino et al., 2013). თავის მხრივ, განვითარების ეკონომისტების მზარდმა პრაქტიკამ, რომ მოიპოვონ და გააანალიზონ გამოკითხვის მონაცემები, ასევე, ტექნოლოგიურმა მიღწევებმა მიკრომონაცემების შეგროვებისა და დამუშავების მეთოდებში, წაახალისა მკვლევრები, რათა შეაგროვონ ახალი მონაცემები და გამოიყენონ უკვე არსებული მონაცემები კრეატიული გზებით, უკეთ გაიგონ, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები და იღებენ გადაწყვეტილებებს კონფლიქტურ პირობებში (Brück et al., 2014). მრავალი მიღწევა კონფლიქტის მიკროეკონომიკის კვლევის ყველა ამ მიმართულებით შესაძლებელი გახდა ინტერდისციპლინური კვლევებისა და მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად პოლიტიკურ მეცნიერებებთან, საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელ მეცნიერებებთან, სამშვიდობო კვლევებთან, კონფლიქტებისა და უსაფრთხოების კვლევებთან, განვითარების კვლევებთან, სოციოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიასთან. კვლევითი ლიტერატურა კონფლიქტის მიკროეკონომიკაში იყენებს ეკონომიკაში გავრცელებულ მკაცრ მეთოდებს, საკვლევი საკითხები და თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოები ხშირად იზიარებს ამ დისციპლინების მეთოდოლოგიას, რაც კიდევ უფრო ამდიდრებს განვითარების ეკონომიკას, როგორც მეცნიერებას (Verwimp et al., 2019).

მიკროეკონომიკური ლიტერატურა ძალადობრივი კონფლიქტების შესახებ სამი მიმართულებით ვითარდება: 1. კვლევა ფოკუსირებულია იმის ანალიზზე, თუ როგორ რეაგირებენ ძალადობის მსხვერპლი ინდივიდები, ოჯახები, საზოგადოებები და, უფრო იშვიათად, ფირმები, ძალადობრივ კონფლიქტზე და როგორ უმკლავდებიან მას; 2. კვლევა იმისა, საკუთარი ნებით თუ იძულებით როგორ უწყობენ ხელს ადამიანები კონფლიქტს. ამასთან, გამოკვეთილია ინდივიდუალური და ჯგუფური აგენტების მნიშვნელობა კონფლიქტურ გარემოში; 3. კიდევ ერთი მიმართულება სათავეს იღებს რენდომიზებული საკონტროლო კვლევების მიმართ ეკონომისტების მზარდი ინტერესიდან. იგი ფოკუსირებულია პოლიტიკის ინტერვენციების გავლენის შეფასებაზე ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ სამოქალაქო ომების ან ომისშემდგომ პერიოდში, ცხოვრობენ მშვიდობისა და უსაფრთხოების შენების პროცესში (Verwimp et al., 2019). ამ ქვედარგის მრავალი კვლევა ჩატარდა მეცნიერების მიერ, რომლებიც დაკავშირებულია შინამეურნეობების კონფლიქტის ქსელთან (Households in Conflict Network, (HiCN)). ეს ქსელი დაარსებულია 2004 წელს და აერთიანებს ომისშემდგომ პერიოდში კოლექტიურ ქმედებების შესწავლაზე მომუშავე მკვლევარებს, რომლებიც სწავლობენ ძალადობრივი კონფლიქტის მიზეზებს, მიმდინარეობასა და შედეგებს მიკრო დონეზე ემპირიული მეთოდების გამოყენებით (Justino & Stojetz, 2018). ქსელს აქვს ამ მიმართულებით კვლევითი ნაშრომების მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კოლექცია, მათი აქტივობების, პუბლიკაციებისა და წლიური კონფერენციების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.hicn.org.

მცდარი წარმოდგენები კონფლიქტის მიკროეკონომიკური კვლევის შესახებ. კონფლიქტის ეკონომიკაში არსებული სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით გამოყოფენ რამდენიმე მცდარ წარმოდგენას, რომელმაც ვერ გაუძლო სამეცნიერო შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბებულ კრიტიკას (Verwimp et al., 2019):

ა)„კონფლიქტის ზონებში მკაცრი და ეთიკური კვლევის ჩატარება შეუძლებელიან-კონ-ფლიქტით დაზარალებული ტერიტორიები მიუწვდომელია მკვლევრებისთვის უსაფრთხოები-სა და ეთიკური მიზეზების გამო. სინამდვილეში მონაცემთა შეგროვების ინოვაციური მეთოდე-ბი ქვემიმართულების მთავარი სპეციფიკაა. მობილური ტელეფონების ტექნოლოგიის, დისტან-ციური ზონდირებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების წყალობით ინფორმაციის მოპოვება აქ-ტიური ომის ზონებიდან უფრო ადვილი და უსაფრთხო გახდა.

ბ)„ძალადობრივი ქცევა ირაციონალურია“ - ამგვარი რწმენა აიძულებდა ეკონომისტებს უარყონ ძალადობა, როგორც შეუსაბამო ეკონომიკური თეორიისთვის. დღეისათვის უკვე ცნო-ბილია, რომ არსებობენ შემსრულებლები, რომლებსაც აქვთ შედარებითი უპირატესობა ძალა-დობის გამოყენებისას და რომ ძალადობრივად მოქმედება შეიძლება რაციონალური ან ოპტიმა-ლური იყოს (North et al., 2009). კონფლიქტის მიკროეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვლილი იყო იმის გაგება, რომ ადამიანის „ნორმალური“ ქცევის არჩევანი ასევე მოიცავს ძალადობრივ ქმედებებს.

გ) „ომი აჩერებს ბაზრებს და მმართველობას”- ეკონომიკური ცხოვრების ისეთი ასპექტე-ბი, როგორიცაა მიწათმოქმედება, ვაჭრობა, სწავლა და სხვა საქმიანობა, გრძელდება კონფლიქ-ტის ზონებში. ეკონომიკური აქტივობა, სავარაუდოდ, უფრო არაფორმალური ხდება. ნაკლები ფორმალური გადასახადებით, არაფორმალური ბაზრებისა და არაფორმალური შემოსავლების აყვავებით. ამასთან, სახელმწიფო ინსტიტუტები შეიძლება დასუსტდეს, თუმცა, სხვა პოლიტი-კური აქტორები და ხშირად შეიარაღებული ჯგუფებიც, იკავებენ ამ მმართველობით სივრცეებს არსებული ან ახალი ინსტიტუტების შექმნით.

დ)„კონფლიქტი სიღარიბის და ღარიბების პრობლემაა“- მსოფლიოს ყველაზე ღარიბი ადამიანების მზარდი წილი კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებში ცხოვრობს (OECD, 2016), თუმცა, ზოგჯერ მდიდრებს შედარებით მეტი ზარალი აქვთ ომისგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი და მათი ქონება უშუალო ძალადობის სამიზნეები არიან. მცირე მტკიცებულება არსებობს იმ წარმოდგენის მხარდასაჭერად, რომ „სიღარიბე ბადებს ძალადობას“. მართალია, არსებობს კავშირი ძალადობრივ კონფლიქტსა და დაბალ შემოსავლიან ქვეყნებს შორის ძირითადად სუსტი ინსტიტუტების გამო, მაგრამ თითქმის არ არსებობს მტკიცებულება ღარიბებში ძალადობის ჩამდენთა კონცენტრაციის თაობაზე (Verwimp, 2005; Krueger, 2007).

ე)„ომის შემდგომი ეკონომიკა უნდა აღდგეს“- უმეტეს შემთხვევაში, ეს წარმოდგენა მცდა-რია, რადგან ომი იწვევს სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკაში, რომელიც შემდეგ უნდა იქ-ნას გამოყენებული უკეთესი ეკონომიკის ასაშენებლად შესაბამისი ტექნოლოგიებისა და ინოვა-ციების გამოყენებით. უსარგებლოა იმ ეკონომიკის (და სავარაუდოდ, სოციალური მოდელის) რეკონსტრუქცია, რომელმაც ომი გამოიწვია. სასურველია ავაშენოთ ომისშემდგომი ეკონომიკა, რომელიც აჯილდოებს პროსოციალურ, მშვიდობიან ქცევას. ამასთან, ომი იწვევს ნებისმიერი ეკონომიკის მასიურ სტრუქტურულ ტრანსფორმაციას. გაურკვეველია, განადგურებული ინ-ფრასტრუქტურის ხელახალი აშენება მოიტანს თუ არა იმავე სოციალურ და ეკონომიკურ სარგე-ბელს, რაც ომამდე ჰქოდა. ადგილობრივი მოსახლეობის სიმჭიდროვე, მოთხოვნა და ვაჭრობის სტრუქტურა შესაძლოა შეუქცევადად შეიცვალოს, რაც მოითხოვს ახალ და უნიკალურ გეგმას ყოველი ომის შემდეგ.

კონფლიქტის მიკროეკონომიკური კვლევების თეორიული მიღწევები. ძალადობრივი კონფლიქტების მიკროეკონომიკური კვლევა დღემდე ძირითადად ემპირიულია. თუმცა, მდი-

დარმა ემპირიულმა მასალამ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ კონტექსტში მუშაობამ ხელი შეუწყო განვითარების ეკონომიკაში წვლილის შეტანას სამი თეორიული მიმართულებით: (ა) განვითარების პოლიტიკური ეკონომია, (ბ) შინამეურნეობათა გადაწყვეტილებების მიღება და (გ) სოციალური პრეფერენციები და ქცევა. ეკონომიკური განვითარების მოდელების უმეტესობაში ძირითადი თეორიული წინაპირობაა ძალადობის მონოპოლიის მქონე სახელმწიფოს არსებობა, რომელსაც შეუძლია ხელშეკრულებების აღსრულება და საკუთრების უფლებების გარანტია. პოლიტიკურ მეცნიერებაში კონფლიქტურ სფეროებზე მუშაობამ აჩვენა, რომ ბაზრები და სოციალური ურთიერთქმედებები აგრძელებენ ფუნქციონირებას სახელმწიფო ინსტიტუტების არარსებობისა და პოლიტიკური ავტორიტეტის ფრაგმენტაციის პირობებში (Kalyvas, 2006; Arjona et al., 2015). განვითარებად ქვეყნებში შოკის გავლენა შინამეურნეობების კეთილდღეობაზე ტრადიციულად გაანალიზებულია საოჯახო ფერმერული მეურნეობების მოდელებში მაქსიმალური სარგებლიანობის ფუნქციით (Singh et al., 1986). გარდა ამისა, დიდი ხნის განმავლობაში შეიარაღებული კონფლიქტით დაზარალებული ქვეყნების კვლევები (როგორიცაა კოლუმბია, ანგოლა, კონგო, სომალი ან ავღანეთი) ცხადყოფს, რომ ოჯახები, ფირმები და მთელი ეკონომიკა განიცდიან სტრუქტურულ ცვლილებას, რომლის დროსაც აგენტები ადაპტირებიან ომის ეკონომიკასთან ზოგჯერ ათწლეულების განმავლობაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო კვლევებს, თუ როგორ მოქმედებს შოკები, ინსტიტუტები და სხვა ცხოვრებისეული გამოცდილება ინდივიდუალურ პრეფერენციებზე და სხვა ქცევებზე, რაც ეჭვქვეშ აყენებს ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში არსებულ წინაპირობას, რომ ინდივიდუალური პრეფერენციები ეგზოგენური და ფიქსირებულია (Bowels, 1998; Bozzoli et al., 2011). ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ძალადობრივმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს პროსოციალური ქცევის უფრო მაღალი დონე (Voors et al., 2012; Bauer et al., 2016). უახლესი ნაშრომები აჩვენებს, რომ ჯგუფური თანამშრომლობა და სოციალური ერთიანობა რეალურად არის წარმატებული აჯანყების გასაღები (Petersen, 2001; Wood, 2003) და რომ მისი წარმატებით გამოყენება შესაძლებელია გენოციდური ძალადობის კამპანიაში (Verwimp, 2013).

ემპირიულმა კვლევებმა დააფიქსირა სამოქალაქო ომების დიდი გავლენა განათლებაზე, ჯანმრთელობაზე, შრომის ბაზრის შედეგებსა და სოციალურ ურთიერთობებზე. ერთ-ერთი მთავარი შედეგია კონფლიქტის ხანგრძლივი და მუდმივი კვალი ადამიანურ კაპიტალზე. მთელი რიგი კვლევები ფოკუსირებულია ძალადობრივი კონფლიქტის მიზეზების იდენტიფიცირებაზე. განვითარების ეკონომისტების მიკრო დონეზე მუშაობა ფოკუსირებული იყო სიღარიბის, უთანასწორობის, უმუშევრობის, ბუნებრივი რესურსების არსებობისა და განვითარების პოლიტიკური ეკონომიკის როლის კვლევაზე. კვლევის საგანს წარმოადგენს საკიტხი, კონფლიქტის სხვადასხვა დინამიკა რა გავლენას იქონიებს განვითარების შედეგებზე. მსგავსი კვლევები ფოკუსირებულია ინფორმაციის ასიმეტრიულობის როლზე (Berman et al., 2011) და მოსახლეობის იძულებით გადაადგილებაზე, როგორც ომის სტრატეგიაზე (Ibanez & Vélez, 2008).

ბოლო წლებში კვლევის ერთ-ერთი სფერო იყო საერთაშორისო მესამე მხარის როლი კონფლიქტურ პროცესებში, მათ შორის გარე დახმარების როლი (Crost et al., 2014, 2016). აღმოჩნდა, რომ დახმარების პროექტების ეფექტი ავღანეთში კონფლიქტზე ჰეტეროგენულია სხვადასხვა სექტორში: ჯანდაცვის პროექტები ხელს უწყობს სტაბილურობას, ხოლო განათლების პროექტები იწვევს შემდგომ კონფლიქტებს იმიტომ, რომ განათლების ინტერვენციები აღიქმება, რო-

გორც დასავლური ღირებულებებისა და იდეოლოგიის დაწესება. მესამე მხარის ქმედებები, არანეიტრალური და არაჰუმანიტარული საგარეო სამხედრო ინტერვენციების სახით, ამძაფრებს სოციალურ კონფლიქტს და ჯგუფურ დაძაბულობას რელიგიური პოლარიზაციის გაძლიერებით. მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი მიღწევებისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმის გაგებაში, თუ რა გავლენა შესაძლოა მოახდინოს სხვადასხვა შეიარაღებულმა ჯგუფმა, ძალადობის ტიპებმა, რეკრუტირების მოდელებმა, სამოქალაქო ქცევამ და კონფლიქტების სხვა დინამიკამ ეკონომიკურ განვითარებაზე (Verwimp et al., 2019).

სამომავლო კვლევების მიმართულებები და პოლიტიკის შედეგები. ძალადობრივი კონფლიქტების მიკროეკონომიკაში თეორიული კვლევის ერთ-ერთი მომავალი მიმართულება იქნება საომარი ზონების პოლიტეკონომიის გაგება და ეკონომიკურ განვითარებაზე მისი გავლენის შეფასება. საკვანძო საკითხია, თუ როგორ მიიღება ეკონომიკური გადაწყვეტილებები სახელმწიფოს არარსებობის პირობებში. კონფლიქტის ზონებიდან მიღებული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ბაზრები და სოციალური ურთიერთობები აგრძელებენ ფუნქციონირებას კონფლიქტის კონტექსტში. სამომავლო კვლევების მეორე მიმართულება მოიცავს კონფლიქტის მიკროეკონომიკურ კვლევებზე სოციალური ფსიქოლოგიის დიდ გავლენას. თუ წარსული კვლევები სწავლობდნენ, რას და რამდენად კარგად აკეთებდნენ ადამიანები, მომავალში კვლევისას მოიმატებს სუბიექტური და ფსიქო-სოციალური ფაქტორების შესწავლა. გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს ემოციები და არაშემეცნებითი ფაქტორები კონფლიქტის დროს. სამომავლო კვლევის მესამე მიმართულება იქნება იმის შესწავლა, თუ როგორ შეიძლება ემოციებით ჩამოყალიბებული ენდოგენური სოციალური პრეფერენციები ურთიერთქმედებდეს ინსტიტუციურ ცვლილებებთან, რომლებიც ხდება კონფლიქტის დროს და/ან ახდენს მომავალი კონფლიქტის რისკების ფორმირებას (Justino, 2019; Justino, 2018). ამასთან, მოსალოდნელია კვლევის ზრდა მშვიდობის მშენებლობის მიკროეკონომიკური ანალიზის მიმართულებითაც. გაჩნდება უფრო მეტი ინტერესი ომიდან მშვიდობაზე გადასვლის პოლიტიკური ეკონომიკის საკითხებზე. მოსალოდნელია კონფლიქტის მიკროეკონომიკური ანალიზის გაფართოება პოლიტიკური ძალადობის სხვა ფორმების შესასწავლად, როგორიცაა არეულობები, ძალადობრივი პროტესტი და ძალადობის სხვა ფორმები, როგორიცაა ორგანიზებული დანაშაული, ურბანული ძალადობა ან ოჯახში ძალადობა. ამასთან, ფირმების როლი კონფლიქტის ეკონომიკაში ბოლო წლებში არასაკმარისად იყო შეფასებული და გაძლიერდება კვლევები ამ მიმართულებით. საჭიროა კვლევები, რომელიც შეისწავლის არაფორმალურ წარმონაქმნებსა და კონფლიქტს შორის ურთიერთქმედებას მიკრო დონეზე.

მოსალოდნელია განვითარების ეკონომიკის პოლიტიკაზე გავლენის შემდგომ გაძლიერება. მსოფლიოში ღარიბების 60 პროცენტზე მეტი 2030 წლისთვის კონცენტრირებული იქნება არამდგრად და კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებში, ზოგიერთი საერთაშორისო სააგენტო ამ ქვეყნებზე ხარჯავს თავისი ბიუჯეტის ნახევარზე მეტს (OECD, 2016). კონფლიქტის მიკროეკონომიკური ლიტერატურის მთავარი წვლილი ასეთი პოლიტიკის ფარგლებში იქნება სანდო მონაცემების შეგროვება და მეთოდების შემუშავება საერთაშორისო განვითარების აქტორების დასახმარებლად. მომდევნო წლების განმავლობაში მიკროეკონომიკური კვლევის მთავარი გამოწვევა იქნება განვითარების ეკონომიკის მიგნებების ეფექტურობის შეფასება (Verwimp et al., 2019).

ძალადობრივი კონფლიქტების ეკონომიკური დანახარჯები. ძალადობრივი კონფლიქტი უარყოფითად ზემოქმედებს ქვეყნის პროგრესზე. მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2018 წელს ძალადობრივი კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებში მშპ-ს დანაკარგი მერყეობდა 2%-დან 8,45%-მდე. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის მოსაზღვრე ქვეყნებიც ზარალდებიან: მშპ-ს შემცირებამ ამ ქვეყნებში მიაღწია 1,4%-ს, ხოლო ინფლაცია გაიზარდა 1,7%-ით (World Bank, 2018). ომისა და ძალადობრივი კონფლიქტის საწარმოებლად საჭირო რესურსები აკლდება სოციალური სერვისების ისედაც შეზღუდულ რესურსებს. განახლებადი და ხანგრძლივი კონფლიქტები მილიონობით ადამიანს აზარალებს, სტიმულს უკარგავს ინვესტორებს და აფერხებს ქვეყნის უნარს, ხელახლა ააშენოს ინსტიტუტები და აამოქმედოს ეკონომიკა, მაგალითად, 1970 წლიდან დღემდე ავღანეთში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი სრულიად უმნიშვნელოდ არის შეცვლილი (World Bank, 2018).

გლობალურ ეკონომიკას ყოველწლიურად კონფლიქტი უჯდება დაახლოებით 14 ტრილონ აშშ დოლარზე მეტი. ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის მიერ 2019 წელს ძალადობისა და კონფლიქტის ეკონომიკური გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე შეფასებულია 14,4$ ტრილიონად (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით). ეს არის დაახლოებით გლობალური მშპ-ს 10,5%, რაც ნიშნავს 1895$-ს ერთ სულ მოსახლეზე (Insitute for Economics and Peace, 2021). აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან 2017 წლამდე ძალადობის ეკონომიკური გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე გაიზარდა 12,2%-მდე. პიკს წარმოადგენდა 14,8$ ტრილიონი. თუმცა, შემდეგი ორი წლის განმავლობაში ვითარებამ დაიწყო გაუმჯობესება. 2019 წელს ძალადობის ეკონომიკური გავლენა წინა წელთან შედარებით შემცირდა 64$ მილიარდით, რაც წარმოადგენს 0,4%-იან შემცირებას. შემცირება ძირითადად გამოწვეულია შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში შეიარაღებული კონფლიქტების შემცირებით, ტერორისტული თავდასხმების, ძალადობრივი სიკვდილის შემთხვევებისა და მოსახლეობის დევნილობის დანახარჯების შემცირებით (Insitute for Economics and Peace, 2021).

აღსანიშნავია, რომ ძალადობრივი კონფლიქტით გამოწვეული კრიზისის მართვა სოლიდურ დანახარჯებს მოითხოვს. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, 2017 წელს 37 სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით 141 მილიონ ადამიანს სჭირებოდა ჰუმანიტარული დახმარება. დონორ ქვეყნებში განთავსებულ ლტოლვილებისთვის გაწეული დახმარების თანხამ მიაღწია 12$ მილიარდს. 2010 წლიდან დონორ ქვეყნებში ლტოლვილებისთვის განვითარების ხელშეწყობისთვის დახარჯული თანხა გაიზარდა 6-ჯერ. სამშვიდობო მისიის უზრუნველყოფა წელიწადში აღწევდა 8$ მილიარდს (World Bank, 2018). კონფლიქტის პრევენცია შესაძლებელია ხარჯთ-ეფექტიანი იყოს. გარდა იმისა, რომ კონფლიქტის პრევენცია ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენას უზრუნველყოფს, ის შეიძლება ეკონომიკურად მომგებიანიც აღმოჩნდეს ქვეყნებისთვის. ყველაზე პესიმისტურ სცენარშიც კი კონფლიქტის პრევენციით შესაძლებელია წლიურად 5$ მილიარდის დაზოგვა, ხოლო ყველაზე უფრო ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში ეს თანხა აღწევს 70$ მილიარდს (World Bank, 2018).

დასკვნები. ტერმინი „კონფლიქტი“ ფართოდ გამოიყენება და მოიცავს, როგორც ფიზიკური დაპირისპირების ფსიქოლოგიურ მოტივებს, ასევე, საკუთრივ ფიზიკურ დაპირისპირებასაც. კონფლიქტის მიკროეკონომიკურ კვლევებში სიტყვა „”“.,‘···“ უმეტესწილად გამოიყენება ვიწრო მნიშვნელობით და გულისხმობს ინტერესების აღქმულ განსხვავებას ან მხარეთა რწმენას, რომ მათი მისწრაფებები ვერ იქნება მიღწეული ერთდროულად. ომისა და ძალადობრივი კონ-

ფლიქტის საწარმოებლად საჭირო რესურსები აკლდება სოციალური სერვისების ისედაც შეზღუდულ რესურსებს. განახლებადი და ხანგრძლივი კონფლიქტები მილიონობით ადამიანს აზარალებს, სტიმულს უკარგავს ინვესტორებს და აფერხებს ქვეყნის უნარს, ხელახლა ააშენოს ინსტიტუტები და აამოქმედოს ეკონომიკა.

ბოლო წლებში კონფლიქტების მიკროეკონომიკამ, როგორც ახალმა ქვემიმართულებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა განვითარების ეკონომიკაში. ძალადობრივი კონფლიქტის მიკროეკონომიკურმა კვლევებმა განაპირობა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკური მეცნიერებისა და მშვიდობის კვლევის თანამედროვე მიღწევების ინტენსიური ჩართვა განვითარების ეკონომიკაში, რამაც დისციპლინა უფრო საინტერესო, რეალისტური და აქტუალური გახადა. მობილური ტექნოლოგიების სწრაფი აღმავლობა, დისტანციური ზონდირების შესაძლებლობები, პროცესების ციფრიზაცია, დიდი მონაცემები და მანქანური სწავლების ტექნიკები ქმნიან უამრავ შესაძლებლობებს მიკრო დონეზე კონფლიქტის მიზეზების, შედეგებისა და დინამიკის გაზომვისა და შესწავლისთვის.

მიუხედავად ბოლო ორი ათწლეულის პერიოდში კონფლიქტის მიკროეკონომიკურ კვლევებში მიღწეული წარმატებებისა, ჯერჯერობით სუსტია კავშირი კონფლიქტით დაზარალებული რეგიონისთვის მოქმედ ჰუმანიტარულ თუ განვითარების ხელშემწყობი, პოლიტიკის შემქმნელი ორგანიზაციების მიერ გენერირებული შეზღუდული ცოდნის გამოყენებასა და სწრაფად განვითარებად აკადემიურ ქვედარგს შორის. ამასთან, სწრაფად განვითარებადი ეს ქვედარგი სათანადოდ არ არის წარმოდგენილი ეკონომიკურ დისციპლინათა სწავლებაში.

ლიტერატურა:

1. Acemoglu, D., Johnson, S., Robinson, J., (2001). The colonial origins of comparative development: an empirical investigation. *American Economic Revew.* 91 (5), 1369–1401. Retrievd from The Colonial Origins of Comparative Development: An Empirical Investigation - American Economic Association (aeaweb.org)
2. Arjona, A., Kasfir, N., Mampilly, Z., (2015). Rebel Governance in Civil War. Cambridge University Press. Retrieved from https://assets.cambridge.org/97811071/02224/frontmatter/9781107102224_frontmatter.pdf
3. Bauer, M., Blattman, C., Chytilova, J., Henrich, J., Miguel, E., Mitts, T., (2016). Can war foster cooperation? *Journal of Economic Perspectives*, 30 (3), 249–274. Retrieved from Can War Foster Cooperation? (aeaweb.org)
4. Berman, E., Shapiro, J., Felter, J., (2011). Can hearts and minds be bought? The economics of counterinsurgency in Iraq. *Journal of Political Economy*, 119 (4), 766–819. Retrieved from Can Hearts and Minds Be Bought? The Economics of Counterinsurgency in Iraq | Journal of Political Economy: Vol 119, No 4 (uchicago.edu)
5. Bowles, S., (1998). Endogenous preferences: the cultural consequences of markets and other economic institutions. *Journal of Economic Literature,* 36 (1), 75–111. Retrieved from Scopus - Document details - Endogenous Preferences: The Cultural Consequences of Markets and other Economic Institutions | Signed in
6. Bozzoli, C., Brück, T., Muhumuza, T., (2011). Does war influence individual expectations? *Economics Letters,* 113 (3), 288–291. Retrieved from Does war influence individual expectations? - ScienceDirect
7. Brück, T., Esenaliev, D., Kroeger, A., Kudebayeva, A., Mirkasimov, B., Steiner, S., (2014). Household survey data for research on well-being and behavior in central Asia. *Journal of Comperative Economics.* 42 (3), 819–835. Retrieved from Household survey data for research on well-being and behavior in Central Asia - ScienceDirect
8. Brück, T., Naude, W., Verwimp, P., (2013). Business under fire: entrepreneurship and violent conflict in developing countries. *Journal of Conflict Resolution.* 57 (1), 3–19. Retrieved from Business under Fire: Entrepreneurship and Violent Conflict in Developing Countries - Tilman Brück, Wim Naudé, Philip Verwimp, 2013 (sagepub.com)
9. Collier, P., Hoeffler, A., (2004). Greed and grievance in civil war. *Oxford Economic Papers.* 56 (4), 563–595. Retrievd from Scopus - Document details - Greed and grievance in civil war | Signed in

10. Crost, B., Felter, J., Johnston, P., (2014). Aid under fire: development projects and civil conflict. *American Economic Revew,* 104 (6), 1833–1856. Retrievd from Aid under Fire: Development Projects and Civil Conflict - American Economic Association (aeaweb.org)
11. Crost, B., Felter, J., Johnston, P., (2016). Conditional cash transfers, civil conflict and insurgent influence: experimental evidence from the Philippines. *Journal of Development Economics,* 118, 171–182. Retrievd from Conditional cash transfers, civil conflict and insurgent influence: Experimental evidence from the Philippines - ScienceDirect
12. Deaton, A. (1997). The analysis of household surveys: a microeconometric approach to development policy. *World Bank Publications*. Retreaved from The Analysis of Household Surveys: A Microeconometric Approach to ... - Angus Deaton - Google Books
13. Justino, P., (2019). Governance interventions in conflict-affected countries. *Journal of Development Studies,* 55(7), 1364-1378. Retreaved from Governance Interventions in Conflict-Affected Countries: The Journal of Development Studies: Vol 55, No 7 (tandfonline.com)
14. Justino, P., (2018). The need to be governed: governance and violence in conflict contexts. *The Economics - of Peace and Security Journal,* 13 (1), 5–11. Retreaved from Scopus - Document details - The need to be governed: governance and violence in conflict contexts | Signed in
15. Justino, P., Stojetz, W., (2018). On the legacies of wartime governance. *Households in Conflict Working Paper Series*. Retreaved from HiCN-WP-263.pdf (isdc.org)
16. Justino, P., Verwimp, P., (2013). Poverty dynamics, violent conflict and convergence in Rwanda. *Revew of Income and Wealth* 59 (1), 66–90. Retreaved from Poverty Dynamics, Violent Conflict, and Convergence in Rwanda - Justino - 2013 - Review of Income and Wealth - Wiley Online Library
17. Ibáñez A. M., Vélez C. E., (2008), *World Development* , 36 (4), 659-676. Retreaved from Civil Conflict and Forced Migration: The Micro Determinants and Welfare Losses of Displacement in Colombia - ScienceDirect
18. Insitute for Economics and Peace (2021). Economic Value of Peace 2021: Measuring the Global Economic Impact of Violence and Conflict. Retrieved from https://reliefweb.int/report/world/economic-value-peace-2021-measuring-global-economic-impact-violence-and-conflict
19. Kalyvas, S.N. (2006). The logic of violence in civil war. Cambridge University Press, Cambridge MA. Retrieved from The Logic of Violence in Civil War - Stathis N. Kalyvas - Google Books
20. Kapstein, E. B., Tantravahi, A. (2021). The Economic Consequences of Criminal Violence. Political Violence At A Glance. Empirical Studies of Conflict. Retrieved from https://esoc.princeton.edu/publications/economic-consequences-criminal-violence
21. Krueger, A. B., (2008). What makes a terrorist? Economics and the Roots of Terrorism. Princeton University Press. Retreved from What Makes a Terrorist (degruyter.com)
22. Lombardi, P., (2022). Rioters fight Brussels police, smash headquarters of EU Foreign Service. Some 50,000 people protested coronavirus restrictions. *Politico,* January 23, 2022. Retrieved from https://www.politico.eu/article/protest-against-covid-restriction-police-violent-brussels/?fbclid=IwAR3cm7IrXgeqYbYDeIu95H-aEx3JBfiLGyUgIapzpwgdseHOxVlehEjYsGA
23. North, D. C., Wallis, J. J., & Weingast, B. R. (2009). *Violence and social orders: A conceptual framework for interpreting recorded human history*. Cambridge University Press. Retrieved from Violence and Social Orders: A Conceptual Framework for Interpreting Recorded ... - Douglass C. North, John Joseph Wallis, Barry R. Weingast, Ward C Krebs Family Professor of Political Science Barry R Weingast - Google Books
24. OECD (2016), *States of Fragility 2016: Understanding Violence*, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1-787/9789264267213-en. Retrieved from https://www.oecd-ilibrary.org/development/states-of-fragility-2016_9789-264267213-en
25. Petersen, R. D. (2001). *Resistance and rebellion: lessons from Eastern Europe*. Cambridge University Press. Retrieved from Resistance and Rebellion: Lessons from Eastern Europe - Roger D. Petersen - Google Books
26. Singh, I., Squire, L., Strauss, J. (1986). A survey of agricultural household models: recent findings and policy implications. *World Bank Economiv Revew*, 1 (1), 149–179. Retrieved from Survey of Agricultural Household Models: Recent Findings and Policy Implications | The World Bank Economic Review | Oxford Academic (oup.com)
27. Solís A. J.S., Warren, S.S., Meriggi, N.F. *et al.* (2021). COVID-19 vaccine acceptance and hesitancy in low-and middle-income countries. *Nature Medicine*, 27, 1385–1394. Retrieved from https://www.nature.com/articles/s41591-021-01454-y

28. Verwimp, P., Justino, P., & Bruck, T., (2019). The microeconomics of violent conflict. *Journal of economic development,* volume 141, 102297. Retrieved from https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0304387818314160
29. Verwimp, P., (2013). Peasants in Power: The political economy of development and genocide in Rwanda. Springer Verlag, Dordrecht. Retrieved from https://difusion.ulb.ac.be/vufind/Record/ULB-DIPOT:oai:dipot.ulb.ac.be:2013/217358/Details
30. Verwimp, P., (2005). An economic profile of peasant perpetrators of genocide: Micro-level evidence from Rwanda. *Journal of Development Economics, 77* (2), 297-323 Retrieved from An economic profile of peasant perpetrators of genocide: Micro-level evidence from Rwanda - ScienceDirect
31. Voors, M., Nillesen, E., Verwimp, P., Bulte, E., Lensink, R., Van Soest, D., (2012). Violent conflict and behavior? evidence from field experiments in Burundi. *American Economic Revew,* 102 (No. 2), 941–964. April. Retrieved from Violent Conflict and Behavior: A Field Experiment in Burundi - American Economic Association (aeaweb.org)
32. Wärneryd, K., (2014), The Economics of Conflict. Theory and Empirical Evidence. Retrieved from https://mitpress.mit.-edu/contributors/karl-warneryd
33. Wood, E. J., & Jean, W. E. (2003). *Insurgent collective action and civil war in El Salvador.* Cambridge University Press. Retreieved from Insurgent Collective Action and Civil War in El Salvador - Elisabeth Jean Wood, Professor Elisabeth Jean Wood, Wood Elisabeth Jean - Google Books
34. World Bank (2018), The economic cost of conflict, Retreieved from https://www.worldbank.org/en/news/infogra-phic/2018/03/01/the-economic-cost-of-conflict

Modern Trends in Microeconomic Research on Violent Conflict

Ia Natsvlishvili

PhD, Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article discusses modern advances in microeconomic research on violent conflict. The impact of the results of conflict microeconomic research on policies and future studies is analyzed. The article shows the emergence of violent conflict microeconomics as a new subfield of empirical development economics in the last decade. Some common misconceptions about the microeconomics of conflict are critically evaluated. The role of other disciplines related to conflict research is presented. Contributions to modern economic theory by empirical research methods and data from conflict microeconomics is underlined.

ON THE SUPPLY-CHAINFLATION

Vladimer Papava

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

This article examines the economic nature of high inflation which is the result of the economic crisis caused by the COVID-19 pandemic. It is shown that this high-level of inflation is caused by the simultaneous action of factors such as a rise in demand and a fall in supply. At the same time, the fall of the supply is predominant which is caused by breaks in global supply chains. For this reason, this inflation is called "Supply-Chainflation." Because the cause of supply- chainflation is not macroeconomic, the reaction of central banks to this high inflation is inadequate. The solution to the problem of supply chainflation is based on the construction of new networks of global supply chains that will maximally take into account the risks associated with the COVID-19 pandemic as well as possible new global threats in the future.

Key words: *inflation; COVID-19 pandemic; economic crisis; global supply chains; supply-chainflation.*

The atypical economic crisis caused by the COVID-19 pandemic (Papava, 2020) has exacerbated many economic problems. Among them, a significant increase in inflation is particularly relevant (e.g., Acemoglu, 2021a; Krugman, 2022). The problem of high inflation is not only economic but also political as the coined term "Bidenflation" vividly demonstrates (Cassidy, 2021).

To solve the problem of high inflation, the study of the economic features of this phenomenon is of great importance.

As known, the increase of inflation can be caused by a rise in demand or by a fall in supply or due to the combined action of both of these factors (Sachs, 2021). It is necessary to understand which of these factors is determining the high level of inflation during the COVID-19 pandemic.

The rise in demand has played a role given the fact that governments of different countries paid money to their populations to alleviate their social situation during the COVID-19 pandemic (e.g., Papava and Chkuaseli, 2021). Much more significant is the fact that supply disruptions emanating from the collapse of global supply chains have resulted in a fall in supply within the context of the economic crisis caused by the COVID-19 pandemic. At the beginning of this process, there was speculation that the increase in inflation was the result of "short-term supply-side bottlenecks" (Stiglitz, 2021) but it soon became clear that we were dealing with an actual collapse of the global production system (Coyle, 2021).

As one would expect, the rise in inflation in the context of the economic crisis caused by the COVID-19 pandemic is due to the simultaneous action of two factors – an increase in demand and a reduction in supply, although the second factor (i.e., a reduction in supply) is of decisive importance.

At the same time, it should be taken into account that central banks have tools to influence inflation caused by demand growth and in fact do not have any mechanisms for influencing inflation caused by supply fall. It is obvious that central banks will not be able to influence the restoration of broken global supply chains in any way within their competence. Trying to reduce the high level of inflation, central banks (especially those that use the inflation targeting in monetary policy) began to raise interest rates which affects the reduction of demand-pull inflation. This is clear evidence of central bank confusion (Chikobava, 2021; Roach, 2022), as COVID-19-driven inflation is largely the result of falling supply rather than rising demand.

The main mistake that central banks make is that they consider the inflation provoked by the COVID-19 pandemic to be a macroeconomic problem (Galbraith, 2021). In fact, this inflation, as noted above, is the result of a break in global supply chains. In order to adequately reflect this specific phenomenon in economics, the term "Supply-Chainflation" was coined (Pride, Reynolds and Vovk, 2022).

It must be recognized that the disruption of global supply chains is the result of the deglobalization triggered by the COVID-19 pandemic (Marin, 2021). Recovery, as well as the formation of new global supply chains, must take place in the context of a post-pandemic renewed globalization (Rogoff, 2021).

The urgent task of the post-pandemic period is to rethink the principles of the formation of global supply chains, taking into account the increase in the productivity of production factors (Spence, 2022).

In the context of the economic crisis caused by the COVID-19 pandemic, the transfer of production from regions with lower production costs to regions with higher production costs has become a priority (Issing, 2021). This, in turn, will lead to cost-push inflation (McConnell and Brue 2008, 136). This approach does not at all indicate that the creation of global supply chains will have to abandon the principle of economic efficiency in the post-pandemic period. On the contrary, this principle will necessarily remain in force, taking into account the risk factors associated with the COVID-19 pandemic as well as with all kinds of pandemics that may arise in the more or less foreseeable future. The diversification and complication of global supply chains, for its part, increases the economic risks of the functioning of these chains (Acemoglu, 2021b).

The negative effect of breaking global supply chains puts the creation of a model (or even models) for predicting the formation and functioning of supply chains, as well as their response to all sorts of undesirable fluctuations (Spence, 2021), on the agenda of economic science.

References:

1. Acemoglu, D. (2021a). "The Real Inflation Risk." *Project Syndicate*, July 6. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/inflation-does-not-justify-derailing-recovery-for-workers-by-daron-acemoglu-2021-07
2. Acemoglu, D. (2021b). "The Supply-Chain Mess." *Project Syndicate*, December 2. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/us-supply-chain-mess-incentives-for-offshoring-by-daron-acemoglu-2021-12
3. Cassidy, J. (2021). "How Republicans are Distorting Inflation and Supply-Chain Problems." *The New Yorker*, November 15. Retrieved from https://www.newyorker.com/news/our-columnists/inflation-and-the-great-global-logjam
4. Chikobava, M. (2021). *Metamorphosis of the Monetary Policy of the Leading Central Banks*. GFSIS Expert Opinion No. 173. Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies. Retrieved from https://www.gfsis.org/-files/library/opinion-papers/173-expert-opinion-eng.pdf
5. Coyle, D. (2021). "The Great Supply–Chain Massacre." *Project Syndicate*, October 15. https://www.project-syndicate.org/-commentary/current-supply-shocks-and-2008-global-financial-crisis-by-diane-coyle-2021-10
6. Galbraith, J.K. (2021). "Whipping Up America's Inflation Bogeyman." *Project Syndicate*, November 19. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/inflation-not-macroeconomic-problem-for-fed-by-james-k-galbraith-2021-11
7. Issing, O. (2021). "The Return of Inflation?" *Project Syndicate*, July 16. Retrieved from https://www.project-syndicate-.org/commentary/inflation-risks-money-supply-demographics-deglobalization-by-otmar-issing-2021-07?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=20da80c324-covid_newsletter_07_22_2021&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-20da80c324-93567601&mc_cid=20da80c324&mc_eid=e9fb6cbcc0
8. Krugman, P. (2022). "Inflation and the Power of Narrative." *The New York Times*, January 25. Retrieved from https://www.nytimes.com/2022/01/25/opinion/inflation-economy.html
9. Marin, D. (2021). "Will Deglobalization Fuel Inflation?" *Project Syndicate*, November 2. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalization-wage-price-spiral-in-advanced-economies-by-dalia-marin-2021-11

10. McConnell, C.R. & Brue, S. 2008. *Economics: Principles, Problems, and Policies* (17th ed.). New York: McGraw-Hill/Irwin
11. Papava, V. (2020). "On the Atypical Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic." *Economics and Business* XII(4), 9-16
12. Papava, V. & Chkuaseli, M. (2021). "Economic Consequences of the COVID-19 Pandemic and the Economic Ability of a Government as a Factor of Production." *International Business & Economics Studies* 3(2), 67-71. Retrieved from http://www.scholink.org/ojs/index.php/ibes/article/view/3959/4266
13. Pride, J.D., Reynolds, M.T. & Vovk, I.V. (2022). "Supply-Chainflation." *Glenmede*, January 10. Retrieved from https://www.glenmede.com/wp-content/uploads/2022/01/Investment-Strategy-Notes-01-10-22.pdf
14. Roach, S.S. (2022). "The Fed Is Playing with Fire." *Project Syndicate*, January 24. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/federal-reserve-mad-scramble-to-control-inflation-by-stephen-s-roach-2022-01?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=76e2607da0-covid_newsletter_01_27_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-76e2607da0-93567601&mc_cid=76e2607da0&mc_eid=e9fb6cbcc0
15. Rogoff, K. (2021). "Are Inflation Fears Justified?" *Project Syndicate*, March 1. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/long-term-inflation-risks-central-banks-globalization-by-kenneth-rogoff-2021-03
16. Sachs, J. (2021). "US Can Fight Inflation and Still 'Build Back Better'." *CNN*, November 13. Retrieved from https://edition.cnn.com/2021/11/13/opinions/us-can-fight-inflation-build-back-better-sachs/index.html
17. Spence, M. (2021). "Why Are Supply Chains Blocked?" *Project Syndicate*, November 3. Retrieved from https://www.-project-syndicate.org/commentary/prevent-future-supply-chain-disruptions-using-ai-models-by-michael-spence-2021-11
18. Spence, M. (2022). "Regime Change in the Global Economy." *Project Syndicate*, January 14. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/global-economy-regime-change-lewis-turning-point-by-michael-spence-2022-01?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=5ecae9d716-sunday_newsletter_01_16_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-5ecae9d716-93567601&mc_cid=5ecae9d716&mc_eid=e9fb6cbcc0
19. Stiglitz, J.E. (2021). "The Inflation Red Herring." *Project Syndicate*, June 7. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/us-inflation-red-herring-by-joseph-e-stiglitz-2021-06

მიწოდების ჩეინფლაციის შესახებ

ვლადიმერ პაპავა
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია მაღალი ინფლაციის ეკონომიკური ბუნება, რომელიც COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის შედეგია. ნაჩვენებია, რომ ინფალციის მაღალი დონე განპირობებულია ისეთი ფაქტორების ერთდროულად მოქმედებით, როგორიცაა მოთხოვნის ზრდა და მიწოდების ვარდნა. ამასთან დომინანტურია მიწოდების ვარდნა, რომელიც მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევითაა გამოწვეული. ამ მიზეზის გამო მოცემულ ინფლაციას „მიწოდების ჩეინფლაცია" ეწოდება. რადგანაც, მიწოდების ჩეინფლაციის მიზეზი არ არის მაკროეკონომიკური, ამიტომ ცენტრალური ბანკების რეაქცია ამ მაღალ ინფლაციაზე ადეკვატური არ არის. მიწოდების ჩეინფლაციის პრობლემის გადაწყვეტა ეფუძნება მიწოდების ახალი გლობალური ჯაჭვების ქსელების შექმნას, რომლებიც მაქსიმალურად გაითავლისწინებენ COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულ რისკებს და ასევე მომავალში შესაძლო გლობალურ საფრთხეებს.

საკვანძო სიტყვები: *ინფლაცია; COVID19-ის პანდემია; ეკონომიკური კრიზისი; მიწოდების გლობალური ჯაჭვები; მიწოდების ჩეინფლაცია.*

მაკროპრუდენციული პოლიტიკის სისტემური რისკების წარმომქმნელი ფაქტორების იდენტიფიცირება საქართველოსათვის

ნინო ჟორჟიკაშვილი

ეკონომიკის დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფინანსური სტაბილურობის მიღწევა ნებისმიერი ქვეყნის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს განსაკუთრებით კი, 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომ. ჯანსაღი ფინანსური სისტემა ქმნის პირობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური კრიზისის გამომწვევი სისტემური რისკების იდენტიფიცირებას, მათ მიტიგაციას და აღმოფხვრას. 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ წამოჭრა საკითხი მაკროპრუდენციული პოლიტიკის უფრო აქტიურად გამოყენების თაობაზე, რადგან გამოიკვეთა, რომ მიკროპრუდენციული პოლიტიკა და მისი რეგულაციები არ იყო საკმარისი ფინანსური სტაბილურობისათვის. მაკროპრუდენციული პოლიტიკა გადამწყვეტ როლს თამაშობს სისტემური რისკების იდენტიფიცირაბასა და ფინანსური ციკლის პროციკლურობის განეიტრალებაში, რაც საბოლოო ჯამში გულისხმობს პრევენციული ღონისძიებების გატარებას და ეფექტური საბანკო-საზედამხედველო პოლიტიკის განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: *მაკროპრუდენციული პოლიტიკა, სისტემური რისკები, ფინანსური სტაბილურობა.*

გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე მსოფლიო აკადემიურ წრეებში და მათ შორის ევროპაშიც გავრცელებული იყო ხედვა, რომ საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ფასების სტაბილურობა საკმარისი იქნებოდა ფინანსური სტაბილურობისათვის. ევროზონაში კრიზისამდე სამომხმარებლო ფასების ინდექსი საკმაოდ დაბალი და სტაბილური იყო, თუმცა მაინც მოხდა სისტემური რისკების აკუმულირება ფინანსურ სექტორში, რაც გამოწვეული იყო საკრედიტო ბუმითა და ახალი ფინანსური ინსტრმენტების გამოყენებით. ეკონომიკური აღმავლობის დროს აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები მართლაც დაბალი რისკით ხასიათდებოდნენ, თუმცა სისტემური რისკის მიმართ ძალიან მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ. ამ შემთხვევაში ფინანსური ბაზრის ამოცანაა რისკის შეფასება და რესურსების გადანაწილება, თუმცა რთულ ინსტრუმენტებთან მიმართებაში ფინანსურმა ბაზარმა ამ ფუნქციის შესრულება ვერ შეძლო. აქედან გამომდინარე, სისტემური რისკების იდენტიფიცირებას და მისი მიტიგაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მთლიანად ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის.

სისტემური რისკები და მისი წარმომქმნელი ფაქტორები

სისტემური რისკები-საშიშროება, რომელიც ემუქრება მთლიანად ფინანსურ სისტემას და ახდენს როგორც ფინანსური, ისე რეალური სექტორის კოლაფსს, განსხვავებით იმ რისკებისა, რომლებიც ინდივიდუალური ინსტიტუტების დონეზე ახდენს გავლენას, დანარჩენი ინსტიტუტებისა და ფინანსური გარემოსაგან იზოლირებულად (ESRB 2014; IMF/BIS/FSB, 2009).

სისტემური რისკის ეფექტური და დროული იდენტიფიცირება მოითხოვს კომპლექსურ ანალიზს, რომელიც ეხმარება პოლიტიკის გამტარებელს განსაზღვროს რომელი მაკროპრუდენციული ინსტრუმენტი უნდა მიუსადაგოს კონკრეტულ სისტემურ რისკს. მიუხედავად მზარდი აკადემიური ინტერესისა აღნიშნული საკითხის მიმართ, ჯერ კიდევ სერიოზული გამოწვევებით

ხასიათდება სისტემური რიკსების იდენტიფიცირების საკითხი. აღნიშნული თემისადმი ინტერესი განსაკუთრებით დიდია განვითარებად და სწრაფად მზარდ ეკონომიკებში, სადაც მწვავედ დგას ფინანსური სტაბილურობისა და ეკონომიკური მდგრადობის საკითხები (Dijkman,2015). გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა ფინანსური სექტორის „-“—,‘“ მხარეები და მისი თანდაყოლილი პროციკლური ხასიათი, რომელიც კრიზისის გამომწვევ მთავარ ფაქტორად იქცა.

იმისათვის, რომ შევძლოთ სისტემური რისკის მიერ გამოწვეული პოტენციური დანაკარგების მინიმიზაცია, საჭიროა პოლიტიკის გამტარებლის მხრიდან ფინანსური ციკლის სწორად შეფასება და მისი მუდმივი მონიტორინგი, რაც დიდ გამოწვევას წარმოადგენს. როგორც წესი, ფინანსური სისტემისათვის დამახასიათებელი რისკები რთულად ინდენტიფიცირებადი და გაზომვადია, მისი „გაურკვეველი“ ხასიათის გამო (Borio,2015). რისკებზე მიმართული ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტიანობა შეიძლება შეფასდეს რაოდენობრივ მოდელებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით, ასევე ე.წ. ტრანსმისიის (გადაცემის) რუქის საშუალებით. ამგავრი გადამცემი რუქები უზრუნველყოფენ იმის სტილიზებულ წარმოდგენას, თუ როგორ შეიძლება მოხერხდეს სისტემური რისკით გამოწვეული ციკლურობის შემსუბუქება და პოლიტიკის გამტარებელს სთავაზობს დანახარჯი-სარგებლის ანალიზის ჩატარების საშუალებას. პრაქტიკაში სისტემური რისკების დროითი განზომილების შეფასებისათვის შემოთავაზებულია სხვადასხვა რაოდენობრივი მიდგომა, რომელიც მოიცავს წინმსწრებ ინდიკატორებს, Value-at-Risk (VaR) მოდელს, top-down სტრეს-ტესტებს, თუმცა თითოეული მათგანი ხასიათდება როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეებით (Galati & Moessner,2010). VaR და სხვა სტატისტიკური მოდელები ფართოდ გამოიყენება პროგნოზირების დროს,თუმცა ნორმალურობის დაშვება ძნელად თავსებადია ფინანსური სისტემის არაპროგნოზირებად ხასიათთან. რაც შეეხება, Top-down სტრეს-ტესტებს, ისინი წარმოადგენენ უფრო მძლავრ იარაღს სისტემური რისკების ინდენტიფიცირების კუთხით, მეტიც ახალი თაობის სტრეს-ტესტები მიზნად ისახავს ფინანსური სისტემის შიგნით გადამდები ეფექტებისა და ფინანსურ სექტორში აკუმულირებული რისკების რეალურ ეკონომიკაზე გავლენის შეფასებასაც (Schmieder & Hasan, 2011). სისტემური რისკის ციკლური ელემენტის იდენტიფიცირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპოზიტური ფინანსური სტაბილურობის ინდექსების გამოყენებას, რაც მაკროპრუდენციულ ანალიზს უფრო სრულყოფილს ხდის.

სისტემური რისკები შეიძლება წარმოიშვას 3 წყაროდან (Murphy,2012):

1. ეგზოგენური, გარეგანი შოკებისაგან, რომელსაც შეუძლია მთელი ფინანსური სექტორის პარალიზება.

2. გადამდები ეფექტები-როცა რომელიმე წარუმატებელი, დიდი რისკის მატარებელი ფირმები და ინსტიტუტები ახდენენ გავლენას სხვა ინტიტუტებზე, და ამ გავლენის თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია, რადგან გლობალიზაციის პროცესი გულისხმობს ფინანსური ბაზრების გახნილობას და ინსტიტუტებს შორის მჭიდრო კავშირს. გადამდები ეფექტი (Contagion-სენი) სისიტემური რისკის მთავარი მახასიათებელია.

გადამდები ეფექტები გავრცელების არხების მიხედით შეიძლება 2 ჯგუფად (Murphy, 2012) დაიყოს: რეალური და ინფორმაციული. რეალური არხი გულისხმობს სტრესულ სიტუაციაში მყოფი ფინანსური ინტიტუტის მიერ რისკის გადაცემას სხვა ინსტიტუტზე პირდაპირ, რეალური არხებით.საინფორმაციო არხებით სისტემური რისკების გადაცემა უფრო მარტივად ხდე-

ბა, თუმცა მისი იდენტიფიცირება უფრო რთულია და მეტი ზიანის მიყენება შეუძლია ეკონო--მიკისათვის.

3. ენდოგენური ფაქტორებისაგან წარმოქმნილი ფინანსური დისბალანსის დაგროვება--რომელიც ასოცირდება საკრედიტო ბუმთან, ფინანსური ინსტიტუტების მიერ საკუთარი შესაძ-ლებლობების არასწორად შეფასებასთან, გადაჭარბებულ სახელმწიფო რეგულირებასთან და ა.შ.

4. ენდოგენური ფაქტორებისაგან წარმოქმნილი ფინანსური დისბალანსის დაგროვება--რომელიც ასოცირდება საკრედიტო ბუმთან, ფინანსური ინსტიტუტების მიერ საკუთარი შესაძ-ლებლობების არასწორად შეფასებასთან, გადაჭარბებულ სახელმწიფო რეგულირებასთან და ა.შ.

სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების იდენტიფიცირება ადგილობრივ/ლოკალურ დო-ნეზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგანაც კრიზისის პერიოდში პოლიტიკის გამტარებლე-ბი გამოწვევების წინაშე დგანან: დაუშვან ასეთი დაწესებულებების გაკოტრება თუ საზოგადოე-ბის რესურსებით მოახდინონ მათი დაფინანსება, რაც ეკონომიკისათვის არასასურველ და არაე-ფექტიან არჩევანს წარმოადგენს. ზოგადად, საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც სისტემურად მნიშვნელოვანია ზომის, კომპლექსურობის, და გლობალურ ბაზარზე ძნელად ჩანაცვლებადო-ბის გამო, უყალიბდებათ მოლოდინი, რომ მთავრობა არ დაუშვებს მათ გაკოტრებას (too big to fail), რაც არაკონკურენტულ გარემოს აყალიბებს. 2013 წელს ბაზელის კომიტეტის მიერ შემოთა-ვაზებული ჩარჩოს პირობებში განისაზღვრა კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შესაძლე-ბელია სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების შეფასება როგორც ლოკალურ (D-SIB), ისე გლობა-ლურ (G-SIB) დონეზე. აღნიშნულ კრიტერიუმებს წარმოადგენს: კროსიურისდიქციული აქტი-ვობა, ზომა, ურთიერთკავშირი, ჩანაცვლებადობა და კომპლექსურობა, რომელთაგან თითოე-ულს აქვს მინიჭებული წონა-20% (Dijkman,2015). უნდა აღინიშნოს, რომ ლოკალურ დონეზე სის-ტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისათვის აღნიშნული კატეგორიების წონები შეიძლება განსხვა-ვებული იყოს, რაც გამოწვეულია ქვეყნის სპეციფიკით. ადგილობრივად მნიშვნელოვანი სისტე-მური ბანკების ინდეტიფიცირების ჩარჩოსა და შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავების პროცე-სი განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რაც გულისხმობს ბაზელის სტანდარტებისა და რეკომენდაციების საფუძველზე დამატებითი კრიტერიუმების გათვალისწი-ნებას, რაც შესაბამისობაში იქნება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან.

ზომა-სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკის ზომის განსაზღვრა სხვა კატეგორიის მაჩვე-ნებლებთან შედარებით ადვილია. ბაზელ III-ის ჩარჩოს საფუძველზე ზომა განისაზღვრება ისე-თი მაჩვენებლებით, როგორიცაა მთლიანი საბალანსო აქტივების სიდიდე, დერივატივები, ფასი-ანი ქაღალდების დაფინანსების ოპერაციები და ბალანსგარეშე აქტივობები (საკრედიტო ხაზები, აკრედიტივები, წარუმატებელი ტრანსაქციები და ა.შ).

ურთიერთკავშირი-ბაზელის ჩარჩო ურთიერთკავშირს განსაზღვრავს ფინან-სურ ინსტი-ტუციებს შორის სესხის გაცემა-აღების თვალსაზრისით. თუმცა ამასათან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, ურთიერთკავშირს უნდა მიენიჭოს თუ არა იგივე წონა რაც ზომით კატეგორიას.

ჩანაცვლებადობა-განისაზღვრება ბაზრის მონაწილეთათვის უნიკალური სერვისის შეთა-ვაზებით, ბანკის აქტივების დონით, საგადასახადო აქტივობით, რომელიც განისაზღვრება ბან-კის მიერ საგადასახადო სისტემის მეშვეობით განხორციელებული გადახდების ღირებულებით, სესხისა და კაპიტალის ბაზრებზე ანდერრაიტინგის ტრანზაქციების დონით. ჩანაცვლებადობა შეიძლება შეფასდეს იმის საფუძველზე, ასრულებს თუ არა კონკრეტული ბანკი მაღალსპეცია-ლიზებულ ფუნქციებს და რამდენად უნიკალურ მომახურებას სთავაზობს კლიენტს, რომლის

განხორციელება სხვა ბანკის მიერ რთული იქნება, აღნიშნულ კონტექსტში გეოგრაფიულ და სექტორულ კონცენტრაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

კომპლექსურობა-ბაზელის ჩარჩოს მიხედვით კომპლექსურობა ძირითადად განისაზღვრება ბანკის მიერ განხორციელებული საინვესტიციო საქმიანობის საფუძველზე. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში, რომელთათვისაც დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ფინანსური ბაზრები, ბანკების საინვესტიციო საქმიანობა როგორც წესი შეზღუდულ ხასიათს ატარებს, რის გამოც მათთვის კომპლექსურობის განსაზღვრის ჩარჩო არარელევანტურია. ალტერნა-ტიულად, ასეთ ქვეყნებში კომპლექსურობა შეიძლება განისაზღვროს ორგანი-ზაციულ ჭრილში, მაგალითად გამოიკვეთოს ბანკები, რომლებიც სხვა მსხვილი ორგანიზაციებისა თუ ჯგუფების წევრები არიან და თავის მხრივ, შეფასდეს აღნიშნული ჯგუფის საბალანსო და ბალანსგარეშე მაჩვენებლები.

დასკვნა

გლობალიზაციის პროცესის გაძლიერებისა და მისი ზრდის ტემპის კვალობაზე სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს ფინანსური გარემოსა და ფინანსური ბაზრების მოდიფიკაცია, თუმცა აღნიშნული განვითარება არ არის უკონფლიქტო. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური სტაბილურობის მიღწევასა და მის შენარჩუნებას, რისთვისაც აუცილებელია სისტემური რისკების წარმომშობი წყაროების იდენტიფიცირება და მისგან გამოწვეული ზარალის მინიმუმამდე შემცირება. ამ მიმართულებით კი, გადამწყვეტ როლს ასრულებს მაკროპრუდენციული პოლიტიკა, რაც გულისხმობს ფინანსური სისტემის მუდმივ მონიტორინგსა და კონტროლს, რაც მიმართული იქნება სისტემური რისკების აღმოფხვრასა და ფინანსური სექტორის პროციკლურობის განეიტრალებაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემური რისკების შეფასების და იდენტიფიცირების მეთოდოლოგია სრულად შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც ქვეყნის საბანკო სისტემის სტაბილურობას უზრუნველყოფს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (2017). კაპიტალის დამატებითი ბუფერის მოთხოვნა სისტემური ბანკებისათვის, 23
2. Borio, C. (2015). Macropruencial Policies, 10-12
3. Dijkman, M. (2015). Monitoring Financial Stability in Developing and Emerging Economies, 5-7, 30-33
4. Galati, G., Moesner R. (2011). Macroprudential Policy. BIS working paper No 337, 23
5. Murphy, E. (2012).What is systemic risk?,2-5
7. Shmieder C. (2011). The balance-sheet based approach to stress-testing,8-9

Macroprudential Policy Systemic Risks and Identified Factors of Georgia

Nino Zhorzhikashvili
Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Achieving financial stability is a major challenge for any country, especially in the wake of the 2008 global financial crisis. A sound financial system creates the conditions for the economic development and economic goals of the country, therefore it is very important to identify the systemic risks causing the financial crisis and eliminate them. The 2008 global financial crisis once again raised the issue of more active use of macroprudential policies, as it became clear that microprudential policies and its regulations were not sufficient for financial stability. Macroprudential policy plays a crucial role in identifying systemic risks and neutralizing the financial cyclicality, which ultimately implies the implementation of preventive measures and the implementation of effective banking-supervisory policies.

Keywords: *Macroprudential policy, systemic risks, financial stability.*

Challenges of Modern Organisation in the Post-pandemic Period

Vasja Roblek, MSc
Independent researcher

Maja Meško
PhD, Full Professor, University in Maribor

Nenad N. Petrović
MSc, Assistant,,University of Niš

Since the financial crisis of 2008, the global economy has become highly volatile and subject The economic ecosystem has become highly volatile in the last decade. It is the subject of disruptive crises. Among the numerous strategic variables and vectors that determine the social-economic situation at the global and local levels, two processes stand out today: digitalisation and the pandemic, with their temporal and spatial coincidence having a converging meaning and importance. The theoretical study presents the organisational challenges and possible responses to them in adapting enterprises to the challenges of the post-Covid-19 world.

Key words: *European Union, Covid-19, digital transformation, organisational changes, post- Covid-19 world*

1. Introduction

Since the financial crisis of 2008, the global economy has become highly volatile and subject to various forms of crisis. Thus, the economic situation is influenced by the processes of political stability, which are constantly subject to fluctuations. One such example is the recent destructive political decision of the United Kingdom to leave the European Union. As evidenced by the political (economic relations with France over the Channel fishery) and economic (supply chain crisis, labour shortages, withdrawal of enterprises, loss of European enterprise status in the EU for English enterprises) implications, this is a relatively quick and sometimes unexpected and ill-conceived political decision (Pandzic, 2021). In the 21st century, the business environment also increasingly faces the problem of natural disasters and the occurrence of pandemics as their impact on the economy increases. In the 21st century, the business environment is in a situation where rapid environmental changes, unknown diseases, political aggravations, and the emergence of new technologies make it extremely difficult to predict future events, especially when using historical data that lose their relevance and validity (Gkeredakis et al. 2021). Furthermore, Covid-19 and the political and economic strain on US-China relations and Russia, the US and the EU exposed the vulnerability of a global supply chain (Free & Hecimovic, 2021).

Among the many strategic variables that determine the socio-economic situation at the global and local levels, two processes stand out today: digitalisation and the Covid -19, which coincide in time and space and have converging importance. The rapid and accelerated development of digital technologies and disruptive innovations in just a few years has completely changed our views and possibilities of socio-economic development and drastically changed the way of production, work, business, entertainment, culture, information, etc. due to the easy accessibility and mass production of technological devices to the extent that until recently was difficult to understand and practically unattainable (Roblek et al., 2021)

Thus, since 2011, the fourth industrial revolution has triggered an evolutionary trend that influences the creation of a new strategic environment in which transformation under the pressure of digitalisation leads postmodern society into the digital age. We can therefore speak of a transition to an era of "postnormality", characterised by dynamic processes of networking "everything with everything and everywhere". This postnormality leads to the introduction of new "sliding" rules and patterns of life and work, which develop under the constant threat and pressure of constant interruptions. The widespread use of new or so-called convergent technologies has led to general growth trends that revolutionise the business, industry, and other related fields (Rapaccini et al., 2020). However, the dynamic technological advances are accompanied by some challenges, threats, and risks posed by cyberspace. An essential outcome of the fourth industrial revolution is the shift of human work (and leisure activities) from the physical to the cyber environment (Potočan et al., 2020). However, this shift and working in a virtual environment (e.g., from home) requires organisations to respond appropriately in cybersecurity.

The last factor that significantly impacts the economic situation and business activity in the current period is the Covid-19 virus. The virus has only accelerated the digital transformation of businesses in 2020-2021, mainly due to the requirements of social distancing and worker protection. Such a situation emerge because the previously purely traditional enterprises enter this process. However, the Corona-19 virus is also affecting the economic situation, as restrictive measures to limit the spread of the virus have led to a decline in economic growth. The decline in sales affects most sectors (measured by GDP) and those that depend on direct sales, such as tourism and hospitality.

This conceptual paper is structured as follows:

2. Theoretical background

2.1 Covid-19 period and uncertain business environments

In volatile and uncertain business environments, we experience volatile situations. In such complex situations, management is faced with a multitude of decisions that are often unclear. In the Covid 19 crisis, enterprises learned the importance of adopting more agile and flexible business models (e.g., nible organisation model) and shifting to digital business. However, the Covid 19 crisis coincides with the growing national populism and political tensions in U.S.-China relations, both on the Taiwan issue and the pricing concurrence war led by the Chinese industry. Furthermore, in 2022, the aggravation of relations between Russia and the members of NATO came to the fore due to the installation of weapons on the border with Russia and the possible accession of Ukraine to the pact NATO. All this could significantly impact the changes in economic flows, and the post-Covid 19 periods could also mark the beginning of the end of neoliberal globalisation (Free & Hecimovic, 2021). For example, in early 2022, European enterprises are still facing a decline in the supply of raw materials, leading to longer delivery times. Thus, the world is facing fluctuations on the demand and supply sides. As a result, enterprises face process uncertainties, supply chain bottlenecks (e.g., closure of key ports in China, limited extraction of raw materials due to a shortage of healthy labour), and information ambiguities. The question is whether, for example, European enterprises will start to shorten their supply chains and look for members for their supply chains in the Western Balkans and Eastern Europe.

2.2. European Union case for economic recovery in the post-Covid-19 period

At the beginning of the preparations for the new EU Commission's policies for the digital and green decade of 2020, the world as the Covid-19 outbreak rocked the EU economy. The pandemic COVID -19 hit 2020 and 2021 the EU economy hard, disrupting supply chains, industrial production, foreign trade and capital flows. The shock to the EU economy is much worse than the last economic and financial crisis in 2008. For this reason, and because of Europe's economic solid interdependence, it is crucial that the recovery is symmetrical and involves comprehensive and coordinated measures (Ferry-Pisany, 2020). Therefore, the EU Commission has decided to add to or amend the package of new guidelines for the European economy in 2020, including the Industrial Strategy to 2030, the new strategy for small and medium-sized enterprises published before the pandemic in March 2020, the Action Plan for the Circular Economy (European Commission, 2020a) and the Long term action plan for better implementation and enforcement of single market rules (European Commission, 2020b). EU leaders confirm the recovery package and the EU budget for 2021-2027. A €750 billion recovery effort to help the EU tackle the crisis caused by the COVID-19 pandemic and a €1074 billion long-term EU budget for 2021-2027. A minimum of 20% of the funds under the Recovery and Resilience Facility will be available for the digital transitions, including for SMEs (European Council and Council of the EU, 2021). The funds for digital transformation for SMEs are necessary because the EU faces the problem that SMEs take too long to adapt to new technologies and lack critical technological enterprises. As a result, productivity growth in the EU is lagging and becoming an increasingly complex problem as the Covid 19 pandemic has led to a faster enterprises digitalisation transition.

Moreover, the EU industrial sector faces a green transformation in addition to digital transformation, requiring large-scale technological dispersion (Mollet & Pilati, 2021). In the coming years, both the transition to a green economy and the digital transformation will require the EU Commission, Member States, SMEs and stakeholders to support research and innovation and, in particular, the development of new green and digital technologies by the end of 2030. For R&D programmes for SMEs is essential that the EU commission prepares the financial instruments and programs. All this will help industry and businesses restructure, become more resilient, and recognise the current situation of EU industrial policy (Claeys et al., 2021).

3. Digital and green transformation processes in European Union

After 2015, there were three interruptions in the business operations of enterprises. Covid-19 has thus joined the digitisation of business, which requires enterprises to coordinate their operations by 2030 in line with the 2030 Agenda for Sustainable Development Goals (Roblek et al., 2020). We understand the green digital transformation as mobilising investments in pure digital technologies. The manufacturing sector is thus undergoing a fundamental transformation process (Beier et al., 2017). Green transformation processes aim to reduce greenhouse gas emissions and waste generation by adopting low-carbon and recyclable technologies to improve sustainability (Fujii et al., 2016). However, digital transformation processes address the sustainable aspect of production and the technical, social, and organisational aspects of sustainability (Beier et al., 2020). The foundations of the development

paradigm of the fourth industrial revolution are thus the digitalisation, informatisation and integration of industrial and other social processes. The development and establishment of data analytics, machine learning, and artificial intelligence and enterprises are critical to implementing processes that will also influence the development of the potential of all three dimensions of sustainability. Artificial intelligence connects digital technology and green technology (figure 1).



Figure 1: Artificial intelligence as a connector between digital technology and green technology

New technologies are available to enterprises to achieve business excellence in digital business transformation as part of strategies to manage complex and unstable situations. For example, using blockchain technology, the emergence of cyber-physical principles, Big Data analytics, and the use of digital twins that can help identify events in real-time and predict future events, it is possible to achieve the concept of a triple bottom line by improving productivity and product quality (Bracini, 2018). In particular, such technologies enable the transformation of manufacturing, logistics, and supply chain (Xu et al., 2018).

Blockchain technology is essentially a digital ledger of duplicated transactions distributed across the network of computer systems in the blockchain. Each block in the chain contains multiple transactions, and each time a new transaction occurs in the chain of blocks, a record of that transaction is added to each participant's ledger. A decentralised database with multiple participants is called distributed ledger technology. It is a promising solution that effectively prevents hacking and records correction by unauthorised parties and ensures the integration of transparency and traceability into the traditional ecosystem (e.g., financial transactions, supply chains) (Di Pierro, 2017).

Blockchain is becoming increasingly important in an industry that faces complex supply chain networks. Complex networks often lead to unclear decisions and disruptions (both within the supply chain and in the external environment of supply chain members) that paralyse the flow of supply chains. In an increasingly complex business environment, blockchain is used to solve problems enterprises face due to issues within the supply chain (Reddy et al., 2021). Supply chain management personnel must process data in real-time to reduce uncertainties. For example, the results of studies show the impact of real-time data processing on reducing supply chain management complexity and associated uncertainty (Lechler et al., 2019).

On the other side, the so-called metaverse gives the ability to reach fully immersive fictional, non-physical 3D worlds from the comfort of own home, thanks to virtual reality (VR) and augmented reality (AR) technologies. In this virtual ambient, users are usually embodied as human-alike avatars preserving some of their visual characteristics and can interact with either the other participants or the

objects within the environment to achieve some goal. The usage of metaverse covers many domains, from entertainment education to healthcare, economics, trading and even cryptocurrencies (Jovanović & Milosavljevic, 2019; Jovanović, & Milosavljevic, 2022). Therefore, the adoption of metaverse has high potential in the post-pandemic era, as it enables performing various activities such as in the real world, but without any physical interaction of the participants, so the risk of disease transmission does not exist. Additionally, the adoption of artificial intelligence within the metaverse can be highly beneficial, from enabling intelligent behaviour of virtual agents to an analysis of user actions, making recommendations and decision-making leveraging predictions of various aspects (such as prices and demand). Figure 2 shows an overview of enabling AI-powered technologies for green digital transformation in the post-pandemic world.

Figure 2. Enablers of digital green transformation in the post-COVID-19 world



4. Changes in the field of work and employees

Both Corona-19 and the accelerated digital transformation have raised questions about future forms of work organisation, the concept of work, and the need to redefine social policy. Therefore, future work concepts must be sought as the determinants of future organisational change. For example, the new "nimble organisation" concept that can quickly adapt to an exponentially changing world is emerging for 2021. As part of its business model, such an organisation will want to develop strategies to move from a traditional bureaucratic business model to an agile, nimble, learning and connected organisation. These newer business models and smart technologies, combined with proactive decision making, promote ethical business practices that can lead to sustainable business in the marketplace and enable organisations to quickly adapt to the demands of an exponentially changing world (Persis et al., 2021). However, a prerequisite for adopting new business models and digital technologies is acquiring new knowledge and competencies in Industry 4.0. In addition, Human Resource Management (HRM) 4.0 has emerged in enterprises based on the promotion of employees' digital literacy and the acquisition of knowledge in the field of development and innovation so that their skills and competencies remain relevant to work in a new business context under conditions of instability, uncertainty, complexity, and ambiguity (Hiremath et al., 2021). To ensure an innovative, dynamic, and agile business environment, a new governance model needs to be developed that pays special attention to the evolution of HRM 4.0. HRM 4.0 should address employee training and factors relevant to employee retention. Therefore, enterprises need to create a corporate culture that enables a positive climate among employees and

makes them more motivated, efficient and engaged. The enterprise can also influence this by replacing classic hierarchical or matrix organisational forms with agile teams (Balog, 2020). However, the task of HRM 4.0 will also be to deal with ethical guidelines and protect the interests of employees and employers if, in 2025, humans and machines do the work in equal parts. Appropriate measures must be taken to protect workers whose positions will be eliminated by automation. In the event of termination of employment, the worker must be offered career development, retraining and a new job to meet technological developments that require new forms of professional and personal skills. As part of age management processes, it will be necessary to find solutions for older workers with often insufficient digital skills, and on the other hand, it will be necessary to take care of young people at the beginning of their careers. Creating more sustainable employment opportunities will also bring new challenges. It will be necessary to create green jobs, requiring retraining workers to perform these new roles. Workers in enterprises that offer teleworking must be guaranteed the right to switch off at certain times (reducing workload stress) (World Economic Forum, 2020).

The phenomenon and importance of digital platforms must also be highlighted. The EU is also aware of the problem of the new organisational form of the enterprise as a digital platform. Therefore, in December 2020, the Digital Services Act (DSA) was passed. This Digital Markets Act, which is expected to come into force in 2022, will create a safer and more open digital market for all users and ensure a level playing field for enterprises (EU Commission, 2021). The Digital Markets Act refers to the EU's proposal to ensure competition in the digital market by limiting the power of "gatekeepers"-operators of digital platforms with revenues or market shares above a certain threshold. The introduction of digital platform business models is changing the content and role of existing social models in the EU. At the same time, the importance of the workforce is changing.

For example, with the introduction of DSAs in the EU, digital labour platforms are also emerging, offering new opportunities for businesses, employees, and the self-employed and providing consumers with better access to services. However, the emergence of new forms of work (it will change the definition of work) also brings many new challenges. There is, for example, the issue of employment status classification, which in some cases could lead to the dismantling of existing employee rights and social protection in the EU. There is also the question of how older people can advance professionally and how enterprises can ensure that existing employees acquire the necessary skills to perform the redefined work in the digital economy successfully. In addition, the use of algorithms in platform work may raise issues of accountability and transparency. In the context of work within the digital platform, solutions must be found to clarify the employment status of the platform's workers (whether they should be considered employees or self-employed, or whether the platform should be considered an employer). It is equally important to adapt existing labour market institutions and social systems to the specific needs of the platform's workers. Tailored solutions (such as personal accounts) could help consolidate their position in the labour market.

5. Conclusions

This paper discusses the importance of new business models, digital transformation and green transformation of business operations to enable enterprises to survive in unstable and complex situations

in the short term and the medium term. We also focus on how the importance of labour and the workforce is changing in the new situation. However, the study's main limitation is that it reviews the literature, and no primary research was conducted. In the future, it will be necessary to focus on research studies in enterprises and examine the impact of digital and green transformation on business processes, the emergence of new organisational cultures, and changes in human resource policies as a result of increasing human-robot collaboration and the growing importance of artificial intelligence in business processes.

References:

1. Balog, K. (2020). The concept and competitiveness of the agile organisation in the fourth industrial revolution's drift. *Strategic Management*, *25*(3), 01-27.
2. Beier, G., Niehoff, S., Ziems, T., & Xue, B. (2017). Sustainability aspects of a digitalised industry–A comparative study from China and Germany. International *Journal of Precision Engineering and Manufacturing-Green Technology*, *4*(2), 227-234.
3. Braccini, A.M., & Margherita, E.G. (2018). Exploring Organizational Sustainability of Industry 4.0 under the Triple Bottom Line: The Case of a Manufacturing Company. *Sustainability*, *11*, 36.
4. Claeys, G., Darvas, Z., Demertzis, M., & Wolff, G. B. (2021). The higher COVID-19 divergence: managing a sustainable and equitable recovery in the European Union. *Policy Contribution*, *11*, 1-15.
5. Di Pierro, M. (2017). What is the blockchain?. *Computing in Science & Engineering*, *19*(5), 92-95.
6. European Commission (2020a). *Circular economy action plan*. Retrieved from: https://ec.europa.eu/environment/strategy/circular-economy-action-plan_sl
7. European Commission (2020b). *Long term action plan for better implementation and enforcement of single market rules*. Retrieved from: https://www.europeansources.info/record/long-term-action-plan-for-better-implementation-and-enforcement-of-single-market-rules/
8. European Commission. (2021). *Shaping Europe's digital future: Online platforms*. Retrieved from: https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/online-platforms
9. European Council and Council of the European Union (2021). *A recovery plan for Europe*. Retrieved from: https://www.consilium.europa.eu/en/policies/eu-recovery-plan/.
10. Ferry- Pisani, J. (2020). European Union recovery funds: strings attached, but not tied up in knots. *Policy Contribution*, *19*, 1-10.
11. Free, C., & Hecimovic, A. (2021). Global supply chains after COVID-19: the end of the road for neoliberal globalisation*?. Accounting, Auditing & Accountability Journal*, *34*(1), 58-84.
12. Fujii, M., Fujita, T., Dong, L., Lu, C., Geng, Y., Behera, S. K., ...& Chiu, A. S. F. (2016). Possibility of developing low-carbon industries through urban symbiosis in Asian cities. *Journal of Cleaner Production*, *114*, 376-386.
13. Gkeredakis, M., Lifshitz-Assaf, H., & Barrett, M. (2021). Crisis as opportunity, disruption and exposure: Exploring emergent responses to crisis through digital technology. *Information and Organization*, *31*(1), 100344.
14. Hiremath, V., Mohapatra, K., & Paila, S. (2021). A study on digital learning, learning and development interventions and learnability of working executives in corporates. *American Journal of Business*, *36*(1), 35-61.
15. Jovanović, A. & Milosavljevic, A. (2019). Vortex enterprise: decentralised virtual reality blockchain-based platform. *Facta Universitatis, Series: Automatic Control and Robotics*, *18*(1), 57-77.
16. Jovanović A & Milosavljević A. (2022). VoRtex Metaverse Platform for Gamified Collaborative Learning. *Electronics*, *11*(3), 317.
17. Lechler, S., Canzaniello, A., & Rossman, B. (2019). Real-time data processing in suppy chain management: revealing the uncertainty dilemma. *International Journal of Physical Distribution & Logistics*, *49*(10), 1003-1019.
18. Mollet, F. & Pilati, M. (2021). *Updating the European industrial strategy for the post pandemic world*. Brussels: European Policy Centre.
19. Pandzic, L. (2021). Impact of brexit on uk-eu trade relationship. *Ecoforum Journal*, *10*(1).

20. Persis, D. J., Venkatesh, V. G., Sreedharan, V. R., Shi, Y., & Sankaranarayanan, B. (2021). Modelling and analysing the impact of Circular Economy; Internet of Things and ethical business practices in the VUCA world: Evidence from the food processing industry. *Journal of Cleaner Production*, *301*, 126871.
21. Potočan, V., Mulej, M., & Nedelko, Z. (2020). Society 5.0: balancing of Industry 4.0, economic advancement and social problems. *Kybernetes*, *50*(3), 794-811.
22. Rapaccini, M., Saccani, N., Kowalkowski, C., Paiola, M., & Adrodegari, F. (2020). Navigating disruptive crises through service-led growth: The impact of COVID-19 on Italian manufacturing firms. *Industrial Marketing Management*, *88*, 225-237.
23. Reddy, K., Gunasekaran, A., Kalpana, P., & Sreedharan, R. (2021). Developing a blockhain framework for the automotive suppy chain: *A systematic review. Computes & Industrial Engineering*, *157*.
24. Roblek, V., Thorpe, O., Bach, M. P., Jerman, A., & Meško, M. (2020). The Fourth Industrial Revolution and the Sustainability Practices: A Comparative Automated Content Analysis Approach of Theory and Practice. *Sustainability*, *12*(20), 8497.
25. Roblek, V., Meško, M., Pušavec, F., & Likar, B. (2021). The role and meaning of the digital transformation as a disruptive innovation on small and medium manufacturing enterprises. *Frontiers in Psychology*, *12*, 2129.
26. World Economic forum (2020). *The Future of Jobs Report 2020*. Retrieved at: https://www.weforum.org/reports/the-future-of-jobs-report-2020.
27. Xu, L. D., Xu, E. L., & Li, L. (2018). Industry 4.0: state of the art and future trends. *International Journal of Production Research*, *56*(8), 2941-2962.

COVID-19 პანდემიის გავლენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე

ლევან საბაური

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნადეჟდა კვატაშიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თემა: *2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა კოვიდვირუსის (COVID-19) პანდემია, რომლის გავრცელების შემაკავებელმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკის სექტორზე. შედეგად შეფერხდა ბიზნესის ფუნქციონირება, რასაც მოყვა ეკონომიკის დაცემა, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთის, აქტივების ფასების ცვლილება და გაუფასურება.*

მიზანი და ამოცანები: *პანდემიის შედეგად გაიზარდა ეკონომიკის განუსაზღვრელობები, რომლის შესახებ განსჯა და შეფასება ფინანსური ანგარიშგების მომზადების მნიშვნელოვან ამოცანად იქცა. მოვლენების განუსაზღვრელობების მიუხედავად, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საჭირო ხდება ინვესტორებისათვის ინფორმაციის პროგნოზირება, რისკების შეფასება, გარკვეული დაშვებების და მოდელირების გაკეთება. ყოველივე ეს გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესზე და მაჩვენებლებზე.*

მეთოდოლოგია: *კვლევის დროს გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და „დიდი ოთხეულის" მიერ გამოშვებული შესაბამისი მითითებები, სახელმძღვანელო-სარეკომენდაციო მასალები, სამეცნიერო სტატიები.*

შედეგები: *ეხება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებას (Going concern), საიჯარო და მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოდიფიკაციას, ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებებისა და გაუფასურების ასახვას. პანდემიის პირობებში ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გონივრულ განსჯას, რათა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებისათვის წარდგენილი ინფორმაცია იყოს შესაბამისი და სამართლიანი, რაც დაეხმარება მათ მომავალი შედეგების პროგნოზირებაში.*

საკვანძო სიტყვები: *პანდემია და ფინანსური ანგარიშგება; ფუნქციონირებადი საწარმო; ხელშეკრულებების მოდიფიკაცია.*

I. შესავალი

ეკონომიკაში პანდემიით გამოწვეული ცვლილებებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს დაცული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები, რათა მიღებული ინფორმაცია იყოს სამართლიანი. ამისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) მიერ გამოშვებულია მარეგულირებელი დოკუმენტები. ამ დოკუმენტებით ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს ყველა გაკეთებული დაშვება უნდა გამჟღავნდეს განმარტებით შენიშვნებში. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების მომზადების ისეთი პრინციპები როგორიცაა:

- ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რათა შეფასდეს რამდენად შეძლებს სუბიექტი საქმიანობის გაგრძელებას;
- ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები, როგორიცაა საპროგნოზო და დამადასტურებელი თვისებები;
- აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების ცვლილებების და გაუფასურების შეფასება;

- აუდიტის დასკვნა;
- მიმდინარე პერიოდის მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი;
- მიკრო და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მოსალოდნელი ცვლილებები;
- დაშვებებში გაკეთებული ცვლილებების შედარება წინა პერიოდთან.

არსებული და პოტენციური აქციონერები იღებენ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. მათთვის გადამწყვეტია იმის გაგება, თუ როგორ მოქმედებს პანდემია კომპანიაზე და რა ფინანსური გავლენა აქვს მას. საინვესტიციო გადაწყვეტილებები ეფუძნება საპროგნოზო ფულად ნაკადებს დაშვებას, რაც ნიშნავს, რომ წარდგენილმა ინფორმაციამ უნდა მისცეს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალება გაიგონ მიმდინარე და წარსული შედეგები და ჩამოაყალიბონ მოსაზრება სამომავლო შემოსავლების შესახებ (Oliver Köster, 2020).

II. საწარმოს ფუნქციონირებადობა

პანდემიის პირობებში უმთავრესი საკითხია ფულადი ნაკადების შემოდინება და კომპანიების სიცოცხლისუნარიანობა. ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს შესაფასებელია კომპანიის უწყვეტი საქმიანობის უნარი და მისი ფუნქციონირებადობის დაშვების დასაბუთება. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გათვალისწინებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არა აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს (IASB).

კორონოვირუსის პანდემიის პირობებში საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასების დროს გასათვალისწინებელია მისი აშკარა და სავარაუდო გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. მიმდინარე მოვლენებმა და პირობებმა შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს საწარმოს უნარზე, გააგრძელოს საქმიანობა. ცხადია, რომ პანდემიის გავლენა უფრო მნიშვნელოვანია მაღალი რისკის სექტორის კომპანიებისათვის, რომლებიც განიცდიან დაბალი მოთხოვნის, დაბალი გაყიდვების და დაბალი მარჟის ზეწოლას. ეს განსაკუთრებით ეხება ტურიზმისა და მასპინძლობის, გართობის, სპორტის, საცალო ვაჭრობასა და სხვა სექტორს.

საწარმოს ფუნქციონირებადობის უნარის შეფასების დროს გასათვალისწინებელია არსებული ეკონომიკური განუსაზღვრელობები და ბაზრის ცვალებადობა, ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან სულ მცირე თორმეტ თვეს მაინც, მაგრამ შეზღუდული არ არის ამ ვადით. აღნიშნული ფაქტების განხილვის ხარისხი დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობას შეიძლება მთელი რიგი ფაქტორების განხილვა დაჭირდეს, რომლებიც დაკავშირებული იქნება საწარმოს მიმდინარე და მოსალოდნელ მოგებიანობასთან, ვალების დაფარვის გრაფიკებთან და დაფინანსების შესაძლო წყაროებთან (IASB). ამავდროულად, ვინაიდან სიტუაცია მუდმივად იცვლება, შესაძლებელია საჭორო გახდეს არსებითი განსჯისა და შეფასებების რეგულარულად გადახედვა (Leo van der Tas, 2022).

საწარმოს ფუნქციონირების შეფასების დროს მენეჯმენტით გასათვალისწინებელია ყველა არსებული ინფორმაცია მომავლის შესახებ, მათ შორის მთავრობებისა და ბანკების მიერ მი-

ღებული ზომები დაზარალებული საწარმოსათვის დახმარების გაწევის მიზნით (Accounting Standards Committee & Auditing Standards Committee. , 2021).

III. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოდიფიკაცია

Covid პანდემიით გამოწვეული განუსაზღვრელობები ხდება მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებების სრული ან ნაწილობრივი შეწყვეტის, ასევე მოდიფიკაციის მიზეზი. ხელშეკრულების მოდიფიკაცია ითვალისწინებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების ცვლილების შეტანა ან შესწორება, იცვლება ხელშეკრულების საგანი ან ფასი (ან ორივე) (IASB). ამავდროულად, აუცილებელია იმის ანალიზი, არის თუ არა ახალი ხელშეკრულება არსებული ხელშეკრულების მოდიფიკაცია. ასეთი ანალიზის ჩატარებისას, მენეჯმენტის მიერ გასათვალისწინებელია შესაბამისი ფაქტები, გარემოებები და კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც საჭიროა ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა.

მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულების ანალიზი მოითხოვს: 5 საფეხურიანი მოდელის გამოყენებას; ანაზღაურების ცვალებადი კომპონენტის ანალიზს; ხელშეკრულების მოდიფიკაციის ანალიზს; ანაზრაურების მიღების განუსაზღვრელობის შეფასებას; ხელშეკრულების შემოწმებას წამგებიანობაზე.

პანდემიამ და სანქციებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მყიდველების უნარსა და სურვილზე, გადაიხადონ ანაზღაურება და/ან შეიძლება მიიღონ ნაწილობრივი გადახდების ან გადავადების გადაწყვეტილება. ანაზღაურების თანხის მიღების ალბათობის შესაფასებლად, კომპანიის მენეჯმენტმა უნდა განიხილოს მხოლოდ მომხმარებლის უნარი და განზრახვა, გადაიხადოს მოცემული ანაზღაურების თანხა, მისი გადახდის ვადის დადგომისას. ხელშეკრულების მოდიფიკაციის დროს ანაზღაურების მიღების ალბათობის შეფასება უნდა იქნეს განხილული როგორც ანაზღაურების ცვალებადი კომპონენტი. ამავე დროს შესაფასებელია დებიტორული დავალიანების ანაზღაურების დაფინანსების კომპონენტის და ხელშეკრულების გაფორმების აქტივის გაუფასურება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით.

ანაზღაურების მიღების ალბათობის და გადავადების საკითხების ანალიზმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ხელშეკრულების აღიარებაზე ფასს 15-ის („ამონაგების მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) შესაბამისად ამონაგების თანხისა და გაუფასურების აღრიცხვაზე. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიცვლება მისაღები ანაზრაურება, საჭირო იქნება იმის განსჯა, თუ რით არის ეს გამოწვეული: თავდაპირველად აღიარებული ცვალებადი კომპონენტის ცვლილებით, რაც უნდა აღიარდეს როგორც გარიგების ფასის ცვლილება, თუ მომხმარებლის საკრედიტო მოვლენებით (ფინანსური სირთულეებით), რომელიც უნდა აღიარდეს როგორ უიმედო მოთხოვნები. ამავდროულად, შესაძლებელია უმუშევრობის და საკრედიტო რისკის ზრის გამო საჭირო გახდეს მოთხოვნების რეზერვის გაზრდა. სხვა პოტენციური აქტივები, რომლებიც შეიძლება გაუფასურდეს, არის მარაგები მათი დაბალი მოთხოვნის გამო (Oliver Köster, 2020). მარაგების გაუფასურება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღიარებული შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გადავადება დაუშვებელია (KPMG).

ასევე, საჭიროა განსჯა იმის შესახებ თუ რამდენად არსებითია ანაზღაურების გადახდის ან გადავადების უნარი, რათა დადგინდეს, ხომ არ არსებობს ისეთი გარემოებები, რომლის მიხედვით ხელშეკრულება, რომელიც აღიარდებოდა ფასს 15-ით, აღარ არსებობს და უნდა შეწყდეს

ამონაგების აღიარება. ამასთან ერთად, საჭიროა ხელშეკრულების ანალიზი იმის დასადგენად, ხომ არ გახდა ხელშეკრულება წამგებიანი - კოვიდპანდემიის შედეგად გაიზარდა თუ არა ხელშეკრულების შესრულებაზე დანახარჯები (Thornton).

IV. იჯარის ხელშეკრულების მოდიფიკაცია

COVID-19-ის პანდემიის გამო რთულ ფინანსურ ვითარებაში აღმოჩენის შემდეგ, ბევრი მოიჯარე ცდილობს მიიღოს შეღავათი ქირავნობაზე მეიჯარისგან. ასეთ შეღავათებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა: ერთჯერადი შემცირება ან გათავისუფლება ქირავნობისგან, გადავადება ან საშეღავათო პერიოდი ქირის გადახდაზე. სახელმწიფოსგან დათმობის თვალსაჩინო მაგალითია სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების მიწის ნაკვეთების იჯარის შეღავათი. აღნიშნული კუთხით საქართველოში გამოცხადებული იყო 3 თვიანი საგადასახადო შეღავათი როგორს მეიჯარისთვის, ასევე მოიჯარეებისათვის.

2020 წლის აპრილში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ახალი მითითება ფასს 16 „იჯარა“-სთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია კორონავირუსული COVID-19 პანდემიით. დოკუმენტში მოცემულია პანდემიასთან დაკავშირებული შეღავათების აღრიცხვის თავისებურებები. ამ მითითებით საბჭოს არ შეაქვს რაიმე დამატება, ასევე არ ითვალისწინებს სტანდარტის რომელიმე მოთხოვნის გაუქმებას. პირიქით, აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს ფასს 16 „იჯარა“ თანმიმდევრულ და საიმედო დანერგვას. აპრილში გამოცემული მითითებების გათვალისწინებით, საბჭომ იმავე წლის 28 მაისს ცვლილება შეიტანა ფასს 16 სტანდარტში, რათა მოიჯარეს პანდემიის პირობებში გაუადვილდეს იჯარის აღრიცხვა, ხოლო ინვესტორებმა კი კვლავინდებურად მიიღონ სასარგებლო ინფორმაცია იჯარის შესახებ. ცვლილება შეეხება კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის პერიოდში იჯარასთან დაკავშირებული საშეღავათო პერიოდის აღრიცხვასა და იჯარის გადასახადის დროებით შემცირებას.

ცვლილება მეიჯარეს ათავისუფლებს ვალდებულებისგან გადახედოს საიჯარო ხელშეკრულებას და განსაზღვროს, არსებული საიჯარო გადასახდელების შეღავათი წარმოადგენს თუ არა პანდემიის შედეგს. ამდენად, აუცილებელი აღარ იქნება საიჯარო ხელშეკრულების მოდიფიკაცია. საიჯარო გადასახდელებთან დაკავშირებული შეღავათები ჩაითვლება როგორც კოვიდთან დაკავშირებული მოვლენა და მისი გადახდა უნდა ექვემდებარებოდეს არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისს.

მოიჯარეებმა შეიძლება არ გაითვალისწინონ/მიიჩნიონ იჯარასთან დაკავშირებული შეღავათები, როგორც მოდიფიკაცია, თუ ისინი COVID-19-ის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს.

მიმდინარე პანდემიურ გარემოში ფასს 16-ის გამოყენებისას, იჯარის გადახდებში ნებისმიერი ცვლილება განიხილება თანაბრად, მიუხედავად მათი ხასიათისა. ასეთი ცვლილებები შესაძლოა გამოწვეული იყოს მთავრობის ქმედებებით COVID-19 პანდემიის საპასუხოდ და ისინი იჯარის ხელშეკრულების პირობებით, შეიძლება მიეკუთვნებოდეს ფორსმაჟორულ გარემოებებს.

ფასს 16 განსაზღვრავს იჯარის მოდიფიკაციას, როგორც **ცვლილებას** (1) **იჯარის ოდენობაში** ან (2) **იჯარის ანაზღაურებაში,** რომელიც არ იყო იჯარის თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ნაწილი.

განახლებული ფასს 16 საშუალებას აძლევს მოიჯარეებს ისარგებლონ იჯარის შეღავათების გამარტივებული პრაქტიკით, თუ ისინი წარმოიქმნება როგორც COVID-19 პანდემიის პირდაპირი შედეგი. პანდემიის გამო იჯარის შეღავათების მიღებისას, მოიჯარეს უფლება აქვს არ გამოიყენოს იჯარის მოდიფიკაციის აღრიცხვის წესები. თუმცა, მოიჯარე შეძლებს გამოიყენოს ასეთი მოდიფიკაციისგან გათავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად დაკმაყოფილდება შემდეგი პირობები:

1. იჯარის ანაზღაურება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ან გახდა ცვლილებამდე არსებულზე ნაკლები;

2. საიჯარო გადასახდელების შემცირება ეხება 2021 წლის 30 ივნისამდე იჯარის გადასახადებს. მაგალითად, შეღავათი საიჯარო გადასახადზე დააკმაყოფილებს ამ პირობას, თუ ის გამოიწვევს 2020 წელს იჯარის ანაზღაურების შემცირებას და 2020 წლის შემდეგ მის ზრდას;

3. იჯარის ხელშეკრულების სხვა პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა.

როგორც ხედავთ, კორონავირუსით გამოწვეული შეღავათები დროებითია - ის ეხება მხოლოდ COVID-19-ის გამო იჯარის ხელშეკრულების ცვლილების შემთხვევებს და მხოლოდ 2020 წელს და შემდეგი წლის პირველ ნახევარში იჯარის გადასახდელებს. (Levan Sabauri, 2021). თუმცა, ფასს საბჭომ პანდემიის გაგრძელების მიზეზით ზემოაღნიშნული ვადა 2021 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით, გაახანგრძლივა 2022 წლის 30 ივნისამდე საიჯარო გადახდებზე. მოდიფიკაციისგან გათავისუფლების პირობები იგივე დარჩა, შეიცვალა მხოლოდ თარიღები.

თუ მოიჯარე იჯარის აღრიცხვისას ირჩევს საბჭოს მიერ შემოთავაზებული პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას, მაშინ მან უნდა გამოიყენოს იგი თანმიმდევრულად ყველა საიჯარო ხელშეკრულებაზე მსგავსი მახასიათებლებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

საიჯარო გადახდებში პანდემიით გამოწვეული ცვლილებების აღრიცხვა დამოკიდებული იქნება საიჯარო შეღავათების სპეციფიკაზე. ფასს საბჭომ გამოყო შესაძლო ცვლილებების სამი ტიპი:

1. საიჯარო გადასახადის პატიება ან გადახდაზე უარის თქმა.

მოიჯარე აღრიცხავს ასეთ დათმობებს, როგორც ცვლადი იჯარის გადახდას. ანუ, ისინი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნება (IASB).

ვინაიდან მოიჯარე აგრძელებს იჯარით აღებული ქონებით სარგებლობას, მას უბრალოდ არ აქვს უფლება არ აღიაროს საიჯარო გადასახადი. ეს ტრანზაქცია, ფასს 16-ის ნორმების მიხედვით, უნდა აღიარდეს(დარიცხვის მეთოდი) აღრიცხვაში. მოიჯარე ასევე აკორექტირებს საიჯარო ვალდებულებას - ფაქტობრივად, **წყვეტს იჯარის იმ ნაწილის აღიარებას, რომელიც გადაიხადა პატიების ან შესაბამისი იჯარის გადახდაზე უარის თქმის შედეგად**.

თუმცა, მოიჯარე ფასს საბჭოს მიერ მიღებული პრაქტიკული გამარტივების გამოყენებით არ ახდენს სარგებლობის უფლებით აქტივის საბალანსო ღირებულების კორექტირებას საიჯარო ვალდებულებაში მითითებული ცვლილებისთვის, რომელიც დაკავშირებულია ცვლადი იჯარის გადახდასთან.

2. ერთ საანგარიშებო პერიოდში შემცირება – მეორეში გაზრდა.

თუ ცვლილების შედეგად საიჯარო გადასახადები ერთ საანგარიშებლ პერიოდში მცირდება, მეორეში კი პროპორციულად იზრდება, ეს არ ცვლის მოიჯარის საიჯარო ვალდებულებას და

არ ცვლის იჯარის გადახდას. ამის ნაცვლად, იცვლება მხოლოდ გადახდის დრო. ამ შემთხვევაში, მოიჯარე გააგრძელებს საიჯარო ვალდებულების შემცირებას მეიჯარისთვის განხორციელებული გადახდებით (IASB).

3. კომბინირებული ვარიანტი.

ზოგიერთი კოროვირუსთან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები ამცირებს იჯარის გადახდას, მათ შორის, როგორც პატიებით, ასევე გადასახადის ვადების ცვლილებით. ისინი გათვალისწინებულია შესაბამისად. შესაბამისად, აღრიცხვაც ამ შეღავათების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

ფასს 16-ში შეტანილი ცვლილებები მოითხოვს მოიჯარეებს, რომლებიც იყენებენ COVID-19-ით გამოწვეული იჯარის მოდიფიკაციის გამონაკლისს, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში გაამჟღავნონ: გამარტივების გამოყენების ფაქტი; მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული საიჯარო გადასახადების ცვლილებები თანხობრივად.

დასკვნები

1. პანდემიის გავლენების არაპროგნოზირებადობა წარმოქმნის არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს საწარმოს უწყვეტი საქმიანობის უნარს. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გაკეთებულია ფუნქციონირებადობის დაშვება, საწარმო ვალდებულია გაამჟღავნოს განუსაზღვრელობების ყველა ფაქტორი. გამოყენებული მსჯელობები, გაკეთებული დასკვნები და ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებელი მოცულობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამოკიდებულია კონკრეტულ ვითარებაზე, ვინაიდან მისი ხასიათი და საწარმოზე გავლენის დონე განსხვავებულია.

2. პანადემიის შედეგად მომხმარებელთა შემცირებული გადახდისუნარიანობა გავლენას ახდენს სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება ხელშეკრულებების მოდიფიკაცია - ცვლილებების შეტანა ხელშეკრულების ანაზღაურებაში. განსაკუთრებულად ყურადსაღებია განუსაზღვრელობების პირობებში ხელშეკრულების მოდიფიკაციის დროს ანაზღაურების მიღების ალბათობის შეფასება, ის უნდა იქნეს განხილული როგორც ანაზღაურების ცვალებადი კომპონენტი.

3. ფასს 16-ში კორონავირუსით განპირობებული ცვლილებები აქტუალურია მხოლოდ მოიჯარეებისთვის. საბჭო მიიჩნევს, რომ იჯარის მოდიფიკაციის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის შედარებით მარტივი ამოცანაა და შესაბამისად, ცვლილებები არ ვრცელდება მეიჯარეებზე. მათ, ჩვეულებრივ, უნდა შეაფასონ, არის თუ არა მათ მიერ გაცემული საიჯარო შეღავათები საიჯარო ხელშეკრულების მოდიფიკაცია და შესაბამისად, გაითვალისწინონ ისინი.

ლიტერატურა:

1. **Accounting Standards Committee & Auditing Standards Committee**. Technical Circular [Report]. - 2021.
2. **IASB** https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/515 [Online] // https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/515. - January 3, 2022.
3. **IASB** https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/517 [Online] // https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/517. - January 2, 2022.
4. **IASB** https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/523 [Online] // https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/523. - saras.gov.ge.
5. **KPMG** COVID-19 [Online] // COVID-19. - KPMG. - January 4, 2022.
6. **Leo van der Tas** ey.com [Online] // https://www.ey.com/en_gl/assurance/five-financial-reporting-issues-to-consider-as-a-consequence-of-covid-19. - Janury 15, 2022. - January 15, 2022.

7. **Levan Sabauri** Impacts of COVID-19 on the Financial Reporting and Audit [Journal] // Economics and Business. - Tbilisi : Tbilisi State University, 2021. - Vol. 2.
8. **Oliver Köster** https://www2.deloitte.com/ch/en/pages/audit/articles/financial-reporting-survey-q1-2020.html [Online] // How COVID-19 infects financial reporting and results presentations. - 2020. - January 15, 2022.
9. **Thornton Grant** https://www.fbk.ru/upload/press-center/FBK%20Grant%20Thornton_%D0%92%D0%BB%D0%B8%D1%8F%D0%BD%D0%B8%D0%B5%20COVID_17.12.2020.pdf [Online] // https://www.fbk.ru/upload/press-center/FBK%20Grant%20Thornton_%D0%92%D0%BB%D0%B8%D1%8F%D0%BD%D0%B8%D0%B5%20COVID_17.12.2020.pdf. - Grant Thornton.

Impact of the COVID-19 Pandemic on the Preparation of Financial Statements

Levan Sabauri
Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nadejda Kvatashidze
Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

1. *The unpredictability of the pandemic impact generates fundamental uncertainties. It casts doubt on the ongoing operation of the enterprises. If the functionality assumptions are made during the financial reporting, the enterprise is obliged to declare all the uncertainty factors. Applied reasonings, conclusions, and compulsory volume for the information declaration are dependent on the specific situation, as its nature and impact level on the enterprise, differ in every single case.*
2. *The limited paying capacity of the customers impacts the contractual relationships. In many cases, it becomes necessary to amend the contracts – modify the contract costings. It is of utmost consideration to assess the payment probability while amending the contract under uncertainty. It should be discussed as the changing component of the payment.*
3. *In IFRS 16, the changes caused by pandemics, are important for the lessee's. The board considers the registration of the tenancy modification to be an easy task, accordingly, these changes do not include the lessees. They should assess, as usual, if the rental exemption is actually a contract amendment, and process it accordingly.*

Keywords: *amendment in the contract; going concern; pandemic and financial statement.*

კორონა-პანდემიის გავლენა მცირე ბინესზე საქართველოში: მდგომარეობა, გამოწვევები და შესაძლებლობები

უშანგი სამადაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

*წინამდებარე ნაშრომში **დასაბუთებულია** თემის აქტუალობა და განსაზღვრულია კვლევის მიზანი და მეთოდები; **ახსნილია** მცირე ბიზნესის არსი და მნიშვნელობა ეკონომიკაში; **არგუმენტირებულია**, თუ მსოფლიომ და საქართველომ რატომ გააკეთა არჩევანი ვირუსის გავრცელების შეზღუდვებზე, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნებაზე და არა ეკონომიკურ ვარდნაზე; **გაანალიზებულია და შეფასებულია** მცირე ბიზნესის მდგომარეობა კორონა-პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვების პირობებში; **ნაჩვენებია**, რომ კორონა-პანდემიამ და მის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულმა შეზღუდვებმა პირველი და დიდი დარტყმა მიაყენა მცირე ბიზნესს მსხვილი ბიზნესთან შედარებით. განსაკუთრებით დაზარალდნენ იმ დარგის მცირე საწარმოები, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ მომხმარებლებთან (კლიენტებთან); **დახასიათებულია** ქართული ბიზნესის სხვადასხვა სახეობამ როგორ მოახერხა პანდემიით შეცვლილი გარემოსადმი ადაპტირება, როგორ გარდაიქმნა, გადაერთო საქმიანობის სრულიად ახალ სფეროში, გადაირჩინა საკუთარი თავი და გახდა მომგებიანი; **პროგნოზირებულია** მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდ-პანდემიის შემზღუდავი ზომების დასრულების შემდეგ საქართველოში; **შემოთავაზებულია**, საქართველოს მცირე ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის საფუძვლზე განსახორციელებელი გარდაქმნების ძირითადი მიმართულებები, ასევე, ბიზნესის აღდგენის დაჩქარების მიზნით დასაცავი ძირითადი იმპერატივები.*

საკვანძო სიტყვები: *მცირე ბიზნესი, კორონა-პანდემია, შეზღუდვები, ადაპტირება, გადარჩენა, განვითარება, პერსპექტივები*

კორონა-პანდემიითა და მისი გავრცელების წინააღმდეგ მიმართული ზომებით მცირე ბიზნესი მეტად დაზარალდა, ვიდრე მსხვილი საწარმოები. მცირე ბიზნესის უმეტესობისთვის ერთობ გაუარესდა ეკონომიკური შესაძლებლობები, რამაც გამოხატულბა ჰპოვა მოთხოვნის, მიწოდების, შემოსავლის, ლიკვიდობის შემცირებაში, თანამშრომელთა დათხოვნაში, უხელფასო შვებულებაში გაშვებაში, არასრული სამუშაო დღეზე გადაყვანაში, დაბალებეფექტიან მუშაობაში და ანაზღაურებაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებული თემა, კორონა პანდემიის გავლენა მცირე ბინესზე საქართველოში, ერთობ აქტუალურია**.

წიმადებარე კვლევის მიზანია გამოვლინდეს და გაანალიზდეს თუ რა უარყოფითი და დადებითი ზეგავლენა მოახდინა კორონა-პანდემიამ მცირე ბიზნესზე საქართველოში და პროგნოზირდეს მისი განვითარების პერსპექტივები პოსტპანდემიურ პერიოდში.

დასახული მიზნის მიღწევისკენ მიმავალ გზაზე საჭიროა: აიხსნას მცირე ბიზნესის არსი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში; **გაანალიზდეს და შეფასდეს** საქართველოში მცირე ბიზნესის მდგომარეობა კორონა-პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვების პირობებში; **გაირკვეს**, თუ რა ტრანსფორმაცია განიცადეს მცირე საწარმოებმა პანდემიით შეცვლილი გარემოსადმი ადაპტირებისა და გადარჩენისათვის ბრძოლაში; **პროგნოზირდეს** მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები კოვიდ-პანდემიის შემზღუდავი ზომების შერბილება-დასრულების შემდეგ საქართველოში.

ჩამოთლილი ამოცანების გადაწყვეტისას გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების, სამეწარმეო გარემოს განვითარების ხელშემწყობი არასამ-

თავრობო ორგანიზაციების, **მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუტების, ბიზნეს ასოციაციების** კვლევების, საქსტატის მონაცემებისა და ექსპერტთა შეხედულებების სისტემური ანალიზი, სინთეზი, შედარება, დაკვირვება, აბსტრაქცია, ინდუქცია, დედუქცია და სხვა. **კვლევის ობიექტია** მცირე ბიზნესი. **კვლევის საგანია** მცირე ბიზნესის მდგომარეობა პანდემიის გავრცელების შემზღუდავი ზომების პირობებში და მისი პერსპექტივა შეზღუდვების შერბილება-მოხსნის შემდეგ.

დასაწყისში, ლოგიკურია, შევჩერდეთ მცირე ბიზნესის არსზე და მნიშვნელობაზე საქართველოს ეკონომიკაში. საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, მცირე ბიზნესის ქვეშ მოიაზრება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც აკმაყოფილებენ კონკრეტულ ქვეყანაში ბიზნესის სუბიექტების კლასიფიკაციის კრიტერიუმებს (დასაქმებულთა რაოდენობა, წლიური ბრუნვა და სხვა). ამასთან, კრიტერიუმების ზღვრები დაფუძნებულია მოცემულ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკისა და კომპანიების განვითარების მაჩვენებლებზე და შესაბამისობაშია სტატისტიკის წარმოების ევროპულ კრიტერიუმებთან.

ხაზგასასმელია, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მცირე ბიზნესი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იმიტომ, რომ საწარმოების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 90% არის მიკრო, მცირე და საშუალო საწარმო. ისინი უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების 70%-ს და მათი წილი მსოფლიო მშპ-ში შეადგენს 50%-ს. ამრიგად, არიან ძირითადი მოთამაშეები ეკონომიკური აღდგენის საქმეში [1].

უფრო კონკრეტულად, მცირე ბიზნესი ხელს უწყობს მომხმარებლებთან უშუალო კონტაქტის გამო მოთხოვნების ადეკვატური ხარისხის საქონლითა და მომსახურებით ბაზრის გაჯერებას, ანუ ეკონომიკის საზოგადოების მოთხოვნებისკენ შემოტრიალებას; მცირე ბიზნესი აჩქარებს სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პროგრესს; ქალთა ჩაბმა მცირე ბიზნესში, ანუ ემანსიპაციისა გამო ბიზნესვუმენთა მომრავლება ხელს უწყობს ინკლიუზიურ ეკონომიკურ ზრდას; მცირე ბიზნესი უზრუნველყოფს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების (სტუდენტები, მოსწავლეები, დიასახლისები, შრომისუნარშეზღუდულები, პენსიონერები და სხვა) სრული და არასრული სამუშაო დღით შრომით საქმიანობაში ჩართვას და ინკლიუზიურ ეკონომიკურ ზრდას, ასევე, ყოფილ პატიმართა და პრობაციონერთა საზოგადოებასთან რეინტეგრაციას, რესოციალიზაციის და დეკრიმინალიზაციას; მცირე ბიზნესი, მსხვილ კომპანიებთან შედარებით ნაკლები კაპიტალითა და რესურსებით, უზრუნველყოფს საქმის წამოწყებასა და განვითარებას; მცირე ბიზნესი კარგი საშუალებაა საქმის წამოწყების და იოლად პროფილის შეცვლის, ადგილობრივი წარმოებით არაგონივრული იმპორტის ჩანაცვლების, ექსპორტის წახალისებისა და ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის; მცირე ბიზნესი ემსახურება ცენტრსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანასწორობისა და შემოსავლებრივი უთანაბრობის შერბილებას; მცირე ბიზნესი ხელს უწყობს ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ხარჯების შემცირებას. ეს იმიტომ, რომ შემოსავლების მხრივ ქმნის ახალ საგადასახადო ბაზას, რაც ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების სახით აისახება. ხარჯვით ნაწილში კი მცირე ბიზნესის განვითარება ზრდის ამ სფეროში დასაქმებულთა შემოსავლებს, რაც ამცირებს ბიუჯეტიდან შესაბამის სოციალურ ტრანსფერების გამოყოფის შესაძლებლობას. და ბოლოს, მცირე ბიზნესი არის საშუალო კლასის ფორმირების საფუძველი, რომელიც ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტად გვევლინება. პროგნოზირებადი სტაბილურობა კი ხელს უწყობს გრძელვადიან ინკლიუზიურ ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის საყოველთაო და დიფერენციულ კეთილდღეობას, რაც თითოეულ მო-

ქალაქეში ბადებს კანონზომიერი სიამაყისა და ქვეყნისადმი პატრიოტული დამოკიდებულები გრძნობას [2. გვ. 167-168]

აღნიშნულის გამოა, რომ ნებისმიერი საღად მოაზროვნე სახელმწიფო დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას საგადასახადო, საკრედიტო შეღავათებით, სუბსიდიებით და სხვა მის ხელთ არსებული ეკონომიკური ინსტრუმენტებითა, თუ პროგრამებით.

ამ ფონზე უნდა ითქვას, რომ 2019 წლისა და 2020 წლის შესაყარზე ჩინეთის მილიონიან ქალაქ ვუჰანში იფეთქა კაცობრიობის ისტორიაში რიგით 61-ე პანდემიამ. მალე პანდემიის ცენტრმა ჩინეთიდან ევროპაში, აშშ-ი და აქედან მთელ მსოფლიოში გადაინაცვლა და გავრცელდა 191 ქვეყანაში. მოიცვა მსოფლიოს ყველა კონტინენტი ქვეყნებითურთ (ანტარქტიდის გარდა) და ჩაითრია კრიზისში, რაც, უდაოდ, გლობალიზაციის დეფექტია. იმედია, მიმდინარე პანდემია, არ იქნება ისეთივე ცუდი, როგორც 1918 წლის ესპანური გრიპი იყო, რომელმაც მსოფლიო მოსახლეობის 2-3 პროცენტი, ანუ 50 მლნ ადამიანი შეიწირა [3]. ასეთი დიდი ადამიანური ზარალი, რაც თითქმის პირველ და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ადამინთა რაოდენობის ტოლია, განაპირობა იმან, რომ იმდროინდელმა ნაკლებ გლობალიზებულმა მსოფლიომ ეკონომიკის გადარჩენა არჩია ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადარჩენაზე ზრუნვას.

ამჟამინდელმა კორონა პანდემიამ კი, წინათ მიღებული გაკვეთილების გათვალიწინებით, მთელი მსოფლიო ალტერნატივის წინაშე დააყენა: „ზრუნვა ეკონომიკურ ვარდნაზე, თუ კორონა პანდემიის შეჩერებაზე“. როგორც ცნობილია, COVID-19-ის წარმოშობა-გავრცელებისას არ არსებობდა არც ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ მოქმედი ვაქცინა და არც ვირუსით დაინფეცირებულის განკურნების სამკურნალო პრეპარატი. სწორედ ამიტომ, როგორც მსოფლიომ, ისე საქართველომ, რომელიც გლობალური სამყაროს ორგანული შემადგენელი ნაწილია, არჩევანი გააკეთა ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ შეზღუდვების დაწესებაზე, *ადამიანებს შორის ურთიერთობაში გარკვეული ბარიერის შემოღებაზე* და ამით ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნებაზე. ასეთი გადაწყვეტილება მსოფლიო პრაქტიკისა და არსებული რეალობის გათვალისწინებით, სავსებით ლოგიკური იყო, რადგან „თავად ეკონომიკა ხორციელდება ადამიანების მიერ ადამიანებისათვის“!!!

სწორედ ამიტომ, ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ხელისუფლებამაც, შემოიღო საერთაშორისო ორგანიზაციების პროტაკოლით გათვალისწინებული კარანტინისა და შეზღუდვების სხვადასხვა ფორმა: საზღვრების ჩაკეტვა, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის შეზღუდვა, მასობრივი ღონისძიებების აკრძალვა, ხალხის დიდი მასის თავშეყრის ადგილების (სკოლები, უნივერსიტეტები, საბავშვო ბაღები, კინოთეატრები, კაფეები, კინოთეატრები, საკონცერტო დარბაზები, სპორტული დარბაზები სავაჭრო ცენტრების) დახურვა, *ადამიანებს შორის ურთიერთობების შეზღუდვა,* დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა და სხვა. საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა მცირე ბიზნესის მხარდაჭერას, მათ გადარჩენას, რათა თავიდან აეცილებინა ფინანსური კოლაფსი. ამ მიზნით შემუშავდა და განხორციელდა ბიზნესის მხარდაჭერის პაკეტი 515 მლნ ლარის ოდენობით.

საქართველოში Covid-19 კრიზისით გამოწვეული სირთულეების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა აქტიურ ბიზნესების რაოდენობა. საქსტატის მონაცემებით საქართველოში მოქმედ ბიზნეს-სუბიექტთა რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 167.8 ათასს, ხოლო 2020 წელს, კორონა პანდემიის დროს – 165.6 ათასს. ე. ი. **საქართველოში კორონა პანდემიისა და მისი გავრცელების შეზღუდვების გამო მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა შემცირდა 1512-ით. Covid-19 კრი-**

ზისით გამოწვეული სირთულეების გამო საქმიანობის შეჩერებამ გამოიწვია დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება. საქსტატის მონაცემების მიხედვით მცირე და საშუალო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2020 წლის მეორე კვარტალში შემცირდა დაახლოებით 15%-ით იგივე პერიოდთან შედარებით 2019 წელს. უნდა აღინიშნოს, 2020 წლის სექტემბრისთვის **დათხოვილი ან უვადო შვებულებაში გაშვებული თანამშრომლების რაოდენობა 2,4-ჯერ აღემატება აპრილში დათხოვილს**.

საქსტატის მონაცემებით დასაქმებულთა წილი საწარმოთა ზომის მიხედვით 2019 წელს ასეთია: მსხვილი საწარმოს წილი - 35.5%; საშუალო საწარმოს - 20.2%; მცირე საწარმოს - 44.8%; მცირე და საშუალო საწარმოსი სულ: 65%. დასაქმებულთა წილი საწარმოთა ზომის მიხედვით 2020 წელს ანუ კორონა პანდემიის დროს: მსხვილი საწარმოს წილი - 37.2%; საშუალო საწარმოს - 21.7%; მცირე საწარმოს - 41.2%; მცირე და საშუალო საწარმოსი სულ: 62.9%. ე. ი. **საქართველოში კორონა პანდემიისა და მისი გავრცელების შეზღუდვების გამო მცირე და საშუალო საწარმოში დასაქმებულთა წილი შემცირდა (65 – 62.9)=2.1%-ით;**

კრიზისის პერიოდში, ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა მცირე და საშუალო საწარმოს ბრუნვის წილი. საქსტატის მონაცემებით ბრუნვის წილი საწარმოთა ზომის მიხედვით 2019 წელს ასე გამოიყურება: მსხვილი საწარმოს ბრუნვის წილი - 55.5%; საშუალო საწარმოს - 19.3%; მცირე საწარმოს - 25.2%; მცირე და საშუალო საწარმოსი სულ: 44.5%. ბრუნვის წილი საწარმოთა ზომის მიხედვით 2020 წელს, ანუ კორონა პანდემიის დროს: მსხვილი საწარმოს - ბრუნვის წილი - 58.3%; საშუალო საწარმოს – 17.9%; მცირე საწარმოს - 23.8%; მცირეში და საშუალო საწარმოსი სულ: 41.7%. ე. ი. **საქართველოში კორონა პანდემიისა და მისი გავრცელების შეზღუდვების გამო მცირე და საშუალო საწარმოს ბრუნვის წილი შემცირდა; (44.5 - 41.7)=2.8%-ით.**[**საქსტატი. ბიზნესრეგისტრი**].

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დროს საქართველოში მცირე ბიზნესის ერთი ნაწილი დაიხურა, ან გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე. მოგება მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ამავდროულად აუცილებელი გახდა თანამშრომლებისთვის ხელფასებისა და დაქირავებული ფართის მეპატრონეთათვის საიჯარო გადასახადის გადახდა. ბევრი მეწარმე დაბნეული იყო და ელოდებოდა კარანტინის სწრაფად დამთავრებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ამიტომ მალე ბიზნესმენებს სერიოზული ზომების მიღება მოუწიათ თავიანთი ბიზნესების გადასარჩენად, რადგან პანდემიამ შეავიწროვა შესაძლებლობების დერეფანი მცირე ბიზნესის უმეტესობისთვის.

პანდემიით მცირე და საშუალო ბიზნესი უფრო მეტად დაზარალდა, ვიდრე მსხვილი ბიზნესი, რაც, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას შემდეგი მიზეზებით:

პირველი. მცირე და საშუალო საწარმოებს ჰყავთ გაცილებით ნაკლები დასაქმებული, ვიდრე მსხვილ კომპანიებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამუშაო ადგილზე მათი გამოუცხადებლობის დანაკარგი გაცილებით თვალსაჩინო და ხელშესახებია;

მეორე. მცირე და საშუალო ბიზნესის უმეტესი ნაწილი ფუნქციონირებს ისეთ დარგებში, როგორიცაა საცალო ვაჭრობა, საზკვება, რესტორანი, სასტუმრო მომსახურება და ა.შ. აქედან იმ დარგის საწარმოები, რომელთაც უშუალო, ოფლაინ კავშირი აქვთ მომხმარებლებთან (კლიენტებთან), შემოსავლების მიხედვით დაზარალდნენ 60%-ით, ხოლო ის მცირე საწარმოები, რომლებიც ემსახურებიან მსხვილ კომპანიებსა და სახელმწიფოს, დაზარალდნენ ნაკლებად 53 -54%-ით. [4]. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად საბითუმო ვაჭრობამაც იგრძნო პანდემიის უარყოფი-

თი ზეგავლენა, მისი დანაკარგები შედარებით ნაკლებია, ვიდრე საცალო ვაჭრობისა. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ საბითუმო მოვაჭრეებს ჰყავთ მრავალფეროვანი მომხმარებელი ბიზნეს-სუბიექტები, საცალო მოვაჭრეებს კი-მხოლოდ მოსახლეობა.

მესამე. მცირე მეწარმეთაგან ბევრი ე. წ. „იძულებითი მეწარმეა". ანუ ადამიანები, რომლებსაც ცხოვრებამ უბიძგა ჩართულიყვნენ ბიზნესში, რადგანაც სხვა საარსებო წყარო მათ არ გააჩნდათ. ეკონომიკისა და ბიზნესის დაპაუზების პირობებში კი მათ არ აღმოაჩნდათ არც საკმარისი ცოდნა-გამოცდილება ახალი გარემოსადმი ადაპტირებისათვის და არც ფინანსები. სწორედ ამიტომ 2021 წლის მაის-დეკემბერის პერიოდში.**რ**სახელმწიფომ დაიწყო მცირე ბიზნესისთვის სასწრაფო დახმარების გაწევა. [**5**]

მეოთხე. პანდემიის დროს ყველაზე მეტად ის მცირე საწარმოები დაზარალდნენ, რომელთაც მართავენ ქალები, ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობები და მიგრანტები. **საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მიერ** COVID-19-ის ბიზნესზე გავლენის შესახებ კვლევის თანახმად, რომელიც ჩატარდა 136 ქვეყანაში, კრიზისის დროს მძიმედ დაზარალდა მცირე ბიზნესის დაახლოებით 62%, რომელსაც ქალები ხელმძღვანელობდნენ. მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი 50%-ია იმ საწარმოებისა, რომელთაც კაცები ხელმძღვანელობენ. ასევე, ქალების მფლობელობაში მყოფი ბიზნესების 27%-ით მეტი ვერ გადაურჩა პანდემიას, იმ ბიზნესებთან შედარებით, რომელთაც მამაკაცები ხელმძღვანელობენ [**6**].

მეხუთე. ყველაზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბიზნესები, რომელთა მფლობელებს მხოლოდ საშუალო განათლება აქვთ და საკუთარ თავს ახასიათებენ, როგორც დაბალი მატერიალური კეთილდღეობის დონის მქონე პირებს. ამასთან გაირკვა, რომ ბიზნესები განსხვავებულად და ძალიან გონივრულად მოქმედებდნენ ისეთ „ინტელექტუალურ" დარგებში, როგორიცაა განათლება, კულტურა, მეცნიერება. ამ დარგების ბიზნესებზე პანდემიას თითქმის არანაირი უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია. იმიტომ, რომ ამ დარგების ბიზნესების მფლობელები მეტად მოქნილნი, ადაპტირებადი და კრეატიულობი არიან, რაც პანდემიამ მხლოდ დაადასტურა.

მეექვსე. ბევრ მცირე საწარმოში პანდემიის დროს სერიოზულ პრობლემად წარმოჩინდა პერსონალის ნაკლებობა, რაც განსაკუთრებით მწვავე გამოწვევა აღმოჩნდა მშენებლობაში. ამ სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესიდან არაკვალიფიციური მიგრანტების მასიური გადინება, როგორც ჩანს, ვერ დაკომპენსირდა ადგილობრივი მოსახლეობის მუშების მოზიდვით, რომელიც ხშირად არ არის მზად მძიმე და ამავე დროს დაბალლანაზღაურებადი სამუშაოების შესრულებისათვის.

ვსაუბრობთ რა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პრობლემებზე და მცირე ბიზნესზე მიყენებულ ზარალზე, უნდა გავიხსენოთ ოპტიმისტური ფრაზა, რომ „კრიზისი არა მხოლოდ პროლემებია, არამედ ახალი შესაძლებლობებიც". მართლაც, ძირეული ცვლილებები გარდაქმნის ბიზნესის იერ-სახეს, ხსნის ახალ ნიშებს მეწარმეობისთვის და ხელს უწყობს შემოქმედებითობას და ინოვაციებს. მიმდინარე კრიზისმა, როგორც უკვე ითქვა, შეანელა ეკონომიკის ზოგიერთი სექტორის განვითარება, მაგრამ ამავდროულად ერთობ დააჩქარა სხვათა განვითარება. ქვემოთ შევეცდებით სისტემატიზაცია მოვახდინოთ იმ ყველაზე პერსპექტიული სფეროებისა, რომლებიც ხელსაყრელია ბიზნესის ჩამოყალიებება-განვითარებისთვის დღეს და უახლოეს მომავალში.

პანდემიამ ბიზნესმენები ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. ბიზნესმენების მხრიდან საჭირო გახდა ახალ რეალობასთან სწრაფად მორგება და ადაპტაცია. შემცირებული მოთხოვნისა და დასაქმებულთა ნაწილის დისტანციურ სამუშაოზე გადაყვანის პირობებში, მეწარმეებს უწევდათ საკუთარი ბიზნესის განვითარების ინოვაციური გზების ძიება. სწორედ ამიტომ, **საკარანტინო შეზღუდვების პირობებში, საქართველოში შესამჩნევად იმატა ონლაინ ვაჭრობისა და უნაღდო ანგარიშსწორების წილმა**. შესაბამისად, ონლაინ განათლების ბაზარმა კიდევ უფრო სწრაფად დაიწყო განვითარება და მომავალშიც, ალბათ, არ გახდება ნაკლებად მოთხოვნადი, რადგან, ჯერ ერთი, მატერიალური თვალსაზრისით უფრო ხელმისაწვდომია და მეორეც, მოსახერხებელია, რადგან ნებისმიერს შეუძლია სწავლა ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილზე.

შევნიშნავთ, რომ საქართველოში ონლაინ-ბიზნესი, ელექტრონული კომერცია კოვიდამდეც ვითარდებოდა, მაგრამ ძალიან ნელი ტემპით. კოვიდმა აჩვენა არა მხოლოდ ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ელკომერცია ბიზნესის განვითარებისათვის, არამედ ისიც, რომ ელ-კომერციის გარეშე ბიზნესი უბრალოდ ვერ გადარჩება, ვერ იარსებებს. იმიტომ, რომ კარანტინის დროს ელკომერცია საკმაოდ დინამიური და შეცვლილი გარემოსადმი ბიზნესის ადაპტირების საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა. თვითიზოლაციის დროს ონლაინ-ბიზნესმა უფრო და უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა. მცირე ბიზნესის პრაქტიკულად ყველა დარგმა თავისი საქმიანობა ამა თუ იმ ფორმით გადაიყვანა ონლაინ-რეჟიმში. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს სავაჭრო--სამრეწველო პალატის მიერ ჩატარებული კვლევებით მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოში ონლაინ-ბიზნესის და ინტერნეტ კომერციის ზრდამ შეიძლება შეადგინოს საკმაოდ დიდი წილი [7].

პანდემიის დროს მოსახლეობის სახლებში ჩაკეტვის გამო ძალიან პოპულარული გახდა მიწოდების ბაზარი. ადამიანებმა დაიწყეს მზა საკვების შეკვეთა რესტორნებში და სასურსათო მაღაზიებში მიტანის სერვისის საშუალებით, რათა ნაკლები კონტაქტი ჰქონოდათ გარე სამყაროსთან. დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლით ყველაზე დიდი სარგებელი მიწოდების სერვისმა მიიღო. იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადავიდა, მიწოდების სერვისებზე მოთხოვნა გაიზარდა, რამაც გამოიწვია მიწოდების სერვისების პერსონალის რაოდენობის გაზრდა. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მიერ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა 22% დისტანციურად მუშაობდა [8].

საკარანტინო ღონისძიებების დროს ადამიანებს არც თავიანთ გარეგნობაზე და ჯანმრთელობაზე ზრუნვა შეუწყვეტიათ. პანდემიის დროს კლინიკაში რიგში დგომის და დროის დაკარგვის მაგიერ, ბევრისთვის სამედიცინო კონსულტაცია, მაგალითად, ქრონიკული დაავადებების შესახებ, წვდომადი გახდა დისტანციურად.

სპორტული საქონელი და ონლაინ სპორტი, ასევე, საკმაოდ პოპულარული გახდა COVID-19-ის დროს. ადამიანებმა, რომლებიც საკუთარ ფიზიკურ ფორმასა და ჯანმრთელობაზე ზრუნავენ, სახლისთვის სპორტული აღჭურვილობის ყიდვა დაიწყეს და სახლში განაგრძეს ვარჯიში. ზოგიერთმა სპორტულმა დარბაზმა კარანტინის გამო ვარჯიშები ონლაინ-რეჟიმში გადაიყვანა. ზოგი საკუთარი ჯანმრთელობის ზრუნვისათვის კარანტინის დროს ოთხ კედელშუა გამოემწყვდია.

სილამაზის ბიზნეს-ინდუსტრია ყოველთვის პოპულარული იყო, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, ამიტომ სილამაზის სალონების დახურვამ კი არ გააუქმა სხეულისა და სახის

მოვლის პროცედურები, არამედ გადაიტანა ისინი სახლში. ასევე, პირბადის ტარების აუცილებელი რეჟიმის გამო, პომადაზე მოთხოვნა დაეცა, მაგრამ ბიზნესებმა დაიწყეს სახის სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალებების პოპულარიზაცია, რომელიც უფერულდება ნიღბის გამუდმებული ტარებისას. და თავად პირბადეები გახდა არა მხოლოდ ვირუსისაგან თავდაცვის ატრიბუტი, არამედ მოდური აქსესუარიც.

კორონავირუსმა აიძულა მცირე საწარმოების მეპატრონეები ახლებურად შეეხედათ თავიანთი ბიზნესისათვის, გადაემისამართებინათ საკუთარი საწარმო აქტუალურ სფეროში, ან გაეხსნათ საქმიანობის სრულიად ახალი და მოულოდნელი სფერო. ამ **მიმართებით, ზოგმა სამკერვალო საწარმომ დაიწყო პირბადეების, ხელთათმანების წარმოება, ზოგმა სასურსათო საწარმომ კი მიწისთხილის კარაქის მაგიერ ხელი მოჰკიდა ანსტისეპტიკების (ვირუსის საწინააღმდეგო, სადეზინფეციო საშუალებების) წარმოება-გაყიდვას** და ა.შ.. [9]

ონლაინ ქსელის საშუალებით დაიწყო იურიდიული მომსახურების გაწევაც. ადამიანებს უწევდათ ბიზნესის დახურვასთან, საბანკო მომსახურებით სარგებლობასთან, სამსახურის დაკარგვასთან და იურისპრუდენციასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტაც.

აღნიშნულის გამო მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა 2021 წელს. საქართველოში 2022 წლის 1 იანვრის მონაცემებით რეგისტრირებულია 847436 ბიზნეს სუბიექტი. აქედან მოქმედია **202493** ბიზნეს სუბიექტი. მოქმედი საწარმოებიდან მსხვილია 589, საშუალო -2865, მცირე - 187 798 საწარმო, 11 241-ის ზომა უცნობია. მსხვილ საწარმოთა წილი საწარმოთა მთლიან რაოდენობაში შეადგენს 0.3 %-ს; საშუალო საწარმოთა წილი -1.41 %-ს; მცირე საწარმოთა წილი - 93%-ს; საწარმოთა წილი, რომელთა ზომა უცნობია 5.5%-ს [**საქსტატი. ბიზნესრეგისტრი**].

მოხმობილი სტატისტიკური მონაცემების დინამიკა ცხადყოფს, რომ საქართველოში მცირე ბიზნესი არსებითად გადარჩა. 2022 წელს კი, ვაქცინირებულთა რაოდენიბისა და წილის ზრდის კვალობაზე, კიდევ უფრო გამოჯანმრთელდება, როგორც დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის, ისე ბრუნვის თვალსაზრისით. მაგრამ მთავრობის სტრატეგიული დოკუმენტები მიზნად ისახავს მცირე ბიზნეს-სექტორის არა მხოლოდ აღდგენას, არამედ აქტიურ ზრდას. რაც დამოკიდებულია მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლებით ვაქცინირებულთა რაოდენობის ზრდაზე და ამით პანდემიის რეცესიაზე, ქვეყანაში არსებულ ზოგად ეკონომიკურ დინამიკაზე, მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ღონისძიებების ადეკვატურობაზე.

მოკლედ, კორონა-პანდემიური კრიზისის პერიოდი რთული აღმოჩნდა როგორც ქვეყნისთვის, ისე ბიზნესისთვის, რომელიც ცდილობდა, პირველ რიგში, შეენარჩუნებინა ეროვნული ეკონომიკა: რესტორნები, სასტუმროები, ტრანსპორტი, დასვენებისა და გართობის სექტორი, იმპორტიორები, ტურისტული კომპანიები, ბიზნეს-ღონისძიებების ორგანიზატორები, მშენებლები, სპორტული სავარჯიშო ცენტრები, სასურსათო საცალო ვაჭრობა-აი დარგების ის არასრული ნუსხა, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა კორონავირუსით.

ამ ეპიდემიას, როგორც ითქვა, ყველა კომპანია ვერ გადაურჩა, მაგრამ მცირე ბიზნესის დიდმა ნაწილმა სახელმწიფოს მხარდაჭერითა და რაციონალური ქცევების წყალობით, შეძლო გადარჩენა კარანტინის პირობებში.

კორონა-პანდემიამ ბიძგი მისცა სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის მცირე ბიზნესშიც, ციფრული პლატფორმის განვითარებას. თუმცა, კომპანიების უმეტესობაში ციფრული სისტემა გახდა არსებულ პირობებში გადარჩენის და არა განვითარების სტრატეგია. საწარმოები წყვეტდნენ და აგვარებდნენ მომენტალურ პრობლემებს და ამით შიდა პროცესები

შესაბამისობაში მოჰყავდათ მიმდინარე პირობებთან. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ონლაინ-განათლებამ მომავალში დაკარგოს თავისი პოპულარობა. ეს სფერო მოსახერხებელია როგორც საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის, რომლებიც ემზადებიან ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, ისე უმაღლეს სკოლებში სწავლებისთვის და იმ ასაკოვანთათვისაც, რომლებიც მზად არიან ეზიარონ ინოვაციურს, რაიმე ახალს. ამასთა, აღნიშნული ფორმატით სწავლება შესაძლებელია ნებისმიერ დროსა და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, რადგან ინტერნეტ-ქსელში არსებობს თითქმის ყველა გაკვეთილის, ლექციისა, თუ ტრენინგის ვიდეოჩანაწერი.

სახლში ფიზიკური ვარჯიშებისათვის განკუთვნილი სპორტული ინვერტარისადმი, იარაღებისადმი და ონლაინ-ვარჯიშებისადმი ინტერესი, თუ შემცირდება, შემცირდება ოდნავ. ეს იმიტომ, რომ სახლში სპორტით დაკავება ბევრად უფრო მოსახერხებელი და მომგებიანია, მაგრამ სავარჯიშო ცენტრები პოპულარობას არ დაკარგავენ.

კარანტინის პერიოდში, ასევე, ერთობ პოპულარული გახდა ონლაინ მაღაზიები. ონლაინ შეკვეთა დაიწყეს მათაც კი, ვინც ამას ადრე არ აკეთებდა. დიდი ალბათობით, საკარანტინო ღონისძიებების დასრულების შემდეგ ეს სფერო პოპულარობას არ დაკარგავს.

ასევე, ნაკლებად სავარაუდოა რომ იურიდიულ მომსახურებაზე გაქრეს მოთხოვნა პანდემიის შემაკავებელი ზომების დასრულების შემდეგ. საქმე ის არის, რომ ადამიანებს ჰქონდათ, აქვთ და ექნებათ პრობლემები. მაგრამ საქმე მხოლოდ აღმოცენებული პრობლემები არ არის. პანდემის პირობებში კანონები იცვლებიან ძალიან სწრაფად, რომელში ჯეროვანი გარკვევაც სამართლებრივი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების გარეშე შეუძლებელია.

სილამაზის ბიზნეს-ინდუსტრია, რა თქმა უნდა, არ შეწყვეტს პოპულარობას, მაგრამ ბინაზე განსახორციელებულ ბიზნეს-პროცედურებზე აშკარად შემცირდება მოთხოვნა. იმიტომ რომ, ჯერ ერთი, უფრო ძვირი ჯდება, რადგან, ვთქვათ, პარიკმახერს ბინაზე მისვლისათვის მეტი დროის და სახსრების გაღება უხდება, რაც მოითხოვს დამატებით ანაზღაურებას და მეორეც, თითქმის ყველა სახლთან ახლოსაა სალონები. ამიტომ, პარიკმახერის ბინაზე გამოძახება აღარ იქნება აუცილებელი.

და, რა თქმა უნდა, სამედიცინო კაბინეტები, კერძო კლინიკები არ დაკარგავენ პოპულარობას, რადგან ყველა ადამიანი ყოველთვის იზრუნებს თავის ჯანმრთელობაზე და ეს ტენდენცია არასოდეს გაქრება. ასეთი გამოძახებების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით პანდემიის დროს 2,6%-ით გაიზარდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ დაწესებულებებში მიღებების რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 1%-ით გაიზრდება.

მაგრამ აი, კვების პროდუქტების მიწოდების სერვისები ნაკლებად მოთხოვნადი გახდება. ყველა შეზღუდვის მოხსნის შემდეგ ბევრისთვის საკურიერო მომსახურება აღარ იქნება აუცილებელი. თუმცა, საკურიერო სერვისები სრულად არ გაქრება ჩვენი ცხოვრებიდან, მაგრამ მათზე მოთხოვნა უდაოდ შემცირდება. თუ რა დოზით - ამას დრო გვიჩვენებს.

კარანტინის დასრულების შემდეგ კაფეები და რესტორნები, სავარაუდოდ, დაზარალდებიან. ჯერ ერთი, მათ უსაფრთხო მუშაობაზე დაწესდება ყველაზე მკაცრი მოთხოვნები, ე.წ. გაიდლაინები, რაც გაზრდის მომსაურების ხარჯებს, ტარიფებს და მეორე, რადგან მოქალაქეებს მცირე დანაზოგი ექნებათ, ამ დაწესებულებებში სტუმრობა მოიკლებს. კაფეებთან და რესტორნებთან ერთად ამავე მიზეზით დაზარალდება გასართობი ბიზნესიც.

ის ბიზნესები, რომლებმაც კარანტინის დროს თავიანთ საწარმოებს პროფილი შეუცვალეს, ვთქვათ, პირადი დამცავი საშუალებების (ნიღბები, ხელთათმანები, ანტისეპტიკები) შესაქ-

მნელად და გასაყიდად, სავარაუდოდ თავიანთ საქონელსა და მომსახურებაზე დაკარგავენ მოთხოვნას. ამ შემთხვევაში, მათ კვლავ მოუწევთ ახალი გადაწყვეტილების ძიება, რათა საკუთარი ბიზნესი გამოიყვანონ წამგებიანი მდგომარეობიდან. არის ასეთი ფრაზა - „პანდემიის შემდეგ ბიზნესი იგივე აღარ იქნება“, რომელსაც იმეორებს კორონავირუსის შედეგებით შოკირებული მრავალი მეწარმე. საკარანტინო ღონისძიებების დროს ონლაინ ბიზნესი საკმაოდ პოპულარული გახდა და, რა თქმა უნდა, იარსებებს პანდემიის დასრულების შემდეგაც, თუმცა, ოფლაინ მცირე ბიზნესიც არ გაქრება, რაც გულისხმობს პირდაპირ თუ ირიბ კონტაქტს მომხმარებლებთან [10]

დასკვნები და რეკომენდაციები

და ბოლოს, კორონა-პანდემიის დროს ბიზნესის მოქნილობა და სახელმწიფოს მხრიდან ანტიკრიზისული და სისტემური მხარდაჭერის ღონისძიებები ბიზნესს დაეხმარა გადარჩენაში და ბიზნესის ახალი სფეროების გახსნაში. მცირე და საშუალო ბიზნესმა საქართველოში გარკვეულწილად შეძლო ადაპტირება მოეხდნა კორონა პანდემიით გამოწვეულ მიმდინარე კრიზისულ პირობებთან, მაგრამ სრულ გამოჯანმრთელებაზე საუბარი ჯერ-ჯერობით ნაადრევია. მიუხედავად მნიშვნელოვანი ზარალისა, მცირე ბიზნესს აქვს შანსი აღადგინოს პანდემიამდელი ბიზნეს მოცულობა 2022 წელს აცრილი მოქალაქეების რაოდენობის ზრდითა და შემზღუდველი ზომების შემსუბუქებით, რის შედეგადაც მცირე ბიზნესის ზრდის ტემპიც უფრო დინამიური გახდება. ბიზნესის აღდგენის დაჩქარების მიზნით დაცული უნდა იქნას რამდენიმე ძირითადი იმპერატივი. ესაა: ტექნოლოგიური განვითარება; ძლიერი გუნდი; მონაცემთა ერთიანი ეკოსისტემა და მდგრადი განვითარების ვალდებულება. ასევე, მიზანშეწონილია მცირე ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის საფუძვლზე გარდაქმნები გახორციელდეს ოთხი ძირითადი მიმართულებით: **პროდუქტის ტრანსფორმაცია**. ამ შემთხვევაში ტრადიციული პროდუქტები იხვეწება ან იცვლება, რათა ისინი უფრო ციფრული გახდნენ. კონკრეტულად, ციფრული ტექნოლოგიები „უნდა დაინერგოს“ პროდუქტში, რათა მომხმარებელს უფრო მეტად სარგებლიანი ფასეულობა მიეწოდოს; **კლიენტთა მართვის ტრანსფორმაცია**. ციფრულმა ტექნოლოგიამ, ასევე, უნდა შეცვალოს მცირე ბიზნესის ურთიერთქმედება მომხმარებლებთან. ციფრული ტექნოლოგია კლიენტს საშუალებას აძლევს, ახლებურად მიიღოს ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, განათავსოს შეკვეთები, განახორციელოს შესყიდვები, გადახდები და წარადგინოს საჩივრებიც კი; **ბიზნეს მოდელის ტრანსფორმაცია**. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის ცვლილება იმის შესახებ, თუ კომპანიები როგორ იღებენ და ხარჯავენ საკუთარ ფულს. ციფრული ტექნოლოგია ნამდვილად აძლევს მცირე ბიზნესის მოთამაშეებს საშუალებას გამოიმუშაონ დამატებითი შემოსავალი. მათ შეუძლიათ ციფრული ტექნოლოგის წყალობით გარდაქმნან საკუთარი ბიზნესი (უარი თქვან ძველ ბიზნესზე უფრო ახალი და უფრო მომგებიანის სასარგებლოდ); **სტრუქტურული ტრანსფორმაცია**. ზოგჯერ ციფრული ტექნოლოგიის დანერგვას ასევე უნდა მოჰყვეს კომპანიის შიგნით მუშაობის სქემების ცვლილებები, ახალი ფუნქციების ფორმირება ან ახალი როლების შექმნა. ეს არის ორგანიზაციული სტრუქტურის ტრანსფორმაცია.

ლიტერატურა:

1. Ключ к инклюзивному и устойчивому восстановлению. https://www.un.org/ru/observances/micro-small-medium-businesses-day.
2. უ.სამადაშვილი. მცირე და საშუალო ბიზნესის არსი და როლი თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში. ეკონომიკა და ბიზნესი. №4ნ 2019 წ.გვ. 167-168.
3. ნილ ფერგიუსონი. პანდემიაზე, დამანგრეველი ის ეკონომიკური ზომებია, რომელიც მივიღეთ. 2020-06-11. წყარო: https://commersant.ge/ge/post/pandemiaze-damangreveli-is-ekonomikuri-zomebia-romelic-miviget-amerikeli-profesori
4. Малый и средний бизнес Китая в условиях пандемии: комментарий эксперта.
5. Чепуренко:Как малый бизнес перенес нашествие коронавируса. https://rg.ru/2021/10/19/kak-perenes-malyj-biznes-nashestvie-koronavirusa.htmlАлександр
6. Ключ к инклюзивному и устойчивому восстановлени https://www.un.org/ru/observances/micro-small-medium-businesses-day].
7. საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა. http://pmag.ge/ka/home/54--chamber-of-commerce-industry-geo.html
8. С. П. ЗЕМЦОВ А. А. МИХАЙЛОВ. ТЕНДЕНЦИИ И ФАКТОРЫ РАЗВИТИЯ МАЛОГО И СРЕДНЕГО БИЗНЕСА В РЕГИОНАХ РОССИИ В ПЕРИОД КОРОНАКРИЗИСА. May 20, 2021
9. **lВирус перемен: как малый бизнес России поменялся в пандемию и выиграл. 2020**
10. Алексей Тиматков. Самые перспективные направления для бизнеса во время и после пандемии] https://rb.-ru/story/biznes-posle-pandemii/. Алексей Тиматков.
11. COVID-19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა დასაქართველოსთვის. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2021/covid-gender.html
12. მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარება უმთავრესი პრიორიტეტი. https://www.un.org/ru/observances/micro-small-medium-businesses-day
13. COVID 19-ის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე რეგიონულ ჭრილში (თბილისი, აჭარა, იმერეთი, კახეთი, შიდა ქართლი). 2020. https://eecmd.org/wp-content/uploads/2021/01/Policy-Paper_Covid-19.
14. განმეორებითი კვლევა: ქართული კომპანიები covid -19-ის პანდემიის წინაშე. კვლევა ჩატარდა ინვესტორთა საბჭოს და EBRD-ის მხარდაჭერით. 2020
15. С. П. ЗЕМЦОВ А. А. МИХАЙЛОВ. ТЕНДЕНЦИИ И ФАКТОРЫ РАЗВИТИЯ МАЛОГО И СРЕДНЕГО БИЗНЕСА В РЕГИОНАХ РОССИИ В ПЕРИОД КОРОНАКРИЗИСА. May 20, 2021
16. Разрушительные последствия пандемии для российской экономики.14 апреля 2020

Impact of Corona-Pandemic on Small Business in Georgia: Situation, Challenges and Opportunities

Ushangi Samadashvili

Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The present paper substantiates the relevance of the topic and defines the purpose and methods of the research.The essence and importance of small business in the Georgian economy is explained; Justifiably why the world and Georgia went to limit the spread of the virus, to maintain human health and life, and not to economic recession. Analyzes and assesses the situation of small businesses in the context of restrictions imposed against the spread of the corona-pandemic; It is shown that the corona-pandemic and restrictions on its spread dealt the first and biggest blow to small businesses compared to large businesses. Particularly are affected small enterprises in the sphere, which have a direct connection with buyers (clients). Various types of Georgian business are characterized by how they slow down to adapt and change in the midst of pandemics, how they transform, change into a completely new sphere of activity, save and become. Small business development prospects and main directions are predicted after the completion of the Covid-Pandemic restrictive measures in Georgia. The main directions of transformations based on the introduction of digital technologies in small businesses in Georgia are proposed. also, key imperatives must be protected to accelerate business recovery.

***Key words**: small business, corona-pandemic, constraints, adaptation, survival, development, prospects*

საქართველოში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების, ექსპორტისა და იმპორტის ძირითადი ტენდენციები

გიორგი სანაძე
ეკონომიკის დოქტორი

თანამედროვე სამყაროში სულ უფრო და უფრო იზრდება მაღალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ეკონომიკის როლი და მას უდიდესი გავლენა გააჩნია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესზე. ამ თვალსაზრისით, საქართველოში არსებული ვითარება ნაკლებად დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. უნდა აღნიშნოს, რომ მაღალი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა საგრძნობლად უზრუნველყოფს ქვეყანაში რეტროეკონომიკის შედეგების მინიმიზაციას, რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ამ ტიპის ინიციატივების განხორციელებისას უმთავრესი ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს მაღალტექნოლოგიური და საშუალო მაღალტექნოლოგიური მრეწველობის განვითარებაზე. ამ მოცემულობის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სექტორის გაძლიერება, განსაკუთრებით, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მიმართულების კუთხით. აღნიშნული საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიაში განხილულია, დამუშავებულია და გაანალიზებულია საქართველოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების, შექმნილი დამატებული ღირებულების, ექსპორტისა და იმპორტის მხრივ, საერთაშორისო მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც თავის მხრივ, საინტერესო უნდა იყოს დაინტერესებული მკითხველისთვის.

საკვანძო სიტყვები: *მაღალტექნოლოგიური მრეწველობა, საგარეო ვაჭრობა, დამატებული ღირებულება, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები*

საქართველოს ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება, რისთვისაც საჭიროა განათლებისა და მეცნიერების სფეროს ხელშეწყობა.

სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას ქვეყანაში მაღალი ტექნოლოგიების მოზიდვა და დანერგვა უნდა წარმოადგენდეს. აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერების მიზნით, აუცილებელია ხელი შეეწყოს ისეთი მიმართულებების დაფინანსებასა და განვითარებასაც, რომლებიც დაკავშირებულია კვლევებისა და დამუშავებების (R&D) სექტორთან. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევებისა და დამუშავებების დარგის კომერციალიზაცია დაეხმარება ისეთი მიმართულებების ურთიერთთანამშრომლობას, როგორებიცაა ბიზნესსექტორი და განათლება.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით, აუცილებელია აგრეთვე იმ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძიება და, რაც მთავარია, მათი შემოდინების შესაბამისი ხელშეწყობა, რომელთა მთავარი პრიორიტეტია მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვა (საქართველოს მთავრობა, 2014, გვ. 40-48). როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ცოდნის ეკონომიკაზე, ხშირ შემთხვევაში მას ვაკავშირებთ მაღალ ტექნოლოგიებთან, ინოვაციური პროდუქციისა და მომსახურების შექმნასთან, სრულიად ახალ ეკონომიკურ დისკურსთან, რაც თავის მხრივ, თანამედროვე, სოციალურ ქსელებზე პორიენტირებული საზოგადოებისთვის კარგად ადაპტირებადია.

საქართველოში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების, ექსპორტისა და იმპორტის სტატისტიკის ზოგადი ანალიზი

სანამ უშუალოდ შევეხებით საქართველოში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების, ექსპორტისა და იმპორტის, აგრეთვე, იქ შექმნილი დამატებული ღირებულების სა-

კითხს, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს უშუალოდ მაღალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის განსაზღვრა ევროსტატის შესაბამისი მეთოდოლოგიის მეშვეობით (EUROSTAT, 2020). აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მრეწველობა შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად. ესენია:

- მაღალტექნოლოგიური (High-Technology) მრეწველობა;
- საშუალო მაღალტექნოლოგიური (Medium-Hightechnology) მრეწველობა;
- საშუალო დაბალტექნოლოგიური (Medium-Lowtechnology) მრეწველობა;
- დაბალტექნოლოგიური (Low-Technology) მრეწველობა.

ევროსტატის მეთოდოლოგიის თანახმად, მრეწველობის ტექნოლოგიურ კატეგორიებში ეკონომიკური საქმიანობები შემდეგნაირად არის განაწილებული (EUROSTAT, 2020):

- **მაღალტექნოლოგიური მრეწველობა**:
  - ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტისა და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება;
  - კომპიუტერის (სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციის ჩათვლით), ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება.
- **საშუალო მაღალტექნოლოგიური მრეწველობა**:
  - ქიმიური პროდუქტის წარმოება;
  - ელექტრონული საშუალებების წარმოება;
  - მანქანური აღჭურვილობის წარმოება;
  - ავტომობილების, მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტომობილების წარმოება;
  - სხვა ტრანსპორტისა და მათი აღჭურვილობის წარმოება.
- **საშუალო დაბალტექნოლოგიური მრეწველობა**:
  - კოქსისა და დახვეწილი ნავთობპროდუქტის წარმოება;
  - რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის წარმოება;
  - სხვა არალითონური მინერალის წარმოება;
  - ძირითადი ლითონების წარმოება;
  - ნაწარმის წარმოება;
  - მანქანები და მოწყობილობა;
  - მანქანებისა და მოწყობილობების შეკეთება და მონტაჟი.
- **დაბალტექნოლოგიური მრეწველობა**:
  - კვების პროდუქტის, სასმელის, თამბაქოს ნაწარმის, ტექსტილის, ტანსაცმლის, ტყავის წარმოება;
  - ხისა და ხის პროდუქტების წარმოება;
  - ქაღალდისა და ქაღალდის ნაწარმის წარმოება,
  - ბეჭდვა და ჩაწერილი მედიის რეპროდუქცია;
  - ავეჯის წარმოება.

ტექნოლოგიური ინოვაცია იძლევა საშუალებას, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა განახორციელონ საწარმო პროცესის უკეთ ავტომატიზება, სხვადასხვა მარკეტინგული

აქტივობა და ა.შ. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმეებს უჩნდებათ მნიშვნელოვანი ინოვაციური იდეები. ისინი ახორციელებენ ბაზრის კვლევას და მიღებული შედეგების საფუძველზე აუმჯობესებენ პროდუქციასა და მომსახურებას. აღსანიშნავია, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არიან, მაგალითად, გერმანია, ფინეთი, იტალია, მცირე და საშუალო ბიზნესები მთავრობისგან იღებენ გარკვეულ თანადაფინანსებას ინოვაციური პროექტების დასანერგავად (Crespi, Zuniga, 2010, pp.40).

ევროსტატის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, საქართველოში მრეწველობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების დინამიკა 2019-2016 წლებში. აღნიშნული მონაცემები (იხ. გრაფიკი 1) დამუშავებულია ამ სტატიის ავტორის მიერ, საქსტატის ორგანიზებით განხორციელებული საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა ბაზის ანალიზის საფუძველზე (საქსტატი, 2020ბ):

გრაფიკი 1



როგორც გრაფიკი 1-დან ჩანს, საქართველოში მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების უდიდესი ნაწილი ორ კატეგორიას – საშუალო დაბალ და დაბალ ტექნოლოგიებს მოიცავს. 2019 წელს მაღალ ტექნოლოგიებში შექმნილი დამატებული ღირებულება 113 მლნ. ლარს შეადგენდა (13,3%-ით მეტი, ვიდრე 2018 წელს). რაც შეეხება საშუალო მაღალ ტექნოლოგიებს, ამ კატეგორიაში შექმნილი დამატებული ღირებულება 2019 წელს დაახლოებით 201 მლნ. ლარით განისაზღვრა, ეს კი 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით უმნიშვნელოდ არის გაზრდილი (დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარით). ასევე უმნიშვნელოდ განსხვავდება 2019 და 2018 წლებში საშუალო დაბალი ტექნოლოგიების კატეგორიებში შექმნილი დამატებული ღირებულება. რაც შეეხება დაბალ ტექნოლოგიებში შექმნილ დამატებულ ღირებულებას, 2019 წლის მაჩვენებელი, 2018 წელთან შედარებით, 9,9%-ით არის მომატებული. ტექნოლოგიების კატეგორიებში შექმნილი დამატებული ღირებულების უკეთ შესაფასებლად ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მათი პროცენტული განაწილების დინამიკის ანალიზი 2016-2019 წლებში (იხ. დიაგრამა 1). აღნიშნული მონაცემები დამუშავებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ორგანიზებით განხორციელებული საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა ბაზის ანალიზის საფუძველზე (საქსტატი, 2020ბ):

დიაგრამა 1



როგორც დიაგრამა 1-დან ჩანს, დაბალ ტექნოლოგიებში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი 2016-2019 წლებში არასოდეს ჩამოსულა 50%-ზე დაბლა. რაც შეეხება საშუალო დაბალ ტექნოლოგიებს, ამ შემთხვევაში წილი 32-38%-ს შორის მერყეობს. აღნიშნული დიაგრამა მიგვანიშნებს, რომ საქართველოს მრეწველობის სექტორი ხშირ შემთხვევაში ეფუძნება დაბალ ან საშუალო დაბალ ტექნოლოგიებს, რაზეც მეტყველებს ის გარემოება, რომლის მიხედვითაც, 2019 წელს ამ კატეგორიაში შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამური წილი 89,3%-ით არის განსაზღვრული, ხოლო 2018 წელს – 89,1%-ით. ანალოგიური მაჩვენებელი 2017 წელს – 88,5%-ს შეადგენს, 2016 წელს კი – 90,6%-ს. საგულისხმოა, რომ საშუალო მაღალტექნოლოგიურ კატეგორიაში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი არასდროს ყოფილა 8%. ამ მიმართულებით ყველაზე მაღალი ნიშნული – 7,7% ფიქსირდება 2017 წელს, ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი სულ რაღაც 6,9%-ით არის განსაზღვრული. რაც შეეხება მაღალი ტექნოლოგიების კატეგორიაში შექმნილი დამატებული ღირებულების წილს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 3,9% დაფიქსირდა 2019 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი – 3,5% 2016 წელს (დეტალურად იხ. დიაგრამა 1).

საინტერესოა, როგორი ტენდენციით ხასიათდება იგივე სამრეწველო ტექნოლოგიური კატეგორიები საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისით (საქსტატი, 2019). ამ მიზნის მისაღწევად ავტორის მიერ საგარეო ვაჭრობაში გამოყენებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (HS 2012) შესაბამისი კოდები (საქსტატი, 2012) გადაყვანილ იქნა ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების პროდუქციის კლასიფიკატორის (CPA 2008) კოდებში საგანგებოდ მომზადებული გადამყვანის მეშვეობით (საქსტატი 2020ა).

ცხრილი 1

სამრეწველო პროდუქციით საგარეო ვაჭრობა ტექნოლოგიური კატეგორიების მიხედვით 2016-2019 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

		2016	2017	2018	2019
ბრუნვა	მაღალი ტექნოლოგია	946,2	1 094,6	1 155,9	1 162,0
	საშუალო მაღალი ტექნოლოგია	2 562,6	2 764.6	3 583,4	4 152,5
	საშუალო დაბალი ტექნოლოგია	723,7	963,1	1 020,0	1 016,3
	დაბალი ტექნოლოგია	2 407,7	2 704,6	3 081,4	2 989,0
		2016	2017	2018	2019
იმპორტი	მაღალი ტექნოლოგია	810,3	917,3	964,1	924,0
	საშუალო მაღალი ტექნოლოგია	2 219,3	2 264,4	2 812,4	3 030,5
	საშუალო დაბალი ტექნოლოგია	1 721,4	1 916,8	2 259,2	2 161,5
	დაბალი ტექნოლოგია	1 674,2	1 862,1	2 051,0	2 002,7
		2016	2017	2018	2019
ექსპორტი	მაღალი ტექნოლოგია	135,8	177,3	191,7	237,9
	საშუალო მაღალი ტექნოლოგია	343,2	500,2	771,0	1 122,0
	საშუალო დაბალი ტექნოლოგია	364,6	590,6	671,9	589,4
	დაბალი ტექნოლოგია	733,4	842,5	1,030,4	986,2
		2016	2017	2018	2019
სალდო	მაღალი ტექნოლოგია	-674,4	-739,9	-772,4	-686,1
	საშუალო მაღალი ტექნოლოგია	-1 876,1	-1 764,2	-2 041,3	-1 908,5
	საშუალო დაბალი ტექნოლოგია	-1 356,8	-1 326,2	-1 587,2	-1 572,1
	დაბალი ტექნოლოგია	-940,8	-1 019,5	-1 020,7	-1 016,5

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისით, ოთხივე ტექნოლოგიურ კატეგორიაში უარყოფითი სალდო ფიქსირდება. საინტერესოა ასევე ის გარემოებაც, რომლის მიხედვითაც, 2019 წელს საქართველოში იმპორტირებული ტექნოლოგიური კატეგორიების 51,3% საშუალო დაბალ და დაბალ ტექნოლოგიებზეა განაწილებული. რაც შეეხება მაღალ ტექნოლოგიებს, ამ შემთხვევაში იმპორტის წილი 11,4%-ით არის წარმოდგენილი. ეს ტენდენცია მეტ-ნაკლები ერთგვაროვნებით ხასიათდება წინა პერიოდებშიც (იგულისხმება 2018-2016 წლები). რაც შეეხება იმას, რომ 2019 წელს საშუალო მაღალტექნოლოგიური კატეგორიის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2018-2016 წლებთან შედარებით, უწინარესად, გამოწვეულია საავტომობილო საშუალებების რეექსპორტის მოცულობის ზრდით. მთლიანობაში, ცხრილ 1-ში ნაჩვენები უარყოფითი სალდო, მათ შორის, დაბალი ტექნოლოგიების კატეგორიაშიც, ცალსახად მიუთითებს საქართველოს ეკონომიკაში მაღალი ტექნოლოგიების უმნიშვნელო წვლილზე. რა თქმა უნდა, აქვე მაღალ ტექნოლოგიებზე აქცენტის გაკეთება თავის მხრივ არ გამორიცხავს ისეთი დარგების აუცილებლობას, რომლებიც დაკავშრებულია დაბალ ტექნოლოგიებთან. ის ქვეყნები, რომლებიც აწარმოებენ მაღალ ტექნოლოგიებს, უარს არ ამბობენ დაბალტექნოლოგიური პროდუქციის (მაგალითად, კვების მრეწველობა) წარმოებაზე (პაპავა, 2018ა, გვ. 39). საგუ-

ლისხმოა ისიც, რომ ქვეყანა ორიენტირებული უნდა იყოს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე, რომლის ფარგლებში ასევე პრესტიჟული იქნება სამეცნიერო საქმიანობა, განსაკუთრებით – ზუსტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული დარგები. ყოველივე ამის გარეშე შეუძლებელია, საქართველო გახდეს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა (პაპავა, 2018ბ).

დასკვნა და რეკომენდაცია

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკაში მაღალი ტექნოლოგიების მოზიდვა და შესაბამისად, მათი შესაბამისი გამოყენება არის იმის უმთავრესი წინაპირობა, რომ ქვეყანაში შეიქმნას კონკურენტუნარიანი, საზოგადოებაში არსებული მოთხოვნების შესაბამისი ინოვაციური პროდუქცია. მაღალი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა თავის მხრივ, აგრეთვე განაპირობებს ქვეყნის რეტროეკონომიკის წიაღიდან თავის დაღწევას. ეს კი, ბუნებრივია, საბოლოოდ დადებითად აისახება საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზეც. ინოვაციური პროექტების განხორციელებისას უმთავრესი ყურადღება უნდა გამახვილდეს მაღალტექნოლოგიური და საშუალო მაღალტექნოლოგიური მრეწველობის განვითარებაზე. ჩემი აზრით, ღვინისა და მინერალური სასმელის წარმოება და მათი ექსპორტი ნამდვილად არ არის ცუდი, თუმცა მხოლოდ ეს მიმართულება ქვეყნის ეკონომიკას ვერ განავითარებს. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, მრეწველობაში გაიზარდოს მაღალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული და პროდუქციის წილი. საგულისხმოა, რომ განსაკუთრებით COVID-19 ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი დაღი დაასვა ტრადიციულ ეკონომიკურ მიდგომებს (Frankel, 2020). აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, პოსტკორონომიკურ ეპოქაში მაღალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინოვაციური იდეების ღირებულება საგრძნობლად უნდა გაიზარდოს როგორც მსოფლიოში, ასევე – საქართველოში.

ლიტერატურა:

1. საქსტატი, (2012). *საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (HS 2012).* თბილისი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://www.geostat.ge/media/13418/12-HS-2012_GEO.pdf>.
2. საქართველოს მთავრობა, (2014). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020“.* თბილისი, საქართველოს მთავრობა, <http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf>.
3. პაპავა ვ., (2018ა). *დამწვავი და ჩამორჩენილი ზრდა – ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო.* ექსპერტის აზრი, № 99. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/99-expert-opinion-geo.pdf>.
4. პაპავა ვ., (2018ბ). „საქართველოს ეკონომიკა „ტურისტულ ხაფანგში“. *რონდელის ბლოგი,* 25 ივლისი, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/854>.
5. საქსტატი, (2019). *საგარეო ვაჭრობა.* დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის იმპორტი და ექსპორტი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
6. საქსტატი, (2020ა). *პროდუქციის კლასიფიკაცია საქმიანობის სახეების მიხედვით (CPA 2008).* თბილისი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://www.geostat.ge/media/30987/CPA-2008_Geo.pdf>.
7. საქსტატი, (2020ბ). *მაღალი ტექნოლოგიების სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება 2016-2019 წლებში.* საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა ბაზა. თბილისი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
8. Crespi G., Zuniga P., (2010). *Innovation and Productivity: Evidence from Six Latin American Countries.* Inter-American Development Bank (IDB) Working Paper Series, No 74, <https://publications.iadb.org/en/innovation-and-productivity-evidence-six-latin-american-countries>.

9. EUROSTAT, (2020). *Eurostat Indicators on High-Tech Industry and Knowledge – Intensive Services*. Luxemburg, European Commission, <https://ec.europa.eu/eurostat/cache/metadata/Annexes/htec_esms_an3.pdf>.
10. Frankel J., (2020). "The Pandemic Pain of Emerging Markets." *Project Syndicate – The World's Opinion Page*, July 31, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-will-hit-emerging-and-developing-economies-hardest-by-jeffrey-frankel-2020-07?a_la=english&a_d=5f240c4df2873622d0eb736b&a_m=&a_a=click&a_s=&a_p=%2Farchive&a_li=covid19-will-hit-emerging-and-developing-economies-hardest-by-jeffrey-frankel-2020-07&a_pa=archive-results&a_ps=&a_ms=&a_r=&barrier=accesspaylog>.

The Main Trends of high-tech Production Export and Import in Georgia

Giorgi Sanadze
PhD in Economics

SUMMARY

The role of high-tech based economy is increasing gradually in the modern world and has an appropriate impact on the development of certain counties economy. In this angle, the existing relevant environment in Georgia is not so favorable. It has to be noted that the widespread introduction of high-tech-based production and services ensures minimizing the effect of the retro economy in the whole country which at the same time will make a positive reflection on the wellness of the population. Implementation of these types of initiatives, the main focus should be definitely be on the development of high-tech and medium-tech industries. The successful realization of this precondition could be considered strengthening of the education and science sector, especially in terms of exact and natural science. The following article includes a review and brief analysis of data on high-tech-based products, their export and import, and value-added regarding the official statistical information which is at the same time would be very interesting for the public. Therefore, attracting and using high technologies in the Georgian economy in general could be a precondition for creating competitive products in the country that can meet the appropriate requirements existing in the society. Implementation of the innovation-based projects could be including only the high and medium high technological industry in accordance to international categories. Production of wine and beverages as well as mineral water and its export does not gain negative value of course but this direction would not be fully profitable for the Georgia's economy at all. This process should be done through the growing of high-tech based production and service share in the total economy. Noteworthy, that COVID-19 pandemic processes in particular made significant impact on the traditional economic approaches. Thus, innovative ideas linked to high technology especially in post COVID era could play an important role both in the world and in Georgia.

Key words: *High-tech Production, External Trade, Value Added, Foreign Direct Investments.*

თეორიული ეკონომიკა და ეკონომიკური ზრდა

რუსუდან სირბილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

მეცნიერული ნაშრომი თეორიული ეკონომიკა და ეკონომიკური ზრდა ეხება თანამედროვე თეორიული ეკონომიკის კანონზომიერებებს, იკვლევს პანდემიის კორონა-19 ვირუსის პირობებში ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს, პანდემიამ მოიცვა განვითარებული ქვეყნები: ამერიკა, გერმანია, ინგლისი, ესპანეთი, იტალია, განვითარებადი: რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და ჩამორჩენილი ქვეყნებიც. პანდემიის განვითარება დიდი ტემპებით დაიწყო. ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია და მასთან ერთად ყველა ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრო რეკომენდაციებს ავრცელებდა და მათ დაცვას თხოვდა მთელ საზოგადოებას. ვირუსის თავიდან ასაცილებლად მოსახლეობას სთავაზობდნენ დაეცვათ ნორმების მთელი რიგი.. უნდა დადგინდეს რა უშლის ხელს ეკონომიკურ ზრდას გლობალიზაციის პირობებში,, გამოჩნდეს ეკონომიკის ყველა დარგში წარმოქმნილ პრობლემები, რაც გვაძლებს შესაძლებლობას განვსაზღვროთ და დავადგინოთ ის გზები, რამაც ეკონომიკა განვითარებამდე უნდა მიიყვანოს და თითოეული ეკონომიკური სუბიექტის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ეკონომიკური ზრდა გამოიწვიოს.. ამ პირობებში როგორი გადაწყვეტილების მიღება უწევთ ფირმებს, კომპანიებს, საოჯახო მეურნეობებს, მთავრობას. როგორ ფუნქციონირებენ ბაზრები, როგორ ხდება ეკონომიკური მოვლენების და პროცესების ანალიზი, რა უშლის ხელს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. როგორ შეიძლება შემუშავდეს ღონისძიებათა პაკეტი პრობლემების მინიმიზაციისთვის, ეკონომიკის განვითარების, ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური ზრდისთვის.

საკვანძო სიტყვები: *თეორიული ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდა, პანდემია კოვიდ-19, ეკონომიკური პრობლემები, გლობალიზაცია.*

თანამედროვე ეკონომიკა ყოველთვის აწყობილია განვითარებაზე, წარმატებაზე, ეკონომიკურ ზრდაზე, და იმაზე, რაც შეძლებს თითეული ჩვენგანის უკეთეს ეკონომიკურ პირობებში აღმოჩენას. ამისთვის მთელი რიგი ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი. დღეს ქვეყნის ეკონომიკა არნახულ გასაჭირშია ყოველმხრივ: წარმოება გაჩერებულია, დასაქმება შემცირებულია, უმუშევრობა გაზრდილია, ეკონომიკური ზრდა დაბალია, ამას ემატება პანდემიური მდგომარეობა, რომელიც მსოფლიოში 2019 წელს დაიწყო, საქართველოში ის 2020 წელს გავრცელდა. პანდემიამ ძირფესვიანად დაანგრია ადრე მოპოვებული მიღწევები. პანდემიით გამოწვეული ეკონომიკა რთულ ვითარებაში აღმოჩნდა როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში. ისედაც სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია: აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, სინგაპურში, სამხრეთ კორეასა და ტაივანში, საშუალო შემოსავალი ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყოველწლიურად 7 % -ით იზრდებოდა, ზრდის ასეთი ტემპის შემთხვევაში საშუალო შემოსავალი ყოველ 10 წელიწადში ერთხელ ორმაგდება, ამ უღარიბესმა ქვეყნებმა უმოკლეს დროში მოიპოვეს ადგილი მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებს შორის. მათგან განსხვავებით ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში, მაგალითად: ჩადში, ეთიოპიასა და ნიგერიაში, საშუალო შემოსავალი წლების განმავლობაში არ იცვლება. რით შეიძლება უზრუნველყონ მდიდარმა ქვეყნებმა ცხოვრების მაღალი დონის შენარჩუნება, და რა პოლიტიკა უნდა გაატარონ ღარიბმა ქვეყნებმა სწრაფი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად. ეკონომიკური ზრდა ადამიანის ეკონომიკური კეთილდღეობის საწყისია, ხოლო რეალური მთლიანი შიგა პროდუქტი ეკონომიკური კეთილდღეობის კარგი მაჩვენებელი. რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა ეკონომიკური პროგრესს უწყობს ხელს. გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში რეალური მშპ-ს გადახრები განვითარების ტენდენციებიდან გვესაუბრება იმაზე, რო-

გორ განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრების დონეები. ცხოვრების დონეები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. აშშ-ში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი ჩინეთის შესაბამის შემოსავალზე 7-ჯერ მეტია, ხოლო ინდოეთის შესაბამის შემოსავალზე -13 ჯერ მეტია. საქართველოში 2011 წლიდან 2020 წლის ჩათვლით ეკონომიკური ზრდა და ერთ მოსახლეზე შემოსავალი 7,4 -დან -4,9 % მდე მერყეობდა. (ცხრილი 1)

ცხრილი 1



2019-2021 წწ პანდემიის კოვიდ-19 ის გავრცელებამ ეკონომიკურ პროცესებს და მოვლენებს განსაკუთრებული ზიანი მიაყენა, თუმცა არსებობდნენ ისეთი კომპანიები, რომლებმაც ამ პერიოდშიც კი განსაკუთრებულ მოგებას მიაღწიეს. მაგ. Apple-64, Microsoft-51, Saudi Aramco 49, ICBC- 46, Alphabet- 40 მილიარდის მოგებას მიაღწიეს 2020 წელს, ხოლო საქართველოში ეკონომიკური ზრდა 5,0 %-დან -4.9%-მდე შემცირდა. (ცხრილი 2) ასევე ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალმა მკვეთრად მოიკლო. პანდემია: სახელად კორონა-19 ანუ გვირგვინი ვირუსი-19, ამ ვირუსმა მოიცვა განვითარებული ქვეყნები: ამერიკა, გერმანია, ინგლისი, ესპანეთი, განვითარებადი: რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და ჩამორჩენილი ქვეყნებიც. პანდემიის განვითარება დიდი ტემპებით დაიწყო. ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია და მასთან ერთად ყველა ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრო რეკომენდაციებს ავრცელებდა და მათ დაცვას თხოვდა მთელ საზოგადოებას. ვირუსის თავიდან ასაცილებლად მოსახლეობას სთავაზობდნენ დაეცვათ ნორმების მთელი რიგი. კორონა ვირუსის

ცხრილი 2

გავლენით მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა ყველა იმ ქვეყნის ეკონომიკას, სადაც ის იყო გავრცელებული. ყოველივე ეს გამოწვეულია წარმოების და ვაჭრობის შემცირებით. თანამედროვე ეკონომიკა ყოველთვის აწყობილია განვითარებაზე, წარმატებაზე, ეკონომიკურ ზრდაზე, და იმაზე, რაც შეძლებს თითეული ჩვენგანის უკეთეს ეკონომიკურ პირობებში აღმოჩენას. ამისთვის მთელი რიგი ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი. დღეს კოვიდ-19 ის გავრცელებამ პრობლემები შექმნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში, სხვადასხვა ეკონომიკის დარგებში და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში. უნდა გაირკვეს ამ პირობებში როგორი გადაწყვეტილების მიღება უწევთ ფირმებს, კომპანიებს, საოჯახო მეურნეობებს, მთავრობას, როგორ ფუნქციონირებენ ბაზრები, როგორ ხდება ეკონომიკური მოვლენების და პროცესების ანალიზი, რა პრობლემები უშლის ხელს ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას. როგორ შეიძლება შემუშავდეს ღონისძიებათა პაკეტი აღნიშნული პრობლემების მინიმიზაციისთვის, ეკონომიკის განვითარების, ეკონომიკური ზრდის და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის. კაპიტალის ბაზრის განვითარება ეფექტიანად და გრძელვადიანად უნდა მიმდინარებდეს, მისი სრულყოფა დამოკიდებულია ქვეყნის მართვის კეთილ ნებაზე. ასევე კაპიტალის ბაზრის განვითარებით ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა რადგან ის ხელს უწყობს თითოეული ეკონომიკური სუბიექტის შემოსავლების და დანაზოგების დაგროვების ზრდას, რაც შემდგომ ეტაპზე ინვესტიციებად მის გარდაქმნას უწყობს ხელს. მიუხედავად ამისა, აუცილებელია პორტფელური ინვესტიციების მოზიდვა. თანამედროვე პირობებში ეს გამოიწვევს წარმოების და მუშახელის დასაქმების გაზრდას, რაც თავის მხრივ შეამცირებს უმუშევრობას. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულია ინოვაციების წახალისება. ეკონომიკას ადვილად უნდა შეეძლოს მოერგოს როგორც ქვეყანაში ისე მის ფარგლებს გარეთ გამოგონებულ და მიღებულ სიახლეებს, რადგან განვითარება ძირითადად ინოვაციებს ეფუძნება. დასაქმებულთა უნარების ამაღლება, და პროფესიული კუთხით მათი გადამზადება ძალინ მნიშვნელოვანია. ადამიანური რესურსების მდგრადი გაუმჯობესება, მათი შესაძლებლობების და პოტენციალის განვითარება შრობის ბაზართან მორგებული და მასზე ორიენტირებული უნდა იყოს. შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება დასაქმების ხელშეწყობასაც გულისხმობს. ეს კი იმავდროულად დასასაქმებელი ადამიანების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. აუცილებელია ბიზნესისთვის კონკურენტული გარემოს შექმნა. ეს შესაძლებელია კანონმდებლობით და გამჭირვალეობით, კორუფციაზე უარის თქმით და ზოგადად მთავრობის ხარჯების კონტროლით. ანგარიშვალდებულებით, კეთილსინდისიერებით. რეკომენდაციებით. გლობალიზაციაში მონაწილეობით, რადგან გლობალიზაციამ ფართო მნიშვნელობა შეიძინა, მოვლენები, რომელიც არსებობს მხოლოდ ერთ ქვეყანაში არსებობს მსოფლიოშიც, პანდემიამაც კი მსოფლიო მნიშვნელობა შეიძინა და მასთან ბრძოლაც მსოფლიო ორგანიზაციების ჩართულობით და მათთან შეთანხმებით ხორციელდება. გლობალიზაციის საკმაოდ მნიშვნელოვანი სფერო ეკონომიკაა. დღეს, როგორც არასდროს უზარმაზარი ფინანსური მოძრაობაა, ფული გადაადგილდება სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე ახალი ტექნოლოგიების, სრულიად ახალი პლატფორმების აუცილებლობამ თუნდაც პანდემიის გამო სრულიად ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ამ მხრივაც გლობალიზაცია თავის მნიშვნელოვან სიტყვას ამბობს. ინფორმაციები დიდი სისწრაფით გადაეცემიან მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. მაქსიმალური დაახლოვება მიმდინარეობს კონტინენტების და ცივილიზაციების. ეს პროგრესი ხელს უწყობს მსოფლიოს განვითარებას. გლობალიზაციის როლის ნათელყოფისთვის შექმნილია მეცნიერება გლობალისტიკა, ის ბევრ მეცნიერებას ერთად უყრის თავს, პოლიტოლოგიას, სოციოლოგიას, ისტორიას, ფილოსოფიას,

ეკონომიკას, კულტუროლოგიას, სამართალმცოდნეობას და ა.შ. რასაკვირველია არსებობენ „ ‑ “•‘–,”‑ ‑ ,‘‡•—‑‘“, ისინი ეწინააღმდეგებიან გლობალიზაციის პროცესს, თუმცა ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია, იმდენად თავისთავად, ყველასგან დამოუკიდებლად ვითარდება მსოფლიოში ამას ვერავინ შეეწინააღმდეგება, მთავარია არ დაიკარგოს ქვეყნებისთვის ის ღირებულებები, რომლებზეც დგას თითოეული ქვეყანა და მათ შორის საქართველო. ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია წარმოების ხელშეწყობა და მდგრადი სრულყოფა. ამისთვის დანაზოგების გამოყენებას, ინვესტიციების მოზიდვას, სასეხო კაპიტალის ბრუნვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. უფრო მეტიც, დღეს, როგორც არასდროს საუბრობენ საასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებაზე. თითოეულ ადამიანს მოუწოდებენ იქონიოს საკარმიდამო ნაკვეთი და იქ მოიყვანოს ის პროდუქცია, რომელიც ყველაზე მეტად სჭირდება ადამიანს ყოველდღიური მოხმარებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ისეთი დრო , როცა გაჩნდება საკვები პროდუქტების დეფიციტი და ის არ იქნება საკმარისი ყველასთვის. მაგრამ აქ არ იგულისხმება, რომ წარმოება არ ვითარდებოდეს არ შემოდიოდეს ინვესტიციები და არ ვითარდებოდეს ეკონომიკა. ამ ყოველივეს უნდა ამყარებდეს

1. კანონი, რომელიც არეგულირებს უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, კანონის მეშვეობით უნდა დადგინდეს სამართლებრივი ნორმები, რომელიც მიიღება დებულებების და პრინციპების საფუძველზე და მათ განსავითარებლად. 2. კანონმორჩილება. პროგრესის პარალელურად იზრდება ადამიანის მოთხოვნა და ამ მოთხოვნათა სტანდარტიც. იცვლება პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებები, მმართველობის ფორმები და წესები. მსოფლიოში ქვეყნების უმრავლესობამ განიცადა ტრანსფორმაცია და ჩამოყალიბდა როგორც სამართლებრივი სახლმწიფო, რომელსაც გააჩნია მაღალი სამართლებრივი კულტურა და იმართება შესაბამისი კანონების საფუძველზე. სამართლებრივ სახელმწიფოში უმაღლესი სამართლებრივი ღირებულება ადამიანია, მისი ღირსებებით, უფლებებით და თავისუფლებით. შესაბამისად სახელმწიფოც და ეკონომიკაც უნდა ემსახურებოდეს ადამიანს და მორგებული უნდა იყოს მისი ზრდადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ასევე ორიენტირი უნდა იყოს 21-ე საუკუნის განსაკუთრებული ღირებულებები. 3. სასამართლოს დამოუკიდებლობა. სასამართლოს დამოუკიდებლობის გამყარებისა და მდგრადი განვითარებისთვის ზრუნავს ყველა განვითარებული ქვეყანა. რადგან სიტყვის თავისუფლება ერთნაირი ინტერესის სფეროა როგორც ინვესტორისთვის, ისე ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის. 4. მარტივი საგადასახადო სისტემა, საგადასახადო სისტემა ყოველთვის დავის საკითხია, როგორც ეკონომისტებს ასევე პოლიტიკოსებს შორის. მაღალი საგადასახადო სისტემა რთულ ვითარებას უქმნის, როგორც მეწარმეებს, ასევე წარმოებაში დასაქმებულ პირებს, რადგან დიდი ალბათობით გაზრდილი გადასახადები გაზრდის საქონლის ფასს, ეს საქონელი ვერ გაუძლებს კონკურენციას და შესაძლებელია გაკოტრდეს მეწარმე, რაც თავისთავად აისახება დასაქმებულთა შემცირებაში, ხელფასების და შემოსავლების კლებასა, უმუშევრობის ზრდასა სხვა ნეგატიურ პროცესებში. 5. დაბალი საგადასახადო წნეხი. მთავრობის განცხადებით ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საგადასახადო წნეხი აქვს ბიზნესს საქართველოში. 2018 წლის მსოფლიო ბანკის დასკვნით ჯამური საგადასახადო განაკვეთი 9,9 % იყო, რითაც მსოფლიოში მე-3 ადგილზე მოვიაზრებოდით. თუმცა ამან განსაკუთრებულად ვერ შეუწყო ხელი ეკონომიკის ზრდას. 6. გამართული,. განვითარებული და მოქნილი ინფრასტრუქტურა ქვეყნის განვითარების მთავარი და აუცილებელი პირობაა და უზრუნველყოფს, როგორც ეკონომიკის

ასევე ყველა საზოგადოებრივი მექანიზმის გამართულ მუშაობას. გამართული და სწორი მიმართულებით დაგეგმილი ეკონომიკის მიზანი და შედეგი შესაბამისობაშია და ხელს უწყობს სხვა დარგების განვითრებასაც.

7. საგადასახადო ინსტიტუტები. გადასახადის გადახდა აუცილებელი უნდა იყოს , როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისთვის. მის უზრუნველყოფას საგადასახადო ინსტიტუტები უნდა ახორციელებდნენ არა სუბიექტური შეხედულებებით, არამედ კანონთან სრულ შესაბამისობაში. 8. კორუფციის შეჩერება. კორუფციის თავიდან აცილების მიზნით უნდა გაიზარდოს პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვის შესაძლებლობები. რაც კორუფციის შესახებ კანონის სრული დაცვით და თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების სიზუს-ტეში უნდა აისახებოდეს. კორუფცია ისტორიულად ყოველთვის ხელს უშლიდა მსოფლიოში ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას და ის აუცილებლად დააზიანებს საგრძნობლად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასაც. 9. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2021 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 8 678.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 22.2 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 2 605.5 მლნ. აშშ დოლარი იყო (25.7 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 6 072.9 მლნ. აშშ დოლარი (20.7 პროცენტით მეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2021 წლის იანვარ-აგვისტოში 3 467.4 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.0 პროცენტი შეადგინა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ამოცანა უნდა იყოს ცხოვრების დონის ამაღლება, ცხოვრების დონის ამაღლების სტანდარტისთვის გამოიყენება მწარმოებლურობა. ამ მაჩვენებლით გამოიანგარიშება, როგორც მოსახლეობის შემოსავლები, ასევე მოხმარება. იმ ქვეყნებში, სადაც მაღალი მწარმოებლურობაა შემოსავლებიც და დასაქმებაც მაღალია, შესაბამისაად უმუშევრობა დაბალი.

ცხრილი 3

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021 I	2021 II	2021 III
სამუშაო ძალა (აქტიური მოსახლეობა), ათასი კაცი	1675.6	1653.8	1641.4	1605.2	1572.8	1523.7	1447.2	1559.1	1592.0
დასაქმებული, ათასი კაცი	1308.5	1294.5	1286.9	1296.2	1295.9	1241.8	1129.7	1214.6	1281.2
უმუშევარი, ათასი კაცი	367.2	359.2	354.5	309.0	276.9	281.9	317.5	344.6	310.8
უმუშევრობის დონე, პროცენტი	21.9	21.7	21.6	19.2	17.6	18.5	21.9	22.1	19.5

სამუშაო ძალის მაჩვენებლები

საქართველოში საქსტატის მონაცემებით 2021 წლის მესამე კვარტალში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით უმუშევრობის დონე გაზრდილია. თუ გასულ წელს ეს მაჩვენებელი 17% - იყო, 2021 წელს 19.5 %-ია. ამ ინფორმაციას საქსტატი აქვეყნებს. კორონა ვირუსის გავლე-ნით მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა ყველა იმ ქვეყნის ეკონომიკას, სადაც ის იყო გავრცელებუ-

ლი. აშშ-ში დაეცა აქციებზე ფასები, ევროპაში ბევრ სექტორში უმუშევრობა იქცა დიდი პრობლემად. ტურიზმის შემცირებამ, ავიარეისების გაუქმებამ სერიოზული ეკონომიკური ზარალი მიაყენა ტურიზმთან დაკავშირებულ ყველა სფეროს. გაჩერდა რესტორნები, სასტუმროები, ბაღები, მაღაზიები, ბაზრობები, მშპ შემცირდა, დაღი დაესვა მდგრად წარმოება, განათლება ძირითადად დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. ამან პირდაპირი ზემოქმედება იქონია საზოგადოების შემოსავლებზე და კეთილდღეობაზე. კვლევებით დასტურდება, რომ კორონა ვირუსმა 200-დამ 400 მილიარდამდე ზარალი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. ასევე გაეროს ბოლო კვლევები ადასტურებს, რომ გლობალური ეკონომიკური ზრდა დაეცა და იგი 2,5 % შეადგენს. საბოლოო ჯამში ეკონომიკური ზარალი ტრილიონზე მეტია. ყოველივე ეს გამოწვეულია წარმოების და ვაჭრობის შემცირებით. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ჩინეთში და ბევრ სხვა ქვეყანაში განიცდის ვარდნას, მცირდება ექსპორტი, იმპორტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. შემცირდა საგარეო ვაჭრობა, ევროკავშირის შეფასებები აცდა კოვიდის რეალობას. რუსეთში ეკონომიკური ზრდა შემცირდა 1.2 %-ით. მსოფლიოს სიდიდით მეორე ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, ჩინეთში, არაერთი კომპანია დაიხურა, მსგავსი სირთულეების წინაშე აშშ და ევროკავშირის განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიც დადგნენ [1, გვ. 14].

ფაქტია, რომ კორონავირუსმა ტურისტული სექტორი დააზარალა, სამგზავრო გადაზიდვებს ზიანი მიაყენა, საფონდო ბაზრებზე დაფიქსირებული ვარდნა კი ეკონომიკის რეალურ სექტორზე უშუალოდ აისახა [1, გვ. 14]. 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამოცდილებიდან გამომდინარე, ეკონომისტების ხელთაა ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა საგადასახადო შეღავათების დაწესება, ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების შემცირება და ლიკვიდურობის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება, მთავრობის მხრიდან მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებული ნაწილის სოციალური დაცვის გაძლიერება [1, გვ. 14]. რა თქმა უნდა, ამ ღონისძიებების გარდა, პრიორიტეტულია მთავრობის მიერ ჯანდაცვის დაფინანსების გაზრდა [1, გვ. 14]. ის, თუ რამდენად საკმარისია ამ ღონისძიებების გატარება კორონომიკური კრიზისის პირობებში, დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა დრო დასჭირდა მედიცინას კორონავირუსისგან სამკურნალო პრეპარატების, ასევე შესაბამისი ვაქცინის შექმნის, დამზადებასა და გავრცელებას [1, გვ. 14]. ასევე ვაქცინაციისთვის. საყურადღებოა, რომ ჩამოთვლილი ღონისძიებები, საბოლოო ანგარიშით, გამოიწვევს საბიუჯეტო დეფიციტის ზრდას და დიდი ალბათობით, ეს იქნება პანდემიით მოცული ყველა ქვეყნის საკმაოდ მნიშვნელოვანი პოსტკრიზისული პრობლემა [1, გვ. 14]. ასევე იზრდება უმუშევრობა სხვადასხვა ქვეყანაში: 2020 წლის მონაცემებით იაპონიაში უმუშევრობა წინა წელთან შედარებით 0.6% გაიზარდა, გერმანიაში 0.7%-ით, დიდ ბრიტანეთში 1.0%-ით,კანადაში-1.8%-ით, საფრანგეთში--1,9%-ით, იტალიაში-2,7-ით, აშშ-7.3 -ით. საქართველოში მოსახლეობა 3728,6 ათასი ადამიანია, მშპ ერთ სულზე 4255,7$, რეალური მშპ-ს ზრდა-6.8%, უმუშევრობოს დონე 19,5 %. დღეს, მსოფლიო უფრო გლობალიზებულია, როცა უკვე შექმნილია ვაქცინა, საქართველოში მოწოდებულია 4 სხვადასხვა ტიპის ვაქცინა, ფაიზერი, ასტრაზენეკა, სინოფარმი, სინოვაკი. მოსახლეობის მესამედი აცრილია, პანდემიის დამარცხება და პანდემიიდან გამოსვლა ანუ პანდექსიტი მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ეკონომიკური კრიზისის დამარცხებას, ეკონომიკის განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას.

ლიტერატურა:

1. პაპავა ვ., 2020. *კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი.* ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XII, გვ. 13-16
2. გრეგორი მენქიუ(2008), ეკონომიკის პრინციპები,
3. საქსტატის მონაცემები
4. საქართველოს კონსტიტუცია.

Theoretical Economy and Economic Growth

Rusudan Sirbiladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor, Academic Doctor of Economics

SUMMARY

The work concerns the theoretical economy and economic growth. Explores the processes of the Pandemic Corona in the conditions of the economy. Holds what problems prevent the economy in terms of globalization and how to overcome them. Things to bring economy to the development. What kind of economic package should we use for improvement and economic growth of life.

COVID-19 პანდემია და აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება

ნინო ტალიკაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთელს მსოფლიოსა და ქვეყნების ეკონომიკებზე. მოცემული სტატიის მიზანია შეაფასოს COVID-19 პანდემიის გავლენა აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებასა და მწარმოებლებზე საქართველოში, ასევე, დარგში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება პანდემიურ პირობებში.

ამ მიზნით დამუშავდა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წარმოების შესახებ ინფორმაცია. ასევე, გამოიკითხა 77 აგროსასურსათო პროდუქტის მწარმოებელი თუ ექსპორტიორი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული არხების გამოყენებით.

შედეგად, გამოვლინდა ძირითადი გამოწვევები და წარმოების პერსპექტივები, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების მწარმოებლებისთვის პანდემიის პერიოდში. კერძოდ, გამოკითხულთა 53,3% აცხადებს, პანდემიამ მათი პროდუქტის წარმოების მოცულობაზე რომ არ იმოქმედა, 23,4%-თვის შემცირდა წარმოების რაოდენობა, ხოლო 9,1%-ს შეეზღუდა პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე გატანა.

საკვანძო სიტყვები: *COVID-19 პანდემია, წარმოება, აგროსასურსათო პროდუქტი, ერთწლიანი კულტურები, მრავალწლიანი კულტურები*

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა COVID-19 პანდემიის გამო. ინფექციის გავრცელების შესაჩერებლად, ქვეყნების მთავრობებს სხვადასხვა შემაკავებელი გადაწყვეტილების მიღება მოუწიათ. COVID-19 პანდემიამ პრობლემები შეუქმნა ყველა სექტორს, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესს, მწარმოებლებს. შესაბამისად, საფრთხე შეუქმნა ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას.

ამ თემაზე ბევრი სამეცნიერო ნაშრომი გვხვდება ქართველი მკვლევრების მიერ შესრულებული. მაგალითად, მაგალითად, ეთერ ხარაიშვილი, ია ნაცვლიშვილი და თამარ ლაზარიაშვილი (2021), ელგუჯა მექვაბიშვილი (2021), მერაბ კაკულია და ნოდარ კაპანაძე (კაკულია & კაპანაძე, 2021), პაატა კოღუაშვილი და დავით მამუკელაშვილი (კოღუაშვილი & მამუკელაშვილი 2021), პაატა კოღუაშვილი და იოსებ არჩვაძე (კოღუაშვილი & არჩვაძე 2020), თეიმურაზ შენგელია და ზურაბ კირკიტაძე (შენგელია &კირკიტაძე 2020) და სხვები.

2020 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა შეისწავლის ეკონომიკური კრიზისის ძირითად მახასიათებლებს, რომელიც არის COVID-19 პანდემიის შედეგი. მკვლევრის აზრით, ეკონომიკა მედიცინის მძევალია (Papava, 2020). ასევე, 2020 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მკვლევარი ია ნაცვლიშვილი საუბრობს მდგრადი განვითარებისა და მდგრადი ბიზნეს მოდელის პერსპექტივებზე პოსტკოვიდურ ეპოქაში. მკვლევარის რეკომენდაციაა მთავრობებმა პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის აღდგენის ხელშემწყობ ღონისძიებებში უფრო მეტი აქცენტი გააკეთონ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასა და მდგრადი ბიზნეს მოდელების დანერგვის ხელშეწყობაზე (ნაცვლიშვილი, 2020).

სანამ ვისაუბრებთ უშუალოდ ცალკეული აგროსასურსათო პროდუქტის წარმოების საკითხებზე, მანამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია კერძოდ, თავდაპირველად საერთო ჭრილში განვიხილოთ ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წარმოების განვითარების ტენდენციები. შესაბამისი მაჩვენებლები წარმოდგენილია და დამუშავებულია ავტორის მიერ ოფიციალური სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილ ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე (იხ. დიაგრამები 1 და 2) .



დიაგრამა 1. ერთწლიანი კულტურების წარმოების მატების ტემპი, %



დიაგრამა 2. მრავალწლიანი კულტურების წარმოების ტემპი, %

დიაგრამებიდან ჩანს, რომ ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წარმოების დინამიკა წლიდან წლამდე ცვალებადია და დადებით მატების ტემპს ხშირად ცვლის უარყოფითი კლების ტემპი. მაგალითად, დიაგრამიდან 2.3.1 ირკვევა რომ ერთწლიანი კულტურების წარმოებაში ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი დაფიქსირდა 2011 წელს (38,8%), ხოლო ყველაზე დაბალი ზრდის ტემპი 2017 წელს (-22,4%). 2020 წელს, მიუხედავად პანდემიისა, ერთწლიანი კულტურების წარმოების ტემპი დადებითია და შეადგინა 7,85%. მსგავსი სიტუაციაა მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაშიც. დიაგრამიდან 2.3.2 ჩანს, რომ 2020 წელს, წინა წელთან შედარებით მატების ტემპი არის დადებითი, რომელმაც თითქმის 20%-ს მიაღწია. ყველაზე მაღალი დადებითი მატების ტემპი დაფიქსირებულია 2007 წელს (50,5%), ხოლო ყველაზე მაღალი უარყოფითი მატების ტემპი 2010 წელს (30,22%).

2020 წელს სასოფლო მეორნეობების 59%-ის ძირითადი ორიენტირი არის მემცენარეობის პროდუქციის წარმოება. საინტერესოა, რომ ეს მაჩვენებელი წინა წლის შედარებით გაზრდილია 2%-ით. სამწუხაროდ, იმ მეურნეობების წილი, რომლებმაც აწარმოეს პროდუქტი თითქმის სრულად გაყიდვისათვის (გაყიდეს 90% და მეტი) შეადგენს მხოლოდ 4,2%-ს. მეურნეობებმა, რომლებმაც აწარმოეს ძირითადად გაყიდვისათვის (გაყიდეს 50%-ზე მეტი და 90%-ზე ნაკლები) – 12,9%-ს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია იმის, ფონზე რომ მეურნეობების 94%-მდე აწარმოებს როგორც მხოლოდ მემცენარეობის ან მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციას. ამასთან, თითქმის 63% მეურნეობებისა აწარმოებს პროდუქტს თითქმის სრულად საკუთარი მოხმარებისთვის, ანუ ისინი ყიდიან 10%-ზე ნაკლებს თავისი პროდუქტისა.

ქართული აგროსასურსათო პროდუქტის წარმოების არსებული ტენდენციების განხილვა დავიწყეთ პირველ რიგში ერთწლიანი კულტურების წარმოების ანალიზით

ცხრილი 1 ერთწლიანი კულტურების წარმოება 2019 და 2020 წელს (ათასი ტონა)[1]

	2019	2020	2020/2019 წელთან შედარება	წილი მთლიან წარმოებაში 2020 წელს
ხორბალი, სულ	100.6	102.4	1.8%	11.0%
ქერი, სულ	53.5	45.4	-15.1%	4.9%
შვრია	3.0	2.3	-23.3%	0.2%
სიმინდი	207.1	255.0	23.1%	27.4%
ლობიო	5.9	5.2	-11.9%	0.6%
მზესუმზირა	2.6	1.9	-26.9%	0.2%
კარტოფილი	194.7	208.6	7.1%	22.4%
ბოსტნეული, სულ	161.1	176.1	9.3%	18.9%
ბაღჩეული, სულ	79.9	83.6	4.6%	9.0%
ერთწლიანი ბალახები თივად	10.0	10.4	4.0%	1.1%
მრავალწლიანი ბალახები თივად	45.7	41.0	-10.3%	4.4%

ცხრილიდან 1 კარგად ჩანს, რომ ერთწლიან კულტურების წარმოებაში პირველი სამეულია: სიმინდი, კარტოფილი და ბოსტნეული. მათი წილი ერთწლიანი კულტურების მთლიან წარმოებაში 2020 წელს არის, შესაბამისად, 27,4%, 22,4% და 18,9%. სწორედ ამ კულტურებზე მოდის ყველაზე მაღალი ზრდაც წინა 2019 წელთან შედარებით. კერძოდ, სიმინდის წარმოება 2019 წელთან შედარებით გაზრდილია 23,1%-ით, კარტოფილის - 7,1%-ით და ბოსტნეულის - 9,3%-ით. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით ყველაზე მეტად შემცირებულია მზესუმზირისა და შვრიის წარმოება, კერძოდ, -26,9%-ით და -23,3%-ით. აღსანიშნავია ისიც, რომ 2006-2020 წლების მონაკვეთში სწორად სიმინდზე, კარტოფილსა და ბოსტნეულზე მოდის ერთწლიანი კულტურების ძირითადი წარმოება. თავის მხრივ ბოსტნეულის წარმოებაში ლიდერობს: პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო და ბროკოლი. მაგალითად, 2020 წელს ბოსტნეულის მთლიანი წარმოებიდან პომიდორზე მოდის 39,5%, კიტრზე - 18,6%, ხოლო კომბოსტოზე, ყვავილოვან კომბოსტოსა და ბროკოლიზე - 16,8% (იხ. დანართები 7 და 8).

[1] გათვლილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით

კვლევის პროცესში ჩვენ, ასევე, გამოვიკვლიეთ ერთწლიანი კულტურებიდან რომელი მათგანი ხასიათდებოდა უფრო მაღალი ზრდის ტემპით. შედეგები მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილში 2. ერთწლიანი კულტურების საშუალოწლიური ზრდის ტემპი

	საშუალოწლიური ზრდის ტემპი
ხორბალი, სულ	1,03
ქერი, სულ	1,03
შვრია	1,04
სიმინდი	1,01
ლობიო	0,97
მზესუმზირა	0,88
კარტოფილი	1,02
ბოსტნეული, სულ	1,00
ბაღჩეული, სულ	1,06
ერთწლიანი ბალახები თივად	0,94
მრავალწლიანი ბალახები თივად	1,03

ცხრილიდან 2. იკვეთება შედარებით განსხვავებული სურათი. კერძოდ, სიმინდმა კარტოფილმა და ბოსტნეულმა დაკარგა ლიდერობა. საშუალოწლიური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი აქვთ ბაღჩეულს (მათ შორის: საზამთრო, ნესვი და გოგრა), შვრიას, ასევე, ხორბალს, ქერსა და მრავალწლიანი ბალახებს. ამდენად, როდესაც განვიხილავთ წარმოებას, სასურველია მონაცემები განვიხილოთ კომპლექსურად. მოცემული მსჯელობიდან ყველაზე პერსპექტიულად გვევლინება ბაღჩეული, რომელშიც წილობრივად 85% მოდის საზამთროზე. წარმოებასთან ერთად აუცილებლად უნდა განვიხილოთ საშუალო მოსავლიანობაც.

ცხრილი 3. ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა 2019 და 2020 წელს და მათი შედარება, ტ/ჰა

	2019	2020	2020/2019 წელთან შედარება
ხორბალი, სულ	2.3	2.2	-4.3%
ქერი, სულ	2.1	1.9	-9.5%
სიმინდი	2.8	3.1	10.7%
ლობიო	0.8	1.0	25.0%
მზესუმზირა	1.1	0.8	-27.3%
კარტოფილი	11.8	13.1	11.0%
ბოსტნეული, სულ	10.0	11.1	11.0%
ბაღჩეული, სულ	25.1	28.5	13.5%
ერთწლიანი ბალახები თივად	4.5	4.2	-6.7%
მრავალწლიანი ბალახები თივად	3.8	4.0	5.3%

ცხრილიდან 3 ჩანს, რომ საშუალო მოსავლიანობა ყველაზე მაღალია ბაღჩეულის, კარტოფილისა და ბოსტნეულისთვის. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ბაღჩეულის პერსპექტიულობას. ასევე, თუ 2020 წელს შევადარებთ წინა წელს დავინახავთ, რომ საშუალო მოსავლიანობა შემცირებულია შემდეგ კულტურებში: ხორბალი, ქერი, მზესუმზირა და ერთლიანი ბალახი თივად. ყველაზე დიდი 27,3%-იანი კლება სწორად მზესუმზირის შემთხვევაში ფიქსირდება. ხოლო საშუალო მოსავლიანობა გაზრდილია შემდეგ კულტურებში: სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული და მრავალწლიანი ბალახები თივად. ყველაზე მაღალი ზრდა გააჩნია ლობიოს, რომელმაც შეადგინა 25%.

შემდეგი ნაბიჯია განვიხილოთ მრავალწლიანი კულტურების წარმოება (იხ. ცხრილი 4)

ცხრილი 4. მრავალწლიანი კულტურების წარმოება 2019 და 2020 წელს (ათასი ტონა)[1]

	2019	2020	2020/2019 წელთან შედარება	წილი მთლიან წარმოებაში 2020 წელს
თესლოვანი ხილი	52.7	102.1	93.7%	17.0%
კურკოვანი ხილი	38.5	60.7	57.7%	10.1%
კაკლოვანი ხილი	30.9	40.8	32.0%	6.8%
სუბტროპიკული ხილი	20.3	22.3	9.9%	3.7%
კენკროვანი ხილი	2.0	2.7	35.0%	0.4%
ყურძენი	293.8	316.9	7.9%	52.6%
ციტრუსი	64.0	56.8	-11.3%	9.4%

ცხრილიდან 4 კარგად ჩანს, რომ 2020 წელს მრავალწლიანი კულტურების წარმოებაში მთავარი პოზიციები უკავიათ: თესლოვან და კურკოვან ხილს, ყურძენი. ყველაზე მაღალი ზრდა 2019 წელთან შედარებით აქვს თესლოვანი ხილის წარმოებას - 93,7%, შემდეგ კურკოვან ხილს - 57,7% და ბოლოს ყურძენს 7,9%. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით ყველაზე მეტად შემცირებულია ციტრუსის წარმოება, კერძოდ, 11,3%-ით.

თავის მხრივ, თესლოვანი ხილის წარმოებაში 2020 წელს ლიდერია: ვაშლი 87.2%-ით და მსხალი 11,1%-ით. კურკოვანი ხილის წარმოებაში 2020 წელს მოწინავე ადგილი უკავია შემდეგ სახეობებს: ატამი, ვაშლატამა - 46,5%-ით და ტყემალი, ალუჩა - 20,8%-ით. 2020 წელს კაკლოვანი ხილის წარმოებაში 80%-ით ლიდერობს თხილი. სუბტროპიკული ხილის წარმოებაში 2020 წელს დიდი წილი მოდის შემდეგ სახეობებზე: ხურმა, კარალიოკი - 69,1% და ლეღვი - 8,5%. კენკროვანი ხილის წარმოებაში 2020 წელს წამყვანი პოზიციები უკავია: მარწყვსა და ხენდროს - 44,4%-ით. ყურძნის შემთხვევაში 2020 წელს ძირითადად იწარმოება თეთრი ყურძენი და მასზე ყურძნის მთლიანი წარმოებიდან მოდის 70,7%. ციტრუსის წარმოებაში 2020 წელს ლიდერია მანდარინი 93,5%-ით. თუ მრავალწლოვანი კულტურების წარმოებას ჩვენ განვიხილავთ ცალკეული სახეობის მიხედვით ჩაშლილად, დავინახავთ უფრო ნათელ სურათს. კერძოდ, ამ შემთხვევაში პირველი სამეული შემდეგნაირად დალაგდა. 1. ყურძენი, 2. ვაშლი და 3. მანდარინი. მრავალწლიანი

[1] გათვლილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით

კულტურების მთლიანი წარმოებიდან მათზე 2020 წელს შესაბამისად მოდის 52,9%, 14,9% და 8,9%.

კვლევის პროცესში, ჩვენ ასევე, გავაანალიზეთ მრავალწლიანი კულტურებიდან რომელი ხასიათდებოდა უფრო მაღალი ზრდის ტემპით. შედეგები მოცემულია ცხრილში 5.

ცხრილი 5. მრავალწლიანი კულტურების საშუალოწლიური ზრდის ტემპი და საშუალო აბსოლუტური მატება

	საშუალოწლიური ზრდის ტემპი	საშუალო აბსოლუტური მატება
ვაშლი	1.07	4.00
მსხალი	0.95	-0.80
კომში	1.03	0.04
ქლიავი, ჭანჭური, ღოღნოშო	0.99	-0.11
ბალი, ალუბალი	1.01	0.04
გარგარი, ჭერამი	1.10	0.10
ატამი, ვაშლატამა	1.13	1.64
ტყემალი, ალუჩა	0.95	-0.84
კაკალი	1.05	0.26
თხილი	1.02	0.66
ყურძენი	1.05	11.03
მანდარინი	1.01	0.34
ფორთოხალი	1.01	0.02
ლიმონი	0.98	-0.03

ცხრილიდან 5 იკვეთება შედარებით განსხვავებული სურათი. კერძოდ, საშუალოწლიური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი აქვს 1) ატამს, ვაშლატამს, 2) გარგარს, ჭერამს, 3) ვაშლს. ხოლო ყველაზე მაღალი საშულო აბსოლუტური მატება აქვს ყურძენს, შემდეგ ვაშლსა და ბოლოს ატამს, ვაშლატამს. მოცემული მსჯელობიდან ყველაზე პერსპექტიულად გვევლინება ატამი, ვაშ-ლატამი და გარგარი, ჭერამი.

და ბოლოს მნიშნელოვანი იყო გაგვეგო თავად მწარმოებელთა დამოკიდებულება მიმდი-ნარე მოვლენებთან მიმართებით. გამოკითხვა მიმდინარეობდა 2021 წელის 9 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კითხვარი შედგებოდა 20 შეკითხვისგან, მათგან 7 ღია კითხვა და 13 და-ხურული ტიპის შეკითხვა. პასუხი მივიღეთ 77 ექსპერტიორისა და მწარმოებლისგან. ასევე, მოხ-და ინდივიდუალური სატელეფონო გასაუბრებაც.

გამოკითხული რესპონდენტები ძირითადად არიან მემცენარეობის, მეცხოველეობის, მე-ბოსტნეობის, მევენახეობის, მეფრინველეობის და კაკლოვანების პროდუქტის მწარმოებელი ფერმერები. შედეგებმა გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა 51,9%-ს აქვს 1-5 წლამდე გამოცდილება, 5-10 წლამდე - 23,4%-ს, 18,2%-ს 10 წელზე მეტი, მხოლოდ 6,5%-ს აქვს 1 წლამდე გამოცდილება.

ბიზნესის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის მიხედვით გამოკითხულთა 61% არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 28,6% ინდივიდუალური მეწარმე და 9,1%

კოოპერატივი, 1,3% სააქციო საზოგადოება. ხოლო დაბეგვრის და შეღავათების მიღების მიზნებიდან გამომდინარე 14,3% არის მიკრო ბიზნესი, 41,6% მცირე ბიზნესი, 37,7% საშუალო ბიზნესი და 6,5% მსხვილი ბიზნესი. ასევე, გამოკითხვამ მთლიანად დაფარა საქართველოს თითქმის ყველა (სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გამოკლებით) რეგიონი. კერძოდ, ბიზნესის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გამოკითხულთა 5,2% ფუნქციონირებს სამეგრელო-ზემო სვანეთში, 6,5% - აჭარაში, 7,8% ქვემო ქართლში, 5,2% - შიდა ქართლში, 15,6% - იმერეთში, 33,8% - კახეთში, 6,5% - მცხეთა-მთიანეთში, 1,3% - რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, 3,9% - გურია და 14,3% - თბილისი.

შეკითხვაზე, თუ როგორ იცვლებოდა მათი პროდუქტის წარმოების დინამიკა წლების განმავლობაში, გამოკითხულთა 72,7% პასუხობს, რომ დინამიკა ზრდადია, 15,6%-თვის თანაბარია და მხოლოდ 11,7%-თვის კლებადი.

შეკითხვაზე, კორონავირუსის გავრცელებამ იმოქმედა თუ არა მათი პროდუქტის წარმოების მოცულობაზე, გამოკითხულთა 53,3% აცხადებს, რომ არ იმოქმედა, 23,4%-თვის შემცირდა წარმოების რაოდენობა, ხოლო 9,1%-ს შეეზღუდა პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე გატანა. ასევე, მივიღეთ ინდივიდუალური გამოხმაურებები, სადაც რესპონდენტები ასახელებდნენ რომ COVID-19-მა უფრო მეტად იმოქმედა არა წარმოებაზე, არამედ მათი პროდუქტის რეალიზაციაზე და, შესაბამისად, ფინანსურ რესურსებზე, შემცირების მიმართულებით.

მიმდინარე ეტაპზე წარმოების მთავარ პრობლემად რესპონდენტების მიერ სახელდება:

- კვალიფიციური მუშა ხელის ნაკლებობა რეგიონებში;
- თანამედროვე ხარისხიანი აგროტექნიკის დეფიციტი, მაგალითად, როგორც მოსავლის აღების, ისე გადამუშავების კუთხით;
- გაყიდვა (ბაზრის გაუმართაობა);
- ტექნოლოგთა, აგრონომთა ნაკლებობა;
- სარწყავი სისტემა; გაუმართავი სადრენაჟო სისტემა;
- წარმოებული პროდუქტის სიმცირე;
- სასუქების და შხამ-ქიმიკატების გაძვირება;
- ლოგისტიკა;
- ფინანსებზე ნაკლები წვდომა
- არასტაბილური ფასები და სავალუტო რყევა;
- პროფესიონალი კონსულტანტების ნაკლებობა.

დასკვნები და რეკომენდაციები

Covid-19 პანდემიის მიუხედავად, აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების არსებული მაჩვენებლები პოზიტიურია. არ აღინიშნება მკვეთრი შემცირება, პირიქით ზოგიერთი პროდუქტისთვის წინა, 2019 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა გაზრდილია. ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების პროდუქტებს ახასიათებთ განვითარების ზრდადი ტენდენცია. ერთწლიანი კულტურების წარმოებაში მთავარი პოზიციები უკავიათ: სიმინდს, კარტოფილსა და ბოსტნეულს. ხოლო მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაში, ყურძენს. პანდემიამ მწარმოებლების ფინანსურ შემოსავლებზე იქონია უფრო მეტად გავლენა, ვიდრე წარმოების მოცულობაზე.

ამ ეტაპზე წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები:

- სოფლის მეურნეობის დარგში კვალიფიციური სპეციალისტების, აგრონომების, კონსულტანტების ჯგუფის შექმნა, მომზადება-გადამზადება, სისტემური, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების შემუშავების გზით;
- სოფლის მეურნეობის დარგის ტექნიკური მოდერნიზაციის უზრუნველყოფა;
- ნედლეულის მიმწოდებელი, შემნახველი, გადამამუშავებელი საწარმოების განვითარება, უწყვეტი მიწოდების ჯაჭვის და ლოგისტიკის გასაუმჯობესებლად;
- სამეოლიორაციო სისტემის შექმნა-გაუმჯობესება მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით;
- მწარმოებლებისა და ექსპორტირებისათვის ფინანსებზე წვდომის გაზრდა, მათზე მორგებული კრედიტის პირობების შეთავაზებით ან სახელმწიფოს მხრიდან საგადასახადო შეღავათების უზრუნველყოფით.

ლიტერატურა:

1. კაკულია მ., კაპანაძე ნ. (2021), ანტიპანდემიური შეზღუდვების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე: ხილული და უხილავი დანაკარგი, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N2
2. კოღუაშვილი პ., არჩვაძე ი., (2020), საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N3
3. კოღუაშვილი პ., მამუკელაშვილი დ. (2021), საქართველოს რეგიონებში მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური მექანიზმი, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N2
4. მექვაბიშვილი, ე. (2021). კორონომიკური კრიზისის გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოსთვის, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N1
5. ნაცვლიშვილი, ი. (2020). მდგრადი განვითარების და მდგრადი ბიზნეს მოდელის პერსპექტივები პოსტ-კოვიდურ ეპოქაში. გლობალიზაცია და ბიზნესი, #10, გვ. 227-232. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.029
6. შენგელია, თ. კირკიტაძე, ზ. (2020). მსოფლიოსა და საქართველოს პოსტ-კორონავირუსული ეკონომიკა, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N4
7. Natsvlishvili, I. Kharaishvili, E. Lazariashvili T. (2021). Impact of agro tourism on economic development of related sectors in the context of sustainable well-being (case of Georgia). International Journal of Markets and Business SystemsVol. 4, No. 2, pp 120-139
8. Papava, V. (2020). Features of the Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic and the Threat of the Zombie-ing of the Economy. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 14(3), 128-134. Retrieved from https://pesquisa.bvsalud.org/ global-literature-on-novel-coronavirus-2019-ncov/resource/pt/ covidwho-829660
9. https://www.geostat.ge/ka - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული სტატისტიკური მონაცემები:
   - ერთწლიანი კულტურების წარმოება
   - ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა
   - მრავალწლოვანი კულტურების წარმოება
   - მრავალწლოვანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა
   - სასოფლო მეურნეობების განაწილება მეურნეობის ორიენტირის და პროდუქციის წარმოების მიზნის მიხედვით

COVID-19 Pandemic and Agri-food Production

Nino Talikadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Student

SUMMARY

The COVID-19 pandemic has had a significant impact on economies around the world. The purpose of this article is to assess the impact of the COVID-19 pandemic on agri-food production and producers in Georgia, as well as to identify challenges in this field in pandemic conditions.

For this purpose, was processed information on the production of annual and perennial crops. Also, 77 agro-food product producers or exporters from different regions of Georgia were interviewed. The survey was conducted using electronic channels.

As a result, were identified the main challenges and production prospects typical for agro-food producers in Georgia during the pandemic. In particular, 53.3% of respondents said that the pandemic had not affected the volume of production of their product, the production volume have decreased for 23.4% of producers, while 9.1% of producers have restricted the export of the product to the international market.

Despite the Covid-19 pandemic, the current indicators of agri-food production are positive. Products of annual production crops and perennial production crops are characterized by an increasing trend of development.

სამეცნიერო კვლევების დაფინანსების გამოწვევები პანდემიის დროს საქართველოში

ანა ფოლოდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნაშრომში განხილულია 2020-2021 წლებში Covid-19-ის პანდემიის გამო განათლების სექტორში, კერძოდ კი მეცნიერების სფეროში არსებული გამოწვევები: წარმოდგენილია მეცნიერების ხელშეწყობისა და საგრანტო დაფინანსების მიმართულებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ბიუჯეტის განაწილების სტატისტიკური მონაცემები. განსაზღვრულია ის ძირითად დაბრკოლებები, რომელიც პანდემიის გამო სამეცნიერო საზოგადოებას შეექმნა.

საკვანძო სიტყვები: *COVID-19-ის პანდემია, საგრანტო დაფინანსება, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.*

2019 წლის დეკემბერში, ჩინეთში ახალი ვირუსული ინფექცია - Covid-19 გამოჩნდა. რამდენიმე თვეში კი, მთელ მსოფლიოში რეკორდული სისწრაფით გავრცელების გამო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ Covid-19 პანდემიად გამოაცხადა. ვირუსმა დროის უმოკლეს პერიოდში უდიდესი ზიანი მიაყენა არა მხოლოდ ჯანდაცვის, არამედ განათლების, ეკონომიკის, ტურიზმისა და სხვა სექტორებს.

განათლების სექტორში პანდემიამ გავლენა იქონია სწავლების თითოეულ საფეხურზე. ამ რთული გამოწვევის მიუხედავად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) განათლების სისტემის ადაპტაციისა და დისტანციური სწავლების წარმატებით დანერგვის თვალსაზრისით, საქართველო და ფინეთი ლიდერ ქვეყნებად დაასახელა (1).

ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარება წარმოუდგენელია სამეცნიერო მიღწევების, თანამედროვე ტექნოლოგიების, ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის ხელშეწყობის გარეშე. ამასთან, უმოკლესი გზა მდგრადი განვითარებისკენ შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს არა ცალკეული ელემენტების (უნივერსიტეტი, საჯარო სექტორი, ინდუსტრია და სხვ.), არამედ მთლიანი სისტემის სახით, როგორც განათლებისა და მეცნიერების ეკონომიკასთან დაკავშირების, კლასტერის ეკოსისტემის ფორმირებისთვის აუცილებელი კავშირების ერთობლიობა (Gagnidze, 2018).

სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაცია და შედეგად ინტელექტუალური საკუთრების შექმნა. მეორე მხრივ, აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების სწორი მენეჯმენტი. ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტი მოიცავს ძირითადი მენეჯერული ფუნქციების განხორციელებას, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და კომერციალიზაციის სტრატეგიის შემუშავება და ღონისძიებების დაგეგმვა, მონიტორინგი ინტელექტუალური საკუთრების მართვის სტრატეგიის დანერგვისას (Sobolieva & Lazarenko, 2019).

თანამედროვე სამყარო მრავალი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური გამოწვევის წინაშე დგას, სწორედ ამიტომ, აუცილებელია მოიძებნოს ის ძირითადი ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს მოსალოდნელი პრობლემების შემსუბუქებას. განათლება (ადამიანური კაპიტალი) კი ამ ინსტრუმენტთაგან ერთ-ერთია (Vesperi & Gagnidze, *in press*).

პანდემიამ მრავალი დაბრკოლება შეუქმნა სამეცნიერო საზოგადოებას, რაც, პირველ რიგში, აისახა სამეცნიერო კვლევების დაფინანსებაზე: 2019 წელთან შედარებით, 2020-2021 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების წილი მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიმართულებით შემცირდა (5).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით საქართველოში 2019-2021 წლებში. წლიური დამტკიცებული გეგმა (ათასი ლარი).

დიაგრამა 1



წყარო: https://mes.gov.ge/publicInfo/?page_id=143

როგორც დიაგრამა 1 გვიჩვენებს, 2020 წელს მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების მიმართულებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით 12%-ით შემცირდა, ხოლო 2021 წელს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 5%-ით გაიზარდა. გრანტების წილი მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების მიმართულებით გამოყოფილ ბიუჯეტში 2019-2020 წლებში, შესაბამისად, 35 და 33 პროცენტი იყო, ხოლო 2021 წელს ეს მაჩვენებელი 25%-მდე შემცირდა.

შეზღუდული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, გადამწყვეტია მიზნობრივი დაფინანსების განხორციელება: სამეცნიერო კვლევების დაფინანსებითა და საზოგადოებაში მათი დადებითი სოციალური ეფექტების გავრცელებით, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანური კაპიტალის, როგორც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორის განვითარებას (Polodashvili, 2020, 11).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის შემცირება მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და სამეცნიერო გრანტების გაცემის მიმართულებით, პირველ რიგში აისახა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდზე, რომელიც არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაცია და უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების, მეცნიერთა და სამეცნიერო დაწესებულებათა დაფინანსებას.

ფონდის 2017-2021 წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყველაზე მცირე სახელმწიფო დაფინანსება ფონდმა 2021 წელს მიიღო - 28,019 მლნ ლარის ოდენობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ახლად გამოცხადებული პანდემიის გამო, 2020 წელს, ფონდის დამტკიცებული ბიუჯეტი - 33,019 მლნ ლარი დაზუსტდა და 29,804 მლნ ლარამდე შემცირდა (7). 2020 წლის საგრანტო კონკურსების გეგმა, ფაქტობრივად, ჩაიშალა და მხოლოდ 2 საგრანტო კონკურსი გამოცხადდა. 2021 წელს ფონდმა კვლავ გამოაცხადა ყველა მნიშვნელოვანი ეროვნული სამეცნიერო კონკურსი, ასევე 3 ბილატერალური პროგრამა.

სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამებში საკმაოდ დაბალია. დაბალი აქტივობის მიზეზებად შეგვიძლია მივიჩნიოთ: ორმაგი სტანდარტებისა და მოთხოვნების არსებობა, რეგისტრირებული პროექტების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის ორჯერადი შემოწმება, ენობრივი, კულტურული და ბიუროკრატიული ბარიერები (Polodashvili, 2020, 04).

აღსანიშნავია, რომ ფინანსურ პრობლემებთან ერთად, პანდემიამ სამეცნიერო საზოგადოებას სხვა მრავალი სახის დაბრკოლება შეუქმნა. მნიშვნელოვანია, განსაზღვროთ ეს პრობლემები და განვიხილოთ ფონდის, როგორც სამეცნიერო კვლევების დამფინანსებელი მთავარი სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ ამ გამოწვევების გადაჭრისა თუ შემცირების მიზნით გატარებული ღონისძიებები.

პანდემიის განმავლობაში სამეცნიერო კვლევების განორციელების მიმართულებით გამოკვეთილი მთავარი პრობლემებია:

- საგრანტო დაფინანსების ფარგლებში, მეცნიერთა/მეცნიერთა ჯგუფების მიერ აღებული ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის საფრთხე;
- ქვეყნის საჰაერო საზღვრების ჩაკეტვისა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამო, შეუძლებელი გახდა წინასწარ დაგეგმილი და საგრანტო ბიუჯეტით გათვალისწინებული უცხოეთში კვლევითი ვიზიტების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების განხორციელება;
- საზღვრების ჩაკეტვის გამო ვერ მოხერხდა საგრანტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უცხოელი მეცნიერების კვლევითი ვიზიტები საქართველოში;
- 2020 წლის 12 მარტიდან ეროვნული სამეცნიერო ფონდი გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, შეიზღუდა მოქალაქეთა ფონდში დაშვება. მატერიალური ფორმით, მათ შორის საქართველოს ფოსტის მეშვეობით შემოსული დოკუმენტების მიღება და რეგისტრაცია დაიშვა კვირაში მხოლოდ ორი სამუშაო დღით;
- დისტანციური მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე, გრანტის მფლობელებს/მაძიებლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა პირადად მიეღოთ კონსულტაცია საგრანტო საკითხებთან დაკავშირებით;
- კომუნიკაციის მხოლოდ დისტანციური ფორმის არსებობა საჭიროებდა მუდმივ კავშირს ინტერნეტსა და კომპიუტერთან, ასევე იმ კომპიუტერულ პროგრამებთან, რომლებიც საჭირო იყო დისტანციური კონკულტაციების მისაღებად. ყველა ზემოთ ჩამოთვლილთან წვდომა კი, ქვეყნის მრავალი კუთხიდან, ხშირად პრობლემური იყო.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე გახანგრძლივდა ფონდის მიერ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და ანგარიშების წარმოდგენა/განხილვის ვადები. საგრანტო ხელშეკრულებებში ამოქმედდა ფორს-მაჟორის მუხლი.

Covid-19-ის პანდემიით გამოწვეულ სამეცნიერო კვლევების დაფინანსების პრობლემებს აღნიშნავენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები თავიანთ ნაშრომებში (9-11).

ზემოაღწერილი მდგომარეობა და საკითხის კვლევა, საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ დასკვნები და რეკომენდაციები. კერძოდ, საქართველოში Covid-19-ის პანდემიამ მეცნიერების სფეროში უამრავი დაბრკოლება შექმნა. მათ შორის იყო როგორც ფინანსური, ასევე სხვა, ლოჯისტიკური პრობლემები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის შემცირების შედეგად, შემცირდა მეცნიერების ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილი სახსრები და გრანტები.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ პანდემიამდე გამოცხადებულ კონკურსებში გამარჯვებული მეცნიერების საგრანტო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობა 2020-2021 წლებში მეცნიერთა მთავარ პრობლემას წარმოადგენდა. საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლებელი გახდა მთელი რიგი ამოცანების შესრულება.

შესაძლებლობების ფარგლებში, ფონდმა უზრუნველყო გამოცხადებული კონკურსების სარეგისტრაციო ვადების გახანგრძლივება და უკვე გაფორმებული ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულების გადავადება, თუმცა, ცხადია, საკმარისი არ აღმოჩნდა დროებითი, ერთჯერადი ღონისძიებების გატარება (ვადების გახანგრძლივება, დროებითი საშეღავათო პერიოდები და ა.შ).

Covid-19-ის პანდემია მსოფლიოში უკვე მესამე წელია არსებობს, ვირუსმა მანამდე არსებული ცხოვრების სტილი სრულიად შეცვალა, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია ამ ვირუსთან თანაცხოვრების გზების პოვნა და მასთან სრული ადაპტაცია როგორც სამეცნიერო საზოგადოების, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. სამეცნიერო კვლევებით გათვალისწინებული უნდა იყოს კვლევის თითოეულ ეტაპზე დაგეგმილი ამოცანების შესასრულებლად განსაზღვრული აქტივობები, ამასთან, კვლევა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს პანდემიის მოსალოდნელ რისკებსა და მათი შემცირების/აღმოფხვრის გზებს.

აუცილებელია როგორც მეცნიერების სფეროს მიზნობრივი დაფინანსების გაზრდა, ასევე მეცნიერების ხელშეწყობა სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებით. პანდემიით გამოწვეული დაბრკოლებების გადალახვა და ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარება, საბოლოო ჯამში, სამეცნიერო სფეროს მიმართულებით მხოლოდ კომპლექსური მიდგომით იქნება შესაძლებელი.

ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მთავრობის ანგარიში მოქალაქეებს (2020) https://www.gov.ge/files/
2. Gagnidze, I. (2018) The Role of International Educational and Science Programs for Sustainable Development (Systemic Approach), *Kybernetes*, 47(2), 409-424. Retrieved from https://doi.org/10.1108/K-03-2017-0114
3. Sobolieva, T., & Lazarenko, Y. (2019) Intellectual Property Management in the Shift Towards Open Innovation. *Int. J. Economics and Business,* 11(2), 185-195. Retrieved from https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/358
4. Vesperi, W., & Gagnidze, I. (in press). From the university ecosystem to the entrepreneurial ecosystem - the way for developing of the local economy. *International journal of Economics and Business Research.* Retrieved from https://doi.org/10.1504/ijebr.2022.10041232
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი: https://mes.gov.ge/publicInfo/?page_id=143

6. Polodashvili, A. (2020). The challenges of science management ecosystem. International Student Scientific Conference 'MANAGEMENT 2020: CHALLENGES AND PROSPECTS', November 18, 2020, SHEE Kyiv National Economic University named after Vadym Hetman, Kyiv, Ukraine, 187-190. Retrieved from https://ir.kneu.edu.ua/bitstream/handle/2010
7. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდი: https://rustaveli.org.ge/geo/da-finanseba-da-khardjtaghritskhva
8. Polodashvili, A. (2020). International scientific links of Georgia for the innovative development of economy. Proceedings, V International Scientific and Practical Conference 'STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT', April 23-24, 2020, SHEE Kyiv National Economic University named after Vadym Hetman, Kyiv, Ukraine, 347-350. Retrieved from https://ir.kneu.edu.ua/handle/2010/32958
9. OECD Development Centre, Paris. (2020). Philanthropy and Education - Education Giving in the Midst of COVID-19. Retrieved from https://www.oecd.org/dev/NetFWD_Covid-EDU_Study.pdf
10. Wernli, D., Clausin, M., Antulov-Fantulin N., Berezowski, J., Biller-Andorno, N., Blanchet, K., Böttcher L., et al. (2021). Governance in the age of complexity: Building resilience to COVID-19 and future pandemics. Geneva Science-Policy Interface Policy Brief. Geneva, Switzerland. Retrieved from https://www.leru.org/files/GSPI-PolicyBrief_resilience.pdf
11. Shueb, S., Gul, S., Nisa, N.T., Shabir, T., Ur Rehman, S. and Hussain, A. (2021), Measuring the funding landscape of COVID-19 research, Library Hi Tech, Vol. ahead-of-print No. ahead-of-print. Retrieved from https://doi.org/10.1108/LHT-04-2021-0136

Challenges of Funding Scientific Researches During a Pandemic in Georgia

Ana Polodashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

PhD Student

SUMMARY

The Covid-19 virus has caused the greatest damage not only to healthcare but also to education, economy, tourism and other sectors in the shortest period of time. The pandemic has affected every stage of education system.

The long-term development of a country's economy is unimaginable without the promotion of an economy based on scientific advances, modern technologies, knowledge and innovation. However, the shortest path to sustainable development can be presented not as individual elements (university, public sector, industry, etc.), but as a whole system as a combination of education and science economics, clusters necessary for the formation of a cluster ecosystem (Gagnidze, 2018).

The pandemic has caused many obstacles for the scientific community, which, first of all, reflected on the funding of scientific research: based on statistics, compared to 2019, in 2020-2021 years, the share of funds allocated from the budget of the Ministry of Education and Science of Georgia to support science and scientific research, has decreased.

Given the limited financial resources, it is crucial to implement targeted funding: by funding scientific research and disseminating their positive social effects in society, the government should promote the development of human capital (Polodashvili, 2020, 11).

During the pandemic, the state funding of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia was also reduced: in fact, the 2020 grant call plan has failed and only 2 grant calls have been announced. In 2021, the foundation announced again all major national science calls, as well as 3 bilateral programs.

Unfortunately, participation of Georgian scientists in international scientific programs is quite low. Reasons for low activity can be: the existence of double standards and requirements, double-checking the compliance of registered projects with the competition conditions, cultural and bureaucratic barriers (Polodashvili, 2020, 04).

The main problems identified in conducting scientific research during the pandemic are: risk of full or partial non-fulfillment of commitments made by scientists / groups of scientists within the framework of grant funding, problems caused by locking the borders of the country, problems of grant holders / applicants caused by online working and etc.

The Covid-19 pandemic in Georgia has caused many obstacles in the field of science. Among them were financial and logistical problems. As a result of the reduction of the budget of the Ministry of Education and Science, the funds allocated for the promotion of science have been reduced.

It is necessary to increase the targeted funding of science, as well as to promote science through the formation of state policies. Ultimately, overcoming the scientific obstacles caused by the pandemic will only be possible with a complex approach.

COVID 19 პანდემიის გავლენა საქართველოს მთლიან სამამულო პროდუქტზე და საგარეო ვაჭრობაზე

რამაზ ფუტკარაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ბოლო 2 წელია მსოფლიო თანამეგობრობა კოვიდ 19 პანდემიამ მოიცვა. წინამდებარე ნაშრომში განხილულია COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, კერძოდ მთლიან სამამულო პროდუქტზე და ქვეყნის საგარეო ვაჭრობაზე, რა პროცესები მიმდინარეობდა ამ პერიოდში, რა გავლენა იქონია ყოველივემ მსპ-ს კომპონენტებზე და მოცემულია შესაბამისი დასკვნები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია კოვიდ 19-ის გავლენა ადრეულ სტადიაზე, რადგან კოვიდ 19 გრძელდება და მისი შედეგები საშუალო და გრძელვადიან პერიოდში განსხვავებული შეიძლება იყოს.

მსოფლიო კაცობრიობის ისტორიაში პანდემიის არაერთი შემთვევა ყოფილა, რომლთა რიცხვი იზრდებოდა და სავარაუდოდო შემდგომშიც გაიზრდება. 2019 წელს ჩინეთის ქალაქ ვუჰანში პირველად გამოვლინდა ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ავადობა ადამიანებში, რომელიც სწრაფად მოედო მთელს მსოფლიოს, როგორგ განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს, ყოველივემ კი კაცობრიობა ახალი გლობალური-ეკონომიკური კრიზისის წინაშე დააყენა.

ნაშრომის ბოლოს გაკეთებულია დასკვნა, რომ კოვიდ 19 პანდემიამ მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. შემცირდა პუი-ები, მსპ, მსპ მოსახლეობის ერთ სულზე, ტურიზმი, ვაჭრობა და სხვ.

საკვანძო სიტყვები: *COVID 19, საქართველოს ეკონომიკა, მშპ, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე,*

2022 წლის თებერვლის დასაწყისში მსოფლიოში კორონავირუსით ინფიცირებულების საერთო რაოდენობამ 400 მილიონს გადააჭარბა (19, 20), ეს გაცილებით მეტია ვიდრე ცალკე აშშ-ის მოსახლეობა. მსოფლიოში პანდემიის დაწყების დროიდან კოვიდ 19 პანდემიით 5.8 მილიონზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ანუ გაცილებით მეტი ვიდრე ფინეთის, ნორვეგიის, დანიის ან საქართველოს მთლიანი მოსახლეობა. გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა კი 330 მილიონზე მეტი.

თავის მხრივ COVID-19 პანდემია გაცილებით მეტია, ვიდრე სამედიცინო სფეროს და ჯანმრთელობის კრიზისი: ის გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკებზე. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გავლენა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავდება, შედეგად მივიღეთ გაზრდილი სიღარიბე და უთანასწორობის შემდგომი გაღრმავება გლობალური მასშტაბით, როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში.

გლობალური ნაიარევი დატოვოს გამანადგურებელი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების სახით. ათეულობით უმსხვილესი ქალაქი დაცარიელებულია, რადგან ხალხი, საკუთარი არჩევანით თუ მთავრობის რეკომენდაციით, შინ რჩება. მთელ მსოფლიოში მაღაზიები, თეატრები, რესტორნები და კაფეები დაკეტილია. ყოველდღიურად ადამიანები კარგავენ სამუშაოს და შემოსავალს (17). უცნობია, როდის დაუბრუნდება მსოფლიო ეკონომიკა, საერთაშიორისო ტურიზმი და საერთაშორისო ვაჭრობა ჩვეული ცხოვრების წესს.

დიახ, კოვიდ 19 პანდემია გლობალური ჯანმრთელობის კრიზისი და მნიშვნელოვანი გამოწვევაა, აქამდე არსებული პანდემიებისაგან ის მასშტაბურად განსხვავდება და ყველა კონტინენტზე და საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ყველა ქვეყანაში, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად გავრცელდა. შეიქმნა პრობლემები, ქვეყნები ერთმანეთს სათანადო დახმარებას ვერ უწევენ სხვადასხვა მიმართულებით. ახალი კორონავირუსი,

COVID-19, რომელიც სწრაფად მოედო მთელს მსოფლიოში და საერთაშორისო თანამეგობრობა ახალი გლობალური კრიზისის და გამოწვევების წინაშე დააყენა. ასეთი მასშაბური გამოწვევა და მისი მართვის გამოცდილების არქონამ, არასწორმა და დაგვიანებულმა გადაწყვეტილებებმა სხვადასხვა პრობლემები შექმნა.

COVID-19 პანდემია მნიშვნელოვანი საფრთხეა, მსოფლიო ჯანდაცვისთვის და გლობალური ეკონომიკისთვისაც. მსოფლიოში კაცობრიობა უდიდესი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ახალი გამოწვევები კი, როგორც მოგეხსენებათ, პრობლემის გადაჭრის ახალი მექანიზმისა და ახალ დღის წესრიგის შემუშავებას მოითხოვს. COVID-19-ის პანდემია მსოფლიოს ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკისთვისაც მოულოდნელ გამოწვევად მოგვევლინა, რომლის მასშტაბიც ახლო წარსულის განმავლობაში მასშტაბურია.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო თანამეგობრობას საერთო პრობლემასთან გამკლავება უწევს. ყველა სახელმწიფომ (განვითარებული, განვითარებადი) ერთიანად უნდა განსაზღვორს თუ როგორ უპასუხოს თანამედროვე გამოწვევას, როგორ გადალახოს კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემები, როგორ დაძლიოს დანაკარგი ან იყოს მინიმალური, და შესაბამისად შექმნას განვითრების ისეთი კონცეფციაა, რომელიც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებას.

კოვიდ 19 პანდემია და მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP)

ქვეყანაში მთლიანი სამამულო პოდუქტი სოციალურდეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორს წარმოადგენს. სწორედ მშპ–ის მოცულობა და მსპ მოსახლეობის ერთ სულზე გვიჩვენებს ეკონომიკური განვითარების რა ეტაპზეა ქვეყანა, ხოლო მსპ–ის რეალური ზრდის ტემპი განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა დროის პერიოდში განვითარების მაღალი საფეხურების მიღწევას. უმუშევრობის ზრდამ, მაღალი ინფლაციამ, სიღარიბის გაზრდილმა მაჩვენებლმა, ეროვნულ ვალუტის გაუფასურებამ, ტურიზმიდან შემოსავლების შემცირებამ, პუი-ის შემცირებამ და სხვა ფაქტორებმა ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონეზე ნეგატიურად აისახა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ცხოვრების დონის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორი მთლიანი სამამულო პროდუქტი (მსპ), მსპ მოსახლეობის ერთ სულზე და მისი რეალური ზრდის ტემპი გახლავთ. ნაშრომში ყურადღება ძირითადად 2020 წელზე გავამახვილებთ.

ცნობილია, რომ მთლიანი სამამულო პროდუქტის დადგენის ერთ-ერთი ხერხია მისი დათვლა მიმდინარე ფასების მიხედვით, ანუ ნომინალური მთლიანი სამამულო პროდუქტის გამოთვლა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2020 წლამდე საქართველოს მსპ მიმდინარე ფასებში (ეროვნულ ვალუტაში, ლარებში), დანახარჯების მეთოდით დათვლილი, წლიდან წლამდე იზრდებოდა. ასე მაგალითად, 2017 წელს ქვეყნის მსპ-მა მიმდინარე ფასებში შეადგინა 40.8 მლრდ ლარი, 2018 წელს - 44.6, 2019 წელს - 49.3. ხოლო 2020 წელს ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტმა მიმდინარე ფასებში კი 49.3 მლრდ ლარია (2, 21) ანუ არ შეცვლილა. ქვეყნის 2020 წლის მთლიანი სამამულო პროდუქტი კომპონენტების მიხედვით ასე გამოიყურება: მოხმარებაზე გაწეული ხარჯები 38.5 მლრდ ლარი (მსპ-ის 78%), სახელმწიფო ხარჯები - 7.1 მლრდ ლარი (მსპ-ის 14%), ინვესტიციები - 12.9 მლრდ ლარი (მსპ-ის

26%), ხოლო ექსპორტის მოცულობა 18.5 მლრდ ლარი, ხოლო იმპორტის 27.6 მლრდ ლარია, ანუ წმინდა ექსპორტი 9.1 მლრდ ლარია უარყოფითი (მსპ-ის 18%).

ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მოდის ვაჭრობაზე – 14.5%, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობებზე – 11.7%, დამამუშავებელი მრეწველობაზე – 10.8%, მშენებლობაზე – 8.9% და სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაზე 8.4%. 2020 წელს ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები, განათლება, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება და სხვა სახის მომსახურება. ხოლო კლება ფიქსირდება შემდეგ დარგებში: განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, გართობა და დასვენება, ხელოვნება, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურებების საქმიანობები, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, მშენებლობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ეროვნულ ვალუტით, ლარით დათვლილი მაჩვენებლისგან განსხვავდება აშშ დოლარში დათვლილი მსპ მიმდინარე ფასებში სხვა დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. 2017 წელს საქართველოს მსპ-მა მიმდინარე ფასებში 16.2 მლრდ აშშ დოლარი (21) შეადგინა, 2018 წელს - 17.6, 2019 წელს - 17.5, ხოლო 2020 წელს - 15.8, ცხადია ასეთი განსხვავება ლარის კურსის ცვლილების შედეგია. 2020 წელს მშპ აშშ დოლარებში შემცირდა 1.7 მლრდ აშშ დოლარით ანუ 9,7%-ით.

ნომინალური მსპ (GDP) პროდუქტი ეკონომიკის ზრდას არ გვიჩვენებს, რადგან მისი ცვლილება შეიძლება განპირობებული იყოს როგორც წარმოების, ასევე ფასების დონის ცვლილებით. რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტში კი გათვალისწინებულია ინფლაცია. რომელიმე წელს ვიღებთ ბაზისად (საქართველოს შემთხვევაში 2015 წლის ფასებში) და ამ წლის ფასებით ვითვლით მომდევნო წლების მთლიან სამამულო პროდუქტს, რაც მსპ მიმდინარე ფასებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

კოვიდ 19 პანდემიის პერიოდში ქართული ეკონომიკის რაოდენობრივი ცვლილების შესაფასებლად ახლა განვიხილოთ დანახარჯების მიხედვით დათვლილი მთლიანი სამამულო პროდუქტი მუდმივ ფასებში. საქსტატის მონაცემების მიხედვით, სადაც საბაზისო წლად 2015 წელია მიჩნეული, შეგვიძლია დავასკვათ, რომ 2017-2019 წლებში განიცდიდა ზრდას. ასე მაგალითად, 2017 წელს ქვეყნის მსპ მუდმივ ფასებში შეადგენდა - 36.6, 2018 წელს - 38.4, 2019 წელს - 40.3 მლრდ ლარს (21). აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ნომინალური მსპ-სგან განსხვავებით ქვეყნის რეალურმა მთლიანი სამამულო პროდუქტმა შეადგინა 37.6 მლრდ ლარი და ცხადია ეკონომიკურ რეცესია, ანუ კოვიდ 19 პანდემიის პერიოდში მხოლოდ 2020 წელს რეალური მსპ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 2.7 მლრდ ლარით და 6.7%-ით შემცირდა.

2020 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 5.2%-ს შეადგენდა, რაშიც ერთ-ერთი ფაქტორი COVID-19 პანდემიაა. ინფლაციის გამომწვევ ერთ-ერთი ფაქტორი ლარის კურსის ვარდნა მიიჩნევა. ეროვნული ვალუტის გაუფასურება თავის მხრივ ხელს უწყობს ფასების გაზრდას იმპორტირებულ საქონელზე. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში ინფლაცია კოვიდ 19 პანდემიამდეც ერთ-ერთ მნიშვნელოვანი გამოწვევას წარმოადგენდა.

მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე

საქართველოს მსპ და მსპ მოსახლეობის ერთ სულზე მოწინავე განვითარებულ ქვეყნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის სიდიდეს გვიჩვენებს, ასევე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე, რაც ქვეყნის ცხოვრების საშუალო დონეზე გვიქმნის მნიშვნელოვან წარმოდგენას.

საქსტატის მონაცემების მიხედვით მსპ მოსახლეობის ერთ სულზე მიმდინარე ფასებში ბოლო წლებში იზრდებოდა, ასე მაგალითად აღნიშნული მაჩვენებელი 2017 წელს შეადგენდა - 10 934, 2018 წელს - 11 968, 2019 წელს კი 13 239 ლარს, ხოლო 2020 წელს 13 234 ლარს შეადგენდა ანუ ზრდა უმნიშვნელო იყო.

სხვა სურათი გვექნება, თუ ქვეყნის მსპ-ს მოსახლეობის ერთ სულზე აშშ დოლარებში განვიხილავთ, ასე მაგალითად, 2017 წელს მშპ მოსახლეობის ერთ სულ მოსახლეზე 4358, 2018 წელს - 4 722, 2019 წელს - 4696, ხოლო 2020 წელს 4 256 აშშ დოლარს შეადგენდა. ანუ მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 2020 წელს წინა წელთან შედარებით 440 აშშ დოლარით და 9.4%-ით შემცირდა. კოვიდ 19 პანდემიის პერიოდში დაწესებულმა ეკონომიკურმა (და არა მარტო) შეზღუდვებმა, ტურიზმის შეჩერებამ, ინვესტიციების, ექსპორტისა და იმპორტის შემცირებამ ეროვნული ვალუტის, ლარის კურსის ცვლილება გამოიწვია.

სააგენტო Bloomberg-ის მონაცემების მიხედვით ბოლო 52 კვირის მანძილზე აშშ დოლარი და ლარი ივაჭრებოდა 2.9685-დან 3.4650-ის ფარგლებში (18), რაც ლარის არასტაბილურობაზე მიუთითებს.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შესახებ. საქართველოს მთავრობა პროგნოზირებდა, რომ 2020 წელს ეკონომიკა 4.5%-ით გაიზრდებოდა... კოვიდ 19 პანდემიამ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე ნეგატიური გავლენა იქონია. 2020 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით მთლიანი სამამულო პროდუქტის რეალური ზრდა წინა წელთან შეარებით 6.2%-ით შემცირდა. მსპ-ს კომპონენტების ცვლილება ასე გამოიყურება: მოხმარებაზე გაწეული ხარჯები გაიზარდა 5.4%-ით, სახელმწიფო ხარჯები გაიზარდა 5.7%-ით, რაც შეეხება ინვესტიციებს იგი შემცირდა 3.4%-ით, იმპორტი-ექსპორტის კლებამ კი, შესაბამისად 17.4% და 38.2%. მაღალი კლება სასტუმროებისა და რესტორნების, ტრანსპორტისა და დასაწყობების და გართობა-დასვენების სექტორებზე მოდიოდა...

კოვიდ 19 პანდემია და საგარეო ვაჭრობა

კოვიდ 19 პანდემიამ საერთაშორისო ვაჭრობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. საინტერესო სურათს იძლევა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ანალიზი. საქართველოს საქონლის ექსპორტის მოცულობამ 2020 წელს 3343 მლნ აშშ დოლარი ხოლო საქონლის იმპორტის მოცულობამ 8053 აშშ დოლარი შადგინა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა კი 4709 მლნ აშშ დოლარი. 2020 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2019 წლის პერიოდთან შედარებით 14.4%-ით შემცირდა, ექსპორტი 12%-ით შემცირდა, იმპორტი - 15.4%-ით, სალდო 17.7%-ით (5).

ექსპორტის შემცირება ძირითადად შემდეგმა პროდუქტებმა განაპირობა: მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, ფეროშენადნობები და მინერალური წყლები. მნიშვნელოვნად გაიზარდა ძვირფასი ლითონების და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექ-

სპორტი.. რაც შეეხება იმპორტს მისი შემცირება ძირითადად მსუბუქი ავტომობილებისა და ნავთობპროდუქტების შემოტანის კლებამ განაპირობა.

2020 წელს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს სავაჭრო ბრუნვის მიხედვით წარმოადგენდნენ: თურქეთი, რუსეთი, ჩინეთი, ზერბაიჯანი, აშშ, სომხეთი, უკრაინა, გერმანია, ბულგარეთი და იტალია. ბუნებრივია, რომ აღნიშნული პრობლემა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არ მომხდარა და კოვიდ 19 პანდემიამ სხვა ქვეყნების საგარეო ვაჭრობაზეც იქონია გავლება.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქსტატის მონაცემების მიხედვით 2020 წელს საქართველოში 617 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც 47%-ით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან. 2020 წელს საზღვარგარეთიან საქართველოში გადმორიცხულმა თანხამ 1886 მლნ აშშ დოლარი შადგინა და 2019 წელთან შედარებით მეტია 153 მლნ აშშ დოლარით. კოვიდ 19 პანდემიამ გამოიწვია 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებები. მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი და სხვ.

დასკვნები და რეკომენდაციები

COVID 19 პანდემიამ მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციზე. შემცირდა მსოფლიო მშპ, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, ასევე სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები.

კოვიდ 19 პანდემიამ ასევე მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. შემცირდა პუი-ები, მსპ, მსპ მოსახლეობის ერთ სულზე, ტურიზმი, ვაჭრობა, კლება დაფიქსირდა მთელ რიგ დარგებში.

მსოფლიოში გაიზარდა სიღარიბე, მაშინ როდესაც ეკონომიკის გლობალიზაცია პირიქით ამცირებს სიღარიბეს.

აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი ქვეყნების აქტიური თანამშრომლობა და შესაბამისი საერთაშორისო რეკომენდაციების შესრულება.

აღსანიშნავია, რომ კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა აქამდე ცნობილი კრიზისებისგან, რომლებიც ძირითადად ამა თუ იმ ეკონომიკურ ფაქტორთან ან ეკონომიკის გარკვეულ სექტორში არსებულ შოკთან იყო დაკავშირებული.

ქვეყნების პრიორიტეტი უპირველეს ყოვლისა, ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობაა. პანდემიის გამო საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებმა ხელი შეუწყო ვირუსის გავრცელების პრევენციას და ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებით წარმართვას, ასევე, უარყოფითი გავლენის შემცირების მიზნით კერძო სექტორისა და მოქალაქეების მხარდაჭერა. თავის მხრივ ბალანსის დაცვა ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის საკმაოდ რთულია.

მოკლედ Covid-19 პანდემიამ სერიოზული გამოწვევები შექმნა, რასაც ყველაზე ნაკლებად ველოდით. თითქმის 2 წელი გავიდა და კოვიდა 19 ვირუსი კვლავ აქ არის და ვრცელდება მთელ მსოფლიოში. დიდი იმედი მაქვს ყველაფერი დასრულდება და საქართველოს ეკონომიკა, ისევე როგორც მსოფლიო გააგრძელებს შემდგომ განვითარებას კოვიდ 19 პანდემიის გარეშე (ყოველ შემთხვევაში ამის იმედი მაქვს). ნებისმიერი პანდემია დაიწყება და დასრულდება, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობა შემდგომში უფრო მეტად მზად უნდა იყოს ბოლო პერიოდში ცოდნით და გამოცდილებით.

ლიტერატურა:

1. აბესაძე, რ. (2020). გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური შედეგები. ჟურნალი, ეკონომისტი, N2.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2021) ეროვნული ანგარიშები.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2021). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2021). ტურიზმის სტატისტიკა.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2021). საგარეო ვაჭრობა.
6. Papava V., Silagadze A. (2019). "How the Term the "Gross Domestic Product" should be Translated into Georgian." Globalization and Business, No. 7:203-204. (In Georgian).
7. Papava, V. and Charaia, V. (2020). The Coronomic crisis and some challenges for the Georgian Economy. GFSIS, Expert Opinion, No. 136.
8. Papava, V. (2021). The Problem of the Growth of Georgia's Public Debt during the Economic Crisis under the COVID-19 Pandemic.
9. Putkaradze, R. (2010). Trade and Economic Relations between Georgia and the European Union: Problems and Perspectives. Universali, Tbilisi. (In Georgian).
10. Putkaradze, R. (2012). ACTUAL ISSUES OF THE FOREIGN TRADE OF GEORGIA. PaataGugushvili Institute of Economics of IvaneJAvakhishvili Tbilisi State University. Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 60th Birth Anniversary of Professor George Tsereteli NATIONAL ECONOMIES AND GLOBALIZATION. p. 51-58. (In Georgian).
11. Putkaradze, R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. ZeszytyNaukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administra-cjaiZarządzanie. Scientific Journal, Nr 107, 2015. ZeszytyNaukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMA-NISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: AdministracjaiZarządzanie, Poland.
12. Putkaradze, R. (2019). Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. Journal, Ecoforum Journal. Volume 8, Issue 1(18).
13. Putkaradze, R., Chania, M. (2018) The Priorities of Georgian Economic Development in Conditions of Globalization. **European Journal of Marketing and Economics**, v. 1, n. 1, p. 63-66.
14. Silagadze, A., Zubiashvili, T. (2015). Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy. Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS).
15. World bank (2019). World development indicators.
16. World Trade Organization (2020). World Trade Statistical Review.
17. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/coronavirus.html
18. https://www.bloomberg.com/
19. https://www.worldometers.info/coronavirus/
20. https://www.who.int/
21. National Statistics Office of Georgia, www.geostat.ge.

The Impact of the COVID 19 Pandemic on the Gross Domestic Product (GDP) and Foreign Trade of Georgia

Ramaz Putkaradze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor, Doctor of Economics

SUMMARY

The paper discusses the impact of the COVID-19 pandemic on the economy of Georgia - in particular, on the country's GDP and foreign trade; the processes that took place during this period, and their impact on gross national product (GNP). The focus is made on the early stage of COVID-19 impact as the pandemic is still in progress and its results might be different in medium and long term. More than 5.7 million people have died

worldwide due to COVID-19 since the beginning of the pandemic that is much more than the total population of Finland, Norway, Denmark or Georgia.

The COVID-19 pandemic is a serious threat both to healthcare worldwide and the global economy. The mankind has faced the greatest challenge. New challenges require the development of a new problem-solving mechanism and a new agenda. The COVID-19 pandemic has turned out to be an unexpected challenge to all the economies round the world, including Georgia. The scale of this challenge has been quite large in the recent period.

It is worth noting that in 2019 Georgia's GDP amounted to USD 17.5 billion in current prices, while in 2020 – USD 15.8 billion. Clearly such a change is the result of a change in the GEL exchange rate. In 2020, the country's GDP in US dollars decreased by USD 1.7 billion (9.7%).

In 2019, the country's GDP at constant prices amounted to GEL 40.3 billion. It should be noted that in 2020, the real GDP of the country amounted to GEL 37.6 billion compared to the nominal GDP. Therefore, the economic recession has become clear - during the COVID-19 pandemic, in 2020 alone the real GDP decreased by GEL 2.7 billion (6.7%) compared to the previous year. If in 2019 the GDP per capita was USD 4696, in 2020 it reduced to USD 4 256. This means that GDP per capita in 2020 decreased by USD 440 (9.4%) compared to the previous year. Economic (and not only) restrictions imposed during the Covid 19 pandemic, suspension of tourism activities, reduction of investments, exports and imports have led to changes in the national currency exchange rate.

The COVID-19 pandemic has significantly affected the globalization of the world economy. GDP, GDP per capita and other economic indicators have decreased all around the world. Poverty has increased worldwide, while the globalization of the economy on the contrary reduces poverty.

This pandemic should become a good lesson for the international community so that in case of similar pandemics in the future (hopefully such a large-scale pandemic will be the last one) the international community will be better prepared to meet it.

Thus the COVID-19 pandemic has created serious challenges that we least expected. Nearly two years have passed and the covid-19 viruses are still spreading around the world. I greatly hope that everything will end soon and that the economy of Georgia as well as the global economy will continue to develop without the COVID-19 pandemic. Any pandemic will start and end, but the international community will need to be more prepared with recent knowledge and experience.

Keywords: *COVID 19, economy of Georgia, GDP, GDP per capita.*

ენოტურიზმის განვითარების პერსპექტივები პოსტპანდემიურ საქართველოში

ქეთევან ქველაძე

ეკონომიკის აკადამიური დოქტორი

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

მედეა მელაშვილი

მაგისტრი

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ნუნუ ქისტაური

ეკონომიკის აკადამიური დოქტორი

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ცირა მიქატაძე

ეკონომიკის აკადამიური დოქტორი

ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკის ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორიცაა ტურიზმში პანდემიით გამოწვეული პრობლემების დაძლევა. ყველაზე სწორ გზად მიიჩნევა შიდა ტურიზმის გაძლიერებაა და უსაფრთხო ტურისტული ზონების შექმნა. პანდემიისა და პოსტპანდემიური პერიოდის შემდეგაც ტურიზმის მამოძრავებელ ძალად შიდა ტურიზმის განვითარებისათვის თემატურ ტურიზმს მოიაზრებენ, სადაც ღვინის ტურიზმის (ენოტურიზმის) განვითარება არის ერთერთი სწორი გზა და იგი მზარდ სეგმენტად განიხილება. ზოგადად ღვინის ტურიზმი როგორც აგროტურიზმის სახეობა, მოიცავს ბევრ თანაკვეთას აგროსექტორთან და ტურიზმს შორის, არის ეკონომიკის ამ ორი სექტორის დამაკავშირებელი რგოლი. ამის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა იქნება ღვინის ტურიზმის რეგიონების აქტიური კვლევა და მისი განვითარების ხელშეწყობა. ნაშრომში შესწავლილია ქვეყანაში ღვინის ტურიზმის განვითარების ზოგადი ეკონომიკური-თეორიული ასპექტები და პერსპექტივები უცხოური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე მათი გადაჭრის გზები.

საკვანძო სიტყვები: *შიდა ტურიზმი, პანდემია, ენოტურიზმი, ბრენდი, მოდელი, სტანდარტი.*

მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით და სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების, მაგალითად მევენახეობა-მეღვინეობის, განვითარების ფონზე, სოფლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სექტორია ტურიზმი, რისი განვითარების ხელშეწყობაც ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საქართველოში ბოლო ათწლეულში ყოველწლიურად მზარდი იყო ვიზიტორების ნაკადი და ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლები. ტურიზმი საქართველოს მშპ-ს დაახლოებით 11,5%-ს აწარმოებს. 2019 წელს ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 9,4 მილიონს მიაღწია, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 7.8%-ით მეტია. ტურიზმმა 2019 წელს თითქმის 3.5 მილიარდი აშშ დოლარის მოგება მოიტანა, რაც 1,4%-ით (46,6 მლნ დოლარით) აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. თუმცა 2020 წელს კორონავირუსის პანდემიამ განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის ტურისტულ მეურნეობას და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. 2020 წლის ბიუჯეტი ტურიზმის განვითარებაში 20 მლნ ლარით შეცირდა. დღესდღეობით არსებული რთული რეალობიდან გამომდინარე, ცხადია, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება. განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე ყველა ქვეყანა კრიზისიდან გამოსვლის თავისეულ გზებს ეძებს. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი.

*****

კორონავირუსის პანდემიამ მთლიანად შეცვალა ტურისტული სექტორი. ქვეყნები კრიზისიდან გამოსვლას ეტაპობრივად იწყებენ და გამოცოცხლება შიდა ტურიზმის გააქტიურებით დაიწყება, ე.ი. ტურისტები იმოგზაურებენ ქვეყნის საზღვრებს შიგნით. გამომდინარე აქედან პანდემიის პირობებში აქცენტები უნდა გაკეთდეს შიდა ტურიზმის პოპულარიზაციაზე, წახალისებაზე და განვითარებაზე. ტურიზმის ყველა არსებული სახეობიდან საქართველო მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობს განავითაროს თითქმის ყველა ტრადიციული თუ ინოვაციური სახეობა, იქნება ეს აგრო, ეკო, კულტურულდსანახაობითი, ისტორიული, გასართობი, სამთოდ-სათხილამურო, ექსტრემალური, სათავგადასავლო და ასევე ენო (იგივე, ღვინის ტურიზმი) ტურიზმი.

პარადოქსულია, რომ აგროტურიზმის ერთ-ერთ ახალ სახეობად საქართველოსათვის უნდა განვიხილოთ ღვინის ტურიზმი. დღეს უკვე ცნობილია, რომ ქართული ღვინო ისტორიით ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მევენახეობა და მეღვინეობა აქ ძვ. წ. VII-VI ათასწლეულიდან იღებს დასაბამს. დღეისთვის მსოფლიოში მევენახეობისა და ღვინის წარმოების ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიშნები მიუთითებს საქართველოში ღვინის კულტურის არსებობაზე ჯერ კიდევ 8000 წლის წინ, რაც საქართველოს ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს.

ატლასის "მეღვინის ხელოვნება" (ნიუ-იორკი, 1992) ავტორები ჰიუ ჯონსონი და ჯეიმს ჰოლიდეი, ასევე ღვინის ექსპერტი და მსოფლიოში საუკეთესო ღვინის გზამკვლევისა ავტორი ოზ კლარკი თანხმდებიან, რომ კაცობრიობა ჯერ კიდევ ქვის ხანაში იმყოფებოდა, როდესაც საქართველოში პირველად გააშენეს ვაზი და მიიღეს ღვინო. უძველესი რუკის მიხედვით, საქართველოდან ღვინო პირველად შევიდა სირიაში, შემდეგ ეგვიპტესა და იტალიაში, ხოლო შემდგომ დასავლეთ ევროპაში.

მსოფლიოში ცნობილი 2000 ყურძნის ჯიშიდან 500 ქართულია.

საქართველოს ტერიტორიაზე ვაზის ველური ჯიშები დღესაცაა გავრცელებული. გასული საუკუნის 80-იან წლებში ქართული ტყის ვაზი წითელ წიგნში შეიტანეს და მას სახელმწიფო იცავს. საქართველოში აღნუსხულია 500–მდე სახეობის ვაზი, რომელთაგან 430 სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო საკოლექციო ვენახებშია დაცული. ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ეს აღიარება მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის ცნობადობის ამაღლებისთვის და ხელს შეუწყობს ქართული ღვინის მსოფლიო პოპულარიზაციას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ანიჭებს საქართველოს უნიკალურობას. იგი მსოფლიომ უნდა გაიცნოს როგორც ღვინის სამშობლო და ამით შეიცვალოს ის მდგომარეობა, რაც დღესაა დამკვიდრებული. საერთაშორისო გამოცდილებას რომ გადავხედოთ, თითქმის ყველა პოტენციურ ენო ტურისტს თავდაპირველად მაინც საფრანგეთსა და იტალიაში მიუწევს გული, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ორი ქვეყანა ცნობილია თავისი მრავალწლიანი ღვინის ისტორიით. ამ მიმართულების განსავითარებლად საჭიროა, გავიზიაროთ სწორედ ამ ქვეყნების აგრეთვე ესპანეთის, პორტუგალის, კვიპროსის, საბერძნეთის გამოცდილება, რადგანაც ისინი დიდი ხანია ჩართულნი არიან ამ სფეროში.

ზოგადად ღვინის ტურიზმი როგორც აგროტურიზმის სახეობა, რომელიც აერთიანებს სოფლის განვითარების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს, მოიცავს ბევრ თანაკვეთას აგროსექტორსა და ტურიზმს შორის, არის ეკონომიკის ამ ორი სექტორის დამაკავშირებელი რგოლი.

ღვინის ტურიზმის შემადგენელი ნაწილებია: ღვინის ქარხნების მონახულება, ღვინის დეგუსტაცია, ღვინის გზის აღმოჩენა-გაკვლევა, ღვინის ტურები და სხვ.. ამასთან, ღვინის ტურიზმი განიხილება, როგორც მეღვინეობის ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობა. ამ სფეროს შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ამჟამინდელი და პოტენციური ღვინის ტურისტების საჭიროებების გამოვლენა: ტურისტების მოტივაცია მოგზაურობისათვის. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტურისტებს იზიდავს არა მარტო ისტორიული ძეგლები, არამედ ღვინის დეგუსტაციის დღესასწაულები, მოსავლის აღებასა და ღვინის დაწურვაში მონაწილეობა. დღეს ღვინის რეგიონებში ტურისტებისთვის, გარდა ტრადიციული ღვინის მარშრუტებისა და სპეციალური ღონისძიებებისა თითქმის ყველაფერია შესაძლებელი – ვენახში ქორწილის გადახდა, ვენახების თავზე საჰაერო ბურთით ფრენა, გლეხებთან ერთად ყურძნის კრეფა, ცხენებით ჯირითი და სხვ.

საქართველოს ღვინის ტურიზმის განვითარებას დიდი პოტენციალი აქვს. ღვინის ტურიზმის განვითარებას შეუძლია გადაჭრას მნიშვნელოვანი პრობლემები: დარგის განვითარების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნისა და ჩამოყალიბების, ინფრასტრუქტურის განვითარების, ბუნების დაცვის, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების კუთხით. ჩვენთან ყველაზე განვითარებულია შემდეგი ღვინის ტურისტული პროდუქტები და მომსახურებები: საოჯახო სასტუმროები, ადგილობრივი სამზარეულოს გაცნობა-დაგემოვნება, ღვინის დეგუსტაცია, ყურძნის კრეფისა და ღვინის დაწურვის შესაძლებლობა; ნაკლებად განვითარებელია: ღვინის სახლ-მუზეუმების დათვალიერება, ადგილობრივი ფოლკლორის გაცნობა.

ღვინის კულტურის მქონე ყველა ქვეყანაში გზებზე ვხვდებით ნიშნულებს „ღვინის გზა“, რომლებსაც მარნისკენ მივყავართ. ბოლო წლებში ასეთი ტრაფარეტები ჩვენ გზებზეც გაჩნდა. საქართველოს „ღვინის გზის“ პროექტი 2011 წელს ამოქმედდა. ის სახელმწიფომ და საერთაშორისო ორგანიზაცია USAID-მა დაგეგმეს. ნიშნულზე ვაზისა და ყურძნის სიმბოლიკა ქართულია, ფერი კი – საფერავის.

ღვინის სამშობლოში „ღვინის გზა“, ჯერჯერობით, ერთადერთი მასშტაბური ენოტურისტული პროექტია, რომელსაც სახელმწიფო უძღვება. პროექტი პირველად 2012 წელს განხორციელდა. შემდგომში არაერთმა დიდმა მეღვინეობამ განავითარა ახალი ტურისტული სერვისები. შეიქმნა ტურისტული კლუბები. მაგ. ღვინის კლუბმა „USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის“ „The USAID Economic Security Program“ ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო ახალი საგანმანათლებლო პროექტი, მცირე მარნებისა და რეგიონული ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის. პროექტს სახელად „ღვინის სოფელი“ ჰქვია. საყურადღებო და უდაოდ დასაფასებელია ის გარემოება, რომ ახალი პროექტის ერთ-ერთი მიზანია ძველი „ღვინის გზის“ ხარვეზების აღმოფხვრა. პროექტები - „ღვინის ტურიზმი გზა“ და „ღვინის სოფლები“-ს მოდელი, ეფუძნება ადგილობრივ უნიკალურ ადგილწარმოშობის ღვინოებს. პირველი ეტაპისათვის იგი მცირე საჯახო სასტუმროსა და პირად დამხმარე მეურნეობებს, პირად საკუთრებაში არსებულ მარნებსა და პირად საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებიდან მიღებულ მოსავალს

ეფუძნება. ხოლო მეორე ეტაპისთვის კი - ადგილობრივი კოოპერაციული ურთიერთობების საფუძველზე ყალიბდება, როგორც ღვინის თემატური სოფლები, რომელიც ქმნის „ადგილობრივი თემის“ კოლექტიურ პროდუქტს.

როდესაც ღვინის ტურიზმზე ვლაპარაკობთ აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ღვინის მუზეუმზე, რომელიც თბილისში მდებარეობს. ღვინის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიაზე არის ვაზისა და ღვინის მუზეუმი. აქ წარმოდგენილია უძველესი ქართული ღვინის ჭურჭლები - ქვევრები, ასევე მუზეუმი მოიცავს უძველეს ენოთეკას (საცავს), სადაც 25000-მდე ბოთლი სხვადასხვა პერიოდის ღვინოა დაცული.

აუცილებელია ქვეყანამ ყურადღება მიიქციოს მაღალი ხარისხის ღვინის წარმოებით. ამით შეძლებს საერთაშორისო ბაზარზე დაიმკვიდროს ადგილი და თავისი ღვინო ბრენდად აქციოს. ბოლო წლების დინამიკამ გვიჩვენა, რომ ქართული ღვინო მსოფლიო ბაზარზე ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენებზე მასშტაბურად იღებს მონაწილეობას ერთიანი ბრენდირებული სახით. ახალი ბაზრებისა და გაყიდვების არხების ძიებით იზრდება ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობებიც. ამ სფეროს დივერსიფიკაციას ხელს უწყობს ქართული ღვინის ბრენდების მიერ მოპოვებული ჯილდოები (ოქროსა და ვერცხლის მედლები): ორმაგი ოქრო - ,,საფერავი. რეზერვი 2005", კომპანია ,,კახური"; ოქრო - ,,საფერავი. 2008", კომპანია ,,კახური"; ოქრო - ,,საფერავი. საოჯახო რეზერვი. 2013", კომპანია ,,ლუკასი"; ოქრო - ,,მარანი. კონდოლის ვენახები. 2013", კომპანია ,,თელავის ღვინის მარანი"; ოქრო - ,,მარანი. რეზერვი. 2007", კომპანია ,,თელავის ღვინის მარანი"; ვერცხლი - ,,მუკუზანი იბერიული. 2013", კომპანია ,,შუმი"; ვერცხლი - ,,ნაფარეული. 2013". კომპანია ,,შუმი"; ვერცხლი - ,,სატრაპეზო საფერავი. 2012", კომპანია ,,თელავის ღვინის მარანი"; ვერცხლი - ,,საფერავი ქვევრის. 2011", კორპორაცია ,,ქინძმარაული", ქართული ქვევრის ღვინოები დღეს უკვე მოიაზრება მსოფლიოს ისეთი მეღვინეობის ქვეყნების გვერდით, როგორებიცაა საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი. დეგუსტაცია იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, იგი ასევე, მიეწოდება სპეციალიზებულ ღვინის მაღაზიებსა და ბარებს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოფენებსა და დეგუსტაციებში მონაწილეობას, რაც ზრდის ქართული ღვინის ცნობადობასა და პოპულარიზაციას, და, შესაბამისად, იწვევს ექსპორტის მოცულობის ზრდას და საექსპორტო ბაზრებზე ცნობადობის ამაღლებას, ხელს უწყობს ტურისტების მოზიდვას. მსოფლიოში ცნობილი მუდმივმოქმედი გამოფენა ლონდონში “ვინოპოლისი" იწყებოდა საქართველოს პავილიონით, რომელსაც ერქვა “საქართველო - ღვინის აკვანი” (დღეს პანდემიის გამო იგი დროებით დახურულია).

2016 წლის, 7-9 სექტემბერს გაერთიანებული ერების ტურიზმის ორგანიზაციის, UNWTO–ს ინიციატივით, ღვინის ტურიზმის შესახებ პირველი გლობალური კონფერენცია საქართველოში, კახეთში გაიმართა (კახეთში, რადგან საქართველოში ვენახების 65 პროცენტი სწორედ კახეთში ხარობს). ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს როგორც ღვინის სამშობლოს იმიჯის დამკვიდრების კუთხით. კონფერენციას 42 ქვეყნის 250 დელეგატი და 150 ორგანიზაცია დაესწრო. კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა ტალებ რიფაიმ. მან საქართველოს და ქართველებს ჩემპიონები და მოწინავეები უწოდა ღვინის ტურიზმის დარგში.

როგორც ავღნიშნეთ, პანდემიის პერიოდში ყველაზე მეტად ტურისტულ ადგილებს გაუჭირდა, მაგ. 2020 წლის 9 მაისს საქართველოში წლის უმთავრესი ღვინის დღესასწაული –

„ახალი ღვინის ფესტივალი 2020“ უნდა გამართულიყო, რომელიც სწორედ პანდემიის გამო გადაიდო.

ამის მიუხედავად, რამდენიმე ღონისძიების გამართვა მაინც მოხერხდა, მათ შორის, მეოთხეჯერ მოეწყო ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსი, ასევე საქართველოში რეგისტრირებულ დაცულ გეოგრაფიულ ადგილწარმოშობის დასახელებებს 4 ახალი დასახელება დაემატა მაისში – „სალხინოს ოჯალეში“, „ახმეტა“, „წარაფი“ და „ახოები“ (ორივე კარდანახში).

ჩატარდა არაერთი ვებინარი, რომელიც კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლას მიეძღვნა და რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ სახელმწიფო ორგანიზაციები, ბიზნესის წარმომადგენლები. ბევრი ღონისძიება იყო დაგეგმილი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის.

დასასრულს, კიდევ ერთხელ გვინდა ავღნიშნოთ, რომ შიდა ტურიზმის განვითარება ახლა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე აქამდე (COVID 19-მა ყველაფერი კიდევ უფრო ნათელი გახადა), რაც უთუო შეღავათს მოუტანს მთლიანად ტურისტულ სექტორს, ოღონდ ამას პროდუქტის შემთავაზებლების მხრიდან შიდა ბაზარზე გადაწყობა სჭირდება: მეორე საკითხია როგორ მოახერხებენ ტურისტული ობიექტები გადაწყობას და ადგილობრივ მომხმარებელზე მორგებას (იგულისხმობა რეკლამა, ფასები და სხვა).

დასკვნა

დღევანდელ დღეს, ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის ბრენდის შექმნა განსზღვრავს სამომავლო წარმატებას. კარგი ბრენდი განაპირობებს მეტი ტურისტისა და ინვესტიციების მოზიდვას, დადებითი იმიჯისა და რეპუტაციის შეექმნას. საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი: პირველ რიგში საჭიროა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში), გამოცდილი და კვალიფიციური კადრების მომზადება და გადამზადება, მათ შორის უცხო ენის ბარიერის მოხსნა, უხარისხო ღვინის წარმოების მკაცრი კონტროლი, „ღვინის გზის“ მობილური აპლიკაციისა და ელექტრონული ბაზის განახლება, გაყიდვების არხების გაფართოება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ. ღვინის ტურიზმის განვითარების ნებისმიერი ეტაპი საჭიროებს მთავრობისა და კერძო სექტორის შეთანხმებულ სხვადასხვა ხარისხით მონაწილეობას ყველა დონეზე, რაც ძლიერი სოფლის, ძლიერი მეღვინეობის დარგის და საერთო ჯამში ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის გარანტიაა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს *„ღვინის გზის“ პროექტი* 2011 ... *2020* წლისთვის ტურიზმის მამოძრავებელ ... *mastsavlebeli.ge* › ... Oct 13, 2016 -
2. საქ...სოფლის მეურნეობაში ინოვაციები და ... ტექნოლოგიების დანერგვის მხარდაჭერას, სოფლის...1 http://ec.europa.eu/agriculture/rural-development-2014-2020/ index_en.htm ... საწარმოები და ტურისტული, სამკურნალო და ... საქართველოს სოფლის ... - Enpard enpard.ge › uploads › 2015/05 ›
3. ღვინის ტურიზმი სქართველოში ... *vinoge.com* › qarTuli-Rvino › Rvinis... *ღვინის ტურიზმის* სამი მხარე: გიდი. *მარნის* მეპატრონე. ვიზიტორი.

4. საქართველოში *ღვინის ტურიზმის* განვითარება აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს. ღვინის ტურიზმი - ტურიზმის ...*to.edu.ge* › gvinis-turizmis-perspeqti... Tep 20, 2019.
5. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ... http://www.vinoge.com › patara-WiqebiT › gaeros-mso... „ღვინის ტურიზმი მზარდ სეგმენტს ... UNWTO-ს ღვინის ტურიზმის პირველი კონფერენცია ამ ...
6. პანდემია ქართული ღვინის ...*http://vinoge.com* › degustacia › pandemia-qarTuli-Rvi... გამოსავალი *ღვინის* შიდა *ტურიზმის* ... განსაკუთრებული *პრობლემების* წინაშე ის ... **Error! Hyperlink reference not valid**. სტრუქტურა რაჭაში 2017 *წლის* მდგომარეობით. 100 ... ამიტომაც ფორუმმა *2020* წელი გამოაცხადა სოფლის ... მართალია სოფლის *ტურიზმი საქართველოში* ... საწარმოებიდან ,,*ღვინის გზის*" *პროექტის* ...**Error! Hyperlink reference not valid**. *ტურიზმი ქვეყნის* ... 1 http://igstraveltogeorgia.asm.*ge*/index.php? ... *ვინ ააშენა* *პირველად მარანი და რა გზა* ... მაგრამ ყველა ის ნაბიჯი რაც *გაიარა* საფუძველი გახდა დღევანდელობისა *და*.
7. ზ. პოლოლიკაშვილი | BM.GE. https://bm.ge › article › moga... *ორგანიზაციამ 2020 წელი სოფლის მეურნეობის ტურიზმის განვითარების წლად გამოაცხადა.*

Prospects for the Development of Enotourism in Post-pandemic Georgia

Ketevan Kveladze
Academic Doctor of Economics
TSU Paata Gugushvili Institute of Economics

Medea Melashvili
Master
TSU Paata Gugushvili Institute of Economics

Nunu Kistauri
Academic Doctor of Economics
TSU Paata Gugushvili Institute of Economics

Tsira Mikatadze
Academic Doctor of Economics

SUMMARY

In Georgia, on May 5, 2020, in order to reduce the negative impact on small and medium-sized businesses in the tourism sector during the coronavirus crisis and post-crisis period, the National Tourism Organization "Georgian Tourism Industry Alliance" (GTIA) was established by merging associations working in the tourism sector. Alliance priorities address agro, eco, wine and rural new trends in tourism, where the main focus is on local products and their safe production and delivery.

It is paradoxical that we should consider wine tourism as one of the new types of agro-tourism for Georgia. Today it is already known that Georgian wine is one of the oldest in the world.

In general, wine tourism as a type of agro-tourism, which combines the economic, social and cultural aspects of rural development, includes many sections between the agro-sector and tourism, is the link between these two sectors of the economy. Wine tourism is considered as an opportunity to develop the wine industry.

The development of Georgian wine tourism has great potential. The development of wine tourism can solve important problems. The awareness of the Georgian wine brand and the historical-economic foundations of the viticulture-winemaking sector provide good opportunities for the development of wine tourism.

COVID-19 გავლენა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებაზე

რუსუდან ქინქლაძე

ეკონომიკის დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შორენა მეტრეველი

ეკონომიკის დოქტორი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქეთევან ჩიტალაძე

ეკონომიკის დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

Covid-19-ით გამოწვეული კრიზისი დიდი გამოწვევა აღმოჩნდა თითქმის ყველა სახელმწიფოსთვის-.რსრულიად შეცვალა ადამიანთა ყოფა - დააავადა მილიონობით ადამიანი, ხოლო ასობით ათასი გარდაიცვალა. მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის შესწავლა მეტად აქტუალურია, რაც თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით, არამედ მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ეკონომიკური ინტეგრაციის მოთხოვნებით არის ნაკარნახევი. ამავე დროს, იგი ძალზედ მნიშვნელოვანია მოსახლეობის ზრდის კონკრეტული მექანიზმების გამოსავლენად. მოსახლეობის დემოგრაფიული ფაქტორი გავლენას ახდენს შრომითი პოტენციალის ფორმირებაზე, დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას და განაწილებას. ნაშრომში განხილულია მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა, რომელიც ერთი მხრივ, განიცდის დემოგრაფიულ პროცესთა რიგი კომპლექსის გავლენას, რითაც საერთო ჯამში, მიიღება მოსახლეობის ესა თუ ის რეალური მაჩვენებელი, მეორე მხრივ კი, თავად ახდენს გავლენას ზრდის ხასიათზე. ნაშრომში წაროდგენილია საქართველოში COVID-19 პანდემიით გამოწვეული იმ მოვლენებისა და პრცესების სტატისტიკურ ანალიზი, რამაც გავლენა იქონია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებაზე. აღნიშნულია, რომ COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის შესაძლებელი მათი სრულად შეფასება, გარკვეული დასკვნების გაკეთება უკვე შესაძლებელია.

საკვანძო სიტყვები: *COVID-19-ის პანდემია, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შობადობა, სიკვდილიანობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ბუნებრივი და მიგრაციული სალდო*

კორონავირუსის პანდემიამ გავლენა მოახდინა მსოფლიოს ყველა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე. COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის შესაძლებელი მათი სრულად შეფასება, გარკვეული დასკვნების გაკეთება უკვე შესაძლებელია. პანდემიით გამოწვეულ დემოგრაფიულ ცვლილებასთან და მის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან დაკავშირებული პრობლემები მთელი მსოფლიოს მეცნიერთა კვლევებში წინა პლანზე წამოწია.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 220 წლის განმავლობაში, მსოფლიოს მოსახლეობა 1800 წელს არსებული 1 მილიარდიდან 7,9 მილიარდამდე გაიზარდა. მსოფლიოს ქვეყნების მოსახლეობა იზრდება, მაგრამ გაცილებით ნელა, ვიდრე წინა საუკუნეებში. თუ 60 წლის წინ წლიური ზრდა იყო 1,84%, ახლა ის 1,23%-მდე დაეცა. მიზეზები არ არის გლობალური კატასტროფები, არამედ ის ფაქტი, რომ უფრო და უფრო მეტ ზრდასრულ ადამიანს ურჩევნია დრო დაუთმოს კარიერას, მოგზაურობას, გართობას და მხოლოდ ამის შემდეგ სურს შვილების გაჩენა. ამის გამო აღინიშნე-

ბა საშუალო ასაკის მატება 30 წლიდან 37-40 წლამდე. რა თქმა უნდა, დიდ როლს ასრულებს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მედიცინა და მთელი სოციალური კომპონენტი (Никитина А, 2021). საშუალოდ მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა იზრდება 90 მილიონით ყოველწლიურად და 2022 წლის დასაწყისისთვის, მოსახლეობის მატებამ 12 მილიონზე მეტი იყო და ამჟამად 7 960 568 062 კაცი შეადგინა, რომლის 50,5% მამაკაცია, ხოლო 49,5% ქალი. ანალიტიკოსები თვლიან, რომ მსოფლიოს მოსახლეობა 2025 წლისთვის 8 მილიარდს მიაღწევს (Счетчик населения Земли, 2022).

კაცობრიობას არაერთხელ განუცდია სხვადასხვა ეპიდემია, მაგ, შუა საუკუნეებში შავი ჭირის ეპიდემია, მე-19 საუკუნეში - ქოლერა, მე-20 საუკუნის დასაწყისში - ესპანური გრიპი და მრავალი სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში, პანდემიებმა არ შეანელა გლობალური მოსახლეობის ეს ზრდა. გამონაკლისი იყო 1918 წლის ესპანური გრიპი, რომლის დროსაც, ერთ წელიწადში 50 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა (Garrett Thomas A., 2007, Baldwin, 2020, Ojo, 2020). COVID-19 კი ღრმა გლობალურ გავლენა მოახდინა, მან თვალის დახამხამებაში შეცვალა ევროპა და მსოფლიო. ფილიპ კაფარო (კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორის და ჭარბი პოპულაციისა და ველური ბუნების დაცვის სპეციალისტი) ხაზს უსვამს, რომ „ნახევარი მილიონი გარდაცვალება დიდი დანაკლისი და დიდი უბედურებაა გარდაცვლილის მეგობრებისა და ახლობლებისთვის“, თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი თვლის, რომ Covid-19 არ არის პირველი და არც უკანასკნელი პანდემია, რომელსაც კაცობრიობა აწყდება.

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2), რომელიც 2019 წლის დეკემბერში ვუჰანში (ჩინეთი) აღმოაჩინეს, 2020 წლის იანვრიდან COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევები მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში გამოჩნდა. COVID-19, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) 2020 წლის 11 მარტს პანდემიად გამოაცხადა არის ვირუსული ეპიდემია, რომელმაც სერიოზულად დააზარალა მთელი მსოფლიო (Sohrabi et al.,, 2020).

იტალია იყო პირველი ქვეყანა ჩინეთის გარეთ, რომელიც მძიმედ დაზარალდა. COVID-19-ის საერთო შემთხვევების განაწილება მთელ მსოფლიოში იყო შემდეგი: ამერიკა (0.478), ევროპა (0.327), აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვა (0.094), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია (0.054), დასავლეთ წყნარი ოკეანე (0.027) და აფრიკა (0.020) (WHO, 2020a) . გარდა ამისა, დაღუპულთა წილი იყო 0.457 (ევროპა), 0.455 (ამერიკა), 0.037 (აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვა), 0.026 (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია), 0.018 (დასავლეთ წყნარი ოკეანე) და 0.008 (აფრიკა) (WHO, 2020a). Covid-19-ის მსხვერპლთა რიცხვმა მთელ მსოფლიოში 5 714 656 ადამიანს გადააჭარბა, მსგავსი პანდემია 100 წელზე მეტია არ განუცდია მსოფლიოს. ვირუსმა გამოიწვია სერიოზული გაურკვევლობა და შფოთვა მთელ მსოფლიოში.

ბევრ მეცნიერსა და ანალიტიკოსს ვერ გადაუწყვეტია ეს ვირუსი არის ხელოვნურად შექმნილი თუ ბუნებრივი? და ვინ არის დამნაშავე ამის სწრაფ გავრცელებაში. თუ პანდემიის აფეთქება ადამიანის ხელით არის გამოწვეული, მაშინ ვინ სარგებლობს ამით და ვის სურს გამდიდრება წამლებისა და ვაქცინების გავრცელებით? როგორ იმოქმედებს ეს დემოგრაფიულ პროცესებზე.

COVID-19 პანდემიის დაწყებიდან მოყოლებული, გაჩნდა დიდი რაოდენობით კვლევები ცალკეული ქვეყნების დემოგრაფიულ პრობლემებზე. მათში მოცემულია ვრცელი ინფორმაცია პანდემიის განვითარების, მისი თავისებურებებისა და სხვადასხვა ქვეყბენში დემოგრაფიულ მახასიათებლებზე გავლენის შესახებ. კვლევები, რომლებიც იკვლევს COVID-19 პანდემიის

გავლენას, ფოკუსირებულია სხვადასხვა თემებზე, ისეთი როგორიცაა სიკვდილიანობის მაჩვენებლები (Bonanad et al.,, 2020; Bulut, 2020; De Paz, C.,et al.,, 2020; Jin, J. et al., 2020; Meo, S. A., et al., 2020; Roberton et al., 2020) ფსიქოლოგიური ეფექტები (Ahmed, 2020, Cao, et al., 2020; Gorrochategi, 2020; Shrira et al., 2020) ასევე დაავადების გავრცელება (Banerjee et al., 2020; Chen, . et al., 2020; DeBiasi et al., 2020; (Dolores De Luca, et al., 2020; Huang et al., 2020; Li et al.. , 2020; Liu et al., 2020b, c; Meo et al., 2020; Mustafa and Selim, 2020; Palmieri et al., 2020).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს რამდენიმე კვლევა, რომელიც იკვლევს COVID-19-ის გავლენას - სტატისტიკური ანალიზი, რომელიც აფასებს ასაკობრივ სტრუქტურასა და პანდემიას შორის ურთიერთობას, შეზღუდულია. დემოგრაფიული ვითარების დინამიკის დეტალური ანალიზი კი აუცილებელია იმისათვის, რომ მივიღოთ პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს საზოგადოების ინტერესებზე. იმის გასაგებად, იმოქმედა თუ არა კორონავირუსმა საქართველოს დემოგრაფიულ სურათზე, აუცილებელია ბოლო ოთხი წლის მონაცემების გაანალიზება (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით 2021 წლის შესახებ მწირი სტატისტიკური ინფორმაცია გაგვაჩნია).

დღეს კორონავირუსის შემთხვევების რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით არის 396 787 860 კაცი, მათ შორის დაღუპულთა რაოდენობა შეადგენს 5 760 851, ხოლო გამოჯანმრთელებულთა რიცხვი კი არის 313 215 309. საქართველო მსოფლიო მასშტაბით კორონავირუსით დაინფირიცებულთა რაოდენობის მიხედვით 44 ადგილს იკავებს. 2022 წლის თებერვლის მიხედვით საქართველოში 1 325 838 დაინფიცირებულთა და 15 246 გარდაცვლილთა რაოდენობაა (კორონავირუსის ბოლო მონაცემები კოვიდ-19, 2020). სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გავაანალიზოთ კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობა.

საქართველო დემოგრაფიულად დაბერებული ქვეყანაა, რომელმაც ეს სტატუსი ჯერ კიდევ 1970-იან წლებში შეიძინა. 1990-2008 წლებში საქართველოში მოსახლეობა შემცირდა 19,5 პროცენტით, მაშინ როდესაც 1975-1990 წლებში იზრდებოდა 11 პროცენტით. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 728.6 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 0.3 პროცენტით მეტია. 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 20.5 %-ია, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის წილი (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) – 64.2 %, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი – 15.2 %. (ნახ. 1)



ნახ. 1 მოსახლეობა ასაკის მიხედვით (1990, 2000 და 2021) წლები (%)

წყარო: www.geostat.ge

1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, საქართველოში შობადობის მაჩვენებელი მარტივი აღწარმოების დონეზე მაღალი იყო (შობადობის ჯამობრივი კოეფიციენ-

ტი იყო დაახლოებით 2.2) და ევროპის ბევრი პოსტკომუნისტური ქვეყნის მაჩვენებელს უტოლ-დებოდა. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მოუ-ლოდნელად შემცირდა და 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის დასრულებამდე იყო დაახლო-ებით 1.5, რაც აღწარმოების დონეზე დაბალი მაჩვენებელია. აღნიშნული პერიოდიდან ამ მაჩვე-ნებელმა ზრდა იწყო და 2015 წელს 2.2 გახდა.

2005 წლიდან 2012 წლამდე არსებულ სტატისტიკურ მონაცემებში ყურადღებას იქცევს ცოცხლად დაბადებულთა მატება, კერძოდ, 2009 და 2014 წლებში ზრდამ შესაბამისად მიაღწია 22.8% და 31.6%, თუმცა ბოლო წლებში ისევ კლების დინამიკაა შესამჩნევი მიუხედავეთ იმისა, რომ 2020 წელს 2005 წელთან შედარებით ზრდა 0.99 % დაფიქსირდა. (იხ. ნახ. 2)



ნახ 2. ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი (კაცი)

წყარო: www.geostat.ge

ზრდა დაფიქსირდა როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში. თუმცა, შობადობასთან დაკავ-შირებით ექსპერტები პესიმისტურ პროგნოზებს აკეთებენ. 2012 წლის მონაცემებით 100 გოგოზე 109,7 ბიჭი დარეგისტრირდა. რაც შეეხება შემდეგ წლებს, ბიჭების რაოდენობა 100 გოგონაზე ასეთი იყო: 2014 წელს 106,9, 2016 წელს 104,4, 2018 წელს 107,9, 2020 წელს 109,3 და 2021 წელს 109,1, რაც მიუთითებს რეგულარულ კოეფიციენტზე.

2021 წელს საქართველოში შემცირდა შობადობა, 2021 წლის 11 თვეში სულ 41,043 ბავშვი დაიბადა. თუკი დავუშვებთ, რომ დეკემბერშიც დაახლოებით იმდენი ბავშვი დაიბადა, რამდე-ნიც ნოემბერში, მაშინ გამოდის, რომ ჯამურად 2021 წელს ქვეყანაში 44,832 ბავშვი დაიბადა, ეს კი 1994 წლის შემდეგ შობადობის ყველაზე მცირე რაოდენობაა გასული 11 თვეში საქართველოს ბუნებრივი მატება მინუს 12,401 იყო, რაც ასევე რეკორდულად ცუდი მაჩვენებელია (bm.ge, 2020) (იხ. ნახ. 3)



ნახ. 3 მოსახლეობა სქესის და ასაკის მიხედვით 2021 წელს (კაცი)

წყარო: www.bm.ge

კორონავირუსული კრიზისის უფრო გრძელვადიან შედეგებთან დაკავშირებით, დემოგრაფების უმეტესობა ელოდება, რომ შობადობის მაჩვენებლები შემცირდება, რადგან წინა კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანებს ნაკლებად აქვთ ბავშვების ყოლის სურვილი გაურკვევლობის პერიოდში. გაურკვევლობის დროს ინდივიდების აღქმის როლი უკვე არის ევროპაში ნაყოფიერების ექსპერტების აკადემიური დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხი. ინტერვიუში in New York Times-ში, დემოგრაფი ჯენიფერ ჯონსონ-ჰენქსი ამტკიცებს, რომ „ფერტილობის ასაკში ბევრ ქალს უკვე აწუხებდა თავისი მომავალი და ახლა მათ შესაძლოა უმუშევრობის შიშიც დაემატოს. ასეთი შფოთვა კი არ არის ხელსაყრელი ბავშვის გაჩენისთვის“ (Yuhas, 2020). ახალი მონაცემების შეგროვებამ კი შესაძლებელია უფრო მეტი ნათელი მოჰფინოს ამ ჰიპოთეზას უახლოეს მომავალში. იგივე მოსაზრება შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს რეალობაზეც.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მდგომარეობით, მამაკაცთა რიცხოვნობამ 1 796,2 ათასი, ხოლო ქალების - 1 932,4 ათასი კაცი შეადგინა. წინა წელთან შედარებით, მამაკაცებისა და ქალების რიცხოვნობა 0,3 პროცენტით გაიზარდა. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 93-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ქალზე 93 კაცი მოდის.

2020 წელს საქართველოში 50 537 ადამიანი გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზებს შორის ჭარბობს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები, რომელზეც მოდის გარდაცვლილთა 43.8 %, სიმსივნეები (16.0 %) და სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები (7.9 %). 2020 წელს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო კლასიფიკატორის მეათე ვერსიას (ICD-10) დაემატა გარდაცვალების ახალი მიზეზი, „U07.1 - ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადება (COVID-19), რომელიც ლაბორატორიულად იდენტიფიცირებულია“. აღნიშნული მიზეზით, 2020 წელს საქართველოში 2 587 ადამიანი გარდაიცვალა, რაც ქვეყანაში გარდაცვალების შემთხვევების 5.1 % შეადგენს (ნახ.4).



ნახ. 4. გარდაცვლილთა რიცხოვნობა 2014-2020წწ. დაავადებათა მაღალი წილის სახეების მიხედვით
წყარო: www.geostat.ge, INDI, 2022

1994-2020 წლებში ქვეყანაში გარდაცვალების მაჩვენებელი 46 ათასიდან - 51 ათასამდე მერყეობდა, გასული წლის განმავლობაში ქვეყანაში გარდაცვლილთა რაოდენობა 8%-ით გაიზარდა, რაც გასული წლების განმავლობაში უპრეცედენტო ზრდას წარმოადენს. 2020 წელს სა-

ქართველოში 50,537 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის 3,773-ის სიკვდილის პირდაპირი მიზეზი COVID-19 იყო, ამასთან გარდაცვალები ყველაზე მაღალი ნიშნული დაფიქსირდა 65 და მეტ ასაკობრივ ჯგუფში (იხ. ნახ. 5).



ნახ. 5. გარდაცვალებულთა რიცხოვნობა სქესისა და ასაკის მიხედვით (2020 წ)
წყარო: www.geostat.ge

წინასწარი მონაცემებით 2021 წელს ბოლო 28 წლის განმავლობაში გარდაიცვალა ყველაზე მეტი ადამიანი - 59,638 (bm.ge, 2020). რაც 2020 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელს 9,101-ით (+18%) აღემატება. გარდაცვალების მაჩვენებლის ასეთი რადიკალური ზრდა დაკავშირებულია კორონავირუსის პანდემიასთან, ამის თქმის ულებას ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგიც გვაძლევს, საიდანაც ჩანს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობასა და კორონავირუსით გარდაცვლილ მოსახლეობას შორის კავშირი 0.92 ის ტოლია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. დემოგრაფებმა წარმოადგინეს დასაბუთება, რომელიც აჩვენებს, რომ ქალაქებში, სადაც უფრო მერი რაოდენობის ადამიანები ცხოვრობენ და უფრო ძლიერი სოციალური კავშირები აქვთ, COVID-19 შემთხვევების უფრო მეტი რაოდენობა აღინიშნებოდა (Mogi and Spijker, 2020; Balbo et al., 2020). თუ გადავხედავთ სტატისტიკას, საქართველოშიც ანალოგიური სიტუაციას დავინახავთ, უფრო ინფიცირების მაღალი დონე სწორედ დიდ ქალაქებში, განსაუთრებით თბილისსა და ბათუმში ფიქსირდება.

სიკვდილიანობის მაჩვენებლები, რომლებიც დაკავშირებულია COVID-19-თან, უფრო მაღალია 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებში, ვიდრე ახალგაზრდებში, და ასაკობრივ ჯგუფებში, COVID-19 დაავადების ინტენსივობის გავლენა საზოგადოების ფსიქოლოგიაზე განსხვავებულია. ასაკის მატებასთან ერთად, უარყოფითი ფსიქოლოგიური ეფექტები, როგორიცაა სტრესი, შფოთვა და დეპრესია, უფრო ხშირი იყო 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებში. ვირუსის სპეციფიკურ მახასიათებლებს, როგორიცაა ინფიცირების მაღალი მაჩვენებელი და სიკვდილის რისკი, სხვადასხვა ასაკობრივი სტრუქტურის მქონე მოსახლეობაზე განსხვავებული ეფექტი აქვს. მაგ, COVID-19 ინფექციის მაჩვენებელი უფრო მაღალია ბავშვებში და მცირე ასაკობრივ ჯგუფებში, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებელი უფრო მაღალია ხანდაზმულებში, განსაკუთ-

რებით 65 წელზე მეტი ასაკის. COVID-19 პანდემიის გავლენა ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებზე, როგორიცაა ჰიპერტენზია და გულის უკმარისობა (Chen Y. et al., 2020; Ip et al., 2020; Polverino et al., 2020; Roncon et al., 2020), დიაბეტი (Bornstein et al. 2020; Guo et al. 2020; Liu et al. 2020c; Zhang et al. 2020c, d) და კიბო (Fratino et al. 2020; Zhang et al. 2020a) უფრო სერიოზულია. ქრონიკული დაავადება განსაკუთრებით მაღალია ხანდაზმულებში (Atella et al., 2018; Zhao et al., 2018; NCOA National Council on Aging [NCOA], 2020), რადგან დაბერების დროს გენის ექსპრესიის ცვლილებები განიხილება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბიოლოგიურ მოვლენად. დაბერების და ქრონიკული დაავადებების მარკერები (Mueller et al., 2020).

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რამდენიმე კვლევა, რომელიც იკვლევს COVID-19-ის გავლენას სხვადასხვა პერსპექტივიდან შესაბამის ლიტერატურაში, ეკონომიკური ანალიზი, რომელიც აფასებს ასაკობრივ სტრუქტურასა და პანდემიას შორის ურთიერთობას, შეზღუდულია. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ არსებული ლიტერატურის უმეტესობა შედარებით და/ან ეკონომეტრიკულ ანალიზს წარმოადგენს. ძალზედ საინტერესო იქნება COVID-19 შემთხვევებისა და სიკვდილიანობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა, თუმცა მონაცემები ამის საშუალებას ჯერჯერობით არ იძლევა.

ევროკავშირის შიგნით, და მ.შ. საქართველოშიც, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევის ამოცანა არის სიკვდილიანობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ტენდენციებზე COVID-19-ით დაღუპულთა გავლენის რაოდენობრივი შეფასება. თუმცა ამის მიღწევა რთულია მონაცემთა ხარისხის, მონაცემთა ნაკლებობისა და დროის პრობლემების გამო. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) დაწვრილებითი რეკომენდაციების მიუხედავად, COVID-19 ტესტირების რუტინა და სიკვდილის მიზეზის იდენტიფიცირება რადიკალურად განსხვავებულია ევროპის ქვეყნებში, დემოგრაფთა რამდენიმე ჯგუფის მიერ მიღებული კვლევის ყველაზე თვალსაჩინო ხაზად მხოლოდ ჭარბი სიკვდილიანობის ანალიზი რჩება.

ყველა ქვეყანაში, მ.შ. საქართველოშიც, 2005-დან 2019 წლამდე, აღინიშნებოდა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდის ტენდენცია, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში. თუმცა, სიცოცხლის ხანგრძლივობა უმეტეს ქვეყნებში 2020 წელს შემცირდა, დაბადებისას სიცოცხლის ხანგრძლივობის ყველაზე დიდი საერთო კლება (წლებში) დაფიქსირდა რუსეთში (–2,32,), აშშ-ში (1,98,). ბულგარეთი (-1,75), ლიტვა (-1,61), იტალიაში, ესპანეთში, ინგლისსა და უელსში შესაბამისად იყო -1.35, -1.27 და -1.02 2019 წელს საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენდა მთელი მოსახლეობისთვის 74.1 წელს, მათ შორის ქალისთვის 78,4 წელი, ხოლო კაცისთვის 69,8 წელს, იგივე მონაცემები 2020 წლისთვის იყო სულ 73,4 წელი, ქალისთვის 77,7 და კაცისთვის 69,1. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შემცირება COVID-19-ის გამო ქვეყანაში სიკვდილიანობის ზრდამ განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს პირველად დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (-4 017), ხოლო 2021 წლის პირველ ნახევარში ბუნებრივი მატება (-3 982) კაცით განისაზღვრა (იხ. ნახ. 6). თუმცა 2020 წლის მოსახლეობის რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა, რაც დადებითი მიგრაციული სალდოს (15 732) შედეგია. 2021 წლის განმავლობაში საქართველოში დღეში საშუალოდ 123 ბავშვი იბადებოდა, მაგრამ გარდაცვლილთა რაოდენობა ამაზე გაცილებით მეტი იყო - დღეში 160 ადამიანი. ასეთი მკვეთრი დისბალანსი გარდაცვლილებსა და დაბადებულებს შორის საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ არ ყოფილა. 2018 წელს დღეში 140 კაცი დაიბადა; გარდაიცვალა 127; 2019 წელს - დაიბადა 132, გარდაიცვალა

- 128 ; 2020 წელს - დაიაბადა 127 და გარდაიცვალა 138 კაცი. ეს 1994 წლიდან მოყოლებული ნებისმიერი სრული წლის სიკვდილიანობის სტატისტიკაზე გაცილებით მეტი და შობადობის ყველაზე მცირე რაოდენობაა.

ბუნებრივი მატების დადებითი მაჩვენებელი მხოლოდ ქვეყნის ორ რეგიონში დაფიქსირდა: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (717) და ქვემო ქართლში (195) 2020 წელს საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი კლების მიზეზად შეიძლება განხილული იყოს აღნიშნული პანდემია, გარდაცვლილთა ყველაზე დიდი წილი დედაქალაქზე მოდის (27,5%), მათ შორის კორონავირუსით გარდაცვლილთა წილი ასევე თბილისში იყო ყველაზე მაღალი (30%), შემდეგ მოდის იმერეთი, აჭარა და ა.შ. ყველაზე ნაკლები კი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ფიქსირდება, რაც მოსახლეობის მცირე რაოდენობით არის განპირობებული. ცნობილია რომ შემდეგ წლებში კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობა გაზრდილია, თუმცა რეგიონების მიხედვით ჩაშლილი მონაცემები ამ ეტაპზე არ მოიპოვება.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ერთერთ კრიტერიუმს წარმოადგენს მიგრაციული პროცესები. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის მიხედვით 2020 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 74 264 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 29.3 % - ით ნაკლებია, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობა 7.1 %-ით შემცირდა და 89 996 კაცი შეადგინა, შესაბამისად მივიღეთ მიგრაციის დადებითი სალდო: 15,732. ეს იყო ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველი დადებითი მიგრაციული სალდო (იხ. ნახ. 6). რამაც 2020 წელს მოსახლეობის ზრდა განაპირობა (პანდემიის ნეგატიური გავლენების მიუხედავად). ამავე პერიოდში, იმიგრანტების 85.8 % და ემიგრანტების 86.2 %, შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმოადგენენ. ასევე აღსანიშნავია, 2020 წელს, იმიგრანტების 74.1%, ხოლო ემიგრანტების 58.4% საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენენ.



ნახ. 6. საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობა 2010-2020 წწ.

წყარო: www.geostat.ge

დასკვნა: კვლევის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი სახის შედეგები:

1. სიკვდილიანობის მაჩვენებლები, რომლებიც დაკავშირებულია COVID-19-თან, უფრო მაღალია 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებში, ვიდრე ახალგაზრდებში,

2. ასაკობრივ ჯგუფებში, COVID-19 დაავადების ინტენსივობის გავლენა საზოგადოების ფსიქოლოგიაზე განსხვავებულია. ასაკის მატებასთან ერთად, უარყოფითი ფსიქოლოგიური ეფექტები, უფრო ხშირი იყო 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებში.
3. ვირუსის სპეციფიკური მახასიათებლები, როგორიცაა ინფიცირების მაღალი მაჩვენებელი და სიკვდილის რისკი, განსხვავებული ეფექტი აქვს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში - COVID-19 ინფექციის მაჩვენებელი უფრო მაღალია ახალგაზრდებში, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებელი უფრო მაღალია ხანდაზმულებში, განსაკუთრებით 65 წელზე მეტი ასაკის;
4. მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში და მ.შ. საქართველოშიც შემცირდა სიცოცხლის ხანგრძლივობის (წლებში);
5. 2020 წელს პირველად ბოლო 10 წლის განმავლობაში დაფიქსირდა ბუნებრივი მატების უარყოფითი სალდო და მიგრაციის დადებითი სალდო.

ლიტერატურა:

1. Ahmed, A. A. (2020). Epidemic of COVID-19 in China and associated psychological problems. *Asian J. Psychiatry 51:102092.* doi:10.1016/j.ajp.2020.102092
2. Baldwin, R. a. (2020). *Economics in the Time of COVID-19.* London: CEPR Press.
3. Banerjee, A. P.-I. (თ. გ.). Estimating excess 1-year mortality associated with the COVID-19 pandemic according to underlying conditions and age: a population-based cohort study. *Lancet 395*, 1715–1725. doi:10.1016/S0140-6736(20)30854-0
4. bm.ge. (2020). *2021 დემოგრაფიული სურათი.* bm.ge: www.bm.ge
5. Bonanad et al.,. (2020). The effect of age on mortality in patients with COVID-19: a meta-analysis with 611,583 subjects. *Journal of the American Medical Directors Association, 21(7),*, 915-918.
6. Bulut, C. &. (2020). Epidemiology of COVID-19. *journal of medical sciences, 50(SI-1)*, 563-570.
7. Cao, W. F. (2020). The psychological impact of the COVID-19 epidemic on college students in China. *Psychiatry Res. 287:112934.* doi:10.1016/j.psychres.2020.112934
8. Chen, Y. G. (2020). Effects of hypertension, diabetes and coronary heart disease on COVID-19 diseases severity: a systematic review and meta-analysis. *Chen, Y., Gong, X., Wang, L., & Guo, J. (2020). Effects of hypertension, diabetes andChen, Y., Gong, X., Wang, L., & Guo, J. (2020). Effects of hypertea systematic review and meta-analysis. medRxiv [Preprint].* doi:10.1101/2020.03.25.20043133
9. De Paz, C., Muller, M., Munoz Boudet, A. M., and Gaddis, I. (2020). *Gender Dimensions of the COVID-19 Pandemic.* he World Bank Group Policy Notes: http://documents.worldbank.org/curated/en/618731587147227244/Gender-Dimensio ns-of-the-COVID-19-Pandemic
10. DeBiasi, R. L. (თ. გ.). Severe COVID-19 in children and young adults in the Washington, DC metropolitan region. *J. Pediatrics 223*, 199–203. doi:10.1016/j.jpeds.2020.05.007
11. Dolores De Luca, C. D. (2020). Covid-19 in children: a brief overview after three months experience. *Paediatric Respir. Rev. 35*, 4-14. doi:10.1016/j.prrv.2020.05.006
12. Garrett Thomas A. (2007). *Economic effects of the 1918 influenza pandemic.* Federal Reserve Bank of St. Louis, 26. https://ericdorfman.files.wordpress.com/2020/04/pandemic_flu_report.pdf
13. geostat. (2022). *საქართველოს მოსახლეობა ასაკობრივი სტრუქტურა.* საქსტატი: www.geostat.ge
14. geostat.ge. (2022). *ცოცხმად დაბადებულთა რიცხვი.* geostat.ge: www.geostat.ge
15. Gorrochategi, M. P. (2020). Stress, anxiety, and depression in people aged over 60 in the COVID-19 outbreak in a sample collected in Northern Spain. *Am. J. Geriatric Psychiatry 28*, 993–998. doi:10.1016/j.jagp.2020.05.022
16. INDI. (2022 წლის 22 იანვარი). *საქარტველოში გარდაცვლილთა სტატისტიკა.* indi.ge: https://idfi.ge/ge/mortality-rate-in-georgia
17. Jin, J., Bai, P., He, W., Wu, F., Liu, X. F., Han, D. M., et al. . (2020). *Gender differences in patients with COVID-19: focus on severity and mortality. Front.* Public Health 8:152. doi:10.3389/fpubh.2020.00152
18. Meo, S. A., Al-Khlaiwi, T., Usmani, A. M., Meo, A. S., Klonoff, D. C., Hoang, T. D., et al. (თ. გ.). Biological and epidemiological trends in the prevalence and mortality due to outbreaks of novel coronavirus COVID-19. *Meo, S. A., Al-Khlaiwi, T., Usmani, A. M., Meo, A. S., Klonoff, D. C., & Hoang, T. D. (2020). Biological and epidemiological trends in the prevalence and moJournal of King Saud University-Science, 32 (4)*, 2495-2499. doi:10.1016/j.jksus.2020.04.004

19. Ojo, O. B. (2020). Socio-economic impacts of 1918–19 Influenza epidemic in Punjab. *Journal of Asian and African Studies, 55(7*, 1023-1032.
20. Roberton, T. C. (2020). *Early estimates of the indirect effects of the COVID-19 pandemic on maternal and child mortality in low-income and middle-income countries: a modelling study.* Lancet Global Health 8, e901–e908. doi:10.1016/S2214-109X(20)30229-1
21. Shrira, A. H. (თ. გ.). COVID-19 related loneliness and psychiatric symptoms among older adults: the buffering role of subjective age. *Am. J. Geriatr. Psychiatry 28*, 1200–1204. doi:10.1016/j.jagp.2020.05.018
22. Sohrabi et al.,. (2020). World Health Organization declares global emergency: A review of the 2019 novel coronavirus (COVID-19). *International journal of surgery , 79*, 71-79. doi: 10.1016/j.ijsu.2020.02.034
23. WHO. (2020a). *Coronavirus Disease (COVID-19) Pandemic*. Available online at: https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019
24. Никитина А. (2021 წლის 19 06). *Численность населения стран мира: данные на 2022 год*. migrantum: https://migrantumir.com/naselenie-stran/
25. *Счетчик населения Земли*. (2022 წლის 1 თებერვალი). countrymeters: https://countrymeters.info/ru/World#population_clock
26. *კორონავირუსის ბოლო მონაცემები კოვიდ-19*. (2020). TRT: https://www.trt.net.tr/georgian/covid19?fbclid=IwAR1y3vKeDj7rdfngNG3HrSnw_kW_B37j4w6Ofi_D6jJmNDLsO5D99LkySJw

COVID-19 Impact on the Change of the Gender-age Structure of the Population

Rusudan Kinkladze
Doctor of Economics,
Georgian Technical University Associate Professor

Shorena Metreveli
Doctor of Economics,
Business and Technology University Associate Professor

Ketevan Chitaladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Assistant Professor

SUMMARY

The Covid-19 crisis has been a major challenge for almost every state. It completely changed the lives of people - millions of people became ill and hundreds of thousands died. The study of the demographic structure of the population is very relevant, which at the present stage is dictated not only by the peculiarities of the socio-economic development of the country, but also by the demands of economic integration in the world economic space. At the same time, it is very important to identify specific mechanisms of population growth. The demographic factor of the population influences the formation of labor potential, largely determines the development and distribution of the productive forces of the country. The paper discusses the demographic structure of the population, which on the one hand is affected by a number of complex demographic processes, thus, in general, this or that real indicator of the population is obtained, and on the other hand, influences the nature of growth. The paper presents a statistical analysis of the events and processes caused by the COVID-19 pandemic in Georgia, which had an impact on the change of the sex-age structure of the population. It is noted that the COVID-19 pandemic has had a significant impact on demographics although although it is not yet possible to fully assess them, some conclusions can already be drawn.
Keywords: *COVID-19 pandemic, sex-age structure of the population, birth rate, mortality, life expectancy, natural and migratory balance*

Covid 19-ით გამოწვეული რეალობა და პერსპექტივები ადამიანური რესურსების მართვაში

თამარ ღამბაშიძე

ეკონომიკის დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

პანდემიის პირობებში როგორ მოდელს მოირგებენ ან განავითარებენ ორგანიზაციები შერჩევის, სწავლებისა თუ თანამშრომლების განვითარების მიმართულებით, დაზუსტებით რთული სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ დისტანციაზე ყოფნით განპირობებული ცვლილებები აუცილებლად დარჩება. რჩევები და პროგნოზები უამრავია, ორგანიზაციის აღმასრულებლებს და HR ლიდერებს კი აუცილებლად მოუწევთ ფიქრი და მუშაობა იმაზე, თუ როგორი იქნება მათი HR მენეჯმენტის ბლენდირებული მოდელი, რომ „ახალი რეალობა“ არ იქცეს ხელისშემშლელ გარემოებად. დღეს ლიდერებისა და თანამშრომლების პრიორიტეტული საფიქრალი, ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, „ახალ რეალობას“ „ახალი ლიდერობა“ სჭირდება , რომელიც ადამიანურ ურთიერთობებზე გადის და წაგავს პარტნიორობას, ვიდრე მენეჯერისა და დაქვემდებარებული თანამშრომლის ურთიერთობას. „ზევიდან ქვევით“ მენეჯმენტს კი ცვლილებები ელის, როგორც არ უნდა ვეცადოთ მისგან თავის არიდებას.

საკვანძო სიტყვები: *დისტანციური მუშაობა, კომუნიკაცია, Zoom ვირტუალურ სივრცე, შეფასების ინტერვიუ, ახალი ლიდერობა.*

პანდემიამდე ხშირად საუბრობდნენ, რომ ტრენინგები და ზოგადად, სწავლება გაციფრულდებოდა. პანდემიამ კი ეს პროცესი დააჩქარა, რაც გულისხმობს იმას, რომ ბევრი კომპანია შექმნის თუნდაც კორპორატიულ ვირტუალურ ტრენინგ-ცენტრს ან აპლიკაციებს, იმისათვის რომ თანამშორმლებისთვის შექმნას მათ საჭიროებასა და ინტერესებზე მორგებული სწავლების შესაძლებლობა.

დისტანციურად მუშაობა, ვირტუალური შეხვედრები, ვირტუალური ტრენინგები - ეს ყველაზე გავრცელებული ცვლილებებია, რომლებმაც უკვე შეცვალეს ლიდერებსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობა. Covid 19 თითქმის ყველა ბიზნესი და ლიდერის სამუშაო განრიგი შეცვალა. დღეს ლიდერებს საკმაოდ საინტერესო გამოწვევებზე დაფიქრება უწევთ და ისინი გარკვეულწილად სტრესის ქვეშ არიან.

ბიზნეს კონსულტანტები ხშირად საუბრობენ, რომ თანამშორმლების დისტანციურად მუშაობა ახალ სტანდარტად იქცევა. გარდა ამისა, დისტანციურად მუშაობა, უამრავი ადამიანისთვის კომფორტული და სასურველი მოდელი აღმოჩნდა.

გუნდის წევრებთან დისტანციურად მუშაობა ლიდერებისთვის უდავოდ გამოწვევაა - მათ უნდა შეძლონ და შეინარჩუნონ დისტანციაზე მყოფი თანამშრომლების გუნდურობა და რაც მთავარია, კომუნიკაცია განვითარებისა და შედეგების მიღწევის მიზნით. კომუნიკაცია Zoom, Team ან სხვა საკომუნიკაციო პლატფორმით, ლიდერისგან ინტენსიურ კომუნიკაციას მოითხოვს. დისტანციურად მუშაობამ გარკვეული ადამიანების პროდუქტიულობა გაზარდა და არსებობს მოსაზრება-სურვილი, ეს ტენდენცია შენარჩუნდეს.

“Harvard business review-მ საინტერესო მოდელი შესთავაზა ლიდერებს. კერძოდ, ლიდერებმა უნდა შეიმუშავონ ვირტუალური შეხვედრებისა და ფიზიკური შეხვედრების გრაფიკი, რომლის მიხედვითაც, სამუშაო კვირის დასაწყისში, ლიდერი და გუნდის წევრები ამოცანებსა და შედეგებზე შეთანხმდებიან ვირტუალურ სივრცეში, მაგრამ შედეგების განსახილველად, ლიდერი და გუნდის წევრები კვირაში ერთხელ, შეხვდებიან ოფისში. როგორც ბიზნეს გამოცემა

გვირჩევს, ასეთი სტილით კომუნიკაცია ლიდერებს საშუალებას მისცემს გუნდის წევრებმა კვლავ გაიზიარონ ერთი ხედვა, შეინარჩუნონ კომპანიის ძირითადი ღირებულებები და რაც მთავარია, შეინარჩუნონ გუნდურობა. Harvard Business Review გვირჩვს, რომ გუნდის წევრების შეხვედრა ოფისში სასურველია პარასკევ დღეს, რომლის დროსაც ლიდერი და თანამშრომლები განიხილავენ შედეგებს, სირთულეებს თუ გამოწვევებს და შემდეგ კი ერთმანეთს გაუზიარებან „სახლიდან მუშაობის" სახალისო მომენტებსაც. ვირტუალური და ფიზიკური ურთიერთობის ეს მოდელი ყველაზე ოპტიმალურია, რადგან თანამშრომლები შეინარჩუნებენ პროდუქტიულობას, ლიდერი კი შეძლებს საკუთარი ხედვის (შედეგები, ამოცანები, პროცესიც კი) უფრო დამაჯერებლად გადაცემას, ხედვებისა თუ მიზნებზე გაზიარებას ლიდერთან პირისპირ კომუნიკაცია აუცილებლად სჭირდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში, ბევრი კომპანია აითვისებს შემოთავაზებულ მოდელს, დისტანციური და ფიზიკური თანამშრომლობის დასაბალანსებლად.

პანდემიის პერიოდიდან დღემდე, ბევრი ონლაინ სწავლების შესაძლებლობა გაჩნდა ჩვენს ბაზარზეც. ეს შესაძლებლობა კი ბევრმა ადამიანმა გამოიყენა და უამრავ ტრენინგსა თუ ვორქშოპში მიიღო მონაწილეობა ვირტულურად. მონაწილეების გამოკითხვის მიხედვით, ონლიან სწავლებას აქვს ძალიან საინტერესო დადებითი მხარე- ადამიანი მისთვის კომფორტული ადგილიდან და კომფორტულ გარემოში ისმენს საჭირო ინფორმაციას ან სწავლობს. კორპორაციებმა, შესაძლოა, დაიტოვონ ონლაინ სწავლების ეს ფორმატი, რადგან ხარჯით ეფექტიანია და მონაწილეების ჩართულობაც მაღალია.

შრომის ბაზარზე ყველაზე მეტად აისახა პანდემიის პერიოდი. მნიშვნელოვნად შემცირდა ვაკანსიები. თუმცა, ყველა იმ კომპანიამ რომელსაც სჭირდებოდა ახალი რესურსი, თანამშორმლების შერჩევის პროცესი კვლავ ვირტუალურ სივრცეში გადაიტანა, ბიზნეს გამოცემებში კი „ზუმ გასუბრების" კონსულტაციები გაჩნდა, რომლებიც სამუშაოს მაძიებლებს ურჩევდნენ, როგორ უნდა წარემართათ კომუნიკაცია დისტანციაზე.

ორგანიზაციების პრიორიტეტი თანამშრომლების ჯანმრთელობის დაცვაა.რუცხოურირსაკონსულტაციო კომპანიების გახმოვანებით, საუკეთესო დამსაქმებელი იქნება ის, ორგანიზაცია, რომელიც მაქსიმალურად იზრუნებს თანმშრომლების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე. სავარაუდოა, რომ შეიცვლება შეღავათების შინაარსიც და გაჩნდება კოვიდ-19 დაზღვევა, თანამშრომლების ჯანმრთელობის კვლევა და სავარაუდოდ, მათ ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვაც. კვლავ ანალიტიკურ ინფორმაციას თუ მოვიშველიებთ, (For.ge - საინფორმაციო, ანალიტიკური პორტალი), ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც თანამშორმლებს შესთავაზებს კოვიდ -19 დაზღვევას, მისგან თავდაცვისა და ფსიქოლოგიური დახმარების პაკეტებს, საუკეთესო დამსაქმებლის სტატუსს აუცილებლად დაიმსახურებს.

Harvard business review-ს მიხედვით, გამოკითხული კომპანიების ლიდერების უმეტესობა კვლავ ფიქრობს, როგორი მიდგომა იქნება „შერეულ-ბლენდირებული" თანამშრომლობისთვის შესაბამისი. ასეთ გადაწყვეტილებას ლოგიკური ახსნა აქვს - მენეჯერი ვერ აკვირდება, ვერ ხედავს როგორ მუშაობს თანამშრომელი, შემცირებულია ინფორმაციის გაცვლა და უკუგების მექანიზმი, ფაქტიურად „უხილავია" თანამშრომლის ჩართულობა და გუნდთან კომუნიკაცია. მაგრამ, ბიზნეს გამოცემამ კვლავ საინტერესო მოდელი შემოგვთავაზა. ვიდრე შეფასების მეთოდის „სიახლეზე" ვისაუბრებთ, მოვიშველიებთ კვლავ Harvard business review-ს ანალიტიკურ სტატიას, რომ თანამშრომლის შედეგებისა თუ საქმიანობის შეფასების არსებული მეთოდი- „რა გაკეთდა კარგად" და „რისი გაუმჯობესებაა საჭირო', წარსულის ანალიზია და არა თანამშრომ-

ლის განვითარებაზე მიმართული. კომპანიარAmazon-ის დამაარსებელი, თავმჯდომარე და აღ-მასრულებელი დირექტორი- ჯეფ ბეზოსი აღნიშნავს, რომ იმის შეფასება და კვლევა, რაც უკვე გაკეთდა, პროგრესს არ ქმნის, განვითარება და პროგრესი მოაქვს მხოლოდ მომავალზე საუბარს და ფიქრს. სწორედ ბეზოსის ეს ხედვა გასდევს ლაიტმოტივად ჰარვარდის შემოთავაზებული მოდელს, რომლის მიხედვითაც, მენეჯერი, ან ლიდერი თანამშრომლის მომავალ გამოწვევებს შეაფასებს, მომავალ გამოწვევებს დაგეგმავს მასთან ერთად, ისაუბრებს და გადაწყვეტს, თუ რი-სი სწავლა, ან რა უნარის განვითარება უნდა თანამშრომელს, რომ კიდევ უფრო ეფექტიანად, კი-დევ უფრო პროდუქტიულად შეძლოს მუშაობა. ამ მიდგომას „Past Forward“ ეწოდება, რომელსაც, კოვიდ-19-ით გამოწვეულ რეალობამდე, უკვე მისდევდა **„მორგან სტენლი“** - საინ-ვესტიციო ბანკებს შორის ლიდერი, ***ედობ ქრიეითივ ქლაუდი.***, **მაიკროსოფთი** და კაპიტალის მართვის ფონდი “***ბრიჯვოთერი***“ .

თუ როგორი უნდა იყოს შეფასების ინტერვიუ, Harvard Business Review ცალსახად გვირ-ჩევს, რომ ეს უნდა იყოს დიალოგი მომავალ განვითარებაზე, როგორც წინაპირობა რეალური განვითარების შესაძლებლობებისა.

როგორ მოდელს მოირგებენ ან განავითარებენ ორგანიზაციები შერჩევის, სწავლებისა თუ თანამშრომლების განვითარების მიმართულებით, დაზუსტებით რთული სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ დისტანციაზე ყოფნით განპირობებული ცვლილებები აუცილებლად დარჩება. რჩევები და პროგნოზები უამრავია, ორგანიზაციის აღმასრულებლებს და HR ლიდერებს კი აუცილებლად მოუწევთ ფიქრი და მუშაობა იმაზე, თუ როგორი იქნება მათი HR მენეჯმენტის ბლენდირებული მოდელი, რომ „ახალი რეალობა“ არ იქცეს ხელისშემშლელ გარემოებად. დღეს ლიდერებისა და თანამშრომლების პრიორიტეტული საფიქრალი, ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, „ახალ რეალობას“ „ახალი ლიდერობა“ სჭირდება, რომელიც ადამიანურ ურთიერთობებზე გა-დის და წააგავს პარტნიორობას, ვიდრე მენეჯერისა და დაქვემდებარებული თანამშრომლის ურთიერთობას. „ზევიდან ქვევით“ მენეჯმენტს კი ცვლილებები ელის, როგორც არ უნდა ვე-ცადოთ მისგან თავის არიდებას.

დისტანციურად მუშაობა პანდემიის შემდგომი ახალი რეალობის განუყოფელი ნაწილი გახდება. თუმცა,რპანდემიის პერიოდში კარგად დავინახეთ, რომ დისტანციურად მუშაობას ბევ-რი გამოწვევა ახლავს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ის,რრომ მენეჯერები მუშაობის პროცესში თანამშრომლებს ვერ ხედავენ, შესაბამისად,რმათი შეფასებები დაბალი შედეგების მქონე თანამშრომლების მიმართ ხშირად ან ბუნდოვანი ან არასწორია.

ძალიან მარტივია იმის დაშვება, რომ დისტანციურად მომუშავე თანამშრომლების ცუდი შედე-გები საჭიროზე ნაკლები საათების მუშაობის შედეგია. თუმცა, ეს შეიძლება მხოლოდ ერთ-ერთი იყოს იმ მიზეზებიდან, რომლებიც დისტანციურად მუშაობის დროს ადამიანის პროდუქტიუ-ლობის გაუარესებას იწვევს. ამიტომ, მენეჯერებმა კარგად უნდა გამოიკვლიონ გამომწვევი მი-ზეზები და შემდეგ ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე იზრუნონ:

კომუნიკაციის სიმწირე - ხშირად ადამიანებს, რომლებიც საკუთარ საქმეს კარგად ასრუ-ლებენ, მენეჯერებისთვის შესრულებულ სამუშაოებზე ინფორმაციის ეფექტურად მიწოდება უჭირთ. ის, რაც ადრე ოფისებში ხილვადი იყო, დღეს რეგულარულ და კარგად დაგეგმილ რე-პორტინგზეა (ანგარიშის წარდგენა) დამოკიდებული. მსგავსი უნარი ბევრ ადამიანს არ აქვს. ამი-ტომ,რსავარაუდოა რომ, ისინი დაბალი შედეგების მქონე თანამშრომლები კი არ არიან, არამედ საკუთარი სამუშაოს შედეგების გადმოცემის მწირი უნარები გააჩნიათ.

ყველა ადამიანს კომუნიკაციის განსხვავებული სტილიდა მანერა აქვს. ამიტომ, უმჯობესი იქნება თუ მენეჯერები ყოველირსამუშაორდღის დასაწყისში გუნდთან 15 წუთიან ვიდეო ზარებს ჩანიშნავენ, გაივლიან წინა დღის შედეგებს და დაგეგმავენ მომდევნო დღის სამუშაოებს,რხოლო კვირის ბოლოს, შემაჯამებელ შეხვედრაზე, გუნდთან ერთად განიხილავენ კვირის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოებს, ისაუბრებენ გამოწვევებზე, მოიფიქრებენ გადაჭრის გზებს და მომდევნო კვირის სამუშაოებსაც დაგეგმავენ. ეს მარტივი განრიგი რეგულარული ანგარიშის წარდგენისთის თავისუფალ სივრცეს ქმნის, სადაც ყველა თანამშრომელს მიეცემა შესაძლებლობა თანაბრად ისაუბრონ საკუთარ შედეგებზე.

დეფიციტური სტრუქტურა -სახლიდან მუშაობას თვითორგანიზების უნარი სჭირდება, რაც სულაც არ არის ყველა ადამიანის ძლიერი მხარე. სოციალური ქსელების დათვალიერების ცდუნება, ყოველდღიური ყოფა, სამუშაო სივრცის გაზიარება ოჯახის წევრებთან და პარტნიორებთან, პიროვნებას სამუშაოზე ნაკლებად კონცენტრირებულს ხდის. დისტანციურად მუშაობა მოითხოვს მკაცრ დისციპლინას, რომელიც ოფისში მუშაობის დროს ბუნებრივი მდგომარეობაა. ბევრისთვის კი ეს მდგომარეობა თვითდისციპლინას დაუფლების ახალ აუცილებლობას წარმოადგენს.მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად ზოგიერთი კომპანია შემდეგ მეთოდებს იყენებს: გუნდი ჩართული კამერების თანდასწრებით მუშაობს, რაც პირველ რიგში ადამიანს სამუშაოზე უფრო მეტად კონცენტრირებულს ხდის და ამასთან კომუნიკაციისთვის საჭირო ორგანულ სივრცე ხილვადია.

კავშირის ნაკლებობა - ზოგი ადამიანი განსაკუთრებულად პროდუქტიულია ოფისში მუშაობისას და სახლიდან მუშაობა მათ შედეგებზე ცუდად აისახება. კრეატიულობა, რომელიც კოლეგებთან ერთად ლანჩს ან „ტვინების შტორმს“ მოაქვს, იზოლაციაში ქვეითდება.

მაიკლ მოჰანი- სამედიცინო კორპორაციის ვიცე პრეზიდენტი, დააფიქრა იმ ფაქტმა, რომ დისტანციურად მუშაობისას, მისი თანამშრომლები ვიდეო ზარების დროსაც ვერ ამყარებდნენ ერთმანეთთან ემოციურ კავშირს, რის გამოც დეპარტამენტებს შორის თანამშრომლობის მაჩვენებელმა საგრძნობლად დაიკლო. მოჰანმა მოიწვია ოთხი დაქვემდებარებული და მათთან ერთად მსჯელობის შედეგად, თანამშრომლებს შორის ემოციური კავშირის აღდგენის რამდენიმე გზას მიაგნო. მათ თანამშრომლებისთვისრშექმნესრფორუმი, სადაც თითოეული ადამიანი პოსტავდა იმ ერთ საკითხს, სადაც კოლეგების დახმარება სჭირდებოდა. დაშვებული იყო, სტატუსის თემარყოფილიყო რეკომენდაციები სახელმძღვანელო მეთოდოლოგიაზე, პრაქტიკული რეალიზაციით გამოცდილების გაზიარების მოთხოვნა, პროგრამული მხარდაჭერა ან თანამშრომლის დაქირავებისათვის რეკომენდაციის თხოვნა. დაკვირვების შემდეგ, მოჰანი და მისი ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ თანამშრომლები მსგავს ფორუმებს დადებითი ემოციებით ტოვებდნენ, რადგან იცოდნენ რომ კოლეგები მათრდასახმარებლად მზად იყვნენ.

მოჰენის მეორე მიგნებაც საინტერესოარ- ყოველ კვირას,რერთი გუნდი სხვა გუნდის ერთ წარმომადგენელსრგაიცნობდა. ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ ინფორმაციას სამუშაო პროცესებზე, მიზნებზე და ამოცანებზე,რრაც ერთიანობისა და თანამშრომლებს შორის კავშრისრგანცდასრქმნიდა.

კრიზისის მართვა - Covid 19-ის პანდემიის და მსგავსი კრიზისების დროს, ადამიანების ფსიქოლოგიური პორტრეტი გაცილებით ნეგატიურია, რაც მათ დემოტივაციას იწვევს. ამას ამძაფრებს ისიც, რომ სახლიდან მუშაობის პირობებში, ბევრ ადამიანს ოჯახის წევრებზე ზრუნვა უწევს, რაც ასევე დემოტივატორის ფუნქციის მატარებელია.

პანდემიის უარყოფითი ემოციური შედეგების შესამსუბუქებლად, ზოგი კომპანია თვეში ერთ პარასკევ დღეს დასვენების დღედ აცხადებს, ზოგი კი 1 საათიან „ონლაინ ჩაის სმის“ სესიებს აწყობს გუნდისთვის, რაც თანამშრომლებს ემოციების გაზიარებასა და ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ეხმარება. თანამშრომლის დაბალი შედეგიანობის მიზეზების განსაზღვრის შემდეგ, მენეჯერებს ამ პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო გამოსავლის მოძებნაც შეუძლიათ. ამასთან, თანამშრომლებსაც შეუძლიათ, არ დაელოდონ მენეჯერებს და გუნდისთვის ამ პრობლემების გადასაჭრელად, საჭირო ინიციატივების მიმწოდებლები გახდნენ.

ლიტერატურა:

1. PwC საქართველოს ტრანსფორმაციის გუნდი-ბიზნესის რეაგირება COVID-19 -ის პოტენციურ გავლენაზე-www.pwc.com/ge
2. კორპორაციული მართვა რეკომენდაციები კომპანიების ხელმძღვანელებისთვის კრიზისის დასაძლევად COVID-19 პანდემიის პირობებში-Learn more about IFC and the work we do to improve ESG practices: ifc.org/sustainability 2121
3. Leadership & Managing People-"Personal growth and transformation" Harvard Business Review, November/December 2021
4. Our Favorite Management Tips of 2021 LEADERSHIP AND MANAGING PEOPLE DIGITAL ARTICLE HBR Editors Ten picks from HBR's most popular newsletter.

Reality and Perspectives with Covid 19 in Human Resource Management

Tamar Gambashidze

Doctor of Economic Sciences,

Georgian Technical University Associate Professor

SUMMARY

It is difficult to say exactly how organizations will adapt or develop in a pandemic in terms of selection, training or staff development, but the fact is that the changes due to being at a distance will inevitably remain. There are plenty of tips and predictions, and the organization's executives and HR leaders will definitely have to think and work on what their blended HR management model will look like so that the "new reality" does not become a hindrance.

As the new coronavirus disease (COVID-19) continues to spread, its disruptive impact is becoming more pronounced, posing unprecedent challenges for all countries. Governments have seen their priorities shift overnight towards upscaling public health preparedness and emergency support measures to cater for the vulnerable segments of their population.

COVID-19 has brought an unexpected need for change within organizations, particularly regarding human resource management. The nature of this global crisis has meant that these processes remain under-systematized. The aim of this study, which uses an exploratory design and mixed-methods analysis, is to contribute to describing the changes in human resource management practices and processes that resulted from this pandemic and to present the outlook of human resource managers for the future.

საქართველოსა და ესტონეთზე COVID-19 პანდემიის გავლენის ცალკეული ასპექტები

შოთა ყარალაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

Covid-19 პანდემიამ, მსოფლიოს ახალი დღის წესრიგი შესთავაზა; ერთი შეხედვით შემდგარ და წარმატებულ სახელმწიფო სისტემებში, იმ სუსტი წერტილების გამოვლენას შეუწყო ხელი, რომელიც აქამდე არ შეიმჩნეოდა. მიმდინარე პანდემიამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქვეყნების განვითარების დონეებს შორის არსებული შესამჩნევი განსხვავება, უხილავი საფრთხისადმი გამკლავების ეფექტიანობის მიმართულებით, ანალოგიური სხვაობით არ აისახება. საქართველო და ესტონეთი, როგორც დიდი მექანიზმის შემადგენელი დეტალები, სხვადასხვა ხარისხში, ასევე განიცდიან პანდემიური პროცესების გავლენას, რაც ქვეყნებს მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს; ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა სოციალური უზრუნველყოფის სფერო და საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაა. ამასთან, მოსახლეობის დაბერების პრობლემა ორ ქვეყანაში აქტუალობით ხასიათდება.

საკვანძო სიტყვები: *პანდემია, ბუნებრივი მატება, უმუშევრობა, პენსია.*

მას შემდეგ, რაც 2019 წლის 31 დეკემბერს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ინფორმირებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ვუჰანში დაფიქსირებული პნევმონიის გამომწვევი უცნობი დაავადების შესახებ, მსოფლიო მექანიზმმა უკუღმა დაიწყო სვლა. დაავადებამ, ელვისებური სისწრაფით მიიღო მსოფლიო პანდემიის ფორმა და ქვეყნები პანიკამ მოიცვა; ერთი შეხედვით უძლიერესი ეკონომიკისა და ჯანდაცვის მქონე ქვეყნები, მე-20 საუკუნის დასაწყისში არსებული მეთოდებით შეუდგნენ პანდემიასთან ბრძოლას; გაურკვევლობამ და მოუმზადებლობამ თავისი მძიმე კვალი დატოვა ქვეყნების ეკონომიკებზე. აშშ-ში სამუშაო ადგილების დაკარგვის ტენდენციის პარალელურად, სახლემწიფოს მოუწია ოჯახებისათვის ფულადი დახმარების გამოყოფა, ეს კამპანია პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებშიც აქტიურად გრძელდება. იტალიაში განვითარებულმა სავალალო მდგომარეობამ და აღნიშნულთან დაკავშრებით, ევროკავშირის მხრიდან, პირველჯერზე, გულგრილმა დამოკიდებულებამ, დიდი ევროპული ოჯახი დაშლის საფრთხის წინაშე დააყენა. ამ საერთო მოზაიკის შემადგენელი ნაწილები არიან საქართველო და ესტონეთი, რომელთაც პანდემიასთან ბრძოლის პროცესში ინდივიდუალური გზა განვლეს; აღნიშნულ პერიოდში გატარებული ღონისძიებების შედეგები განსხვავებული ეფექტიანობით დახასიათდება და მათი ასახვა შესაბამისი პროპორციით მოხდება ისეთ სფეროზე, როგორიც სოციალური უზრუნველყოფაა.

ლოგიკურია, რომ პანდემიის პირობებში ქვეყანათა უმრავლესობის პრიორიტეტს ჯანდაცვის სექტორის გაძლიერება და ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნება წარმოადგენს. ამ უკანასკნელის განსახორციელებლად, მნიშვნელოვნების მაღალი დონით ხასიათდება, სახელმწიფოთა მიერ ფინანსური რესურსების ეფექტიანად განაწილება, მინიმალური უარყოფითი ეფექტის მისაღებად.

საპენსიო სისტემის გამართული ფუნქციონირება, ისეთი ტიპის ქვეყებისათვის, როგორიც საქართველო და ესტონეთია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მოტანილ ქვეყნებში მოსახლეობის დაბერების საკითხი სიმწვავით გამოირჩევა. 2018-2021 წლებში საქართველოსა და ესტონეთში 60 წელს ზემოთ მყოფი მოსახლეობის წილი მზარდი ტენდენციით ხასიათდება (იხ. ცხრილი №1); აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოში მოსახლეობის მეხუთედს აჭარბებს, ხოლო ესტონეთში - მოსახლეობის მეოთხედს. მსგავსი ტიპის ქვეყნების ჯანდაცვის სისტემა

პანდემიის პერიოდში განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დადგა, რადგან Covid-19-ის გავრცელების საწყის ეტაპზე დაინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფს, სწორედ, აღნიშნულ ასაკობრივ სეგმენტში მყოფი ინდივიდები წარმოადგენდნენ.

ცხრილი №1: 60+ ასაკის მოსახლეობის წილი საერთო რაოდენობაში, 1-ლი იანვრის მდგომარეობით.[1]

		2018	2019	2020	2021
60+ მოსახლეობა, %	საქართველო	20.6	20.9	21.4	21.7
	ესტონეთი	26	26.2	26.5	26.8

მოსახლეობაში 60+ ასაკის ინდივიდების წილის ზრდის პარალელურად, პანდემიის პირველი წლის ბოლოს საქართველოში წინა ორი წლის კლებადი ტენდენციის ფონზე მოსახლეობის მკვეთრი ზრდა ფიქსირდება (იხ. ცხრილი №2). რაც შეეხება ესტონეთს, 2018 წლიდან მოსახლეობის რიცხოვნობა სტაბილურად მზარდია, მოსახლეობის შემცირება მხოლოდ 2022 წლის დასაწყისში ფიქსირდება.

ცხრილი №2: მოსახლეობა, 1-ლი იანვრის მდგომარეობით.[2]

		2018	2019	2020	2021	2022
მოსახლეობა (ათასი)	საქართველო	3 729.6	3 723.5	3 716.9	3 728.6	-
	ესტონეთი	1 319.1	1 324.8	1 328.9	1 330.1	1 328.4

ცხრილში №3 მოტანილი ინფორმაციის საფუძველზე, 2020 წელს დაფიქსირებული მოსახლეობის ბუნებრივი მატების უარყოფითი მაჩვენებლის მნიშვნელოვან ზრდას, როგორც საქართველოს, ასევე ესტონეთის შემთხვევაში, პანდემიის შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდას ვერ დავუკავშირებთ; რადგან, აღნიშნულის მიზეზს, ორივე ქვეყნის შემთხვევაში, სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდის პარალელურად, შობადობის შემცირება წარმოადგენს.

ცხრილი №3: მოსახლეობის ბუნებრივი მატება.[3]

		2018	2019	2020
ბუნებრივი მატება, კაცი	საქართველო	4 614	1 637	- 4 017
	ესტონეთი	- 1 384	- 1 302	- 2 602

პანდემია, ქვეყნების ეკონომიკებისათვის გამოწვევად გადაიქცა; ათასობით დაკარგული სამუშაო ადგილი, დამაიმედებელი პროგნოზის არარსებობა და პარალელურად, ინტერნეტ ვაჭრობის ოქროს ხანა. თითქმის ყველა სიტუაციაში არსებობს მოგებული და წაგებული მხარე; მიმდინარე მოვლენები, საომარ მოქმედებებს შეიძლება შევადაროთ, როდესაც უმრავლესობა წაგებულ მდგომარეობაშია, ხოლო შეიარაღების მწარმოებლები - პირიქით. აქედან გამომ-

[1] https://andmed.stat.ee/en/stat/rahvastik__rahvastikunaitajad-ja-koosseis__rahvaarv-ja-rahvastiku-koosseis/RV021/table/tableViewLayout2 ; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

[2] https://andmed.stat.ee/en/stat/rahvastik__rahvastikunaitajad-ja-koosseis__rahvaarv-ja-rahvastiku-koosseis/RV021; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

[3] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/321/bunebrivi-mateba ; https://andmed.stat.ee/en/stat/rahvastik__rahvastikunaitajad-ja-koosseis__demograafilised-pehinaitajad/RV030

დინარე, იმ კომპანათა კაპიტალიზაციამ, რომლებიც პანდემიამდე ინტერნეტ ვაჭრობაზე აკეთებდა ორიენტირებას, პანდემიის პერიოდში კოლოსალურ ნიშნულებს მიაღწია, ხოლო ვინც ტრადიციული მეთოდებიდან, ინტერნეტ ვაჭრობაზე გადასვლა ეფექტიანად მოახდინა, დანაკაკრგების მინიმუმამდე დაყვანა გახადა შესაძლებელი.

უმუშევრობის პრობლემა საქართველოში პანდემიამდეც არანაკლები აქტუალობით ხასიათდებოდა, მაგრამ, არა ესტონეთში. ცხრილში №4 მოტანილ სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვების შედეგად, ნათლად ჩანს, რომ პანდემიურმა პროცესებმა პროპორციულად, ესტონეთში გაცილებით მეტ დასაქმებულს დააკარგვინა სამუშაო ადგილი, ვიდრე საქართველოში.

ცხრილი №4: უმუშევრობა.[1]

		2018	2019	2020
უმუშევრობა, %	საქართველო	19.2	17.6	18.5
	ესტონეთი	4.6	4.0	6.3

იქიდან გამომდინარე, რომ ესტონეთში პენსიის მოცულობა, ნამუშევარი წლების რაოდენობაზეა დამოკიდებული, უმუშევრობის ზრდა საპენსიო ასაკისათვის კონკრეტულ ინდივიდთა შემცირებულ საპენსიო გადასახდელებთან არის კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე პერიოდში ძირითადი ყურადღება პანდემიური პროცესების შეჩერებაზეა ორიენტირებული, ესტონეთში საპენსიო უზრუნველყოფის ყოველწლიური გაუმჯობესების ტენდენცია შენარჩუნებულია (იხ. ცხრილი №5).

ცხრილი №5: პენსიათა მოცულობა ესტონეთში.[2]

	2018	2019	2020	2021
სახალხო საშუალო პენსია, (€)	145.63	165.27	184.04	200.32
ხანდაზმულობის საშუალო პენსია, (€)	415.51	446.16	482.41	526.44

ესტონეთისაგან განსხვავებით, საქართველოს საპენსიო სისტემა, საპენსიო გადასახდელების დაანგარიშების პროცესში, ნამუშავარ წლებს დეტერმინანტად არ იყენებს. ქვეყანაში პენსიების მოცულობის ზრდა, არა რაიმე ეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაფუძნებული ყოველწლიური გადაანგარიშების, არამედ ხელისუფლებათა კეთილი ნების შედეგად ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ცხრილში №6 მოტანილი სტატისტიკური ინფორმაცია, აჩვენებს ქვეყნაში არსებული პოლიტიკის გამოძახილს, ასახულს საპენსიო გადასახდელთა მოცულობის ზრდის ტენდენციაზე, რომელიც 2021 წელს, შემდეგი ფორმით ჩამოყალიბდა: 240 ლარი 70 წლამდე პენსიონერებს, ხოლო 275 ლარი 70 წელს ზემოთ არსებული პენსიონერებისათვის.

ცხრილი №6: საქართველოში ასაკობრივი პენსიის საშუალო რაოდენობა სტაჟის დანამატის გათვალისწინებით.[3]

	2018	2019	2020	2021
საშუალო პენსია, □	180	200	220	240/275*

*70 წელს ზემოთ პენსიონერებისათვის.

[1] https://andmed.stat.ee/en/stat/sotsiaalelu__tooturg__tootud__aastastatistika/TT70/table/tableViewLayout2 ; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

[2] https://andmed.stat.ee/en/stat/sotsiaalelu__sotsiaalne-kaitse__sotsiaalkindlustus__pensionikindlustus/SK110

[3] http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=610

დასკვნა

მოტანილი ინფორმაცია შემდეგი დასკვნის გაკეთებას ხდის შესაძლებელს: 1. საქართველო, ისევე როგორც ესტონეთი მოსახლეობის დაბერების ტენდენციიდან გამომდინარე, პანდემიის პირობებში მაღალი რისკის ჯგუფში შემავალ ქვეყნებში მოიაზრებიან. იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიასთან ბრძოლა არ არის დასრულებული და მსოფლიო მასშტაბით ის ჯერ კიდევ, აქტიურ ფაზაშია, მსგავს მაღალ რისკჯგუფში შემავალ ქვეყნებს მომავალში მრავალი გამოწვევის გადალახვა მოუწევთ. 2. საქართველოში, ბოლო ათწლეულის მანძილზე, პირველად მოსახლეობის ბუნებრივი მატების უარყოფითი მაჩვენებლის დაფიქსირება, რომელიც გარდა სიკვდილიანობის ზრდისა, ასევე შობადობის შემცირებით არის გამოწვეული, კოვიდ პანდემიის პირველი წლის ეფექტის გამოძახილზე მიუთითებს; ეს უკანასკნელი, ადამიანების იზოლირებასა და მათზე ფსიქოლოგიური გავლენის გაძლიერებას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, 2021 წელს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ნახტომისებურად იზრდება, რაც ქვეყანაში კოვიდ პანდემიის პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობაზე მიუთითებს, რომელშიც განუსაზღვრელ როლს ადამიანების სწრაფი ადაპტაცია და ეფექტიანი მართვის უნარები თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთში მოსახლეობის ბუნებრივი მატების უარყოფითი ტენდენცია წინა წლებშიც ფიქსირდებოდა, კოვიდ პანდემიის გავლენა აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელოვნად გაზრდის მიმართულებით ცალსახაა. 3. უმუშევრობის დონეზე უარყოფით ზეგავლენას უდაოდ პანდემიური პროცესი ახდენს, მაგრამ თუ გადავხედავთ წინა წლების სტატისტიკას, საქართველოში უმუშევრობის პრობლემა პანდემიამდე პერიოდში, ოფიციალური მონაცემებით, გაცილებით მწვავედ იდგა. იმავეს ვერ ვიტყვით ესტონეთთან მიმართებით, რადგან უმუშევრობის კლებადი ტენდენციის მზარდი მაჩვენებლით ჩანაცვლება, სწორედ პანდემიური პროცესების განვითარების შედეგად ფიქსირდება. 4. კოვიდ პანდემიის ზემოაღნიშნული უარყოფითი გავლენების მიუხედავად, ორივე ქვეყანამ, საპენსიო პაკეტის მოცულობათა მზარდი ტენდენციის შენარჩუნება, სხვადასხვა ფორმით, მაგრამ მაინც მოახერხა.

ლიტერატურა:

1. ყარალაშვილი, შ. (2021). საპენსიო რეფორმა ესტონეთსა და საქართველოში (შედარებითი ანალიზი). თბილისი.
2. ყარალაშვილი, შ., ვეშაპიძე, შ. (2017). ესტონური ეკონომიკური მოდელის შემოღების საფრთხეები საქართველოში. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №3. გვ. 30-36. თბილისი.
3. ყარალაშვილი, შ., ვეშაპიძე, შ. (2017). ესტონური მოდელის ცალკეული ასპექტები და საქართველო. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №3. გვ. 12-19. თბილისი.
4. Karalashvili, Sh. (2020). Estonian state officials' Political games in other words what will happen to the reform of mandatory funded pension scheme. Ecoforum Journal, Vol. 9, Issue 2(22). Suceava, Romania.
5. Karalashvili, Sh. (2020). "Shadow Tax" - one of the challenges of mandatory accumulative pension scheme of Georgia. Ecoforum Journal, Vol. 9, Issue 2(22). Suceava, Romania.
6. Karalashvili, Sh., Veshapidze, Sh. (2018). Pension Reform in Georgia. Ecoforum Journal, Vol. 7, Issue 2(15). Suceava, Romania.
7. https://andmed.stat.ee
8. https://www.geostat.ge
9. http://ssa.gov.ge
10. https://www.euro.who.int/en

Some Impact Aspects of the Covid-19 Pandemic on Georgia and Estonia

Shota Karalashvili

Doctor of Economics

SUMMARY

Covid-19 pandemic has offered a new agenda to the world; at first glance, successful state systems have contributed to the detection of those weak points that have not been observed before. The current pandemic has once again confirmed that the noticeable difference between the levels of development of countries is not reflected by similar difference in the effectiveness of dealing with invisible threats. Georgia and Estonia, as part of the great mechanism, are also affected by Pandemic processes in different degrees, which poses many challenges for the countries; One of such challenges is the sphere of Social Security and pension provision system. However, the problem of population aging is characterized by relevance in the two countries.

Keywords: *pandemic, natural increase, unemployment, pensions.*

„ქეისი“ როგორც ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგია COVID-19 პანდემიის პირობებში

შოთა შაბურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

უკანასკნელ პერიოდში გამოჩდა მნიშვნელოვანი რაოდენობის მეთოდოლოგიური ნაშრომები, რომელთა ავტორები აღიარებენ ქეისების კვლევაში გამოყენების ევრისტიკულ და მაღალ სამეცნიერო პოტენციალს. ნაშრომში განიხილება ქეის მეთოდოლოგიის სამეცნიერო კვლევებში გამოყენების ზოგადი სპეციფიკა, საზღვრები, უპირატესობები და ნაკლოვანებები. ასევე ის საშუალებები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გავზარდოთ ამ მეთოდოლოგიის გამოყენების ხარისხი, სანდოობა და საიმედობა. სამეცნიერო ნაშრომების ანალიზის საფუძველზე განხორციელებულია ქეის მეთოდოლოგიის ტიპოლოგია ორი ძირითადი პარამეტრით - განსახილველი ქეისების რაოდენობა და თეორიასთან კავშირი.

საკვანძო სიტყვები: *ბიზნესი; ქეისი; კვლევა; ვალიდობა; სანდოობა.*

ქეისის კვლევის მეთოდოლოგიაში გამოყენება სულ უფრო პოპულარური ხდება თანამედროვე COVID-19 პანდემიის პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ქეისის ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტების სწავლების პროცესშიც აქტიურად გამოიყენება, ასევე, მკვეთრად გამოიკვეთა ამ მიდგომის გამოყენების აუცილებლობა სამეცნიერო კვლევების განხორციელებისას. ტრადიციული რაოდენობრივი მეთოდებისაგან განსხვავებით ქეისებით წარმოებული კვლევის ლოგიკა ეფუძნება მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოვლენას ობიექტის ცვლადებს შორის. ამ დროს პროცესები ფენომენის და კონტექსტის ღრმა ანალიზის საფუძველზე შეისწავლება. ეს მიდგომა ერთგვარ შუალედურ რგოლს წარმოადგენს თვისებრივი მეთოდით მიღებული, მკაცრად კონტექსტუალური, ინფორმაციიდან საერთო კანონზომიერებების გამოვლენამდე. შედეგად ქეისების ანალიზი, როგორც თეორიების განვითარების პროგრესული და კუმულაციური მეთოდოლოგია, იქცა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მიდგომად სოციალურ მეცნიერებებში.

მოცემული სტატიის მიზანია ქეისების, როგორც კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენების ძირითადი უპირატესობების, ნაკლოვანებების ანალიზი, მისი გამოყენების ზოგადი სპეციფიკის, საზღვრებისა და მიზანშეწონილობის განსაზღვრა. მართალია, ძირითადი ფოკუსი ბიზნესის პრობლემებით დაინტერესებულ აუდიტორიაზე კეთდება, თუმცა, მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები შეიძლება მეცნიერების სხვა დარგებშიც იყოს გამოყენებული. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიზნესის ადმინისტრირების მთელ რიგ მომიჯნავე სფეროებში ქეისი კვლევის ამოსავალ მეთოდოლოგიას წარმოადგენს. მაგალითად, ვიდოუსონის აზრით, ფსიქოთერაპიის მეცნიერების განვითარება მთლიანად ქეისების ანალიზის მეთოდოლოგიას ეფუძნება, ხოლო ილი აღნიშნავს, რომ ფსიქოთერაპიაში კვლევის ყველაზე მთავარი ერთეული „ქეისია“. თუმცა, მისი თავისებურებების გამო, არსებობენ მეცნიერები, რომლებიც უარყოფენ კვლევის ასეთი მიდგომის ეფექტიანობას. მაგალითად, დემბიცკი ქეის-მეთოდს არ მიიჩნევს არც კვლევის მეთოდად და არც მეთოდოლოგიად, რადგან მისი ჩატარების ფარგლებში გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტების და ტექნიკების ერთობლიობა (ინტერვიუ, დაკვირვება, დოკუმენტების ანალიზი და სხვა). აღნიშნული პრობლემის ერთერთი ცნობილი მკლევარი, გერინგი, მიუთითებს რომ ქეის-მეთოდი დღემდე არსებობს როგორც უცნაური მეთოდოლოგიური გაურკვევლობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქეისი წარმოადგენს კვლევის მეთოდოლოგიას, რომელიც იმდენადვეა გავ-

რცელებული ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში, რამდენადაც რთულია მისი ზუსტი განსაზღვრა.

1. ქეის მეთოდის სპეციფიკა

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ქეისი“ ქართული წარმომავლობის არ არის, თუმცა, არჩევანი მაინც მასზე შევაჩერეთ. ქართული სიტყვათშეთანხმება „პრაქტიკული სიტუაცია/შემთხვევა“ ხშირად სხვა დატვირთვით გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე აბსტრაქტულია და სრულად ვერ გადმოსცემს ამ მოვლენის კონკრეტულ მეთოდოლოგიურ მიმართულებას. ტერმინი „ქეისი“ არა მხოლოდ მყარად შემოვიდა ყოველდღიურ სამეცნიერო და აკადემიურ ლექსიკონში, არამედ ასევე უმრავლესობისათვის ძალზედ გასაგები და მისაღებია. ამასთან, ქართულ ენაზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების რიცხვი, რომელიც განმარტავდა ქეისის არსს, სახეებს და მისი როგორც კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენების საზღვრებს ბიზნესის ადმინისტრირებაში, არც ისე დიდია.

რეტროსპექტიულად თუ შევხედავთ, ქეის მეთოდოლოგია როგორც კვლევის ინსტრუმენტი არსებობს იმდენივე ხანი, რამდენსაც პირველი ისტორიული ჩანაწერი ითვლის. თანამედროვე მდგომარეობით კი ამ მეთოდოლოგიის კვალი წარუშლელია ისეთ მეცნიერებებში როგორიცაა - ფსიქოლოგია, კრიმინალისტიკა, სამართალმცოდნეობა, საერთაშორისო ურთიერთობები, ანთროპოლოგია, ბიოლოგია, ისტორია, ბიზნესის ადმინისტრირება, მენეჯმენტი, ეკონომიკა, მედიცინა და სხვა. ტრადიციული რაოდენობრივი მეთოდებისაგან განსხვავებით ქეისით წარმოებული კვლევის ლოგიკა ეფუძნება მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოვლენას ობიექტის (შემთხვევისა და კონტექსტის) ცვლადებს შორის და ასევე მოვლენის ინტუიციურ აღქმას. შესაბამისად, ამ მეთოდოლოგიის გამოყენება მკვლევარის მხრიდან შემოქმედებითობას, პრობლემის ღრმა თეორიულ ცოდნას და დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქეისების მეთოდს სხვადასხვაგვარად განმარტავენ. გერინგის მიხედვით ეს არის ერთეული შემთხვევის ჩაღრმავებული ანალიზი უფრო ფართო კლასის რთული შემთხვევების გასაგებად. ქეის მეთოდი ითვალისწინებს ერთეული ან უნიკალური შემთხვევის შესწავლისას მიღებული ცოდნის განზოგადებას. ეს მიდგომა ერთგვარ შუალედურ რგოლს წარმოადგენს თვისებრივი მეთოდით მიღებული, მკაცრად კონტექსტუალური, ინფორმაციიდან საერთო კანონზომიერებების გამოვლენამდე. მისი გამოყენებისას განსაზღვრული მოვლენა საინტერესოა არა თავისთავად, არამედ როგორც რაღაც „მოვლენების კლასის“ მაგალითი. ტერმინი „მოვლენათა კლასი“ მოიცავს სოციალური სამყაროს ნებისმიერ ობიექტებს, რომლებსაც მკვლევარები შესწავლის მიზნით ირჩევენ. ინის მიხედვით ქეის მეთოდოლოგია თანამედროვე ფენომენის (მოვლენის) ემპირიული კვლევაა რეალური ცხოვრების კონტექსტით, როდესაც ფენომენს და კონტექსტ შორის საზღვრები ნათლად განსაზღვრული არ არის. ასევე, ინი გამოყოფს რამდენიმე ტექნიკურ ასპექტს: გამოსაკვლევი სიტუაციის უნიკალობა, დაკვირვების რამდენიმე წყაროს არსებობა, მონაცემების შეგროვების და ანალიზის თეორიული საფუძვლების არსებობა. დალის და ჰაკის თანახმად ესაა მეთოდი, რომლის დროსაც ქეისი ან მათი გარკვეული რაოდენობა (შედარებითი ანალიზის დროს) შეირჩევა შემდგომი თვისებრივი ანალიზისათვის. კოლისის და ჰასის მიხედვით კი ეს არის მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება ერთი მოვლენის შესასწავლად ყოფით, ჩვეულ გარემოში სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რათა მივიღოთ გაღრმავებული ცოდნა.

სამეცნიერო ნაშრომებში გამოყენებული ქეის მეთოდოლოგია შეიძლება ორი პარამეტრის მიხედვით დავაჯგუფოდ - განსახილველი ქეისების რაოდენობა და თეორიასთან მისი კავშირი. მიუხედავად იმისა, რომ ქეისი ხშირად ერთეულ შემთხვევასთან ასოცირდება, უმეტესად რამდენიმე ნიმუში შეისწავლება. ამიტომ ქეის მეთოდოლოგიაში გამოყოფენ ცალკეული შემთხვევის შესწავლას (singlecase study) და ასევე, სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე/-მრავალი ნიმუშის ანალიზსს (multiplecase study). უკანასკნელი ვარიანტი გულისხმობს, რომ ყველა შემთხვევა დამოუკიდებლად შეისწავლება და შემდგომ მკლევარი ეძებს გადაკვეთებს, საერთო კონცეფციებს და ა.შ.

ერთეული შემთხვევის მიდგომა ხშირად სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება, რათა მოვახდინოთ ამა თუ იმ თეორიის თვალსაჩინო ილუსტრირება. სახელმძღვანელო, სადაც თეორიულს ნაწილს თან ახლავს ქეისი, სტუდენტებს საშუალებას აძლევს სწრაფად და მარტივად გაიაზრონ საკმაოდ რთული დებულებები და ასევე დაინახონ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობები. ამის მაგალითად პრაქტიკულად ყველა სახელმძღვანელო გამოდგება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ამას გარდა ერთეული ქეისი ხშირად გამოიყენება კვლევის პილოტურ სტადიაზე, ჰიპოთეზების გენერირების ან პრაქტიკასთან კავშირის შემოწმებისას. ამ დროს მკვლევარის ამოცანაა დაადგინოს რა კაუზალური კავშირები შეიძლება არსებობდეს გამოსაკვლევ ფენომენში, რომელიც ბუნებრივია შემდგომ უკვე დამატებით სერიოზული კვლევებით დასაბუთებას საჭიროებს. ერთეული ქეისის გამოყენების კიდევ ერთი ვარიანტია განსაკუთრებული, უნიკალური მოვლენის შესწავლა, რომელიც შეიძლება პარადოქსის ხასიათს ატარებდეს. ასეთი კვლევის კლასიკური მაგალითი შეიძლება იყოს ვ. ლეონტევის მიერ აშშ-ის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურის ემპირიული ანალიზი წარმოების ფაქტორების თანაფარდობის ჰექშერ-ოლინის თეორიის შესამოწმებლად.

ხშირად ქეის მეთოდი გამოიყენება წყვილად შედარების სახით - ორი შემთხვევის შესწავლა. ამ დროს ყველაზე რთულია მგავსი წყვილის მოძებნა და მათი შედარების სარგებლიანობის დასაბუთება. შესაძლებელია შეირჩეს ორი მაქსიმალურად მსგავსი შემთხვევა და შეედაროს ერთმანეთს ერთი კონკრეტული ცვლადის მიხედვით. ასეთი მიდგომა შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ჰიპოთეზის შემუშავებისას, ასევე შემოწმებისას. ასევე შესაძლებელია ორი რადიკალურად განსხვავებული ქეისის განხილვა. ამ დროს წყვილად შედარების ლოგიკა შემდეგია - თუ ერთიდაიგივე ჰიპოთეზა მართებულია ორი რადიკალურად განსხვავებული შემთხვევისათვის, ესე იგი მისი მართებულობა ნაკლებ საეჭვოა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქეისების წყვილად შედარებისას მკვლევარის მიზანია აღმოაჩინოს გასხვავებება მსგავსში ან მსგავსებება განსხვავებულში.

კიდევ ერთი ვარიანტია - რამდენიმე ქეისის ანალიზი. ამ დროს ირჩევენ ორზე მეტ შემთხვევას, მაგრამ არც ზედმეტად ბევრს. შესაძლებელია შეირჩეს ოთხი, ხუთი ან მეტი ქეისი, ყველაზე გავრცელებული ვარიანტია - სამი. ეს სტრატეგია ყველაზე მარტივია, რადგან მკვლევარს საშუალებას აძლევს შეისწავლოს ფენომენის ყველა მეტნაკლებად მკვეთრი გამოვლინება და თავი აარიდოს თეორიის განვითარებისთვის საჭირო ყველაზე ეფექტიანი ერთეული ქეისის ან მათი წყვილის ძებნის შრომატევად პროცესს. მისი გამოყენება მოსახერხებელია ტიპოლოგიზაციისას, როდესაც ყოველი ქეისი აღწერს მოვლენის სხვადასხვა ვარიანტს და ფორმას.

ქეისების ტიპოლოგიის მეორე პარამეტრს წარმოადგენს თეორიასთან მისი კავშირი. ლიტერატურაში თეორიასთან კავშირში მყოფი ქეისების მრავალი სახე განიხილება, თუმცა

მკვლევარების აზრი ერთმანეთს მხოლოდ რამდენიმეზე ემთხვევა - ტიპური, პარადიგმული, კრიტიკული და ექსტრემალური.

ტიპური ქეისის არსი მის სახელწოდებაშივე ჩანს. ის მთლიანად თავსდება შესაბამისი თეორიის ლოგიკურ ჩარჩოებში. როგორც წესი, მისი გამოყენება თეორიის ილუსტრაციისას ან ახსნისას ხდება და მის მტკიცებულებას წარმოადგენს.

სოციალურ მეცნიერებებში თეორიები იშვიათადაა ფორმულირებული მკაფიო კანონებით და წესებით. უფრო ხშირად ისინი წარმოდგენილია როგორც ერთი ან რამდენიმე ქეისის ანალიზის აშკარა და ნათელი განზოგადება, დასკვნა. ასეთ შემთხვევებში საუბარია - პარადიგმულ ქეისზე. ეს უკანასკნელი ერთგვარი პროტოტიპია, რომელიც წარმოადგენს თეორიის ფორმულირების ამოსავალ წერტილს. პარადიგმული ქეისის სპეციალურად აღმოჩენა რთულია. აქ არ არსებობს არანაირი თანმიმდევრობა და სტანდარტი, რადგან სწორედ პარადიგმული ქეისი განსაზღვრავს ლოგიკურ ჩარჩოებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარადიგმული ქეისი ყველაზე ხშირად ვლინდება არა გეგმაზომიერად და წინასწარი განზრახვით, არამედ როდესაც მეცნიერებაში მნიშვნელოვანი დასკვნები კეთდება კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. ამის კარგი მაგალითი შეიძლება იყოს მ. პორტერის კონკურენტუნარიანობის რომბი, სადაც კონკრეტული ქვეყნების ქეისების ანალიზის საფუძველზე ყალიბდება ის ძირითადი პარამეტრები, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში ბაზირებული დარგების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას .

კრიტიკული ქეისი შეიძლება გავიგოთ როგორც სიტუაცია, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრობლემის გააზრებისათვის ან ჰიპოთეზის დასამტკიცებლად. ეს ისეთი ქეისია, რომელშიც თეორია იღებს მნიშვნელოვან დადასტურებას ან ხდება მისი არსებითი უარყოფა. კრიტიკული ქეისის მეთოდოლოგიით ჩატარებული კვლევა საშუალებას იძლევა გავაკეთდეს დასკვნები: თუ ეს დებულება მცდარია მოცემული შემთხვევისათვის, მაშინს ის დანარჩენ შემთხვევებშიც არ გამოდგება. ყველაზე ხშირად კრიტიკულ ქეისებად გვევლინება „ყველაზე ნაკლებად შესაძლებელი“ ან „ყველაზე მოსალოდნელი“ შემთხვევები.

ექსტრემალური ქეისი - გარკვეული ანომალიაა, დევიაცია, რომელიც ერთობლიობის ნაწილია და იმავდროულად მკვეთრად განსხვავდება დანარჩენებისაგან. ექსტრემალური ქეისი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ინფორმაცია ფენომენის განსაკუთრებულად უჩვეულო გამოვლინებაზე, ან მის გარკვეულ ასპექტზე, რომელიც სხვა შემთხვევებში არ ვლინდებოდა. ასეთი ქეისის შესწავლა მკვლევარს საშუალებას აძლევს აღმოაჩინოს ალტერნატიული არგუმენტები ან საერთოდაც ახალი თეორია ჩამოაყალიბოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქეისების სხვადასხვა ტიპების დახასიათება არ არის ურთიერთგამომრიცხავი. მაგალითად, შეიძლება შეირჩეს ქეისი, რომელიც ერთდროულად ექსტრემალურიცაა და კრიტიკულიც, ხოლო კვლევის პროცესში შესაძლოა პარადიგმულიც აღმოჩნდეს.

2. ქეის მეთოდის გამოყენების თავისებურებები

რით განსხვავდება ქეის მეთოდოლოგია სხვებისგან? თუ საჭიროა თეორიული კვლევის წარმოება, რომელშიც უნდა დავაკვირდეთ კონკრეტული კონცეფციის გენეზისსა და ევოლუციას, გავიგოთ მისი ლოგიკა, მაშინ ქეის მეთოდოლოგია საჭირო არ არის. მოცემულ მეთოდოლოგიას მივმართავენ მაშინ, როდესაც კვლევის მიზანია აღწეროს რომელიმე მოვლენა (რაღაც შეზღუდულ დროსა და სივრცეში) ან მოახდინოს თეორიული დებულებების პრაქტიკასთან შედარება.

მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში ხშირადაა ხასგაზმული, რომ ნებისმიერი კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების პროცედურების მკაფიო ალგორითმის გამოყოფა შეუძლებელია. თუმცა სავსებით შესაძლებელია სხვადასხვა კვლევების ანალიზის საფუზველზე გარკვეული ძირითადი ელემენტების გამოყოფა. ქეისების ანალიზისთვის საკმაოდ მოსახერხებელ სქემას გვთავაზობს ინი. ის გამოყოფს კვლევის დიზაინის ხუთ ძირითად კომპონენტს: კვლევითი კითხვები; ვარაუდები და ჰიპოთეზები; საერთო ანალიზი (ფენომენი, მისი კონკრეტული მხარეები და ასპექტები); ლოგიკური კავშირების არსებობა მონაცემებს, კვლევით კითხვებსა და ჰიპოტეზებს შორის; შედეგების ინტერპრეტაციის კრიტერიუმები.

ქეისის გამოყენებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა შეგროვების სპეციფიკას, ამასთან აუცილებელია გარკვეული პრინციპების დაცვა: გამოყენებულ იქნას ურთიერთშემავსებელი მონაცემების რამდენიმე წყარო, შეიქმნას ემპირიული მონაცემების ბაზები და გაფორმდეს კვლევითი ანგარიშები. ქრესველი გამოყოფს მონაცემების შეგროვების 6 წყაროს: დოკუმენტები, საარქივო ჩანაწერები, უშუალო დაკვირვება, ინტერვიუ, დაკვირვება, მატერიალური არტეფაქტები. ჰენკოკი კი ხაზს უსვამს ინტერვიუს დროს ექსპერტული ცოდნის და შესასწავლი ფენომენის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მქონე რესპოდენტების შერჩევის აუცილებლობას. დალი და ჰაკი კი მიუთითებენ, რომ მიუხედავად შერჩეული კვლევის სტრატეგიისა (ექსპერიმენტი, ქეისების ანალიზი, გამოკითხვა) შეიძლება გამოყენებულ იქნას მონაცემების შეგროვების როგორც თვისებრივი ისე რაოდენობრივი მეთოდები.

ინმა ასევე ჩამოაყალიბა მიღებული შედეგების ვალიდობის კრიტერიუმები: კონსტრუქტის ვალიდობა; შინაგანი ვალიდობა; გარეგანი ვალიდობა და სანდოობა (იხ. ცხრილი 1.).

ცხრილი 1

N	**შეფასების კრიტერიუმები**	**წინაპირობები**	**აქტივობები**
1	კონსტრუქტის ვალიდობა	ინფორმაციის რამდენიმე წყაროს გამოყენება. მიღებული ინფორმაციის გადმოცემის ლოგიკური ჩარჩოს შექმნა. საკვანძო რესპოდენტების პასუხების არსებობა.	ინფორმაციის შეგროვება. ინფორმაციის შეგროვება. ქეისის ფორმირება.
2	შინაგანი ვალიდობა	ნიმუშთან შესაბამისობა. ამხსნელი ბაზის ფორმირება. ალტერნატიული ინტერპრეტაციების განხილვა. ლოგიკური მოდელების გამოყენება.	მონაცემთა ანალიზი.
3	გარეგანი ვალიდობა	ერთეულ ქეისში თეორიის გამოყენება. ერთიდაიგივე ლოგიკის გამოყენება მრავალ ქეისში.	კვლევის დიზაინი.
4	სანდოობა	ოქმის გამოყენება. კვლევის მონაცემთა ბაზის გაფართოება.	მონაცემთა შეგროვება.

3. ქეის მეთოდის უპირატესობები და ნაკლოვანებები

ბიზნესის ადმინისტრირების პრობლემათა კვლევისას პრაქტიკული სიტუაციების ანალიზის მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა კვლევის ფოკუსი კითხვიდან ვინ (კონკრეტული კომპანიები თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმებით, სტრუქტურით, რესურსებით, მისიითა და მიზნებით, რაც მათ ძლიერი და სუსტი მხარეებით განსაზღვრავს) ან რა (რა სახის საქმიანობას ახორციელებს კომპანია, რა პოზიციას იკავებს ბაზარზე, რა გარემოში უწევს ოპერირება, რაც მის წინაშე გახსნილ შესაძლებლობებსა და საფრთხეებს განაპირობებს) გადავაადგილოთ კითხვისკენ როგორ (როგორ იქმნება ფასეულობა, იზრდება ოპერაციული ეფექტიანობა და კომპანია ხდება წარმატებული). კვლევის ეს მეთოდოლოგია რეალური კონტექსტით, სიღრმისეულად აანალიზებს აქტუალურ მოვლენებს და განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როდესაც საზღვრები კონტექსტსა და მოვლენას შორის არ არის ცალსახა და საკმარისი ხარისხით განსაზღვრული. ასევე, ამ მიდგომის გამოყენება რეკომენდებულია, როდესაც შეუძლებელია კონცეფციების მათემატიკურ ცვლადებად გარდაქმნა ან კვლევის სტატისტიკური მეთოდების გამოსაყენებლად ნიმუშების რაოდენობა საკმარისი არ არის.

ქეისების კვლევებში გამოყენების ძირითადი უპირატესობებია:

- მოქნილი და ადაპტაციური მეთოდოლოგიური სტრუქტურა, რაც საშუალებას იძლევა კვლევის პროცესში კორექტივები შევიტანოთ;
- რთული სისტემების გამოკვლევის შესაძლებლობა, რაც ფენომენის კონტექსტისაგან განუყოფლად შესწავლით მიიღწევა;
- კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინება, რაც შესაძლებელს ხდის მოვლენის დინამიკაში შესწავლას გარემოს ცვლილების ზემოქმედების და სხვადასხვა ფაქტორების გავლენის ანალიზით;
- სამეცნიერო კვლევის სისრულე - არსებობს კვლევის ამოცანების დასმის თეორიული საფუძვლები, ფორმულირებული ჰიპოთეზა, ხდება მისი ვერიფიკაცია, მოდერნიზაცია და ახალი ცოდნის გენერირება;
- კოგნიტური სისრულე, რაც გამოიხატება კვლევის ერთდროულად ემპირიულ (მონაცემთა შეგროვება და პირველადი ანალიზი) და თეორიულ (დაკავშირებული კვლევის შედეგების ინტერპრეტაციასთან) ხასიათში;
- ფენომენი, როგორც წესი აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას წარმოადგენს, რომელიც კვლევის მომენტისათვის სათანადოდ არ არის შესწავლილი;
- მიღებული შედეგების გამოყენების შესაძლებლობა შემდგომ კვლევებში;
- ადამიანის, ორგანიზაციის, სოციალური და პოლიტიკური ფენომენის შესახებ უნიკალური ცოდნის გენერირება.

ამ უპირატესობათა მიუხედავად ქეის მეთოდოლოგიის მიმართ სხვადასხვა მკლევარი ბევრ კითხვას სვამს, რომლებიც ძირითადად შედეგების რეპრეზენტატულობას და მიღებული ცოდნის კონცეპტუალიზაციას უკავშირდება:

- ქეის მეთოდი მკლევარს მეტ თავისუფლებას უტოვებს მიკერძოებული მიდგომისათვის დაადასტუროს ან უარყოს საკუთარი ჰიპოთეზა;
- უმეტესად რთულია განვაზოგადოთ და განვავითაროთ დებულებები და თეორიები, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე ქეისის ანალიზის დროს არის გამოვლენილი;

- ქეის მეთოდი წარმოადგენს კვლევის პირველ ეტაპს, რომელიც უფრო ხელსაყრელია ჰიპოთეზის გენერირებისთვის, და ნაკლებად გამოსადეგია ჰიპოთეზების შემოწმების და თეორიის აგებისათვის.

დასკვნა. ამრიგად, ქეის მეთოდოლოგია აერთიანებს სხვადასხვა კვლევით ტექნიკებს. ყველაზე ხშირად ისეთ სფეროებში გამოიყენება, სადაც აუცილებელია მოვლენისა და კონტექსტის, მათი ურთიერთკავშირის რეალური და ღრმა შესწავლა. ამ მიდგომის გამოყენებისას შეიძლება გავაერთიანოთ რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, რაც საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისათვის. ქეის მეთოდი შეიძლება ვარირებდეს აღწერილობით და ამხსნელ სტრატეგიებს შორის, კონცენტრირდებოდეს ერთეულ ან მრავალ შემთხვევაზე. ქეისების მეთოდი არ ითვალისწინებს უნივერსალურ, მზა რეცეპტებს კვლევის ჩატარებისას. კონკრეტული პროცედურა დამოკიდებულია კონტექსტზე (თეორიულ საფუძვლებზე, კონცეფციებზე, დასახულ მიზნებზე, მკვლევარის მისწრაფებებზე, მის კვლევით უნარებსა და გამოცდილებაზე).

ერთობლიობაში ეს მეთოდოლოგია სავსებით თავისუფალი, დემოკრატიული ხასიათის არის, რომელიც კარგად პასუხობს თანამედროვე ღია მეცნიერებას. ქეის მეთოდოლოგია ერთნაირად შეესაბამება როგორც პოზიტიურ პარადიგმას, რომლის მიხედვითაც სოციალურ მეცნიერებებში შესაძლებელია უნივერსალური კანონების გამოვლენა, ასევე პოსტპოზიტიურს, რაც გულისხმობს, რომ სოციალურ მეცნიერებებში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ კონტექსტით განპირობებული მოვლენები. ამ მეთოდოლოგიის გამოყენება მკვლევარის მხრიდან შემოქმედებითობას, პრობლემის ღრმა თეორიულ ცოდნას და დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს.

ლიტერატურა:

1. Bennett, A. (2001). Case study: Methods and analysis. *International Encyclopedia of the Social and Behavioral Sciences* , 1513–1519.
2. Collis, J., & Hussey, R. (2013). *Business research: A practical guide for undergraduate and postgraduate students.* Palgrave macmillan.
3. Creswell, J. (2012). *Qualitative inquiry and research design: Choosing among five approaches.* Sage.
4. Dembitsky, S. (2010). Theoretical validization on different levels of sociological research. *Sociology: theory, methods, marketing. N4* , 152–178.
5. Dul, J., & Hak, T. (2007). Case study methodology in business research. *Ro utledge*.
6. Eels, T. (2007). Generating and generalizing knowledge about psychotherapy from pragmatic case studies . *Pragmatic Case Studies in Psychotherapy*, 35-54. Retrieved from ttp://pcsp.libraries.rutgers.edu) .
7. Five, B. (2006). Misunderstandings About Case-Study Research. *Qualitative Inquiry, Vol. 12. № 2*, 233.
8. George, A. B. (2004). Case Studies and Theory Development in the Social Sciences. *MIT Press* , 18.
9. Gerring, J. (2004). What Is a Case Study and What Is It Good for? *American Political Science Review. Vol. 98. № 2.*, 341.
10. Hancock, D. A. (2006). *Doing case study research: A practical guide for beginning researchers.*Teachers College Press.
11. Klotz, A. (2008). Case Selection Qualitative methods in International Relations. A Pluralist Guide. *A Pluralist Guide, Palgrave Macmillan*, 43.
12. Shaburishvili, S. (2011). Peculiarities of Georgian Foreign Trade with the European Union. *Bulletin of Khmelnitsky National University, № 2, Vol.2*, 252-254.
13. Widdowson, M. (2011). Case study research methodology. *International Journal of Transactional Analysis Research* , Vol 2 No 1, http://usir.salford.ac.uk/id/eprint/30763.
14. Yin, R. K. (2015). Case Studies. *International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences* , 194–201.
15. Yin, R. K. (2013). *Case Study Research: Design and Methods.* London: Sage.
16. Шабуришвили, Ш., & Барановская, М. (2012). Стимулирование инновационной деятельности в условиях глобализации – ключевой аспект развития малых и средних предприятий. *Научный вестник Одесского национально го университета N1*, 121-130.

17. შაბურიშვილი, შ. (2018). დამატებული ღირებულების გლობალური ჯაჭვის ფენომენი თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში. *ეკონომიკა და ბიზნესი N1*, 70-75.

"Case" as a Business Research Methodology in Condition of COVID-19 Pandemic

Shota Shaburishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor, Doctor of Economics

SUMMARY

Recently, there have been a significant number methodological works, the authors of which substantiate the heuristic nature and high scientific potential of the case methodology. The article discusses the peculiarities, limitations, advantages and disadvantages of case methodology. As well as means by which you can improve the quality, reliability and validity of the use of case methodology. Based on the analysis of scientific papers, a typology of case methodology is implemented with two main parameters - the number of cases to be considered and the connection with the theory.

Keywords: *Business; Case; Research; Validity; Credibility.*

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება COVID-19 პანდემიის პირობებში

თეიმურაზ შენგელია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

2020 წლის და საწყისში COVID-19 პანდემიის მასობრივი გავრცელების გამო, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები აღმოჩნდნენ ახალი გამოწვევების წინაშე. პანდემიური კრიზისი, მისი ეკონომიკური შედეგები, ბოლომდე როდია შესწავლილი, მისი პირველადი ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ ის მძიმედ აისახა საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეზე. მნიშვნელოვნად დაზარალდა ამ ქვეყნების ეკონომიკაც. ეკონომიკური ვარდნის გარდა, პანდემიამ წარმოქმნა სოციალური პრობლემები, რამაც საზოგადოებაში გამოიწვია სოციალური დაძაბულობა - უმუშევრობის ზრდა, შემოსავლების შემცირება, მსყიდველობითი უნარის დაქვეითება, შემცირდა მოთხოვნა, რაც ნეგატიურად აისახა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. პანდემიის ნეგატიური შედეგების შესამცირებლად, ხელისუფლების მიერ შემუშავდა სპეციალური ანტიკრიზისული პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მოსახლეობისა და ბიზნესის დახმარებაზე. დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანსაც კი COVID-19 პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის შეუზღუდული რესურსები გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს სტაბილიზაციის მიზნით გატარებული ღონისძიებების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს.

საკვანძო სიტყვები: *პანდემია, სამხრეთ კავკასია, ეკონომიკური რეგულირება, მთავრობა, შედეგები, სირთულეები, დაძლევის გზები.*

2021 წლის აპრილის დასაწყისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოაქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც ეხება პანდემიის შედეგად გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური სტაბილურობა შეფასებულია, როგორც „საშუალოზე დაბალი“ [EDRD, 202]. რაც შეეხება ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობას, რეგიონის სახელმწიფოების საერთო პრობლემა მისი არასაკმარისი დაფინანსებაა, თუმცა პანდემიის შეფასების დროს ეს ფაქტორი გადამწყვეტი არ იყო, რადგან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით დაინფიცირებულთა რაოდენობა არც თუ ისე დიდია.

რაც შეეხება შიდა რისკების მდგრადობას, აქ მთავარი პრობლემა უმუშევრობის ზრდაა. საქართველო ამ მხრივ ყველაზე დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან მისი ეკონომიკა დამოკიდებულია ტურიზმის სექტორზე, რომელიც პანდემიით მნიშვნელოვნად დაზარალდა. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ტურისტულმა სექტორმა მთლიანი შიდა პროდუქტის 9.3% შეადგინა. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ქვეყანა მსოფლიოში 26-ე ადგილზეა, ხოლო რეგიონში პირველზე. შედარებისთვის, სომხეთში ტურიზმის სექტორის წილი მშპ-ში 4,4%-ია (მსოფლიოში 67-ე ადგილი), აზერბაიჯანში - 4,2% და (74-ე ადგილი). მსოფლიო ბანკის შეფასებით ტურიზმის წილი საქართველოს მშპ-ში კიდევ უფრო მაღალია - 10%) [შენგელია, 202]

საქართველოს ტურიზმის სექტორზე ქვეყანის მთლიანი დასაქმების 27% მოდის, 500000 ადამიანი ჩართულია ამ ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობებში. ამიტომ, პანდემიის შედეგად ტურიზმის კოლაფსით გამოწვეული ზარალი ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სოციალურ სფეროში არსებულ მდგომარეობას, რადგან ტურიზმის დაპაუზების შედეგად უამრავმა ადამიანმა დაკარგა სამსახური და შემოსავალი [შენგელია, 2021].

შიდა რისკების გარდა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები პანდემიის კონტექსტში გარე გამოწვევების წინაშე დგანან, რომელთა შორის განსაკუთრებულ როლს თამაშობს ეკონომიკური კრიზისის გავლენა ფასებზე. ამ თვალსაზრისით აზერბაიჯანი ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყანას, როგორც ნავთობის ექსპორტიორს, ღნიშნული პრობლემა ადრეც შეექმნა - მსოფლიო სანავთობე ბირჟებზე ფასების ვარდნა არ იყო გამოწვეული COVID-19-ით, მაგრამ ამ ფაქტორით გამოწვეული ეკონომიკური აქტივობის კლებამ მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. მეცნიერთა პროგნოზით, მსოფლიოში ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციასთან ერთად, ნავთობის ფასები გაიზრდება. თუმცა, აზერბაიჯანი ამჟამად განიცდის სერიოზულ ფინანსურ ზარალს და მისი დამოკიდებულება ნავთობის ფასებზე EBRD-ის ანგარიშში შეფასებულია, როგორც „მაღალი“, განსხვავებით სომხეთისაგან, რომელიც ამავე ანგარიშში შეფასებულია, როგორც „საშუალო“ და საქართველოსგან, როგორც „დაბალი“. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოსა და სომხეთისთვის რისკები ასევე მაღალია. ეს სახელმწიფოები არიან ლითონების ექსპორტიორები და ამ პროდუქციის ფასები, ნავთობის ფასების შემდეგ, ასევე არასტაბილურობით ხასიათდება. ნავთობის ფასები 2021 წელს საშუალოდ 50%-ით დაეცა, მაშინ, როდესაც სპილენძის მხოლოდ - 16%-ით, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს ექსპორტიორ ქვეყნებს [Косев, 2020].

EBRD-ის ანალიზში „რეგიონული ეკონომიკური პერსპექტივები. COVID-19: შოკიდან აღდგენამდე“ გაანალიზებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ფინანსური დაუცველობა. ამ თვალსაზრისით, მთავარ საანალიზო მაჩვენებლად გამოყენებულია ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებით, რაც უფრო მაღალია ის, მით უფრო მეტი რისკებია ფინანსურ სისტემაში. 2020 წელს სომხეთში ბიუჯეტის დეფიციტი ზომიერი იყო (2.5%), საქართველოში დაბალი (1%), აზერბაიჯანს კი ბიუჯეტის პროფიციტი ჰქონდა. აშკარაა, რომ აზერბაიჯანი ყველაზე ხელსაყრელ მდგომარეობაშია. ამასთან, ქვეყნის შემოსავლები დიდად არის დამოკიდებული ნავთობის ფასებზე და ამის გამო, სიტუაცია შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს [Regional Economic Prospects in the EBRD 2021].

კორონავირუსისგან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისადმი მიყენებული ეკონომიკური ზარალის საკითხზე ექსპერტებს არ გააჩნიათ ერთიანი მოსაზრება. EBRD-ის ანალიზით თუ ვიმსჯელებთ, საქართველო ყველაზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მისი ეკონომიკა სუსტად დივერსიფიცირებული და ორიენტირებულია ტურიზმზე. მეორე მხრივ, საქართველო მნიშვნელოვან შემოსავალს ღებულობს ტრანზიტისგან, ხოლო პანდემიური კრიზისი ნაკლებად შეეხო ტრანზიტის მოცულობას. ამიტომ, შემოსავლის ეს წყარო შედარებით სტაბილურია. დინამიური ეკონომიკური ზრდა, რომელიც სომხეთმა აჩვენა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში 2021 წელს შეფერხდა. ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გასაძლიერებლად სომხეთის ხელისუფლებამ გადაწყვითა ეროვნული ვალუტის - დრამის ეტაპობრივი გაუფასურება, რაც აისახა მოსახლეობის შემოსავლების დონის შემცირებაზე. ამ შეფასებას ადასტურებს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მონაცემები, რომლის მიხედვითაც სომხეთის გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტის რეიტინგის პერსპექტივა „სტაბილურიდან“ „უარყოფითით“ შეიცვალა. სააგენტოს სპეციალისტები თვლიან, რომ „კორონავირუსის შოკი უარყოფითად აისახება სომხეთის ეკონომიკაზე, მისი ნედლეულზე დამოკიდებულების გამო (მასზე მოდის ექსპორტის უმეტესი ნაწილი). სომხეთი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რუსეთის ეკონომიკაზე, საიდანაც დიდია ფულადი გზავნილების, ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა. იზრ-

დება ქვეყნის წმინდა საგარეო ვალი. 2020 წელს კორონავირუსმა 0,5%-მდე შეანელა სომხეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, რომელიც ნაწილობრივ აღდგა 2021 წელს - 5,5%, საგარეო მოთხოვნის, ინვესტიციების, დასაქმების ზრდისა და კერძო სექტორის გამოცოცხლების გამო“ [Fitch, 2020].

კორონავირუსის მიმართ, აზერბაიჯანის ეკონომიკა ყველაზე მდგრადი აღმოჩნდა. კორონავირუსთან შედარებით, მასზე უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს OPEC-ის ქვეყნების გარიგების შედეგად ნავთობის ფასების მკვეთრი ვარდნა. აზერბაიჯანის ბიუჯეტი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნავთობის ექსპორტით მიღებულ შემოსავალზე. გარდა ამისა, აზერბაიჯანს გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო ოქროს და ნავთობის რეზერვები, ანუ აზერბაიჯანი ითვალისწინებს ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორს.

თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს COVID-19-ის გავლენის ხარისხი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკაზე, მდგომარეობის გაუმჯობესება ბევრადაა დამოკიდებული ამ ქვეყნების ხელისუფლების უნარზე, ადეკვატურად უპასუხოს პანდემიურ გამოწვევებს. ამაზეა ორიენტირებული საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელებული სამთავრობო პროგრამები.

ასე მაგალითად, საგანგებო მდგომარეობა, რომელიც სომხეთში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გამოცხადდა 2020 წლის 16 მარტამდე, გულისხმობდა მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილებისა და გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვას. კორონავირუსის ეკონომიკური შედეგების დასაძლევად ხელისუფლებამ დაამტკიცა 14 პროგრამა. მათგან ექვსი შეეხო ბიზნესის ეკონომიკურ დახმარებას, რვა კი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის სოციალურ მხარდაჭერას. ახლად წარმოქმნილი პრობლემებისა და ხალხის მოთხოვნიდან გამომდინარე, მთავრობა პერიოდულად ახდენს დახმარების პროგრამების კორექტირებას, აფართოებს ბენეფიციართა სიას და ეკონომიკური საქმიანობის სახეობებს, ასევე არბილებს გარკვეულ პირობებს, რათა მოქალაქეთა მაქსიმალურმა რაოდენობამ შეძლოს ამ პროგრამებით სარგებლობა. მთავრობის მთავარი პროგრამა ბიზნესის დახმარებას ეხებოდა. იგი ასტიმულირებდა უპროცენტო და შეღავათიანი სესხების გაცემას, ასევე ითვალისწინებდა სუბსიდირებას. საწარმოზე სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას კომპანიის საკრედიტო ისტორიიდან გამომდინარე ღებულობდნენ სომხური ბანკები. ერთი საწარმოს დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა 500 მილიონ დრამს (1 მილიონ დოლარზე ოდნავ მეტი). სახელმწიფო ასევე იღებდა ბანკების მიერ გაცემული სესხების თანადაფინანსების ვალდებულებას. თუ სესხი აღებულია გადასახადებისა და ხელფასების გადასახდელად, მაშინ სახელმწიფო მხარდაჭერა შეადგენს სესხის 50%, ნედლეულის შესაძენად-40%-ს, აღჭურვილობის-20%-ს, კომუნალური გადასახადებისთვის - 45%. ამრიგად, მხარდაჭერა ძირითადად მიმართულია წარმოების სექტორზე. ვაჭრობის კრედიტებს სახელმწიფო მხოლოდ სურსათის იმპორტზე - 30%-მდე აფინანსებს [ÏÀîãÀàìà содействия, 2021]. სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერას. სახელმწიფო, ფერმერებს ადრეც აფინანსებდა (მაგალითად, თუ ფერმერმა აიღო სესხი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის იჯარისთვის, მაშინ 9%-ის ნაცვლად მხოლოდ 2% იხდიდა). პანდემიის პირობებში, ფერმერისთვის (ან სასოფლო-სამეურნეო საწარმოსთვის) სესხების ღირებულება ნულამდეა დაყვანილი. ასეთ დახმარებას ყველაზე კრედიტუნარიანი საწარმოები ღებულობენ. გარდა ამისა, ფერმერების 1 მლნ. დრამამდე (დაახლოებით 2 ათასი დოლარი) მიკროკრედიტების ყველა პროცენტის სუბსიდირება 13%-იანი საპროცენტო განაკვეთითა და 2

წლამდე ვადით ხდება. შემდეგი პროგრამა შეეხო მცირე და საშუალო ბიზნესის, ანუ იმ კომპანიების დახმარებას, რომელთა ბრუნვა 2020 წელს 24-დან 500 მილიონ დრამამდეა. სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებები ვრცელდება მათზე, ვისაც ლიკვიდურობის პრობლემა გააჩნიათ. ეს არის გადამამუშავებელი მრეწველობის, სასტუმროს ბიზნესის, კვების, ტურიზმის, მომსახურების, ტრანსპორტირების, ჯანდაცვისა და სხვა საწარმოები. პროგრამის მონაწილეობის მსურველებს არ უნდა ჰქონდეთ ვადაგადაცილებული საგადასახადო და საკრედიტო ვალდებულებები. ამ შემთხვევაში მათ სესხის საპროცენტო განაკვეთი ექნებათ ნული, მესამე წელს კი 12%. ამ პროგრამით ისარგებლა 460-მა ბიზნესსუბიექტმა, რომლებმაც 5,2 მილიარდი დრამის (10 მილიონ აშშ დოლარზე მეტი) სესხი მიიღეს. სომხეთის მთავრობამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად - ეს არის ერთჯერადი გადაუდებელი დახმარება განკუთვნილი 14 წლამდე ბავშვების მქონე ოჯახებისთვის, სადაც ორივე მშობელმა სამსახური 2020 წლის 13-დან 25 მარტამდე დაკარგა და რომელთა ხელფასი ბოლო სამი თვის განმავლობაში არ აღემატებოდა 500 000 დრამს. თითო მშობელმა 100 000 დრამი (200 დოლარზე ოდნავ მეტი) მიიღო. მათ, ვინც საგანგებო მდგომარეობის გამო დაითხოვეს, დახმარება მიიღეს მინიმალური ხელფასის (68 ათასი დრამის) ოდენობით. ეს არ ეხება საფინანსო და საბანკო სექტორის სფეროებში დასაქმებულებს. სპეციალური დახმარება გაეწიათ კორონავირუსით ყველაზე მეტად დაზარალებული მომსახურების სფეროს საწარმოების თანამშრომლებს, კერძოდ, სასტუმროებს, რესტორნებს, კაფეებს და ა.შ. აქ დახმარება დამოკიდებული იყო ხელფასის მოცულობაზე. სხვა ტიპის დახმარება გათვლილია მათთვის, ვინც არ მუშაობს ან არსად არ არის რეგისტრირებული, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომსახურების სფეროსთვის. ამ შემთხვევაში მინიმალური სოციალური შეღავათი შეადგენს 26,5 ათასი დრამს. ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში ბიუჯეტიდან 43,4 მილიარდი დრამი (დაახლოებით 90 მილიონი დოლარი) გამოიყო. სულ 2020-დან 2021 წლამდე ანტიკრიზისული ღონისძიებებით ისარგებლა 10 531 იურიდიულმა პირმა და 639 592 ოჯახმა [Программа содействия, 2021].

საქართველოს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2020 წლის მარტში ეკონომიკის ვარდნამ 2,7%-ს შეადგენდა, ხოლო იანვარ-თებერვალში 1,5%-ით გაიზარდა. განსაკუთრებით დაზარალდა სასტუმრო და სარესტორნე ბიზნესი, ტრანსპორტი, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ფინანსები, დაზღვევა, ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის მომარაგების, გადამამუშავებელი მრეწველობისა და უძრავი ქონების ბიზნესი. ამავდროულად, მკვეთრად შემცირდა ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვა (ექსპორტი 22%, ხოლო იმპორტი 13,4%-ით). ბიზნესაქტივობა მკვეთრად დაეცა - მარტში ახალი კომპანიების რეგისტრაცია 48%-ით შემცირდა. ამასთან, ქართველი ექსპერტების აზრით, აპრილში, როდესაც ფაქტობრივად ეკონომიკური აქტივობის სრული შეჩერება მოხდა, ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო ნეგატიური აღმოჩნდა. ზოგადად, 2020 წელს დაფიქსირდა 4%-იანი ეკონომიკური ვარდნა, ქვეყნის ბიუჯეტმა 1,8 მილიარდი ლარი (560 მილიონი დოლარი) იზარალა, მიმდინარე ხარჯები 300 მილიონი ლარით შემცირდა, უმუშევრობა გაიზარდა 350 ათასი ადამიანამდე. კორონავირუსმა ყველაზე საგრძნობი დარტყმა მიაყენა საქართველოს ყველაზე წარმატებულ და სწრაფად მზარდ ტურიზმის ინდუსტრიას. 2019 წელს ქვეყანაში ტურისტების რაოდენობამ 9,3 მილიონს გადააჭარბა, ხოლო დარგის შემოსავალმა 3,3 მილიარდი დოლარი შეადგინა. სპეციალისტთა პროგნოზით, პანდემიის შედეგად გამოწვეული კოლაფსის შემდეგ, ამ ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები არც თუ ისე დამაიმედებელია. საუკეთესო შემთხვევაში, ტურისტული ნაკადი 2023 წლისთვის აღდგება, მაგრამ ეს ასევე ბევრ

ფაქტორზეა დამოკიდებული. კერძოდ, კრიზისის შემდეგ ტურისტული სერვისები შესაძლოა გაძვირდეს და ამან შეამციროს ტურისტების ის ნაკადი, რომლებიც ირჩევს ქვეყანას მისი სიიფი-სა და შედარებით მაღალი ხარისხის სერვისების გამო [Sputnik Грузия, 2020].

საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმთან დაკავშირებული კომპანიების ფინანსური დახმარების მიზნით გამოიყო 200 მილიონი ლარის (დაახლოებით 70 მილიონი დოლარი) დახ-მარება. ტურიზმის დახმარება მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნესისა და მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენების მხარდაჭერას. ანტიკრიზისუ-ლი გეგმის ჯამური ღირებულება შეადგენდა 3,5 მილიარდ ლარს, საიდანაც 1,3 მილიარდი გამო-იყო სოციალური დახმარების მიზნობრივ პროგრამებზე, 2,1 მილიარდი ეკონომიკისა და ბიზნე-სის მხარდასაჭერად, ხოლო 350 მილიონი მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვისთვის [Commersant.ge, 2020]. გეგმის მიხედვით, უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებს (დაახლოებით 350 000 ადამიანი) 6 თვის განმავლობაში ყოველთვიურად 200 ლარი (62 დოლარი) გამოეყო, სო-ციალურად დაუცველებსა და შშმ პირებს - 100 ლარი, ხოლო თვითდასაქმებულებს ერთჯერა-დად 300 ლარი. პენსიონერებისთვის პენსიის ზრდა გათვალისწინებულია ინფლაციის დონის მიხედვით [შენგელია, 2021].

რაც შეეხება ბიზნესსექტორს, დამსაქმებლები, რომლებიც არ გაათავისუფლებენ მუშა-კებს და ინარჩუნებენ სამუშაოს და ხელფასს, სახელმწიფოსგან საგადასახადო შეღავათებს მიი-ღებენ. ამასთან, მთავრობის გეგმის მიხედვით, ამოქმედა დღგ-ის ავტომატური დაბრუნების მე-ქანიზმი, რომელიც პირველ რიგში ტურისტულ ბიზნესს ეხება. ბიუჯეტიდან გამოიყო დამატე-ბითი თანხები მცირე და საშუალო საწარმოებზე სესხების გასაცემად. თუ მეწარმე პირველ სესხს აიღებს და გახსნის ახალ ბიზნესს, სახელმწიფო აუნაზღაურებს სესხის 90 პროცენტამდე.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოები 2020 წელს განთავისუფლდნენ სარწყავი წყლის გადა-სახადისგან, ასევე ჩამოწერილია ყველა მიმდინარე დავალიანება. გაიზარდა მიკროკრედიტების მაქსიმალური ოდენობა და მთავრობამ დამატებით გამოყო აგროკრედიტები მრავალწლიანი კულტურების მოსაყვანად. ანტიკრიზისული გეგმის ეკონომიკურ ნაწილში ძირითადი აქცენტი ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერაზე კეთდება. ამ მიზნით მთავრობამ არაერთი ცვლილება შეიტანა და მნიშვნელოვნად განაახლა პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს სესხების და ლიზინგის პროცენტის სახელმწიფო სუბსიდირებას, [Shengelia., Berishvili., Jganjgava.2021]. ეს პროგრამა ძირითადად განკუთვნილია საშუალო, მცირე და მიკრო ბიზნესისთვის, რისთვისაც შემუშავებულია სპეციალური საკრედიტო და გარანტიის მექანიზმი. ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში პროგრამის ბიუჯეტი 4-ჯერ გაიზრდება და მისი გამოყენე-ბა 5000-მდე მეწარმეს შეეძლება. კორონავირუსის შედეგებთან ბრძოლაში მთავრობას საერთაშო-რისო ორგანიზაციების დახმარების იმედი აქვს. ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად და პან-დემიის ზემოქმედებისგან დასაცავად, მსოფლიო ბანკმა საქართველოსთვის გამოყო 45 მილიონი ევროს ოდენობის სესხი. საქართველოს ეკონომიკის მხარდასაჭერად მზადყოფნა სხვა საერთაშო-რისო ორგანიზაციებმაც გამოთქვეს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აზიის განვითარების ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, სესხების მოცულობასა და პირო-ბებზე საქართველოს ხელისუფლებასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

აზერბაიჯანის ეკონომიკაზე 2020 წელს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ნავთობის ფასების ვარდნამ და კოროვირუსული პანდემიით გამოწვეულმა შედეგებმა. აზერბაიჯანული ნავთობის ფასი 2,5-ჯერ შემცირდა. 2020 წლის იანვრის დასაწყისში ის 71,2 დოლარი იყო,

ქვეყანაში საკარანტინო რეჟიმის შემოღებისთანავე (20 მარტი) - 26,01 დოლარი, ხოლო 8 აპრილს უკვე 24 დოლარი. ფასების ვარდნამ უკიდურესად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის ბიუჯეტზე, რომლის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა ბარელზე 55 დოლარს. ნავთობზე ფასების დაცემასთან ერთად, აზერბაიჯანის ეკონომიკამ ასევე განიცადა კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ზარალი. სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედი საშუალო, მცირე და მიკრო ბიზნესის დაპაუზების შედეგად, ათასობით ადამიანი უმუშევარი დარჩა. კორონავირუსის გამო, ქვეყნის ეკონომიკა ყოველწლიურად კარგავს 120-150 მილიონ აზარბაიჯანულ მანათს დღეში. თუმცა, აზერბაიჯანს აქვს „ფინანსური რეზერვი", რომელსაც გარკვეული დროით შეუძლია გამოიწვიოს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა. ცენტრალური ბანკისა და სახელმწიფო ნავთობის ფონდის (სნფ) სავალუტო რეზერვები შეესაბამება ქვეყნის მშპ-ს მოცულობას. ამასთან, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ წელს ისინი მნიშვნელოვნად შემცირდება. სნფ-ის რეზერვებიდან, რომელთა ფორმირება ხდება ნავთობისა და გაზის გაყიდვიდან, ეროვნული ვალუტის მხარდასაჭერად 2021 წელს გაყიდა 2,5 მილიარდი დოლარი (შედარებისთვის, 2020 წელს მხოლოდ 1,5 მილიარდი დოლარი). 2022 წლის ბოლომდე ფონდმა შესაძლოა დამატებით გაყიდოს 4 მილიარდი დოლარი [Багирова, 2021].

სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2020 წელს აზერბაიჯანის ეკონომიკა 2,2%-ით შემცირდა, ხოლო 2021 წლის ზრდა მხოლოდ 0,7 %-ია. რეცესია გლობალურზე ოდნავ დაბალია (3%); ინფლაცია შეადგენს 3,3%, 2021 წელს აზერბაიჯანში უმუშევრობა 5%-ის დონეზე შენარჩუნდა [МВФ, 2021]. თუმცა, ექსპერტთა ნაწილი არ ეთანხმება ამ მაჩვენებელს, მათი აზრით, ქვეყანაში რეალური უმუშევრობა გაცილებით მაღალია. ეკონომიკაზე კორონავირუსის გავლენის შესამცირებლად და მოსახლეობის მხარდასაჭერად აზერბაიჯანის მთავრობის პროგრამა მოიცავს 10 მიმართულებას: ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები პანდემიით დაზარალებულ რაიონებში დასაქმებული 304 ათასი მუშაკის ხელფასების გაცემა; 292 000 ინდივიდუალური (მიკრო) მეწარმის ფინანსური მხარდაჭერა; საგადასახადო შეღავათები, პრივილეგიები და შვებულებები მოქმედი ბიზნესსუბიექტებისთვის; ბიზნესსუბიექტებზე სასესხო გარანტიები ახალი საბანკო სესხებისთვის (0,5 მილიარდი მანათი); გარანტიები (1 მილიარდი მანათი); სოციალური პაკეტი მოსახლეობა ფინანსური მდგომარეობის მხარდასაჭერად (დაახლოებით 200 000 უმუშევარს ორი თვის განმავლობაში 190 მანათი, რაც 112 აშშ დოლარს უტოლდება); მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფების, სტუდენტების სწავლის საფასურის ღირებულების მხარდაჭერა; იპოთეკური სესხის გარანტიის ფინანსური მხარდაჭერა; მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სუბსიდირება. სულ აზერბაიჯანის მთავრობის მიერ ანტიკრიზისული პროგრამის განსახორციელებლად 2,5 მილიარდი მანათი (დაახლოებით 1,5 მილიარდი დოლარი) გამოიყო, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 3,3%-ს შეადგენს. შედარებისთვის, საქართველოში ანტიკრიზისული პროგრამის ღირებულება არ აღემატება მშპ-ს 2%-ს [Джанишвили, 2021].

დასკვნა

ეკონომიკური თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიის ყველა სახელმწიფო კოროვირუსული პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო მნიშვნელოვან ზარალს განიცდის. ამ ქვეყნების მთავრობები იღებენ ზომებს მისი შედეგების შესამსუბუქებლად, რაც აისახა იმ პროგრამებში, რომლებიც ორიენტირებულია COVID-19-ით გამოწვეული ეკონომიკური შერბილებაზე, სამხრეთ

კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა კვლავინდებურად რთულია, ბევრად არის დამოკიდებული იმ ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორებზე, რომლებიც ყალიბდება მთლიანად მსოფლიო ეკონომიკასა და ბიზნესში, ადგილობრივი შესაძლებლობებისა და რესურსების სწორ მართვაზე. არაერთგვაროვანია ქვეყნების მიერ განხორციელებული მიდომები და სტრატეგია. საქართველო COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის მართვის პროცესში ჩამორჩება სომხეთსა და აზარბეიჯანს, რაც აისახა ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, მასობრივ უმუშევრობაზე, ადგილობრივი ვალუტის ვარდნაზე, საინვესტიციო აქტივობის შემცირებასა და საგარეო ვალის ზრდაზე. სახელმწიფო პროგრამები შეიძლება ორაზროვნად შეფასდეს და საექსპერტო საზოგადოების მხრიდან მათი კრიტიკა უდაოდ მისაღებია, მაგრამ სახელმწიფო ინსტიტუტების აქტიური მუშაობა წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად, კვლავაც გადამწყვეტ ფაქტორად რჩება.

ლიტერატურა:

1. თ.შენგელია. ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდპანდემით გამოწვეული კრიზისის პირობებში. 2021. **თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კრებულში**: „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“. თბ.
2. თ.შენგელია. 2021. COVID-19 ზეგავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკოლოგიურ ეკონომიკურ განვითარებაზე. კრებულში: გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თსუ.
3. თ.შენგელია. მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდპანდემით გამოწვეული გაურკვევლობისა პირობებში. 2021, ჟ. გლობალიზაცია და ბიზნესში. თბ.
4. თ.შენგელია. 2020. გლობალური ეკონომიკის რეცესია და საქართველოს პოსტვირუსული განვითარება. ჟ. კონომიკა და ბიზნესი, № 2, ტომი 12
5. თ.შენგელია. 2020. კორონავირუსის მსოფლიო გეოგრაფია და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები. კრებული „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“.თბ.
6. საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა. https://jam-news.net/
7. Shengelia T., Berishvili K., Jganjgava K.2021 ANTI-CRISIS STRATEGY CAUSED BY UNCERTAINTY OF THE SMALL BUSINESSES UNDER THE COVID-19. J. Sciences of Europe№ 81 (Vol.2),
8. Shengelia T. 2020. The post-coronavirus economy of the world and Georgia. Economic and Business # 12. TSU.
9. EDRD monitor assesses resilience of emerging economies to Covid-19. – *EBRD.com*, 04.04.2020. URL: https://www.ebrd.-com/news/2020/ebrd-monitor-assesses-resilie
10. Regional Economic Prospects in the EBRD Regions. April 2020. Covid-19: From shock to recovery. – *EBRD.com, April 2020.* URL: https://www.ebrd.com/what-we-do/economic-research-and-data/rep.html
11. Fitch A, подтвердив рейтинг Армении, ухудшило прогноз. – *ИА «Финмаркет»,* 06.04.2020. URL: http://www.finmarket.ru/database/news/5208846
12. Программа содействия 14+. Кому и как помогают власти Армении в условиях COVID-1. 2021. URL: https://newsarm-enia.am/news/koshelek/programmy-sodeystviya-14-komu-i-kak
13. МВФ: экономика Азербайджана пострадает меньше мировой. – *Sputnik Азербайджан,* 28.04.2021. URL: https://az.sputniknews.ru/economy/20200428/423765217
14. Багирова Н, Антидзе М. Коронавирус, низкие цены на нефть наносят ущерб экономики Азербайджана – эксперты. – *MSN.com,* 07.04.2020. URL: https://www.msn.com/ru-ru/news/other/
15. МВФ: экономика Азербайджана пострадает меньше мировой. – *Sputnik Азербайджан,* 28.04.2021. URL: https://az.sputniknews.ru/economy/20200428/423765217
16. Косев И. Коронавирус и экономика стран Южного Кавказа. Предварительный обзор. – *Кавказский Узел,* 11.04.2020. URL: https://www.kavkaz-uzel.eu/blogs/83781/posts/42649
17. Джанишвили Э. Антикризисная программа Азербайджана составляет 2,5 млрд манатов. – *Trend*, 02.04.2020. URL: https://www.trend.az/azerbaijan/society/3215505.html

Economic Development of the South Caucasus Countries in the Conditions of the COVID-19 Pandemic

Teimuraz Shengelia

Doctor of Economic Sciences,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professor

SUMMARY

Consequently, from an economic, the states of the South Caucasus are suffering significant losses due to the crisis caused by the Cov pandemic.The governments of these countries are taking steps to mitigate its effects, which is reflected in programs aimed at mitigating the economic losses caused by COVID-19 and the economic and social development of the countries of the South Caucasuscountries.Despite the steps taken in this regard, the economic situation of these countries remains difficult, largely dependent on endogenous and exogenous factors that are emerging in the world economy as a whole, on the competent management of local opportunities and resources.The approaches and strategies implemented by the countries are heterogeneous.Georgia lags behind Armenia and Azerbaijan in managing the pandemic crisis, which is reflected in the living standards of the country's population, massiveunemployment, local currencies, a decrease in investment activity and the growth of external debt.State programs can be assessed in different ways, and their criticism from the expert community is undoubtedly acceptable, but the active work of state institutions remains the decisive factor in solving emerging problems.

საქართველოს გამოწვევა პანდემიის COVID-19 პირობებში

ლია ჩარექიშვილი

ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

საქართველოს მთავრობას, 2020 წლის 6 იანვარს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარედგინა ინფორმაცია, ჯერ კიდევ უცნობი ვირუსის, ჩინეთში მიმდინარე ეპიდაფეთქების შესახებ, რასაც საქართველოს მთავრობის მხრიდან მოჰყვა მყისიერი და კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება. აგრეთვე, სხვა ქვეყნების პრაქტიკის შესწავლის დაწყება და მათ გამოცდილებაზე უწყვეტი დაკვირვება. მსოფლიოში COVID-19-ის ფართოდ გავრცელების პირველივე დღეებიდან, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა ორი მიმართულებით - მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ეკონომიკის გადასარჩენად.

2022 წლის 20 იანვრის მდგომარეობით, კოვიდ-19-ით დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა საქართველოში არის 1 021 943, გამოჯანმრთელდა - 946 255 (93.0%), გარდაიცვალა - 14 582 (1.43%), აცრილების რაოდენობა - 2 635 602 კაცი.

კოვიდ-19-ის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც შეიძლება ნაკლები დანაკლისით რომ წარმართულიყო, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფუნქციონირების და შეზღუდული ეკონომიკური აქტივობების სწრაფად და უსაფრთხოდ განახლების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) პრევენციის თაობაზე დეტალური რეკომენდაციები სხვადასხვა სექტორის მიხედვით. აღნიშნულმა აქტივობამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესებს.

საკვანძო სიტყვები: *მოსახლეობა, ჯანდაცვა, კოვიდ 19, სტატისტიკა, ადმინისტრირება*

2019 წლის 31 დეკემბრიდან ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული დაავადება (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (შემდეგში - ჩინეთი), ჰუბეის პროვინციის ქალაქ ვუჰანში ვირუსის პირველი შემთხვევები დაფიქსირდა. 2020 წლის მარტის დასაწყისიდან, ახალი კორონავირუსით დაზარალებული ქვეყნების რაოდენობამ 190-ს გადააჭარბა. ჯანმო-მ 2020 წლის 30 იანვარს ვითარება საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობად გამოაცხადა, ხოლო 11 მარტს პანდემიად შეაფასა. ვირუსის დაწყებიდან დღემდე, მსოფლიოში 213 ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულია 6 452 391-ზე მეტი ინფიცირების და 382 479-ზე მეტი გარდაცვალების შემთხვევა, ხოლო გამოჯანმრთელებულია 306 6698-ზე მეტი პირი. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ს ახასიათებს გადაცემის მაღალი სიხშირე, გამოვლენილ შემთხვევებში დაავადების მიმდინარეობა სიმძიმის მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია - უსიმპტომოდან ფატალურ შედეგამდე. საქართველოს მთავრობას 2020 წლის 6 იანვარს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარედგინა ჯერ კიდევ უცნობი ვირუსის ჩინეთში მიმდინარე ეპიდაფეთქების შესახებ ინფორმაცია, რასაც საქართველოს მთავრობის მხრიდან მოჰყვა მყისიერი და კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, აგრეთვე, სხვა ქვეყნების პრაქტიკის შესწავლის დაწყება და მათ გამოცდილებაზე უწყვეტი დაკვირვება. მსოფლიოში COVID-19-ის ფართოდ გავრცელების პირველივე დღეებიდან, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა ორი მიმართულებით - მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ეკონომიკის გადასარჩენად. ამიტომ, ყველა ის ნაბიჯი, რომელსაც მთავრობა დგამს, განპირობებულია უპირველესად ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულებისა და ეკონომიკის გადარჩენის მოტივაციით.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ვირუსის გავრცელების პრევენციის პარალელურად, პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, უზრუნველყოფს მოქალაქეების სოციალურ მხარდაჭერას, მეწარმეების დახმარებას, ეკონომიკის ხელშეწყობას და ამასთან, საერთაშორისო პარტნიორებთან ინტენსიურ მუშაობას, კრიზისის შედეგების მაქსიმალური შემცირების მიზნით აუცილებელი ფინანსური ნაკადების მოზიდვისთვის.

საქართველოში ინფიცირების პირველი შემთხვევის დადასტურების მომენტიდან მიმდინარეობს ვირუსის რეპროდუქციის მაჩვენებლისა და სხვა ეპიდემიოლოგიური პარამეტრების მუდმივი კონტროლი. 2022 წლის 20 იანვრის მდგომარეობით, კოვიდ-19-ით დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა არის 1 021 943, გამოჯანმრთელდა - 946 255 (93.0%) გარდაიცვალა - 14 582 (1.43%), აცრილების რაოდენობა 0 - 2 635 602 კაცი.

პანდემიასთან ბრძოლის პირველი ეტაპის ფარგლებში, საქართველოში COVID-19-ის პირველი შემთხვევის დადასტურებამდე, ვირუსის იმპორტირების მაქსიმალური პრევენციის მიზნით, გატარდა მთელი რიგი ეტაპობრივი ღონისძიებები. პანდემიასთან ბრძოლის პირველი ეტაპი ქვეყანაში ვირუსის პირველი შემთხვევის დადასტურებამდე 1 თვით ადრე დაიწყო. აღნიშნული ფაზა ვირუსის შემოსვლისა და გავრცელების მაქსიმალური პრევენციისთვის, მულტისექტორული თანამშრომლობით შესაბამისი კოორდინირებული ღონისძიებების გატარებას გულისხმობდა. კერძოდ, ახალ კორონავირუსთან ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემდეგში - საბჭო). საბჭო ჩამოყალიბდა როგორც კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი პლატფორმა, რომელიც შედგება მთავრობის წევრების, პარლამენტის წევრების, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისგან. საბჭოს პირველივე სხდომის შემდეგ, მთავრობამ საზოგადოებას COVID-19-თან ბრძოლის პროცესში 4 პრიორიტეტული მიმართულება და თითოეულ მიმართულებაზე პასუხისმგებელი პირი წარუდგინა: 1. ჯანდაცვა - მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა; 2. ეკონომიკა - გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოს ეკონომიკის მართვა და აღდგენა; 3. უსაფრთხოება - მოქალაქეთა დაცვა; 4. მარაგები და ლოჯისტიკა - მოსახლეობის სურსათით უწყვეტი უზრუნველყოფის მართვა.

დაზიანებით მსოფლიოში ყველაზე მაღალი ციფრებითა და სიკვდილიანობით გამოირჩეოდა ევროპის რეგიონი (იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, ბელგია და სხვ.). 5 აღნიშნულ პერიოდში ჯანმო-ს, CDC-ის, ECDC-ისა და სხვა საერთაშორისო წამყვანი ორგანიზაციების მიერ შემუშავდა რეკომენდაციების ნაკრები, რომლის მიხედვითაც სოციალური (ფიზიკური) დისტანცირება მიჩნეული იქნა, როგორც ჯერ ბოლომდე შეუსწავლელი ვირუსის შეკავებისა და მართვის ეფექტიანი საშუალება. წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და ამ დროისთვის არსებული გამოცდილების საფუძველზე, COVID-19-ის გავრცელების საპასუხოდ, ქვეყნებმა დაიწყეს მთელი რიგი არაფარმაცევტული ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა: სასწავლო დაწესებულებების დახურვა და დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა, მასობრივი და საჯარო თავყრილობების აკრძალვა, ცალკეული ეკონომიკური საქმიანობების შეზღუდვა, ფიზიკური დისტანცირება და ქვეყნების დონეზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, მათ შორის მკაცრი კარანტინი და კომენდანტის საათი. საქართველოში პირველი შემთხვევის დაფიქსირების შემდეგ მიმდინარეობდა ახალი შემთხვევების, კლასტერებისა და მათთან ასოცირებული კონტაქტების მოძიება, ეპიდზედამხედველობა, იზოლირება, კარანტინი, დიაგნოსტირება და მკურნალობა. პარალელურად

მოსახლეობას სისტემატურად მიეწოდებოდა ინფორმაცია საერთაშორისო დონეზე შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ. თუმცა, აღნიშნული ღონისძიებების მიუხედავად, ქვეყანაში ვირუსის გავრცელების ინტენსივობა მზარდი ტემპით პროგრესირებდა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19-ის ინციდენტობის მაჩვენებლები განსხვავებულია მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. საქართველოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის 30-34 წლის ასაკობრივ ჯგუფზე, ყველაზე დაბალი - 5-9 წლის ასაკობრივ ჯგუფზე.

გრაფიკი 1

COVID-19–ის ინციდენტობის ასაკ-სპეციფიური მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 26.02.2020 - 1.10.2021



ჯანდაცვის სისტემის შეფასება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ პანდემიის პირობებში განვითარებული ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებიც კი უდიდესი გამოწვევის წინაშე აღმოჩდნენ. შესაბამისად, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მომზადება და მისი გადატვირთვით გამოწვეული შესაძლო კოლაფსის თავიდან აცილება ადრეულ ეტაპზე მთავრობის კრიტიკული მნიშვნელობის პრიორიტეტად განისაზღვრა. აღნიშნულის მისაღწევად კი აუცილებელი იყო ჯანდაცვის სისტემის პანდემიის წინააღმდეგ მიმართულ რეჟიმზე გადაყვანა. აღნიშნული ამოცანის შესრულება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა მთელი მსოფლიოსათვის. მისი მიღწევის პროცესში რთულ დაბრკოლებებს გადააწყდნენ ეკონომიკურად და რესურსებით კარგად უზრუნველყოფილი სახელმწიფოებიც. საყოველთაო გამოწვევას წარმოადგენდა შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების დროული და სწორი მობილიზება. COVID-19-ის საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვას საფუძვლად დაედო ჯანდაცვის სისტემის არსებული სიმძლავრეებისა და ეპიდემიის გავრცელების მოდელირების ინსტრუმენტით მომზადებული სცენარების ანალიზი. ზემოხსენებული სცენარები ცალსახად მიუთითებდა, რომ სოციალური დისტანცირების ზომების გარეშე საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ვერ გაუმკლავდებოდა ერთდროულად სისტემაში 2000 ან 3000 ინფიცირებულის დღიურ ნაკადს, ისევე, როგორც ეს ვერ შეძლეს ევროპის მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა.

რაც შეეხება მოსახლეობის ავადობას დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით პირველად დადგენილი დიაგნოზით, უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით ექიმთან მიმართვიანობა შემცირებულია თითქმის ყველა დაავადებების მიხედვით, როგორიცაა საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები (82.6 %-ით), ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები (45.1 %-ით), სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები (42.7 %-ით), ენდოკრინუ-

ლი სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები (40.4 %-ით) და სხვა.

კოვიდ-19-ის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ნებადართული ეკონომიკური საქმიანობების ფუნქციონირების და შეზღუდული ეკონომიკური აქტივობების სწრაფად და უსაფრთხოდ განახლების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) პრევენციის თაობაზე დეტალური რეკომენდაციები სხვადასხვა სექტორის მიხედვით, რომელთა აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი. ინსპექტირების მიზანია ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოდ აღდგენა, ასევე, ბიზნესის ინფორმირება შესასრულებელი რეკომენდაციების შესახებ. ამ მიზნით, ინტენსიურად მიმდინარეობს კონსულტაციები ბიზნეს ასოციაციებსა და დაინტერესებულ ჯგუფებთან. სარეკომენდაციო ხასიათის ინსპექტირებები გულისხმობს წინსწრებით იმ კომპანიების შემოწმებას, რომლებმაც რეგისტრაცია გაიარეს ჯანდაცვის სამინისტროს საიტზე.

ზრუნვა ბიზნესზე

I ეტაპი

მოქალაქეებზე ზრუნვის გეგმის პირველი ეტაპის მსგავსად, ბიზნესზე ზრუნვის გეგმის პირველი ეტაპი მოიცავდა გადაუდებელ ღონისძიებებს, პანდემიით გამოწვეული პირველადი ნეგატიური ეფექტების შესამსუბუქებლად. კერძოდ:

• ბიზნეს სუბიექტებს 4 თვის ქონების და საშემოსავლო გადასახადი გადაუვადდათ 2020 წლის 1-ელ ნოემბრამდე - პროგრამის ბიუჯეტი 171 მლნ. ლარს შეადგენს. გადასახადი უკვე გადაუვადდა 6000-ზე მეტ ეკონომიკურ სუბიექტს.

• მცირე სასტუმროებს მიეცათ შესაძლებლობა საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებით ესარგებლათ - 4-დან 50 ნომრამდე სიდიდის სასტუმროები 2020 წლის 1 აპრილიდან იღებენ საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებას. პროგრამის ბიუჯეტი 14 მლნ. ლარია.

• ავტოიმპორტიორებს ავტომობილების განბაჟების გადასახადის 90-დღიანი ვადა მიმდინარე წლის 1- ელ სექტემბრამდე გადაუვადდათ - პროგრამის ბიუჯეტი 50 მლნ. ლარია, ხოლო სარგებელი მიიღო 38 000 იმპორტიორმა.

• იურიდიულ პირებს, რომლებსაც შეექმნა საბანკო სესხის მომსახურების პრობლემა, შესაძლებლობა მიეცათ მოახდინონ სესხის გამარტივებული რესტრუქტურიზაცია - შესაძლებლობით უკვე ისარგებლა 7 000 იურიდიულმა პირმა.

II ეტაპი

• ამოქმედდება დღგ-ს ავტომატური დაბრუნების მექანიზმი და გაორმაგდება დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნება - წელს ბიზნესი დამატებით მიიღებს 600 მლნ. ლარს.

• 330 მლნ. ლარი გამოიყოფა საკრედიტო-საგარანტიო სქემის უზრუნველსაყოფად - აღნიშნული გამოიყენება, როგორც კონტრციკლური მექანიზმი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და ლიკვიდობის მართვის გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოფს რისკების ადეკვატურ განაწილებას სახელმწიფოს, კომერციულ ბანკსა და მსესხებლებს შორის. კრიზისის პერიოდში, როდესაც საბანკო სექტორის მხრიდან შემცირებულია რისკის მიმართ ტოლერანტობის ხარისხი. საკრედიტო-საგარანტიო სქემის გამოყენების მთავარი მიზანია ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება მცირე და

საშუალო ბიზნესისთვის სესხის რესტრუქტურიზაციისთვის ან ახალი სესხისთვის, მათ შორის საბრუნავი საშუალებების დაფინანსებისთვის. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მიმართულებები, რომელთაც უშუალოდ შეეხო კრიზისი და ამასთან აქვთ კრიზისის შემდგომ, საშუალოვადიან პერიოდში ოპერირების შედარებით სწრაფი აღდგენის პოტენციალი. სქემის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პირობები კერძო სექტორისთვის, რაც მოიცავს გარანტიის დაფარვის დონის ზრდას როგორც ინდივიდუალური სესხის, ასევე პორტფელის დონეზე, საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს შემცირებას, სესხის მოცულობის ზედა ზღვრის ზრდას და გარანტიის მეტად გამოყენების შესაძლებლობას საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად. სქემის ფარგლებში 2020 წელს გამოყოფილი გარანტიის ოდენობა შეადგენს 330 მლნ. ლარს, რაც რეალურად უზრუნველყოფს დაახლოებით 2 მილიარდის ოდენობის საკრედიტო პორტფელის გარანტიას სახელმწიფოს მხრიდან.

• განხორციელდა ცვლილება „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, რაც გულისხმობს: სესხის/(ლიზინგის) თანადაფინანსების პერიოდის 24-დან 36 თვემდე გაზრდას; საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მექანიზმის ცვლილებას; საქმიანობის სახეობათა ზრდას; სესხის/(ლიზინგის) მინიმალური ზღვრის დაწევას; საბრუნავი საშუალებების დაფინანსებას (80%-მდე).

• ცვლილებები მცირე მეწარმეობის განვითარების საგრანტო კომპონენტში - გრანტის მოცულობის მაქსიმალური ზღვარი იზრდება 20 000-ლარიდან 30 000-ლარამდე, ხოლო ბენეფიციარის მხრიდან თანადაფინანსების მოთხოვნა მცირდება 20%-დან 10%-მდე.

• კომერციულ ბანკებს მიეწოდებათ 600 მლნ. ლარის გრძელვადიანი რესურსი - ლიკვიდურობის პრობლემის გადასაჭრელად, მიზანს წარმოადგენს გრძელვადიანი ლარის რესურსის გაჩენა საბანკო სექტორში. ამისათვის, ფინანსთა სამინისტრო გამოუშვებს დამატებით 600 მლნ. ლარის ღირებულების ფასიან ქაღალდებს და მიღებულ თანხას კომერციულ ბანკებში განათავსებს გრძელვადიანი დეპოზიტების სახით.

2020 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ მიმდინარე ფასებში 49 266.7 მლნ. ლარი შეადგინა. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 2020 წელს წინა წელთან შედარებით 6.8 პროცენტით შემცირდა, ხოლო დეფლატორის პროცენტულმა ცვლილებამ 7.3 პროცენტი შეადგინა. წინასწარი შეფასებით, 2021 წლის ნოემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 12.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2021 წლის პირველი თერთმეტი თვის საშუალო მაჩვენებელი 10.7 პროცენტია.

ცხრილი 1

მშპ 2019-2020 წ.წ.

	2019	2020
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	49 252.7	49 266.7
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)	17 470.7	15 842.9
მშპ ერთ სულზე (ლარი)	13 239.4	13 234.1
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	4 696.2	4 255.7
რეალური მშპ-ის ზრდა (%)	5.0	-6.8

ქვეყანაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, გარკვეული სირთულეები ახლავს ინფექციის გავრცელების შედეგების აღმოფხვრისთვის საჭირო გარემოს შექმნას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ინფექცია მაინც რჩება და თავის ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ საქმიანობაზე. მსოფლიო ჯერ კიდევ დგას ახალი გამოწვევების წინაშე, ახალი შტამების გავრცელება კვლავ გრძელდება.

ლიტერატურა:

1. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/54/jandatsva
2. https://ncdc.ge/#/pages/content/4d01df7c-43dc-4603-bce6-0bf9478fea3b
3. https://stopcov.ge/

Challenge of Georgia in the Conditions of COVID-19 Pandemic

Lia Charekishvili

European University Professor

SUMMARY

On 6 January 2020, the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs reported to the Government of Georgia the outbreak of a still unknown epidemic in China. The Georgian Government responded by developing immediate and specific measures, as well as by initiating the investigation and continuous monitoring of relevant international practice. From the very early days of the pandemic, the Georgian authorities directed their efforts in two directions, aiming to save both the health and lives of the people, as well as the national economy. Therefore, all the steps taken by the government have been determined by the obligation assumed by the government to protect the health and lives of the people and the motivation to save the economy.

Correspondingly, in parallel to the prevention of the spread of the virus, the Government of Georgia has provided citizens with social support while also ensuring the provision of support to entrepreneurs and the economy in order to mitigate the effects of the pandemic.

1 021 943 COVID-19 cases have been reported in for 20 January, 2022, with 946 255 (93.0 %) patients having recovered, 114 582 patients have died, number of vaccinations - 2 635 602 persons.

Correspondingly, in parallel to the prevention of the spread of the virus, the Government of Georgia has provided citizens with social support while also ensuring the provision of support to entrepreneurs and the economy in order to mitigate the effects of the pandemic. The government is also working intensively with international partners to attract funding, in order to alleviate the results of the crisis to the greatest possible extent.

It should be noted that given the problems associated with the imposition of restrictions on the country's economy, the Government of Georgia initially chose the path of mainly issuing recommendations and conducting information campaigns. The imposition of strict mandatory restrictions was avoided as much as possible at this stage.

In addition, for the purpose of mitigating the negative effects of the pandemic on the economy, including the financial sector, and with a view to boosting the national economy, the National Bank of Georgia developed an ad hoc supervision plan and implemented significant monetary and credit measures in full compliance with the recommendations of the International Monetary Fund, the European Central Bank, and other key financial organizations.

According to revised estimates, Gross Domestic Product (GDP) of Georgia at current prices amounted to 49 266.7 million GEL in 2020 year. In 2020 compared to previous year the real GDP declined by 6.8 percent, while the GDP deflator percentage change equaled to 7.3 percent. Estimated real GDP growth rate in November 2021 equaled to 12.0 percent year-over-year (YOY) and 10.7 percent YoY in January-November 2021.

In the country, as well as around the world, there are some difficulties in creating the necessary environment to eliminate the consequences of the spread of infection. However, it should also be noted that despite great efforts, the infection still persists and has an impact on economic activity.
Key words: *Population, Health care, Covid-19, Statistics, Administration.*

Covid -19 პანდემია - ეკონომიკის ზრდის რისკები

მიხეილ ჩიკვილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

Covid-19-ის პანდემიამ უპრეცედენტო გარემოებების წინაშე დააყენა ბიზნესი და საგადასახადო ვალდებულებების მქონე ინდივიდუალური და ფიზიკური პირები, მთლიანად მოსახლეობა. საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები ბიზნესზე, საგადასახადო ვალდებულებების მქონე სუბიექტებსა და ოჯახებზე კრიზისის ეფექტების შესამცირებლად.

საკვანძო სიტყვები: *ბიუჯეტი, პანდემია, გადასახადები, ინფლაცია, ინვესტიცია.*

Covid-19-ით გამოწვეული პანდემია ერთგვარ გამოცდად იქცა საქართველოსა და ზოგადად მსოფლიოსათვის, რომელმაც განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა და მთლიანად შეცვალა ეკონომიკის მართვის სრული რითმი, საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესი დადგა ახალი გამოწვევების წინაშე, პანდემიის, ეპიდემიის, კარანტინისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, ასეთ პირობებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოები სხვადასხვა ოპერატიულ ღონისძიებებს მიმართავენ, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება ბიზნესის სუბიექტების ფუნქციონირებისა და შრომითი საკითხების რეგულირებისას.

Covid -19-ის პანდემიის პირობებში საქართველოს მთავრობამ უნდა დაიწყოს კიდევ უფრო გადამჭრელი ზომების მიღება იმისათვის, რომ შეამციროს კრიზისის ეფექტები, ბიზნესზე, ცალკეულ ინდივიდებსა და ოჯახებზე. Covid -19-ის პანდემიამ უპრეცენდენტო გარემოებების წინაშე დააყენა ბიზნესი და საგადასახადო ვალდებულებების მქონე ინდივიდუალური და ფიზიკური პირები, მთლიანად მოსახლეობა, რაც უფრო მეტად მყარდება ახალი ეკონომიკური რეალობა, ბიზნესისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ფეხდაფეხ მისდიოს ცვლილებებს და დროულად გააანალიზოს განსაკუთრებული გარემოებების სტრატეგიული გავლენა, საკუთარ პროცესებსა და ხალხზე. დღეს ბიზნესის მესვეურებმა აუცილებლად უნდა გამოიჩინონ სიმტკიცე ახლებურად დაფიქრდნენ საქმიანობის უმთავრეს ელემენტებზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება რეალურად კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა, ახალი ძალით, ახალი გამოცდილებით და შესაძლებლობებით.

საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიზანია დააიდენტიფიციროს და პასუხი გასცეს იმ მნიშვნელოვან კითხვებს, რაც ბიზნესმენებს აწუხებს, მიმდინარე პროცესში მათი ფუნქციონირებისა და შრომითი ურთიერთობების მართვასთან დაკავშირებით.

საქართველოს ეკონომიკამ 2020 - 2021 წლებში წლებში Covid -19-ის პანდემიითა და ნავთობზე შემცირებული ფასებით გამოწვეული საგრძნობი შენელება განიცადა. უნდა აღინიშნოს, რომ 2019-2020 წლებში პანდემიისა და ნავთობზე ფასების ვარდნის, შემცირებული მოხმარების, ტურიზმის და ვაჭრობის პასუხად, ადგილი ჰქონდა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დაცემას, თუმცა საქართველოს ეკონომიკის საგრძნობი გაჯანსაღება და ჩვეულ დინამიკაში დაბრუნება 2021 წელს ეკონომიკის ზრდაში გამოიხატა. საქართველოს მთავრობამ გაატარა ზომები პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკის შესასუსტებლად, რაც მოიცავს ტურიზმის სექტორში ქონებისა და საშემოსავლო გადასახადების შეჩერებას, საბანკო-სასესხო რეგულაციების შემსუბუქებას და ინფრასტრუქტურაში გაზრდილ ხარჯვას, ყოველივე აღნიშნულმა კი,

ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ გაჯანსაღებას, რასაც თან უნდა მოჰყვეს კერძო სექტორის განვითარება და მხარდაჭერა, ინვესტიციების მოზიდვა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მეცნიერებაში. 2021-2022 წლებში ტურიზმის გარკვეულ გამოცოცხლებასთან ერთად უნდა გაიზარდოს მრეწველობის, მშენებლობის, სამთომოპოვების წარმოების ტემპი.

Covid -19 -ის პანდემიით გამოწვეული სიძნელეებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ფასების დადგენამ სურსათზე 2021-2022 წლებში ინფლაციის შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი, რაც ცენტრალური ბანკის სამიზნე მაჩვენებელს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტორიც, რომ Covid -19 პანდემიის პირობებში საქართველოს საგარეო პერსპექტივები მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მის სავაჭრო პარტნიორებთან განვითარებულ მოვლენებზე, საგულისხმოა ისიც, რომ იმპორტის უწყვეტი კლება და ნავთობზე ფასების ვარდნა სავაჭრო დეფიციტის შემცირებას გამოიწვევს. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზიდან გამომდინარე, ექსპორტის ზრდაა ნავარაუდევი, როგორც 2021 წ. ისე 2022 წლისათვის, შედარებით მაღალი უცხოური ინვესტიცია კი, იმპორტს გაზრდის. მხედველობაშია მისაღები, რომ ეკონომიკის ზრდის რისკებს წარმოადგენს სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკების, მოსალოდნელზე მეტად შენელება, სუსტი შიდა მოთხოვნა, ტურიზმის ზრდის შეფერხება და გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე გამკაცრებული ლიკვიდურობა, რაც ნაწილობრივ Covid -19-ის გავლენის შედეგია, ასეთ პირობებში საქართველოში ბიზნესის განვითარებაში ტექნოლოგიურ ინვესტიციებს წახალისება სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ ინოვაციური-ციფრული სერვისების განვითარებაში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, საჭიროა გადასახადებისა და მოსაკრებლების მეტად ქმედითი მექანიზმების შემუშავება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2012 წლის ბოლოს საქართველოს ხელისუფლების ცვლილებას ეკონომიკაშიც გარკვეული ცვლილებები მოჰყვა, თუმცა, ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ის 2009 წლიდან დაწყებული ეკონომიკური პოლიტიკის მსგავსად ვითარდებოდა, დღეს, ბიზნესის კეთების სიმარტივეზე ორიენტირებული ღია ეკონომიკის მთავარი პრიორიტეტი ტურიზმი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა. საქართველომ 2014-2015 წლებში გამოიარა რეგიონალური კრიზისი და 2019 - 2020 წლები Covid-19 პანდემიით ,,გამოიხატა". 2013-2021 წლების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ორ ნაწილად უნდა გაიყოს, პანდემიამდე, ანუ 2019 წლის ჩათვლით და ცალკე 2020-2021 წლები. 2019 წლამდე მიღწეული შედეგი ცალსახად იყო დაკავშირებული მთავრობის პოლიტიკასთან, რასაც ვერ ვიტყვით 2020-2021 წლებზე. კრიზისი ყველა ქვეყანას შეეხო, თუმცა, პანდემიის პერიოდში, მთავრობის მოქმედება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკის შემცირების დონეს. 2012 წელს საქართველოში ერთი ადამიანის საშუალო წლიური შემოსავალი 8.162 ლარი იყო, 2013 წლიდან ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების მიუხედავად ერთ მოსახლეზე შემოსავალი იზრდებოდა და 2019 წელს 10.835 ლარი შეადგინა, 2020 წელს კი, ერთ მოსახლეზე შემოსავალი დაახლოებით 5 %-ით შემცირდა და 10.300 ლარია.

შემოსავლების მატებას ეკონომიკის ზრდა განსაზღვრავს, რომელიც 2013-2019 წლებში საშუალოდ 4.1 %-ს შეადგენდა. 2019 წლამდე, რომ 2012 წლის ეკონომიკური ზრდის ტემპი შენარჩუნებულიყო 2019 წელს ერთ მოსახლეზე შემოსავალი არსებულზე 41 %-ით მეტი, 12.600 ლარი იქნებოდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემა უმუშევრობაა, რაც ეკონომიკის სიმცირითაა გამოწვეული, მხოლოდ საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვ-

ნად ზრდა დაძლევს უმუშევრობის პრობლემას, გამომდინარე იქიდან რომ 2013-2019 წლებში საქართველოს ეკონომიკა მაღალი ტემპებით არ გაზრდილა, დასაქმებულთა რიცხვი სულ 30.700 -ით გაიზარდა.

დასაქმებულთა რაოდენობამ პიკს 2015 წელს მიაღწია 1.734 ათასს, მას შემდეგ კი, ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდებოდა, 2016-2019 წლებში დასაქმებულთა რაოდენობა 43.600-ით შემცირდა. 2015 წლის შემდეგ დასაქმებულთა შემცირება თვითდასაქმებულთა კატეგორიის კლებამ განაპირობა, რომელიც 88.000-ით შემცირდა, თუმცა 2019 წელს პირიქით მოხდა, დაქირავებულების რიცხვი შემცირდა 11.000-ით, ხოლო თვითდასაქმებულების 7.000-ით გაიზარდა, ამჟამად საქართველოში თავს უმუშევრად მილიონზე მეტი ადამიანი თვლის, რაც ძალზე მაღალი მაჩვენებელია.

2020 წელს 2019 წელთან შედარებით Covid -19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გამო, დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 40.000-ით შემცირდა.

საქართველოში ეკონომიკური პრობლემებიდან ძალზე აქტუალურია სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდის საკითხი (ინფლაცია და ლარის გაუფასურება). 2012 წელთან შედარებით 2019 წელს, სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასები 29.2 % იყო გაზრდილი, საშუალო წლიურმა ინფლაციამ 3,8 % შეადგინა. 2020 წლის იანვარ-ოქტომბერში ფასები კიდევ 2,5 %-ით გაიზარდა და 2012 წლის შემდეგ ჯამურმა მატებამ 32,4 % შეადგინა, 50 %-ით მოიმატა ჯანდაცვის ფასმა, რაც მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებას მოიცავს, 48 %-ით გაძვირდა სურსათი, მნიშვნელოვნად მხოლოდ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფასი შემცირდა 23 %-ით.

Covid -19-ის პანდემიის და სხვა მიზეზებით 2020 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს ექსპორტი 11 %-ით შემცირდა ხოლო იმპორტი კი 17 %-ით, უარყოფითმა ბალანსმა 3,7 მლრდ ლარი შეადგინა, რაც თითქმის მილიარდი დოლარით ნაკლებია 2019 წლის იანვარ-ოქტომბრის უარყოფით ბალანსზე.

საგარეო ვაჭრობაში 5,7 მლრდ დოლარის ბალანსი ნიშნავს, რომ ქვეყანაში ვაჭრობის შედეგად აღნიშნული თანხით ნაკლები შემოსავალი შემოდის, ვიდრე გადის, პანდემიის პერიოდში (ბოლო წლებში) ამ დანაკლისს მნიშვნელოვნად ამცირებს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, ვინაიდან, ტურიზმი საქართველოს ეკონომიკაში ბოლო ათწლეულის ყველაზე წარმატებული მიმართულებაა, პანდემიის გამო 2020 წლის მარტიდან ვიზიტორების რაოდენობა 95 %-ით შემცირდა.

ეკონომიკის გაჯანსაღების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა, რასაც თან უნდა სდევდეს მაღალი ეკონომიკური ზრდა, საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

საგულისხმოა, რომ საქართველოში 2018-2019 წლებში ინვესტიციები დაახლოებით 30 %-ითაა შემცირებული, 2013-2019 წლებში ყველაზე მეტი ინვესტიციაა შემოსული - (2,7 მლრდ დოლარი) ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში, საფინანსო სექტორში 1,4 მლრდ დოლარი და სხვ, ყველაზე მცირე კი, 71 მლნ დოლარი სოფლის მეურნეობაში. 2020 წლის პირველ ნახევარში Covid-19 პანდემიის და სხვა მიზეზებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 26 %-ით შემცირდა.

2012 წლის ბოლოს საქართველოს საგარეო ვალი 13,4 მლრდ დოლარს შეადგენდა, 2019 წლის ბოლოს კი, საქართველოს საგარეო ვალმა 18,6 მლრდ დოლარი შეადგინა, ბოლო 7 წელიწადში გაზრდილია 5, 2 მლრდ ლარით.

ვალის ეკონომიკისადმი ტვირთის მაჩვენებელს მისი მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობა აჩვენებს, რომელიც 2012 წლის ბოლოს 81,4 % იყო და 2019 წლის ბოლოსათვის 106,7 % შეადგინა, ვალის ტვირთის მაჩვენებლის ზრდა ახალი ვალის აღებასთან ერთად დაკავშირებულია მშპ-ის ზრდის ტემპთან და ლარის კურსთან. Covid -19 პანდემიის გამო, ვალის ზრდის ტემპი საგრძნობლად გაიზარდა 2020 წელს, საშინაო სახელმწიფო ვალი 1,7 მლრდ ლარით, ხოლო საგარეო ვალი 1,3 მლრდ დოლარით არის გაზრდილი. 2020 წლის ბოლოს სახელმწიფო ვალმა მშპ-ის 58 %-ს მიაღწია.

2013 -2019 წლებში მიღებული ეკონომიკური ზრდა მდგრადი და ცალსახად პოზიტიური იქნებოდა მასში მნიშვნელოვანი უარყოფითი წვლილი კერძო სექტორის, საგარეო ვალისა და სახელმწიფო ვალის ზრდას რომ არ შეეტანა.

Covid -19 პანდემიამ კიდევ უფრო გაართულა სავალო მდგომარეობა და 2021 წელს მთავრობის ვალი კრიტიკულ ზღვარს, მშპ-ის 60 %-ს აღემატება, ქვეყნის საგარეო ვალი კი, უკვე მშპ-ის 107 %-ია და ისევ მატულობს, ასეთი დავალიანება ქვეყნის ეკონომიკას საგარეო შოკების და ლარის კურსის მერყეობის მიმართ უფრო მეტად სუსტს ხდის, მიუხედავად იმისა, რომ 2019-2020 წლების ვარდნა ძირითადად Covid -19 პანდემიის მიზეზია, 2020 და მომდევნო წლებში მაღალი ეკონომიკური ზრდის ხელისშემშლელ ფაქტორებად სხვა სუბიექტური პრობლემებიც უნდა იქნეს მიჩნეული, რაც საქართველოს მთავრობის მუშაობის გააქტიურებას და კონკრეტული ღონისძიებების დასახვა-გადაწყვეტას საჭიროებს, ხოლო რაც უფრო მეტად მყარდება ახალი ეკონომიკური რეალობა, ბიზნესისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ფეხდაფეხ მისდიოს ცვლილებებს და დროულად გააანალიზოს განსაკუთრებული გარემოებების სტრატეგიული გავლენა საკუთარ პროცესებსა და ხალხზე. დღეს მეწარმეებმა აუცილებლად უნდა გამოიჩინონ სიმტკიცე ახლებურად დაფიქრდნენ საქმიანობის უმთავრეს ელემენტებზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება რეალურად კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა ახალი ძალით, ახალი გამოცდილებით და ახალი შესაძლებლობებით.

ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება. თბილისი: გამომცემლობა ,,სიახლე“, 2009.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე. თბილისი, 2007.
3. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ., გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი, 2011.
4. ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე რ., საჯარო ფინანსები. თბილისი, 2007.
5. პაპავა. ვ., არატრადიციული ეკონომიქსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა. თბილისი, თსუ 2020.
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო https:mof.ge, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები, საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი. 2010.
9. Chikviladze, M. (2018) The Share in Percentage of Taxes in GDP. Ecoforum Journal. Volume 7, Issue 1 (14).
10. Atanelishvili, T., Chikviladze, M., Silagadze, N. (2017). About State Financial Control. Ecoforum Journal. Volume 6, Issue 1 (10).
11. Bedianashvili, G (2017) Benchmarking ASL research methhod for obtaining system knowledge of the state intitutional development. J. information models and analyses volume 6, number 1. pp. 84-89
12. Gaganidze. G (2018), forign trade of Georgia, Moldova and Ukraine with the European union after signg the Association agreement, Ekoforum journal, 7, issue 1 (14).
13. Kopaleishvili, T., Chikviladze, M. (2011). Taxes and Taxation. Tbilisi.
14. Silagadze, A., Atanelishvili, T., Silagadze, N. (2019). Economic Doctrines: The Origins. Published by Nova Science Publishers, Inc. New York.

15. Silagadze, A., Zuniashvili, T. (2016). Georgia`s Economy against the Background of the Associate Agreement with the European Union. International Journal of Business and Management Studies, 59, 2: 533-540. (USA).
16. Zubiashvili, T., Chikviladze, M., Silagadze, N. (2018). Some Aspects of state External Debt. Ecoforum Journal 7 (2).

Covid-19 Pandemic - Risks of Economic Growth

Mikheil Chikviladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Associate Professor

SUMMARY

The Covid-19 pandemic has exposed unprecedented circumstances to businesses and individuals and natural persons with tax liabilities, as well as the entire population. The government of Georgia must take decisive action to reduce the effects of the crisis on businesses, taxpayers and households.

ოქროს მსოფლიო ბაზრის დინამიკა და გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მოსალოდნელი ტალღა

მალხაზ ჩიქობავა

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

როგორც ცნობილია, 1944 წლის ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო კონფერენციის გადაწყვეტილებით, ოქრო, აშშ-ის დოლართან ერთად, განისაზღვრა მსოფლიო სარეზერვო ვალუტად. ცენტრალური ბანკები და ფინანსთა სამინისტროები ცდილობდნენ ოქროს დაგროვებას საერთაშორისო რეზერვებში. პიკი მიღწეულ იქნა 1965 წელს, როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, მსოფლიოს ქვეყნების მთლიანმა ოქროს მარაგმა 37,124 ტონა შეადგინა, ხოლო ოქროს წილი ყველა ქვეყნის საერთაშორისო მარაგების მთლიან მოცულობაში მსოფლიოში 54%-ს აღწევდა. უკვე 1960-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო ოქრო-დოლარის სტანდარტის კრიზისის ნიშნები.

1976 წელს ჩატარდა იამაიკის კონფერენცია, რომელმაც გააუქმა ოქრო-დოლარის სტანდარტი და ის შეცვალა ქაღალდის დოლარის სტანდარტით. ამ დროიდან წარმოიქმნა საკმაოდ უცნაური, ორაზროვანი სიტუაცია. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი საერთაშორისო რეზერვების შემადგენლობაში ოქროს აშშ დოლარებით ჩანაცვლების გაგრძელების რეკომენდაციას იძლეოდა, ქვეყნებმა უმეტესწილად ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს.

თუმცა, 2010 წლიდან აღინიშნა ცენტრალური ბანკების მხრიდან ოქროს წმინდა მყიდველობად გადაქცევის აშკარად გამოხატული ტენდენცია. მსოფლიო ოქროს საბჭოს მონაცემებით ცენტრალური ბანკების მიერ ოქროს წმინდა შესყიდვებმა (შესყიდვების მოცულობამ გაყიდვების გამოკლებით) 2010-2020 წლებში შეადგინა (მეტრულ ტონებში): 2010 წ. – 79,1; 2011 წ. – 480,8; 2012 წ. – 569,3; 2013 წ. – 619,3; 2014 წ. – 601,2; 2015 წ. – 579,6; 2016 წ. – 394,9; 2017 წ. – 378,6; 2018 წ. – 656,2; 2019 წ. – 605,4; 2020 წ. – 254,9

ამრიგად, ქვეყნების მიერ ბოლო წლებში ოქროს აქტიურად ყიდვა საერთაშორისო რეზერვების შესავსებად მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ ფიატურ ვალუტებთან შედარებით ოქრო ბევრად საიმედო აქტივია და ის არსებული სავალუტო-საფინანსო სისტემის ერთ-ერთ შესაძლო ალტერნატივად შეიძლება განვიხილოთ.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური კრიზისი, რეცესია, სავალუტო რეზერვები, ოქრო, ალტერნატიული სავალუტო-საფინანსო სისტემა, რაოდენობრივი შერბილება, საკვანძო საპროცენტო განაკვეთი, დიადი გადატვირთვა.*

2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ ნამდვილი ეკონომიკური გამოცოცხლება მსოფლიოში ჯერ კიდევ არ დამდგარა. XXI საუკუნის მეორე ათწლეული იყო სტაგნაციის პერიოდი, ხოლო 2020 წლის ბოლოსათვის ცალკეულ ქვეყნებში შეიმჩნეოდა რეცესიის ნიშნები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკამ 2020 წელს დაკარგა 5,8%. აშშ-მა ეს წელი დაასრულა 4,3%-იანი ვარდნით, ევროზონის ეკონომიკამ დაკარგა მთლიანი გამოშვების 8,3% რეცესიის მნიშვნელოვანი მასშტაბების გამო ვარდნამ ესპანეთში 12,8%, იტალიაში - 10,6%, საფრანგეთში - 9,8%, ხოლო გერმანიაში - 6% შეადგინა (Chikobava, 2021).

2020 წელს მსოფლიო ეკონომიკის დანაკარგებმა აბსოლუტური მაჩვენებლით 3,6 ტრლნ დოლარი შეადგინა, რაც საფრანგეთისა და ესპანეთის ერთად აღებული ჯამური წლიური GDP-ის ტოლია. ნებისმიერი პროფესიონალი და კეთილსინდისიერი ექსპერტი იტყვის, რომ გასული წლის მსოფლიო რეცესია ყველაზე ღრმაა ე.წ. დიდი დეპრესიის შემდეგ (Chikobava, 2021).

თუმცა, მსოფლიო ჯერ კიდევ არც ისე ძალიან გრძნობს ეკონომიკური ვარდნის სიღრმეს. მართალია, ადამიანები დღემდე განიცდიან საშინელ დისკომფორტს „თვითიზოლაციით“, შეზღუდვებითა და აკრძალვებით, მაგრამ ჯერჯერობით ადგილი აქვს კრიზისული მოვლენების ერთგვარ ამორტიზაციას, უპირველეს ყოვლისა, განვითარებულ ქვეყნებში. მოსახლეობა კვლავაც ღებულობს ე.წ. „ვერტმფრენის ფულს“, კომპანიებს ეძლევათ სუბსიდიები და პრაქტიკულად უპროცენტო კრედიტები. გარდა ამისა, ცენტრალური ბანკები ისევ აგრძელებს კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ყიდვას, რითაც ასულდგმულებს კერძო კომპანიებს (Katasonov, 2019).

გულუხვი ფულადი ინექციების პირველწყაროდ იქცნენ მსოფლიოს წამყვანი ცენტრალური ბანკები, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, ევროპის ცენტრალური ბანკი, იაპონიის ბანკი და ინგლისის ბანკი. 2020 წელს ეკონომიკაში მათ 10 ტრლნ დოლარის ოდენობის ფულადი მასა გადაისროლეს. ოთხი ცენტრალური ბანკის, კერძოდ, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის, ევროპის ცენტრალური ბანკის, იაპონიის ბანკისა და ჩინეთის სახალხო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, მათი ჯამური აქტივები 2007 წლის დასაწყისში (მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე) 5 ტრლნ დოლარს შეადგენდა (Chikobava, 2020). 2020 წლის დასაწყისში („პანდემიის“ დაწყებამდე) აქტივებმა 19,2 ტრლნ დოლარი შეადგინა, ხოლო 2020 წლის ბოლოსათვის - 28,6 ტრლნ დოლარი. შედეგად, ნაზრდმა ერთი წლის მანძილზე 9,4 ტრლნ დოლარი შეადგინა (Chikobava, 2020). ცხადია, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ვალუტების ასტრონომიული ემისია შეიცავს ამ ვალუტების გაუფასურების მაღალ რისკებს. ამიტომ, საყურადღებოა აშშ დოლარისა და სხვა სარეზერვო ვალუტების ალტერნატიული აქტივის - ოქროს მიმართ ცენტრალური ბანკების დამოკიდებულების ცვლილება ბოლო წლებში.

* * * * * * * * * * * *

როგორც ცნობილია, 1944 წლის ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო კონფერენციის გადაწყვეტილებით, ოქრო, აშშ-ის დოლართან ერთად, განისაზღვრა მსოფლიო სარეზერვო ვალუტად. ცენტრალური ბანკები და ფინანსთა სამინისტროები ცდილობდნენ ოქროს დაგროვებას საერთაშორისო რეზერვებში. პიკი მიღწეულ იქნა 1965 წელს, როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, მსოფლიოს ქვეყნების მთლიანმა ოქროს მარაგმა 37,124 ტონა შეადგინა, ხოლო ოქროს წილი ყველა ქვეყნის საერთაშორისო (ოქრო და სავალუტო) მარაგების მთლიან მოცულობაში მსოფლიოში 54%-ს აღწევდა. უკვე 1960-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო ოქრო-დოლარის სტანდარტის კრიზისის ნიშნები.

1976 წელს ჩატარდა იამაიკის კონფერენცია, რომელმაც გააუქმა ოქრო-დოლარის სტანდარტი და ის შეცვალა ქაღალდის დოლარის სტანდარტით. ამ დროიდან წარმოიქმნა საკმაოდ უცნაური, ორაზროვანი სიტუაცია. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი საერთაშორისო რეზერვების შემადგენლობაში ოქროს აშშ დოლარებით ჩანაცვლების გაგრძელების რეკომენდაციას იძლეოდა, ქვეყნებმა უმეტესწილად ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს. ისინი არ ყიდულობდნენ ოქროს, მაგრამ არც მას ყიდიდნენ თავიანთი რეზერვებიდან, ანუ, მათ გაყინეს თავიანთი ოქროს რეზერვები. აი ცალკეული წლების მიხედვით მონაცემები (ტონებში): 1980 წ. – 32.388; 1985 წ. – 32.264; 1990 წ. – 32.134; 1995 წ. – 31.125 (World Gold Council, 2022).

1999 წელს აშშ-ისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზეწოლით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა დადეს ვაშინგტონის ხელშეკრულება, რომელიც მათ ავალდე-

ბულებდა გაეყიდათ თავიანთი რეზერვებიდან ძვირფასი ლითონი დაწესებული კვოტებისა და გრაფიკების თანახმად. უკვე 2000 წლის ბოლოსათვის ქვეყნების ერთობლივი ოქროს რეზერვები რეკორდულად დაბალ დონემდე - 28.866 ტონამდე შემცირდა. ვაშინგტონის შეთანხმების გადახედვა ხდებოდა ყოველ ხუთ წელიწადში, მაგრამ ოქროს მთლიანი რეზერვების შემცირება შეწყდა, რადგანაც წამყვანი ქვეყნების (დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იაპონიის, შვეიცარიისა და სხვ.) ცენტრალური ბანკების ოქროს გაყიდვა კონპენსირდებოდა იმ ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ შესყიდვებით, რომლებიც არ იყვნენ ვაშინგტონის შეთანხმების მონაწილეები. საექპერტო შეფასებით, 2009 წლის ბოლოსათვის ყველა ქვეყნის ცენტრალური ბანკების ოქროს ერთობლივმა რეზერვებმა 28.922 ტონა შეადგინა. მთლიანობაში, მთელ მსოფლიოში 2000-იანი წლების განმავლობაში ოქროს გაყიდვები დაახლოებით მისი შესყიდვების ტოლი იყო.

2010 წლიდან კი აღინიშნა ცენტრალური ბანკების მხრიდან ოქროს წმინდა მყიდველებად გადაქცევის აშკარად გამოხატული ტენდენცია (შესყიდვები აჭარბებს გაყიდვებს). მსოფლიო ოქროს საბჭოს მონაცემებით ცენტრალური ბანკების მიერ ოქროს წმინდა შესყიდვებმა (შესყიდვების მოცულობამ გაყიდვების გამოკლებით) 2010-2020 წლებში შეადგინა (მეტრულ ტონებში): 2010 წ. – 79,1; 2011 წ. – 480,8; 2012 წ. – 569,3; 2013 წ. – 619,3; 2014 წ. – 601,2; 2015 წ. – 579,6; 2016 წ. – 394,9; 2017 წ. – 378,6; 2018 წ. – 656,2; 2019 წ. – 605,4; 2020 წ. – 254,9 (World Gold Council, 2022).

წმინდა შესყიდვების მაქსიმალური მოცულობა მოდიოდა 2018 წელზე (656,2 ტონა). სხვა სარეკორდო წლებია (წმინდა შესყიდვები 600 ტონაზე მეტი ოდენობით) 2013 და 2019. ჯამურად, 2010-2020 წლებში ცენტრალური ბანკების მიერ ოქროს წმინდა შესყიდვებმა 5.219,3 ტონა შეადგინა. ამ პერიოდისათვის მსოფლიოში ოქროს მოპოვებამ, მსოფლიო ოქროს საბჭოს მონაცემებით, 35.838,3 ტონა შეადგინა (World Gold Council, 2021). ამგვარად, ოფიციალური ოქროს რეზერვების შესავსებად წარიმართა ძვირფასი ლითონის 14,6%, რომელიც მოპოვებულ იქნა იმავე პერიოდში (გამოყენების სხვა მიმართულებებია საიუველირო მრეწველობა, ელექტრონიკა, ინვესტიციები).

მსოფლიო ოქროს საბჭოს შეფასებით, 2020 წლის ბოლოსათვის მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჯამურმა ოფიციალურმა ოქროს რეზერვებმა (რომლებიც შედის ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებში) 34.211 ტონა შეადგინა (Bhutada, Jamshed, 2021). მსოფლიოში ოფიციალური ოქროს რეზერვების მატებამ ცენტრალური ბანკების მიერ წმინდა შესყიდვების ხარჯზე 2010-2020 წლებში 15,3% შეადგინა. ცხრილი 1-ში გვიჩვენებს 2021 წლისათვის ოქროს გამოყენების შესახებ მონაცემებს.

ცხრილი 1.

ოქროზე მოთხოვნის ძირითადი მიმართულებები 2021 წელს კვარტალურად (ტონებში)

	1 კვ.	მე-2 კვ.	მე-3 კვ.	სულ
საიუველირო წარმოება	484,1	396,6	442,6	1.323,3
ელექტრონიკა და სხვა ტექნოლოგია	81,1	80,2	83,8	245,1
ინვესტიციები	181,9	283,8	235,0	700,7
ცენტრალური ბანკების რეზერვები	133,4	190,6	69,3	393,3
სულ	880,5	951,2	830,7	2662,4

წყარო: https://www.gold.org/goldhub/data/gold-supply-and-demand-statistics

ცხრილიდან ჩანს, რომ ოქროზე მოთხოვნის საერთო მოცულობაში 2021 წლის სამი კვარტალის შედეგებით ცენტრალური ბანკების მიერ წმინდა შესყიდვაზე 14,8% მოდიოდა. შეიძლება ველოდოთ, რომ მთლიანად 2021 წლის შედეგებით ცენტრალური ბანკების მიერ ოქროს წმინდა შესყიდვები, მინიმუმ, 500 ტონა იქნება.

ოქროს წმინდა შესყიდვების მოცულობა 2020-2021 წლებში სულაც არ არის რეკორდული წინა წლების ფონზე, მაგრამ ეს ორი წელი ძალზე მძიმე გახდა მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების ეკონომიკისათვის. წმინდა შესყიდვების მოცულობები უფრო მეტი იქნებოდა, რომ არა ზოგიერთი ქვეყნის მიერ ოქროს რეზერვების ნაწილის იძულებითი გაყიდვა საკუთარი ეკონომიკებისა და ვალუტების სტაბილიზაციის მიზნით.

2021 წლის პირველ კვარტალში ოქროს უმსხვილესი წმინდა შემსყიდველები იყვნენ შემდეგი ქვეყნების ცენტრალური ბანკები (ტონებში): იაპონია - 80,76; უნგრეთი - 62,98; უზბეკეთი - 23,33; ყაზახეთი - 7,99. მეორე კვარტალში ასეთები იყვნენ (ტონებში): ტაილანდი - 90,2; ბრაზილია - 63,75; სინგაპური - 26,34; ინდოეთი - 8,40; თურქეთი - 7,77. მესამე კვარტალში (ტონებში): ინდოეთი - 40,12; უზბეკეთი - 25,50; ყაზახეთი - 11,27; ბრაზილია - 8,54; რუსეთი - 6,22.

აი ქვეყნები, რომლებიც წარმოადგენდნენ ოქროს წმინდა გამყიდველებს ოფიციალური რეზერვებიდან (ტონებში). პირველი კვარტალი: ფილიპინები - 24,73; არაბთა გაერთიანებული საემიროები - 3,43; რუსეთი - 3,11. მეორე კვარტალი: ყაზახეთო - 9,90; ყირგიზეთი - 9,15; ფილიპინები - 7,91; გერმანია - 3,33; რუსეთი - 3,11. მესამე კვარტალი: თურქეთი - 13,90.

2021 წელს ყველაზე მსხვილი ოქროს წმინდა მყიდველები გახდნენ ტაილანდის, იაპონიის, უნგრეთისა და ინდოეთის ცენტრალური ბანკები. მათ შეიძინეს ძვირფასი ლითონები მსოფლიო ბაზარზე, რადგანაც არ წარმოადგენენ ოქროსმომპოვებელ ქვეყნებს. წმინდა მყიდველების იმავე ჯგუფში ვხედავთ ბრაზილიის, უზბეკეთისა და ყაზახეთის ცენტრალურ ბანკებს. ესენია ოქროსმომპოვებელი ქვეყნები, რეზერვებში ლითონის შესყიდვებს ისინი ახორციელებენ ადგილობრივი წარმოების ხარჯზე.

ნომერ პირველი ოქროსმომპოვებელი ქვეყანა ჩინეთია. გასული წლის შედეგებით მან აწარმოა 365,3 ტონა ძვირფასი ლითონი. თუმცა იმ ცენტრალურ ბანკებს შორის, რომლებმაც განახორციელეს ოქროს წმინდა შესყიდვები, ჩვენ ვერ ვხედავთ ჩინეთის სახალხო ბანკს. უკვე ორი წელია ჩინეთის სახალხო ბანკის ოქროს რეზერვები არ იცვლება და ის 1948 ტონას შეადგენს. მრავალ ექსპერტი ვარაუდობს, რომ ჩინეთის ბანკი აქტიურად ყიდულობს ქვეყანაში მოპოვებულ ოქროს, მაგრამ მის შენიღბვას ახდენს და თავის ოფიციალურ სტატისტიკაში არ ასახავს მას (2015 წლის მეორე ნახევრამდე ოფიციალურ ოქროს რეზერვებზე მონაცემები ითვლებოდა სახელმწიფო საიდუმლოებად). ჩინეთის საერთაშორისო რეზერვებში ოქროს რეალური მოცულობა, მინიმუმ, ორჯერ აჭარბებს მის ოფიციალურ მონაცემებს.

რუსეთი ჩინეთის შემდეგ მეორე ოქროსმომპოვებელ ქვეყნად ითვლება. გასული წლის შედეგებით რუსეთში წარმოებულ იქნა 331,1 ტონა ძვირფასი ლითონი. ქვეყანა განაგებს ყველანაირ შესაძლებლობას გააფართოვოს ოქროს მარაგები რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო რეზერვების შემადგენლობაში. ეს შესაძლებლობები რეალიზდებოდა მრავალი წლის მანძილზე. რუსეთის ოფიციალური ოქროს რეზერვები განუხრელად იზრდებოდა XXI საუკუნის მეორე ათწლეულში. 2010 წლის 1 იანვრისათვის მისმა სიდიდემ ფიზიკურ გამოხატულებაში 649,03 ტონა შეადგინა. 2021 წლის 1 იანვრისათვის - 2.298,59 ტონა. განსახილველი პერიოდის დასაწყისში ოქროს წილი ღირებულებით გამოხატულებაში შეადგენდა რუსეთის ფედერაციის მთელი საერთაშორისო რეზერვების 5,19%-ს; ამ პერიოდის ბოლოსათვის ის 23,29%-მდე გაიზარდა.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ქვეყნები ბოლო წლებში აქტიურად ყიდულობენ ოქროს საერთაშორისო რეზერვების შესავსებად, რაც, საკმაოდ მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ ფიატურ ვალუტებთან შედარებით ოქრო ბევრად საიმედო აქტივია და ის არსებული სავალუტო საფინანსო სისტემის ერთ-ერთ შესაძლო ალტერნატივად შეიძლება განვიხილოთ.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში, ახალი წლის წინა დღეებში მსოფლიო მასმედიის მთავარი თემა ყოველთვის მომავალი წლის ეკონომიკური პროგნოზი იყო. გასული 2021 წლის დეკემბერში მომდევნო 2022 წლის ეკონომიკური პროგნოზის თემა ჩრდილში აღმოჩნდა, როგორც მთლიანად მთელი მსოფლიოსათვის, ისე ცალკეული ქვეყნებისათვის.

აი, მაგალითად, დანიის საქსო ბანკის (Saxo Bank) ტრადიციული პროგნოზები მომავალი წლისთვის. საუბარია პოლიტიკის სერიოზულ კორექტირებაზე „მწვანე“ ენერგეტიკის სფეროში, კონსტიტუციურ კრიზისზე შეერთებულ შტატებში, ჰიპერბგერითი შეიარაღების შეჯიბრის დაწყებაზე წამყვან სამხედრო ძალებს შორის, ექიმების მიერ სიცოცხლის ხანგრძლივობის საიდუმლოების მოსალოდნელ აღმოჩენაზე და ა.შ.. თუმცა, ბანკის მიერ წარმოდგენილი მასალიდან გაუგებარია, რა ეკონომიკურ ფონზე განვითარდება პროგნოზში ასახული მოვლენები.

ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის ბრიტანული ცენტრი (Centre for Economics and Business Research - CEBR), რომელიც ადრე აქვეყნდებდა დეტალურ პროგნოზებს გლობალური ეკონომიკის შესახებ, წელს შემოიფარგლა მხოლოდ ერთი მოკლე შეფასებით. მისი გათვლებით, 2022 წელს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჯამური მთლიანი სამამულო პროდუქტი 100 ტრლნ დოლარის ნიშნულს პირველად გადალახავს.

ბლუმბერგის (Bloomberg) ანალიტიკოსები, მომავალ წელს ეკონომიკის განვითარების სრულფასოვანი ანალიზის ნაცვლად, 2022 წელს გლობალური ეკონომიკისთვის 10 ძირითადი რისკის დასახელებით შემოიფარგლნენ (კორონავირუსის მუტაციები, ინფლაცია, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, ეკონომიკისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის შემცირება, Brexit-ის შედეგები, ჩინეთის ეკონომიკური განვითარების შენელება და ა.შ.). ბლუმბერგი ფაქტობრივად იძლევა მთლიანი სურათის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს, მაგრამ ფაზლის აწყობაზე უარს ამბობს. თითქოს აცხადებდეს, რომ დანარჩენზე ხალხი, დაე, თავად დაფიქრდესო (Katasonov, 2021).

მაშ, რატომ იყო 2021 წლის ბოლოს მსოფლიო ეკონომიკის მომავლის აღწერების ასეთი სიმცირე და პრიმიტიულობა? ვფიქრობ, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს.

ჯერ ერთი, ის ოპტიმისტური პროგნოზები, რომლებიც ეკონომისტებმა 2019 წლის ბოლოს შემოგვთავაზეს, მათი ავტორებისთვის სამარცხვინო გახდა. პროგნოზების ავტორების უმეტესობა ირწმუნებოდა, რომ 2020 წელს მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა, ვიდრე 2019 წელს. 2019 წლის ბოლოს მსოფლიო GDP-ის ზრდამ 2,6% შეადგინა (The World Bank, 2019).

იყო მოლოდინი იმისა, რომ 2020 წელს იქნებოდა ზრდა 3-დან 4 პროცენტის დიაპაზონში. სანაცვლოდ მივიღეთ ეკონომიკის სრული ჩამოშლა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2020 წელს მსოფლიო GDP 3,5%-ით შემცირდა. 2020 წლის პროგნოზებს ამერიკელმა ეკონომისტმა ჯონ გელბრეითმა შემდეგი ფრთოვანი ფრაზა მიუძღვნა: „ეკონომიკური პროგნოზების ერთადერთი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ ასტროლოგია უფრო რესპექტაბელურად გამოიყურებოდეს“.

მეორე, ანალიტიკოსები და ექსპერტები თავს იკავებენ რაიმე სახის პროგნოზისგან. მათ შორის ზოგიერთი საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს ეკონომიკის პროგნოზირების შესაძლებლობას ისეთი არაეკონომიკური ფაქტორების გამო, როგორიცაა „ვირუსები“ და სხვა „ინფექციები“.

სწორედ მსგავსი „ინფექციები“ ახდენენ ლოკდაუნების პროვოცირებას, რომლებიც ეკონომიკას ყველაზე ძლიერ აზარალებენ, ვიდრე საფონდო ბირჟების ჩამოშლა ან უმსხვილესი ბანკებისა თუ კომპანიების გაკოტრება. თვით ეპიდემიოლოგებსაც კი არ ძალუძთ იმის პროგნოზირება, თუ რა მოუვა COVID-19-ს მომდევნო წელს, რომელი ახალი შტამი გაჩნდება, რამდენად დაიცავს ვაქცინაცია კაცობრიობას ვირუსული „ინფექციებისაგან“ და ა. შ..

ამ პირობებში გლობალური ეკონომიკური პროგნოზი ჩაკვდა, ან, ყოველ შემთხვევაში, მრავალი წლით ჩამოვიდა სცენიდან - მანამ, ვიდრე კაცობრიობას და ეკონომიკის სამყაროს გააკონტროლებს არა ცენტრალური ბანკები და მთავრობები, არამედ უხილავი არსებები სახელწოდებით „ვირუსები“.

მესამე, არსებობს ეკონომიკური პროგნოზების თემის ცუდად გაშუქების წმინდა ფსიქოლოგიური მიზეზი. ყველა სერიოზულმა ეკონომისტმა, ბანკირმა და ბიზნესმენმა კარგად იცის, რომ პროგნოზები დიდი ხანია, რაც ეკონომიკისა და ბაზრების მართვის ინსტრუმენტად იქცა. პესიმისტური პროგნოზი წარმოშობს ბაზრის მონაწილეთა გარკვეულ ქმედებებს, ოპტიმისტური - სრულიად განსხვავებულს. რადგანაც პესიმისტური პროგნოზები შეიძლება გახდეს ეკონომიკური კრიზისის მაპროვოცირებელი, ამიტომ ყოველთვის ცდილობენ ოპტიმისტური პროგნოზების კეთებას.

მომავალი 2022 წლის ეკონომიკური პროგნოზების სიმცირე აშკარა ნიშანია იმისა, რომ გლობალური ეკონომიკის პერსპექტივა ძალზე არასახარბიელოა. ჯერ კიდევ 2020 წლის შემოდგომის დასაწყისში ანალიტიკოსებისა და ექსპერტების უმრავლესობა დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ 2021 წელი უკეთესი იქნებოდა წინაზე. მაგრამ, 2021 წლის ბოლო კვარტალში მრავალთათვის მოულოდნელად საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა კორექტივები შეიტანეს 2022 წლის მსოფლიო GDP-ის ზრდის შეფასებაში შემცირების მიმართულებით. რითი იყო ეს განპირობებული?

პირველი, 2021 წლის ნოემბერში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ყველა დააშინა აფრიკიდან მომავალი კორონავირუსის ახალი შტამით სახელწოდებით „ომიკრონი“. მისი ინფექციურობა და ლეტალობა ჯერ კიდევ ზუსტად არ იყო შეფასებული, მაგრამ მასმედიამ უკვე დაიწყო შიშის გაღვივება და გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ომიკრონს შეუძლია გამოიწვიოს ახალი ლოკდაუნები, ეკონომიკებისათვის აქედან გამომდინარე ყველა შემდგომი შედეგებით.

მეორე, მრავალთათვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა 2021 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. 2021 წლის 3 ნოემბერს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ გამოაქვეყნა გადაწყვეტილება „რაოდენობრივი შერბილების“ (Quantitative Easing – QE) პროგრამის შეწყვეტის შესახებ. 15 დეკემბერს კი გამოქვეყნდა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „რაოდენობრივი შერბილების“ პროგრამის შემცირება დაჩქარდებოდა. ფინანსური ბაზრების მონაწილეებისა და ბიზნესისათვის მოცემული გადაწყვეტილება ძალზე სერიოზული სიგნალი აღმოჩნდა.

მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ტერმინი „რაოდენობრივი შერბილება“ მოიფიქრეს და პრაქტიკაში დანერგეს აშშ-ის მონეტარულმა ხელისუფლებებმა ჯერ კიდევ 2008 წელს, ფინანსური კრიზისის შუაგულში. „რაოდენობრივი შერბილება“ ერთგვარი ევფემიზმია, რომელიც ნიღბავს

იმ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის უხეშ დარღვევას, რომელიც წერია ეკონომიკის სახელ-მძღვანელოებში (Katasonov, 2021).

სახელმძღვანელობში საუბარია იმაზე, რომ ცენტრალური ბანკების მიერ ფულის ემისია უნდა განხორციელდეს ისეთნაირად, რომ არ მოახდინოს არც ინფლაციის და არც დეფლაციის პროვოცირება. ანუ, ემისიამ უნდა უზრუნველყოს წონასწორობა სასაქონლო და ფულად მასას შორის.

ოქრო-დოლარის სტანდარტის ეპოქაში, რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში არსებობდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის „საბეჭდი მანქანა“ კონტროლდებოდა „ოქროს მუხრუჭით“, რომელიც ამ „საბეჭდი მანქანის“ ბოროტად გამოყენების საშუალებას არ იძლეოდა. 1971 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა განაცხადა დოლარის ოქროზე გადაცვლის შეწყვეტის შესახებ, არადა, სწორედ ეს იყო ის ვალდებულება, რომელიც აშშ-მა საკუთარ თავზე აიღო ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე 1944 წელს.

1976 წელს კი იამაიკის სავალუტო-საფინანსო კონფერენციაზე საბოლოოდ გაუქმდა ოქრო-დოლარის სტანდარტი და ის შეიცვალა ქაღალდის დოლარის სტანდარტით. ფედერალური სარეზერვო სისტემის „საბეჭდ მანქანას“ მოეხსნა „ოქროს მუხრუჭი“, გაჩნდა იმდენი დოლარის ემისიისა შესაძლებლობა, რამდენსაც ისურვებდნენ „ფულის პატრონები“ - კერძო დაწესებუ-ლების - აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მთავარი აქციონერები. დე-ფაქტო „რაო-დენობრივი შერბილება“ დაიწყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა დაიწყო მსოფლიო ფინანსური სისტემის უსწრაფესად გაჯერება „მწვანე ქაღალდებით“.

დოლარის მასის ზრდა თანდაყოლილი იყო აშშ-ის მთლიანი ვალის სწრაფი ზრდით. დოლარი, როგორც საკრედიტო ფული, მიმოქცევაში ხვდება ვალის დაგროვებით გაცემულ კრედიტებზე, ან ობლიგაციებისა და სხვა სავალო ვალდებულებების შესყიდვით. ამას კი არ შეეძლო არ შეექმნა გიგანტური დისპროპორციები ამერიკულ ეკონომიკაში, კერძოდ, საფონდო ბაზრებზე გიგანტური „ფინანსური ბუშტების“ გაბერვა.

აშშ-ის ეკონომიკამ ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე რამდენიმე კრიზისი განიცადა, რომელთაგან ბოლოა 2008-2009 წლების კრიზისი. სწორედ მაშინ ამოქმედდა აშშ-ის ფედე-რალური სარეზერვო სისტემის „საბეჭდი მანქანა“ მთელი სიმძლავრით. სწორედ ამგვარი ფუ-ლად-საკრედიტო პოლიტიკის გასამართლებლად იქნა მოგონილი ტერმინი „რაოდენობრივი შერბილება“. ეს უკანასკნელი დღემდე გრძელდება!

თუ 2007 წლის ბოლოს ფედერალური სარეზერვო სისტემის აქტივები 800 მლრდ დოლარზე ოდნავ მეტი იყო, 2014 წლის ოქტომბრისათვის (როცა დასრულდა „რაოდენობრივი შერბილების“ მესამე პროგრამა) ის უკვე 4,5 ტრლნ დოლარს აღწევდა. ფულადი მასის გაფართოვება, ძირითადად, ხორციელდებოდა ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ საფონდო ბაზრებზე სახაზინო და იპოთეკური ფასიანი ქაღალდების ყიდვით.

შვიდი წლის განმავლობაში ფულადი მასა, რომელიც შექმნილ იქნა ფედერალური სარეზერვო სისტემის „საბეჭდი მანქანის“ მიერ, დაახლოებით ხუთჯერ გაიზარდა. ეს იმ დროს, როცა აშშ-ის ეკონომიკის მიერ წარმოებული სასაქონლო მასა ამ დროის მანძილზე მაქსიმუმ 20%-ით გაიზარდა. ეკონომიკური მეცნიერების ყველა კანონით უნდა დაწყებულიყო შეუკავებე-ლი ინფლაცია ან, სულაც ჰიპერინფლაცია. ამას კი ადგილი ნამდვილად არ ჰქონია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საბეჭდი მანქანის მთელი პროდუქცია წარიმართა საფონდო ბაზრებზე, რა-

მაც მეტისმეტად გაბერა საფონდო ინდექსების „ბუშტები“. ეს უკანასკნელი პერიოდულად სკდებოდა, რაც ამერიკულ ეკონომიკაში ძლიერ რყევებს იწვევდა.

„რაოდენობრივ შერბილებას“ კიდევ ერთი საშიშროება ახლავს თან: „მწვანე ქაღალდის“ ასტრონომიული რაოდენობა ამერიკულ და მსოფლიო ბაზრებზე შეიძლება მკვეთრად გაუფასურდეს და დოლარმა დაკარგოს მსოფლიო ვალუტის სტატუსი. ამიტომ, 2014 წლის ბოლოდან მოყოლებული ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ სცადა „ჯინის ბოთლში დაბრუნება“, ანუ, ფულადი მასის შემცირება. თუმცა, 2019 წლის ბოლოსათვის აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის აქტივები მხოლოდ 3,9 ტრლნ დოლარამდე შემცირდა. 2020 წლის მარტისთვის გამოცხადდა ე.წ. „კოვიდპანდემია“. იმავე თვეს ფედ-მა განაცხადა რაოდენობრივი შერბილების ახალი რაუნდის დაწყების შესახებ. 2021 წლის ნოემბრისათვის ფედერალური სარეზერვო სისტემის აქტივებმა 8,7 ტრლნ დოლარს მიაღწია, ანუ, სულ რაღაც ორ წელიწადში ის 2,2-ჯერ გაიზარდა.

სხვათა შორის, მრავალი ცენტრალური ბანკი „პანდემიის“ დაწყებიდან ფედერალური სარეზერვო სისტემის მსგავსად მოქმედებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი აფართოვებდნენ თავაინთი „საბეჭდი მანქანების“ პროდუქციას. მსოფლიოს ყველა ცენტრალური ბანკის აქ-ტივებმა 2019 წლის ბოლოდან 2020 წლის ბოლომდე 30,5-დან 41,9 ტრლნ დოლარამდე გაიზარდა (ანუ, 37%-ით) (Norrestad, 2021). 2021 წლის ბოლოსათვის ყველა ცენტრალური ბანკის ერთობლივ აქტივებზე მონაცემები ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი საემისიო აქტიურობა გამოავლინეს იმ ცენტრალურმა ბანკებმა, რომლებიც უშვებენ სარეზერვო ვალუტებს, ესენია: ევროპული ცენტრალური ბანკი, იაპონიის ბანკი, ინგლისის ბანკი, ჩინეთის სახალხო ბანკი, შვეიცარიის ეროვნული ბანკი და სხვ.. მაგალითად, ევროპულმა ცენტრალურმა ბანკმა „პანდემიის“ დაახლოებით ორი წლის მანძილზე თავისი აქტივები გააორმაგა, ნოემბერში მან 8,7 ტრლნ ევროს მიაღწია. ოთხი ცენტრალური ბანკის - აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის, ევროპული ცენტრალური ბანკის, ჩინეთის სახალხო ბანკისა და იაპონიის ბანკის ერთობლივმა აქტივებმა 2021 წლის ნოემბრისათვის 30,8 ტრლნ დოლარს მიაღწია (2020 წლის დასაწყისში მისი მოცულობა 20 ტრლნ დოლარს აღწევდა).

ანალიტიკოსები და ექსპერტები ცდილობდნენ გამოეცნოთ, როდემდე შეეძლოთ წამყვან ცენტრალურ ბანკებს „რაოდენობრივი შემსუბუქების“ პოლიტიკის გაგრძელება. უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ დოლარზე და რამდენიმე სხვა სარეზერვო ვალუტაზე დაფუძნებული დღევანდელი ფულადი სისტემა განწირულია. ყველა მხოლოდ იმის გაგებას ცდილობს, რას აპირებენ „ფულის პატრონები“, აქვთ თუ არა მათ „სათადარიგო აეროდრომი“ დოლარისა და სხვა სარეზერვო ვალუტების კრახის შემთხვევაში.

წამყვანი ცენტრალური ბანკების ქმედებების მჭიდრო სინქრონიზაციით შესაძლებელია ამ მდგომარეობის კიდევ ერთი-ორი წლით გახანგრძლივება (თუ ათვლას დავიწყებთ 2021 წლის დეკემბრიდან). მთავარია ამ პერიოდის მანძილზე მოესწროს „სათადარიგო აეროდრომის“ მშენებლობის დასრულება. ამგვარი ალტერნატიული სავალუტო სისტემის ვერსიები რამდენი-მეა. ექსპერტებმა დაასახელეს ისეთი ვარიანტები, როგორიცაა ამა თუ იმ სახით ოქროს სტან-დარტის აღორძინება, „ძველი“ დოლარების „ახლით“ შეცვლა, ზენაციონალური ფულადი ერთეულის შექმნა და სხვ..

დავუბრუნდეთ აშშ-ის ფედ-ის 3 ნოემბრისა და 15 დეკემბრის გადაწყვეტილებებს. ჯანსაღი და პატიოსანი დამოუკიდებელი ექსპერტების აზრით, ეს გადაწყვეტილებები ნიშნავს იმას, რომ 2022 წელს იფეთქებს მსოლფიო ეკონომიკური კრიზისი. თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო ეკონომიკაში დაგროვებულ დისბალანსებს (უპირველეს ყოვლისა, ჯამურ მსოფლიო ვალს, რომელიც საერთაშორისო ფინანსების ინსტიტუტის შეფასებით, 300 ტრლნ დოლარს აჭარბებს), კრიზისი ძალზე არაორდინარული იქნება. თავისი დამანგრეველი შედეგებით ის გადააჭარბებს ომისშემდგომ ყველა კრიზისს და ალბათ, გადააჭარბებს კაპიტალიზმის ისტორიაში ყველაზე მძიმე მსოფლიო კრიზისს, რომელსაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ჰქონდა ადგილი.

ცოტა არ იყოს, საკვირველია ის, რომ სხვა ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელებს ჯერ-ჯერობით არ გაუკეთებიათ რაიმე სახის მინიშნება თავიანთი რაოდენობრივი შერბილების პროგრამების შეზღუდვაზე. ისინი უწინდელი ტემპებით აგრძელებენ თავიანთი აქტივების გაფართოებას, რაც იმავდროულად ასახავს ფულადი მასის გაფართოვების პროცესს.

მაგრამ, თუ ამერიკაში დაიწყება ეკონომიკური კრიზისი, მაშინ ვერანაირი რაოდენობრივი შერბილების პროგრამები ვერ გადაარჩენს სხვა ქვეყნების ეკონომიკებს ეკონომიკური კოლაფსისაგან. კრიზისები ვრცელდება მთელ მსოფლიოში ეპიდემიის მსგავსად. ასე იყო 2008 წელს, როცა კრიზისი დაიწყო აშშ-ში იპოთეკური ფასიანი ქაღალდების ბაზრების ჩამოშლით, შემდეგ ის გადაედო ამერიკული ეკონომიკის სხვა სექტორებს, ხოლო ოდნავ მოგვიანებით კი ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოს.

გარდა უზარმაზარი ვალისა, შენელებული მოქმედების უმძლავრეს ნაღმს წარმოადგენს ფინანსური წარმოებული ინსტრუმენტები (ე.წ. დერივატივები), რომელთა შესახებ რატომღაც ამ ბოლო დროს ძალზე იშვიათად საუბრობენ. დანამდვილებით არც კი იცის არავინ, თუ როდორია დერივატივების ბაზრის მასშტაბები, რადგანაც ბანკები და კომპანიები მათ არ ასახავენ თავიანთ ბალანსებში, ეს ბალანსგარეშე პოზიციებია. მაგრამ, დერივატივების ჯამური სიდიდე (დერივატული კონტრაქტების ნომინალური ღირებულება) ასობით ტრლნ დოლარით იზომება.

2000-იანი წლების შუა პერიოდში დაუფარავი დერივატივების ჯამურმა სიდიდემ (ე.ი., მათი ნომინალების ჯამმა), საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის შეფასებით 1400 ტრლნ (1,4 კვადრილიონი) დოლარი შეადგინა. 2008-2009 წლების კრიზისის ბოლოს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკმა ეს რიცხვი 600 ტრლნ დოლარამდე შეამცირა პოზიციების დიდი ნაწილის დახურვის (ძირითადად, ურთიერთჩათვლების) ხარჯზე.

ციფრები საკმაოდ პირობითია, რადგანაც თვით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკსაც კი არ გააჩნია სრული წარმოდგენა ბანკებისა და კომპანიების ბალანსგარეშე ოპერაციებზე. დღეისათვის, ყველაზე კონსერვატიული შეფასებით, მსოფლიოში ყველა დერივატივის ჯამურმა სიდიდემ უკვე გადააჭარბა 2 კვადრილიონ 2008-2009 წლების კრიზისის დროს მრავალი ბანკისა და კომპანიის უუნარობამ შეესრულებინათ თავიანთი ვალდებულებები დერივატივების მიხედვით, გამოიწვია მათი ბანკროტობა. ცნობილმა ამერიკელმა მილიარდერმა უორენ ბაფეტმა ჯერ კიდევ 2002 წელს დერივატივებს უწოდა „მასობრივი განადგურების ფინანსური იარაღი“.

„რაოდენობრივი შერბილების“ ის პროგრამა, რომელიც ამოქმედებულ იქნა ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ 2020 წლის მარტში, ითვალისწინებდა ყოველთვიურად ფასიანი ქაღალდების ყიდვას 120 მლრდ დოლარის ოდენობით, მათ შორის, სახაზინო ობლიგაციებისას 80 მლრდ დოლარის და იპოთეკური ფასიანი ქაღალდების - 40 მლრდ დოლარის ოდენობით.

ფედერალური სარეზერვო სისტემის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება ითვალისწინებს ყოველთვიური შესყიდვების 15 მლრდ დოლარით შემცირებას, მათ შორის, სახაზინო ფასიანი ქაღალდებისას - 10 მლრდ დოლარით, იპოთეკურის - 5 მლრდ დოლარით. ფედერალური სარეზერვო სისტემის დეკემბრის გადაწყვეტილებამ ორმაგად დააჩქარა „რაოდენობრივი შერბილების“ პროგრამის შეზღუდვა. ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ აიღო ვალდებულება სახაზინო ქაღალდების ყოველთვიური შესყიდვების შემცირებისა 20 მლრდ დოლარის ოდენობით, ხოლო იპოთეკურისა - 10 მლრდ დოლარის ოდენობით. ამგვარად, იგულისხმება, რომ 2022 წლის მარტისათვის „რაოდენობრივი შერბილების“ პროგრამა დასრულდება (Katasonov, 2021).

მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი როდია. ცენრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პარამეტრი საკვანძო (ანუ საბაზისო) განაკვეთია. ის ქვეყნების ფულადი და ფინანსური ბაზრების ორიენტირია. რაც უფრო დაბალია საკვანძო განაკვეთი, მით უფრო იაფია ფული. საკვანძო განაკვეთების შემცირება, როგორც წესი, ხორციელდება „რაოდენობრივი შერბილების“ პროგრამის ამოქმედებასთან ერთად; ასეთი შემცირება კიდევ უფრო „ამსუბუქებს“ ბაზრის მონაწილეებისა და სხვა სამეურნეო სუბიექტებისათვის პირობებს (ამარტივებს ფულისადმი ხელმისაწვდომობას).

როცა 2008-2014 წლებში აშშ-ში თანმიმდევრულად მოქმედებდა „რაოდენობრივი შერბილების“ სამი პროგრამა, საკვანძო განაკვეთი თითქმის ნულამდე იქნა დაშვებული. კრიზისის დაწყებამდე ის 4,75% იყო. 2008 წლის დეკემბერში კი ის უკვე 0-0,25%-მდე დაეცა. 2015 წლის ბოლოდან 2018 წლის ბოლომდე ადგილი ჰქონდა მის ნელ-ნელა ზრდას - 2,5%-მდე. ჯერ კიდევ „პანდემიის“ დაწყებამდე დაიწყეს მისი მცირედით შემცირება. მაგრამ, „პანდემიის“ დაწყებიდან (2020 წლის მარტი) ის კვლავ 0-0,25%-მდე იქნა შემცირებული, რომელიც დღემდე ნარჩუნდება.

და აი, 2021 წლის 15 დეკემბერს ღია ბაზარზე ოპერაციების კომიტეტის სხდომაზე ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ გამოაქვეყნა ციფრები, რომლებიც ასახავს კომიტეტის წევრების შეხედულებებს საკვანძო განაკვეთებთან დაკავშირებით საშუალოვადიან პერსპექტივაში (FOMC, 2021).

მედიანური პროგნოზის თანახმად, ფედერალური ღია ბაზრის კომიტეტის წევრები მოელიან საკვანძო განაკვეთების სამ ეტაპად ზრდას, შესაბამისად, 2022 და 2023 წლებში. ამ დროს, წინა პროგნოზი გულისხმობდა განაკვეთის მხოლოდ და მხოლოდ ერთ ზრდას 2022 წელს და ორს - 2023-ში. თუ ყოველი ზრდა იქნება მხოლოდ ერთი სტანდარტული საფეხურით, რომელიც 0,25 პროცენტული პუნქტის ტოლია, მაშინ, ერთი წლის შემდეგ საკვანძო განაკვეთი აიწევს 0,75-1%-მდე. მაგრამ, ეს უკვე საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დაიწყოს ამერიკული ეკონომიკის, ხოლო მის კვალდაკვალ - მსოფლიო ეკონომიკის სრული კოლაფსი.

ცნობილი ფინანსური სპეკულიანტის, ჯორჯ სოროსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მუსიკა უკვე დასრულდა და ისინი ჯერ კიდევ აგრძელებენ ცეკვას“. „მუსიკა დასრულდა“ 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მაგრამ ბაზრის მრავალი მონაწილე „აგრძელებს ცეკვას“. მხედველობაშია ის, რომ ისინი ჯერ კიდევ ღებულობენ ბანკებიდან იაფ (თითქმის უფასო) ფულს და საფონდო ბაზრებზე ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს. გასული წლის ზაფხულში საფონდო ინდექსები სწრაფად იზრდებოდა, ამჟამად მათი ზრდა უმნიშვნელოა.

მაგრამ ბირჟის მოთამაშეები მოქმედებენ თავიანთი ჩვევებით. უმსხვილესი კორპორაციები ახდენენ თავიანთი საკუთარი აქციების გამოსყიდვას ბაზრებზე, რითაც ასტიმულირებენ თავიანთი ბიზნესის კაპიტალიზაციის ზრდას. მაგრამ, „საცეკვაო მოედანზე“ (საფონდო ბაზრებზე)

არსებული ყოველი ათი მონაწილიდან ცხრა ჯერ კიდევ „ცეკვავს“, მხოლოდ ერთმა უკვე შეწყვიტა ცეკვა. მაგალითად, 2021 წლის ნოემბერში კორპორაცია Microsoft-მა განაცხადა, რომ გააგრძელდებდა საკუთარი აქციების გამოსყიდვას. და ამ დროს მისმა გენერალურმა დირექ-ტორმა სატია ნადელმა ერთ დღეში გამოიტანა ბირჟაზე Microsoft-ის საკუთარი აქციების 50%-ზე მეტი. ილონ მასკმა გაყიდა თავისი აქციები 10 მლრდ დოლარად. თუმცა, ბაზრის სხვა მონა-წილეები ამით რომ არ დაეშინებინა, განაცხადა, რომ გაყიდვა განპირობებული იყო არა საბაზრო მოსაზრებებით, არამედ გადასახადების გადასახდელად ნაღდი ფულის მიღების აუცილებლო-ბით.

სერიოზული ანალიტიკოსების აზრით, 2022 წლის პირველივე თვეებიდან საფონდო ბაზ-რებზე გამყიდველი უფრო მეტი იქნება, ვიდრე მყიდველი. მოედანზე ათიდან მხოლოდ ერთი „იცეკვებს“. ერთ-ერთი ასეთი სერიოზული ანალიტიკოსია ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი და ეკონომისტი უილიამ ენგდალი.

თავის სტატიაში „Will Fed Crash Global Financial Markets for Their Great Reset?“ (ჩამოშლის თუ არა ფედერალური სარეზერვო სისტემა გლობალურ ფინანსურ ბაზრებს მათი დიადი გადატვირთვისათვის?) ის პირდაპირ აცხადებს, რომ ამერიკული და მსოფლიო ეკონომიკის კრახი 2022 წლისათვის გარდაუვალია (Engdahl, 2021).

აღსანიშნავია, რომ ის მომავალ კრიზისს განიხილავს არა როგორც სტიქიურ მოვლენას, არამედ როგორც წინასწარ დაგეგმილს. მაგრამ ამ კრიზისის მომზადების დასაწყისად ის არ მიიჩნევს აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ მიღებულ 2021 წლის 3 ნოემბრისა და 15 დეკემბრის გადაწყვეტილებებს.

დასაწყისად ის მიიჩნევს 2020 წლის იანვარში მსოფლიო არენაზე „COVID-19“-ის ვირუსის გაჩენას და მას მოყოლებულ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ „პანდემიას“, ხოლო შემდეგ ე.წ. „ლოკდაუნებისა“ და „პანდემიასთან ბრძოლის ღონისძიებების“ შემოღებას, რომლებმაც გაანადგურეს ეკონომიკა. „პანდემია“ და მომავალი ეკონომიკური კრიზისი - ესაა ერთი ჯაჭვის რგოლები, ერთი გეგმის ელემენტები, რომელსაც ეწოდება „დიადი გადატვირთვა“.

„დიადი გადატვირთვის“ საბოლოო მიზანი ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს აშენებაა. კლაუს შვაბის „საოცარი ახალი სამყაროს“ საზოგადოებრივი მოწყობა იქნება ტოტალიტარული რეჟიმი, სადაც დემოკრატიისა და ბაზრის რუდიმენტის ნასახიც არ იქნება.

დასკვნა

ამრიგად, მსოფლიოს წამყვანი ცენტრალური ბანკების მიერ ოქროს, როგორც ყველაზე საიმედო სარეზერვო აქტივის მზარდი ყიდვა ცალსახად მიანიშნებს არსებული სავალუტო-საფინანსო სისტემის კრიზისზე, ხოლო ეკონომიკური პროგნოზების სიმწირე განპირობებულია ხელოვნურად შექმნილი მზარდი ქაოსით. მალე ეკონომიკური პროგნოზები არ იქნება, რადგან „დიადი გადატვირთვა“ ითვალისწინებს ახალ მსოფლიო წესრიგზე გადასვლას ძალიან მკაცრი დაგეგმვით ფინანსური ელიტის ინტერესებიდან გამომდინარე.

ლიტერატურა:

1. Bhutada Govind, Jamshed Pernia, (2021). Chart: How Much Gold is in the World? 16 November, 2021. Retrieved from https://www.visualcapitalist.com/chart-how-much-gold-is-in-the-world/
2. Chikobava M., (2021). Citation: Metamorphosis Of The Monetary Policy Of The Leading Central Banks. Georgian Foundation for Strategic and International Studies, Expert Opinion, 173, 3-4. Retrieved from https://www.gfsis.-org/files/library/opinion-papers/173-expert-opinion-eng.pdf
3. Chikobava, M. (2020). Covid – 19 as a Form of Hybrid War. Globalization and Business, 10. 79-85. (In Georgian). Retrieved from https://doi.org/10.35945/gb.2020.10.010
4. Chikobava, M. (2020). Metamorphoses of the monetary system against the background of a modern pandemic, The 5th International Scientific Conference, Challenges of Globalization in Economics and Business, Proceedings, 476-486. (In Georgian). Retrieved from Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2020
5. Chikobava, M., (2021). Citation: Anti-Crisis Policy of the Leading Central Banks at the Present Stage. Globalization and Business. 12, 143-151. (In Georgian). Retrieved from https://doi.org/10.35945/gb.2021.12.019
6. Engdahl William F. (2021). Will Fed Crash Global Financial Markets for Their Great. 15 December, 2021. Reset?https://journal-neo.org/2021/12/15/will-fed-crash-global-financial-markets-for-their-great-reset/
7. Katasonov V., (2019). What is helicopter money, (In Russian), December 27, 2019. Retrieved from https://www.fon-dsk.ru/news/2019/12/27/chto-takoe-vertoletnye-dengi-49778.html
8. Katasonov V., (2021) About The World Economy In 2022 And Economic Forecasts (in russian). Retrieved from https://reosh.ru/valentin-katasonov-o-mirovoj-ekonomike-v-2022-godu-i-ob-ekonomicheskix-prognozax.html
9. Norresrad F. (2021). Assets of central banks globally 2002-2020. 21 December, 2021. Retrieved from https://www.sta-tista.com/statistics/421201/assets-of-central-banks/#:~:text=The%20total%20assets%20of%20central,U.S.%20dollars%20as%20of%202019
10. Summary of Economic Projections, Federal Open Market Committee. (2021). Retrieved from https://www.federalreserve.-gov/monetarypolicy/files/fomcprojtabl20211215.pdf
11. World Bank national accounts data, and OECD National Accounts data files (2019). Retrieved from https://data.worl-dbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG
12. World Gold Council, (2021). Gold Demand Trends Full year and Q4 2020. 28 January, 2021. Retrieved from https://www.gold.org/goldhub/research/gold-demand-trends/gold-demand-trends-full-year-2020/supply#:~:text=Gold%20mine%20production%20totalled%203%2C400.8,the%20reasons%20were%20very%20different
13. World Gold Council, (2022). Gold supply and demand statistics. 28 January, 2022. Retrieved from https://www.gold.-org/goldhub/data/gold-supply-and-demand-statistics

Dynamics of the World Gold Market and the Expected Wave of the Global Financial and Economic Crisis

Malkhaz Chikobava

PhD in Economics

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Associate Professor

SUMMARY

By decision of the Bretton Woods International Monetary and Financial Conference of 1944, gold, along with the US dollar, was designated as the world's reserve currency. Central banks and finance ministries sought to accumulate gold in international reserves. The peak was reached in 1965, when, according to the International Monetary Fund, the total gold reserves of the world amounted to 37,124 tons, and the share of gold in the total international reserves of all countries of the world reached 54%. Already in the second half of the 1960s, signs of a crisis in the gold-dollar standard began.

In 1976, a conference was held in Jamaica that abolished the gold dollar standard and replaced it with a paper dollar standard. Since that time, a rather strange, ambiguous situation has arisen. While the International Monetary Fund has recommended continuing to replace gold with US dollars in international reserves, countries have largely taken a neutral stance.

However, since 2010 there has been a clear trend of central banks turning gold into net buyers. According to the World Gold Council, net purchases of gold by central banks (volumes of purchases excluding sales) in 2010-2020 (in metric tons): 2010. - 79.1; 2011 - 480.8; 2012 - 569.3; 2013 - 619.3; 2014 - 601.2; 2015 - 579.6; 2016 - 394.9; 2017 - 378.6; 2018 - 656.2; 2019 - 605.4; 2020 - 254.9

Thus, the active purchase of gold by countries in recent years to replenish international reserves clearly indicates that gold is a much more reliable asset than fiat currencies, and it can be considered as one of the possible alternatives to the existing monetary and financial system.

Key words: *financial crisis, recession, foreign exchange reserves, gold, alternative monetary and financial system, quantitative easing, key interest rate, the great reset*

დასაქმების ფორმების ტრანსფორმაცია გლობალური პანდემიის პირობებში

მურმან ცარციძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირმა ტყემალაძე

დოქტორანტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე გლობალური პანდემიის პირობებში ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოქნილი შრომის ბაზრის ფორმირება, რომელიც ადეკვატურად რეაგირებს ეკონომიკური სისტემის სწრაფად ცვალებად პირობებზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს დასაქმების თანამედროვე მოქნილფორმების განვითარებასა და ეფექტიან გამოყენებას. შედეგად საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელდა ისეთი არასტანდარტული დასაქმების ფორმები და სამუშაო დროის რეჟიმები, როგორიცაა: ნასესხები შრომის სხვადასხვა სახეობა (პერსონალის ლიზინგი, აუთსორსინგი, აუტსტაფფინგი); დისტანციური დასაქმება, ტელესამუშაოს სხვადასხვა ფორმა;ფრილანსერები და სხვა. ისინი განიხილება როგორც ეკონომიკის უწყვეტად ცვლად პირობებთან ადაპტაციის ინსტრუმენტები და შესაბამისად მათი გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზრის სუბიექტების ინტერესების რეალიზაცია. გარდა აღნიშნულისა დასაქმების თანამედროვე ფორმების გამოყენების პრაქტიკა ხასიათდება სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებით და იგი მნიშვნელოვნად აფართოებს მოსახლეობის სოციალურად დაუცველიფენების (ახალგაზრდები, ქალები, ინვალიდები, პენსიონერები და სხვა) დასაქმების შესაძლებლობებს, ასევე მიმდინარე პერიოდში იგი ხელს უწყობს საწარმოებს კრიზისის დაძლევაში. ეხმარება მათ შრომითი რესურსების ოპტიმალური გამოყენების ხარჯზე, სამუშაოს ეფექტიანობის გაზრდასა და წარმოების ხარჯების შემცირებაში.

შესაბამისად სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილია მიმდინარე გლობალური პანდემიის პირობებში დასაქმების ძირითადი ფორმების ტრანსფორმაციის თავისებურებები განვითარებულ ქვეყნებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმების არასტანდარტული ფორმების განვითარების კვლევას და მისი ეფექტიანობის შეფასებას. კერძოდ განხილულია მასთან დაკავშირებითარსებული ძირითადი კონცეპტუალური მიდგომები. შესწავლილია კოვიდ 19-ის გავლენა დასაქმებაზე და ეკონომიკური განვითარების საერთო პროცესზე.

საკვანძო სიტყვები: *დასაქმება, პანდემია, გლობალური კრიზისი, არასტანდარტული დასაქმება, დისტანციური დასაქმება.*

თანამედროვე გლობალური პანდემიის პირობებში ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოქნილი შრომის ბაზრის ფორმირება, რომელიც ადეკვატურად რეაგირებს ეკონომიკური სისტემის სწრაფად ცვალებად პირობებზე. მოქნილი შრომის ბაზრის მახასიათებელია სამუშაო დროის მოქნილობა. შედეგად საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელდა ისეთი არასტანდარტული დასაქმების ფორმები და სამუშაო დროის რეჟიმები, რომელთა მახასიათებლები განსხვავებულია სტანდარტული დასაქმებისგან[1]. განვითარებულ ქვეყნებში არას-

[1] **სტანდარტული დასაქმების** ქვეშ იგულისხმება დაქირავებით დასაქმება საწარმოებსა და ორგანიზაცი-ებში სრული სამუშაო დღის განმავლობაში, საქართველოს შრომითი კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, როცა ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა კვირაში არ აღემატება 40 საათს.

არასტანდარტული დასაქმების ქვეშ კი იგულისხმება საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული დასაქმების სტანდარტული ფორმებისაგან განსხვავებული შრომითი საქმიანობის ნებისმიერი სახეობა, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებიდან თუნდაც ერთს მაინც. ეს კრიტერიუმებია: მუშაობა ერთ დამსაქმებელთან; სამუშაო ადგილი, აღჭურვილობა და მისი განთავსების ადგილი, შენობა დამსაქმებლის საკუთრებაშია; სტანდარტულიდ ატვირთვა; განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების არსებობა; შრომის პირობების დაცვა რომელიც უზრუნველყოფილია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ტანდარტული დასაქმების კვლევას საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა. ეკონომიკურ ლიტერატურაში მასთან დაკავშირებით უკვე არსებობს რამდენიმე კონცეპტუალური მიდგომაც. უპირველეს ყოვლისა, იგი განიხილება როგორც შრომის ბაზრის მოქნილობის განმსაზღვრელი ფაქტორი (**Мусаев, 2017**). მეორეს მხრივ გამოყოფენ განსაკუთრებულ, არასტანდარტულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, რომლებსაც იგი ეფუძნება და მას განიხილავენ როგორც დამსაქმებლებისა და მომუშავეების მხრიდან ეკონომიკის უწყვეტად ცვლად პირობებთან ადაპტაციის ინსტრუმენტს. შესაბამისად იგი მიმდინარე კრიზისის პირობებში უზრუნველყოფს შრომის ბაზრის სუბიექტების ინტერესების რეალიზაციას. კერძოდ, დამსაქმებლების ინტერესების დაკმაყოფილება ხდება ბოლო პერიოდში საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული შრომითი ურთიერთობების ისეთი არასტანდარტული ფორმების გამოყენებით როგორიცაა: ნასესხები შრომის სხვადასხვა სახეობა (პერსონალის ლიზინგი, აუთსორსინგი, აუტსტაფფინგი); დისტანციური დასაქმების, ტელესამუშაოს სხვადასხვა ფორმა; სამუშაოს მოქნილი ფორმები; ფრილანსერები. მომუშავეთა ინტერესებში კი შედის შრომის ორგანიზაციის არასტანდარტული ფორმების (ტელესამუშაო, მოქნილი სამუშაო გრაფიკი და სხვა) გამოყენება. დასაქმების არასტანდარტული ფორმის გამოყენებისას „სამეწარმეო რისკები გადადის დასაქმებულზე“ (**Котляров, 2015**). ხოლო მოქნილი სამუშაო დროის მოდელისთვის დამახასიათებელია საწარმოში დასაქმებულის განსხვავებული დროით ყოფნა დღის, კვირის თუ თვის მანძილზე. ანუ, დასაქმებული თვითონ მონაწილეობს სამუშაო დროის ფორმირებაში. ამიტომ ინდივიდუალური სამუშაო დრო ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს საწარმოს შრომის რეჟიმით განსაზღვრული სტანდარტული დროისაგან. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ „რომ დასაქმების არასტანდარტული ფორმების გამოყენების პრაქტიკა ხასიათდება სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებით და იგი მნიშვნელოვნად აფართოებს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი იმ ფენების (ახალგაზრდები, ქალები, ინვალიდები, პენსიონერები და სხვა) დასაქმების შესაძლებლობებს, რომლებიც დაბალკონკურენტუნარიანი არიან შრომის ბაზარზე“ (**Разумов....2019**). სპეციალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი პირობების წარმოქმნას მხარს უჭერს მეცნიერთა დიდი ნაწილი რადგან ცნობილია, რომ დასაქმებულთა ცალკეული ჯგუფების მოთხოვნა არასრულ სამუშაო დღეზე, ხელს უწყობს უმუშევრობის მაჩვენებლის გარკვეულ დონემდე შემცირებას. მეცნიერთა სხვა ჯგუფი აქცენტს აკეთებს შრომითი ურთიერთობების ტიპებსა და გარიგების ფორმებზე და მათი მოსაზრებებით არასტანდარტული დასაქმება ეს არის „პოსტინდუსტრიული ეკონომიკის შრომითი ურთიერთობის ტიპი, რომელიც ხასიათდება შრომითი გარიგების სხვადასხვა ფორმით, განსაზღვრული პირობების შესაბამისად“ (**Ваенкевич...2015**). არსებობს ძალზე საინტერესო მოსაზრებაც რომლის მიხედვით, არასტანდარტული დასაქმება არის დასაქმებულებისა და დამსაქმებლების ადაპტაციის ინსტრუმენტი მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ პირობებთან. კერძოდ, არასტანდარტული დასაქმების ფორმები წარმოიქმნება არასტანდარტული სამუშაო დროის, მუშაკთა დაქირავებისა და განთავისუფლებისადმი გაზრდილი მოქნილობის და მოქნილი სახელფასო სისტემის გამო, რომლებიც ამცირებენ წარმოების ხარჯებს. დასაქმების არასტანდარტული ფორმა ხელს უწყობს საწარმოებს კრიზისის დაძლევაში. ეხმარება მათ შრომითი რესურსების ოპტიმალური გამოყენების ხარჯზე, სამუშაოს ეფექტიანობის გაზრდასა და წარმოების ხარჯების შემცირებაში. აღნიშნული პოზიციიდან საინტერესოა განმარტება, რომლის მიხედვითაც არასტანდარტული დასაქმება არის დამსაქმებელთა დაქირავების პოლიტიკის შედეგი, რომელიც მიმართულია დასაქმე-

ბულების რაოდენობის შემცირების ან მინიმუმამდე დაყვანისკენ. ეს დამსაქმებელს ეხმარება მაქსიმალურად გაზარდოს მოქნილობა შრომითი რესურსების გამოყენებაში და მთელი რისკები გადაიტანოს დასაქმებულზე. ცალკეული მკვლევარები არასტანდარტული დასაქმებისარსის განმარტებისას აქცენტს აკეთებენ მისი გავრცელების სოციალურ შედეგებზე. კერძოდ, მათი აზრით, არასტანდარტული დასაქმება „ზრდის რისკებს და ამცირებს დასაქმებულის შრომითი უფლებების გარანტიებს“ (Потуданская...2012).

დასაქმების განხილულ არასტანდარტულ ფორმებთან ერთად თანამედროვე გლობალური პანდემიის პერიოდში სულ უფრო პოპულარული ხდება სოციოლოგ გაია სტენდინგის (Standing, 1999)ნაშრომი „პრეკარიატი: ახალი საშიში კლასი“, რომელიც ეხება ცვალებად გარემოსთან და ახალ პირობებთან ინდივიდის ადაპტაციის და შესაბამისად, დასაქმების სპეციპიკურ პრობლემას. ტერმინი პრეკარიატი ლათინურიდან ნიშნავს უგარანტიო, არასტაბილურ დასაქმებას. ამ ტერმინს იყენებდნენ 1980-იან წლებში ფრანგი სოციოლოგები სეზონური დასაქმების შესწავლის დროს. პრეკარიატის წარმომადგენლები, სტენდინგის მიხედვით, განსხვავდებიან მუდმივი დასაქმების არარსებობით, ხოლო შრომითი ურთიერთობების სპეციფიკა მოიაზრებს სამართლებრივი გარანტიების ნულოვან დონეს. სტენდინგის საზოგადოების სტრუქტურა წარმოადგენს პირამიდას, რომლის მწვერვალზე პლუტოკრატები არიან, ქვეშ სალარიატები (სტაბილური დასაქმების და სოციალური გარანტიების მქონე კლასი), შემდეგ პროლეტარიატები, პრეკარიატი და ლიუმპენი. პრეკარიზაცია მოიცავს დასაქმების ისეთ არასტანდარტულ სახეებს როგორიცაა: საკონტრაქტო სამუშაო, დაქირავებული შრომა, მუშაობა გამოძახებით, მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებები, დასაქმება არასრული სამუშაო დღით და სხვა. მისი წარმომადგენლები ცხოვრობენ „ერთი დღით“. დახმარება, სოციალური გარანტიები, პენსია მათთვის არაა ხელმისაწვდომი. თვითრწმენის ნაკლებობას და არასტაბილობის განცდას აუტსორსინგის და ლიზინგის ეპოქაში განაპირობებს სწორედ მოქნილი შრომის ბაზრის სპეციფიკა. სტენდინგი მომხრეა სახელმწიფოს შემოსავლების გადანაწილებისა თითოეულ მოქალაქეზე. პრეკარიატის გადაჭრის როლში ავტორი გვთავაზობს „სამოთხის პოლიტიკას“ ანუ უფრო ზუსტად, მოქალაქეებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის რადიკალურ გარდაქმნას.

მუდმივად ცვალებად გარემოში ფორმირებადი და განვითარებადი შრომის ბაზრის შესახებ მოსაზრებებს გვთავაზობს მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლოგი ულრიხ ბეკი (Beck,2014). იგი იკვლევს, როგორ გახდა სამუშაო არასტაბილური თანამედროვე სამყაროში და მომავლის ახალ ხედვას გვთავაზობს. ნაშრომში იწყებს იმის განხილვას, როგორ მუშაობს ტრადიციული საზოგადოება მთელი ამ ხნის განმავლობაში და როგორმივედით იმ საზოგადოებამდე, სადაც უნარ-ჩვევები შეიძლება მოულოდნელად გაუფასურდეს, ცალკეული სამუშაო ადგილები კი შეიძლება უბრალოდ გაქრეს. იგი ასკვნის, რომ დასაქმების ტრადიციული ფორმების დასასრულისკენ მივდივართ და დროა მსოფლიომ იზრუნოს დასაქმების სფეროში ახალი თანამედროვე მოდელების დანერგვაზე.

ჯერ კიდევ 1970-1986 წლებში 119 ქვეყნების მაგალითზე შრომის ბაზრის რიგიდულობის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე შეისწავლეს ფორტეზმა და რამამ (Forteza & Rama, 2000). შრომის ბაზრის პირობებზე დამოკიდებულია სწორედ რეფორმების წარმატება და წარუმატებლობა. მათი აზრით, მაღალი მინიმალური ხელფასიარ არის ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორი, ხოლო შრომითი ხარჯების შეუსაბამობა შრომის მოთხოვნების ცვლილებასთან შეიძლება თავის მხრივ გახდეს გამოშვების შემცირების საფუძველი. რიბუდმა და სხვებმა

(**Riboud, Sanchez-Paramo and Silva-Jauregui, 2002**) შეისწავლეს, რამდენად ცდილობდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ევროკავშირში მიღების წინა პერიოდში ევროკავშირის მსგავსი შრომის ბაზრის ინსტიტუტების გადმოტანას და რაზე გავლენას ახდენდა ეს ყველაფერი ტრანზიციის პროცესზე.

კოვიდ პანდემიის შედეგად გამოწვეულმა ეკონომიკურმა შოკმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია შემოსავლების შემცირების გამო შინამეურნეობების როგორც მიმდინარე მოხმარების დონეზე, ასევე შექმნა პესიმისტური მოლოდინები, რაც თავის მხრივ ასახვას პოვებს მომავალ მოხმარებაზე. ამიტომ, მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტთა ნაკრები სტაბილიზაციისა და ეკონომიკური აღდგენის ეფექტური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვნად შეიცვლება, ასევე შეიძლება გაჩნდეს ახალი ინდიკატორები. მაგალითად, ინტერნეტში ძიება შინამეურნეობებში ეკონომიკური განწყობის და შესაბამისად, მოლოდინების საზომი შეიძლება გახდეს. ასეთ პირობებში გვერდს ვერ ავუვლით დასაქმების პოლიტიკის მიმართულებების ცვლილებასაც. საკითხი აქტუალური გახდა და გაჩნდა კვლევები კოვიდ პანდემიის გავლენების შესასწავლად დასაქმების და უმუშევრობის პრობლემებზე. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს, ვარვიკის უნივერსიტეტის პროფესორი თიემო ფეთცერი (**Fetzer et al. 2020**) აღნიშნავს, რომ კოვიდ პანდემიის პერიოდში დასაქმების ტენდენციების კვლევისას შეიმჩნევა დისტანციურ მუშაობაზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდა, რამდენადაც შინამეურნეობები ცდილობენ გაუმკლავდნენ იზოლაციის შედეგად მიღებული საქმიანობის შეჩერების ან აქტივობის შემცირების უარყოფით თანმდევ ეფექტებს. ამავდროულად იცვლება მოთხოვნის სტრუქტურა, ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე მოთხოვნა სულ უფრო მცირდება. ეს ძვრები შეშფოთების წინაპირობაა. გამოიკვეთა, რომ რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის, მოხმარების და იმპორტის ზრდა დაბალია კოვიდ რეცესიის გამწვავების პარალელურად. ეს მაჩვენებლები მკვეთრად გაუარესებულია პანდემიამდე პერიოდში უმუშევრობის მაღალი დონის მქონე ქვეყნებში. დისტანციური დასაქმების პოტენციალზე აქცენტს აკეთებენ ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორები ჯონათან დინგელი და ბრენთ ნეიმენი (**Dingel and Neiman, 2020**), კვლევიდან ჩანს, რომ კრიზისის სიღრმე მწვავეა ქვეყნებში, სადაც დისტანციურ დასაქმებას ხელს არ უწყობს ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურა და რომლებიც ცუდად იყვნენ მომზადებული სატელეკომუნიკაციო სამუშაოებზე გადასვლისთვის. ევროპის მასშტაბით ამ მხრივ ჩამორჩენილ პოზიციებზე შეიძლება დავასახელოთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები, ხოლო შვედეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, ესპანეთმა, სადაც დისტანციური დასაქმების წილი 32-40%-ის ფარგლებშია საერთო დასაქმებიდან, შექმნილ მდგომარეობას შედარებით სწრაფად აუწყვეს ფეხი და თანმდევი უარყოფითი ეფექტებიც ნაკლები აღმოჩნდა. მკვლევარები სალვადორ ბარიოსი და ვიუტერ ვან დერ ვილენი (**Barrios and Wielen, 2020**) მიუთითებენ დასაქმების მოკლევადიანი სქემების, ისეთების როგორიცაა Cassa Integrazione იტალიაში, Kurzarbietergeld გერმანიაში, chômage partiel საფრანგეთში და ERTE (Expedientes de Regalación temporal de empleo) ესპანეთში, გავრცელებაზე და მათ ევროპის ქვეყნებში სამუშაო ადგილების შენარჩუნების ერთადერთ გზად მიიჩნევენ. ადარებენ რა დიდი რეცესიის და დიდი ლოქდაუნის შედეგებს ერთმანეთს, აღნიშნავენ, რომ სწორედ დისტაციური და დასაქმების მოკლევადიანი სქემების საშუალებით მოხდა უკანასკნელის მძიმე შედეგების შემსუბუქება.სწორედ ამიტომ დისტანციური დასაქმება განიხილება არასტანდარტული დასაქმების კონტექსტში, რომელიც წარმოდგენილია როგორც სრული, რეგულირებადი და ღია დასაქმების სტანდარტული

მოდელისაგან განსხვავებული შრომითი ურთიერთობების ფორმა, ერთ დამსაქმებელთან ხანგრძლივად, ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმის (სამუშაოს რეჟიმი, სამუშაო დრო, შრომის პირობები, შრომითი ურთიერთობების ხანგრძლივობა, სამუშაო ადგილი და მისი მდებარეობა, სოციალური დაცვა და ა.შ.) შესაბამისად (**იხ. სქემა-1**), (**ცარციძე, 2020:138**).

სქემა 1

დისტანციურად დასაქმებულ მომუშავეთა რიცხოვნობა მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად 20.0%-30.0%-ით იზრდება. შესაბამისად, 2020 წელს ოფისს გარეთ მუშაობდა დასაქმებულთა დაახლოებით 39.0%. გარდა ამისა კიდევ 28.0%-ს ქონდა უფლება დისტანციურად მუშაობაზე. ამ სფეროში ლიდერები არიან: აშშ, კანადა, ფინეთი, დანიადაშვედეთი (**ცარციძე, 2020:140**). მაგალითად, ფინეთში, დისტანციურად დასაქმებული ადამიანების რაოდენობა შეადგენს მთლიანი დასაქმებული მოსახლეობის ერთ მესამედს. COVID-19 პანდემიის გამო, ამჟამად აშშ-ს მთლიანი სამუშაო ძალის 58.6% არის დისტანციური მუშაკები (**NorthOne**). მსოფლიოსმასშტაბითდისტანციურიდასაქმება უპირატესად გავრელებულია შემდეგ დარგების მიხედვით: ფინანსები/დაზღვევა, სახელმწიფო სექტორი/განათლება, ჯანდაცვა/სამედიცინო მომსახურება, ტექნოლოგია/მარკეტინგი, ტრანსპორტი, მრეწველობა და სხვა. დისტანციური დასაქმების 2021 წლის სტატისტიკის შესაბამისად: მსოფლიოში კომპანიების 16.0% მუშაობს მთლიანად დისტანციურად. კომპანიების 44.0% კატეგორიულად არ უშვებს დისტანციურ მუშაობას. მთავარი მიზეზი, რის გამოც ადამიანები ირჩევენ დისტანციურ მუშაობას, არის სამუშაო და ცხოვრების ბალანსის გაუმჯობესება. დასაქმებულთა 77.0% ამბობს, რომ ისინი უფრო პროდუქტიულები არიან,სახლიდან მუშაობის პირობებში. დისტანციური თანამშრომლების საშუალო წლიური შემოსავალი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა თანამშრომლების. გამოკითხული ხელმძღვანელი მუშაკების 85.0% თვლის, რომ დისტანციური სამუშაო ჯგუფები ახალ ნორმად იქცევა. დასაქმებულთა 74.0% აღიარებს, რომ დისტანციურად მუშაობის უნარი მათ მიერ კომპანიის დატოვების ალბათობას ამცირებს. მათი შეფასებით დისტანციურ მუშაობასთან დაკავშირებული სამი ყველაზე დიდი გამოწვევაარსებობს: სამუშაოს შემდეგ ქსელიდან გათიშვა (22.0%); მარტოობა (19.0%); კოლეგებთან ურთიერთობების არარსებობა (17.0%) (**Promopoisk, 2021**).**მიუხედავად** იმისა რომკორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში ბევრი ადამიანი მუშაობს დისტანციურად

და ახორციელებს თავისი შრომითი ვალდებულებების სახლიდან შესრულებას, არუნდა დავივიწყოთ ისიც, რომ არსებობს გარკვეული სამუშაოები რომლის შესრულებაც აღნიშნული ფორმით შეუძლებელია. ასევე დისტანციური ფორმით შესრულებული სამუშაოების, პროფესიების სახეობები და რაოდენობა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ჩიკაგოს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ჯონათან დინგელმა და ბრენტ ნოიმანმა თავიანთ კვლევაში წარმოადგინეს იმ პროფესიების წილი, რომლებსაც აქვთ დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობა სხვადასხვა ქვეყანაში(vesti.ru). პირველ რიგში, ექსპერტებმა გააანალიზეს შრომის ბაზარი მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში. კვლევის შედეგად ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ რაც უფრო დაბალია მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულ, მით უფრო ნაკლებია იმ პროფესიების რაოდენობა ქვეყანაში, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დისტანციურად დასაქმება. კვლევამ მოიცვა მსოფლიოს 12 მოწინავე ქვეყანა, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) ყველაზე მაღალი მოცულობით, სადაც წარმოდგენილია დისტანციურად დასაქმების მსურველთა წილობრივი მაჩვენებლის დინამიკა (**იხ. ცხრილი-1**).

აშშ-ს ეკონომიკაზე დაკვირვებით და უმუშევრობასთან დაკავშირებული გამოკითხვებით ევროპაში, გაირკვა, რომ სამუშაო ძალის აქტივობის შენელება უფრო შესამჩნევია ვირუსის გამოვლენის შემდეგ პირველ ექვს კვირაში, რის შესახებაც სრულყოფილი ინფორმაციას გვაწვდის ალან სტიუარტ ბლინდერი (**Binder, 2020**). ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორებმა ოლივიე კოიბიონმა და სხვებმა (**Coibion et al., 2020**), აშშ-ს მოქალაქეების მაგალითზე, აღმოაჩინეს არც თუ ისე დამაიმედებელი სამუშაო ძალის ქცევის სტილის ჩამოყალიბება შენელებული აქტივობის სახით. მსგავს ტენდენციაზე მიუთითებს კარლეტონის უნივერსიტეტის (კანადა) პროფესორის ლუის ფილიპ ბელანდის და მისი კოლეგების (**Beland et al., 2020**) კვლევა-აშშ-ში კოვიდპანდემიის მოკლევადიანი გავლენა დასაქმებასა და ხელფასებზე.

ცხრილი-1

დისტანციური დასაქმება კოვიდ-19 პანდემიის პირობებში მსოფლიოს განვითარებული 12 მოწინავე ქვეყნის მიხედვით (vesti.ru)

	ქვეყანა	მოსახლეობა (ათასი კაცი)	მსპ მოსახლეობის ერთ სულზე (ათასი აშშ დოლარი)	დისტანციურად მუშაობის მსურველთა წილი (პროცენტებში)
	ლუქსემბურგი	600	126.6	53.4%
	შვეიცარია	8500	93.5	44.9%
	შვეცია	10000	54.5	44.2%
	ნორვეგია	5300	74.9	41.7%
	ისლანდია	357	70.3	41.6%
	აშშ	332278	66.1	41.6%
	ნიდერლანდები	17000	48.5	41.5%
	დანია	5800	56.4	41.4%
	ირლანდია	5000	76.1	38.7%
	გერმანია	83000	48.3	36.7%
	ავსტრია	9000	51.5	36.7%
	არაბთა გაერთიანებული საამიროები	10000	69.9	38.9%

სქემა-2



შედეგები გვიჩვენებს, რომ პანდემიამ გაზარდა უმუშევრობის დონე, შეამცირა სამუშაო დროის ხაგრძლივობა,ეკონომიკური აქტიურობის დონე და არ მოახდინა განსაკუთრებული ზეგავლენა ხელფასების რაოდენობაზე. რაც შეეხება სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებს, შრომის ბაზრის ნეგატიური შედეგები მწვავედ აისახა კაცებზე, ახალგაზრდებზე, ლათინური ამერიკიდან ემიგრირებულ და დაბალი განათლების მქონე სამუშაო ძალზე, რამაც კიდევ უფრო გაზარდა შრომის ბაზარზე მანამდე არსებული უთანაბრობის დონე. მათ ასევე ააგეს სამი ინდექსი (ACS და O*NET მონაცემებზე დაყრდნობით) სამუშაო ადგილების კლასიფიცირების მიზნით დაავადების ზემოქმედების, კოლეგებთან სიახლოვის და დისტანციური სამუშაოს შესრულების შესაძლებლობის მიხედვით. აღმოაჩინეს, რომ ის პროფესიები, რომლებიც დამოკიდებულია სხვებთან ფიზიკურ სიახლოვეზე, დიდი ალბათობით პანდემიისგან უფრო მეტ ეკონომიკურ ზემოქმედებას განიცდიან. იგივე შედეგები იქნა აღმოჩენილი ევროპის შემთხვევაშიც. კომერციული კვლევების უმაღლესი სკოლის (პარიზი) პროფესორიჟან ნოელ ბარრო (**Barrot et al., 2020**) საფრანგეთის მონაცემებზე დაყრდნობით აჩვენებს სოციალური დისტანცირების მიზეზით დასაქმების დონის შემცირებას და გამოყოფს განსაკუთრებულად დაზარალებულ და ნაკლებდაზარალებულ სფეროებს. სარესტორნო და სასტუმრო ბიზნესი, ხელოვნება და გართობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, მშენებლობა - ეს ის დარგებია, რომლებმაც მწვავედ განიცადეს პანდემიის შედეგები, ხოლო კომპიუტერული მომსახურება, სატელეკომუნიკაციო-საკონსულტაციო და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობები ისაა, რომლებზეც კოვიდის მძიმე შედეგები მსუბუქად აისახა. კოვიდ 19-ის გავლენა დასაქმებაზე და ეკონომიკაზე საშუალოვადიან პერსპექტივაში შესწავლილია ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორის მარტინ ანდერსენის (**Andersen et al. 2020**) **მიერ**, რომელმაც დაადგინა, რომ შეზღუდვების სიმკაცრე ნაკლები ხარისხით მოქმედებს დასაქმების დონის ცვლილებაზე და იგი უფრო მეტად დამოკიდებულია ქვეყნებს შორის სტრუქტურულ და ინსტიტუციურ განსხვავებებზე. მაგალითად, როგორიცაა ქვეყნის სპეციალიზაცია, სოციალური დაცვა და შრომის ბაზრის რეგულირების ღონისძიებები (**Andersen et al.2020**).

არასტანდარტული დასაქმების ზემოთ განხილული თითოეული მიდგომა ასახავს მის გარკვეულ სპეციფიკურ მხარეს, კონკრეტულადდამახასიათებელ მრავალმხრივ ნიშნებს, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მას მრავალფეროვანი ბუნება გააჩნია. შესაბამისად, თეორიული, ემპირიული კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ არასტანდარტული დასაქმების ფორმებისათვის დამამახასიათებელი შემდეგი ძირითადი ნიშნები:შრომის მოქნილობა; შრომითი საქმიანობის არასტანდარტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გამოყენება; ადაპტირება უწყვეტად ცვლად ეკონომიკურ პირობებთან; დასაქმებულებისა და დამსაქმებლების ინტერესების რეალიზაცია; მომუშავეთა შრომის უფლებების უზრუნველყოფის მინიმალური გარანტია.

საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ასახავს შრომის პრო-ცესის ეფექტიანობას როგორც დამსაქმებლისთვის ასევე დასაქმებულისთვის. რადგან სამუშაო დროის მოქნილობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია, ეს თანამშრომელს სამუშაო დღის თვითრეგულირებაში ეხმარება. არასტანდარტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი სამუშაო პირობები დამსაქმებელს აძლევს შესაძლებლობას შრომითი ურთიერთობების ხანგრძლივობის მანიპულაციისას, თანამშრომლის მუდმივი, დროე-ბითი თუ ნახევარ განაკვეთზე დასაქმების კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ურთიერთობები თანამშრომლებისთვის შეიცავს შრომითი ხელშეკრულების არ გაფორ-მების რისკს (არაფორმალური დასაქმება).

ზემოთ განხილული კრიტერიუმები გვიჩვენებს არასტანდარტული დასაქმების რო-გორც დადებით ასევე უარყოფით მხარეებს. ერთის მხრივ, ეს თანამშრომლებს აძლევს სამუშაო დღის მართვის, სხვა სამსახურის შეთავსების და შრომითი ურთიერთობების ხანგრძლივობის არჩევის შესაძლებლობას. მეორეს მხრივ, არსებობს შრომითი ხელშეკ-რულების არ გაფორმების რისკი, რაც რა თქმა უნდა ხელსაყრელია დამსაქმებლისთვის, მაგრამ დასაქმებულს სამართლებრივი დაცვის უფლებას ართმევს.აღნიშნული მახასიათებლები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ის ნიშან-თვისებები რაც დასაქმების ამ ფორმას განასხვავებს სტანდატული დასაქმებიდან. კერძოდ, არასტანდარტული დასაქმების ძირითადი მახასიათებლების რეალიზება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით: სამუშაო საათების მოქნილობა; შრომითი ორგანიზაციის მეთოდი და პირობები; შრომითი ურთიერთობების ფორმალურობის დონე; სამუშაო საათების ხანგრძლივობა; შრომითი ურთიერთობების ხანგრძლივობა; თანამშრომლების სოციალურ გარანტიებზე ხელმისაწვდომობა.ხოლო რაც შეეხება მოქნილ დასაქმებას, ვფიქრობთ, რომ იგი არის სამუშაო ფორმა, მოქნილი სამუშაო დროით, რომელიც დასაქმებულის შეხედულებისამებრ ნაწილდება დროის გარკვეულ პერიოდზე (დღე, თვე, წელი) და ორივე მხარის (დასაქმებული, დამსაქმებელი) ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და შრომის საბოლოო შედეგებით კმაყოფილებას. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ არასტანდარტული დასაქმების ზოგიერთი ფორმა ყოველთვის არ ხასიათდება სამუშაო დროის მოქნილობით. კერძოდ, არატრადიციული დასაქმების ფორმები როგორიცაა დროებითი, არაფორმალური, შემთხვევითი შესაძლებელია სრულდებოდეს სრული სამუშაო დროის განმავლობაში, სამუშაო დროის დაწყებისა და დამთავრების მკაცრად დადგენილი გრაფიკით. ასეთ შემთხვევაში მომუშავეს არ აქვს შესაძლებლობა თვითონ გაანაწილოს სამუშაო დროდა დამოუკიდებლად განსაზღვროს მისი გრაფიკი. ასე რომ არასტანდარტული დასაქმების ზოგიერთ ფორმას ვერ მივიჩნევთ როგორც ახალს და პროგრესულს, რომლებიც ხელს უწყობს თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკის შექმნას.

ლიტერატურა:

1. **გელაშვილის., მინდორაშვილი მ., აბესაძე ნ., ოქრუაშვილი მ., ქუცურუა ქ., ფანცულაია ნ., გელაშვილი ნ.** COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე. მონოგრაფია. თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 2021 წელი;
2. **გველესიანი რ.** შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის წინააღმდეგობები და წარმატების სტრატეგია. ეკონომიკა და ბიზნესი, №4,2010 წელი;
3. **მექვაბიშვილი ე.** კორონომიკური კრიზისის გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოსთვის. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი". N1, 2021 წელი. (tsu.ge);
4. **პაპავავ., ჭარაიავ.** კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. ექსპერტის აზრი. N136. საქართველოს სტარტეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. 2020 წელი. (GFSIS.ORG);
5. **პაპავა ვ.** კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე. 21 მარტი, 2020. https://for.ge/view/ 182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html;
6. **პაპავა ვ.** კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", "Ekonomics and Business"ტომიXII, N2, 2020 წ. http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge;
7. **ტუხაშვილი მ.** საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის კვლევის სტრატეგიის შესახებ. ჟურნალი „მიგრაცია", N7. თსუგამომცემლობა, 2017 წელი;
8. **ტყემალაძე ი.** დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში საქართველოში. ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი", N12, 2021;
9. **ტყემალაძე ი.** დისტანციური დასაქმების როლი COVID-19-ის პანდემიის უარყო-ფითი შედეგების შემცირებაში. თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენცია „თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური პრობლემები". თბილისი, 2020 წელი;
10. **ღაღანიძეგ.** მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", ტომი XII, N2, 2020 წელი. http://eb.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge;
11. **ჩიქობავა მ.** COVID-19, როგორც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ფორმა. გლობალიზაცია და ბიზნესი, N10, 2020 წელი. gb-N10.pdf (eugb.ge);
12. **ცარციძე მ.** დისტანციური დასაქმები სგანვითარების პერსპექტივები საქართველოში კორონომიკის პირობებში. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი", N10, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი 2020 წ. ISSN 2449-2396. eugb.ge;
13. **ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ.**შრომის ბაზარი და არაფორმალური დასაქმების თავისებურებები გლობალური პანდემიის პირობებში. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი", N12, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 2021წელი. ISSN 2449-2396. (eugb.ge);
14. **Anderson, Heather., Caggiano, Giovanni., Vahid, Farshid., Wong, Benjamin.** "Sectoral Employment Dynamics in Australia and the COVID-19 Pandemic". *The Australian Economic Review, vol. 53, no. 3* (2020);
15. **Beck, Ulrich.** „The Brave New World of Work".*Cambridge: Polity Press*, (2014);
16. **Blinder, Alan S.** "Building Bridges to Help the Economy Through Covid," *The Wall Street Journal,December*(2020);
17. **Beland, Louis-Philipp.** "COVID-19, Stay-At-Home Orders and Employment: Evidence from CPS Data" *IZA DP No. 13282* (2020);
18. **Barrot, Jean-Noel.** "The Employment Effects of Faster Payment: Evidence from the Federal Quickpay Reform". *Journal of Finance (The)*, vol. 75, n° 6, pp 3139-3173, (in coll. with R. NANDA). (2020). https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1111/jofi.12955;
19. **Coibion, Olivier., Gorodnichenko, Yuriy., Ropele, Tiziano.**"Inflation Expectations and Firm Decisions: New Causal Evidence", *Quarterly Journal of Economics* 135, (2020);
20. Countries in 1990s". *World Bank, Social Protection Discussion Paper Series No. 2002*;
21. **Dingel, Jonathan I. and Neiman, Brent.**"How many jobs can be done at home?" 26948, *National bureau of economic research,* Cambridge, MA 02138 Working Paper, (2020);
22. ***Forteza, Alvaro; Rama, Martin.*** *"Labor Market "Rigidity" and the Success of Economic Reforms across More than 100 Countries". Policy Research Working Paper;No. 2521. World Bank, Washington, (2001);*
23. **Fetzer, Thiemo., Hensel, Lukas., Hermle, Johannes., Roth, Christopher.** "Coronavirus Perceptions And Economic Anxiety", *forthcoming at Review of Economics and Statistics.* (2020);
24. **Riboud, Michelle., Sanchez-Paramo,Carolina., Silva-Jauregui, Carlos.** ."DoesEurosclerosis Matter? Institutional Reform and Labour Market Performance in Central and Eastern European Countries in 1990s". *World Bank, Social Protection Discussion Paper Series No. 0202.* (2002);
25. **Standing, Guy.**"Global Labour Flexibility: Seeking Distributive Justice". *Basingstoke: Macmillan,*(1999);.

26. **Silagadze A**. **Atanelishvili T**. The Main Economic Indicators of the EU and Georgia "Topical Problems of the Development of Economy and Economic Science." Collection of scholarly works of Paata Gugushvili Institute of Economics TSU, 2014;
27. **Tukhashvili M**. Georgian Labour Market in the condition of Political and Economic Crisis. In the book:Youth Employment: Challenges and Opportunites. Timisoara.Eurostampa, 2012;
28. **Wielen, van der Wouter**.,**Barrios, Salvador**. "Fear and Employment During the COVID Pandemic: Evidence from Search Behaviour in the EU", *JRC Working Papers on Taxation and Structural Reforms No 08/2020, European Commission.* (2020). https://voxeu.org/article/fear-and-employment-during-covid-pandemic;
29. **Ваенкевич В.Е., Зайцева О.В**. Нестандартная занятость: сущность, формы, масштабы, регулирование// Белорусский экономический журнал. 2015. Стр. 131. http://bem.bseu.by/rus/archive/3.15/BEJ-3-2015-vankevich-zaytseva.pdf.
30. **Котляров И.Д**. Нестандартные формы занятости: позитивные, негативные, нейтральные//JournalofEconomicRegulation (Вопросы регулирования экономики) 2015. Том 6. №4.с. 3.https://cyberleninka.ru/article/n/.
31. **Мусаев Б.А**. Нестандартная занятость как форма реализации условий нового экономического уклада/ Интернет-журнал «НАУКОВЕДЕНИЕ» Том 9, №2 (2017) http://naukovedenie.ru/PDF/59EVN217.pdf. https://cyberleninka.ru/article/n/;
32. **Потуданская В.Ф., Мокрецова А.В**. Классификация нестандартных форм занятости//Бизнес. Образование. Право. Вестник Волгоградского института бизнеса. 2012;(1)(18). Стр. 77.https://www.elibrary.ru/item.
33. Полная статистика по удалённой работе за 2021 год во всем мире - Promopoisk;
34. Разумов А., Цыганкова И., Антонова Г. Никишина О. Нестандартная занятость как форма использования рабочего времени (российский и зарубежный опыт).Москва. Издательство «Дашков и К», 2019г.
35. 12 стран мира с самой высокой долей удаленных сотрудников (vesti.ru);

Transformation of Forms of Employment in the Context of the Global Pandemic

Murman Tsartsidze
Doctor of Economic Sciences,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Associate Professor

Irma Tkemaladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Student

SUMMARY

In the conditions of the modern global pandemic, a necessary condition for economic development represents the formation of a flexible labor market that adequately responds to the rapidly changing conditions of the economic system. Such non-standard forms of employment and working hours have spread, as: various types of borrowed labor (staff leasing, outsourcing, outstaffing); Remote employment, various forms of television work; Freelancers, and more. They are considered to be tools for adapting to the constantly changing conditions of the economy and therefore the main purpose of their use is to realize the interests of labor market entities. In addition, the practice of using modern forms of employment is characterized by the rational use of working time and it significantly expands the employment opportunities of vulnerable groups (youth, women, disabled people, retirees, etc.), as well as helps enterprises to overcome the crisis. Helps them to increase work efficiency and reduce production costs, at the expense of optimal use of labor resources.

Accordingly, the scientific paper presents the peculiarities of the transformation of the main forms of employment in developed countries, in the current global pandemic. Particular attention is paid to the study of the development of non-standard forms of employment and the evaluation of their effectiveness. In particular, the main conceptual approaches are discussed. The impact of Covid-19 on employment and the overall process of economic development is studied.

Keywords: *Employment, Pandemic, Global crisis, Non-standard employment, Remote employment.*

COVID 19 პანდემიის გავლენა საქართველოს სადაზღვევო სექტორზე

არჩილ ცერცვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება დაზღვევას, როგორც რისკის მართვის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფინანსურ ინსტრუმენტს. საქართველოში დღეისათვის მნიშვნელოვანია სადაზღვევო ბაზრის განვითარება, რადგან დაზღვევის საშუალებით შესაძლებელია რისკის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება.

კორონავირუსის ეპიდემიამ დიდი გავლენა იქონია ეკონომიკაზე. ამიტომ ამ პერიოდში არსებული რისკების მართვას დიდი მნიშვნელობა ეკისრება. გამოწვევები, რომლებიც პანდემიამ გაუჩინა სადაზღვევო სექტორს მნიშვნელოვანია. ამიტომ საჭიროა სადაზღვევო ინდუსტრიაში არსებული მდგომარეობის სწორად შეფასება და სათანადო ღონისძიებების გატარება.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია პანდემიის პერიოდში არსებული რისკების მართვის მნიშვნელობაზე. განხილულია ამ პერიოდში სადაზღვევო ინდუსტრიაში მოზიდული სადაზღვევო პრემიების, ზარალების, წმინდა მოგების, აქტივების ჯამური მოცულობის და კაპიტალის დინამიკა.

სადაზღვევო ბაზრის ძირითადი სტატისტიკური და ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის შედეგად გაკეთებულია დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *სადაზღვევო ინდუსტრია, სადაზღვევო პრემია და ზარალი, წმინდა მოგება, აქტივების ჯამური მოცულობა, სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა.*

კორონავირუსის ეპიდემიამ, რომელიც 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გლობალურ პანდემიად გამოცხადდა, დიდი გავლენა იქონია ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ეკონომიკა ნელ - ნელა უბრუნდება მეტ-ნაკლებად ნორმალურ ფარგლებს, მაინც ადგილი აქვს არასტაბილურობას. ამიტომ ამ პერიოდში არსებული რისკების მართვას დიდი მნიშვნელობა ეკისრება.

COVID 19-ის მიერ გამოწვეულმა მძიმე მდგომარეობამ ცხადყო, რომ ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის მნიშველოვანი როლი ფინანსურ ბაზრებს და ინსტიტუტებს ენიჭებათ. საფინანსო სექტორის მნიშვნელოვან მონაწილეებს სადაზღვევო კომპანიები წარმოადგენენ. სადაზღვევო სექტორის გადახდისუუნარობა უარყოფით გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

როგორც წესი პანდემიის ფონზე ჯანმრთელობის დაზღვევაზე მოთხოვნა იზრდება. COVID 19-ის მკურნალობის პროცესში სადაზღვევო კომპანიების პირადი ექიმები არიან ჩაერთული. დაზღვეულებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ოჯახის ექიმს და გაიარონ კონსულტაცია. სადაზღვევო კომპანიებმა დაზღვეულები ოჯახის ექიმების 24 საათიანი მომსახურებით უნდა უზრუნველყონ და ბინაზე მკურნალობის პროცესში დაეხმარონ.

მომავალში არსებობს სხვა პანდემიების გამოჩენის საშიშროებაც. გამოწვევები, რომლებიც პანდემიამ გაუჩინა სადაზღვევო სექტორს არსად გაქრება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სადაზღვევო ინდუსტრიაში არსებული მდგომარეობის სწორად შეფასებას და სათანადო ღონისძიებების გატარებას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებული იყო 17 სადაზღვევო კომპანია. მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ 2019 წლის განმავლობაში შეადგინა 625 მილიონი ლარი, დამდგარი ზარალის ოდენობამ 522 მილიონი ლარი. სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგებამ შეადგინა 25 მილიონი ლარი. სადაზღვევო კომპანიების აქტივების ჯამურმა მო-

ცულობამ შეადგინა 799 მილიონი ლარი, ხოლო კაპიტალმა 235 მილიონი ლარი. სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ეკავა ჯანმრთელობის დაზღვეევას - 37,45 %, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევას - 17,92 % და ქონების დაზღვევას - 14,14 %.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებული იყო 18 სადაზღვევო კომპანია. მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ 2020 წლის განმავლობაში შეადგინა 667,3 მილიონი ლარი, დამდგარი ზარალის ოდენობამ 378,7 მილიონი ლარი. სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგებამ შეადგინა 47,6 მილიონი ლარი. სადაზღვევო კომპანიების აქტივების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 915,8 მილიონი ლარი, ხოლო კაპიტალმა 279,1 მილიონი ლარი. სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ეკავა ჯანმრთელობის დაზღვეევას - 40,10 %, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევას - 17,49 % და ქონების დაზღვევას - 16,22 %.

2021 წლის 9 თვის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებული იყო 18 სადაზღვევო კომპანია. მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ 2021 წლის 9 თვის განმავლობაში შეადგინა 606,7 მილიონი ლარი, დამდგარი ზარალის ოდენობამ 302,1 მილიონი ლარი. სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგებამ შეადგინა 31,9 მილიონი ლარი. სადაზღვევო კომპანიების აქტივების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 1 007,1 მილიონი ლარი, ხოლო კაპიტალმა 309,1 მილიონი ლარი. სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ეკავა ჯანმრთელობის დაზღვეევას - 40,19 %, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევას - 17,83 % და ქონების დაზღვევას - 16,66 %.

დიაგრამა 1



დიაგრამა 2



დიაგრამა 3



დიაგრამა 4

სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა



ცალკე გვინდა აღვნიშნოთ აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიების და ანაზღაურებული ზარალების ოდენობა. კერძოდ 2019 წელს მოზიდულია 9,6 მილიონი ლარი, 2020 წელს 13,4 მილიონი ლარი, 2021 წელს 15,5 მილიონი ლარი. ანაზღარებული ზარალები კი შეადგენს 2019 წელს 8,8 მილიონ ლარს, 2020 წელს 11,7 მილიონ ლარს, 2021 წელს 11,6 მილიონ ლარს.

დიაგრამა 5



ზემოაღნიშნული სტატისტიკური და ფინანსური მაჩვანებლებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პანდემიის პერიოდში სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიების მოცულობა მნიშვნელოვნად არ იზრდებოდა, რაც პანდემიამდე არსებულ პერიოდს ახასიათებდა. რაც შეეხება ზარალების ოდენობას იგი პანდემიის პერიოდში გამოირჩევა კლების ტენდენციით. რაც გამოწვეულია რიგი ფაქტორებით, კერძოდ: კოვიდ შეზღუდვების გამო დაზღვეული მოსახლეობის მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებების მიმართ, როგორც ამბულატორიულ ისე ჰოსპიტალურ ნაწილში შემცირდა, გარდა ურგენტული შემთხვევებისა და ასევე ოჯახის ექიმთან მიმართვისა, რომელიც უფრო სატელეფონო კავშირით მყარდებოდა. ამასთან ჯანმრთელობის კერძო დაზღვევა ძირითადად არ ითვალისწინებს კოვიდ მკურნალობას და ანალიზებს, რასაც ფარავს სახელმწიფო პროგრამა. ამ პერიოდში აგრეთვე კოვიდ შეზღუდვების გამო საავტომობილო პარკის დიდი ნაწილი არ მოძრაობდა და შესაბამისად სადაზღვევო შემთხვევებიც შემცირებული იყო.

დამდგარი და შესაბამისად ანაზღაურებული ზარალების რაოდენობის კლებამ გაზარდა სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგება.

2021 წელს მინიმალური კაპიტალის ფლობისადმი ნორმატიული მოთხოვნების გაზრდის გამო სადაზღვევო კომპანიებმა მინიმალური კაპიტალი 4,2 მილიონი ლარიდან გაზარდეს 7 მილიონ ლარამდე, რამაც გამოიწვია აქტივების ჯამური მოცულობის და კაპიტალის ზრდა.

დასკვნები და რეკომენდაციები

COVID 19 პანდემიის პერიოდის სადაზღვევო ბაზრის ძირითადი სტატისტიკური და ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის შედეგად შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

- სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიების მოცულობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. არ გაზრდილა ზარალების ოდენობაც, რადგან კოვიდ შეზღუდვების გამო დაზღვეული მოსახლეობის მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებების მიმართ შემცირდა. ასევე სა-

ავტომობილო პარკის დიდი ნაწილი არ მოძრაობდა და შესაბამისად სადაზღვევო შემთხვევები შემცირდა;

- ზარალების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების ეკონომიით გაიზარდა წმინდა მოგება;

- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მინიმალური კაპიტალის ოდენობაზე მოთხოვნის გაზრდის გამო გაიზარდა სადაზღვევო კომპანიების აქტივების ჯამური მოცულობა და კაპიტალი;

- 2017 წლიდან ჩვენ ქვეყანაში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი წესები, რომელმაც შეცვალა განაწილებულ მოგებაზე გადასახადის რეგულირება „ესტონური მოდელის" მსგავსი სისტემით. რაც იმას ნიშნავს, რომ რეინვესტირებული მოგება არ იბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები არ შეეხო საფინანსო სექტორს, მათ შორის არც სადაზღვევო სფეროს. არადა ამ ეტაპზე საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრიის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას კაპიტალიზაციის გაზრდა წარმოადგენს (მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა გაიზარდა). მიზანშეწონილად მიგვაჩნია სადაზღვევო სფეროს ჩართვა ესტონურ მოდელში, რაც ფისკალურ დანაკარგთან არ არის დაკავშირებული, რადგან სადაზღვევო ინდუსტრიის მოგება დაბალია, ხოლო საინვესტიციო რესურსის საჭიროება მაღალი;

- მნიშვნელოვანია ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემოღება, რომელიც საჭიროა როგორც დარგის განვითარებისათვის, ასევე გააჩნია სოციალური და ფისკალური ეფექტი. დაზღვევის ამ სახეობის სავალდებულო წესით შემოღება გათვალისწინებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებითაც და მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში მოქმედებს;

- მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის შემოღება დასაქმებულთათვის, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ფართო ფენების სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობას და დაზოგავს საბიუჯეტო სახსრებს;

- სოფლის მეურნეობის რისკების მართვის გაუმჯობესებისათვის საჭიროა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის კიდევ უფრო განვითარება სადაზღვევო პრემიის რისკის ადექვატურად განსაზღვრის მიზნით, ფერმერთა ფინანსური ზარალის სრულფასოვნად ანაზღაურებისათვის, თუკი ფერმერის მიერ დაზღვეული მოვლენა გახდა მოსავლის დანაკლისის ან მოუსავლიანობის მიზეზი.

ლიტერატურა:

1. სიმონია, თ. (2018). *დაზღვევის საფუძვლები.* თბილისი, საქართველო: გამომცემლობა „ივერიონი";
2. შათირიშვილი, ჯ. & კაკაშვილი, ნ. (2012). *სადაზღვევო საქმე.* თბილისი, საქართველო: გამომცემლობა „ივერიონი";
3. ცერცვაძე, ა., ხანთაძე, გ., & ვეკუა, დ. (2016). *სადაზღვევო საქმე.* თბილისი, საქართველო: გამომცემლობა „დანი";
4. https://www.insurance.gov.ge;
5. https://www.insurance.org.ge.

Impact of the COVID 19 Pandemic on the Georgian Insurance Sector

Archil Tsertsvadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Invited Professor, Doctor of Economics

SUMMARY

Insurance plays an important role in stabilizing the economy. It is necessary to develop the insurance market in Georgia, because insurance can prevent financial losses. Pandemic challenges are relevant to the insurance sector. It is therefore important to properly assess the state of the insurance industry.

The article focuses on the importance of risk management during a pandemic. The dynamics of insurance premiums, losses, profits and assets are discussed. Conclusions and recommendations have been made as a result of the analysis of key indicators of the insurance market.

საქართველოში საწარმოთა ფინანსური შედეგებისა და რისკების ცვლილებები პანდემიის შემდეგ

იზოლდა ჭილაძე
ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

თამარ თორია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

კვლევის მიზანია საწარმოთა ფინანსური შედეგიანობისა და ფინანსური რისკების ხარისხის შეფასება საქართველოში პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ, საანალიზო საწარმოების მაგალითზე. კვლევის საგანია საწარმოთა აქტივების მომგებიანობის, ფულის ბრუნვადობის, კაპიტალის და პროცენტის ლევერიჯის მაჩვენებლები და მათი ტენდენციები.

შრომაში გამოკვლეულია თორმეტი სხვადასხვა დარგის თხუთმეტი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები თუ რა გზებით შეუძლიათ საწარმოებს დაფარონ ხარჯები, აამაღლონ ბიზნესის აქტივობა და შეარბილონ ფინანსური რისკები.

საკვანძო სიტყვები: *საწარმოთა ფინანსური შედეგიანობა, პროცენტის ლევერიჯი, კაპიტალის ლევერიჯი, ფულის ბრუნვადობა, პანდემია.*

საერთაშრისო გამოცდილებამ უკვე დაადასტურა, რომ კორონავირუსი იწვევს სამმაგ ეკონომიკურ შოკს. „ფინანსური შოკი ყოველი ქვეყნისთვის განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა და შესაბამისი მთავრობისთვის შესაძლო ზარალის შემცირების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ კომპონენეტს წარმოადგენს“ (გივი ბედიანაშვილი, 2021).

შრომის მიზანია საწარმოთა ფინანსური პოზიციების და რისკების მაჩვენებლების შეფასება პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ. ანალიზი არსებული ფინანსური შედეგების მიზეზთა კვლევის საშუალებას იძლევა, რათა შემუშავდეს რეკომენდაციები არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- სათანადო მაჩვენებლების შერჩევა;
- საანალიზო კომპანიების შერჩევა;
- ფინანსური შედეგიანობისა და რისკების თენდენციების შედარებითი შეფასებების საფუძველზე საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

შრომაში შესწავლილია ოთხი ძირითადი ფინანსური კოეფიციენტი: აქტივების მომგებიანობა, პროცენტის ლევერიჯი, კაპიტალის ლევერიჯი და ფულის ბრუნვის რიცხვი.

შერჩეულ იქნა თხუთმეტი სხვადასხვა დარგის საწარმო, რათა მათი როგორც კერძო, ისე ნაერთი ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე შესაძლებელი გამხდარიყო საქართველოს „მიკროეკონომიკური ფინანსური სურათის“ შედგენა პანდემიასთან კავშირში. ეს კომპანიებია:

სს საქართველოს რკინიგზა, რომელიც 1998 წლის დეკემბერში დაარსდა, როგორც სახელმწიფო საწარმო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სარკინიგზო მომსახურების გაწევა საქართველოს მასშტაბით. ის უზრუნველყოფს ტვირთების გადაზიდვებს და მგზავრთა გადა-

ყვანას, ისევე როგორც, სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას და განვითარებას, სარკინიგზო ხაზების მშენებლობას საქართველოს მასშტაბით.

სს „თელასი“, რომლის ძირითადი საქმიანობა ელექტროენერგიის შესყიდვა და ქ. თბილისში კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო მომხმარებლებზე განაწილებაა.

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნავთობშემცველი პროდუქტების იმპორტი და გადაყიდვა საცალო თუ საბითუმო მომხმარებლებზე ბენზინგასამართი სადგურებისა და ნავთობ-ბაზის მეშვეობით.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ დაფუძნებულია 2015 წელს. მისი მიზანია ბიზნესის განვითარებისთვის სახსრების მოზიდვა აქციების გამოშვების გზით.

სს „თელიანი ველი“ 1997 წელს დაფუძნდა. 2019 წელს რეორგანიზაცია განიცადა და ამჟამად კონსოლიდირებულ კომპანიას წარმოადგენს, რომელიც აერთიანებს მშობელ კომპანიას “თელიანი ველი“ და შვილობილ კომპანიებს. ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ღვინის, ლუდის, ლიმონათის და სხვა ალოჰოლური სასმელების წარმოება და დისტრიბუცია. ჯგუფში შემავალი სუბიექტები ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების წამყვანი მიმწოდებლები არიან.

სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ 1996 წლიდან ფუნქციონირებს და რამდენიმე შვილობილ კომპანიას აერთიანებს. მისი ძირითადი საქმიანობაა კოკა-კოლას ბრენდის პროდუქციის დამზადება და ბოთლებში ჩამოსხმა.

შპს „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ დაფუძნებულია 1998 წელს. ის არის საქართველოს ბაზარზე არსებული რძის და რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია და ბაზარზე მაწონი, რძე, ხაჭო, ყველი და რძის სხვა მრავალი პროდუქტი გამოაქვს.

შპს „ნიკორა“ აწარმოებს ხორც-პროდუქტებს და მას, რელიზაციის მიზნით, ნიკორას ჯგუფში შემავალ სხვა კომპანიებს აწვდის.

სს „გუდვილი“ დაარსებულია 2009 წელს. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიპერმარკეტების და სუპერმარკეტების ქსელის მართვა საქართველოს მასშტაბით. კომპანია მომხმარებელს საკუთარი წარმოების მზა კერძებს და საკონდიტრო ნაწარმს სთავაზობს; ასევე აქვს ქეითერინგის მომსახურება (ფურშეტების და გასვლითი ღონისძიებების ორგანიზება) და ონლაინ მაღაზია.

შპს „იფქლი დიღომი“ რეგისტრირებულია 2005 წლიდან. ის ახდენს პურისა და პურპროდუქტების, საკონდიტრო პროდუქციის, ნამცხვრების, შოკოლადებისა და სხვა მრავალი სახეობის საკონდიტრო ნაწარმის დამზადებას და მიწოდებას სპეციალიზებული მაღაზიებისთვის.

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ დაფუძნებულია 2014 წელს, სადაზღვევო კომპანიის სს „ალდაგის“ რეორგანიზაციის საფუძველზე. მისი საქმიანობა მოიცავს დაზღვევის ფართო სპექტრის მომსახურებას: კრიტიკული დაავადებების, უბედური შემთხვევების, სიცოცხლის რისკების ვადიანი დაზღვევის და სხვა მსგავს მომსახურებას.

შპს PSP ფარმა დაფუძნებულია 1994 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა ფარმა- ცევტული პროდუქტებისა და პირადი ჰიგიენის ნივთების საცალო და საბითუმო ვაჭრობა.

შპს „ავერსი-რაციონალი“ დაფუძნებულია 2002 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება. პროდუქციას ავრცელებს ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე.

შპს „გუდაური სქი რესორტი“ დაფუძნებულია 2009 წელს და ეწევა სასტუმროს მომსახურებას. საკუთრებაში აქვს ორი სასტუმრო: „გუდაური მარკო პოლო“ და „ალპინა“.

შპს „წისქვილი ჯგუფი“ დაფუძნებულია 2002 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო მომსახურების გაწევა თბილისის მასშტაბით სამ ლოკაციაზე (ბელიაშვილი, ვაკე და წყნეთი).

დასახელებული კომპანიების წლიური ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე გამოკვლეულია მათი ფინანსური ეფექტიანობის, რისკების და აქტივობის ძირითადი მაჩვენებლები, რამაც საშუალება მოგვცა დაგვენახა, რა ცვლილება მოხდა მათ ეკონომიკაში 2020 წელს, პანდემიიდან ერთი წლის შემდეგ.

კვლევაში გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, კოეფიციენტებისა და სტატისტიკური მეთოდები.

საწარმოთა მომგებიანობის შეფასება

არამომგებიანი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის სუბიექტების გარდა, ყველა საწარმოს საბოლოო ფინანსური მიზანია მოგების მიღება და მომგებიანობის ზრდა. საწარმოთა მენეჯმენტი პასუხისმგებლია მასზე მინდობილი რესურსების ეფექტიან მართვაზე. რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესი უნდა ფარავდეს ხარჯებს და დამატებით იღებდეს ფინანსურ ნამეტს ანუ მოგებას. „ჩვენ არ ვიცით, რა იქნება მომავალში. საუკუნეების შემდეგ, შესაძლოა დადგეს ეპოქა, როდესაც მაღალტექნოლოგიური და ცივილური კაცობრიობა და ბიზნესი თავის მხრივ უარს იტყვის მოგების მიღებაზე და ფასი გაუტოლდება ხარჯებს, მაგრამ დღეს ვერც ერთი საწარმო ვერ იარსებებს მოგების გარეშე. ამიტომ, მომგებიანობის ზრდის გონივრული გზების ძიება საწარმოთა მენეჯმენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა.“ (Izolda Chiladze, 2018).

თეორიასა და პრაქტიკაში მომგებიანობის მრავალი მაჩვენებელია ცნობილი, როგორიცაა: პროდუქციის მომგებიანობა (RP), წარმოების დანახარჯების უკუგება (RC), აქტივების მომგებიანობა(ROA), წმინდა აქტივების მომგებიანობა(RONA), წმინდა შემოსავალი (NINS), გამოყენებული კაპიტალის უკუგება (ROCE), საკუთარი კაპიტალის მომგებიანობა (ROE) და ა.შ.

წინამდებარე შრომაში შესწავლილია მომგებიანობის ყველაზე ზოგადი და მთავარი მაჩვენებელი: წლიური მოგება (ანუ მოგება დაბეგვრამდე) შეფარდებული აქტივების (რესურსების) საშუალო წლიურ ჯამთან (ROA). მოგება, როგორც წესი საწარმოთა ფინანსური შედეგის აბსოლუტური მაჩვენებელია, მომგებიანობა კი ფარდობითი. თუ აქტივების მომგებიანობა უარყოფითი რიცხვია, კომპანია ზარალიანია და ვერ შეძლებს საქმიანობის ზრდა-განვითარებას, ახალი პროექტების განხორციელებას, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ზრდას, პრემიებით მათ სტიმულირებას, აქციონერებზე დივიდენდების გაცემას და ა.შ. შესაბამისად, საგანგებო ღონისძიებების გატარების გარეშე საწარმო კოტრდება.

ქვემოთ წარმოდგენილია საანალიზო საწარმოების აქტივების მომგებიანობის ანუ აქტივების ფინანსური შედეგიანობის მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 2.1), რომელიც აჩვენებს, რომ 2017-2020 წლებში, თხუთმეტი კომპანიიდან, ცხრა მათგანი (კომპანიების 60%) 2020 წელს ზარალიანი აღმოჩნდა. დანარჩენი კომპნიები კი აქტივების მომგებიანობას ინარჩუნებენ, მაგრამ შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

ცხრილი 2.1. საანალიზო საწარმოების აქტივების მომგებიანობა %-ად 2017-2020 წლებში

კომპანიები	2017	2018	2019	2020
1. სს თელიანი ველი	5.03	3.49	(7.0)	(5.56) *
2. სს კოკა-კოლა	4.34	1.98	5.26	(3.36)
3. სს საქართველოს რკინიგზა	(0.011)	(0.024)	0.73	(7.11)
4. სს თელასი	8.20	8.57	9.34	(20)
5 .სს სოკარი	(0.11)	(0.13)	(0.25)	(0.46)
6. სს საფონდო ბირჟა	(11.11)	(10.26)	(10.87)	(3.31)
7. სს იმედი ელ	(4.28)	5.82	7.97	11.23
8. სს გუდვილი	5.37	7.26	(6.23)	(9.06)
9. შპს ნიკორა	34.34	66.14	14.03	3.12
10. შპს იფქლი დიღომი	54.95	42.15	35.91	17,78
11. შპს სანტე	15.28	11.00	6.19	6.18
12. შპს პსპ ფარმა	25.25	9.55	8.32	3.48
13. შპს ავერსი რაციონალი	1.80	4.67	5.32	5.58
14. შპს წისქვილი ჯგუფი	-	0.27	0.21	(0.35)
15. შოს გუდაური სქი რესორტი	0.12	0.03	0.25	(0.06)

* ცხრილში ფრჩხილებში ჩასმული მაჩვენებლები ზარალიანობას ნიშნავს.

ამრიგად, როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, ადგილი აქვს მომგებიანობის მკვეთრად არასასურველ ვარდნას. მათ შორის ცხრა კომპანია 2020 წელს ზარალიანი აღმოჩნდა, რომელთა პროდუქტებსა და მომსახურებაზე მოთხოვნა დაეცა. ესენია, სს „თელიანი ველი“, სს „კოკა-კოლა“, „საქართველოს რკინიგზა“, სასტუმრო „გუდაური“, რესტორანი „წისქვილი ჯგუფი“ და სხვ. ხოლო, აფთიაქები, „იფქლი დიღომი“ და „ნიკორა“ საანალიზო პერიოდში მომგებიანობას ინარჩუნებენ მათ პროდუქტებზე ბუნებრივად მაღალი მოთხოვნის არსებობის გამო. თუმცა, დინამიკაში მომგებიანობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველგან შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ამრიგად, მომგებიანობის სურათი პანდემიამდე შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე 2020 წელს, პანდემიის შემდეგ.

ფულის ბრუნვადობის ანალიზის შედეგები

შრომაში ასევე შესწავლილია ფულის ბრუნვის რიცხვის მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალის ფარდობით ფულისა და მისი ეკვივალენტების საშუალო წლიურ ნაშთთან. ის ასახავს მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებში დაბანდებული ფულადი სახსრები, კვლავ ფულის სახით, უკან რამდენჯერ ბრუნდება წლის განმავლობაში.

რაც უფრო სწრაფად ბრუნავს ავანსირებული ფული, მით უფრო დროულად შეუძლია საწარმოს დაფაროს ვალდებულებები და შეიძინოს ახალი რესურსები. თუმცა, ბრუნვადობის ძალიან მაღალი მაჩვენებელიც არ არის სასურველი, რადგან იგი მიანიშნებს, რომ კომპანიას დიდი მოცულობის ვადადამდგარი და ვადაგადაცილებული ვალდებულებები გააჩნია და მის ანგარიშებზე ჩარიცხული ფულადი სახსრები საწარმოში ერთ დღესაც ვერ ჩერდება, რაც ასევე

არასასურველი მოვლენაა. ასეთ ვითარებას მეცნიერ-ეკონომისტები „გადახურებულ ფულს“ უწოდებენ, ანუ როცა მაღალი ვადებულებების არსებობის გამო ფულადი რესურსები საწარმოში შესვლისთანავე იხარჯება.

ცხრილი 3.1. ფულის ბრუნვის რიცხვის მაჩვენებლები საანალიზო საწარმოებში 2017-2020 წლებში

კომპანიები	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
1.სს თელიანი ველი	7.1	6.5	6.88	5.61
2. სს კოკა-კოლა	188	160	144	158
3. სს საქართველოს რკინიგზა	2	1.9	1.85	1.67
4. სს თელასი	83.4	34.4	81.2	110.3
5. სს სოკარი	111	147	128	111
6. სს საფონდო ბირჟა	0.299	0.362	0.49	0.61
7. სს იმედი ელ	18.72	25.33	33.68	11.28
8. სს გუდვილი	28.4	39.3	46.3	54.7
9. შპს ნიკორა	813	1115	6356	6391
10. შპს იფქლი დიღომი	94.6	161.4	90.1	33.0
11. შპს სანტე	17.8	20.14	14.18	9.41
12. შპს პსპ	94	144	87	65
13. შპს ავერსი	38	35	37	39
14. შპს წისქვილ ჯგუფი (რესტორანი)	-	15	10.1	8.31
15. შპს გუდაური სქი რესორტი (სასტუმრო)	18.08	16.43	16.15	12.47

ფულის ბრუნვადობის მაჩვენებლები, რომელიც 3.1. ცხრილშია წარმოდგენილი, სწორედ ე.წ. „გადახურებული ფულის“ არსებობაზე მიუთითებს შემდეგ კომპანიებში: სს „კოკა-კოლა“, სს „სოკარი“, შპს „ნიკორა“, ხოლო „საფონდო ბირჟაზე“, შეიძლება ითქვას, რომ ფული საერთოდ არ ბრუნავს.

ფულადი ნაკადების ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციაზე დაყრდნობით ასევე ირკვევა რომ, 2020 წელს საანალიზო კომპანიებში, გარდა სს „იმედი ელ“-ისა, არსებობს ფულის დეფიციტი საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობაში ერთდროულად. ხოლო, „საფონდო ბირჟას“, „წისქვილი ჯგუფს“, სს „გუდაურს“ და სს „ნიკორას“ ფულის დეფიციტი საოპერაციო საქმიანობის სფეროშიც აქვთ, რაც ძალიან ნეგატიური მოვლენაა. ამრიგად, პანდემიის შემდეგ, 2020 წელს საქართველოში კომპანიების საქმიანი აქტივობა მნიშვნელოვნად არის დაცემული.

საწარმოთა ფინანსური რისკების ხარისხის შეფასების შედეგები

ფინანსური რისკების შესაფასებლად, როგროც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები გამოიყენება. ფინანსური ლევერიჯი იკვლევს საწარმოს სესხებსა და სააქციო კაპიტალს შორის თანაფარდობის, მოგების ცვლილებასთან კავშირს. ზოგადად, ფინანსური ლევერიჯი ნიშნავს სესხების ფინანსური სიმძიმის ხარისხს (ჭილაძე. 2019)

ფინანსური ლევერიჯი დამოკიდებულია საწარმოს მმართველობის არჩევანზე, დაფინანსებისთვის გამოიყენოს სესხები თუ გამოუშვას პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი აქციები. ფი-

ნანსური ლევერიჯი ყოველთვის არსებობს, როცა საწარმოს გააჩნია აღებული სესხები და წარმოიშობა მოზიდულ სახსრებზე მუდმივი გადასახდელი სარგებელი.

დასავლეთის ქვეყნების სამეცნიერო ლიტერატურაში ფინანსური ლევერიჯის მრავალი კოეფიციენტია ცნობილი. წინამდებარე შრომაში საკვლევი საწარმოების მაგალითზე ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა მხოლოდ კაპიტალის და პროცენტის ლევერიჯის კოეფიციენტების ცვლილების ტენდენციები, რაც საკმარისია იმის დასადგენად, გააჩნია თუ არა საწარმოს აღებული სესხებით გამოწვეული რისკები და რგორია მათი მასშტაბი..

კაპიტალის ლევერიჯის კოეფიციენტებს მეცნიერ-ეკონომისტები სხადასხვაგვარად ითვლიან. მაგალითად, აქტივების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან, ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან, ან ვალდებულებების ფარდობა აქტივებთან და ა.შ. წინამდებარე სტატიაში გამოყენებულია საკუთარ კაპიტალთან ვალდებულებების ფარდობის კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს დაფინანსების წყაროებში ვადებულებების ზრდისა და საკუთარი კაპიტალის წილის შემცირებით გამოწვეულ ფინანსურ რისკებს. ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი არ უნდა იყოს. აღნიშნული კოეფიციენტის ზრდა ფინანსური რისკების ზრდაზე მიუთითებს, რაც მენეჯმენტს აფრთხილებს, რომ შესაძლოა ვალდებულებები ვერ დაფაროს და კომპანიამ ფინანსური დამოუკიდებლობა დაკარგოს კიდეც. ამ კოეფიციენტს ჩვენი აზრით, **შეიძლება ვალდებულებების ლევერიჯის კოეფიციენტიც ეწოდოს**, რადგან თუ ვალდებულებები გადააჭარბებს საკუთარ კაპიტალს, ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი გახდება, რაც ფინანსურ რისკებს ზრდის.

ცხრილ 4.1. კაპიტალის ლევერიჯის კოეფიციენტები საანალიზო საწარმოებში 2017-2020 წლებში

კომპანიები	2017	2018	2019	2020
1.სს თელიანი ველი	0.19	0.20	1.05	1.37
2. სს კოკა-კოლა	1.51	1.33	1.47	1.31
3. სს საქართველოს რკინიგზა	1.30	3.45	3.44	5.65
4. სს თელასი	1.08	0.89	0.85	2.0
5. სს სოკარი	(2.86)	(2.64)	(2.13)	(2.45)
6. სს საფონდო ბირჟა	0.03	0.06	0.18	0.14
7. სს იმედი ელ	3.87	1.75	1.89	1.52
8. სს გუდვილი	(2.57)	(2.04)	(3.07)	(2.61)
9. შპს ნიკორა	1.16	0.58	0.56	0.59
10. შპს იფქლი დიღომი (კარფური)	0.18	0.37	0.43	0. 27
11. შპს სანტე	0.27	0.21	0.26	0.19
12. შპს პსპ	0.467	0.475	0.92	1.144
13. შპს ავერსი	0.948	0.917	0.899	0.857
14. შპს წისქვილ ჯგუფი(რესტორანი)	0.44	1.43	2.74	(10.91)
15. შპს გუდაური სქი რესორტი (სასტუმრო)	8.33	7.20	2.46	3.50

კაპიტალის ლევერიჯის კოეფიციენტების ფაქტობრივი მდგომარეობა (იხ. ცხრილი 4.1.) აჩვენებს, რომ ათ კომპანიაში, რაც განხილური კომპანიების 67 პროცენტს შეადგენს, ის ერთზე მაღალია. მაშასადამე არსებობს ვალდებულებების დაფარვის რისკი. უფრო მეტიც, სს „სოკარს“,

სს „გუდვილსა“ და შპს „წისქვილ ჯგუფში“ კოეფიციენტი უარყოფითია, ანუ მათ საკუთარი კაპიტალი რეალურად არ გააჩნიათ. როცა აღნიშნული კოეფიციენტი ერთზე მეტია, იმაზე მეტყველებს,რომ კომპანიებს ფინანსური რისკის საფრთხე კი არ ემუქრებათ, საფრთხე უკვე დამდგარია და აუცილებელია სათანადო ღონისძიებების დროული განხორციელება.

რაც შეეხება **პროცენტის ლევერიჯს, ის** გამოითვლება საპროცენტო ხარჯების ფარდობით საოპერაციო მოგებასთან. ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთვევაში, საოპერაციო მოგება ვერ დაფარავს საპროცენტო ხარჯს, რაც კიდევ უფრო გაზრდის ვალდებულებებს და მეტად შეზღუდავს საწარმოს ფინანსურ დამოუკიდებლობას.

ცხრილი 4.2. პროცენტის ლევერიჯის კოეფიციენტები საანალიზო საწარმოებში 2017-2020 წლებში

კომპანიები	2017	2018	2019	2020
1. სს თელიანი ველი	0.176	0.204	0.591	2.645
2. სს კოკა-კოლა	0.710	0.681	0.641	1.803
3. სს საქართველოს რკინიგზა	ზარალია	ზარალია	0.317	0.967
4. სს თელასი	0.165	0.200	0.360	ზარალია
5. სს სოკარი	1.35	3.29	4.82	1.01
1. სს საფონდო ბირჟა	ზარალია	ზარალია	ზარალია	ზარალია
2. სს იმედი ელ	ზარალია	0.079	0.133	0.122
3. სს გუდვილი	ზარალია	0.159	0.998	1.076
4. შპს „ნიკორა“	0.256	0.143	0.227	0.474
5. შპს „იფქლი დიღომი“	0	0	0	0
6. შპს სანტე	0.008	0.062	0.079	0.073
7. შპს „პსპ ფარმა“ (სავაჭრო)	-	-	0.335	0.484
8. შპს„ ავერსი ფარმა“ (მწარმოებელი)	0.096	0.079	0.031	0.021
9. შპს „წისქვილი ჯგუფი“ (რესტორანი)		(0.06)	(0.17)	1.71
15. შპს „გუდაური სქი რესორტი“ (სასტუმრო)	(0.54)	(0.45)	(0.37)	(1.07)

ამრიგად, პროცენტის ლევერიჯის მაჩვენებლები იმავე 2017-2020 წლების პერიოდში, საანალიზო საწარმოებში არასტაბილურობით ხასიათდება (იხ. ცხრილი 4.2). როდესაც პრო-

ცენტის ლევერიჯი ერთის ტოლია, ნიშნავს, რომ კომანიას შეუძლია ფინანსური ხარჯების სრულად დაფარვა, მაგრამ მოგებიდან მესაკუთრეებზე დივიდენდს ვერ გასცემს. შეაბამისად, სასურველია ის ერთზე ნაკლები იყოს. თუმცა, ასეთი საიმედო ვითარება მხოლოდ ექვს კომპანიაშია, რაც საკვლევი ობიექტების 40%-ს შეადგენს.

მაშასადამე, შესწავლილი კომპანიების ფინანსური შედეგიანობისა და რისკების ანალიზის განხილვამ აჩვენა, რომ მიუხედავად მათი დარგობრივი და მოცულობითი განსხვავებულობისა, მცირე გამონაკლისის გარდა, ყველგან მსგავსი ვითარებაა. პანდემიის შემდეგ ადგილი აქვს საწარმოთა ფინანსური შედეგების გაუარესებას ისე, რომ ფინანსური რისკების ნეგატიური შედეგები უკვე დამდგარია. მასზე დაუყოვნებელი რეაგირების გარეშე, ქვეყანაში კომპანიებიდან დასაქმებულთა მასობრივი გათავისუფლება შეიძლება დაიწყოს, რასაც მთელი რიგი სოციალური პრობლემები მოჰყვება.

წინამდებარე შრომაში განხილული საანალიზო საწარმოები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მართალია სხვადასხვა დარგიდანაა შერჩეული, მაგრამ, მათი აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და მოგების ჯამური მონაცემების საფუძველზე გამოთვლილი მომგებიანობისა და ფინანსური რისკების კოეფიციენტების ცვლილების ტენდენციები, ჩვენი აზრით, დიდი ალბათობით აჩვენებს საქართველოს „საერთო ეკონომიკური ცვლილების ტენდენციას“ და შესაძლებელია მისი განზოგადება მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. დიაგრამაზე წარმოდგენილია აქტივების მომგებიანობის, პროცენტის ლევერიჯის და კაპიტალის (ვალდებულებების) ლევერიჯის სწორედ განზოგადებული (ნაერთი) კოეფიციენტების ტენდენცია, რაც ჩვენი აზრით, იმავდროულად საქართველოს ეკონომიკის საერთო ფინანსურ სურათს წარმოაჩენს პანდემიამდე (2017-2019 წწ) და პანდემიის შემდეგ -2020 წელს (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. ბიზნესის მომგებიანობისა და ფინანსური რისკების მაჩვენებლების ტენდენციები საქართველოში

დიაგრამაზე ნათლად ჩანს მომგებიანობის მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია. კაპიტალის და პროცენტის ლევერიჯის კოეფიციენტების ზრდის ტენდენცია, რაც უარყოფით

მოვლენას წარმოადგენს. მაშასადამე, საქართველოს ეკონომიკა პანდემიის შემდეგ დიდი გამოწვევის წინაშე დგას, რაც ადეკვატური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

დასკვნა

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად დასტურდება ის პრობლემური რეალობა, რომელიც კორონა ვირუსის გამოჩენამ მთელ მსოფლიოში გამოიწვია და კაცობრიობის ცხოვრების ყველა სფეროში მოულოდნელი ცვლილებები შეიტანა. საქართველოს ეკონომიკა, რა თქმა უნდა, გამონაკლისი ვერ იქნებოდა.

კვლევა ჩატარებულია საქართველოს ეკონომიკის თორმეტი სხვადასხვა დარგის თხუთმეტი კომპანიის მაგალითზე, შესადარისი ფინანსური მაჩვენებლების საწარმოთაშორისო ანალიზის მეთოდოლოგიის საფუძველზე.

კვლევის შედეგად გამოვლინდა:

- საქართველოში მოქმედ საწარმოთა უმრავლესობას პანდემიამდეც ახასიათებდა ფინანსური რისკების მაღალი ხარისხი და არასტაბილურობა;
- პანდემიის შემდეგ ადგილი აქვს ყველა საანალიზო საწარმოთა მომგებიანობის და გადახდისუნარიანობის მნიშნელოვან ვარდნას და ნეგატიური შედეგები უკვე დამდგარია;
- შეკვეცილია გაყიდვები და კომპანიებს არ გააჩნიათ საკმარისი ფულადი სახსრები;
- შედარებით უკეთესი მდგომარეობაა იმ დარგის საწარმოებში, რომელთა პროდუქტები მაღალ მოთხოვნადია. როგორიცაა, მედიკამენტების და კვების პროდუქტების მწარმოებელი დარგები;
- პანდემიამ ისიც დაადასტურა (რაზეც მეცნიერები დიდი ხანია მიანიშნებენ), რომ დედამიწაზე მოსალოდნელია ძლიერი ბუნებრივი კატაკლიზმები, რაც დიდ დანაკარგებს და სახელმწიფოებს შორი კავშირების გაწყვეტას იწვევს.

პოსტპანდემიური კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის მიზნით, მიზაშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების იმპლემენტაცია:

- სახელმწიფოში უნდა გატარდეს სოლიდარული ეკონომიკური პოლიტიკა. მაგალითად, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ დამატებული ღირებულების გადასხადი, აქციზი და საშემოსავლო გადასახადი (ფიზიკურ პირებზე);
- მართებულად მიგვაჩნია დეგლობალიზაციის ეკონომიკური პოლიტიკის გააქტიურება, ისე, რომ ყოველი სახელმწიფო მზად იყოს სვარაუდო საყოველთაო კატაკლიზმების ვითარებაში, როცა სახლმწიფოებს შორის კავშირები წყდება, თავის შენარჩუნება და მოსახლეობის დაცვა შეძლოს;
- სოლიდარული ეკონომიკის პოლიტიკის ჭრილში, უმჯობესი იქნება, თუკი საწარმოთა მენეჯმენტი მართვაში გამოიყენებს ბენჩმარკინგის კონცეფციას ანუ რეგულარულად შეისწავლის საკუთარი საწარმოს ფინანსური შედეგიანობისა და ფინანსური რისკების ხარისხს სხვა საწარმოებთან შედარებით და საწარმოების მენეჯმნეტი წარმატებით ითანამშრომლებენ ერთმანეთთან.

მივიჩნევთ, რომ მოყვანილი რეკომენდაციების განხორციელება, ყველა საწარმოს დაეხმარება კრისიდან გამოსვლაში, გაიზრდება დასაქმება, უფრო ცივილური, სამართლიანი და სოლიდარული გახდება ეკონომიკური ურთიერთობები და შეიქმნება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა.

ლიტერატურა:

1. **ზედიანაშვილი** გივი (2021), კოვიდ-19-ის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები და ეკონომიკური განუზღვრელობის გამოწვევები. გვ. 34-38
2. **ბერიშვილი ხათუნა, ღუღუნიშვილი მარიამი** (2021), საქართველოს საგარეო ვაჭობის გაუმჯობესების პერსპექტივები covid-19 პანდემიის პირობებში. გვ: 39-45
3. **გრძელიშვილი ნოდარ, კვარაცხელია ლაურა (2021)**, ტურიზმის განვითარების რესურსული ბაზის გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრის თავისებურებები რეგიონებში, გვ: 90-106.
4. **ერქომაიშვილი გულნაზი (2021)**, კოვიდ-19 და გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. გვ: 111-117 გვ.
5. **Stephen H. Penman, Financial Statement Analysis and Security Valuation**. Fifte edition.2018
6. Izolda Chiladze (2018), Theoretical and Practical Aspects of Profitability Factorial Analysis.
   11th International Scientific Conference: Accounting and Finance: Science, Business and Public Sector Partnership.
   Journal: Science and Studies of Accounting and Finance: Problems and Perspectives, Volume 12, Number 1, pp. 12-18.
   http://erd.asu.lt/ssaf/article/view/269
   eISSN 2351-5597
   DOI: https://doi.org/10.15544/ssaf.2018.02
7. Izolda Chiladze (2019), Factorial Analysis of the Financial Leverage of the Enterprise.
   Journal: Applied Finance and Accounting Vol. 5, No. 1, February 2019 ISSN 2374-2410E-ISSN 2374-2429 Published by Redfame Publishing URL: pp. 42-48. Doi:10.11114/afa.v5i1.4063

Changes in the Financial Results and Risks of Enterprises after the Pandemic in Georgia

Izolda Chiladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Associate Professor

Tamar Toria

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

PhD Student

SUMMARY

The aim of the research is to assess the financial efficiency and quality of financial risks of enterprises before and after the pandemic in Georgia, on the example of analytical enterprises.

The research is conducted on the example of fifteen companies in twelve different fields of the Georgian economy. The research is conducted on the example of fifteen companies in twelve different fields of the Georgian economy. After the pandemic, there is a significant decline in the profitability and solvency of all analytical enterprises, when the negative results are already established. Companies do not have sufficient cash and are unable to repay liabilities.

In order to get out of the post-pandemic crisis situation, we consider it advisable to implement the following measures:

It is necessary to pursue a solidary economic policy in the state. There may be only value added tax, excise and income taxes.

Keywords: *Financial efficiency of enterprises, Interest Leverage, Capital leverage, Money turnover, Pandemic.*

აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა: გამოწვევები და შესაძლებლობები COVID -19 პანდემიის პირობებში

ეთერ ხარაიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო ლობჟანიძე

ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში გაანალიზებულია მეცნიერთა შეხედულებები აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის სფეროში პანდემიით გამოწვეული სირთულეების შესახებ. ტიპიური და ატიპიური კრიზისების შედარებითი ანალიზის გზით გამოვლენილია პროდუქტებით ვაჭრობის განვითარების ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები.

კვლევის პროცესში, შედარებითი ანალიზის გზით, დაჯგუფებულია საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის მაჩვენებლები პანდემიამდე (2018-2019 წწ.) და პანდემიის შემდეგ (2020-2021 წწ.) პერიოდებში, ამ პერიოდების მიხედვით დასაბუთებულია ვაჭრობის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები.

პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის ზრდის და შემცირების მაჩვენებლები.ს ანალიზზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში სურსათით ვაჭრობის სფეროში შექმნილ პრობლემებსა და ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე.

საკვანძო სიტყვები: *სურსათით ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი, პანდემიის გავლენა, სავაჭრო ბალანსი.*

კვლევის აქტუალურობა. საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის, მათ შორის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა, რომელიც უზრუნველყოფს გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებას, აუმჯობესებს მრავალფეროვან სურსათზე ხელმისაწვდომობას. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა განსაკუთრებით დიდია იმ ქვეყნებში, რომლებიც სურსათის იმპორტზე არიან დამოკიდებულნი. ასეთ ქვეყანა შორის განიხილება საქართველო, სადაც წლების მანძილზე ფორმირებულია აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის უარყოფითი სალდო.

ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვან ფინანსურ წყაროს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ სურსათით ვაჭრობა და გლობალური ღირებულების ჯაჭვი უშუალოდაა დაკავშირებული სოფლის მეურნეობისა და ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასთან.

COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა უპრეცედენტო გავლენა სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებზე. ქვეყნები აღმოჩნდნენ არა კლასიკური ტიპის, არამედ თვისებრივად ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე. პანდემიის გავრცელების შესაკავებლად დაწესებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია ღრმა გლობალური ეკონომიკური რეცესია, გაიზარდა სიღარიბე, წარმოიქმნა ქრონიკული სასურსათო დაუცველობა, შეფერხდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიღწეული პროგრესი. შესაბამისად, აქტუალური გახდა სასურსათო ვაჭრობის სფეროში ცვლილებების შესწავლა და COVID-19-ის გავლენის შეფასება სურსათით ვაჭრობაზე.

საქართველოში, წლების განმავლობაში, ფორმირებულია აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. პანდემიამ აღნიშნულ ტენდენციაში რიგი უარყოფითი ცვლილებები შეიტანა. შესაბამისად, აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის პრობლემების კვლევა კიდევ უფრო აქტუალური გახდა.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობაზე პანდემიის გავლენით გამოწვეული პრობლემების შეფასება და გადაჭრის გზებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის პროცესში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი მეცნიერების კვლევითი სტატიები, FAO-ს კვლევები და ანგარიშები, გაეროს ეკონომიკური კომისიის კვლევის შედეგები უშუალოდ საქართველოსთან მიმართებაში, სასურსათო პროდუქტებით მსოფლიო ვაჭრობის ანგარიშები და მონაცემთა ბაზები, პრობლემის შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის, შედარების, ისტორიული პარალელების სცენარების, ექსპერტული და სხვა მეთოდები. ჩატარებულია თვისებრივი კვლევა ტიპიური და ატიპიური კრიზისების შესახებ.

ლიტერატურის მიმოხილვა. COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვნად მსოფლიო ეკონომიკის დღის წესრიგი. შეიქმნა სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა. პანდემიის პირველმა ტალღამ გამოიწვია ღრმა გლობალური ეკონომიკური რეცესია და მრავალ ქვეყანაში გააღრმავა ქრონიკული სასურსათო დაუცველობა (FAO, 2021). ამავდროულად, ხაზი გაისვა ქვეყნის იმპორტდამოკიდებულების პრობლემას (პაპავა ვ. 2018). ექსპერტთა დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ სასურსათო კრიზისი შესაძლებელია მოკლე დროში დაწყებულიყო, განსაკუთრებით მაშინ, თუ გლობალური სურსათის მიწოდების ჯაჭვი ჩამოიშლებოდა (Glauber et al. 2020; გაერო 2020). მიწოდების ჯაჭვზე უშუალოდ არის დამოკიდებული სასურსათო ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირება (Kharaishvili E., Gechbaia B., Erkomaishvili G., Lobzhanidze M., Natsvlishvili I. 2021).

აღსანიშნავია, რომ პანდემიამდელ პერიოდშიც სასურსათო მარაგები დაუცველი იყო, მიუხედავად დაზღვევისა (Shonia N., Nozadze M., Mushkudiani Z. 2021). ამასთან, ისტორიულად სურსათის ბაზრები მყიფე იყო სხვადასხვა ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ეკონომიკური შოკების გამო.

მიმდინარე COVID-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა შეცვალა მთავრობების სასურსათო ვაჭრობის პოლიტიკა. ცვლილებები განიცადა საინვესტიციო ნაკადებისადმი ბიზნესის დამოკიდებულებამ (Shonia N., Mushkudiani Z., Siradze M. 2022). ბოლო წლების განმავლობაში, სოფლის მეურნეობის მრავალი სექტორისთვის ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც პროდუქტის ფასებზე გავლენას ახდენს მოთხოვნის ცვლილება და არა წარმოების სექტორში სხვადასხვა ფაქტორით გამოწვეული მიწოდების ცვლილებები (მაგალითად, გვალვა ან ციკლონები) (Greenville J., McGilvray H., Black S. 2020).

აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობაზე COVID-19-ის გავლენის შესახებ კვლევებით უპირატესად დასაბუთებულია, რომ პანდემიის პერიოდში აგროსასურსათო სექტორში გართულდა პროდუქტების რეალიზაცია, გზების ჩაკეტვის გამო მნიშვნელოვანი გამოწვევები შეიქმნა სურსათის მიწოდების ჯაჭვში, მომხმარებლებმა შეამცირეს აგროპროდუქტების შესაძენად ბაზარზე გასვლის სიხშირე, შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები, ცვლილებები მოხდა ექ-

სპორტისა და იმპორტის თანაფარდოებებში (Ben-xi L., ZHANG Y. 2020), შენელდა ეკონომიკური და სოციალური განვითარება (Schmidhuber and Qiao, 2020a).

პანდემიით გამოწვეულმა ფინანსურმა ქაოსმაც გაზარდა სურსათზე წვდომის რისკები. მარკეტინგის, ლოჯისტიკისა და კომერციული ქსელების შეფერხებამ და პოტენციურმა პრობლემებმა შეზღუდა სურსათზე წვდომა მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში (FAO, 2020c). მსოფლიო სურსათის პროგრამის კვლევამ აჩვენა, რომ 2020 წლისთვის COVID-19 გაზრდიდა სიღარიბეში მყოფი პირების რაოდენობას 265 მილიონამდე. ასევე, მსოფლიო კვების პროგრამის კვლევით დადგინდა, რომ COVID-19 ხელს უწყობს დაბალი ან საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებში 5 წლამდე ასაკის ბავშვების ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სიხშირის 14.3%-ით ზრდას (WFP, 2020a).

პანდემიის გავრცელება სერიოზულ საფრთხეს უქმნის სურსათის უსაფრთხოებასა და მოსახლეობის კეთილდღეობას. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ პანდემიის პირობებში არსებითი დაბრკოლებები შეექმნა სურსათის მიწოდებას როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ბაზრებზე. პანდემიის უარყოფითი გავლენის შესამცირებლად და შესაბამისი სტრატეგიების შესამუშავებლად აუცილებელია სურსათზე ხელმისაწვდომობისა და ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა (Wasito, Hermawan H., Mulyono J., Sirnawati E., Sihombing Y., Ratri D. 2021).

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საზღვრების ჩაკეტვის შემთხვევაშიც კი აუცილებელია ქვეყნებს შორის აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის გაგრძელება, უფრო მეტიც საჭიროა, მოკლევადიან პერიოდში ამ პროდუქტებით ვაჭრობის წახალისება (Headey et al. 2020). არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნებმა გააუქმონ ექსპორტის აკრძალვები და იმპორტის გადასახადები, რადგან სურსათზე ფასების მკვეთრი ცვლილების თავიდან აცილება შესაძლებელია იმპორტზე ტარიფების შემცირებით სურსათის მცირე რაოდენობით დაბალი მიწოდების გამო (Headey et al. 2020). შედეგად, სურსათით ვაჭრობის პროტექციონიზმი უნდა მოიცავდეს სხვადასხვა სახის გადასახადებს, ტარიფებს, არასატარიფო ბარიერებსა და შეზღუდვებს. თუმცა, ამ პოლიტიკის შემოღება გამოიწვევს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის განსხვავებას, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში სურსათზე ფასების ფასების მკვეთრ ზრდას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 2021 წლის ანგარიშის მონაცემებით, კოვიდ პანდემიის პირობებში სოფლის მეურნეობისა და კვების სექტორმა მიწოდების ჯაჭვის მნიშვნელოვანი შეფერხება განიცადა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისისა და მასთან დაკავშირებული ჩაკეტვის ზომების გამო. თუმცა, აღნიშნული სექტორის მწარმოებლებისა და საცალო მოვაჭრეების მოქნილობისა და მთავრობების სწრაფი და ფართო რეაგირების გამო შედეგებზე უარყოფითი გავლენა არცთუ ისე მასშტაბური იყო (OECD, 2021). 2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, 800-მდე ღონისძიება განხორციელდა მთავრობების მიერ 54 განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში. გამწვავებული შეფერხებების თავიდან აცილების, მიწოდებისა და მოთხოვნის შოკების ათვისებისა და საწარმოო საქმიანობის აღდგენის გაძლიერების მიზნით, სულ მცირე 157 მილიარდი აშშ დოლარი გამოიყო სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ამ ღონისძიებების მხარდასაჭერად, დიდი ნაწილი კი სასურსათო დახმარებას მოხმარდა (Gruere G., Brooks J. 2021). 2022 წლისათვის კი პროგნოზირებულია, რომ ამ სექტორზე COVID-19-ის პანდემიის გავლენა მოიკლებს და პოლიტიკის შემქმნელებს მოუწევთ გადაიტანონ ხარჯები ინვესტიციებზე, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს სექტორის მდგრადობა გრძელვადიან პერიოდში (AMIS 2021).

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ ფერმერთა გამოკითხვის შედეგად, დადგენილია, რომ კოვიდ პანდემიამ 2019-2020 წლებში მათ საქმიანობაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. (საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, 2020). გაეროს ეკონომიკური კომისიის 2020 წლის ანგარიშშიც დასტურდება, რომ საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეების დაახლოებით 45% შემთხვევაში შემოსავლები საგრძნობლად შემცირდა 2019-2020 წლებში (UNECE, 2020).

ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარება დადებითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობის მაჩვენებლებზე და ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ეკონომიკური კულტურული, პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას (Kharaishvili E., Gechbaia B., Zviadadze E., Mushkudiani Z., Tsilosani A. 2021).

აგროპროდუქტებით ვაჭრობა გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს ქვეყნებს, განსაკუთრებით განვითარებადს, თუმცა, ასევე, იძლევა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს საერთშორისო ბაზრებზე ნიშის მოსაპოვებლად (Kharaishvili E., Natsvlishvili I., Lazariashvili T. 2020).

აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა სასურსათო ბაზრების განვითარების მნიშვნელოვანი საშუალებაა (ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი. 2019). ამასთან, აუცილებელია სურსათის მიწოდების ჯაჭვის უწყვეტობის უზრუნველყოფა (Kharaishvili E. 2017) და მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება (Kharaishvili E., Gechbaia B., Mushkudiani Z. 2019).

FAO–მ პანდემიის საწყისი ეტაპიდანვე აღნიშნა, რომ მცირე ფერმერებს გაუჭირდებოდათ თავიანთი პროდუქტის გაყიდვა, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევდა მათი შემოსავლის შემცირებას. ამასთან, COVID-19–ით გამოწვეული პრობლემები მნიშვნელოვნად იმოქმედებდა მოსახლეობის უღარიბეს და ყველაზე დაუცველ ფენებზე და სურსათზე ხელმისაწვდომობა მკვეთრად დაირღვეოდა (FAO, 2019).

პანდემიის აფეთქებამ სოფლის მეურნეობის სექტორში უკიდურესი დაუცველობა გამოიწვია. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა ხელმისაწვდომი ინსტრუმენტის, ინსტიტუტისა და დაინტერესებული მხარის მობილიზებას (FAO, 2020).

აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის პესიმისტური და ოპტიმისტური განვითარების სცენარები (II Scenarios)

ბიბლიოგრაფიული კვლევით გამოვლინდა, რომ აგროსასურსათო სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობაზე პანდემიის გავლენის ორი სცენარი შეიძლება განვიხილოთ:

1. მათ შორის აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობაზე, პანდემია პირდაპირ გავლენას მოახდენს, უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგები არსებითი, თვალსაჩინო და ხანგრძლივი იქნება;

2. აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობაზე, პანდემიის უარყოფითი გავლენის შედეგები არ იქნება არსებითი, ზოგჯერ გავლენა უგულებელყოფილიცაა, ასევე, რიგ განვითარებად ქვეყნებში ექსპორტის სავაჭრო ზარალი მცირე იქნება.

პირველი მოსაზრება განეკუთვნება მოვლენების განვითარების *პესიმისტურ სცენარს,* რომლის მიხედვითაც დამატებითი საგარეო შოკები სამომავლოდ გლობალური მოთხოვნის ნაკლებ ზრდას გამოიწვევს, მათ შორის აგროსასურსათო პროდუქტებზე. საშუალოვადიან პერიოდში პესიმისტური სცენარი გულისხმობს დაშვებას, რომ ეკონომიკის აღდგენა ძნელად მისაღწევი იქნება და შემცირდება წარმოების პოტენციალიც. საქართველოში პესიმისტური სცენარის შემ-

თხვევაში, 2021-2024 წლებში ეკონომიკის საშუალო რეალური ზრდის ტემპი დაბალი იქნება (საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2021).

მეორე მოსაზრება ითვალისწინებს განვითარების *ოპტიმისტურ სცენარს*. საშუალოვადიან პერიოდში ოპტიმისტური სცენარი გულისხმობს გლობალური მოთხოვნის ზრდასა და მაღალ ეკონომიკურ ზრდას. საქართველოში ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, 2021-2024 წლებშიეკონომიკის საშუალო რეალური ზრდის ტემპი მაღალი იქნება (საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2021).

ჩვენი ჰიპოთეზის მიხედვით, საქართველოში სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობაზე პანდემია, რიგი ხელშემშლელი ფაქტორებისა და შეზღუდვების მიუხედავად, არსებით უარყოფით გავლენას ვერ მოახდენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შევისწავლეთ საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის მაჩვენებლები პანდემიამდე (2018-2019 წწ.) და პანდემიის შემდეგ (2020-2021 წწ.) პერიოდებში. გავითვალისწინეთ, რომ რაოდენობრივი და ღირებულებითი განზომილების მიხედვით ვაჭრობის მაჩვენებლები ზოგჯერ განსხვავებულია, რასაც პროდუქტების სხვადასხვა ფასით, ხშირ შემთხვევაში დაბალი ფასებით ვაჭრობა იწვევს. საკვლევ პერიოდებში არსებითი განსხვავება ამ მხრივ არ აღინიშნა, შესაბამისად, პროდუქტებით ვაჭრობა რაოდენობრივი მაჩვენებლებით წარმოვადგინეთ.

ჩვენი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, ორგვარი მიდგომა გამოვიყენეთ:

1. *თვისებრივი* - ტიპიური და ატიპიური ეკონომიკური კრიზისების შედარების საფუძველზე;
2. *რაოდენობრივი* - პანდემიამდე და პანდემიის შემდგომი სტატისტიკური შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

ერთი მხრივ, ტიპიური და ატიპიური ეკონომიკური კრიზისების შედარებითი ანალიზის საფუძველზე განვიხილეთ სურსათზე მოთხოვნის მდგრადობის მაგალითი, რომელიც დაფიქსირდა 2007–2008 წლებში ტიპიური - გლობალური ფინანსური კრიზისის დროს. მეორე მხრივ, გავაანალიზეთ პანდემიით გამოწვეული ატიპიური ეკონომიკური კრიზისის შედეგები, აღნიშნულ კრიზისამდე პერიოდთან შედარებითი საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორისათვის.

დიაგრამა 1. აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა გლობალური ფინანსური კრიზისის დროს



წყარო: https://daff.ent.sirsidynix.net.au/client/en_AU/search/asset/1030341/0

როგორც დიაგრამიდან ჩანს, აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა წლების განმავლობაში სტაბილურია, მიუხედავად იმისა, რომ 2007-2008 წლებში ფინანსურმა კრიზისმა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინა გლობალურ ზრდაზე (იხ. დიაგრამა 1). ანალოგიური დასკვნის გაკეთება შეიძლება საქართველოში მთლიანი სამამულო პროდუქტისა და სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულების შედარებითი ანალიზის საფუძველზე (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. მთლიანი სამამულო პროდუქტისა და სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულება 2006-2021 წწ., მლრდ ლარი



აგებულია ავტორების მიერ

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამრიგად, ფინანსური და COVID-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისები ერთამანეთისაგან არსებითად განსხვავდება, მაგრამ კრიზისის ფონზე სოფლის მეურნეობის სექტორის მდგრადობის შენარჩუნების კუთხით, მდგომარეობა მსგავსია. კერძოდ, პირველ წელს ფიქსირდება აგროპროდუქტებით ვაჭრობის შემცირება, მომდევნო წლებში კი, ჯერ კლებადი ზღვრული უკუგებით, შემდეგ კი ზრდადი ზღვრული უკუგებით ზრდა. ისევე, როგორც ტიპიური კრიზისის დროს, ჩაღრმავებული ანალიზის მიზნით, გავზომეთ აღნიშნული ორი ტიპის კრიზისის ფონზე მაკროეკონომიკური პარამატრების ცვლილებები საქართველოში. აღმოჩნდა, რომ განსხვავება ფიქსირდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეალურ მონაცემებში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბოლო მონაცემებით პანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზეც შეინიშნება სოფლის მეურნეობის სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, რაც ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა, მით უფრო ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მონაცემების ფონზე (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში, საქართველო 2007-2021 (მლნ აშშ დოლარი)



აგებულია ავტორების მიერ

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამრიგად, ფინანსური კრიზისისაგან განსხვავებით მიმდინარე პერიოდში შედარებით კომ-პლექსური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მომცველი კრიზისია. თუმცა, ჩვენი ჰი-პოთეზის დასამტკიცებლად, რომ ზემოთაღნიშნული დასკვნა ოპტიმისტური სცენარის განვითარე-ბას ხელს არ უშლის, გავაანალიზებთ აგროსაურსათო პროდუქტებით ვაჭრობის მაჩვენებლებს.

პანდემიამდე პერიოდში მონაცემების შესწავლამ გვიჩვენა, რომ 2019 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია 889.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქტები, რაც 8.0%-ით ნაკლებია 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ქვეყნების მიხედვით მაჩვე-ნებლების ანალიზით კი გამოიკვეთა, რომ 2018-2019 წლებში აგროსასურსათო პროდუქტების ექ-სპორტი შემცირებულია ევროკავშირის ქვეყნებში (12%-ით), რაც ძირითადად სპირტიანი სასმელე-ბის ექსპორტის შემცირებამ გამოიწვია (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. ექსპორტი ძირითადი ქვეყნების მიხედვით, მლნ აშშ დოლარი



აგებულია ავტორების მიერ

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტში შემდეგი დადებითი ტენდენციები გამოვლინდა: პანდემიამდე პერიოდში ექსპორტი ყველაზე მეტად გაზრდილია რუსეთში, ბელარუსში, უკრაინაში, საუდის არაბეთში, ჩინეთში, გერმანიასა და მოლდოვაში. აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მოცულობა შემცირდა შემდეგ ქვეყნებში: აზერბაიჯანში, ყაზახეთში, ირანში, თურქეთში, ესპანეთში, უზბეკეთში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, პერუსა და ავსტრიაში.

ძირითადი საექსპორტო პროდუქტების მიხედვით მაჩვენებლების შესწავლამ აჩვენა, რომ თუ საქართველოდან განხორციელებულ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში მხედველობაში არ მივიღებთ სიგარეტისა და თამბაქოს ექსპორტს (ძირითადად, რეექსპორტი), პანდემიამდელ პერიოდში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 3%-ით არის გაზრდილი (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5. ძირითადი პროდუქტების ექსპორტი 2018-2019 წლებში, მლნ აშშ დოლარი



აგებულია ავტორების მიერ
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პროდუქტების მიხედვით ექსპორტის თვალსაზრისით, შემდეგი დადებითი ტენდენციები აღინიშნა: გაიზარდა ღვინის, მინერალური და მტკნარი წყლების, ცოცხალი ცხვრის, ციტრუსის, თამბაქოს, კურკოვანი ხილის ექსპორტი. უარყოფითი ტენდენციებიდან აღსანიშნავია, რომ შემცირდა სიგარეტის, ცხვრის ხორცის, ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, თევზის ქონისა და თევზის ფქვილის ექსპორტი.

2019 წელს იმპორტირებულია 1 251.7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქტები, რაც 7.5%-ით ნაკლებია 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2018-2019 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა თამბაქოს, სპირტიანი სასმელების, ციტრუსის,გაყინული თევზის და ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, გამომშრალი ან შებოლილის იმპორტი. ამავე პერიოდში, სხვა პროდუქტებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა სიგარეტის, ეთილის სპირტის, კაკლოვნების (ძირითადად ფისტა), ხორბლის, შაქრის და კოპტონის და სხვა მყარი ნარჩენების (მიღებული სოიოს ზეთის ექსტრაჰირებისას) იმპორტი.

ექსპორტ-იმპორტის შედარებითი ანალიზის საფუძველზე 2018-2019 წლებში, წინა წლების მსგავსად, სავაჭრო ბალანსი უარყოფითია (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6. აგროსასურსათო პროდუქციის სავაჭრო ბალანსი, მლნ დოლარი



აგებულია ავტორების მიერ
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წელს, წინა წელთან შედარებით, უარყოფითი სავაჭრო სალდო 9.6 %-ით არის შემცირებული.

ამრიგად, პანდემიამდე პერიოდში (2018-2019 წწ.) უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი სავაჭრო სალდო შემცირებულია, თუმცა, ცალკეული პარამეტრის შესწავლისას ვადგენთ, რომ ექსპორტიც და იმპორტიც შემცირებულია. შესაბამისად, აღნიშნული დადებითი ტენდენცია გამოწვეულია იმპორტის შემცირებით.

რაც შეეხება პანდემიის პერიოდში (2020-2021 წწ.) ექსპორტ-იმპორტის მონაცემებს, 2021 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია 1 143 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქტები, რაც 21%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ქვეყნების მიხედვით აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის მაჩვენებლების ანალიზმაც გვიჩვენა, რომ თითქმის ყველა ქვეყანასთან გაზრდილია ექსპორტის მოცულობა (იხ. დიაგრამა 7).

2021 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი (386 მლნ დოლარი), ევროკავშირი (185.4 მლნ დოლარი), უკრაინა (108.5 მლნ დოლარი), აზერბაიჯანი (108.1 მლნ დოლარი), სომხეთი (88.4 მლნ დოლარი) და ბელორუსი (34.9 მლნ დოლარი).

დიაგრამა 7. ექსპორტი ძირითადი ქვეყნების მიხედვით, მლნ აშშ დოლარი



აგებულია ავტორების მიერ

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პანდემიის პერიოდში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებშიც (14%-ით), გაიზარდა, რაც ძირითადად განაპირობა თხილის, ღვინის, მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტის ზრდამ. უნდა აღინიშნოს, რომ მტკნარი და მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანიები 2020-2021 წლების პერიოდში მაქსიმალურად ცდილობდნენ ცდილობდნენ პროდუქტზე ფასების შენარჩუნებას შიგა ბაზარზე მოგების მარჟის შემცირების ხარჯზე (ლობჟანიძე ნ. 2021). ექსპორტის მიმართულებით შემდეგი დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა: 2021 წელს, წინა წელთან შედარებით აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ღირებულების მნიშნელოვანი ზრდა ფიქსირდება რუსეთში (34%), სომხეთში (64%), უკრაინაში (16%), იტალიაში (53%), საუდის არაბეთსა (89%) და აზერბაიჯანში (8%).

ექსპორტის მიმართულებით უარყოფითი ტენდენციებიდან აღსანიშნავია: პანდემიის პერიოდში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება, რაც გამოვლინდა თურქეთსა და ყაზახეთში, შესაბამისად (19%) და (10%).

ძირითადი პროდუქტების მიხედვით ექსპორტის მაჩვენებლები შემდეგი იყო (იხ. დიაგრამა 8).

დიაგრამა 8. ძირითადი პროდუქტების ექსპორტი, მლნ აშშ დოლარი



აგებულია ავტორების მიერ

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ძირითადი პროდუქტების მიხედვით ექსპორტის შემდეგი დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა: პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება ღვინის (14%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელების (85%), მინერალური და მტკნარი წყლების (22%), კაკლოვანი ხილის (ძირითადად თხილი) (26%), სპირტიანი სასმელების (18%) და კარტოფილის (16-ჯერ) ექსპორტში.

გარდა ზემოთ აღნიშნული პროდუქტებისა, 2021 წლის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით გაიზარდა შემდეგი პროდუქტების ექსპორტი: ატმისა და ვაშლატამას (35%-ით), მანდარინის (19%-ით), მოცვის (49%-ით), მწვანილის (28%-ით), პომიდორის (58%-ით), საზამთროს (უმნიშვნელოდ), თაფლის (დაფიქსირდა ექსპორტის რეკორდული მაჩვენებელი - 657 ათას აშშ დოლარი, ექსპორტი 19 ქვეყანაში განხორციელდა, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში: საფრანგეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი და გერმანია).

უარყოფითი ტენდენციებიდან აღსანიშნავია: პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვანი კლება, რაც დაფიქსირდა თევზის ქონის, კარაქის, მრპ-ს გაყინული ხორცის, თევზის ფქვილის, და გაყინული თევზის ექსპორტში.

აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტის მიმართულებით შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა: პანდემიის პერიოდში იმპორტის მოცულობა 11%-ით გაიზარდა. საკვლევ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მარგარინის, შოკოლადის ნაწარმის, სიგარეტის, შაქრის, თამბაქოს შემცვლელების და ხორბლის ფქვილის ამავე პერიოდში, სხვა პროდუქტებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა ხორბლის, ხახვის, გაყინული თევზის, ვაშლის და ციტრუსის იმპორტი.

თუ აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის ბალანსის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კვლავ შენარჩუნებულია (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი პანდემიის პერიოდში



აგებულია ავტორების მიერ

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პანდემიამდე და პანდემიის პერიოდების მატრიცული შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ პანდემიის მიუხედავად დადებითი ტენდენცია შეინიშნება, რაც განპირობებულია 2021 წლის მონაცემებით.

უნდა აღინიშნოს, რომ აგროპროდუქტებით ვაჭრობის ბალანსის უარყოფითი სალდო კლების ტენდენციით ხასიათდება. 2021 წელს 2018 წელთან შედარებით მოცემული უარყოფითი სალდოს თითქმის 2-ჯერ კლებაა დაფიქსირებული. აღნიშნული ტენდენციის განვითარებას ერთგვარად ხელი შეუწყო სახელმწიფო მხარდაჭერამ, ქართულ ბაზარზე მოქმედ კომპანიებს საქართველოში პანდემიის ცალკეული ტალღების განმავლობაში რამდენიმე სახის შეღავათი შესთავაზეს. (Lobzhanidze N. 2021). 2020 წლის 23 მარტის საქართველოს მთავრობის ბრძანების (N185) საფუძველზე, სახელმწიფომ 10 მილიონი ლარი გამოყო იმპორტირებული პროდუქციის ფასების სუბსიდირებისთვის 9 აგროსასურსათო პროდუქტის ფასების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული 9 პროდუქტია: მაკარონი, ბრინჯი, წიწიბურა, ზეთი, შაქარი, ხორბალი, ხორბლის ფქვილი, რძის ფხვნილი, ლობიო. მათგან სუბსიდიის თითქმის ნახევარი (48,78%) ხორბალზე მოდიოდა (MOF, 2021).

დასკვნა. კვლევით დადასტურდა, რომ აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის სექტორი შედარებით მდგრადია ტიპიური და ატიპიური ტიპის კრიზისების მიმართ, რაც სამომავლოდ წარმოების გაფართოებისა და ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვან პოტენიცალს წარმოადგენს. ოპტიმისტური სცენარის განსავითარებლად მეტად მნიშვნელოვანია, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული პრობლემების კოორდინირებულად მართვა პროცესში ჩართული გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან - სამედიცინო სექტორი, ფერმერები, ბიზნესის წარმომადგენლები, პოლიტიკის შემქმნელები, მომხმარებლები, საზოგადოება. ამასთან, გადახედვას საჭიროებს ეკონომიკურ მეცნიერებაში ანალიზის ის მეთოდები და მეთოდოლოგიები, რომლებიც ვაჭრობის სფეროს ციფრიზაციის პრობლემებთან არის დაკავშირებული.

ამასთან, პანდემიისა და პოსტპანდემიურ პერიოდებში შესაფასებელი იქნება მიწოდების ჯაჭვის რისკები, ასევე, საჭიროა ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება გრძელვადიანი შედეგების განსაზღვრისათვის, თუნდაც განვითარების რამდენიმე სცენარის ფორმულირებისა და ეკონომიკური რესურსების ოპტიმალური მობილიზაციის გზით.

ლიტერატურა:

1. ლობჟანიძე ნ. (2021). „კორონავირუსის (Covid-19) გავლენა წყლის ინდუსტრიაზე: ძირითადი გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოში“, ჟურნალი „ეკონომისტი“, 2021 (01), http://dx.doi.org/10.36172/EKONOMISTI.2021.XVII.01.LOBZHANIDZE
2. პაპავა, ვ. (2018). „საქართველოს ეკონომიკა „ტურისტულ ხაფანგში“, რონდელის ფონდის ბლოგი.
3. ღაღანიძე გ, (2016), „მომსახურების ექსპორტის განვითარების პოტენციალი საქართველოში“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N4, გვ. 143-150.
4. ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი., „ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა“. (2019). *ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“*, #8
5. Ben-xi L., ZHANG Y. (2020) “Impact of the COVID-19 pandemic on agricultural exports”. https://doi.org/10.1016/S-2095-3119(20)63430-X
6. Greenville J., McGilvray H., Black S. (2020). “Australian agricultural trade and the COVID-19 pandemic”. https://www.awe.gov.au/abares/products/insights/australian-agricultural-trade-and-the-covid-19-pandemic
7. Gruère, G. Brooks J. (2021). “Viewpoint: Characterising early agricultural and food policy responses to the outbreak of COVID-19”, Food Policy, Vol. 100, p. 102017, http://dx.doi.org/10.1016/j.foodpol.2020.102017
8. Headey D., Heidkamp R., Osendarp S., Ruel M., Scott N., Black R. (2020). “Impacts of COVID-19 on childhood malnutrition and nutrition-related mortality”, Volume 396, Issue 10250, https://doi.org/10.1016/S0140-6736(20)31647-0
9. Kharaishvili E. (2017). “DIRECTIONS FOR IMPROVING THE SUPPLY CHAIN IN THE AGRO-FOOD SECTOR OF GEORGIA”. In *Foresight management: formation and transformation adaptive business organizations.* International collective monograph. Volume 2. Section 6.: 6.2. p. 268. Tbilisi-Kherson
10. *Kharaishvili E., Gechbaia B.,* Erkomaishvili *G., Lobzhanidze M.,* Natsvlishvili *I. (*2021). “Shipping policy of agri-food products and the formation of food markets in Georgia. MATEC Web Conf. Volume 339, 2021. International Conference on Sustainable Transport System and Maritime Logistics (ISTSML 2021)
11. Kharaishvili E., Gechbaia B., Mushkudiani Z. (2019). “The trends of producing agro-food products and export innovative marketing strategy in Georgia”. *Economics. Ecology. Socium*, 3(3), 1-10.
12. Kharaishvili E., Natsvlishvili I., Lazariashvili T. (2020). Bio-products market in Georgia: current challenges and development perspectives, International Journal of Markets and Business Systems, Volume 4, Issue 1
13. Kharaishvili E., Gechbaia B., Zviadadze E., Mushkudiani Z., Tsilosani A. (2021). “Trade and Economic Relations Between Georgia and the Czech Republic: Challenges in Export and Import of Agri-Food Products”. E3S Web Conf. Volume 280, 2021 Second International Conference on Sustainable Futures: Environmental, Technological, Social and Economic Matters
14. Lobzhanidze, N. (2021). The impact assessment of competitiveness on export growth in Georgian mineral water sector (based on econometric model). *Economics. Ecology. Socium*, 5(1), 1-12, http://dx.doi.org/10.31520/2616-7107/2021.5.1-1
15. Lusk J. et al. (2020). “Economic Impacts of COVID-19 on Food and Agricultural Markets,, Cast Commentary, Council for Agricultural Science and Technology (CAST), Ames IA, https://www.cast-science.org/publication/economic-impacts-of-covid-19-on-food-andagricultural-markets/
16. Papava V. (2020). “On the Reflection of Coronomics in Economic Science and Economic Policy. *Globalization and Business*, 10, 15-24. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.001
17. Saima Hd., Yaseen M..(2021). “Global Agri-Food Sector: Challenges and Opportunities in COVID-19 Pandemic” https://doi.org/10.3389/fsoc.2021.647337
18. Sharma D., Bouchaud J-P., Gualdi S., Tarzia M., Zamponi F. (2021). V–, U–, L– or W–shaped economic recovery after Covid-19: Insights from an Agent Based Model. PLoS ONE 16(3): e0247823. https://doi.org/10.1371/journal.pone.0247823
19. Shonia N., Mushkudiani Z., Siradze M. (2022). “Pandemic era and its impact on the investment and business environment –Georgian case. 3.1(1) Access to science, business, innovation in digital economy”, ACCESS Press. https://doi.org/10-.46656/access
20. Shonia N., Nozadze M., Mushkudiani Z. (2021). “AGRICULTURAL INSURANCE AND PROSPECTS FOR ITS DEVELOPMENT IN GEORGIA”. European Science Review № 5–610. 29013/ESR-21-5.6-95-98http://ppublishing.org/upload/i-block/749/ESR-5-6_2021.pdf?fbclid=IwAR0zE9IpQLbqcqyZ1wKRW17Hu7aIYKUzvzplK32nh9knohg8hTfqLDuGRZw
21. Vickers B., Ali S., Zhuawu C., Zimmermann A., Attaallah H., Dervisholli E. (2020). “Impacts of the COVID-19 Pandemic on Food Trade in the Commonwealth” https://thecommonwealth.org/sites/default/files/inline/ITWP-2020_15_UPDF.pdf

22. Wasito, Hermawan H., Mulyono J., Sirnawati E., Sihombing Y., Ratri D. (2021). Covid-19: impact on agricultural and anticipate strategies. E3S Web of Conferences 306, 02016 https://doi.org/10.1051/e3sconf/202130602016
23. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია. (2020). „Covid 19 Impact on Georgian Farmers and Agriculture"
24. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. (2021). მაკროეკონომიკური პროგნოზები, http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Macroeconomic_Forecasts_December_2020_GE_FINAL2020.pdf
25. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2021). მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი https://www.mof.ge/images/File/2022-biujeti/01-10-2021/danartebi/scenarebis%20analizi.pdf
26. Agricultural Trade & Policy Responses during the first wave of the COVID-19 pandemic in 2020. https://reliefweb.int/report/world/agricultural-trade-policy-responses-during-first-wave-covid-19-pandemic-2020
27. AMIS. (2021). Agricultural Market Information System, http://www.amis-outlook.org/
28. FAO. (2020). Extension and advisory services: at the frontline of the response to COVID-19 to ensure food security. 17 April 2020. http://www.fao.org/3/ca8710en/CA8710EN.pdf
29. FAO. (2021). "AGRICULTURAL TRADE & POLICY RESPONSES DURING THE FIRST WAVE OF THE COVID-19 PANDEMIC IN 2020". Food and Agriculture Organization of the United Nations Rome, 2021 https://www.fao.org/3/cb4553en/cb4553en.pdf
30. FAO, IFAD, UNICEF, et al. (2019). The State of Food Security and Nutrition in the World 2019, Safeguarding against economic slowdowns and downturns. Rome, FAO. (10) (PDF) COVID-19 and its Global Impact on Food and Agriculture. Available from: https://www.researchgate.net/publication/341380033_COVID-19_and_its_Global_Impact_on_Food_and_Agriculture
31. FAO-OECD. (2021 forthcoming). Survey on G20 Agricultural Resilience and Risk Management: Summary note of the G20 survey, Rome
32. OECD. (2021). "Keep calm and carry on feeding: Agriculture and food policy responses to the COVID-19 crisis"
33. UNECE. (2020). Survey of Georgian MSMEs

Agri-food Trade: Challenges and Opportunities under the COVID-19 Pandemic

Eter Kharaishvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nino Lobzhanidze
Doctor of Economics, Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The paper analyzes the views of scientists on the difficulties caused by the pandemic in the field of trade in agri-food products. Comparative analysis of typical and atypical crises reveals optimistic and pessimistic scenarios for the development of trade in products.

In the research process, through comparative analysis, the indicators of trade in agro-food products of Georgia in the pre-pandemic (2018-2019) and post-pandemic (2020-2021) periods are analyzed.

Based on the analysis, conclusions have been drawn and recommendations have been developed on food trade problems taking into consideration the COVID-19 crisis.

Key words: *food trade, export, import, pandemic impact, trade balance.*

უმაღლესი განათლების გამოწვევები COVID -19 პანდემიის პირობებში

მედეა ხარაიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი ადამიანისეული კაპიტალია. სტატიაში განხილულია უმაღლესი განათლების გავლენა ადამიანისეული კაპიტალის ღირებულებაზე და ადამიანისეული კაპიტალის გავლენა დასაქმების ეფექტიანობაზე. ყურადღება გამახვილებულია კოვიდ-19 პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენების შედეგზე. განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული და გრძელვადიან შედეგებზე გათვლილი სფეროებია. ადამიანისეული კაპიტალის მაღალი დონის მქონე ქვეყნებს აქვთ უფრო მაღალი ხელფასები, მეტი ინოვაცია, უფრო სწრაფი მოსახლეობისა და დასაქმების ზრდა და უფრო დიდი პერსპექტივები, რადგან ეკონომიკა იცვლება დროთა განმავლობაში. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ რომელი ფაქტორები უწყობს ხელს ადამიანისეული კაპიტალის დონეების დიდ განსხვავებას ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია უმაღლესი განათლების სისტემის არსებობა. ბიზნესის განვითარება დამოკიდებულია მაღალ ტექნოლოგიური დონეზე, აღნიშნული ზრდის მოთხოვნას უმაღლესი განათლების მქონე მუშაკებს, რაც, თავის მხრივ, რაც იწვევს ადამიანისეულ კაპიტალზე მოთხოვნის ზრდას.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნები უმაღლესი განათლების გამოწვევებზე პანდემიის პირობებში და წარმოდგენილია პრობლემის გადაჭრის რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *ადამიანისეული კაპიტალი, უმაღლესი განათლება, დასაქმება, კოვიდ -19 პანდემია.*

უმაღლესი განათლების მიღება, ადამიანის განათლებისა და თვითრეალიზაციის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანწილად განმსაზღვრელი ფაქტორია.

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისათვის საჭიროა მოსახლეობისათვის განათლებისა და სასწავლო დაწესებულებების უზრუნველყოფა. განათლებაში ინვესტიციების გაზრდა უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას. ადამიანისეული რესურსების სწორად გამოყენება დამოკიდებულია განათლების, გადამზადების და სამრეწველო გამოცდილების სისტემაზე. ხალხის ზოგადი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის აუცილებელია ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირება განათლებისა და გადამზადების უზრუნველსაყოფად (Kwatiah N. 2016).

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადება და ადეკვატური უმაღლესი განათლების მიცემა, ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. ცოდნა და გამოცდილება, რასაც სტუდენტი იძენს უმაღლეს სასწავლებელში, აისახება მის მდგომარეობაზე, დისციპლინაზე, კვალიფიკაციაზე, ცხოვრების წესზე. განათლების დონე, კი განსაზღვრავს ადამიანისთვის შესაძლებლობას, მოიძიოს სასურველი სამუშაო ადგილი და მოახდინოს თვითრეალიზაცია.

უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა რაოდენობის ზრდა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სასწავლებელთა ეფექტიან ფუნქციონირებაზე, რასაც ხელი უნდა შეუწყოს სწავლის ხარისხის მართვამ, პერსონალთა კვალიფიკაციამ, პროცესების ადმინისტრირებამ, ფინანსურმა სტაბილურობამ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ და ა.შ.

კოლეჯებსა და უნივერსიტეტებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებაში, მისი ადამიანისეული კაპიტალი უნარებისა და ცოდნის გაღრმავების გზით. გარდა ამისა, უნივერსიტეტებში კვლევითი საქმიანობით შექმნილმა ცოდნამ და ტექნოლოგიებმა შეიძლება არა მხოლოდ მიიზიდოს ახალი ფირმები, არამედ დაეხმაროს არსებულ ბიზნესებს გაფარ-

თოებასა და ინოვაციაში. აღნიშნულის „გადამდებმა ეფექტებმა," თავის მხრივ, შეიძლება გაზარდოს მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ მუშაკებზე.

უნივერსიტეტების მიერ წარმოქმნილი ეკონომიკური აქტივობის შეფასების ჩვეულებრივი მიდგომები ხშირად ფოკუსირებულია უშუალოდ დასაქმების ან დანახარჯების ეფექტიანობაზე, მულტიპლიკატორულ ეფექტთან ერთად არაპირდაპირი და გამოწვეული შედეგების დასაფიქსირებლად. თუმცა, უნივერსიტეტების პოტენციური გავლენა სცილდება ამ სტანდარტულ ინდიკატორებს მნიშვნელოვანი მიზეზის გამო: ინსტიტუტებს შეუძლიათ დაეხმარონ ქვეყნის მოსახლეობის ცოდნისა და უნარების, ანუ ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური წარმატების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მართლაც, ადამიანისეული კაპიტალის უფრო მაღალი დონის მქონე ქვეყნებს აქვთ უფრო მეტი ეკონომიკური აქტივობა და უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდა. გარდა ამისა, მისი მუშები უფრო პროდუქტიულები არიან და მაღალ ხელფასს იღებენ.

ქვეყნის უმაღლესი განათლება ადამიანისეული კაპიტალის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თუმცა, კურსდამთავრებულთა შორის მიგრაციის მაღალი მაჩვენებლები ამცირებს ამ ზრდას ქვეყნის უმეტეს ნაწილში. უნივერსიტეტებში კვლევითი საქმიანობების შედეგად შექმნილმა ცოდნამ და ახალმა ტექნოლოგიებმა ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ ბიზნესს განვითარებაში და ასევე შეუძლია ახალი ფირმების მოზიდვა ამ სფეროში - რაც თავის მხრივ ზრდის მოთხოვნას მაღალკვალიფიციურ მუშაკებზე.

დიდი ხანია აღიარებულია, რომ ადამიანისეული კაპიტალი ხელს უწყობს ეკონომიკურ წარმატებას.

ადამიანისეული კაპიტალის მაღალმა დონემ ქვეყანაში შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკური აქტივობის. თუმცა, ადამიანისეული კაპიტალის უფრო მაღალი დონის მთლიანი ეფექტი ეკონომიკურ აქტივობაზე უფრო დიდია, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი. ადამიანისეული კაპიტალის გეოგრაფიული კონცენტრაცია ხელს უწყობს იმას, რასაც ეკონომისტები მოიხსენიებენ, როგორც „ცოდნის გავრცელება" - ცოდნისა და უნარების გადაცემა ერთი ინდივიდიდან მეორეზე. ერთმა ადამიანმა შეიძლება, დაკვირვებისა და კომუნიკაციის გზით ისწავლოს უნარები მეორისგან; ალტერნატიულად, ინდივიდებს შორის იდეების გაზიარებამ შეიძლება შექმნას ახალი შეხედულებები, რომლებიც გაზრდის ჯგუფის ცოდნას. როდესაც ადამიანები ზრდიან თავიანთ ცოდნას ამ გზით, ისინი ქმნიან მეორად გზას, რომელიც ზრდის ადამიანისეულ კაპიტალს, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს ქვეყნის პროდუქტიულობას, წაახალისებს ინოვაციას და ეკონომიკურ ზრდას.

მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკების დიდი რაოდენობის დასაქმების გარდა, უმაღლეს განათლებას აქვს პოტენციალი ადგილობრივი ადამიანისეული კაპიტალის დონის ამაღლების ორი სხვა გზით. უპირველეს ყოვლისა, რომ ამ ინსტიტუტებს შეუძლიათ გაზარდონ ადამიანისეული კაპიტალის მიწოდება კვალიფიციური მუშახელის გამომუშავებით.

კურსდამთავრებულები უშუალოდ ზრდიან ადამიანისეულ კაპიტალს ქვეყანაში, თუ ისინი დარჩებიან რეგიონში და შედიან ადგილობრივ შრომის ბაზარზე. მეორე - კვლევებისა და განვითარებადი საქმიანობის დიდი ნაწილი უნივერსიტეტებში ხდება.

კვლევისა და განვითარების აქტივობებმა, ასევე, შეიძლება გაზარდოს ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალის დონეები, თუ ადგილი აქვს ადგილობრივ ეკონომიკაში განვითარებას, რაც

ზრდის მოთხოვნას ადამიანისელ კაპიტალზე, მიუხედავად იმისა, წარმოიქმნება თუ არა ეს ადამიანისეული კაპიტალი ადგილობრივად.

ეროვნულ დონეზე, უნივერსიტეტები აწარმოებენ მეტ ხარისხს, ისინი პირდაპირ ზრდიან ადამიანისეული კაპიტალის დონეს მთელი ქვეყნისთვის. თუმცა, ეს ურთიერთობა ყოველთვის არ არის ადგილობრივ დონეზე. იმის გამო, რომ კურსდამთავრებულები ძალიან მობილურები არიან, ყოველთვის არ არის მართებული, რომ ქვეყნებში, რომლებიც უფრო მეტ კურსდამთავრებულს გამოუშვებენ, ექნებათ უფრო მეტი ადამიანისეული კაპიტალი, რადგან შრომის ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის კომპლექსური ფაქტორები მოქმედებს.

მაშინ, როცა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შეიძლება სურდეთ დარჩეს იმ რეგიონში, სადაც მათ მიიღეს ხარისხი, მათ შეიძლება ვერ იპოვონ შესაბამისი სამუშაო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არასაკმარისმა ადგილობრივმა მოთხოვნამ ადამიანისეულ კაპიტალზე შეიძლება შეაფერხოს ახალი კურსდამთავრებულების შესაძლებლობა - იპოვონ სამუშაო. მეორე, ზოგიერთი კურსდამთავრებული შეიძლება არ იყოს დაინტერესებული ამ ტერიტორიაზე დარჩენით, ამიტომ ისინი არ დაემატებიან ადგილობრივ ადამიანისეულ კაპიტალს.

კავშირი აკადემიურ კვლევებსა და ადგილობრივ ბიზნეს საქმიანობას შორის შეიძლება მრავალი ფორმით იყოს წარმოდგენილი. ერთია, როდესაც ადგილობრივი ბიზნესი იყენებს უნივერსიტეტის ცოდნას და კვლევით ობიექტებს პროდუქტებისა და სერვისების შესაქმნელად. უნივერსიტეტებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ადამიანისეული კაპიტალის მიწოდებისა და მოთხოვნის გაზრდას ხარისხების გამომუშავებით და კვლევით საქმიანობაში ჩართულობით. შედეგად, უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში.

მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ადამიანისეული კაპიტალის გაძლიერების მცდელობისას პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა განიხილონ რიგი საკითხები. ჯერ ერთი, მაშინ უნივერსიტეტები ზრდიან ადამიანისეული კაპიტალის მიწოდებას, არსებობს მხოლოდ მცირე პოზიტიური ურთიერთობა. ამ ინსტიტუტების მიერ წარმოებულ ადამიანურ კაპიტალსა და ადამიანური კაპიტალის ადგილობრივ მარაგს შორის. ამგვარად, პოლიტიკის შემქმნელებს აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები, აამაღლონ ადამიანისეული კაპიტალის დონე ქვეყანაში, თუ ისინი ყურადღებას გაამახვილებენ მხოლოდ ადგილობრივი კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდაზე. შრომის ბაზრის მოთხოვნის მხარე მნიშვნელოვანი ფაქტორია - ადგილობრივ კურსდამთავრებულებს სჭირდებათ სამუშაო შესაძლებლობები, რათა არ მოხდეს მისი მიგრაცია.

შესაბამის ეკონომიკურ პოლიტიკას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ბაზრის ამ მხარის ჩამოყალიბებაში. კერძოდ, ადგილობრივი უნივერსიტეტების კვლევის განზომილების გაძლიერებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ადგილობრივ ეკონომიკაში გავრცელებას, დაეხმაროს ადგილობრივ ბიზნესს გაფართოებაში და სამუშაო ადგილების შექმნაზე, რომლებიც საჭიროებენ მაღალ ადამიანისეულ კაპიტალს. ამ პროცესს შეუძლია გაზარდოს მოთხოვნა კვალიფიციურ მუშახელზე, იქნება ეს მუშები თუ კურსდამთავრებულები, რომლებიც წარმოებულია ადგილობრივად თუ სხვაგან იმპორტირებული. ამრიგად, პოლიტიკის შემქმნელებს, რომლებიც ცდილობენ გაზარდონ ადამიანისეული კაპიტალი ადგილობრივი კოლეჯებისა და უნივერსიტეტების მეშვეობით, შეიძლება მოისურვონ ადგილობრივი შრომის ბაზრის მიწოდების და მოთხოვნის მხარეების განხილვა, რათა მათ შეძლონ ადამიანისეული კაპიტალის მოზიდვა და შენარჩუნება (Jaison R. Abel and Richard Deitz, 2011),

მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი ეკონომიკური ძალები მუშაობენ ადამიანისეული კაპიტალის განაწილების განსაზღვრაზე, აკადემიური ინსტიტუტების პოტენციალის უფრო ეფექტიანად გამოყენების გზების პოვნა შეიძლება პერსპექტიული გზა იყოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისკენ.

განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდამ, შეამცირა უთანასწორობა არა მხოლოდ ქვეყნებს შორის, არამედ ქვეყნების შიგნითაც.

ბოლო გამოწვევებმა, როგორიცაა გლობალიზაცია, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა და ტექნოლოგიური ევოლუცია, ხელი შეუწყო ბევრ ქვეყანას და ორგანიზაციას, რომ ახალი მეთოდებით მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა. საპასუხოდ, გაბატონებულია აზრი, რომ წარმატება დამოკიდებულია ადამიანების ინდივიდუალურ კომპეტენციის მაღალ დონეზე. საბოლოო ჯამში, ხალხი ხდება ღირებული აქტივი და შეიძლება აღიარებული იყოს კაპიტალის ფარგლებში.

ადამიანისეული კაპიტალის შექმნის მეთოდი შეიძლება განისაზღვროს ორ ტიპად. პირველი არის კლასიკური ეკონომიკური თვალსაზრისით ,,ადამიანის შრომისუნარიანი" გამოყენება. ეს მნიშვნელობა ასახავს იმას, რომ ეკონომიკურმა დამატებითმა ღირებულებამ გენერირება მოახდინა შრომისუნარიანობის სხვა საშუალებებით, როგორიცაა ფინანსური კაპიტალი, მიწა, დანადგარები და შრომითი საათი. მეორე - ეფუძნება იმას, რომ ინვესტიციები ფიზიკური კაპიტალში აჩვენებს იგივე ეფექტიანობას, რაც ინვესტიციები ადამიანის კაპიტალში. იმის გათვალისწინებით, რომ, ადამიანისეული კაპიტალი ექსპანსიურად შეიცავს "ადამიანის შემოქმედს", რომელიც აერთიანებს ცოდნას, უნარებს, კომპეტენციებს და გამოცდილებას (The 3rd OECD World Forum; Korea - 27-30 October 2009).

ადამიანისეული კაპიტალის ამგვარი დაგროვება სწავლის პროცესში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბევრ სექტორში. მაკრო ასპექტების გათვალისწინებით, მრავალი მკვლევარი ასახელებს, რომ ინვესტიციები ადამიანისეული კაპიტალის განათლებასა და გადამზადებაში ზეგავლენას ახდენს ინდივიდუალურ ხელფასზე, ფირმების პროდუქტიულობასა და ეროვნული ეკონომიკის ზრდაზე. მიკრო ასპექტით - აჩვენებს, რომ ფირმის ძირითადი კომპეტენციები ან კონკურენტული უპირატესობა გამოწვეულია ადამიანისეული კაპიტალის ინვესტიციით, რომელიც შეესაბამება პოტენციალის შექმნის მნიშვნელობას.

2020 წლიდან, მსოფლიოში განვითარებულმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ, დღის წესრიგში აქტიურად დააყენა დისტანციურად განათლების მიღების მეთოდი. გარდა იმისა, რომ აღნიშნულ მეთოდი უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომია, მობილურია არჩევნის თავისუფლება, ზოგავს დროს და ფინანსურ რესურსებს, საშუალება ეძლევა განათლების მიღების მსურველებს კოვიდ-19-ით გამოწვეული შეზღუდვების მიუხედავად, არ შეწყვიტონ კავშირი სასწავლო დაწესებულებებთან და მიეღოთ შესაბამისი განათლება.

თანამედროვე განათლების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ტექნოლოგიურ პროგრესს, ეს პროგრესი შეუქცევადი პროცესია და მის მოთხოვნების გათვალისწინება სასურველია. საჭიროა მისი მუდმივი განახლება, რათა სტუდენტების მოთხოვნები, დროსთან ერთად სწრაფად იცვლება და სიახლეებთან ადეკვატურობა მნიშვნელოვანია.

დისტანციური განათლება სათავეს იღებს XX საუკუნის მიწურულიდან. საწყის ეტაპზე ის მოიცავდა მხოლოდ ტექსტური შეტყობინებებით ინფორმაციის გაცვლას, ყოველგვარი ვიზუალიზაციის გარეშე, რაც ნაკლებად ეფექტური იყო. მოგვიანებით, უნივერსალური ვებგვერდების

განვითარებამ შესაძლებელი გახადა ცოდნის მიღება ვიდეოგაკვეთილების საშულებითრ(Chen, 2016).

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით, ე.წ „სწავლის მაძიებლები“, კომპიუტერული ბაზის მეშვეობით, უფრო მარტივად იღებენ საჭირო ინფორ-მაციას ნაკლები დროის დანაკარგებით (M. Samir Abou El-Seoud, 2013).

საკმარისია ლექციების კურსის ჩაწერა და შემდეგ მისი ამორჩევითი განახლება საჭიროე-ბის მიხედვით. ამ შემთხვევაში საფასური თითქმის იგივეა, როგორც კომუნალური გადასახადე-ბის დროს. არაა საჭირო შენობა-ნაგებობების არენდისა და მათი მომსახურეობისათვის ხარჯე-ბის გაწევა, რაც ძალიან დიდ როლს თამაშობს დისტანციური სწავლების ღირებულების ფორმი-რებაში. დისტანციური სწავლებით განათლების მიღების გადაწყვეტილების მიღებისას მთავა-რია, სასწავლებელი რამდენად აკმაყოფილებს მომხმარებელთა სურვილებსა და მოთხოვნებს. ცხადია, მან უნდა უზრუნველყოს განათლების მაღალი ხარისხი და სახელმწიფო ნიმუშის დიპ-ლომის გაცემა.

კოვიდ -19-ით გამოწვეულმა პანდემიამ საქართველოში დისტანციური სწავლება ბევრად აქტუალური გახადა, ვიდრე ეს იყო წლების წინ. საგანმანათლებლო სფერო კარგად ადაპტირდა ზემოთ აღნიშნულ მეთოდთან და წარმატებით გაითავისა პრობლემის გადაჭრის ეს გზა.

დისტანციური სწავლება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და უახლესი ტელეკომუნიკაციური სისტემების ეფექტიანი გამოყენებითა და მიწოდების შესაბამისი მექა-ნიზმის შექმნით შესაძლებელია, მომხმარებლისათვის ისეთი განათლების მიღების შესაძლებ-ლობა, როგორიც აქვს სასწავლო დაწესებულებებში ყოველდღიური დასწრებით. თანამედროვე ეტაპზე დისტანციური სწავლების გამოწვევების გათვალისწინებით განათლების აღნიშნული ფორმის გამოყენება წარმატებით არის შესაძლებელი უმაღლეს საგანმანათლებლო და სხვა ტი-პის სასწავლებლებში და იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც განათლების სფეროს განვითარებადი მიმართულება და საშუალება.

ლიტერატურა:

წიგნი:

1. ბერგვაძე თ. – ექსპერტი, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, უმაღლესი განათლება და დასაქმება, 2013.
2. ჩიქავა ლ. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში,საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, გამომცემლობა „უნივერსალი”, თბ. 2012.
3. Jaison R. Abel and Richard Deitz, The Role of Colleges and Universities in Building Local Human Capital; 1 Nov; 2011.
4. Kwatiah N., Article, Human Capital Formation: Meaning, Importance and Composition, 2016

სტატია ჟურნალში:

1. ანანიაშვილი ი. საქართველოს ეკონომიკის პოტენციური მთლიანი შიგა პროდუქტისა და უმუშევრობის ბუნებრივი დონის ეკონომეტრიკული შეფასება. ჟურნალი ”ეკონომიკა და ბიზნესი”, №5, სექტემბერი-ოქტომბერი, 2010
2. გოგნაძე, თ. (2018). დისტანციური სწავლება განათლების სისტემაში: არსი, მნიშვნელობა. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ. XI N 3.
3. სარიშვილი, ს. (2016). რა ეტაპზეა ელექტრონული სწავლება საქართველოში. Retrieved from http://www.edu.aris.ge
4. ცარციძე მ., შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა და ახალგაზრდების დასაქმების თავისებურებები საქართველოში, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი , N2, 2019 წ.
5. Chen, A. S. (2016). Online Education and Its Effective Practice: A Research Review. Glassboro, NJ, USA: Journal of Information Technology Education: Research.

6. Human Capital and its Measurement, The 3rd OECD World Forum on "Statistics, Knowledge and Policy" Charting Progress, Building Visions, Improving Life Busan, Korea - 27-30 October 2009
7. Samir M. Abou El-Seoud, I. A.-E.-K. E-Learning and Students' Motivation: A Research Study on the Effect of E-Learning on. Emerging Technologies in Learning 2013.

Challenges of Higher Education in the Context of the COVID-19 Pandemic

Medea Kharaishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Student

SUMMARY

The article discusses the impact of higher education on the value of human capital and the impact of human capital on employment effectiveness. The focus is on the outcome of using the distance learning method in the Covid-19 pandemic. Education and science are distinctly priority areas for the development of the country and are targeted for long-term results. Countries with high levels of human capital have higher wages, more innovation, faster population and employment growth, and greater prospects as the economy changes over time. It is important to determine which factors contribute to the large difference in human capital levels by territorial mark. One such factor is the existence of a higher education system. Business development depends on the high technological level, the mentioned increase in demand for workers with higher education, which in turn leads to an increase in demand for human capital.

The article draws conclusions about the challenges of higher education in a pandemic and presents recommendations for solving the problem.

COVID-19 პანდემიით გამოწვეული ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვში ინტეგრირებისათვის

ლალი ხიხაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

COVID-19-ის პანდემია გლობალური კრიზისის განვითარების თვალსაზრისით მსოფლიოსათვის ისტორიული და უპრეცენდენტო მოვლენაა. COVID-19 პანდემიამ მწვავე ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკასა და გლობალურ ბიზნესს, მათ შორის საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს, როგორიცაა ევროკავშირი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი, უკრაინა, და სხვ. COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ზიანმა(დღეისათვის შეუფასებელი, დაუთვლელია ზარალის ოდენობა და დანახარჯები), როგორც გლობალურ ეკონომიკაში, ასევე საქართველოში ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი შენელება და ბოლო წლების პოზიტიური შედეგების მინიმუმამდე შემცირება გამოიწვია. ამასთან საქართველოს შესუსტებულმა საგარეო მოთხოვნამ და პანდემიის თანმდევმა შოკმა ადგილობრივ დონეზე მომსახურების სექტორის, უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისა და წმინდა ექსპორტისა და იმპორტის მასშტაბის შეზღუდვა გამოიწვია.

ამასთან ერთად COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ ნათლად დაგვანახა, რომ თანამედროვე მსოფლიო მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ინტეგრირებულია, რაც მიგვანიშნებს, რომ მსოფლიოში არსებული პრობლემები გლობალურ გადაწყვეტასა და ეფექტიან მართვას საჭიროებს.

მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანა(აშშ, გერმანია, საფრანგეთი,იაპონია და სხვა) აწარმოებს საკუთარი მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქტს და სერვისს, მაგრამ ქვეყნების უმრავლესობას ნაკლები წვდომა გააჩნია მედიკამენტებზე, სამედიცინო აპარატურაზე, სამომხმარებლო საქონელზე, ჯანდაცვისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქონელზე. ამდენად COVID-19-ის პანდემიის ზეწოლას განიცდიან გლობალური ეკონომიკები, ფინანსური ინსტიტუტები და მჭიდროდ დაკავშირებული ლოგისტიკური მიწოდებათა ჯაჭვები. სწორედ ზემოთაღნიშნული საკითხების კვლევასა და ანალიზს ეძღვნება წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც პანდემიით გამოწვეული ტენდენციების საფუძველზე საქართველოს შესაძლებლობების წარმოჩენას ემსახურება გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვში ინტეგრირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: *COVID-19-ის პანდემია, ეკონომიკური კრიზისი, გლობალური მიწოდებათა ჯაჭვი, ციფრული ტექნოლოგიები, ელექტრონული კომერცია, ბიზნესმოდელები.*

COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ ნათლად დაგვანახა, რომ თანამედროვე მსოფლიო მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ინტეგრირებულია, რაც მიგვანიშნებს, რომ მსოფლიოში არსებული პრობლემები გლობალურ გადაწყვეტასა და ეფექტიან მართვას საჭიროებს.

მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანა(აშშ, გერმანია, საფრანგეთი,იაპონია და სხვა) აწარმოებს საკუთარი მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქტს და სერვისს, მაგრამ ქვეყნების უმრავლესობას ნაკლები წვდომა გააჩნია მედიკამენტებზე, სამედიცინო აპარატურაზე, სამომხმარებლო საქონელზე, ჯანდაცვისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქონელზე. ამდენად COVID-19-ის პანდემიის ზეწოლას განიცდიან გლობალური ეკონომიკები, ფინანსური ინსტიტუტები და მჭიდროდ დაკავშიერებული ლოგისტიკური მიწოდებათა ჯაჭვები. სწორედ ზემოთაღნიშნული საკითხების კვლევასა და ანალიზს ეძღვნება წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც პანდემიით გამოწვეული ტენდენციების საფუძველზე საქართველოს შესაძლებლობების წარმოჩენას ემსახურება გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვში ინტეგრირებისათვის.

მიუხედავად გლობალური ეკონომიკური კრიზისა პანდემიით განპირობებული გამოწვევები და სირთულეები შეიძლება გადაიქცეს რეალურ შესაძლებლობებად და განვითარების დამაჩქარებლად ბაზარზე არსებული ჩავარდნების სათანადოდ მართვის გზით. ქვეყნებს ეძლევათ

ახალი შესაძლებლობები, რათა პირველი შემსრულებლები გახდნენ ბიზნესის კეთების კუთხით და არსებული ეკონომიკური მდგომარეობის მოდერნიზების თვალსაზრისით-რეფორმატორები, ამასთან ყურადღების ცენტრში მოაქციონ მანამდე უგულველყოფილი აქტუალური საკითხები.

ექსპერტებისა და მეცნიერ მკვლევარების შეფასებების თანახმად თუ ვიმსჯელებთ COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა პრობლემებმა მთელ რიგ ტენდენციებს ჩაუყარა საფუძველი, რომლებიც ეკონომიკური ზრდის ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს. პანდემიის მახასიათებ-ლებმა, ისე მასშტაბმა და მასზე გლობალურმა რეაგირებამ ეკონომიკასა და ბიზნესზე გავლენა არა მხოლოდ კრიზისის პერიოდში მოახდინა, არამედ, სავარაუდოდ, გრძელვადიან პერსპექტი-ვაში გავლენას იქონიებს გლობალური ეკონომიკაზეც, შესაბამისად შეცვლის ჩვეულ მიდგომებსა და კანონზომიერებებს. ეს ცვლილებები ხელს შეუწყობს ახალი ლიდერების – ბიზნესებისა და ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების გამოვლენას, რომლებიც ყველაზე უკეთ შეძლებენ მო-ერგონ ახალ გარემოებებსა და ბიზნესის შეცვლილ მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ. საქართვე-ლოს შემთხვევაში ორი ტენდენციაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი:

1) გლობალური მიწოდების ლოგისტიკურ ჯაჭვებში ცვლილებებისადმი ადაპტირება და ეფექტიანი ინტეგრირება. COVID- 19 -ის პანდემიამ გამოააშკარავა მიწოდების გლობალური ჯაჭ-ვების დიდი სიძნელეები და უნარები გადარჩენ საერთაშორისო ბაზრის რღვევის პირობებში. ჩი-ნეთში ძირითადი საწარმოო ცენტრების ადრეულმა დახურვამ, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, რომელიც უპირატესობას არა ერთ-ცენტრიან გლობალური მიწოდების მოდელს, არამედ ნაწი-ლობრივ ან სრულად მდგრად რეგიონულ მიწოდების ცენტრებს ანიჭებს. რეგიონალიზაციის ხა-რისხი და ამ მოდელზე გადასვლის ვადა სფეროების მიხედვით სხვადასხვაგვარი იქნება. ინდუს-ტრიებმა, რომლებსაც უფრო გრძელი საწარმოო დრო აქვთ, შეიძლება ჩინეთის გარდა აირჩიონ კიდევ ერთი რეგიონული ცენტრი–"ჩინეთი +1" სტრატეგია, ხოლო სხვა, უფრო "კვანძოვანი" (ნოდალური) ინდუსტრიები, რომლებისთვის ბაზართან სიახლოვე მნიშვნელოვანია, სავარაუ-დოდ უფრო მეტ, მცირე ზომის რეგიონულ ცენტრებზე გააკეთებენ აქცენტს. თანმდევმა შედეგებ-მა ბიზნესსა და განსაკუთრებით ინდუსტრიაში, გამოავლინა ჩინეთის ბაზარზე გლობალური დამოკიდებულების მასშტაბი და რისკი, რომელიც თან სდევს მომწოდებლებისა და აქტივების კონცენტრირებას ერთ გეოგრაფიულ არეალში. ამის გამოვლენამ, შეერთებულ შტატებსა და ჩი-ნეთს შორის სავაჭრო დაძაბულობის მოსალოდნელ საფრთხესთან ერთად, გლობალურ ბიზნეს-ში აქამდე არნახული იმპულსი გამოიწვია, რომ ძირეულად მოხდეს მათი მიწოდების ჯაჭვების რესტრუქტურიზაცია და უფრო დივერსიფიცირებულ, რეგიონულ, გამჭვირვალე მოდელზე გა-დართვა, რომელიც შემოსავლის უზრუნველყოფას ხარჯების დაზოგვაზე მაღლა აყენებს. ინ-დუსტრიები, რომლებისთვის ბაზართან სიახლოვე მნიშვნელოვანია, სავარაუდოდ უფრო მეტ კონცენტრაციას, მცირე ზომის რეგიონულ ცენტრებზე გააკეთებენ.

მოხმარების ტენდენციების ცვლილება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მიწოდების ჯაჭვის მოდერნიზებას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ცნობილია სფეროები, რომლებმაც ჩინელ მომწოდებლებზე დამოკიდებულების გამო მწვავე ნეგატიური გავლენა განიცადეს, მაგალითად: ფარმაცევტული საშუალებების, სამედიცინო აღჭურვილობის, ქიმიური საშუალებების და პირადი ჰიგიენის საშუალებების სფეროები. მოსალოდნელია, რომ მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე პანდემიის შემდგომაც შენარჩუნდება მზარდი მოთხოვნა, ვინაიდან ჯანდაცვის დაწესებულებები, ბიზნესები და შინამეურნეობები შეეცდებიან შეინარჩუნონ მზადყოფნა შესაძლო მომავალი ეპიდემიისთვის. სავარაუდოა, ასევე გამკაცრდეს ეროვნული რეგულირება

ამ ინდუსტრიების მიმართ, რათა უზრნველყოფილ იქნეს აღნიშნული პროდუქციის მარაგებზე შუფერხებელი წვდომა საჭიროების შემთხვევაში.

ისეთი სფეროები, როგორიცაა ელექტრონული მოწყობილობების და პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება სარგებელს დისტანციური მუშაობის გაზრდილი ტენდენციიდან მიიღებენ. საპირისპიროდ, ისეთი დარგები, რომლებმაც მძიმე დარტყმა მიიღეს COVID19-ის პანდემიის გამო, მაგალითად ტურიზმი, მომსახურების სექტორი, სამშენებლო ბიზნესი, საავტომობილო და აეროკოსმოსური წარმოება, სავარაუდოდ კონსოლიდაციისკენ წავლენ, რაც თავის მხრივ გავლენას იქონიებს პოტენციურ საინვესტიციო სტრატეგიებსა და ბიზნეს ლოკაციის შერჩევაზე.

2) საქართველოსათვის მეორე მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი შესაძლებლობა- ელექტრონული კომერციის, დისტანციური მუშაობისა და სხვა ციფრული ბიზნესმოდელების დანერგვაა, რადგანაც ბიზნესის მიერ კარანტინის პირობებთან ადაპტაციამ, ბევრი ისეთი ფუნქცია, რომელიც პირისპირ ხორციელდებოდა დისტანციურად ინტერნეტ სივრცეში გადაიტანა. ამ ცვლილებამ დრამატულად დააჩქარა ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ახალი ბიზნესმოდელების დანერგვა. ისეთმა ტენდენციებმა, როგორიცაა ელექტრონული კომერცია, დისტანციური მუშაობა, მობილ-ბანკით გადახდები, სახლში მიწოდების სერვისები (Volvo,Walt და სხვა), რომელმაც შექმნა შესაძლებლობები შემუშავდეს ახალი, დამატებითი ღირებულების შემქმნელი სერვისები. მოსალოდნელია, რომ COVID-თან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქების და მოხსნის შედეგად, ზემოთაღნიშნული ტენდენციები შენელდება. მიუხედავად ამისა, ეს მიდგომები უფრო მნიშვნელოვან ადგილს შეინარჩუნებენ ეკონომიკის ფუნქციონირებაში, ვიდრე ეს პანდემიის დადგომამდე იყო. წინასწარი კლვევების მიხედვით, ელექტრონული კომერციის გავრცელება 2022 წლის ბოლოსთვის ორჯერ უფრო მეტი იქნება, ვიდრე ეს COVID-მდე პერიოდში იყო. გარდა ამისა, გამოკითხული ტოპ-მენეჯერების 50-დან 75%-მდე გეგმავს, რომ დასაქმებულებს მუდმივად შეუნარჩუნოს დისტანციურად მუშაობის არჩევანი.

ზემოაღნიშნული ტენდენციები საქართველომ ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას უნდა გაითვალისწინოს: პირველ რიგში, ორივე ტენდენცია მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვში ინტეგრაციაზე და ხელი შევუწყოთ ისეთი ბიზნესებისა და დარგების განვითარებას, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან საერთაშორისო ბაზრებზე.

ზოგიერთი ქვეყნები, COVID-ზე რეაგირებას ადგილობრივი ინდუსტრიისკენ შემობრუნებით და იზოლირებით რეაგირებს, ეს სტრატეგია ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომგებიანი იყოს საქართველოსთვის, რადგანაც დღეს საქართველოს არ გააჩნია ძლიერი ინდუსტრიული და ტექნოლოგიური ბაზა, რაც ქვეყანას საშუალებას მისცემდა ესარგებლა იზოლაციონიზმით და ავტონომიური მიდგომით. პირიქით, საქართველომ მაქსიმალურად უნდა იმოძრაოს გლობალური ინტეგრაციისკენ, რათა გამოიყენოს ის შესაძლებლობები რასაც ინოვაციური ტექნოლოგიების გადაცემის პროცესი, ბაზრებზე გაზრდილი წვდომა და სტრატეგიული ალიანსები გვთავაზობს. მოსალოდნელი ცვლილებები მიწოდების ჯაჭვებში და ბიზნესის ციფრული კომუნიკაციები, ქართულ კომპანიებს გლობალურ ბაზრებთან წვდომასა და ინტეგრაციას გაუადვილებს.

საქართველოს, მის მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, გააჩნია რიგი უპირატესობებისა, კერძოდ: გეოპოლიტიკური მდებარეობა, ბიზნესის კეთების სიმარტივე, გამჭვირვალე და ლიბერალური საგადასახადო სისტემა, მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ხელშკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ(ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცის

ქვეყნებთან, ჩინეთთან, თურქეთთან, რუსეთთან და სხვა სავაჭრო პარტნიორებთან), COVID-ზე წარმატებული რეაგირება, რაც მას აძლევს შესაძლებლობას გახდეს რეგიონული საინვესტიციო და ლოგისტიკური ჰაბი. ეს ის შესაძლებლობები და უპირატესობებია, რომლებიც საქართველომ ეკონომიკის განვითარებისა და პროგრესისათვის უნდა გამოიყენოს.

გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში ინტეგრაციის გაღრმავებას საქართველოს ეკონომიკისთვის, გარდა მოკლევადიანი აღდგენის შესაძლებლობისა, გრძელვადიანი სარგებელიც გააჩნია. ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით ადგილობრივ ინდუსტრიაში ინოვაციების გამოყენება და განვითარებაა, რაც ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის საშუალებას იძლევა და არსებითია ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

ქართული კომპანიების კონცენტრაცია მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ინოვაციების ფართომასშტაბიანად დანერგვის ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია: კერძოდ, მცირერიცხოვანი მოსახლეობა-(2020 წლის სტატისტიკური მონაცემებით-3 716 000 ადამიანი), მინიმალური ბაზრის ტევადობა, მომხმარებელთა დაბალი მყიდველუნარიანობა და სხვა). მსგავსი მდგომარეობა არ უბიძგებს ბიზნეს კომპანიებს ინოვაციებისა და ძირეული ინვესტიციების განხორცილებისკენ, არამედ ისინი მათთვის კარგად ნაცნობი და შეზღუდული ბაზრისთვის, ნაკლებად კონკურენტული პროდუქციის შეთავაზებით შემოიფარგლებიან. შედეგად, ადგილობრივი ბიზნესებისთვის რთულია რეგიონული და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენციაში ჩართვა, რაც თავის მხრივ, მათი ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრებასა და შენარჩუნებას იწვევს.

ადგილობრივ ბაზარზე დამოკიდებული ეკონომიკური პოლიტიკა და სტაგნაცია ზღუდავს საქართველოს გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებს. გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში შეღწევა გამოიწვევს ადგილობრივ ბაზარზე უფრო დახვეწილ პროდუქციაზე და ტექნოლოგიებზე მოთხოვნის ფორმირებას, რაც თავის მხრივ არსებულ უარყოფით დამოკიდებულებას დაარღვევს და საქართველოს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიას გაამყარებს. გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში წარმატებული ინტეგრაციისთვის აუცილებელია ისეთ დარგებზე კონცენტრირება, რომლებშიც საქართველო ბუნებრივად მაღალკონკურენტულია. ინტეგრაციაზე ქვეყნების კონკურენცია ძალზედ მაღალი იქნება და მიუხედავად COVID-ის შემდგომ მიწოდების ჯაჭვებში ცვლილებებისა, მათში წარმატებული ინტეგრაციისთვის საჭირო ნაბიჯები და ძალისხმევა უცვლელი რჩება. კომპანიები კვლავ ისეთ ლოკაციებს შეარჩევენ, რომლებიც დიდ ბაზრებთან არიან ახლოს, სადაც ხელმისაწვდომია დიდი რაოდენობით მაღალინტელექტუალური ადამიანური რესურსები და სადაც მოქმედებს ლიბერალური საგადასახადო და სავაჭრო რეჟიმი. შესაბამისად, უკვე ნაცადი ინდუსტრიული ცენტრები, როგორიცაა მაგალითად მექსიკა, ბრაზილია, ინდოეთი, ინდონეზია და სხვა. ბევრისთვის კვლავ პირველ პრიორიტეტად დარჩება. საიმედო ლოგისტიკა, ციფრული კომუნიკაციების მაღალი დონე და გამჭვირვალე მმართველობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს, ვინაიდან კომპანიები შეეცდებიან მიწოდების ჯაჭვების სრული ციკლი მაქსიმალურად გამჭვირვალე გახადონ.

საერთაშორისო ბაზრებზე დივერსიფიკაცია და ეკონომიკური ზრდის ახალი შესაძლებლობების მოპოვება, საუკეთესო ეკონომიკურ გარემოშიც კი, საკმაოდ რთული პროცესია. საქართველომ აქცენტი პრიორიტეტული სექტორების ხელშეწყობაზე უნდა გააკეთოს და ამასთან მაქსიმალურად თანაბარი თამაშის წესები შეინარჩუნოს ყველა დარგისთვის. ის მაღალპოტენციური

დარგები, რომელთა საშუალებითაც საქართველო გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში შეძლებს ჩართვასა და ამავდროულად გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა შეუძლიათ. ამასთან ობიექტური აუცილებლობაა საქართველო შემდეგი კრიტერიუმის ერთობლიობას უნდა აკმაყოფილებდეს:

- **მენეჯმენტისა და კრიზისისული გარემოებების ეფექტიანი მართვის გამოცდილება;**
- **მაღალინტელექტუალური და იაფი ადამიანური რესურსი;**
- **საერთაშორისო რეიტინგი, ლიბერალური საინვესტიციო და სავაჭრო რეჟიმები;**
- **მზარდი ჰარმონიზაცია ევროკავშირთან, სხვა საერთაშორისო ნორმებთან და სტანდარტებთან;**
- **უხვი და იაფი განახლებადი რესურსების მაღალი პოტენციალი;**
- **ბიზნესის წარმოების სიმარტივე და გამჭვირვალობა;**
- **მიმზიდველი გეოპოლიტიკური მდებარეობა და ბუნებრივი გარემო;**
- **ღია ეკონომიკის პრინციპების აღიარება და ღია საზოგადოება;**
- **თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების სიმრავლე და გლობალურ ეკონომიკებთან- (ევროკავშირთან, ჩინეთთან, აშშ-თან, დსთ-თან, თურქეთთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან და სხვა) მჭიდრო თანამშრომლობა**

ეს უპირატესობები, გარკვეულწილად მიანიშნებენ, რომ აქცენტი უმჯობესია მატერიალური პროდუქციის წარმოებაზე გაკეთდეს, ვიდრე ინტელექტუალურ (ცოდნაზე-დაფუძნებულ) სერვისებზე, ვინაიდან მატერიალურ წარმოებას ხელს უწყობენ იაფი ენერგო და ადამიანური რესურსები, საქართველოს გლობალური იმიჯი, თავისუფალი ვაჭრობის საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა. საქართველოში დარგობრივი სტრუქტურა მრავალფეროვანია, მრავალი სეგმენტი ჯერ კიდევ ახალია და მცირე მასშტაბის. საჭიროა მოქნილი პოლიტიკის სწრაფად შემუშავების აუცილებლობა და ხუთი ძირითადი სეგმენტის გამორჩევა, რომელსაც მოკლე ვადაში მაქსიმალური შედეგის მოტანის პოტენციალი გააჩნია:

ფარმაცევტული და პირადი ჰიგიენის საშუალებები: ფარმაცევტულმა და პირადი ჰიგიენის საშუალებებმა 2019 წელს საქართველოს ექსპორტის 6% შეადგინა და ადგილობრივი მოხმარების იმპორტის მესამე უმსხვილეს კატეგორიაში მოხვდა სპილენძისა და ნავთობპროდუქტების შემდეგ. ადგილობრივი ინდუსტრია მოიცავს ადგილობრივი მწარმოებლების მზარდ და მრავალფეროვან ჯგუფს, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან უპატენტო მედიკამენტების, მცენარეული მედიკამენტებისა და პარფიუმერული და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებაში. საქართველოს აქვს გამოცდილება ფარმაცევტული კომპანიების მიერ ადგილობრივი ბაზრისთვის ლოგისტიკაში და ინფრასტრუქტურაში ინვესტირების კუთხით, დარგის განვითარებას ასევე ხელს უწყობს საქართველოს იმიჯი, როგორც ბიოფაგების კვლევის და მკურნალობის ცენტრი.

COVID-19- მა ნოყიერი ნიადაგი შექმნა აღნიშნული დარგის განვითარებისთვის. პანდემიის განმავლობაში მოთხოვნა ფარმაცევტულ პროდუქციაზე შენარჩუნდა და სავარაუდოდ ეს ტენდენცია პანდემიის შემდგომაც გაგრძელდება, ვინაიდან გაიზრდება ყურადღება პირადი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის სისტემების მიმართ.

გრძელვადიანი მოხმარების ელექტრონული ტექნიკა, ინსტრუმენტები და მოწყობილობები: ხანგრძლივი სარგებლობის ელექტრონული ტექნიკის, ინსტრუმენტების და მოწყობილობების წარმოება მოიცავს ინდუსტრიულ და საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და ელქტრონული კომპონენტების შემცველ მოწყობილობებს, გარდა მასშტაბზე დამოკიდებული სამომხმარებლო ტექნი-

კისა (მაგალითად მობილური ტელეფონი, ტელევიზორი). საქართველოში ამჟამად არსებული წარმოება მცირე მასშტაბისაა და დანაწევრებულია. აქტივობა სამი ძირითადი სეგმენტის გარშემო კონცენტრირდება, რომლებსაც COVID-ის შემდგომ ეტაპზე განვითარების პოტენციალი გააჩნიათ. ეს სეგმენტებია: სამედიცინო ტექნიკა და მოწყობილობები, ენერგო და ჰაერის გაგრილების დანადგარები, ტექნიკა და სატელეკომუნიკაციო დანადგარები. ყველა ამ სეგმენტის განვითარებას, ხელი შეეწყობა პანდემიის შემდგომ ჩამოყალიბებული ისეთი ტენდენციებით, როგორიცაა ჯანდაცვისადმი გაზრდილი ყურადღება, შენობების გაუმჯობესება ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით. ამ სეგმენტში მოქმედი კომპანიების მხარდაჭერა DCFTA-ს მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, დაეხმარება მათ ჩაერთონ რეგიონული და გლობალური მიწოდების ჯაჭვებში.

საკვები და სასმელი პროდუქტები: სასმელები და ალკოჰოლური სასმელები უკვე წარმოადგენენ საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს საექსპორტო პროდუქციას და ადგილობრივი წარმოების სეგმენტებს, რომლებმაც 2019 წლის შიდა წარმოების ექსპორტის 20%-ს შეადგინეს. ქართული ღვინის მზარდი პოპულარობა და პანდემიის პერიოდში საკვები და სასმელი პროდუქტების მოხმარების დონის შენარჩუნება, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ სეგმენტებს გაფართოების პოტენციალი აქვთ და მათი საშუალებით შესაძლებელია სხვა, შედარებით მცირე ზომის მზა და დამუშავებული საკვები პროდუქტების სეგმენტების განვითარება. საქართველოს თხილის სეგმენტი, უკვე კარგად არის ინტეგრირებული საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვებში. ამ სეგმენტის საშუალებით შესაძლებელია საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გაზრდა და წარმოების პროცესის სხვადასხვა რგოლის საქართველოში განვითარება.

განვითარებულ დამუშავებული საკვების დარგს შეუძლია ხელი შეუწყოს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარებასაც, ვინაიდან გაიზრდება შიდა მოთხოვნა, გაუმჯობესდება მიწოდების ჯაჭვის ინფრასტრუქტურა და გაიხსნება რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის არხები. მოკლევადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ბიზნესს ცვალებად გარემოსთან ადაპტაციაში დაეხმარება და ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, რაც, თავის მხრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრებას გაამარტივებს.

ავეჯი, ტექსტილი და ტანსაცმელი: ავეჯი, ტექსტილი და ტანსაცმელი წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ წარმოებასა და საექსპორტო სეგმენტს, ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის წარმატებულ სამიზნეს და ერთ-ერთ ყველაზე დიდ საიმპორტო კატეგორიას. საქართველოს შეუძლია ეს პროდუქცია გამოიყენოს გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში შესაღწევად, სადაც პანდემიის შედეგად მიმდინარეობს ძირეული ცვლილებები და მწარმობლები ცდილობენ მიწოდების ცენტრების დივერსიფიკაცია მოახდინონ და არ იყვნენ მხოლოდ ჩინეთსა და ინდოეთზე დამოკიდებულები. ძირითადი სამიზნე მაღალი ღირებულების ბრენდები და სპეციალიზებული სამოსის (პროფესიული უნიფორმა, სპორტული ტანსაცმელი) სეგმენტები უნდა იყოს, სადაც ადგილობრივ მწარმოებლებს წარმატებისთვის უკვე მიუღწევიათ. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივ ავეჯის და მწარმოებლებთან და მიმწოდებლებთან კავშირის გაღრმავება, რათა ხელი შეეწყოს სახლის და სამშენებლო ტექსტილის სეგმენტების განვითარებას. ზოგიერთმა ბიზნესმა ალღო აუღო ბაზარზე გაჩენილ ახალ შესაძლებლობებს, განსაკუთრებით სამოსის სეგმენტში, სადაც რამდენიმე მწარმოებელმა ნიღბების წარმოება და ექსპორტზე გატანა დაიწყო ევროპაში და აშშ-ში. თუმცა, დარგის ფრაგმენტაციის გათვალის-

წინებით, ბიზნესებს მხარდაჭერა დასჭირდებათ განვითარებისთვის და ბაზრის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიებაში. სწორედ USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მიერ მხარდაჭერილია ბიზნესების პროაქტიულ თანამშრომლობა, რათა შეძლონ ახალ ბაზრებზე გასვლა და სარგებლის მიღება.

სამშენებლო და საგზაო მასალების წარმოება: საქართველო მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან მკაცრი კონკურენციის პირობებში იმყოფება დაბალი ღირებულების სამშენებლო მასალების წარმოების მხრივ, ქვეყანაში არსებობს ადგილობრივი მწარმოებლების ნიშა, რომლებიც ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებს ემსახურებიან სხვადასხვა სამშენებლო პროდუქციით და მასალებით, მათ შორის გზების მშენებლობისთვის საჭირო მასალებით და ბოჭკოთი, ხის მასალებით და მოწყობილობებით. ინვესტიციები ინფრასტრუქტურის სფეროში, როგორც ჩანს, ცენტრალურ როლს ასრულებს COVID-19-ის აღდგენის გეგმებში მთელს მსოფლიოში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოშიც. რიგმა ევროპულმა ქვეყნებმა უკვე განაცხადეს, რომ გეგმავენ მილიარდობით ინვესტიციის განხორციელებას ინფრასტრუქტურის განვითარებაში, კერძოდ ევროკავშირის ინიციატივის "ახალი მწვანე გარიგების" მხარდასაჭერად, რომელსაც შეუძლია გაზარდოს მოთხოვნა ისეთ მასალებსა და ინფრასტრუქტურაზე, რომლებიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ მიზნების შესრულებას. ადგილობრივი ბაზრის განვითარების და ზრდის ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია საქართველოს და ქართული საწარმოების პოტენციალის წარმოჩენა ამ მიმართულებით. სამშენებლო და საგზაო მასალების წარმოების დარგში არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსაყენებლად.

დასკვნა COVID-19 პანდემიით განპირობებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ცხადყო, მიუხედავად ეკონომიკური აქტივობის შემცირებისა 2020-2021 წლებში, საქართველოში წარმოება ბევრად კარგად გაუმკლავდა სირთულეებს, ვიდრე მომსახურების სექტორი. მნიშვნელოვანია COVID-19-ის პანდემიის შედეგად წარმოშობილი შესაძლებლობის გამოყენება და ინვესტიციების დაბანდება საქართველოს ინდუსტრიული ბაზის გაფართოებაში და ინფრასტრუქტურაში, რათა საქართველოს ეკონომიკამ და ბიზნეს სექტორმა უკეთ შეძლოს მომავალი კრიზისების მართვა და რეგულაციები, საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირება და მდგრადობის შენარჩუნება.

ქვეყნები, რომლებიც საქართველოს მსგავსად გლობალურ მიწოდების ჯაჭვში ადგილის მოსაპოვებლად იბრძვიან, ასევე მოუწევთ განვითარებულ ქვეყნებთან მძაფრი კონკურენცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენცია შეიძლება ყველა ინდუსტრიას თანაბრად არ შეეხოს, მაგრამ ისეთმა ბაზრებმა, როგორიც საქართველოა მეტი ძალისხმევა უნდა გაწიოს მაღალპოტენციური დარგებისა და ზემოთგანხილული სეგმენტების განვითარებით თავიანთი კონკურენტული უპირატესობების წარმოსაჩენად და გლობალურ მოწოდებათა ლოგისტიკურ ჯაჭვში ეფექტიანი ინტეგრირებისათვის.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019-2020-2021 წლის მასალები;
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020-2021 წლის სტატისტიკური მონაცემები;
3. USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა, პოსტ-COVID-ის ეკონომიკური პოლიტიკა, 2020 31 აგვისტო;
4. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, 2020 ;
5. მსოფლიო ინვესტირების ანგარიში, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე-UNCTAD, 2020;

https://www.geostat.ge
https://www. economy.ge
https://www.nbg.gov.ge

COVID-19 Pandemic Trends and Georgia's Opportunities for Integration into the Global Supply Chain

Lali Khikhadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

SUMMARY

The COVID-19 pandemic is a historic and unprecedented event for the world in terms of the development of the global crisis.The COVID-19 pandemic has severely damaged the world economy and global business, including Georgia's trading partners such as the European Union, Azerbaijan, Turkey, China, Russia, Ukraine, and others. The economic crisis and damage caused by the COVID-19 pandemic (the amount of losses and costs are currently underestimated and unaccounted for),both in the global economy and in Georgia, economic activity has slowed sharply and the positive results of recent years have been minimized. At the same time, Georgia's weakened external demand and the ensuing pandemic shock have limited the scope of the service sector, foreign direct investment and net exports at the local level.

Despite the global economic crisis, the challenges and difficulties posed by the pandemic may turned into real opportunities and accelerated development through proper management of market failures. Countries have given the opportunity to become the first performers of new opportunities in terms of doing business and reformers in terms of modernizing the current economic situation, while focusing on previously neglected issues.

At the same time, Georgia's weakened external demand and the ensuing pandemic shock have limited the scope of the service sector, foreign direct investment and net exports at the local level.

Countries that, like Georgia, are struggling to gain a foothold in the global supply chain will also have to compete fiercely with developed countries. While this trend may not apply to all industries equally,

At the same time, the global pandemic of COVID-19 has made it clear that the modern world has closely interconnected and integrated, which means that the world's problems need a global solution and effective management, But markets such as Georgia need to do more to develop their potential advantages by developing high-potential industries and segments above and to integrate effectively into the global call logistics chain.

Keywords: *COVID-19 pandemic, Economic crisis, Global supply chain, Digital technologies, e-commerce, Business models.*

საქართველოს მოსახლეობის მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა კოვიდ 19-ის პირობებში

მერაბ ხმალაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარი

ნატალია კოპალეიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მთავარი სპეციალისტი

1918-1920 წლებში „ისპანკის“ ეპიდემიიდან საუკუნის შემდეგ, მსოფლიოს მოევლინა კოვიდ - 19-ად წოდებული ეპიდემია, რომელიც გავრცელების მასშტაბებიდან გამომდინარე, პანდემიად მოინათლა. მსოფლიომ ერთ დილით გაიღვიძა ახალ, სულ სხვა სამყაროში. მას ერთბაშად თავს დაატყდა პრობლემები, რომლისთვისაც ის მზად არ იყო და შესაბამისად არანაირი იმუნიტეტი არ გააჩნდა მის წინააღმდეგ. ესაა პრობლემების მთელი სპექტრი: სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული. ფსიქოლოგიური, შიდა და გარე პოლიტიკური და ა.შ რომელთაგან ძირითადი იყო მოკვდაობა მოკვდაობის ახალი მიზეზით - კოვიდით. გამონაკლისი არც საქართველოა. კოვიდ 19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა საქართველოში დადასტურდა 2020 წლის 26 თებერვალს. ამ დღიდან დაწყებული 2021 წლის 1 ოქტომბრამდე აღრიცხულია კოვიდით ინფიცირების 614 863 შემთხვევა, რომელთაგან გარდაიცვალა 8 976 ადამიანი. აქედან 2020 წელს გარდაიცვალა 2587, ხოლო 2021 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე, ე.ი. 9 თვეში 6 389, 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე 2020 წელს. კოვიდ - 19-ით გარდაიცვალა ჯანდაცვის 117 მოსამსახურე. რა თქმა უნდა, ასეთ ეპიდსიტუაციას არ შეეძლო არ გამოეწვია და გამოიწვია კიდევაც მოსახლეობის მოკვდაობის ზრდა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირება.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, მოკვდაობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, კოვიდ - 19.*

დემოგრაფიული პროცესების დონე და დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში რადიკალურად შეიცვალა. ეს გასაგებიცაა, რადგან დაიმსხვრა არსებული სტერეოტიპები, დაეცა ცხოვრების დონე, შეიცვალა საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება, სოციალური ურთიერთობები. 1990-იანი წლების შემდეგ გარკვეული პერიოდი ქვეყნისთვის იყო მეტად მძიმე. ეს პერიოდი დემოგრაფიულად მეტად უარყოფითად გამოიკვეთა განსაკუთრებით 1990-2010 წლებში, რის შემდეგაც მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება. ერთი რამ უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში განსაკუთრებული დარტყმა მიიღო მოსახლეობის გამრავლებამ. შობადობა მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების დონეზე დაეცა და 2010 წლის შემდეგ მისი ზრდის მიუხედავად ის მარტივი აღწარმოების დონეს (ერთი ორი წლის გარდა) ვერ გასცდა. ეს იმას ნიშნავს, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში დღემდე აღარ გვაქვს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოება.

პოსტსაბჭოთა პერიოდი მოკვდაობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზეც მართალია უარყოფითად აისახა, მაგრამ არა ისეთი სიძლიერით, როგორც შობადობაზე. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში 1990 წელს ტოლი იყო 9,3‰. პოსტსაბჭოთა პერიოდში მაჩვენებელი სისტემატურად იზრდება და წლების მიხედვით შეადგენს: 1995წ. – 10,6‰, 2000წ. – 11,8‰, 2005წ. – 12,7‰, 2010წ. – 13,5‰, 2015წ. – 13,2‰, 2020წ. – 13,6‰. მთლიანობაში, 1990 – 2020 წლებში მოკვდაობის კოეფიციენტი 4,3‰-ით, ე.ი. 146,2%-ით გაიზარდა. (დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში 2020 წელს, 2021)

მოკვდაობა და კოვიდ-19

პოსტსაბჭოთა პერიოდში უარყოფითი ბუნებრივი მატება საქართველოში დაფიქსირდა 2001-2007 წლებში, რომელსაც „დემოგრაფიულად უნაყოფო წლები ვუწოდეთ“ (ხმალაძე, დემოგრაფია, 2009)[ხმალაძე, 2009]. მას შემდეგ, უარყოფითი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა მხოლოდ 2020 წელს, დაიბადა 46 520 და გარდაიცვლა 50 537, ე.ი. 4017-ით მეტი. შობადობის შემცირება და მოკვდაობის ზრდა 2019-2020 წლებში კოვიდ - 19-ის „სინდისზეა“.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დონეზე დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება, ხოლო საქართველო ყველა კრიტერიუმით, როგორც 60, ისე 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის მიხედვით, დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნებს მიეკუთვნება. შესაბამისად, საჭიროა მოკვდაობის დონე დავახასიათოთ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლითაც. საბჭოთა პერიოდის დასასრულისთვის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი გვაქვს 1990 წლისთვის, ხოლო შემდეგ 1994 წლიდან ყოველწლიურად.

რამდენიმე წელიწადში, კერძოდ 1990-1994 წლებში, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში 72,4-დან 70,1 წლამდე შემცირდა (2,3 წელი), მათ შორის: კაცებში - 68,4-დან 66,0-მდე (2,4 წელი), ხოლო ქალებში - 75,9-დან 74,1-მდე (1,8 წელი). (ხმალაძე, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები, 1995). 1995 წლიდან სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლები თვალსაჩინოებისთვის შეიძლება დავაჯგუფოთ 5 წლიანი ინტერვალებით.

ცხრილი 1

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში
1994-2020 წლებში (საშუალოდ წლიურად)

	ორივე სქესი	კაცები	ქალები	სხვაობა ქალები - კაცები
1994-1998	70,18	66,28	74,00	7,72
1999-2003	70,24	66,56	73,78	7,22
2004-2008	70,12	65,86	74,40	8,52
2009-2013	71,58	67,16	76,02	8,86
2014-2018	73,20	68,80	77,50	8,70
2019	74,10	69,80	78,40	8,60
2020	73,40	69,10	77,70	8,60

წყარო: ცხრილი შედგენილია საქსტატის მასალების საფუძველზე

სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი 1990 წელთან შედარებით დაბალი იყო 2013 წლამდე. ამ წელს სიცოცხლის ხანგრძლივობა გაუთანაბრდა 1990 წლის სიცოცხლის ხანგრძლივობას. სხვანაირად ეს ნიშნავს, რომ 1990-იანი წლების შემდეგ გაზრდილი მოკვდაობა 23 წლის შემდეგ მცირდება და უბრუნდება საწყის, ამოსავალ 1990 წლის დონეს. კაცებში ეს ხდება 2014, ხოლო ქალებში უფრო ადრე, 2010 წელს. იმავდროულად, **2013 წლიდან სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ წლიდან მოკვდაობის დონე საქართველოში წლიდან წლამდე მცირდება.**

მოტანილი მონაცემებიდან ყურადღებას იქცევს ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობის მეტობა კაცებთან შედარებით. ამასთან, 1994 წლიდან დაწყებული, აღნიშნული მეტობა იზრდება სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის პარალელურად. დადგენილია კანონზომიერება, რომლის თანახმადაც, რაც უფრო დაბალია სიცოცხლის ხანგრძლივობა, მით უფრო ნაკლებია სხვაობა ქალების და კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობაში და პირიქით. მაგრამ სხვაობა, ფაქტობრივად 9 წელი, რომელიც ფიქსირდება 2006 წლიდან, საკმაოდ მაღალია და ამ მაჩვენებლით საქართველო შედის მსოფლიოს ქვეყნების იმ პირველ ათეულში, რომლებშიც ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა კაცებისას აღემატება 9 და მეტი წლით. ამ მხრივ მსოფლიოში არის ორი „რეკორდსმენი“ ქვეყანა: ბელორუსი - 10 წელი და რუსეთი - 11 წელი. ასე, რომ ჩვენ „რეზერვები“ კიდევ გვაქვს.

მეორე ყურადსაღები გარემოებაა მოკვდაობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე კოვიდ - 19-ის გავლენა. კოვიდი საქართველოში ოფიციალურად იქნა აღიარებული 2020 წლის იანვარში. ამავე წლის მოკვდაობის სტატისტიკაში ის აღირიცხება გარდაცვალების ცალკე, დამოუკიდებელ მიზეზად **ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკატორის (ICD 10) მეათე გადახედვის ფარგლებში**.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ საქართველოს „სტატისტიკურ ისტორიაში“ მაქსიმუმს მიაღწია 2019 წელს და შეადგინა 74,1 წელი, მათ შორის კაცებისთვის - 69,8, ხოლო ქალებისთვის 78,4 წელი .2019- 2020 წლებში სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირდა: ორივე სქესისთვის 0,7 წლით, მათ შორის როგორც კაცებისთვის, ისე ქალებისთვის - 0,7 წლით. ოდნავ ქვემოთ დავადგენთ, ამ შემცირებიდან რამდენი მოდის კოვიდ 19-ზე და რამდენი - დანარჩენ მიზეზებზე. მანამდე მოვიტანთ აბსოლუტურ სტატისტიკურ მონაცემებს: 2020 წელს საქართველოში გარდაიცვალა 50 537 ადამიანი, ე.ი. 3878-ით მეტი, ვიდრე კოვიდამდე, 2019 წელს. აღნიშნული 3878-დან 2587 (66,7%) მოდის კოვიდ 19-ზე, ხოლო 1291 (33,3%),- დანარჩენ მიზეზებზე. კოვიდით გარდაცვალების გეოგრაფიული სტატისტიკა 2020წ. შემდეგია; საქართველო - 2587, თბილისი - 783; აჭარა - 427; გურია - 69; იმერეთი - 496; კახეთი - 107; მცხეთა-მთიანეთი - 49; რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთი - 22; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 193; სამცხე-ჯავახეთი - 87; ქვემო ქართლი - 243; შიდა ქართლი - 111.

რაც შეეხება გარდაცვლილთა ასაკს, 0-34 წლის ასაკში გარდაიცვალა 13 ადამიანი, მათ შორის 5 კაცი და 8 ქალი, რაც 2020 წელს კოვიდით გარდაცვლილების მხოლოდ 0,5% შეადგენს; 35-39 წლის ასაკში გარდაიცვალა 14 ადამიანი, რაც ასევე კოვიდით გარდაცვალების 0,5%-ია. სტატისტიკურად მნიშვნელოვან სიდიდეებს კოვიდი აღწევს 40 წლის შემდეგ და ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება. გარდაცვლილთა ყველაზე მაღალი ხვედრი წილი მოდის 65-74 წელზე - 32,9%, მათ შორის კაცებში - 36,4%, ხოლო ქალებში - 28,4%. 74 წლის შემდეგ გარდაცვლილთა ხვედრი წილი მცირდება.

კოვიდით მოკვდაობის დონის შესაფასებლად გამოვთვალეთ მოკვდაობის ასაობრივი კოეფიციენტები 40 წლის და უფროსი ასაკისთვის, რადგან კოეფიციენტები 40 წლამდე, კოვიდით გარდაცვლილთა მცირერიცხოვნობის გამო ნულოვან მნიშვნელობებს იღებს.

ცხრილი 2

მოკვდაობის კოეფიციენტები საქართველოში ყველა მიზეზით,კოვიდით და ნარჩენი მიზეზებით სქესის და ასაკის მიხედვით 2020 წელს (შესაბამისი ასაკის 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით).

ასაკი	მოკვდაობა ყველა მიზეზით			მ.შ. კოვიდით			მ.შ. დანარჩენი მიზეზებით		
	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი
40-44	3,0	4,7	1,3	0,15	0,15	0,15	2,85	4,55	1,15
45-49	4,9	7,5	2,3	0,22	0,27	0,18	4,68	7,23	2,12
50-54	7,6	11,7	3,9	0,38	0,52	0,27	7,22	11,18	3,63
55-59	11,7	18,4	5,9	0,71	0,93	0,56	10,99	17,47	5,34
60-64	17,6	27,2	10,1	1,28	1,70	0,90	16,32	25,50	9,20
65-69	25,9	40,0	15,8	2,16	3,41	1,20	23,74	36,59	14,60
70-74	38,8	57,2	27,1	3,29	4,42	2,05	35,51	52,78	25,05
75-79	66,1	90,6	52,5	3,25	5,48	2,76	62,85	85,12	49,74
80-84	113,7	143,0	99,5	5,17	7,54	3,71	108,53	135,46	95,79
85+	253,7	276,4	244,1	6,18	9,46	4,79	247,52	266,94	239,31

წყარო: ცხრილი გაანგარიშებულია საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

მოტანილი გაანგარიშებებიდან ნათლად ჩანს ცნობილი კანონზომიერება: მოკვდაობის დონის ზრდა ასაკის ზრდასთან ერთად. ამასთან, კოვიდით მოკვდაობის ასაკობრივი კანონზომიერება განსხვავდება დანარჩენი მიზეზებით მოკვდაობის კანონზომიერებისგან: **საერთო მოკვდაობის შემთხვევაში მოკვდაობა მკვეთრად იზრდება 50 წლის ასაკიდან, ხოლო კოვიდის შემთხვევაში - 65 წლის ასაკიდან, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს კოვიდის ასაკობრივ დეტერმინირებაზე**.

კოვიდის გავლენა მოკვდაობაზე განსხვავდება ასაკის მიხედვით. კერძოდ, 40-49 წლის ასაკში კოვიდზე მოდის მოკვდაობის დონის 4,8%; 50-59 წლის ასაკში - 5,6%; 60-69 წლის ასაკში - 7,8%; 70-79 წლის ასაკში - 6,7% და 80 წლის ზევით - 3,5%. **ყველაზე მეტი „წვლილი“ მოკვდაობის დონის ფორმირებაში კოვიდს შეაქვს 65-74 წლის ასაკში, სადაც მასზე მოდის მოცემული ასაკის მოკვდაობის დონის 8,4%**.

საინტერესო სურათს იძლევა კაცების და ქალების მოკვდაობის დონეთა თანაფარდობა კოვიდის და დანარჩენი მიზეზების მიხედვით.

ცხრილი 3

კაცების და ქალების მოკვდაობის დონეთა თანაფარდობა ასაკების
მიხედვით საქართველოში 2020 წელს (პროცენტებში)

ასაკი	ყველა მიზეზით	კოვიდით	დანარჩენი მიზეზებით
40-44	3,6	1,0	4,0
45-49	3,3	1,5	3,4
50-54	3,0	1,9	3,1
55-59	3,1	1,7	3,3
60-64	2,7	1,9	2,8
65-69	2,5	2,8	2,5
70-74	2,1	2,2	2,1
75-79	1,7	2,0	1,7
80-84	1,4	2,0	1,4
85+	1,1	2,0	1,1

რა შედეგები მივიღეთ მოტანილი გაანგარიშებებიდან?

-40-44 წლის ასაკში კაცების მოკვდაობა ყველა მიზეზით, კოვიდთან შედარებით, ქალებისას აღემატება 3,6-4-ჯერ;

-კაცების „ზემოკვდაობა“ 45 წლის შემდეგ სისტემატურად მცირდება როგორც ყველა მიზეზით, ისე დანარჩენი მიზეზებით;

- კოვიდის შემთხვევაში, კაცების „ზემოკვდაობა“ ასაკის ზრდასთან ერთად კი არ მცირდება პირიქით, იზრდება, მაქსიმუმს(2,8) აღწევს 65-69 წლის ასაკში და მხოლოდ ამის შემდეგ მცირდება;

- განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კაცების „ზემოკვდაობა“ დანარჩენი მიზეზებით აღემატება კოვიდით „ზემოკვდაობას“ 65-69 წლამდე, ხოლო ამის შემდეგ პირიქით, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: **კაცების „ზემოკვდაობა“კოვიდით გაცილებით გამოკვეთილია 66 წლის და შემდგომ ასაკებში, ხოლო დანარჩენი მიზეზებით 66 წლამდე. შესაბამისად, კოვიდ - 19-ის პირობებში კაცებისთვის ყველაზე საშიში ასაკია 66 წლის და შემდგომი ასაკი.**

მოკვდაობის დონე განსაზღვრავს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას და ცხადია, მოკვდაობის ზრდას კოვიდის შედეგად არ შეიძლება არ გამოეწვია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლის შემცირება. აღნიშნულის გასარკვევად ჩვენს მიერ პირველად იქნა გამოთვლილი სიცოცხლის ხანგრძლიობის ცხრილები კოვიდის გარეშე 2020 წლისთვის როგორც ორივე სქესისათვის, ისე კაცების და ქალებისთვის. სიცოცხლის ხანგრძლივობას მოკვდაობის ყველა მიზეზის გათალისწინებით ითვლის საქსტატი.

ჩენს მიერ ჩატარებულმა გამოთვლებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ 2019-2020 წლებში:

- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 74-დან შემცირდა 73,3 წლამდე, ე.ი. 0,7 წლით. აქედან კოვიდზე მოდის 0,6 წელი, ხოლო დანარჩენ მიზეზებზე - 0,1 წელი. ეს ნიშნავს, რომ 2019-2020 წლებში სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში მხოლოდ კოვიდის მიზეზით არ შემცირებულა;

- კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა მოცემულ პერიოდში 69,8 წლიდან შემცირდა 69,0 წლამდე, ე.ი. 0,8 წლით, რომელთაგან კოვიდზე მოდის 0,6 წელი, ხოლო 0,2 - დანარჩენ მიზეზებზე; (Khmaladze Merab G. M., 2021)

- ქალებში სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირდა 0,6 წლით, რომელთაგან 0,5 წელი მოდის კოვიდზე, ხოლო 0,1 წელი დანარჩენ მიზეზებზე;

- ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალებთან შედარებით კოვიდ - 19 გაცილებით უარყოფითად მოქმედებს კაცების მოკვდაობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის დონეზე.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო კოვიდის გავლენის დადგენა საქართველოს რეგიონების მოსახლეობის მოკვდაობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ამ მიზნით ჩვენს მიერ გამოთვლილი იქნა სიცოცხლის ხანგრძლივობის ცხრილები 2019-2020 წლებისთვის. უნდა ითქვას, რომ რეგიონული მაჩვენებლების გამოთვლებით ქართული სტატისტიკურ-დემოგრაფიული ლიტერატურა განებივრებული არ არის. ჩვენთვის ცნობილია სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლის გამოთვლა მხოლოდ ქ.გორისთვის (ახალაია, 2009)

ცხრილი 4

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოს რეგიონების მიხედვით 2019-2020 წლებში

	2019			2020			ცვლილება +,-		
	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი
თბილისი	74.1	69,4	78,2	73,3	68,6	77,6	-0,8	-0,8	-0,7
აჭარა	73.8	70,3	77,3	71,6	68,1	75,1	-2,2	-2,2	-2,2
გურია	73.4	69,2	77, 8	73,7	69,9	77,6	0,3	+0,7	-0,2
იმერეთი	72.6	67,9	77,9	71,6	67,1	76,7	-1,0	-0,8	-1,2
კახეთი	73.4	69,2	77,8	73,4	68,9	78,2	0	-0,3	+0,4
მცხეთა-მთიანეთი	73.7	69,5	78,5	72,6	68,2	77,6	-1,1	-1,3	-0,9
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	73.5	69,3	78,0	71,3	66,9	76,7	-2,2	-2,4	-1,3
სამეგრელო -ზ.სვანეთი	72.6	67,8	77,8	72,6	67,9	77,7	0	+0,1	-0,1
სამცხე-ჯავახეთი	74.6	70,7	78,5	73,9	70,9	76,8	-0,7	+0,2	-1,7
ქვემო ქართლი	74.0	70,5	77,5	72,8	68,9	76,7	-1,2	-1,6	-0,8
შიდა ქართლი	73.8	69,3	78,5	73,5	68,9	78,5	-0,3	-0,4	0

მაჩვენებლები გაანგარიშებულია ნ.კოპალეიშვილის მიერ.

რეგიონებიდან 2019 წელს სიცოცხლის ყველაზე მაღალი ხანგრძლივობით გამოირჩევიან: სამცხე-ჯავახეთი, თბილისი და ქვემო ქართლი; 2020 წლისთვის: სამცხე-ჯავახეთი, გურია, შიდა ქართლი და კახეთი. რაც შეეხება კოვიდისგან მიყენებულ ზიანს, ამ მხრივ ყველაზე მეტად და-

ზარალდნენ: აჭარა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, რომლებშიც სიცოცხლის ხანგრძლვობა 2,2 წლით შემცირდა, რაც მეტად შემაშფოთებელი ფაქტია და ის შესაბამისი ორგანოების განსჯის საგანი უნდა გახდეს. სიცოცხლის ხანგრძლივობა 1 დან 1,2 წლამდე შემცირდა იმერეთში, მცხეთა-მთიანეთში და ქვემო ქართლში; სამცხე-ჯავახეთსა და თბილისში მაჩვენებელი შემცირდა 0,7-0,8 წლით, ხოლო ყველაზე ნაკლებად, 0,3 წლით, სცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი შემცირდა გურიასა და შიდა ქართლში. კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი არ შეცვლილა. ცხადია, რომ 2021 წლის ოფიციალური კოვიდსტატისტიკა მნიშვნელოვან კორექტივებს შეიტანს მოცემულ საკითხში.

დასკვნები და რეკომენდაციები

- პანდემიის შედეგად 2019-2020 წლებში უარყოფითმა ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 4017 კაცი. 2020 წელს კოვიდით გარდაიცვალა 2587 ადამიანი, მათ შორის 1458 კაცი (56,4%) და 1129 ქალი (43,6%);
- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართელოში კოვიდის შედეგად 2019-2020 წლებში შემცირდა 0,6 წლით, მათ შორის კაცებში - 0,6 წლით,ხოლო ქალებში 0,5 წლით;
- კოვიდით მოკვდაობა სტატისტიკურ მნიშვნელობას იძენს 40 წლის შემდეგ, მანამდე გარდაცვალების მხოლოდ 27 შემთხვევაა დაფიქსირებული;
- კოვიდით მოკვდაობის სქესობრივ-ასაკობრივი კანონზომიერება განსხვავდება დანარჩენი მიზეზებისგან. კოვიდის შემთხვევაში კაცების „ზემოკვდაობა“ ქალებთან შედარებით 40 წლის შემდეგ იზრდება და მაქსიმუმს აღწევს 65-69 წლის ასაკში, რის შემდეგაც ის იწყებს შემცირებას. დანარჩენი მიზეზების შემთხვევაში კაცების „ზემოკვდაობა“ ასაკს ზრდასთან ერთად, სისტემატურად მცირდება;
- რეგიონებიდან კოვიდ -19-მა ყველაზე მეტი ზიანი მიაყენა აჭარას, რაჭა-ლეჩხუმს და ქვემო სვანეთს, რომლებშიც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დანარჩენ რეგიონებზე უფრო მეტად, 2,2 წლით შემცირდა, რაც შესაბამისი ორგანოების განსჯის საგანი უნდა გახდეს.

ლიტერატურა:

1. Khmaladze Merab, G. M. (2021). COVID-19 AND LIVING STANDARD OF THE POPULATION OF GORGIA. Kiev.
2. ახალაია, ნ. (2009). *გორის მოსახლეობა.* თბილისი.
3. *დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში 2020 წელს.* (2021). თბილისი.
4. ხმალაძე, მ. (1995). *საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები.* თბილისი.
5. ხმალაძე, მ. (2009). *დემოგრაფია.* თბილისი.

Mortality and Life Duration of the Population of Georgia under COVID 19 Conditions

Merab Khmaladze

Doctor of Economic Sciences

Researcher at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Natalia Kopaleishvili

Academic Doctor of Economics

Chief Specialist of the National Center for Disease Control and Public Health

SUMMARY

- *As a result of the pandemic, the negative natural increase in 2019-2020 was 4017 persons. In 2020, 2587 people died due to the COVID, including 1458 men (56.4%) and 1129 women (43.6%);*
- *The average life expectancy in Georgia as a result of COVID in 2019-2020 decreased by 0.6 years, including men - by 0.6 years, and women - by 0.5 years;*
- *COVID mortality becomes statistically significant after 40 years, before that only 27 cases of death were recorded;*
- *The sex-age pattern of mortality as a result of COVID, differs from other causes. In the case of COVID, , the " mortality" of men increases compared to women after 40 years and reaches a maximum at the age of 65-69, after which it begins to decline. For other reasons, men's "mortality" systematically decreases with age;*
- *Among the regions, COVID-19 caused the most damage to Adjara, Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti, where the average life expectancy was reduced by 2.2 years more than other regions, which should become a subject of discussions by the relevant authorities.*

Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის გავლენა საწარმოს ფინანსურ აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე

ანჟელი ხორავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
უფროსი მასწავლებელი

Covid -19-ით გამოწვეულმა პანდემიამ უპრეცენდენტო სირთულეები შეუქმნა ბიზნესს და ეკონომიკას. ყველაზე პრიორიტეტული ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოებაა, რომელთა დასაცავად მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა განხორციელებული. პანდემიის ზემოქმედებისაგან ადამიანების, ბიზნესის და ეკონომიკის დასაცავად შემზღუდავი ღონისძიებების გატარების შედეგად მნიშვნელოვნად დაეცა წარმოების ტემპები, დაფიქსირდა მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვის წყვეტა, ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი რყევა და სხვა ნეგატიური შედეგები. ამ მოვლენებმა არსებითი გავლენა მოახდინეს საწარმოთა ფინანსურ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ინფორმაციის ასახვაზე.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარისგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მითითებები, საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების მიერ ჩატარებული კვლევის მასალები, სპეციალური ლიტერატურა, სტატიები და საერთაშორისო კონფერენციების მასალები.

კვლევის შედეგები ჩამოყალიბებულ იქნა პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: *პანდემია, ფუნქციონირებადი საწარმო, სამართლიანი ღირებულება, რესტრუქტურიზაცია.*

საწარმოს საქმიან აქტივობაზე მოქმედ უამრავ ფაქტორს, როგორიცაა დარგობრივი და გეოგრაფიული თავისებურებანი, კლიენტებისა და მომწოდებლების ფინანსური სტაბილურობა, საწარმოს გადახდისუნარიანობა და სხვა, მიმდინარე პერიოდში დაერთო Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის უპრეცენდენტო ნეგატიური გავლენა.

პანდემიის შედეგად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების შემცირებამ საწარმოთა მიმდინარე და მომავალი ვალდებულებების შესრულების, არსებული სესხების მომსახურების და აქედან გამომდინარე მთელი რიგი საწარმოების ფუნქციონირებადობის საკითხი ეჭვქვეშ დააყენა. წარმოიქმნა საწარმოების მხრიდან თავიანთი სტრატეგიის არსებითი გადახედვის, ფინანსური და ოპერაციული რესტრუქტურიზაციის ან გაჯანსაღების ღონისძიებების, სტრატეგიული ცვლილებების სწრაფად და დამაჯერებლად გატარების აუცილებლობა. ამიტომ, კომპანიები, რომლებმაც უკვე გააცნობიერეს თავიანთი ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების აუცილებლობა, ახალი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ და იძულებული გახდნენ ამ ცვლილებებზე რეაგირების ახალი სტრატეგია შეემუშავებინათ, რაც მთელ რიგ შემთხვევებში ოპერაციული რეორგანიზაციის ან ფინანსური რესტრუქტურიზაციის გზით შეიძლება იქნეს მიღწეული.

პანდემიის ნეგატიური გავლენა განსაკუთრებულად აისახა მრეწველობისა და ბიზნესის ცალკეულ დარგებზე, კერძოდ, სასტუმროების, ტურიზმის და მასპინძლობის ბიზნესზე. ამ ნეგატიური ზეგავლენის გამო წარმოქმნილი სირთულეების თავიდან ასაცილებლად საჭირო გახდა საწარმოების მიერ მარეგულირებელი ორგანოების შეტყობინებების მუდმივი გათვალისწინება და კონტროლის განხორციელება იმ ღონისძიებებზე, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია კრიზისის თავიდან აცილება.

საწარმოების საქმიანობაზე პანდემიით გამოწვეული ნეგატიური გავლენის შედეგები ფინანსურ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში პოვებს ასახვას. პრიორიტეტულ საკითხებად, რომლებიც

პანდემიის პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს და აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემებს მნიშვნელოვნად ცვლის, მიიჩნევა საწარმოს ფუნქციონირებადობა, ლიკვიდურობა, აქტივებისა და ვალდებულებების გაუფასურების შეფასება, ხელშეკრულების პირობების ცვლილება, სამართლიანი ღირებულების შეფასება, ასევე სახელმწიფო დახმარება და მოგების გადასახადი (Oliver Köster; Samuel Igoe, 2022).

საწარმოს ფუნქციონირებადობა და ლიკვიდურობა

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საფუძვლად უდევს ფუნქციონირებადობის პრინციპი, რომლის თანახმად საწარმო გააგრძელებს თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალში, თუ მას არ აქვს განზრახული ლიკვიდაცია, კომერციული საქმიანობის მასშტაბების შემცირება ან შეწყვეტა და მას არ გააჩნია სხვაგვარად მოქცევის სხვა რეალური ალტერნატივა (ბასს 1, 2021).

საწარმოს ფუნქციონირებადობაზე პანდემიის პირობებში გადამწყვეტ როლს ფულადი ნაკადები ასრულებს. უნდა განისაზღვროს ხომ არ ჰქონდა ადგილი ხელშეკრულების პირობების ცვლილებას, გააჩნია თუ არა საწარმოს საკმარისი ფულადი სახსრები, რომ უახლოეს საპროგნოზო მომავალში, 12 თვის განმავლობაში არ არის მოსალოდნელი მისი საქმიანობის შეწყვეტა. კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის მიმდინარე და მოსალოდნელი გავლენის დასადგენად საჭიროა საკრედიტო რისკების ზრდის შეფასება დაა დამატებითი ინფორმაციის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში (ბასს 1, 2021).

საწარმოს ფუნქციონირებადობის გაგრძელება გარკვეულ განუსაზღვრელობებთან არის დაკავშირებული. განუსაზღვრელობის ფაქტორების არსებობისას აუცილებელია შეფასდეს:

- საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის არსებითობა და ხანგრძლივობა;
- ლიკვიდურობის არსებითი ნაკლებობა.

საწარმოს ფუნქციონირებადობის შესახებ მონაცემებით მომხმარებელთა სრულად ინფორმირებისათვის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს: საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების უნართან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, არსებითი განუსაზღვრელობების არსებობისას ანგარიშგებაში გამჟღავნდეს ინფორმაცია მათ შესახებ და თუ ანგარიშგება შედგენილი არ არის ფუნქციონირებადობის პრინციპით, მიეთითოს მისი მომზადების საფუძველი და მიზეზი, რატომ არ ითვლება საწარმო უწყვეტად ფუნქციონირებად საწარმოდ.

საწარმო არ ჩაითვლება უწყვეტად ფუნქციონირებად საწარმოდ, როდესაც პანდემიის ზეგავლენით:

- დარღვეულია საოპერაციო საქმიანობა;
- დარღვეულია ხელშეკრულებების პირობები და საკანონმდებლო ნორმები;
- იცვლება ბიზნეს მოდელი მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში.

პანდემიის გავლენით გამოწვეული ბიზნეს მოდელის ან ოპერაციების ცვლილების შემთხვევაში საწარმოს მენეჯმენტის მიერ უნდა მოხდეს საანალიზო მაჩვენებლების შესაბამისი კორექტირება, დეტალურად შეფასდეს მომხმარებლებისათვის წარსადგენი განახლებული მონაცემების გამჭვირვალობა, სარგებლიანობა და მათ მიერ ფინანსური

ინფორმაციის შესაბამისობისა და საიმედობის ამაღლების უნარი. ამავე დროს ინფორმაციის მომხმარებლებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად დროულად და საიმედოდ ასახავს ეს მონაცემები ბიზნესის ცვლილებებს (Grant Thornton, 2021).

საწარმოს ფუნქციონირებადობის შეწყვეტას ადგილი აქვს, მაშინ როდესაც ხდება:

- ლიკვიდაცია;
- საოპერაციო საქმიანობის არსებითი შეკვეცა, შემცირება;
- საოპერაციო საქმიანობის შეწყვეტა.

კორონავირუსით დაზარალებული საწარმოების ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემებზე გავლენას ახდენს საქმიანობის შეჩერება პერიოდულად, საოპერაციო ხარჯების ზრდა, ამონაგების შემცირება, დამატებითი დაფინანსების აუცილებლობა, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების შეცვლა, კრედიტორების თანხმობა პასუხისმგებლობისაგან მათი განთავისუფლების შესახებ.

პანდემიამ პრობლემების წინაშე დააყენა საბანკო და საფინანსო დაწესებულებები, რომლებიც მსესხებლებისაგან მუდმივად იღებენ თხოვნას ფულადი სახსრების ვალდებულებებისაგან განთავისუფლების ან გადავადების შესახებ.

უძრავი ქონების მფლობელებმა ასევე უნდა განსაზღვრონ მეიჯარეებისაგან იჯარაზე შეღავათების დაწესების შედეგები (Grant Thornton, 2021).

გაუფასურების შეფასება და სამართლიანი ღირებულება

პანდემიის შედეგად ხდება აქტივების გაუფასურება, რომელიც გამოწვეულია საწარმოს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირებით, დანახარჯების ზრდით ან მომწოდებლებთან არსებული პრობლემების გამო წარმოების შეჩერებით, მყიდველთა შეკვეთების შეფერხებით ან გაუქმებით, მყიდველებისათვის სხვადასხვა სახის დათმობების შეთავაზებით და ძირითადი მყიდველების ფინანსური პრობლემებით. გაუფასურების შედეგების ფინანსურ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ასახვისათვის აუცილებელია გუდვილისა და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურების ტესტირების ჩატარება, ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზების გადახედვა და განახლება, საანგარიშგებო თარიღისათვის ბიუჯეტისა და პროგნოზების გადასინჯვა.

პანდემიის შედეგად შეიძლება არსებითად შეიცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რაც ბაზარზე ფასების ცვლილების შედეგია. სამართლიანი ღირებულება საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებული შეფასებაა. სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია იმ ფასის განსაზღვრა, რომლითაც განხორციელდებოდა აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაცია ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის მიმდინარე საბაზრო პირობებში (Oliver Köster; Samuel Igoe, 2022).

სამართლიანი ღირებულების დასადგენად შეფასებებისა და დაშვებების ფორმირებისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ბაზრის მონაწილეთა გამოცდილება სამართლიანი ღირებულების შეფასების შესახებ. ცვლილებები შეიძლება შეიტანოს შეფასების მეთოდებში, თუ ასეთი ცვლილება უფრო მეტად შესაბამისი იქნება სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნდეს ინფორმაცია გაკეთებული დაშვებებისათვის გამოყენებული მონაცემებისა და ეპიდემიის გავლენის ზომის შესახებ ბაზრის მონაწილეთა მიერ გაკეთებული სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე (Oliver Köster; Samuel Igoe, 2022)

იმ საწარმოების სტიმულირების მიზნით, რომელთა საქმიანობა კორონავირუსის გამო მნიშვნელოვნად შეფერხდა, მიზანშეწონილია ისეთი ზომების გატარება, როგორიცაა სუბსიდიე-

ბი, გადასახადებისაგან განთავისუფლება, სახელმწიფო მოსაკრებლების შემცირება, საიჯარო გადასახდელების შემცირება ან გადავადება, საპროცენტო განაკვეთების შემცირება.

სახელმწიფო დახმარება და მოგების გადასახადი.

ასეთი ზომების გატარების შედეგები აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი სტანდარტების მოქმედების სფეროების მიხედვით, როგორიცაა მოგების გადასახადი, სახელმწიფო დახმარებები, იჯარა და ფინანსური ინსტრუმენტები. ძალიან მნიშვნელოვანია ამ გავლენის ზომების შესახებ ინფორმაციის დროული და სრული გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში. მაგალითად მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს შემოსავლებისა და ხარჯების არსებითი მუხლების შინაარსისა და ოდენობის ცვლილების(გაუფასურება, რესტრუქტურიზაციაზე დანახარჯები) შესახებ ინფორმაცია. ასევე აუცილებელია შუალედური შედეგების დროული გამოვლენა საბოლოო ფინანსური შედეგების დასადგენად. ასევე მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში უნდა აისახოს და შეწყდეს განსაკუთრებულ აქტივზე სამუშაოების შეჩერების შედეგად პროცენტის კაპიტალიზება.

ბალანსის თარიღის შემდეგი მოვლენები და საწარმოთა რესტრუქტურიზაცია

პანდემიის გავლენა აისახება ბალანსის შედგენის თარიღიდან ბალანსის წარდგენამდე მომხდარ მოვლენებზე. საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო იზრდება გადახდისუუნარო დებიტორების რიცხვი, რაც მნიშვნელოვანი უიმედო ვალების წარმოქმნას, საბოლოოდ კი ფინანსური შედეგების გაუარესებას იწვევს (ბასს 10, 2022).

სასაქონლო მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასი მყიდველთა მსყიდველობითი უნარის დაცემის გამო ხშირად თვითღირებულებაზე დაბალია, რაც სათანადო კორექტირებას საჭიროებს და ფინანსურ ანგარიშგებაში ზარალის სახით აისახება. სეზონური და ვარგისიანობის მოკლე ვადის მქონე საქონელი განსაკუთრებული ყურადღებას საჭიროებს და შეიძლება საჭირო გახდეს მისი ჩამოწერა ან შეფასდეს მომავალში მისი გასაყიდი ფასის სავარაუდო შემცირება. დეტალურად აღრიცხვას უნდა დაექვემდებაროს პანდემიის შედეგად წარმოქმნილი ძნელად სარეალიზაციო მარაგების შენახვისა და გადატვირთვისათვის საჭირო დამატებითი ხარჯები, ახალ ბაზარზე გასაგზავნად მოთხოვნადი საქონლის ხელმეორედ შეფუთვის ხარჯები, მარაგებისა და შრომის ზენორმატიული ხარჯები.

შეძენილი აქტივების თვითღირებულებაში ან აქტივების გაყიდვიდან ამონაგების ოდენობაში პანდემიით გამოწვეული ცვლილებების დაზუსტება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდეგ საჭიროებს გარკვეული კორექტირებების შეტანას ფინანსური ანგარიშგებაში მის წარდგენამდე.

პანდემიით გამოწვეული დაბალი შრომისუნარიანობის, ახლობელი ადამიანების ავადმყოფობით ან გარდაცვალებით გამოწვეული სტრესების შედეგად გახშირდა შეცდომები ფინანსურ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში. აღნიშნული ფაქტები არაკორექტულობის თავიდან ასაცილებლად უნდა შესწორდეს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს ოპერაციის შეწყვეტის გეგმის გამოცხადება, ინვესტიციების საბაზრო ღირებულების დაცემა,რაც კორონავირუსის აფეთქებამ გამოიწვია იმ ქვეყნებში, სადაც საწარმოს ინვესტიციებია განთავსებული.

პანდემიის შედეგად საწარმოს შენარჩუნების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად შეიძლება იქცეს საწარმოების რესტრუქტურიზაცია, რაც შემდეგში მდგომარეობს:

- საქმიანობის ნაწილის გაყიდვა ან შეწყვეტა;
- საქმიანობის დახურვა რომელიმე ქვეყანაში ან რეგიონში, ან საქმიანობის გადატანა ერთი ქვეყნიდან ან რეგიონიდან მეორე ქვეყანაში ან რეგიონში;
- მენეჯმენტის სტრუქტურის ცვლილებები, მაგალითად, ერთი მენეჯერული ფენის გაუქმება;
- ფუნდამენტური რეორგანიზაცია, რომელიც არსებით გავლენას მოახდენს საწარმოს საქმიანობის ხასიათსა და მიმართულებაზე (ბასს 37, 2021).

რესტრუქტურიზაციის დანახარჯებისათვის საწარმომ უნდა შექმნას ანარიცხები, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ანარიცხების აღიარების ზოგადი კრიტერიუმები იყოს დაკმაყოფილებული. კერძოდ,

- საწარმოს აქვს წარსული მოვლენების შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება;
- ვალდებულების დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება.

რესტრუქტურიზაციის კონსტრუქციული ვალდებულების ასაღიარებლად საწარმომ უნდა შეადგინოს რესტრუქტურიზაციის დეტალური ოფიციალური გეგმა, სადაც მითითებული იქნება რესტრუქტურიზაციას დაქვემდებარებული საქმიანობა ან საქმიანობის ნაწილი, იმ მუშაკების მიახლოებითი რაოდენობა, ადგილმდებარეობა და ფუნქციები, რომელთაც უნდა მიეცეთ კომპენსაცია მუშაობის შეწყვეტისას, რესტრუქტურიზაციაზე გასაწევი ხარჯები და მოცემული გეგმის განხორციელების დრო. რესტრუქტურიზაციის კონსტრუქციულ ვალდებულებად ჩაითვლება დეტალური გეგმის საჯაროდ გამოცხადება, თუ ის საწარმოს მიერ მისი განხორციელების სამართლიან მოლოდინს შექმნის. საწარმომ რესტრუქტურიზაცია შეძლებისდაგვარად უმოკლეს პერიოდში უნდა დაგეგმოს, ხოლო დასრულება ისეთ ვადაში, რომ საეჭვო იყოს მასში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა.

საწარმომ რესტრუქტურიზაციის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა გაამჟღავნოს, რადგან გაუმჟღავნებლობა გავლენას მოახდენს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე.

რესტრუქტურიზაციის ანარიცხის შექმნისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, რომ ანარიცხები უნდა მოიცავდეს მხოლოდ პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებლად დაკავშირებულია რესტრუქტურიზაციასთან და არა საწარმოს მიმდინარე საქმიანობასთან.

დასკვნა

პანდემიით გამოიწვეული ძირითადი ბაზრებისა და კლიენტების დაკარგვის, შემოსავლების და დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების, ფულადი ნაკადების წარმომქმნელი აქტივების ღირებულების არსებითი შემცირების, მარაგების გასაღებაში არსებული პრობლემების, ახალი პროდუქციის გამოშვებისა და მომსახურების გაწევის გადავადების, ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი რყევის შედეგად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აუცილებელი გახდა გარკვე-

ული კორექტირებების გაკეთება. ასეთი კორექტირებები უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებს საწარმოს ფუნქციონირებადობის, მოთხოვნა-მიწოდებაში არსებული შოკური სიტუაციების, საკრედიტო რისკების მიმდინარე და მოსალოდნელი ზრდის და სხვა განუსაზღვრელობების, ასევე ბიზნესში მიმდინარე სხვა ცვლილებების შესახებ გამჭვირვალე და სასარგებლო ინფორმაციით.

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას მნიშვნელოვანია პანდემიის პირობებში სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდების ცვლილების, მარეგულირებელი ორგანოების მიერ გატარებული შემზღუდავი ღონისძიებების და საწარმოთა რესტრუქტურიზაციის შედეგების გათვალისწინება.

ლიტერატურა:

1. Grant Thornton. (January 2021 r.). *https://www.grantthornton-bq.com/publications/bonaire/covid-19-impact-on-2020-financial-statements/*.
2. Oliver Köster; Samuel Igoe. (27 January 2022 r.). *https://www2.deloitte.com/ch/en/pages/audit/articles/financial-reporting-survey-q1-2020.html*.
3. ბასს 1. (30 დეკემბერი 2021 r.). *https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/584*.
4. ბასს 10. (24 იანვარი 2022 r.). *https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/588*.
5. ბასს 37. (27 დეკემბერი 2021 r.). *https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/604*.

Effect of Pandemic Caused by Covid-19 on Company's Financial Accounting and Reporting

Anzheli Khorava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Senior Lecturer

SUMMARY

Loss of key markets and clients, decrease of revenue and employees, significant reduction of cash generating asset's value, delayes in production and service providing, unfavorable fluctuations in exchange rates and other significant factors caused the need of adjustments in financial statements. Such adjustments provide users of financial statements with transparent and useful information about going concern issues, material changes in supply-demand chain, curent state and expected growth of credit risk and other uncertainties related to business activity.

In decision making process by financial information users, it is important to consider results of change in fair value measurement methods caused by pandemic, restrictive actions taken by regulatory bodies and company restructuring.

Keywords: *Pandemic, Going Concern, Fair Value, Restructuring*

გარე აუდიტის ხარისხის ამაღლების თანამედროვე მიდგომები საბანკო სექტორში

მარინე ხუბუა

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გლობალიზაციის პირობებში აუდიტის პროცედურების სწორი რეგულირებისათვის აუცილებელია მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობა, რათა განხორციელდეს საზედამხედველო რეფორმა რაც უზრუნველყოფს საბანკო სისტემის სტაბილურობას, მის ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურეტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას და რისკების შემცირებას. საბანკო სექტორში აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია აღრიცხვა, აუდიტის სისტემების გაუმჯობესებით და უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი პრაქტიკული ღონისძიებებით. აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის მოთხოვნები დადგენილია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით და ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით. სტატიაში განხილულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემები, ამოცანები, შესაძლებლობები და ევროკავშირის სტანდარტების გამოყენების დადებითი შედეგები. ჩამოყალიბებულია დასკვნები საბანკო გარე აუდიტის ხარისხის შესაფასებლად და საზედამხედველო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

საკვანძო სიტყვები: აუდიტი, საბანკო სექტორი, ფინანსური ანგარიშგებები, კომუნიკაციის ზოგადი ჩარჩო, აუდიტის ხარისხი.

საბანკო სისტემამ COVID-19 პანდემიით გამოწვეულ შოკს გაუძლო და მდგრადობაც გაიზარდა. თუმცა გაურკვევლობაა საბანკო სისტემის პანდემიის შემდგომი განვითარებისა და შესაბამისად ეკონომიკური პროგნოზების გარშემო. ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ იქნა დროებითი საზედამხედველო გეგმა, რომელიც საბანკო სექტორს ფინანსური სტრესის პირობებში კაპიტალის, ლიკვიდურობის ბუფერების გამოყენების საშუალებას აძლევს და აქტიურად განაგრძობს მუშაობას ფინანსური სისტემის მდგრადობის, ფინანსური სტაბილურობის ხელშესაწყობად.

ეროვნული ბანკის „საზედამხედველო სტრატეგიის მიხედვით“, აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება 2020-2022 წლებისათვის განსაზღვრულ ერთ - ერთ საზედამხედველო პრიორიტეტს წარმოადგენს. ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ იქნა საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილების გათვალისწინებით „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე (ფასს) გადასვლის გზამკვლევი“, „აუდიტორულ ფირმებსა და ეროვნულ ბანკს შორის ეფექტური კომუნიკაციის სახელმძღვანელო “.

ფასს-ზე სრულად გადასასვლელად ეროვნულ ბანკს მოუწევს საზედამხედველო ანგარიშგების შემუშავება ფასის სტანდარტების მიხედვით, ხოლო საზედამხედველო მაჩვენებლების გამოთვლა განახორციელოს განახლებული ინსტრუქციების საფუძველზე. ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისათვის ფინანსური ინფორმაციის წარსადგენად დანერგა ევროკავშირის პრაქტიკაში გამოყენებული ანგარიშგების ფორმა FINREP. ფასს-ზე გადასვლის პროექტის წარმატებით დასრულება საერთაშორისო გამოცდილების მქონე შიდა და გარე აუდიტის სპეციალისტების, ადგილობრივი ექსპერტების აქტიური ჩართულობით და საბანკო სექტორის თანამშრომლების გადამზადებით იქნება შესაძლებელი.

ეროვნულ ბანკსა და აუდიტორულ ფირმებს შორის კომუნიკაციის საკითხებს არეგულირებს „საქართველოს ეროვნული ბანკის კანონი“, სადაც გაწერილია ეროვნული ბანკის მიერ აუ-

დიტორული ფირმებისათვის ინფორმაციის გაზიარების, ასევე აუდიტორული ფირმისაგან ინ-ფორმაციის მიღებასა და კონფიდენციალური ინფორმაციის ჯეროვნად შენახვასა და დამუშავე-ბის მოთხოვნების პრაქტიკაში დამკვიდრების საკითხები. საზედამხედველო ორგანოსთან კო-მუნიკაცია აუდიტორული ფირმისათვის მატერიალური ცდომილების რისკის იდენტიფიცირე-ბის, შეფასების და ამ რისკზე რეაგირების კიდევ ერთი დამხმარე წყაროა.

„აუდიტორულ ფირმებსა და ეროვნულ ბანკს შორის ეფექტური კომუნიკაციის სახელ-მძღვანელოს“ მიხედვით, აუდიტორულ ფირმასა და საზედამხედველო ორგანოს შორის ეფექ-ტური კომუნიკაცია რომ შედგეს ორივე მხარემ ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ სა-კითხებზე:

- საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობა;
- მდგრადობა და უსაფრთხოება;
- საბანკო ზედამხედველობის პროცესის ეფექტურობა;
- ეფექტური კომუნიკაციის პრაქტიკაში დანერგვა;
- ადაპტირებადი და მოქნილი კომუნიკაცია მოულოდნელი მოვლენების მიმართ;
- სწორი ხედვა თითოეული მხარის როლებისა და პასუხისმგებლობის შესახებ;
- კონფიდენციალურობის მოთხოვნის დაცვა.

იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ეფექტური კომუნიკაცია, ორივე მხარემ უნდა დაიცვას შემდეგი ძირითადი პრიციპები: გაზარიებული ინფორმაციის რელევანტურობა, ეფექტური კო-მუნიკაცია შესაბამისი არხების მეშვეობით, კომპენტენტური პირების ჩართულობა, კომუნიკაცი-ის სიხშირე დამოკიდებული უნდა იყოს რელევანტური ინფორმაციის დროულ გაზიარებაზე.

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად აუდიტორულ ფირმებს მოუწევთ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა თნამშრომელთა პროფესიული განვითარების მიმართუ-ლებით როგორიცაა აუდიტის პროფესიული სერთიფიცირების პროცესი, ტრენინგების, სემინა-რების, კონფერენციების ორგანიზება, პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, რეალურ დროში აუდიტის კომპონენტების დანერგვა, მონაცემთა ანალიზის პროცესის განვითარება, დისტანციური აუდიტის ოპტიმიზაცია.

საქართველოს საბანკო სისტემის აუდიტის ევროკავშირის სტანდარტებთან, პრაქტიკას-თან დაახლოებისათვის, აუცილებლია აუდიტის ჩატარების მექანიზმები შემუშავდეს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის, ევროპის საბანკო ორგანოს EBA, მსოფლიო ბანკის მი-ერ მიღებული სარეკომენდაციო დოკუმენტების საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური გამჭირვალობის, სტაბილურობის განმტკიცებას და უფრო მიმზიდველს გახდის საქართველოს საბანკო სექტორს ინვესტიციებისთვის.

გარე დამოუკიდებელი აუდიტი არის მონიტორინგის ერთ- ერთი მნიშვნელოვანი მექა-ნიზმი, რომელიც ამსუბუქებს ფირმის პრობლემას და ზღუდავს მენეჯერების ოპორტუნისტულ ქცევას [Dater S. 1991]. ფირმის ხარჯების შესამცირებლად, აუდიტორმა უნდა აღმოაჩინოს და შე-ატყობინოს ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი შეცდომა მაქსიმალურად კარგად [Wartts. R.Zimmerman1981]. რაც უფრო მაღალია კვალიფიკაცია აუდიტორის, მით უფრო მაღალია აუდი-ტის ხარისხი. როგორც ინფორმაციის გამჟღავნების სისტების მნიშვნელოვანი ნაწილი, აუდიტის ხარისხი პიდაპირ გავლენას ახდენს სააღრიცხვო ინფორმაციის ხარისხზე და თავის მხრივ გავ-ლენას ახდენს სააღრიცხვო ინფორმაციის მომხმარებლის გადაწყვეტილებებზე და ქმედებებზე.

აქედან გამომდინარე აუდიტის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს [Francis j. 1984] .

აუდტორული ფირმის კონტროლის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს აუდიტორული მომსახურების ხარისხის შიდა საფირმო კონტროლი, რაც ხელს უწყობს მათი რეპუტაციის ამაღლებას. აუდიტორული ფირმის შერჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ აუდიტორულ ფირმას რომელშიც მოქმედებს მათი საქმიანობის ხარისხის შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა.

კომერციულმა ბანკმა გარე აუდიტის ეფექტურად განხორციელების მიზნით დახმარება უნდა გაუწიოს აუდიტორულ ფირმას აუდიტის დაგეგმვის საწყის ეტაპზე და მიაწოდოს შესაბამისი მარეგულირებელი ინფორმაცია. გარე აუდიტორმა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე დასკვნის შედგენისას „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე (ფასს) გადასვლის გზამკვლევის“ მიხედვით, უნდა შეისწავლოს შემდეგი საკითხები: განახლებული დარეზერვების პოლიტიკა, საზედამხედველო მაჩვენებლების გამოთვლა, ლევერიჯის კოეფიციენტი, ურთიერთდაკავშირებული მხარეებისა და დაკავშირებული მხარეების კოეფიციენტები, ლიკვიდურობის გადაფარვის და ღია სავალუტო პოზიციის კოეფიციენტები, წმინდა დაფინანსების და IRRBB კოეფიციენტები.

აუდიტორული ორგანიზაცია ადგენს დავალებათა ხარისხიანად შესრულების უზრუნველყოფის პრინციპებსა და პროცედურებს უწყვეტობის საფუძველზე. როგორც წესი ეს მიიღწევა შესაბამისი დოკუმენტების გამოყენებით მატერიალური ან ელექტრონული ფორმით პროგრამული უზრუნველყოფისა და დოკუმენტების სტანდარტიზირებული ფორმების გამოყენებით. გარდა ამისა ასევე ხდება დარგობრივი და პრობლემურად ორიენტირებული რეკომენდაციებისა და აუდიტორული ფირმის მუშაობის დარგობრივი გამოცდილების გათვალისწინება. აუდიტის დაგეგმვის დროს, აუდიტორულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს კლიენტის რისკის შეფასების საკითხებს აუდიტორული პროცედურების ოპტიმალური ერთობლიობის შესარჩევად, რომელიც უზრუნველყოფს მუშაობის საჭირო ხარისხს და არ აქვეითებს აუდიტის ეფექტურობას [Levan Sabauri 2018].

აუდიტორულმა ფირმამ კომერციულ ბანკის აუდიტის ხარისხიანად ჩასატარებლად „ეფექტური კომუნიკაციის სახელმძღვანელოს“ მიხედვით, განსახილველი საკითხები უნდა დააჯგუფოს შემდეგი თანმიმდევრობით: კომერციული ბანკის რისკის პროფილი და ბიზნეს გარემო, კორპორაციული მართვა და შიდა აუდიტი, კომერციული ბანკის ფუნქციონირების უწყვეტობა, აუდიტის მიდგომები, ფინანსური ანგარიშგება, აქტივების, ვალდებულებების შეფასება და ახსნა განმარტებითი შენიშვნები, აუდიტის ანგარიშგება და აუდიტორის კომუნიკაცია კომერციული ბანკის მმართველ ორგანოსთან, საზედამხედველო ორგანოსთან ან აუდიტის კომიტეტთან ფინანსური ანგარიშგების და კონტროლის ფუნქციების მნიშვნელოვან საკითხებთან, აუდიტის პროცედურების ძირითადი მიგნებები და დასკვნები, საზედამხედველო შეფასებები და ქმედებები. აუდიტის პროცესში შესაძლებელია გამოვლინდეს შიდა აუდიტის ხარვეზები, რასაც საზედამხედველო სამსახური შემდგომ საქმიანობაში გაითვალისწინებს.

ეროვნულ ბანკს შემუშავებული აქვს „კომერციული ბანკების კონსოლიდირეული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი“, რომელიც არეგულირებს კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს და ურთიერთობას

ეროვნულ ბანკთან, ასევე გაწერილია აუდიტორული ფირმის შერჩევის მინიმალური კრიტერიუმები. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის რეესტრში მოცემულია ინფორმაცია აუდიტორული ფირმების შესახებ, რაც ბანკებს აუდიტორული ფირმის შერჩევის პროცესს გაუადვილებს.

აუდიტის ხარისხი ინფორმაციის გამჟღავნების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს სააღრიცხვო ინფორმაციის ხარისხზე, რაც იწვევს დაინტერესებული მხარეების გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს. კვლევამ გამოავლინა, რომ ხელმომწერი აუდიტორების პირადი მახასიათებლები ასოცირდება აუდიტის ხარისხთან. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები ადასტურებს რომ ხელმომწერ აუდიტორთა მრავალფეროვნება ამცირებს აუდიტის ხარისხს კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების შესაბამისი ზრდის გამო. აღმოჩნდა, რომ აუდიტის გუნდში მრავალფეროვნების უფრო მაღალი დონე ასოცირდება არასტანდარტული აუდიტორული დასკვნების გამოცემის დაბალ ალბათობასთან, ფინანსური ანგარიშგების შეცვლის უფრო მაღალ ალბათობასთან, შემოსავლების მართვის უფრო მაღალ ხარისხთან. კვლევის შედეგად აღმოჩნდა ქალი აუდიტორები უფრო მეტად გამოცემენ შეცვლილ აუდიტორულ მოსაზრებებს, ვიდრე მამაკაცი აუდიტორები. თეორიული ანალიზისა და ემპირიულ კვლევაში გუნდური მრავალფეროვნების როლზე ორი სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს. გუნდის მრავალფეროვნების ზოგიერთი მომხრე ამტკიცებს, რომ მრავალფეროვნება იწვევს მეტ ცოდნას და მოსაზრებებს, რაც ეხმარება გუნდს განიხილოს რთული პრობლემები სხვადასხვა პერსპექტივიდან და გააუმჯობესოს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის დონე, რაც საბოლოოდ გაზრდის მათ ეფექტურობას. გუნდის მრავალფეროვნების ოპონენტები აღიქვამენ ასეთ მრავალფეროვნებას, როგორც ბარიერს ცოდნისთვის, გუნდის წევრებს შორის კონფლიქტის წყაროდ და აზრთა შეჯახებას, რაც იწვევს განხეთქილებას და საბოლოოდ ამცირებს გუნდის ეფექტურობას. [Manoj A. Zhaori. G.Yun.M. Tianshu.Z. 2021].

აღნიშნული თეორიიდან და კვლევიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა რომ, ბანკებმა აუდიტორული ფირმის შერჩევისას ყურადღება უნდა მიაქციონ ხელმომწერი აუდიტორების ინდივიდუალურ მახასიათებლებს და შეეცადონ შეამცირონ აუდიტორების მრავალფეროვნება.

აუდიტორულმა ფირმამ აუდიტი უნდა ჩაატაროს საფუძვლიანად, მაგალითად სრულ საგადასახადო დეკლარაციაზე და არა კონკრეტულ პუნქტებზე დაყრდნობით, რათა შემცირდეს შეუსაბამობის გამოტოვების შანსი. რის შედეგად უფრო მეტად იქნება დაცული მომხმარებელთა და ინვესტორების უფლებები, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საფინანსო სექტორის ფინანსური მდომარეობის გამჭირვალობა. კომერციული ბანკის ხელმძღვანელებმა ობიექტური ფინანსური მდგომარეობის დადგენისა და ჯეროვანი მართვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ყოველწლიურად სრულმაშტაბიანი საერთაშორისო ანგარიშგების პრინციპების შესაბამისი ხარისხიანი გარე აუდიტის ჩატარებისათვის ეფექტური კომუნიკაცია დაამყარონ აუდიტორულ ფირმებთან. საზედამხედველო ორგანოების მიერ შემუშავებული რეკომედაციები, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დაცვით მუდმივად უნდა განახლდეს, რაც გააუმჯობესებს აუდიტის ხარისხს და საზედამხედველო პოლიტიკას. ასევე მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერა რეფორმის გაძლიერებისა და განვითარებისათვის. საბანკო სისტემა აუდიტის სართაშორისო სტანდარტებზე გადასვლას წარმატებით შეძლებს, თუ საქართველო პირნათლად შეასრულებს ევროკავშირის ვალდებულებებს.

ლიტერატურა:

1. Datar S. Feltham,GA Hughes j.1991 The role of audita and audit quality in valuing new issues. Journal of Accounting and Economics 3
2. Watts, R Zimmerman j. 1981 The Market for independence and Independent auditors. University of Rochester. Unpublinhed Manuecript
3. Francis j. 1984 the effect of audit Firm size on audit prices etudy of the Australis market. Journal of Accounting and Economics 133
4. LEVAN SABAURI 2018 AUDIT RISK MANAGEMENT AND ITS AFECT ON THE AUDIT OF THE FINANCIAL STATEMENT. J. GLOBALIZATION AND BUSINESS. 215-220
5. Manoj A, Zhaorui G,Yum M, Tianshu Z. Diversity of Signing Auditors and Audit Quality Evidence from Capital Market in China. Journal International Review of Economics, Finance 2021 555-557
6. Regulation EU No 537/2014 OF The European Parliament and of the council of the Council on specific

Modern Approaches of Improving the Quality of External Audit in the Banking Sector

Marine Khubua

Academic Doctor of Economics,

Sokhumi State UniversityAssociate Professor

SUMMARY

In the context of globalization, proper regulation of audit procedures requires multilateral international cooperation in order to carry out supervisory reform that ensures the stability of the banking system, its efficient functioning, the creation of a competitive environment and the reduction of risks. These above mentioned problems in the banking sector can be solved through the improvement of accounting systems and joint practical activities with foreign partners. The requirements for quality control of audit services are set by international auditing standards as well as local legislation. The article discusses the problems, tasks, opportunities and positive results related to the implementation of EU standards. Conclusions have been drawn up to assess the quality of an external audit of the bank and to improve its supervisory policy.

Key words: *audit, banking sector, financial statements, general communication framework, audit quality.*

სოციალური მარკეტინგის გავლენა ქცევის ცვლილებაზე COVID-19-ის პანდემიის პირობებში

ჩარიტა ჯაში
ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე უროტაძე
ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

COVID-19-ის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ასპექტია ვაქცინაციის სტრატეგია (იმუნიზაცია), რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს. სტატიაში გაანალიზებულია მსოფლიოში მიმდინარე იმუნიზაციის პროცესი, რომელიც ეფუძნება უახლესი პუბლიკაციებისა და კვლევების მიმოხილვას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სამ საკითხზე, როგორიცაა: სოციალური ქცევის ცვლილებები, იმუნიზაციის გააქტიურებისათვის გამოყენებული სოციალური მარკეტინგის ინსტრუმენტები და სოციალური ქსელების როლი ვაქცინის მომხრეებისა და მოწინააღმდეგების დისკურსში. ნაშრომში განხილულია ბრიტანელი მეცნიერების მიერ შემუშავებული 5C-ის მოდელი, რომელიც მოიცავს შემდეგ ფაქტორებს: ნდობას, შეზღუდვას, თავდაჯერებულობას, გათვლას და კოლექტიურ პასუხისმგებლობას. აღნიშნული მოდელი ასრულებს მამოძრავებელი ძალის როლს და ზემოქმედებას ახდენს ვაქცინაციის მიმართ ნეიტრალურად ან ნეგატიურიად განწყობილ ინდივიდებზე. სოციალური ქსელები ინტენსიურად გამოიყენება ჯანდაცვისა და სოციალური კამპანიების ეფექტიანად წარმართვისათვის. ამასთან, სოციალურ ქსელებში ჩართულები არიან ვაქცინაციისადმი სკეპტიკურად განწყობილი ინდივიდები, რომლებიც მიწოდებულ ინფორმაციებზე მწვავედ რეაგირებენ. ისინი ვაქცინის შესახებ ინფორმაციებს განიხილავენ არა სამეცნიერო პროდუქტად, არამედ ინდივიდუალური ირაციონალური ინტერპრეტაციით, რაც იმუნიზაციის პროცესს აფერხებს. სტატიაში ნაჩვენებია, რომ სოციალური მედია უზარმაზარ გავლენას ახდენს მომხმარებელთა ქცევაზე, ამიტომ საჭიროა სისტემატური კვლევა ამ მიმართულებით, რათა ყველამ გააცნობიეროს ვაქცინაციის მნიშვნელობა პანდემიის დამარცხებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *ჯანდაცვის პოლიტიკა, ვაქცინაცია, ქცევის ცვლილებები, სოციალური მედია.*

არაპროგნოზირებადი მოვლენებით აღსავსე მსოფლიო მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიების შესაძლებლობების პირობებში სხვადასხვა ქვეყნები ერთიანი წესებით იცხოვრებდნენ. COVID-19-ის პანდემიამ მილიონობით ადამიანის ბედი საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებაზე დამოკიდებული გახადა. ვირუსული ეპიდემიით გამოწვეული 100 წლის წინანდელი პრობლემები შორეულ წარსულში დარჩა. შემდგომ პერიოდში ვირუსული ეპიდემიის გამწვავებებს მხოლოდ ეპიზოდური და ლოკალური ხასიათი ჰქონდა. თუმცა, უკვე 2 წელზე მეტია, პლანეტის მოსახლეობა გლობალური პანდემიის პირობებში ცხოვრობს, რამაც ადამიანების ქცევა რადიკალურად შეცვალა (Michies & West, 2021; Urotadze & Jashi, 2020).

ზოგადად, ვაქცინაცია გასული საუკუნის უდიდეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, რომელმაც მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული დაავადებათა რისკები და სიკვდილიანობა რადიკალურად შეამცირა. ვაქცინაციის წყალობით შესაძლებელი გახდა მრავალი ინფექციური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა. ვაქცინაციის მასობრივმა გამოყენებამ ხელი შეუწყო ვირუსულ

დაავადებათა წინააღმდეგ ტოტალური ომის წარმოებას, ავადმყოფობის გაკონტროლებას და ზოგიერთი მათგანის აღმოფხვრასაც კი (Ergur, 2020).

ბლუმბერგის მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში COVID-19-ის წინააღმდეგ 4,77 მილიარდზე მეტმა ადამიანმა მიიღო ვაქცინის დოზა, რაც წარმოადგენს დედამიწის მოსახლეობის 62,1&-ს. ვაქცინაციის დიდი კამპანია მიმდინარეობს 184 ქვეყანაში, სადაც შეყვანილია 910,1 მილიარდზე მეტი დოზა და ყოველდღიურად მოიხმარება 34,5 მილიონი ვაქცინა (Bloomberg, 2022). ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სრულად აცრილია მოსახლეობის 80%-ზე მეტი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დაავადებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და საშუალებას აძლევს მოსახლეობას, ჩვეული რიტმით გააგრძელოს ცხოვრება. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ 87 ქვეყანაში აცრილია მოსახლეობის 40% -ზე ნაკლები, ხოლო დაბალშემოსავლიან ქვეყნებში - მხოლოდ 10 % (Bloomberg, 2022).

ვაქცინაციის აუცილებლობისა და უსაფრთხოების შესახებ მრავალი მტკიცებულებისა და მეცნიერული კონსენსუსის მიუხედავად, ბოლო პერიოდში იზრდება ვაქცინაციის საწინააღმდეგო მოძრაობა. 2019 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვაქცინაციის მიღებისადმი გადაუწყვეტელი ქმედება 10 პრიორიტეტულ საშიშროებად გამოაცხადა. ვაქცინაზე უარის თქმა, მისი ხელმისაწვდომობის მიუხედავად, საფრთხეს უქმნის ვაქცინით პრევენციულ დაავადებებთან ბრძოლაში მიღწეულ პროგრესს (World Health Organization, 2019). მრავალი კვლევისა და სამეცნიერო პუბლიკაციების განსჯის ობიექტია საკითხი, თუ როგორ უნდა იქნეს დაძლეული ინდივიდთა გაურკვევლობა (ყოყმანი) ვაქცინის მოხმარებასთან დაკავშირებით და რა მეთოდებით უნდა მოხდეს ანტივაქცერული განწყობების დაძლევა (Kennedy, 2019; Soares at al., 2021; Cascella, 2022).

როგორც ცნობილია, სოციალური მარკეტინგის კამპანია ითვალისწინებს მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტას, ქცევის შეცვლას და საზოგადოების ჩართულობის ზრდას (Jashi & Todua, 2013; Todua & Jashi, 2018). სოციალური მარკეტინგის ინტერვენცია ინდივიდს სასურველი სოციალური ქცევისაკენ უბიძგებს, რაც ქცევის ცვლილებების განხორციელებას აჩქარებს და ჯანმრთელობისათვის საშიშ რისკ ფაქტორებს ამცირებს (Jashi, 2012; Todua & Jashi, 2013; Abkar at al., 2019; Todua & Jashi, 2021; Cook at al., 2021; Burts, 2021; Mghebrishvili & Urotadze, 2021). თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის ქცევის ცვლილებების ეფექტიანობა და სარგებელი ჯერ კიდევ კარგად გაცნობიერებული არაა, რაც მრავალ ქვეყნაში იმუნიზაციის განსახორციელებლად არასასურველ სოციალურ გარემოს ქმნის. ინფექციური დაავადებით გამოწვეულმა რეალურმა საფრთხემ ავადობისა და სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია, განსაკუთრებით, იმ ქვეყნებში, სადაც ვაქცინაციის დონე დაბალია. ასეთი რეალური საშიშროების მიუხედავად, მოსახლეობაში არსებობს საპირისპირო მოსაზრება, რომელიც საყურადღებოა და სერიოზულ ბარიერებს ქმნის ვაქცინაციის ეფექტიანი სტრატეგიის განხორციელებისათვის. ანტივაქცერული განწყობებისა და დამოკიდებულების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს მასმედიის სხვადასხვა პლატფორმაზე ანტივაქცერთა აქტიურობის ზრდა, რაც საზოგადოებაში პოლარიზაციას კიდევ უფრო ამწვავებს. რეალობა საკმაოდ დრამატულია. ვაქცინაციის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი პირები ორგანიზებულად მოქმედებენ და მათ გარკვეული მხარდაჭერა აქვთ, როგორც მორალური, ასევე ფინანსური ვალთახედვით (Khan, 2019; Burki, 2020; Germani & Biller-Androno, 2021).

ვაქცინის მიღებისადმი გაურკვევლობის (ე. წ. ყოყმანის) კონცეფცია, როგორც ინდივიდთა განგრძობითი ქმედება, დიდი ხანია, არსებობს. ის მოიაზრება, როგორც შუალედური პოზიცია ვაქცინის მიღებასა და უარის თქმას შორის. მასზე გავლენას ახდენს მრავალი ფსიქოლოგიური, სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორი, როგორიცაა ასაკი, სქესი, რელიგიური მოსაზრებები, ჯანმრთელობის სისტემების ცოდნა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ შეტყობინებები,სოციალური და პოლიტიკური შეხედულებები და სხვა. ამერიკელმა ანთროპოლოგმა მარკ ნიხტერმა შეიმუშავა ვაქცინაზე დამოკიდებულების კლასიფიკაცია, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ვაქცინის აქტიურ მიღებას (ინფორმირებული საზოგადოების მიერ ერთგულების გამოხატვას) და პასიურ მიღებას (Nichter, 1995). ნიხტერის მიერ პასიური მიღების აღწერა განსაკუთრებით რეზონანსულია COVID-19-ის ვაქცინაციის ირგვლივ არსებულ დისკურსში. მიჩნეულია, რომ ვაქცინაციის დაფარვის მაღალი მაჩვენებლები ხშირად ფარავს მათ, ვისაც აქვს ყოყმანი, მაგრამ ვაქცინას ღებულობს. თუ ეს ყოყმანი გაგებული არაა და დროულად არ განიხილება, ვაქცინაციის პროგრამების ეფექტიანობა და მდგრადობა შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს (Gogoi et al., 2021; Cascela at al., 2021; Anderson et al., 2021; Hammond, 2020; Johnson et al., 2020; Lazarus et al., 2021). ბრიტანელ მეცნიერთა ჯგუფი, რომელშიც შედიან ჯანმრთელობის, დემოგრაფიული, ეპიდემილოგიური და ქცევის საკითხების პროფესიონალები, ახალ სოციალური ქცევის ცვლილებაზე და დიდ სოციალურ სარგებელზე ორიენტირებულ მიდგომებს შეისწავლის (Evans, 2018; Gogoi et al., 2021; Khubchandani et al., 2021; Li et al., 2021). ექსპერტების მიერ შემუშავებულია ე.წ. 5C-ის მოდელი, რომელიც მიმართულია სკეპტიკურად განწყობილი მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტებზე. ამ მოდელმა უნდა შეასრულოს მამოძრავებელი ძალის როლი, რათა ზემოქმდება მოახდინოს იმ ადამიანებზე, რომელთა განწყობა ვაქცინაციისადმი ნეიტრალური ან ნეგატიურია. 5C-ის მოდელი განიხილავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ნდობა (Confidence), შეზღუდვები (Constraints), თავდაჯერებულობა (Complacency), გათვლა (Calculation) და კოლექტიური პასუხისმგებლობა (Collective Responsibility)

ჯანმრთელობის სისტემის მიმართ ნდობის ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა იმუნიზაციის პროცესში. მოქალაქეთა პოზიტიური დამოკიდებულებისა და განწყობის ფორმირება ხელს უწყობს ვაქცინაციის სანდოობის ზრდას და მის უსაფრთხო გამოყენებას ინდივიდის ცნობიერებაში. განსაკუთრებული ფოკუსირება უნდა მოხდეს რისკის მქონე დაუცველ სეგმენტზე მობილური შეხვედრებისა და არგუმენტირებული მტკიცებულების დემონსტრირებით, რათა ისინი დროულად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში. ვაქცინაციის პროგრამის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანდ არის დამოკიდებული მთავრობის კომუნიკაციის უნარზე, თუ რამდენად შეუძლია მას გააჩინოს და შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა ვაქცინების ეფექტიანობისა და უსაფრთხოების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ბევრმა ქვეყანამ (მაგალითად, ბელგიამ, ნიდერლანდებმა, ინგლისმა და ირლანდიამ) ეს პროცესი ეფექტიანდ წარმართეს.

ვაქცინის აღქმასთან დაკავშირებით შეზღუდვების არსებობა შეიძლება იყოს როგორც სტრუქტურული, ასევე ფსიქოლოგიური. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ფიზიკურ ხელმისაწვდომობას, ასევე ენობრივ ბარიერებს, ინფორმაციის გაგების უნარს, ვაქცინის მიღების კუთხით მზადყოფნას და ა.შ. სამწუხაროდ, ბევრ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა მოსახლეობასთან კომუნიკაციის ნაკლებობას და ვაქცინაციის დროულ მიწოდებასთან დაკავშირებით შეფერხებას. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალ განვითარებად ქვეყანაში, ვაქცინაციის ფიზიკურ ხელმისაწვდომასთან მიმართებით, არსებობს უთანასწორობა. სამწუხაროდ, ამ კუთხით სერიოზული წინგადგმული ნაბიჯები ჯერ არ შეიმჩნევა (Sen-Crowe et al., 2021).

თვითდაჯერებულობა დაკავშირებულია დაავადების აღქმულ რისკთან და დიდ გავლენას ახდენს იმუნიზაციის პროცესებზე. აღსანიშნავია, რომ პანდემის დაწყების პირველი დღიდან ასაკოვანი ადამიანები წარმოადგენდნენ მაღალი რისკის ჯგუფს, ხოლო ახალგაზრდები და ბავშვები - დაბალი რისკის მქონე სეგმენტს. ასეთმა მიდგომამ უარყოფითი როლი ითამაშა კონკრეტულ სეგმენტებში ახალი ქცევის ჩამოსაყალიბებლად. მაგალითად, მრავალი ინდივიდი დაარწმუნა იმაში, რომ ახალგაზრდული სეგმენტისათვის იმუნიზაციის პროცესში ჩართვა სავალდებულო არ იყო. თუმცა, შემდგომმა მოვლენებმა ამ მიდგომაშიც გარკვეული კორექტივები შეიტანა.

წინასწარი გათვლა გულისხმობს იმას, თუ რამდენად საჭიროა სპეციფიკური ინფორმაციის მოძიება ვაქცინაციის საჭიროების შესახებ და კონკრეტული რისკებისა და სარგებლის შესახებ მოქალაქეებისათვის ინდივიდუალურად მიწოდება. აუცილებელია ინტენსიური ინვიდუალური მუშაობა ანტივაქცერულ პროცესებში აქტიურად ჩართულ ადამიანებთან, აგრეთვე იმათთან, ვისაც ვაქცინის მოხმარებაზე მოტივაცია არ გააჩნია (Tafuri et al., 2014, Rogers et al., 2020).

ვაქცინაციის პროცესში ეფექტიანი კომუნიკაციების განხორციელებაში დიდი როლი ენიჭება სოციალურ მარკეტინგს. მარკეტინგული კონცეფციების ინტეგრირება ქცევის ცვლილებებისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი სიკეთის მისაღწევად. ახალი ქცევის (პროდუქტის) ნაკრები, როგორიცაა ვაქცინაცია, სოციალურ დისტანციაზე კონტროლი და ნიღბის ტარება, ქმნის ერთიან სარგებელს, რაც, EEმთლიანობაში, მოსახლეობის ჯანმრთელობას აუმჯობესებს. განსაკუთრებით საგულისხმოა ვაქცინაციასთან დაკავშირებული სწორი კომუნიკაციის გავრცელება, რაც შეიძლება მეტი აუდიტორიის მოცვა და შეტყობიბინების ეფექტიანობის გაზომვა, რათა ბევრი ადამიანი ჩაერთოს ამ პროცესებში. ინდივიდთა თვალსაწიერში სისტემატურად უნდა იყოს რეკლამა, რომელიც ორიენტირებული იქნება ეპიდემიის შესაჩერებლად მეტი ადამიანის ვაქცინაციაზე და მათი სიცოცხლის გადარჩენაზე. ასევე ფართოდ უნდა დაინერგოს მოქალაქეთა წახალისების მრავალფეროვანი ფორმები (ფინანსური და/ან მორალური მხარდაჭერა, ინფლუენსერების აქტივობა), რომლებიც მოახდენს ინდივიდებს სტიმულირებას ვაქცინის მიღებაზე (MacDonald, 2015; Butler, 2016; Betch et al., 2018; Fadda et al., 2020; lamar et al., 2021; Chen, 2021; Nossier, 2021; Evans & French, 2021).

საკმაოდ საინტერესოა იმუნიზაციის მიმდინარეობაზე დიდ ბრიტანეთში ჩატარებული თვისებრივი კვლევა, რომლითაც დადგინდა მოქალაქეთა ქცევაზე მრავალფეროვანი ფაქტორების ზემოქმედება (Gogoi et al., 2021). ამ კვლევის საფუძველზე, ვაქცინაციის სტრატეგიები უნდა დაეფუძნოს მტკიცებულებაზე დამყარებულ მიდგომას და ამ სფეროში საზოგადოების მუდმივ ჩართულობას (Brindle et al., 2021; Pormohammad et al., 2021; SAGE Working group, 2014).

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავებები COVID-19-ის ვაქცინის მიღებაში ჯანმრთელობის მუშაკთა ეთნიკურობის, სამუშაო როლის, სქესის, ასაკისა და დეპრივაციის მიხედვით. COVID-19-ის ვაქცინის მიღებაში გამოვლინდა კონკრეტული სეგმენტისადმი ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობა. ვაქცინის დამოკიდებულებებისა და მოქმედი ფაქტორების გაგება კრიტიკულია იმ ბოლოდროინდელი გადაწყვეტილების ფონზე, რომლითაც მიიღება COVID-19-ის ვაქცინის გამაძლიერებელი დოზები. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით დისკუსია დღესაც გრძელდება (Lazarus et al., 2021).

COVID-19-ის პანდემიის პირობებში, იმუნიზაციის პროცესის მართვაში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალური მედია მარკეტინგის როლს. ეს აიხსნება იმით, რომ ვაქცინაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში სოციალური ქსელების პლატფორმების გამოყენებას

დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შეტყობინების ატრიბუტები (შინაარსი, მიმზიდველობა, მიწოდება, ქსელის სტრუქტურა და ჩართულობა) გადამწყვეტია ეფექტიანი ინტერვენციების შემუშავებისათვის. სოციალური ქსელები (მაგალითად, Twitter, Facebook და სხვა), სადაც ვაქცინის მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის ნამდვილი ომია გაჩაღებული, წარმოაჩენენ ვაქცინაციისადმი მოსახლეობის განწყობას, რაც ზემოქმედებს იმუნიზაციის პროცესებზე (Kusumasond, 2018; Brindha et al., 2020; Williams & Dienes, 2021; Jonhson et al., 2020).

კვლევების შედეგად განსაკუთრებით გამოიკვეთა ინდივიდთა ზემოქმედების ორი მთავარი ფაქტორი: ფსიქოლოგიური და სოციალური მედია. თანამედროვე მარკეტინგულ ხედვაში სოციალური მედია მარკეტინგი უდიდესი ძალაუფლების მატარებელია. ის უზრუნველყოფს ისეთი კონტენტის ფორმირებას, რომელიც დაფუძნებულია პირადი განწყობისა და ემოციების გადაცემაზე, გამოცდილებაზე და აუდიტორიასთან კონტაქტის სიხშირეზე. სოციალურ მედია აქტიურად გამოიყენება ჯანდაცვაში, სადაც დანერგილია ახალი ინიციატივები, როგორიცაა: ელექტრონული პლატფორმით სამედიცინო მომსახურების გაწევა, რეკლამის განთავსება და სხვა. ამასთან, სოციალურ მედიაში სწრაფად ვრცელდება ფსევდომეცნიერული ბრალდებები და შეთქმულების თეორიებიც. ვაქცინაციის არჩევანზე გარკვეულ გავლენას ახდენენ ალტერნატიული მედიცინისა და შეთქმულების თეორიებისადმი რწმენა, მორალი, რელიგია და იდეოლოგიური პრეფერენციები. ინდივიდები ბევრად უფრო მარტივად რწმუნდებიან მსგავსი სუბიექტური შეხედულების სიზუსტეში, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ვაქცინაციაზე უარის თქმის განწყობა აპრიორულად არსებობს. ზოგჯერ მეცნიერულად დაუზუსტებულ ფაქტებს უდავო ფსევდოჭეშმარიტებად აქცევენ. სოციალურ ქსელებში ზოგიერთი ანიტივაქცერული მოძრაობის წარმოდგენელი თავის მოსაზრებებს „მეცნიერული“ იდენტობის სიზუსტით გამოხატავს და შეცდომაში შეჰყავს ადამიანები ფსევდომტკიცებულებითი არგუმენტებით. ამიტომ მნიშვნელოვანია ვაქცინაციის შესახებ დეზინფორმაციისა და მცდარი წარმოდგენების აღმოფხვრა მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტებში. ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ჯანდაცვის მუშაკებთან მუშაობა, რომლებიც ვაქცინაციასთან დაკავშირებით უარყოფითად არიან განწყობილნი, თუმცა აშკარად ვერ გამოხატავენ თავიანთ პოზიციას (Spike, 2019; Germani et al., 2021; Jakson et al., 2021; Heyerdahl at al., 2021). ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვნად განაპირობებს ვაქცინაციის დაბალ ტემპს ბევრ ქვეყანაში. ამასთან, უამრავი კვლევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ვაქცინირება იმუნიტეტის შეძენისა და პანდემიის შენელების უსაფრთხო გზაა, ვიდრე დაავადების, თუნდაც, იოლად გადატანა (World Health Organization, 2020; Johnson et al., 2020).

დასკვნა

COVID-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო მეტად გაამწვავა სოციალური უთანასწორობა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. საზოგადოების ყველა სფერო, განსაკუთრებით, ჯანდაცვის სისტემა, უდიდესი გამოწვევებისა და პასუხისმგებლობის წინაშე დადგა. იმუნიზაციის პროცესის ფართომასშტაბიანი ზრდისათვის აუცილებელია საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცება ვაქცინისადმი, ამასთან, საჭიროა უწყვეტ რეჟიმში ვაქცინის ხელმისაწვდომობა (მიწოდება), ვაქცინაციის ეფექტიანობასა და სარგებლიანობაში მოსახლეობის დარწმუნება, სანდო და უტყუარი ინფორმაციის მიწოდებით დროული და მიზანმიმართული კომუნიკაცია. ამასთან, სოციალურ მედია მარკეტინგის კამპანიებს სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს და სახელმწიფოსა და სა-

ზოგადოების ინტერესებს გამომხატველი უნდა იყოს. ასევე მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი სეგმენტისათვის ინდივიდუალური მიდგომების გათვალისწინებაც. ვაქცინაციის სარეკლამო კამპანიები მოწოდებული უნდა იყოს სწორ, მიზანმიმართულ ინფორმაციაზე, გვერდითი ეფექტების მართვის უნარზე და სხვა ქმედებებზე. სოციალური ცვლილებების კამპანიის დროს ფოკუსირება უნდა მოხდეს უსაფრთხოების გარანტიებსა და რისკის შემცირებაზე. მსოფლიოში დაგროვილი პოზიტიური გამოცდილების განზოგადება მნიშვნელოვანია. განსაკუთრებული ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ კოლქტიური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანი ელემენტია საზოგადოებრივი ძალისხმევის გასაძლიერებლად და სხვა ადამიანების დასაცავად. იმუნიზაციის პროცესებში მოსახლეობა ინტენსიურად უნდა ჩაერთოს, რათა საზოგადოებრივი იმუნიტეტი ჩამოყალიბდეს და ინფექციის რისკი შემცირდეს.

ლიტერატურა:

1. Akbar, M. B., French, J., & Lawson, A. (2019). Critical review on social marketing planning approaches. *Social Business, 9*(4), 361-393.
2. Anderson, L., File, T., Marshall, J., Mcelrath, K., & Scherer, Z. (2021). How do COVID-19 vaccination and vaccine hesitancy rates vary over time? new tool tracks vaccination and vaccine hesitancy rates across geographies, population groups. US: United States Census Bureau. Available from: https://www.census.gov/library/stories/2021/04/how-do-covid-19-va ccination-and-vaccine-hesitancy-rates-vary-over-time.html (Accessed 29 January 2022).
3. Betsch, C., Schmid, P., Heinemeier, D., Korn, L., Holtmann, C., & Böhm, R. (2018). Beyond confidence: Development of a measure assessing the 5C psychological antecedents of vaccination. *PloS one*, *13*(12), e0208601.
4. Bloomberg (2022). Available from: https://www.bloomberg.com/europe (Accessed 29 January 2022).
5. Brindha, D., Jayaseelan, R., & Kadeswaran, S. (2020). Social media reigned by information or misinformation about COVID-19: a phenomenological study. *SSRN Electronic Journal, 09*(03), 585-602.
6. Brindle, H., Rogers, N. T., Eggo, R. M., Enria, L., & Lees, S. (2021). Vaccine Confidence and Hesitancy at the start of COVID-19 vaccine deployment in the UK: An embedded mixed-methods study. *Frontiers in public health*, *9*.
7. Burki, T. (2020). The online anti-vaccine movement in the age of COVID-19. *The Lancet Digital Health*, *2*(10), 504–505.
8. Burts, E.L. (2021). Social marketing and shared beliefs combat COVID-19 in South Korea. Available from: https://www.uab.edu/news/ (Accessed 29 January 2022).
9. Butler, R. (2016). Vaccine Hesitancy: what it means and what we need to know in order to tackle it. *J. Vaccine*, *34*, 1643-1649.
10. Cascella, M., Rajnik, M., Aleem, A., Dulebohn, S., & Di Napoli, R. (2022). Features, evaluation, and treatment of coronavirus (COVID-19). *StatPearls*.
11. Chen, E.(2021). Vaccine Hesitancy: More Than A Pandemic, Harwrrd University, Blog
12. Cook, J., Lynes, J., & Fries, S. (2021). Exploring Mistakes and Failures in Social Marketing: The Inside Story. *Social Marketing Quarterly, 27*(1), 13–31.
13. Ergur,A. (2020). Social Causes of Vaccine Rejection-Vaccine Indecision Attitudes in the Context of Criticisms of Modernity. *Eurasian Journal of Medicine , 52*(2), 217–223.
14. Evans, W. D., & French, J. (2021). Demand creation for COVID-19 vaccination: Overcoming vaccine hesitancy through social marketing. *Vaccines*, *9*(4), 319.
15. Evans, W.D. (2018). Design and Evaluation of a Branded Narrative-story Based Intervention to Promote HPV Vaccination in Rwanda. In *Proceedings of the American Public Health Association Annual Meeting*, San Diego, CA.
16. Fadda, M., Suggs, L. S., & Albanese, E. (2021). Willingness to vaccinate against Covid-19: A qualitative study involving older adults from Southern Switzerland. *Vaccine: X*, *8*, 100108.
17. Germani, F., & Biller-Andorno, N. (2021). The anti-vaccination infodemic on social media: A behavioral analysis. *PloS one*, *16*(3), e0247642.
18. Gogoi, M., Wobi, F., Qureshi, I., Al-Oraibi, A., Hassan, O., Nellums, L. B., & Pareek, M. (2021). "The vaccination is positive; I don't think it's the panacea": A qualitative study on COVID-19 vaccine attitudes among ethnically diverse healthcare workers in the United Kingdom. medRxiv.

19. Hammond, J. (2020). Vaccine confidence, coverage, and hesitancy worldwide: A literature analysis of vaccine hesitancy and potential causes worldwide. *Senior theses*. 344.
20. Heyerdahl, L. W., Dielen, S., Nguyen, T., Van Riet, C., Kattumana, T., Simas, C., ... & Gryseels, C. (2022). Doubt at the core: Unspoken vaccine hesitancy among healthcare workers. *The Lancet Regional Health–Europe*, *12*.
21. Jackson, S. E., Paul, E., Brown, J., Steptoe, A., & Fancourt, D. (2021). Negative vaccine attitudes and intentions to vaccinate against Covid-19 in relation to smoking status: A population survey of UK adults. *Nicotine and Tobacco Research*, *23*(9), 1623-1628.
22. Jashi, Ch. & Todua, N. (2013). Behavior Changing through of Social marketing (Georgian Case). In *Proceedings of the 3rd World Social Marketing Conference,* Toronto (Canada), pp. 95-97.
23. Jashi, Ch. (2012). *Principles of Social Marketing.* Universal, Tbilisi.
24. Jashi, Ch. (2020). The New Context of Marketing in Social Media (Conceptual review). Economics and Bussines, *1,* 152-164.
25. Johnson, N. F., Velásquez, N., Restrepo, N. J., Leahy, R., Gabriel, N., El Oud, S., ... & Lupu, Y. (2020). The online competition between pro-and anti-vaccination views. *Nature*, *582*(7811), 230-233.
26. Kennedy, J. (2019). Populist politics and vaccine hesitancy in Western Europe: an analysis of national-level data. *European journal of public health*, *29*(3), 512-516.
27. Khan, M. M. (2019). The impact of perceived social media marketing activities: An empirical study in Saudi context. *International Journal of Marketing Studies*, *11*(1), 134-149.
28. Khubchandani, J., Sharma, S., Price, J. H., Wiblishauser, M. J., Sharma, M., & Webb, F. J. (2021). COVID-19 vaccination hesitancy in the United States: a rapid national assessment. *Journal of Community Health*, *46*(2), 270-277.
29. Kusumasond, J. (2018). The roles of message appeals and orientation on social media brand communication effectiveness. *Asia Pacific Journal of Marketing and Logistics, 30*(4), 1135-1158.
30. Lazarus, J. V., Ratzan, S. C., Palayew, A., Gostin, L. O., Larson, H. J., Rabin, K., ... & El-Mohandes, A. (2021). A global survey of potential acceptance of a COVID-19 vaccine. *Nature medicine*, *27*(2), 225-228.
31. Li, L., Wood, C. E., & Kostkova, P. (2021). Vaccine hesitancy and behavior change theory-based social media interventions: a systematic review. *Translational behavioral medicine*. November, 1-30.
32. MacDonald, N. E. (2015). Vaccine hesitancy: Definition, scope and determinants. *Vaccine*, *33*(34), 4161-4164.
33. Mghebrishvili, B., & Urotadze, E. (2021). Challenges of Business Social Responsibility in the Conditions of Coronavirus Pandemic. *Ecoforum Journal, 10*(3).
34. Michie, S., & West, R. (2021). Sustained behavior change is key to preventing and tackling future pandemics. *Nature Medicine*, *27*(5), 749-752.
35. Nichter, M. (1995). Vaccinations in the Third World: a consideration of community demand. *Social science & medicine*, *41*(5), 617-632.
36. Nossier, S. A. (2021). Vaccine hesitancy: the greatest threat to COVID-19 vaccination programs. *Journal of the Egyptian Public Health Association*, *96*(1), 1-3.
37. Pormohammad, A., Zarei, M., Ghorbani, S., Mohammadi, M., Razizadeh, M. H., Turner, D. L., & Turner, R. J. (2021). Efficacy and safety of COVID-19 vaccines: a systematic review and meta-analysis of randomized clinical trials. - *Vaccines*, *9*(5), 467.
38. Rogers, N. T., Waterlow, N. R., Brindle, H., Enria, L., Eggo, R. M., & Lees, S. (2020). Behavioral change towards reduced intensity physical activity is disproportionately prevalent among adults with serious health issues or Self-Perception of high risk during the UK COVID-19 Lockdown. *Frontiers in public health*, 526.
39. Sage Working Group (2014).. Report of the SAGE Working group on vaccine hesitancy. Geneva: World Health Organization.
40. Sen-Crowe, B., McKenney, M., & Elkbuli, A. (2021). Disparities in global COVID-19 vaccination rates & allocation of resources to countries in need. *Annals of Medicine and Surgery*, *68*, 102620.
41. Soares, P., Rocha, J. V., Moniz, M., Gama, A., Laires, P. A., Pedro, A. R., ... & Nunes, C. (2021). Factors associated with COVID-19 vaccine hesitancy. *Vaccines*, *9*(3), 300.
42. Spike, C. (2019). Anti-Vaxxers Thrive on Social Media. Here's How Healthcare Must Respond. Available from: https://-www.chiefhealthcareexecutive.com (Accessed 29 January 2022).
43. Tafuri, S., Gallone, M. S., Cappelli, M. G., Martinelli, D., Prato, R., & Germinario, C. (2014). Addressing the anti-vaccination movement and the role of HCWs. *Vaccine*, *32*(38), 4860-4865.
44. Todua, N., & Jashi, Ch. (2013). Challenges of Social Marketing. *TSU Science*, *5*, 59-62.

45. Todua, N., & Jashi, Ch. (2018). Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 12*(2), 183-190.
46. Todua, N., & Jashi, Ch. (2021). Paradoxes of Social Marketing in Healthcare (In the Context of COVID-19 Pandemic). In *Proceedings of the 6th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business“,* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp. 163-168.
47. Urotadze, E., & Jashi, Ch. (2020). Marketing Aspect of COVID-19 Epoch. In *Proceedings of the 5th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business“,* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp. 397-404.
48. Williams, S. N., & Dienes, K. A. (2021). Public attitudes to COVID-19 vaccines: A qualitative study. *medRxiv*.
49. World Health Organization. (2019). Ten Threats to Global Health. Available from: https://www.who.int/news-room/-spotlight/ten-threats-to-global-health-in-2019 (Accessed 29 January 2022).
50. World Health Organization. (2020). Behavioural considerations for acceptance and uptake of COVID-19 vaccines. Available from: https://www.who.int/publications/i/item/9789240016927 (Accessed 29 January 2022).

Impact of Social Marketing for Changing Behavior During the COVID–19 Pandemic

Charita Jashi
Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Associated Professor

Ekaterine Urotadze
Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Associated Professor

SUMMARY

An important aspect of the COVID 19 pandemic is the vaccination strategy (immunization), which is actively implemented in many countries around the world. The purpose of this article is to analyze the ongoing immunization process in different countries based on a review of the latest publications and searches. The paper focuses on three issues: changes for social behavior, social marketing tools to activate immunization, social networks - an arena for discourse of vaccine proponents and opponents. The paper discusses the so-called 5C model, which includes the following factors: trust, limitation, self-confidence, calculation and collective responsibility. This model emerges as driver and affects on individuals behavior, who are neutral or negative regarding immunization. There `s is urgent need to increase amount of vaccinated people , it is essential to promote varies forms of stimulation of different segments of population. Social networks are used intensively for effective and large-scale management of health and social campaigns. In addition, individuals who are skeptical about vaccination are involved in social networks and react in negative way to the information provided. Any information about the vaccine is perceived by them not as a standard product relevant to the scientific process, but as an individual irrational interpretation that hinders the immunization process. Social media is a powerful instrument and has a strong impact on an individuals behavior, systematic research is needed in this area ,so that everyone is aware of the benefits of COVID 19 vaccination.

Keywords: *health policy, vaccination, behavior changing, social media*

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გამოწვევები

მიხეილ ჯიბუტი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გამოყოფილია და აღწერილია საქართველოს ეკონომიკის 30 წლიანი კრიზისიდან გამოსვლისა და მისი, ევროკავშირის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამის, კონკურენტულ, ეფექტიან საბაზრო ეკონომიკის სისტემად ჩამოყალიბების ხელშემშლელი მიზეზები. გაკეთებულია დასკვნა ორი უმთავრესი მიზეზის არსებობის შესახებ. ერთი, საქართველოს რუსეთთან 30 წლიანი ომიანობა და მეორე, „დესოვეტიზაციის"/ განსაბჭოების პროცესის დაუსრულებლობა და მასთან დაკავშირებული სხვა შიგა „ტრანსფორმაციული" ბარიერები. სტრატეგიული მიზანი -ევროკავშირში შესვლა მექანიკურად არ დაიყვანება ევროკავშირისკენ მოძრაობაზე. უცნობია რა დრო დაჭირდება ამ გზის გავლას. ამიტომ ამოცანა, ევროკავშირში შესვლა-არშესვლის მიუხედავად, დაჩქარებულად კონკურენტუნარიანი ეკონომიკური სისტემის შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობის ევროპული (განვითარებული ქვეყნების მნიშვნელობით) ცხოვრების დონითა და ხარისხით. ამისათვის, ავტორის აზრით, აუცილებელია ინდიკატური დაგეგმვის/სტრატეგიული სისტემის აღდგენა და პოლიტიკური ელიტის შექმნის განმაპირობებელი სამართლებრივ-ინსტიტუციური ბაზის შექმნა.

საკვანძო სიტყვები: *ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკა, 30-წლიანი კრიზისი, 30-წლიანი საომარი მდგომარეობა, „დესოვეტიზაცია", ინდიკატური დაგეგმვა, სამეცნიერო ცენზი პოლიტიკური თანამდებობების პირებისათვის*

ევროატლანტიკური ინტეგრაცია - საქართველოს კონსტიტუციური სტრატეგია

საბჭოთა კავშირის დაშლიდან 30 წელი შესრულდა. შედეგად, თხუთმეტი, მათ შორის, ერთი ქართული სახელმწიფო „დაიბადა". ბოლშევიკურ/კომუნისტური საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ საქართველოს სახელმწიფოს მტრად, მასთან ერთად წარმოშობილი, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა ექცა. ამ ქვეყნის იმპერიალისტური მისწრაფება საქართველოში, დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, 30 წლიანი საომარი მდგომარეობითა და 20%-მდე ტერიტორიის ოკუპაციით განხორციელდა. რუსეთის სახელმწიფო პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბებული იყო რუსეთის პრეზიდენტის რუსეთის ფედერალური კრებისადმი მიმართვაში 2005 წლის 25 აპრილს, რომ „საბჭოთა კავშირის დაშლა იყო საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა" (Путин 2005),არ შეცვლილა. უფრო მეტიც, თუ მაშინ ის ახსნილი იყო, როგორც რუსი მოქალაქეების ერთ დღეში „უცხო ქვეყნებში"აღმოჩენის ფაქტით, ეხლა მისი რეალური არსი გამჟღავნებულია. 2021 წლის 15 დეკემბერს რუსეთის მიერ აშშ-სა და ნატოსადმი გადაცემული მათი მხრიდან რუსეთის უსაფრთხოების სამართლებრივი გარანტიების შესახებ ხელშეკრულების პროექტები (Проэкт 2001) ღია განცხადებაა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების საკუთარი გავლენის ექსკლუზიურ სფეროდ აღიარების შესახებ, სადაც კონტექსტში იკითხება საბჭოთა კავშირის აღდგენა. ასეთ პირობებში საქართველოს არჩევანი თავისი მომავალი დაინახოს ევროკავშირში - ერთგვარად განსაზღვრულია. ამ მიმართულებით ჩანს უმთავრესი მიზნის - ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და მოსახლეობისათვის ევროპული სტანდარტებით ცხოვრების უზრუნველყოფის შესაძლებლობა. ამიტომაა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში „საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფას" ითვალისწინებს (მუხლი 78) (საქართველოს კონსტიტუცია). ესაა საქართველოს განვითარების სტრატეგიული ვექტორი. საქართველოს ხელისუფლებას უკვე

მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ 2024 წელს გააკეთებს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს (სამთავრობო პროგრამა, 3). თითქოს ყველაფერი ცნობილია - საქართველო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახორციელებს ბიუროკრატიულ - ბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. ამჟამად დაკონკრეტებულია ისიც, სასურველმა საბაზრო ეკონომიკამ უნდა მიიღოს ისეთი განვითარება, რომ საქართველომ დააკმაყოფილოს ევროკავშირში წევრად გახდომის კრიტერიუმები. ეს კრიტერიუმები მკაცრად განსაზღვრულია ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმებით“. ის გულისხმობს, კანდიდატი ქვეყნის მიერ ზოგადად ეკონომიკის ისეთი უნარის მქონე ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა ქონას, რომელიც გაუძლებს კონკურენტულ ზეწოლას და საბაზრო ძალებს ევროკავშირის შიგნით. შეიძლება ითქვას, რომ ერთი შეხედვით ძალიან სწორხაზოვან ამოცანასთან გვაქვს საქმე. თუ ვიცით, რომ საქართველოს ეკონომიკა 30 წელია მოძრაობს A მდგომარეობიდან (სსრკ) B მდგომარეობის (ევროკავშირი) მისაღწევად და ამჟამად იმყოფება C მდგომარეობაში, რამდენ ხანი დასჭირდება C მდგომარეობიდან B მდგომარეობის მიღწევას? მტკიცდება, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არაა ჩამოყალიბებული ეკონომიკური მეცნიერება ეკონომიკის გარდამავალ ან/და ტრანსფორმაციულ პროცესებზე, არც ეკონომიკის C მდგომარეობის შესწავლაა დასრულებული და თითქმის უცნობია C მდგომარეობიდან B მდგომარეობამდე გასავლელი გზა. ერთადერთი რაც ზუსტადაა ცნობილი, ესაა B მდგომარეობა (ევროკავშირის მიერ დადგენილი კრიტერიუმები და მოთხოვნები), თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წევრობაზე განცხადების შეტანიდან წევრობის კანდიდატობისა და შემდგომ წევრობამდე გასასვლელი გზა დროში არაა განსაზღვრული. ამ გზაზე არც მოძრაობის ზუსტი მარშრუტია ნაჩვენები. აქ მხოლოდ პროგრესის პუნქტები, შეზღუდვისა და აკრძალვის ნიშნებია. საკითხი თუ, რა მანძილია ევროპის ეკონომიკის კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნამდე საქართველოში (ანუ რა დრო დაჭირდება ამას?) და როგორ შეიძლება ის საქართველომ დაჩქარებულად გაიაროს, უკვე სპეკულატიური კი არა, პოზიტიური და ნორმატიული კვლევების საქმეა, უზარმაზარი პრაქტიკული, ფაქტობრივად ქვეყნის მოძრაობის კოორდინატების დამდგენი ფუნქციით. ამ მიმართულებით უამრავ გადასაწყვეტ საკითხთა შორის, გამოვყოფთ საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის შემაფერხებელი მიზეზების არსებობისა და მათი დაძლევის პრობლემას. საქართველოს ამოცანა თავისთავად ევროპისკენ მოძრაობა კი არაა, არამედ საქართველოს სოციალური სისტემის 30 წლიანი კრიზისის, ამ ნიადაგზე არსებული „საბჭოთა ნოსტალგიის“, დაძლევა და ევროპული დონის (იგულისხმება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები) ცხოვრების დონისა და ხარისხის მიღწევა. რატომ ვერ მოახერხა საქართველომ 30 წლის განმავლობაში გარდამავალი პერიოდის დასრულება ეკონომიკური ტრანსფორმაციისა და 1988 წლის ეკონომიკური განვითარების დონის მიღწევის კრიტერიუმებით? ძირითადი მიზეზებია: 30 - წლიანი ომი რუსეთთან და ტრანსფორმაციული ბარიერები.

30-წლიანი ომის კონტექსტი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების უმთავრესი ბარიერი, ესაა 30 წლიანი ომიანობა - რუსეთთან საომარ მდგომარეობაში ყოფნა. ამ ხნის მანძილზე რუსეთი შეუწყვეტლივ ეწევა ჰიბრიდულ ომს საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც დროთაგანმავლობაში ცხელი, უშუალო სამხედრო დაპირისპირების სახეს იღებდა. კულმინაცია იყო 2008 წლის აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომი, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20%-მდე ოკუპაცია. რუსეთთან საომა-

რი მდგომარეობა და ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოს ყოველდღიური ცხოვრების თანმდევი ფაქტია, რომელიც განუსაზღვრელი რისკებისა და მოულოდნელი სიურპრიზების წყაროა. ამასთან, ომი ვერ აჩერებს ეკონომიკას. რუსეთი რჩება საქართველოს უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ პარტნიორად სავაჭრო ურთიერთობებში და სერიოზულადაა წარმოდგენილი ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესში, რაც ქმნის ქვეყნისათვის დამატებით რისკებს. მას მოგონილი მიზეზით შეუძლია შეაჩეროს ღვინისა და მინერალური წყლების შეტანა საქართველოდან (2006 წ.), ან დაიწყოს „გაზის ომი“ - გაუფრთხილებლად შეუწყვიტოს საქართველოს ბუნებრივი აირის მიწოდება (2006, იანვარი), ან დააწესოს საქართველოს მოქალაქეებისათვის ცალმხრივად სავიზო რეჟიმი და ა.შ. საქართველოს 30 წლის განმავლობაში განიცდის რუსეთის ქმედებების გამო ადამიანურ, ფინანსურ, მატერიალურ ზარალს. ათასობით ადამიანი (სამხედრო და მშვიდობიანი მოსახლეობა) დაიღუპა კონფლიქტებისა და ომის დროს, ქვეყანაში გაჩნდა 300 ათასზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირი (კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებთა 8%-ზე მეტი), რაც მძიმე ფინანსურ ტვირთად იქცა ქვეყნისათვის. ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს სხვა ტერიტორიაზე გადაადგილება არ იზღუდება. ეს წარმოქმნის რისკებს ჩრდილოვანი ეკონომიკის გავრცელებისათვის. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სრულფასოვანი არსებობის, ქართველი ხალხის სასიცოცხლო სივრცის დეოკუპაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების დღის წესრიგში პირველი საკითხია. მუდმივი ომიანობის კონტექსტი საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის უმთავრესი მიზეზია, მაგრამ ის არაა ერთადერთი. ამას ადასტურებს ის ეკონომიკური ზრდა რაც მიმდინარეობდა 30-წლიანი ეკონომიკური რეცესიის ფარგლებში.

ტრანსფორმაციური ბარიერები

განვითარების უმთავრესი ბარიერი, ომის კონტექსტის შემდეგ, ესაა დესოვეტიზაციის / განსაბჭოების პროცესის დაუსრულებლობა. დესოვეტიზაცია ავტომატურად არ ხდება. ის რეფორმებით, ხელისუფლების პოლიტიკური ნებით უნდა განხორციელდეს. თუ დეკომუნისტიზაცია საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში განხორციელდა, დესოვეტიზაცია, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

დესოვიეტიზაცია - პრივატიზება, განსახელმწიფოებრიობა, მმართველობის დეცენტრალიზაცია - სხვადასხვა სიჩქარით, უპირატესად ეკონომიკური მიზნებით, ხორციელდებოდა, მაგრამ 2007 წლიდან მოხდა თვისებრივი გარდატეხა, დაიწყო მისი განხორციელება , ხელისუფლებისა და ბიუროკრატიის შერჩევით - ეკონომიკის სისტემის გარეთ, პოლიტიკური მიზნებით. ამ მიზნით კი - დესოვეტიზაცია განხორციელდა ფორმალურად და ისეთი ფორმებით, რომელსაც შედეგად საკუთარი მოქალაქეებთან დაპირისპირებისა და მათი შეურაცყოფის მეტი, არავითარი პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია. ამ დროს დესოვეტიზაცია არ გატარდა იქ, სადაც აუცილებელი იყო. ამან, შედეგად გამოიწვია „ველური კაპიტალიზმის“ მოქმედების გახანგძლივება. ხდება კაპიტალიზმის მექანიზმების სტიქიურად გაჩენა - ფუნქციონირებისათვის პირობების კვლავწარმოება.

არც ერთი ხელისუფლებას არ უცდია სახელმწიფოს მიერ მემკვიდრეობით მიღებული ნაციონალიზებული საკუთრების ნორმალურ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის დასრულება. განსახელმწიფოებრიობა და პრივატიზება უმთავრეს შემთხვევაში კერძო, ან ჯგუფური ინტე-

რესებით ხორციელდება, რომელიც არც საბაზრო კანონების მოთხოვნას და არც ინკლუზიურ განაწილებას არ ემსახურება. „სახელმწიფო-მესაკუთრე“ გამოდის როგორც ამ საკუთრების განმკარგავი სულ უფრო გამარტივებული სქემებით და ფასწარმოქმნის სუბიექტური მექანიზმის გამო, ცრუ ინფორმაციით, დეზორგანიზაცია შეაქვს საბაზრო ურთიერთობებში. შეიქმნა სიტუაცია, როდესაც სახელმწიფო მმართველობაში ყოფნა, საჯარო მოხელეობა, ბიუროკრატობა გახდა საშუალება სახელმწიფო საკუთრების განაწილებაში პრივილიგებური მონაწილეობისათვის. სახელმწიფო-მესაკუთრესთან ასეთი ბიუროკრატიის მეშვეობის ურთიერთობა მომგებიანია უცხოელი ინვესტორებისათვის, რომელთა შორის ბევრი სპეკულატური კაპიტალის წარმომადგენელია. საკუთრება, რომელსაც სახელმწიფო დაეპატრონა და რომელიც სახელმწიფომ უფასოდ მიიღო, არ არის კაპიტალიზებული და მისი რეალიზება ხდება სუბიექტური გარიგებებით. განსაკუთრების რელიეფურად ეს ჩანს მიწასთან დაკავშირებით. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა სხვა არაფერია თუ არა , თავის დროზე ლენინური დეკრეტებით, ნაციონალიზებული მიწა, რომელიც ისტორიული შემთხვევითობით მოხვდა სახელმწიფოს ხელში. იმ სფეროებში სადაც საბჭოთა „ნაციონალიზაციით“ მიღებული რესურსებია, ყველაზე მოუგვარებელია საკანონმდებლო ბაზა. არ არსებობს მიწის კოდექსი, არ არსებობს შემფასებლობითი საქმიანობის მომაწესრიგებელი კანონი, წიაღისეულთან დაკავშირებით, მათი გამოთვლის, განკარგვის, ექსპლოატაციის საკითხებში, პირდაპირი მნიშვნელობით საბჭოთა კავშირია შენარჩუნებული. აღნიშნული სიტუაცია არ შეიქმნებოდა, 30 წლის მანძილზე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის „ორმოდან“ ქვეყნის ამოყვანა მოხერხდებოდა, მას რომ გააჩნდეს ერთიანი, კომპლექსური და სისტემური სტრატეგიის სისტემა, როდესაც განსაზღვრული იქნებოდა, როგორც დესოვეტიზაციის, ისე მოდიფიკაციის, ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სფეროს განვითარების პარამეტრები დროსა და სივრცეში, მათ შესრულებაზე პასუხისმგებლებისა, საჭირო ბიუჯეტის მითითებით. მის გარეშე ადგილი აქვს მმართველობის არათანმიმდევრობას, პარარელიზმს, დაბალეფექტიანობას. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ეს სტრატეგიული სისტემაა, მაგრამ არასრული. აქ გადასაწყვეტი საკითხები დროში და ხშირად შინაარსობრივად აცდენილია შიგნითაც და გარეთაც - ქვეყანაში განხორციელებულ სხვა სოციალურ - ეკონომიკურ აქტივობებს. მაგალითად, შექმნილია სამართლებრივი ბაზა ანტიმონოპოლიური საქმიანობის რეგულირებისათვის, მაგრამ ქვეყანას არ აქვს მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობა, არსებობს ნორმატიული აქტები იურიდიულ პირთა გაკოტრების თაობაზე, მაგრამ ქართული სამართლის სისტემა დღეს არ იცნობს ფიზიკურ პირთა გაკოტრებას და სხვ. ასოცირების ხელშეკრულების აქტივობები უნდა იყოს ინტეგრირებული ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში. დესოვეტიზაცია დასრულდებოდა სტრატეგიის შემთხვევაში, მაგრამ იმპულსური მმართველობის პირობებში ბიუროკრატიას/პოლიტიკურ ელიტას აქვს საშუალება შეაფერხოს ეს პროცესი. ბიუროკრატია აფერხებს რეფორმებს იმიტომ, რომ უწესრიგობა და ეკონომიკური სისტემის განუვითარებლობა ხელისუფლებაში მყოფთ კაპიტალისტებად გახდომის მეტ შანს აძლევს. პოლიტიკურმა ელიტამ მოახერხა ქვეყანაში არსებული ინდიკატური დაგეგმვის სისტემის გაუქმება. მმართველი ელიტა ავლენს დაინტერესებას დესოვეტიზაციის პროცესის დაუსრულებლობაში. იმპულსური მმართველობისას მმართველ ელიტას აქვს საშუალება შეაფერხოს ეს პროცესი. ასეთ, სისტემის არასრულფასოვნების პირობებში, ელიტა ახერხებს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება, ბევრი რანტიე - კაპიტალისტად გახდომას. გამოსავალი, დესოვეტზაციის დაჩქარებასა და ინდიკატური სისტემის დანერგვაში და ამისათვის, მმართველობის სისტემის გაუმჯობესებაშია კადრებისა და პოლიტიკური

ელიტის თვისობრივი კომპეტენტურობის დონის გაუმჯობესების გზით. მისი გამოსწორება შესაძლებელია ელიტაში მეცნიერების დაბრუნებით. ევოლუციურად ეს დიდ დროს წაიღებს, ამიტომ მმართველი ელიტის ხარისხობრივი გაუმჯობესების ევოლუციური პროცესის დაჩქარებისათვის შეიძლება შეიქმნას ელიტის შექმნის ნორმატიული სისტემა, სადაც ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის სამეცნიერო ცენზის დაწესება იქნება. მმართველი ელიტის ხარისხობრივი გაუმჯობესებით მოხერხდება „ველური" სახით რესტავრირებული კაპიტალიზმისა და ნარჩენი საბჭოთა სოციალიზმის ურთიერთობების ბიუროკრატიაში მორიგების დაძლევა, „ველური" კაპიტალიზმის დემოკრატიული კაპიტალიზმით ჩანაცვლება და დესოვეტიზაციის (განსაბჭოების) პროცესის დასრულება.

დასკვნა

ამრიგად, პასუხი კითხვებზე, თუ რატომ არ გადაიზარდა ეროვნული სახელმწიფოს ფუნქციონირება ეროვნულ წარმატებულ სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში 30 წლის მანძილზე და როგორია წარუმატებლობის დაძლევის შესაძლებლობა და საშუალება, მრავალვარიანტიანია. თუმცა, გამოკვეთილად საბუთდება ორი მიზეზი ერთი მხრივ, ომიანობა რუსეთთან და მეორე მხრივ, ტრანსფორმაციული ბარიერები. პირველის დაძლევა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის ისეთზე, რომელიც საქართველოს შესაძლებლობებს სცილდება. საქართველოს მოქმედება ამ მიმართულებით აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორია. მეორე, არის ქვეყნის შიგა პრობლემა და გადაჭრადია. ამისთვის, უმთავრესია დასრულდეს პოლიტიკურ - ეკონომიკური დესოვეტიზაციის პროცესი, შეიცვალოს ეკონომიკის არსებული სპეკულატორული მოდელი, ინოვაციურით და მის განსახორციელებლად მმართველობითი სისტემა უზრუნველყოფილ იქნას ნორმატიულად დადგენილი კრიტერიუმებით შერჩეული ბიუროკრატიითა და ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გეგმით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია (1995) https://matsne.gov.ge/ka/document/ view/30346? Publication = 36
2. სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის", 20 თებერვალი, 2021 წელი, https://www.gov.ge/files/68_78941_292978_govprogramme.pdf
3. В.В.Путин (2005) Послание Федеральному Собранию Российской Федерации. 25 აპრილი.
4. http://www.kremlin.ru/events/president/transcripts/22931 (ბოლო ნახვა 31.01.2022)
5. Проэкт (2021) Договор между Российской Федерацией и Соединенными Штатами Америки о гарантиях безопасности. 15 დეკემბერი. https://mid.ru/ru/foreign_policy/rso/nato/1790818/(ბოლო ნახვა 31.01.2022)
6. Проэкт (2021) Соглашение о мерах обеспечения безопасности Российской Федерацией и Государств – Членов Североатлантического Договораю15 декабря. 15 დეკემბერი. https://mid.ru/ru/foreign_policy/rso/nato/1790803/ (ბოლო ნახვა 31.01.2022)
7. ჯიბუტი მ.(2021) საქართველოს ეკონომიკა: 30 წლიანი ტრანსფორმაციის გაგებისათვის ||„ეკონომიკა და ბიზნესი", №4.
8. ჯიბუტი მ.(1996) საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატიური გეგმის მეთოდოლოგიური საფუძვლები|| „ეკონომიკა", №6.

Georgia and EU Integration: Challenges

Mikheil Jibuti

Professor, PhD in Economic Sciences

SUMMARY

Euro-Atlantic integration is the strategic goal set by the Constitution of Georgia (Article 78). Based on the Government program of Georgia for 2021-2024, the country will start the related procedures in 2024 by applying for the EU membership. However, Georgia has not yet developed the strategy, the so called "white book" with the action plan and Gantt chart as well as conducive and unfavorable factors. Knowing these factors is very important. The reasons preventing Georgia from becoming a competitive, effective market economy system meeting the EU criteria have been identified and described. However, we would like to point out the following two key reasons: (1) a 30-year state of war of Georgia with Russia (occupied territories and internally displaced people) along with interminable process of "desovetization" and (2) transformation-related problems due to which a 30-year economic and social crisis could not have been solved. In the year previous to COVID-19 pandemic, Georgia's GDP amounted to 82.5% of that of 1988. However, all problems stem from the Soviet historic heritage. The strategic goal is to join the European Union that means achieving a certain level of social and economic development and not just striving and moving towards the EU. Movement is not everything in this case. Development of a competitive economic system that would provide the population of Georgia with the European level and quality of life in an expeditious manner is the main goal despite the fact whether Georgia joins the EU or not. The first milestone on the way to the EU is the end of "desovetization" and transformation from a "wild" to a "democratic" capitalism. The author offers the explanation of how the Soviet and market systems manage to coexist taking into consideration that transitional economy is the state of economy where the Soviet and market economic systems coexist in a single time and space dimension since they have contradictory traits and mechanisms of functioning. Soviet economic system was artificially developed as an antipode of a capitalistic one and its substitute, and that's why it depended on subjective governing factors. Their diffusion, intertwinement of their elements is not possible. What is the deal for them to make the economy function at some level? How could it happen that the system developed artificially still exists? Presence of elements of the Soviet economy is based on the bureaucratic system imposing the monopoly on national resources nationalized during the Soviet period and on their disposal, still existing as result of slow process of desovetization being in the interests of the actors of "wild capitalism". As a result, bureaucrats and new capitalists got united having a common interest of hampering the process of transformation. Conservation of the elements of Soviet governing system caused the erosion of bureaucracy, "resovetization" in the form of a single-party-governance, and diminished competitiveness in political life. The cause of the failure is unreasonable and inflated procrastination of the process of desovetization and absence of reforms and the unified strategy for the development of the country. The author believes that the way out is speeding up the process of desovetization, reinstatement of an indicative/strategic planning system and improvement of the governing system by the development of qualitative human resources and political elite. The precondition for the development of political elite is the creation of legal and institutional basis for state political appointees through the introduction of scientific qualifications.

Key words: *effective market economy, 30-year crisis, 30-year-state of war, desovetization, indicative planning, scientific qualification for political appointees.*

პანდემიის პირობებში, საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე: კონცეფცია - მოგების მაქსიმიზაცია თუ კომპანიის ღირებულების გაზრდა!?

მერაბ ჯიქია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგად ეკონომიკური ვარდნა პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანას შეეხო. მსოფლიო ეკონომიკის მიერ მიღებული ზარალი კოლოსალურია. ამასთან, როგორც ცნობილია, ფინანსური ანალიზის უმთავრესი მეთოდოლოგიური თავისებურება ისაა, რომ მას შეწევს უნარი დაადგინოს არა მარტო მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, არამედ მისცეს მათ რაოდენობრივი დახასიათებაც. ე.ი. იგი უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე მოქმედ ფაქტორთა გავლენის სიდიდის გაზომვას, რაც შესაძლებლობას იძლევა ეკონომიკის მდგომარეობაზე დავსვათ ზუსტი დიაგნოზი, ხოლო მისი შედეგებიდან გამომდინარე, შევიმუშაოთ უფრო დასაბუთებული რეკომენდაციები.

*დღეისათვის საბაზრო ეკონომიკაში ბიზნესის განვითარების ძირითადი მიზნის - მოგების მაქსიმიზაციის კონცეფციის სანაცვლოდ, შემოდის ღირებულების მაქსიმიზაციის კონცეფცია - **Value Based Management(VBM)**, რომელიც მნიშვნელოვანწილად გამოდის ადრინდელი მიდგომის ჩარჩოებიდან. აღნიშნული კონცეფცია, უმთავრეს ღირებულებით ფაქტორებზე კონცენტრაციის გაძლიერების გზით, მიმართულია კომპანიის სტრატეგიული ამოცანების გადაჭრაზე.*

საკვანძო სიტყვები: *კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება(WACC), საკუთარი კაპიტალი, ნასესხები კაპიტალი, შემოსავლიანობის ნორმა, ინვესტიციების რენტაბელობა(ROI), გამოყენებული კაპიტალის რენტაბელობა (ROCE), ეკონომიკური მოგება(EP).*

მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლები, რაც ტრადიციულად განიხილებოდა როგორც ეფექტიანობის ძირითადი საზომები, ყოველთვის არ იძლევა შესაძლებლობას ვიმსჯელოთ ღირებულების შექმნაზე, უფრო სწორედ, მის ზრდაზე, რიგი უმთავრესი მიზეზების გამო, რომელთა შორის, პირველ რიგში, შეიძლება გამოვყოთ:

- სააღრიცხვო შეფასებებით ვარირების შესაძლებლობა;
- ფულის დროითი ღირებულების ფაქტორის იგნონირება;
- საკუთარი კაპიტალის ღირებულების იგნორირება:
- რისკ-ფაქტორისა და მასთან დაკავშირებით, დაბანდებულ კაპიტალზე მოსათხოვნი უკუგების განხილვიდან გამორიცხვა.

როგორც ცნობილია, მიღებული ფინანსური შედეგის ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს მასთან დაკავშირებულ რისკებსაც. საყოველთაოდ აღიარებულია დიდი შემოსავლის მიღების მოთხოვნა ყველაზე რისკიან ინვესტიციებზე, როგორც კომპენსაცია მაღალ რისკზე. ამასთან დაკავშირებით წარმოიქმნება ცნება - **დაბანდებულ კაპიტალზე მოსათხოვნი შემოსავლიანობა**, რომელიც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ინვესტიციის რისკზე. რაც უფრო მაღალია რისკი, მით უფრო მაღალია მოსათხოვნი შემოსავლიანობა. აღნიშნული წესი წარმოადგენს უმთავრესს დისკონტირების განაკვეთის შერჩევისას.

შემოსავლიანობის მოსათხოვნი ნორმის სახით ძირითადად გამოიყენება **კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება** (WACC), რომელიც ახასიათებს ერთობლივი ფინანსური რესურსების ღირებულებას. ამ მაჩვენებელზე მსჯელობისას ლოგიკა შემდეგნაირია: დაბანდებული ერთობლივი კაპიტალიდან უკუგება არ უნდა იყოს ნაკლები მისი მოზიდვის ღირებულებაზე.

როგორც ცნობილია საწარმოს კაპიტალის ფორმირებისთვის გამოყენებულ საშუალებებს გააჩნია ღირებულება, რაც გარკვეულწილად განისაზღვრება საწარმოს დაფინანსების წყაროების არჩევანის შესაძლებლობებით.

კაპიტალის ღირებულება – ეს არის შემომოსავლიანობის მოსალოდნელი ნორმა, რასაც ითხოვს ბაზარი ფინანსური რესურსების მოსაზიდად და რაც აუცილებელია კონკრეტული საინვესტიციო პროექტის ან მთლიანად საწარმოს დასაფინანსებლად. კაპიტალის ღირებულება წარმოადგენს ალტერნატიულ ღირებულებას, საშუალებათა განთავსების სხვა ალტერნატიულ ვარიანტზე უარის თქმის შემთხვევაში. ამასთან, ამოსავალს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რაციონალური ინვესტორი არასოდეს არ დააბანდებს თავის საშუალებებს კონკრეტულ პროექტში ან ბიზნესში, თუ არსებობს საშუალებათა ინვესტირებებისთვის უფრო ხელსაყრელი ალტერნატივა რისკის გაწევის შესადარისობის თვალსაზრისით.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება **WACC (Weighted average cost capital)** ახასიათებს საწარმოს ყველა ამოქმედებული ფინანსური რესურსის ღირებულებას – საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს, წყაროების მთლიან მოცულობაში მათი ხვედრითი წონის გათვალისწინებით. ამ მაჩვენებლის პრინციპული მნიშვნელობა ისაა, რომ მისი სიდიდე ახასიათებს დაბანდებულ მთლიან კაპიტალზე შემოსავლიანობის მოთხოვნილ ნორმას.

კაპიტალის საშუალო შეწონილი მაჩვენებლის (**WACC**) ღირებულება გაიანგარიშება ფორმულით:

$$WACC = r_e \text{ x } (\frac{E}{V}) + r_d\ (\frac{D}{V}) \text{ x } (1 - t),$$

სადაც, r_e – საკუთარი (სააქციო) კაპიტალის შემოსავლიანობის მოთხოვნილი განაკვეთია;

E - საკუთარი კაპიტალის სიდიდე;

D - ნასესხები კაპიტალის სიდიდე;

V=E+D - დაფინანსების წყაროების (საკუთარისა და ნასესხების) სიდიდე;

r_d –ნასესხები კაპიტალის მოზიდვის განაკვეთი;

t - მოგების გადასახადის განაკვეთი.

ზოგადად, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება ახასიათებს კაპიტალის დამბანდებლებისთვის კომპენსაციის დონეს, მათ მიერ საშუალებების სხვა მიმართულებით (მოცემული საწარმოს გარდა) არგამოყენების პირობებში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქმიანობის დასაფინანსებლად კაპიტალის ცალკეული დამბანდებლის მონაწილეობის ხარისხი შეიძლება იყოს არაერთგვაროვანი, დაფინანსების ცალკეული სახეობის ღირებულება განისაზღვრება მოცემული წყაროს ხვედრითი წონით დაფინანსების მთლიან მოცულობაში.

დავუშვათ, რომ ნასესხები კაპიტალის მოზიდვის განაკვეთი, საგადასახდო ეკონომიის გათვალისწინებით 10%–ის ტოლია, საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთია – 14%; თანაფარდობა საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის შეადგენს: 1:1, ხოლო მოგების გადასახადის განაკვეთი კი 15%–ს.

$$WACC = r_e \text{ x } (\frac{E}{V}) + r_d\ (\frac{D}{V}) \text{ x } (1 - t),$$

$$WACC = 14 \text{ x } 0.5+10(1-0.5)\text{x}0.5=11.3\%$$

მაშასადამე, აქტივებში დაბანდებულ კაპიტალზე (ან კონკრეტულ პროექტზე), მინიმალურად აუცილებელმა შემოსავლიანობის დონემ უნდა შეადგინოს 11,3%. ეს შესაძლებლობას იძლე-

ვა გადახდილ იქნეს პროცენტი ნასესხებ კაპიტალზე და დაკმაყოფილდეს მესაკუთრეთა მოლოდინი (ჩვენი მაგალითის შემთხვევაში შემოსავლიანობის 14%-იანი განაკვეთი). მაგრამ, თუ დაბანდებათა შემოსავლიანობის დონე ფაქტობრივად 11,3%-ზე ნაკლები იქნება, მაშინ მესაკუთრეები ვერ მიიღებენ შემოსავლიანობის საჭირო 14%–ს.

საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა იცოდეს კაპიტალის განსხვავებული სტრუქტურა თუ როგორ აისახება დამატებით მოზიდული კაპიტალის ღირებულებაზე. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია მათი მისწრაფება კაპიტალის სტრუქტურის ცვლილების გზით შეამცირონ დამატებით მოსაზიდი კაპიტალის ღირებულება. ამასთან, აუცილებელია შემდეგი პრინციპული დებულების გათვალისწინება:

იქიდან გამომდინარე, რომ ნასესხები კაპიტალი ითვლება უფრო იაფფასიან წყაროდ (პროცენტებზე საგადასახადო ეკონომიის ეფექტი, გარდა ამისა კრედიტორების რისკი უფრო დაბალია, ვიდრე მესაკუთრეების, ამიტომ რისკის საკომპენსაციოდ მესაკუთრეებმა დაბანდებულ კაპიტალზე უნდა მიიღონ უფრო მეტი უკუგება), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნასესხები კაპიტალის ზრდა და საკუთარის გამოდევნა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა. იმავდროულად, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი გადიდება იწვევს ფინანსური რისკის ზრდას, რამდენადაც, პირველ რიგში, ნასესხები კაპიტალის უკვე არსებული მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აიძულებს კრედიტორებს გაზარდონ საპროცენტო განაკვეთები; და მეორე, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის გადიდება ზრდის მესაკუთრეთა რისკს, რაც იწვევს აუცილებლობას გაზარდონ საკუთარ კაპიტალზე შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთი.

მაშასადამე, ნასესხები და საკუთარი კაპიტალის განმსაზღვრელი თანაფარდობისას მიიღწევა წყაროების ოპტიმალური სტრუქტურა, რომლის პირობებში **WACC**–ის სიდიდე იქნება მინიმალური.

ნასესხები საშუალებების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ყველა არსებითი ხარჯი, რაც დაკავშირებულია ვალის მიღებასა და მის მომსახურებასთან. ასეთი სახეობის ხარჯად, პირველ რიგში, განიხილავენ პროცენტებს საბანკო კრედიტსა და კომპანიის სესხებზე. ამასთან, მოზიდული ნასესხები საშუალებების ღირებულებაში შეიძლება შევიდეს ისეთი ხარჯები, როგორიცაა მაგალითად, საკონსულტაციო და საინფორმაციო ხარჯები, რაც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მისი აუდიტის ჩატარებასთან და სხვა.

ნასესხები კაპიტალის ღირებულებაში კორექტივი შეიტანება მოგების გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით. კორექტივის არსია ის, რომ პროცენტები კრედიტსა და სესხების მომსახურებაზე ამცირებს მოგების გადასახადის საგადასახადო ბაზას. საგადასახდო ეკონომიის ეფექტის საფუძველზე პროცენტებში ნასესხები კაპიტალის რეალური, ნამდვილი ღირებულება იქნება – r_d **(1-t)**, სადაც **t** – მოგების გადასახადის განაკვეთია. რამდენადაც საწარმოები თავიანთი საქმიანობის დაფინანსებისთვის ჩვეულებრივ იყენებენ ნასესხებ საშუალებებს მათი მოზიდვის განსხვავებული პირობებით (საპროცენტო განაკვეთები, მოზიდვის ვადები, სხვა ხარჯები, რაც ადიდებს მოზიდული საშუალებების ღირებულებას), r_d–ს (მოზიდული ნასესხები კაპიტალის განაკვეთი) მაჩვენებლის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სიდიდე, რომელიც ახასიათებს (ნასესხები) საშუალებების მოზიდვის საშუალო შეწონილ განაკვეთს.

საკუთარი კაპიტალის ღირებულება (r_e) – არის დაბანდებულ კაპიტალზე მისაღები შემოსავლიანობის ნორმა, მოცემულ ინვესტირებაზე რისკ ფაქტორების გათვალისწინებით. საკუთარი კაპიტალის ღირებულების განსაზღვრისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიდგომა. პრაქტიკაში ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა გაანგარიშების მეთოდებმა, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიანი აქტივების შეფასების მოდელების გამოყენებას (**capital aseets prieing model - CAMP**), ასევე კუმულაციური განაკვეთებით გაანგარიშებებმა, რაც ითვალისწინებს დაბანდებულ საშუალებებზე სხვადასხვა რისკ ფაქტორს.

კაპიტალის სტრუქტურის შეფასებისას გრძელვადიან გეგმაში ძირითადი მიზნობრივი ამოცანა უნდა ეყრდნობოდეს **WACC** მაჩვენებლის მინიმიზაციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსჯელობაა ნასესხები და საკუთარი კაპიტალის ისეთ თანაფარდობაზე, რაც კომპანიის ერთობლივი კაპიტალის ღირებულების მინიმიზებას მოახდენს. გრძელვადიანი სტრატეგიული ანალიზისას **WACC** მაჩვენებლის სიდიდის შემცირება განიხილება, როგორც კომპანიის ღირებულების გადიდების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად იქმნება აუცილებლობა ღირებულების შექმნის საზომების მოსაძიებლად. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: **EP** (ეკონომიკური მოგება), **EVA** (დამატებული ეკონომიკური ღირებულება), **MVA** (დამატებული საბაზრო ღირებულება), **SVA** (დამატებული სააქციო ღირებულება). გაანგარიშების მეთოდიკის განსხვავებულობის მიუხედავად ყველა მათგანი გაერთიანებულია ერთიანი მიდგომით: დამატებითი დამატებული ღირებულების შექმნას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფაქტობრივი შემოსავლიანობა აღემატება მოსათხოვნ შემოსავლიანობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი ღირებულება იქმნება მხოლოდ მაშინ, როცა კომპანიები ინვესტირებულ კაპიტალზე იღებენ ისეთ უკუგებას, რომელიც აღემატება კაპიტალის მოზიდვის ხარჯებს.

ეკონომიკური მოგება (EP). საერთო მიდგომიდან გამომდინარე (რომელიც ჩადებულია აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებაში) – ის არის სხვაობა გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებულ საოპერაციო მოგებასა **(NOPAT)** და მოსათხოვნ მოგებას შორის (მოზიდული კაპიტალის ღირებულების გათვალისწინებით). მოცემული მაჩვენებლის გასაანგარიშებლად გამოიყენება ფორმულა:

EP = A (ROI – WACC)

სადაც, **A** – კომპანიის ან ბიზნეს–სეგმენტის აქტივებია.

ფრჩხილების გახსნის შემდეგ ფორმულაში თუ გავითვალისწინებთ, რომ **ROI = NOPAT : A** მივიღებთ:

EP = NOPAT – A x WACC

მაშასადამე, **NOPAT**-ის მაჩვენებლის სიდიდე თუ ასახავს ფაქტობრივად მიღებულ მოგებას, **A x WACC**-ის ნამრავლის სიდიდე ახასიათებს მოგების თანხას, რომელიც კომპანიამ ან ბიზნეს–სეგმენტმა უნდა გამოიმუშაოს ფინანსური რესურსების ერთობლივი ღირებულების ამოქმედების შედეგად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიღებული მოგება საკმარისი უნდა იყოს არა მარტო ნასესხებ კაპიტალზე პროცენტების ასანაზღაურებლად, არამედ მან უნდა დააკმაყოფილოს დაბანდებულ კაპიტალზე მესაკუთრეთა მოლოდინი.

ფინანსური კოეფიციენტების ტრადიციული ანალიზისგან განსხვავებით, რომელიც ეყრდნობა მაჩვენებელთა ფაქტობრივ სიდიდეთა დინამიკის შეფასებას, აღნიშნული მიდგომა

აგებულია რენტაბელობის ფაქტობრივ და მოსათხოვნ სიდიდეებს შორის შეპირისპირებაზე. მაგალითისათვის განვიხილოთ საანალიზო კომპანიის მონაცემები.

ეკონომიკური მოგების გაანგარიშება

მაჩვენებლები	საანალიზო პერიოდი	გასული პერიოდი	გადახრა (±)
1. ROI, %	18	16	+2
2. WACC, %	20	20	-
3. აქტივები, მლნ. ლარი	100	100	-
4. EP, მლნ. ლარი	-2	-4	+2

როგორც ვხედავთ, ტრადიციული ანალიზი, რომელიც ორიენტირებულია უშუალოდ რენტაბელობის მაჩვენებელთა გამოყენებაზე, ასახავს სასიკეთო სურათს, რაც დაკავშირებულია ინვესტიციების რენტაბელობის ზრდასთან. ამასთან, ეფექტიანობის შესაფასებლად შემოსავლიანობის მოსათხოვნი ნორმის ცნების გამოყენება (ჩვენი მაგალითის მიხედვით იგი შეადგენს 20%–ს) შესაძლებლობას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა სერიოზულ პრობლემაზე: ორივე განხილულ პერიოდში რენტაბელობის ფაქტობრივი დონე ნაკლებია მოსათხოვნ ნორმაზე, რაც ნიშნავს გარკვეული ოდენობის ღირებულების დაკარგვას.

ფინანსური ბერკეტის ეფექტი გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტით იზრდება საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა ნასესხები კაპიტალის საწარმოს ბრუნვაში მოზიდვის შედეგად. ის წარმოიქმნება ისეთ შემთხვევებში, თუ ეკონომიკური რენტაბელობა მაღალია სესხის ან კრედიტის პროცენზე.

ფინანსური ბერკეტის ეფექტი შედგება ორი კომპონენტისაგან: იგი არის სხვაობა ინვესტირებული კაპიტალის რენტაბელობასა (გადასახადების გადახდის შემდეგ) და კრედიტზე საპროცენტო განაკვეთს შორის.

იქიდან გამომდინარე, ნასესხები კაპიტალი ითვლება უფრო იაფფასიან წყაროდ (პროცენტზე საგადასახადო ეკონომიის ეფექტი, ამასთან კრედიტორების რისკი უფრო დაბალია ვიდრე მესაკუთრეების, ამიტომ რისკის საკომპემსაციოდ მესაკუთრეებმა დაბანდებულ კაპიტალზე უნდა მიიღონ უფრო მეტი უკუგება), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნასესხები კაპიტალის ზრდა და საკუთარის გამოდევნა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა.

იმავდროულად, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი გადიდება იწვევს ფინანსური რისკის ზრდას, რამდენადაც, პირველ რიგში, ნასესხები კაპიტალის უკვე არსებული მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აიძულებს კრედიტორებს გაზარდონ საპროცენტო განაკვეთები; და მეორე, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის გადიდება ზრდის მესაკუთრეთა რისკს, რაც იწვევს აუცილებლობას გაზარდონ საკუთარ კაპიტალზე შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთი.

ლიტერატურა:

1. Financial Management, ACCA F 9, FTC Kaplan Limited, 2018;
2. Роберт С. Хигинс. Финансовый анализ: инструменти для приниятия бизнес-рещенный, 8-е издание, Пер. с англ. Издателский дом ,,Вильямс" М., 2008;
3. jikia.M(2021). On the methodology of the analysis of business activities of enterprise. Ecoforum Journal 10 (3);

4. Jikia.M(2019).some Aspents of Improving the Methodology of Economic Analysis.Ecoforum Journal 8 (1);
5. Jikia.M,Kharabadze.E. (2018) Analyzing decisions under intlation.International Journal of Advances in Management and Economics 7(2);
6. Jikia.M,Kharabadze.E (2018)Certain aspects of account rececivable and payable analysis.Archives of Buisness Research 6(6);
7. Jikia.M(2019).PECULIARITIES AND ADVANTAGES OF THE COST CALCULATION METHOD ACCORDING TO THE TYPES OF ACTIVITES.Ecoforum Journal 8(2).

In a Pandemic, at the Modern Stage of Market Economy Development: Concept-Profit Maxsimization or Increasing the Value of the Company!?

Merab Jikia

Doctor of Economics,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Associate Profssor

SUMMARY

Management of the enterprise should know how the different structure of the capital affects the value of the additional attracted capital.Therefore ,it is quite understandable their aspiration to reduce the value of the additional attracted capital by changing the capital structure.At the same time, it is necessary to take into account the following principles:

Since the borrowed capital is considered a cheaper source(the effect of tax savings on interest,and also, a lenders' risk is lower than that of owners,so owners should receive more return on invested capital to compensate for the risk).It can be assumed that the increase in borrowed capital and the expulsion of the equity will provide an opportunity to solve this problem.

At the same time,a significant increase in the share of borrowed capital leans to an increase in financial risk,since at first,the already significant share of borrowed capital forces lenders to raise interest rales;And second,increase in the share of the borrowed capital increases the risks to owners,which necessitates an increase in the required rate of return on equity.

Therefore,in the defined ratio of borrowed and equity,the optimal structure of resources is achieved,which resuls in the effect of financial leverage.It showes how much the return on the equity increases as a result of attracting the borrowed capital into the enterprise.It aries in cases where economic profitability is higher than the interest rate on the loan or credit.

დისტანციური მუშაობა კოვიდ-19 პანდემიის პირობებში: ტენდენციები დაპერსპექტივები

ქრისტინა ჯღანჯღავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული დოქტორი

კოვიდ-19 პანდემიამ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა. Seqmnilma კრიზისმა განაპირობა მოულოდნელი მოთხოვნა, კომპანიებს და მათ თანამშრომლებს დაეწყოთ და გაეზარდათ სახლიდან დისტანციური მუშაობა. აღნიშნულs ხელi შეuwyo საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებma, (ICT) romlebmac გადამწყვეტი როლი შეასრულა ეკონომიკური აქტივობების გაძლიერებასა და ადამიანთა მნიშვნელოვან ნაწილს მისცა საშუალება განეგრძოთ შემოსავლის მიღება. mocemul ნაშრომში warmodgenilia ძირითადი ინფორმაცია თუ როგორ განვითარდა დისტანციური მუშაობა პანდემიის დაწყების პირველ წელს (2020წ) და ასევე gamoyofilia რიგი არგუმენტები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს დისტანციური მუშაობა მომავალში.

საკვანძო სიტყვები: *კოვიდ-19, დისტანციური მუშაობა. ციფრული ტექნოლოგიები*

მას შემდეგ, რაც მსოფლიო პანდემიამ, კოვიდ-19, მოიცვა მთელი მსოფლიო, სოციალური დისტანცია გახდა აუცილებელი, იმისათვის, რომ შემცირებულიყო ინფიცირებულთა რაოდენობა. უამრავი მთავრობა მკაცრად ახალისებდა და კატეგორიულად ავალდებულებდა სამსახურში ყოფნის მინიმუმამდე შემცირებას.

აღნიშნულის საპასუხოდ, ბიზნესის დიდმა ნაწილმა მიმართა ციფრულ ტექნოლოგიას, იმისათვის რომ განეგრძოთ საკუთარი აქტივობა. პერსონალი მუშაობდა სახლიდან და იყენებდა ისეთ ინსტრუმენტებს როგორიცაა - ვიდეოკომფერენცია, ვირტუალური კერძო ქსელები და ა.შ.

კომპანიები, რომლებმაც შეძლეს დისტანციური მუშაობის მეთოდის გამოყენება, სწრაფად ადაპტირდნენ და შედარებით შეუფერხებლად გადავიდნენ მუშაობის აღნიშნულ რეჟიმზე. ამავდროულად, საუკეთესოდ შეძლეს წარმოების დონის შენარჩუნება [OECD,2020].

აღსანიშნავია, რომ ყველა ტიპის საქმიანობა ვერ იყენებს დისტანციურად მუშაობის რეჟიმს. ამასთან დადგინდა, რომ სამუშაოთა მხოლოდ მცირე ნაწილი შეიძლება იქნას შესრულებული სახლიდან [Dingel&Neiman, 2020].

ავსტრალიაში, მაგალითად, დასაქმებულთა 89%-მა, რომლებიც არ მუშაობენ დისტანციურად, აღნიშნეს შემდეგი ძირითადი მიზეზები:

- დამსაქმებელი არ სთავაზობს მათ სახლიდან მუშაობის შესაძლებლობას;
- მუშაკთა საშინაო პირობები არ არის ხელსაყრელი საქმიანობისთვის;
- ზოგიერთ თანამშრომელს კი, სახლში არ აქვს წვდომა ინტერნეტსა და სხვა სათანადო აღჭურვილობაზე [Australian Bureau of Statistics, 2020].

დისტანციური მუშაობის გაზომვა კოვიდ-19 პანდემიის პირობებში

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ უმეტეს ქვეყანაში რეგულარული საინფორმაციო და საკომუმიკაციო ტექნოლოგიების (ICT) დახმარებით ჩატარებული გამოკითხვები, ჩვეულებრივ გამოიყენება დისტანციური მუშაობის საზომად. თუმცა, რადგანაც აღნიშნული გამოკითხვები ტარდება წელიწადში ერთხელ, ბევრმა ქვეყანამ

დაიწყო უფრო ხშირი გამოკითხვების ჩატარება - კომპანიებსა და მათ თანამშრომლებს შორის, რათა მიეღოთ ინფორმაცია დისტანციური მუშაობის შესახებ კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში.

საფრანგეთში 2020 წელს დისტანციურად მომუშავეთა რაოდენობა გაორმაგდა წინა წელთან შედარებიT, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში ამავე წელს დისტანციურად მომუშავე მუშაკTა რაოდენობა 1,8-ჯერ აღემატებოდა პანდემიამდე პერიოდს, ხოლო ავსტრალიაში დისტანციური მუშაობა 2020 წლის დეკემბერში 1.5-ჯერ გაიზარდა, ვიდრე იყო იმავე წლის მარტში.

იაპონიაში, რომელმაც არ დააწესა ქვეყნის მასშტაბით ჩაკეტვა 2020 წელს, დისტანციური მუშაობა საგრძნობლად გაიზარდა, მაგალითად, 2019 წელს 10%-დან თითქმის 28%-მდე 2020 წელს, თუმცა უფრო დაბალი დარჩა, ვიდრე ზემოთხსენებულ ქვეყნებში. ხოლო იტალიაში, 2020 წლის მეორე კვარტალში დისტანციური მუშაობის განაკვეთები - 4-ჯერ აღემატებოდა პანდემიამდე პერიოდს, ყველა ეს მაჩვენებელი დამოუკიდებლად არის მოხსენებული თანამშრომლების მიერ [Montagnier&Spienzia, 2021].

დისტანციურ მუშაობაში განსხვავებები წარმოიქმნება სხვადასხვა ინდუსტრიებსა და პროფესიებს შორის მათი ციფროვიზაციის განსხვავებული ხარისხის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მუშაობის განაკვეთები ინდუსტრიების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნებში, ტენდენციები ზოგადად მზგავსია. ფიზიკურ წარმოებასთან ასოცირებულ ინდუსტრიებს, როგორიცაა ჯანდაცვა და სოციალური დაცვა, მშენებლობა, ტრანსპორტი, აგრეთვე საცხოვრებელი და კვების სერვისები, პანდემიის პერიოდში, დისტანციურi მუშაობis შედარებით დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ [OECD,2019].

ფინანსურმა სერვისებმა მიაღწია სახლიდან მუშაობის გაცილებით მაღალ მაჩვენებელს, დასაქმებულთა 50%-ზე მეტი მუშაობდა დისტანციურად, საჯარო ადმინისტრაციამ, ასევე მიაღწია საშუალოდ 50%-იან მაჩვენებელს [OECD.2021].

ზოგადად, დისტანციური მუშაობის მაჩვენებელი პანდემიის დროს შედარებით მაღალი იყო მსხვილ კომპანიებში დასაქმებულ პერსონალს შორის, ვიდრე მცირე ფირმებში. აღნიშნული განსხვავება ასახავს მსხვილი კომპანიების ციფრული ტექნოლოლოგიების წვდომისა და გამოყენების მეტ შესაძლებლობას, ხოლო მცირე ბიზნესი კონცენტრირებულია ისეთ სექტორებში, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარება დისტანციურად მუშაობis რეჟიმს, მაგალითად, ტურიზმი, რესტორნები ან მცირე საცალო ვაჭრობა [OECD, 2019].

დისტანციური მუშაობის განვითარების პერსპექტივები

კოვიდ-19, მსოფლიო პანდემიამ, განაპირობა დისტანციური მუშაობის ეტაპობრივი ზრდა. აღნიშნული დროებითია თუ მომავალშიც გაგრძელდება, პასუხი დამოკიდებულია დისტანციური მუშაობის დადებითი და უარყოფიTი მხარეების ბალანსზე, როგორც დასაქმებული მუშაკებისთვის, ასევე ბიზნესისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ დისტანციურად მუშაობას აქვს პოტენციალი გაზარდოს პროდუქტიულობა, გააუმჯობესოს სამუშაო ცხოვრების ბალანსი და შეამციროს ემისიები, მისი საერთო გავლენა, მომავალში საეჭვო და ბუნდოვანია [OECD,2020].

კანადაში, სტატისტიკამ დაადგინა, რომ პანდემიამდე დისტანციურად მომუშავე მუშაკების 90%-ზე მეტი აცხადებდა, რომ ისეთივე პროდუქტიულები იყვნენ სახლში, როგორც სამსახურში, დანარჩენმა 10%-მა განაცხადა, რომ სახლში ყოფნისას საათში ნაკლებ სამუშაოს ასრუ-

ლებდა ვიდრე ჩვეულ სამსახურში ადგილზე, თანამშრომლებთან ურთიერთობების ნაკლებობის, ოჯახის მოვლის ვალდებულებების, არაადეკვატური სამუSაო სივრცის ან IT აღჭურვილობის გამო. აღნიშნული გამოკითხვა ემთხვევა სხვა რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებულ აკადემიურ-/ინდუსტრიულ კვლევებს. მაგალითად, აშშ-ში დაადგინეს, რომ დისტანციური მუშაკების 85% მინიმუმ ისეთივე ეფექტიანად მუშაობდა სახლის პირობებში კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, როგორც ადრე მუშაობდნენ ჩვეულ სამსახურში [Barrero,Bloom et al, 2020].

გაერთიანებულ სამეფოში, გამოკითხული ბიზნესის 71%-მა აღნიშნა, რომ კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, სახლში მუშაობამ უარყოფითად არ იმოქმედა მათ პროდუქტიულობაზე,xolo 23%-მა განაცხადა, რომ პროდუქტიულობა პირიქით გაუმჯობესდა.[Glascoigne, 2020]

იაპონიაში დასაქმებულებმა აღნიშნეს დისტანციური მუშაobis სხვადასხვა უპირატესობები და ნაკლოვანებები პანდემიის პირობებში, რომელთაგან უმეტესობა გავლენას მოახდენს დასაქმებულთა პროდუქტიულობაზე.[Japan Cabinet Office, 2021]

ხუთიდან ოთხი დისტანციური მუშაკი ხაზგასმით აღნიშნავს სახლიდან მუშაობის მთავარ უპირატესობას - სამსახულში მგზავრობის ფაქტორს, მხოლოდ 14% ფიქრობს, რომ აღნიშნულ რეჟიმში მუშაობა აადვილებს ახალი იდეების გენერირებას, რესპოდენტთა დაახლოებით მესამედმა აღნიშნა, რომ დისტანციური მუშაობის მTავარი გამოწვევაა სირთულეები პარტნიორებთან კონსულტაციასა და კომუნიკაციაში. არსებობს გარკვეული მტკიცებულება, რომ დისტანციური მუშაობა ასოცირდება უფრო ხანგრძლივ სამუშაო საათებთან და შედარებით ხშირ მუშაობასTან საღამოსა და შაბათ-კვირას, აღნიშნული კი უარყოფითად იმოქმედებს თანამშრომლების კეთილდღეობასა და პოტენციურ პროდუქტიულობაზე.[Eurofound&ILO,2019]

გაერთიანებულ სამეფოში გამოკითხულ დამსაქმებელთა 63% გეგმავდა ‘‘‰‘-†‘–‣,‘ მუშაობისო დანერგვას მსოფლიო პანდემიის შემდეგ, ხოლო 45% გეგმავდა სახლიდან მუშაობის გამოყენებასა და დანერგვას.[Gascoigne,2020]

კანადაში დისტანციური მუშაკების 80%-მა აღნიშნა, რომ სურვილი ჰქონდათ სამუშაოს 50 % სახლიდან ემუშავათ პანდემიის დასრულების შემდეგ და მხოლოდ 15% უპირატესობას ანიჭებს მთლიანად იმუშაოს დისტანციურად.[Statistics Canada, 2021]

სავარაუდოდ მეტი საათობრივი მუშაობა ანაზღაურებს სახლიდან დისტანციური მuSაობის პოტენციურ სარგებელს, მაგალითად: მგზავრობაზე დრო დაზოგილია, იძლევა საშუალებას მიიღწეს სამუშაოსა და ცხოვრების დადებითი ბალანსი.[Gascoigne,2020]

2020 წლის ივლისში ავსტრალიის სტატისტიკის ბიურომ გამოკითხა ინდივიდები, თუ ცხოვრების რომელი თვისებები სურდათ გაგრძელებულიყო კოვიდ-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში. გამოკითხულTა 25%-ს სურდა გაეგრძელებინა მუშაობა ან სწავლა სახლიდან, აRნიშნული სტატისტიკა გაიზარდა ნოემბერში და გამოკითხულთა უკვე 30%-ს, სადაც ქალების წილი (36%) შედარებით მაღალი იყო, ვიდრე მამაკაცების (26%), სურდათ მუშაობა ან სწავლა გაგრძელებულიყო სახლიდან.[Australian Bureau of Statistics,2020]

აშშ-ში გამოიკითხა 15 000 ადამიანი, შედეგებით დგინდება, რომ სახლიდან შესრულებულ სამუშაოს წილი შეიძლება გაიზარდოს 5%-დან, პანდემიამდე არსებული პერიოდიდან, 22%-მდე კოვიდ-19 პანდემიის შემდგომ პერიოდში.[Barrero,Bloom.et al,2020], ხოლო კანადაში ბიზნესის წილი, რომლებიც ელოდებიან ზოგიერთ თანამშრომელს მაინც შესთავაზონ დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობა, კოვიდ-19 პანდემიის დასრულების შემდგომ პერიოდში გაიზარდა 34%-დან 59%-მდე, 2020 წლის მაისიდან აგვისტომდე პერიოდში.[Statistics Canada,2020]

დისტანციურად დასაქმებულთა შედარებით მცირე რაოდენობაა მოსალოდნელი გაერთიანებულ სამეფოში, რომლებიც მზად არიან იმuშაონ სრულ სამუშაო განაკვეთზე სახლიდან. ქვეყანაში გამოკითხულ დამსაქმებელთა 63% გეგმავდა „ჰიბრიდული მუშაობის“ გარკვეულწილად გაფართოებას, პანდემიის შემდგომ პერიოდში, ხოლო 25% გეგმავდა გადასულიყო მთლიანად დისტანციური მუSაობის რეჟიმზე.[Gascoigne,2020]

კანადაში დისტანციური მუშაკების 80%-მა აღნიშნა, რომ სურდათ სახლიდან სამუშაო საათების ნახევარი ემუშავათ მსოფლიო პანდემიის დასრულების შემდეგ, მხოლოდ 15% ანიჭებს უპირატესობას მთელი სამუშაო დრო იმუშაონ დისტანციურად.[Statistics Canada,2021]

დასაქმებულთა პროდუქტიულობა სახლის პირობებში მნიშვნელოვნად ასოცირდება სახლში მუშაობის სურვილთან. მუშაკებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ დისტანციურად მეტ სამუშაოს ასრულებდნენ, მიუთითითებენ, რომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ უმეტესი ან მთელი სამუSაო საათები იმუშაონ სახლში(57%), ხოლო დასაქმებულთა 30%-ს ურჩევნია იმუშაონ და გავიდნენ სამსახურში.[Statistics Canada, 2021]

საქართველოში გამოკითხულ კომპანიების დიდი ნაწილი აქამდე არ მუშაობდა დისტანციურ რეჟიმში, ნაწილი კი ნაწილობრივ მუშაობდა. დისტანციურ რეჟიმზე. PwC მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა 22% დისტანციურად მუშაობდა. კითხვარებისა და გამოკითხვების მეშვეობით დადგინდა, რომ განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის დარგში მომუშავე მცირე და საშუალო კომპანიების 67%-ს მოუწია თანამშრომლების დისტანციურად მუშაობის ორგანიზება. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიათა 73%-ს ასეთი სამუშაო რეჟიმი წამგებიანად მიაჩნია, 40%-მა უზრუნველყო პერსონალი საჭირო რესურსებით. დისტანციურ სამუშაო განაკვეთზე გადასვლამ არსებულ სამუშაო რეჟიმზე გავლენა იქონია კომპანიების 13%-ში, ხოლო 7%-მა აღნიშნა, რომ მათ გაზარდეს მიწოდების სერვისებისთვის საSტატო პერსონალის რაოდენობა.[აბულაშვილი, არაბიძე და ა.შ, 2021]

მომავალში ბიზნესს მოუწევს მოახდინოს სამუშაო პრაქტიკის ადაპტირება, იმისათვის, რომ გადაჭრან დისტანციურ მუშაობასთან დაკავშირებული გამოწვევები და სირთულეები აუცილებელია შესაბამისი ზომების განხორციელება, რაც მოიცავს:

- საზღვრის დადგენას წახალისებასა და რუტინებს შორის,ზედმეტი მუშაობის თავიდან ასაცილებლად;

- იმის უზრუნველყოფას, რომ მენეჯერებს აქვთ უნარ-ჩვევები და ინსტრუმენტები, რომელიც საჭიროა არსებული ამოცანების ეფექტურად კოორდინირებისთვის და კომუნიკაციისთვის;

- განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას კრეატიულობის, გონებრივი შტურმის, სირთულეების გადაჭრის და არაფორმალური სწავლებისადმი;

- სამუშაო ადგილის მიუხედავად, ხელის შეწყობას ქსელის, გუნდთაშორისი ურთიერთობებისა და ერთიანობისთვის.

მთავრობებმა ასევე აუცილებელია განახორციელონ შესაბამისი ქმედებები, იმისათვის რომ მომავალში შეინარჩუნონ სარგებელი დისტანციური მუშაობით. ეკონომიკური და სოციალური აღდგენისა და გაუმჯობესებული კეთილდღეობის მისაღწევად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბიზნესსა და მათ თანამშრომლებს ჰქონდეთ მოქნილობა, აღნიშნული მიზნების მისაღწევად შესაბასმისი პოლიტიკის გატარება ეხება სამ ძირითად მიმართულებას:

- დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მxარდაჭერას;

- კულტურული და სამართლებრივი გამოწვევებთან გამკლავებას;
- პოტენციური გვერდითი ეფექტების შერბილებას;

დასკვნა

ამრიგად, კოვიდ-19 მსოფლიო პანდემიის გავლენა შრომის ბაზარზე ჯერ კიდევ გაურკვეველია. თუმცა, სავარაუდოდ დისტანციური მუშაობა მომავალში შეინარჩუნებს ზრდის ტენდენციას და გაცილებით გაიზრდება, ვიდრე იყო პანდემიის დაწყებამდე.

ადრეული სტადიის კვლევებმა და გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მუშაკთა უმეტესობა მხარს უჭერს დისტანციური მუშაობის რეჟიმს და სურვილი აქვთ განაგრძონ აღნიშნული მუშაობა სოციალური დისტანციური შეზღუდვების მოხსნის შემდეგაც. გარდა ამისა, ბევრმა დასაქმებულმა გააცნობიერა, რომ მათი სამუშაო შეიძლება შესრულდეს ტრადიციული საოფისე ფართის გარეთ და ბევრი ბიზნეს ლიდერი, რომლებიც ადრე რეზისტენტულები იყვნენ, თანამედროვე პერიოდში არიან გამოცდილნი და შეუძლიათ წარმატებით საქმიანობის ორგანიზება. ისინი შესაბამისად, მხარს უჭერენ თანამშრომლებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში დისტანციურად მუშაობენ. თუმცა ყოველივე აღნიშნული მოითხოვს, აუცილებელი ციფრული ინფრასტრუქტურის არსებობის უზრუნველყოფას, რომელიც ძვირია, მაგრამ ამავდროულად, აბსოლუტურად საჭირო ინვესტიციაა.

აუცილებელი გახდება პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ღირსეული და პროდუქტიული დისტანციურად მომუშავე მუშაკების დიდ ხვედრით წილს, რომლებიც სავარაუდოდ გამოიყენებენ აღნიშნული მუშაობის რეჟიმს პანდემიის შემდგომ პერიოდშიც.

ლიტერატურა:

1. abulaSvilig,. arabiZe m., »saxelmZRvanelo miTiTebebi da saukeTeso praqtikis magaliTebi, UNECE,2021.
2. Australian Bureau of Statistics (2020), *Business Impacts of COVID-19, September 2020*, https://www.abs.gov.au/statistics/economy/business-indicators/business-conditions-and-sentiments/sep-2020.
3. Australian Bureau of Statistics (2020), *Household Impacts of COVID-19 Survey, November 2020*, https://www.abs.gov.au/statistics/people/people-and-communities/household-impacts-covid-19-survey/nov-2020.
4. Barrero, J., N. Bloom and S. Davis (2020), *Why Working From Home Will Stick*, http://dx.doi.org/10.2139/ssrn.3741644.
5. DARES (2021), *Enquête Activité et conditions d'emploi de la main d'œuvre – Covid*, https://dares.travail-emploi.gouv.fr/publications/activite-et-conditions-d-emploi-de-la-main-d-oeuvre-pendant-la-crise-sanitaire-119594.
6. Dingel, J. and B. Neiman (2020), *How many jobs can be done at home?*, https://github.com/jdingel/DingelNeiman-workathome/blob/master/DingelNeiman-workathome.pdf.
7. Eurofound and ILO (2017), *Working anytime, anywhere - the effects on the world of work*, https://www.eurofound.europa.eu/sites/default/files/ef_publication/field_ef_document/ef1658en.pdf.
8. Eurostat (2021), *European Labour Force Survey data*, https://ec.europa.eu/eurostat/web/microdata/european-union-labour-force-survey.
9. Gascoigne, C. (2020), *Flexible working: lessons from the pandemic*, https://www.cipd.co.uk/Images/8051-working-from-home-report_tcm18-84208.pdf.
10. Gascoigne, C. (2020), *Working from home: assessing the research evidence*, https://www.cipd.co.uk/Images/8051-working-from-home-report_tcm18-84208.pdf.
11. ISTAT (2021), *Rilevazione sulle forze di lavoro*, [Labour force survey (database)], http://dati.istat.it.
12. Japan Cabinet Office (2021), *Under the influence of the new coronavirus infection: Under the influence of the new coronavirus infection*, https://www5.cao.go.jp/keizai2/manzoku/pdf/result2_covid.pdf.
13. Ker, D., P. Montagnier and V. Spiezia (2021), "Measuring telework in the COVID-19 pandemic", *Digital Economy Papers*, No. No. 314, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/0a76109f-en.

14. Messenger, J. (2019), *Telework in the 21st Century, An Evolutionary Perspective*, Edward Elgar and ILO, https://www.-ilo.org/global/publications/books/WCMS_723395/lang--en/index.htm.
15. OECD (2020), *Digital Economy Outlook 2020*, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/bb167041-en.
16. OECD (2019), *Measuring the Digital Transformation: A Roadmap for the Future*, OECD Publishing, Paris, https://dx.-doi.org/10.1787/9789264311992-en.
17. OECD (2018), *Good Jobs for All in a Changing World of Work: The OECD Jobs Strategy*, OECD Publishing, Paris, https://dx.doi.org/10.1787/9789264308817-en..
18. Statistics Canada (2021), *Study: Working from home: Productivity and preferences*, https://www150.statcan.gc.ca/-n1/daily-quotidien/210401/dq210401b-eng.htm.
19. Statistics Canada (2020), *Table 33-10-0274-01 Percentage of workforce teleworking or working remotely, and percentage of workforce anticipated to continue primarily teleworking or working remotely after the pandemic, by business characteristics*, https://doi.org/10.25318/3310027401-eng.

Distance Working under Covid-19: Trends and Prospects

Kristina Jganjgava

Doctor of Business Administration Science

Assosiate Professor at Tbilisi Humanitarian University

SUMMARY

Thus, the full impact of Covid-19 on labour markets remains to be determined. However, it is very likely that rates of telework will remain significantly higher than they were prior to the onset of the pandemic (see e.g., Eurofound, 2020). Early-stage research and surveys have found that a high percentage of workers would like to telework more frequently—even after social distancing restrictions have been lifted. Additionally, some workers have now realized that their jobs can be performed outside of traditional office spaces, and they are now also more comfortable using the necessary technology. Finally, many business leaders who previously were resistant to their teams working from home have now experienced that it can be done successfully, and thus are supportive of workers teleworking more frequently. However, this requires ensuring that the necessary digital infrastructure is in place—which is a costly, but absolutely necessary

It will be necessary to develop policies to promote decent and productive telework as a much larger portion of the workforce is likely to use this work arrangement than prior to the pandemic. During the next, highly uncertain period.

გამოცემაზე მუშაობდნენ

ნათია დვალი და ეკატერინე თეთრაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press

2022

უნივერსიტეტის
გამომცემლობა